ქართული წყაროთმცოდნეობა

XV-XVI

2013 / 2014

UDC (უაკ) 930.2 (051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია და მარიამ ჩხარტიშვილი

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
მანუჩარ გუნცაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
ზურაბ თარგამაძე
ეკა კვაჭანტირაძე
ქეთევან მანია
გიორგი მაჭარაშვილი
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
ქეთევან ქუთათელაძე

Editors
Giuli Alasania & Mariam Chkhartishvili

Editorial Board
Goneli Arakhamia
Manuchar Guntsadze (Executive Secretary)
Sopio Kadagishvili
Ketevan Kutateladze
Eka Kvachantiradze
Giorgi Macharashvili
Ketevan Mania
David Merkviladze
Nato Songulashvili
Zurab Targamadze

გამომცემელი
მარიამ ჩხარტიშვილი

Publisher
Mariam Chkhartishvili

ჟურნალის სრული ელექტრონული ვერსია განთავსებულია
ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ვებ-გვერდზე www.georgianstudies.ge

The full electronic version of the journal is published on the web-site of
The Georgian Studies Institute: www.georgianstudies.ge

გამომცემლის საკონტაქტო მონაცემები:
ელ–ფოსტა mary.chkhartishvili@gmail.com
მობ. 599 71 40 15
Publisher's contact details:
E-mail: mary.chkhartishvili@gmail.com
Mob.: +995 599 71 40 15

© ტექსტი - ავტორები, 2013/2014
© შედგენა - გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, 2013/2014
© Text –authors, 2013/2014
© compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, 2013/2014

გამომცემლობა „უნივერსალი", 2013 / 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ. 222 36 09, 599 17 22 30

ISSN 1987 – 9563

შინაარსი
Contents

რედაქტორებისაგან 12

Editorial 14

წყაროთა კრიტიკა და ისტორიული რეპრეზენტაცია 17

Source Criticism and Historical Representation 17

მიქელ პანარეტოსის ცნობათა მნიშვნელობა ქართველ მეფეთა
ქრონოლოგიური რიგის დადგენის თვალსაზრისით 19
იოსებ ალიმბარაშვილი
The Importance of the Evidences by Michael Panaretos for Establishing
the Chronological Order of Georgian Kings 23
Ioseb Alimbarashvili

ანთროპოლოგიური საველე ექსპედიციის წყაროთმცოდნეობითი
მნიშვნელობის რამდენიმე ასპექტი 24
მიხეილ ბარნოვი
The Anthropological Field Expeditions and Source-Studies Approaches to Data Analysis 28
Mikheil Barnovi

მასალები პირღებულის მონასტრისა და მისი წინამძღვრების შესახებ 29
თამაზ გოგოლაძე
Materials about Pirghebuli Monastery and its Father Superiors 39
Tamaz Gogoladze

1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით 40
მანუჩარ გუნცაძე
Ossetian Rebellion in Shida Kartli in 1920 according to Georgian Press 58
Manuchar Guntsadze

ქართული კვალი ჩერქეზეთში 59
თორნიკე დიასამიძე
Georgian Traces in Circassia 64
Tornike Diasamidze

Historia Pura *ნაციის* ქმნადობისა და *ნაციონალიზმის* კონტექსტში 65
ზურაბ თარგამაძე
Historia Pura in the Contexts of *Nation*-Formation Process and *Nationalism* 71
Zurab Targamadze

მედიევალური ისტორიოგრაფიის მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური ასპექტები 72
ეკა კვაჭანტირაძე

Ideological and Perceptional Aspects of Medieval Historiography 80
Eka Kvachantiradze

დიმიტრი ფურცელაძე ახალი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის სათავეებთან 81
შოთა მათითაშვილი
Dimitri Purtseladze at the Origins of Modern Historiography of Georgian Church 87
Shota Matitashvili

ბასილი ეზოსმოძღვარი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ 88
ელდარ მამისთვალიშვილი
Basili Ezosmodzghvari about the Foundation of the Empire of Trebizond 95
Eldar Mamistvalishvili

პოლონური იდენტობა *ივერიაში* 96
ქეთევან მანია
Iveria on Polish Identity 108
Ketevan Mania

„ოსმალოს საქართველო" *ივერიის* რეპრეზენტაციით 109
მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია
"Ottoman Georgia" as it was Represented in *Iveria* 117
Mariam Chkhartishvili, Ketevan Mania

აღმოსავლეთ საქართველოს ფისკალური სისტემა გვიან შუა საუკუნეებში (რუსულად) 118
გორ მარგარიანი
The Fiscal System of the Eastern Georgia in the Late Medieval Epoch 124
Gor Margaryan

ქართული ჰაგიოგრაფიის ორი ძეგლი დასავლელ ქრისტიანთა შესახებ 125
გიორგი მაჭარაშვილი
Two Monuments of Georgian Hagiography on Western Christians 132
Giorgi Macharashvili

ოსმალურენოვანი საოჯახო დოკუმენტები და სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები 133
ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, თემურ ტუნაძე
Ottoman Family Documents and Ethnological Problems of Study of South-West Georgia 139
Nugzar Mgeladze, Zaza Shashikadze, Temur Tunadze

ქართლის ცხოვრების ორი ადგილის განმარტებისათვის 140
ნუგზარ მგელაძე, მამია ფაღავა
On Interpretation of Two Passages in *Kartlis Tskhovreba* 143
Nugzar Mgeladze, Mamia Paghava

არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობა დამასკოდან გორამდე 144
დავით მერკვილაძე, პაპუნა გაბისონია
The Journey of Archangelo Lamberti from Damascus to Gori 153
Davit Merkviladze, Papuna Gabisonia

გარეჯის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს „ძველი აღთქმის სამების“
სიუჟეტში გამოსახული ყრმის იდენტიფიკაციისათვის 154
ლადო მირიანაშვილი
For Identification of a Young Man Depicted in “The Hospitality of Abraham” from
the Refectory of Udabno Monastery in Gareji 160
Lado Mirianashvili

მირ დაუდ ზადურ მელიქ შაჰნაზარი და მისი ცნობები სპარსეთის შესახებ 161
ირინე ნაჭყებია
Mir-Davoud-Zadour de Melik-Shah Nazar and His Notes about Persia 168
Irina Natchkebia

მოქცევაჲ ქართლისაჲში დაცული რამდენიმე დროითი მინიშნების თაობაზე 169
საბა სალუაშვილი
About Dates in *Moktsevai Kartlisai* 175
Saba Saluashvili

იდა (ლაურა) პფაიფერის კავკასიაში მოგზაურობის დღიური როგორც საისტორიო წყარო 176
გიორგი სოსიაშვილი
The Diary by Ida (Laura) Pfeiffer as Historical Source about Caucasus 183
Giorgi Sosiashvili

წმინდა იოანე და წმინდა ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრება* და
წმინდა გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრება* როგორც წყარო შუა
საუკუნეების საქართველოში ეთნიკურობის აღქმისათვის 184
სოფიო ქადაგიშვილი
Perception Ethnicity in Medieval Georgia according to the Vitas of Saint Ioane,
Saint Ekvtime Mtatsmindelis and Vita of Saint Giorgi Mtatsmindeli 201
Sopio Kadagishvili

სოფელ ჯოჭოს ქრისტიანული წარსულიდან 202
კახაბერ ქამადაძე
Christian Past of Jocho Village 206
Kakhaber Kamadadze

დაიაენ/დიაოხი: ეთნიკური სტიგმა 207
მარიამ ჩხარტიშვილი
Daiaen/Diaochi: Ethnic Stigma 221
Mariam Chkhartishvili

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება 222
ზაზა ცინაძე
The Constituent Assembly and its Regulations for Elections 226
Zaza Tsinadze

ავალიშვილთა საგვარეულო და მისი გამოჩენილი წარმომადგენლები 227
ნიკო ჯავახიშვილი
The House of Avalishvilis and Its Famous Representatives 236
Niko Javakhishvili

მეფე ვახტანგ VI-ის პირდაპირი შთამომავლები 237
დავით ჯავახიშვილი
The King Vakhtang VI and his Direct Descendants 239
David Javakhishvili

XX ს. 30-იანი წლების საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების
რამდენიმე გამოვლინება პარტიული არქივის მასალების მიხედვით 240
ნათელა ჯორჯიკია
Some Manifestations of Intellectual Life in Georgia in 1930s according
to the Materials Kept in Party Archive 244
Natela Jorjikia

თვალსაზრისი 245
Standpoint 245

ქართული სამეცნიერო სივრცე და რეფერირებადი ჟურნალი 247
მარიამ ჩხარტიშვილი
Georgian Academic Environment and a Peer Reviewed Journal 261
Mariam Chkhartishvili

წიგნების მიმოხილვა 263
Book Reviews 263

აკადემიური გამოცემის საუკეთესო ნიმუში. მ. სანაძე, გ. არახამია. *VI ს. ისტორიული ქრონიკა დავით და კოსტანტინეს წამებაში.*
თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013 265
გიული ალასანია
The Best Example of Academic Publication. M. Sanadze, G. Arakhamia. *The 6th Century Historic Chronicle in The Martyrdom of Davit and Kostantin*, Tbilisi, Georgian University Publishing, 2013 268
Giuli Alasania

ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი 268
ბონდო არველაძე
An Important Contribution to Georgian Historiography 271
Bondo Arveladze

ჰაინრიხ რორბახერი. *საქართველო: გერმანულენოვანი მწერლობის ბიბლიოგრაფია* კარლ ჰორსტ შმიდტის წინასიტყვაობით. ვისბადენი: ჰარრასოვიცის გამომცემლობა, 2008 272
ალექსანდრე თვარაძე
Heinrich Rohrbacher. *Georgien: Bibliographie des deutschsprachigen Schrifttums,*
Mit einem Vorwort von Karl Horst Schmidt, Wiesbaden: Harrassowitz Verlag, 2008 273
Aleksandre Tvaradze

დავით ყოლბაია და ქართველოლოგია პოლონეთში 273
ქეთევან მანია
David Kolbaia and Georgian Studies in Poland 278
Ketevan Mania

დონალდ რეიფილდი, *იმპერიათა კიდეზე, საქართველოს ისტორია* (ლონდონი, გამომცემლობა „რეაკტიონის წიგნები", 2012, 479 გვერდი, ISBN: 978-1-78023-030-6) 281
კეით ჰიჩინსი
Donald Rayfield. *Edge of Empires: A History of Georgia.* London: Reaktion Books, 2012, 479 pages. ISBN: 978-1-78023-030-6. 278
Keith Hitchins

ადრიან ბრისკუს *ტკბილ-მწარე ევროპა: ალბანული და ქართული დისკურსები ევროპის შესახებ.* ნიუ-იორკი, ოქსფორდი, ბერგანი, 2013, 236 გვ., შენიშვნები, ბიბლიოგრაფია, ინდექსი, რუკები 283
კეით ჰიჩინსი
Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008 by Adrian Brisku. New York and Oxford: Berghahn, 2013. xx, 236 pp. Notes. Bibliography. Index. Maps. 281
Keith Hitchins

ქრონიკა 285
Chronicle 285

ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია *ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები* 287
სოფიო ქადაგიშვილი, მანუჩარ გუნცაძე
National Interdisciplinary Scholarly Conference of Young Researchers *Georgian Studies: Main Tendencies and Current Problems* 290
Sopio Kadagishvili, Manuchar Guntsadze

მარიამ ლორთქიფანიძე 90. საიუბილეო ღონისძიებათა ქრონიკა 291
სოფიო ქადაგიშვილი, მანუჩარ გუნცაძე, შოთა მათითაშვილი
Mariam Lordkipanidze 90. Chronicle of the Anniversary Events 296
Sopio Kadagishvili, Manuchar Guntsadze, Shota Matitashvili

წიგნის *ისტორიული პორტრეტები, წერილები* პრეზენტაცია 297
მანუჩარ გუნცაძე
Presentation of the Book *Historical Portraits, Letters* 299
Manuchar Guntsadze

ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია *წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები* 300
მანუჩარ გუნცაძე
Interdisciplinary Scientific Conference *Researches in Source-Studies and Historiography* 302
Manuchar Guntsadze

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია რომში: *იმპერიები და ნაციები* 303
სოფიო ქადაგიშვილი
International Conference in Rome: *Empires and Nations* 305
Sopio Kadagishvili

წიგნისა და სტუდენტთა სამეცნიერო წრის პრეზენტაცია საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში 305
სოფიო ქადაგიშვილი, მანუჩარ გუნცაძე

Presentation of the Book and Student Research Circle at the Institute of Georgian History 311
Sopio Kadagishvili, Manuchar Guntsadze

ევროპული საზოგადოებათმცოდნეობითი ისტორიის კონფერენცია ვენაში 312
სოფიო ქადაგიშვილი
European Social Science History Conference in Vienna 314
Sopio Kadagishvili

საერთაშორისო კონფერენცია რომში: *დიდი ომი* 315
სოფიო ქადაგიშვილი
International Conference in Rome: *The Great War* 316
Sopio Kadagishvili

ხსოვნა 317
In Memoriam 317

რევაზ კიკნაძე (1923-1989) 319
გიული ალასანია
Revaz Kiknadze (1923-1989) 321
Giuli Alasania

ჩემი მასწავლებელი 321
მარიამ ჩხარტიშვილი
My Teacher 323
Mariam Chkhartishvili

ძვირფასი მასწავლებელი 324
გონელი არახამია
The Beloved Teacher 325
Goneli Arakhamia

შეუდარებელი მასწავლებელი 326
ეკა კვაჭანტირაძე
The Incomparable Teacher 327
Eka Kvachantiradze

რევაზ კიკნაძე წლების გადასახედიდან 328
ოთარ ჟორდანია
Revaz Kiknadze through the Years 330
Otar Zhordania

ცნობილი მეცნიერის პროფესორ ნოდარ შოშიაშვილის მოგონება 331
ეკა კვაჭანტირაძე
In Memory of the Outstanding Researcher Professor Nodar Shoshiashvili 332
Eka Kvachantiradze

ხელმძღვანელი 332
მარინე ქადაგიძე

The Superviser 333
Marine Kadagidze

„უმაღლესი მეცნიერების" მასწავლებელი 341
ქეთევან ქუთათელაძე
The Teacher of Excelence. 341
Ketevan Kutateladze

ტკივილიანი ფიქრით მეგობარსა და კოლეგაზე: ერთი წელი
ცაცა ჩხარტიშვილის უდროო გარდაცვალებიდან 343
დოდო ჭუმბურიძე
With Painful Thoughts on the Devoted Friend and Colleague: An Year Since
Tsatsa Chkhartishvili's Untimely Death 346
Dodo Chumburidze

რედაქტორებისაგან

სიამოვნებით წარმოვუდგენთ მკითხველებს ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალ გამოცემას, რომელიც, ისევე როგორც ამის წინა ჯერზე, ახლაც ორ ტომს და, შესაბამისად, ორი წლის მასალას აერთიანებს.

წინამდებარე გამოცემა რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. პირველი ესაა განყოფილება *წყაროთა კრიტიკა და ისტორიული რეპრეზენტაცია*. აქ წარმოდგენილია ოცდაშვიდი კვლევითი ხასიათის ნაშრომი. სტატიებს შორისაა წყაროთმცოდნეობითი, ისტორიული, ისტორიოგრაფიული პროფილის გამოკვლევები. არის წყაროთა პუბლიკაციებიც. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ჩვენ ყველა მაინც ერთი რუბრიკის ქვეშ გავაერთიანეთ. საქმე ისაა, რომ დაყოფა სირთულეს აწყდება და ფორმალურ ხასიათს იძენს: წყაროთმცოდნეობითი ფოკუსის მქონე სტატიები ყველა შემთხვევაში საინტერესო ისტორიულ რეპრეზენტაციას შეიცავს, თავის მხრივ, ისტორიული ფოკუსის მქონე გამოკვლევები მდიდარია წყაროთმცოდნეობითი ძიებებით. წყაროთა პუბლიკაცია თუ სამეცნიერო თარგმანი მნიშვნელოვანი დოზით შეიცავს კვლევას. ასევე ითქმის ისტორიოგრაფიული ფოკუსის მქონე სტატიებზეც, რომლებშიც უხვადაა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზით მიკვლეული ფაქტები.

ამ განყოფილებაში გარდა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მფლობელი გამოცდილი მკვლევრებისა, ნაშრომებს აქვეყნებენ ახალგაზრდებიც, ანუ ისინი, ვისაც ეს ხარისხი და, ცხადია, შესაბამისი გამოცდილებაც ჯერ კიდევ საკმარისი არა აქვთ. ამ შემთხვევაში რედაქტორების სურვილია ახალი თაობისათვის ხელშეწყობა. სწორედ ამ სურვილის გამოხატულებაა ისიც, რომ ჟურნალში იბეჭდება რამდენიმე არაქართველოლოგიური, პროფილის ნაშრომიც. აქვე ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები არა მარტო ავტორებად გვევლინებიან, არამედ ჟურნალის რედკოლეგიის მნიშვნელოვან წილსაც შეადგენენ, რაც, ცხადია, შემთხვევითი სულაც არაა, არამედ ჟურნალის საგამომცემლო პოლიტიკის ნაწილია, კერძოდ, გამოხატულებაა იმ მიზნისა, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში შეიქმნას თაობათა თანამშრომლობის ვითარება.

წარმოდგენილი მასალის ქრონოლოგიური ჩარჩოები არის ძალიან ფართო: იგი მოიცავს პერიოდს ძვ.წ. XII საუკუნიდან ახ.წ. XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით. სტატიების რაოდენობა თითქმის თანაბრად ნაწილდება ისტორიული პერიოდების მიხედვით: ნაშრომთა ნახევარი შეეხება წინა მოდერნის ხანას ანუ ძველი და შუა საუკუნეების ისტორიას, დაახლოებით ამდენივე მოდერნულ ეპოქას ანუ ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემატიკას.

ტიპორივად და სახეობრივად მრავალფეროვანია ის წყაროები, რომელთა ანალიზი ხდება ამ სტატიებში: ესაა ნარატიული და დოკუმენტური წყაროები. ნარატიულ წყაროთა შორის არის ჰაგიოგრაფიული და ისტორიოგრაფიული ძეგლები, პრესა, მემუარები, მოგზაურთა ჩანაწერები. ეს მასალა არის როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი. დოკუმენტურ წყაროებს შორის გვაქვს დიპლომატიკური ძეგლები, აგრეთვე, საქმეთწარმოების საარქივო მასალები. ჟურნალში წარმოდგენილ გამოკვლევათა ფოკუსშია სახვითი, ეპიგრაფიკული და სხვ. ტიპის წყაროები.

მრავალგვარია არა მარტო გამოყენებული წყაროები, არამედ დასმული პრობლემებიც. განსხვავებულია მიდგომები, გამოყენებული თეორიები თუ სამეცნიერო დისკურსის ფორმები.

ავტორთა უმრავლესობა ქართველია, რადგან ჟურნალი ქართულენოვანია. თუმც არიან არაქართველი ავტორებიც, ისინი ქართველოლოგიისათვის საინტერესო საკითხებს აშუქებენ და მათთან თანამშრომლობას დიდად აფასებს ჟურნალის რედკოლეგია. სამეცნიერო ცენტრების სია, რომლებშიც ჩვენი ავტორები მოღვაწეობენ, საკმაოდ გრძელია: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს სახელმწიფო არქივი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილინოისის უნივერსიტეტი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემია.

მეორე განყოფილებაა *თვალსაზრისი*. ამჯერად აქ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი წერილი სამეცნიერო ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა რეფერირებადი ჟურნალი.

ცალკე განყოფილება ეთმობა წიგნების მიმოხილვას, ცალკე – სამეცნიერო მოვლენების ქრონიკას. ორივე განყოფილებაში მეტად საინტერესო ინფორმაციის შემცველი წერილებია დაბეჭდილი. თუმც, ცხადია, ეს წერილები ოდნავადაც ვერ ამოწურავს იმ მრავალრიცხოვან ფაქტებს, რომლებსაც ამ ორი წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი თუნდაც ჟურნალის რედკოლეგიის წევრების სამეცნიერო ცხოვრებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელი საქართველოს მასშტაბით ამ სფეროში არსებულ ვითარებაზე. ვინაიდან რედაქცია ესწრაფვის ჟურნალის სწორედ ამ ნაწილის გაზრდას, კოლეგებისადმი ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა მოგვაწოდონ მათ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების თუ მათი მონაწილეობით ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების შესახებ ინფორმაციის შემცველი წერილები. *ქართული წყაროთმცოდნეობა* სიამოვნებით დაუთმობს ამ სახის მასალას თავის გვერდებს, ისევე როგორც მწვანე შუქს მისცემს სამეცნიერო წიგნებზე რეცენზიების მნიშვნელობა არა აქვს, იქნება ეს აღწერილობითი რეცენზია თუ კრიტიკული. იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელი უნდა იყოს სამეცნიერო ეთიკის ფარგლებში, ისევე როგორც, ცხადია, ყველა სხვა ტექსტიც რომელიც წარმოდგენილი იქნება ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

ბოლო განყოფილებაა *ბსოვნა*. ესაა ჩვენი ჟურნალის ემოციურად ყველაზე მეტად დამუხტული მონაკვეთი, თუმც იგი ამავე დროს ძალიან ინფორმაციულიცაა და ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიას წარმოადგენს თავისებური რაკურსით. აქ იბეჭდება წერილები, რომლებიც შეიცავს მოგონებებს სამი კოლეგის შესახებ. წყაროთმცოდნეობის დარგში სრულიად განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნების ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის რევაზ კიკნაძისადმი მიძღვნილი ამგვარი წერილი რამდენიმეა. ყველა მათგანი, გარდა ერთისა, წარმოთქმულ იქნა სიტყვად მეცნიერის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთო ეროვნული მასშტაბის ინტერდისციპლინურ კონფერენციაზე, რომელიც 2013 წელს ჩატარდა და რომლის შესახებ ინფორმაციის მოძიება მკითხველებს შეუძლიათ ამავე ჟურნალის შესაბამის განყოფილებაში. მხოლოდ მარიამ ჩხარტიშვილის მოგონება წარმოადგენს ადრე გამოქვეყნებული წერილის ხელახალ პუბლიკაციას. თავის დროზე აღნიშნული მოგონება რევაზ კიკნაძისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიული ხასიათის კრებულში დაიბეჭდა, მაგრამ რადგან ეს წიგნი ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული, ავტორმა გადაწყვიტა სწორედ ამ ტექსტის გამოქვეყნება. წარმოდგენილი მოგონებები მხოლოდ ნაწილია იმ არაჩვეულებრივად თბილი სიტყვებისა, რომლებიც აღნიშნულ კონფერენციაზე წარმოითქვა ბატონი რეზოს მისამართით. ყველა მათგანის შეკრება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ჟურნალის ამ გამოშვებისათვის, მაგრამ მომავალში, იმედს ვიტოვებთ, რომ მოხერხდება და მაშინ გამოვაქვეყნებთ: ბატონ რევაზ კიკნაძის შესახებ საუბარი *ქართული წყაროთმცოდნეობის* ფურცლებზე, ჟურნალისა, რომლის თავდაპირველი ნომრების გამოშვებაში მეცნიერს დიდი წვლილი მიუძღვის, ცხადია, მუდამ აქტუალური იქნება.

აქვეა წარმოდგენილი მოგონებები პროფესორ ნოდარ შოშიაშვილზე. მას დაბადებიდან 90-ე წელი ამა წლის ზაფხულში შეუსრულდა, ხოლო მისდამი საიუბილეო კონფერენციები დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლოს. ამ კონფერენციებზე, ცხადია, მეცნიერის შემოქმედება ყოველმხრივ გაშუქდება, მაგრამ ჩვენმა რედკოლეგიამ აუცილებლად ჩათვალა გამოხმაურებოდა ამ თარიღს, რადგან ქართული წყაროთმცოდნეობის წინაშე ბატონ ნოდარ შოშიაშვილის დამსახურება, აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია. ქვეყნდება ბატონ ნოდარის სამი მოწაფის მოგონება.

ამავე განყოფილებაში იბეჭდება პროფესორ დოდო ჭუმბურიძის უაღრესად თბილი წერილი ჩვენი კოლეგისა და მეგობრის ცაცა ჩხარტიშვილის შესახებ. ჯერ ერთი წელიც არ გასულა ყველასათვის ძვირფასი ცაცას გარდაცვალებიდან, ამიტომ ძალიან ძნელია მასზე წარსულში საუბარი. წერილში წარმოჩენილია ცაცა ჩხარტიშვილი, როგორც კოლეგა, როგორც ადამიანი, როგორც მეცნიერი.

ყველა წერილს ახლავს ანოტაცია ინგლისურად, რათა ამგვარად გარკვეული ხარისხით მაინც მოხდეს ქართულ ენაზე არსებული სამეცნიერო ჟურნალის ინტერნაციონალიზაცია. ინგლისურად ადამიანთა სახელების და ტოპონიმების გადმოღებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორის შემთხვევაში დაფიქსირდა სხვადასხვა დამოკიდებულება: ზოგი საკუთარ სახელებს ინგლისურში ინარჩუნებს ქართული ფორმით, ზოგიც გვთავაზობს სახელების ინგლისურ ექვივალენტს ან ინგლისური ენის ნორმების შესატყვის მის დაწერილობას. ვინაიდან ქართულ სინამდვილეში ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ერთიანი პოზიციის შემუშავება, დასაბეჭდად წარმოდგენილი მასალის სტილისტური დამუშავების დროს არ შევეხეთ რეზიუმეების ამ მხარეს ანუ ყველა შემთხვევაში დავტოვეთ საკუთარი სახელები ისე, როგორც ეს ჰქონდათ ავტორებს.

გიული ალასანია
მარიამ ჩხარტიშვილი
2014 წლის 14 აგვისტო, თბილისი

Editorial

It is a great pleasure for us to present new volume of scholarly journal *Georgian Source-Studies*. In one volume are bound two issues and, hence the published materials are those which were accumulated during the last two years. The materials are published under the following headings: *Source Criticism and Historical Representations, Standpoint, Book Reviews, Events*, and *Memorials*.

The most voluminous is a first section. There are presented twenty seven research papers. They differ from each other by the research focus: part of them is targeted on source criticism, others on historiography or theory or history representation. The design of these contributions also is not identical. Some of them are providing research, others are publishing original texts of sources or their translations with relevant notes and scholarly commentaries. Despite the heterogeneity we decided to publish all of them under the one and same heading. The point is that the strict division of these materials might be not only difficult, but non-justifiable as well: the papers which are targeted on history representation contain great portion of source criticism and historiographical investigation. In their turn, the papers targeted on publication and translation of the sources are containing many passages devoted to history representation. Thus, though on theoretical level we should have this division in mind, we should not try to accomplish it practically as it would be only formal. We want to underline once again: the papers written about source-studies problems, in all cases contain valuable discourses on purely historical issues. On the other hand, the papers focused on historical representation are rich with research in field of source criticism. The same could be said about the papers in historiography: in them facts are built on historical and source-studies analyses.

The chronological framework of this volume is rather wide. It covers the period from twelfth century BC to twentieth century AD. The sources used are of various types and genres: narrative and documentary sources, items of fine arts and epigraphic monuments; hagiography and historiography, charters, periodicals, archival materials, diaries and memoirs, notes of travelers.

Apart the diversity of the used sources, the volume is distinguished by the richness of approaches as well as study methods or styles of representation.

Majority of the authors are Georgians. However, as it was in previous cases there are articles of some foreign researchers too. These are scholars interested in Georgian Studies. Editorial board greatly appreciate the cooperation with them.

The authors are representatives of many top Georgian universities and research centers, among them are: Institute of Georgian History (at Javakhishvili Tbilisi State University), Institute of History and Ethnology (at Javakhishvili Tbilisi State University); National Centre of Manuscripts; Georgian State Archive; Gori Teaching University; Batumi State University; Georgian National Museum; St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia. Foreign Institutions are presented by the University of Illinois and the Armenian Academy of Sciences.

Alongside the authors with academic degrees and considerable research experience, the works of young researchers (owning Master degrees or being PhD students) are also published in the journal. By giving the opportunity of publishing, the editors want to encourage young people for further activities. The young researchers are presented in the journal's editorial board as well. This fact of course, is not coincidence; it is an editorial policy aimed at creating relevant environment for collaboration of generations.

The second section is presented by the paper about such a sensitive issue of scientific community's life as the issue of peer-reviewing.

In the third and fourth sections respectively are published papers on a several books and some of the scientific forums. All of them are very interesting and informative, however, we regret that were not able to represent with due fullness the picture of academic life. In future we intend to enlarge these sections. It is why we

would like to ask colleagues provide all accessible for them information on scientific conferences and also book reviews. Both critical as well as descriptive reviews are welcomed.

The last section is emotionally very charged part of our journal. At the same time it is full of facts being interesting from point of Georgian Source-Studies' developments. Several papers are devoted to the memory of the scholars with outstanding contribution in this field Revaz Kiknadze and Nodar Shoshiashvili. Colleagues, friends, disciples are recalling .

The final paper of the volume is a memorial of Tsatsa Chkhartishvili - Doctor in History, research fellow at the Institute of History and Ethnology. In the paper is given analysis of the scientific contributions of the late scholar. An year does not even passed since Tsatsa's untimely death. With great pain in heart we are recalling attractive features of her personality: the kindness, devotion, honesty.

Giuli Alasania
Mariam Chkhartishvili
August 14, 2014, Tbilisi

წყაროთა კრიტიკა და ისტორიული რეპრეზენტაცია
Source Criticism and Historical Representation

მიქელ პანარეტოსის ცნობათა მნიშვნელობა ქართველ მეფეთა ქრონოლოგიური რიგის დადგენის თვალსაზრისით

იოსებ ალიმბარაშვილი

მეფეთა რიგითობის საკითხი ხშირად საკამათოა. საქართველოს ისტორიაში მძიმე პერიოდები იშვიათობას არ წარმოადგენს. ამ დროს ქვეყნის დარბევას მეფე-მთავართა მიერ გაცემული სიგელ-გუჯრებისა და ოფიციალური წყარო-დოკუმენტების განადგურებაც თან სდევდა.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა XIV საუკუნის მეორე ნახევარში. იმის გამო, რომ აღნიშნული პერიოდის ამსახველი თანადროული ქართული ნარატიული წყაროები ფაქტობრივად აღარ შემორჩა, „...ამბავნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან გადმოვიღეთ და აღვწერეთო“, ამბობს ბერი ეგნატაშვილი (ყაუხჩიშვილი 1958: 326).

რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ საქართველოს ისტორიის ხსენებული პერიოდის შესწავლას დაღი დაასვა. ჯერ ერთი, უცხოელ ავტორთა სანდოობის ხარისხი ზოგჯერ დაბალია იმის გამო, რომ ისინი სხვის ნაამბობს და არა საკუთარი თვალით ნანახს გადმოგვცემენ. მათთვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგენდა ქართული ენის უცოდინარობაც, რის გამო მახინჯდებოდა პირთა სახელები, ტოპონიმები, თარიღები და სხვ.

მიქელ პანარეტოსის *ტრაპიზონის ქრონიკა* ამ მხრივ გამონაკლისია. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უცხოური მატიანეა. ჯერ ერთი, *ქრონიკის* ავტორი მის მიერ აღწერილი მოვლენების (თხზულების ბოლო ნაწილის მაინც) თანამედროვეა, რაც მის ნაშრომში არაერთგზისაა კიდეც დაფიქსირებული (გამყრელიძე 1960: 31, 33, 38) და მეორეც, იგი რამდენჯერმეა ნამყოფი საქართველოში (გამყრელიძე 1960: 41, 42) და საკუთარი თვალით ნანახ-განცდილს გადმოგვცემს, რაც მის ნათქვამს დამაჯერებლობას მატებს.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულებით, გიორგი ბრწყინვალეს ვაჟი – დავით IX, 1360 წელს გარდაიცვალა გეგუთში და გელათში დაკრძალეს (ჯავახიშვილი 1979: 180; ჟორდანია 1897: 27). ტახტზე ავიდა ბაგრატ V, რომელიც მისმა ვაჟმა – გიორგი VII-მ შეცვალა 1393 წელს.

ქართველ მეფეთა აღნიშნული ქრონოლოგია ძირითადად ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებას ეყრდნობა, რომელიც დავით IX-ის გარდაცვალების თარიღის გადმოცემისას, თავის მხრივ, აღიარებს, რომ ამ ფაქტს, მხოლოდ ერთი, ბარათიანთა გუჯარი „ჰმოწმობდაო“ (ყაუხჩიშვილი 1973: 326).

თუმცა, ჩვენს ხელთაა XIV საუკუნის II ნახევრის რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს. ყველგან საბუთის გამცემია დავით „მეფეთა-მეფე“.

ერთი მათგანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, იგი გაცემულია 1365 წლის 31 დეკემბერს და დავით მეფეთა-მეფე ეზოს ჩუხჩარეხ პაპიას, ერთგულების სანაცვლოდ, გორში ქისაყელის მამულს სრულად უბოძებს: „... გქონდეს ერთგულებად სამსახურსა შინა მეფობისა მოუშორებელს ლაშქარს შინა და გარე ყველგანო“ (ფონდი HD: №2199).

აღნიშნული შინაარსის სიგელი გამოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძესაც (კაკაბაძე 1913: 28), მაგრამ, ჩვენ მიერ ნანახი და კაკაბაძისეული, ერთი სიგელის სხვადასხვა პირები უნდა იყოს, რადგან კაკაბაძე საბუთის ბოლოს მიუთითებს: „ხვეულად ამტკიცებს მეფე“. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ პირს კი ხელრთვა არ ახლავს.

ბატონი სარგისი სიგელის გამცემად დავით IX-ს მიიჩნევს, ხოლო მისი მემკვიდრის – ბაგრატის გამეფების თარიღად 1369 წელს გვთავაზობს. მისივე აზრით, ამავე ანუ 1369 წელს უნდა გარდაცვლილიყო დავით მეფე (კაკაბაძე 1913: 28).

სხვათა შორის, სარგის კაკაბაძე ერთადერთი არ არის, ვინც დავით IX-ის 1360 წელს გარდაცვალებას არ ეთანხმება. *ახალი ქართლის ცხოვრების* მეორე ტექსტის მიხედვით, დავითის გარდაცვალება და ბაგრატის გამეფება ხდება 1373 წელს (ყაუხჩიშვილი 1958: 446).

განსაკუთრებით საინტერესოა დავით მეფეთა-მეფის მიერ გაცემული მეორე თარიღიანი სიგელი იმ თვალსაზრისით, რომ ამ წყაროდან ვიტყობთ ამ მეფის წარმომავლობას, გამეფების თარიღს, შთამომავლობას და სხვ. სიგელი ინახება გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე, მხედრული ხელით. საბუთით დავით მეფეთა–მეფე „იესიან

დავითიან სოლომონიან პანკრატოვან აფხაზთა, რანთა, კახთა, შაა (შაჰანშა – ი. ა.) და შირვან და საქართველოს მპყრობელია". ჰყავს ძეები: გიორგი და ალექსანდრე; თამარ დედოფალი მისი „ბებიის ბებიაა" და ა. შ.

სიგელი შედგენილია „მას ჟამსა ოდეს სარკინოზთა და ისმაიტელთა ბრძოლა შეექმნა საბერძნეთს და აღიხუნეს ქალაქნი და აგარაკნი მათნი. ქ˜კს სამოცდაათსა, დასაბამითგან წელთა შვიდიათას ორას და ათსა". ამ დროისათვის დავითის მეფობის „კჳ" ინდიქტიონი ყოფილა. დამწერია სამეფო კარის წინამძღვარი – იოსებ უჯარმელი (გსიემ, № 7601/30).

დოკუმენტს ქართულ სინამდვილეში გავრცელებული დათარიღების სამივე ფორმა ანუ „ქორონიკონი", „დასაბამიდან" და „ინდიქტიონი" უზის თუმცა, მათი მონაცემებით საბუთის გაცემის განსხვავებულ წლებს ვიღებთ.

ქორონიკონის მიხედვით, სიგელი გაცემულია 1382 წლის 30 ივნისს (1312+70=1382). დავით მეფეთა-მეფე გამეფებულა 1354 წელს, რადგან 1382 წლისათვის მისი მეფობის 28 (კჳ) ინდიქტიონი ყოფილა (1382-28=1354 წ.). სიგელის გაცემის დროისათვის სარკინოზებს და ისმაიტელებს აუოხრებიათ საბერძნეთის „ქალაქნი და აგარაკნი".

განსხვავებულ წლებს ვიღებთ სიგელზე დასმული „დასაბამის" მიხედვით. საქართველოში „დასაბამის" ორი ფორმა – ქართული და ბერძნული იხმარებოდა. ქართული „დასაბამის" მიხედვით, სამყაროს შექმნის თარიღად მიჩნეული იყო 5604 წელი, ხოლო ბერძნულით – 5508.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული „დასაბამით" სიგელი გაცემულია 1606 წელს (7210-5604=1606 წ.), ხოლო ბერძნულით – 1702 წელს (7210-5508=1702).

უფრო სარწმუნოდ, სიგელზე დასმული „ქორონიკონი" მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

1) 1382 წელს საქართველო ჯერ კიდევ ერთიანი სახელმწიფოა და საბუთში მოხსენიებული დავით მეფის „მეფეთა-მეფის" ტიტულით მოხსენიება არ უნდა გაგვიკვირდეს. 1606 და 1702 წლებისათვის კი ქვეყანა უკვე დიდი ხნის დაშლილია ცალკეულ ნაწილებად და საბუთში მეფის ამ ფორმით მოხსენიება ნაკლებად შესაძლებლად გვეჩვენება.

2) თუ XIV საუკუნის ბოლოს საქართველოში ბაგრატიონთა საგვარეულოში რამდენიმე დავითი ჩანს, განსხვავებული ვითარება გვაქვს XVI-XVII ს-ის დასაწყისისათვის:

1606 წელს ქართლის მეფეა გიორგი X, რომლის ვაჟი ლუარსაბ II (1606-1614) უმეოდ გადაეგო. კიდევ უფრო რთული სიტუაციაა 1702 წლისათვის („ორიანობა"), როდესაც, ქართლის მეფე გიორგი XI და კახეთის – ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანი ირანში არკვევენ ურთიერთობას. ამ მხრივაც, სიგელზე დასმული „ქორონიკონი" უფრო სანდოა.

3) 1606 და მით უფრო 1702 წლისათვის „ისმაილიტიანებს" (ოსმალებს) საბერძნეთი უკვე დიდი ხანია დაპყრობილი აქვთ და საბუთში მისი ამ ფორმით მოხსენიება ანაქრონიზმია, ხოლო 1382 წელს ოსმალებმა მართლაც აიღეს ბულგარეთის დედაქალაქი სოფია და მისი მიდამოები მოარბიეს. გამორიცხული არ არის, საბუთის დამწერი ამ ფაქტს გულისხმობდეს, მით უფრო, რომ ბულგარეთი და მისი დედაქალაქი სოფია იმ დროისათვის ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ტრადიციის მიხედვით, საქართველოში ბიზანტიელებს ბერძნებს უწოდებდნენ;

4) საბუთში მოხსენიებული სამეფო კარის თანამდებობა ეზოს „ჩუქჩარი", აშკარად ძველია და XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში აღარ იხსენიება.

პალეოგრაფიული ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, საქმე გვქონდეს სიგელის მოგვიანებით გადაწერილ ასლთან და არა მის დედანთან. შესაძლოა, „ქორონიკონით" დათარიღებასა – „დასაბამითგანით" დათარიღებებს შორის განსხვავება, სწორედ გადამწერის შეცდომის შედეგი უნდა იყოს.

აღნიშნული სიგელი 1914 წელს გამოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძესაც. საბუთი მეცნიერს უნახავს თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა არქივში, მაგრამ არც ის ყოფილა დედანი. კაკაბაძე შენიშნავს, რომ საბუთის პირი გადაწერილი ყოფილა XIX ს-ის დასწყისში, თარჯიმან – ხმიადოვის მიერ (კაკაბაძე 1914: 140).

როგორც ირკვევა, თავის დროზე სიგელის რამდენიმე პირი გადაწერეს რადგან, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული და კაკაბაძისეული პირები ერთმანეთისგან განსხვავდება, არა შინაარსით, არამედ ტექსტის სტრუქტურით. კაკაბაძის გამოქვეყნებული სიგელი იწყება ძველი ქართული საბუთებისათვის დამახასიათებელი ღვთის სადიდებელი საკმაოდ დიდი შესავლით, ხოლო გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული სიგელი იმგვარად, როგორც ზემოთაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, არა მარტო დედანი, არამედ სარგის კაკაბაძის მიერ ნანახი პირიც დღეისათვის აღარ არსებობს. ყოველ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ისტორიულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ

ცენტრში იგი არ არის და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ეგზემპლარი ერთადერთია.

მაშ, ვინ არის საბუთის გამცემი დავით მეფეთა-მეფე? როგორც ვხედავთ, იგი ერთიანი საქართველოს გვირგვინოსნად წარმოგვიდგება. ვიგებთ იმასაც, რომ იგი თამარის მეოთხე თაობას წარმოადგენს. თამარი, მართლაც, იყო ბებიის-ბებია დავით VIII-ის (დემეტრე თავდადებულის უფროსი ვაჟის), მაგრამ იგი გაცილებით ადრე (1293-1311 წ.წ.) მეფობდა. 1354 წელსაც საქართველოს მეფე დავითია (დავით IX - გიორგი ბრწყინვალის ვაჟი), მაგრამ გავრცელებული მოსაზრებით, იგი 1360 წელს გარდაიცვალა და 1382 წელს წყალობის სიგელს ვერ გასცემდა. ბაგრატ V-ის უფროსი ვაჟიც დავითია, მაგრამ მეფედ არასოდეს ყოფილა.

ამავე დროის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარულ აღაპებში დავით მეფე (ან მეფეთა-მეფე) თარიღის გარეშე (მხოლოდ თვე და რიცხვია მოცემული) რამდენჯერმეა მოხსენიებული (მეტრეველი 1962, №7, ტაბულა XXVII: 80; №195, ტაბულა XXVII: 97; №196, ტაბულა XXVIII: 97; №286, ტაბულა XXVII: 105; №295, ტაბულა XXXII: 106). გამორიცხული არ არის, რომელიმე მათგანი დავით მეფეთა-მეფისადმი იყოს განკუთვნილი.

საკითხის გარკვევაში გვეხმარება ბერძენი მემატიანე – მიქელ პანარეტოსი. იგი თვითონ დასწრებია 1376 წელს იმპერატორ ალექსი III-ის ვაჟის ანდრონიკეს დაკრძალვას, რომელსაც ასევე ესწრება თბილისის მეფის - დავითის ქალიშვილი, რომელიც ანდრონიკეზე იყო დანიშნული და მისი სიკვდილის შემდეგ „მეფის უმცროს, ღვიძლ და კანონიერ ძესა და ჭაბუკ მეფეზე, ბატონ მანუილზე“ გაათხოვეს (გამყრელიძე 1960: 41).

გულქან-ხათუნი (იგივე ევდოკია), რომელიც გიორგი ბრწყინვალეს მემკვიდრეს – დავით IX-ს სამცხის ათაბაგ აღბუღას დისაგან ჰყავდა, მართლაც, იყო ალექსი III ვაჟის ანდრონიკეს (†1370) მეუღლე. ანდრონიკეს გარდაცვალების შემდეგ, გულქან-ხათუნი გაათხოვეს ალექსი III-ის უმცროს ვაჟზე – მანუელზე.

თუ ზემოთ საუბარი დავით მეცხრეზეა, ეჭვები მის ტიტულთან („თბილისის მეფე“) დაკავშირებით ჩნდება, რადგან პანარეტოსი დავითის შვილს – ბაგრატ V-ს, რომელსაც უშუალოდ იცნობდა, „იბერთა და აფხაზთა მეფედ“ მოიხსენიებს (გამყრელიძე 1960: 38). და, მეორეც, როგორც ითქვა, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, დავით IX 1360 წელს გარდაიცვალა. ნაკლებად სავარაუდოა, მიქელ პანარეტოსს, იმ ქორწილის თარიღი 16 წლით არეოდა, რომელსაც თვითონაც დაესწრო.

გარდა ამისა, თუ დავით IX-ის გარდაცვალების თარიღად ზემონათქვამ 1360 წელს მხარს დავუჭერთ, 1377 წელს, გულქან-ხათუნისა და მანუელის ქორწილისას, საპატარძლო მინიმუმ 17-18 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. პანარეტოსის ცნობით, მანუელი[1] დაიბადა „16 დეკემბერს, ორშაბათს ცისკრისას, მესამე ინდიქტიონს, 6873 წელს (=1365 წელს)“ (ყაუხჩიშვილი 1967: 200), ასეთ შემთხვევაში საპატარძლო, 12 წლის სასიძოზე, მინიმუმ ოთხი-ხუთი წლით დიდი გამოდის, რაც ნაკლებად წარმოსადგენია.

მართლაც ხომ არ ზის ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისსა და გორში) დავით მეფეთა-მეფე? ცნობილია, რომ ბაგრატ V-ის[2] მეფობის პირველ წლებში დასავლეთ საქართველოში მძლავრი აჯანყება დაიწყო მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ სვანთა ერისთავ ვარდანისძის მეთაურობით. აჯანყებულებმა ქუთაისი გაძარცვეს და დაწვეს. ბაგრატი იძულებული ხდება იმერეთში გადავიდეს (ასათიანი, ჯამბურია 2008: 88). გამორიცხული არ არის, შექმნილ მძიმე ვითარებაში აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილს, თუნდაც დროებით (XIV ს. 70-იანი – 80-იანი წლების I ნახევარი), მართლაც, დავით „მეფეთა-მეფე“ დაუფლებოდა.

მეორეც, იმის მიუხედავად, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატ V-ის გარდაცვალების თარიღად 1393 წელია გაზიარებული, ფაქტია, რომ თემურ ლენგის თბილისზე ლაშქრობისა (1386 წ.) და ბაგრატის დატყვევების შემდეგ, შვიდწლიან მონაკვეთში (1386-1393 წწ) საქართველოს ამ მეფეზე არანაირი ცნობა არა გვაქვს.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს გიორგი მეფეთა-მეფის (გიორგი VII – 1393-1407., ბაგრატ V-ის ძე) მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის 1393 წლის 5 ივლისს გაცემული თავნაკლული გუჯარი, რომლის მიხედვით, იგი „ლიხთ იმერისა და ლიხთამერის, ორისავ სამეფოს“ გამაერთიანებლად გამოდის (ჟორდანია 1897: 200-201).

კიდევ ერთი ფაქტი, რაც ზემოთ მოყვანილ თარიღიან სიგელებს აერთიანებს ისაა, რომ ორივე მათგანში მეფე გორში არსებულ ტერიტორიებს უწყალობებს, პირველ შემთხვევაში კონკრეტული თანამდებობის პირს (ჩუქჩარს), ხოლო მეორედ – ოქონის მონასტერს.

როგორც ვხედავთ, XIV ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული XV ს-ის დასაწყისის ჩათვლით, აღმოსავლეთ საქართველოში ბაგრატიონთა ტახტის ირგვლივ საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი.

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ყოველივე ზემოთქმულიდან?

დასაშვებია რამდენიმე ვარიანტი:

1) თუ 1365 და 1382 წლების სიგელების გამცემი ერთიდაიგივე დავით მეფეთა-მეფეა (ეს ადვილი შესაძლებელია, რადგან 1382 წლის სიგელის გამცემი დავითი ჯერ კიდევ 1354 წლიდან ჩანს მეფედ), მნიშვნელოვან ქალაქებს – გორსა და თბილისსაც ფლობს, დიდ თანამდებობას – „ჩუხჩარეხობას" გასცემს, რიგითობის მიხედვით, დავით X არა ქართლის მეფე დავითია (1505-1525 წწ), არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დავითი, რომლის მეფობა მინიმუმ 1354-1382 წლებით მაინც უნდა განვსაზღვროთ.

2) სავარაუდოდ, XIV ს-ის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილს (გორსა და თბილისს) დროებით დავითი დაეუფლა, ხოლო ბაგრატ V დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს აკონტროლებდა;

3) დავით მეფეთა-მეფის 1382 წლის გორის ოქონის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელი რამდენჯერმე უნდა იყოს გადაწერილი სხვადასხვა საუკუნეებში. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნეში ხმიადოვის მიერ გადაწერილ და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ სხვადასხვა პირებში ზუსტად ერთიდაიგივე სახის ქრონოლოგიური შეცდომაა დაშვებული. ქორონიკონსა და „დასაბამის" თარიღში არსებული ცდომილება სავარაუდოდ, სიგელის უფრო ადრეულ საუკუნეებში გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომა უნდა იყოს.

4) დაბოლოს, დავით IX გარდაიცვალა არა 1360 წელს, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, არამედ 1365 წელს ან მის შემდგომ.

შენიშვნები

[1] საუბარია მანუილ III კომნენოსზე (1390-1412 წწ). ხსენებული ქორწინებიდან 1382 წელს დაიბადა ბიზანტიის მომავალი იმპერატორი ბასილი-ალექსი IV.

[2] მიქელ პანარეტოსის რუსულ გამოცემაში ნათქვამია, რომ ბაგრატ V, პირველი მეუღლის - ელენეს გარდაცვალების (+1366 წ.) შემდეგ, დაქორწინდა მანუილ III-ის ქალიშვილ ანაზე (იხ: Трапезундская хроника Михаила Панарета, с переводом предисловием и комментариями издал А. Хаханов, Москва 1905, примеч. 64), რაც ანაქრონიზმია. როგორც ითქვა, მანუილ III 1365 წლის 16 დეკემბერს დაიბადა და იგი ბაგრატ V-ის მეორე ქორწინებისას მხოლოდ თვეების ბავშვი იქნებოდა. სინამდვილეში ანა არის მანუილ III-ის და (ალექსის ასული) და არა მისი ქალიშვილი.

დამოწმებანი

ასათიანი, ჯამბურია 2008: საქართველოს ისტორია, (XIII-XVIII საუკუნეები). ნ. ასათიანისა და გ. ჯამბურიას რედ. ტ. II, თბილისი.

გამყრელიძე 1960: მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ა. გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33, თბილისი.

გსიემ: გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ); საბ. №7601/30.

კაკაბაძე 1913: ს. კაკაბაძე. გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფილისი.

კაკაბაძე 1914: ს. კაკაბაძე. დავით უცნობი XIV ს. მეფე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიიდან. წიგნი I, თბილისი.

მეტრეველი 1962: ე. მეტრეველი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII ს.ს.), თბლისი.

ჟორდანია 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II, ტფილისი.

ფონდი HD: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. №2199

ყაუხჩიშვილი 1958: *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1967: მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. *გეორგიკა* (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ). ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. VII, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბილისი.

ხახანოვი 1905: Трапезундская хроника Михаила Панарета, с переводом предисловием и комментариями издал А. Хаханов, Москва, сетевая версия.

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. III, თბილისი.

The Importance of the Evidences by Michael Panaretos for Establishing the Chronological Order of Georgian Kings

Ioseb Alimbarashvili

The issue of establishment of the chronological order of Georgian Kings is often controversial especially for fourteenth century, because there are almost no narrative sources of that period remained.

The Trabzon Chronicle by the outstanding Greek historian Michael Panaretos helps to solve some problems. Michael Panaretos was contemporary with the occurrences he described (anyway in the last part of the writing). Moreover, he had been to Georgia several times and wrote what he saw that makes his narration very convincing.

According to the wide accepted consideration in Georgian historiography, the son of the King George V - David IX, died in 1360 and the King Bagrat V was enthroned then; after him his son George VII ascened the thrown in 1393. While establishing these dates, the scholars share Vakhushti Batonishvili opinion, who in his turn relied on one document while providing the date of the death of the King David IX.

To elucidate the question in more details, the author of the article refers to the evidences provided by Michael Panaretos. In 1376 the Greek historian himself attended the funeral of Andronicus – the son of Emperor Alexios III, which was as well attended by the daughter of the King David IX Gulkan Khatuni (the same Evdokia). She had been engaged to Andronicus , however, after his death, in 1377 she was married to Manuel – the younger brother of Andronicus.

It is less supposed that Michael Panaretos made a mistake about the date of the wedding where he presented as a guest. Besides, in 1377 the bride should be at least seventeen-eighteen years old. However, in that case she appears to be four or five years older than the bridegroom, which is almost impossible.

The importance of the evidence preserved by Panaretos becomes more considerable and persuasive in the light of data, that the author of the article has obtained in a document kept in the archive of Gori Historical-Ethnographic Museum. According to this document the King of Georgia in 1382 was not Bagrat V, as it was generally accepted, but "the King of Kings" David.

ანთროპოლოგიური საველე ექსპედიციის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის რამდენიმე ასპექტი

მიხეილ ბარნოვი

ამა თუ იმ ეთნოსის ანთროპოლოგიურ ჭრილში შესწავლისას საველე ექსპედიციის შედეგად მოძიებული მასალები საკვანძო მნიშვნელობისაა. ზოგადად, ანთროპოლგიური მიმართულებით კვლევისას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს შესასწავლი ეთნოსის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას საკუთარი ისტორიისა თუ კულტურის შესახებ. ამ შემთხვევაში მეცნიერისათვის მნიშვნელოვანია თავად შესასწავლი ობიექტის საკუთარი პერსპექტივით დანახული წარსული. სწორედ საველე ანთროპლოგიური ექსპედიცია იძლევა იმის საშუალებას, რომ მოძიებულ იქნეს ამ ტიპის მასალა. შესაბამისად, ეთნოსის წევრებისგან ინტერვიუების სახით მიღებული ინფორმაცია პირველწყაროა ანთროპოლოგიური გამოკვლევისთვის. კვლევის შემდგომ ეტაპზე კი, რასაკვირველია, შესაძლებელია პირველწყაროში არსებული ინფორმაციის შედარება სხვა ტიპის წყაროებთან, სადაც ასევე დაცულია ცნობები ამ ეთნოსის წარსულის, ისტორიისა თუ კულტურის შესახებ. საველე ანთროპოლოგიური ექსპედიციის შედეგად მოძიებული მასალების სხვა ტიპის წყაროებთან შედარებით ჭრილში შესწავლა, საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, როგორც ითქვა, ანთროპოლოგისათვის უპირატესი მნიშვნელობისაა, პირველ რიგში, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით დააფიქსიროს ეთნოსის წევრთა დამოკიდებულება საკუთარი წარსულისა თუ კულტურისადმი. შემდგომ ეტაპზე კი შესაბამისი თეორიული მეთოდოლოგიის გამოყენებით ანთროპოლოგი ცდილობს გაარკვიოს საკუთარი კულტურისა და წარსულისადმი ეთნოსის წევრთა შორის არსებული მიმართებების საფუძველი, მათი განმაპირობებელი მიზეზები, ფაქტორები.

საველე ექსპედიციის დაგეგმვა და მისი წარმართვა სხვადასხვა გზებითაა შესაძლებელი. წინამდებარე სტატიაში კონკრეტული მაგალითის განხილვის საფუძველზე მსურს წარმოვაჩინო საველე ანთროპოლოგური ექსპედიციის წყართმცოდნეობითი მნიშვნელობის მხოლოდ რამდენიმე ასპექტი.

XX საუკუნის განმავლობაში აშშ-ში შეინიშნებოდა ანთროპოლოგების ძალიან სერიოზული ყურადღება რეზერვაციაში მცხოვრები სხვადასხვა ტომების[1] კულტურისა და ისტორიისადმი. განსაკუთრებით დიდი იყო დაინტერესება აშშ-ის დიდი დაბლობების ინდიელთა ტომების კულტურითა და ისტორიით. აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე აშშ-ს დიდი დაბლობების ინდიელთა სხვა ტომებთან შედარებით კომანჩები ამერიკელი ანთროპოლოგების ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდნენ. პირველი პუბლიკაციები კომანჩების ტომის რეზერვაციამდელი კულტურის შესახებ ეკუთვნის ამერიკელ მეცნიერს, ჯეიმს მუნის. 1907 წელს ამერიკული ეთნოლოგიის ბიუროს გამოცემის *Handbook of American Indians* პირველ ნაწილში მან გამოაქვეყნა სტატია კომანჩების შესახებ. 1910 წელს მუნიმ გამოსცა კაპიტალური ნაშრომი *Peyote* (*პეიოტი*). გამოკვლევა ეძღვნება ინდიელთა სულების ცეკვისა[2] და პეიოტის[3] გამოყენების ტრადიციას. მართალია, ნაშრომში მუნი ძირითადად კაიოვას[4] ტომზე ფოკუსირდება, მაგრამ ასევე გაკვრით მოხსენიებული ჰყავს კომანჩებიც (ფოსტერი 1991: 13).

კომანჩების რეზერვაციამდელი ყოფის ანთროპოლოგიური კვლევის ფუძემდებლად მუნისთან ერთად შეგვიძლია მივიჩნიოთ რობერტ ჰენრი ლოუი.[5] 1912 წელს მან ინტერვიუების ასაღებად კომანჩებთან რამდენიმე კვირა გაატარა. ეს იყო კომანჩების ტომში ჩატარებული პირველი ანთოპლოგიური საველე ექსპედიცია. ლოუის ინტერესის ძირითადი ობიექტი იყო ტომის საცეკვაო ტრადიციები. 1915 წელს მან კრებულის *Anthropological Papers of the American Museum of Natural History* მეორე ტომში გამოაქვეყნა სტატია – *Dances and Societies of the Plains Shoshone (დაბლობის შოშონების საზოგადოებები და ცეკვები)*. პუბლიკაციის ძირითადი ნაწილი უინდ რივერის შოშონებისა და იუტების ტომებზეა ფოკუსირებული. კომანჩების საცეკვაო ტრადიციებზე შედარებით ნაკლები ინფორმაციაა მოცემული. ნაშრომში ლოუი გაკვრით ეხება ტომის საბრძოლო-სამონადირეო ტრადიციებს და ამ საკითხებს, მხოლოდ რამდენიმე გვერდს (იხ. გვ. 809-813)[6] უთმობს. აშშ-ში კომანჩების რეზერვაციამდელი კულტურის ანთროპოლოგიური შესწავლის ახალი ეტაპის დაწყება უკავშირდება 1933 წლის საველე ექსპედიციას. 1933 წელს ვისკონსინის უნივერსიტეტის გამოცდილმა ანთროპოლოგმა რალფ ლინტონმა კომანჩების ტომის რეზერვაციამდელი თვითმყოფადი კულტურის შესწავლის მიზნით საველე ექსპედიცია მოაწყო.

იგეგმებოდა ინტერვიუების ჩაწერა ტომის უხუცესებისგან. ექსპედიციის შედეგად მოძიებული მასალების წყაროთმცოდნეობითი ღირებულება ძალიან დიდია. ექსპედიციის შედეგად სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილ იქნა კომანჩების ნომადური პერიოდის უმდიდრესი და უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა. 1933 წლის ექსპედიცია ცნობილია, როგორც *Field Training Course in Anthropological Field Methods* (ტრეინინგ კურსი საველე ანთროპოლოგიურ მეთოდებში), ასევე როგორც „Field Party" sponsored by the Santa Fe Laboratory of Anthropology (სანტა ფეს ანთროპოლოგიის ლაბორატორიის მიერ დაფინანსებული საველე ექსპედიცია) (კავანაი 2008: XIII-XIV) .[7]

ექსპედიციის შედეგად მოძიებული ინფორმაცია, კომანჩების რეზერვაციამდელი წარსულის ანთროპოლოგიური კვლევისთვის საუკეთესო და ფასდაუდებელ პირველწყაროს წარმოადგენს. 1867 წელს კომანჩების ეთნოგრაფიული ჯგუფების დიდი ნაწილი დათანხმდა აშშ-ის მთავრობის შემოთავაზებას და რეზერვაციაში დასახლდა, რითაც დასრულდა კიდეც მათი ტრადიციული ნომადური ყოფა-ცხოვრების პერიოდი. თუმცა ჩრდილო-დასავლეთ ტეხასის დაბლობებზე ჯერ კიდევ რჩებოდა მომთაბარე კომანჩების გარკვეული ნაწილი, რომელიც რეზერვაციაში მხოლოდ 1875 წელს დასახლდა (ფოსტერი 1991: 13-14).

რეზერვაციაში დასახლებული კომანჩები ტომის ისტორიის გარდამტეხ პერიოდში აღმოჩნდნენ. ტომის წევრები, ერთის მხრივ, დაიბადნენ, გაიზარდნენ და შეგნებული ცხოვრების გარკვეული ნაწილი გაატარეს ტრადიციულ ნომადურ საზოგადოებაში, ხოლო 1867-1875 წწ-დან კი მათ უკვე მოუწიათ სრულიად ახალ, რეზერვაციულ რეალობაში განეგრძოთ ცხოვრება. დაიწყო ტომის სედენტარიზაციის პროცესი, რაც ზოგადად გულისხმობდა ტრადიციული ნომადური კულტურის ეტაპობრივ და ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას. სედენტარიზაციის პროცესის დაწყების შედეგად კომანჩების საზოგადოებაში სრულიად ახალი ტიპის ტრადიციები და საყოფაცხოვრებო რეალიები ჟალიბდებოდა. ასეთ ვითარებაში კომანჩები უკვე აღარ იყვნენ ტრადიციული ნომადური კულტურის მატარებლები, რადგან რეზერვაციულ სინამდვილეში ისინი ვეღარ ახდენდნენ ნომადური პერიოდის ყოფა-ცხოვრების ძირითადი ქცევის ნორმებისა და ტრადიციული სოციალიზაციის პროცესის რეალიზებას. ამდენად, ცოდნამ და პირადმა თუ კოლექტიურმა გამოცდილებამ ტრადიციული ნომადური ყოფა-ცხოვრების შესახებ გადაინაცვლა მათ მეხსიერებაში. აქედან გამომდინარე, ეს თაობა, რომელიც, ერთის მხრივ, მეტ-ნაკლებად სრულყოფილად მოესწრო თვითმყოფად პერიოდს და, მეორე მხრივ, 1867-1875 წლებიდან ნომადურ ყოფა-ცხოვრებაზე უარის თქმა მოუწია, იყო ერთადერთი უტყუარი ცოცხალი წყარო ტომის რეზერვაციამდელი პერიოდის ტრადიციული კულტურის რეპრეზენტაციისათვის. მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი პრაქტიკაში ვეღარ ახორციელებდნენ ნომადური პერიოდის ქცევის ნორმებს, მაგრამ მახსოვრობის დონეზე მხოლოდ ისინი ფლობდნენ ამ უნიკალურ ინფორმაციას. სწორედ ტომის ამ გარდამავალი პერიოდის მომსწრე თითოეული წევრი იყო რეზერვაციამდელი ყოფა-ცხოვრების ანთროპოლოგიური შესწავლისთვის აუცილებელი ცოცხალი პირველწყარო. მაგრამ, სამწუხაროდ, კომანჩების შემთხვევაში, ანთროპოლოგებმა დაიგვიანეს. როგორც უკვე აღვნიშნე, სერიოზული კომპლექსური ექსპედიცია ტომში ჩატარდა მხოლოდ 1933 წელს, რაც ნამდვილად ძალიან დაგვიანებული იყო და სწორედ აქ იკვეთება ანთროპოლოგიური ექსპედიციის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის რამდენიმე ასპექტი.

1933 წლისთვის გარდაცვლილი იყო ტომის იმ წევრთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც მოესწრნენ ნომადურ პერიოდს და მიაღწიეს სრულწლოვანებას რეზერვაციამდელ ყოფაში, ანუ ტომის მომთაბარეობის პერიოდში. კომანჩების ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იყო, რადგან, სრულწლოვანების მიღწევა ტრადიციულ ნომადურ პირობებში გულისხმობდა ტრადიციული სოციალიზაციის პროცესის გავლას. ანუ ამ პიროვნებებს ჰქონდათ სრულფასოვანი წარმოდგენა ნომადური პერიოდის კულტურის შესახებ, მათ კარგად იცოდნენ ტრადიციული ნომადური კულტურის ორიენტირები და ფოკუსი, რაც შემდგომ შეიცვალა კიდეც სედენტარიზაციის პერიოდში. თუ ჩვენ გვაინტერესებს, როგორ შეიცვალა კომანჩების კულტურული ორიენტირები და კულტურის ფოკუსი, ჯერ უნდა გავარკვიოთ როგორ იყო ეს ყოველივე ნომადურ პერიოდში. ინფორმაციას კი, ამ ყოველივეზე შესახებ ფლობდა კომანჩების ის თაობა, რომელმაც ცხოვრების ნაწილი გაატარა მომთაბარეობაში, და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, ასეთ პირობებში მიაღწია სრულწლოვანებას და შემდგომ დასახლდა რეზერვაციაში. რასაკვირველია, რაც უფრო მეტ ხანს მოესწრო კომანჩი ნომადურ პერიოდს რეზერვაციაში დასახლებამდე, მით უფრო ფასეულია მისგან ინტერვიუს აღება საველე ექსპედიციისას. ამგვარად, საველე ანთროპოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი ასპექტი მისი ჩატარების ქრონოლოგიურ მხარეს უკავშირდება. კერძოდ, კი, როდესაც ეთნოსი განიცდის მყისიერ, გნებავთ, დროში განგრძობად ტრანსფორმაციას, აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს, იმას, თუ რამდენად დროულად ჩატარდება ექსპედიცია. ანთროპოლოგები უნდა შეეცადონ, რომ მაქსიმალურად ადრე ეწვიონ განვითარების ასეთ სტადიაზე მყოფ

ეთნოსს, ვიდრე მრავლად არიან ის ადამიანები, რომელთაც ხანგრძლივად მოუწიათ ტრადიცული კულტურის მატარებლობა. როგორც უკვე ვთქვი, კომანჩების შემთხვევაში სანტა ფეს ექსპედიცია დაგვიანებული აღმოჩნდა. ამის შესახებ ხაზგასმით საუბრობს, თავად ამ ექსპედიციის ხელმძღვანელიც, ანთროპოლოგი რალფ ლინტონიც: „ჩვენ კვლევისთვის შევარჩიეთ კომანჩები, რადგან წინარე პერიოდში ამ ტომის წევრებთან ძალიან მცირე რაოდენობის ანთროპოლოგიური სამუშაო იქნა ჩატარებული, მაშინ როდესაც ტომში ჯერ კიდევ არიან ისეთი წევრები, რომლებიც აღიზარდნენ აბორიგენულ პირობებში“ (კავანაი 2008: 3).

თუ კი ტომის ცალკეული წევრები აღიზარდნენ აბორიგენულ პირობებში, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ მიაღწიეს სრულწლოვანებას 1875 წლამდე, შესაძლოა, რომ 1933 წლისთვის მათი საერთო რაოდენობა მთელი ტომის წევრთა მხოლოდ 1/3-ს შეადგენდა. ცნობილია, რომ კონკრეტულად 1933 წლის ექსპედიციის მიერ ინტერვიუებისთვის შერჩეული 18 კომანჩი უხუცესიდან, მხოლოდ ორი იყო ისეთი, ვინც მიაღწია სრულწლოვანებას რეზერვაციამდელ ნომადურ საზოგადოებაში (კავანაი 2008: 3).

ამგვარად, 1933 წლის საველე ანთროპოლოგიური ექსპედიციის დროს უხუცესთაგან მოსმენილი ზეპირი ისტორიები და გადმოცემები რეზერვაციამდელი წარსულის ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის შესახებ პირველწყაროა კომანჩების ტომის ანთროპოლოგიურ-ისტორული კვლევისთვის. რადგან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1867-1875 წლებიდან კომანჩების რეზერვაციაში დაწყებული სედენტარიზაციის პროცესი აქტიურად წარიმართა, რაც გულისხმობდა ნომადური თვითმყოფადი კულტურის მატარებელი თაობის ცვალებადობასაც, მათი ყოველდღიურობის საკამოდ სწრაფ და ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას, აქედან გამომდინარე, ქრონოლოგიურად რაც უფრო ახლოს ჩატარდა ექსპედიცია 1867-1875 წლებთან მიმართებაში, მით უფრო მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია და ინფორმაციულია მისი შედეგები. ასეთი კი იყო 1933 წლის ექსპედიცია, რომელმაც, მართალია, დაიგვიანა, მაგრამ მაინც უმნიშვნელოვანესი მასალები მოიძია კომანჩების ტომის რეზერვაციამდელი ყოფის შესახებ.

აქ კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი საველე ექსპედიციის ქრონოლოგიურ ასპექტს. კერძოდ, სანტა ფეს ექსპედიციის დაწყება, გარკვეული თვალსაზრისით, დაგვიანებულიც კი იყო, რადგან კომანჩების რეზერვაციამდელი პერიოდის თვითმყოფადი კულტურა თითქმის უკვე 60 წელია განიცდიდა ტრანსფორმაციას რეზერვაციაში და რეზისტენტული რეალობის პირობებში იმყოფებოდა (ფოსტერი 1991: 13-14).

მიუხედავად ყველაფრისა, ექსპედიციის შედეგები მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იყო. მიღებულ ინტერვიუებში ასახული იყო უნიკალური ზეპირსიტყვიერი მასალა კომანჩების რეზერვაციამდელი წარსულის თვითმყოფადი კულტურის შესახებ. ექსპედიციის შედეგად კომანჩების ტომის კულტურა ამერიკელ ანთროპოლოგთა ყურადღების საგნად იქცა. მკვლევართა მზარდი ინტერესის ფონზე აშკარა გახდა, რომ დიდი დაბლობების სხვა ტომებთან შედარებით კომანჩების შესახებ ძალიან მწირი წყაროთმცოდნეობითი ბაზა და გამოკვლევები არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კომანჩების რეზერვაციაში კიდევ რამდენიმე საველე ანთროპოლოგიური ექსპედიცია მოეწყო, 1933 წლის ექსპედიციას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ლინტონის ექსპედიციის დროს ინტერვიუები ჩაიწერა უხუცესთა იმ თაობისგან, რომელიც თავად ვერ მოესწრო სოციალიზაციასა და ტრადიციული კულტურის მატარებლობას. მათ მხოლოდ მშობლებისგან და ბებია-ბაბუებისგან გადმოცემით იცოდნენ რეალიები რეზერვაციამდელი ნომადური ყოფა-ცხოვრების შესახებ. 1933 წელს ინტერვიუები კი ჩაწერილ იქნა უხუცესთა იმ თაობისგან, რომელიც ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს იყო ტომის რეზერვაციამდელ ეპოქასთან. ეს გარემოება ექსპედიციის ნაკლიცაა და დადებითი მხარეც. ნაკლია იმ კუთხით, რომ გამოკითხულ ინდიელთა უდიდესი ნაწილი, ორი ადამიანის გამოკლებით, თავად არ მოსწრებია ნომადურ პერიოდს და ტრადიციული რეზერვაციამდელი კულტურის მატარებელი არ ყოფილა, დადებითია იმ აზრით, რომ სხვა, მოგვიანო პერიოდის ექსპედიციებთან შედარებით 1933 წელს ინტერვიუებისთვის მოწვეული ინდიელები ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს იყვნენ კომანჩების კულტურის ტრანსფორმაციის გარდამავალ პერიოდთან ანუ 1863-1875-1901 წლებთან.

შენიშვნები

[1] აშშ-ის ინდიელთა კულტურის კლასიფიკაციისას გადამწყვეტია გეოგრაფიული ფაქტორი. ბუნებრივი პირობები განაპირობებდნენ მეზობლად მცხოვრებ ტომთა ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის მსგავსებას. აქედან გამომდინარე აშშ ინდიელთა კულტურის კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო მათი ბანსახლება. ინდიელთა კულტურის კლასიფიკაციის სხვადასხვა სქემა არსებობს, ამ შემთხვევაში მე ვსარგებლობ ჩრდილოეთ ამერიკის თორმეტ რეგიონად ანუ ინდიელთა თორმეტი კულტურის ზონად დაყოფის სქემით. თითოეული კულტურის

რეგიონი გულისხმობს შესაბამის გეოგრაფიულ რეგიონში მოსახლე ინდიელთა მონათესავე, მსგავს ეთნოგრაფიულ რეალიებს ევროპელებთან კონტაქტის დამყარებამდე. თუმცა, საინტერესოა, რომ ამ თორმეტ რეგიონში შემავალი ზოგიერთი ტომის კულტურის ფორმირება განაპირობა სწორედაც რომ ევროპელებთან კონტაქტის დამყარებამ. მაგალითად, ე.წ. დიდი დაბლობების კულტურის ზონაში მცხოვრები ინდიელების ნომადური კულტურის ფორმირება განაპირობა ტომების ევროპელებთან კონტაქტმა და ამ უკანასკნელთა მიერ კონტინენტზე ცხენის შემოყვანამ. სტატიაში მოხსენიებული დიდი დაბლობების ინდიელთა კულტურის არეალია მდინარე მისისიპის დასავლეთით ვიდრე როკის მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დიდი დაბლობების კულტურა მოიცავს: თანამედროვე კანადის რეგიონებს: მანიტობას, სასკაჩევანსა და ალბერტას, თანამედროვე აშშ-ის ე.წ. დაბლობის შტატებს: ჩრდილოეთ და სამხრეთ დაკოტა, ნებრასკა, კანზასი, ოკლაჰომა, ტეხასი, ასევე ვისკონსინის, აიოვას, მისურისა და არკანზასის დასავლეთ ტერიტორიებსა და მონტანას, ვაიომინგის, კოლორადოსა და ნიუ-მექსიკოს აღმოსავლეთ ტერიტორიებს. დიდი დაბლობების კულტურის ზონაში სხვადასხვა ტომები მოსახლეობდნენ, მათ შორის, აღსანიშნავია: სიუ, მანდანები, არიკარა, ბლაკფუტები, დაბლობის კრიი, კროუ, არაპაჰო, შაიენები, ჰაუნი, ომაჰა, პონკა, კანზა, კაიოვა, კაიოვა-აპაჩები, კომანჩები.

[2] მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისკენ რეზერვაციაში მცხოვრებ ინდიელთა შორის ფართო გავრცელება ჰპოვა ერთგვარმა მესიანისტურმა რელიგიურმა მოძრაობამ, რომელსაც ეწოდა *სულების ცეკვა*. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი მოჰყვა ამ მოძრაობის გავრცელებას ჩრდილოეთ დაბლობებზე დაკოტაში მოსახლე სიუს ტომის ინდიელთა რეზერვაციებში. ინდიელებს სწამდათ, რომ სპეციალური რელიგიური ცეკვის ცერემონიალის შესაბამისი წესებით შესრულების შედეგად, ტომებს დაუბრუნდებოდათ ტრადიციული კულტურა და ისინი კვლავ შეძლებდნენ ძველი ცხოვრების აღდგენას.

[3] ჩრდილოამერკული კაქტუსის სახეობა, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა ტომების მიერ ცერემონიალების ჩატარებისას. პეიოტის გამოყენება განსაკუთრებით გავრცელდა რეზერვაციაში მცხოვრებ კომანჩებთან.

[4] აშშ-ის დიდი დაბლობების ერთ-ერთი ტომი. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, რეზერვაციაში დასახლებამდე (1867), მომთაბარეობდნენ კომანჩების მეზობლად თანამედროვე შტატების: კანზასის, კოლორადოსა და ოკლაჰომას ტერიტორიებზე.

[5] ავსტრიული წარმომავლობის ამერიკელი ეთნოგრაფი(1883-1957), იკვლევდა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებს.

[6] ლოუის შემთხვევით არ შეურჩევია შოშონების, იუტებისა და კომანჩების ინდიელები. საქმე ის არის, რომ ლინგვისტური თვალსაზრისით სამივე ტომი ერთიანდება იუტო-აცტეკურ ენათა ოჯახის ჩრდილო-შოშონურ ქვეოჯახში). ასევე საყურადღებოა, რომ კომანჩების ტომის ეთნოგენეზი უკავშირდება სწორედ შოშონების ტომს.

[7] 1874 წლის ზაფხულში აშშ-ის ფედერალურმა არმიამ დაიწყო სამხედრო კამპანია სამხრეთ დაბლობებზე ჯერ კიდევ მომთაბარე ტომების წინააღმდეგ. გენერალიტეტის მიერ საგანგებოდ შემუშავებული სტრატეგიის განხორციელება დაევალათ გენერლებს: ფილიპ შერიდანსა და ულიამ შერმანს. ინდიელ მეომართა რაზმებსა და არმიის სამხედრო შენაერთებს შორის ბრძოლები ძირითადად მიმდინარეობდა ტეხასის შტატის ჩრდილო-დასავლეთში, მდ. რედ-რივერისა და მისი შენაკადების ხეობებში და ახლომდებარე ტერიტორიებზე. რედ რივერის ომში ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო სამხრეთ დაბლობებზე დარჩენილი მომთაბარე ტომების: კომანჩების, კაიოვების, სამხრეთ არაპაჰოების, სამხრეთ შაიენების რელოკაცია და მათი გადაყვანა ოკლაჰომას ტერიტორიაზე არსებულ რეზერვაციაში.1875 წელს ფორტ სილის რეზერვაციაში ხელისუფლებას ჩაბარდა კომანჩების ტომის ერთ-ერთი უკანასკნელი გავლენიანი სამხედრო ბელადი ქუანა პარკერი, რითაც ძირითადად დამთავრდა აშშ-კომანჩების სამხედრო დაპირისპირება. 1875 წელს ტეხასის დაბლობებზე დარჩენილი კომანჩების მცირე ჯგუფებიც ეტაპობრივად ჩაბარდნენ ხელისუფლებას, რის შედეგადაც საბოლოოდ დასრულდა კომანჩების ტომის ნომადური კულტურა.

დამოწმებანი

კავანი 2008: T.W.Kavanagh. Comanche Ethnography, Field Notes of E. Adamson Hoebel, Waldo R. Wedel, Gustav G. Carlson, and Robert H. Lowie. Compiled and edited by Thomas W. Kavanagh, Lincoln and London.

ფოსტერი 1991: M.W. Foster. Being Comanche, a Social History of an American Indian Community, Tucson and London.

The Anthropological Field Expeditions and Source-Studies Approaches to Data Analysis

Mikheil Barnovi

On the basis of study of Indian case, the author tries to show the opportunities of anthropological field expeditions for relevant data obtaining.

Comanche people have received relatively little attention from American anthropologists. It did not happen until 1933 late June, when six anthropologists – one Professor and his five graduate students had decided spend the next six weeks recording traditional Comanche culture as remembered by eighteen Comanche elders. This expedition is commonly known as *Santa Fe Laboratory of Anthropology*, also as *Field Training Course in Anthropological Field Methods.* After this expedition the Comanche tribe became the subject of focused anthropological interest. For better or worse, the materials gathered by 1933 field expedition remains our best source for anthropological study of Comanche tribe nomadic culture represented from the Comanche own perspective.

I try to put forward and explain research methods of the *Santa Fe Laboratory of Anthropology*. The notes made by the participants of the expedition become the basis of almost a dozen different kind of publications on the Comanche prereservation culture. It was Hoebel who made really great use of these letters. His account written in 1952 with Ernets Wallace become primary source about Comanche's nomadic culture and society for anthropologists and historians.

It is important to underline that by the time when *Santa Fe Laboratory of Anthropology* interviewed Comanche elders about nomadic practices, the tribe had already undergone nearly sixty years of serious changes and sedentarization. The information that was gathered from elders by the expedition was relatively close in time to the period before the Comanche had undergone their cultural transformation.

მასალები პირღებულის მონასტრისა და მისი წინამძღვრების შესახებ

თამაზ გოგოლაძე

პირღებულის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მონასტერი ისტორიულ ქვემო ქართლში, უფრო კონკრეტულად, თეთრიწყაროს რაიონში, სამშვილდიდან სამი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეძლებისდაგვარად შევავსოთ პირღებულის ეკლესიის ისტორია ამავე მონასტრის XII საუკუნის 80-90-იანი წლების ეპიგრაფიკული ძეგლის, XVII-XVIII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთებისა და 1724 წლის ვახტანგ VI-ის ამალის ნუსხის მონაცემების მეშვეობით.

თავიდან ვისაუბრებ იმაზე თუ რა ინფორმაციას ფლობდა დღემდე ქართული სამეცნიერო ლიტერატურა აღნიშნული მონასტრის ისტორიისა და მისი წინამძღვრების შესახებ.

2005 წელს რამდენიმე ცალი დაიბეჭდა ავტორთა კოლექტივის (ნ. ბახტაძე, კ. ზენდერი, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, თ. ჯოჯუა) მიერ პირღებულის ეკლესიის შესახებ მოძიებული *პირღებულის მონასტერი 1989 და 2002-2003 წწ კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები*, სადაც წარმოდგენილია ჩვენთვის საინტერესო ტაძრის არქეოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი და ისტორიული კუთხით შესწავლის შედეგები. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მეტად საინტერესოა აღნიშნული ნაშრომის ისტორიული ნაწილი, რომელიც მომზადებულია ისტორიის დოქტორ თემო ჯოჯუას მიერ, კერძოდ, *პირღებულის მონასტრის ლაპიდარული წარწერები.*

ვიდრე უშუალოდ პირღებულის მონასტრის წარწერების დეტალურ განხილვას შეუდგებოდეს, მეცნიერი, გვთავაზობს შემდეგ ინფორმაციას:

> პირღებულის მონასტრის შესახებ უაღრესად მწირი საისტორიო ცნობები მოგვეპოვება და ისინიც მხოლოდ მოგვიანო ხანის, უფრო კონკრეტულად კი – XVIII საუკუნის წერილობით წყაროებშია წარმოდგენილი. ამ რიგის ძეგლებს შორის, ქრონოლოგიურად ყველაზე უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება 1707 წლით დათარიღებული ერთი ხელნაწერი ნუსხა, სადაც დაწვრილებით ჩამოთვლილია ის ხარჯი, რომელიც გაღებული ყოფილა ქართლელი თავადის ვახუშტი ორბელიანის დაღუპვიდან მეორმოცე დღეს მისი სულის საობად სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში აღსრულებული წირვის სანაცვლოდ. ნუსხაში ფიტარელი, დმანელი და სხვა სასულიერო პირების გვერდით „პირღებულელი მთავარი“, სავარაუდოდ, პირღებულის მონასტრის მთავარდიაკონიც არის მოხსენიებული. მოგვყავს ამ ნუსხის სრული ტექსტი:
>
> ქ. რომანოზ მეორმოცედ ლაინი ა (1), ნარმა ადლი დ (4), ჩითი ტანი ა (1) და სამოსელი ა (1).
> ქ. სვიმონ მეორმოცედ ლაინი ა (1), ნარმა ადლი დ (4), ჩითი ტანი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. ოთარი მეორმოცედ ლაინი ა (1), ნარმა ადლი დ (4), ჩითი ტანი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. დავით მეორმოცედ ლაინი ა (1), ჩითი ტანი ა (1), არძი ტანი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. რამაზა მეორმოცედ ლაინი ა (1), ტანი ჩითი ა (1), არძი ტანი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. აბრამ მეორმოცედ ლაინი ა (1), ნარმა ადლი დ (4), ჩითი ტანი ა (1).
> ქ. მეორმოცედ მაჭუტაძე ლაინი ა (1), ნარმა ადლი დ (4), ჩითი ტანი ა (1).
> ქ. მეორმოცედ შიოშვილს ტანი არძი ა (1), ლაინი სამოსელი ა (1).
> ქ. მეორმოცედ ბასიტაშვილი ტანი არძი ა (1), ტანი ჩითი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. მანველიშვილი მთავარს – ჩითი ტანი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. პირღებულელი მთავარი – ტანი ჩითი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. დეკანოზიშვილი დავით ფიტარელი – არძი ტანი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. ფიტარეთის დეკანოზს მეორმოცე – ლაინი ა (1), ნარმა ადლი დ (4), ჩითი არძი ტანი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. აირიბეგ მეორმოცედ – ლაინი ა (1), ნარმა ადლი დ (4), ჩითი ტანი ა (1), არძი ა (1).
> ქ. პაპუნა დეკანოზი - ლაინი ა (1), არძი ტანი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. რომანოზიშვილი მთავარი - ჩითი ა (1), სამოსელი ა (1).
> ქ. ჯავახს მთავარს – ტანი ჩითი ა (1), ნარმა ა (1).
> ქ. დმანისის გიორგი – ლაინი ა (1), არძი ტანი ა (1).
> ქ. ნიკოლოზს – აშრაფი ა (1).
> ქ. კანდელაკს ფიტარელსა – ტანი ჩითი ა (1), არძი ტანი ა (1).
> ნუსხის გამომცემლის აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, ამის შემდეგ რამდენიმე სტრიქონის ადგილი გამოუტოვებიათ და ტექსტის წერა სხვა, გაცილებით უფრო „მომსხო ხელით“ გაუგრძელებიათ - თ.ჯ.)

მოსვენებაზე სომეხსა და ფრანგზე ფლური ზ (7).
ქ. სანთელი დაიხარჯა ლიტრი და ნახევარი.
ქ. თხუთმეტზე დაიხარჯა სანთელი ლიტრა ოთხი, ბამბა ლიტრი ცხრა, ორმოცზე დაიხარჯა სანთელი ლიტრა ოთხი, ბამბა ლიტრი რვა".

ქრონოლოგიურად ცოტა უფრო მოგვიანო პერიოდს გაწეკუთვნება სახელოვანი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757 წწ) მიერ 1742-1745 წლებში შედგენილი მონუმენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა." ამ თხზულებაში, სადაც, თავის მხრივ, წარმოდგენილია საქართველოს სრული ისტორიული თავგადასავალი დასაბამიდან ვიდრე XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ხოლო მეორე მხრივ, მოცემულია ქვეყნის ტერიტორიის დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა, რამდენიმე ცნობა პირღებულის მონასტრის შესახებაც არის მოტანილი, ავტორი ჩვენთვის საინტერესო სავანეს ქვემო ქართლის აღწერისას ეხება და მას მდინარე ქციის, იგივე – ხრამის ხეობაში მიმოფანტული ეკლესია-მონასტრების გვერდით მიმოიხილავს: „მას (იგულისხმება გვიანას მონასტერი – თ. ჯ.) ქუემორ [არს] მონასტერი ქციის ჯრამსა შინა [,] პირღებულს, კლდე გამოკუეთილი დიდითა შენობითა და ყოვლით შემკული. ზის არქიმანდრიტი. იტყჳან თამარ მეფის (იგულისხმება საქართველოს მეფე თამარი (1184-1213 წწ) თ. ჯ.) ქმნულსა".

ქრონოლოგიური თვალსაზრისით კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნება 1772 წლის 25 მარტით დათარიღებული ერთი მხედრული მინაწერი (კოლოფონი), რომელიც ვინმე მღვდელმონაზონ იოანე მუნჯს საკუთარი ხელით დაურთავს იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ სავანეში დაცული 1160 წლის გარეჯული კრებულისათვის. როგორც მინაწერიდან ირკვევა, მღვდელ-მონაზონ იოანეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის საკუთარი საფასით მოგებული ოთხი პირველნაბეჭდი წიგნი შეუწირავს – ჟამნი, დავითნი, კურთხევანი და კონდაკი. გარდა ამისა, იოანე მუნჯს წმინდა მიწაზე ყოფნისას თან ჰქონია ნაბეჭდი სახარებაც, რომელიც, მისივე თქმით, „პირღებულის ღმრთისმშობლის" ანუ პირღებულის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მონასტრის საკუთრება ყოფილა:

„ჩღობ (1772 წ.), მარტს კე (25). უღირსმან იოანე მონაზონმან მუნჯმან შევსწირე ჯვარის მონასტერს ჩემი მოგებული ჟამნი, დავითნი, კურთხევანი, კონდაკი სტამბისა. ვინცამ იერუსალიმიდან წაიღოს, ხელიმცა მოეკვეთოს და შეჩვენებულ იყოს ქ(რისტ)ესგან და მეცა მეპასუხოს დიდის მსაჯ[უ]ლის წინაშე, ა(მი)ნ. სახარება სტა(მ)ბიას პირღებულის ღ(მრ)თის მშობლისა არის".

ეს არის და ეს. სამეცნიერო საზოგადოება პირღებულის მონასტრის შესახებ სხვა არანაირ საისტორიო მასალას არ იცნობს. ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ პირღებულის მონასტრის ტერიტორიაზე მიკვლეული ლაპიდარული წარწერების საკმაოდ მდიდარ ფონდს ანუ წერილობითი წყაროების პრაქტიკულად იმ ერთადერთ ჯგუფს, რომელიც საშუალებას გვაძლევს მეტნაკლები სისრულით აღვადგინოთ სავანის ისტორიული თავგადასავალი (ბახტაძე და *სხვები* 2005: 143-145).

პირველი ცნობა პირღებულის მონასტრის წინამძღვრების შესახებ მოგვეპოვება ამავე ტაძრის დემეტრე წინამძღვრის სავედრებელ წარწერაში. აღნიშნული წარწერა დღემდე სამგზის იქნა გამოქვეყნებული. პირველად – 2001 წელს ირაკლი ცინცაძის, მეორედ – 2003 წელს ავტორთა ჯგუფის (ნოდარ ბახტაძე, კონრად ზენდერი, ნანა კუპრაშვილი, ლადო მირიანაშვილი, თემო ჯოჯუა) მიერ, ხოლო მესამედ – 2005 წელს თემო ჯოჯუას მიერ.

მოგვყავს დემეტრე წინამძღვრის სავედრებელი ტექსტი მის ბოლო პუბლიკაციის მიხედვით:

„† წო: ღთსმშბლო: შე: დტე: წი: და შონდვნ:

†. წმიდაო ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბელო, შ(ეიწყალ)ე დ(ემე)ტ(რ)ე წ(ინამძღუარ)ი და შ(ე)უნდვ(ნე)ნ" (ბახტაძე და *სხვები* 2005: 174).

აღნიშნულ წარწერას მისი ბოლო გამომცემელი ანუ თემო ჯოჯუა პალეოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს.

თუმცა 2008 წლის 20 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ქვემო ქართლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც თემო ჯოჯუას მიერ იქნა წაკითხული მოხსენება სახელწოდებით *პირღებულის მონასტრის XII-XIII საუკუნეების ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული დედოფალთ-დედოფალ რუსუდანის ვინაობისათვის*. ისტორიკოსმა პირღებულის ეკლესიის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული დედოფალთ-დედოფალი რუსუდანი ქართული ნარატიული წყაროებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სავსებით მართებულად, საქართველოს მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წწ) დასთან გააიგივა და აღნიშნული სამშენებლო წარწერის თარიღი XII საუკუნის 80-90–იანი წლებით დააკონკრეტა. იქიდან გამომდინარე, რომ რუსუდან დედოფლის სამშენებლო წარწერა და დემეტრე წინამძღვრის სავედრებელის ტექსტი პალეოგრაფიული ნიშნების თვალსაზრისით იდენტურია, დემეტრე წინამძღვრის სავედრებლის ტექსტის ქრონოლოგიაც იმავე XII საუკუნის 80-90-იანი წლებით დაათარიღა.

როგორც აღნიშნული საველდრებელი წარწერიდან ვიტყობთ, პირღებულის მონასტრის ჩვენთვის ცნობილი პირველი წინამძღვარი გახლდათ დემეტრე, რომელიც XII საუკუნის 80-90იან წლებში მოღვაწეობდა.

ამის შემდეგ პირღებულის მონასტრის მომდევნო წინამძღვარს ოთხი-ხუთი საუკუნის ინტერვალის დაშორებით ვაფიქსირებთ, უფრო კონკრეტულად, იგი 1657 წლის ნასყიდობის წიგნში იხსენიება. ამ საბუთის მიხედვით

> ესე მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობა მოგეცით ჩვენ, სამშვი(ლ)დელმა ფარეშიშვილმა თამაზამ და ოთარ(ა)მა სოფ<ე>ლ<ა>(ი)ს თავში დი(ი)ს ველზედ თქვენ, სუფრაჯის შვილს – წინამძღვარს იოსებს ოთხის დღის მიწა, აქეთ გუბაშაშვილის მიწის სამძღვრამდის და იქით გოხამდის და თუ რამ ძეძვი ამაიღო შეუმატოთ, რომე ისიც თქვენი იყოს და თუ ამისი ღალა <ქ>[გ]თხო[ვო]ს ვინმე[მ], პირისა და პასუხის მიმცემი ჩვენ და ჩვენის სახლის ჩამომავალი ვიყვნეთ (ფონდი 1450; 15/23).

როგორც ამ ნასყიდობის საბუთიდან ვიტყობთ, სამშვილდელები თამაზ და ოთარ ფარეშიშვილები ნასყიდობის სახით აძლევენ სუფრაჯის შვილს, წინამძღვარ იოსებს დიას ველზე, ამავე სოფლის თავში, ოთხი დღის მიწას.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული მიწის გამყიდველები – თამაზ და ოთარ ფარეშაშვილები სამშვილდიდან არიან და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირღებულის მონასტერიც მხოლოდ და მხოლოდ სამი კილომეტრით არის დაშორებული სამშვილდეს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ მოხსენიებული იოსებ წინამძღვარი სწორედ პირღებულის მონასტრის წინამძღვარია. ასევე ახლოს მდებარეობს პირღებულთან აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტი დიაც. ეს რომ ასეა, ამაზე მიუთითებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც აღნიშნული ნასყიდობის წიგნში მოგვეპოვება. ეს გახლავთ იოსებ წინამძღვრის მამის სახელო ანუ სუფრაჯის სახელო. როგორც ვხედავთ, საბუთში ხაზგასმულია მისი მამის სახელო. თუ გავადევნებთ თვალს ამ დროს ქართლის სამეფო კარის სუფრაჯთა სახელებს, აღმოვაჩენთ, რომ 1627-1648-1653 წლებში ქართლის სამეფო კარზე დედოფლის სუფრაჯის საპატიო სახელოს ფლობდა ავთანდილ აბაშიშვილი, რომელსაც ჰყავდა რიგით მეექვსე ვაჟი იესე, რომელიც ამ სახელით უკანასკნელად 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის წიგნში იხსენიება (გოგოლაძე 2012: 123-124).

ჩვენ, ერთი მხრივ, ვითვლისწინებთ იმ ფაქტს, რომ პირღებულის მონასტერი აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის საძვალე ეკლესია იყო, მეორე მხრივ, სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის რიგით მეექვსე ვაჟის – იესეს სახელს და ყოველივე ამის საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, რომ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟმა იესემ 1653 წლის შემდეგ დატოვა საერისკაცო ცხოვრება და იოსების სახელით შემონაზონდა, ხოლო 1657 წლისათვის კი მისი საგვარეულო საძვალის ანუ პირღებულის მონასტრის წინამძღვრად გვევლინება.

პირღებულის მონასტრის შემდგომი წინამძღვარი 1677 წელს შერმაზან ხურდაყულაშვილის მიერ ბოლნელ იოსებისათვის მამულის დაბრუნების წიგნში იხსენიება. ამ საბუთის მიხედვით, მოწმეთა შორის მოხსნიებულია „პირსღებულის წინამძღვარი რომანოზ“. სამწუხაროდ, ამ საბუთიდან რომანოზ წინამძღვრის გვარიშვილობის საკითხის დადგენა ვერ ხერხდება. აღნიშნული საბუთი გადმოწერილია დედნიდან ისტორიკოს სარგის კაკაბაძის მიერ. დედანს, როგორც ჩანს, ბოლოში ჰქონდა დასმული რომანოზ წინამძღვრის ბეჭედი, რომელიც სარგის კაკაბაძეს გადმოწერილი აქვს შემდეგნაირად: „[რომნ წნმ ჰ]“. ეს კი უნდა გაიმართოს ასე: „[რომ(ა)ნ(ოზ) წ(ი)ნ(ა)მ(ძღვარი) პ(ირღებულისა)“ (ფონდი1449-1805). [1]

რომანოზ წინამძღვრის შემდეგ პირღებულის მონასტრის წინამძღვარი არის ქაიოხოსრო ავთანდილიშვილ-აბაშიშვილის რიგით მესამე ვაჟი - ნიკოლოზ აბაშიშვილი. იგი პირველად ქართულ საისტორიო საბუთებში 1683 წლის ნასყიდობის წიგნში იხსენიება:

> ...ესე ნასყიდობისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცითა ჩვენა, ხანგანოსათა თოროსასა, შვილმანა აფარიამამან<ა> და ჩემ[მ]ა ძმისაწულმან<ა>, ჰასრათამან და ჩემ[მ]ა შვილმა ოსეფამანა, სა[ხ]ლისა მომავალ<ა>მა ჩვენ<ა>განა, თქვენ<ა>, ბარ(ა)თათა ავ<ა>თანდილის<ა>შვილ<ი>სა ქაიხოს<ა>რო<ვ>სა და შვილისა თქ[უენ]<ა>სა - დავით<ა>სა და აბაშ<ა>სა და ბერ<ა>სა ნიკ<ა>ოლოზ<ო>სა, სახლისა მომა<მა>ვალ<ი>სა თქვენ<ა>სა[2] (ხეც, Qd-8563).

ამ საბუთის თანახმად, 1683 წლისათვის ქაიხოსრო აბაშიშვილის რიგით მესამე ვაჟი უკვე ბერად არის აღკვეცილი. ამ მიმართულებით კიდევ უფრო საინტერესოა ერეკლე I ნაზარალი-ხანის 1693-1703 წლების ბრძანებულება მესტუმრისადმი:

...ჩვენ მაგიერად ჩვენასა დიდ<ა>სა იმედ<ა>სა [დ]იდად: იმედად: მისჩ<ე>ნე[უ]ლ ..... ბ[ა]ტონს, სუფრ[ა]ჩ[ს] ავთანდილ<ა>ს და წინამაძღვ[ა]რ<ი>ს ნოკოლოზ<ა>ს მრავალი მოკითხვა მოახსენეთ.
მერმე, ფარ<ა>სიასი და დათუნასი სამართალი ხერხეულიძეს რევაზას სამართალი ექნას და ან იმის გან[ა]ჩენში ეწეროს, თქვენც გ[ა]უსინჯეთ და ისე გ[ა]ურიგეთ და შეარიგეთ. თუ რამ ერთმანერთ<ა>ში სალაპარაკო ჰქონდესთ, ყველა გუსინჯეთ და გ[ა]ურიგეთ.

ნაზარალი ხანის ბეჭედი: „ნაზარალი-ხან“ (ხეც, Qd -254).

აქ მოხსენიებული ნიკოლოზ წინამძღვარი, ვფიქრობთ, რომ სავსებით სამართლიანად გავაიგივეთ ქაიხოსრო აბაშიშვილის რიგით მესამე ვაჟ ნიკოლოზთან, რომელიც მისი საგვარეულო სამვალე ეკლესიის – პირღებულის მონასტრის წინამძღვარი გამხდარა. იქიდან გამომდინარე, რომ იგი 1683 წლის საბუთში ბერ ნიკოლოზის სახელით არის მოხსენიებული, მისი წინამძღვრობის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1683 წელი მივიჩნიეთ, რაც შეეხება მისი წინამძღვრობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, აქ მხედველობაშია ვიღებთ ვახტანგ VI-ის ამალის 1724 წლის ნუსხას, რომელშიც ჩამოთვლილი არიან ის პირები, რომელნიც ქართლის მეფეს რუსეთში გაჰყვნენ. აღნიშნულ ნუსხაში ცალ-ცალკეა დაყოფილი მეფის, დედოფლისა და ბატონიშვილების ამალათა სიები, ხოლო ერთ-ერთი ამათგანი არის ეპისკოპოზთა სია, რომელშიც სასულიერო პირებს შორის ვხდებით ნიკოლოზ აბაშიშვილის სახელს: „თავადიშვილი, პირღებულის წინამძღვარი ნიკოლოზ, ამისი მსახური; ყოვლად წმინდის ეკლესიის მქონე“ (პაიჭაძე 1960: 233), პარალელურად ყურადღებას გავამახვილებთ 1726 წლის ვახტანგ VI-ის წყალობის წიგნზე, რომელშიც ნიკოლოზ აბაშიშვილი უკვე არქიმანდრიტის ხარისხში იხსენიება და ამ ყოველივეს საფუძველზე მისი პირღებულის მონასტრის წინამძღვრობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1726 წელი დავდეთ (გოგოლაძე 2011: 87-89). ამრიგად, აღნიშნული პირის პირღებულის მონასტრის წინამძღვრად ყოფნის პერიოდი ზოგადი 1683-1726 წლებით განვსაზღვრეთ.

ჩვენ მიერ დადგენილი ნიკოლოზ აბაშიშვილის პირღებულის მონასტრის წინამძღვრობის თარიღი – 1683-1726 წლები ჩვენ სადოქტორო ნაშრომში *აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში* კიდევ უფრო დავაკონკრეტეთ. აქ ყურადღება გავამახვილეთ 1719 წლის მამულის ნასყიდობის საბუთზე, რომელშიც ნათქვამია, რომ

...ესე ამიერითგან უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი მიზეზ-მოუდებერი და დრო-შემოუკრებელი ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ციციშვილმან ფარსადან და შვილმან ჩემ[მ]ან პაპუნამა თქვენ, სუფრაჯის შვილს, იოსებს წინამძღვარსა მოგყიდე დაღეთს ჩემი სამკვიდრო მამული და ძმათ[ა]გან ბარათაში გამოყოლილი ყოვლის კაცისაგან მოუდევარი და უცილებელი წატურაშვილი თავისის მამულითა და ბურდილის მამა, დედა-შვილის იასის მამული თავისის სახლითა, კარითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, სათესითა, მთითა, ბარითა, ტყითა, მინდურითა, წყლითა, წისქვილითა, შესავლითა, გასავლით... (ფონდი 1450, 15/68).

ამ საბუთის საფუძველზე XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე – სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის რიგით მესამე ვაჟი „ქეშიში“[3] გავაიგივეთ 1719 წლის საბუთში სუფრაჯ ავთანდილის ვაჟ იოსებთან და მისი პირღებულის მონასტრის წინამძღვრობა 1719-1724 წლებით დავათარიღეთ (გოგოლაძე 2012: 216).

ჩვენ შეგვიძლია იოსებ აბაშიშვილის პირღებულის მონასტრის წინამძღვრობის ქვედა ზღვარი კიდევ უფრო ქვევით ჩამოვიტანოთ. ამის საშუალებას გვაძლევს 1708 წლის 10 ივნისის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუნა ციციშვილის მიერ უთრუთ ციციშვილისათვის ორი საკომლო მამულისა და ვენახის მიყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტის მოწმეთა შორის მოიხსნიება: „პირღებულთა მღთისმშობლის წინამძღვარი იოსებ [იოსებ]“ (ფონდი 1450, 51/101).

როგორც ამ საბუთიდან ვიტყობთ, სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის რიგით მესამე ვაჟი იოსები 1719 წელზე გაცილებით ადრე, 1708 წლის საბუთში პირდაპირ არის დასახელებული, როგორც პირღებულის მონასტრის წინამძღვარი. აქედან გამომდინარე, ჩვენ მისი პირღებულის მონასტრის წინამძღვრობას – 1708-1724 წლებით ვათარიღებთ; რაც შეეხება ნიკოლოზ აბაშიშვილის წინამძღვრობას, მას 1683-1708; 1724-1726 წლებით განვსაზღვრავთ.

პირღებული მონასტრის შესახებ მეტად საინტერესოა 1729 წლის მაისის დამდეგის მანგლელ იოსებ აბაშიშვილის ბოძების სიგელი დის, დარეჯანისა და სიძის ორბელისათვის ახალდიას საბაქთარ და ვახტანგ ნასონიშვილებისაგან ნასყიდ ნასოფლარის წყალობის შესახებ. აღნიშნული საბუთში ვკითხულობთ:

[ქ.] ნებითა და შეწევნითა მ̄ღ(რ)თისითა.
მე, მანგლელმან, აბაშისშვილმან იოსებ მოგეც ჩემი ნასყიდი ახალდიას ნასონიშვილის საბაქთ[ა]რის და ვახტანგის მოსყიდული ნასოფლარი ქალაქის შარამდინ აკაურთის <კენჭი> [კერძი] ყარამდინ წყაროს მიწა ამისთვინ, რომე მოხვედით ჩემ[მ]ა დამან დარეჯან და ჩემ[მ]ან სიძემან ორბელმან და იოთამ, რევაზ, ნიკოლოზ და დავით.
ასე, რომე შემამეხვეწენით ერთის გუთნის სახნავი მიწა მთხოვეთ, თქვენზე ახლო იყო და იქ მოგეც ახალდი[ა] <კენჭი> [კერძი] ყარამდინ აკ[ა]ურთის გზა, რომე გამოივლის იმას ზევით ღმერთმან მოგცესთ და გიბედნიეროსთ ჩემს დასა და ჩემს სიძეს და დისწულებს, სხვა არა მოგეც რა და ისი მთხოვეთ და ის მოგეც, რომე იმასთან არას კაცს ხელი არა [ჰ]ქონდეს, არც ჩემს ძმებს, არც ჩემს ძმისწულებს, არც სახლისკაცს.
ვინც, ეს მოგიშალოს, მასცა <მ>[ჰ]რისხავს პირღებულთა მ-ღ(რ)თისმშობელი, არის ამისი მოწამე: იახათუნასშვილი იასე, იახათუნასშვილი მოსე, იასონასშვილი დეკანოზი ოსია, კიდევ ჩემი მსახური ვარდია.
დაიწერა მ[ა]ის[ის] დამდექს, ქ(ორონი)კ(რონ)ს უიზ [ადგილი ბეჭდისა, საფიქრებელი იოსებ მანგლელი აბაშიშვილის ბეჭედი უნდა იყოს, რადგან იგი არის საბუთის გამცემი], ბიძიას მანგლელს, რაც თავის დის დარეჯანისათვის და თავის სიძის ორბელისათვის ახალდია<ა>ს თავისგან ნასყიდი მიეცა, მეც ყაბული ვქენ, მე, სვიმონ აბაშისშვილმა [გადმოხატულია სვიმონ აბაშიშვილის ხელრთვა] (ფონდი1450, 38/7).

როგორც ამ საბუთიდან ვიტყობთ, მანგლელი იოსები[4] თავის დას დარეჯანსა და სიძეს ორბელ იოთამიშვილს წყალობის სახით აძლევს ახალდიას – საბაქთარ და ვახტანგ ნასონიშვილებისაგან მოსყიდულ ნასოფლარს. აღნიშნულ საბუთში მოხსენიებული იოსებ მანგლელი არის 1708-1724 წლებში მოღვაწე პირღებულის მონასტრის წინამძღვარი, სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის რიგით მესამე ვაჟი იოსები, რომელიც, როგორც ვხედავთ, უფრო დიდ სასულიერო ხარისხში ადის და 1729 წლისათთვის მანგლისის ეპარქიას უდგას სათავეში. მიუხედავად მისი მანგლელობისა, იგი არ ივიწყებს თავის ფეოდალური საგვარეულოს საძვალეს – პირღებულის მონასტერს და საბუთის კრულობით ნაწილში საგანგებოდ ხაზს უსვამს, რომ ამ საბუთის მომშლელნი შერისხული იქნებიან პირღებულის მონასტრის ღმრთისმშობლისაგან.

ჩვენ ასევე დავინტერესდით ამ საბუთის დამამტკიცებლის ანუ იოსებ მანგლელის ძმისშვილის სვიმონ აბაშიშვილის პიროვნებით. მასთან დაკავშირებით ქართულ საისტორიო საბუთებში მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტი გვაქვს.

პირველად, როგორც ვნახეთ, 1729 წლის მისი ბიძის, იოსებ მანგლელის წყალობის სიგელს ამტკიცებს. ამის შემდეგ სვიმონ აბაშიშვილი იხსენიება 1737 წლის სასახლის ადგილის ნასყიდობის წიგნში, მიცემული სუფრაჯ ავთანდილის შვილის – ლევან აბაშიშვილის მიერ მეკალაპოტე დემუჩასათვის. ამ საბუთში ვკითხულობთ:

...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, აბაშისშვილთა, სუფრაჯის ავთანდილის შვილთა – ლევან, ჩემმა ძმისწულმა, გორჯასპის შვილმა - სვიმონ, შვილთა და შვილისშვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა შენ, მეკალაპოტე დემუჩას, შვილსა შენსა არუთინასა, დავითასა, პაპასა, გოლიასა, არუთ<ა>[ი]ნას, შვილსა გიორგისა, მელქუასა, შვილთა, შვილისშვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.
ასე, რომე ჩემი მამა-პაპათ ნაქონი სასახლის ალაგი აუშენებელი ნახევარი სამძღვარს ქვეითი გზამდი, ერთი გვერდი განისა შარამდი, მეორე გვერდი ხევამდი მისის სამძღვრითა, შესავალ-გასავლითა სამართლიანის საქმითა მოგყიდეთ და ავიღევით ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეიჯერეთ... მე, ავთანდილის შვილის, გორჯასპის შვილს სვიმონს ა<მ>სრე დამიმტკიცებია და საერთოთ გაგვიყიდია, შენთან ხელი არავის [ჰ]ქონდეს [სვიმონ, ბეჭედი არის გადმოხატული]... (ფონდი 1450; 2/75).

1737 წლისათვის იგი თავის მეორე ბიძა ლევან აბაშიშვილთან ერთად მეკალაპოტე დემუჩას აძლევს ნასყიდობის სახით მათ მამა-პაპათა სასახლის აუშენებელ ადგილს. აქედან ასევე ვიტყობთ, მამამისის სახელს: – გორჯაპის. ეს უკანასკნელი საბუთის ბოლოში ამტკიცებს აღნიშნულ ნასყიდობას.

მომდევნო, 1738 წელს სვიმონი თავის ბიძა ლევანთან ერთად კიდევ ერთ ნასყიდობის საბუთს იძლევა, ამჯერად ხელმწიფის მდივან – სულხან თუმანიშვილისადმი კიკეთის მიყიდვის შესახებ:

...ესე ...წიგნი და პირი ნასყიდობისა და სიგელი საბოლო[ო]დ გამოსადეგი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, აბაშიშვილმან, სუფრაჩის ავთანდილის ძემან - ლევან და ძმისწულმან ჩვენმან სვიმონ თქვენ, ჯელმწიფის მდივანს, თუმანისშვილს სულხანს და შვილსა თქვენსა – შიომს და გიორგის და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკუიდრო და ბარათში გა|მოყოლილი მამული და სოფელი კიკეთი, რაც ოდენ ჩვენი წილი იყო ყოვლითურთ უნაკლულოდ მოგყიდეთ... (ფონდი 1448, 79).

1741 წლის ივნისის ნასყიდობის წიგნის მიხედვით ვიტყობთ, რომ

ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, აბაშიშვილმან სვიმონ, აბაშმა, დემეტრემ, შერმაზან თქვენ, ერასტის, ზა[ა]ლს, რევაზს და დავითს, სახლისა მამავალსა თქვენსა.
ასე რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ ახალდია იასონისშვილისგან გასყიდული და ჩვენგან ნასყიდი, რაც ბიძის მანგლელმა და მე მიგვეცა თავის დისთვის და თავის სიძისთვის, ამას გა<ე>[რ]და, რაც დარჩომილა თქვენთვინ მოგვიყიდია...
დაიწერა თიბათვე დამდეგს, მე, სვიმონს აბაშისშვილს დამიწერია და ყაბულიცა მაქვს ამისი, ქ(ორონი)კ(ონ)ს უკთ (როგორც ჩანს, საბუთს ბოლოში სვიმონ აბაშისშვილის ბეჭედი უჯდა: „სვიმონ“)... (ფონდი 1450, 38/10).

როგორც ვხედავთ, სვიმონ, აბაშ, დემეტრე და შერმაზან აბაშიშვილები ერასტ, რევაზ და დავით იოთამიშვილებზე ჰყიდიან ახალდიას ნასონიშვილისაგან მოყიდულ იმ მამულის ნაწილს, რომელიც სვიმონ აბაშიშვილის ბიძას მანგლელს და თვითონ სვიმონს მიუყიდია თავის დისა და სიძისათვის. აღნიშნული საბუთს თუ შევუჯერებთ 1729 წლის წყალობის საბუთის ინფორმაციას, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1741 წლისათვის სვიმონ, აბაშ, დემეტრე და შერმაზან აბაშიშვილები თავიანთ მამიდაშვილებს – ერასტ, რევაზ და დავით იოთამიშვილებს ნასყიდობის სახით აძლევენ 1729 წლისათვის გაყიდული მამულის დარჩენილ ნაწილს. ამ დოკუმენტის დამწერი თავად სვიმონ აბაშიშვილია.

ამის შემდეგ მეტად საინტერესოა 1766 წლის 15 ივნისის საბუთი, სადაც ვკითხულობთ:

მე, ყოვლად უღირსი წინამძღვარი ს[ვ]იმონ ამ ერასტის თაქალთოიანის ობლებს, რომ თავისი ყმა ელაზაშვილი ტყუილად თავს ართმევს, რომ ოსმალობას კახეთს გასული ვარო, მე ამისი მოწამე ვარ, რომ ყიზილბაშობას ეს თავისი ბატონებიცა და ელაზაშვილიცა სამშვილდეს იყვნენ, არც ოსმალობას აყრილა <ჭ>[ყ](ოვლა)დ უსამართ[ლ]ოთ იგონებს და მტყუანი და ცრუც არიან ეგ ბიჭები, ივნის[ს] იე, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნდ (ფონდი 1450; 38/9).

როგორც საბუთიდან ჩანს, სვიმონ წინამძღვარი ამტკიცებს, რომ ყმა ელაზაშვილი ერასტი თაქალთოიანის ობლებს ტყუილად ემართლება. მისი თქმით, ისინი (მხედველობაში ჰყავს ერასტი თაქალთოიანის ობლები და ელაზაშვილი, აგრეთვე, მათი ბატონები) როგორც ოსმალობის, ასევე ყიზილბაშობის დროს კახეთს არ წასულან, სამშვილდეში იყვნენ.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ აქ მოხსენიებული სვიმონ წინამძღვარი 1729-1741 წლებში მოხსენიებული გორჯასპ აბაშიშვილის ვაჟი სვიმონი იყოს, რომელიც, სავარაუდოდ, გახდა მისი ფეოდალური სახლის საძვალე მონასტრის წინამძღვარი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ მან კარგად იცის სამშვილდის ამბები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამშვილდიდან ჩვენთვის საინტერესო პირღებულის მონასტერი მხოლოდ სამი კილომეტრით არის დაშორებული. თუმცა აქვე დავძენთ, რომ ზემოთქმული ფრთხილი ვარაუდია. აქედან გამომდინარე, პირღებულის მონასტრის წინამძღვართა სიაში სვიმონ აბაშიშვილის წინამძღვრობას კითხვის ნიშნით აღვნიშნავთ.

ამრიგად, პირღებულის მონასტრის XII-XIII საუკუნეების დემეტრე წინამძღვრის სავედრებელის, XVII-XVIII საუკუნეების ქართული დიპლომატიკური ძეგლებისა და ვახტანგ VI-ის ამალის 1724 წლის ნუსხის ურთიერთშეჯერების შედეგად პირღებულის მონასტრის წინამძღვართა სია შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

1. დემეტრე წინამძღვარი (XII საუკუნის 80-90-იანი წლები)
2. იოსებ აბაშიშვილი (1657)
3. რომანოზი (1677)
4. ნიკოლოზ აბაშიშვილი (1683-1708; 1724-1726)
5. იოსებ აბაშიშვილი (1708-1724)
6. სვიმონ აბაშიშვილი (1766) ?

შენიშვნები

[1] აღნიშნულ საბუთზე მიგვითითა ისტორიის დოქტორმა ალექსანდრე ბოშიშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[2] თუმცა აქაც დაშვებულ იქნა ჩვენ მიერ შეცდომა, რაც შემდგომში მდგომარეობს: სადოქტორო ნაშრომის მე-3 თავის მე-3 პარაგრაფში „დედოფლის სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის ფეოდალური სახლი და 1702-1725 წლების პირღებულის მონასტრის ეპიტაფია „ხელმწიფეთა შეყვარებული გორჯასპისა“ პირველად მოგვყავს 1693 წლის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე ნაზარალი-ხანის მიერ სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილისათვის. აღნიშნული დოკუმენტი ორენოვანია და გააჩნია როგორც ქართული, ასევე სპარსული ვერსია. 1693 წლის საბუთის ქართულ საბუთში სუფრაჯ ავთანდილის გვერდით დასახელებულნი არიან მისი ვაჟები შემდეგი თანმიმდევრობით: ლევანი, გორჯასპი,ზაზა და ოტია, ხოლო 1694 წლით დათარიღებულ სპარსულ ნაწილში კი საბუთის გამომცემელი ვლადიმერ ფუთურიძე სუფრაჯ ავთანდილის გვერდით ასახელებს – ლევანის, როსაბის, ქეშიშის, გორჯასპის, ზაზასა და ოთიას (ფუთურიძე 1955: 364). ჩვენ გავიზიარეთ ვლადიმერ ფუთურიძის მოსაზრება და როსაბი და ქეშიში სუფრაჯ ავთანდილის სხვადასხვა შვილებად მივიჩნიეთ (გოგოლაძე 2012: 205), სინამდვილეში კი საბუთში პირდაპირ არის მითითებული, რომ სუფრაჯ ავთანდილის რიგით მეორე ვაჟი იყო როსაბ ქეშიში. ჩვენი აზრით, სახელი როსაბი დამახინჯებული ფორმაა სახელ იოსებისა და უნდა იყოს გაგებული როგორც იოსებ ქეშიში (ქეშიში (كشيش) სპარსული სიტყვაა და ქართულად მღვდელს ნიშნავს (მილერი 1960: 401) ანუ მღვდელი, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული 1719 წლის ნასყიდობის სიგელი.

[3] ჩვენ ამ საბუთის საფუძველზე აღნიშნული ნიკოლოზი ქაიხოსრო ავთანდილშვილისადმი მიძღვნილ სტატიაში „მასალები ქაიხოსრო ავთანდილიშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახის შესახებ“ მის რიგით მეოთხე შვილად მივიჩნიეთ. უფრო კონკრეტულად, აქ მოხსენიებული ფრაზა „ბერ<ა>სა ნიკ<ა>ოლოზ<ო>სა“ მივიჩნიეთ ცალ-ცალკე ქაიხოსროს შვილებად – ბერად და ნიკოლოზად (გოგოლაძე 2011: 82). თუმცა აქ ჩვენ მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა, რადგან საბუთში პირდაპირ არის მითითებული, რომ ქაიხოსროს ჰყავდა არა რიგით მესამე და მეოთხე ვაჟები – ბერა და ნიკოლოზი, არამედ რიგით მესამე ვაჟი – ბერი ნიკოლოზი. აღნიშნულ ხარვეზზე მიგვითითა ისტორიის დოქტორმა თემო ჯოჯუამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[4] იოსებ მანგლელის შესახებ ცალკე სტატიის გამოქვეყნებას ვაპირებთ უახლოეს მომავალში, სადაც უფრო ვრცლად გვექნება საუბარი მისი მანგლელობის შესახებ.

დამოწმებანი

გოგოლაძე 2011: თ. გოგოლაძე. მასალები ქაიხოსრო აბაშიშვილ-ავთანდილიშვილის ფეოდალური ოჯახის შესახებ. ქართველოლოგია, №6, თბილისი.

გოგოლაძე 2012: თ. გოგოლაძე. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში. სადოქტორო ნაშრომი, თბილისი.

მილერი 1960: Персидско-Русский словарь. составил проф. Б. В. Миллер, Москва.

პაიჭაძე 1960: გ. პაიჭაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბილისი.

ფონდი 1448: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1448, საქმე 79.

ფონდი 1449: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1449, საქმე 1805.

ფონდი 1450: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1450, აღწერა 15, საქმე 23.

ფონდი 1450: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1450, აღწერა 15, საქმე 68.

ფონდი 1450: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1450, აღწერა 51, საქმე 101.

ფონდი 1450: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1450, აღწერა 38, საქმე 7.

ფონდი 1450: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1450, აღწერა 38, საქმე 9

ფონდი 1450: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1450, აღწერა 38, საქმე 10.

ფონდი 1450: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1450, აღწერა 2, საქმე 75.

ფუთურიძე 1955: ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ.ფუთურიძემ. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

ხეც: ხელნაწერათა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Qd კოლექცია, საბუთი №254
ხეც: ხელნაწერათა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Qd კოლექცია, საბუთი №8563
ბახტაძე და *სხვები* 2005: ნ. ბახტაძე, კ. ზენდერი, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, თ. ჯოჯუა. პირღებულის მონასტერი 1989 და 2002-2003 წწ კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები. თბილისი, მეცნიერების ფონდი უდაბნო.

დანართი

1)

1657 წ. მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარეშიშვილ თამაზას მიერ სუფრაჯის შვილს, (პირღებულის) წინამძღვარ იოსებისათვის

სეა, 1450 15/23

[ქ.] ნებითა და შეწევნითა მ̅ღ(რ)თისითა და შეწევნითა ყოვ[ე]ლთა წმინდათა მისათა ზეცისა და ქვეყნისათა, ამათითა მინდობითა და თავდებობითა ესე მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობა მოგეცით ჩვენ, სამშვი[ლ]დელმა ფარეშიშვილმა თამაზამ და ოთარ[ა]მა სოფ<ე>ლ<ა>[ი]ს თავში, დი[ი]ს ველზედ *თქვენ, სუფრაჯის შვილს, წინამძღვარს იოსებს* ოთხის დღის მიწა აქეთ გუბაშაშვილის მიწის სამძღვრამდის და იქით გოხამდის და თუ რამ ძებვი ამაიღო შეუმატოთ, რომე ისიც თქვენი იყოს და თუ ამისი ღალა <ქ>[გ]თხო[ვო]ს ვინმე[მ], პირისა და პასუხის მიმცემი ჩვენ და ჩვენის სახლის ჩამომავალი ვიყვნეთ, ავიღეთ ფასი სრული და უნაკლულო, როგორც ჩვენი გული შეგჯერდებოდა, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს.

ვინცა და რამანცა კაცმა ეს მოგიშალოს, პირველად შერისხდეს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და იგიმც შეიშლების მისის სახისაგან და რჯულისაგან, არის ამისი მოწამე: ბირთველაშვილი ვალა, ელისაშვილი ბერი და სულ სამშვილდნელი, კიდევ ამისი მოწამე დიელი თქვენი ყმა, სევდიაშვილი დემურა, ქოქინაშვილი თამაზა, იახათუნაშვილი მოსე და მე, იოთამისშვილს ზაზას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმე † †

2)

1677 წ. მამულის დაბრუნების წიგნი, მიცემული შერმაზან ხურდაყულაშვილის მიერ ბოლნელ იოსებისათვის თალას პირდაპირ მდებარე ხოდაბუნის მიცემის შესახებ (იხსენიება პირღებულის მონასტრის წინამძღვარი რომანოზი)

სეა, 1449-1805

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრთი)სათა, [მეოხებითა ყოვლად დიდებუ]ლისა, უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძლიერებითა და პატიოსნისა ცხოველსმყოფელის ჯ̅ვარისათა, რომელსა ზედა განიპყრნა ქრისტემა ღმერთმან უხრწნელნი მკლავნი თუისნი, თავდებობითა და მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა, ყოველთა ნაშობთა უმეტესისა ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებელისათა, თავდებობითა და შუამდგომელობითა უსისხლოს მსხვერპლის შემწირველთა მღდელთ-მოძღვართა, მოწამეთა ქალწულთა და ყოველთა წმიდა[თა] ღ(მრ)თისათა, თავდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა სიონთა ღმ(რ)თისმშობლისათა და წმიდის გიორგის ა<რ>ტენისათა, ამ წმიდათ მოწმობითა და შუამდგომელობითა ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცილებ<უ>[ე]ლი წიგნი და სიგელი მოგართვით ჩვენ, ხურდაყულაშვილებმა შერმაზან და შიომ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ბოვნელ ეფისკოპოზს – ბატონს იოსებს.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თალას პირდაპირ ხოდაბუნი სიონთა ღმ(რ)თისმშობლის მამული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებაში ჩვენ დაგვეჭირა და იმაზედ შევისარჩლენით და სამდივნოთ და საბატონოთ გავჴადეთ და მდივანბეგმა მოფიცრები შემოგვაგდო და ვეღარ დავიფიცეთ, საყდრის სამკვიდრო მამული ისრევა თქვენ დაგანებეთ ასრე, რომე არას ჩვენის სახლის კაცსა და შორის მეპატრონეს ამასთან ჴელი არა ჰქონდეს და არცავის შემოსარჩლად ეჴელკავის, არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი, კაცთაგან: მდივანბეგი ბატონი ვახტანგ, *პირსღებულის წინამძღვარი რომანოზ*, შუა ბოლნისის მამასახლისი შერმაზანა, ხასადარი ბერუა, ფინეზა და სულ ამ ჴეობის კაცნი ამისი მოწამენი არიან.

ვინცა და რამანცა კაცმან ანუ დიდმა და ანუ მცირემა ამისა შლად ჴელ-ყოს, რისხავსმცა დაუსაბამო, დაუსრულებელი მამა, ძე და სულიწმიდა, იუდასთანამც იქნების ნაწილი და სამკვიდრებელი მისი, ამინ, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი დალოცოს და აკურთხნეს ღმერთმან.

დაიწერა მტკიცე და უცილებელი სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტნიე, აპ<ა>რილს დამდგომს, მე, მღდელს ოქროპირს დამიწერია და მოწამეცა ვარ ჩემად სასულიეროდ და სადღეგრძელოთ სიონთა ღმ(რ)თისმშობლისათვინ შემიწირავს † † † *ბეჭედი: „რომ(ა)ნ(ოზ) წ(ი)ნ(ა)მ(ძღვარი) პ(ირღებულისა)]"*
ბეჭედი: „[ოქროპირ]"

3)

1708. VI. 10. გასული. ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუნა ციციშვილის მიერ უთრუთ ციციშვილისათვის ორი საკომლო მამულისა და ვენახის მიყიდვის შესახებ
სეა, 1450 51/101

[ქ.] სახელითა სახიარისა, არსება დაუსრულებელისა მ̄ღ(რ)თისა მამისა, მ̄ღ(რ)თისა ძისა,

მ̄ღ(რ)თისა სულისა წმინდისათა, მეოხებითა ყოვლად წმინდისა უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა მღთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა ძლიერებისა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა, წმინდათა ანგელოზთა, მთავარანგელოზთა: მიქაელ და გაბრიელისათა და ყოველთა ზეცისა ძალთა უხორცოთა, წმინდისა დიდებულისა, წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებელისათა, წმიდათა ოცდაოთხთა წინასწარმეტყველთა: მოსე, არონ, დავით, გედეონ, ესაია, იერემია, ამბაკომ და ყოველთა წინასწარმეტყველთათა, წმინდათა დიდთა მღდელთ<ა>-მოძღვართა: ბასილი, გრიგოლი, იოვანე ოქროპირი, ნიკოლოზ, სფირიდონ საკვირველთმოქმედისათა და ყოველთა მღდელთ-მოძღვართათა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა: პეტრესითა, პავლესითა და სხვათა სამეოცდაათთა მოციქულთათა, წმინდათა მხნეთა მხედართა, მთავარ მოწამეთა: თევდორე, დიმიტრი, გიორგი, არტემი, პროკოპი და პირველ მოწამისა სტეფანესითა, წმიდათა და ქალწულ მოწამეთა: თეკლა, ეკატერინე, მარინე,

ირინე, ბარბარა და ყოველთა ქალწულ მოწამეთათა და ყოველთა წმიდათა მ̄ღ(რ)თისათა, ზეცისა და ქვეყანისათა, ამათითა მინდობითა, შუამდგომლობითა და თავდებობითა ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი ყოვლის ადამის ტომის კაცთაგან მოუდევარი ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერინეთ და მოგეცით ჩვენ, ზემო ციციშვილმან პაპუნამან, ძმამან ჩემმან დიმიტრიმ, შვილმან ჩემმან ზაზამ, ფარსადან და ციცომ და ძმისწულმან ჩემმან ბარძიმ, შვილთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ქვემო ციცისშვილს, ზაზა<ს> სარდალ-სახლთუხუცის შვილს უთრუთას, შვილსა შენსა ზაზას და დავითს, გიორგისა და სარიდანსა და შვილთა და მამავალთა სახლისა შენისათა.

ასე რომე, დიაღ დაგვეჭირა და ვალი გვემართა, მოგყიდეთ ნიჩბი{სს} ჩვენ{ი} სამკვიდრო და ჩვენის განაყოფებისაგან ჩვენ წილში გამოტანილი <გამოტანილი> მამული საკომლო და დიანასი საწირაული ვენახი დათუნას ხიმშიაშვილ<ი>ს, რომ მამული ეჭირა ეს ორი საკომლო მე, რომ ოხერათ მიჭირავს და დიანას ვენახი, იმას გარდაისად ეს ორი საკომლო, როგორც რომ ედიშერ{ს} და მ{ე} გამომყოლია მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ვენახითა და სახნავითა და უხნავითა და თავისის რიგის წყლითა, სასაფლავოთა, სახლითა, კარითა, ნაშენითა, მისის კალო-საბძლითა, სახმარითა და უხმარითა, მისის გზითა, შესავლითა და გასავლითა და ყოველის მისის სამართლიანის სამძღვრითა, იქივ ნიჩბის{ს} ჩვენი სახასო მიწები, როგორც ედიშერასაგან და ნოდარისშვილებისაგ{ა}ნ, რაც წილში მამყოლიყოს საუფროსოთი ნიჩბისის მთა ჩვენი კერძი გამოსაღები სამთო სატეხითა და უტეხითა, სახმარი და უხმარი, სარწყავებითა და ურწყავებითა, ქორისა და მიმინოსი, ბუდითა და საბადურითა ესეები მთლათ და უკლებლათ მოგყიდეთ, ავიღევით ამისი ფასი სრული რითაც ჩვენი გული შე{ი}ჯერეთ, ჩვენში არა დარჩომილა-რა არც ერთი იოტის ფასი, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, ასე გა<მ>ჯმაროს, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს, თუ ვინმე ამ ჩვენგან მონასყიდობას წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ, მომიცია ამისად გასათავებლად და თავდებად პირველად ღ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი, არიან ამისი მოწამენი კაცთაგან: ნაზირი ედიშერ [ედიშერ], მდივანი ოთარ [მდივანი ოთარ], ბეგთაბეგისშვილი მდივანი ავთანდილ [ავთანდილ], *პირღებულთა მღთისმშობლის წინამძღვარი იოსებ [იოსებ]*, ჩვენი სახლთუხუცესი ბერუკა ალექსიძე, იოთამ ჩინჩლაძე, ოთარ ტერტერას შვილი პაპუა.

ვინცა და რამაც ადამის მონათესავე კაცმან ანუ დიდმან ანუ მცირემან ანუ მძლავრობით ან თავ{ხ}ედობით ეს ჩვენგან მონასყიდობა მოგიშალოს, მასამც რისხ{ა}ვს მაღალი დაუსრულებელი ღმერთი და ყოველნი ზეცისა და ქვეყანი{სანი} წმინდანი, მასამცა ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი,

მკვლელობა კაენისა, ცოცხლი[ვ] დანთქმა დათან და აბირონისებს, მასამცა სამენი მას მეორედ მოსულასა ხმა იგი საზარელი და საშინელი: წარვედით წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის, ნუმცა იხსნება სული მისი ჯოჯოხეთის მწარის სატანჯველისაგან, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

დაიწერა სიგელი ესე ჴელითა სიონთა მ̄ღ(რ)თისმშობლის კანდელაკის გრიგოლისათა, თვესა თიბათვის ათს გასულს, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტჟვ [ადგილი ბეჭდისა] †, მე, ზაზა ციციშვილი ამისი მოწამ[ე] [ზაზა], მე, ოქ[რ]უათ ბეჟუა ამის მოწამე ვარ [ბეჟუა].

4)

1719 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარსადან ციციშვილის მიერ სუფრაჯის შვილ წინამძღვარ იოსებისათვის [მართამშვილ-აბაშიშვილისათვის]

სეა, 1450 15/68

[ქ.] სახელითა სახიერითა დაუსრულებელისათა მამისათა და ძისათა და სულის წმინდისათა,

მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა კურთხეულისა მ̄ღ(რ)თისმშობელისათა, მეოხებითა წმიდათა მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისათა, მეოხებითა და შუამდგომლობითა ნათლისმცემელისათა, თავდებობითა და შუამდგომლობითა წმინდა მოციქულთა პეტრესი და პავლესითა და სამოცდა ათთა მოციქულთა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა წინასწარმეტყველთა და მღვდელთ-მოძღვართა: ბასილი, გრიგოლი, იოვანე, ოქროპირი, ნიკოლოზ მირონ ქალაქის ეფ[ი]სკოპოზის და წმიდათა ზეცისა უსხეულოთა და არნიცა წმიდანი ზეცას არიან ანუ ქვეყნათ ბძანდებიან ანუ წმიდა სვინაქსართა შინა წერილ არიან, ამათის თავდებობითა და შუამდგომლობითა ესე ამიერითგან უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი მიზეზ-მოუდებერი და დრო-შემოუკრებელი ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ციციშვილმან ფარსადან და შვილმან ჩემ[მ]ან პაპუნამა *თქვენ, სუფრაჯის შვილს, იოსებს წინამძღვარსა,* მოგყიდე დაღეთს ჩემი სამკვიდრო მამული და ძმათ[ა]გან ბარათაში გამოყოლილი ყოვლის კაცისაგან მოუდევარი და უცილებელი წატურაშვილი თავისის მამულითა და ბურდილის მამა, დედა-შვილის იასის მამული თავისის სახლითა, კარითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, სათესითა, მთითა, ბარითა, ტყითა, მინდურითა, წყლითა, წისქუილითა, შესავლითა, გასავლით, რისაც მქონებელი ყოფილიყოს და მქონებელი იყოს, ავიღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა, არის მოწამე თავად ღმერთი დაუსაბამო და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყნისანი და კაცთაგან: ბაზი<ა>[ე]რთ[უ]ხუცესი [„ზაზა“] ზა[ა]ლ ბადურისშვილი [ადგილი ბეჭდისა], შემრიგედ შუამ[ავა]ლი ლიპარი [ადგილი ბეჭდისა], დავით შენი ბიძაშვილი †, ქაიხოსრო მაღრაძე, რევაზისშვილი რამაზა, გლეხისგან: ბაინდურაშვილი ბერი, ხოსიტა, ყაზანაშვილი, ჭაბუკაშვილი ზურაბა და შალვა.

ვინცა და რამანცა კაცმან ამისა შლად ხელყოს, მასამც რისხავს ღ(მერ)თი დაუსრულებელი,

ყოვლად წმინდა თვით დედოფალი მ̄ღ(რ)თისმშობელი, მასამც ედების ცეცხლი გე[ე]ნისა, კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, თრთოლა კა[ე]ნისა, დანთქმა აბირონისა, მეხ-ტეხილობა დიოსკორესი, ნურათამცა ნუ იქნების სული მისის ნუცა წირვითა, დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს [ადგილი ბეჭდისა]. დაიწერა ჟამსა და ხანთა მეფობისა ვახტანგისასა, ქ(ორონიკ(ონ)ს უზ.

ამ წატურას <მ>წილის მამულს და ბურდულის მამულს, რაც ჩემგან მოსყიდული არის, ვინცა და რაც კაცი შემოგეცილოს ამ მამულის პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო [ადგილი ბეჭდისა] † †, არის ამისი მოწამე ბატონი სარდალი ლუარსაბ [ადგილი ბეჭდისა], არის ამისი მოწამე ბატონი დიანბეგი ერასტი [ადგილი ბეჭდისა], არის ამისი მოწამე ბატონი მამუკა, არის ამისი მოწამე მეღვინეთ[უ]ხუცესი როსაბ იარალიშვილი [ადგილი ბეჭდისა].

5)

1729. V. დამდეგი. მანგლელ იოსებ აბაშიშვილის მოძების სიგელი თავის დის, დარეჯანისა და თავის სიძის ორბელისათვის ახალდიას ნასონიშვილი საბაქთარისა და ვახტანგის ნასყიდი ნასოფლარის წყალობის შესახებ

სეა, 1450 38/7

[ქ.] ნებითა და შეწევნითა მ̄ღ(რ)თისითა.

მე, მანგლელმან, აბაშისშვილმან იოსებ მოგეც ჩემი ნასყიდი ახალდიას ნასონიშვილის საბაქთ[ა]რის და ვახტანგის მოსყიდული ნასოფლარი ქალაქის შარამდინ აკაურთის <კენჭი> [კერძი] ყარამდინ წყაროს მიწა ამისთვინ, რომე მოხვედით ჩემ[მ]ა დამან დარეჯან და ჩემ[მ]ან სიძემან ორბელმან და იოთამ, რევაზ, ნიკოლოზ და დავით ასე, რომე შემამეხვეწენით ერთის გუთნის სახნავი მიწა მთხოვეთ,

თქვენზე ახლო იყო და იქ მოგეც ახალდი[ა] <კენჭი> [კერძი] ყარამდინ აკ[ა]ურთის გზა, რომე გამოივლის იმას ზევით ღმერთმან მოგცესთ და გიბედნიეროსთ ჩემს დასა და ჩემს სიძეს და დისწულებს, სხვა არა მოგეც რა და ისი[ც] მთხოვეთ და ის მოგეც, რომე იმასთან არას კაცს ხელი არა [ჰ]ქონდეს, არც ჩემს ძმეზს, არც ჩემს ძმისწულებს, არც სახლისკაცს.

ვინც, ეს მოგიშალოს, მასცა <მ>[ჰ]რისხავს *პირღებულთა მ˜ღ(რ)თისმშობელი*, არის ამისი მოწამე: იახათუნასშვილი იასე, იახათუნასშვილი მოსე, იასონასშვილი დეკანოზი ოსია, კიდევ ჩემი მსახური ვარდია.

დაიწერა მის დამდექს ქ(ორონი)კ(ონ)ს უიზ [ადგილი ბეჭდისა, საფიქრებელი იოსებ მანგლელი აბაშიშვილის ბეჭედი უნდა იყოს, რადგან იგი არის საბუთის გამცემი], ბიძიას მანგლელს, რაც თავის დის დარეჯანისათვის და თავის სიძის ორბელისათვის ახალდია[ა]ს თავისგან ნასყიდი მიეცა, მეც ყაბული ვქენ, მე, სვიმონ აბაშისშვილმა [გადმოხატულია სვიმონ აბაშიშვილის ხელრთვა].

6)

1766. VI. 15. სვიმონ წინამძღვრის მოწმობის წიგნი (გორჯასპ აბაშიშვილის შვილი სვიმონი; პირღებული მონასტრსი წინამძღვარი)

სეა, 1450 38/9

მე, ყოვლად უღირსი წინამძღვარი ს[ვ]იმონ ამ ერასტის თაქალთოიანის ობლებს, რომ თავისი ყმა ელაზაშვილი ტყუილად თავს ართმევს, რომ ოსმალობას კახეთს გასული ვარო, მე ამისი მოწამე ვარ, რომ ყიზილბაშობას ეს თავისი ბატონებიცა და ელაზაშვილიცა სამშვილდეს იყვნენ, არც ოსმალობას აყრილა <ჭ>[ყ](ოვლა)დ უსამართ[ლ]ოთ იგონებს და მტყუანი და ცრუც არიან ეგ ბიჭები, ივნის[ს] იე, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნდ.

Materials about Pirghebuli Monastery and Its Father Superiors

Tamaz Gogoladze

The paper is dedicated to the Monastery of Mother of God of Pirghebuli and to its Father Superiors. I have established a chronological order of Father Superiors of Pirghebuli Monastery in 12th c . and in 17th -18th cc. based on the comparative analysis of three types of sources: : *invocation colophon* by Demetre, Father Superior of Pirghebuli Monastery, which is dated by1180s-1190s , a *list of the members of King Vakhtang VI retinue* dated by 1724, and *Georgian diplomatic documents* dated by 17th-18th cc. Namely, I have identified six Father Superiors of the Pirghebuli Monastery. Their majority were descendants of the Abashishvilis' feudal house. This feudal house had a burial church in Pirghebuli Monastery.

1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით

მანუჩარ გუნცაძე

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მსვლელობაში დიდი როლი ითამაშა შიდა კონფლიქტებმა, რომლებიც აფხაზეთსა და შიდა ქართლის ნაწილში ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ წარმოიქმნა. კონფლიქტების წარმოქმნა და განვითარება მეოცე საუკუნეში მოხდა, რასაც ძირითადად გარეშე ძალის ჩარევა უწყობდა ხელს. კონფლიქტის დაწყების პერიოდიდან რუსეთი მფარველობდა საქართველოში არსებულ სეპარატისტულ ძალებს, რადგან თავისთავად ცხადია მათი წარმატება საქართველოს დასუსტებას ნიშნავდა. დასუსტებულ საქართველოზე გავლენის გავრცელება კი რუსეთს გაუმარტივდებოდა. თავისი წილი პასუხისმგებლობა ამ კონფლიქტებში, რა თქმა უნდა, ყველა მხარეს გააჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ კონფლიქტის დამწყებად ყოველთვის ოსი ბოლშევიკების სეპარატისტული ძალები გვევლინებოდა, რომელსაც რუსეთის მხრიდან მნიშვნელოვანი ხელშეწყობა ჰქონდა.

მიუხედავად მეოცე საუკუნეში არსებული მასშტაბური სამხედრო დაპირისპირებებისა, ყველაზე დიდ წარმატებას ოსმა სეპარატისტებმა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს მიაღწიეს. სწორედ ამის შემდეგ აღიარა რუსეთმა და რამდენიმე სხვა ქვეყანამ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თუმცა საერთაშორისო საზოგადოება ამ ფაქტს არ სცნობს და აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ კონფლიქტის სწორედ ასეთი მნიშვნელობის გამო საჭიროა მისი, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით შესწავლა, რათა უკეთ მოეფინოს ნათელი განვითარებულ მოვლენებს. ეს სტატიაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ამ შემთხვევაში ჩვენ შიდა ქართლში წარმოქმნილ კონფლიქტზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან კვლევის ობიექტს ოსთა 1920 წლის აჯანყება წარმოადგენს. როდესაც საუბარია ოსთა აჯანყებაზე, თავისთავად აქ ვგულისხმობთ ოსი ბოლშევიკების აჯანყებას, რადგან საქართველოში მცხოვრებ დანარჩენ ოსებს აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. 1918-1921 წლებში საქართველოში ოსთა სამი აჯანყება მოხდა. ოსები აჯანყებებს ყოველთვის მაშინ იწყებდნენ, როდესაც საქართველო რთულ მდგომარეობაში იყო და სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა.

პირველი აჯანყება მოხდა 1918 წელს, ეს ის დროა, როდესაც საქართველოს შეიარაღებული დაპირისპირება აქვს ოსმალეთთან. ეს აჯანყება წმინდა პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა, რადგან მათ წარმოდგენილი მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობაც არ მისცეს ქართულ მხარეს, ისე დაიწყეს სამხედრო მოქმედებები. შედეგად გაბარცვეს და დაარბიეს ცხინვალი, მაგრამ ამ ძარცვა-რბევის გარდა მათ მეტი სარგებელი ვერ ნახეს. ქართული გვარდიის ნაწილებმა რამდენიმე დღეში მოახდინეს აჯანყების ჩახშობა. აჯანყების ჩახშობის დროს მიმდინარეობდა მხოლოდ შეიარაღებული პირების განეიტრალება და ქართული მხარე მაქსიმალურად ერიდებოდა სოფლებში შესვლას, რათა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი არ გამოეწვია.

1919 წელს მოეწყო მეორე აჯანყება, რომელიც დენიკინთან დაპირისპირების მომენტს დაემთხვა. ოსების მოთხოვნა ამჯერად იყო ცალკე სამაზრო ერთეულის წარმოქმნა, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრადაც მათ ცხინვალი სურდათ. ისინი ითხოვდნენ ცალკე სასამართლო სისტემასაც, რითაც ქართული სასამართლო სისტემის იგნორირება მოხდებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კი მათ სთავაზობდა ჯავის მაზრის შექმნას. ცხინვალი მათი ადმინისტრაციული ცენტრი ვერ გახდებოდა, რადგან იქ მოსახლეობის უმრავლესობა ქართული იყო, ამიტომ მათ ამის მოთხოვნის რეალური მიზეზი არ გააჩნდათ. ოსები ამ შეთავაზებას არ დათანხმდნენ, მათ პროტესტიც კი გამოუცხადეს დამფუძნებელი კრების არჩევნებს და რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბრძანებით დაიწყეს მზადება მასშტაბური აჯანყებისთვის. აქ უკვე კარგად ჩანდა რუსი ბოლშევიკების როლი და მათი ინტერესები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ აჯანყებას თბილისში და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები ოსების ნაწილი არ იზიარებდა. ანუ ეს არ ყოფილა ეთნიკური დაპირისპირება, ის პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ქართულმა მხარემ შეიტყო აჯანყების მზადება და მისი მონაწილეების დიდი ნაწილი დააპატიმრა, რის შემდეგაც უკვე ადვილად მოხერხდა მისი ჩახშობა.

მომდევნო აჯანყება კი წინა ორი აჯანყებისგან განსხვავებით ბევრად მასშტაბური და მნიშვნელოვანი იყო. აქ უკვე რუსეთის ინტერესები აშკარაა; ისინი აჯანყებულებს პოლიტიკურად, ფულადი სახით და გარკვეული შეიარაღებული ნაწილების გაგზავნითაც კი ეხმარებოდნენ. ეს აჯანყება 1920 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის, შიდა ქართლის ნაწილის საქართველოსგან ჩამოშორებას და რუსეთთან მიერთებას. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მალე ჩაახშო აჯანყება, მაგრამ შედეგი ბოლომდე დადებითი ვერ იქნებოდა. მართალია, ქართული ტერიტორია განთავისუფლდა აჯანყებულთა ბანდებისაგან, მაგრამ ეს დაპირისპირება ოსების და ქართველების მახსოვრობაში მაინც დარჩა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა მიეჩქმალა მისი როლი ამ აჯანყებაში, არადა სწორედ რუსეთიდან მოდიოდა აჯანყების დაწყების ბრძანება. ქართულ მხარეს მკაცრი ზომების გატარება მოუწია აჯანყებულთა წინააღმდეგ, რადგან ეს უკვე მესამე აჯანყება იყო ოსი სეპარატისტების მხრიდან და საჭიროებდა საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ეს პრობლემა. გაუთავებელი დაპირისპირება ხელს უშლიდა საქართველოს განვითარებას და შესაბამისად იქ მცხოვრები მოსახლეობის (მათ შორის ოსების) წინსვლას და მშვიდობიან ცხოვრებას.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ოსური (აქ იგულისხმება სეპარატისტული ნაწილი) და რუსული მხრიდანაც დაიწყო იმაზე საუბარი, რომ ქართველებმა გენოციდი მოუწყვეს 1920 წელს ოსებს, ამ თემით აპელირება დღემდე გრძელდება. სწორედ ეს გახლავთ კიდევ ერთი მიზეზი ამ ნაშრომში განხორციელებული კვლევისა, სადაც დაწვრილებით არის წარმოდგენილი აჯანყების მზადების პერიოდი, მისი პოლიტიკური განვითარება, სტრატეგიული გეგმის შემუშავება, სამხედრო მოვლენების ყოველდღიური მსვლელობა და აჯანყების ჩახშობის შემდეგ განვითარებული მოვლენები და შეფასებები, როგორც ქართული, ისე ოსური (რუსული) მხრიდან. სტატიაში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ეს არ იყო ქართველების და ოსების ეთნიკური დაპირისპირება, რომელსაც შეიძლებოდა ოსების გენოციდი გამოეწვია, რისი დამადასტურებელი არგუმენტებიც ნაშრომში მოყვანილია.

პრობლემის კვლევისას ძირითად წყაროს წარმოადგენდა აჯანყების თანადროული ქართული პრესა (სტატიაში მითითებისას ძირითადად ხდება ერთი გაზეთის მითითება, რადგან ინფორმაციის ძირითადი ნაწილი რამდენიმე გაზეთში მაგ. *ერთობა, საქართველოს რესპუბლიკა, საბალხო საქმე* ერთნაირად იყო გადაბეჭდილი), რომელიც საკმარის მასალას გვაწვდის მოვლენების აღწერისათვის. კომპლექსური კვლევისათვის, რა თქმა უნდა, მხოლოდ პრესაზე დაყრდნობა საკმარისი არ არის და საჭიროა დამატებითი მასალების გამოყენებაც. სწორედ ამისთვის დამატებით წყაროდ აღებულია მემუარები, რომელთა ანალიზის შედეგადაც შეგვიძლია სასარგებლო მასალის მიღება პრობლემის კვლევის განვითარებისათვის. მეტი სანდოობისათვის გამოყენებულ იქნა ასევე ამ პერიოდის ის დოკუმენტები, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს.

მოხდა ასევე სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების შესწავლაც, რადგან აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას თუ როგორ არის ჩატარებული ამ მხრივ კვლევა და რა მასალებია აქამდე მოძიებული. ოსურ საკითხზე და ზოგადად საქართველოში არსებულ შიდა კონფლიქტებზე, რა თქმა უნდა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონოგრაფიაა დაწერილი, მაგრამ მათში არ არის საკმარისი ინფორმაცია 1920 წლის აჯანყების შესახებ. ამ აჯანყებაზე არ არსებობს ცალკე მონოგრაფია, ხოლო იმ მონოგრაფიებში, სადაც ამ მოვლენებზეა საუბარი, აღნიშნულ აჯანყებას მხოლოდ რამდენიმე გვერდი ეთმობა, რაც ვერ ქმნის სრულ სურათს. ასევე მათში არასწორადაა გაშუქებული აჯანყების მეთაურის საკითხი. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული არის, რომ 1920 წლის აჯანყების ჩახშობას ვალიკო ჯუღელი ხელმძღვანელობდა, თუმცა სტატიაში განხილული მასალის საფუძველზე ხდება იმის დამტკიცება, რომ რეალურად აჯანყების ჩახშობას გენერალი გიორგი კვინიტაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო ჯუღელს მხოლოდ ერთი, კონკრეტულად კი, მარჯვენა ფლანგის მეთაურობა ებარა. ჯუღელს, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ამ აჯანყების ჩახშობაში, ის მონაწილეობას იღებდა სამხედრო კრებების დროს გადაწყვეტილებების მიღებაშიც, მაგრამ ის იყო მხოლოდ მარჯვენა ფლანგის მეთაური. სწორედ გიორგი კვინიტაძის მიერ მოხდა გვარდიის ნაწილების გადანაწილება დისლოკაციის ადგილზე, მათი კოლონებად დაყოფა, სამხედრო მეთაურობის დანიშვნა და ძირითადი სამხედრო მოქმედებების წარმართვა.

წინამდებარე სტატიაში უკვე არსებული სამეცნიერო კვლევებისგან განსხვავებით წარმოდგენილია, როგორც უკვე ვთქვით, 1920 წლის მოვლენების სრული აღწერა და არა ცალკეული ფრაგმენტების მიმოხილვა, ასევე სამხედრო მოქმედებების ყოველდღიური მსვლელობა ტაქტიკური მონახაზის გათვალისწინებით და მოვლენების მონაწილეთა შეფასებებით.

შიდა ქართლის ოსების 1920 წლის აჯანყების საფუძვლები, რა თქმა უნდა, წინა აჯანყებებში უნდა ვეძებოთ, რადგან მათ შორის დროის სხვაობა არც ისე დიდია და გარკვეულ წილად, ერთმანეთის გაგრძელებებადაც შეიძლება მოვისაზროთ.

1920 წლის აჯანყება დაიწყო მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა ბოლშევიკურ აზერბაიჯანთან, რომლის უკანაც რეალურად რუსეთი იდგა, მაგრამ 1920 წლის 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ რუსეთს აღარ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი კამპანიის დაწყება.

ის ხერხი, რომელიც ბოლშევიკებმა გამოიყენეს, საკმაოდ კარგად იყო გათვლილი, ერთი მხრივ, აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრებოდა წითელი არმია, ხოლო, მეორე მხრივ, დაიწყებოდა შიდა აჯანყება, რომელიც მეორე მხრიდან დააზიანებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. საბოლოო მიზანი კი, ბუნებრივია, საქართველოს გასაბჭოება იყო. გარდა საქართველო-აზერბაიჯანის დაპირისპირებისა[1] და საქართველოში მცხოვრები ოსების აჯანყებისა, იყო კიდევ ერთი წერტილი, საიდანაც იგეგმებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს იყო კადეტთა სასწავლებელი, რომელზე თავდასხმაც 2 მაისს განხორციელდა. მიზანი თბილისში არსებული კადეტთა სასწავლებლის ხელში ჩაგდება იყო, რომლის შემდეგაც უკვე ხელისუფლების ჩამოგდება იგეგმებოდა, თუმცა მათ აქ წინააღმდეგობა დახვდათ და ამ მიზნის განხორციელება ვერ შეძლეს.

1920 წლის აჯანყების საფუძვლად უნდა ჩაითვალოს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 23 მარტის დადგენილება, რომელიც გახდა საფუძველი ახალი მღელვარებისა შიდა ქართლში. დადგენილების ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი შემდეგი იყო:

> მოხდეს რევკომის ორგანიზება სამხრეთ ოსეთში. სამხრეთ ოსეთის რევკომის წევრებად დაინიშნონ ამხანაგები გაგლოევი, ჯათიევი და სანაკოევი.
> დავალებები:
> დათხოვნილ იქნეს ეროვნული საბჭოს ძველი შემადგენლობა;
> გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება; დროებით მთელი ძალაუფლება ეკუთვნის რევკომს;
> დაუყოვნებლივ მოხდეს შეიარაღებული შენაერთის ფორმირება;
> მოხდეს კავშირის დამყარება ჩრდილოეთ ოსეთთან და გორის მაზრის მოსახლეობასთან; მოძრაობის ცენტრი სასურველია იყოს ცხინვალი. რევკომს განკარგულებაში გადაეცემა 100 ათასი რუბლი (ბერიძე და *სხვები* 1958: 552-553).

ეს დადგენილება ცხადყოფს, რომ უთანხმოების სათავე არა ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობებშია, არამედ – რუსი ბოლშევიკების ინტერესებში, რომლის მიზანიც, ცხადია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასუსტება და ამის ხარჯზე რუსეთის პოზიციების გაძლიერება იყო.

საქართველოს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის მოგონებებში *ფიქრები საქართველოზე* წერს: „როკის უღელტეხილით შემოჭრილმა რუსეთმა „ოსეთის აჯანყების“ სპექტაკლი დადგა“ (ლორთქიფანიძე 1995: 152). საქართველოს მთავრობა კარგად აცნობიერებდა, რეალურად ვინ იდგა ოსეთის აჯანყების უკან, მაგრამ აუცილებელი იყო 7 მაისის ხელშეკრულების შენარჩუნება, თან რუსეთთან ღია დაპირისპირება არც საქართველოს აძლევდა ხელს.

ხელახალი აჯანყების დასაწყებად არსებული საფრთხის შესახებ საქართველოს მთავრობამ უკვე აპრილის დასაწყისშივე შეიტყო. 4 აპრილს გორში გაიმართა მთლიანი მაზრის სახალხო გვარდიის შტაბებისა და რწმუნებულების წარმომადგენელთა კონფერენცია, სადაც განხილული იყო არსებული ვითარება და უსაფრთხოების საკითხები. კონფერენციას წარმომადგენლები ესწრებოდნენ ჯავიდან, ცხინვალიდან, ახალქალაქიდან, გორიდან, ქარელიდან, ბორჯომიდან, ხაშურიდან, მეჯვრისხევიდან და ქვემო ჭალიდან. კონფერენციას ასევე ესწრებოდა მთავარი შტაბის წამომადგენელი გ. სირბილაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ი. ქარცივაძე (გურული 1920: 4).

ჯავის წარმომადგენლების, ძასოხოვისა და გასიევის, ინფორმაციით იმ პერიოდისათვის რაიონში სიმშვიდე იყო და ხალხი მთავრობას ნდობით უყურებდა, არც ბოლშევიკური გამოსვლები იყო სადმე, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდათ ადმინისტრაციის აპარატის გაძლიერება, რეგულარული ჯარის ჩაყენება და ჩრდილო კავკასიისაკენ გადასასვლელი გზების დახურვა. როგორც შემდგომ განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, ეს გათვლები სწორი იყო და ამ რჩევების გათვალისწინება კი – აუცილებელი, მაგრამ ის ზომები, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო, მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ცხინვალის წარმომადგენლის, ელიოზიშვილის, განცხადება ასეთი იყო:

> ჯერჯერობით ცხინვალში მდგომარეობა ნორმალურს კალაპოტშია. მხოლოდ სოფლებში ყაჩაღობამ იჩინა თავი და საჭიროა მის წინააღმდეგ საჩქარო ზომების მიღება. განსაცდელი მოგველის ჯავისა და როკის მხრიდან, სადაც ბოლშევიკურ მოძღვრებას ღრმად აქვს გადგმული ფესვები. საჭიროა ჯარის ჩაყენება ჩვენს რაიონში და ადმინისტრაციის გაძლიერება (გურული 1920: 4).

ცხინვალსა და ჯავაში კარგად ხვდებოდნენ მოსალოდნელ საფრთხეს, მაგრამ დროული და საკმარისი რეაგირება არ მოხდა, ამან კი საბოლოოდ მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანა.

7 აპრილს ასევე გაიმართა სახალხო გვარდიის კრება გომში, რომელმაც დაადგინა, რომ გვარდია ადმინისტრაციასთან ერთად სასტიკად შეებრძოლებოდა რესპუბლიკის წინააღმდეგ ყოველგვარ გამოსვლებს (*ერთობა* №96 1920: 4).

აჯანყების დაწყების თარიღად შეგვიძლია მივიჩნიოთ 6 მაისი, როდესაც სამხრეთ ოსეთის რევკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ეწერა, რომ ქართული ხელისუფლების ჯარები კეტავენ გადასასვლელებს, ასევე კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბრძანების გათვალისწინებით აცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას და უერთდებიან რსფსრ-ს, რის შესახებაც აცნობებენ მოსკოვს და დემოკრატიულ საქართველოს. გადაწყვეტილებას ხელს აწერენ ჯათიევი და დევდარიანი (ბერიძე და *სხვები* 1958: 562).

სამხრეთ ოსეთის რევკომის ეს გადაწყვეტილება იყო რუსული ავანტიურის მორიგი შედეგი, რომელმაც ბიძგი მისცა საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის გაღვივებას. ამას ემატება ისიც, რომ რუსეთიდან გადმოვიდნენ შეიარაღებული ძალებიც, რამაც უფრო გააგულიანა სამხრეთ ოსეთის რევკომი და მეტი თავდაჯერებულობა შემატა. ამასთან დაკავშირებით დიალოგი გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს შორის. უფრო ზუსტად კი გეგეჭკორმა ჩიჩერინს გაუგზავნა ნოტა, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ საბჭოთა მთავრობის რაზმმა ზარბაზნებით გადმოიარა როკის გადასასვლელი და შემოიჭრა საქართველოში, კერძოდ, თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. ჩიჩერინი კი აიმედებდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ სურს არანაირი დაპირისპირება საქართველოსთან და თუ ასეთი შემთხვევა მართლაც მოხდა, მაშინ ეს შეიარაღებული ნაწილები დატოვებენ საქართველოს საზღვარს (*ერთობა* №101 1920: 3).

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა საქართველოსა და რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა მის ისტორიულ საზღვრებში. ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ურატაძემ, ხოლო რუსეთის მხრიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ კარახანმა.

ხელშეკრულებით ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა, რომ ერთმანეთის საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდნენ, ასევე გათვალისწინებული იყო, რომ არც ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა ყოფილიყო ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც მეორე ქვეყნის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ამით გამოდის, რომ რუსეთს არ უნდა დაეშვა თავის ტერიტორიაზე არც ერთი შეიარაღებული ბანდა, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის ტერიტორიიდან, თუნდაც დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსული ნებისმიერი შეიარაღებული ძალა, რომელიც დაეხმარებოდა აჯანყებულებს, გამოიწვევდა ხელშეკრულების პირობების დარღვევას, ასეთი ფაქტი კი იყო, თუმცა ჩიჩერინი პასუხისმგებლობას ირიდებდა.

რუსეთის მხრიდან აჯანყებულებისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებს ს. ორჯონიკიძის წერილი ლენინის და სტალინის მიმართ:

> მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს. ბაქო, 1920 წლის 4 მაისი. მეორედ გპასუხობთ. ამბები ისე დატრიალდა, რომ იმედი გვაქვს თორმეტს მაინც თბილისს ვიქნეთ. საამისოდ ყველაფერი გაკეთებულია. ბრწყინვალედ გამოვა. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა აჯანყებულთა საშინელ ხოცვა-ჟლეტას გამოიწვევს. ორჯონიკიძე (თოიძე 1991ბ: 12-13).

7 მაისს ორჯონიკიძე და კიროვი კიდევ ერთ დეპეშას უგზავნიან ლენინს:

> აჯანყების რაიონია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხი, აფხაზეთი და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია. საზღვრებისკენ ჩვენი წაწევისას აჯანყება აღნიშნულ რაიონებში გარდაუვალია. რას გვიბრძანებთ – დავუჭიროთ მხარი თუ ჩვენთვის ვიყოთ (თოიძე 1991ბ: 14-15).

ეს დეპეშა კარგად გვიჩვენებს, რომ რუსეთს ხელს აძლევდა ეს აჯანყებები და საქართველოში არსებული კიდევ ერთი ცეცხლის კერა ბოლშევიკებს გაუადვილებდა საქართველოში შემოჭრას და გასაბჭოებას.

8 მაისს რევკომმა თავისი გადაწყვეტილება ძალაში მოიყვანა და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება როკის რაიონში. ეს უკვე აღარ იყო ოსების თვითგამორკვევა, ან ეროვნული უმცირესობის მხრიდან გარკვეული სახის ავტონომიის, ან ადგილობრივი თვითმართველობის მოთხოვნა, ამ გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთის რევკომი საქართველოს წყვეტდა მის ისტორიულ ტერიტორიას, შიდა ქართლის ნაწილს და უერთებდა რუსეთს, რომლსაც ერთი დღით ადრე უკვე დადებული ჰქონდა საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება და აღიარებდა მის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

აჯანყებულები მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ თუ მათ თავისი გეგმების რეალურად განხორციელება და შენარჩუნება სურდათ, მაშინ რუსეთს აქტიური მხარდაჭერა უნდა გაეწია, რაც საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საეჭვო იყო. მართალია, რუსეთმა მისცა ბიძგი აჯანყებას და კონფლიქტის წარმოქმნას ქართველებსა და ოსებს შორის, მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც ხელშეკრულება დადებული არ იყო და ბოლშევიკებს ღია მოქმედების საშუალებები არ ჰქონდათ. ხელშეკრულების დადების შემდეგ კი ბოლშევიკებს საქართველოში თავისუფალი მოქმედებების საშუალება მიეცათ და იმისათვის, რომ ხელშეკრულება არ დარღვეულიყო რუსეთი აჯანყებულთა დასახმარებლად აქტიურ მოქმედებებს ერიდებოდა, იყო დახმარების გარკვეული ცდები, თუმცა ამას ფაქტობრივად არანაირი შედეგი არ მოუტანია.

ოსმა აჯანყებულებმა მაინც მიმართეს რუსეთს და სთხოვეს, რომ საქართველოზე მოეხდინათ ზეწოლა და შეეჩერებინათ ის შეიარაღებული ძალები, რომელთა გაგზავნასაც დემოკრატიული საქართველოს მთავრობა აპირებდა რესპუბლიკის ერთიანობის დასაცავად და აჯანყების ჩასახშობად.

რუსეთიდან შედეგმაც არ დააყოვნა და ჩიჩერინმა გამოგზავნა ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო:

> ჩვენ შეშფოთებით შევიტყვეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება, გაგზავნილია ქართული ჯარი არსებული ხელისუფლების გასანადგურებლად. თუ ეს სიმართლეა ჩვენ მოვითხოვთ გამოიხმოთ ჯარი ოსეთიდან, რადგან ოსეთს უნდა ჰყავდეს ის ხელისუფლება, როგორიც მას სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა სხვის საქმეებში გაუმართლებელი ჩარევა (თოიძე 1991ა: 34).

ეს, რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან არასწორი ნაბიჯი იყო და საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას ნიშნავდა, განსაკუთრებით კი 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, რომლის მეორე მუხლშიც ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ რუსეთი უარს ამბობდა საქართველოს საშინაო საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

ქართული მხარე ამ ნოტას პასუხგაუცემელს ვერ დატოვებდა, რადგან ეს ეხებოდა როგორც ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, რომლის განმტკიცებაშიც წესით ხელი უნდა შეეწყო ახლად დადებულ ხელშეკრულებას და მსგავსი საკითხები აღარ უნდა წამოჭრილიყო, ასევე ეს იყო დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა. საპასუხო ნოტა ჩიჩერინს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა გაუგზავნა:

> კმაყოფილებით აღვნიშნავ რა თქვენს ნოტაში გამოხატულ ტენდენციას, ხელი შეუწყოს საქართველოს აღდგენას მის ისტორიულ საზღვრებში, საქართველოს მთავრობა უკიდურესად შეშფოთებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს განზრახვაზე იარაღით ჩაახშოს საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში. ჩემს მოვალეობად ვთვლი თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ საქართველოს საზღვრებში არის არა სამხრეთ ოსეთი, არამედ საქართველოში მყოფი ოსური დასახლებები მდებარეობენ არასადავო ტერიტორიაზე ტფილისის გუბერნიის ძველი საზღვრის სამხრეთით, იმ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით, რომელიც დადგენილია საქართველოსა და რუსეთს შორის (მენთეშაშვილი 1989: 10).

საპასუხო ნოტაში გეგეჭკორი ასევე შეახსენებს, რომ საბჭოთა ჯარები 2 ზარბაზნით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე როკის დასახლებასთან და გამოთქვამს იმედს მათი უკან გაწვევის. გეგეჭკორის ეს პასუხი იყო დამოუკიდებელი ქვეყნის მიერ ტერიტორიული ერთიანობის დაცვის გამოხატულება საერთაშორისო ასპარეზზე. რადგან ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს რუსეთი წარმოადგენდა და საჭირო იყო 7 მაისს ხელშეკრულების პირობების მკაცრი დაცვა, რათა რუსეთისთვის არ მიეცათ უფლება რესპუბლიკის საქმეებში ჩარევის. ეს უნდა ყოფილიყო მაგალითი რუსეთისთვის იმისა, რომ ის ვეღარ ჩაერეოდა საქართველოს საქმეებში და დადებული ხელშეკრულება რეალურად მოქმედებდა. ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის მთავრობას სრული უფლება ჰქონდა ჯარი გაეგზავნა აჯანყების ჩასახშობად, რადგან ეს მის საშინაო საქმეებს ეხებოდა და სახელმწიფოს თავად უნდა გადაეჭრა ეს პრობლემა.

17 მაისს ცხინვალში გაიმართა კრება, რომელსაც დამფუძნებელი კრების წევრები ესწრებოდნენ. კრებაზე განიხილეს არსებული ვითარება და პრობლემის გადაჭრის გზები.

> ცხინვალის რაიონის სახალხო გვარდია და დაბა ცხინვალის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი ყრილობა იწონებს მთავრობის ნაბიჯებს, გადადგმულს საქართველოს სუვერენობის და მისი დემოკრატიის სისხლით მოპოვებული თავისუფლების დაცვისაკენ (*ერთობა* №114 1920: 4).

ამავე კრებაზე ნდობა გამოუცხადეს დამფუძნებელ კრებას და ხაზი გაუსვეს, რომ ის არის საქართველოს დემოკრატიის სურვილების გამომხატველი და თანადგომა გამოხატეს სახალხო გვარდიის და რეგულარული ჯარის მიმართ.

ამ კრების ჩატარებით თვალსაჩინო ხდება, რომ მიუხედავად ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა, 17 მაისს საქართველო ჯერ კიდევ აკონტროლებდა ცხინვალს და შეეძლო იქ მსგავსი სხდომების გამართვა. ეს გასაკვირი არცაა, რადგან აჯანყებული ოსების სურვილს, რომ მათი ცენტრი ცხინვალი გამხდარიყო რეალური საფუძველი არ გააჩნდა, ცხინვალში დიდი რაოდენობით ოსები არ ცხოვრობდნენ მთელი პერიოდის განმავლობაში. მათი აქ დასახლება უკვე მოგვიანო პერიოდს უკავშირდება, როდესაც მოხდა საქართველოს ოკუპაცია და შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სწორედ შემდეგ იწყება ცხინვალში თანდათანობით ოსების დასახლება, მანამდე არსებული მდგომარეობა კი სხვანაირია. 1886 წლის აღწერით, ცხინვალში ცხოვრობდა 1135 ქართველი, 1953 ებრაელი, 744 სომეხი და არცერთი ოსი (თოთაძე 2008: 36). 1922 წლის აღწერითაც, მაშინ როდესაც იქმნებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ცხინვალში მცხოვრები ოსების რაოდენობა შედარებით მცირეა. ამ პერიოდში ცხინვალში არის 1436 ქართველი, 1651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი, რაც ცხინვალში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 13,5%-ს შეადგენდა (თოთაძე 2008: 36). 1926 წლის აღწერითაც კი ოსები რაოდენობის მხრივ მხოლოდ მესამე ადგილზე იყვნენ ცხინვალში: ქართველი – 1920, ებრაელი – 1772, ოსი – 1152, სომეხი – 827. ოსების რაოდენობა მნიშვნელოვნად მხოლოდ 1959 წლისთვის იზრდება და 12432 ხდება, ამ დროს ცხინვალში ცხოვრობს 4652 ქართველი, 1649 ებრაელი და სხვა (თოთაძე 1993: 275).

ამ სტატისტიკიდან კარგად ჩანს, რომ ოსების მოთხოვნას, ცხინვალი გამხდარიყო მათი სამაზრო ერთეულის, ავტონომიური ოლქის, თუ ცალკე რესპუბლიკის ცენტრი, არანაირი საფუძველი არ ჰქონდა.

ცხინვალში ქართველების გარდა ებრაელებისა და სომხების დიდი რაოდენობით ცხოვრებას, ა. თოთაძის აზრით, განაპირობებდა ცხინვალის სავაჭრო პოტენციალი. ცხინვალი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ქართლსა და ზემო რაჭიდან მომავალ გზებზე, რის გამოც აქ ვაჭრებს ფართო ასპარეზი ეძლეოდათ, სომხები და ებრაელები კი საქართველოში ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ.

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ აჯანყების მოვლენებს. აჯანყებულთა ბრალდებების არარეალურობა ყველაზე კარგად ჩანს „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში“, რომელიც 1920 წლის 28 მაისს გაეგზავნა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, სრულიად რუსეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების ცაკს, სახალხო კომისართა საბჭოს, რკპ-ის ჩრდილო-კავკასიის სამხარეო კომიტეტს, კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს, არმიის სარდალსა და პოლიტკომს. მემორანდუმს ხელს აწერდა აჯანყებულთა მთელი რიგი ხელმძღვანელებისა, მათ შორის ვ. სანაკოევი, ს. გაგლოევი, ა. ჯათიევი და სხვ. მემორანდუმში ოსები უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ 7 მაისის რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით, რადგან ცხადი გახდა ის ფაქტი, რომ მათ არავინ აღარ დაეხმარებოდა და პირიქით სამხარეო კომიტეტის წევრებისგან მიიღეს ცნობა, შეეწყვიტათ აჯანყება, რადგან ახლა ბოლშევიკურ პარტიას საქართველოში მოქმედების ოფიციალური საშუალება ეძლეოდა. მემორანდუმში ასახული იყო ოთხი ძირითადი პუნქტი:

> 1) სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილია.
> 2) სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შედის პირდაპირ, საერთო საფუძველზე.
> 3) უშუალოდ საბჭოთა რუსეთში შესვლას საქართველოს ან სხვა რესპუბლიკის მეშვეობით, თუნდაც იგი საბჭოთა რესპუბლიკა იყოს, ჩვენ არავითარი სახით არ ვთშვებთ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ წვრილი ეროვნული რესპუბლიკები, მაგალითად, ქართული, რომელიც თვითონ 60-70%-ით დასახლებულია სხვა ეროვნებებით – სომხებით, თათრებით, რუსებით, ებრაელებით, აფხაზებით, ოსებით და სხვა, თავისთავში ინარჩუნებენ ყველა მოსაცემს, რათა მასში განვითარდეს ნაციონალიზმის ბუდეები, აქედან გამომდინარე დამღუპველი შედეგებით...
> 4) სამხრეთ ოსეთის ორგანიზაცია რჩება იმავე სახით, როგორც აქამდე იყო: რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დროშის ქვეშ. ვისაც არ უნდა ნაბიჯი უკან, პლიუსიდან მინუსისაკენ, სეპარატისტულ ქართულ ან სხვა რომელიმე კომუნისტურ პარტიაში (მეწოთეშაშვილი 1996: 305-306).

მემორანდუმის ზოგადი ხასიათი ასეთია, ანუ აქცენტი კეთდება ოსი ხალხის უსამართლოდ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაზე და ქართველთა სეპარატიზმზე. მსგავსი განცხადება ყოველგვარ რეალობას მოკლებულია, რადგან საქართველო ცხადდება სეპარატისტად აჯანყებული ოსების ბრალდებით. ამ საკითხის დაწვრილებით განხილვა, ალბათ, არც არის საჭირო, რადგან ოსები ცდილობდნენ საქართველოსგან ისტორიული ტერიტორიის გამოყოფას და როგორ შეიძლებოდა საქართველო ყოფილიყო სეპარატისტული?! იმიტომ, რომ მას არ სურდა რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა? საქართველოს ამის სრული უფლება გააჩნდა, რაც თვითონ რუსეთის მიერვე იყო აღიარებული, ამიტომ საქართველოს სეპარატისტად მოხსენიება საკმაოდ არასერიოზულია.

მემორანდუმში არის კიდევ ერთი ფაქტი, რისი განხილვაც საჭიროა. მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოში ქართველები უმცირესობას წარმოადგენენ და 60-70 პროცენტი არის სხვა ეროვნების წარმომადგენელი. 1926 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობს 67,1% ქართველი (თოთაძე 1993: 272), შეუძლებელია 6 წელიწადში მდგომარეობა ასე რადიკალურად შეცვლილიყო, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს აჯანყებულთა მორიგ უსაფუძვლო არგუმენტთან.

8 ივნისს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რევკომმა მორიგი ბრძანება გამოსცა, სადაც აცხადებდნენ სამხრეთ ოსეთის აჯანყებული გლეხობის მიერ მეშვიდკურა საქართველოს ჯარების გაძევებას და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას ონიდან დუშეთამდე. ამ ტერიტორიას ისინი უქვემდებარებდნენ სამხრეთ ოსეთის რევკომს, ხოლო ცხინვალს აცხადებდნენ ცენტრად (ბერიძე და *სტვეტი* 1958: 578-579). ამ ბრძანებაში კიდევ ერთხელ მოხდა მათი მოთხოვნის ზღვარს მიღმა გასვლა. აქ უკვე აღარ იყო საუბარი ოსების თვითგამორკვევაზე ან ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაზე. ისინი რუსეთის სახალხო კომისარს ატყობინებდნენ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებას. ეს უკვე იყო ბოლო ზღვარი ქართული ხელისუფლებისთვის, რადგან აჯანყებული ოსების ბანდებმა აიღეს ცხინვალი და მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიის რუსეთთან შეერთება მოინდომეს. ეს მოვლენები, რა თქმა უნდა, ბოლშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა სამხედრო დაპირისპირება ბოლშევიკურ აზერბაიჯანთან.

ოსების ეს ავანტიურული ქმედებები ზღვარს გასცდა და საქართველოს მთავრობას მხოლოდ ერთი გზაღა რჩებოდა, ეს იყო აჯანყების ჩახშობა სამხედრო შენაერთების გამოყენებით. ეს იყო უკვე მესამე აჯანყება საქართველოს წინააღმდეგ, თან სამივე მოხდა საქართველოსთვის მძიმე დროს. სწორედ ამან გამოიწვია აჯანყების ჩახშობის დროს განსაკუთრებული სიმკაცრე. სამხედრო მეთაურობის გადაწყვეტილებით აჯანყებულები სამაგალითოდ უნდა დაესაჯათ, რათა აქ აღმოფხვრილიყო ის საფრთხე, რომელიც მთელი დამოუკიდებლობის პერიოდის განმავლობაში ელოდა საქართველოს.

აჯანყების ჩასახშობად ერთ-ერთი მთავარი ეტაპი სამხედრო სამზადისი იყო. მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ იქნებოდა სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელი, ასევე სამხედრო ნაწილების დაკომპლექტებასა და საბრძოლო მოქმედების გეგმის შედგენას. ვითარება საკმაოდ კრიტიკული იყო: მიმდინარეობდა სამხედრო დაპირისპირება ბოლშევიკურ აზერბაიჯანთან და საჭირო იყო ზუსტი გათვლა, თუ რომელი ნაწილები უნდა გადაესროლათ შიდა ქართლში ოსების აჯანყების ჩასახშობად, რომელთაც საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რუსეთთან შეერთება ჰქონდათ განზრახული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აჯანყების ჩახშობის მთელი პასუხისმგებლობაც და დამსახურებაც, ძირითადად, სახალხო გვარდიის სარდალს ვალიკო ჯუღელს მიეწერება, რაც ბოლომდე გამართლებული არაა. ჯუღელის დამსახურება, რასაკვირველია, დიდი იყო, იგი მარჯვენა ფლანგს პირადად ხელმძღვანელობდა და სამხედრო გეგმის შემუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ აჯანყების ჩახშობას მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე თავად ხელმძღვანელობდა და ძირითადი საბრძოლო მოქმედებების დროს მას ფრონტის ხაზი არ მიუტოვებია და პირადად მონაწილეობდა მოქმედებებში.

აქედან გამომდინარე, რეალობის აღდგენა მოითხოვს აჯანყების ჩახშობაში კვინიტაძის როლის წინ წამოწევასაც, სწორედ მან გადაწყვიტა, თუ რომელ სამხედრო შენაერთებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში და მისი გადაწყვეტილებით მოხდა ფლანგების დაკომპლექტება.

სამხედრო ოპერაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ხელმძღვანელების გიორგი კვინიტაძის და ვალიკო ჯუღელის მიერ ოსების აჯანყების შეფასება ასეთია:

გიორგი კვინიტაძე:

ოსების ეს მესამე თუ მეოთხე აჯანყება იყო. ისინი ყოველთვის მოლაპარაკებებით მთავრდებოდა. ამჯერად აჯანყება უფრო მომზადებული იყო. მცხეთამდე ყველაფერი ჩვენიაო – უხაროდათ ოსებს (კვინიტაძე 1998: 234).

ვალიკო ჯუღელი:

ცხინვალიდან ცუდი ამბებია, როგორც ჩანს, ის უკვე დაკავებულია ოსური ბანდების მიერ. ჩვენ იქ სწრაფად ვაგზავნით ძალებს, რათა ჭკუა ვასწავლოთ უსაქმურებს. ოსი ნაციონალისტები ჩვენი ბოროტი და დაუძინებელი მტრები არიან. ისინი ყოველთვის სარგებლობენ ჩვენი სისუსტეებით და გვიწყობენ აჯანყებას. რამდენიმე წლის წინ ისინი თავიანთი აჯანყებებით თურქებს უადვილებდნენ ბათუმის აღებას. წინა წელს ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს, ხოლო ეხლა ბოლშევიკებთან ერთად იბრძვიან. ჩვენ უკვე დავიღალეთ ამ დაუსრულებელი აჯანყებებით. ...ეს დროებითი წარუმატებლობა მე საერთოდ არ მაწუხებს. მე ვიცი, რომ საბოლოო სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის (ჯუღელი 1920: 227-228).

აზერბაიჯან-საქართველოს საბრძოლო ფრონტიდან რთული იყო ჯარის მოხსნა და აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა, მაგრამ სხვა გზა არ რჩებოდა. საუკეთესო ვარიანტად მიჩნეულ იქნა აღმოსავლეთის ფრონტიდან ჯარის მოხსნა, რადგან აქ ბოლშევიკების სამხედრო ძალებმა შედარებით იკლეს, ამავე დროს ყველაზე მოკლე დროში აღმოსავლეთის ფრონტიდან იყო შესაძლებელი სამხედრო ნაწილების გადასროლა დანიშნულების ადგილისკენ, ანუ ჯერ გორისკენ, სადაც უნდა მომხდარიყო მობილიზაცია და შემდეგ უკვე ცხინვალისკენ, რომელიც აჯანყებულებს ეკავათ.

კვინიტაძის ინიციატივით, აზერბაიჯანის ფრონტიდან მოიხსნა გვარდიელთა შენაერთები და სწორედ მათ დაევალათ აჯანყების ჩახშობა. კვინიტაძე ამას იმით ხსნის, რომ აზერბაიჯანის ფრონტი უფრო საშიში იყო, ვიდრე აჯანყებული ოსების დაშოშმინება, რის გამოც აზერბაიჯანის ფრონტზე დატოვა არმიის შენაერთები, რომლებიც უფრო მეტად ბრძოლისუნარიანები და დისციპლინირებულები იყვნენ, ვიდრე – გვარდიელები. ვინაიდან აჯანყებული ოსები მხოლოდ ბანდების იმედზე იყვნენ და არა რეგულარული და კარგად გაწვრთნილი არმიისა, ამიტომ მათ სახალხო გვარდია უპრობლემოდ უნდა გამკლავებოდა.

ჯარის შეკრება თავდაპირველი მობილიზაციისთვის გადაწყდა გორში, საიდანაც უკვე გაიმლებოდა საბრძოლო ოპერაცია და მოხდებოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განთავისუფლება აჯანყებულებისაგან. დაგეგმილი იყო, რომ 10 ივნისს გორში თავს მოიყრიდა 8 ბატალიონი, ცხენოსანთა პოლკი და ორი სამთო ბატარეა. რაზმის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი კონიაშვილი, მთლიან ოპერაციას კი თვითონ კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. გენერალ კონიაშვილს კვინიტაძეც და ჯუღელიც თავიანთ მოგონებებში საკმაოდ დადებითად ახასიათებენ.

გვარდიელების დანიშნულების ადგილზე მისვლამდე საჭირო იყო გორში პოზიციების გამაგრება, რადგან გორის სამხრეთით მცხოვრებ ოსებშიც შეინიშნებოდა მღელვარება, ბოლშევიკები იქაც ეწეოდნენ აგიტაციას, რის გამოც მათი და აჯანყებული ოსების ერთმანეთისგან გათიშვა იყო საჭირო.

ამ მიმართულებიდან საფრთხის ასაცილებლად საგუშაგო დაცვა დადგა, ასევე გადაიკეტა მტკვარზე გადასასვლელები. ამ ზომების მიღებაში მონაწილეობას ღებულობდნენ გიორგი კვინიტაძე, ადგილობრივი ადმინისტრაცია და იქ არსებული სახალხო გვარდია.

კვინიტაძე მოგონებებში საბრძოლო მოქმედებების დროს არსებულ ფსიქოლოგიურ ფაქტორზეც ამახვილებს ყურადღებას.

არანაირი ბრძანება, რაგინდ გენიალურიც უნდა იყოს, ვერ იძლევა ისეთ შედეგს, როგორც მოწინააღმდეგის უშუალო სიახლოვეში მყოფი ხალხის დამშვიდება... სახიფათო ადგილებში პირადად უფროსის ჩასვლას, მითუმეტეს, როდესაც იქ მდგომარეობა გართულებულია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს (კვინიტაძე 1998: 232).

კვინიტაძის მხრიდან ასეთი ფაქტორების გათვალისწინება ქართული სამხედრო მეთაურობის მაღალ დონეზე მიუთითებს. დასაფასებელია ის ფაქტი, რომ სამხედრო მომზადების დროს ფიზიკური მომზადების გარდა ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც ითვალისწინებდნენ, ამას ხომ ბრძოლის დროს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს. თავის ყოფნას კვინიტაძე სამხედრო მოქმედებების დროს ფრონტზე სწორედ ამით ხსნის, რომ საჭირო იყო სამხედრო მეთაურის თანადგომა საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად და ბრძოლისუნარიანობის გასაზრდელად.

11 ივნისს გორში გაიმართა საველე შტაბის სხდომა, რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო სამოქმედო გეგმა და ჯარი გადანაწილებულიყო ფლანგებზე (ჯუღელი 1920: 228-229). გადაწყდა ორივე ფლანგით

შეტევა, რომელიც ოთხ საბრძოლო კოლონად დაიყოფოდა და ეტაპობრივად გაწმენდდა შიდა ქართლის ამ ტერიტორიას აჯანყებულებისაგან, რის საშუალებასაც გვარდიელების რაოდენობა იძლეოდა.

დაყოფა მოხდა შემდეგნაირად: იქნებოდა მარჯვენა და მარცხენა კოლონა და ასევე ცენტრალური შემტევი ძალა, რომელიც ასევე ორ კოლონად, ცენტრალურ მარჯვენა და ცენტრალურ მარცხენა კოლონად დაიყოფოდა. ცენტრალურ კოლონებს ცხინვალის აღება ჰქონდათ დავალებული.

მარჯვენა კოლონის ხელმძღვანელებად ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე დაინიშნენ, ცენტრალურ მარჯვენა კოლონას გენერალი კონიაშვილი უხელმძღვანელებდა, მარცხენა კოლონას პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი, ხოლო ცენტრალურ მარცხენას, რომელსაც ყველაზე სუსტად აღიარებდა კვინიტაძე და მის ფუნქციად მხოლოდ მარცხენა კოლონასთან დაკავშირება მიაჩნდა, თავად კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. მარცხენა კოლონას ასევე მიმაგრებული იყო გვარდიის შტაბისა და დამფუძნებელი სათათბიროს წევრი ზაქარია გურული (კვინიტაძე 1998: 233).

ცხინვალის აღების პირველ ეტაპზე ჯარს აეკრძალა ქალაქში შესვლა, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი არეულობა, რაც, კვინიტაძის თქმით, გვარდიელთა უდისციპლინობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა აჯანყების ჩახშობისას ის იყო, თუ რა სიმკაცრე უნდა გამოეჩინა ქართულ არმიას აჯანყების ჩახშობისას. ამ საკითხის გადაწყვეტა მარტივი არ იყო, ქვეყანა დემოკრატიულ პრინციპებზე ვითარდებოდა და ძნელად თუ გავიხსენებთ ისეთ მომენტებს, როცა ქართულ სახელმწიფოს განსაკუთრებული სიმკაცრე გამოეჩინოს აჯანყებულთა თუ სხვა მოწინააღმდეგეთა მიმართ, ქვეყნის მთავარი გზა მკაცრ პოლიტიკას არ ემყარებოდა და შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იჩენდა სხვათა მიმართ. ეს პრინციპები მხოლოდ დამოუკიდებლობის აქტში არ იყო გაწერილი, ან კონსტიტუციაში, ხშირ შემთხვევაში ფურცელზე დაწერილი პრაქტიკაშიც ასე ხორციელდებოდა, ამ შემთხვევაში მაგალითად წინა ორი აჯანყებაც კმარა, სადაც სასტიკად არავის გასწორებიან.

ახლა საკითხი სხვაგვარად იდგა, მაგრამ ზღვარი ყველაფერს ჰქონდა, ეს აღარ იყო ოსი ხალხის მოთხოვნა მათი უფლებების დასაცავად, ეს არ იყო ეთნიკური უმცირესობის მხრიდან საკუთარი ინტერესების დაცვა, ეს იყო ერთი ქვეყნისთვის ტერიტორიის წართმევა და მეორისთვის მიერთება და რბილად რომ ვთქვათ, მსგავსი უსიამოვნო დაპირისპირება სამი წლის მანძილზე უკვე მესამედ ხდებოდა, რაც ქვეყნის სტაბილურ განვითარებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა. ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ოსები არ ცხოვრობდნენ, აქ დიდი რაოდენობით იყო ქართული მოსახლეობა და სხვა ეროვნების ადამიანებიც. საქართველოს ტერიტორიაზე იქ მცხოვრებ ქართველს აღარაფერს ეკითხებოდნენ და მის სახლს პირდაპირ რუსეთის ტერიტორიას უერთებდნენ, ეს უკვე უსამართლობის ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა.

სწორედ ასეთმა ვითარებამ გამოიწვია სამხედრო მმართველობის მხრიდან სასტიკი, თუმცა ასე თუ ისე სამართლიანი, ანგარიშწორების იდეა. ხარვეზი ყველა გეგმას აქვს და იდეალურობაზე პრეტენზია ვერც ამ გადაწყვეტილებას ექნებოდა, თუმცა საჭირო იყო ისეთი ზომების მიღება, რომლის შემდეგაც აჯანყება აღარ განმეორდებოდა და ქვეყნის ამ რეგიონში სტაბილური განვითარების შესაძლებლობა შეიქმნებოდა. ქართველ გლეხობას აქ მუდმივი ბრძოლა უხდებოდა ბოლო პერიოდში, რადგან აჯანყებული ოსების ბანდები არბევდნენ მათ სახლ-კარს და ძარცვავდნენ. ამ პრობლემის შესახებ არაერთხელ იყო დასმული საკითხი კრებებზე, მაგრამ მსგავსი ლმობიერი მიდგომებით საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდებოდა, საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება.

11 ივნისს გაიმართა საველე შტაბის სხდომა, სადაც განიხილეს სწორედ ეს საკითხი, თუ რა დოზით უნდა გამოეჩინათ სიმკაცრე აჯანყებულთა მიმართ. ამ საკითხზე კვინიტაძისა და სახალხო გვარდიის მეთაურების შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდა. სახელმწიფო თავდაცვის საბჭოში თავდაპირველად მიღებული იყო გადაწყვეტილება ოსური სოფლების დაწვის შესახებ, რომელიც კვინიტაძის აზრით ზედმეტი იყო. მისი თქმით ყველა ბრძოლას ისედაც ხანძარი მოსდევს დასახლებულ ადგილებში, ხოლო დამატებით ცეცხლის გაჩენა კარგ შედეგს არ გამოიწვევდა. კვინიტაძის მიდგომა, როგორც ჩანს, იყო ტერიტორიის გაწმენდა შეიარაღებული ბანდებისგან, მაგრამ სხვა სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარებას ის არ ემხრობოდა. მისმა ბრძოლამ, რომ სოფლები არ დაეწვათ, თავდაპირველად შედეგი გამოიღო და უარი თქვეს ამ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ სახალხო გვარდიის შტაბი დარწმუნებული იყო თავისი გადაწყვეტილების სისწორეში და საკუთარ ბატალიონებს მაინც მისცა ბრძანება სახლების გადაწვის (კვინიტაძე 1998: 234).

საჭიროა მოვახდინოთ ვალიკო ჯუღელის შეხედულების ციტირება ამ საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო კარგად დავინახოთ, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობდა იმ პერიოდში სახალხო

გვარდიაში და, სავარაუდოდ, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილშიც: „მოღალატეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ. სხვა გზა არ არის. სწორედ ესაა უბედურება“ (ჯუღელი 1920: 229). აჯანყებულების დასჯის სურვილი, ალბათ, სახელმწიფოს მმართველ წრეებშიც და რეგულარული არმიის ნაწილებშიც გააჩნდათ და ეს გასაკვირი არცაა, მაგრამ აქ დგება საკითხი საჭიროებაზე, უნდა დაეწვათ თუ არა აჯანყებულთა სახლები. საბრძოლო მოქმედებების დროს. ჯუღელი თავის მოგონებებში წერს:

> სიმშვიდე არ არის! ყველგან იწვის ოსური სოფლები. ცუდი გადაწყვეტაა, მაგრამ სხვა გზა არაა. ჩვენ ვერ შევძელით გვეპოვა! და არავის შეეძლო მისი ნახვა! ან უნდა ჩაგვეხშო აჯანყება და გადაგვერჩინა ჩვენი დემოკრატია, ან დაგველუპა დემოკრატია და მიგვეცა ზეიმის საშუალება სისხლიანი ვანდეისათვის. ჩვენ უყოყმანოდ მივიღეთ არჩევანი! ჩვენ უკვე დავიღალეთ სიტყვებით, დაპირებებით, თხოვნებით. ჩვენ უკვე ორჯერ მოვიქეცით რბილად, ჰუმანურად და კეთილშობილურად. ჩვენ ძალიან გულმოწყალენი ვიყავით და მაშინ არ იყო სისასტიკე, თითქმის არცერთი დახვრეტა არ ყოფილა. არცერთი სახლი არ დაიწვა!... უნდა გავხდეთ სასტიკები უმაღლესი გულმოწყალების სახელით (ჯუღელი 1920: 230).

მემუარები, როგორც ყოველთვის, სუბიექტურია, მაგრამ რეალობის ნახვაც შეიძლება. ის შეფასებები, რაც ჯუღელს აქვს გაკეთებული, გარკვეულწილად ასახავდა მაშინდელი საზოგადოების ნაწილის აზრსაც, ბევრი იქნებოდა დაღლილი გაუთავებელი აჯანყებებით, მითუმეტეს, რომ არც ისე უსისხლოდ ჩაიარა წინა აჯანყებებმა და ოსების მხრიდან ძარცვა-რბევის შემდეგ მიღებული ზარალიც დიდი იყო როგორც სოფლებში, ისე ცხინვალში. როდესაც ჯუღელი საუბრობს, რომ უყოყმანოდ მიიღეს გადაწყვეტილება აჯანყების ასეთი გზით ჩახშობაზე, აქ საუბარი შეიძლება იყო მხოლოდ სახალხო გვარდიაზე, რადგან ჩვენ ვნახეთ, რომ კვინიტაძე ამის წინააღმდეგი იყო, ასევე წინააღმდეგი იქნებოდნენ სახელმწიფო თავდაცვის საბჭოში, რადგან კვინიტაძის იდეისკენ გადაიხარნენ ისინიც და სახლების დაწვას არ ემხრობოდნენ.

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ქართული გვარდიის მხრიდან გამოჩენილი ასეთი სიმკაცრისა თუ სისასტიკისა, მათი გაკიცხვის საფუძველი არ არსებობს, მსგავსი ზომების მიღების უფლება აქვს ყველა სახელმწიფოს, რათა შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და დაიცვას ყველა მოქალაქის ინტერესი და არ აჰყვეს სხვა ქვეყნის მიერ ინსპირირებულ მოთხოვნებს, რომელიც ქვეყნის რღვევას და ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს იწვევს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სრული უფლება ჰქონდა, სამხედრო გზით ჩაეხშო ოსური ბანდების ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლა და გამოიყენა კიდევაც ეს უფლება, ეს ახლოსაც არ ყოფილა გენოციდთან, როგორც შემდეგ ცდილობდნენ ოსი და რუსი ბოლშევიკები ამ მოვლენის წარმოჩენას, დასჯილი იყვნენ მხოლოდ აჯანყებულები, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს კი არავინ არ შეხებია.

ქართული პრესის მიერ მოცემული ინფორმაციით აჯანყებულ ოსებს არ გააჩნდათ კარგად ორგანიზებული შეიარაღებული ძალები, ისინი აქცენტს რაოდენობაზე აკეთებდნენ და შეიარაღებულ ბანდებს ქმნიდნენ. სხვა გზა მათ არც გააჩნდათ, რუსეთის არმია ამ მიმართულებაზე ღიად ვერ ჩაებმებოდა საომარ ოპერაციებში საქართველოსთან, რის გამოც მათ ერთადერთ გზად ბანდების შექმნა რჩებოდათ. სწორედ ამ ბანდების მიერ განხორციელდა ცხინვალის და დანარჩენი პუნქტების აღებაც. ქართული მხრიდან კი სახალხო გვარდია საკმაოდ გამოცდილი იყო და პროფესიონალი მეთაურობაც ჰყავდა. სწორედ ამიტომ საქართველოს არ გასჭირვებია შეემუშავებინა სამხედრო მოქმედებების სტრატეგია, რომელიც კარგად იქნებოდა ორგანიზებული.

სამხედრო მოვლენების აღსადგენად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება 1920 წლის ქართული პრესაა, სადაც ყოველდღიურად ქვეყნდებოდა გენერალური შტაბის ცნობები მოვლენების განვითარებაზე, აგრეთვე იწერებოდა სტატიები, სადაც ხდებოდა აჯანყების შეფასება, რუსების როლის განხილვა და აჯანყებულ ოსთა წინდაუხედაობაზე ხაზგასმა. ყურადრება მახვილდებოდა იმაზე, რომ რეალურად კონფლიქტი არ იყო ქართველებსა და ოსებს შორის წამოჭრილი და მის გაღვივებაში მთავარი როლი რუს ბოლშევიკებს მიუძღვოდათ, ოსების მოთხოვნებიც ხომ ყველაზე მეტად მათ აძლევდათ ხელს.

ინფორმაციის შესავსებად, რა თქმა უნდა, მემუარებიც კარგ წყაროს წარმოადგენს, მიუხედავად მათი სუბიექტურობისა, სხვა წყაროებთან შედარებითი ანალიზის გაკეთების შემდეგ უკვე საშუალება გვეძლევა, აღვადგინოთ აჯანყების ჩახშობის ყოველდღიური მოვლენები და ის შედეგები რომელიც მას მოჰყვა.

სამხედრო მოქმედებები იწყება 8 ივნისს ოსური ბანდების აქტიურობის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი რიგი პოლიტიკური მოქმედებების მიუხედავად, რომელიც ოსებმა მოახდინეს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოსგან გამოსაყოფად და რუსეთთან შესაერთებლად, ქართულ მხარეს ძალისმიერი

მეთოდებისთვის არ მიუმართავს და მხოლოდ მაშინ იწყებს სამხედრო შენაერთების გამოყენებას, რაც ოსური ბანდები აიღებენ ცხინვალს.

ოსურ ბანდებს შეიძლება ვერც გაებედათ საბრძოლო მოქმედებების წამოწყება, რომ არა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ანუ რუსეთის ტერიტორიიდან გადმოსული დამხარე ძალები. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული სამხედრო ძალები და ოსური ბანდები 8 ივნისს იწყებენ სამხედრო მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების წინააღმდეგ. ამ დროს აჯანყებულთა ნაწილები მრავალრიცხოვანი იყო, რითიც მათ ისარგებლეს, ორივე მხრიდან შემოუარეს ქართულ ფლანგს და აიღეს ცხინვალი (*ერთობა* №127 1920: 2; *ერთობა* №128 1920: 2).

ცხინვალის დაკარგვას თან ახლდა კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი: ცხინვალის დაცვის ხელმძღვანელი კაპიტანი ჩხეიძე იყო, რომელსაც გვარდიელთა ორი ბატალიონი ებარა. გვარდიელთა ბატალიონები გამაგრებულნი იყვნენ ცხინვალთან და როკის მიმართულებას აკონტროლებდნენ. უნდა მომხდარიყო ამ ორი ბატალიონის ჩანაცვლება სხვა ბატალიონებით, მაგრამ ვერ მოხერხდა დაცვის უზრუნველყოფა, რის გამოც ჩასანაცვლებლად მოსული ბატალიონებიც და ადგილზე მყოფნიც ოსების მიერ დატყვევებულნი აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ, კაპიტანმა ჩხეიძემ მათი დახმარება ვეღარ შეძლო, რადგან დამხმარე ბატალიონები არ არსებობდა. შედეგად ოსურმა ბანდებმა აიღეს ცხინვალიც და გვარდიელებიც ჩაიგდეს ტყვედ, რომელთა განთავისუფლებაც დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მოხდა (კვინიტაძე 1998: 230-231).

ქართული მხრიდან იგზავნება მზვერავთა ჯგუფები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი მთელი სამხედრო მოქმედებების დროს. გენერალური შტაბის 10 ივნისის ინფორმაციით ცხინვალთან კვლავ სროლაა, ხოლო ოსური ბანდები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ართმევს სურსათ-სანოვაგეს და მიმდინარეობს ყაჩაღობა (*ერთობა* №129 1920: 2).

ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ოსური ბანდები მხოლოდ ქართულ მოსახლეობას ძარცვავენ და არა ოსურ მოსახლეობასაც, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ტიპიური ბანდები არ იყვნენ, რომლებიც ყველას ძარცვავდნენ, ისინი ეთნიკური ნიშნით არჩევდნენ ქართველებს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ეთნიკური ნიშნით ჩაგვრა აჯანყებული ოსების მხრიდან ხდებოდა, ხოლო ქართველებს, კიდევ გავიმეორებთ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ოსებისთვის ხელი არ უხლიათ, შესაბამისად, ქართველების მხრიდან ოსებისთვის გენოციდის მოწყობაზე საუბარი მხოლოდ პოლიტიკური დემაგოგიაა, რაც, პირველ რიგში, რუს ბოლშევიკებს აწყობდათ და დღესაც რუსეთის ინტერესებში შედის.

11 ივნისს გორში გაიმართა საველე შტაბის კრება, სადაც დადგინდა სამოქმედო სტრატეგია, რომლის მიზანიც აჯანყებულთაგან შიდა ქართლის აღნიშნული ტერიტორიის გაწმენდა იყო. გაზეთ *ერთობის* №130-ის ცნობით, პარალელურად ხდებოდა მზვერავთა მოქმედებები საქართველოს მხრიდან, რაც ქართულ არმიას უკეთ მომზადების საშუალებას აძლევდა.

ვალიკო ჯუღელი მოგონებებში ერთ სიმბოლურ დამთხვევას აღნიშნავს: 12 მაისს დაიწყო ქართველთა შეტევა წითელ ხიდზე ბოლშევიკური აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ხოლო 12 ივნისს უნდა დაწყებულიყო იერიში, რომლის მთავარი მიზანიც ცხინვალის აღება იყო. ქართული გვარდიის მთავარი უპირატესობა აჯანყებულების წინააღმდეგ ის იყო, რომ გვარდია, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენდა რეგულარულ არმიას, მაინც საკმაოდ გამოცდილი იყო ბრძოლებში და მეთაურობაც საკმაოდ გამოცდილი და მაღალი დონისა ჰყავდა, ოსური ბანდები კი სახელდახელოდ შეიარაღებული გამოუცდელი მეომრები იყვნენ, მათ მხოლოდ ძარცვასა და ყაჩაღობაში ჰქონდათ გამოცდილება, ხოლო გამოცდილ გვარდიასთან მათ წინააღმდეგობის გაწევა უკვე უჭირდათ.

მარჯვენა ფლანგმა შეტევა 12 ივნისს დაიწყო ვალიკო ჯუღელისა და ალექსანდრე დგებუაძის ხელმძღვანელობით, რომელთაც გურულთა ბატალიონი ახლდათ. მარჯვენა ფლანგიდან შეტევის შემდეგ მოხდა კობიანტის სიმაღლის დაკავება, ასევე ვანათის სიმაგრის აღებაც შეძლო ქართულმა ნაწილებმა. იმის გამო, რომ მტერი საკმაოდ სუსტ წინააღმდეგობას უწევდა ქართულ გვარდიელებს, მარჯვენა კოლონამ დაიკავა ორტევი და საკმაოდ ადვილად მიიწევდა წინ. ჯუღელის ინფორმაციით კი ოსების უკან დახევა საკმაოდ დაუგეგმავი იყო და უწესრიგოდ ტოვებდნენ პოზიციებს.

ცხინვალისკენ წინსვლა ქართულ ჯარს არ გასძნელებია და გზაზე სერიოზული წინააღმდეგობაც არ შეხვდა. იყო, რა თქმა უნდა, შეტაკებები, მაგრამ გვარდიას დანაკარგი, ფაქტობრივად, არ ჰქონია. პოზიციების აღებასთან ერთად ხდებოდა იმ სამხედრო შეიარაღების ხელში ჩაგდებაც, რომელსაც ოსური ბანდები ადგილზე ტოვებდნენ უკანდახევისას, ასე მოხდა რამდენიმე ტყვიამფრქვევის ხელში ჩაგდებაც. დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა მთლიანად 8-10 კაცზე მეტი არ ყოფილა (კვინიტაძე 1998: 235).

ყოველი ახალი პოზიციის დაკავებას თან ხანძარი მოჰყვებოდა, როგორც ეს სახალხო გვარდიის შტაბში გადაწყვიტეს. აღებული სოფლები იწვოდა, ეს კი ქართველთა წინსვლას ნიშნავდა. ამას ადასტურებენ გიორგი კვინიტაძეც და ვალიკო ჯუღელიც.

ბრძოლა ქართველთა ისეთი უპირატესობით წარიმართა, რომ ცხინვალი შეტევის პირველსავე დღეს, 12 ივნისს იქნა აღებული. იქ მყოფ ოს აჯანყებულებს, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არც გაუწევიათ, ისე გაიქცნენ ქალაქიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვარდიელებს ნაბრძანები ჰქონდათ, თვითონ ქალაქში არ შესულიყვნენ, ამიტომ ქალაქს შემოუარეს და სიმაღლე დაიკავეს.

დაზვერვის შემდეგ ჩანდა, რომ ქალაქი დაცარიელებული იყო. ამ ფაქტის გადასამოწმებლად გენერალი კვინიტაძე და კაპიტანი ბერელაშვილი შევიდნენ ცხინვალში, რათა თავად დარწმუნებულიყვნენ, რომ აჯანყებულებს უკვე დატოვებული ჰქონდათ ცხინვალი. იქ შესულებს ქართველ გვარდიელთა მცირე რაოდენობა უკვე შესული დახვდათ, რომლებიც დახლებს მარცვავდნენ, თუმცა ამ ფაქტის აღკვეთა დროულადვე მოხერხდა, აგრეთვე დროულად გაიცა ბრძანება, რომ სხვა სამხედრო ნაწილებს, რომლებიც ქალაქში შემოსვლას აპირებდნენ, დაეტოვებინათ ტერიტორია. მიზანი ჯარისკაცთაგან მარცვის თავიდან აცილება იყო, ზედმეტი არეულობა აღარავის სჭირდებოდა, საჭირო იყო პრობლემის დროული გადაწყვეტა.

ცხინვალის აღება, რა თქმა უნდა, ცენტრალური კოლონების მიერ მოხდა ისე, როგორც დაგეგმილი იყო. მცირე ხნის შემდეგ ცხინვალს მარჯვენა ფლანგიც შეუერთდა.

ცხინვალში, ერთ-ერთ სახლში მოეწყო დროებითი შტაბი, სადაც შემდგომი დღეების გეგმები უნდა განეხილათ. სწრაფი და იოლი წინსვლის შემდეგ კვინიტაძე საჭიროდ აღარ მიიჩნევდა მის მუდმივ ყოფნას ფრონტის ხაზზე, ქვეყანაში არსებული რთული ვითარების გამო კი მისი თბილისში ყოფნაც საჭირო იყო. ამ მიზეზით გადაწყდა, ხელმძღვანელობა გენერალი კონიაშვილისათვის გადაებარებინა, რაც ასეც მოხდა.

12 ივნისი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა მოვლენებით. ფაქტობრივად, ამ დღეს გადაწყდა შემდგომი ბრძოლების ბედიც, აღებულ იქნა მნიშვნელოვანი პოზიციები, თუმცა ადგილი ჰქონდა გარკვეულ გაუგებრობასაც, რაც ჯარის არასაკმარისი რაოდენობით იყო გამოწვეული. კერძოდ, საუბარია დეზინფორმაციაზე, რომელიც 12 ივნისს გავრცელდა. კვინიტაძეს, რომელიც გორში ბრუნდებოდა კაპიტან ბერელაშვილთან ერთად, ტყვიავთან ხალხი შემოხვდათ, რომლებიც გამორბოდნენ იმის შიშით, რომ ოსები დაესხნენ თავს. ამ ვარაუდს ისიც ამაგრებდა, რომ სროლის ხმა ისმოდა და გაჩნდა ეჭვი, რომ ოსების მიერ პოზიციების ადვილად დათმობის მიზეზი შეიძლება სამხედრო ხრიკი ყოფილიყო, ანუ ქართული გვარდია პერიოდული უკანდახევებით სიღრმეში შეიტყუეს, თვითონ კი ძირითადი ნაწილებით ზურგიდან მოუარეს და გორისკენ მიმავალი გზა ჩაუკეტეს. რასაკვირველია, ეს ვერსია საკმაოდ საეჭვო იყო, მაგრამ ყვირილით გამოქცეული ხალხი და სროლის ხმა სხვა ვერსიას არ აჩენდა.

კვინიტაძემ სასწრაფო ზომების მიღება გადაწყვიტა, რათა დროულად მომხდარიყო მტრის შეჩერება და ახლო მდებარე სოფელში მყოფ გვარდიელთა საგუშაგოს პოზიციების გამაგრება უბრძანა, თვითონ კი ცხინვალში ჩავიდა. ცხინვალიდან ჯუღელი გვარდიელთა სამხედრო მანქანებით წავიდა მტრის შესაჩერებლად, ხოლო ჯიბო ყანჩელს დაევალა არტილერიით პოზიციების გამაგრება. სატელეფონო საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ გორში სიწყნარე იყო და აჯანყებული ოსები არ გამოჩენილან.

ვითარების საბოლოოდ გარკვევის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ეს ცრუ ინფორმაცია იყო და ოსების მიერ ზურგიდან შემოვლა არ ყოფილა. საქმე იმაში იყო, რომ მეჯვრისხევიდან ცხენოსანთა რაზმი გაიგზავნა ტერიტორიის დასაზვერად, ხოლო მათ თავზე ყავისფერი ფაფახები ეხურათ, როგორც ეს ოსებს სჩვევიათ, ამიტომ შეშინებულმა მოსახლეობამ ისინი ოსებად მიიღო. მათი ქართულად მოწოდებაც, რომ შეჩერებულიყვნენ და არ გაქცეულიყვნენ არავის გაკვირვებია, რადგან ოსები ქართულს ჩვეულებრივად ფლობდნენ, ხოლო გასროლა ჰაერში მომხდარა იმ მიზეზით, რომ ხალხი შეეჩერებინათ, რამაც საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ეს ვითარება აღწერილია ჯუღელის და კვინიტაძის მოგონებებშიც.

მართალია, კვინიტაძის ატეხილ ამ განგაშს საკმაოდ დიდი გაუგებრობა და ჯარის ტყუილი გადასროლა მოჰყვა, მაგრამ რეალური საფრთხის შემთხვევაში ასეთ სწრაფ რეაგირებას შეიძლება გადამწყვეტი როლი ეთამაშა მოვლენების მსვლელობაში, ამიტომ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ კვინიტაძის ასეთი რეაქცია ამ ფაქტზე.

13 ივნისს უნდა გაგრძელებულიყო ახალი პოზიციების დაკავება, მხოლოდ ცხინვალის დაბრუნების შემდეგ აჯანყებული ოსები ფარ-ხმალს არ დაყრიდნენ. მარჯვენა კოლონა გაძლიერებული იყო ჯიბო ყანჩელის სამთო ბატარეით. მარცხენა კოლონასაც წინ უნდა წაეწია და ქურთა უნდა აეღოთ. მარჯვენა კოლონას სიღრმიდან შემოვლა და გუბებისის ხეობაზე გასვლა დაევალა. 13 ივნისის მოქმედებები იყო სამზადისი აჯანყებულებისათვის მთავარი დარტყმის მისაყენებლად, რადგან შემდეგ დღეს დაგეგმილი

იყო აჯანყების კერის, ჯავის, აღება. ამინდიც კარგი იყო და ჯარის სწრაფ გადაადგილებას ხელს უწყობდა. პოზიციების წინ წაწევასთან ერთად იზრდება აჯანყებულთა სახლების დაწვის რიცხვიც, მაგრამ იმისათვის, რომ მტერი სამაგალითოდ დასჯილიყო, ეს საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ.

მარჯვენა კოლონას გარკვეული სირთულეებიც შეხვდა, აჯანყებულებს მაღლობი ეჭირათ და კარგად იყვნენ გამაგრებულები, მაგრამ გვარდიელთა გამუდმებული შეტევის შემდეგ ოსებს მაინც მოუხდათ პოზიციების დათმობა. ამას თან დაერთო ცივი და წვიმიანი ღამე (ჯუღელი 1920: 231).

საკმაოდ რთული და მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა 14 ივნისიც. მარჯვენა კოლონამ განაგრძო წინსვლა. როგორც ვ. ჯუღელი აღნიშნავს, საკმაოდ კარგად მოქმედებდნენ გურული მზვერავები, რომელთა რაოდენობაც მხოლოდ 16 იყო. მათი წყალობით მოხდა კოლონის გუბებისზე გასვლა, რაც საკმაო წინსვლას ნიშნავდა. დაიკავეს ასევე სოფელი ჩიმასი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ჯუღელი და დგებუაძე შემტევ ასეულთან ერთად იმყოფებოდნენ ფრონტის ხაზზე და ამხნევებდნენ ჯარისკაცებს. მარჯვენა კოლონის ძირითადი ამოცანები წარმატებით იყო შესრულებული, მისი მოქმედების არეალი განთავისუფლებული იყო აჯანყებულთა ბანდებისგან, ხელთ იგდეს კიდევ 2 ტყვიამფრქვევიც. ჯუღელის აღწერით, ოსები „გარბოდნენ ირემზე სწრაფად, გარბოდნენ ისე სწრაფად, როგორც კურდღელი გარბის არწივისგან“. შეფასება შეიძლება გადამეტებული იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ოსები არ იყვნენ რეალურად მზად აჯანყებისთვის და აყვნენ რუსი ბოლშევიკების წაქეზებას, ხოლო მათგან რეალური დახმარების არ ქონის გამო უკვე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ. ბანდებს, რა თქმა უნდა, არ გააჩნდათ კარგად მომზადებული სამხედრო სტრატეგია, შესაბამისად, არც უკან დახევა ექნებოდათ გათვალისწინებული, რაც გახდა მათი მწყობრის გარეშე უკან დახევის, ფაქტობრივად გაქცევის მიზეზი.

14 ივნისს მთავარი მოვლენები მარცხენა კოლონაზე იყო დამოკიდებული, რომელსაც ნიკოლოზ გედევანიშვილი ხელმძღვანელობდა. გენერალური შტაბის ცნობით, 14 ივნისს ხდება აჯანყებულთა განდევნა მათ მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან, რაც მთავარია, ასევე ხდება ჯავის ხეობის დაკავება, რომელსაც ჯუღელი აჯანყებულთა გულს უწოდებს. ქართული გვარდია ჯავის აღებით არ ჩერდება და კვლავ გრძელდება ოსებთან ბრძოლა, რომელთაც როკის უღელტეხილისკენ სდევნიან, ეს უკვე ნიშნავს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის გამარჯვებას აჯანყებულებზე ხელს ვეღარაფერი შეუშლიდა, ყველა ძირითადი და მეორეხარისხოვანი პოზიციებიც დაკავებული იყო, მტერი უკვე ჩრდილო კავკასიაში გარბოდა.

გენერალი კონიაშვილი ჯავაში ყოფნის დროს გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებს: „დღეს ჩვენ დავიკავეთ ხვცე ჩხივის ხაზი. ჩვენი წინსვლა იყო ნელი, რადგან ვესროდით თხემებს და სიმაღლეებს, რომლებიც ბანდას ეჭირათ“ (*ერთობა* №133 1920: 2).

პოლკოვნიკ ინწკირველის ცნობით, შეტაკებების შემდეგ ოსებში პანიკაა, რადგან აჯანყებულები ძალიან დაზარალდნენ. მათ დაჭრილები და დაღუპულები ცხენებით და ურმებით მიჰყავთ. ისინი ტოვებდნენ პოზიციებს და ძლიერი სროლით იხევდნენ უკან, თუმცა ქართველთა მხრიდან ამას ზარალი არ მოჰყოლია (*ერთობა* №133 1920: 2).

15 ივნისს მარჯვენა კოლონაც შეუერთდა ჯავას. ჯუღელის თქმით, ირგვლივ ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ამ დღესვე მოწვეულ იქნა იქ არსებული სამხედრო ნაწილების მეთაურები, შტაბის წევრები და გვარდიელების წარმომადგენლები, რადგან მიზანი მიღწეული იყო და აჯანყებულებისგან განთავისუფლდა საქართველოს ეს ტერიტორია, უკვე ზედმეტი იყო ხანძრების მოწყობა, ეს უკვე ქართველთა ზარალი იქნებოდა და აღარანაირ შედეგს აღარ მოიტანდა გარდა პრობლემებისა. ამიტომ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ დაეცვათ მკაცრი დისციპლინა და კონტროლზე აეყვანათ გვარდიელები, აღარ უნდა მომხდარიყო აღარც ერთი სახლის დაწვა და მარადიორობის ფაქტებიც უნდა აღკვეთილიყო. საბრძოლო ოპერაციები დასასრულს უახლოვდებოდა და საქართველოსთვის ყველაფერი წარმატებით სრულდებოდა.

თავის მოგონებებში ჯუღელი წერს, რომ როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება შეეწყვიტათ ხანძრები მას გულზე მოეშვა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მომხრე იყო აჯანყებულები სამაგალითოდ დაესაჯათ, ეს მას სიამოვნებას არ ანიჭებდა და მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე მოქმედებდა ასე.

გენერალური შტაბის 16 ივნისის ინფორმაციით როკის მიმართულებით სამხედრო მოქმედებები კვლავ გრძელდება, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეულია დარჩენილი აჯანყებულებისგან ტერიტორიის გაწმენდით. საჭირო იყო, ბოლო მოეღოთ აჯანყებისათვის, რათა ოპერაცია წარმატებით დასრულებულიყო. ამ დავალებას გვარდიელები წარმატებით ართმევდნენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ კვინიტაძე მათ უდისციპლინოებად აფასებს.

დარჩენილი აჯანყებულებისგან ტერიტორიის გაწმენდა დროს მოითხოვდა, ისინი გარბოდნენ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიის დატოვებას არ ჩქარობდნენ. გორიდან ცხინვალისკენ წინსვლა და მისი აღება ერთ დღეში მოხერხდა, თუმცა როკის მხარეში დარჩენილი წვრილი ნაწილების დაშოშმინება ცოტა მეტ დროს მოითხოვდა. 18 ივნისსაც აქ სამხედრო მოქმედებები გრძელდებოდა და მიმდინარეობდა სოფლების დაკავება. იმავე დღეს გვარდიელებმა დაიკავეს სოფელი კოშკი და სოფელი წარითი და განაგრძეს მტრის დევნა, რომელმაც მდინარე ლიახვზე მდებარე ხიდი დააზიანა, რათა მდევრებისთვის შეეშალა ხელი (*ერთობა* №136 1920: 2; *ერთობა* №137 1920: 2).

20 ივნისს აღებულ იქნა სოფელი როკი და გვარდიელებმა ხელთ იგდეს 2 ტყვიამფრქვევი. ამ დღესვე დაკავებულ იქნა სოფელი ჩასავალი. საჭიროებას მოითხოვდა ასევე ოპერაციის ჩატარება ონის მიმართულებით, რადგან, როდესაც ოსებმა აჯანყება დაიწყეს და როკის უღელტეხილი დაიკავეს, მაშინ მათ ონის მიმართულებითაც დაიწყეს შეტევების მიტანა. ონის რაზმები შეტევას უძლებდნენ, მაგრამ დამხმარე ჯარსაც ითხოვდნენ, ისინი საბოლოოდ მარტო ვერ გაუმკლავდებოდნენ აჯანყებულებს. მათი მოთხოვნის მიუხედავად, კვინიტაძეს იქ დამხმარე ჯარი თავიდანვე არ გაუგზავნია და მხოლოდ როკის მიმართულების აღების შემდეგ გადაწყდა ონთან სამხედრო ოპერაციის ჩატარება.

კვინიტაძე თავის გადაწყვეტილებას ასე ხსნის: „შეუძლებელია ყველგან ძლიერი იყო, თუ ამას ცდილობ, აუცილებლად საპირისპირო შედეგს ღებულობ: ყველგან სუსტი იქნები“ (კვინიტაძე 1998: 240). ეს იმას ნიშნავს, რომ კვინიტაძის განკარგულების ქვეშ მყოფ გვარდიელთა რაოდენობა არც ისე მრავალრიცხოვანი იყო, რომ ფრონტის ყველა ხაზი გაემაგრებინა. გადაწყდა ჯერ მთავარი ობიექტების დაკავება, რაც ონის მიმართულებით მყოფ ოსებსაც შეასუსტებდა, რადგან მათ ცენტრიდან დახმარების იმედი მოეხსნებოდათ და ფსიქოლოგიურ წნეხშიც მოექცეოდნენ.

20 ივნისს ონის მიმართულებით გაიგზავნა არტილერია და ერთი ბატალიონი პოლკოვნიკ ინწკირველის ხელმძღვანელობით. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ მიმართულებითაც აღმოფხვრილიყო პრობლემა.

საბოლოოდ 20 ივნისს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დღე გადაიტანა ქართულმა გვარდიამ და ონის მიმართულებით არსებული საფრთხეც მოისპო (*ერთობა* № 138 1920: 2).

შემდეგი ნაბიჯი უკვე როკის უღელტეხილის დაკავება იყო. ეს ქმედება მკვეთრად გაამყარებდა საქართველოს პოზიციებს ჩრდილოეთის საზღვარზე. 21 ივნისს გადაიდგა ეს ნაბიჯიც, სამხედრო მოქმედებების შემდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიამ დაიკავა როკის უღელტეხილი, ხოლო ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდო ერთი ტყვიამფრქვევი (*ერთობა* №139 1920: 2).

ჯუღელის მოგონებებში შემონახულია სოფელ როკის აღწერა: „დიდი, ჭუჭყიანი მთის სოფელი. ჩვენი ბოლო სოფელი ჩრდილოეთით! ყველა სახლს აქვს მაღალი, ძველი კოშკი, მაგრამ მან ვერავინ ვერ დაიცვა“ (ჯუღელი 1920: 237).

სოფელი როკიც და მიმდებარე სოფლებიც ოსებისგან დაცარიელდა, იქ მყოფი მოსახლეობა ან ცხინვალში გაიხიზნა, ან გაიქცა მთებში. სოფელი როკი ბრძოლით იქნა აღებული, რადგან იქ ოსური ბანდები იყვნენ გამაგრებულნი, სწორედ ამიტომ სოფელში ყოფნას მოსახლეობა ერიდებოდა.

21 ივნისს გენშტაბი ახალ ცნობას ავრცელებს, რომ როკის უღელტეხილის დაკავების შემდეგ ყველა სოფელი გაიწმინდა ბანდებისაგან და საქართველოს ტერიტორია განთავისუფლდა აჯანყებულთა მოქმედებებისგან (*საქართველოს რესპუბლიკა* №138 1920: 2).

პოზიციების გამყარების მიზნით 22 ივნისს ხდება როკისა და მიმდებარე უღელტეხილების დაკავება და გამაგრება (*ერთობა* №140 1920: 2), ამით გაქცეულ ბანდებს გზა მოეჭრათ უკან დასაბრუნებლად, გარკვეული პერიოდით მაინც.

ფაქტობრივად, ამით დამთავრდა მთლიანი ოპერაცია, რომელიც აჯანყებულთაგან შიდა ქართლის ამ ტერიტორიის განთავისუფლებას ითვალისწინებდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უსისხლო ომი დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში, მოკლული გვარდიელების რაოდენობა სულ რამდენიმე იყო, დაჭრილებისა კი – ოცამდე. იმავე პერიოდში ბოლშევიკურ აზრბაიჯანთან შეტაკებებში 50-მდე ადამიანი დაიღუპა, 250-მდე კი დაიჭრა (ჯუღელი 1920: 240). ასე წარმატებით ჩატარებული ოპერაცია სტიმულსაც მისცემდა გვარდიელებს მომავალი ბრძოლებისთვის. ოსებმაც მწარე გაკვეთილი მიიღეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს, როდესაც მსგავს ავანტიურას წამოიწყებ, რომლის განხორციელების არც რეალური მიზეზი და არც საშუალება არ არსებობს, როდესაც სხვა ქვეყნის მიზნებს ეწირება შენი ხალხი და შედეგად მხოლოდ დამარცხებული რჩები, მათგან კი არანაირი დახმარება არ ჩანს.

ქართული პრესის მასალებით შესაძლებლობა მოგვეცა აღგვედგინა სამხედრო მოვლენების ყოველდღიური მსვლელობა და სამხედრო შენაერთების ძალთა ბალანსის დადგენა. ასევე გამოიკვეთა გიორგი კვინიტაძის, როგორც სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელის როლი, განსხვავებით იმ

დამკვიდრებული მოსაზრებისგან, თითქოს ვალიკო ჯუღელი ხელმძღვანელობდა აჯანყების ჩახშობას. იმ შემთხვევაში, როდესაც კვინიტაძე საბრძოლო ფრონტზე არ იმყოფებოდა, ხელმძღვანელობა გენერალ კონიაშვილს ებარა, აქედან გამომდინარე ჯუღელს საერთო ხელმძღვანელის ფუნქცია არ დაკისრებია, თუმცა აქტიურად ხელმძღვანელობდა მარჯვენა კოლონას და იღებდა მონაწილეობას სამხედრო კრებებში.

აჯანყების მოვლენებს შეფასებები ეძლეოდა ქართულ პრესაში, ხდებოდა ვითარების მიმოხილვა და აჯანყების დაწყების მიზეზების ანალიზი, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, მიეღო დაწვრილებითი ინფორმაცია ამ მოვლენებზე. სტატიების ხასიათში იგრძნობა, რომ ოსების მხრიდან აჯანყებებით უკვე მობეზრებულნი იყვნენ და კრიტიკას ცოტა მკაცრი ტონი ახლავს. ერთ-ერთი ასეთი სტატია დაიბეჭდა გაზეთ *ერთობის* 1920 წლის №129-ში, სადაც აღნიშნული იყო, რომ ოსებისთვის უკვე დამახასიათებელი იყო გამოსვლები საქართველოსთვის მძიმე პერიოდში. მიზეზად რუსეთში არსებული ბოლშევიზმი სახელდებოდა. სტატიაში ხაზგასმული იყო, რომ ამ მღელვარებებს რუსების ავანტიურისტული ქმედებები იწვევდა. მსგავსი შეხედულების არსებობა ხელს უწყობდა, რომ კონფლიქტი არ ჩამოყალიბებულიყო ქართველებსა და ოსებს შორის, ანუ კონფლიქტს არ მიეღო ეთნიკური დაპირისპირების ხასიათი და შეფასებულიყო რეალურად, ანუ აჯანყებად, რომელიც ინსპირირებული იყო რუსეთის ავანტიურის შედეგად და მონაწილეობდა საქართველოში მცხოვრები ოსების მხოლოდ ნაწილი. აქ, რა თქმა უნდა, არ ივიწყებდნენ რუსეთის ტერიტორიიდან აჯანყებულთათვის დამხმარე ბანდების გადმოსვლასაც და ამით 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების მეექვსე მუხლის დარღვევას.

მოვიყვანთ ამონარიდს ამ სტატიიდან, რომელიც აჯანყების კარგ შეფასებას წარმოადგენს:

> თავისთავად ოსეთის უგუნური გამოსვლა ბოლოს და ბოლოს თვით ჯავის ხეობის გაბრიყვებულ მცხოვრებთ მოუტანს ზარალს. მუხანათს და ორგულს მიეზღვის ის, რაც დაიმსახურა. მაგრამ დაუსჯელი დარჩებიან ის პირდაპირ მომტყუებელნი, შემაცდენელნი, რომელნიც ამ ხალხს ცეცხლში ჩააგდებს, თვითონ კი საზღვარს გადაირბენენ და საბჭოთა რუსეთის თვალუწვდენელ ზღვაში გადაიკარგებიან (ერთობა №129 1920: 2).

ეს შეფასება ზუსტად ასახავდა განვითარებულ მოვლენებს, რუსეთის ბოლშევიკებმა წამოიწყეს აჯანყება და შემდეგ ბედის ანაბარა მიატოვეს ისინი, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში გარბოდნენ აჯანყების ხელმძღვანელებიც, როდესაც საქმე ცუდად მიდიოდა. თავად აჯანყებულებმა კი მწარე მაგალითი მიიღეს თუ რა შეიძლება მოჰყვეს მსგავს გამოსვლებს.

საყურადღებოა ასევე გაზეთ *ერთობის* 130-ე ნომერი, სადაც იმ მდგომარეობაზეა საუბარი, რომელშიც ოსები ცხოვრობნენ საქართველოში. ხაზგასმა ხდება იმაზე, რომ ოსებს ორი წლის განმავლობაში არც ერთი ჯარისკაცი არ გამოუყვანიათ შეიარაღებული დაპირისპირებების დროს საქართველოს სასარგებლოდ (აქ არ არის საუბარი იმ ოსებზე, რომლებიც თავისი ნებით მიდიოდნენ ქართულ არმიაში, ან სწავლობდნენ კადეტთა სასწავლებელში სამხედრო კარიერის გასაგრძელებლად) და არც გადასახადები გადაუხდიათ. აქ საუბარია იმ მოქალაქეობრივი უფლებების შეხსენებაზე, რომელიც ყველა მოქალაქეს უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს წინაშე, საუბარია იმ პრივილეგიებზე, რომლებიც ოსებს გააჩნდათ და მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ადვილად წამოეგნენ ამ ავანტიურას, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული და არა ოსების თვითგამორკვევისკენ.

> დღეს რესპუბლიკამ უნდა თქვას – კმარა! და მთელი თავისი სიძლიერით უნდა შეაგნებინოს თავაშვებულ ბრბოებს, თუ რას ნიშნავს რესპუბლიკური წესრიგის დაცვა და მოქალაქის ელემენტარული მოვალეობის ასრულების საჭიროება... ის მკაცრი ზომები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა იძულებული ხდება მიმართოს მესამეთ აჯანყებულ ოსეთის რაიონის ასალაგმავათ, იქნება წმინდა თავდაცვითი აქტი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, ეს იქნება მოძალადეებთან და მტარვალებთან ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავათ, რესპუბლიკის და დემოკრატიის დასახსნელად (*ერთობა* №130 1920: 2).

ამ სტატიების უფრო ღრმად განხილვას აღარ გავაგრძლებთ, რადგან საერთო მიმართულება აშკარაა: ეს არის ოსების, როგორც მოქალაქეების, მოვალეობის შეუსრულებლობა სახელმწიფოს წინაშე და გამოსვლა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ორი წელი იცავს მათ ყოველგვარი ფულადი თუ სამხედრო გადასახადების გადახდის გარეშე.

ქართულ პრესაში ასევე ხდებოდა კომუნისტური პრესის განხილვაც და ციტატების მოყვანაც, რაც მოწინააღმდეგის მოსაზრებებს უკეთ წარმოაჩენდა. სხვათაშორის, ერთ-ერთ ასეთ ციტატაში გაზეთ *სალდატ რევოლუციის* 4 ივნისის ნომრიდან აღიარებულია, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთ ოსეთში

მოხდა დამხმარე ძალების გადმოსვლა, რომელიც სტატიაში განმათავისუფლებელ ტალღადაა შეფასებული (*ერთობა* №135 1920: 2). ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ რუსეთის მხრიდან დახმარების ბრალდება საქართველოს არ გამოუგონია და რეალურად ხდებოდა შეიარაღებული ბანდების გადმოსვლა მაშინ, როდესაც სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით რუსეთი მეგობარ სახელმწიფოდ ევლინებოდა საქართველოს.

საინტერესოა კიდევ ერთი ციტატა, რომელიც გაზეთ *კომუნისტის* 57-ე ნომრიდანაა მოყვანილი. აქ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბოლოო მიზანი კავკასიის საბჭოთა კავკასიად ქცევაა, ამით უკვე ყველაფერი ცხადი ხდება, რომ ის ბანდები, რომლებიც რუსეთიდან გადმოდიოდნენ, ის ფული, რომელიც რუსეთის ბოლშევიკებისგან იგზავნებოდა აჯანყების დასახმარებლად და ის პოლიტიკური მფარველობა, რომელსაც რუსეთი ეწეოდა აჯანყებულთა მიმართ, იყო არა ოსების თვითგამორკვევისთვის ხელშეწყობა, არამედ წინასწარ განსაზღვრული ნაბიჯი კავკასიაში საბჭოთა რეჟიმის დასამყარებლად, ანუ კავკასიის რუსეთთან შესაერთებლად.

რუსეთი ამ გავლენის მოხდენას ახერხებდა საქართველოში მცხოვრები ოსების გარკვეულ ნაწილზე, რომელთა მიმართაც შემდეგ საქართველომ გამოიყენა სამხედრო შენაერთები. არსებობდა ოსების სხვა ნაწილიც, რომლებიც ამ ავანტიურაში არ ერეოდა და ჩვეულებრივად განაგრძობდა საქართველოში ცხოვრებას. სწორედ მათი წერილი გამოქვეყნდა ქართულ პრესაში აჯანყების დასრულების შემდეგ:

> გორის მაზრის, ხაშურის რაიონის, ცემის საზოგადოების მთავრობას შემდეგი განუცხადეს: ჩვენ ზემო აღნიშნული რაიონების მცხოვრებნი ვაცხადებთ, რომ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს და არც გვქონია მთის ოსეთის აჯანყებასთან, პირიქით, გადაჭრით ვკიცხავთ მათ და ამ აჯანყებას დამლუპველად ვსთვლიდით ოსებისათვის (*ერთობა* №150 1920: 2).

სტატიაში ასევე არის საუბარი იმაზე, რომ აჯანყების დაწყებისას იყო მცდელობა მათი გადაბირებისაც, რისთვისაც აჯანყებულებმა თავიანთი აგიტატორები გაგზავნეს აღნიშნულ რაიონებში, მაგრამ ოსების ეს ნაწილი არ აჰყვა მათ და ჩვეულებრივი ცხოვრება განაგრძო საქართველოში. სტატიიდან ირკვევა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, როდესაც მათ უარი უთხრეს აჯანყებულებს დახმარებაზე, როგორც ჩანს, განაწყენებულებმა გაძარცვეს ისინი და ისე წავიდნენ, სწორედ ამიტომ ისინი მთავრობას სთხოვდნენ დახმარებას.

ასეთი იყო აჯანყებულთა მოქმედების ტაქტიკა, ძაცვავდნენ და არბევდნენ ოსებსაც კი, თუ ისინი არ აჯანყდებოდნენ, ანუ აჯანყებისკენ მოწოდება ძალადობის და დაშინების გზით ხდებოდა.

ახლა საჭიროა განვიხილოთ ისიც, თუ რას გეგმავდა საქართველოს სახელმწიფო შიდა ქართლის ამ ტერიტორიაზე აჯანყების ჩახშობის შემდეგ. საჭირო იყო გეგმის შედგენა, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო ეს მხარე. ამისთვის მიდიოდა განხილვები, როგორც სამხედრო სამინისტროში, ისევე მთავრობაში. სამხედრო სამინისტროში მოეწყო განხილვა, სადაც მოუსმინეს ვალიკო ჯუღელს, რომელმაც განვითარებულ მოვლენებზე ჩააბარა ანგარიში. ამის მიხედვით სამინისტროში დაადგინეს:

> ა. სოფელი როკი სრულიად მოისპოს, გარდა სანაპირო ჯარების ბინებისა.
> ბ. ოსეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ყველა გადასასვლელი გზები, გარდა მამისონისა, იქნეს აფეთქებით საბოლოოდ გაფუჭებული.
> გ. აყრილ და ჩრდილოეთ კავკასიაში წასულ ოსებს არ მიეცეს უკან დაბრუნების ნება. იმ ოჯახებს, რომლებმაც გამოიჩინეს ჩვენი ლოიალობა, ნება მიეცეს დარჩნენ თავიანთ სოფლებში, ხოლო საეჭვო პირებს, მთავრობის განკარგულებით, მიეცეს საშუალება რესპუბლიკის სხვა რაიონებში გადასახლების.
> დ. სრულებით გადასახლებულნი იქნან ჯავის მიდამოების ოსები (ლიახვისა და ფაცის ხეობები) და მათ მაგიერ ეს ადგილები მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების განკარგულებით, დასახლებულ იქნას ქართველებით.
> ე. არ დაუბრუნდეთ ოსებს ჩამორთმეული პირუტყვი.
> ვ. ყოველგვარი ზარალი, რომელიც მიადგა სამხედრო მოქმედებებით ჩვენს მომხრე ოსებს, ანაზღაურდეს რესპუბლიკის ხაზინიდან.
> ზ. ლტოლვილ ოსებს, რომლებიც ამჟამად ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფებიან, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მიეცეს დახმარება და ისინი ჩასახლებულნი იქნან რესპუბლიკის სხვა ტერიტორიაზე (ჭუმბურიძე 2003: 324-325).

ამ გადაწყვეტილების სრული ვერსიის ციტირება საჭიროდ მივიჩნიეთ იმის გამო, რომ კარგად გამოჩენილიყო სახელმწიფოს სტურქტურა, ანუ რა გადაწყვეტილებებს იღებდა სამხედრო ხელმძღვანელობა და როგორ აბალანსებდა მას მთავრობა. მიღებული გადაწყვეტილება საკმაოდ მკაცრი

იყო, მიუხედავად იმისა, რომ ნახსენები ოსები აჯანყდნენ, ჩრდილო კავკასიაში გაქცეულთა შორის ის მშვიდობიანი მოსახლეობაც ერია, რომელიც გაერიდა სამხედრო მოქმედებებს, ამიტომ მათ წინააღმდეგ ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანა არ თავსდებოდა იმ კრიტერიუმებთან, რომელიც მიღებული ჰქონდა ქვეყანას ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში, თუ ზოგადად ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით. შესაბამისად მთავრობამ სამხედრო სამინისტროს ეს გადაწყვეტილება ასე სასტიკად არ განახორციელა და დაბალანსებული სახით მიიღო. სახელმწიფოში არსებული მსგავსი სტრუქტურა წარმატებული მოქმედების საშუალებას იძლეოდა, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულების დანაშაული საკმაოდ დიდი იყო, მთავრობამ არ მისცა სამხედრო სამინისტროს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების საშუალება და მისი გადაწყვეტილების განხილვის შემდეგ განახორციელა ის ქმედებები, რომლებიც საჭიროდ მიიჩნია ქვეყნის დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე.

მართალია, გადაწყვეტილების სიმკაცრე შესუსტდა, მაგრამ მოსახლეობისგან დაცარიელებული სოფლები შევსებას საჭიროებდა. ქვეყანა უნდა განვითარებულიყო, ამიტომ საჭირო იყო ამ ტერიტორიაზე ხალხის ცხოვრება და მიწის დამუშავება, განსაკუთრებით ახალშექმნილ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკის ჩამოყალიბებას და განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ მიზნით გადაწყდა დაცარიელებულ ადგილებზე ქართველების ჩასახლება, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო, რადგან მოსახლეობა თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა და არ ჰქონდა საშუალება სტაბილურად განვითარებინა მეურნეობა. ჩრდილო კავკასიიდან ხდებოდა ოსების გადმოსვლა, რომლებიც აყაჩაღებდნენ მოსახლეობას (ჯუმბურიძე 2003: 327).

მართალია, ქართულმა ხელისუფლებამ მოახერხა აჯანყების ჩახშობა და ტერიტორიის გაწმენდა ბანდებისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯარის სიმცირის გამო ისინი მუდმივ კონტროლს ვერ ახორციელებდნენ ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელებზე, რაც იწვევდა იქიდან ბანდების გადმოსვლას და ხალხის ძარცვას.

ახლა განვიხილოთ, თუ რა ბედი ეწიათ ჩრდილოთ კავკასიაში გახიზნულ ოსებს, რომლებსაც საქართველოს შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილის რუსეთთან შეერთება და „მომძე“ ჩრდილო ოსეთთან გაერთიანება სურდათ. ოთარ ჯანელიძეს სტატიაში *ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения*-ზე დაყრდნობით მოჰყავს ცნობა, რომ ჩრდილო ოსეთში გახიზნულ ოსებს მშვიდობიანად ცხოვრების საშუალება არ ჰქონდათ. ადგილობრივი ბანდები ძარცვავდნენ ქალებს და მოხუცებს, აყაჩაღებდნენ მათ და არ აძლევდნენ მოსვენებას (ჯანელიძე ელ. ვერსია). ასე რომ, მათ ქართველებმა კი არ მოუწყვეს ჩაგვრა, არამედ თავიანთმა „მომძე“, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ოსებმა, რომლებმაც გახიზნულ მოსახლეობაში, მხოლოდ ნადავლის ხელში ჩაგდების წყარო დაინახეს, იმის მაგივრად, რომ დახმარების ხელი გაეწოდებინათ და შეეფარებინათ. ამ მაგალითით კარგად შეიძლება შედარება, თუ როგორ ცხოვრობდნენ ისინი საქართველოში, სადაც არ იხდიდნენ გადასახადებს და არავინ აწიოკებდა და როგორი ცხოვრების საშუალება მიეცათ მათ ჩრდილო ოსეთში, რუსეთის ტერიტორიაზე. ადვილი წარმოსადგენია, რა ელოდათ მათ, თუკი ისინი განახორციელებდნენ თავიანთ გეგმას და შიდა ქართლის ნაწილს შეუერთებდნენ რუსეთს, მაშინ ხომ ჩრდილო კავკასიის ბანდებს გზა გაეხსნებოდათ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ თავისუფლად გადმოსასვლელად და ხალხის გასაძარცვავად.

ახლა კი შევეხოთ იმ ქართველებს, რომლებიც აჯანყების მთელი პერიოდის განმავლობაში ოსების ტყვეობაში იმყოფებოდნენ. როგორც ზემოთ ვთქვით, ისინი ტყვედ ცხინვალის აღების დროს ჩაიგდეს. ტყვეების რიცხვი ჯამში 354 კაცი იყო და მათი განთავისუფლება მხოლოდ ივლისის თვეში მოხერხდა. მათი ტყვეობაში ყოფნის დროს დახმარებას უწევდნენ იქაური ქართველები და ალაგირში მცხოვრები ოჯახები. დაბრუნების შემდეგ მათი სამადლობელო წერილიც გამოქვეყნდა ქართულ პრესაში (*ერთობა* №157 1920: 3).

ამრიგად, აჯანყების ჩახშობა ქართულმა სამხედრო შენაერთებმა წარმატებით მოახერხეს, მაგრამ ეს არ გასცდენია ნორმის ფარგლებს და ოსების გენოციდთან საერთო არაფერი ჰქონია. აჯანყებულმა ოსებმა კი ვერანაირი დახმარება ვერ მიიღეს ვერც წამქეზებლებისგან და ვერც ჩრდილო ოსებისგან, პირიქით, მათ მხოლოდ მარცვა-რბევით უპასუხეს დახმარების თხოვნაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ აჯანყების წამოწყებაში გარე მხარის როლი აშკარაა, კერძოდ კი რუსეთის როლი, ფაქტობრივად ოსთა აჯანყების ინსპირატორი რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი უკვე ფულსაც უგზავნიდა ოს სეპარატისტებს რათა შეექმნათ რევკომი და დაეწყოთ აჯანყება. აქცენტი კვლავ ცხინვალზე გაკეთდა, მაგრამ ახლა უკვე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცალკე მაზრით ან ავტონომიით აჯანყებულები აღარ დაკმაყოფილდნენ და განაცხადეს, რომ შიდა ქართლის იმ ტერიტორიას, რომელიც მათ აჯანყების შემდეგ ხელში ჩაიგდეს, რუსეთს შეუერთებდნენ.

ერთადერთი, ვისაც ასეთი გზით საქართველოს დასუსტება ხელს აძლევდა, იყო რუსეთი, თან თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ დროს მიმდინარეობს სამხედრო დაპირისპირება საქართველოსა და ბოლშევიკურ აზერბაიჯანს შორის, რომლის უკანაც რეალურად რუსეთი იდგა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ კი, მიუხედავად იმისა, რომ რუსების ინტერესები ბოლომდე ვერ განხორციელდა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია რუსეთს ვერ შეუერთდა, მათ ახალი მიზეზის გამოყენება დაიწყეს. ისინი დღემდე აპელირებენ თითქოს ქართველებმა თავისუფლებისკენ მიმავალ ოსებს გენოციდი მოუწყვეს, ხოლო რუსეთი მათ მფარველად ევლინება. ზუსტად ამის მსგავსი მიზეზი გამოიყენა რუსეთმა 2008 წელსაც, როდესაც მოახდინა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია. ამით იმის თქმა გვინდა, რომ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც კი რუსეთის მიზნები აღნიშნული მიმართულებით და მისკენ მიმავალი გზები არ შეცვლილა. ის ისევ იმავე ხერხებს იყენებს, რასაც იყენებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ქართული პრესის 1920 წლის გამოცემებმა მოგვცა სათანადო მასალა, რომ აღგვედგინა აჯანყების დროს არსებული ვითარება და გაგვეკეთებინა ანალიზი მომხდარ მოვლენებზე. პრესის ყოველდღიური გამოცემები იძლევა ყოველდღიური მოვლენების ასახვის შესაძლებლობას, რაც მას განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა წყაროებთან შედარებით. ყოველდღიური საინფორმაციო და ანალიტიკური სტატიები არა მარტო მოვლენების განვითარების აღდგენის საშუალებას, არამედ იმ პერიოდის საქართველოში აჯანყების შესახებ გავრცელებული შეხედულებების გარკვევის საშუალებასაც გვაძლევს.

აღნიშნული ფაქტები კი საბოლოოდ იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ 1920 წლის აჯანყება, არ იყო ეთნიკური დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებაში უმეტეს ნაწილს ოსური ბანდები შეადგენდნენ, ისინი რუსეთის კომუნისტური პარტიის მითითებებით და ბრძანებებით ხელმძღვანელობდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მხოლოდ აჯანყებულებს ებრძოდნენ და საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მცხოვრები ოსებისთვის ზიანი არ მიუყენებიათ, მთლიანად უნდა გამოირიცხოს ოსებისთვის გენოციდის მოწყობის ბრალდებაც. მაშასადამე, 1920 წლის აჯანყება წარმოადგენდა იმ ავანტიურის შედეგს, რომელიც რუსეთის ინსპირაციის შემდეგ დაიწყეს ოსურმა სეპარატისტულმა ძალებმა.

შენიშვნები

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის შეფასებით აზერბაიჯან-საქართველოს ომი სინამდვილეში წარმოადგენდა წმინდა რუსულ-ქართულ ომს, რადგან რუსული წითელი არმია იბრძოდა აზერბაიჯანის სახელით. ამით რუსეთის ოფიციალური მთავრობა არ ჩანდა და არც 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება დაირღვეოდა, რაც მარცხის შემთხვევაში სიტუაციიდან მშრალად გამოსვლის საშუალებას მისცემდა.

დამოწმებანი

ბერიძე და *სხვები* 1958: С.Д. Беридзе, А.М. Иовидзе, С.В. Маглакелидзе, Ш.К. Чхетиа. Борьба за победу Советской власти Грузии: Документы и материалы (1917-1921гг), Тбилиси, Сабчота Сакартвело.
გურული 1920: ნ. გურული. პროვინცია. გაზ. *ერთობა*. №95.
***ერთობა* 1920**: გაზეთი ერთობა. №96; 101; 114; 127; 128; 129; 130; 133; 135; 136; 137; 138; 139; 140; 150; 157.
თოთაძე 1993: ა. თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბილისი, სამშობლო.
თოთაძე 2006: ა. თოთაძე. ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბილისი, უნივერსალი.
თოიძე 1991ა: ლ. თოიძე. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, მეცნიერება.
თოიძე 1991ბ: ლ. თოიძე ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი, ივერთა მხარე.
კვინიტაძე 1998: გ. კვინიტაძე. მოგონებები. წ. 1. თბილისი, ლომისი.
ლორთქიფანიძე 1995: გ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
მენთეშაშვილი 1989: ა. მენთეშაშვილი. სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის შეიარაღებული აჯანყება. გაზ. სახალხო განათლება №95.
მენთეშაშვილი 1996: ა. მენთეშაშვილი. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებული: ოსთა საკითხი. რედ. ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე. თბილისი, პითაგორა.
საქართველოს რესპუბლიკა 1920: გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. №138.
ჯუმბურიძე 2003: დ. ჯუმბურიძე. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლები), თბილისი, მემატიანე.

ჯანელიძე ელ. ვერსია: ო. ჯანელიძე. ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ვებ-გვერდი Iberiana. http://iberiana.wordpress.com/samachablo/janelidze/
ჯუღელი 1920: В. Джугели. Тяжёлый крест (Записки народногвардейца), Тифлись, Типографиа Правительства.

Ossetian Rebellion in Shida Kartli in 1920 according to Georgian Press

Manuchar Guntsadze

The focus of the present paper is the rebellion of 1920 in so called "South Ossetia".

In Georgian historiography there is no monograph exclusively devoted to this event. As for the various works which refer to Ossetia issues, the rebellions usually are discussed very briefly. The author aims to fill up this gap and represent the whole picture: he specifies the reasons of the rebellion and establishes main facts of its political and military development, shows the negative role of Russia.

The representation of this event is very important in the context of Russian-Georgian war in 2008 when the military actions were accompanied with anti-Georgian propaganda. The Ossetians having been encouraged by Russia were blaming Georgians in genocide of the Ossetians in 1920. The author extensively touches the measures undertaken by Georgian authorities while putting down the rebellion. He shows that these measures were necessary for saving state institutions of Georgian Democratic Republic. The author disagrees with generally accepted opinion regarding to Valiko Jugheli (one of the leaders of Social Democratic Party) as a main actor of this process. According to him the main role in suppressing rebellion belonged to the General Giorgi Kvinitadze.

The Georgian press at that time is a principal source of the research. The author revealed new materials based on three newspapers: *Sakartvelos Respublika*, *Ertoba*, and *Sakhalkho Saqme*. Memories and historiography also are essential sources for this investigation.

ქართული კვალი ჩერქეზეთში

თორნიკე დიასამიძე

კავკასია ოდითგანვე წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ ტერიტორიას, საუკუნეების განმავლობაში აქ სხვადასხვა ხალხი მშვიდობიანად თანაცხოვრობდა, იყო პერიოდები როდესაც გარდაუვალი ხდებოდა მათ შორის სისხლისმღვრელი დაპირისპირება, მაგრამ საერთო მტრის შემოსევების დროს კავკასიის ხალხები ერთიანდებოდნენ და ერთობლივი ძალებით იცავდნენ საკუთარ ტერიტორიებს.

საქართველო თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო წარმოადგენდა კავკასიის ცენტრს, მას თანაბრად მიუწვდებოდა ხელი კავკასიის ნებისმიერ რეგიონზე, ამიტომაც ჩვენი ქვეყნის როლი კავკასიის ისტორიის განხილვისას გამორჩეულია. საქართველო მეზობელ ხალხებთან ამყარებდა მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს.

ადიღეებში და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა მეზობელ ხალხებში, ქართული გავლენა IX-X საუკუნეებში ეგრის-აფხაზეთის სამეფოდან შედიოდა. X-XV საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობა უკვე გაერთიანებული საქართველოდან ვრცელდება. ამ დროიდან ხდებოდა ადიღეებში ბიზანტიური გავლენის ჩანაცვლება ქართული გავლენით. საქართველოს გავლენა ადიღეებზე ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების განმტკიცებასთან ერთად იზრდება, ქრისტიანობა ადიღეებში ოსმალთა შემოსევებამდე არსებობდა.

ადიღეების შესახებ ცნობებს ვპოულობთ გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერებში: მისი მოგზაურობის დროს კავკასიის მოსახლეობაში, სახელდობრ, ადიღეური მოდგმის ხალხებში, არამდგრადი ხასიათის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ფიქსირდება. მისი დაკვირვებით, კავკასიის ყველა სხვა ხალხებთან ერთად, ადიღეელები აღიარებდნენ ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც იქ საქართველოდან შედიოდა, მის დროს კი მხოლოდ ამ რელიგიის ნაშთები იყო შემორჩენილი. მისი დაკვირვებით, იმ დროს თავადები და აზნაურები აღიარებდნენ ისლამს, რიგითი ხალხი კი ყოველგვარი რელიგიის გარეშე ცხოვრობდა (გელაშვილი 1964: 171). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს გზით ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობა წარმართული რწმენა-წარმოდგენის მიმდევარი უნდა ყოფილიყო (ითონიშვილი 2002: 252). შესაბამისად, საქართველოდან ქრისტიანობის ქადაგებით და გავრცელებით ადიღეელები აღმოჩნდნენ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-კულტურული გავლენის ქვეშ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული ქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლია დაფიქსირებული, ხოლო ჩერქეზეთში მათი რაოდენობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია, ვინაიდან ქართველები ამ მხარეში გვიან პერიოდამდე, XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდნენ. სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ე.წ. თავისუფალი თემები XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე ინარჩუნებდნენ გარკვეულ გავლენას ყარაჩაისა და ბალყარეთის მთიანეთზე (გუჯეჯიანი 2007: 45).

საისტორიო გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ქართველები კავკასიონის ქედს გადაღმა და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. წლების განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით დაგროვილი მასალა გვარწმუნებს, რომ სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლება დასტურდება უამრავი ფაქტით (მიზჩუანი 1974: 63). სვანური ელემენტები ჩერქეზულში და ჩერქეზული ელემენტები სვანურში იმის მოწმობაა, რომ ქართულს რიგ ისტორიულ პერიოდში მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულ ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან. ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდოში გვხვდება „ზან“ ფუძიანი ტოპონიმები, რომელიც უსათუოდ სვანური გზით არის შესული. „ზან“ ფუძე შენახულია სამეგრელოშიც (სოფ. ზანეთი, პატარა ზანა და სხვ.) (ჯანაშია 1959: 86).

სვანეთი იყო საქართველოს დამაკავშირებელი ჩერქეზებთან და ბალყარელებთან, X საუკუნიდან სვანეთში საეკლესიო-სამონასტრო მოძრაობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა (გასვიანი, 1973: 61), რაც რა თქმა უნდა, გამოიხატა კავკასიონის იქით ქართული კულტურის გავრცელების გაფართოებაში.

ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობა ბალყარეთსა და ჩერქეზეთში დასტურდება წერილობითი წყაროებით, ტოპონიმიკით, მატერიალური

კულტურის ძეგლებით, ფოლკლორით, საგვარეულო ისტორიებით, რომლებშიც დაფიქსირებულია გადმოცემები ამა თუ იმ გვარის ქართული წარმომავლობის შესახებ.

ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი ჩერქეზეთსა და ბალყარეთში დღესაც არსებობს, წერილობითი წყაროები ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. 1743 წლის ცნობით, ჩეგემის ერთ ხეობაში „სონის“ 300 ოჯახი ცხოვრობს, მათ აქვთ ორი ქრისტიანული ეკლესია, ეკლესიაზე გამოსახულია ჯვრები, „სონები“ დიდმარხვის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარშავენ და ინაწილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნები, რომელთაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან (გუჯეჯიანი 2007: 47-48). ამ აღწერილობაში ადვილად ამოიცნობა ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრების და მენტალობის უმთავრესი მახასიათებლები.

IX საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გარკვეულ გავლენას ავრცელებენ ალან-ოსები, მათი გავლენის ქვეშ მოხვდა სწორედ ჩერქეზეთის მოსახლეობა. რა თქმა უნდა, მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან, როგორც მეზობელ და მოკავშირე სამეფოსთან.

X საუკუნიდან მოყოლებული საქართველო-ოსეთის კულტურულ-რელიგიური ურთიერთობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის. თუმცა ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნამდე ოსეთში თავისი გავლენის დამყარებას და განმტკიცებას ეგრის-აფხაზეთის ქართული სამეფო ცდილობს. ჯერ კიდევ X საუკუნის 20-იან წლებში, გიორგი II „აფხაზთა მეფის“ უშუალო მონაწილეობით ალანებმა ქრისტიანობა მიიღეს, გიორგი II პირადად მონაწილეობდა ალანთა მთავრის ნათლობაში. აღსანიშნავია, ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი, რომელიც მოგვითხრობს გიორგი II დამსახურების შესახებ ალანთა გაქრისტიანების საქმეში: „შენმა ღვთისმოსავობამ და უმწიკვლო ქცევამ, აღგვიძრა სიყვარული შენდამი, შენი ღვთისმოსავობის საბუთია ღვთისნიერი სწრაფვა, რომელიც გამოიჩინე ალანთა ტომის მიმართ, განანათლე ალანთა მმართველი და ყველა მასთან ერთად, ვინც ღირსი გახდა წმინდა ნათლისღებისა“ (ყაუხჩიშვილი 1952: 214).

ნიკოლოზ მისტიკოსი 922-925 წლებში ხოტბას ასხამს გიორგი II იმ ღვაწლისათვის, რაც მან და მისმა მამამ კონსტანტინემ დასდეს ალანეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეს. ქრისტიანობის გავრცელებით გიორგი II ცდილობს თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებას ალანებზე (ლორთქიფანიძე 2008: 225).

ქრისტიანობასთან ერთად ეგრის-აფხაზეთის სამეფოდან ალანეთში აქტიურად ვრცელდებოდა ქართული ენა (ჯანაშია 1952: 306), რომელიც პირველ რიგში მმართველ ფენაში მკვიდრდებოდა. საქართველოს ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების შემდეგ გაგრძელდა კულტურული გავლენის გავრცელება ალან-ოსებზე. თვით ოსეთშიც ამ დროიდან არსებობს სახელმწიფო, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისაკენ მიისწრაფვის. X საუკუნეში ოსეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ხოლო შემდგომ პერიოდში ინიციატივა ამ მიმართულებით მთლიანად გაერთიანებული საქართველოს ხელში გადმოვიდა (თოგოშვილი 1959: 226). ცხადია, საქართველოს გავლენა ვრცელდებოდა, როგორც ალან-ოსებში, ასევე მათი გავლენის ქვეშ მყოფ ხალხებში.

პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი საწინდარი დინასტიური ქორწინება იყო. დინასტიური ქორწინებანი საქართველოსა და ოსეთის მმართველ წრეებს შორის მათი კულტურული დაახლოების დიდ შესაძლებლობებს ქმნიდა. როგორც ვიცით, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი III დაქორწინებული იყვნენ ოსეთის მეფეთა ასულებზე.

ოსეთის მეფის ასულები საქართველოში გადედოფლების შემდეგ ხელს უწყობდნენ თავის სამშობლოსთან კავშირის განმტკიცებას (თოგოშვილი 1958: 227). საქართველოში ისინი ქრისტიანობის მფარველების როლში გვევლინებიან და იღწვიან ქრისტიანული რწმენის გავრცელებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ალან-ოსეთი საქართველოს ეკლესიის სამწყსოს შემადგენლობაშია. აღნიშნულია, რომ მათი საეპისკოპოსო სავარაუდოდ იყო ბიჭვინთაში, თუმცა, მეორე მოსაზრებით, ალანთა საეპისკოპოსო ცენტრი უნდა ყოფილიყო X საუკუნეში აგებული არხიზის ტაძარი ზელენჩუკში, რომელიც დიდ მსგავსებაშია ლიხნის ტაძართან (მუსხელიშვილი 1980: 235).

არხიზი არის ჩრდილოეთ კავკასიის ერთადერთი ქალაქი, რომელიც არ მოუსპიათ მონღოლებს. ქვემო არხიზის ნაქალაქარზე გადარჩენილია სამი ტაძარი, პირობითი სახელებით *ჩრდილოეთი, შუა* და *სამხრეთი*. ჩრდილოეთი ეკლესიის გვერდით არის ცალნავიანი ბაზილიკის მსგავსი მცირე ეკლესიის ნანგრევები, ის შეიძლება VI საუკუნით დათარიღდეს.

ჩრდილოეთის ეკლესია მდებარეობს უზარმაზარი ველის განაპირას, ხევის პირას, ტაძარს სამი მხრიდან აქვს პორტალები. ქვემო არხიზის საშუალო ტაძარი მდებარეობს 800 მეტრის მოშორებით ჩრდილოეთის ტაძრის დასავლეთით, ესაა უბურჯო ჯვარ-გუმბათოვანი შენობა (კუზნეცოვი 2002: 4).

როგორც აღვნიშნეთ, არხიზის ჩრდილოეთი ეკლესია საოცრად ჰგავს აფხაზეთში, სოფელ ლიხნში X საუკუნის მიძინების ტაძარს. ლიხნის ტაძრის შესახებ ცნობებს გვაწვდის თედო სახოკია:

> გუდაუთიდან ჩრდილოეთით გზას კაცი სოფ. ლიხინში მიყავს, სადაც რეზიდენცია ჰქონდა აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ შერვაშიძეს, სახელი ლიხინი ქართული სიტყვა ლხინისგან დარქმევია, რადგან საუკეთესო სალხინო და დროის გასატარებელ ადგილად ითვლება. მას იმ დროს თურქული სახელიც რქმევია- სოუქ სუ, ე.ი. ცივი წყალი, გარშემო მრავალ ალაგს ამოჩუხჩუხებს ცივი, ანკარა, მეტად საამო წყალი. მთავრის ნასახლარის გვერდით ტაძარია ლიხინისა, დიდშენი, ბიჭვინთისა და დრანდის ტაძართა გეგმაზე აგებული, ამ ტაძრის აშენების დრო უნდა იყოს არა უგვიანეს XI საუკუნისა, რადგან ერთ კედელზე დარჩენილი წარწერა გვიჩვენებს 1066 წელს, როდესაც მეფობდა ბაგრატ IV. მეორე საინტერესო წარწერაც იმავე კედელზე მხედრული ასოებით ეკუთვნის იმავე ხანას. კედლებზე ძველებური მხატვრობა ძალზე ცოტა აქვს შემორჩენილი, ზოგი ცეცხლისაგან გაფუჭებულა და რაც ცეცხლს გადარჩენია შემდგომში ვითომ განახლების დროს კირით დაუფარავთ (სახოკია 1985: 398-390).

ჩერქეზეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია მდინარე ყუბანის სათავეებში მდებარე ქრისტიანული მონასტრები, რომლებიც დათარიღებულია X–XI საუკუნეებით. ერთ მათგანს ეწოდება *სენტი* (ქვედა თებერდაში) – ამ სოფლის ადრინდელი სახელი, მეორეს – *შუანა*, რომელიც აშენებულია ამავე სახელწოდების მთაზე. ორივე ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია, ჩამოხსნილი აქვს კარები, მოშლილი აქვს დამცავი ზღუდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიათა მშენებლობა უკავშირდება იმ პერიოდს, როდესაც ეს ტერიტორია მოქცეული იყო ოსების საზღვრების შემადგენლობაში.

სენტი ქართულ *სვეტს* ანუ *სვეტიცხოველს* უკავშირდება. ამ სახელწოდების მონასტერი შუაგულ სვანეთშიც დგას, მესტიაში – სეტის წმინდა გიორგის მონასტერი. ეს მონასტერი სვანეთის საერისთავოს სასულიერო ცენტრი იყო მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში და იქვე მოღვაწეობდნენ ქორეპისკოპოსი სეტელები (გუჯეჯიანი 2007: 51).

სენტის ეკლესიის პირველი არქიტექტურული შესწავლა მოახდინა ჯოზეფ ბერნარდმა 1829 წელს. ტაძარზე არსებობს XI საუკუნის მოხატულობის კვალი, მოხატულობა ორი ნაწილისაგან შედგება, ზედა ნაწილი შეიცავს ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებს. ნაწილზე გამოსახულია წმინდა მამები და მთავარანგელოზი. საკურთხეველში სამი სარკმლის თავზე ჩანს ღვთისმშობლის დიდი გამოსახულება და მის ქვეშ – საიდუმლო სერობა, ეკლესიასთან არის ორი აკლდამა, ერთი მავზოლეუმი კამარიანია, უზარმაზარი ქვებით დაფარული მეორე საფლავი კი ნაწილობრივ ჩამონგრეული.

გეგმით ტაძარი წარმოადგენს თანაბარ მკლავიან ჯვარს სამი ეკვდერით, შენობის სიგრძე და სიგანე 8 მეტრია, ეკლესია ნაგებია ქვიშაქვის კარგად თლილი ბლოკებით კირხსნარზე. ტაძრის იატაკის ქვეშ აღმოჩნდა მდიდრული სამარხი (კუზნეცოვი 2002: 7). ერთ-ერთი ფრესკის ფენის ქვეშ აღმოჩნდა წარწერა. ვინოგრადოვის გაშიფრვით, იქ ნათქვამია რომ ტაძარი აკურთხეს და განაახლეს 964 წელს (ვინოგრადოვი 2005: 49). ანუ ტაძარი განახლებული ან აგებული უნდა იყოს X საუკუნის II ნახევარში, სწორედ იმ პერიოდში როცა ალანეთში ქრისტიანობა საქართველოდან ინტენსიურად ვრცელდებოდა და ფეხს იკიდებდა.

სენტის ეკლესიის ახლოს არის ქვის მავზოლეუმი, რომელიც აგებულია უფრო მოგვიანო პერიოდში, მისი აგების თარიღის დადგენა საკმაოდ რთულია. თავად მავზოლეუმი უნიკალურია, მისი მსგავსი მეორე არ გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში, სავარაუდოდ, მავზოლეუმში კრძალავდნენ მაღალი სასულიერო წოდების წარმომადგენლებს, ასევე მისიონერებს.

სენტის ეკლესიისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მთა შოანაზე მდებარეობს ამავე სახელწოდების ეკლესია. ტაძრის აგების თარიღად სხვადასხვა ავტორები ასახელებენ მეათე საუკუნეს, ეს სწორედ ის პერიოდია, როცა საქართველოს ისტორიაში იწყება ქვეყნის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანების პროცესი, სწორედ ამ პერიოდიდან, ანუ მეათე საუკუნის დასაწყისიდან საკმაოდ ძლიერდება ეგრის-აფხაზეთის სამეფო, რომელიც აქტიურ ურთიერთობას ამყარებს ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე სხვადასხვა ხალხებთან.

შუანას ტაძარი დღევანდელი მონაცემებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მდებარეობს რუსეთის ფედერაციაში შემავალ ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ეკლესია ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებლური ძეგლია რუსეთის ტერიტორიაზე.

ამ ტაძრის არქიტექტურული აღწერა პირველად მოგვცა გერმანელმა მეცნიერმა ჯოზეფ ბერნარდცმა 1829 წელს. ტაძრის სიმაღლე არის 12 მეტრი. მეცნიერები, რომელთაც შეხება ჰქონდათ *შუანას*

ეკლესიასთან, მიუთითებენ მის ბიზანტიურ წარმომავლობას და ამას ხსნიან ტაძრის არქიტექტურული ანალიზით.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება არც ქართულ და არც უცხოურ წერილობით წყაროებში, ჩვენი მიზანია სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინებით ვისაუბროთ შოანას ეკლესიაში ქართულ კვალზე.

ტაძრის არქიტექტურული შესწავლის შემდეგ გამოირკვა მისი აგების დაახლოებითი თარიღი ანუ X საუკუნე. უცხოელი მეცნიერები მიუთითებენ, რომ ეკლესია ააგეს ალან-ოსებმა ბიზანტიელების ხელშეწყობით. თუმცა ამის საწინააღმდეგო უამრავი მასალა არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

პირველ რიგში ის, რომ ტერიტორია, სადაც მდებარეობს ეკლესია და მისი მიმდებარე მხარეები ოდითგანვე დასახლებული იყო ქართველებით, კერძოდ, კი სვანებით. მდინარე ყუბანის, კერძოდ, ყარაჩაის მხრით – ლაბგვიარი – ახლანდელი ულუ კამის ხეობა და ყაბარდოს მხრით – თეგენი, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე – 1834 წლამდე – სვანეთის საკუთრებას წარმოადგენდა, რისთვისაც სვანები იღებდნენ სათანადო გადასახადს იქ დასახლებული ყაბარდო-ბალყარელებისაგან. 1834 წელს ეს ტერიტორია სვანეთმა დაკარგა, ცხადია, ეს იყო საქართველოს დანაკარგი ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიაში. ხოლო საზღვრად კი დარჩა კავკასიონის ქედი (გელოვანი 2003: გვ. 42).

საინტერესოა აგრეთვე თვით მთის სახელწოდება შოანა, რომელიც უნდა მომდინარეობდეს სიტყვა [შუან[-დან რომელიც სვანეთის თვითსახელწოდებაა, ხოლო „მუშვან" კი – სვანის (გელოვნი 2003: გვ. 33).

როგორც აღვნიშნეთ, ტაძარი აგებული უნდა იყოს მეათე საუკუნეში, ამ პერიოდში კი კავკასიაში ჰეგემონიისთვის ბრძოლას იწყებს საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროები, ერთ-ერთი გამორჩეული კი არის ეგრის-აფხაზეთის ქართული სამეფო. საქართველოდან ინტენსიურად დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ეკლესია-მონასტრები, რომელიც არის ჩრდილოეთ კავკასიაში, სხვადასხვა ტერიტორიებზე განლაგებული. ქრისტიანობასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში აქტიურად ვრცელდებოდა ქართული ენა, არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილია ავარულ ენაზე ქართული ასოებით შესრულებული წარწერები.

ტაძრის შესწავლისას შიდა ინტერიერზე შეინიშნება კირის და საღებავის კვალი. ტაძრის მარჯვენა მხარეს გამოსახულია ჯვარი, ჯვრის ორივე მხარეს გამოსახულია წარწერა, რომელშიც, სავარაუდოდ, მოხსენიებულია „მონა ღვთისა ლეონი". ტაძრის აგების თარიღს ემთხვევა ეგრის-აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის ვაჟის ლეონ მესამის მოღვაწეობა 957-967 წლებში. ცნობილია, რომ ლეონ III მეფობისას დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა დიდი სააღმშენებლო სამუშაოები. ამ დროს აშენდა მოქვის და კუმურდოს ტაძრები. შესაძლებელია, სწორედ ლეონ III აქტიურობით აიგო შუანას ტაძარი და ტაძრის შიგნით გამოსახული წარწერა მიგვითითებდეს ლეონ მესამის შესახებ.

თ. მიბჩუანი აღნიშნავს, რომ შუანას ეკლესია, შესაძლოა, იგივე ქართული „ხარა-ხატო" იყოს, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას (მიბჩუანი 1974: 65).

ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ შუანას ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის იგივეობას „აფხაზური ჯგუფის" ეკლესიებთან სოფლებში ლოო, ბზიფი, მოქვი.

შუანას შესახებ წერს გერმანელი ექიმი და მოგზაური რეინექსი, რომელმაც, როგორც ჩანს, პირადად მოინახულა ეკლესია, საიდანაც წაიღო ორი წიგნი. სავარაუდოდ, შოანას ეკლესიაში უნდა ყოფილიყო წიგნთსაცავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ყველა ეს წიგნი დაკარგულია, გარდა ამ ორი წიგნისა რომელიც რეინექსმა წაიღო გერმანიაში, წიგნები უნდა იყოს ჰაიდებერგის უნივერსიტეტში.

XX საუკუნის ბოლოს ტაძარს ჩაუტარდა რესტავრაცია, დღეს ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ნაწილი შუანას და სენტის ეკლესიებზე ბიზანტიურ გავლენას ხედავს, მაგრამ ავიწყდებათ იმის აღნიშვნა, რომ X საუკუნიდან საქართველო ჰეგემონის როლში გვევლინება კავკასიაში და, შესაბამისად, მისი გავლენის სფეროში შემოდიოდა ჩრდილოეთ კავკასია. ალანთა გაქრისტიანებაც სწორედ საქართველოს გავლენის შედეგია, რომლის შესახებაც ცნობები დაცულია თვით ბიზანტიელ ავტორებთანაც.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დღეს სახლობენ ბალყარები და ჩერქეზები, ასევე არის ოსებით დასახლებული რამდენიმე სოფელი. ბალყარები და ყარაჩაელები საქართველოს უშუალო მეზობლები მონღოლთა შემოსევების შემდგომი პერიოდიდან ხდებიან (გუჯეჯიანი 2007: გვ. 278).

XVII-XVIII საუკუნეებში თურქულენოვან ტომთა მოძალებისაგან შევიწროებული ქართული სოფლები თანდათან იცლება ქართული ეთნოსისაგან. მათი ნაწილი სახლდება სვანეთში, ნაწილიც ასიმილირდება ბალყარებთან და ჩერქეზებთან.

ქრისტიანული ეკლესია მდგარა ზემო ჩეგემშიც, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობისა, ამას გვაფიქრებინებს ტოპონიმი „ბაირგმ“, რაც წმინდა მარიამს გულისხმობს.

საქართველო-ჩერქეზეთის კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობას ასახავს ჩერქეზეთისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ფოლკლორი და ტოპონიმიკა, ისევე როგორც დანარჩენ ისტორიულ საქართველოში, იქაც ინახავენ ხსოვნას საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ. ადგილობრივი გადმოცემით, თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა ამ მხარეში. ხუმარაში, ყუბანის ხეობაში შემონახულია ტოპონიმი *თამარის მთა*. ჩრდილოეთის კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – ოცდაათი სენაკი. ხუმარას მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრის სიმაღლის ჯვარია აღმართული, მას *თამარის ჯვარს* უწოდებენ. იქვე ყოფილა ქრისტიანული სასაფლაო, მსგავსი ჯვრები მრავლად ყოფილა აქ, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი. ხუმარაში დაფიქსირებულია უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი, ე.წ. *თამარის ქვა* (გუჯეჯიანი 2007: 50-51). გადმოცემით ამ ქვიდან მიმართავდა თამარ მეფე ჯარს, იქვე აბამდა თავის ცხენსაც, რომლის ანაბეჭდებადაც მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედელზე არსებულ ჩაღრმავებებს.

ბალყარეთსა და ჩერქეზეთში შემონახულია ქრისტიანული სასაფლაოები, ხუმარაში, ჟაბოლარში – ციხე-კოშკების კომპლექსი დადეშქელიანთა ერთ შტოს „ოთარალარ“-ს უკავშირდება (გუჯეჯიანი 2007: 53). ჯვრების გამოსახულებები გარდა სასაფლაოებისა, ამოკვეთილია კოშკებსა და ციხეებზეც. განსაკუთრებით ბევრი ქრისტიანული სამარხი გამოვლენილია ყარაჩაიში, ყუბანის სათავეებში. იქ აღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების, X-XIII საუკუნეების ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები და ა.შ.

ამრიგად, X-XV საუკუნეები განსაკუთრებული პერიოდია საქართველოსა და ბალყარეთის ხალხებს შორის ურთიერთობაში, მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკურმა კონტაქტებმა თავისი კვალი დატოვა ამ ხალხის ცხოვრებაზე.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან X-XV საუკუნეებში საქართველოს ურთიერთობის შესწავლა უაღრესად აქტუალურია. საქართველომ თავისი ძლიერების ხანაში, X-XIII საუკუნეებში შეძლო კავკასიის ხალხთა გამაერთიანებელი ძალის როლი ეტვირთა. ამის შემდგომ მრავალმხრივი და ინტენსიური გახდა ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. იგი განპირობებული იყო ორმხრივი ინტერესებით. საქართველოს ფაქტორს მთელს კავკასიაში კიდევ უფრო აძლიერებდა მისი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო თვალსაზრისით გამოკვეთილი უპირატესობა.

დამოწმებანი

გასვიანი 1973: გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი.

გელაშვილი 1964: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. II, თბილისი.

გელოვანი 2003: ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბილისი.

გუჯეჯიანი 2007: რ. გუჯეჯიანი. ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში. კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. ტ. X, თბილისი.

ვინოგრადოვი 2005: А. Виноградов. Фрески Сентинского храма и проблема истории Аланского христианства X в. Росиская археология. №1.

თოგოშვილი 1958: გ. თოგოშვილი. საქართველო ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე), სტავროპოლი.

ითონიშვილი 2002: ვ. ითონიშვილი. ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი.

კუზნეცოვი 2002: В. Кузнецов. Христианство на Северном Кавказе до XV в.

ლორთქიფანიძე 2008: მ. ლორთქიფანიძე. ქართული სამეფო სამთავროები IX-X საუკუნეებში. სახელმწიფოს წარმოქმნა, საქართველოს ისტორია. ტ. I, თბილისი.

მიბჩუანი 1974: თ. მიბჩუანი. ქართული ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში, ძეგლის მეგობარი. №36, თბილისი.

მუსხელიშვილი 1080: დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. I, თბილისი.

სახოკია 1985: თ. სახოკია. მოგზაურობანი, ბათუმი.

ყაუხჩიშვილი 1952: ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ.4. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და დამატებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

ჯანაშია 1959: ს. ჯანაშია. შრომები. ტ. III, თბილისი.

Georgian Traces in Circassia

Tornike Diasamidze

Since ancient times Caucasus was populated by various ethnic groups. For centuries Caucasian peoples lived together peacefully, however there were periods when bloody confrontations also occurred between them. Despite this Caucasians defended their lands with joint efforts from common enemies.

Georgia represents the geographical center of the Caucasus. Much of the times she was also a political and the cultural center of Caucasian realm. Georgian cultural influence in North Caucasus noticeable through the many traces. Among the cultural artifacts the most important are Christian temples built by Georgians . The article is focused on the facts of this kind. In particular the author touches extensively the temples located in Circassia. The other facts with relevant commentaries are concerned as well.

HISTORIA PURA
ნაციის ქმნადობისა და *ნაციონალიზმის* კონტექსტში*

ზურაბ თარგამაძე

თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენა ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, მისი საკვლევი საგნისა და, ბუნებრივია, მეთოდის შესახებ. მას შემდეგ რაც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების წარმმართველი გახდა *ხალხი*, გაფართოვდა წყაროთა ინფორმაციული მოცულობა.[1] ადამიანური შემოქმედების სფეროთა სიმრავლე, სოციალური ჯგუფებისა და მათი იდენტობების საკითხი სრულიად ახალი ისტორიული რეალობის წინაშე აყენებს ისტორიის კველვით დაინტერესებულ როგორც პროფესიონალ, ისე არაპროფესიონალ პირებს.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მისწრაფება ინტერდისციპლინურობისაკენ, განსაზღვრა არა იმდენად ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის უკეთ და სრულყოფილად გამოყენების სურვილმა, არამედ იმ რთულმა და მნიშვნელოვანმა სოციალურ-კულტურულმა პროცესებმა, რომელსაც სათავე დაუდო განმანათლებლობამ და ნაციებისა და ნაციონალიზმის წარმოშობამ ევროპაში.

საისტორიო მეცნიერება, როგორც მეცნიერება, მიმდინარე სოციალური აქტივობების ფონზე, ბუნებრივად დადგა არჩევანის წინაშე, რაც, სულ მცირე, გულისხმობდა ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, არსებული კონცეფციის გადახედვას. მეოცე საუკუნის ოციან წლებში, დღის წესრიგში ახალი საისტორიო მეცნიერების ძიების საკითხის დასმა ე.წ. *ანალების სკოლის* დამფუძნებელთა მიერ, ისტორიის ტრადიციული გაგების გადახედვას ისახავდა მიზნად. მათი მისწრაფება შეექმნათ ტოტალური ისტორია, რომელიც თავის თავში გააერთიანებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მომენტს, იყო ერთგვარი პასუხი ახალ მსოფლიო რეალობაზე.

ამგვარად სრულიად ბუნებრივია, რომ თანამედროვე ისტორიული კვლევა გაშინაარსიანდა როგორც, კონკრეტული ისტორიული დროის განმავლობაში შექმნილი საერთო ღირებულებათა სისტემისადმი ერთობის წევრების დამოკიდებულებების ისტორიის შესწავლა, ყველაზე უფრო ფართო გაგებით. ანუ, იდენტობების (თვითცნობიერებების) ისტორიის კვლევა თანამედროვე ისტორიის მთავარ გამოწვევად იქცა.

სოციალურის მნიშვნელობის უკიდურესი გაფართოება მოუწოდებს ისტორიკოსს დაკავდეს ადამიანური შემოქმედების ყველა მიმართულების კვლევით. უფრო მეტიც: არა მხოლოდ ისტორიკოსს, ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელს შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია, რომ იცის მისი მოღვაწეობის სფეროს ისტორია (და არა მხოლოდ მისი მოღვაწეობის სფეროსი) და, რომ მისი კონკრეტული მიმართულება ზოგადი ისტორიისა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის ისტორიის ქუდის ქვეშ გაერთიანებულ სხვადასხვა ზოგად თუ კონკრეტულ კვლევით მიმართულებაზე.[2]

ამ ფონზე ახალ აქტუალობას იძენს კითხვა იმის შესახებ თუ რა არის ისტორია დღეს? რა არის მისი კვლევის საგანი? შესაბამისად, რა სახის წყაროების ანალიზით უნდა შემოიფარგლოს ის? დაბოლოს, არის თუ არა ის დღეს დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა? თუ უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია მისი ინტერდისციპლინური კონტექსტიდან ამოგლეჯა და ტრადიციულ გზაზე დაყენება.

პირველ შეკითხვაზე პასუხი ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგენია: ნებისიერ შემთხვევაში ისტორია თავისი ზოგადი გაგებით არის მეცნიერება წარსულის შესახებ, რომლის მიზანია თავისი კვლევის ფოკუსში მოაქციოს შეძლებისდაგვარად ფართო სპექტრი ისტორიული წარსულისა და უზრუნველყოს მისი მეცნიერული ანალიზი. ამასთანავე ისტორიულ პროცესს ახასიათებს კანონზომიერი განვითარება ანუ ისტორიზმი (ჰეგელი 2011). და მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს სუბიექტივისტური მოტივით წინასწარ განსაზღვრული ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების დანიშნულებაც, მისი, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, უპირველესი ამოცანა ისტორიული სურათის მეცნიერული რეკონსტრუქციაა.[3]

აქვე შეიძლება დავაზუსტოთ ჩვენ მიერ დასმული მესამე კითხვის პასუხიც. თუ ისტორია იკვლევს წარსულის მრავალფეროვნებას, ბუნებრივია, მისი წყაროთა ბაზაც განუსაზღვრელი ხდება. დაწყებული ყოფითი, ყოველდღიური მოხმარების საგნების წარმოებითა და მათი გამოყენების წესით, სამეცნიერო თუ

პრაქტიკული მოღვაწეობის ნებისმიერი მიღწევის, პირადი თუ ზოგადი ინტერესების, ნაციონალური, გენდერული და რელიგიური იდენტობების, მედიის საშუალებების, პოლიტიკის, ეკონომიკისა და ომის, კულტურის უფართოესი გაგების, გლობალური თუ ლოკალური მნიშვნელობების, ობიექტური თუ ვირტუალური ინფორმაციის დამუშავებითა და ანალიზით დასრულებული.

რეალური ისტორიული ამბავი არ უნდა ჩაანაცვლოს წყაროთა ტექსტებმა. საკითხავია, რა უფრო მნიშვნელოვანია, ისტორიული ფაქტის შემოწმება და დაზუსტება თუ ეპოქის ცნობიერების, მისი აზროვნების სხვადასხვა მომენტების დადგენა? ნებისმიერ წყაროში უფრო მეტად საინტერესოა ის თუ რატომ იქმნებოდა ის, რა მნიშვნელობა ჰქონდა მას, როგორც ტექსტს, ვიდრე იმის დადგენა თუ რამდენად ზუსტია ის.

გაცილებით რთულია კონკრეტული პასუხის გაცემა მეორე შეკითხვაზე. ბუნებრივია, ისტორიამ, როგორც წარსულის შესწავლის შესაძლებლობამ, კვლევის ფოკუსში უნდა მოაქციოს წარსულის ამსახველი ნებისმიერი მტკიცებულება. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად შეესაბამება ამ შემთხვევაში მისი მიზნები მისსავე საშუალებებს. თუ ისტორია მხოლოდ წარსულია და მეტი არაფერი, ანუ თუ მას შევხედავთ მექანისტურად და ვიგულისხმებთ მხოლოდ ობიექტური მოცემულობების ჯამად, მისი საკვლევი საგნის დადგენა შეუძლებელი გახდება, მსგავსი მცდელობაც კი უაზრობა იქნებოდა. მეორე მხრივ კი, თუ მას წარმოვიდგენთ, როგორც ადამიანის შემოქმედებითი ცვალებადობების ასახვას, აღმოჩნდება, რომ მნიშვნელოვანი სწორედ ამ ცვალებადობებისა და მათი მნიშვნელობების დადგენაა (ბერგსონი 1993). *ბრძოლა ისტორიისათვის,* უფრო სწორედ *წმინდა ისტორიისათვის,* გულისხმობს არა მხოლოდ მისი ტექნიკური, „საშემსრულებლო" მომენტის დაზუსტებასა და ლოკალიზებას, არამედ მისი არსისა და ზოგადი მეცნიერული მნიშვნელობის დადგენას. ამ აზრით ისტორიის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს ადამიანის თვითცნობიერების, მისი მსოფლმხედველობის, მისი *მე-ს* სოციალური და ისტორიული განზომილებების კვლევაში და თუ დღეს, მას არ შეუძლია შეასრულოს ეს ფუნქცია, მაშინ შეგვიძლია ვთაქვთ, რომ ის, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, მოკვდა.

ბოლო კითხვის პასუხად კი ინტერდისციპლინურობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ამოცანის შესრულება შეუძლებელია. და რაც უფრო მალე მოხდება ამ ფაქტის გაცნობიერება, მით უკეთესი თავად ამ ჟანრისათვის.

მოყოლებული იქიდან, როცა ისტორია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, დაიბადა, სწორედ მას შემდეგ რაც ისტორიულ ნარატივს, როგორც ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას, ადამიანმა მეცნიერის თვალით დაუწყო დაკვირვება, ისტორიულმა ტექსტმა დაკარგა საკრალურობა და სიწმინდე. სწორედ ამიტომ ახალი დროის ისტორიოგრაფია ვერ ქმნიდა და ქმნის ტექსტს, რომელიც გახდებოდა ან გახდება ნაციისათვის მისი ისტორიულ-კულტურული ერთიანობის იდეოლოგიური საფუძველი (წყარო). თანამედროვე ტექსტის ბედისწერაა მეცნიერულად უარყოფა ან დადასტურება, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას კი ციტირების ინდექსი განსაზღვრავს. ამდენად შეიძლება ითქვს, რომ ისტორიის ისტორიულ მეცნიერებად გადაქცევით მთლიანად მოკვდა ამ ჟანრში შემოქმედებითი მომენტი და ცოცხალი ლიტერატურული მიმდინარეობიდან იქცა მკვდარ მეცნიერულ ტექსტად.

ჩვენ სრულიადაც არ გვსურს სიტუაციის დრამატიზება, ვფიქრობთ, რომ ეს ისტორიის ისტორიაა. ერთობის სოციალურმა ფორმამ და მისმა კულტურულმა[4] შინაარსმა, პოსტმოდერნისტულ ეპოქაში მიმდინარე გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შუაგულში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავად მოითხოვა მეცნიერი ისტორიკოსისაგან წმინდა ისტორიული ტექსტის შექმნა.

სრულიად ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც:

„წინააღმდეგობამ, რომელმაც აშკარად იჩინა თავი თანამედროვე მსოფლიოში უწინარესად კულტურათა შორის დაპირისპირების სახე მიიღო. ერთი მხრივ, გლობალიზაციის პროცესში ხდება სოციალური ინსტიტუტების სახელმწიფო სტრუქტურების (ეკონომიკის, ფინანსების, სამართლებრივი ნორმების) გაერთგვაროვნება და, მეორე მხრივ, კულტურათა შორის ღირებულებათა კონფლიქტი..." (ყულიჯანიშვილი 2009:14).

ეს ასევე ცხადყოფს იმას, რომ ნაცია, როგორც მყარი ისტორიულ-კულტურული, სუბიექტივისტური და აბსოლუტურად ორიგინალური ერთობა, თავისი ერთგვაროვნების შენარჩუნებისათვის აპრიორულად საჭიროებს ისეთი ისტორიული ტექსტების შექმნასა და არსებულის ინტერპრეტირებას, სადაც უხვად იქნება მისი განსაკუთრებულობისადმი რწმენის სუბიექტივისტური მოტივის ისტორიულ-რაციონალური დასაბუთება. ისტორიული წარსულის ამსახველი ტექსტი თავისთავად არის ერთგვარი წმინდა წერილი ერთობისათვის, საიდანაც ის ელის ხსნას (ბენიამინი 2007). მისი წამკითხავი ისტორიკოსი კი არის ისტორიზმის მარადიული სურათის აღმდგენი. არა მხოლოდ

როგორც წარსულის გამოცდილების რეპრეზენტატორი, მისი არა როგორც ცარიელი *დროს,* არამედ მუდმივად *ახლით* აღვსილი დროს გამგები და მესაიდუმლე.

ამდენად გამოდის, რომ სწორედ ნაცია და ნაციონალზმი, როგორც სოციო-კულტრული და ისტორიული კატეგორიები გულისხმობენ და მოითხოვენ იმ სუბიექტივისტური, საკრალური, ზოგიერთ შემთხვევაში, მესიანისტური მომენტების დადგენას (არ არსებობის შემთხვევაში, მის შექმნას) და ერთობის შიგნით ამ იდეების ცირკულაციით, საკუთარი სიცოცხლისა და ერთგვაროვნების შენარჩუნებას.

პოსტმოდერნული ეპოქის პარადოქსია ის, რომ ერთი შეხედვით ზერაციონალური და მატერიალისტურ-ობიექტივისტური მსოფლიო საზოგადოებები, ითხოვენ საკუთარი დიადი ისტორიული მიზნებისათვის, ისტორიულ-მისტიკური ნარატივის შექმნას, რომელსაც ექნება ერთგვარი წმინდა იდეის მატარებელი წმინდა ტექსტის მნიშვნელობა. რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს ამ ეპოქაშიც წარმოიშვა მოთხოვნილება ისტორიული ტექსტის საკრალიზაციისა. ერთი მხრივ, ნაციონალური იდენტობებისთვისაც ეს არის გზა იდენტობის შენარჩუნებისა და, მეორე მხრივ, გლობალური საზოგადოების (გლობალური იდენტობის) ფორმირების ისტორიულ-საკრალური არგუმენტიც.

თანამედროვე, გლობალური გამოწვევების ფონზე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ნაციონალური იდენტობების შენარჩუნების საკითხიც. ნაციონალური ერთობა ცდილობს საკუთარი ისტორიის გააბსოლუტებით წინ აღუდგეს კულტურული ანექსიის პროცესს. ზოგიერთი მოსაზრების საპირისპიროდ თანამედროვე გლობალური პოლიტეკონომია და ინტერკულტურული გარემო, ინტერნეტი, და გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები ვერ გახდა ნაციონალური იდენტობის გადალახვისათვის საკმარისი საფუძველი. საყოველთაოდ დეკლარირებული იდეაა, რომ ყველას სურს მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო მშვიდობისა და საყოველთაო სიკეთის ქმნაში, თუმცა არა საკუთარი ისტორიისა და კულტურის ხარჯზე.

ნაციონალური იდენტობის არსებობის სოციალურ-კულტურული[5] ფორმა და შინაარსი, ერთობის ერთიანობის, ერთი მხრივ, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი და, მეორე მხრივ, კოლექტიური სუბიექტური მოტივაცია ნაციას აქცევს ანომალიურ მოვლენად.

ამ მიზეზით ისტორიული კვლევის ფოკუსში ერთდროულად ექცევა სუბიექტივისტური და ობიექტივისტური მომენტები. ძირითადი კამათი მიმდინარეობს მათი მნიშვნელობათა დადგენის გამო. განსხვავებულია თეორიები და მიდგომები ნაციებისა და ზოგადად კოლექტიური იდენტობების შინაარსისა და რაობის განსაზღვრისას.[6]

ნაციონალზმი დამყარებულია რა თანასწორობისა და ნებაყოფლობითობის განცდის ღია და აბსოლუტურად დემოკრატიულ პრინციპებზე[7], რაც დღეს ასევე ნიშნავს მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობების სიმრავლეს, შეუძლებელი ხდება მისი ისტორიული კვლევა ამ მრავალფეროვნების გათვალისწინების გარეშე. ამდენად სრულიად ბუნებრივია, რომ თანამედროვე ისტორიკოსი კვლევისას თავის ინსტრუმენტარიუმში იგულებს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების ელემენტარულ, თუ არა სრულყოფილ თეორიულ ცოდნას (მით უფრო, სოციალური მეცნიერებებისა).

შეიძლება ითქვას, რომ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ტრადიციული მეთოდით ისტორიული კვლევა სრულიად გაუმართლებელია. ის პრაქტიკულად გამორიცხავს მსგავსი კვლევის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, არა თუ ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიის კვლევას, ანუ იმ პერიოდის კვლევას, როდესაც ასპარეზზე გამოდის ნაციონალიზმი, ტრადიციული მიდგომით წარსული ისტორიის კვლევასაც კი უგულვებელყოფს.

მაგრამ, მეორე მხრივ, საკითხავია, მაშინ, როცა ჩვენი უძველესი და შუა საუკუნეების ისტორიის (და არა მარტო ჩვენი) ამსახველ უმნიშვნელოვანეს წყაროებს სავსებით სამართლიანად, ნაკლად უთვლიან იმას, რომ ისინი არ ასახავენ უბრალო ხალხის ისტორიას, ერთი შეხედვით შეუძლებელიც კი უნდა იყოს წარსულის ზოგიერთი მომენტის რეპრეზენტირება და იდენტობისათვის მნიშვნელოვანი საკითხების დადგენა. ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი მიდგომა ტექნიკური თვალსაზრისით უბრალოდ არასწორია.

მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეთნიკური ერთობის (ეთნიეს) ისტორიაში მისი კონცეპტუალიზაციის სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული მომენტის რეპრეზენტაციის შესაძლებლობა სრულიად გამორიცხულია. შეიძლება ითქვას, რომ, პირიქით, მსგავსი მიდგომა უფრო ავსებს და ამრავალფეროვანებს ჩვენს ცოდნას ისტორიის შესახებ. ეთნიკური ერთობის იდეა გულისხმობს რა სოლიდარობის მომენტის არსებობას კულტურული და პოლიტიკური ელიტის შიგნით, ის სავსებით არ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას უფრო ფართო მასშტაბით მის ფარგლებს გარეთაც და სრულიად აკმაყოფილებს ისტორიული კვლევის მიზანს.

ისტორიკოსთა ნაწილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და თვლის, რომ ტრადიციული მეთოდი ისტორიის კვლევისა უალტერნატივოა. ეს პოზიცია არ არის ახალი ისევე, როგორც თავად დისკუსია ამ თემის გარშემო. ბუნებრივია ამ პოზიციას აქვს საკუთარი არგუმენტები. განსაკუთრებით ამ არგუმენტს აძლიერებს ის, რომ ისტორიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, პრეტენზია აქვს მეცნიერული ჭეშმარიტების ფლობაზე, ან მისი დაუფლების აპრიორულად სწორი (შესაფერისი) მეთოდის ქონაზე. და რამდენადაც მეცნიერული ჭეშმარიტება შეუძლებელია იყოს სუბიექტური, თავისთავად ის უნდა იყოს ობიექტური, შეუძლებელია ვიკვლიოთ ადამიანური ცხოვრების ისეთი მომენტები, როგორიცაა გემოვნება, სოლიდარობა, ტოლერანტობა, გენდერი. ადამიანისა და საზოგადოების ზოგადი ემოციური დამოკიდებულებები, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასევე საკუთარი ერთობის წევრებისა და სამყაროს მიმართ.

ასევე აბსოლუტურად სწორია მოსაზრება, რომ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მიმართულებები მნიშვნელოვანწილად და ცალსახად ექცევა სხვადასხვა მეცნიერებების კვლევის ფოკუსში, მათ შორის: ფილოსოფიის, სოციოლოგიის, კულტუროლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვ. თუმცა ასევე ლეგიტიმურია კითხვა, რამდენად უნდა დარჩეს ამის გამო ეს საკითხები ისტორიული კვლევების მიღმა? მით უფრო მაშინ, როდესაც ერთობას განვიხილავთ, როგორც საერთო კულტურულ ღირებულებათა მიმართ ერთობის წევრთა სუბიექტური დამოკიდებულებების ისტორიული რეპრეზენტაციის ჭრილში.[8]

პასუხი ამ კითხვაზე გვაბრუნებს ისევ იმ დისკუსიაში, რაც ისტორიის, როგორც მეცნიერების, რაობის განსაზღვრას ემსახურებოდა. რა არის ისტორია ზოგადი გაგებით? არის კაცობრიობის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის საერთო ისტორიული სურათის რეპრეზენტირების შესაძლებლობა თუ კერძო და აბსოლუტურად დამოუკიდებელი, ეთნიკური და ნაციონალური ერთობების ისტორია? რა უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტების დაზუსტება ისტორიული წყაროების კვლევის გზით, თუ სულიერი და ფსიქოლოგიური დამოკიდებულებების განსაზღვრა ტექსტის ინტერპრეტაციების გზით?

თანამედროვე ისტორია ჩვენ გვესახება, როგორც მნიშვნელობების დადგენის შესაძლებლობა. ანუ ისტორიკოსმა ზოგადი გაგებით შეიძლება იკვლიოს მხოლოდ ის საკითხები, რაც გავლენას ახდენენ საზოგადოების, ერთობის აზრის ფორმირებაზე მის მსოფლმხედველობაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კერძო თუნდაც კულინარიული გემოვნების კვლევის ისტორიული ანალიზის ფოკუსში მოქცევის შესაძლებლობას.

ბუნებრივია, რომ ამდაგვარი დამოკიდებულებაც არ ამოწურავს ამ საკითხს. უფრო მეტიც: ახალ სირთულეს ქმნის იმის განსაზღვრა თუ რომელი ისტორიულ-კულტურული საკითხი და მომენტია მნიშვნელოვანი ერთობისათვის. განსაკუთრებით დღეს მიმდინარე გლობალური პროცესების ფონზე (პირველ რიგში ვგულისხმობთ მასშტაბურ ტექნოლოგიურ რევოლუციებს, რომლის მიღმა დარჩენა პრაქტიკულად წარმოუდგენელია), რაც, თავის მხრივ, ქმნის ახალ გლობალურ დამოკიდებულებებს (მნიშვნელობებს). ან პირიქით უფრო უნდა დავყოთ ერთობისა და საზოგადოების გაგება და მივიდეთ იქამდე, რომ კონკრეტულ საკითხს ნაციონალური ერთობის შიგნითაც, მხოლოდ ერთი ვიწრო ჯგუფისათვის აქვს მნიშვნელობა და ის გავლენას არ ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. ამ შემთხვევაში უფრო უნდა დავაწვრილმანოთ კვლევის სფერო და ერთი ერის ისტორია აღვწეროთ, როგორც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ისტორია და მათ მნიშვნელობა მივანიჭოთ საერთო საზოგადებრივი აზრის ფორმირებაში.[9] ან განვიხილოთ ისინი როგორც ერთგვარი სოციალური თამაში (ჰოფსტედე, ჰოფსტედე 2011). ეს ის კითხვებია, რაც თან ახლავს თანამედროვე და ტრადიციულ მიდგომებს შორის მსგავსებასა და განსხვავებულებაზე მსჯელობას პოსტმოდერნისტულ კონტექსტში.

ბუნებრივია, ქართული ისტორიოგრაფიაც აღმოჩნდა გზის გასაყარზე, სადაც უნდა გაეკეთებინა არჩევანი თანამედროვე მიდგომებსა და ტრადიციულ გაგებას შორის. ჩვენს შემთხვევაში ვითარებას ართულებს ისიც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში, არასრულფასოვანი მოდერნიზაციიდან გამოსული ქართული ერთობა ყოველგვარი შემზადების გარეშე აღმოჩნდა პოსტმოდერნიზმის გზაზე. XX-XXI მიჯნაზე საზოგადოებაში მომხდარმა ისტორიულმა და სოციალურმა ცვლილებებმა შეცვალეს ადამიანისა და სამყაროს ტრადიციული ურთიერთობების ფორმები. ასეთ ვითარებაში არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფია, მთლიანი ქართული საზოგადოება დადგა ისტორიულ გზაგასაყარზე.

დღეისათვის ქართული ისტორიოგრაფიისათვის მსგავსი თეორიული საკითხების დაზუსტებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმიტომ რომ მას თავის დროზე ობიექტური მიზეზების გამო არ ჰქონია შესაძლებლობა გაერკვია საკუთარი დამოკიდებულება და პოზიცია ქართული ეთნიკური და ნაციონალური იდენტობების ისტორიის კვლევის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარება ამოვარდნილი იყო დასავლური

დისკურსიდან, ასეთი სურვილის გახმოვანების შესაძლებლობას საბჭოთა „იდილია“ პრაქტიკულად გამორიცხავდა.

სწორედ ეს არის მიზეზი განსხვავებული მიდგომისადმი კრიტიკისა, როდესაც საქმე ეხება ქართული ერთობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტების დაზუსტებას. აზრთა სიმრავლე ცალსახად ამ პროცესის დადებითი მხარეა. უნდა ითქვას ისიც, რომ სკეპტიკური დამოკიდებულების მიზეზი, ერთი მხრივ, სწორედ ეს აზრთა სიმრავლეა. საბოლოოდ კი ამ გზით მივდივართ მეცნიერული კატეგორიის გადახედვამდე ან მისი შესაძლებლობის საერთოდ უგულვებელყოფამდე.

გარდა იმისა, რომ დღეისათვის ქართული ნაციონალიზმის საკითხების კვლევა ისტორიკოსის უმთავრეს გამოწვევად გვესახება, ის თავისთავადაც საინტერესოა, როგორც სრულიად განსაკუთრებული ისტორიული გამოცდილება. ბოლო პერიოდში აქტიურად ხდება ქართულ ისტორიულ ნარატივზე ქართული იდენტობის ისტორიის კვლევის მიზნით დაკვირვება, შესაბამისად, მოგვეპოვება სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურაც.[10] უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას სპეციალური თეორიული ლიტერატურის ქართულ ენაზე მოძიებაც. აღსანიშნავია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა, როგორც მთარგმნელობითი, ასევე მისი ორიგინალური მეცნიერული დაკვირვებები ქართული ნაციონალური იდენტობისა და ზოგადად ქართული ეთნიეს ისტორიის სხვადასხვა მომენტების რეკონსტრუქციისას.

სტატიის დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სურვილი იყო ზოგადი სურათის აღწერა და ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი მომენტების გაშუქება. ბუნებრივია, არ ვთვლით, რომ საკითხის ასეთი დასმით მისი ამოწურვა შესაძლებელია, პირიქით, ჩვენს მთავარ მიზანს მსგავსი მსჯელობების გააქტიურება და პროვოცირება წარმოადგენდა. ასევე გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ჩვენ ამ სტატიაში გვსურდა საკითხის კითხვების სახით წარმოდგენა ანუ მისი კითხვებში გაშლა და არა კონკრეტული დეფინიციის შემუშავება.

შენიშვნები

[*] სტატია არის ნაწილი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ახლგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის 2013 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტისა (PG/105/1-10/13) *ქართული ნაციონალური იდეოლოგიის ფესვების ძიებაში: კოლექტიური მახსოვრობა ქართველი ერის ფორმირების პერიოდის დამდეგს.*

[1] მეთვრამეტე საუკუნემ კარდინალურად შეცვლა ადამიანის მსოფლმხედველობა. საზოგადოება, როგორც ძალაუფლების წყარო და საყოველთაო თანასწორობის პრინციპების თანდათანობითი, ეტაპობრივი დანერგვა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, სამეცნიერო დისციპლინების ჩამოყალიბებამ, რაციონალიზმისა და ემპირიზმის გაბატონებამ, ერთი მხრივ, კი უარყო შუა საუკუნეობრივი მისტიკა, თუმცა, მეორე მხრივ, ადამიანური ბედნიერების გაიდეალებით, თავად დაუდო სათავე ახალ მისტიფიკაციათა სამყაროს ფორმირებას.

[2] ამ შეხედულების თანახმად თუ ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროს თავად ამ სფეროს წარმომადგენლები გამოიკვლევენ, რაც სავსებით სამართლიან სურვილად გვესახება, რადგან ბუნებრივია, რომ, მაგალითად, მედიცინის ისტორია იკვლიოს სამედიცინო სფეროს წარმომადგენელმა, ფიზიკის სფეროს წარმოადგენელმა და ასე შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ასეთი სურვილის არსებობა სრულიად ლეგიტიმური გვგონია. გამოდის, რომ ისტორიული მეცნიერების კვლევის სფერო არა თუ დავიწროვდება, საერთოდ ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, არსებობის საჭიროების საკითხი დადგება დღის წესრიგში. ამდენად, ისტორიის ინტერდისციპლინურობა ერთი მხრივ, თავიდანვე გარდაუვალი და ისტორიული ფაქტია და, მეორე მხრივ, დღეს ეს მისი დამოუკიდებლი არსებობის გარანტიც არის.

[3] ადამიანის წარმოდგენა სამყაროზე შეუძლებელია იყოს ობიექტური. ამდენად, მისი მსოფლმხედველობა და თვითცნობიერება უპირველესად არის მხოლოდ მისი სუბიექტური წარმოდგენა, ანუ მისი გრძნობად ემოციური განცდა სამყაროსი. გარკვეული ინტუიციურ-მისტიკური დამოკიდებულება მისადმი. სამყაროს თავისთავადობის ახსნის რაციონალური შესაძლებლობის ვერ ან არ რწმენის გამო, ასევე მის მიერ საკუთარი თავის ემოციური განცდა, ამნიშვნელობებს ადამიანისა და მისი სულიერი მოკავშირეების (ვგულისხმობთ მხოლოდ ისეთ ისტორიულ კატეგორიებს, როგორიცაა *ეთნიე* და *ერი*, ვინაიდან მხოლოდ ასეთი ფორმა ერთობისა შეიძლება განვიხილოთ, როგორც კულტურული კატეგორიაც ამავე დროს) ერთ ორგანიზაციაში ერთიანობის სუბიექტივისტურ საფუძველს. სამყაროს რაციონალური გაგების შეუძლებლობას ადამიანი და ერთობა აკომპენსირებს ემოციური, სუბიექტური განცდისათვის ერთგვარი რაციონალური მნიშვნელობის მინიჭებით. ამდენად, ისტორიკოსის მიერ რეკონსტრუირებული ისტორიული წარსული შეუძლებელია იყოს ობიექტური სურათი წარსული ყოფისა, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ როგორც დავინახეთ, ადამიანური ყოფა განისაზღვრება, როგორც სუბიექტური განცდებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა და, მეორე მხრივ, ჩვენი დამოკიდებულებაც მისი მნიშვნელობის გამო, გვინდა თუ არ გვინდა, სუბიექტურია. ამდენად, მეცნიერი ისტორიკოსის რუტინა ანუ წყაროთმცოდნეობითი სამუშაო,

მხოლოდ მაშინ ხდება *წმინდა ისტორია*, როცა ის საზოგადოებრივი თუ ადამიანური მნიშვნელობების აღწერას ახერხებს.

[4] ვინაიდან ჩვენი მსჯელობა ეფუძნება ერთობის, როგორც ისტორიულ-კულტურიული კატეგორიის, განხილვას, საჭიროდ მიგვაჩნია კულტურის ცნების განმარტება და მისი მნიშვნელობის დაზუსტება. ზოგადი მოსაზრების თანახმად კულტურა ადამიანის შემოქმედების ყველა სფეროს ერთიანობაა. არსებობს განსხვავებული შეხედულებებიც და კულტურის ცნების ქვეშ სხვადასხვა მნიშვნელობების გაიგივების პრაქტიკაც. დაწყებული ადამიანის სულიერებითა და დამთავრებული ხელოვნებისა და საყოფაცხოვრებო პრაქტიკული შეომქმედების სფეროებით. შეიძლება ითქვას, რომ არსებითად ორივე ზოგადი და ვიწრო ინტერპრეტაციაც გულისხმობს ადამიანის ძალისხმევის შედეგად შექმნილ, არაბუნებრივ, უფრო სრულყოფილსა და გარდასახულ ხელოვნურ სამყაროს.

[5] პირადად ჩვენ *ერის* კონცეპტის განსაზღვრებისას ვიზიარებთ ეთნოსიმბოლისტურ თეორიულ დისკურსს. ამ სოციალური თეორიის მიმდევრები ერის საბოლოოდ ჩამოყალიბების ისტორიულ პერიოდად მეცხრამეტე საუკუნეს მიიჩნევენ იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ აღნიშნული თეორიული დისკურსი ერის ქმნადობის საფუძვლს ღრმა ისტორიულ წარსულში იგულებენ. ეთნოსიმბოლისტები თვლიან, რომ ინდუსტრიამდელ ეპოქაში შეიქმნა გარკვეული ეთნიკური ერთობები, რომლებსაც ახასიათებდათ ერთმანეთის მიმართ ძლიერი სოლიდარობის განცდა. ამ თეორიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობა (ჩხარტიშვილი 2009). თავად იდენტობა კი გულისხმობს იგივეობის თვითცნობიერებას ანუ რომელიმე სოციალური ჯგუფისათვის ინდივიდის მიერ საკუთარი თავის გაიგივების მომენტს. ეთნოსიმბოლისტური თეორიის ფუძემდებელი ე. სმითის განმარტებით ნაცია არის *'ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და რომელსაც აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება–მოვალეობანი'*, ეთნიეს კი, ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობაა, *'რომელიც დაკავშირებულია სამშობლო მიწასთან, აქვს საერთო მითები წინაპართა შესახებ, საზიარო მახსოვრობა, საზიარო კულტურის ერთი ან მეტი ელემენტი და გრკვეული ხარისხის სოლიდარობა ელიტის შიგნით მაინც'* (სმითი 2004:17). საბოლოოდ გამოდის, რომ ეთნიე და ნაციაც მსგავსი კულტურულ-ისტორიული ერთობებია და, თავის მხრივ, „კულტურა არის სწორედ ის სისტემური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც საუკუნეთა მანძილზე თვითთიგივურობა შესაძლებელი ხდება" (კიკნაძე 2009:7).

[6] თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ფონზე, მაშინ როცა მკვლევართა ნაწილი, ნაციის, როგორც სოციო-კულტურული ფენომენის, არსებობას საერთოდ უგულვებელყოფდა, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაწყებულმა ნაციონალურმა მოძრაობებმა (ჰობსბაუმი 2012) არა თუ უარყო ეს აზრი, პირიქით, ნაციის, როგორც სოციო-კულტურული ფენომენის თავისებურებისა და შესაძლებლობების გააზრებისას აბსოლუტურად ახლებური მიდგომის საჭიროების საკითხი დასვა დღის წესრიგში. ამ პერიოდში შეიქმნა მთელი ციკლი მნიშვნელოვანი თეორიული ლიტერატურისა. დღეისათვის დასავლეთში ნაციის წარმოშობისა და მისი რაობის განსაზღვრის ოთხი ძირითადი კონცეფციაა აღიარებული: მოდერნიზმი, პრიმორდიალიზმი, ეთნოსიმბოლიზმი და პერენიალიზმი.

[7] თუმცა გვაქვს სხვა ტიპის გამოცდილებებიც აღმოსავლური ქვეყნების სახით, სადაც ნაციონალიზმი მკვეთრად ეთნიკური და რელიგიური სენტიმენტების აქტუალიზაციის გზით მიიღწევა და მინიმალურია დემოკრატიულობის მომენტი. საჯაროობის განცდას აქ აკომპენსირებს აპრიორულად აღიარებული უმრავლესობის უფლება გწმადეს უმრავლესობის რელიგია ან საერთო ეთნიკური წარმომავლობის იდეა. ამიტომაა, რომ მუსლიმური სამყაროს ცნების ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური ან რელიგიური მომენტი, არამედ გარკვეული მულტი ეთნიკური იდენტობა, რომლის წევრებისათვისაც, მიუხედავად შესაძლო ხელსაყრელი პოლიტიკური ან ეკონომიკური მომენტისა, ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის მომენტი ძალზედ ძლიერია (ახლო აღმოსავლეთში გასული საუკუნის ბოლოსა და ამჟამად მიმდინარე სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით მუსლიმური ქვეყნების არაერთგვაროვანი პოზიციის მიუხედავად). შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთგვარ პარადოქსს, როდესაც იდეოლოგიური ანუ კულტურული თვალსაზრისით არ გვაქვს ერთობის რომელიმე გამოკვეთილი ტიპი, თუმცა სოციალური, პოლიტიკური და ტექნიკური გაგებით გვაქვს სახელმწიფო და ნაციისათვის დამახასიათებელი ისეთი ატრიბუტის ფლობა, როგორიცაა მედია საშუალებები (მართალია, არა თავისუფალი ფორმით, თუმცა მათი არსებობა ფაქტია). იმის გამო, რომ ნაციონალური იდეის არც ერთი მომენტი არ არის გამსჭვალული თანასწორობის განცდით, ასეთი ერთობა ვერ უძლებს ერთიანობის თანამედროვე გამოწვევებს. თავისუფლებისა და თანასწორობის ნამდვილ განცდას ვერ ანაცვლებს ამ იდეის სუროგატი იდეა, რასაც მმართველი ელიტა ასულდგმულებს რელიგიური და ეთნიკური ელემენტების აქტუალიზაციით ერთობების შიგნით. ამდენად, სრულიად ბუნებრივი ისტორიული პროცესია ერთობების სწრაფვა თავისუფლებისაკენ (ჰეგელი 2001), რაც არ უნდა ხელოვნურად და მართულ პროცესად გვესახებოდეს ის.

[8] ისტორიაც, მსგავსად სხვა ადამიანური შემოქმედების სფეროს კვლევით დაინტერესებული დისციპლინებისა, ექცევა სოციოლოგიურ, პოლიტოლოგიურ და კულტუროლოგიურ თეორიათა გავლენის ქვეშ და, პირიქით, აღნიშნული მიმართულებები სულ უფრო და უფრო აცნობიერებენ ისტორიული წარსულის ცოდნის გათვალისწინების აუცილებლობას საკუთარ კვლევების წარმოებისას.

[9] რადგან საზოგადოებრივი ანუ საერთო აზრი ფორმირდება კულტურულ სივრცეში და რადგანაც ამ პროცესს ახასიათებს ისტორიზმი, ბუნებრივია, რომ ის განიცდის ცვლილებას. ეს ცვლილებები ძველსა და ახალ დამოკიდებულებებს შორის განსხვავდება მათი მნიშვნელობებით. ერთი მხრივ, აშკარაა, რომ ტრადიციები და ღირებულებები განიცდიან ცვლილებას, მაგრამ, მეორე მხრივ, მიუხედავად ამისა, ვერ ხდება კულტურათა ისეთი

მკვეთრი დაახლოება, რაც საბოლოოდ დაასრულებს ერს, როგორც ისტორიულ კატეგორიას. ამ მომენტის ახსნაში ჩვენ ვიზიარებთ არსებულ მოსაზრებას, რაც ითვალისწინებს კულტურისა და, შესაბამისად, მნიშვნელობების ცვლილების შესაძლებლობას, უპირველესად პრაქტიკულ, ანუ საყოფაცხოვრებო ქცევათა სფეროში. თუმცა აღნიშნულ ცვლილებათა მიუხედავად, ღირებულებათა ღრმა შრეები პრაქტიკულად უცვლელი რჩება. ვერც ორგანიზაციული კულტურა ახდენს მასზე გავლენას. ეროვნულ ღირებულებათა შეცვლა შეუძლებებლია (ჰოფსტედე, ჰოფსტედე 2011). სწორედ ამიტომ პოლიტიკოსებს, როდესაც ისინი საუბრობენ ქვეყნის მოდერნიზაციასა და ევროპეიზაციაზე, უპირველეს ყოვლისა, მართებთ ქართული კულტურის ღრმა ისტორიულ ფენებში ჩახედვა და, ამგვარად, ფორმირებული არა ახალი, არამედ ინტერპრეტირებული იდეების გახმოვანება. მხოლოდ ამგვარად ისინი შეძლებენ დაინახონ და ახსნან ერთობის დამოკიდებულებები მრავალ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ საკითხზე და მიხვდებიან, რომ ე.წ. დასავლური ღირებულებები (ე.წ. იმიტომ, რომ ღირებულება ზოგადი არსით შეუძლებელია იყოს დასავლური ან აღმოსავლური) ქართული საზოგადოებისათვის არა თუ მისაღები, სრულიად ბუნებრივი ისტორიული კანონზომიერებაა. საჭიროა მხოლოდ მათი სწორი ინტერპრეტირება და ეს სრულიად ბუნებრივია ჯერ კიდევ საბჭოთა იდეოლოგიისაგან ბოლომდე ვერ განთავისუფლებული ქართული ცნობიერებისათვის.

[10] საქართველოში ერის ცნების თეორიული შესწავლის საკითხს ჩვენ შევეხეთ ჩვენსავე სამაგისტრო ნაშრომში *ქართველთა თვითცნობიერება მეთვრამეტე საუკუნეში.*

დამოწმებანი

ბენიამინი 2007: ვ. ბენიამინი. ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, თბილისი, საგა.
ბერგსონი 1993: ა. ბერგსონი. ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბილისი, ნეკერი.
კიკნაძე 2009: ზ. კიკნაძე. ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანი და სიწმინდეები, თბილისი, კავკასიური სახლი.
სმითი 2004: ე. სმითი. ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა ქართული ტექსტის რედაქტორი რ. ამირეჯიბი–მალენი), თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.
ყულიჯანიშვილი 2009: ა. ყულიჯანიშვილი. კულტურის თეორია, თბილისი, უნივერსალი.
ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.
ჰეგელი 2001: გ.ვ.ფ. ჰეგელი. ისტორიის ფილოსოფია. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება მეცნიერება, თბილისი.
ჰობსბაუმი 2012: ე. ჰობსბაუმი. ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან პროგრამა, მითი, რეალობა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ჰოფსტედე, ჰოფსტედე 2011: გ. ჰოფსტედე, გ.ი. ჰოფსტედე. კულტურები და ორგანიზაციები გონების პროგრამული უზრუნველყოფა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Historia Pura
In the Contexts of *Nation*-Formation Process and *Nationalism*

Zurab Targamadze

The paper discusses history as a discipline having been challenged by the interdisciplinary studies and the post-modern epoch which is described as a global cultural movement. The analyzed questions are as follows: does history represent an absolutely independent discipline? Does the existence of the sacred history a real or it is only an academic imagination? What kind of history is the true historical story? Which are the sources of historical representations and how should they be studied by professional historian?

We are attempting to answer these questions taking into consideration context of nation-formation process and social regularities set by nationalism. Of course, we do not think that we were able to formulate final definitions. We simply wanted to provoke study of theoretical problems further and direct the attention of Georgian historians to the general issues of discipline of history.

The work is a part of the project (PG/105/1-10/13) *In search the roots of Georgian National ideology: colective memory from the begining of the formation period of the Georgian nation*, sponsored by Shota Rustaveli Sciencific Foundation 2013 Presidential grant for Young Scholars Researchers.

მედიევალური ისტორიოგრაფიის მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური ასპექტები

ეკა კვაჭანტირაძე

მედიევალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერია მისი მსოფლმხედველობრივად და იდეოლოგიურად გამოკვეთილი პოზიცია, ზოგჯერ დიდაქტიკურ-მორალისტურიც კი. ამიტომ, როგორც წესი, ისტორიულ თხზულებას ეთნო-კულტურული თუ სახელმწიფოებრივი იდენტობის დასაფუძვლების და გავრცელების ფუნქცია აკისრია. შუა საუკუნეების სახელმწიფოები და მათი სამეფო ხელისუფლება წარმოუდგენელია შესაბამისი იდეოლოგიის გარეშე, რამეთუ იდეოლოგია არის იმგვარი მსოფლმხედველობა, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში არსებული ხელისუფლებისადმი ლოიალობის საფუძველი ხდება და სოციალური თანხმობის შენარჩუნებას ემსახურება. სოციალური თანხმობა ეფუძნება მმართველთა და მართულთა შორის გაზიარებულ იდეებს ხელისუფლების წარმომავლობისა და მისი ლეგიტიმურობის შესახებ. ისტორიული შემეცნება სწორედ ამ იდეების გაცნობიერებას გულისხმობს. სახელმწიფო იდეოლოგია, ბუნებრივია, ცდილობს ეთნოსის თვითცნობიერების საზღვრების გაფართოებას, რის მიღწევაშიც ისტორიოგრაფიის წილი მეტად მნიშვნელოვანია. სტატიის მიზანია ჩვენ მიერ წინა გამოკვლევებში შესწავლილი მედიევალური ისტორიოგრაფიული ნიმუშების წყაროთმცოდნეობითი განზოგადება, მათი საერთო ტიპოლოგიური ანალიზი. ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება სტატიაში დასმული საკითხი – გეოგრაფიულად ახლო, ისტორიულად და კულტურულად მსგავს სიტუაციებში განვითარებული მედიევალური ქართული, სომხური და ბიზანტიური ისტორიოგრაფიული თხზულებების იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი ასპექტით შედარება.

ისტორიული დროის ფილოსოფიური გააზრებით საერო მიმართულების ბიზანტიელი ისტორიკოსები დიდწილად ანტიკური ისტორიოგრაფიის ფილოსოფიურ ტრადიციებზე არიან დამყარებულნი. ანტიკური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი დროის ციკლურობის პრინციპი არ არის უცხო პროკოფი კესარიელისათვის (VI ს), რომელიც აღიარებს ისტორიული მოვლენების განმეორებადობას. ერთ-ერთი უმთავრესი ფილოსოფიური იდეა, რაც პროკოფი კესარიელის თხზულებას გასდევს, არის ყოველივე მიწიერის ცვალებადობის და წარმავლობის განცდა (ჩეკალოვა 1993). მენანდრესათვის დროის ბრუნვას მუდმივი ცვლილებები მოაქვს: ერთი მხრივ, ის ბედის მუდმივი ცვალებადობის მიზეზია, მეორე მხრივ, კი – მსოფლიო მოვლენების გარკვეულ განმეორებადობასაც იწვევს. ბიზანტიელი ქრონოგრაფებისაგან განსხვავებით, საერო მიმართულების ისტორიკოსებთან ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ძალად მიზეზობრიობის ანუ კაუზალობის პრინციპი გამოდის. თუმცა ხშირად ეს კაუზალობა ზებუნებრივი მიზეზით – ბედისწერის ჩარევით არის განპირობებული (კრივუშინი 1998: 65-66). საერო მიმართულების ბიზანტიელი ისტორიკოსების რელიგიური შეხედულებები ძირითადად წარმართულია: ამიანე მარცელინე, ევნაპი, ოლიმპიოდორე და ზოსიმე წარმართები იყვნენ. პროკოფი და აგათია ავლენდნენ ინდიფერენტიზმს რწმენის საკითხში. დროის კონტინუუმსაც შეუზღუდავად, მხოლოდ რომის იმპერიის ფარგლებში განიხილავდნენ, ბარბაროსთა ცხოვრება მათ მხოლოდ ბიზანტიასთან მიმართებაში აინტერესებდათ.

ამიანე მარცელინეს (IV ს.) ისტორიული ნაშრომის შექმნის მახასიათებელია როგორც ბერძნული, ისე ლათინური ისტორიულ-კულტურული ტრადიციის ზემოქმედება. ამიანე ხშირად უთითებს პლატონს და არისტოტელეს, დემოკრიტეს და ჰერაკლიტეს, ეპიკურეს და ნეოპლატონიკოსებს. ისტორიული თხრობის საფუძველი ამიანესათვის არის მისი პირადი ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები, მოწმეთა ჩვენებები და მონათხრობები. რწმენით წარმართი ამიანე ფილოსოფიური შეხედულებებით ნეოპლატონიკოსთა მიმდევარი იყო (კულაკოვსკი, სონი 2000).

ევსები კესარიელთან (IV ს.) მსოფლმხედველობითი და იდეოლოგიური თვალსაზრისით რამდენიმე სხვადასხვა პოზიცია დასტურდება. ესენია: ოპტიმისტური (პროგრესის თეორია), პესიმისტური (დეგრადაციის თეორია), ალეგორიული (წინასახეების თეორია) და მაკროციკლური (ქრისტიანული რესტავრაციის თეორია). თითოეული მისი კონცეფცია მიემართება ისტორიის სხვადასხვა საგანს. პროგრესის კონცეფცია მსოფლიო ცივილიზაციის ახსნას წარმოადგენს. (აქ იგულისხმება სახელმწიფოებრიობა, კანონები, ზნეობა, ხელოვნება); დაცემის, რეგრესის თეორია ესადაგება

კაცობრიობის რელიგიისა და მორალის ისტორიას; რესტავრაციის კონცეფცია – ძველი აღთქმისა და წარსულის ინტერპრეტაციას; წინასახეების კონცეფცია – ძველი ებრაელების ისტორიას. რაც შეეხება შთამომავლობითობის თეორიას, ის ფართო სფეროს ემსახურება, რომელიც მოიცავს როგორც მსოფლიო, ისე ისრაელის ისტორიას (ლოლორი, ულტონი 1954). ევსებისეული შეხედულება წინაქრისტიანული ისტორიის შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია. ის საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმთავრეს იდეას პროგრესის შესახებ. ჟ. სირინელი წერს:

> ცივილიზაციის ისტორიის აღწერაში ევსები ერთიან კონცეფციამდე მიდის. ეს სქემა სრულიად ოპტიმისტურია. ის ზეაღმავალი მოძრაობა, რომელსაც ევსები ხატავს უწყვეტია. პირველყოფილი ბარბაროსობა ადგილს უთმობს მორალურ ცივილიზაციას, რომელიც მოსეს სჯულის გაცისკროვნებული ნათლიდან მომდინარეობს. შემდეგ ხდება სახარების მოსვლა და მისი გავრცელება. ეს სამი ეტაპი ბუნებრივად გულისხმობს გარკვეულ უწყვეტ პროგრესს, რომელშიც თითოეული საფეხური შემდგომის მომამზადებელია (სირინელი 1961: 225-226).

საინტერესოა ეკლესიის ევსებისეული გაგება. ისტორიკოსთა ნაწილი მასში ხედავს ანტიკური ისტორიოგრაფიული ტრადიციის გავლენას, ოღონდ ეს არის „ახალი ხალხის" ისტორია, თავისი დინასტიით (ქრისტე – მოციქულები – ეპისკოპოსები), თავისი ომებით (ქრისტიანთა დევნა), თავისი შინაგანი განხეთქილებებით (ერესები), თავისი გმირებით და დიდი ადამიანებით (მოწამეები, ღვთისმეტყველები). ანუ ევსების ეკლესია ესმოდა როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია. ზოგიერთი მკვლევარი (დ. ტიმპე) ხალხისა და ეკლესიის გაიგივებას უყურებს როგორც გონებამახვილურ მეტაფორას. ამრიგად, ნაწილი ისტორიკოსებისა თვლის, რომ „ეკლესია" ევსებისთან გულისხმობს „ქრისტიან ხალხს" ანუ იმპერიის მთელ ქრისტიანულ თემს, თუმცა ხშირად „ეკლესია" ევსებისთან აღნიშნავს არა მთელ ქრისტიან ხალხს, არამედ ცალკეულ ქრისტიანულ თემს და მეორე, „ეკლესია" ევსებისთან არ არის სოციალური ინსტიტუტი. „ეკლესია" არის ქრისტესა და მოციქულების და მათი მოწაფეების მთელი ერთობა, რომელიც ერთმანეთთან თაობებითა და საუკუნეებით არიან დაცილებულნი. ამიტომ მემკვიდრეობითობის იდეას ევსების ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს – სწორედ ეს არის ეკლესიის შინაგანი შემაკავშირებელი მექანიზმი.

ყურადსაღები საკითხია ბიზანტურ ისტორიოგრაფიაში ისტორიის გმირის პრობლემა. ანტიკური ისტორიოგრაფიისაგან სრულიად განსხვავებულია ბიზანტიური საეკლესიო ჟანრი ისტორიის გმირის ხედვაში, რაც მისი მსოფლმხედველობით და ისტორიის თავისებური მიდგომით იყო განპირობებული. ქრისტედან კონსტანტინემდე საეკლესიო ისტორიის ევსებისეული კონცეფცია ეყრდნობა ორ ფუნდამენტურ იდეას. პირველი – ქრისტეს მოსვლის დროიდან ქრისტიანობა განიცდის უწყვეტ პროგრესს, რომელიც დაგვირგვინდება კონსტანტინე დიდის მოქცევის ტრიუმფალური ფინალით. და მეორე, ქრისტიანობის ეს პროგრესი გამოწვეულია ღვთაებრივი მხარდაჭერით და დახმარებით. ევსები კესარიელს მსოფლიო ისტორიის გლობალურ პერსპექტივაში შემოაქვს ისტორიული მოვლენა და შემოჰყავს ისტორიული პირი - იმპერატორი. ეს არის ევსები კესარიელის ნოვატორობის ძირითადი ნიშანი. ეკლესიის ისტორია ევსები კესარიელისათვის პროვიდენციალურად დაკავშირებულია რომის იმპერიის ბედთან. ეკლესიის მფარველი იმპერატორები ღმერთისაგან დაჯილდოებულნი არიან, ხოლო ეკლესიის მდევნელი იმპერატორები ისჯებიან უზენაესისაგან. ამასთან ღვთაებრივი ჩარევა ბევრად აქტიური და გადამწყვეტია ისტორიის გარდამტეხ ეპოქებში. (კრივუშინი 1998: 108-115). სოკრატე სქოლასტიკოსისათვის (V ს.), ისევე როგორც ანტიკური ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია წესრიგისა და ქაოსის დიქოტომიის იდეა. ევსებისაგან განსხვავებით, სოკრატე საეკლესიო განხეთქილებებს დემონოლოგიურ ახსნას არ უძებნის. მას საეკლესიო განხეთქილებები ადამიანთა ურთიერთობების დონეზე დაჰყავს. ამის მიზეზი, ისტორიკოსის აზრით, არის ადამიანის უნივერსალური მანკიერება. რადგან საეკლესიო ისტორიის საზრისის მთავარ პრინციპს (განხეთქილება – თანხმობა) სოკრატე ადამიანურ სფეროში განიხილავს, მისთვის ისტორიული გმირი მორალურ-ეთიკურ დატვირთვას იძენს. იდეალური მწყემსი (ეპისკოპოსი) სოკრატესათვის არის ადამიანი, რომელიც მისი რელიგიურ-თეოლოგიური შეხედულებების არ დაუშვებს ხალხის (მორწმუნე საზოგადოების) გახლეჩას. ასეთია მისთვის იოანე ოქროპირი (ზენო 1890: 46-47). სოკრატე აფასებს ეპისკოპოსში სხვა აზრის შემწყნარებლობას უფრო მეტად, ვიდრე უდრეკ მართლმადიდებლობას. თუ ევსებისათვის ეპისკოპოსის მთავარი ღირსება მოციქულთაგან მემკვიდრეობით მიღებული სწავლების წმინდად და უკომპრომისოდ შენახვა და დაცვაა, სოკრატესათვის იდეალური ეპისკოპოსი ფართოდ მოაზროვნე ინტელექტუალია, რომლის მთავარი მიზანი თანხმობის მიღწევაა. ეპისკოპოსების გვერდით სოკრატეს გმირები იმპერატორები არიან. ამოსავალი ფიგურა აქ ქრისტიანული მონარქიის დამაარსებლის, კონსტანტინე

დიდის, მმართველობაა. თუ სოკრატეს შეხედულება ერთგვარად პესიმისტურია და მას ისტორია ესმის როგორც „განხეთქილებათა ისტორია“, სოზომენე (V ს.) უფრო თანმიმდევრულად მიჰყვება II საუკუნის ქრისტიანი მოაზროვნის მელიტონ სარდელის თეორიას, რომლის მიხედვით, ისტორიის წარმმართველი და მასწავლებელია ღმერთი, იგი სჯის უწმინდურობას და აჯილდოებს კეთილმორწმუნე იმპერატორებს. ამიტომ სოზომენესთან ისტორია უკვე იმპერატორების ისტორიაა. თუ სოკრატესათვის შიდა საეკლესიო ისტორია არის რელიგიურ განხეთქილებათა უწყვეტი მდინარება, სოზომენესათვის განხეთქილება მხოლოდ წარმავალი ისტორიული მოვლენაა: განხეთქილებები ხდება მაშინ, როცა იმპერატორები ღმერთს ზურგს შეაქცევენ. მთელ ისტორიას სოზომენესათვის აქვს საერთო ტენდენცია – რომის მმართველობის ევოლუცია მართლმადიდებლობის მიმართულებით. ეს ტენდენცია არის მისთვის სწორედ იმ პროგრესის საფუძველი, რომელსაც ღმერთი ხელმძღვანელობს. ამ პროცესის გარანტი კი არის მართლმადიდებელი თემი – მართლმადიდებლური ეკლესია ფართო გაგებით (კრივუშინი 1998: 169). სოზომენე უფრო აფართოებს მონარქის დადებითი თვისებების წრეს. სოკრატესთან ჩამოთვლილი თვისებების (სიქველე, კაცთმოყვარეობა, თავმდაბლობა, სიბრძნე, ვნებათა დათრგუნვის უნარი, მოთმინება) გარდა სოზომენე ასახელებს აგრეთვე ვაჟკაცობას, სამართლიანობას, სიუხვეს, ლიტერატურის მფარველობას, მსაჯულის უნარს, მეომრობას, ფიზიკურ ძალას, სიკეთეს, მასწავლებლობას. ეს თვისებები არა ქრისტიანული, არამედ ბერძნულ-რომაული პოლიტიკური თეორიებით არის ნასაზრდოები. ყოველი მმართველის აღწერას სოზომენესთან ახლავს დასკვნითი შეფასება. ამდენად, მისთვის ამოსავალი ისტორიული ერთეული არა ისტორიული ფაქტია, არამედ იმპერატორის ეპოქა (ვოლფორდი 1846).

განსხვავებულია თეოდორიტეს მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური პოზიცია. მისი მიზანია დაწეროს მხოლოდ ეკლესიის ისტორია. ნიშანდობლივია, რომ ისტორიის ქრონოლოგიურ ჩარჩოს ის საეკლესიო მოვლენების თარიღების მიხედვით განსაზღვრავს. თეოდორიტე საერთოდ არ იყენებს დათარიღების ისეთ სისტემას, როგორიც არის კონსულების, ოლიმპიადების წლების მიხედვით დათარიღება. მისთვის ორი პოლუსი არსებობს: სიკეთე (მართლმადიდებლობა) და ბოროტება (მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგე მხარე). ის შეურიგებელი მართლმადიდებელია. ვინაიდან საერო ისტორია და მისი მთავარი პერსონაჟი იმპერატორი მელიტონის კონცეფციაში არ წარმოადგენს საეკლესიო ისტორიის საგანს, მასთან ქრება ის კონცეფციაც, რომ იმპერატორის ხასიათი, მისი სიქველენი განმსაზღვრელია ამა თუ იმ ეპოქის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის. ამავე დროს, მელიტონის ჯაჭვში: ღმერთი – მეფე – იმპერია, თეოდორიტე უარყოფს მის ცენტრალურ რგოლს, რის გამოც ეს თეორია უფუნქციო ხდება მისი ისტორიისთვის. იმპერატორის სახე მისთვის არის ეკლესიის მორჩილი „შვილი“. ამგვარად, თეოდორიტეს მიხედვით, ეკლესიის ბრძოლა ჭეშმარიტებისათვის არის მისი მუდმივი წარმატებების ჯაჭვი. ეკლესია მისთვის არის ისტორიის პროგრესის ერთადერთი ფაქტორი.

ევაგრეს ისტორიულ აზროვნებას ახასიათებს საეკლესიო ისტორიის ჟანრისაგან განსხვავებული კონცეპტუალური სქემა. ის უარს ამბობს მელიტონ სარდელის სქემაზე, როცა საქმე რომის იმპერიის ისტორიას ეხება. ღვთისმოყვარეობა არ არის ერთადერთი კრიტერიუმი, როცა ევაგრე დადებითსა თუ უარყოფით იმპერატორს აფასებს. მის შეფასებაში ხშირია წმინდა საერო მიდგომაც. ევაგრე ამ სფეროშიც ანტიკური ისტორიოგრაფიიდან, მისი ცნებითი სამყაროდან ამოდის. მისთვის არ არის უცხო ბედისწერის იდეა, რომელიც ვერ იტანს ადამიანის ბედნიერების უზომოდ გაზრდას. მისთვის ნაცნობია ამქვეყნიურ ცხოვრებაში ყოველივეს ცვალებადობის იდეა. ზომიერების დაცვა მისთვის უფრო დიდი წარმატების მომტანია, ვიდრე რწმენა.

ისტორიის გმირის საკითხში საინტერესოა ამიანე მარცელინეს თხზულება, რომელიც წარმართი იმპერატორების მიმართ აღფრთოვანებით და სიყვარულით გამოირჩევა. ანტიკური ისტოროგრაფიული ტრადიციის მსგავსად, ამიანესთან ისტორიის მამოძრავებელ ძალად ცალკეული ისტორიული გმირების ნება გამოდის, თუმცა ადამიანების მოქმედების თავისუფლება ბედისწერით და შემთხვევით არის დასაზრული. ამიანე მარცელინესათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა აღზარდოს ზნეობრივი და ღირსეული პოლიტიკის გამტარებელი საზოგადოება. შესაბამისად, ამიანე ისტორიულ გმირებსაც მორალურ-ეთიკური პრინციპების მიხედვით აფასებდა. მისი გმირები უმთავრესად იმპერატორები და პოლიტიკური ფიგურები არიან.

ქრონოგრაფიის ჟანრი, რომელიც სრულიად განსხვავებულ ისტორიოგრაფიულ პრინციპებზეა აგებული, ახალ ფურცელს შლის ბიზანტიური ისტორიოგრაფიის განვითარების პროცესში. თუ ბიზანტიური „ისტორიის“ ჟანრი ანტიკური ტრადიციებით საზრდოობს, „ქრონოგრაფია“ ძველი აღმოსავლეთის წარსულის შემეცნების იდეებს უბრუნდება. მისთვის მნიშვნელოვანია მთელი სამყაროს ამქვეყნიური არსებობის სქემა – როგორც ღვთაებრივი ჩანაფიქრის განხორციელება. ისტორია უკვე არა ადამიანთა ურთიერთდაპირისპირების დონეზე ვითარდება, არამედ ის საკრალურია და ამქვეყნიურ

რეალობაში ღვთაებრივი ჩარევის ჯაჭვს წარმოადგენს. თავის უნიკალურ ადგილს ამ სისტემაში იმპერატორის სახე იკავებს, მაგრამ არა როგორც ცალკეული პიროვნება თავისი ხასიათით და ბედ-იღბლით, არამედ როგორც სახელმწიფოს ისტორიულ დროში არსებობის ეპონიმი. მართალია, ქრონოგრაფიულ ჟანრის თხზულებათა შორის მათი სტრუქტურისა და ქრონოგრაფიული სისტემის თვალსაზრისით გარკვეული სხვაობა არსებობს, მაგრამ ერთი რამ მაინც აკავშირებთ მათ – ესაა სამყაროს ამქვეყნიური ყოფიერების ფუნდამენტური იდეა. ბიზანტიური ისტორიოგრაფიის განვითარების პროცესში ქრონოგრაფიული ისტორია განსხვავებულია ისტორიის გმირის დახასიათების საკითხშიც. ქრონოგრაფიის მახასიათებელია გმირის ყოფნა ისტორიული თხრობის პერიფერიაზე, რადგან ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით ისტორია არის ღვთაებრივი ნების და ადამიანის თავისუფალი ნების ურთიერთობა. ღმერთი ადამიანებს ან ასაჩუქრებს ან სჯის კარგი და ცუდი მოქმედებისათვის, მაგრამ ადამიანის არჩევანისათვის დიდი ადგილია დატოვებული. სიახლეა ისტორიის გმირის აღწერის მეთოდი იოანე მალალასთან (V-VI სს). ანტიკური ისტორიოგრაფიის მიერ ჩამოყალიბებული ისტორიის „წერის“ რთული და მრავალფეროვანი ხერხებიდან, არცერთი არ აღმოჩნდა მისაღები მისთვის. ნაშრომში, რომელშიც მოვლენათა განვითარება შინაგან ზამბარებს მოკლებულია და ქრონოლოგიურ სქემასაა დაქვემდებარებული, გმირი არა მოქმედების მამოძრავებელ ძალად, არამედ მის დანამატად გადაიქცა. მალალას გმირების გრძნობების სპექტრი საკმაოდ შეზღუდულია, უკიდურესად დავიწროებულია. გრძნობას და ქმედებას შორის კავშირი უშუალო და მყისიერია, გმირების გრძნობები და მათი დახასიათება, მართალია, უხვია, მაგრამ სტრუქტურულად ის არ არის ისტორიის მსვლელობის მაორგანიზებელი, არამედ მხოლოდ დამატებაა. გმირის დახასიათება სიმპტომატურია მალალასათვის და მათ „სომატოფსიქოგრამებს“ უწოდებენ (ლუბარსკი 1988:111-119). ეს სომატოფსიქოგრამები ახდენს პერსონაჟის მრავალფეროვნების „რუბრიცირებას“ ანუ ის დაყავს თვისებათა თვლად ოდენობაზე. ეს თვისებები არ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და არ ქმნიან ერთიან პორტრეტულ სახეს. თეოფანეს გამგრძელებელთან (X ს.) თხრობის ცენტრალური ფიგურაა ისტორიის გმირი – იმპერატორი, ამასთან მკვეთრადაა გამიჯნული დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები (ლუბარსკი 1992: 198). მიქაელ ფსელოსის (XI ს.) თხზულების თავისებურებანი მისი მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს. მას, როგორც ანტიკური კულტურის თაყვანისმცემელს, არ აინტერესებს უნივერსალური კავშირი, რომელიც შუა საუკუნეების ქრონიკებში ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოცემული ინფორმაციის გამაერთიანებლის როლს ასრულებს. მას თხზულების ასაგებად სჭირდება შემაკავშირებელი პრინციპი. ასეთია სიტყვიერი და ასოციაციური კავშირები, სიტუაციის განვითარება კი ერთი ცენტრის – იმპერატორის გარშემო მიმდინარეობს. ეგმირების დახასიათებისას ფსელოსი იყენებს ე.წ. დედუქციურ მეთოდს, რომელიც საზოგადოდ დამახასიათებელია ქრონოგრაფიისათვის და „ნორმატიული მხატვრული აზროვნების“ პრინციპებს შეესაბამება. იმპერატორის ან სხვა გმირის შესახებ თხრობა იწყება მისი თვისებების ჩამონათვალით, ესენია: წარმომავლობა, ცხოვრების წესი, სწავლულობა, მჭერმეტყველება, პატიოსნება, პირადი ვაჟკაცობა, იმპერატორის მოვალეობისადმი დამოკიდებულება, ქვეშევრდომებისადმი დამოკიდებულება, გონიერება. მიქაელ ფსელოსის შეფასებებიდან ჩანს, რომ ის უფრო სწავლულობის დამფასებელია, ვიდრე წარმომავლობის, უფრო მჭერმეტყველების, ვიდრე მებრძოლის თვისებების (ლუბარსკი 1978:230-33). მიქაელ ფსელოსის *ქრონოგრაფია* და მისი შემოქმედება მთლიანად გამოხატავს წინაჰუმანიზმის და მაღალი შუა საუკუნეების ეპოქის ესთეტიკურსა და მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, სადაც სამყაროს ცენტრია ადამიანი – პიროვნება და არა ღმერთი.

შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაშიც გამოკვეთილია იდეოლოგიური თვალსაზრისით ისტორიის გმირის საკითხი. ამ მხრივ საინტერესოა მოვსეს ხორენაცი (V ს.), რომელიც მედიევალური სომხური ისტორიული აზროვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელია, რაც სახელმწიფოებრიობის აუცილებელი არსებობის პრიორიტეტში გამოიხატება. ბუნებრივია, მისი თხზულების იდეოლოგიურ საყრდენს მეფე –ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტი წარმოადგენს. თხზულებაში გამორჩეული ისტორიული პერსონაჟები – ძირითადად მეფეები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დაცვის სადარაჯოზე დგანან. მათი რჩეულობა თუ პოპულარობა იმითაა განპირობებული, რამდენად წარმატებულად ართმევენ თავს ამ ამოცანას. სომეხთა დამოუკიდებელი ისტორიის პირველი აქტორი მასთან არის მამამთავარი ჰაიკი, რომელიც კლავს მოძალადებელს და იცავს თავისი ეთნოსის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ასეთია ხორენაცისეული ჰაიკის დახასიათება:

> ჰაიკი იყო ქმნულკეთილი, წარმოსადეგი, ხუჭუჭთმიანი, თვალებმოელვარე და მკლავმაგარი. იგი მამაცი და სახელგანთქმული იყო გოლიათთა შორის, ებრძოდა ყველას, ვინც აღმართავდა ხელს დანარჩენ გმირებსა და ბუმბერაზებზე გაბატონების მიზნით (აბდალაძე 1984: 69).

მეფის ხალხის მიმართ პასუხისმგებლობის როლი მეტად დიდია და გადამწყვეტი. პირველ რიგში მას მოეთხოვება უმაღლესი ფასეულობებისათვის ზრუნვა, მისი დაცვა. მეფის იდეალური სახისათვის ხორენაცის აქვს გარკვეული მახასიათებლები, მოთხოვნათა მთელი რიგი: ფიზიკური შეუდარებლობით დაწყებული, გონებრივი და ეთიკური თვისებებით დამთავრებული, მამაცობით და უშიშრობით დაწყებული, მოთმინებითა და სიბრძნით დამთავრებული. თითოეული მეფის შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად აქვს ამ მეფეს გამორჩეული თვისებები ან რამდენად აკმაყოფილებს ის ამ მოთხოვნებს. სომეხ ავტორს აქვს მეფის ვალდებულებათა ჩამონათვალი, რომელშიც პირველ ადგილზე ქვეყნის საზღვრის დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მისი გაფართოებაა. სომეხი მამამთავრებისა და მეფეების გრძელ ჯაჭვში ხორენაცი, როგორც იდეალს გამოყოფს სამ მათგანს – ჰაიკს, არამს და ტიგრანს. ხორენაცი წერს მათი გამორჩეულობის მიზეზზე: „სიმამაცის მიხედვით მიყვარს ამგვარი ჩამოთვლა: ჰაიკი, არამი, ტიგრანი“ (აბდალაძე 1984: 94). ტიგრანს კი ასე ახასიათებს სომეხი მემატიანე:

> სიკეთე მოუტანა ჩვენს ქვეყანას ამ წითურმა, ხუჭუჭთმიანმა ტიგრანმა, ერვანდის ძემ, ღაჟღაჟა სახისა და სათნო, წარმოსადეგმა და მხარბეჭიანმა, მუხლმაგარმა და კოჭლამაზმა, ჭამაში თავშეკავებულმა და გართობისას კეთილზნიანმა კაცმა... მას ზომიერი ხორციელი მოთხოვნილებები ჰქონდა, იყო ბრძენი და მჭერმეტყველი... მას ყოველთვის ჰქონდა თანასწორობისა და სამართლიანობის სასწორი, გონების თვალით წონიდა ყველა კაცის ცხოვრებას, არ შურდა გამორჩეული ადამიანების, არც ბეჩავთ შეურაცხყოფდა, ცდილობდა ყველასათვის გადაეფარებინა თავისის მზრუნველი კალთა (აბდალაძე 1984: 88-89).

ამ პერსონაჟებს აქვთ მეფე-გმირის ყველა თვისება, მათ საქმიანობაში უმთავრესია ქვეყნის საზღვრის დაცვა, მშვიდობის უზრუნველყოფა.

ამრიგად, მედიევალური ბიზანტიური და სომხური ისტორიოგრაფიის იდეოლოგიის ერთ-ერთი მახასიათებელია ისტორიულ გმირთა დახასიათების ტიპოლოგია. როგორც ვნახეთ, ისტორიული გმირების და, განსაკუთრებით, იმპერატორების სახეების შექმნისას ბიზანტიური ისტორიოგრაფია გარკვეულ „შაბლონს“ იყენებს. იმ ღირებულებათა სისტემიდან თუ კრიტერიუმებიდან, რომელთა მიხედვითაც ესა თუ ის ისტორიკოსი თავის ისტორიულ პერსონაჟს აფასებს, თვით ავტორის მსოფლმხედველობა წარმოჩინდება. ბიზანტიური ისტორიოგრაფიული ტრადიციისაგან განსხვავებულია *ქართლის ცხოვრება* მეფეთა დახასიათების საკითხში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსამდე *ქართლის ცხოვრება* ახასიათებს მხოლოდ მეფეს. დავითის ისტორიკოსი და უფრო მეტად ჟამთააღმწერელი გვაძლევენ სხვა ისტორიულ პირთა შეფასებასაც. ამ თვალსაზრისით ქართულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას სტაბილურობა ახასიათებს, განსაკუთრებით, *ქართლის ცხოვრების* დასაწყის ნაწილში, მაგრამ ის ამავე დროს შინაგან ევოლუციას განიცდის. მეფეთა დახასიათების სისტემის კვლევა *ქართლის ცხოვრებაში* აშკარავებს, თუ როგორ მკვიდრდება ქრისტიანული ღირებულებები საზოგადოებაში, ქრისტიანობის შემოსვლით გარდატეხა ხდება ისტორიის აღქმაში, რაც, ცხადია, ისტორიოგრაფიაშიც აისახება.

ახლა კონკრეტულად დავაკვირდეთ თუ როგორ იცვლება ისტორიული პროცესის გააზრება გმირის დახასიათების საკითხში შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე. *ქართლის ცხოვრების* იმ ნაწილიდან, საიდანაც გაბმული ისტორიული თხრობა მეფეთა ზეობის თანმიმდევრობას მიჰყვება, ანუ „ფარნავაზის ცხოვრებიდან“ თითქმის ყველა მეფეს ახლავს ერთი ან რამდენიმე ეპითეტი, რომელიც მოკლედ ახასიათებს მის მოღვაწეობას. საინტერესოა გავადევნოთ თვალი თუ როგორ ისახება ეს ტრადიცია და რა სახეცვლილებას განიცდის ის დროთა განმავლობაში ქრისტიან მეფეთა დახასიათებისას. მაგ: ფარნავაზიდან მირიანამდე ყველაზე ხშირად გამოყენებული ეპითეტებია: დადებითი ეპითეტები – მხედარი შემმართებელი, მხნე, ძლიერი, შუენიერი, ქუელი, გოლიათი, გონიერი, მონადირე ხელოვანი, კეთილი, უშიში. უარყოფითი ეპითეტები – ურვილი, მოსისხლე, ლაღი. მირიანიდან ვახტანგ გორგასლამდე ცვლილებაა ეპითეტების ხმარების სიხშირეში. დადებითი ეპითეტები– მორწმუნე, ბრძენი და გონიერი, მხედარი შემმართებელი, ქუელი. უარყოფითი ეპითეტები – ურწმუნო, ჩუკენი, მოშიში, ამპარტავანი. ამრიგად, როგორც ვხედავთ გაქრისტიანების შემდეგ შეფასებათა ღირებულების სისტემა ცვლილებას განიცდის. თუმცა მეფის დახასიათების ტრადიცია მაინც ინახება. თუ ფარნავაზიდან მირიანამდე ყველაზე ხშირად ხმარებული დადებითი მახასიათებელი არის მხნე, მხედარი შემმართებელი, ძლიერი, მირიანიდან პირველ ადგილზე სულიერი თვისებები გადადის, ისეთი როგორიცაა მორწმუნე, ბრძენი, გონიერი. ასევე უარყოფითი მახასიათებლების შემთხვევაში პირველ ადგილზეა ურვილი, მოსისხლე, ლაღი, ხოლო მირიანიდან – ურწმუნო, ჩუკენი, მოშიში. ჯუანშერის თხზულებიდან მეფეთა დახასიათებისას, განსაკუთრებით მათი საბრძოლო წარმატებების აღწერისას

დომინირებს არა მეფის პირადი თვისებები – ძალა, სიმხნე, არამედ ჯვრის ძალით გამარჯვება. ვახტანგ გორგასლის პაპა არჩილი რანის ერისთავზე გამარჯვების შემდეგ პირდაპირ ეუბნება ქართველ მეომრებს: „არა ძალითა ჩვენითა, არცა სიმხნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლეთ მტერთა, არამედ ჯუარითა უფლისათა ჩვენისა იესო ქრისტესითა, ძისა ღმრთისათა, რომელმან მოგუცა წინამძღურად ჯუარი მისი პატიოსანი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 140). *ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში* ჯვრის სიმბოლიკას დიდი ადგილი ეთმობა, როგორც ვახტანგის მტრებზე გამარჯვების შემწეს. გოლიათ თარხანის წინააღმდეგ შესაბრძოლებლად გასვლამდე ვახტანგი ასე მომართავს თავის სპას: „არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისად და სიმხნითა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთისა დაუსაბამოსათა, სამებისა ერთარსებისა ყოვლისა დამბადებელისა განვალ თჯითბრძოლად თარხანისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 152). ვახტანგს მის ჩვენებაში, რომელიც საბერძნეთში წარმოებული ომის დროს გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავთან ჰქონდა, კეისარი ეუბნება:

> უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გჯრგჯნი, აღუთქუ ვინ ესე დგას ჩუენ ზედა, რათა ჰბრძოდი მტერთა მისთა და მიიღე მისგან გჯრგჯნი. მოიხილა ვახტანგ და იხილა ჯვარი, რომელსა ფრთეთა მისთა აქუნდა გჯრგჯნი... და მიჰყო ხელი კეისარმან, და მოიღო გჯრგჯნი ჯუარისაგან, და დაარქუა გჯრგჯნი იგი ვახტანგს თავსა (ყაუხჩიშვილი 1955: 167-168).

ამ ეპიზოდს, რომელიც საკმაოდ კომპლექსური სიმბოლური ენით გარკვეული აზრის გამომხატველია, ამჯერად არ შევეხებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ჩვენების მიხედვით ვახტანგ გორგასალი ძლევისა და დიდების სიმბოლოს – გვირგვინს სწორედ ჯვარისაგან იღებს. ამრიგად, არჩილის და ვახტანგის ცხოვრება თითქოს გარკვეულწილად უპირისპირდება, თითქოს ეკამათება მის წინანდელ ტრადიციას. გამარჯვების, ძლევის მომტანი მეფისათვის არის ჯვარი ანუ რწმენის ძალა და არა ამა თუ იმ მეფის პირადი თვისებები, როგორც *ქართლის ცხოვრების* წინა ნაწილში. თუმცა, ისტორიოგრაფიული, უკვე ჩამოყალიბებული სახეები, აზროვნების ფორმები თუ ტრადიციული ხატები მაინც საკმაოდ ძლიერია და შემდგომ არჩილ მეფემდე რამდენჯერმე ისევ ვხვდებით მეფეთა ტრადიციულ დახასიათებას. თუმცა ქრისტიანული პერიოდი თავის გავლენას ამკვიდრებს ამ ტრადიციაზე და შეფასების კრიტერიუმებში უკვე მორწმუნეობა, ეკლესიათა მაშენებლობა და ა.შ. გადმოდის წინა პლანზე.

საყურადღებოა, რომ *მატიანე ქართლისა* თითქმის არ შეიცავს მეფეთა ამგვარ დახასიათებებს, გარდა ერთი გამონაკლისისა. ეს არის ბაგრატ მესამე, რომელსაც მემატიანე განსაკუთრებულ მეფედ მიიჩნევს:

> ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა, ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ხელმწიფენი... და დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მისნი; მომადლა დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქვეყნისა... შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის (ყაუხჩიშვილი 1955: 281-282).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში მეფის ცხოვრების თანმიმდევრული წყობა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს მოგვაგონებს. თხზულების პირველ ნაწილში მოვლენები ქრონოლოგიური რიგით არის დალაგებული. ყოველ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს ახლავს თარიღი ქორონიკონის ათვლის სისტემით, ხოლო მეორე ნაწილი არა ქრონოლოგიურ, არამედ თემატურ პრინციპზეა აგებული. ამ პრინციპს მეფის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტით შექება უდევს საფუძვლად. გამოიკვეთება შემდეგი საკითხების მიხედვით დალაგებული თხრობა: მეფის ღვთისმოსაობა, მისი წიგნიერება და კითხვის სიყვარული, მეფის სამართლიანობა, მონასტერთა წყალობა და გამდიდრება, გლახაკთა მოწყალება, შიდასახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება, მეფის მჭერმეტყველება და საღვთო სჯულში განსწავლულობა, დაუღალაობა და სხვ. თითოეულ ამ მახასიათებელს ახლავს საილუსტრაციო მასალა მეფის ერთი ან რამდენიმე კონკრეტული ქმედების აღწერით. თხრობა სრულდება მეფის სიკვდილით. ამგვარად, დავით აღმაშენებლის ცხოვრების სტრუქტურაც, ავტორისეული პოზიციაც თხრობის სარწმუნოობის არგუმენტების მოტანით და მეფის – ისტორიის გმირის დახასიათების სტილიც ბიზანტიური ისტორიოგრაფიული ტრადიციის გავლენას განიცდის. „ცხოვრების“ ჟანრი როგორც ბიოგრაფია და წმინდანის „ცხოვრება“ ანუ ჰაგიოგრაფია აქ მართლაც უახლოვდება ერთმანეთს. ავტორის ინდივიდუალიზმი, მისი შემფასებლური პოზიცია და შესაბამისად ისტორიის გმირთა სახეების „პორტრეტულობა“ კიდევ უფრო ვითარდება ჟამთააღმწერელთან. ლაშა- გიორგის დახასიათებები

დადებითი და განსაკუთრებით უარყოფითი, კრიტიკული კუთხით ჟამთააღმწერელს წარმოაჩენს დასავლური ისტორიოგრაფიული სკოლის მიმდევრად. მემატიანე წერს ლაშა-გიორგის შესახებ: „იყო ტანითა ძლიერი, მხნედ მოისარი, ნადირობათა შინა მოსწრაფე, ლაღი და თჳთბუნება“ (ყაუხჩიშვილი 1959: 151).

> იყო ესე ლაშა-გიორგი მხნე, ახოვანი, ძლიერი, ლაღი, ამპარტავანი, თავხედი, თჳთბუნება, უხჯ, სახიობის მოყვარე, ღჳნის მოყვარე და გემოთ-მოყუარე. . . და შექცეულ იყო სმასა და ჭამასა. . . ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშუებდეს და უწესოებად მიდრკეს სიძჳთა შინა და მთვრალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა-ღირსნი... ამისთჳს აღმოცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოოხრებისანი (ყაუხჩიშვილი 1959: 156-157).

ამრიგად, *ქართლის ცხოვრების* წარმართული და ადრექრისტიანული ეპოქების ამსახველი ნაწილი ტიპოლოგიურად სრულიად სხვა პრინციპებს ეფუძნება. *ქართლის ცხოვრების* დასაწყის, ქრისტიანობამდელ ნაწილში მოქმედებს მეფეთა დახასიათების მწყობრად შემუშავებული „შაბლონი“, რომელიც ძირითადად წარმოაჩენს მეფის პირად თვისებებს, რაც ქვეყნის წარმატების საწინდარია. ქრისტიანობის შემდეგ ქართულ ისტორიულ აზროვნებაში იცვლება ღირებულებითი სისტემა და მეფეთა დახასიათებაში სულიერი თვისებები და ჯვრის ძალით გამარჯვება იწევს წინ. ისტორიული ნაწილის დასაწყისში მაინც ჯერ კიდევ არ არის ფორმულირებული ისტორიის მიმართ ტიპიური ქრისტიანული დამოკიდებულება, რაც მდგომარეობს ისტორიული პროცესის სრულ დამოკიდებულებაში ღმერთთან: ღვთის მიერ ყოველივე წინასწარ განსაზღვრულია და წარუმატებლობანი თუ უბედურებანი ერის ცხოვრებაში არის ღვთის მცნებათა დარღვევის შედეგი. როგორც ზემოთ ვნახეთ, „ღვთისმოსავი იმპერატორის“, როგორც ისტორიული პროცესის კეთილად წარმმართველის იდეა უკვე ევსები კესარიელთან დასტურდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ იდეას სოზომენეს თხზულებაში ენიჭება. საბოლოოდ ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში იმპერატორის ფიგურამ შესხმითი სახე მიიღო თეოფანეს გამგრძელებელთან, ნაწილობრივ მიქაელ ფსელოსთან. *ქართლის ცხოვრების* დავით აღმაშენებლის ისტორიკოსამდელ ნაწილში მატიანისეული თხრობა დომინირებს, სადაც ისტორიის გმირი და ისტორიული პროცესი მეფის ფიგურის გარშემო ტრიალებს. მეფის სახის თანმიმდევრულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ბიზანტიური ისტორიოგრაფიის გავლენა *ქართლის ცხოვრებაზე* ვრცელდება ჩვენში ელინოფილური ლიტერატურული სკოლის გავრცელების ხანაში – XII-XIII საუკუნეებში, როცა ქრისტიანულ იდეებსა და ბიზანტიურ სამწერლობო ტრადიციებს თანდათან ითვისებდა ქართული ისტორიოგრაფია.

მედიევალურ სომხურ ისტორიოგრაფიაში მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური თვალსაზრისით გამოვყოფთ ფასეულობათა სისტემის ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ შკალას. პირველი სისტემის გამომხატველია მოვსეს ხორენაცი (V ს.), მეორის ეღიშე (V ს.). ამ ორი თვალსაზრისის მკვეთრად გამოხატული მარკერები გასდევს შემდგომი პერიოდის სომხეთის ისტორიულ აზროვნებას და ისტორიოგრაფიულ ტრადიციას. მოვსეს ხორენაცის ფასეულობათა სისტემის ყველაზე მაღალი ნიშნული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობაა. ხორენაცისათვის ხალხის, ერის ისტორია ასოცირდება სახელმწიფოებრიობის არსებობასთან, უფრო მეტიც, ერის ისტორიას ის იაზრებს, როგორც მისი სახელმწიფოებრიობის ისტორიას. აქედან გამომდინარე, ხორენაცისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ უნდა ჩათვლილიყო უმაღლესი ფასეულობის – სახელმწიფოებრიობის დანგრევა. სწორედ ეს არის მისი თხზულების ძირითადი იდეა. ხორენაცის მსოფლმხედველობის მთავარ ფასეულობას სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოადგენს, რასაც ის მომავალ თაობებს უსახავს მიზნად.

სომეხი ისტორიკოსი ეღიშე წარმოაჩენს სომეხთა ფასეულობათა სისტემის მეორე თვალსაზრისს. მისი უმაღლესი ფასეულობა – ერისა და მისი თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტი, რწმენაა. მასთან იდენტობის მთავარი ნიშნული არა სახელმწიფოებრიობაა, როგორც ხორენაცისთან, არამედ რწმენა. ეღიშეს ნაშრომის მთავარი თემაა 451 წლის ავარაირის ბრძოლა, ე.წ. „პირველი რელიგიური ომი“ სპარსელთა წინააღმდეგ. სომეხთა რელიგიური ომი სპარსელთა წინააღმდეგ პირველი და გადამწყვეტი გაბრძოლებაა ერის არსებობისათვის. ეს არის არა ძალისხმევა პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (როგორც მოვსეს ხორენაცისთან), არამედ ბრძოლა რწმენის შენარჩუნებისათვის. სახელმწიფოებრიობადაკარგულ (ერთი სიტყვა კია მაგრამ რაღაც კარგად ვერ ჩანს) ქვეყანაში სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობა უკანასკნელი იმედია არა ქვეყნის, არამედ უფრო მეტად სომხური ეთნოსის გადარჩენისათვის. ეღიშეს თხზულების იდეა მეტად მდგრადი აღმოჩნდა, ამიერიდან სომხური საზოგადოების იდეოლოგიაში სარწმუნოება იქცევა ეროვნული კუთვნილების ორიენტირად.

შემდგომი საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიულ აზროვნებაზე ორივე ამ ფასეულობათა სისტემის გავლენა შეიმჩნევა, თუმცა მეორე მარკერი – რწმენა პრევალირებს სახელმწიფოებრიობაზე. სახელმწიფოებრიობის აღდგენის სიძნელეებმა ხელი შეუწყო ეთნოსის განგრძობადობის მიღწევის ერთადერთ საშუალებად სარწმუნოებრივი თვითიზოლაცია გამხდარიყო, სარწმუნოების საფუძველზე დაფუძნებული ერთობის შეგნებით და ეკლესიის სულიერი მთავრობით. სომხეთში დროებით სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებით (IX-XI სს), შესაძლოა ცვლილებები მომხდარიყო ღირებულებათა სისტემაშიც, პირველ პლანზე უნდა წამოწეულიყო დამოუკიდებლობის აღდგენა, როგორც უმაღლესი ფასეულობის მქონე ხორენაცისეული ღირებულებათა სისტემა. სურათი ისტორიოგრაფიული ძეგლების მიხედვით სრულიად სხვაგვარია. კვლავ დომინირებს სარწმუნოებრივი თავისთავადობა. ამის მაგალითია იოანე დრასხანაკერტეცი (XI ს.), რომელიც სომხეთის ეკლესიის სამოციქულო წარმოშობის და დამოუკიდებელი არსებობის მოშველიებით, ძირითად და გადამწყვეტ ფაქტორად მომავლისათვის რელიგიურ ნიშნულს სახავს. სომხურმა ეთნოსმა რწმენა აირჩია ეროვნულობის მთავარ მარკერად. სომხური ეკლესია გახდა სახელმწიფოს ფუნქციის მატარებელი, რაც სრულად აისახა ისტორიოგრაფიულ ტრადიციაში.

ამრიგად, მედიევალური ისტორიოგრაფიის ტიპოლოგიურმა კვლევამ მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური კუთხით აჩვენა მისი საერთო და განმანსხვავებელი ასპექტები: განსხვავებულია ისტორიული დროის ფილოსოფიური გააზრება ბიზანტიური ისტორიოგრაფიის სხვადასხვა ჟანრისათვის; განსხვავებულია შუა საუკუნეების ბიზანტიელი, სომეხი და ქართველი ისტორიკოსების პოზიცია თხზულებათა იდეოლოგიური საყრდენების – მეფეების თუ იმპერატორების დახასიათების საკითხში; მედიევალურ სომხურ ისტორიოგრაფიულ ტრადიციაში გამოიკვეთა ფასეულობათა ორი სისტემა: სახელმწიფოებრიობის პირველადობა და რწმენა, როგორც ეთნოსის უპირველესი ღირებულება.

დამოწმებანი

აბდალაძე 1984: ა. აბდალაძე. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბილისი, მეცნიერება.

ვოლფორდი 1846: Sozomenos. A history of the church in nine books. tran. Edward Walford, London, Bagster.

ზენო 1890: Socrates Scholasticus. Church History. Trans. A. C. A. Zenos. Edited by Philip Schaff and Henry Wace, Buffalo, NY: Christian Literature Publishing Co.

კრივუშინი 1998: К. Кривушин. Ранневизантийская церковная историография, Санкт-Петербург, Алетейя.

კულაკოვსკი, სონი 2000: Аммиан Марцеллин. Римская история. Пер. Ю. А. Кулаковского и А. И. Сонни, Санкт-Петербург, Алетейя.

ლოლორი, ულტონი 1954: H. J. Lawlor and J. E. L. Oulton (ed), Eusebius. Ecclesiastical History and Martyrs of Palestine. Translated with introduction and notes, London, Society for the Promotion of Christian Knowledge.

ლუბარსკი 1978: Я. Любарский. Михаил Пселл. Личность и творчество, Москва, Наука.

ლუბარსკი 1988: Я. Любарский. Герои «Хронографии» Иоанна Малалы, Кавказ и Византия. Вып. 6. Ереван.

ლუბარსკი 1992: Я. Любарский. Продолжатель Феофана. Санкт-Петербур, Наука.

სირონელი 1961: J. Sirinelli. Les vues historigues d' Eusebe de Cesaree durant la periode preniceene, Paris, Dakar.

ყაუხჩიშვილი 1955: ს. ყაუხჩიშვილი. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1, თბილისი, სახელგამი.

ყაუხჩიშვილი 1959: ს. ყაუხჩიშვილი. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 2, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ჩეკალოვა 1993: Прокопий Кесарийский. «Война с персами. Война с вандалами. Тайная история». Перевод и комментарии А. Чекаловой, Москва, Наука.

Ideological and Perceptional Aspects of Medieval Historiography

Eka Kvachantiradze

One of the most significant markers of medieval historiography is its prominent perception and ideological position, sometimes even didactic-moralist one. Therefore, as a rule, historical works have acquired the function of ethnic-cultural and state identity justification and dissemination. Naturally, the state ideology attempts to widen the limits of the self-consciousness of the nation and the role of historiography for achievement of this goal is indeed very significant.

The Goal of this article is to compare Georgian, Armenian and Byzantine medieval historiography in ideological and perceptional context. In this respect, the research showed the common as well as differing aspects: philosophical comprehension of historical time is different for different genres of Byzantine historiography; positions of Byzantine, Armenian and Georgian historians with respect of the issue of characterization of the ideological bases – the kings and emperors are different as well; in medieval Armenian historiographical tradition two systems of values were identified: supremacy of the statehood and primary value of the religion for the nation.

დიმიტრი ფურცელაძე ახალი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის სათავეებთან

შოთა მათითაშვილი

XIX საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად იწყება ქართველოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, განვითარება. ამ პერიოდიდან საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის შესწავლა ევროპული მეცნიერების დონეზე ავიდა, თუმც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ვახუშტი ბატონიშვილის შრომებიდან იღებს სათავეს. XIX საუკუნის ევროპაში სამეცნიერო წრეების სულ უფრო მეტი წარმომადგენელი ინტერესდება ორიენტალისტიკის რიგი სამეცნიერო დარგებით, მათ შორის, აღმოსავლური ქრისტიანობის ისტორიით (მარკენდი 2010: 252-284). ქართველოლოგიურ კვლევათა განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპად იქცა დასავლელი მეცნიერების სენ-მარტენის, კლაპროტის და ბროსეს მოღვაწეობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მარი ფელისიტე ბროსეს დამსახურება ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე. საკუთრივ რუსეთის იმპერიის სამეცნიერო სივრცეში, რომელშიც საქართველოც შედიოდა. ამ კუთხით გამორჩეული ადგილი უკავია თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელსაც ძალ-ღონე არ დაუშურებია საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის შესასწავლად და რომელიც ყოველმხრივ ეხმარებოდა ბროსეს სამეცნიერო მუშაობაში. ქართველოლოგიური კვლევები კიდევ უფრო გაცხოველდა ბროსეს პეტერბურგში ჩასვლისას (1837), როდესაც მან პეტერბურგის უნივერსიტეტში შარმუას ადგილი დაიკავა. შემდგომში ბროსესთან ერთად ქართველოლოგიურ კვლევებში ჩაერთვნენ დ. ჩუბინაშვილი და ა. ცაგარელი (მახათაძე 1967: 199-225). ამ უკანასკნელებმა პეტერბურგის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარეს ქართული სიტყვიერების შესწავლასა და უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს ქართველოლოგიის შემდგომ განვითარებაში (ნადირაძე 2012: 85-101).

ქართული ისტორიოგრაფიის ამ ახალი ეპოქის ადრეულ ეტაპზე მკვლევართა ყურადღების ქვეშ მოექცა ქართული ეკლესიის ისტორიაც. არც ვახუშტი ბატონიშვილი, არც თეიმურაზ ბატონიშვილი ამ საკითხს ცალკე არ შეხებიან, საქართველოს ეკლესიის ისტორიას საქართველოს და ქართული კულტურის ისტორიის კონტექსტში განიხილავდნენ. პირველი მკვლევარი, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ისტორიას ცალკე ნაშრომი უძღვნა იყო პ. იოსელიანი (1809-1875). 1843 წელს თავის შრომაში *Краткая История Грузинской Церкви* მკვლევარი ზოგადად შეეხო საქართველოს ეკლესიის ისტორიას და იმ მოვლენებს, რომლებიც ამ საკითხის კვლევასთან იყო დაკავშირებული (იოსელიანი 1843). ეკლესიის ისტორიას იკვლევდა ს. ბარათაშვილიც, განსაკუთრებით ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად აღიარების ფაქტებს, მაგრამ მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კონტექსტში (ბარათოვი 1865: 1-14).

ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ფურცელაძე (1825-1891) ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევას მოჰკიდა ხელი და აღნიშნულ საკითხს ვრცელი სტატია უძღვნა ცარისტული რეჟიმის ოფიციალური ორგანოს გაზეთ *Кавказ*-ის ფურცლებზე (ფურცელაძე 1862: 535-538). უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მნიშვნელობით დ. ფურცელაძის შრომა თუ არ აღემატება, ნამდვილად არ ჩამოუვარდება პ. იოსელიანის ნაშრომს. დ. ფურცელაძის სტატია არაერთი სიახლითაა გამორჩეული; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქტუალურ საკითხთა დაყენებითა და მათი კვლევისა და გადაჭრის გზების დასახვით. იმ სამეცნიერო პრობლემათა უმეტესობა, რომლებიც დ. ფურცელაძემ წამოჭრა, დღესაც აქტუალურია საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში.

დ. ფურცელაძე სტატიის დასაწყისში სქოლიოში სტატიის დაწერის მიზნებისა და მიზეზების შესახებ საუბრობს:

> 1851 წელს წმ. სინოდმა ეპარქიის საეკლესიო-ისტორიული და სტატისტიკური აღწერილობის შესახებ განკარგულება გამოსცა.[1] ამასთან დაკავშირებით საქართველოს სასულიერო მმართველობამ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენა დამავალა დასაწყისიდან საქართველოს საეგზარქოსოს დაარსებამდე (1811 წ).[2] ყოველივე ამისა და ჩემი სურვილის, შეძლებისდაგვარი სამსახური გამეწია მშობლიური ეკლესიისათვის, გათვალისწინებით, სამსახურეობრივ მოვალეობათაგან თავისუფალ დროს, იმ მასალების მოძიებას

> ვუთმობდი, რომლებიც საქართველოში ქრისტეს ეკლესიის ბედს შეეხებოდა. აღნიშნული მასალები სისტემაში მოვიყვანე, თუმცა თემა სრულიად ახალია და გარდა ამისა ყველა მასალა, რომლებიც აღნიშნულ საკითხს ეხება, ერთი მკვლევარისათვის ხელმისაწვდომი არაა, მითუმეტეს თბილისში, სადაც ჯერ კიდევ არ არის საკმარისი რაოდენობის ბიბლიოთეკები. ამ მიზეზთა გამო, სრულიად მოსალოდნელია, რომ ჩემგან შედგენილი საქართველოს ეკლესიის ისტორია, დასაწყისითაც და განვრცობითაც, არასაკმარისია და არ მოიცავს ყველა საკითხს. აღნიშნული ნაკლის შევსება განსწავლულ ადამიანთა საერთო ძალისხმევით არის შესაძლებელი. სწორედ ამ მიზნით ვბეჭდავ შესავალსა და საქართველოს ეკლესიის პირველი პერიოდის გეგმას... და ვთხოვ ყველას, ვინც იცნობს საქართველოს ისტორიას, ბეჭდური სახით გამოთქვას თავისის რჩევა და მოსაზრება.

თავდაპირველად დ. ფურცელაძე საქართველოს ეკლესიის წარმოშობას და ჩამოყალიბებას ეხება (სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს, მისი აზრით, ეკლესიის ისტორიის შესავალ ნაწილს). მისი შეხედულებით საქართველოში ქრისტიანობის არსებობა არა მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით (რომელიც ავტორის აზრით 318 წელს უნდა მომხდარიყო, თარიღთან დაკავშირებით ის პლატონ იოსელიანის მოსაზრებას იმეორებს), არამედ პირველ საუკუნეში მოციქულთა ქადაგებით იწყება.

IV საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნის ბოლომდე ქართული ეკლესია ბიზანტიის ეკლესიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და ამ მფარველობაში მყოფი აღმავლობის გზას ადგა.

> ვეცნობით რა საქართველოში მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებულ თავდაპირველ მოვლენებს, ჩვენ ვხედავთ, რომ მეფე მირიანის დროიდან ანუ IV საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნის ბოლომდე ბერძნულ-აღმოსავლურის[3] ეკლესიიის მფარველობის ქვეშ მყოფი ის გამუდმებით ვრცელდება და მტკიცდება.[4]

XII საუკუნეში კი ბიზანტიის იმპერიაში არსებული საშინაო თუ საგარეო პრობლემებისა და სირთულეების გამო საქართველოს ეკლესია წყდება დედა-ეკლესიის (ანუ ბიზანტიის ეკლესიის) მფარველობას და ამჯერად კეთილმსახურ ქართველ მეფეთა წყალობითა და მფარველობით აღორძინებას განაგრძობს, მაგრამ მონღოლთა შემოსევებმა ამ აღმავლობას წერტილი დაუსვა. ავტორის აზრით, მონღოლთა უღელი, რომელიც მძიმე იყო ხალხისთვის, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ეკლესიისთვის (რაც, რა თქმა უნდა, მთლად ზუსტი არ არის, მონღოლთა ბატონობის ადრეული პერიოდისთვის მაინც). ავტორი ხაზს უსვამს ამ პერიოდში ქართველთა შორის კეთილმორწმუნეობის დაცემასა და რელიგიური გრძნობების მინავლებას.

მონღოლთა ბატონობის უღელი, დ. ფურცელაძის თქმით, XV საუკუნეში იქნა გადაგდებული. შეიძლება მონღოლთა ბატონობის დასასრულად დ. ფურცელაძეს თემურ-ლენგის ლაშქრობების დასრულება მიაჩნია (თუმცა, როგორც ცნობილია, საქართველოში ამ დამპყრობელთა ბატონობა მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს დასრულდა), შესაძლებელია, სტატიის ავტორის მიერ რუსი და ქართველი ხალხების ერთ ბედ ქვეშ გაერთიანების მცდელობას ჰქონდეს ადგილი (რუსეთში მონღოლთა ბატონობა XV საუკუნეში სრულდება). დამპყრობელთა წასვლის შემდეგ ეკლესია კვლავ აღმავლობისა და აღმშენებლობის გზას დაადგა (სავარაუდოა, რომ ავტორი ალექსანდრე I-ის მმართველობას გულისხმობდეს), თუმცა აღმშენებლობის პერიოდი დიდ ხანს არ გაგრძელებულა, რადგან საქართველოს ახალი მტრები გამოუჩნდნენ თურქებისა და სპარსელების სახით. ქვეყანასთან ერთად, რასაკვირველია, ეკლესიაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა დასუსტებულსა და დაცემისაკენ მიდრეკილ ეკლესიას ამ ძნელბედობის ჟამს, ისტორიკოსის თქმით, მხსნელად და მშველელად რუსეთის ძლევამოსილი ეკლესია მოევლინა. ბუნებრივია, აქ გასათვალისწინებელია ის ეპოქა, როდესაც დ. ფურცელაძეს უხდებოდა სტატიის წერა.

სტატიის მნიშვნელობას ზრდის დ. ფურცელაძის მიერ შემოთავაზებული საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციის პირველი მცდელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ავტორის აზრით, პირველი პერიოდი საქართველოს ეკლესიის ისტორიისა, ეს არის ქრისტეს ეკლესიის გავრცელების და ბიზანტიის ეკლესიაზე დამოკიდებულებაში ყოფნის ხანა (318-1072); მეორე პერიოდი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის პერიოდია საკუთარ კათალიკოსთა მმართველობისა და კეთილმსახურ ქართველ მეფეთა მფარველობის ქვეშ (1072-1223); მესამე პერიოდი მონღოლთაგან საქართველოს დაპყრობასა და ეკლესიის დასუსტების ხანას მოიცავს (1223-1525); ხოლო მეოთხე პერიოდში ავტორი თურქთა და სპარსელთა, შემდეგ კი რუსთა მმართველობას მოიაზრებს (1525-1811).

ამის შემდეგ დ. ფურცელაძე იმ შესავალ ნაწილს ეხება, რომლითაც, მისი აზრით, უნდა იწყებოდეს საქართველოს ეკლესიის ისტორია. სტატიის ამ ნაწილის სათაურია: *შესავალი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში*, ხოლო ქვესათაური: „მეფე მირიანის ნათლობამდე საქართველოში ქრისტიანობის დანერგვისა და გავრცელების შესახებ არსებული საკითხის გამოკვლევა“ (ფურცელაძე 1862: 536).

დ. ფურცელაძე მიჰყვება სტეფანე მთაწმინდელის თხრობასა და საქართველოში არსებულ საეკლესიო გარდამოცემას:

> მაცხოვრის ზეცად ამაღლების შემდეგ ნუგეშისმცემლის მოლოდინში მოციქულები ღვთისმშობელთან ერთად იერუსალიმში შეიკრიბნენ. სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ (სულთმოფენობა) მოციქულებმა წილი ყარეს თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა შეხვედროდა მოსაქცევად, წილისყრაში მონაწილეობა მიუღია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსაც, რომელსაც მოსაქცევად წილად ხვდა ივერია ანუ საქართველო. მან ივერიისკენ გამგზავრება გადაწყვიტა, მაგრამ მას ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც აუწყა, რომ მისი წილხვედრი ქვეყანა უკანასკნელ ჟამს განათლდებოდა, ხოლო მისი ანუ ღვთისმშობლის მეუფება ყოველთვის იქნებოდა ამ ქვეყანაზე. და ეს მეუფება ღვთისმშობლისა ივერიის ქვეყანაზე მოციქულთა დროიდან, განსაკუთრებით კი IV საუკუნიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება – აღნიშნავს ავტორი (ფურცელაძე 1862).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იერუსალიმში უნდა დარჩენილიყო, ხოლო მის მაგივრად მის წილხვედრ ქვეყანაში მოციქულები გაემგზავრებოდნენ. ამის შემდეგ დ. ფურცელაძე ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ ქართლის ცხოვრების თხრობას მიჰყვება.[5] ანდრია პირველწოდებული საქართველოში მეფე ადერკის მეფობისას 54 წელს შემოვიდა (თარიღის მითითებისას ავტორი კვლავ პლატონ იოსელიანს ეყრდნობა). თავდაპირველად მოციქული ტრაპეზუნდში შემოვიდა, სადაც ახალი სარწმუნოება იქადაგა, შემდეგ კი ქადაგებით აჭარაში გადავიდა. თავიდან აჭარლებმა ახალი სარწმუნოება არ მიიღეს, თუმცა მოციქულის მიერ აღსრულებული მრავალი სასწაულის შემდეგ მოექცნენ და მაცხოვარი ირწმუნეს. აჭარის შემდეგ მოციქული სამცხეში გადადის, სადაც ასევე მრავალ სასწაულს აღასრულებს (კერპთა დამსხვრევა, მიცვალებულის აღდგინება, კურნებანი და სხვ.) და ადგილობრივ დიდებულ ქალს მოაქცევს, რომელიც ყოველმხრივ უწყობს ხელს თავის სამფლობელოში ახალი სარწმუნოების გავრცელებას. ანდრია მოციქული სხვა მხარეებში ქადაგებდა, განსაკუთრებით დიდხანს იქადაგა კლარჯეთში, საიდანაც სიმონ კანანელთან ერთად სვანეთისაკენ გაეშურა. სვანეთში ასევე ერთ დიდებულ ქალს მოაქცევს, სვანეთიდან მოციქული ოსეთში მიემართება, ოსეთიდან კი – აფხაზეთში. აფხაზეთში საქადაგებლად ის სიმონ კანანელს ტოვებს, თვითონ კი ჯიქეთისაკენ წავიდა, სადაც ქადაგებისას ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

დ. ფურცელაძეს *ქართლის ცხოვრებაში* დაცულ ცნობათა სინამდვილის დამადასტურებლად ორი არგუმენტი მოჰყავს:

> გადმოცემათა სიძველე და უცხოელ ავტორთა მოწმობანი. პირველის განვრცობისას მკვლევარი ძველ ქართველ მწერლებს იმოწმებს (ეფთვიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი) და დავით აღმაშენებლის დროს მოწვეული საეკლესიო კრების დადგენილებას,[6] რომელთა მიხედვითაც ღმერთმა, რომელსაც ყოველთა ცხონება ნებავს, საქართველოშიც წარმოავლინა მოციქულები ადგილობრივთა ჭეშმარიტი რწმენით განსანათლებლად, მაგრამ დროთა განმავლობაში მოციქულთა ქადაგება დავიწყებას მიეცა და ქართველები კვლავ კერპთაყვანისმცემლობას მიუბრუნდნენ.[7]

საქართველოში მოციქულთა ქადაგების დასამტკიცებლად დ. ფურცელაძე მოიხმობს უცხოელ ავტორთა (წმ. იპოლიტე რომაელი, ორიგენე, ევსევი კესარიელი, ნიკიტა პაფლაგონიელი, ნიკიფორე კალისტე), რომელთა თანახმად ანდრია მოციქულმა სკვითიასა და თრაკიაში იქადაგა. დ. ფურცელაძე ერთ-ერთი პირველთაგანია ქართველ ისტორიკოსთაგან, რომელმაც ყურადღება გაამახვილა „სკვითიის“ ცნების ფართო გაგებაზე. ავტორის თანახმად ანტიკური ეპოქის მწერლები „სკვითიაში“ კავკასიის ტერიტორიასაც მოიაზრებდნენ, რის ერთ-ერთ ყველაზე ცხად დამადასტურებლად მას დიონისე ტვირელის ცნობა მიაჩნია, რომლის მიხედვითაც ანდრია მოციქულმა დიდ სებასტოპოლისს (დიოსკურიას) მიაღწია, სადაც ციხე-სიმაგრე აფსაროსი და მდ. ფაზისი მდებარეობს და სადაც „შინაგან ეთიოპიელთა“ სამოსახლოა.[8] ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის მთებში დღესაც კრძალვითა და მოწიწებით მიუთითებდნენ სიმონ კანანელის, ანდრია მოციქულის თანამზახვრისა და თანამოღვაწის საფლავს (ფურცელაძე 1862: 537).

შემდეგ დ. ფურცელაძე მოციქულთა მოღვაწეობისა და ქადაგებათა შედეგებს მიმოიხილავს. მრავალი სირთულისა და დაბრკოლების მიუხედავად, რომელიც საქართველოში მოციქულს შეხვდა, ღვთის სიტყვა მაინც გავრცელდა და საკმაოდ დიდ წარმატებასაც მიაღწია. აჭარლებმა, რომლებმაც ახლი სარწმუნოება მიიღეს სარწმუნოებრივი გულმხურვალებითა და მოშურნეობით აღვსებულებმა, მოციქულს მღვდლისა და დიაკვნის ხელდასხმა სთხოვეს. ანდრია მოციქულმა აჭარლებს გრაგნილი გადასცა, სადაც ქრისტიანული რწმენის უმთავრესი არსი იყო გადმოცემული.[9] მოციქულთა ქადაგებამ შედეგები გამოიღო სამცხეშიც, სადაც ქრისტიანობამ დიდ წარმატებას მიაღწია:„მოციქულის სიტყვით მონადირებულ მესხთა

დიდმა ნაწილმა ქრისტე ირწმუნა... ჩამოყალიბდა ქრისტიანთა ერთობა, რომლისთვისაც ანდრია მოციქულმა ეპისკოპოსი, პრესვიტერები და დიაკვნები დაადგინა".

სტატიის ავტორის აზრით, მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში უეჭველია. მოციქულები საქადაგებლად შორეულ ქვეყნებში მიემართებოდნენ, სადაც მიჰყავდათ თავიანთი მოწაფეები და თავიანთ მოწაფეებს ახლად დაარსებული ადგილობრივ ეკლესიებისთვის ტოვებდნენ, საქართველოში მოციქულთა ქადაგებების შესახებ არსებულ ცნობებს,უდავოდ, უძველესი გადმოცემები უდევს საფუძვლად, შესაბამისად საქართველოში მოციქულები ნამდვილად იყვნენ.

ავტორი აღნიშნავს: „რასაკვირველია ივერიაშიც გამოჩნდნენ წინაპართა რელიგიაზე, წესებსა და ჩვეულებებზე მიჯაჭვული ადამიანები, რომლებმაც მოციქულთა ქადაგების მიმართ სმენა დაიხშეს, მაგრამ ეჭვგარეშეა, იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც მაცხოვრის მხსნელი ცხოველმყოფელი სიტყვა მიიღეს".

საქართველოში ქრისტიანთა არსებობის დამადასტურებელია მეფე ადერკის მიერ ქრისტიანთა დევნა (თუმცა თეიმურაზ ბატონიშვილი მეფე ადერკს უაღრესად დადებითად ახასიათებს) და მეფე რევ მართლის მოღვაწეობა, რომელმაც კერპებისათვის ბავშვთა მსხვერპლად შეწირვა აკრძალა და რომელსაც მცირედი სმენოდა ქრისტეს შესახებ და „აქუნდა რამე სიყვარული ქრისტესი" (ანთელავა, შოშიაშვილი 1996: 75). თუმცა დროთა განმავლობაში მოციქულთა ქადაგება დავიწყებას მიეცა და ქართველები კვლავ კერპთაყვანისმცემლობას მიუბრუნდნენ.

საქართველოს ეკლესიის შესავალზე საუბრის შემდეგ დ. ფურცელაძე საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი პერიოდთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს. საინტერესოა რომელი საკითხებისა და პრობლემების კვლევას მიიჩნევს ავტორი მნიშვნელოვნად ქართული ეკლესიის გვიან ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის შესასწავლად?

პირველი საკითხი უკავშირდება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს: ეკლესიის დაარსება საქართველოში, ქართველთა მოქცევა წმინდა მოციქულთასწორის ნინოს მიერ, მეფე მირიანის ნათლობა და მისი ღვაწლი ქრისტიანობის გავრცელებასა და წარმართობის დაძლევაში, ქრისტიანობის გავრცელება მირიანის მემკვიდრის ბაქარ I-ს დროს, ქრისტიანობის გავრცელება შემდგომ საუკუნეებში (სირიელი მამები და ა.შ.). ქრისტიანობის გავრცელებისათვის დამაბრკოლებელი საშინაო თუ საგარეო ფაქტორები (საქართველოს შინაური მტრები, მთიელი ტომები, ცეცხლთაყვანისმცემლები, ერეტიკოსები, მაჰმადიანები და ა.შ).

მეორე მნიშვნელოვან საკვლევ პრობლემად ავტორი ღვთისმსახურებას გამოყოფს: „ქართულმა ეკლესიამ ბერძნული ეკლესიისაგან რწმენასთან ერთად ღვთისმსახურების გარეგანი ფორმებიც მიიღო, თავდაპირველად ღვთისმსახურება ბერძნულად აღესრულებოდა, ხოლო V საუკუნის დასაწყისიდან ქართულად" (ფურცელაძე 1862: 537).

ამასთან დაკავშირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საეკლესიო ხუროთმოძღვრება, სიწმინდეები (ხატები, წმინდანთა ნაწილები და ა.შ.), საღვთისმსახურო წიგნები და საეკლესიო გალობა, დღესასწაულები, მათი დაწესების დრო და გარემოება. ამ კუთხით ავტორი ცალკე განიხილავს წმინდა ნინოს დღესასწაულს და მასთან დაკავშირებით სპეციალურად შესასწავლად მიაჩნია მისი *ცხოვრება*.

მესამე ძირითად პრობლემად დ. ფურცელაძე საეკლესიო მმართველობის ისტორიას განიხილავს. საეპისკოპოსოთა დაარსება მეფე მირიანის დროს, თორმეტი საეპისკოპოსოს დაარსება ვახტანგ გორგასლის მიერ, გამოჩენილი იერარქები და მათ *ცხოვრებათა* მოკლე აღწერილობანი, ეპისკოპოსისა და მთავარეპისკოპოსის ძალაუფლება, კათალიკოსის უფლება და უპირატესობა, მისი ურთიერთობა მეფესთან, საეკლესიო მმართველობის კანონები საქართველოში (ავტორის აზრით. ქართული ეკლესია ბერძნული ეკლესიის კანონებით იმართებოდა), დაბალი სამღვდელოების უფლებები, ეკლესიის გამოჩენილი მოძღვრები და მათი დამსახურებანი ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე, სამღვდელოების ეკონომიკური მდგომარეობა.

მეოთხე ძირითად საკითხად ისტორიკოსი ქრისტიანულ ცხოვრებას მოიაზრებს. „ქრისტიანულ ცხოვრებაში" იგულისხმება ეკლესიის სოციალური მსახურება, ქრისტიანული სათნოებანი, პილიგრიმობა, ურთიერთობა სხვა რელიგიებთან, კეთილმსახურ მეფეთა ღვაწლი, ასკეტიზმი და ა.შ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბერმონაზვნობის ისტორიაზე. საქართველოში ბერმონაზვნობის დამწყებებად მას სირიელი მამები მიაჩნია, თუმცა შემდგომში ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრება გაჩნდა, რომლის მიხედვითაც საქართველოში ბერმონაზვნობა IV-V საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო.[10] დ. ფურცელაძე ბერმონაზვნობის სამ სახეს გამოყოფს: დაყუდებულობა (რომლის წარმომადგენლადაც წმ. შიო მღვიმელი მიაჩნია), მესვეტეობა (რომლის მიმდევრადაც წმ. ანტონ მარტყოფელს თვლის) და მონასტრები რომლებშიც საერთო ცხოვრების წესს

მისდევდნენ[1] (შიო-მღვიმე და დავით-გარეჯა), ამ მონასტერთა დამაარსებელთა *ცხოვრებათა* აღწერილობანი და საქართველოს ეკლესიის აღწერა („სტატისტიკა“, როგორც თავად ავტორი ამბობს). სტატიის ბოლოში მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ასეთი თანმიმდევრობით იქნება განხილული შემდგომი პერიოდებიც გარკვეული დამატებებითა და ცვლილებებით“ (ფურცელაძე 1862: 538).

ამგვარად, ისტორიკოს დ. ფურცელაძის სტატიის სახით ჩვენ წინაშეა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ცნობილი და. შესაბამისად, ნაკლებად გათვალისწინებული შრომა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ. რაც ზემოთ განხილულ სტატიას გამოარჩევს, არის ქართული ეკლესიის მრავალმხრივი კვლევის აუცილებლობის პრობლემის წინ წამოწევა (რიგი სამეცნიერო პრობლემები, რომლებიც დ. ფურცელაძემ საკუთარ სტატიაში დასვა, მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი XX საუკუნეში, მის მიერ დასმულ პრობლემათა უმეტესობა დღესაც ძალიან აქტუალურია). დ. ფურცელაძემ საქართველოს საეკლესიო ისტორიის იმგვარი ანალიზი მოგვცა, როგორიც ჯერ კიდევ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კვლევაშიც არ იყო ჩატარებული, შესაბამისად, მისი სტატია ერთგვარ სახელმძღვანელოდაც შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის შესწავლის საშურ საქმეში და ვფიქრობთ, მომავალში ის აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევრებმა.

შენიშვნები

[1] ცნობილია რომ 1809 წელს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II ეკლესიის მმართველობას ჩამოაშორეს, საეკლესიო რეორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ვარლამ ერისთავი. 1811-1815 წლებში საქართველოს ეკლესიის მმართველობა ახლადშექმნილ საეკლესიო დიკასტერიას ებარება. 1815 წლიდან მას საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ჩაენაცვლა. უწმინდესი სინოდის 1814 წლის 17 ოქტომბრის დადაგენილებით აღმოსავლეთ საქართველოს სინოდალური კანტორის შემადგენლობაში დაარსდა სამი ეპარქია: ქართლის, ოსეთის და სიღნაღის. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა კონტროლს აწესებდა საქართველოს ეკლესიაზე. დაიწყო საქართველოს ეკლესიის ქონების სეკულარიზაცია. ეს პროცესი სამ ეტაპად განხორციელდა: 1. საეკლესიო აზნაურები და ყმა-გლეხები თავანთი მიწებით სახელმწიფოს დაქვემდებარებაში აღმოჩნდენენ. აღნიშნული პროცესი 1811-1841 წლებში მიმდინარეობდა. 2. 1843-1852 წლებში დასრულდა საქართველოს ეკლესიის უძრავი ქონების რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ხაზინისთვის გადაცემა. 3. 1859-1869 წლებში საეკლესიო მიწები სასტუმრო სახლებითა და სანთლის ქარხნებით სრულად გადაეცა სახელმწიფო ხაზინას. 1869 წლის 13 ნოემბრის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებულებით აღმ. საქართველოს საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია დასრულდა, იგივე პროცესი დას. საქართველოში 1871-1880 წლებში მორჩა (იხ. პავლიაშვილი 2008). როგორც ჩანს სწორედ ამ პროცესთან დაკავშირებით (საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის აღწერა) დაევალა დ. ფურცელაძეს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენა.

[2] ანუ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე.

[3] ეს ტერმინი „ბერძნულ-აღმოსავლური“ ან „ბერძნული წესის აღმოსავლური“ ეკლესია (Греко-Восточная Церковь) რუსეთის იმპერიაში იმპერატორ პეტრე პირველის მმართველობისას გავრცელდა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სწორედ ამ სახელით მოიხსენიებოდა სხვა ქრისტიანული აღმსარებლობების გვერდით, რაც აჯნინებდა მის ტრადიციულ მნიშვნელობას ქვეყნის ცხოვრებაში. პროტესტანტული თეოლოგიის გავლენამ ბევრი რამ შეცვალა რუსეთის საეკლესიო ცხოვრებაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებიდან დაწყებული სასულიერო განათლებითა და თვით დოგმატური ღვთისმეტყველებით დამთავრებული. ამ ყველაფერში დიდია პეტრეს ერთგული თანამოაზრისა და თანამშრომლის ეპისკოპოს თეოფანე პროკოპოვიჩის როლი, რომელიც დასავლური თეოლოგიური სკოლების დიდ გავლენას განიცდიდა (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ფლოროვსკი 2006: 84-232). სამწუხაროდ სწორედ ამ მდგომარეობაში მყოფი რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში აღმოჩნდა საქართველოს უძველესი ეკლესია, რამაც ძირძველი ქართული საეკლესიო ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების რღვევა და გაქრობა გამოწვია.

[4] როგორც ჩანს, ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია XI საუკუნეში მიიღო, მანამდე კი ის ბიზანტიის ეკლესიის მფარველობაში იმყოფებოდა. შესაძლებელია ამ შემთხვევაში ავტორი თეოდორე ბალსამონის ცნობას უნდა ეყრდნობოდეს, რომლის მიხედვითაც იერიის ეკლესიამ დამოუკიდებლობა პატრიარქ პეტრეს დროს მიიღო. მკვლევართა ნაწილი ამ პატრიარქ პეტრეს V ს. მოღვაწე პეტრე ფულონად მიიჩნევს, ნაწილი კი პეტრე III, რომელიც ანტიოქიის ეკლესიას XI საუკუნეში მეთაურობდა, როგორც ჩანს ავტორი ამ უკანასკნელ მოსაზრებას იზიარებს (ამის შესახებ იხ: ალექსიძე 1976; ლომინაძე 1987; მამულია 1990; გოილაძე 1990; ჯაფარიძე 2009; ტყემელაშვილი 2012).

[5] ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების ამსახველი თხზულების წარმომავლობის, მისი ქართული თარგმანისა და ძველ ქართულ მწერლობაში გამოძახილის შესახებ იხ: კობიაშვილი 2011.

[6] მკვლევარს დაეით აღმაშენებლის მეფობის წლები შეცდომით აქვს მითითებული, გვ. 536.

[7] საინტერესოა, რომ კრების წევრების განცხადებით მოციქულებმა მთელ საქართველოში იქადაგეს და სწორედ ასე მიაჩნია კრების ძეგლისწერის ავტორს არსენ იყალთოელსაც (კრების ძეგლის-წერასთან და მის ავტორთან

დაკავშირებით იხ: გაბიძაშვილი 1978). თეიმურაზ ბაგრატიონი საქართველოს ისტორიის შესახებ დაწერილ შრომაში აღწერს მოციქულთა ქადაგებას აღმოსავლეთ საქართველოში, ანდრია მოციქულის საქართველოში მოსვლამდე, თ. ბაგრატიონის თქმით, საქართველოში მრავალი სასწაული აღესრულა, კერპები ამეტყველდნენ და თავიანთი მომავალი დაცემის შესახებ გოდებდნენ. თ. ბაგრატიონის თქმით „კერპი არმაზისი ხმობდა ცხადად: თუმცა ვშობილვარო მე უწმინდესისაგან ნათლისა, მაგრამ ახალ შობილიო ესე ყრმაი (ანუ მაცხოვარი – შ.მ.) განმზადებულ არსო დაბნელებად ნათლისა ჩემისა“. თ. ბაგრატიონის გადმოცემით, მოციქული ანდრია მცხეთას მოუახლოვდა, თუმცა თვითონ ქალაქში არ შესულა, ავიდა იმ მთაზე სადაც მომავალში ჯვრის მონასტერი აშენდა და იქ ჯვარი აღმართა, შემდეგ კახეთში გადავიდა, გადალახა რა მდინარე იორი, გრემს მიაღწია, სადაც ასევე ჯვარი აღმართა, რის შემდეგაც ჩრდ. კავკასიისკენ გაემართა. „მუნით მიიქცა ქისტეთის გზით და მოვიდა ხევსა მთიულეთისასა კომეკის მდინარესა ზედა (რომელსა აწ სახელს-სდებენ თერგად) და აღვიდა ძირსა საშინელსა მას მთისა. რომელსა ეწოდების მყინვარი (რომელთა ზედა ჰგიან საუკუნითგან მყინვარნი და თოვლნი განუზომელნი) მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ჩამოსწვრივ ძირი მისი, აღმართა მუნ ჯვარი“, მომავალში ამ ადგილას წმ. სტეფანე პირველმოწამის მონასტერი აშენდა, შემდეგ წმინდა მოციქული კვლავ ჩრდ. კავკასიაში მიდის, იქიდან კი აფხაზეთში, თ. ბაგრატიონი დაწვრილებით გვიყვება მოციქულის მიერ ბიჭვინთაში აღსრულებულ სასწაულთა შესახებ და გვამცნობს, რომ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი მან ბიჭვინთის მცხოვრებთ დაუტოვა. ბატონიშვილის თქმით ეს ამბები „არიან ძველთა მატიანეთაცა შინა ჩვენთა მოთხრობილ“ (იხ. ბაგრატიონი 1848: 135-145), როგორც ჩანს, სწორედ ამ „ძველ მატიანეებს“ ეყრდნობოდა არსენ იყალთოელი და რუის-ურბნისის კრება, როდესაც აცხადებდა, რომ მოციქულებმა მთელ საქართველოში იქადაგეს.

[8] ცნობილია, რომ ანტიკური ავტორები კოლხებს ზოგჯერ ასე მოიხსენიებდნენ.

[9] აქ ავტორი ბროსეს ფრანგულად დაწერილ *საქართველოს ისტორიას* იმოწმებს.

[10] იხ: ფერაძე 2006; თარხნიშვილი 1994; ნადირაძე, ნადირაძე 2001; ჯიქია 2010; მათითაშვილი 2012; მამულაშვილი 2000.

[11] მონასტრული ცხოვრების ტიპებთან დაკავშირებით იხ: ჩითი 1995; ცერაძე 2001: 139-161.

დამოწმებანი

ალექსიძე 1976: ზ. ალექსიძე. ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოს შორის კონფლიქტის გამო, მიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბილისი.

ანთელავა, შოშიაშვილი 1996: *ქართლის ცხოვრება*. გამოსაცემად მოამზადეს. წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა, თბილისი.

ბაგრატიონი 1848: თ. ბაგრატიონი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, სპბ.

ბარათოვი 1865: С. Баратов. История Грузии средних веков», Санкт-Петербург.

გაბიძაშვილი 1978: ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბილისი.

გოილაძე 1990: ვ. გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი.

თარხნიშვილი 1994: მ. თარხნიშვილი. ქართველი ბერების ცხოვრებიდან, წერილები, თბილისი.

იოსელიანი 1843: П. Иоселиани. Краткая История Грузинской церкви, Санкт-Петербург.

კობიაშვილი 2011: მ. კობიაშვილი. მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, თბილისი.

ლომინაძე 1987: ბ. ლომინაძე. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, თბილისი.

მათითაშვილი 2012: შ. მათითაშვილი. ქართული ბერმონაზვნობის სათავეებთან, სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი სამი საუნჯე, N 1, თბილისი.

მამულაშვილი 2000: მ. მამულაშვილი. სამონასტრო მოძრაობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხისათვის, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, VIII.

მამულია 1990: გ. მამულია. ქართლის ეკლესია V-VI სს, თბილისი.

მარკენდი 2010: S. L. Marchand. German Orientalism in the Age of Empire, religion, race and scholarship, Lousiana State University, German Historical Institute and Cambridge University Press, Washington D. C.

მახათაძე 1976: ნ. მახათაძე. ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, XVIII-XIX სს, თბილისი.

ნადირაძე 2012: ქ. ნადირაძე. ქართული ისტორიოგრაფია (სალექციო კურსი), თბილისი, უნივერსალი.

ნადირაძე, ნადირაძე 2001: ე. ნადირაძე, თ. ნადირაძე. უდაბნო საღვთოდ შემოკრებულთა, თბილისი.

პავლიაშვილი 2008: ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), თბილისი.

ტყემელაშვილი 2012: ლ. ტყემელაშვილი. საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითადი საკითხები (ისტორიის (აკადემიური) კვალიფიკაციის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ქუთაისი.

ფერაძე 2006: გ. ფერაძე. ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, თბილისი.

ფლოროვსკი 2006: Протоиерей Г. Флоровский. Пути Русского Богословия, Минск.

ფურცელაძე 1862: Д. Пурцеладзе. История Грузинской Церкви. Кавказ. N 94.

ჩითი 1995: Derwas J. Chitty. The Desert a city, an Introduction to the study of Egyptian and Palestinian Monasticism under the Christian Empire, ST. Vladimir's seminary press, Crestwood.
ცერაძე 2001: თ. ცერაძე. სამონასტრო ცხოვრება და განსწავლა ქრისტიანულ ასკეზაში, მრავალთავი, XIX, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბილისი.
ჯაფარიძე 2009: ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი.
ჯიქია 2010: ა. ჯიქია. IV-V საუკუნეების მონაზვნური ცხოვრების სურათები ძველ ქართულ მწერლობაში, რელიგიის ისტორიის საკითხები, თბილისი.

Dimitri Purtseladze at the Origins of Modern Historiography of Georgian Church

Shota Matitashvili

The nineteenth century Georgian historian Dimitri Purtseladze in his article published in 1862 in newspaper *Кавказ* (*Caucasus*) reviews the history of Georgian Church and gives the plan of further study. D. Purtseladze extensively touches the issue of origins of Georgian Church and spread of Christianity in Georgia.

D. Purtseladze was first who identified problem of periodization of Georgian Church history. In his article he provides list of main topics of this representation: history of establishment of church structure, emergence of religious worship and church literature, formation of administrative organization etc.

The importance of this article for modern Georgian historiography is caused by the fact, that it gives a deep analysis of wide range of historic issues concerning the history of Orthodox Church in Georgia.

ბასილი ეზოსმოძღვარი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ

ელდარ მამისთვალიშვილი

XII საუკუნის მეორე ნახევარი ბიზანტიის იმპერიის დაქვეითების პერიოდია. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1185 წლიდან ანდრონიკე კომნენოსის მოკვლის შემდეგ. ხელისუფლების არამდგრადობით იყო გამოწვეული კარის გადატრიალებები. 1195 წელს ისააკ II ტახტიდან ჩამოაგდო მისივე ძმამ ალექსი მესამემ. ისააკის ვაჟის, ალექსი IV (ანგელოსის) მოკვლის შემდეგ ალექსი V მურზუფლა გააფრთებით ებრძოდა კონსტანტინეპოლის წინ მდგარ ჯვაროსნებს. მაშინ, როდესაც კონსტანტინეპოლის დაცემის ბედი ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, ქართული ჯარი შეიჭრა პათაგონიისა და პონტოს ბიზანტიურ ტერიტორიებში და დაიკავა. კომნენოსების და საქართველოს მომხრე ძალებმა გამოაცხადეს კომნენოსების ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, რომელიც ქართველების სამხედრო ძალას ეყრდნობოდა.[1] კომნენოსების მიერ ქართულ შეიარაღებულ ძალაზე დაყრდნობით ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილის (იგი ძველად ცნობილი იყო ქალდიის ფემის სახელით და ეჭირა პონტოს სანაპიროს ვიწრო ზოლი) დაპყრობის შესახებ, გვაქვს ქართული და ბიზანტიური წყაროები.

მთელი ახლო აღმოსავლეთისა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტის მიზეზისა და შედეგის ახსნა, თამარ მეფის ისტორიკოსს ბასილი ეზოსმოძღვარს გადმოცემული აქვს შემდეგნაირად:

> მოიწიეს ოდესმე ჩვეულებისაებრ ქველის-მოქმედებათათჳს ამისა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კჳპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარა თამარ ჩვეულებისაებრ ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა, მერმე მისცნა ყოველთა დიადდი, და აღავსნა ყოვლითა საჭმრითა, უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თჳთ მათთჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწივნეს რა კონსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თჳსსა ისაკს თუალნი დასწუნა და მეფობა წარუღო... იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარუღო მათ მონაზონთა. ცან რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვინა ემშკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი,[2] და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფეზლაღონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თჳთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილ (ყაუხჩიშვილი 1959: 142-143).[3]

პირველმა, ვინც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საქმეში თამარ მეფის საქართველოს მონაწილეობის ისტორია სერიოზულად გამოიკვლია და სამეცნიერო მიმოქცევაში მნიშვნელოვანი წყაროებიც შემოიტანა, იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ზ. ავალიშვილი (ავალიშვილი 1989: 52-94). იგი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ისტორიის შესწავლას აუცილებლად მიიჩნევდა, რადგან ეს ისტორიული ფაქტი „ცხადყოფს საქართველოს პოლიტიკას მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხანაში – ბიზანტიის პირველი დანგრევის დროს, ლათინთაგან რომ დაინგრა – და აგრეთვე საქმის ვითარებას საქართველოს ზემოაღწერილი პოლიტიკური ფრონტის უკიდურეს მარჯვენა ფრთაზე, ესე იგი, შავი ზღვის ნაპირზე“ (ავალიშვილი 1989: 53-54).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მემატიანის ცნობას, გაზიარებულს საკითხით დაინტერესებული მრავალი ისტორიკოსის მიერ, განსაკუთრებული კრიტიკით მიუდგა ზ. ავალიშვილი.

საკითხისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავს ბიზანტიელი ისტორიკოსის, მიქაელ პანარეტოსის (XIV ს. მეორე ნახევარი - XV ს. დასაწყისი) თხზულება:

> მოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში, მე-7 ინდიქტიონის 6712 (1204 წელს – ე. მ.). იმეფა 18 წელიწადს, გარდაიცვალა ორმოცი წლისა, 6730 წელს (1222 წ.), 1 თებერვალს, მართლმადიდებლების დღესასწაულის კვირას (გამყრელიძე 1960: 165-166).[4]

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, თითქოს ქართველი და ბერძენი მემატიანენი სხვადასხვა ალექსიზე საუბრობენ (ბატიაშვილი 2012: 98-99), რაც, ჩემი აზრით, სიმართლეს არ შეეფერება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ, ბასილის მიხედვით, ალექსი ანდრონიკეს შვილია, პანარეტოსი კი, სამართლიანად, მას ანდრონიკეს შვილიშვილად ასახელებს, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ორივე ავტორი ერთსა და იმავე პიროვნებას, ანდრონიკეს შვილიშვილს, გულისხმობს.

ბასილი ეზოსმოძღვარი კომნენოსების ჯარში მხოლოდ ქართველი (იმერელი) მეომრების ყოფნას აღნიშნავს. იგი ჩამოთვლილი ქალაქების დაპყრობას ალექსი კომნენოსს მიაწერს, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია ქართული ჯარით. იმავე დროს იგი ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს ძმების – ალექსი და დავითი კომნენოსების მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. ბასილი ეზოსმოძღვრის თანამედროვე ნიკიტა ქონიატე კი, ლაპარაკობს ალექსი კომნენოსის მიერ უკვე დაარსებული ტრაპიზონის იმპერიის შემდგომ პერიოდზე, როდესაც იგი უკვე იმპერატორად არის გამოცხადებული. ნიკიტა ქონიატე ყურადღებას ამახვილებს დავითის მიერ პაფლაგონიასა და პონტოს ჰერაკლიაში შეგროვილ ჯარზე, რომელშიც ივერიელთა მხოლოდ დაქირავებული რაზმი იყო. მასზე დაყრდნობით დავითმა დაიპყრო საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ლიმინიდან ჰერაკლიამდე.

ამ ორი წყაროდან რომელს მივანიჭოთ უპირატესობა, რომელი უფრო სანდოა? ამის გარკვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიქაელ პანარეტოსის *ქრონიკას*, რომელშიც სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ალექსი კომნენოსმა „გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის გულმოდგინებითა და ღვაწლით“, ე. ი. მისი ჯარის ძირითადი კონტინგენტი შედგებოდა ქართველებისაგან. ეს იყო ის ძალა, რომლითაც ალექსიმ დაარსა ტრაპიზონის იმპერია.[5] უცხოელ მკვლევართაგან პირველი იყო ა. ა. კუნიკი, რომელიც პანარეტოსისა და ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობების შედარების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძმები კომნენოსების მიერ მოწყობილი ლაშქრობის ინიციატორი იყო თამარ მეფე, რომ მას სურდა ბოსფორსა და მცირე აზიაში შეექმნა ისეთი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელიც სელჯუკების წინააღმდეგ იბრძოლებდა (კუნიკი 1854: 723). რაც შეეხება ალექსის ძმის დავითის ბრძოლებს პაფლაგონიასა და პონტოს ჰერაკლიაში, იგი სცილდებოდა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს და მასში შეიარაღებული ძალით აღარ მონაწილეობდა.[6] დავითის დასაყრდენი იყო ბერძენ-ქართველი მეომრებისაგან შემდგარი ჯარი, რომელშიც ქართველები დაქირავებულნი იყვნენ.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კომნენოსების ჯარი ბიზანტიისაკენ დაიძრა ორი მიმართულებით: ტრაპიზონ-სინოპის სახმელეთო გზით და საზღვაო გზით – პაფლაგონია-ბითვინიის მიმართულებით (შუკუროვი 2001: 77-78; მარგიშვილი 2006: 109). ჯარის ის ნაწილი, რომელსაც დავით კომნენოსი მეთაუროობდა, საზღვაო გზით მისულა პაფლაგონიამდე. ფლოტი გავიდა იმერეთიდან და კერასუნტის, კოტირასა და ამასტრის გავლით მივიდა პაფლაგონიამდე (ვასილიევი 1936: 20; ბრაიერი 1988-1989: 179-180; მარგიშვილი 2006: 109; ბატიაშვილი 2012: 99). ს. მარგიშვილის აზრით, რადგან საქართველოს სამეფოს სამხედრო-სატრანსპორტო ფლოტი არ გააჩნდა, „დესანტირების ერთადერთი შესაძლებლობა იყო ფლოტის დაქირავება გენუელებისაგან“ (მარგიშვილი 2006: 279-280).[7] გენუელებს, გარდა კომერციული ინტერესისა, ამოძრავებდათ ვენეციელებთან კონკურენციაც შავ ზღვაზე ჰეგემონობისათვის. ამის შემდეგ მკვლევარი ლაპარაკობს გენუელების შორსმიმავალ გეგმებზე, მაგრამ მისი არგუმენტები არ ასახავს ისტორიულ რეალობას. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ბიზანტიის იმპერატორები იტალიელების ხომალდებს უკრძალავდნენ შავ ზღვაში ცურვას, მანამდე ვიდრე ლათინებმა კონსტანტინოპოლი არ დაიპყრეს. ხოლო გენუა-ვენეციის დაპირისპირება შავი ზღვის სანაპიროებზე პირველობისათვის იწყება იმ დროიდან, როდესაც მონღოლების დაპყრობებმა სავაჭრო-საქარავნო გზების ჩრდილოეთით გადანაცვლება გამოიწვია და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთმა სანაპირომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ისიც ცნობილია, რომ საქართველოში, საინტერესო პერიოდში, ზღვაოსნობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული და საკუთარი ფლოტიც გააჩნდა (კუტა-ლეიშვილი 1987: 231). მაგრამ ეს სრულებით არ წარმოადგენდა აუცილებელ პირობას, რომ ჯარი მთლიანად, ან თუნდაც მისი ნაწილი, დანიშნულების ადგილამდე გემებით გადაეყვანათ. ქართველი მემატიანე (სხვა წყარო, ქართული ჯარის მიერ ბიზანტიის საზღვრის გადაკვეთის ადგილსა და მიმართულებას რომ აღნიშნავდეს, არ გაგვაჩნია) სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ქართულმა ჯარმა ხოფასთან გადაკვეთა ლაზიკის საზღვარი და დაიწყო მოძრაობა დასავლეთის მიმართულებით. ისიც საინტერესოა, რომ თბილისიდან ტრაპიზონამდე სახმელეთო გზით მისვლას მხოლოდ რვა დღე ჭირდებოდა (ტომაშეკი 1891: 81).

ბასილი ეზოსმოძღვარი და მიქაელ პანარეტოსი, ხაზგასმით აღნიშნავენ თამარ მეფის დამსახურებას ალექსი კომნენოსის გამეფებასა და ბიზანტიის იმპერიის დაარსებაში. როგორც ერთ-ერთ ანონიმური ქრონიკაშია ნათქვამი, თამარის წყალობით ტრაპიზოპნის მფლობელმა დამოუკიდებელი სამფლობელო

მიიღო და განაგებდა მტრებისაგან შეწუხების გარეშე (ბროსე 1849: 478). თამარის ისტორიკოსი ცდილობს თავისი მეფის პოლიტიკა გაგვაცნოს, როგორც მიზეზ-შედეგობრივი. კარის ისტორიკოსის მიზანია, თავისი მეფე წარმოაჩინოს სამართლიანობის დამცველად. მისმა მეფემ ერთდროულად ორი კეთილშობილური საქციელი ჩაიდინა: ქართველ ბერებს იმპერატორისაგან მიყენებული ზარალი გადაჭარბებით აუნაზღაურა და საქართველოში შემოხვეწილ ალექსი კომნენოსს ნაწილობრივ (ტერიტორიული თვალსაზრისით) აღუდგინა დაკარგული ტახტი და სამფლობელოები.

ქართველი მემატიანის პოზიციაზე დგას მიქაელ პანარეტოსიც. იგი ცდილობს ობიექტურად გადმოგვცეს ალექსი კომნენოსის მიერ ტრაპიზონის დაპყრობისას საქართველოს მეფის „გულმოდგინება და ღვაწლი," თუმცა იმაზე დუმს, რამაც განაპირობა ბაგრატიონთა და კომნენოსების მიერ დაწყებული სამხედრო აქცია.[8]

ბუნებრივია, დგება კითხვა, შეეძლო კი იმ მცირე ჯარს („მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი"), გაეკონტროლებინა მთელი ის ტერიტორია, სადაც წარმოიშვა ტრაპიზონის იმპერია და შემდეგ დავით კომნენოსიც აწარმოებდა ბრძოლებს? ლაშქრობის მოწყობა ისეთი მცირე ძალით, რომელზეც ქართული ნარატიული წყარო გადმოგვცემს, ა. გამყრელიძეს და ი. ლოლაშვილს შეუძლებლად მიაჩნდათ (ლოლაშვილი 1964: 112-113; გამყრელიძე 1982: 260). ამ კითხვაზე, ჩემი აზრით, თითქმის ამომწურავი პასუხა გასცა ცნობილმა ბიზანტინისტმა ს. პ. კარპოვმა მ. ბროსეს ნაშრომზე დაყრდნობით (ბროსე1849: 464-465). მის მიხედვით, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ 1203-1204 წლებში საქართველო ებრძოდა რუმის სასულთნოს, აზერბაიჯანისა და ირანის ათაბეგებს. თამარის ჯარი შეტევით ბრძოლებს აწარმოებდა არარატის დაბლობზე. საქართველომ შეძლო სელჯუკებისათვის გამანადგურებელი მარცხი მიეყენებინა ბასიანის (1202 წ.) ბრძოლაში. დასახელებული ომების წარმოება ითხოვდა სახელმწიფოს მთელი რესურსების მობილიზაციას და კომნენოსების საჭიროებისათვის დიდი არმიის გამოყოფისათვის საშუალებას არ იძლეოდა. მაგრამ იყო კი საჭირო დიდი სამხედრო ძალა? კითხულობს ს. პ. კარპოვი და თვითონვე პასუხობს: ბასიანის ბრძოლის შემდეგ რუმის სასულთნო დასუსტებული იყო და იგი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მისი სამფლობელოების ჩრდილოეთით მდებარე იმ ტერიტორიებზე, იქ სადაც ტრაპიზონის იმპერია წარმოიშვა ქართულ ძალაზე დაყრდნობილი კომნენოსების მოქმედებას. 1204 წლისათვის თავისი მრავალრიცხოვანი ინფორმატორების საშუალებით თამარ მეფე კარგად ერკვეოდა ბიზანტიის მდგომარეობაში ზოგადად და, კონკრეტულად, ქალდეას პროვინციაში არსებულ ვითარებაში, რომლის იმპერიისაგან მოკვეთა ჰქონდა განზრახული (კარპოვი 1985: 14).

ნიკიტა ქონიატე ქართველთა წვლილს კომნენოსების ტრაპიზონში გამეფებაში დაკნინებულად წარმოგვიდგენს. ქართველების მონაწილეობას მხოლოდ დაქირავებული რაზმის სახით განსაზღვრავს.

რადგან ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის მკვლევრები მისი დაარსების საკითხსა და მასში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობას, ძირითადად, ბასილი ეზოსმოძღვრის, ნიკიტა ქონიატეს და მიქაელ პანარეტოსის ცნობებზე დაყრდნობით განიხილავენ, ჩვენც მათ მივყვეთ.

ფრიად მნიშვნელოვანია, დასახელებულ წყაროებზე დაყრდნობით ა. ა. ვასილიევის გამოთქმული მოსაზრებანი, რომლითაც კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა ა. ა. კუნიკის ვარაუდები საქართველოს როლის შესახებ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში. ა. ა. ვასილიევმა პირველმა მოუყარა თავი მისი დროისათვის ცნობილ თითქმის ყველა მასალას (ვასილიევი 1936: 5-29).

საქართველოს ლაშქრის მიერ ხუფათიდან საზღვრის გადალახვით, ფაქტობრივად, ომის გამოცხადების გარეშე, დაიწყო საქართველოს აგრესია ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. ა. ა. ვასილიევი ვარაუდობდა, რომ იმერეთიდან ჯარი ტრაპიზონისაკენ უნდა წასულიყო გარინ–თეოდოსიოპოლი–არზრუმის გზით, მაშინ როდესაც არცერთი წყარო ამგვარ მარშრუტზე არ მიუთითებს (ვასილიევი 1936: 9-12, 17-18),[9] ქართველი მემატიანე ზუსტად აღნიშნავს იმ დასახლებულ პუნქტს (ხუფათი), საიდანაც კომნენოსები ქართული ჯარით შეიჭრნენ იმპერიის საზღვრებში.

სავარაუდოა, რომ ლაშქრობა დაიწყო მცირე ხნით ადრე, ვიდრე ვენეციელების ფლოტი ოქროს ყურეში შევიდოდა და კონსტანტინოპოლს დაემუქრებოდა. ქართულ მხარეს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყება გათვლილი უნდა ჰქონოდა ალექსი III (1195-1203) ანგარის მთელი ყურადღების დასავლეთისკენ გადატანაზე, საიდანაც ჯვაროსნები ემუქრებოდნენ. ბიზანტიისათვის შექმნილი ხიფათის პირობებში საიმპერატორი კარი ჯეროვან ყურადღებას ვეღარ მიაქცევდა დედაქალაქიდან დიდად დაშორებულ ქალდიის თემში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს. იმპერიაში არსებული ვითარება ქართული სამეფო კარისათვის ცნობილი უნდა გამხდარიყო 1203 წლის ივლისში,[10] როდესაც ვენეციელებმა ოქროს ყურეში ფლოტი შეიყვანეს და დედაქალაქს დაემუქრნენ. ამ დროიდან საბოლოოდ გადაწყდებოდა და დაიწყებოდა კიდეც სამხედრო კამპანიისათვის მზადება. მოვლენების ამგვარ

განვითარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს ფრიად საყურადღებო ერთი ცნობა, რომელიც ქართველმა მემატიანემ შემოგვინახა.

სერიოზულ ჩაფიქრებასა და ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა ბასილი ეზოსმოძღვრის ის ფრაზა, რომელშიც აღნიშნულია ჯვაროსნების კონსტანტინოპოლზე პირველი შეტევის დაწყების დრო. ლათინებს (ვენეციელებს) შეტევა დაუწყიათ მას შემდეგ, როდესაც გაუგიათ, რომ იმპერიას აღმოსავლეთიდან თავს დაესხნენ და კონსტანტინოპოლი ამ მხრიდან დახმარებას ველარ მიიღებდა. ბასილი წერს: „ხოლო ესმა ესე (ქართველთა ჯარის შეჭრა ქალდიის თემში, – ე. მ.) ფრანგთა, რამეთუ მოეღო[11] ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუღეს სამეფო ქალაქი“ (ყაუხჩიშვილი 1959: 142). ეს წინადადება მოსდევს იმავე მემატიანის გადმოცემას ქართული ჯარის მიერ სამხრეთ შავი ზღვისპირეთის დალაშქვრასა და ალექსი კომნენოსის ტრაპიზონში გამეფებას. მაშასადამე, ქართველი მემატიანის მიხედვით, ამ ლაშქრობას ის შედეგი გამოუღია, რომ ქართველთა ჯარის მიერ დაპყრობილი ტერიტორიიდან კონსტანტინოპოლმა დახმარება ველარ მიიღო და ამან მოუტანა ჯვაროსნებს წარმატება. ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რადგან მისი გაზიარების შემთხვევაში, ტრაპიზონის აღების დროდ საყოველთაოდ მიღებული 1204 წლის 23 აპრილი საეჭვო ხდება. იგი გამოთვლილია თითქმის ორი საუკუნით დაშორებული ბიზანტიელი ისტორიკოსის, მიქაელ პანარეტოსის თხზულებაში მოცემული თარიღის მიხედვით, რომელსაც ზემოთ უკვე გავეცანით. საყურადღებოა, აგრეთვე, ქართველი მემატიანის ინფორმირებულობა ბიზანტიის საწინააღმდეგო კოალიციაში გაერთიანებული ძალების შესახებ. მან იცოდა ჯვაროსნულ კოალიციაში ვენეციის სახელმწიფოს წამყვანი როლის შესახებ.[12] ამიტომ მიაწერს მას „სამეუფო ქალაქის“ დაპყრობას.

ვფიქრობ, გადასახედია ზ. ავალიშვილის მოსაზრება, რომელიც, ევროპელთა გამოკვლევების გავლენით, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველი მემატიანე არასწორად გადმოსცემდა მოვლენების თანმიმდევრობას, რომ „ლათინთაგამოსვლა“ შედეგი კი არ იყო ლაზეთის და სხვა ქვეყანათა ქართველთა მიერ დაჭერის, როგორც ამას თამარის პანეგირისტი მოგვითხრობს, პირიქით, იმ ადგილთა დაპყრობა „ივერთა“ დახმარებით და ტრაპიზონის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება უეჭველად ერთი შედეგთაგანი იყო ლათინთა გამარჯვებისა, მათ მიერ კონსტანტინოპოლის ახალი საკეისროს დაარსებისა და ბიზანტიის იმპერიის დაშლისა“ (ავალიშვილი 1989: 59-60).

რადგან ვიცით კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის აღების თარიღები (1204 წლის 12 და 23 აპრილი) და ამ ორ თარიღს შორის განსხვავება მხოლოდ 10-11 დღეა, ა. ა. ვასილიევმა გამოთქვა ეჭვი, რომ ამ მცირე დროში კონსტანტინოპოლის დაცემის ამბავი საქართველომდე ვერ მიაღწევდა (ვასილიევი 1936: 20), ვერ მოხერხდებოდა ჯარის შეკრება და ტრაპიზონამდე რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლა. მაშასადამე, უფრო მისაღებია ბასიანის წარმატებული ომის შემდეგ, რომელსაც დიდი გავლენა უნდა მოეხდინა სეპარატისტულად განწყობილი ქალდიის თემის მოსახლეობის ყველა ფენაზე, დაიწყებოდა საქართველოს წარმომადგენლების დიპლომატიური ურთიერთობა მის ლიდერებთან. საქართველოს სამეფო კარისათვის სამხედრო მოქმედების დაწყებისათვის ბიძგის მიმცემი უნდა გამხდარიყო 1203 წელს ჯვაროსნების მიერ ზარას აღების შემდეგ კონსტანტინოპოლის გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა.

ქართულმა ლაშქარმა პირველად დაიპყრო ლაზეთი (ჭანეთი), შემდეგ აიღო ტრაპიზონი და ჰერაკლიამდე მიაღწია. ბასილი ეზოსმოძღვარს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ ქართველთა ჯარს დაუპყრია საკმაოდ ვრცელი ტერიტორია – ლაზეთი, პაფლაგონია და პონტო. ამგვარად, საქართველოს სამეფოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ტრაპიზონის იმპერიასთან, დაიდო ლაზეთის აღმოსავლეთით ხუფათთან (ხოფა).

ქართული ჯარი ბრძოლის გარეშე შევიდა ტრაპიზონში (1204 წ. 23 აპრილი), ქალაქის გამგებელმა (დუკამ) ნიკიფორე პალეოლოგმა, კონსტანტინოპოლის მთავრობის წარმომადგენელმა, რომელიც მოსახლეობაში ავტორიტეტით არ სარგებლობდა (უსპენსკი 2003: 31), ალექსის ქალაქის ციხე უბრძოლველად ჩააბარა (ბატიაშვილი 2012: 101). ალექსი კომნენოსი 25 აპრილს გამოცხადდა რომაელთა იმპერატორად კონსტანტინოპოლი კი ჯვაროსნებს 12 აპრილს (ზოგი ცნობით, 13 აპრილს) უკვე აღებული ჰქონდათ. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ქართულ ჯარს უკან მოეტოვებინა ჯერ კიდევ დაუპყრობელი ტრაპიზონი და ლაშქრობა კონსტანტინოპოლის მიმართულებით გაეგრძელებინა, შემდეგ მობრუნებულიყო და ტრაპიზონი აეღო და ჩაეტარებინა ალექსის კურთხევის ცერემონიალი. ვფიქრობ, დასავლეთისაკენ შეტევის გაგრძელებისას ქართველებმა და ძმებმა კომნენოსებმა უკვე იცოდნენ რა ხდებოდა კონსტანტინოპოლში და, ნიკიტა ქონიატეს გადმოცემით, მხოლოდ დავითმა გააგრძელა წინსვლა. ამის შემდეგ (ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით) კომნენოსებმა დაიპყრეს „ლიმონი, სამისონი,

სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი."[13] რადგან ცნობილი წყაროები არავითარ ცნობას არ გვაწვდიან დასახელებული ქალაქების დაპყრობისათვის სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ, ამდენად, ქართულ წყაროს უნდა დავუჯეროთ, რომ ლაშქრობა შეწყდა ჰერაკლიას აღებით. მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ძმების წვლილი ამ ლაშქრობაში. ნიკიტა ქონიატე ტრაპიზონის აღების შემდგომ სამხედრო წარმატებებს, სამართლიანად მიაწერს დავით კომნენოსს. უფრო მეტიც, იმავე ისტორიკოსის თქმით, დავითს ნიკომედიის დაუფლებაც სურდა, მაგრამ ნიკეის იმპერატორის თეოდორე I ლასკარისის (1204-1221) წინააღმდეგობას წააწყდა. პონტოს ჰერაკლია დროებით გადაიქცა ტრაპიზონის იმპერიის უკიდურეს დასავლეთ სამფლობელოდ.

მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს ზემოთ განხილული წერილობით წყაროების გარდა სხვა რაიმე ცნობა, მაინც უნდა აღინიშნოს ქართული წყაროს ტენდენცია, რომელიც გამსჭვალულია ეპოქისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი ღირებულებების პატივისცემითა და საქართველოს მეფე თამარის სამართლიანობის დემონსტრირების დიდი სურვილით.

შენიშვნები

[1] ინტერნეტში განთავსებულ სტატიაში ("Трапезундская (Трапезунтская) империя" – ავტორი მითითებული არ არის), ძლიერ განსხვავებულად არის გადმოცემული ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. ჩანს, რომ ავტორი დგას იმ ისტორიკოსთა პოზიციაზე, რომლებიც არ იზიარებენ საქართველოს გადამწყვეტ როლს ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში. პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ Jakob-Philip Fallmerayer, "Geschichte des Kaisertums von Trapezunt", München, 1827; George Finlay, "The History of Greece from its Conquest by the Crusaders to its Conquest by the Turks and of the Empire of Trebizond 1204-1461", (Edinburgh, London, 1851); George Finlay, "A History of Greece from its Conquest by the Romans to the Present Time. B.C. 146-to A.D. 1864" (Oxford, 1877). T. IV, 307-308; W. Fischer, "Trapezunt und seine Bedeutung in der Geschichte". *Zeitschrift für allgemeine Geschichte*. 1886. Bd. 3.S. 25-26; ფალმერაიერსა და ფინლეის ნაშრომების კრიტიკა გვერდების მითითების გარეშე. იხ.: ავალიშვილი, „ჯვაროსანთა დროიდან", 63-66. არიან შემდეგი დროის მთელი რიგი ისტორიკოსები, რომლებიც ფალმერაიერისა და ფინლეის პოზიციაზე დგანან: ო. ლამიდისი, დ. ნიკოლი, მ. კურშანსკისი, ე. ბრაიერი, ე. ჯანსანი და სხვები. ბოლოს დასახელებულ ისტორიკოსთა მოსაზრებათა შეფასება იხ. Карпов С. П., „Образование Трапезундской империи (1204-1215)", 9-10; Карпов С. П., „История Трапезундской империи", 95. გასათვალისწინებელია, რომ ყველა ისტორიკოსისათვის ამოსავალი არის XII-XIII საუკუნის ორი მემატიანის – ქართული და ბერძნული ცნობა.

[2] თამარ მეფის დროს საქართველო შეტევით ბრძოლებს აწარმოებდა სხვადასხვა მიმართულებით. თავდაპირველად ლაშქრობას იწყებდა აგრესიის ობიექტის მეზობელი ქართული მხარე, რომელშიც ძირითადად ჩაბმულნი იყვნენ ადგილობრივი დიდებულები. „ყოველი საქართველოს" ლაშქარი ომში ებმებოდა მხოლოდ აუცილებელ ეტაპზე (ტუხაშვილი 1984: 168).

[3] ალექსი III-ისათვის უცხო რომ არ იყო მგზავრების ძარცვა, ამის შესახებ საინტერესო ცნობა დაგვიტოვა ნიკიტა ქონიატემ: „მაგრამ, აი, რა საქმე ჩაიდინა თვითონ მეფემ. ექვსი ტრიერი ჩააბარა ერთ კაცს... და გაგზავნა იგი ევქსინის პონტოში თითქოს იმ მიზნით, რომ დაეძებნა ტყვართი ერთი ხომალდისა, რომელიც მოდიოდა ფაზისიდან ბიზანტიონში და კერასუნტის მახლობლად დაიმსხვრა, ნამდვილად კი უწდოდა თავს დასხმოდა სატყვირთო ხომალდებს, რომლებიც ქალაქ ამინსოში მისცურავდნენ და მათი ტყვირთი დაეტაცნა. მეფის განკარგულებით მან გასცურა ევქსინის პონტოში და არც ერთი ხომალდი არ დაინდო, ყველა ხომალდები გაძარცვა, რომლებიც კი ბიზანტიონში მიდიოდნენ, საქონლით დატვირთულები, და ისინიც, რომლებსაც ჩაებარებინათ თავისი საქონელი და სხვა საქონელი ჩაებარებინათ და უკან ბრუნდებოდნენ... ზოგიერთი ვაჭრები მახვილით გაასამართლა და ქვესკნელში გაისტუმრა, და მათი ქონება მიითვისა, სხვები კიდევ როდინის ქვაზე უფრო ტიტვლები გაისტუმრა" (ყაუხჩიშვილი 1960: 132-133). ვერ გავიზიარებ ა. თვარაძის მტკიცებას, რომლის მიხედვითაც ქონიატეს ნაშრომიდან ციტირებული ფრაგმენტი ადასტურებს თამარის ისტორიკოსის ცნობას, იმპერატორის მიერ ქართველი ბერების გაძარცვას რომ ასახავს. თითქოს ისინი რომელიღაც გაძარცულ ხომალდზე იქნებოდნენ. (თვარაძე 2004: 128). თამარის ისტორიკოსის მიხედვით კი, ქართველები კონსტანტინოპოლში გაძარცვეს, ქონიატე კი გადმოგვცემს ვაჭრების ზღვაში გაძარცვაზე, როდესაც ისინი ამინსოსკენ (სამსუნი) მიცურავდნენ.

როგორც თამარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე იმპერატორმა ალექსიმ. ბასილის პათოსი იმაზე მეტყველებს, რომ ღმერთი ბოროტებას არავის აპატიებს. ყაუხჩიშვილი 1955: 142-143.

[4] შედარებისათვის მოვიყვან ა. ხახანაშვილის მიერ ბერძნულიდან რუსულად თარგმნილ ამონარდს „ტარპიზონის ქრინიკიდან". „Царствование великого Комнена Кир-Алексея (1204 по Р. Хр). Кир-Алексей, великий Комнен, выступив из благополучного Константинополя, прибыл с иверийским войском, собранным усилиями при содействии со стороны его тетки по отцу Тамары 1, овладел Трапезундом в апреле месяце, VII инд. 6712 (1204 по Р. Х.) на 22 г, своей жизни . Он царствовал 18 лет и умер в воскресенье недели православия, 1 февраля 6730 (1222), сорока лет от роду" (ხახანოვი 1905: 20). ა. ხახანაშვილის ეს ნაშრომი უარყოფითად შეაფასა კარპოვმა (კარპოვი 1985: 19), მაგრამ დადებითი შეფასება მისცა ს. ყაუხჩიშვილისა და ა. გამყრელიძის თარგმანებს.

ი. ფ. ფალმერაიერი პანარეტოსის მიერ დასახელებულ ალექსი კომნენოსის მამიდა თამარში კომნენოსების სხვა რომელიღაც ქართველ ნათესავს ხედავდა (ფალმერაიერი 1827: 48, 59).

[5] არსებობს საყურადღებო მინიშნება, რომ ლაშქრობაში იმერლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სხვა მხარეების რაზმებიც. ამ მხრივ საყურადღებო მაგალითია ბორჯომის რაიონის ცნობილი ტაძრის, ტიმოთესუბნის (ციმოთესუბანი, ბორჯომიდან 17 კმ) ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია XII-XIII საუკუნეთა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე შალვა თორელ-ახალციხელი, რომელსაც მიეწერება მონასტრის გაფართოება, დიდი ტაძრის აგება და მოხატვა. (Карпов 1985: 719). ცნობილი ხელოვნებათმცოდნე დ. პ. გორდეევი ტაძრის დასავლეთის კედელზე მოთავსებული წმ. მეომრის ევგენი ტრაპიზონელის (ტრაპიზონის მფარველის) გამოსახულების შესწავლისას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წმინდანის კულტი მხოლოდ ტრაპიზონისათვის იყო მნიშვნელოვანი და იგი შესრულებული უნდა იყოს საქართველო-ტრაპიზონის ყველაზე ინტენსიური ურთიერთობის დროს, 1204-1230-იან წლებში, უფრო ზუსტად კი, თამარის მეფობის უკანასკნელ ან გიორგი-ლაშას მეფობის პირველ წლებში. წმ. ევგენი ტაძარში გამოსახეს ძმები შალვა და ივანე ახალციხელების ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში მონაწილეობის აღსანიშნავად (გორდეევი 1940: 48-49; პრივალოვა 1980: 121-122, 242).

[6] მ. გაბაშვილი, ბასილი ეზოსმოძღვარის ნათქვამზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ „თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისთანავე მიიერთა პაფლაგონია და შავი ზღვის ტერიტორიები, მათ შორის ისინიც, რასაც ქართული წყარო არ აზუსტებს და რომელსაც უკვე ბიზანტიური წყაროები აკონკრეტებენ. ბიზანტიური წყაროებივე (ნიკიტა ქონიატე, გიორგი აკროპოლიტე...) საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ პაფლაგონია და შავი ზღვის ზოგიერთი ტერიტორია თამარმა მაშინვე დაკარგა. იმავე წყაროების თანახმად, ამ ტერიტორიებისათვის უკვე დავით კომნენოსი იბრძვის“ (გაბაშვილი 2003: 166). არც ერთი წყარო არ აღნიშნავს თამარ მეფის მიერ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე რომელიმე ტერიტორიის დაპყრობას და საქართველოსათვის შეერთებას, თუნდაც მცირე ხნით. გიორგი აკროპოლიტეს ცნობას, ჩემი აზრით სწორი განმარტება დაუთოო ს. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი 1967: 45-46, შენ. 2).

[7] დადგენილია, რომ შავი ზღვის სანაპიროს ქართული მოსახლეობა, განსაკუთრებით ლაზები, უხსოვარი დროდან ცნობილი მეზღვაურები იყვნენ. უფრო მეტიც, XI საუკუნეში შავი ზღვა „ლაზთა ზღვადაც“ კი იწოდებოდა (გაბაშვილი 2007: 122)

[8] ლ. ტუხაშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია საქართველომ შავიზღვისპირეთში მოაწყო ორი სამხედრო აქცია. პირველად თამარ მეფემ ქართველ ბერების გაძარცვისათვის დასაჯა ალექსი III ანგარი და ლაზია დაიკავა. მეორედ კი, ჯვაროსნების კონსტანტინოპოლზე დარტყმების პარალელურად სცადა დაეკავებინა მთელი მცირე აზია და შეექმნა ახალი ტიპის ბიზანტია (ტუხაშვილი 1984: 177-178). ეს ვარაუდი უკვე მტკიცებულების ფორმით გაიმეორა მ. სტეფნაძემ. მისი აზრით, თამარის ისტორიკოსი და მიქელ პანარეტოსი ორი სხვადასხვა ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობენ. პირველი მოაწყო საქართველოს სამეფომ 1202-1203 წლებში და დაპყრობილი მიწები შემოიერთა. მეორე ლაშქრობა ძმებმა კომნენოსებმა მოაწყეს ქართული ძალით და ტრაპიზონის იმპერიის გამოცხადებით დასრულდა. მ. სტეფნაძე იმავე მოსაზრებას იმეორებს შემდეგშიც, მაგრამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. (სტეფნაძე 2000: 161-162, 165),

[9] სავარაუდოა, გარინი - კარინი ანუ ყარსია, ხოლო თეოდოსიოპოლისი კი, არზრუმია.

[10] ქართველთა ლაშქრობის დაწყებას კონსტანტინოპოლის მიმართულებით, ასევე 1203 წლის ზაფხულში ვარაუდობდა თ. ჟორდანია (ჟორდანია 1892: 291). ყურადღებას იპყრობს ს. მარგიშვილის, ჩემი აზრით, გაუმართლებელი კატეგორიულობა ქართველთა ლაშქრობის დაწყების დროის შესახებ. იგი წერს: „ვერც საქართველოს სამეფო კარი და ვერც ძმები კომნენოსები ვერ ისარგებლებდნენ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ლაშქრობის დაწყებისას მათ ეს ფაქტი არ ეცოდინებოდათ. ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს 1204 წლის 12-13 აპრილს..., ხოლო ქართულ-ბერძნულმა (გაურკვეველია, საიდან გაჩნდა ბერძნული ჯარი ქართული ჯარის გვერდით - ე. მ.) არმიამ ტრაპიზონი დაიკავა იმავე წლის 23-25 აპრილს, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც ჯვაროსნები იწყებდნენ კონსტანტინოპოლის შტურმს, ქართულ-ბერძნული არმია ალექსისა და დავითის მეთაურობით, უკვე მოძრაობდა ბიზანტიის ტერიტორიაზე“ (მარგიშვილი 2006: 274).

[11] არასწორად გაიგო ბასილის ზმნა “მოეღო” ტ. მაჭარაშვილმა და ფიქრობს, რომ მასში იგულისხმება ბიზანტიელების პოტენციური მოკავშირე აღმოსავლეთიდან - საქართველო, საიდანაც დახმარება ვეღარ მიიღო (მაჭარაშვილი 2009: 92). თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ახლოაღმოსავლურ პოლიტიკას, ვეჭვობ, ბიზანტიის მთავრობას XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოდან დახმარების მიღების იმედი ჰქონებოდა. დავით კომნენოსი რომ კონსტანტინოპოლში ჯვაროსნების მოკავშირეობას ეძებდა, სავარაუდოა, ესეც საქართველოს მიერ კონსტანტინოპოლის დაცემამდე გატარებული ანტიბიზანტიური პოლიტიკის შედეგი იყო.

[12] ქართველების სამხრეთ შავი ზღვისპირეთში წარმატებული საქმიანობა რომ ხელს უწყობდა დასავლეთევროპელი ჯვაროსნების ინტერესების განხორციელებას მცირე აზიაში, თ. ჟორდანიამ შემდეგნაირად შეაფასა: „როგორც როკ-ედდინის დამარცხებით ისარგებლეს ფრანგებმა, ისრე აქაც თამარის ჯარისაგან ბერძნების დამარცხება ჩინებულად გამოიყენეს: შეიდენ კოსტანტინე-ქალაქში და დაიჭირეს 12 აპრილს იმავე 1204 წ. ამაზე თამარი შეწუხდა, მაგრამ გვიანღა იყო“ (ჟორდანია 1892: 291). როგორც ჩანს თ. ჟორდანია წყაროების უქონლობის მიუხედავად, ცდილობდა 1200-იანი წლების დასაწყისში ქართველთა წარმატებები ევროპელებისთვისაც სასიკეთო შედეგით ეჩვენებინა, მაგრამ რაც შეეხება ტრაპიზონის იმპერიის პონტოში წარმატებას, აქ კი ისეთ დასკვნებს აკეთებს, რომლებსაც რეალობასთან კავშირი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულმა მხედრობამ ვრცელი მანძილი, ათას კილომეტრზე მეტი, ხოფადან ჰერაკლიამდე, ისე გაიარა, რომ სერიოზულ წინააღმდეგობას არსად

შეხვედრია და, რა თქმა უნდა, არც ბერძნები დაუმარცხებია. მეორეც, თამარის იმ პერიოდის საგარეო პოლიტიკას თუ გადავხედავთ, დავით კომნენოსის მოქმედებით, შეიძლება მეფე მართლაც უკმაყოფილო იყო, მაგრამ ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, წყაროებში არ ჩანს.

[13] დავით კომნენოსს პონტოში მომხრენი ეყოლებოდა, რადგან მისი პაპა ანდრონიკე, კეისრის ტახტის დაკავებამდე, პონტოს გამგებელი იყო (ვასილიევი 1936: 5).

დამოწმებანი

ავალიშვილი 1989: ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი.

ბატიაშვილი 2012: ზ. ბატიაშვილი. ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, თბილისი.

ბრაიერი 1988-1989: Anthony Bryer, David Komnenos and Saint Eleutherios. *Archeion Pontou*, v. 29.

ბროსე 1849: Marie Felisite Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle, Saint Petersbourg, I-ère partie.

გაბაშვილი 2003: მ. გაბაშვილი. თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, ვალერიან გაბაშვილი 90, თბილისი.

გაბაშვილი 2007: მ. გაბაშვილი. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები. დავით კურაპალატი. თამარ გამსახურდია 70. საიუბილეო კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი, თბილისი.

გამყრელიძე 1960: მიქაელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 33, თბილისი.

გამყრელიძე 1982: ა. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის დაარსების ზოგიერთი საკითხი, წერილები, თბილისი.

გორდეევი 1940: Д. П. Гордеев. Тимотесубани, საბჭოთა ხელოვნება, თბილისი.

ვასილიევი 1936: A. Vasiliev. The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222).

თვარაძე 2004: ა. თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე.

კარპოვი 1985: С. П. Карпов. Образование Трапезундской империи (1204-1215), Византийский временникб 60.

კარპოვი 2007: С. П. Карпов. История Трапезунтской Империи.

კუნიკი 1854: А. А. Куник. Основание Трапезундской империи в 1204 г. //УЗ имп. АН. По I и III отд. Т. 2.

კუტალეიშვილი 1987: ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი.

ლოლაშვილი 1964: ი. ლოლაშვილი. შავთელი, თბილისი.

მარგიშვილი 2006: ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, თბილისი.

მაჭარაშვილი 2009: ტ. მაჭარაშვილი. ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIV საუკუნეებში), თბილისი.

პრივალოვა 1980: Е.Л. Привалова. Роспись Тимотесубани. Исследование по истории грузинской средневековой монументальной Живописи, Тбилиси.

ჟორდანია 1892: თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა. შეკრებილი და, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. I, ტფილისი.

სტეფნაძე 2000: მ. სტეფნაძე ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებისათვის. ქართული დიპლომატია, წელიწდეული. 7, თბილისი.

ტომაშეკი 1891: Wilhelm Tomaschek, Zur historischen Topographie von Kleinasien im Mittelalter. Sitzungberichte der K. Akademie der Wissenschaften in Wien, Philosophisch-historische Classe, CXXIV.

ტუბაშვილი 1984: ლ. ტუბაშვილი. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. I, თბილისი.

უსპენსკი 2003: Успенский, Очерки из истории Трапезундской империи, Ленинград.

ფალმერაიერი 1827: Fallmerayer Jakob-Philip. Geschichte des Kaisertums von Trapezunt, München.

ფინლეი 1851: George Finlay. The History of Greece from its Conquest by the Crusaders to its Conquest by the Turks and of the Empire of Trebizond 1204-1461, Edinburgh, London.

ფინლეი 1877: George Finlay, A History of Greece from its Conquest by the Romans to the Present Time. B.C. 146-to A.D. 1864, Oxford.

ფიშერ 1886: W. Fischer, Trapezunt und seine Bedeutung in der Geschichte. Zeitschrift für allgemeine Geschichte. Bd. 31.

ყაუხჩიშვილი 1959: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 2, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1960: ნიკიტა ქონიატე. ისტორია. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. 6, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1967: გიორგი აკროპოლიტე. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ.7, თბილისი.

შუკუროვი 2001: Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток (1204-1261), Санкт-Петербург.

ხახანოვი 1905: Михаил Панарет. Трапезунтская хроника. Греческий текст с переводом, предисловием и комментариями, издал Александр Хаханов. Труды по востоковедению, издаваемые Лазаревским институтом восточных языков, Москва.

Basili Ezosmodzghvari about the Foundation of the Empire of Trebizond

Eldar Mamistvalishvili

Queen Tamar's historian Basili Ezosmodzgvari in his work *The Life of King of Kings Tamar* tells us about the reasons for which the Georgian troops crossed the border of the Byzantine Empire, conquered the vast territories of trade and strategic importance and enthroned Alexios Comnenus. Thus, the Empire of Trebizond emerged. This notice of the Georgian historian has been attracting the attention of foreign researchers for so long.

The Byzantine historian Niketas Choniates presents the Georgians' support in enthronement of the Comnenus family in a diminished way; he defines this internationally important fact just as only the participation of a hired Georgian military detachment.

The fifteenth century Greek historian Michael Panaretos shares the Georgian historian's opinion; he tries to reflect objectively the Georgian king's "diligence and merit" in the conquest of Trebizond by Alexios Comnenus. However, he mentions no word about the reasons which led the Bagrations and Comnenus to launch the military action.

In the work of Basili Ezosmodzgvari, there is a phrase which indicates the starting date of the Crusaders' first attack on Constantinople; according to this notice, the Latinas (Venetians) launched the attacks only after they realized that the Empire was being invaded from the East (hereby I mean the invasion in Byzantium by the Georgian army) and that Constantinople would not be able to receive support from there.

The mentioned notice acquires special importance as much as according to it the generally accepted date of the conquest of Trebizond becomes uncertain.

პოლონური იდენტობა *ივერიაში*

ქეთევან მანია

ბეჭდური მედიის როლს ქართველთა ნაციონალური გამთლიანების პროცესის ასახვაში მიეძღვნა ჩემი რამდენიმე პუბლიკაცია პროფ. მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით. ჩვენი ერთობლივი ნაშრომი გამოქვეყნდა წიგნის სახითაც (ჩხარტიშვილი, მანია 2011).

XIX ს-ის უმთავრესი ქართული ბეჭდური ორგანო, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ერის ჩამოყალიბებაში, არის ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი *ივერია*. რედაქტორის განსჯის საგანს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვასთან ერთად წარმოადგენს, უცხო ქვეყნის მაგალითით სასარგებლო რჩევების მიწოდება საზოგადოებისთვის. ქართულ ბეჭდურ მედიაში სხვა „გვარ-ტომობის"[1] წარმომადგენელთა მაგალითები იმისთვის იყო მოხმობილი, რომ ისინი ქცეულიყო ქართული „გვარ-ტომობის" სანიმუშო მაგალითებად, რათა ამგვარი ნიმუშებით შეძლებოდა ქართულ საზოგადოებას თავისი აზრისა და მიმართულების გამოხატვა.

ამიტომაც *ივერიაში* განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მიმდინარე საერთაშორისო მოვლენების,[2] მათ შორის, ეროვნული საკითხების გაშუქებას, რომელთა მიწოდებას *ივერიის* მკითხველთათვის, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში. აღნიშნულ მედია-ორგანოში თვალსაჩინო ადგილი უკავია პოლონეთში განვითარებული პროცესების გადმოცემას. სპეციალურ ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა პოლონელთა ეროვნული მოძრაობისადმი მხარდაჭერის და თანადგომის თვალსაზრისით *ივერიის* პუბლიკაციების ანალიზს (საითიძე 2010: 107-123), სადაც ყურადღება გამახვილებულია ობიექტივისტურ ფაქტორებზე, სუბიექტივისტური ფაქტორები კი ყურადღების მიღმაა დარჩენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე გამოკვლევაში მასალის განხილვას წარმოვადგენ განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე, კერძოდ, ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში. განსაკუთრებულ აქცენტებს გავაკეთებ საზოგადოებრივ პერცეფციებზე, ღირებულებებზე, მახსოვრობებზე, სიმბოლოებზე.

გადავალ უშუალოდ მასალის ანალიზზე.

როგორც ცნობილია, ენა იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერია. ენა იძლევა არა მარტო კულტურის მონაპოვრების, არამედ სოლიდარობის სენტიმენტების და იდეოლოგიების ცირკულაციის საშუალებას. ამგვარად, ენა ხელშემწყობ ვითარებას ქმნის ჯგუფის ჰომოგენურობისა და ექსკლუზიურობისათვის (ჩხარტიშვილი, მანია 2010: 472-483). აღნიშნულიდან გამომდინარე ფრიად საინტერესოა დაკვირვება ენობრივი საკითხების მედიაში გაშუქებაზე იდენტობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით.

ამ მხრივ საყურადღებო კორესპონდენციას ვხვდებით 1881 წლის *ივერიის* მე-5 ნომრის *შინაურ მიმოხილვაში*. კორესპონდენციაში საზოგადოებრივი განსჯის საგნად არის ქცეული პეტერბურგში ახალი იმპერატორის კურთხევაზე წარგზავნილი ჩვენი დეპუტატებისაგან კონვოელებისათვის ვენზელების (ვენზელი იყო მხრებზე დასაკერი ნიშანი მეფის ინიციალებით. იხ. *დროება* 1881 №68) მოთხოვნა. ქართველთა დეპუტაციაში შედიოდნენ: დ. სუმბათოვი, ლ. მაღალაშვილი, ა. მუხრანსკი, ნ. წერეთელი, ანდრონიკოვი და სხვები (კალანდაძე 1997: 665–666). მაშინ როდესაც ამავე შეკრებაზე პოლონელები მოითხოვდნენ თავიანთი ენის თავისუფლებას, სასამართლოებში და სასწავლებლებში თავიანთი დედაენის შემოღებას. პოლონელთა მოთხოვნა გაუჟღერებია გრაფ ზამოისკის (*დროება* 1881: №68).

> ჩვენებს უნდა თავის თავზედ და თავიანთ მეგობრებზედ ეზრუნათ, პოლშელებს – საზოგადოებაზედ; ჩვენებმა თავიანთ წათესავ, ან მეგობრებ კონვოელებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისთვის სხვა და სხვა უფლება. პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშადა სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა და ეჭირვებოდა, რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში დედა-ენა შემოეღოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსული ენის უცოდინარობა, თუმცა დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზედ" უკეთ ეცოდინებოდა (*ივერია* 1881: №5).

წერდა დიდი გულისტკივილით ილია ჭავჭავაძე. ამ ეპიზოდით წარმოდგენილია საზოგადოებრივი პერცეფციები. ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეულია ის ფაქტი, რომ ჩვენი დეპუტატები პოლონელი დეპუტაციის მსგავსი თხოვნით არ წარსდგნენ პეტერბურგში.

მედიის აქტიური განსჯის საგანი გახდა ქართველების შემარცხვენელი დეპუტატების განაცხადი და მისი განმაპირობებელი მიზეზები. აღნიშნული სამწუხარო ფაქტის მიზეზად დასახელებულია ჩვენში დეპუტატების თვითამორჩევის წესი. სწორედ ეს გარემოება განასხვავებდა მათ პოლონელებისაგან, რომლებიც საზოგადოებისაგან იყვნენ ამორჩეულნი. მედია მოუწოდებს საზოგადოებას მიიღოს მონაწილეობა ჩვენში დამკვიდრებული თვითამორჩევის წესის შეცვლაში, რათა სამომავლოდ შემარცხვენელი განცხადებით არ წარმდგარიყვნენ ჩვენი დეპუტატები.

როგორც ზემოთ მივუთითე, წარმოდგენილი კორესპონდენციის მიზანია, ერთი მხრივ, მხილება უღირსი საქციელისა. მეორე მხრივ, პოლონელი დეპუტატების მიერ აქცენტების ეროვნულ საკითხებზე დასმის ჩვენებით, *ივერიის* მკითხველებში თანამოძმეების მიერ შელახული ეროვნული ღირსების აღდგენაზე ზრუნვისაკენ მოწოდება. ამით საბოლოოდ აღძრავს და ქმნის მკითხველ საზოგადოებაში უკეთესი მომავლის იმედს.

შემდეგი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, არის სწორედ, ნაციონალური იდენტობისათვის მახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ელემენტის – ტრადიციისადმი პოლონელთა განსაკუთრებული პატივისცემა.

ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ბრიტანელი მკვლევრის ე. სმითის თვალსაზრისით,

> ნაციონალური იდენტობა არის ნაციის დამახასიათებელი მემკვიდრეობის ღირებულებათა, სიმბოლოთა, მახსოვრობათა, მითთა, ტრადიციათა სახეების კვლავწარმოება და რეინტერპრეტაცია და ამ სახეებთან და მემკვიდრეობასთან (მისი კულტურული ელემენტებითურთ) საკუთარი თავის იდენტიფიკაცია (ჩხარტიშვილი 2004: 42).

სწორედ დასახელებული კულტურული ელემენტებიდან ერთ-ერთის – ტრადიციისადმი პოლონოლთა განსაკუთრებული პატივისცემაა წარმოჩენილი რუბრიკაში *ფელეტონი*[3], სადაც რუსული გაზეთების მონაცემების საფუძველზე საუბარია თუ როგორ ხვდებოდა რუსული და პოლონური საზოგადოება ქრისტეშობის დღესასწაულებს. მითითებულია, რომ რუსები არ მისდევდნენ ტრადიციებს, მისცემოდნენ განცხრომას და ძველებური ჩვეულებები დაევიწყებინათ:

> ჩვენისთანა უბედური კაცი ამ დღეებში, ამბობს შობის წინა-დღეზედ ერთი რუსული გაზეთი, „ძნელი მოსაპოვნია დედა-მიწის ზურგზედ... იმის შნო კი არ მოგვცა ღმერთმა, რომ ჩვენს ოჯახებში რიგიანად და ძველებურად შეგვეძლოს დღესასწაულის მიგებება“. არა ვგვცართ ჩვენ სხვებსაო, გულდაწყვეტილად განაგრძობს ზემომოყვანილი გაზეთი და თითქო შურით მიუთითებს პოლშელებზე, რომელიც, ამ შემთხვევაში, მართლა რომ სამაგალითო ერად უნდა ჩაითვალოს.

აქ აქცენტები გაკეთებულია პოლონელთა ტრადიციისადმი სამაგალითო დამოკიდებულებაზე:

> პოლშელმა, სადაც უნდა იყოს, თავის ქვეყანაში თუ უცხოეთში, შობის მისაგებებლად უსათუოდ უნდა მისდიოს იმ ჩვეულებას, რომელიც ჰქონია მის მამა-პაპას. შობის წინა დღე მისთვის წმინდად შესანახი და პატივსაცემი დღეა... ჩვეულებანი საერთოა ყველა პოლშელისთვის. მდიდარი გრაფის ან და თავადის სასახლეში ამ დღეს იგივე წესი ჰსუფევს, როგორიც უბრალო გლეხის ჭოხშია. დღესასწაული ყველასთვის ერთია და მისი დახვედრაც ერთნაირად იციან (*ივერია* 1886: №7).

ზემოთ განხილულ წერილებში ხაზგასმულია, რომ პოლონური იდენტობის კულტურული ელემენტები ავლენენ (ენა, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები) დროში გამძლეობას, რაც იდენტობის ერთობის სიმტკიცისათვის აუცილებელი ფაქტორია.

პოლონური იდენტობის ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესოა პოლონელთა პოზნანიდან და სხვა ისტორიული ტერიტორიებიდან[4] განდევნასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების გაშუქება. აღნიშნული საკითხი აქტიური განხილვის საგანს შეადგენდა გერმანიის პარლამენტში. გერმანიის პარლამენტის მუშაობას ფხიზლად ადევნებს თვალყურს *ივერია* და თავის მკითხველებს განუწყვეტლივ აძლევს ინფორმაციას გამართული მსჯელობის შესახებ. ეროვნულობის მძაფრი განცდის, რომლითაც პოლონელები გამოირჩეოდნენ, მიწოდებას *ივერიის* მკითხველი საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მძლავრი იმპულსი უნდა მიეცა ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების გზაზე. ამ დროისათვის დიდი განსაცდელი უდგას ქართულ იდენტობასაც. რუსული კოლონიალიზმი მთელი სიმძაფრით არის

წარმოდგენილი – შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება (სწორედ ამ დროს დაიხურა ქართული გაზეთი *დროება*, საცენზურო კომიტეტი მკაცრად ადევნებდა თვალს პრესის მუშაობას), ქართული ენა იდევნება სასწავლებლებიდან, სასამართლოებიდან. ერი გადაგვარების გზაზე დგას. ასეთ ვითარებაში საკუთარი ისტორიული ტერიტორიებიდან პოლონელთა გამოდევნის ფაქტზე მსჯელობებს და მათზე დაკვირვებას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ქართულ ინდიფერენტულ საზოგადოებაში – გაემძაფრებინა ეროვნულობის განცდა და განეპირობებინა თვითობის შენარჩუნებისათვის ერთიანი დარაზმულობა.

მივყვეთ გაზეთის ქრონიკას. 1886 წლის მე-13 ნომრის *მეთაური წერილი* იუწყება გერმანიის პარლამენტის მუშაობის დაწყებას „რკინის კანცლერის“ ბისმარკის[5] მიერ მიღებულ შემზარავ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელსაც თავად ბისმარკი არ დასწრებია. ბისმარკის გადაწყვეტილება გაუკრიტიკებიათ დეპუტატებს:

> განა სახელმწიფო ბისმარკის მოწყალებით არსებობსო? არა, მისი ძალ-ღონე თვითონ ერიაო. სახელმწიფო ბისმარკზე უფრო ძლიერიაო. უცხოთა ქვეშევრდომთა განდევნას ჩვენ სულ სხვა თვალით ვუყურებთ. ჩვენი თვალი თვალია კულტურისა, კაცთმოყვარებისა და უფრო უზენაესის პოლიტიკისა. ამბობენ პოლიაკთა განდევნა საჭიროა, რომ ჩვენი ეროვნება თავისი სიწმინდით დაცულ იქმნასო. რაო? ცივილიზაციის სახელით ერთა შორის ღობეები უნდათ გამართონ! ეგ ბარბაროზობაა. ჩვენი ეროვნებური აღმატებულება, ჩვენი განათლება, ჩვენი კულტურა ვერ შეიწყნარებს მაგ უკუერო და უსამართლო ქცევასაო.

–უთქვამს დეპუტატ ლიბკნეხტს (*ივერია* 1886: №13). დეპუტატი ლიბკნეხტი თავის სიტყვაში სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელ ფაქტორზე – პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძვლებზე აკეთებს ხაზგასმას. აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს საყრდენი ერია და არა „ბარბაროსი“ პოლიტიკოსი – „რკინის კანცლერი“.

მომდევნო ნომრის *მეთაური წერილიდან* ვიტყობთ, რომ ბისმარკი არც მეორე დღეს დასწრებია პარლამენტის მუშაობას. გერმანიის პარლამენტს ბისმარკისგან მოუთხოვია ასეთი ბარბაროსული განკარგულების მიზეზის ახსნა. გამორჩეული სიტყვა წარმოუთქვამს ამჯერად ბამბერგერს:

> დღეს დიდი დღეა გერმანიისათვის: დღეს გერმანიამ უნდა აღიაროს ქვეყნიერობის წინაშე, რომ ხელმწიფობა, ბატონობა გერმანიაში სიმართლესა აქვს და კვლავაც ექნება; დღეს უნდა ვსთქვათ, რომ ეროვნობა და კაცთმოყვარეობა ერთმანეთში მოსათავსებელია და არც ერთს, არც მეორეს ბარბაროზობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. თუ პარლამენტი დღეს ამას არ იტყვის, მაშ ღირსი არ არის, რომ კვლავ არსებობდესო (*ივერია* 1886: №14).

ეს ეპიზოდები თვალნათლივ ადასტურებს, რომ ვერანაირი იმპერიული ზრახვები დაუდგება წინ საკუთარ ისტორიულ მიწა-წყალზე პოლონური იდენტობის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობის ქონას, რომ პოლონელების მიმართ ბისმარკის უსამართლო განკარგულება გერმანიის, როგორც სახელმწიფოს, არსებობას აცლის საფუძველს.

22-ე ნომრის *მეთაური წერილი* ცდილობს გამოარკვიოს ბისმარკის პოლიტიკის გამომწვევი მიზეზები. წერილში საუბარია ევროპაში მიმდინარე მოვლენებზე – აღმოსავლეთის საქმეზე, აგრეთვე, ავსტრიის განცხადებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ „ვენგრიელებს“ არ სურთ გერმანიასთან ყოფნა. ეს და სხვა ევროპაში განვითარებული მოვლენები არ იძლეოდა მშვიდობიანობის დაურღვევლობის იმედს. ავტორი მიუთითებს, რომ სწორედ ასეთი ვითარება სასურველი იყო ბისმარკისათვის და უწყობდა კიდევაც ხელს დაძაბულობის შექმნას, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ევროპის ერთპირობა და ერთსულობა საშიშროებას წარმოადგენდა გერმანიისათვის (*ივერია* 1886: № 22).

გერმანიის კანცლერის მიერ პოლონელების პრუსიიდან განდევნამ დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. არა თუ გერმანიამ, მთელმა ევროპამ დაუწუნა „რკინის კანცლერს“ ბარბაროსული შინაური პოლიტიკა. *ამჯერად ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან)* გვაწვდის ინფორმაციას ბისმარკის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრუსიის პარლამენტში გამოთქმული უკმაყოფილების თაობაზე. პრუსიის პარლამენტს მკაცრად მოუთხოვია, აეხსნა ბისმარკს მათთვის ამ ბარბაროსული განკარგულების მიზეზი:

> პოლიაკები საშიში და ძნელად სანდობი ხალხიაო ამბობს ბისმარკი, მეტადრე პოლშის თავად-აზნაურობა დიდად აუთვალწუნებია ბისმარკს. აი მისი ნამდვილი სიტყვები: თავად-აზნაურობა თავის ჩანჩალეებით, კარის კაცებით მუდმივი, დაუცხრომელი, მოთავე და ხელის მომმართველი ყოფილა ყოველი ხელმწიფობის წინააღმდეგ განძრახვისა... ამის გამოვო, ამბობს ბისმარკი, ჩემი წმინდა მოვალეობაო მამულის წინაშე, რაც შეიძლება შეკვასუსტო პოლიაკების ძალაო პრუსიაში. ჯერ დრო ნებას არ მაძლევსო, რაც პრუსიაში პოლიაკები მოიპოვება, სულ

გადავასახლოვო; ამიტომ ამ ხანობით ჩემ აუცილებელ მოვალეობად ვთვლიო, უცხოთა ქვეშევრდომნი პოლიაკები მაინც მოვიშორო ჩვენი ქვეყნიდამაო. მაგრამ მოვაო დრო და მაშინ ვეცდები სრული „ექსპროპრიაცია“ მოვახდინოვო, ე.ი. ყველა მამულის პატრონი პოლიაკის ჩამომავლობისა ჩვენგან გავამევო, მამული ჩამოვართოვო და სახელმწიფოს გადავცეო.

გაზეთი სვამს კითხვას – განა ამის შეტყობა უნდოდა პარლამენტსაო? პარლამენტს იმის გაგება უნდოდა

ნეტავი ისეთი რა დანაშაულობა მიუძღვის პრუსიის სახელმწიფოს წინაშე ამ საბრალო 30,000 კაცს, რომ ესე შეუბრალებლად აშორებენ თავის ცოლ-შვილს, ნათესაობას, ართმევენ წუხვით და დაგვით შეძენილს ქონებას და ცხოვრების მოსაძიებელს სახსარს უსპობენ. ამის ჰასუხად ბისმარკი გაიძახის, პოლიაკებს მამა-პაპა პრუსიის მშვიდობიანობის აღმაშფოთებელი, პრუსიის სახელმწიფოს დაუდგრომელი მტერი იყოვო.

საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ანალიზი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით

ჩვენში რომ იტყვიან მამის ცოდო შვილს მიეწიაო, – სწორედ ეს არის, – ბისმარკის პასუხი, მგლისა და კრავის იგავ-არაკს მაგონებს! – მგელს ბატკნის შეჭმა უნდოდა და ძველი ვალების ანგარიში დაუწყო… არა სჯობდა ბისმარკსაც პირ-და-პირ ეთქვა: ეხლანდელი პოლიაკები იქნება დამნაშავენი არ იყვნენ, მაგრამ... ჩემი ნებაა და ვერკეცბიო. მე ესე მომწონსო. აბა ბატკანს მგლის წინ რა ეთქმის (*ივერია* 1886: №22).

მეთაური წერილი კვლავ აგრძელებს მსჯელობას. გერმანიის პარლამენტმა აღიარა, რომ ეგ საქმე ბარბაროსობააო, მეცხრამეტე საუკუნის შეურაცხყოფაა, კაცთმოყვარების და ერთობ პროგრესის შეგინება და უპატიურებაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბისმარკმა თავისი გაიტანა პრუსიის ლანდტაგში. მეორე დღესვე ასი მილიონი მარკა მოითხოვა, რომ ძალად, თუ ნებით პოლონელებს პოზნანში მამულები გააყიდვინოს, თვითონ პრუსიამ იყიდოს და გერმანელებს დაურიგოს. მარტო ეს არ იკმარა ბისმარკმა და ყველაფერზე იერიში მიიტანა, რასაც პოლონელთა თვითმყოფობის მცირეოდენი ნიშან-წყალი ეტყობოდა. მოითხოვა, რომ პოზნანის მღვდელმთავრობა ჩამოერთვა პოლონელებისათვის და გადაეცათ გერმანელებისათვის. ოდითგან პოზნანში მთავარეპისკოპოსის თანამდებობა პოლონელს ეკავა და ასე ყოფილა ბოლო დრომდე. პოზნანის მთავარეპისკოპოსი „პოლშის პრიმასად“, ანუ პოლონელ ეპისკოპოსთა უფროსად ითვლებოდა და პაპიც ყოველთვის თხოულობდა, რომ პოზნანის მღვდელმთავრად უსათუოდ პოლონელი ყოფილიყო. პოზნანის უკანასკნელ მღვდელმთავრად იყო კარდინალი გრაფი ლედუხოვსკი[6], რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ე.წ., ბისმარკისგან შემოღებულ „მაისის კანონებს 1873 წლისას“. ამის გამო ბისმარკმა აიძულა მთავარეპისკოპოსობიდან გადამდგარიყო და გასულიყო გერმანიიდან. ამ დროიდან პოზნანი უმღვდელმთავროდ იყო დარჩენილი. ბისმარკმა მოიწადინა თავისი კანდიდატი დაესვა მღვდელმთავრად, რაშიც პაპი არ ეთანხმებოდა. ბევრს ეცადა ბისმარკი, მაგრამ ვერ ახერხებდა პაპის დაყოლიებას პოზნანში მღვდელმთავრობის გერმანელებისათვის გადაცემაზე. მისი ყოველი მეცადინეობა შეიმსხვრა პაპის მედგრობასა და არ-დაყოლიებაზე. ბოლოს პაპის გულის მოსანადირებლად გადაწყვიტა სხვა ხერხი გამოეყენებინა. იგი მედიატორად მოიწვია გერმანიას და ისპანიას შორის კოროლინის კუნძულების გამო ატეხილ დავის განსახილველად. საქმის დასრულების შემდეგ კი პაპს სთხოვა პოზნანის მღვდელმთავრის საკითხი გადაეწყვიტა. საკითხი ისე გადაწყდა როგორც ეს ბისმარკს ჰქონდა ჩაფიქრებული – პოზნანის მთავარეპისკოპოსად დანიშნულ იქნა არა პოლონელი, არამედ გერმანელი.[7] „ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა პოლშელები. „ჩვენ დიდის გულის ტკივილით, მაგრამ მაინც კიდევ მართებულის მოთმინებით დავემორჩილებით მას, რაც პაპს უნებებიაო“, ამბობენ პოლშის გაზეთები“ (*ივერია* 1886: № 26).

მომდევნო ნომრის აღნიშნული რუბრიკა იუწყება თუ რა გაგრძელება მოჰყვა „საუკუნის ბარბაროსობად“ მონათლულ ბისმარკის გადაწყვეტილებას. გაზეთი ამ ფაქტის საშინელ გაგრძელებაზე ამახვილებს ყურადღებას – გერმანელებს სურთ გააგერმანელონ სლავიანები ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ. რასაც ბისმარკი პოზნანში აკეთებს, პოლონელების გაგერმანელებისათვის, იმასვე სჩადიან ავსტრიელი გერმანელები სხვა სლავიანების გასაგერმანელებლად. მოყვანილია ინგლისის ერთი გაზეთის (Pall Mall Gazette:) კორესპონდენცია:

ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ის უნდა ვსთქვათ ეხლა ჩვენც ამ პოლიაკებისა და სლავიანების დევნას რომ ვხედავთ ევროპაში ნემენცებისგანაო. აქამდინ პოლიაკებს ჩვენ ძლიერ ვეჯავრებოდით, ეხლა ნემენცებისაგან გულ-ნატკენნი უფრო-და-უფრო გვიახლოვდებიან და მეგობრობას გვიცხადებენო. პოლშელი მამულის შვილები თან-და-თან რწმუნდებიან, რომ უფრო ნამდვილი მამულის-შვილობა იქნება რუსების

მეგობრები და მოკავშირენი ვიყვნეთო. ამ აზრს გატაცებით ქადაგებდა უკანასკნელს დროს გამოჩენილი მტერი რუსეთისა ჩაიკოვსკი (სადიყ-ფაშა), პოლშელი ემიგრანტიო.
იმედი უნდა გვქონდეს, რომ არა თუ მარტო პოლიაკები, არამედ სხვა სლავიანებიც შეძრწუნდებიან, პოზნანის ამბებს რომ შეიტყობენო. როგორც პრუსია პოზნანში, ისე ავსტრია ბალკანის ნახევარ კუნძულზე ერთისა და იმავე სურვილით არიან გამსჭვალულნიო; ვენაში იმას კი არა ჰფიქრობენ, რომ სლავიანობა გაავრცელონ, არამედ გაანეიტრონ და ჰყვლიფონ ტევტონთა ჯიბის სასარგებლოდაო (*ივერია* 1886: № 27).

ივერიის კორესპონდენციაში ნათქვამია, რომ რუსეთი განვითარებულ მოვლენებს ისევ თავის სასარგებლოდ ხსნის და იმედოვნებს, რომ გერმანიის სასტიკი პოლიტიკა არა მარტო შექმნის პოლიტიკურ ერთობას პოლონელი ერისა, არამედ მთლიანად გააერთიანებს სლავიანებს. შექმნილი ვითარება დააახლოვებს და დაამეგობრებს პოლონელებს რუსებთან. ხან მტერი მოყვარეზე უკეთესია: შენ ნაკლულოვანებაზე მაინც დაგაფიქრებსო, შენიშნავს დაიჯესტის ავტორი, რომელიც მკითხველს აწვდის გაზ. *Русский Курьер*-ის ვენელი კორესპონდენტის ცნობას იმის თაობაზე თუ რა სამსახური გაუწია ბისმარკის სიტყვამ ავსტრიელ „პოლიაკებს“:

ავსტრიელი პოლიაკები და საზოგადოთ სლავიანები აღარ ეძლევიან ეხლა იმ სასიამოვნო ოცნებას; აღარ იტაცებს ის იმედი, ვითომ გერმანიის გაძლიერება ხელს შეუწყობდა და შეძლებას მისცემდა, სლავიანებს თავისუფლება მოეპოვებინათ. ბისმარკის უსამართლობა პოლიაკების მიმართ, მისი ძალ-მომრეობა მეხივით თავზე დაეცათ ავსტრიის სლავიანებს. ესენი მხოლოდ ეხლა მიჰხვდნენ, რომ ბისმარკისა და სლავიანების ფიქრები ძალიან შორი-შორს არიან; დარწმუნდნენ, რომ სლავიანების თავისუფლებისა და გერმანიის გაძლიერებას შორის საერთო არაფერია; სლავიანებმა შეიგნეს, რომ ამ ორ ისტორიულ მიმდინარეობას შუაში დიდი მანძილი უდევს, – დიდი განხეთქილება და ამ განხეთქილების მოსპობას ვერც მთავრობა შესძლებს, ვერც დიპლომატია...დიდი ხანია, ავსტრიელს პოლიაკებს და საზოგადოდ სლავიანებს ასე უნდა ეფიქრათ, თორემ სადაურია: პეტრე არ ვარგა ივანეს მივმართოთო, ივანე პეტრეზე უარესი გამოდგა, ახლა თევდორეს ხელი უნდა გავუშვიროთო! არც პეტრე, არც ივანე და არც თევდორე სხვისთვის თავს არ შეიტკენენ, სხვის საქმეს ხელს არ შეუწყობენ (*ივერია* 1886: №31) !

ფრიად საინტერესოა მოყვანილი ფაქტებთან დაკავშირებული კომენტარიც: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს“, ამაზე ფიქრი და ზრუნვა გვმართებს ჩვენც, აღნიშნულმა ეპიზოდმა ეს ფიქრები უნდა აღძრას ქართველ მკითხველებში.

ე. სმითის მითითებით, ნაციებს საკრალური საფუძვლები აქვთ. საკრალურობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სამშობლო მიწის, როგორც წმინდა მიწის, განცდა, რომელიც უკავშირდება საერთო ბედისწერას, ქვეყნისათვის თავშეწირულ გმირებს, რომელთა ხსოვნის რიტუალური გააქტიურება ერთობის წევრთა ცნობიერებაში ნაციონალისტ ლიდერთა მუდმივ საზრუნავ შეადგენს. ერთობის ნაციონალიზაციის პროცესში ხდება წმინდა მახსოვრობათა ტერიტორიალიზება და გმირული ისტორიული ეთნოლანდშაფტების ჩამოყალიბება (სმითი, 2004: 161-165).

რუბრიკაში *ნარკვევი* გრძელდება მსჯელობა მეცხრამეტე საუკუნის გერმანიის ბარბარსული გადაწყვეტილების თაობაზე და ამჯერად აქცენტები გაკეთებულია ნაციონალური იდენტობისა და ტერიტორიულ ურთიერთკავშირზე:

უცნაური არა არისო, ამბობს გაზეთი *Новости*, რომ სახელმწიფო ერთს მშვენიერს დღეს მთელს ერს ავაზაკთა გუნდად აღვიარებს, საშინელს, სასტიკს სასჯელს უნიშნავს და ქვეყნიდამ სრულიად ერეკება. უცნაური არ არის აგრეთვე ის საშუალება, რომელიც ბისმარკს განუზრახავს, რომ პრუსიის სახელმწიფოს აღმოსავლეთი ნაწილი გაანემენცოს. აქამდინ სახელმწიფო წეს-წყობილების ძალით მამული წაერთმეოდა რომელსამე ქვეშევრდომს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეშევრდომს სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულობას შესწამებდნენ და დაუმტკიცებდნენ. ეხლა თავადს ბისმარკს, როგორც ეტყობა, ახალი კანონი შემოაქვს. ამ ახალის კანონის ძალით კაცს შეიძლება მამული წაერთოს იმ მიზეზით, რომ ესა და ის კაცი საეჭვოა, მნელი მისანდობელიაო. ბისმარკმა თავის გამოჩენილს სიტყვაში პირ-და-პირ ასე სთქვა: მე სრული ნება მაქვს პოლიაკებს მამულები წავართო და ახალმოშენე ნემენცს მივცეო. რასაკვირველია, ბისმარკი იმოდენა უსამართლობასაც არ ჩაიდენს, რომ მამულის პატრონებს მამულის ღირებული ფასი არ მისცეს. მაგრამ აქაც ერთი დაბრკოლება იბადება. საეჭვოა, რომ პოლიაკები – მემამულეები დათანხმდნენ და თავის ნებით გამოეთხოვნენ მამა-პაპეულს მამულებს, იმ სამშობლო ადგილს, რომელიც ამათ თავიანთ წინაპრებს, თავიანთ საკუთარ ყმაწვილობას, შვილების ბედნიერებას მოაგონებს. მაშ ბისმარკმა, სხვა რა ღონეა, ძალა უნდა იხმაროს: პოლიციელებით და ჟანდარმებით უნდა გააძეოს პოლიაკები თავიანთ საკუთარ მამულიდამ.

ისეთი რა დააშავეს „პოლიაკებმა“, რომ ასე შეუწყალებლად ექცევიან? მიზეზს, ნუ იკითხავ, მკითხველო. – საკმაოა, რომ ბისმარკმა ასე ინება. „პოლიაკები“ მხოლოდ იმაში არიან დანაშაულში, რომ „ნემენცებათ“ არ არიან დაბადებულნი (*ივერია* 1886: №32).

რუსული გაზეთი თვალსაჩინოდ მიუთითებს პოლონელთა მიჯაჭვულობას ტერიტორიაზე. მათ ისტორიულ მიწა-წყალს, რომელიც წინაპრების, წმინდანების, გმირების მეხსიერების უნიკალურ საცავს წარმოადგენდა, მითვისებას უპირებდა „უცხო/სხვა“ იდენტობა. გაზეთი იმედს გამოთქვამს, რომ პოლონელები ასე იოლად არ დათმობენ მათსავე სამკვიდროს – მამულს. ამგვარივე ინტერესი პოლონელთა მიწა-წყლისადმი ცოტა ადრე რუსეთის მხრიდანაც გამოკვეთილა. მაგრამ ამ საქმეში ხელი მოეცარა რუსეთს. ახლა კი როდესაც ბისმარკი ერთი ხელის მოსმით ყველაფრის გაქრობას აპირებს, რასაც პოლონელთა ნიშან-წყალი ატყვია, რუსული გაზეთები აშკარად გამოხატავენ თავიანთ აზრს. 34-ე ნომრის რუბრიკა *ნარკვევში* წარმოდგენილი მასალა რუსული გაზეთის *Московския Ведомости*-ს აზრზე ამახვილებს ყურადღებას – თუ ბისმარკისათვის სულ ერთი იყო სად წავიდოდნენ ან რაში დახარჯავდნენ პოლონელი მემამულეები მამულებში აღებულ ფულს, ეს ასევე სულერთი არ იყო რუსეთისათვის, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობდა აქ დამკვიდრებას. თუმცა ამ მცდელობიდან, როგორც რუბრიკის დაიჯესტიდან ვიტყობთ, არაფერი გამოუვიდა:

> 1863 წლის არეულობის შემდეგ ჩვენცა ვცდილობდით პოლიაკების მამულები რუსებს შეეძინათ, ეს ცდა ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ ამ ცდიდამ მაინც არაფერი გამოვიდა. თითო-ოროლა მამულის პატრონი თუ დასახლდა თავის ახლად შეძენილს მამულში, თორემ უმეტეს ნაწილს მერე ერთხელაც ზედ არ დაუხედნია. სახელი ძვირად დაგვიჯდა, სახრავი კი არა გამოვიდა რა. ეხლა ხომ, მგონი, რუსების მიწისმფლობელობის კვალიც აღარ დარჩება პოლშაში: უეჭველია მამულები ასე თუ ისე პრუსიიდამ გადმოსახლებულ პოლიაკ-მებატონეთ და იმათ ავან-ჩავანების ხელში გადავა. ნუ თუ ეს ჩვენთვის სასურველია? როდესაც პრუსიის მინისტრი პუნტკამერი მთავრობის განზრახვას და მოქმედებას ესარჩლებოდა, სხვათა შორის ისიც წარმოსთქვა, რომ ვისლის ორივე ნაპირზედ ნემენცების დასახლება ჩვენთვის სასარგებლო და საჭიროა. რის თქმა უნდოდა პრუსიის მინისტრს ამ სიტყვებით, ეს ჩვენთვის სულ-ერთია, რამდენად „სასარგებლო და საეჭვო“ რუსეთისთვის ნემენცების გაძლიერება ვისლის ნაპირებზე ჩასაფიქრებელია; და რომ ჩვენთვის რუსების დასახლება და განძლიერება ამ მხარეში არამცთუ „სასარგებლოა“, არამედ აუცილებლივ „საჭიროც“ არის იმავე მიზეზის გამო, რა მიზეზითაც პრუსია ცდილობს ამ ადგილების განემენცებას, ამას თქმა აღარ უნდა: ნაპირები უთუოდ შუა-გულს უნდა შეუერთდეს, შეუუღლდეს. ამას მოითხოვს სახელმწიფო სიმკვიდრე და სიმტკიცე. სახელმწიფო ვერ შეიწყნარებს თავის ნაპირზე უცხო ერსა და მით უფრო იმ ერს რომელიც მტრულის თვალით გამოიყურება (*ივერია* 1886: №34).

გაზეთის აზრი აშკარაა. ცალსახად აღნიშნავს, რომ მიწა-წყალი, რომლის ხელში ჩაგდებას აპირებს ბისმარკი, პოლონელთა ისტორიული კუთვნილებაა და „უცხოელები“ ვერ დამკვიდრდებიან, ვინაიდან ერთობის ისტორიული მიწა-წყალი საკრალურ ადგილს წარმოადგენს საერთო ღირებულებებით, სიმბოლოებით, ტრადიციებით, რომლებიც ამმაფრებენ და აღვივებენ იდენტობის შიდაჯგუფურ სენტიმენტებს; მართალია, ამ ეპიზოდში გამოხატული მხარდაჭერა და თანადგომა ისევ და ისევ იმპერიულ ზრახვებს უკავშირდება, მაგრამ ერთი რამ ნათელია „სახელმწიფო ვერ შეიწყნარებს თავის ნაპირზე უცხო ერს“. ეს აზრი უფრო და უფრო მყარდება რუბრიკის *უცხოეთი* პუბლიკაციით გერმანიის შესახებ, რომელიც იუწყება, რომ ლამბერგში პოლონელთა ყველა ფენის წარმომადგენლები: მიწათმფლობელები, ვაჭრები, მეფაბრიკეები, მექარხნეები შეკრებილან და გადაუწყვეტიათ,

> დღეის იქით არაფერი იყიდონ-რა გერმანიისაგან და ნემენცების ნაწარმოებს არაფერს არ მიეკარონ. ვარშავიდამ ყველა სასტუმროებს, ყავახანებს აუღიათ და კლადერაჯის რედაქციისათვის უკანვე გაუგზავნიათ კლადერაჯის ნომრები და მიუწერიათ: ნუღარ გამოგვიგზავნითო, და რაც მის დასაკვეთად ფული გამოგვიგზავნია, ისიც თქვენთვის გვიჩუქებიაო.

კლადერაჯი, რომელსაც პროტესტს უცხადებენ პოლონელები, გერმანული გაზეთია და ყოველთვის პოლონელთა ავად მხსენებელი ყოფილა. გარდა ამ პროტესტისა, გამოჩენილ პოლონელ მწერალს მილკოვსკისაც, რომელიც „იოჟას“ ფსევდონიმით აქვეყნებდა ნაშრომებს და იმ დროისათვის შვეიცარიაში იმყოფებოდა, მიუწერია პოლონელთა განდევნის გამო ბისმარკისათვის. წერილი მართებული საბუთებით ყოფილა შედგენილი ისეთი თვალსაჩინო სიმართლით, რომ „ბასრ ხმალზედა უფრო ძლიერ ჰსჭრის და ძლიერ მოჰქმედობს“ (*ივერია* 1886: №33).

მედიის როლს საერთო მობილიზაცია-დარაზმულობის საკითხში თვალსაჩინოდ წარმოაჩენს 37-ე ნომრის რუბრიკა *უცხოეთი*. აქ წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ავსტრიის რეიხსტაგის დეპუტატთა

პალატაში, გერმანელების დასს უკმაყოფილება გამოუთქვამს ბისმარკის უპატიურად მოხსენიების გამო და გაუკიცხავთ ავსტრიის მართებლობა ყველაფერი პოლონურის გულმოდგინე და განზრახ მოწონებისათვის. მართებლობის მიმართ მეტისმეტი კრიტიკული სიტყვით გამოსულა დეპუტატი კრონავეტერი:

> ვწუხვარ, რომ მმართებლობა ნებას აძლევს პოლშურს გაზეთებს ისეთის უშვერის სიტყვებით ლანძღონ ბისმარკიო. ამის დასამტკიცებლად ორატორმა გაზეთიდამ *Dziennik polski*, რომელშიაც ბისმარკზე პოლშელს მწერალს ლაზას დაუწერია გერმანიის კანცლერზე, ვითომც „ბისმარკი ისე თვრებაო რომ გონებასა ჰკარგავსო“. პალატის პრეზიდენტს უთქვამს, რომ ეგ ნომერი აღკრძალულ იქმნაო. ეგ ტყუილი თავის გამართლებაო – უპასუხნია ჭირვეულს დეპუტატს: ლაზას წერილი ყველასა აქვს გალიჩინაშიო (*ივერია* 1886: № 37).

როგორც მასალიდან ჩანს, გამოკვეთილია მედიის აქტიურობა. მედია ავრცელებს ხალხში განთავისუფლების იდეალებს, რაც ერთგვარ შიშს ბადებს ბისმარკის მომხრეებში.

ივერიაში ასევე წარმოდგენილია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მოეღოს ბოლო სამუდამოდ იმგვარ უკიდურეს მდგომარეობას, რომელიც ეწვია პოლონელებს. რა საშუალება უნდა მოიგონოს კაცობრიობამ, რომ გადაარჩინოს მცირე ერნი იმ საშინელ შედეგისაგან, რომელიც მოსდევს პოლიტიკურ ბარბაროსობას?

ამ საკითხის თაობაზე, *ნარკვევის (ჟურნალ-გაზეთებიდამ)* რუბრიკის ინფორმაციით, გაზეთებში ერთმნიშვნელოვანი აზრი გამოთქმულა – უსათუოდ უნდა მოეღოს ბოლო პოლიტიკურ ბარბაროსობას. რუსულ გაზეთ ***Русскый Курьерь***-ს პრობლემის მოგვარება ევროპის სახელმწიფოთა კონგრესის საქმედ დაუსახელებია.

> ...კონგრესმა უნდა დაადგინოს, რომ ყველას, – ერი იქნება, თუ კერძო პირი, – ნება ჰქონდეს გადასახლდეს იქ, სადაც მას ესურვება, ერთი სახელმწიფოდამ მეორეში, მეორედ, უნდა აღიაროს და განემტკიცოს სამღვთო უფლება ყოველის ადამიანისა. დარჩეს და იცხოვროს უშიშრად თავის ღვიძლს და სამშობლო ქვეყანაში (*ივერია* 1886: № 157).

სანამ ევროპის კონგრესი ამ საკითხზე მსჯელობას გადაწყვეტდა და გამართავდა, საქმე ვერ ითმენდა, ბისმარკი ჩქარობდა თავისი წადილის სისრულეში მოყვანას, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა პოლონურ იდენტობას. ასეთ ვითარებაში ყველაზე კარგი გამოსავალი იყო პოლონელი ერის გამოფხიზლება და მობილიზაცია. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა საზოგადოებრივად მოაზროვნე საზოგადოების წევრებს. პოლონელმა ერმა არ დააყოვნა და საკუთარი რიგებიდან გამოსული წარჩინებული წარმომადგენლების აქტივობამ, ბისმარკის ბარბაროსული პოლიტიკის წინააღმდეგ ძლიერი საზოგადოებრივი ერთობის მობილიზაცია მოახდინა. ხალხმა ცხადად შეიგრძნო დიდი საფრთხე და აქტიურად ჩაერთო ამ საქმის მოგვარებაში. სწორედ აღნიშნულ ფაქტზე ამახვილებს ქართველ მკითხველთა ყურადღებას 1889 წლის 231-ე ნომრის *ფელეტონი*[8]: „პოლშელმა საზოგადოებამ იგრძნო, რომ თუ პოზნანში ამოვარდება პოლშელთა ხსენება ეხლა ამოვარდებაო, რაკი მიწა-წყალს გერმანელნი შეისყიდვენო“.

როგორც ზემოთ მივუთითე, შიშმა და მონდომებამ საერთო მობილიზაცია გამოიწვია პოლონურ საზოგადოებაში. ამ საქმის ინიციატორად პოლონელებს ქვრივი ქალი მოევლინა, რომელმაც თავისი ღარიბული ქონების ნახევარი გაყიდა და ფულადი დახმარება გაუწია პოლონელ გლეხობას „რაკი ბისმარკს ვითომ გლეხობისთვის ემეტება მამულები, ბარემ პოლშელმა გლეხობამ შეისყიდოს პოლშელ მებატონეთა მიწები და არა გერმანელთა გლეხობამაო“. ამ კეთილშობილმა მაგალითმა მოიცვა პოლონელი ხალხი. პოზნანში თუ სხვაგან, ქალები თუ კაცები თანაბრად ჩაერთვნენ ამ სამამულოშვილო საქმეში და ასე გროშ-გროშობით მოაგროვეს რამდენიმე მილიონი. თანხა ძირითადად შეგროვილა ღარიბთა შემოწირულობიდან. ევროპა განუცვიფრებია საქმის სიდიადეს. გაკვირვებას იწვევდა ის ფაქტი თუ როგორ შეძლო ღარიბთა ფენამ ამხელა თანხის მოგროვება. შეგროვდა, რადგან „შემოწირულობა მოსწყდა, მოჰხეთქა მთელი პოლშელ ერისაგან“ - ო – მიუთითებს წერილი. აქ საზოგადოებრივი პერცეფციები იკვეთება – პოზნანის პოლონელთა სატკივარის მთელი ერთობის სატკივარად აღქმულობამ განაპირობა ბარბაროსული სურვილის შეჩერება და დაწინაურებულ საზოგადოებას ბედნიერებად გადაექცა ბისმარკის გადაწყვეტილება.

> ბედნიერებაც ის არის რომ მიწა გადადის ერთი წოდების ხელიდან, რომელმაც არ იცის იმისი გამოყენება, მეორე წოდების ხელში, რომელსაც ასე ლამაზად ესმის ყადრი და ფასი მიწისა და რომელიც, თუ-კი ერთი ჩაჰკიდა ხელი, სწორედ კბილით დაეჯაჯგურება და უსიკვდილოდ აღარ გაეყრება თავის მიწას.

წერილი მრავალმნიშვნელოვანია იდენტობრივი საკითხების კვლევის თვალსაზრისით. აქ ერთმანეთს არის გადაჯაჭვული ეროვნული, გენდერული, სოციალური, ეკონომიკური, ტერიტორიული იდენტობის პრობლემები. სათავეში ქალი დგას სამაგალითო ინიციატივით. ინიციატივაში კი წამოწეულია საზოგადოების დაწინაურებული წარმომადგენლების როლი და მნიშვნელობა იდენტობის არსებობის განგრძობის თვალსაზრისით. სწორედ ასეთი დაწინაურებული პირია პოლონელი ქვრივი ქალი, რომელიც დიდ როლს ასრულებს პოზნანში პოლონური იდენტობის გადარჩენაში. შიში იმისა, რომ სხვა იდენტობის სოციალური კატეგორიის, კერძოდ, გერმანელ გლეხთა ხელში არ გადასულიყო ისტორიული მიწა-წყალი – პოლონელ მემამულეთა მამულები, გამოაფხიზლებს დაწინაურებულ წევრებს საზოგადოებისა (*ივერია* 1889: №231).

როგორც კი 1890 წელს ბისმარკის „რკინის პოლიტიკას“ ბოლო მოეღო და ბისმარკი სამსახურს დაეთხოვა, მისი წასვლის შემდეგ, შეიცვალა შინაური პოლიტიკა პოლონელების მიმართ. *მეთური წერილი*[9] მთავრობის მიერ პოლონელთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლას იუწყება. უკვე არამცთუ ისე აღარ ავიწროებდნენ პოლონელებს, არამედ მათი გულის მოგებას ცდილობდნენ. ეს გამოიხატა პოზნანის და გნეზნოს მთავარეპისკოპოსად წარმომავლობით პოლონელის პრელატი სტაბლევსკის[10] დანიშვნაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონია პოზნანის მთავარეპისკოპოსს პოლონეთის თავისუფლების დროს, როცა დროებით მეფე არ ჰყავდა ქვეყანას, ის ასრულებდა მეფის მოვალეობას. ამიტომაც ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა თუ ვინ დაიკავებდა ამ თანამდებობას.

წერილში სტაბლევსკი დახასიათებულია, როგორც რუსეთის მოძულე და მტერი. პრელატ სტაბლევსკის კათოლიკეების კრებაზე ქ. ტორნში კრიტიკული სიტყვა წარმოუთქვამს, მძულვარებით მოუხსენიებია რუსეთი და თავის მსმენელთ უმოძღვრებდა თუ რა საშიშია ევროპის კულტურისთვის ეს მძლავრი სახელმწიფო.

> რუსეთი საშიშია იმდენად, რამდენადაც მას მთელი ქვეყნის დამორჩილების სურვილი ამოძრავებს. თუ აღმოსავლეთიდან ამოვარდება საშინელი ქარიშხალი, რომელიც მთელს ევროპას მრავალ უბედურებას შეამთხვევს. ამ სამწუხარო დროს დასავლეთის გვერდით უნდა დავიჭიროთ ადგილი, ჩვენ პოლშელები ქრისტიანები ვართ, სულით და ხორცით ვეკუთვნით დასავლეთს, რომელთანაც გვაერთებს სარწმუნოება (1892: №9).

გნეზნო-პოზნანის მღვდელმთავრად პოლონელთათვის მისაღები პირის დანიშვნას შემდეგი ნაბიჯი მოჰყვა – სასამართლოს საქმეების პოლონურად წარმოების (*ივერია* 1893: №179) და სკოლებში პოლონურად სწავლების მოთხოვნა. მშობლებს თხოვნით მიუმართავთ პრუსიის საერო განათლების მინისტრ გრაფ ცედლიცისათვის შვილებისთვის სამშობლო ენის სკოლის სადგურებში სწავლების თაობაზე. ცედლიცს სასკოლო პროექტის შედგენისას გაუთვალისწინებია მშობლების თხოვნა, რისთვისაც კანონის განხილვის დროს დეპუტატებს გაუკრიტიკებიათ კიდევაც.

საყურადღებო სიტყვით წარმდგარა ცედლიცი. მას აღუნიშნავს, რომ პრუსიის მთავრობა არასოდეს აიძულებდა (ბისმარკის დროსაც კი) პოლონელებს დაევიწყებინათ თავიანთი სამშობლო ენა, ამგვარმა დამოკიდებულებამ ის შედეგი გამოიღო, რომ თვით პოლონელებს გამოუჩენიათ გერმანული ენისა და კულტურის შესწავლა-შეთვისების ინტერესი, რასაც იმათთვის, დიდი სარგებლობა მოუცია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. პოზნანში ორ ენაზე – პოლონურად და გერმანულად საუბრობენ. ცედლიცის მითითებით, ორივე ენის ცოდნა ეკონომიკურ წარმატებას მოუტანდა გერმანელებსაც, რომლებმაც ვერ აუღეს ალღო სწორედ ენის უცოდინრობის გამო ვაჭრობა-მრეწველობას. ვაჭრობა-მრეწველობაში კი ის იმარჯვებს ვინც უფრო მეტად შეუფერებს თავს ცხოვრების მოთხოვნილებას. ამ ნიშნით აჯობებს პოლონელებმა გერმანელებს. აღნიშნულ საკითხზე დაფიქრებისაკენ მოუწოდებდა ცედლიცი პროექტის განხილვისას დეპუტატებს (*ივერია* 1892: №42).

პოლონელთა ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას ასახავს რუბრიკის *უცხოეთი* წერილი გერმანიის შესახებ. წერილი გვაწვდის დიდი ეროვნული მოძრაობის გააჩაღების ამსახველ მაგალითებს, რომელთა შორის საყურადღებოა პოზნანის კათოლიკეთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის დაარსებისათვის ხელის შეწყობის შესახებ; ასევე, მღვდლების ქადაგება პოლონურ ენაზე განათლების მიღების თაობაზე; ხელის შეწყობა ზემო-სილეზიის საოსტატო სემინარიებში, მეტი პოლონურად მოსაუბრე მასწავლებლების მომზადებისათვის, გაგერმანელებულად მიჩნეულ ერმლანდში გასაგზავნად; ეპისკოპოს ტილეს ბრძანება საღვთო წერილის პოლონურად სწავლების თაობაზე; ზრუნვა თვითსახელწოდებების დაბრუნებაზე – გერმანული სახელწოდებების ისევ პოლონური სახელწოდებებით შეცვლა (მაგ. ერზიცს ისევ ეციჟი ეწოდა, გურტბონს – გურტონი და სხვ.); პოლონელთა პროტესტი იმ გამოფენის კომისიის

წევრობაზე პოზნანში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა გერმანიის საკოლონიზაციო კომისიის თავმჯდომარე, ვიტენბურგი; პოლონელთა უმთავრესი გაზეთების მოწოდება პოლონურად საუბრის შესახებ

> ყველა სავაჭრო ადგილას, დუქნებსა და მაღაზიებში, აგრეთვე რესტორნებში პოლონური ლაპარაკი იყოსო. საცა პოლონური ლაპარაკი არ იყოს იქ ნურც ივლით და ნურც იყიდით რასმეო. ერთი სიტყვით, პოლონელთ უნდათ შეჰკრან გერმანელთა ვაჭრობა პოზნანში. პოლონურ ეროვნულ ძალ-ღონის სავარჯიშებლადა და განსამტკიცებლად არსდება ახლა ყველგან პოლონელ მასწავლებელთა საზოგადოებანი. საზოგადოთ, პოლონელები დიდად მეცადინეობენ, რომ კვლავ დაიბრუნონ ის ადგილნი, საცა არევით სცხოვრობენ გერმანელნი და პოლონელნი და, თუ შესაძლებელია, გააპოლონელონ კიდეც წმიდა გერმანიის ქვეყნები (*ივერია* 1894: №127).

როგორც ვხედავთ, წერილი მკითხველის ყურადღება იქცევს პოლონელთა განსაკუთრებული აქცენტირებით კულტურული ელემენტებისადმი. პირველი და უმნიშვნელოვანესი რაზეც საუბარია, არის უნივერსიტეტის დაარსებისათვის ხელშეწყობა. საუნივერსიტეტო განათლების შემოღება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა იდენტობის ისტორიისათვის. უმაღლესი განათლება წარმოშობს განათლებულ ფენას – ინტელიგენციას. ინტელიგენცია კი, სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებული შეხედულებით, გადამწყვეტ როლს ასრულებს ნაციონალურ მოძრაობაში. ასევე საზოგადოებრივი განათლების ამაღლების მიზანს ემსახურებოდა პოლონელ მასწავლებელთა საზოგადოებების დაარსებაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია ზრუნვა სამშობლო ენაზე. ენა, როგორც ზემოთ მივუთითე, იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მარკერია. სწორედ ამ ნიშნით იყო განპირობებული აქტიური პროპაგანდა საზოგდოებაში სამშობლო ენაზე სწავლების აუცილებლობის შესახებ: სასულიერო პირები პოლონურად სწავლებას ქადაგებდნენ, პოლონურად საუბარს მოუწოდებდა საზოგადოებას ბეჭდური მედიაც. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პოლონელებმა დაიწყეს თვითდასახელებების დაბრუნებაზე ზრუნვა, რითაც ხდებოდა იდენტობის ისტორიული ტერიტორიების განსაზღვრა.

იდენტობის ფორმირების თვალსაზრისით ერთ-ერთი მთავარი საკითხია სახელოვანი მამულიშვილების თემა. შემთხვევითი არ არის, რომ *ივერია* აქვეყნებს წერილს ადამ მიცკევიჩის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ეროვნულ მოღვაწედ ევლინება პოლონელ ხალხს. ერის წინაშე მისი ღვაწლი თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი წერილში ჩართულ პოლონელი ფილოსოფოსის პიოტ ხმულიოვსკის აზრში მიცკევიჩზე.

> ასეთი იყო ღირსება უდიდესის პოეტის გენიოსისა, რომელიც დაჰბადა პოლონეთმა: როგორც კაცი, უწუნო იყო, სულგრძელი და შეუდრეკელი; როგორც მამულიშვილს უყვარდა თავისი სამშობლო განუსაზღვრელად და საზოგადო საქმეს ყოველთვის მაღლა აყენებდა პირად ინტერესებზე; როგორც პოეტმა, ყველაზედ უკეთესად იგრძნო და დაჰხატა ჩვენი ქვეყნის ბუნება, ჩვენი ხასიათი, შეხედულობა, მიმართულება, გრძნობა-მწუხარება, საგანი მისის აღფრთოვანებისა ის-კი არ იყო, რაც წარმავალია და ცვალებადი, არამედ რაც უფრო ძლიერია, რომლის ღონიერ ფესვებს გაუმაგრებიათ ძირი ერისა და ხალხისნობის ნიადაგში და რომელიც მას აფხიზლებს და მუდმივად ამობრავებს იმისს აჩქარებულს გულისცემას, მან შეჰქმნა და წააქეზა მთელი ლეგიონი მწერალთა, რომელნიც მის კვალს მისდევდნენ; მან გააცნო განათლებულ ქვეყანას ჩვენი პოეტური შემოქმედების ძალა მას უყვარდა და თავს სწირავდა მილიონს და იმიტომაც ეს მილიონი არამცთუ თაყვანს სცემს, არამედ მისი მხურვალე სიყვარული ადამ მიცკევიჩის მიმართ გამოუთქმელია (*ივერია* 1898: №276).

ამ მაგალითებით მედია-ორგანო კრავდა საზოგადოების „გათითოკაცებულ“ წევრებს და უცხოთა მამულიშვილების ეროვნული ღვაწლის წარმოჩენით ქართველ მკითხველებში საკუთარი ვინაობის დაცვისათვის შემზადებას უწყობდა ხელს.

ზემოთ განხილულ პუბლიკაციებში აღვნიშნე, რომ ბისმარკის მონდომებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ადვილი არ აღმოჩნდა პოლონელთა გაგერმანელება. ფული და ძალაუფლება საკმარისი არ იყო დენაციონალიზაციისთვის. ამან გერმანელები განარისხა და როგორც 1901 წლის 177-ე ნომრის *ფელეტონიდან*[11] ვგებულობთ, დაიწყო პოლონელთა დევნის ახალი ეტაპი. ღალატის და სეპარატობის ნიშნით დაიწყეს პოლონელთა დაპატიმრება. ამგვარი დამსჯელი ოპერაციები უსამართლო ხასიათს ატარებდა. ღალატსა და სეპარატობაში ხშირად მცირეწლოვან ბავშვებსაც სდებდნენ ბრალს. ამის მაგალითად დასახელებულია ტორუნის სასამართლოში დანიშნული პოლონელი მოსწავლეების საქმეების განხილვა. მოსწავლეებს (ქალაქ ხელმინის, ბროდნიცის, ტორუნის საშუალო სკოლის მოსწავლეები) ბრალად ედებოდა ურთიერთობა პოლიტიკურ საზოგადოებებთან „ერთობა“ და „კავშირი“. გამოძიებით გამოირკვა, რომ „კავშირის“ საიდუმლო შეხვედრებზე მოსწავლეები სწავლობდნენ პოლონურ

ლიტერატურას. პრუსიის მოხელენი ამტკიცებდნენ, რომ მოსწავლეთა წრეს საგნად არა ლიტერატურული, არამედ პოლიტიკური საქმეები ჰქონდა და ცდილობდა მოსწავლე ახალგაზრდობაში ეროვნული თვითცნობიერების გაძლიერებას. რასაკვირველია, ასეთი დასჯით გერმანია სასურველ შედეგს ვერ მიიღებდა, პირიქით ხელს უწყობდა ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას. ამას ადასტურებს წერილში მოხმობილი წინა წელს[12] ქ. ვრეშენის სკოლაში მომხდარი არეულობა (*ივერია* 1901: №177). გერმანიის მთავრობას აუკრძალია პოზნანის სკოლებში საღვთო სჯულის პოლონურად სწავლება, რასაც ქ. ვრეშენის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების პროტესტი მოჰყოლია. ბავშვები სასტიკად დაუსჯიათ. დედები (200 დედა) შევარდნილან სკოლაში და არეულობა გამოუწვევიათ. უწესოების მოწყობის და გერმანელების წინააღმდეგ ხელის აღმართვის ბრალდებით დედები გაუსამართლებიათ და დაუპატიმრებიათ (*ივერია* 1901: №251).

ამავე წლის 206-ე ნომრის *ფელეტონიც* (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით ი. ა – ძე // ილია ბახტაძე) პოლონელი მოსწავლე-ახალგაზრდობის დასჯის შესახებ იუწყება. როგორც წერილი იუწყება, 180 პასუხგებაში მიცემული მოსწავლიდან 80 მოსწავლე გაუთავისუფლებიათ, ვინაიდან ვერაფერი აღმოუჩენიათ დაპატიმრების მიზეზად. ყველა ბრალდებულს ერთი და იგივე მიზეზი დაუსახელებია – ტყეში ვიკრიბებოდით პოლონური ლიტერატურის საკითხავად და სამშობლოს ისტორიის შესასწავლადო, რადგან გიმნაზიაში აკრძალული გვაქვსო (*ივერია* 1901: №206).

251-ე ნომრის *ფელეტონი* (ავტორია ფსევდონიმით ი. ა – ძე // ილია ბახტაძე) კვლავ პოლონელთა გაძლიერებულ დევნაზე ამახვილებს ყურადღებას. გერმანიის მთავრობის მოთხოვნას – ხელი აიღონ სამშობლო ენაზე, დაივიწყონ სამშობლო ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება და განემეცდნენ, პოლონელთა პროტესტს უფრო და უფრო ამძაფრებდა. ვინც მოთხოვნებს ეურჩებოდა ყველას აპატიმრებდნენ. ამჯერად პოზნანში გამართულა დაპატიმრებული სტუდენტების სასამართლო საიდუმლო კავშირის ბრალდებით. როგორც წერილი იტყობინება უნივერსიტეტის პროფესორები ზიზღით უყურებდნენ და სიძულვილით ექცეოდნენ პოლონელ ახალგაზრდობას. ერთ პროფესორს გამოუცხადებია „პოლონელებმა გადასახადები უნდა გაიღონ, სამხედრო ბეგარა გადაიხადონ და ენა დაიმოკლონ, მეტი იმათ არაფერი ეკითხებათო“. ბრესლავის ანატომიის ინსტიტუტის პროფესორს გასეს დაუყვირია თამბაქოს მწეველი სტუდენტისათვის „მომაშორეთ ეგ თქვენი პოლონური სიბინძურეო“. პოლონურ ენას სასტიკად დევნიდნენ გერმანელი სტუდენტებიც. ერთი პოლონელი სტუდენტისათვის, რომელიც პოლონურად საუბრობდა თანამემამულეებთან, მოუთხოვიათ გერმანულად საუბარი. ლაიპციგის უნივერსიტეტში აუკრძალავთ ანატომიის ინსტიტუტში პოლონურად საუბარი (*ივერია* 1901: №251). ასევე გერმანიის მთავრობას აუკრძალია პოზნანის სკოლებში საღვთო სჯულის პოლონურად სწავლება, რასაც ქ. ვრეშენის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების პროტესტი მოჰყოლია, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ ფაქტებს გერმანიაში, ავსტრიასა და რუსეთში მცხოვრებ პოლონელებში დიდი აღშფოთება გამოუწვევია. ავსტრიასა და ვარშავაში დემონსტრაციები მოუწყვიათ პოლონელებს. სენკევიჩს[13] მკაცრად გაუკრიტიკებია გერმანიის კოლონიალური პოლიტიკა და გერმანელთა მსხვერპლ პოლონელთა დასახმარებლად ფულის შეგროვებისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას, გარკვეული თანხა (100 000 მანეთი) შეგროვილა კიდეც. ყველაზე მეტად გერმანელებს პოლონელების სიმტკიცე და გაუტეხელობა აბრაზებდა. მართლაც გასაკვირი იყო პოლონელთა სიმტკიცე. ვერც „საკოლონიზაციო კომისიამ“, ვერც ენის აკრძალვამ, ვერც ადგილებისათვის სახელების შეცვლამ (ბევრგან შეუცვალეს სახელები თურმე ქალაქებსა და სოფლებს და უწოდეს მაგალითად, ბისმარკის სოფელი, მოლტკეს ქალაქი, ვილჰელმის დაბა და სხ.) შეასუსტა პოლონელთა სიმტკიცე. დიდი თავსატეხი გაუჩნდა გერმანიას პოლონელთა სახით. მათი მედგრობის შესასუსტებლად გერმანული გაზეთი ***Alldeutscher Blätter*** მთავრობას უკიდურესი საშუალებების გამოყენებასაც-კი ურჩევს.

> უნდა აიკრძალოს ყველა პოლონური გაზეთი, რომელიც-კი პრუსიაში იბეჭდება.
> უნდა აიკრძალოს პოლონური წიგნების ბეჭდვა.
> ფოსტას უნდა აეკრძალოს იმ პოლონურ გაზეთებისა, ჟურნალებისა და წიგნების შემოტანა, რომელიც პრუსიის გარეთ იბეჭდება.
> აეკრძალოს პოლონელებს ადგილების შეძენა იქ, სადაც გერმანელნი სცხოვრობენ.
> აიკრძალოს პოლონურად ლაპარაკი ყველა საზოგადო დაწესებულებაში.
> აეკრძალოს მღვდლებს პოლონურად ქადაგების წარმოთქმა.
> ის ბავშვები, რომლებიც სამღვთო სჯულის გაკვეთილზედ არ მოისურვებენ გერმანულად ლაპარაკს, ძალით მოთავსებული უნდა იქმნენ გამასწორებელ პანსიონებში (*ივერია* 1901: №272).

სკოლების შემდგომ პოლონელებს დევნა უმაღლეს სასწავლებლებშიც დაუწყეს. შარლოტენბურგში უმაღლესი სატეხნიკო სკოლის საბჭო ღებულობს გადაწყვეტილება დაითხოვონ პოლონელი სტუდენტები, რომლებიც პრუსიის ქვეშევრდომნი არ არიან და მათ მიეცათ სამი დღის ვადა პრუსიიდან გასასვლელად. ამის მიზეზად დასახელებული ყოფილა საიდუმლო საზოგადოებებთან ურთიერთობა. ამავე მიზეზით გაუშვიათ ჰანნოვერიდანაც სტუდენტები (*ივერია* 1902: №61).

ზემოთ არაერთი კორესპონდენციის განხილვა წარმოვადგინე პოლონელთა პოზნანიდან განდევნის საკითხთან დაკავშირებით. *უცხოეთის* რუბრიკა ამჯერად შეეხება საგანგებო კომისიის საქმიანობას, რომელიც შექმნილი იყო პოლონელთა მამულების შესაძენად და იქ გერმანელების დასასახლებლად. ბიუჯეტთან დაკავშირებით მსჯელობისას პოლონელ დეპუტატებს გამოუთქვამთ აღშფოთება პოლონელთა საკონსტიტუციო უფლებების დარღვევაზე. ამ საკითხებზე უსაუბრია ბროდნიცკის, მოდერსკის, პროფესორ შრედერს და მღვდელ ნეიბაუერს. ფრიად საგულისხმოა ბროდნიცკის წარმოთქმული სიტყვა:

> თქვენ შეგიძლიანთ მეტი სისასტიკე იხმაროთ, მეტად უფრო უდიერად მოეპყრათ პოლონელებს, მაგრამ ჩვენის ხალხის გულიდან ვერასოდეს ვერ ამოფხვრით სიყვარულს სამშობლო მიწისა და ენის მიმართო (*ივერია* 1902: №86).

აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ სამშობლო მიწა და სამშობლო ენა იდენტობის წმინდათაწმინდა და ხელშეუხები ელემენტებია.

ძნელია სტატიის ფორმატში იმ მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზი, რომელიც გამოქვეყნებულია ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ-გაზეთ *ივერიის* ფურცლებზე. შეეცადე წარმომედგინა პოლონური იდენტობის ისტორიის ამსახველი წერილების ანალიზი დასავლური მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე. ზემოთ განხილული მასალა ფრიად საინტერესო შედეგს იძლევა. განსაკუთრებული აქცენტები კეთდება შემდეგ ასპექტებზე:

ენობრივ საკითხებზე – ენის თავისუფლებაზე, სასამართლოებში და სასწავლებლებში თავიანთი დედაენის შემოღებაზე.

ტრადიციებზე და ამ კულტურული ელემენტისადმი პოლონელთა განსაკუთრებულ პატივისცემაზე.

ნაციონალურ პატრიოტიზმზე. განხილული მასალა მოწმობს, რომ ვერანაირი იმპერიული ზრახვები დაუდგება წინ საკუთარ ისტორიულ მიწა-წყალზე პოლონური იდენტობის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობის ქონას; მიწა-წყალი, რომლის ხელში ჩაგდებას აპირებდა იმპერიალისტური სახელმწიფო, პოლონელთა ისტორიული კუთვნილებაა და „უცხოელები“ ვერ დამკვიდრდებიან, ვინაიდან გაზიარებული შეხედულებით, იდენტობის ისტორიული მიწა-წყალი საკრალურ ადგილს წარმოადგენს საერთო ღირებულებებით, სიმბოლოებით, ტრადიციებით. იქმნება პატრიოტული ერთობა.

საზოგადოების დაწინაურებული წარმომადგენლების როლზე და მნიშვნელობაზე იდენტობის არსებობის განგრძობის თვალსაზრისით.

მედიის აქტიურობაზე, როგორც ხალხში თავისუფლების იდეალების გავრცელების საშუალება. *ივერია* უცხოთა მაგალითების მოხმობით, ამ შემთხვევაში, პოლონელთა ნაციონალური მოძრაობის ამსახველი მაგალითების ქართველი მკითხველისათვის მიწოდებით, ხელს უწყობდა შიდაჯგუფური სენტიმენტების განმტკიცება-გაძლიერების პროცესს ქართული ერთობის ფორმირების გზაზე.

შენიშვნები

[1] ილია ჭავჭავაძისეული ტერმინია და სისხლისმიერ ნათესაობაზე დამყარებულ ეთნიკურობას უნდა ნიშნავდეს (იხ. ჩხარტიშვილი, მანია 2011: 113).

[2] ზემოთ აღნიშნულ პუბლიკაციებში, რასაკვირველია, საერთაშორისო ამბებიც გვქონდა განხილული.

[3] წერილის ავტორია ფსევდონიმით *ბონული* // ილია ბახტაძე (იხ. ქართული ბიბლიოგრაფია 1963).

[4] ტერიტორიებიდან, რომლებიც პოლონეთის სამეფოს მესამე განაწილების (1795 წ.) შემდეგ ჯერ პრუსიის, შემდეგ გერმანიის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა.

[5] *ოტო ედუარდ ლეოპოლდ ბისმარკი* იყო გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე, გერმანიის პირველი რაიხკანცლერი. რაიხკანცლერის თანამდებობაზე, თითქმის 20 წლის განმავლობაში ფაქტობრივად შეუზღუდავად მართავდა გერმანიას. ვილჰელმ II-ის გერმანიაში კაიზერად გახდომის შემდგომ დაკნინდა ბისმარკის ძალაუფლება. ანტისოციალისტურ კანონპროექტთან დაკავშირებით კაიზერსა და ბისმარკს შორის შექმნილი მწვავე დაპირისპირება ბისმარკის რაიხკანცლერის პოსტიდან გადადგომით დამთავრდა (1890 წლის მარტში) და „რკინის კანცლერის“ ეპოქაც დასრულდა.

[6] კარდინალი მეჩისლავ ლედუხოვსკი ვნეზნოს და პოზნანის არქიეპისკოპოსი იყო 1866 წლის 8 იანვრიდან 1886 წლის 2 თებერვლამდე.

[7] 1886 წლის 2 თებერვლიდან 1890 წლის 30 მაისამდე გნეზნოს და პოზნანის არქიეპისკოპოსად დაინიშნა იულიუს დინდერი.

[8] წერილის ავტორია ფსევდონიმით *სანო* // სტეფანე ჭრელაშვილი (იხ. ქართული ბიბლიოგრაფია 1963).

[9] ავტორია ფსევდონიმით ა. ფრონელი // ალექსანდრე ყიფშიძე (იხ. ქართული ბიბლიოგრაფია 1963).

[10] 1821 წ. რომის პაპმა პიუს VII-მ გააერთიანა გნეზნოს არქიეპარქია და პოზნანის ეპარქია და შექმნა გრეზნო-პოზნანის არქიეპარქია.

[11] ავტორია ფსევდონიმით ი. ა – ძე // აგლაძე ილია (იხ. ქართული ბიბლიოგრაფია 1967).

[12] 1900 წელს ჰქონია ადგილი დედების აღელვებას შვილების სასტიკად გაროზგვის გამო.

[13] ჰენრიკ სენკევიჩი – ცნობილი პოლონელი მწერალი. მოღვაწეობდა 1846–1905 წლებში. 1914 წლის ბოლოს სენკევიჩმა გამოაქვეყნა მიმართვა ყველა ხალხისადმი, სადაც გადმოცემულია სხვადასხვა სახელმწიფოებს დაქვემდებარებული პოლონელთა ტრაგიკული ბედი, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ სამი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ჯარების რიგებში. მიმართვა ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდა გაზეთ *თემში* 1915 წლის 30 მარტს, სათაურით: *პოლონეთის გოდება*.

დამოწმებანი

ივერია 1881: №5.
ივერია 1886: № 22.
ივერია 1886: № 31.
ივერია 1886: №13.
ივერია 1886: №14.
ივერია 1886: №157.
ივერია 1886: №26.
ივერია 1886: №27.
ივერია 1886: №32.
ივერია 1886: №33.
ივერია 1886: №34.
ივერია 1886: №37.
ივერია 1886: №7.
ივერია 1889: №231.
ივერია 1892: №42.
ივერია 1892: №9.
ივერია 1894: №127.
ივერია 1898: №276.
ივერია 1901: №206.
ივერია 1901: №177.
ივერია 1901: №251.
ივერია 1901: №272.
ივერია 1902: №61.
ივერია 1902: №86.
დროება 1881: №68.
კალანდაძე 1997: ა.კალანდაძე. ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. V. რედ. ა. კალანდაძე. ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ეთერ შარაშენიძემ და ლეილა სანაძემ, თბილისი, მეცნიერება.
საითიძე 2010: გ. საითიძე. პოლონეთის საკითხი გაზეთ *ივერიაში*. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. №2, თბილისი, უნივერსალი.
ქართული ბიბლიოგრაფია 1963: ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტომი III. ნაკვეთი I, თბილისი, ცოდნა.
ქართული ბიბლიოგრაფია 1967: ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტომი 5. ნაკვეთი 1, თბილისი.
ჩხარტიშვილი 2004: ე.დ.სმითი. ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.
ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენა და კულტურა. შრომები. I, ქუთაისი.
ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. *ივერია* და მისი მკითხველი საქართველო, თბილისი, უნივერსალი.

Iveria on Polish Identity

Ketevan Mania

In nowadays generally accepted standpoint is that media plays major role in forming and developing of cultural identities. At first print media encourages creating society of readers and then the large group of common interests i.e. nation. Hence media reflects not only process of national building, but accelerates it.

Iveria was one of the most influential Georgian periodicals in the second half of the nineteenth century and first decade of the twentieth century. It was targeted to making of the idea of Georgian nation. It is why in publications about Georgian history and culture the authors attempted to clarify essense of Georgianess and through this way help to developing the process of nation building. For this goal alongside with materials reflecting Georgian reality, *Iveria* used the examples of other peoples. *Iveria* had a permanent interest in life of European countries and USA The articles devoted to Poland and Polish national-liberation movement are especially numerous. If we consolidate the information provided by these articles, we will be able to display the whole story of Polish national identity formation.

The paper presents some articles devoted to Polish national identity with relevant commentaries and analisis.

„ოსმალოს საქართველო“ *ივერიის* რეპრეზენტაციით

მარიამ ჩხარტიშვილი
ქეთევან მანია

„არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა.“

ილია ჭავჭავაძე

დღეისათვის საყოველთაოდ არის გაზიარებული მედიის გადამწყვეტი როლი კულტურული იდენტობების ჩამოყალიბებასა და მათ შემდგომ განვითარებაში. ბეჭდური მედია ძლევს ძირითად ბიძგს საერთო ეროვნული მასშტაბის მკითხველთა საზოგადოების ჩამოყალიბებას. ასე რომ, ბეჭდური მედია არის ნაციათმშენებლობის პროცესის არა მარტო ამსახველი, არამედ კატალიზატორიც.

ქართული ერთობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით, სხვა იდენტობრივ მახასიათებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისტორიულ მახსოვრობას. გამოკვლევაში შემოგთავაზებთ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი ბეჭდური მედიის *ივერიის* შესაბამისი მასალის, კერძოდ, წერილების ციკლის „ოსმალოს საქართველო“ ანალიზს. ეს წერილები არაერთხელ გამოუყენებიათ მკვლევრებს სხვადასხვა სამეცნიერო მიზნებისათვის.[1] ჩვენ მათ განსხვავებული კუთხით განვიხილავთ: ქართველთა კოლექტიური მახსოვრობის კუთხით და სხვა იდენტობრივი მარკერების გამოკვეთის კუთხით. ამ კონტექსტში შევეხებით *ივერიაში* გამოქვეყნებულ იმ მასალებსაც, რომლებიც ხელს უწყობდა „ოსმალოს საქართველოს“ კულტურულ ინტეგრაციას ქართულ სამყაროში.

ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს მძლავრი იმპულსი მისცა რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომმა. ამ ომის შედეგი ქართული ერთობის ისტორიისათვის არა მარტო გარკვეული ისტორიული ტერიტორიების რეალურად შემოერთებას, და, შესაბამისად, ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური იდეალის – ნაციონალური ერთიანობის – განხორციელებას ნიშნავდა. ამ ფაქტმა ქართველი ერის კონცეპტუალიზაციაში შეიტანა მნიშვნელოვანი კორექტივები. უპირველესი კორექტივი შეეხო რელიგიას, როგორც იდენტობის მარკერის სოციალურ „წონას“. როგორც ცნობილია, წინა პერიოდში კულტურულ იდენტობას ძირითადად განსაზღვრავდა რელიგია. „ქართველობის“ გაგებაში მთავარი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობა. ქართველობა უსათუოდ ასოცირდებოდა მართლმადიდებლობასთან. ახალი ეპოქის დასაწყისიდან შეინიშნება დამოკიდებულების ცვლილება.

მართალია, მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები ქართველობას მარტო თავისი ძალით თავის სახელმწიფოში არ შემოუერთებია (როგორც ცნობილია, ქართველები რუსეთის საბრძოლო ოპერაციებში იყვნენ ჩართულნი), მაგრამ აღნიშნული მხარე რომ აღარ იყო დანარჩენი ქართული სამყაროსაგან მოწყვეტილი, ეს უკვე ბევრს ნიშნავდა. ე.წ. „ოსმალოს საქართველოს“ და „რუსეთის საქართველოს“ პოლიტიკური გაერთიანების შემდგომ, ქართული ინტელიგენციის წინაშე დაისვა ამოცანა კულტურულად ჰომოგენური გაეხადა ეს ნაწილები.

აღნიშნულმა მოძრაობამ რელიგიისა და საერთო წარმომავლობის, როგორც იდენტობრივი მარკერების, გადააზრების და მათ შორის უმთავრესის განსაზღვრის საკითხი დასვა.

რელიგია უკან უნდა დახეულიყო. აქ არ არის საუბარი რელიგიის მთლიანად უარყოფაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობა *ქართველობის* განუყოფელი ნაწილი იყო. მაგრამ ახალ ვითარებაში ის ვეღარ იქნებოდა მარკირების უმთავრესი საშუალება. ეთნიკურ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, მეტიც, საერთოდაც სხვა რელიგიაზე – ისლამზე – იყო მოქცეული. ამიტომ წამოიწია წინ საერთო ისტორიამ, როგორც იდენტობრივმა მარკერმა. ქართველმა ნაციონალისტებმა დაიწყეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაცია განუყოფლად საქართველოს დანარჩენი ნაწილების ისტორიისაგან.

მარკირება ისტორიით ქართულ ერთობას ინკლუზიურს ხდიდა არა მარტო ისლამიზებულ (ან თუნდაც სხვა ქრისტიანული კონფესიის აღმსარებელ) ქართველებთან მიმართებაში, არამედ საერთოდაც. ისტორიული მახსოვრობა არა მხოლოდ ნაციის ეთნიკური მოდელის მიხედვით გამომერწვისათვის, არამედ

ტერიტორიალური ანუ სამოქალაქო მოდელის მიხედვით ჩამოსაყალიბებლადაც სავსებით გამოსადეგი იყო, რომლისაკენ გზა მიდიოდა ერთობის სუბიექტივისტური მარკირების გზით ანუ საზიარო ისტორიული მახსოვრობით და, აქედან მომდინარე, სურვილით მომავალში ერთად ცხოვრებისა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ წერილების სერიაში „ოსმალოს საქართველო“ ისტორიის საკითხებზე მსჯელობას ენიჭება უპირატესობა. ისტორიის საკითხებზე დისკურსით *ივერია* ხელს უწყობდა ქართული ნაციონალური ნარატივის ფორმირებას.

მეცხრე ნომერში გამოქვეყნებულ „ოსმალოს საქართველოში“ (ავტორი ილია ჭავჭავაძე)[2] *ივერიის* მკითხველ საზოგადოებას მიეწოდება ისტორიული მახსოვრობის, როგორც ერის ჩამოსაყალიბებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის იდენტობრივი მარკერის, გააზრების შესახებ აზრი:

> ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვითებას. ჩვენის ფიქრით არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია (*ივერია* 1877: №9).

როგორც ეს უკვე მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, აღნიშნული წერილი არის უმნიშვნელოვანესი ტექსტი ქართული ნაციონალური იდეის გასაგებად. [3]

ამ მოკლე შესავლის შემდგომ გადავალთ უშუალოდ კონკრეტული პუბლიკაციების ანალიზზე. წინამდებარე გამოკვლევაში შევეხებით *ივერიის* 1877–1893 წლების ნომრების მასალას.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ისტორიული ტერიტორიების შემოერთების შემდეგ, დადგა ამ ტერიტორიების მოსახლეობის „რუსეთის საქართველოს“ ქართველობასთან კულტურული ჰომოგენურობის საკითხი. ამ მიზნით წინ წამოიწია, იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებლის – ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობამ, რასაც უნდა გაეძლიერებინა სურვილი მომავალში ერთად ცხოვრებისა.

პირველ წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ოსმალოს საქართველო“ უმეტესად ქართველებით იყო დასახლებული. საერთო სალაპარაკო ენა ქართული იყო. აქაურებს ისტორიული ფესვების მტკიცე ხსოვნა ჰქონიათ. ახსოვდათ, რომ ქართული ტომისანი არიან. ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება ქართული აქვთ, ხოლო სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან. აჭარლებს არა მარტო ენა შეუნარჩუნებიათ, არამედ აჭარული სახალხო ლექსები შემოუნახავთ. იმის დასტურად თუ რამდენად მკვიდრად ცოცხლობს ხსოვნა ქართული კულტურისა, მკითხველს მიეწოდება „ოსმალოს“ ქართველებში შემონახული აჭარული სახალხო ლექსი (*ივერია* 1877: №8).

წამოწეულია მნიშვნელოვანი იდენტობრივი მახასიათებლები: რელიგია და მამულის სიყვარული – „ოსმალოს საქართველოს“ ბრძოლა სარწმუნოებისათვის, თავისუფლებისათვის; სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი საფუძვლები, რომლებიც აქედან იღებს სათავეს; კულტურა – აქედან იყო წარმოშობით, შოთა რუსთაველი, აქ მოღვაწეობდნენ უწარჩინებულესი მამანი, საღმრთო და საერო თხზულებათა მთარგმნელები, სახელოვანი მწერალნი. მაგრამ საქართველოს ერთობის დარღვევის შემდეგ, როდესაც ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაიკავეს, სამცხე-საათაბაგოს დიდი უბედურება დაატყდა თავს, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ცდილობდნენ და ამისათვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. სამცხე-საათაბაგო ნელ-ნელა მაჰმადიანობას მიეცა. მიუხედავად ამისა, იქაურმა ქართველებმა შემოინახეს ხსოვნა მათი წინაპრების ქრისტიანობის შესახებ. ზოგიერთები კი ფარულად აღიარებდნენ კიდეც ქრისტიანობას (*ივერია* 1877: №9).

ასეთივე ვითარებაა აღწერილი მესხეთის მაგალითზე დიმიტრი ბაქრაძის კორესპონდენციაში *ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა.* კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ ოსმალნი დევნიდნენ ყოველივე ქართულს – ზნეობას, ენას, სარწმუნოებას. მხოლოდ განსხვავებულ ვითარებაში აღმოჩნდა სომხური იდენტობა, ოსმალთა დევნა მათ არ შეეხო. მიუხედავად რამდენიმე საუკუნით საქართველოსაგან მოწყვეტისა, „ოსმალოს ქართველნი“ თითქმის არ განსხვავდებიან ჩვენგან არც ხასიათით, არც ზნეობით, არც ჩვეულებით, არც ყოფა-ცხოვრებით. მართალია, გარეგნულად მაჰმადიანობა მიუღიათ, მაგრამ „ოსმალოს საქართველოში“ შენარჩუნებული ჰქონიათ ხსოვნა მამა-პაპათა აღსარებისა (*ივერია* 1877: №11).

ისტორიულ საქართველოში ოსმალური მმართველობის შემოღება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც პირიქით, ხელი შეუწყვეს ოსმალური წესების შემოღებას. დასახელებულია აჭარა, სადაც განსაკუთრებული აქტიურობით გამორჩეულნი ყოფილან ხიმშიაშვილები. თუმცა ამ მოვლენას სასტიკი წინააღმდეგობა შეხვედრია ჭანების მხრიდან. ახმეთ-ბეგ ხიმშიაშვილმა

აჭარლები ჭანეთში მიიყვანა 1819 წელს და სულ დასწვა. ამ ომში ჭანის დედაკაცებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ხიმშიაშვილებს სხვა თავადებმა მიჰბაძეს და დახმარება გაუწიეს ოსმალოს მმართველობას დამკვიდრებაში, სანაცვლოდ კი მათ სამოხელეო თანამდებობები უბოძეს (*ივერია* 1877: №12, №13).

ზოგი წერილი ეხება „ოსმალოს საქართველოს“ ცალკეული ნაწილებში მდგომარეობის აღწერას. აჭარაში არსებული ვითარების გადმოცემისას პეტრე უმიკაშვილს გამოუყენებია გიორგი ყაზბეგის აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერების ამსახველი ნაშრომი *სამი თვე ოსმალოს საქართველოში*, რომელშიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მოგზაურის აღფრთოვანება ნანახის და გაგონილის გამო, სოფელ გორჯომიდან დაშვებულს ბავშვების ქართულად გინება, მოესმა „თურმე ჩვენები ყოფილა, ჩვენები“ – აღნიშნავს აღფრთოვანებით მოგზაური საყურადღებოა „ჩვენების“ გამოყენება ამ კონტექსტში.

შემდგომ აჭარლების გარეგნობის აღწერაა წარმოდგენილი:

> უნდა შეხედოთ რა მშვენიერი სახისანი არიან. ძონძები რომ გახადოთ, გეგონებათ დიდკაცის დარბაზში გაზრდილები იყვნენო, ისეთი თეთრწითელნი და ლამაზნი არიან. ჩვენ მთიულებსა გვანან და თანაც გურულების სახის იერი მოსდევთ... ვინც კი შეგვხვდა სულ ტანადნი, მხარბეჭიანი და თვალადნი იყვნენ. სუფთა გადაწმენდილი სახე, ცოტა მოდიდო ცხვირი და შავარდნის შეხედულობა, გრძელი და ხშირი თმა ყაბალახ შემოხვეული – ესე ყოველი წარმოგიდგენთ აჭარლის სურათსა... ტანისამოსი გურული აცვიათ, სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, შინ ოჯახობაში ქართულათა ლაპარაკობენ, თათრული ენა ხანში შესულმა კაცებმა იციან (*ივერია* 1877: №15).

მრავალმხრივ საინტერესოა ლივანა, კლარჯეთში არსებული ვითარების აღწერისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია (ავტორი პეტრე უმიკაშვილი, *ივერია* 1877: №21). საუბარია ეთნიკურ შემადგენლობაზე, ენაზე. წერილში აღნიშნულია, რომ ჭოროხის ორივე მხარეს ქართველი ხალხი ცხოვრობს. სოფლების მოსახლეობა გამოირჩევა მშვენიერი შეხედულებით, წმინდა ქართული საუბრით და გონიერებით. აქაური ქართველები სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, თუმცა შემორჩენიათ ხსოვნა იმისა, რომ ქრისტიანები იყვნენ. ქალაქებში ართვინსა და ისპირში სომეხი კათოლიკე ქრისტიანები, რომლებიც შერეული – სომხურ-ქართულით მეტყველებდნენ. პარხლის ხეობაში ხუთიოდე კომლი დარჩენილა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელთაც ახალციხეში საკუთარი მღვდელი ჰყოლიათ. პარხლის ხეობა გამოირჩეოდა ქართული ენის განსაკუთრებული კილოთი მოსაუბრე ქართველებით – ჩქარი გამოთქმით და სიტყვის ბოლოში დიფთონგის დაცემით (*ივერია* 1877: №21).

ამ სერიის ერთ-ერთი წერილი (ავტორი პეტრე უმიკაშვილი) სამხრეთ საქართველოს ცალკეული ნაწილების საზოგადო მიმოხილვის შემდეგ, მკითხველს აწვდის მონაცემებს იქაურ თავადთა და აზნაურთა გვარების შესახებ:

> ამ გვარეულობათაგან მრავალნი მოიპოვებიან რუსეთის საქართველოში, ქართლ-კახეთში და იმერეთ-გურია-სამეგრელოში. აქამდე ზოგთ ახლო მონათესავობა აქვთ და თუ დაშორებულა, ხსოვნა და მეგობრობა დარჩენილა და ახსოვთ წარსულის ცხოვრების ამბავი. ისტორიული შემთხვევა და ზოგჯერ ფრიადაც სახელოვანი ღვაწლი, იმ გვარათვე დარჩენილა ოსმალოს საქართველოში. ეს მოთხრობა გვარეულობის წარსულის ცხოვრებისა და ეს ერთობა გვარეულობათა ოსმალოს და რუსეთის საქართველოისათა ისეთი დასამყარებელი საბრკველია, რომელსაც შეუძლია საქართველოს ორივე ნაწილის დაახლოება და სულით შეერთება (*ივერია* 1877: №44).

როგორც ვხედავთ, კვლავ არის ძიება იმ საერთოსი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს საქართველოს საუკუნეებით დაცილებული ნაწილების ერთიანობა. ქართველობის შენარჩუნების საკითხში უმთავრეს ფაქტად დასახელებულია ნათესაობა და ამ ნათესაობისა, და, აგრეთვე, ერთად გატარებული პერიოდის შესახებ მახსოვრობის არსებობა.

ახლად შემოერთებული მხარეების ისტორიულ კონტექსტუალიზაციის მიზანს ემსახურებოდა *ივერიაში* წერილების მეორე სერია *ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა* (ავტორი დავით ჩუბინაშვილი). ერთ-ერთი წერილი იწყება კაბადოკიის ან ჭანეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობით.[4] ქართველი ერი ლინგვისტური თვალსაზრისით ორ ჯგუფად არის დაყოფილი:

> საქართველოს ერი ენისა და ლაპარაკის მიხედვით განიყოფება ორად: პირველს შეადგენენ: ქართველნი, ე.ი. მცხოვრებნი ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამცხე-საათაბაგოსა, და მეორენი: მეგრელნი და ჭანელნი მოსახლენი სამეგრელოსა და ჭანეთისა ან კაპადოკიისა.

მკვლევარი კაპადოკიის ტერიტორიული საზღვრების გადმოცემისას იმოწმებს ანტიკური ავტორების მონაცემებს, რითაც მეტ დამაჯერებლობას სძენს და არგუმენტირებულს ხდის გამოთქმულ თვალსაზრისს.

საკითხი ქართული ენის განშტოებების შესახებ დღეისათვისაც აქტუალურია ქართველოლოგიაში. მთელი ქართული საზოგადოების ასეთი ხანგრძლივი ინტერესი ამ პრობლემისადმი მიუთითებს იმას, რომ ეს არაა უბრალოდ სამეცნიერო თემა, ესაა ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი „სამშენებლო ბლოკი“. ამ დისკურსის მიზანია პასუხი გაეცეს ნაციონალიზმით ინსპირირებულ ამგვარ კითხვებს: „ვინ ვართ? როდიდან ვართ? საიდან მოვდივართ?“

სწორედ ამ მიზეზით ავტორის და, შესაბამისად, *ივერიის* ყურადღების ცენტრში ექცევა კაპადოკია. განმარტებულია, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით კაპადოკია ხმელეთის და ზღვის ნაპირის კაპადოკიად იყოფა, მაგრამ ერთი ეთნიკური წარმომავლობის, ერთი ნათესაობისა და ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით ყოფილა დასახლებული. იმოწმებს სტრაბონის მონაცემებს, რომელსაც, ავტორის აზრით, დამაჯერებლობას მატებს ის გარემოება, რომ სტრაბონი ჯერ ერთი, მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი არის, მოუვლია კაპადოკია და მოგზაურობის შედეგად შეუქმნია თავისი შრომა; მეორე, – კაპადოკია მისი სამშობლო ქვეყანა ყოფილა, დაბადებულა ქალაქ ამასიაში და დედა ჭანი ჰყოლია.

დამადასტურებელ ფაქტებად იმისა, რომ კაპადოკია ქართველებით ყოფილა დასახლებული, მას მიაჩნია: ტოპონიმები (მრავალი ადგილის, მთების, ქალაქების, მდინარეების სახელები), ზნე-ჩვეულება, ყოფა-ქცევა, შინაგანი ცხოვრება და მმართველობის ფორმა.

კაპადოკიის ხალხის მონათესაობით საქართველოს ხალხთან არის ახსნილი კაპადოკიელი სულიერი მამების საქართველოში მოსვლა ქრისტიანობის განსამტკიცებლად. ხაზგასმით აღნიშნულია მათი წარმომავლობის შესახებ, რომ ისინი არ იყვნენ მესოპოტამიელნი, არამედ კაპადოკიელნი იყვნენ. ამის დასტურად აღნიშნავს, რომ

> ქართული ენა არ სცოდნოდათ ამ წმინდანებს, საქართველოში ვერ გაბედავდნენ მოსვლას და ვერც მოიმოწვეფებდნენ ხალხსა. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ წმინდა გიორგი იყო კაპადოკიელი და ამის გამო მთელ საქართველოში ძალიან პატივცემულია. ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთა-სწორი წინო, აგრეთვე კაპადოკიელი მცოდნე ქართული ენის, უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთა (*ივერია* 1877: № 14).

იმ პერიოდში, როცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართველობა საკუთარი განსახლების ტერიტორიებსაც ვერ აკონტროლებს რეალურად, ამ დროს *ივერიას* ქართველი მკითხველის თვალსაწიერში შემოჰყავს ვრცელი ტერიტორია არსებული რუსეთის იმპერიის საზღვრებს მიღმა და უყალიბებს მას ამ ტერიტორიისადმი მიჯაჭვულობის განცდას. კაპადოკიის, როგორც ქართველთა განსახლების არეალის, ხსოვნის დანერგვა ყოველგვარი პრაქტიკული შედეგის გარეშე უკვე იყო ქართული ერთობის მაკონსოლიდებელი ფაქტორი.

ეთნოგრაფიულ განხილვაში გრძელდება საუბარი „ძველთა და ახალთა კაპადოკიის მოსახლეობის“ (ავტორი დავით ჩუბინაშვილი) შესახებ. წარმოდგენილია პონტოს სამეფოს მონათესაობა საქართველოს ერთან და მათი ენის იგივეობაზე მსჯელობა. დ. ჩუბინაშვილი პონტოს სამეფოს შესახებ მონაცემებს გვაწვდის ქსენოფონტეს *ანაბაზისის* მიხედვით. ქსენოფონტეს ცნობებს იმ ნიშნით გამოარჩევს, რომ შემდგომში ბერძენი მწერლები იმეორებენ მის ნათქვამს. განსაკუთრებით საინტერესოა ქსენოფონტეს მონაცემები ფაზიანელთა შესახებ. ქსენოფონტეს ფაზიანელნი (ქართველთა ბასიანელნი) არ ეკუთვნოდნენ ნათესაობით არც საქართველოს ხალხს, არც სომხის და ჰეროდოტეს დროს იწოდებოდნენ როგორც „ალაროდიანი“. ვახუშტი თავის *საქართველოს აღწერაში* მიუთითებს რომ ეს ადგილი პირველად ეკავათ სომხებს, რომლებიც შემდგომ ბაგრატიონებმა დაიმორჩილეს და აქედან მოყოლებული საქართველოს შემადგენლობაში შედის. ამჟამად ბასიანი არზრუმის ქვეყანას წარმოადგენს. ფაზიანელთა აღწერილობით მონაცემებს მოსდევს ტაოს და სპერის შესახებ ინფორმაცია. ავტორი საგანგებოდ განიხილავს ტაოს და სპერის შესახებ სომეხ მწერალთა თვალსაზრისებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ორივე თემი მათ ეკუთვნოდათ. „თემი“ აქ „ტომის“ მნიშვნელობით არის გამოყენებული. ავტორი მიუთითებს სომეხ მწერალთა თვალსაზრისების სიმცდარეზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ეს იყო ნამდვილი საქართველო, სახელ-ედებოდა ზემო ქართლად და არა სომხითად: აწცა იწოდების გურჯისტანად და მკვიდრნი მოსახლენი არიან გათათრებულნი ქართველები, რომელთაც არ დაუვიწყნიათ ქართული ენა“.

ე.ი. აქ ეთნიკური იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნიშნები – თვითდასახელება, ენა და ისტორიული მახსოვრობა თავიანთ მნიშვნელობებს ინარჩუნებს. ავტორის მითითებით, გარდა ზემოთქმულისა, ხსენებულ ტერიტორიულ საზღვრებში გამოჩნდნენ პირველად ბაგრატიონები. ეს იყო მათი სამშობლო მამული. მკვლევარი აღნიშნავს, რომ სომხები ცდებიან, როცა აღნიშნავენ, რაც ბაგრატიონებს ეჭირათ მამული, სულ სომხობა იყო. იმოწმებს ზოგიერთ სომეხ მკვლევარსაც, რომლებიც უარყოფენ ამ თვალსაზრისს. მოსე ხორენაცის მიხედვით:

შამბა (სუმბატ) ბაგრატიონი, თავის ნებით შევიდა მფარველობის ქვეშე ვალარშაკისა სომეხთა მეფისა, რომელმან ნამსახურობისათვის უბოძა ერისთაობა დასავლეთის მხრისა, სადაც არ ლაპარაკობენ სომხურად. დასავლეთი სომხითისა არის: ბასიანი, ტაო, სპერი, არტანუჯი და სხვა.

ავტორის აზრით, ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, რომ ბაგრატიონები სომხები არ იყვნენ. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხით იყო დასახლებული (*ივერია* 1877: №16). როგორც ვხედავთ, წარსულის მოგონება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი აწმყოში „ჩვენ – სხვა“ ურთიერთობის გასარკვევად. იდენტობათა ჭიდილი მიმდინარეობს ისტორიის ასპარეზზე.

განსახილველი ჟურნალის შინაურ მიმოხილვაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხოველმყოფელი სურათებით არის წარმოდგენილი ქართული ერთობის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი მოვლენები. რუბრიკა იწყება საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენის – ბერლინის ხელშეკრულების – შედეგების დიდი ემოციით დაფიქსირებით. ხაზი ესმება „ოსმალოს საქართველოს“ და დანარჩენი საქართველოს ყველა შემაკავშირებელ ფაქტორს. „ოსმალოს საქართველო“ დედა-სამშობლოს შემოუერთდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელი განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“, სიხარულს და აღტაცებას ვერ მალავდა *ივერია*. როგორც ვხედავთ, ნაციისათვის დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშანი – სისხლით ნათესაობა, საზიარო მნემონიკური ტრადიცია, სახელოვან გმირთა კულტი, სულიერი სიმდიდრე განმაპირობებელია იმპერიათა შორის დანაწილებული „საქართველოების“ ერთიანობის. დიდი სიკეთე მოუტანა ბერლინის ხელშეკრულებამ საქართველოს: „ამდენი ხნის დაშორებული ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარაო,“ – ამბობს ი. ჭავჭავაძე და მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, როგორც ძმებს შეეფერება „ისე დავხვდეთ, ჩვენი დაურღვეველი კავშირის გაბმა უეჭველიაო“.

მომდევნო ნომრის *შინაური მიმოხილვა* შეეხება ამ დროისათვის ისევ და ისევ აქტუალურ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებს და ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე არსებულ მძიმე მდგომარეობას. წერილი სახელმწიფოს უწმინდეს მოვალეობად აცხადებს ხალხის დახმარებას, მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას. დახმარება ხალხისთვისაც სასარგებლოა და სახელმწიფოსთვისაც:

ხალხი ფეხზე წამომდგარი უფრო ღონეა სახელმწიფოსთვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხმომაგრებული ხალხია უმრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა.

ამიტომაც აუცილებელ საჭიროებად არის დასახელებული მთელი ქართველობის ჩართვა ამ საქმეში:

ქართველობავ, ჩვენი უწმიდესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!... ღარიბნი ვართო ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის, რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირებაში... ახლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო (*ივერია* 1879: №2).

ოსმალთა ბატონობის შედეგებია გაანალიზებული მომდევნო წერილში *ხმა მათომიდან* (ავტორი ი-ა ი-ძე – ილია ჭყონია). წერილი ქართული ერთობის ისტორიის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ნიშნულზე – ენობრივ საკითხზე აკეთებს აქცენტს. დედა-ენა წარმოჩენილია როგორც ქართველობის შენარჩუნების უმთავრესი ფაქტორი. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, ოსმალთაგან ენის შეცვლის უშედეგო მცდელობის შესახებ და აღფრთოვანებული გვიყვება ბათუმსა და მის ოლქში ქართული ენის დაცულობის თაობაზე:

მხოლოდ რჯული აქვთ შეცვლილი და ეს ცვლილება გვიჩვენებს ქართველის ერთ კარგ თვისებას კიდევ, ე.ი. იმას, რომ ქართველი სარწმუნოებას უყურებს საფუძვლიანის გონების თანახმად, როგორც მეორე მნიშვნელობიანს საგანს, და ხალხოსნობას უფრო აფასებს, ვიდრე სარწმუნოებას ... (*ივერია* 1879: №4).

საინტერესო ტერმინია „ხალხოსნობა“. ჩანს, იგი აქ გამოიყენება ეთნიკურობის აზრით.

ჩვენ ზემოთ არაერთხელ მივუთითებდით *ივერიის* იმ პუბლიკაციებზე, რომლებიც ასახავს რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომის მიზეზთით ქართული საზოგადოების დიდ ინტერესს სამხრეთ საქათველოსადმი. ეს ინტერესი არ ნელდება წლების შემდგომაც. ამავე ნომრის რუბრიკაში *ნახული და გაგონილი* (*ივერია* 1882: №4, №5) წარმოჩენილია სამცხე-საათბაგოში არსებული მდგომარეობა

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მხრივ. ამ თვალსაზრისით ქართველთა ძირ-ძველი ქვეყანა ფრიად სავალალო სურათს წარმოადგენს – აწყური, ხერთვისი, ახალციხე უცხო ეთნიკური წარმომავლობის და არამართლმადიდებელი მოსახლეობის ხელში ყოფილა. ახალციხეში – სომხები, ფრანგები, ებრაელები ცხოვრობდნენ. მაგრამ ერთი საინტერესო ფაქტიც არის დაფიქსირებული, რომ თითქმის ყველანი ქართულად ლაპარაკობენო, გარდა უკანასკნელად ერზრუმიდან გადმოსახლებული სომხებისა, რომელნიც კალიასავით მოსდებიან მთელ მხარეს და მთელი ვაჭრობა ხელთ ჩაუგდიათ:

> ასპინძელებს სახეზედ ეტყობათ, რომ ესენი სწორედ ქართვლის სისხლისანი არიან და ოსმალოს სისხლი თითქმის სრულებით არ ურევიათ, მაგრამ, ღმერთო! რა ცვლილება მოუხდენია სარწმუნოების ცვლილებას ამათ ცხოვრებასა და ხასიათში! რენანი ამბობს, რომ ეროვნების დედა-აზრი სარწმუნოებაზედ არ არის დამყარებულიო. დიაღაც ასეა, სადაც სარწმუნოება ერს უომრად რგებია და უომრადვე აქვს დაცული. მაგრამ რომელს ერსაც კი იმდენი ხანი დასჭირდება სარწმუნოებისთვის ბრძოლა, რა ხანიც ქართველობა იბრძოდა, ამ ერისათვის სარწმუნოების შეცვლა და შეცვლა ეროვნებისა ერთი და იგივეა. ჰკითხეთ, მაგალითად, ასპინძის მცხოვრებს: ვინ ხარო? მოგიგებთ მუსულმანი ვარო. ქართველობას აღარა კისრულობს. რაკი სარწმუნოება შეეცვალა, შეეცვალა ენაც, ჩვეულებაც, ზნეც; შეეცვალა ყოველისფერი, რაც კი ერთს ერს მეორისგან განარჩევს, გარდა სახისმეტყველებისა, რომელიც შეეცვლება აგრეთვე დროთა-ვითარებისაგან. სარწმუნოება მრავალ საუკუნე ომგამოვლილ ხალხისთვის შეადგენდა უმთავრეს ბურჯს ეროვნებისას.

ქართველი ნაციონალისტების ის ოპტიმიზმი, რომელიც ახლდა მუსლიმან ქართველებთან ქრისტიანი ქართველების შეყრას, როგორც ვხედავთ, არსებულ რეალობას გაუნელებია. სარწმუნოების შეცვლის შედეგები ძალიან დამაფიქრებელი გამხდარა ქართველებისათვის. საინტერესოა, როგორც ზემოთ მივუთითებდით, ე. რენანის მოხსენიებაც და თეორიის კორექტივის ცდაც კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 125-126; ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: 72–89).

ზემოთ ვისაუბრეთ კულტურული ჰომოგენურობის თვალსაზრისით ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობის წინ წამოწევაზე. ახლა შევეხებით მეორე უმნიშვნელოვანეს პრობლემას – სწავლა-განათლების სისტემის ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფისა და უნიფიცირების საკითხს. საამისოდ ხალხის თვითმოქმედების გამოფხიზლება იყო საჭირო, რათა საერთო საზრუნავად ქცეულიყო სასოფლო სკოლების გამართვა. ამ მიმართულებით აქტიურ პროპაგანდას ეწევა *ივერია* და საერთო საქმეში ჩართულობისაკენ მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას (*ივერია* 1879: №1).

სწავლის აუცილებლობაზე კეთდება აქცენტები რუბრიკაში *დაბა და სოფელი*, რომელიც იუწყება გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველის გრიგოლის მიერ ბათუმის სასწავლებლების დათვალიერების შესახებ: „თქვენ, შვილებო, ჩვენი ძველებური ძმები ხართ, ეს მხარე ძველადვე ძალდატანებით მოაშორეს და გაამაჰმადიანეს; ამას თქვენც გაიგებთ, თუ ისწავლით გულ მოდგინედ. მხოლოდ სწავლა შეაგვაერთებს ორს დიდის ხნით დაკარგულს ძმებსაო“.

წერილში აღნიშნულია, რომ ისლამი საშინელი მტერი ყოფილა ეროვნებისა. ისლამის დროშის ქვეშ იდგა სხვადასხვა ეროვნებათაგან შემდგარი ერთი საზოგადო ერი – თათრობა. აქ ადგილი არ ჰქონდა სხვა ეროვნებას – არც სომეხს, არც ქართველს და არც სხვას. ოსმლეთში მიღებული გამოთქმა „გურჯი“ თათარი, ქართველ თათარს არ გულისხმობდა, არამედ იგივე დატვირთვა ჰქონდა როგორც ანატოლიის თათარი, სტამბოლელი თათარი, მისირიის თათარი და სხვა. ე.ი. ადგილის სახელწოდება იგულისხმებოდა და არა ეროვნებისა.

მაგრამ ამ ვითარების ცვლილებაზეა საუბარი ქართველი მაჰმადიანის ეფენდის მიმართვაში: ჩვენ თათრები ვართ სარწმუნოებით, მაგრამ ჩამომავლობით ქართველები, ისეთივე, როგორნიც ქრისტიანი ქართველები არიან (*ივერია* 1886: №107).

ქართველობა რომ ქრისტიანობასთან იყო გაიგივებული ეს ამ მხარის მაგალითებითაც დასტურდება. ქართული ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი ზაქარია ჭიჭინაძე დაბა მარადიდში (ბათუმის ოლქი) არსებული ვითარების აღწერისას აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველებს. იყო შემთხვევები, როდესაც გამაჰმადიანებული ქართველები გაქრისტიანდებოდნენ. ერთი ასეთი შემთხვევის მიზეზით დაინტერესებული ზ. ჭიჭინაძე შემდეგ პასუხს იღებს გაქრისტიანებული ქართველისგან:

> რა ვქნა, ბატონო, მამიდაჩემი და ბებიაჩემი ქრისტიანები იყვნენ, ჩვენც ქრისტიანები ვიყავით, ეს მხარეც საქართველო იყო, ჩვენც ქართველები ვართ და თქვენცა. ჩვენი ენა ქართულია. მე ქართველი ვარ და ქართველი ქრისტიანი უნდა იყოს და არა თათარიო. მე ვუთხარ თათარიც შეიძლება ქართველი იყოს მეთქი. არა, ის ქართველი აღარ იქნებაო... (*ივერია:* 1892: №233).

ქართველი ინტელიგენცია (ზ. ჭიჭინაძე, დ. ბაქრაძე, პ. უმიკაშვილი) აქტიურად ჩაერთო ახლადშემოერთებული ქართული მოსახლეობის დედა-ენით და ქართული წიგნებით უზრუნველსაყოფად მიმართულ ღონისძიებებში, რასაც ადასტურებს *ივერიაში* გამოქვეყნებული არაერთი წერილი. რუბრიკა დაბა და სოფელი ს. ქედა ავტორი აბდულ-ეფენდი მიქელაძე იტყობინება ზ. ჭიჭინაძისაგან სამი ათასამდე ქართული წიგნის მიღების შესახებ ზემო აჭარასა და იმერხევში დასარიგებლად (*ივერია* 1892: №196).

ქართული ისტორიული მიწა-წყლის შემოერთების შემდეგ, ოსმალთაგან განთავისუფლებული ტერიტორიიდან ფრიად აღმაშფოთებელ ფაქტს – ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლებას ჰქონდა ადგილი, რაც თავისთავად განპირობებული იყო გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით. რუბრიკაში *დაბა და სოფელი* (ავტორი ზ. ჭიჭინაძე) სოფ. ზენეთის (ბათუმის ოლქი) ვითარების აღწერისას, ავტორი საუბრობს აღნიშნული მოვლენის მიზეზებზე. როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლებას ჰყოლია საგანგებოდ ხელისშემწყობი პირები. ოსმალეთიდან მოსული ხოჯები ხალხში ქადაგებდნენ, რომ თუ არ წავიდოდნენ იქედან, რუსები გააქრისტიანებდნენ (*ივერია* 1892: № 172). ასეთივე მდგომარეობა იყო მარადიდში. აქ წარმომავლობით ქართველი ხოჯა ქადაგებდა გადასახლების აუცილებლობას იმ მოტივით, რომ მათ იქ არ ედგომებოდათ. ამ ქადაგებებს შედეგად მოჰყოლია ქართველ მაჰმადიანთა გადინება ოსმალეთში. მეორე საკითხი, რომელსაც ყურადღება ეთმობა 234-ე ნომრის წერილში, არის განათლების უნიფიცირების საკითხზე ზრუნვა. ავტორი აუწყებს მკითხველებს ამ თვალსაზრისით ქართველი მაჰმადიანის ახმედ ეფენდი ხალვაშის საქმიანობის შესახებ, რომელიც საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე, საქართველოსა და ქართული ენის დიდი გულშემატკივარი ყოფილა. ჯერ კიდევ ოსმალობის დროს ასწავლიდა თურმე იქაურ ქართველებს ქართულად წერა-კითხვას. ის რომ არ ყოფილიყო ზემოთ აღნიშნული ხოჯა სულ გადაასახლებდა ქართველებს თურმე ოსმალეთში. ოსმალთაგან განთავისუფლების შემდეგ, ახმედ ეფენდი მარადიდის უფროსად დაუნიშნავთ და მისი შიშით თურმე ვერცერთი ხოჯა და მოლა ვერ ბედავდა ქართველების წინააღმდეგ ქადაგებას. მისი მონდომებით და ფინანსური დახმარებით ქართული სკოლაც დაუარსებიათ მიუხედავად წინააღმდეგობისა. იგი ხელს უწყობდა ქართული წიგნების გავრცელებას ქართველ მაჰმადიანებში და ხალხს უნერგავდა სიყვარულს ქართული წიგნებისადმი (*ივერია* 1892: №233).

> ცოტ-ცოტაობით, ერთმანეთის დახმარებით, ყველას გარჯითა და გულ მოდგინებით ბოლოს დიდი საქმე გაკეთდება. საქართველოს ბედნიერებაც მაშინ დაიწყება, როცა ამოდენა მაჰმადიანი ქართველობაც დაგვიახლოვდება, მხარს მოგვცემს ძველებურად ჩვენთან ერთად ეცდება ჩვენი ქვეყნის წარმატებას (*ივერია* 1892: №240).

ამგვარ შეფასებას აძლევს დიდი ეროვნული საქმით გულანთებული ქართული ინტელიგენციის მონდომებას, თანადგომას, დახმარებას წერილის მარადიდიდან ავტორი იესე ქილიფთარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლების გამართვა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია კულტურული ჰომოგენურობის თვალსაზრისით. *ივერიის* კორესპონდენციები მოწმობს, რომ ამ თვალსაზრისით წამოწყებულ ინიციატივებს ყოველთვის აღფრთოვანებით არ ხვდებოდა „ოსმალოს საქართველოს“ მოსახლეობა. წერილი ქობულეთიდან გვაუწყებს სკოლის დაარსების საკითხადმი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ. ისინი მიზეზად ასახელებდნენ იმ გარემოებას, რომ: „ ჩვენ მეჩეთები ვერ შეგვიკეთებია და სკოლის გამართვა სად შეგვიძლიაო... თქვენ ჩვენი გარუსება გინდათ, გვატყუებთო თქვენი შვილები რუსის სკოლებში გყავთ, იმათთვის რუსული ქუდები დაგიხურნიათ და არუსებთ და ახლა გინდათ ჩვენც წაგვიტყუოთო“.

შეკრებაზე ქართველი მაჰმადიანების გულო-აღა კაიკაციშვილის და დედი-აღა ნიჟარაძის დიდი მონდომებით და მეცადინეობით გადაწყდა სკოლის დაარსება და სკოლაში ქართული ენის სწავლების შემოღება (*ივერია* 1893: № 198).

ამ კორესპონდენციაში ნათლად იკვეთება ორი იმპერიული სახელმწიფოს მმართველობის ერთი მხრივ, რელიგიური თვალსაზრისით მიღებული დამაფიქრებელი შედეგები; მეორე მხრივ, თვალსაჩინოა, რომ საფრთხე ორივე სახელმწიფოს მხრიდან ემუქრებოდა ქართულ იდენტობას.

ამგვარად, „ოსმალოს საქართველოს“ შესახებ გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან მასალაზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ისტორიული ტერიტორიების შემოერთების შემდეგ, დადგა ამ ტერიტორიების მოსახლეობის „რუსეთის საქართველოს“ ქართველობასთან კულტურული ჰომოგენურობის საკითხი. ამ მიზნით წინ წამოიწია, ერთი მხრივ, იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებლის – ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობამ, რამაც განსაკუთრებული როლი შეასრულა იმპერიათა შორის დანაწილებულ

„საქართველოების“ გამთლიანებაში; მეორე მხრივ, საგანგებო ზრუნვის საგანი გახდა სწავლა-განათლების უნიფიცირების საკითხი. აღსანიშნავია, რომ საამისოდ აქტიურ პროპაგანდას ეწევა *ივერია*, ცდილობს ხალხის მობილიზებას თვითმოქმედებისაკენ და საერთო საქმეში ჩართულობისაკენ მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას. ინტელიგენცია აქტიურად ჩაერთო ახლადშემოერთებული ქართული მოსახლეობის დედაენით და ქართული წიგნებით უზრუნველსაყოფად მიმართულ ღონისძიებებში. იდენტობის ასევე უმნიშვნელოვანესი მარკერი – ენა წარმოჩენილია როგორც ქართველობის შენარჩუნების უმთავრესი ფაქტორი. აღნიშნული აქტივობანი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს შიდაჯგუფური სენტიმენტების გაძლიერებას და ახლადშემოერთებული ისტორიული მიწა-წყლის დანარჩენ საქართველოსთან კულტურული ერთობის განმტკიცებას.

შენიშვნები

[1] მაგალითად, 2008 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი *წერილები ოსმალოს საქართველოზე*, რომელშიც შესულია სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის XIX ს-ის მეორე ნახევრის და XX ს-ის დამდეგის მესხეთის ისტორიის შესწავლისათვის *ივერიაში*, *დროებასა* და *ჯვარი ვაზისაში* გამოქვეყნებული უძვირფასესი პუბლიკაციები შესავალი წერილით, სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის ბიოგრაფიის ამსახველი წერილით, კომენტარებით და საძიებლებით (ქურდაძე, საითიძე 2008).

[2] სახელწოდებით „ოსმალოს საქართველო“ იმ ხანებში *ივერიაში* ცხრა წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, ილიას აქედან ეკუთვნის მხოლოდ ერთი (იხ. პ. ინგოროყვა 1955: 389). ეს თვალსაზრისი გაზიარებულია თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაშიც (იხ. მ. ღაღანიძე 2007: 134, შენ 1).

[3] აღნიშნული წერილის შესახებ თავის საინტერესო გამოკვლევაში მ. ღაღანიძე მართებულად აღნიშნავს: „მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ ტექსტში გამოჩნდება თემა ისტორიული ხსოვნისა, რაც თაობებს შორის, წინაპრებთან, ტრადიციასთან კავშირს განაპირობებს და რაც მეხსიერებისმიერი აქტუალობის სახით ჯერ ისევ არსებობს. ამ ხსოვნას კი უეჭველი ღირებულება აქვს, რადგან ის ეროვნული ერთიანობის არა მარტო წარსული საყრდენია, არამედ მომავალი მთლიანობის შესაძლო საძირკველიც… რაკი აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოებრივი დაშორების გარდა, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი სარწმუნოებრივადაც დასცილდა დანარჩენ საქართველოში მცხოვრებთ, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი: შეძლებს თუ არა ერის ეს ორი გაყოფილი ნაწილი – ერთმანეთთან შეერთების შემდეგ – ეროვნული ერთიანობის საფუძვლის მოპოვებას? ამ საკითხს ილია მკაფიოდ უპასუხებს და ეს პასუხი დადებითია“ (ღაღანიძე 2007: 138). გ. ნოდიაც მიუთითებს ილია ჭავჭავაძის აღნიშნული წერილის, როგორც ქართული ნაციონალური იდეის ფორმირებისათვის ფუნდამენტური ტექსტის, მნიშვნელობაზე: „1877 წელს, როდესაც ოსმალთა იმპერიასთან ომის შემდეგ რუსეთმა აჭარის – ქართული სამუსლიმანო მხარის – ანექსია მოახდინა, გაჩნდა დამატებითი მოტივი საიმისოდ, რომ მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე ზედმეტი აქცენტი არ გაკეთებულიყო. დაისახა ახალი პრაქტიკული ამოცანა: ეს ტერიტორიული და კულტურული ერთეული მოდერნული ქართველი ერის მშენებლობის პროექტში ჩართულიყო. ახალმა რეალობამ ილიას უბიძგა წამოეყენებინა ეროვნული იდენტობის მოდიფიცირებული გაგება, რომელიც ისტორიის იდეაზე იქნებოდა დამყარებული…“ (ნოდია 2009: 125-126).

[4] ა. კალანდაძე აღნიშნავს, რომ ილიას ვ. მაჩაბლის შემწეობით პეტერბურგიდან მიუღია დ. ჩუბინაშვილის *ეთნოგრაფიული განძილვა* ... უთარგმნია და შენიშვნებით გამდიდრებული გამოუქვეყნებია (იხ. ა. კალანდაძე 1986: 348).

დამოწმებანი

ივერია 1879: გაზ. ივერია. №1, 2, 4.
ივერია 1882: გაზ. ივერია. № 4, 5.
ივერია 1877: გაზ. ივერია. №8, 9, 11, 12, 13, 14, 15, 16, 21, 44.
ივერია 1886: გაზ. ივერია. №107.
ივერია 1892: გაზ. ივერია. № 272, 296, 233, 240.
ივერია 1893: გაზ. ივერია. №198.
ინგოროყვა 1955: ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად პ. ინგოროყვას რედაქციით და შესავალი წერილით. ტომი V, თბილისი, სახელგამი.
კალანდაძე 1986: ა.კალანდაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. IV, თბილისი, განათლება.
ნოდია 2009: გ.ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2007), თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ქურდაძე, საითიძე 2008: სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი. წერილები „ოსმალოს საქართველოზე“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ლ. ქურდაძემ და გ. საითიძემ, თბილისი, არტანუჯი.
ღაღანიძე 2007: მ.ღაღანიძე. ილია ჭავჭავაძის ოსმალოს საქართველო: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია. ილია ჭავჭავაძე – 170 (საიუბილეო კრებული), თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ.ჩხარტიშვილი, ქ.მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო, თბილისი, უნივერსალი.
ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: მ.ჩხარტიშვილი, ქ.მანია. ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე.რენანის „რა არის ერი?" „ქართული წყაროთმცოდნეობა", № 13-14, თბილისი, უნივერსალი.

"Ottoman Georgia" as it Was Represented in *Iveria*

Mariam Chkhartishvili
Ketevan Mania

In 1877 Russia (with support of the Georgians) occupied territories in South-western part of Georgia so called "Ottoman Georgia". The inclusion of this region into the Russian Empire, actually meant the region's reunification with Georgia.

Georgian identity was firmly linked with Orthodox Christianity. The population of this region was Muslim Georgians. It is why the new political circumstances raised new practical tasks for Georgian intellectuals: they had to make culturally homogenous the South-western part of Georgia with the other parts of the country. First and foremost they had to overcome the omnipotent influence of religious marker on Georgian self-awareness. Only through this way would be possible eliminating the alienation of Georgians who lived in „Ottoman Georgia" from the rest of Georgians those professing Orthodox Christianity.

Georgian intellectuals and the leader of national-liberation movement Ilia Chavchavadze understood this task well. Georgian nationalists began using the printed media for disseminating their ideas. Main Georgian periodical of this time was *Iveria*. Its founder and editor Ilia Chavchavadze initiated the publishing the cycle of papers "Ottoman Georgia". These papers alongside with describing the region's current developments depicted past of this region. In these representations history of this region was firmly linked with all Georgian history. Georgian nationalists hoped that the activities of this kind would enhance collective memory. The main message which was come from above-mentioned publications of *Iveria* is following: "Russian Georgia" (Christian Georgians) and "Ottoman Georgia"(Muslim Georgians) are able to be reunited, because they have common past.

The present paper displays materials on "Ottoman Georgia" published in *Iveria* with relevant analysis and generalizations.

Налоговая система в Восточной Грузии в позднее средневековье[1]

Гор Маркарян

В позднее средневековье в Восточной Грузии существовала сложная и, в то же время, уникальная налоговая система. Гегемония Арабского халифата, Ильханата, Византии, Сефевидского Ирана над Грузией на протежении веков оставили свой след в грузинской фискальной системе. Это влияние выражалось видами заимствованных налогами и налоговых терминов, таких как харадж, мал, гала, улаки, улуфа и др. Наряду с заимствованиями сохранились и исконно грузинские налоговые термины: саруе, сепеоба, мушаоба, шуло и др. Таким образом, грузинская налоговая система представляла собой пеструю смесь как заимствованных, так и местных налогов и повинностей. В научном исследовании до сих пор нуждается часть грузинских малоизвестных налоговых терминов, а также те заимствованные налоги, которые в грузинской среде со временем изменили свою сущность и приобрели новые функции, характерные для фискальной системы Восточной Грузии.

Для изучения грузинской системы налогов ценными являются такие важнейшие источники как «Джами' ат-таварих" Рашид ад-Дина (Рашид ад-дин 1957), который представляет историю Ильханата, «Дастур ал-мулук» Мухаммада Рафи' Ансари (Ансари 1991), описывающий административную и налоговую систему Сефевидского Ирана, сборники документов изданный С. Какабадзе (Какабадзе 1982), И. Долидзе (Долидзе 1970), Д. Пурцеладзе (Пурцеладзе 1881), А. Берже (Берже 1866), сборники документов Матенадарана (Փափազյան 1956) и колекция персидских фирманов (Тодуа 1970), «Свод законов» царя Картли Вахтанга VI (Бакрадзе 1887), «Орагрутюн» Закарии Акулисского (Ագուլեցի 1938). Также для исследования важны работы А. Папазяна (Папазян 1972), И. Петрушевского (Петрушевский 1949), М. Броссе, Г. Калантарова (Калантаров 1877).

Ниже описываются виды податей и повинностей, которые нашли применение в грузинской фискальной системе.

Бегара (ბეგარა), *мушаоба* (მუშაობა), *халани* (ყალანი). *Бегара* или *бигар* (Lambton 1991: 339)б это те обязательные работы, которые должен был исполнить крестьянин для феодала без вознаграждения в течение нескольких дней в году. В грузинской среде эта повинность появилась под иранским воздействием, так как *бегар* в Иране был известен с раннего средневековья (Папазян 1972: 226). Этот термин со смыслом "обязательная работа" известна со времен правления хорезмшахов (1097-1231 гг), но исследование этой повинносьти начинается с периода монгольской гегемонии (Yarshater 1992: 250). В Иране, начиная с ильханского периода до конца правления Сефевидов все работы, в основном земледельческие, которые выполнял крепостной в пользу господина, назывались *бигар* (bīgār) (Jackson, Lochart 2001: 553).

В средневековой Грузии известны несколько видов *бегара*: улаки (ულაყი), когда крестянин предоставлял своего мула или осла для работ господина, косьба травы (თივის თიბვა) (Долидзе 1970: 309-316), рыхление почвы (თოხნა) (Долидзе 1970: 431), косьба хлеба (პურის მკა) (Долидзе 1970: 414-417), рыболовство, перемещение грузов, дворцовые работы (თევზაობა,ტკრთი, სასახლის მუშაობა) (Долидзе 1970) и т.д. *Бегара* выполняли и церковные крестьяне и поэтому известны такие виды *бегара*, как бегара монастыря (საყდრის ბეგარა), бегара церкви (ეკლესიის ბეგარა), работы монастыря (საყდრის მუშაობა) (Долидзе 1970: 280-284, 342, 625). Срок выполнения *бегара* не был определенным и завысел от числа работающих крестьян и от размеров работы. *Бегара* крестяне выполняли в пользу господина за свой счет, используя свои инструменты, свой скот и средства передвижения и т.д. (Русский Архив 1892: 97). Эта повинность в грузинской среде известна также под термином *халани*. Наличие *халани* в грузинской фискальной системе результат монгольского воздействия. *Халан* упоминается в ярлыке хана Золотой Орды Тимур Кутлука (Березын 1851) и означает подать и повинность вообще. Согласно еноку Магакии *халани* уже в XIII в. взымалось в Закавказье: «*Իսկ մեծ և անհարկ իշխանքն Վրաց և Աղուանից, եղեն ընդ հարկաւ նց, որ կամաւ և որ ակամայ, և տային անխափան զամ սահմանել հարկսն, զոր յառաջագոյն գրեցաք, և ինքեանք ըստ ուժոյ և ըստ կարողութե իւրեանց հեծելովք գնացին ընդ նոսա ի խալալ*» (Մաղաքիա 1870: 11). В *пожертвовательной письме Мамука Цуцнашвили к Николозу Алавердели* (1749 г. 27 февраля) в списке

податей, от которых Николоз проибрел тарханство-освободился от налогов, упоминяется, вместе с лашкар-надироба и кодис-пури, *халани* (Долидзе 1970: 805).

Драма (დრამა). В грамоте *О границах пастырства Цилканского настоятеля* упоминяется вид церковной подати *драма. Драма* во всех местах взымалась одинакого: «დრამა–კომლზე კოდი ერთი...драма, от дыма один код». Драма взымалась как с сельчан, так и с горожан (Месхиа 1959: 206).

Кодис-пури (კოდის-პური). Дословно хлеб или зерно кода (один код хлеба), натуральная повинность, которую платили зерном. Мера взымания – один код хлеба, дал повод предположения, что *кодис-пури* совпадает с податью *гала*, поскольку последняя тоже взымалась по одному коду с однодневной пахотной земли (Brosset 1858: CLXX). Но это две разные подати, что потверждается в *Письме об освобождении от податьей владыки [М]цодорета Папуне Сулханишвили, его брата Датуне, сыновьям Тевдоре Зубите и Зале и их потомков.* Здесь в списке податей упоминяются одновременно и кодис-пури, и гала (Brosset 1838: 73-75).

Кулухи (კულუხი). *Кулухи* подать с вина или с винного урожая. В XI-XII вв. *кулухи* был одним из основных налогов, который платили крепостные феодалу (Lordkipanidze 1987: 24). Размер взыскания не являлся стабильным. Платили 1/3 (Бергвадзе 1983: 24) или 1/5-1/7 (Калантаров 1877: 37) часть с урожая коками (Какабадзе 1982: 256), бочками (Долидзе 1970: 381), сапалнем.[2] Сборщик этого налого назывался *кулухчи* или *мекулухе.* [3]

Лашкари, лашкар-надироба (ლაშქარი, ლაშქარ-ნადირობა). *Лашкари* или *лашкар-надироба* была податью, которую платили и сельские и городские крепостные за исключением крепостных церквей, которые частично или полностью освобождались от этого налога. Это потверждается указом Ираклия II-ого, который в то время был еще царем Кахетии: *О тарханстве крестьян Алавердского монастыря.* Из этой грамоты выясняется, что прежде подать *лашкари* взымалась на половину и с той поры она не будет взыматься вовсе (1756 г.)" (Берже 1866:19). Выполняющих этой повинности называли *молашкре.*

Мал-и (მალი). С арабского مال имущество, подать. В ильханский период *мал* был общим термином для обозначения всех налогов: налоги дивана (اموال الديواني), налоги казны (مال الخزينة), налоги вилайата (الولاية مال) (Рашид ад-Дин 1957: 392). *Мал* в грузинской среде в форме *мали* появился в виде заимствования, и форма *мали* наверно результат идафы-мали вилайат, мали мукаррар и тд.

Применение этой подати в грузинской среде ознаменовался переписью[4] Аргуна[5], после которого начали применяться новые налоги, и, в том числе, *мал.* Эта подать была очень тяжелой и взымалась деньгами, о чем свидетельствуют источники:

> Եւ բազում տառապանս հասուցանէին ամենայն աշխարհաց հարկապահանջութեամբ և յափշտակութեամբ, ուտելով և ըմպելով անյագաբար և ի ղրուսս մահու հասուցին զամենայն ազգս: Այլ և միւս ընդ այլ բազումսն, որ եղաւ յԱրդուսէն՝ մալի և խափչուրի...(Գանձակեցի 1961: 374), ...Եւ այս եղև ի թվականութեն Հայոց չ(1252). և զկնի ցասմանս այսորիկ եկն գլխաւոր մի Տաթար *Արգուն* անուն հրամանաւ *Մանկուդանիի,* և համարեաց զերկիրն յարնելից վս հարկի, և առնուին այնուհետև գիարկն ի գլխաթվոյն մարդկան. քզի որ զրել լիներ ի Դաւթարն, և այսպէս այլ աւերեցին զաշխարհն արևելից, զի ի մի փոքր գեղն *ծ* մարդ համարէին կմ *լ.* ի *ժէ*(15) տարեկանէն ի վերն զամէնն համարէին մինչ կ(60) տարէկան, և յամէն գլխոյ որ համարէին *կ* սպիտակ(60 արծաթ) առնուին (Մաղաքիա 1870: 22),

> Во время сие, по повелению Мангу, Ноини сделали ревизию и наложили тяжелую дань...последняя сия подать называется и доныне мали (Багратиони 1971: 118), в этом году [1248 г.] пришел исполняющий перепись стран Аргун, который был отправлен во владения кеена Биту [Бату-Г.М.] и представил перед великим кааном. Он был послан сделать перепись всей Картли. Аргун сделал перепись земли, садов винограда, крупного скота, урожая, мельниц и с каждого десятого дыма одного призвал в армию и вышел из царства Давида с 400.000 армией. Потому была беда в Грузии, но на монашество ничего [никакой подати,–Г.М.] не постановил, и не на других верующих [не поставил-Г.М.] и пошел в Грецию (ყაუხჩიშვილი 1973: 215-216).

В грузинской реальностьи этот термин также имел общее значение и обозначал *подать, повинность* вообще (Пурцеладзе 1881: 8). Сборщик этой подати назывался *мемале.* Многозначность этого термина может объяснить тем, что в Сефевидском Иране *мал* проибрел ту значимость, которая была у *хараджа* в Арабском халифате.

Мали в Восточной Грузии взымалась деньгами, что засвидетельствовано в грамоте (1440 г.) царья Грузии Александра (1412-1442 гг). В этой грамоте указ царя о прекращении сбора налога *мали.* В грамоте упоминяется о том, что *мали* взымалась с дыма[6] по 40 тетри (Берже 1866: 3).

Махти (მახტი) (Долидзе 1970: 1097). *Махти* платили только городские жители. В позднее средневековье в грузинских городах эту подать платили *мокалакэ* – почетные горожане, коренные жители городов. *Махти* не платили временные жители городов, вдовы и сироты, крепостные церквей. Взималась эта подать с горожан по размеру с учетом их состояния (Месхиа 1959: 193).

Нахирис-тави (ნახირის თავი) (Пурцеладзе 1881: 8), *ригис-дзроха* (რიგის ძროხა) (Какабадзе 1967: 219). Со стад крупного скота взималась *нахирис-тави*, а *ригис-дзроха* платили по количеству коров.

Сабалахо/е (საბალახო/ე).[7] *Сабалахо* или *сабалахе* взималась за пастбища крупного и мелкого скота. Судья по грамоте (1589 г.) царья Картли Симона (1556-1569, 1578-1600 гг), которым царь сбор этого налога уступал монастырю Сиона только в том случае, когда стада монастыря будут паститься в пастбищах монастыря, этому налогу придавалась немалая значимость (Пурцеладзе 1881: 55). *Сабалахе* был одним из главных податей на скотоводство (Долидзе 1963: 521) и наряду с *кодис-пури*, *лашкар-надироба*, *бегара* считалась государственной податью (gvaxaria 1960: 45).

Сабанджре (საბანჯრე) . Натуральная подать с овощей, которую собирал сборщик– *месабанджре*, называлась *сабанджре* (Долидзе 1965: 37, 45).

Самеджого (სამეჯოგო), *самеджинебо* (სამეჯინეო). Для пастбищ лошадей платили налог *самеджого*, а для лошадей, которые работали на полях, взималась *самеджинебо* (Долидзе 1970: 9).

Саури (საური). Как видно с перевода с персидского ساوري подарок, дань, это была той повинностью, которую выплачивали правящему классу в виде подарка. Этот вид повинности в Иране известен еще со времен Ильханата (Рашид ад-дин 1957: 392). *Саури* заимствована с ильханской фискальной системы в иранскую. *Саури* силой взималась в виде подарков с подданными тогда, когда по их селам и городам прошел шах или другой высокопоставленный чин. *Саури* выплачивали также деньгами.

Саури тоже была заимствована грузинской налоговой системой, где оно известно и видами *саури* (საურავი), татарская (монгольская) большая саури (დიდი სათათრო საური) (Долидзе 1970: 201). В Восточной Грузии *саури* платили деньгами, что потверждается в персидском тексте грамоты *О тарханстве крестьян Мцхетского собора*, где номиналом взымания этой подати называется один динар (Берже 1866: 9).

Сурсат (სურსათ). Эту подать крепостные платили во время походов. В Сефевидском Иране был известен также под именем *сурусат* или *сойурсат* (سیورسات, سروسات) (Диван: 162, 181). *Сурсат* был тяжелой податью и размер взыскания был значительной и ее платили и городские, и сельские крепостные. Взымалась обычно зерном и ячменем: два кода зерна и один код ячменья (Берже 1868: 7). О больших размерах взымания упоминяется в *Податном списке царского сурсата по протоколу Антона I* (1770 г.) (Долидзе 1970: 889-890). С этой грамоты известно, что взыскалось до 60 литров (≈ 240 кг) зерна и ячменья: «...ელიოზიანთა-პური და ქერი ლიტრა სამოცი ...с Элозианов зерно и ячмень 60 литров». Если к этому добавить то, что во время взыскания подати *сурсат* еще одну подать– *саиасуло* (საიასულო) крепостные были объязаны платить для сборщика *сурсата*, то можно представить всю тяжесть этого налога. *Сурсат* для удовлетворения нужд армии в Восточной Грузии обретает регулярное применение после реформов Ираклия II-ого (Suny 1994: 56).

Саканоно (საკანონო). *Саканоно* церковная подать, которая взымалась во время свадебных, похоронных и подобных церемоний (Долидзе 1970: 543-563). Саканоно совпадает с попской податью которую описивает Лео в списке податьей армянской церкви (Папазян 1972: 244).

Крепостные церквей часто полностью или чатично избавлялись от налогов и объязывались лишь преподнести церкви воск, ладонь и нитьи для свечей. Так, в 1703 г. царь Картли Ираклии I (или Назар Али хан 1688-1703 гг) постанавливает, что торговцы Гогиджанишвили, Маминашвили и Мамулашвили, которые являлись крепостнымы монастырья, обьязываются платить Кватахевскому монастырю ежегодно по две литры воска и ладоньи, два пучка нитьи из хлопка (Месхиа 1959: 207). Армянин Хитаров ([М]хитаров-Г.М.) подарил себя Сионскому монастырью и обьязывался платить ежегодно 11/2 воску и 1 чареки (21/4) ладоньи (Пурцеладзе 1881: 55). Часть *мокалакэ* также принимали такую объязанность и войдя под покровительство церкви освобождались от государственных налогов:

> Предки нынѣшнихъ Церковныхъ Мокалаковъ поступили въ сіе званіе, обѣщаясь вносить ежегодно Церквѣ нѣкоторую повинность, самую малоцѣнную, на примѣръ: по фунту ладону и по нѣсколько фунтовъ восковыхъ свѣчь съ семейства, для того, чтобъ пользоваться въ замѣнѣ того важнѣйшими преимуществами, а именно не подвергаться платежу откупщикамъ пошлинъ со всѣхъ предметовъ продовольственныхъ и товаровъ, ими ввозимыхъ и вывозимыхъ по Тифлису, и не платить Царю податей (Зубов 1834: 102).

Сахуцо (სახუცო). Корень слова ხუცი смыслом близок к армянскому слову *խուց* (пещера), в себе нося больше религиозный смысл, откуда нам известны слова ხუცესი (xuc'esi)-монах, поп, ხუცური (xuc'uri) –дословно церковное, древнегрузинское письмо, таким же способом *сахуцо* означает «подать хуца»т.е. церкви. Размер этой подати не был стабильным. Как видно из документа *О границах пастырства Цилканского настоятеля, (XVII в.)* (Долидзе 1970: 547), *сахуцо* взималась разными мерами: в Ахалдаба, Цилкани один вол и один марчил (Капанадзе 1955: 118) (ღვდელს სახუცო-ხარი, მარჩილი), в Дампале половина вола и один марчил (სახუცო – ხარი და ცხვარი), в Ахалубани – один вол и один баран (სახუცო-ხარი და ცხვარი). То, что *сахуцо* платили церковные крепостные, утверждается в этих строках *Грамоты католикоса Доментии Тлашадзе Иесе* –

> ... და ჩვენც გიბოძეთ ატენში სახუცოდ ოცდასამი კომლი კაცი, რომ ის სახუცო არაოდეს არ გეთხოვებოდეს, არა ჩვენგან და არცა სხვათა შემდგომთა პატრიარქთაგან ...и мы пожаловали в Атени 23 дымов людей как сахуцо, что это никогда не потребуем не мы и не патриархы последующие нам (Долидзе 1970: 713).

Этой грамотой католикос Доментий подать *сахуцо* с 23 дымов в Атени жаловал Иесе Тлашадзе.

Салеко (სალეკო). *Салеко* или лезгийская подать собиралась с городских жителей время наймы лезгинских наемных отрядов (Долидзе 1970: 201). Подобно *салеко* известны также подати *сакизилбашо* (оплачиваемый кизилбашам), *саосмало* (османам), *сарусето* (русским). В тарханных грамотах часто встречаются подати для главного сокольничего (ბაზიერი) и главного конюха (ახორსალარი). Оба денежные подати (Долидзе 1970: 266).

Састумро (სასტუმრო). *Састумро* подать для гостинниц. Взималась в виде натуральных продуктов и домашных животных: „...მართებს ნანუამვილსა და გიორგობიანთა შვიდი კოდი იფქლი სასტუმროინად, სამი საკლავი სასტუმროინად, ექუსი ქათამი, ოცი კვერცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი ...Нануашвили и Гиоргобиан обьязаны дать как састумро 7 кодов хлеба, 3 скота для убоя, 6 куриц, 20 яйца со своим маслом, творогом и солью" (Долидзе 1970: 381).

Улахи (ულაყი). В ильханский период *улахи* ﻭﻻﻕ была податью для удовлетворения почтових нужд, для перевозки и быстрого перемещения гонцов. Подать взималась лошадьми, мулами, ослами и все эти животные общим термином назывались *улахи* (отсюда в грузинском заимствована *улахи* под смыслом осел), и этот термин позже стал известным как наименование налога. Возможно, в грузинскую фискальную систему заимствована с ильханского. Подать упоминяется в грузинских купчиях XV-XVIII вв. Взималась с одной деревни по одному ослу. Это потверждается в *Податном книге деревни Метреван епископа Эвдемона* (Долидзе 1970: 584), где в числе податьей требуется "одно вьючное животное-осел (ერთი გზა ულაყი). Д. Пурцеладзе отмечает, что *улахи* взымался с одной деревни или с нескольких дымов один осел (вьючное животное) (Пурцеладзе 1881: 8).

Улупа (ულუფა). С арабского ﻏﻠﻪ означает фураж, корм для животных. В ильханский период *улуфа*, как видно с перевода слова, была податью взымаемой фуражом для скакунов чиновников (Рашид ад-дин 1946: 248, 255). Позже эта подать известна и в Сефевидском Иране: «...սորա ալաֆ-ուլուֆէն ամէն քաղաքէ, գեղորէից կու տային զուլմ ու սիմաթով» (Ագուլեցի 1938: 31).

В Восточной Грузии *улуфа* или *улупа* находит другое применение. Теряя значимость подати фуража *улупа* применяется как продовольственный налог. Из грамоты царья Александра (1412-1442 гг) *Об отмене казенных взысканий с крестьян Тифлис-Манглисской церкви* известно, что с XV в. *улупа* могла взыматься и деньгами (Берже 1866: 5). В грузинской фискальной системе известны и другие виды улупы-большая татарская улупа (დიდი სათათრო ულუფა), малая постаянная приписная улупа (წერილი საწერიმუდამო ულუფა) (Долидзе 1970: 266). Сбор этого налога осуществовал *меулупе* (Долидзе 1970: 894).

Унебури стумари (უნებური სტუმარი). Дословно насильственный гость. Эту повинность крепостные выполняли угощая и приютив гостей - гонцов, послов, местных феодалов, чиновников, которые могли за счет крепостного жить в его жилище. В Иране это повинность известна как коналга (Петрушевский 1949: 141).

Гала (ღალა). С арабского ﻏﻠﻪ урожай, зерно. Этот вид подати был известен как налог на зерно. *Гала* объяснялась как «вид налога на зерно, которое взымались кодами, гала 1/10 часть с урожая зерна вообще» (Петрушевский 1949: 24), «взымаемая часть с сбора зерна» (Пурцеладзе 1881: 7). На самом деле *гала* была той податью, которая взымалась с урожая пшеницы, ячменья, хлопка и с других посевных культур. Это утверждается в грамоте царя Картли Луарсаба (1534-1556 гг) *Об отмене галы с крестьян Сионского собора*, где царь приказывает отменить взымание с зерна и хлопка

... მოვიდა და ისაჯა თქუენისა საყდრისა მპყრობელი, კაცი სათნო ღუთისა, ტფილელ მთავარეპისკოპოზი დომენტი, პირველ გაშვებულობისა დათარხნობისა სიგელნი მოგუართუნა და აწ ჩუენ კუალად განვაახლედ და შემოგწირეთ და მოგახსენეთ ღალა პურისა და ბამბისა ...пришел с просьбой настоятель вашего монастыря, богоугодный человек, архепископ Тифлиса Доментий, представил прежде данные нами грамоты о тарханстве и о свободе, и мы возобновили и пожертвовали монастырю гала с зерна и с хлопка (Берже 1866: 8).

Г. Калантаров тоже *гала* считает податью с посевов вообще (Берже 1866: 37).

Размер взымания не был стабильным, что наверно было обусловленно разным степенем развития земледелия в стране, и с климатическими условиями. Из *Книги епископа Манглиси Арсения* (1618 г.) (Пурцеладзе 1881: 7) известно в Квемо Картли в деревне Кезели *гала* взымалась 20 кодов в год. Как размер взымания известна еще такая мера *гала* - 1 код с однодневной пахотной земли (Калантаров 1877: 37). Мерой зерновых культур был *код*, вес которого, однако постепенно менялся, поскольку *код* состоял из литра. Если в XVIII в. литра составила 8,8-9 фунтов (≈4 кг.), то в XV в. составила ≈2,4 кг., поскольку мера жидкостей – кока, колеблилась в границах 1-1,5 пудов (16-24 кг.) составляя 10 литров (Какабадзе 1982: 256), и литра уровнивалась 1,6-2,4 кг. Известнымы нам мерами *кода* 8-10 (Бакрадзе 1877: 39), 10 литров (Гюльденштедт 1809: 266), 2 пуда 10 фунта (≈ 38 кг.) в XVIII в. код составлял ≈ 40 кг., а в XV в. ≈ 20 кг., с чего ставновится ясным, что в течение двух веков кода утяжелел дважды, несмотря на то, что размер *кода* – 10 литров, остался прежним.[8]

Надо заметить, что несколько видов податей в грузинской фискальной системе пока еще мало изучены или вообще не изучены. К таким видам можно отнести *йатахаки*, *кодави*, который идентичен подати чобан-беки (*кодави* это та же *чобан беки*) и взымалась с голов мелкого скота,[9] дань для права рыболовства, например, рыбаки Тифлиса платили определенную сумму и 1/3 часть ловли (Гюльденштедт 2002: 164), *готдж-катами* (подать свини и кур), *пага-баши*, *саурдово* или *урдо*, *тутун-джаги* (дань табака), *шуло*, *тик-томара* (дань тар), *тамга* (подать для печати таможни и торговли), *саруе* (для каналов), *корцинис-харджи* (для свадеб) (Brosset 1858: CLXX- CLXXVI), *сепеоба* (взымания в пользу короля), *ансапис-сатховари*, *башмали*,[10] харджи.[11]

В Восточной Грузии сбор налогов осуществлялся усилиями иерархичной системой чиновников. Наверху иерархической пирамиды стоят моурави – главы городов или уездов, у которых собирались все собранные подати. Моуравам подчинялись мамасахлиси и нацвали – главы более мельких административных единиц, тем последовали гзири (Brosset 1840: 165-170), которые собирали установленные моуравами и мамасахлисами подати, таруги, [12] кедхуды, мелики. Некоторые налоги имели свои особые сборщики налогов, названия которых составились с помощью термина налога и частиц, которые в грузинском указывают професию (ме+кулух/и/+е- мекулухе, ме+улах/и/+е- меулахе, мемале и др.).

Вся тажесть этих многочисленных податей ложилась на плечи сельского и городского крепостного населения Восточной Грузии . Крепостное население в свою очередь была составлена из нескольких слоев. В более высоком положении находились *мсахури* (მსახური), служащие, которые занимали низкие государственные посты, служили в свитах дворянства, пополняли ряды полиции и т. д. *Мсахури* пользовавшиеся своим привелегированным положением, часто не платили налоги или платили частично. Второй слой представляли *глехи* (გლეხი), которые были приклепены к земле и имели повинности перед феодалом, но все же у них было право на собственность и права защищенные силой обычаев. Еще ниже стояли *мона* (მონა)-купленные крепостные, которые в течение службы у хозяина могли приобрести имущество и право на него. На самом низком положении стояли *кма* (ყმა)-люди, которые сами продали себя. В дальнейшем в грузинской среде под термином *кма* назывались все представители крепостного населения.

Примечания

[1] Автор статьи выражает глубокую благодарность и признательность руководителю Института Истории Грузии Гуманитарного факультета Тбилисского Государственного Университета им. И.А.Джавахишвилии и руководителю отдела Средневековой истории Грузии и источниковедения профессору М. Чхартишвили за оказанную поддержку, а также П. Чобаняну, А. Варданяну, Р. Газаряну за советы и помощь при приготовлении статьи.

[2] *Сапалне* составляло 120 тунга, а тунга ровнялось 5 бутылкам (Берже 1866: 24). Однако, этот размер сапалне не достоверный, так как известно еще одна мера, а именно 112 тунга (Полное ...: 767).

3 Слово *кулухчи* состоит из термина *кулухи* и частицы *чи* (тур. či), которая в турецком языке указывает на профессию-топ *чи* (артилерист), дамир*чи* (кузнец) и т.д.

[4] О времени проведения переписи сообщения источников разные. Енок Магакия называет 1252 г., Мхитар Айриванеци 1251 г., Киракос Гандзакеци 1254 г., В *Картлис цховреба* это событие написано под 1248 год Էմին 1860: 67), (Մելիք-Օհանջանյան 1961: 361), (ყაუხჩიშვილი 1973: 215-216).

[5] На самом деле Аргуна в Закавказье отправила мать Гуйук хана Турекене хатун, чтобы Аргун установил порядок и мир в регионе и не дал пошатнуться власти Гуйука (Vardanyan 2007: 8-19).

[6] Сбор *мали* по приказу царя Александра продолжался 27 лет (1413-1440) для востановлении церквей и других зданий (Brosset 1858: CLXI).

[7] Дословно налог на траву, от груз. слова балахи – трава, сено.

[8] Возможно есть и другая причина изменения размера литры. Так как Восточная Грузия находилась под прямым воздействием Сефевидского Ирана, единицы мер должны были соответствовать друг другу в этих регионах. В Иране *литра* или *ман* была известна 3 видами большой, средный и маленький ман. Так, начиная с XVI в. Иране в основном использовался большой ман (почти 3 кг) и может это привело к отягощения *литра* в Грузии (Hinz 1955:17-20).

[9] В Иране *чобанбеки* (choban-begi, chup-bashi, chupani) платили кочевники с голов мелкого рогатого скота , размер взымания зависел от количества скота (Bournoutian 1992:152).

[10] *Башмали* могло совпадать с харадже*м*, так как термин составлен из частей баш – голова (тур.) и мали, т.е. подушная подать –*харадж*.

[11] Последние 4 подати известны из грамоты Ираклия II, которым он освободил от податей азнауров Шароян (Brosset 1857: 545).

[12] В Иране *таругы*, подобно градоначальникам, исполняли свои функции во всех сферах городской жизни (администратывный, экономический, политический и т.д.), а в Восточной Закавказье *таругы* выпольняли роль полиции (ჯუცია 1975: 75-90).

Литература

Brosset 1838: Brosset M. Diplômes géorgiens, L'Institut, journal general des societies et travaux scientiques, II section, № 25, Paris.

Brosset 1840: Brosset M. Copie figure de quelques cachets géorgiens, Bulletin scientifique, t. VII, Saint-Pétersbourg.

Brosset 1857: Brosset M. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu' au XIX[e] siècle, II partie, II livr., St.-Pétersbourg.

Brosset 1858: Brosset M. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu' au XIX[e] siècle, Introduction et tables des matières. St.-Pétersbourg.

Hinz 1955: W. Hinz Islamische Mase und Gewichte, Göttingen. Leiden.

Lambton 1991: Lambton Ann K. S. Landlord and peasant in Persia. London.

Suny 1994: R. G. Suny. The making of the Georgian nation. Indiana Univ. Press.

Ансари 1991: Мухаммад-Рафи' Ансари, Дастур ал-мулук, пер. А. Б. Вильданова, Ташкент.

Багратиони 1971: Давид Багратиони История Грузии, текст издал и снабдил вступительной статей и указателями А. Рогава, Тбилиси.

Бакрадзе 1887: Д. Бакрадзе. Сборник законов грузинского царя Вахтанга VI. под. ред. Д. Бакрадзе. Тифлис.

Березын 1851: Березын И. Тарханные ярлыки Тохтамыша, Тимур-Кутлука и Саадет-Гирея, перепись, перевод и примеч. Березын И. Казань.

Берже 1866: А. Берже. Акты собранные Кавказскою археологическою коммиссею. т. 1. ред. А. Берже. Тифлисъ.

Берже 1868: А. Берже. Акты собранные Кавказскою археологическою коммиссею. т. 2. ред. А. Берже. Тифлисъ.

Гильденштедт 2002: Гильденштедт И.А., Путешествие по Кавказу в 1770-1773 гг, Санкт-Петербург.

Гюльденштедт 1809: Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа из путешествия г-на Академика И.А. Гюльденштедта чрезь Россию и по Кавказским горам, в 1770, 71, 72 и 73 годах. Санктпетербург.

Долидзе 1970: И. Долидзе. Памятники грузинского права, т. III, тексты издал, примечанями и указателями снабдил И. Долидзе, Тбилиси. на груз. яз.

Зубов 1834: Зубов П. Шесть писем о Грузии и Кавказе. Москва.

Какабадзе 1967: Какабадзе С., Грузинские документы института народов Азии, Москва.

Какабадзе 1982: С. Какабадзе. Грузинские документы IX-XV вв., Москва.

Калантаров 1877: Калантаров Г. Крепостное право в Грузии в начале настоящего столетия. Тифлис.

Капанадзе 1955: Капанадзе. Д. Грузинская нумизматика. Москва.

Месхиа 1959: Месхиа Ш. Города и городской строй феодальной Грузии. Тбилиси.

Папазян 1972: Папазян А. Аграрные отношения в Восточной Армении в XVI-XVII веках. Ереван.

Петрушевский 1949: Петрушевский И. Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI-начале XIX вв. Ленинград.

Пурцеладзе 1881: Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджары (грамоты). Тифлис.

Рашид ад-дин 1957: Фазлуллах Рашид ад-дин, Джами-ат-таварих, перс. текст изд. А. Али-заде, т. III, Баку.
Рашид-ад-дин 1946: Рашид-ад-дин. сборник летописей. под. ред. А. Ромаскевича. т. III, Москва.
Русский Архив 1892: Русский Архив. книга 2. часть 5. Воспоминания А.П. Николайа. Москва.
Тодуа 1970: М. Тодуа,Тбилисская коллекция персидских фирманов. т. I. Кутаиси.
Ագուլեցի 1938: Ս. Տեր-Մինասյան, Ջաքարիա Ագուլեցու որագրությունը, պատ. խմբ. Ս. Տեր-Մինասյան, Երևան.
Գանձակեցի 1961: Պատմութիւն Կիրակոսի Գանձակեցւոյ, աշխատասիրութեամբ Կ.Ա. Մելիք-Օհանջանյանի, Երևան.
Մաղաքիա 1870: Մաղաքիայ աբեղայի պատմութիւն վասն ազգին նետողաց, Ս.Պետերբուրգ.
Փափազյան 1956: Հ.Դ.Փափազյան,Մատենաղարանի պարսկերեն վավերագրերը, պրակ առաջին,(ԺԵ-ԺԶդդ.) Երևան.
ყაუხჩიშვილი 1973: ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება. ტ. 4. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

The Fiscal System of The Eastern Georgia in the Late Medieval Epoch

Gor Margaryan

In the late Medieval Georgia there was a unique and rather complicated tax system. This can be explained by an on-going hegemony of the Abbasid Caliphate, Ilkhanate, Byzantium, as well as Safawid Iran in Georgia throughout the centuries. During several hundred years it impacted the fiscal system of Georgia. This can be observed by numerous borrowed kinds of taxes such as *kharaj, mal, ulak`i, ulupa* etc. Apart from the taxes that were borrowed from previous times a considerable number of originally Georgian ones have survived as well. Those were *sarue, sepeoba, mushaoba, shulo* etc. Thus, the Georgian fiscal system was a heterogeneous mixture of both borrowed and local taxes and duties. A special scientific attention should be subsequently paid to some Georgian less known terms of taxes, as well as the borrowed taxes that gradually changed their substance in Georgian environment by means of obtaining new functions in the general fiscal system of Eastern Georgia.

აღმოსავლეთ საქართველოს ფისკალური სისტემა გვიან შუა საუკუნეებში

გორ მარგარიანი

გვიან შუა საუკუნეების საქართველოში უნიკალური და საკმაოდ რთული საგადასახადო სისტემა იყო. ეს შეიძლება საქართველოზე არაბთა სახალიფოს, ილხანების, ბიზანტიის და სეფიანთა ირანის საუკუნოვანი ჰეგემონობით აიხსნას. მრავალი წლის განმავლობაში ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ქართულ სახაზინო სისტემაზე მოქმედებდა. ეს ადვილი შესამჩნევია მრავალი სახის გადასახადით, როგორიცაა *ხარაჯა, მალი, ულაყი, ულუფა* და სხვ. გარდა გადასახადებისა, რომელთაც იღებდნენ წინა პერიოდიდან, დიდი რაოდენობა წმინდად ქართული გადასახადებისა მაინც გადარჩა. ესენი იყო *სარუე, სეფეობა, მუშაობა* და სხვ. ამრიგად, საქართველოში ფისკალური სისტემა წარმოადგენდა ნასესხები და ადგილობრივი გადასახადებისა და მოვალეობების ჰეტეროგენულ ნარევს. სპეციალური ყურადღება მეცნიერთა მხრიდან უნდა მიექცეს შედარებით ნაკლებად ცნობილ ქართული გადასახადების აღმნიშვნელ ტერმინებს, ასევე ნასესხებ გადასახადებს, რომლებიც ქართულ გარემოში თანდათანობით იცვლიდნენ შინაარსს და, შესაბამისად, იძენდნენ ახალ ფუნქციას აღმოსავლეთ საქართველოს მთლიან ფისკალურ სისტემაში.

ქართული ჰაგიოგრაფიის ორი ძეგლი დასავლელ ქრისტიანთა შესახებ

გიორგი მაჭარაშვილი

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ დიდი სქიზმის ეპოქის ორი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლის ცნობებს დასავლელ ქრისტიანთა შესახებ. ეს ძეგლებია: *ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი* და *ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ*. აღნიშნულ თხზულებებში მეტად საგულისხმო ცნობები არის მოცემული დასავლელი ქრისტიანების შესახებ.

იოანესა და ექვთიმეს *ცხოვრების* XIV თავიდან ვიგებთ, რომ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ათონის მთაზე იტალიელი ბენედიქტელების დამკვიდრებაში. მათ ლეონ დიდი რომაელი ბერი მის მოწაფეებთან ერთად შეიკედლეს ივერონში („სიხარულით შეიწყნარეს და ევედრებოდეს აქა ყოფასა... რამეთუ ენება, რაჲთამცა ერთგან იყვნეს მონასტერსა შინა“). ქართველები ასევე დაეხმარნენ იტალიელებს ათონზე საკუთარი მონასტრის აშენებაში („ჩუენ გიყიდოთ ადგილი და ყოვლითავე საჴმრითა შეგეწინეთ“ – უთხრეს მათ ლეონ რომაელს. და „თანადგომითა მამათა ჩუენთაჲთა, – ლეონმა, – სრულ-ყო ყოველივე საქმე შენებისაჲ“) (აბულაძე 1967: 66).

არანაკლებ საინტერესოა გიორგი ათონელის *ცხოვრებაში* არსებული ცნობები. ჰაგიოგრაფიული ძეგლის XXV თავში მოთხრობილია ბიზანტიის საიმპერატორო კარზე გამართული შეხვედრის შესახებ, სადაც სახელგანთქმულმა ქართველმა ბერმა განაცხადა, რომ რომაელებში ერესი არასოდეს შესულა („ჰრომთა, ვინაჲთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის“) (აბულაძე 1967: 178-179; ლოლაშვილი 1994: 237-238; პეტერსი 1923: 138).

საყურადღებოა ქრონოლოგია: XI საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როცა ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი და იტალიელი ბენედიქტელი ბერები ახალი დამეგობრებული იყვნენ, დაირღვა ეკლესიური ერთობა რომსა და აღმოსავლეთის საპატრიარქოებს შორის – დაიწყო სქიზმა (ოგიცკი, კოზლოვი 1999: 47-48; რომანიდიცი 1975: 89-115; უსპენსკი 1877: 113-114). ხოლო გიორგი ათონელმა, არსებული სქიზმის მიუხედავად, ბიზანტიის იმპერატორს განუცხადა, რომ დასავლელ ქრისტიანებს არასოდეს გადაუხვევიათ მართალი რწმენისგან.

მეცნიერთა მნიშნელოვანმა ნაწილმა ამ ფაქტების საფუძველზე მიიჩნია, რომ ქართველები კათოლიკურ რომს უჭერდნენ მხარს. მაგალითად, კორნელი კეკელიძე ფიქრობდა, რომ საქართველო არ იზიარებდა საბერძნეთის რიგორისტულ შეხედულებებს რომაელთა ეკლესიის შესახებ, ხოლო ელენე მეტრეველის აზრით, ქართველები იჩენდნენ სიმპათიებს ლათინი ბერებისა და კათოლიკური სარწმუნოებისადმი (კეკელიძე 1957: 139; მეტრეველი, 1998: 98). მსგავსი შეხედულებები აქვთ გამოთქმული ასევე აკაკი ბაქრაძეს, მურმან პაპაშვილს, ნუგზარ პაპუაშვილს, ლელა პატარიძეს, ალბან ბათლერსა და სხვა ავტორებს (ბაქრაძე 1988: 13-14; პაპაშვილი 1995: 63, 68-69; პაპუაშვილი 2001: 5; პატარიძე 2005: 35; ბათლერი და *სხვები* 1997: 211).

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრიც არსებობს: ალექსანდრე ლებედევი, პორფირი უსპენსკი, მიხეილ საბინინი, კირიონ მეორე, ანანია ჯაფარიძე, გვანცა კოპლატაძე, გრიგოლ რუხაძე და სხვა ავტორები წერენ, რომ ქართველებს მართლმადიდებელი ბერძნების ანალოგიური პოზიცია ჰქონდათ და ისინიც ემიჯნებოდნენ კათოლიციზმს (ლებედევი 1998: 181; უსპენსკი 1873: 43-44; საბინინი 1882: 415; კირიონი 1895: 1; კირიონი 1910: 28; ჯაფარიძე 1998: 12; კოპლატაძე 1997).

ამრიგად, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, დიდი სქიზმის ეპოქაში ქართველები კათოლიციზმისკენ იხრებოდნენ, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი მართლმადიდებელ ბერძენთა სარწმუნოებრივი თანამოაზრენი იყვნენ.

რომელი აზრი არის მართებული? შევეცადოთ, გავერკვეთ ვითარებაში. თუ აღმოჩნდა, რომ ათონის მთაზე მოღვაწე იტალიელი ბენედიქტელები კათოლიკეები იყვნენ და ასევე, თუკი გამოირკვა, რომ გიორგი ათონელის აზრი რომის ეკლესიისა და დასავლელ ქრისტიანთა შესახებ მიუღებელი იყო ბერძენ მართლმადიდებელთათვის, მაშინ, ცხადია, ჩვენ პირველ მოსაზრებას დავუჭერთ მხარს, თუ არადა – მეორეს.

განვიხილოთ საკითხები თანმიმდევრობით. ვინ იყვნენ ათონელი ბენედიქტელები, კათოლიკეები თუ მართლმადიდებელი ქრისტიანები? ვნახოთ, რა არის ცნობილი მათი ისტორიიდან. როგორც

აღვნიშნეთ, ათონის მთაზე ბენედიქტელთა მონასტერი ახალი დაარსებული იყო, როცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის სქიზმა დაიწყო. ამის მიუხედავად, ბერძნებს ათონის მთიდან არ გამოუძევებიათ იტალიელი ბენედიქტელები. მსგავსი არაფერი მომხდარა არც 1052 წელს, როცა ბიზანტიის დედაქალაქში ბერძნებმა დახურეს ლათინთა ეკლესია-მონასტრები და არც 1186 წელს, როცა მათ საერთოდ განდევნეს ლათინები კონსტანტინეპოლიდან. ამ მოვლენებს არ დაურღვევია ათონის მთაზე ბენედიქტელი ბერების მყუდრო ცხოვრება. არსებული სქიზმის მიუხედავად, ისინი უწინდებურად განაგრძობდნენ ათონის მთაზე მოღვაწეობას. მეტიც, ბენედიქტელი ბერები ათონის მთის მართვაშიც იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო მათი მონასტერი პრივილეგიებითაც სარგებლობდა (ბონსალი 1969: 262-267; კელერი 1994-2002: 5, 10-12, 18).

ყველა ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ ათონის მთაზე მოღვაწე იტალიელი ბენედიქტელები ბერძენთა და ქართველთა სარწმუნოებრივი თანამოაზრენი იყვნენ. ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები რომ არ ყოფილიყვნენ, ბერძნები მათაც ისევე გამოდევნიდნენ ათონის მთიდან, როგორც IX საუკუნის დასაწყისში ელეონის მთიდან გამოაძევეს ფრანკი ბენედიქტელები (ჰაუგი1975: 68-69, 168; დეზეი 2005: 364-384; ქანინგჰამი 1991: 141; ჯილი 1992: 459; სტარკი 1988: 63).

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქართველებს ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ ათონელი ბენედიქტელებისადმი, როგორც ბერძნებს. მაგალითად, ათონის მთაზე მოღვაწე ბენედიქტელთა შესახებ *იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში* აღწერილ ამბავს ეხმიანება ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში – *ათანასე ათონელის ცხოვრებასა* და ლეონ ოსტიელის *ქრონიკაში* დაცული ცნობები. *ათანასეს ცხოვრებაში* მოთხრობილია, რომ ღირს ათანასესთან რჩევა-დარიგების მისაღებად მისულან ბენედიქტელი ბერები. ორი მათგანი – იოანე და არსენი – მის ლავრაში დარჩენილა სამოღვაწეოდ. ხოლო შემდგომში იტალიელმა ბენედიქტელებმა ათონის მთაზე თავისი მონასტერი სწორედ ათანასეს დიდი ლავრის მახლობლად ააშენეს (ბონსალი 1969: 62-67; კელერი 1994-2002: 5, 18; უსპენსკი 2007: 114-115). რაც შეეხება ლეონ ოსტიელის *ქრონიკას*, მასში მოთხრობილია ბენევენტოს დუკ პანდულფის დროს იტალიიდან, კასენის მონასტრიდან, ათონის მთაზე სამოღვაწეოდ წამოსული ბენედიქტელი ბერების შესახებ (ლათინური პატროლოგია 173: 597B-598A, 607C-608B; ბონსალი 1969: 62-67; კელერი 1994-2002: 6-7; ლეფორი 2008: 166). ქრონოლოგიურ ფაქტებზე დაკვირვებით აიდან კელერმა აღნიშნა, რომ ბენევენტოს დუკი პანდულფი არის *იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში* მოხსენიებული ლეონ დიდი რომაელი ბერის ძმა, რომელიც ივერონში მოღვაწეობდა ქართველებთან ერთად (კელერი 1994-2002: 6). მართლაც, გიორგი ათონელი წერს: „მო-ვიწმე-ვიდა მონაზონი ჰრომისა ქუეყანისაჲ, კაცი განთქუმული სათნოებითა,... ძმაჲ ვენევენტოს დუკისაჲ, წარჩინებული ნათესავით“ (აბულაძე 1967: 66).

ლეონ ოსტიელის *ქრონიკიდან* ისევე, როგორც ათანასე ათონელის *ცხოვრებიდან* და ათონის მთის სხვა საბუთებიდან, ჩანს, რომ ბერძნებს ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ ათონელი ბენედიქტელებისადმი, როგორც ქართველებს. ხოლო გიორგი ათონელი წერს, რომ ათონის მთაზე მოღვაწე იტალიელი ბენედიქტელი ბერების სათნოებებს საბერძნეთის ეკლესიაც აღიარებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთში ათონელ ბენედიქტელ ბერებს იცნობდნენ, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველები ვერ შეძლებდნენ მათთვის მონასტრის აშენებაში დახმარების გაწევას. ადგილობრივი ბერძნული იერარქიის ნებართვის გარეშე ქართველებს უბრალოდ არ შეეძლოთ ვინმესთვის, მითუმეტეს, ბერძნების მოწინააღმდეგეებისთვის, მონასტრის მშენებლობაში დახმარება აღმოეჩინათ.

მოკლედ, ყველა ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ათონელი ბენედიქტელი ბერები მართლმადიდებელი ბერძნების ერთმორწმუნენი იყვნენ. შესაბამისად, ქართველების მეგობრობა მათთან სულაც არ ნიშნავს სიმპათიებს კათოლიკური სარწმუნოებისადმი.

ახლა ვიმსჯელოთ გიორგი ათონელის *ცხოვრებაში* არსებული ცნობების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ჰაგიოგრაფიული ძეგლის XXV თავი მოგვითხრობს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე გამართული შეხვედრის შესახებ, სადაც გიორგი ათონელმა გამოთქვა აზრი იმხანად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანებს შორის არსებული უთანხმოების შესახებ. ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე X დუკამ ქართველ ბერს სთხოვა, განემარტა მისთვის, რატომ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანთა ევქარისტიის პრაქტიკა. გიორგი ათონელმა პასუხში ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ საწესჩვეულებო პრაქტიკაში არსებული განსხვავებები საერთოდ არ წარმოადგენდა განხეთქილების არანაირ მიზეზს: „არარაჲ არს ამას შინა განყოფილებაჲ, ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს“. ამის შემდეგ იმპერატორმა სომხების რჯულის შესახებაც ჰკითხა ქართველ ბერს. ხოლო გიორგი ათონელმა მოკლედ მიუგო: „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელიცა ნუ

ედებინ“. ქართველი ბერის პასუხი ყველას მოეწონა, მხოლოდ სომხები დარჩნენ შერცხვენილი. მაგრამ რატომ აღმოჩნდა გიორგი ათონელის სიტყვა მისაღები ბერძნებისთვის?

ამის მიზეზი, როგორც ჩანს, არის ის, რომ მან დაიცვა *მრწამსის* უცვალებლობის წესი. ეს დასტურდება მისი სიტყვიდან: „ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს“, რადგან, როგორც ცნობილია, ძველ ტექსტებში სიტყვა „სარწმუნოება“ წარმოადგენდა *მრწამსის* ანუ *სარწმუნოების სიმბოლოს* სინონიმს (მაჭარაშვილი 2010: 3-9, 13-18; ლამპე 1961: 1087; სოფოკლე 1914: 891; ვეიერსი 1977: 82-83; პოგოდინი 1963). ამრიგად, სავსებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გიორგი ათონელმა სიტყვებით, – „ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს“ –*მრწამსის* უცვალელად დაცვის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მან აზრი ასე ჩამოაყალიბა: საწესჩვეულებო განსხვავებები არ წარმოადგენს განხეთქილების არანაირ მიზეზს, ოღონდ *მრწამსი* იყოს მართალი. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანების დაპირისპირებისა და განხეთქილების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ *მრწამსში* გაკეთებული ჩანართი გახდა. ასე რომ, სავსებით გასაგებია, რატომ გაამახვილა გიორგი ათონელმა ყურადღება *მრწამსზე*, როდესაც სქიზმის გამომწვევ მიზეზებზე საუბრობდა.

აღსანიშნავია, რომ იგივე აზრი ჰქონდა გიორგი ათონელის ახლო მეგობარს, პეტრე III ანტიოქიელ პატრიარქს. იგი წერდა: „თუკი ლათინები ამოიღებენ *მრწამსიდან* დამატებას, მე უმნიშვნელოდ მივიჩნევდი ყოველივე დანარჩენს და აღარაფერს მოვთხოვდი მათ“ (ალექსიძე 1975: 115). პეტრე პატრიარქისა და გიორგი ათონელის სიტყვების მსგავსების შესახებ წერენ ბერნადეტ მარტინ-ჰიზარდი, ჰენრი დენიელ-როპსი, ალექსანდრე ლებედევი, კირიონ მეორე (მარტინ-ჰიზარი 2006-2007: 187; დენიელ-როპსი 1955: 496; ლებედევი 1998: 181; კირიონი 1910: 28). ამრიგად, მარტო ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ გიორგი ათონელმა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე დაიცვა *მრწამსის* უცვალებლობის წესი.

მაგრამ ჩვენ გვყავს ოპონენტებიც. ისინი ფიქრობენ, თითქოს გიორგი ათონელს ბიზანტიის იმპერატორთან საუბრისას უშუალოდ *მრწამსის* შესახებ არაფერი უთქვამს. მათი აზრით, გიორგი ათონელმა სიტყვა „სარწმუნოება“ ზოგადად „რწმენის“ მნიშვნელობით გამოიყენა (თინიკაშვილი 2012: 50-51). ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ გიორგი ათონელმა პირდაპირ დაუჭირა მხარი ლათინთა მრწამსისეულ სიახლეს. თუ ჩვენს ოპონენტებს დავუჯერებთ, გიორგი ათონელმა ბერძნების წინაშე საჯაროდ შეიწყნარა ფილიოკვედართული *მრწამსი*. სხვა აზრის გამოტანა გიორგი ათონელის სიტყვებიდან, თუკი მის მიერ ნათქვამ „სარწმუნოებას“ *მრწამსის* მნიშვნელობით არ გავიგებთ, უბრალოდ შეუძლებელია.

მაშ, თუკი ეს ასეა, თუკი გიორგი ათონელი ასე აშკარად შეიწყნარებდა ფილიოკვედართულ *მრწამსს*, საერთოდ გაუგებარი გამოდის, რატომ მიიჩნევდნენ მართლმადიდებელი ბერძნები მას თავის სარწმუნოებრივ თანამოაზრედ? „სრული ბერძენი ხარ“ – მიუგო მას ანტიოქიის პატრიარქმა, როდესაც ესაუბრა სარწმუნებრივ საკითხებზე (აბულაძე 1967: 151; ლოლაშვილი 1994: 214). აშკარაა, რომ აქ „ბერძენში“ იგულისხმება არა ეთნიკურად ბერძენი, არამედ სარწმუნოებით ბერძენი ანუ ნამდვილი მართლმადიდებელი ქრისტიანი (ჯაფარიძე 1998: 12). მართლმადიდებელი ბერძნები კი, დასავლელი ქრისტიანებისგან განსხვავებით, როგორც ცნობილია, იცავდნენ *მრწამსის* უცვალებლობის წესს. ხოლო, თუკი გიორგი ათონელმა უგულებელყო ეს წესი, მაშინ, რატომ არ შეახსენეს ბერძნებმა მას ამის შესახებ? რატომ არ გააპროტესტეს მისი ნათქვამი? უბრალო შეკითხვა მაინც რატომ არ დაუსვეს? ამრიგად, საწინააღმდეგო თვალსაზრისის წამოყენების შემთხვევაში ჯერ ამ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი და განიმარტოს, რატომ მიიჩნევდნენ ბერძნები გიორგი ათონელს თავის ერთმორწმუნედ, თუკი იგი ფილიოკვედართულ *მრწამსს* ასე საჯაროდ შეიწყნარებდა. მაგრამ არის კიდევ სხვა კითხვები, რომლებზეც ჩვენ აუცილებლად გვესახება პასუხის გაცემა ჩვენი პოზიციის უკეთ დასაბუთების მიზნით.

პირველი: თუკი გიორგი ათონელმა ბიზანტიის იმპერატორთან საუბრისას სიტყვა „სარწმუნოება“ მართლაც *მრწამსის* მნიშვნელობით გამოიყენა, მაშინ იქვე სომხების შესახებ რატომღა თქვა „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელიცა ნუ ედებინ“? სომხებს ხომ *მრწამსში* არანაირი ცვლილება არ შეუტანიათ? და მეორე კითხვა: მიაჩნდა თუ არა გიორგი ათონელს დასავლური პნევმატოლოგიური ფორმულა (ფილიოკვე) მწვალებლობად? თუკი იგი მართლაც მართლმადიდებელი ბერძნების მხარეს იდგა და იცავდა *მრწამსის* უცვალებლობის წესს, მაშინ რატომღა თქვა რომის ეკლესიისა და დასავლელ ქრიტიანთა შესახებ, რომ „არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის“ (მაშინ, როცა ფილიოკვე რომში უკვე კარგა ხნის დამკვიდრებული იყო)?

დავიწყოთ პირველ კითხვაზე პასუხით. მართალია, სომხებს ნიკეა-კონსტანტინეპოლის *მრწამსში* ცვლილება არ შეუტანიათ, მაგრამ, როგორც ირკვევა, მათ თავისი „სარწმუნოების სიმბოლო“ ჰქონდათ შედგენილი. მაგალითად, ცნობილია IX საუკუნეში აშოტ ბაგრატუნის მიერ ფოტი პატრიარქისთვის გაგზავნილი ეპისტოლე. აღნიშნულ ეპისტოლეში დაგმობილია ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო

კრება და გადმოცემულია სომხების მიერ დაწერილი *მრწამსი* – მონოფიზიტური თუ დიოფიზიტური „სარწმუნოების სიმბოლო“ (არუთიუნოვა-ფიდანიანი 2010: 26). ცნობილია, ასევე, ნერსეს სომეხთა კათალიკოსის მიერ XII საუკუნეში შედგენილი *სომეხთა ეკლესიის სარწმუნოების გარდამოცემა* (ტროიცკი 1875: 21-48). ამრიგად, ფაქტი ის არის, რომ სომხებს გიორგი ათონელამდეც ჰქონდათ მათი „სარწმუნოების სიმბოლო“ და მის შემდეგაც. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გიორგი ათონელმა სწორედ სომხების მიერ შედგენილი „მრწამსი“ მოიხსენია „ბოროტ სარწმუნოებად“. ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ გაგიკ კარელი, რომელიც ესწრებოდა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე გამართულ შეხვედრას (აბულაძე 1967: 167; ლოლაშვილი 1994: 237), სომეხთა შორის ცნობილია, როგორც მათი სარწმუნოების დამცველი. გაგიკმა ბიზანტიის იმპერატორს წარუდგინა სომხური სარწმუნოების გარდამოცემა და, როგორც მათე ედესელი წერს, გაიმარჯვა დისკუსიაში, დაუმტკიცა ბერძნებს სომხური რჯულის ჭეშმარიტება (გარსოიანი 1998: 81; გუილარდი 1979: 319-418).

ამრიგად, როგორც ჩანს, გიორგი ათონელმა „ბოროტი სარწმუნოება“ სომეხთა მიერ შედგენილ „მრწამსს“ უწოდა. „ბოროტი სარწმუნოება“ რომ ნამდვილად ეწოდებოდა ერეტიკოსების მიერ შედგენილ „სარწმუნოების სიმბოლოს“, ეს აპოთეგმების კრებულების ძველი ქართული თარგმანებიდანაც ჩანს. მაგალითად, მაკარი დიდმა ამ სიტყვებით გააჩერა ერთი ერეტიკოსი, რომელიც თავისი „მრწამსის“ წარმოთქმას აპირებდა: „ბოროტსა სარწმუნოებასა ნუცაღა სახელ-ედებინ“ (დვალი 1974: 131; ჭელიძე 2007: 676). სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გიორგი ათონელმაც აშკარად მაკარი დიდის მიბაძვით მოიხსენია „ბოროტ სარწმუნოებად“ სომეხთა მიერ შედგენილი „მრწამსი“. ამრიგად, სომხების მაგალითიდანაც დადასტურდა, რომ გიორგი ათონელმა ბიზანტიის იმპერატორთან საუბრისას ნამდვილად *მრწამსის* მნიშვნელობით გამოიყენა სიტყვა „სარწმუნოება“.

ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე. მთავარი კითხვა, რაც გიორგი ათონელთან დაკავშირებით დღემდე რჩება, არის ის, მიაჩნდა თუ არა მას დასავლური პნევმატოლოგიური ფორმულა (ფილიოკვე) მწვალებლობად. ანდა, რანაირად შეიძლებოდა, რომ მართლმადიდებელი ბერძნებისთვის მისაღები ყოფილიყო რომაელთა შესახებ ნათქვამი მისი სიტყვები („არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის“), მაშინ, როცა რომში ფილიოკვე უკვე კარგა ხნის დამკვიდრებული იყო.

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გიორგი ათონელის ეს სიტყვები იმის დასტურად მიიჩნია, რომ ქართველები არ იზიარებდნენ ბერძნების შეხედულებებს რომის ეკლესიის შესახებ და კათოლიციზმს უჭერდნენ მხარს. მაგრამ კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის ასე. სინამდვილეში გიორგი ათონელს ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა დასავლელი ქრისტიანებისადმი, როგორც მართლმადიდებელ ბერძენ საეკლესიო მოღვაწეებს. ზემოთ ჩვენ უკვე დავიმოწმეთ პეტრე პატრიარქის სიტყვა. მსგავსი აზრი ჰქონდათ მიქელ ფსელოსს, ნიკიტა ხონიატეს და სხვა გამოჩენილ ბერძენ ანტილათინ მოღვაწეებს (ალექსიძე 1975: 115). მოვიყვანთ კიდევ სხვა მაგალითებს:

თეოფილაქტე ბულგარელი, როგორც ცნობილია, იცავდა მრწამსის უცვალებლობის წესს (ლეიუ და *სხვები* 2001: 131). მაგრამ ამავე დროს, აი, რას წერდა იგი: „მე ნებას მოგცემ შენ, სხვა შემთხვევებში გამოიყენო გამონათქვამი: „სულიწმიდა გამოვალს მამისაგან და ძისაგან“. მე ვგულისხმობ ჩვეულებრივ საუბრებსა და, თუ გნებავს, საეკლესიო საუბრებსაც. მაგრამ მხოლოდ „სიმბოლოში“ არ მოგცემ შენ ამის“ (უფლებას) (ბოლოტოვი 1914: 137).

სხვაგან თეოფილაქტე ბულგარელი პირდაპირ აკრიტიკებს დასავლელ ქრისტიანთა შორის გავრცელებულ ამ სწავლებას: „ლატინნი ვიდრემე ვერკეთილად გულისხმისმყოფელნი იტყვიან, ვითარედ სულიწმიდა გამოვალს მამისაგან და ძისაგან...“ – წერს იგი (ცქიტიშვილი 2010: 187).

მსგავსი ვითარებაა ფოტი დიდის შემთხვევაშიც. *მისტაგოგიაში* (და თავის სხვა თხზულებებში) იგი ვრცლად მსჯელობს იმის შესახებ, თუ რატომ არის ფილიოკვე ერეტიკული აზრის მატარებელი (შოშიაშვილი 1993: 132; ალექსიძე 1975: 116-117). ამავე დროს, *მისტაგოგიაში* (ასევე აკვილიის მთავარეპისკოპოსისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში) ფოტი პატრიარქი მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდანებად აღიარებს იმ საეკლესიო მოღვაწეებს, რომლებიც პირდაპირ ასწავლიდნენ ფილიოკვეს შესახებ. იგი წერს, რომ თუკი დიდი ამბროსი მედიოლანელი, ნეტარი ავგუსტინე, ნეტარი იერონიმე და ღვთისსათნო მოღვაწეებით გამორჩეული ზოგიერთი სხვა მამა, იმავე აზრისაა, რომ სულიწმიდა ძისაგანაც გამოვალს, ეს სულაც არ ამცირებს მათ ღირსებას ეკლესიის წინაშე. ფოტი დიდი იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მამებს *მრწამსში* არაფერი ჩაუმატებიათ (პაპადემეტრიუ 1998). აქედან ცხადი ხდება, რომ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ბერძენი ანტილათინი საეკლესიო მოღვაწე ფოტი პატრიარქი *მრწამსის* გარეშე შეიწყნარებდა ფილიოკვეს, როგორც კერძო საღვთისმეტყველო აზრს და ამ აზრის

მატარებელ საეკლესიო მოღვაწეებს არა თუ ერეტიკოსებად არ მიიჩნევდა, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამებად აღიარებდა.

ამრიგად, ფოტი დიდი და სხვა ბერძენი ანტილათინი მოღვაწენი შესაძლებლად თვლიდნენ, რომ ფილიოკვე ერესად არ განეხილათ. ამ შემთხვევაში ისინი ეყრდნობოდნენ ფილიოკვეს მართლმადიდებლურ განმარტებას, რომელიც მოცემული აქვს მაქსიმე აღმსარებელს *მარინოსადმი ეპისტოლეში* (ბერძნული პატროლოგია 91: 136; გუმილევსკი 1859: 226-227). ამ ეპისტოლეს საფუძველზე, მართლმადიდებელი ქრისტიანები "მრწამსის" გარეშე ფილიოკვეს განიხილავენ როგორც კერძო საღვთისმეტყველო აზრს და არა როგორც ერესს. შესაბამისად, ეკლესიური ერთობისთვის ისინი რომისგან ფილიოკვეს სრულ უარყოფას კი არ მოითხოვდნენ, არამედ მხოლოდ იმ პირობას აყენებდნენ, რომ *მრწამსის* ტექსტში არ ყოფილიყო იგი ჩართული.

გიორგი ათონელიც მაქსიმე აღმსარებლის მსგავსად შესაძლებლად თვლიდა დასავლური პნევმატოლოგიური ფორმულის მართლმადიდებლურ განმარტებას. ამიტომ მან დასავლელი ქრისტიანები, მათი ფილიოკვეს გამო, მწვალებლობაში არ დაადანაშაულა. რაც თავისთავად სულაც არ ნიშნავს კათოლიციზმის შეწყნარებას. რადგან კათოლიკეებისთვის კატეგორიულად მიუღებელია ფილიოკვეს მართლმადიდებლური განმარტება. მაგალითად, ცნობილია, რომ ფერარა-ფლორენციის კრებაზე, როდესაც მართლმადიდებელმა ბერძნებმა წარადგინეს მაქსიმე აღმსარებლის ეპისტოლე მარინოსადმი, როგორც სარწმუნოებრივი ერთობის საფუძველი, კათოლიკებმა იგი არ შეიწყნარეს (რომანიდიცი 1975: 89-115). ხოლო კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთმა უდიდესმა ავტორიტეტმა თომა აქვინელმა სწორედ იმიტომ დასდო ბრალი იოანე დამასკელს ნესტორის ერესში, რომ იგი მაქსიმე აღმსარებლის ამ ეპისტოლეში მოცემულ განმარტებას ეყრდნობა სულიწმიდის გამომავლობის შესახებ მსჯელობისას (აქვინელი 2013: 185; ბაუერშმიტი 2005: 99).

ამრიგად, ფილიოკვეს მაქსიმე აღმსარებლისეული განმარტება, რომელსაც ეყრდნობა გიორგი ათონელი დასავლელ ქრისტიანებზე აზრის გამოთქმისას, მისაღებია მართლმადიდებელი ბერძნებისთვის, ხოლო კათოლიკეებისთვის – მიუღებელი.

მოკლედ, კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ გიორგი ათონელს სწორედ ისეთი დამოკიდებულება აქვს რომის ეკლესიისა და იქ გავრცელებული ფილიოკვესადმი, როგორი დამოკიდებულებაც ჰქონდათ ყველაზე თვალსაჩინო ბერძენ ანტილათინ საეკლესიო მოღვაწეებს : ფოტი დიდს, პეტრე პატრიარქს, მიქელ ფსელოსს, თეოფილაქტე ბულგარელს, ნიკიტა ქონიატეს. ასე რომ, გიორგი ათონელის სიტყვაში არაფერი ბერძნებისთვის უცხო და მიუღებელი არ ყოფილა. „ბერძენთაცა ესრეთ აქუს," – ეფრემ მცირე ხშირად მიმართავდა ხოლმე ამ არგუმენტს ქართველების სიმართლის დასამტკიცებლად (თვალთვაძე 2009: 239; ბეზარაშვილი 2002). იგივე შეგვიძლია ვთქვათ ჩვენც გიორგი ათონელის შემთხვევაში: ბერძნებსაც ასეთივე აზრი ჰქონდათ.

დაბოლოს, ჩვენი გამოკვლევის შეჯამების სახით ვიტყვით: არასწორია აზრი, თითქოს ქართველები არ იზიარებდნენ ბერძნების შეხედულებებს რომის ეკლესიის შესახებ. იოანესა და ექვთიმეს *ცხოვრებასა* და გიორგი ათონელის *ცხოვრებაში* ხაზგასმულია ის, რომ ბერძენები და ქართველები ერთმორწმუნეები არიან. კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწენი ნამდვილად იყვნენ ბერძენთა სარწმუნოებრივი თანამოაზრენი. ამავე დროს ქართველებს ჰქონდათ მეგობრული და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება დასავლელ ქრისტიანებთან. ქართველები ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანებს შორის იმ თანხმობისა და ერთობის აღდგენისთვის, რაც დიდ სქიზმამდე არსებობდა. ეს თავისთავად სულაც არ ნიშნავს სიმპათიებს კათოლიციზმისადმი.

დამოწმებანი

აბულაძე 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. 2. ილია აბულაძისა და ავტორთა კოლექტივის გამოცემა, თბილისი.

ალექსიძე 1975: ა. ალექსიძე. ქართულ ენაზე მოღწეული ანტილათინური პოლემიკური თხზულება (ევსტრატი ნიკიელის ტრაქტატი). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 162. გვ. 111-123.

არუთიუნოვა-ფიდანიანი 2010: Виада Арутюнова-Фиданян, Полемика Между Халкидонитами и Монофизитами и Переписка Патриарха Фотия, Вестник Православного Свято-Тихоновского Гуманитарного Университета, Серия I: Богословие, Философия. Вып. 2 (30).

აქვინელი 2013: Thomas Aquinas. Summa Theologica. Volume 1. Part 1. Cosimo.

ბათლერი და სხვები 1997: Alban Butler, Kathleen Jones, Paul Burns, Butler's Lives of the Saints: June, Continuum.

ბაუერშმიტი 2005: Frederick Christian Bauerschmidt. Holy Teaching: Introducing the Summa Theologiae of St. Thomas Aquinas, Brazos Press.

ბაქრაძე 1988 : ა. ბაქრაძე. დავიწყებული იდეა. ქართული მწერლობა. 5, თბილისი.

ბეზარაშვილი 2002: ქ. ბეზარაშვილი. ეფრემ მცირის კოლოფონები მთარგმნელობითი მეთოდების და ელინოფილური თარგმანის მახასიათებლების შესახებ (პირველი წერილი). ლიტერატურული ძიებანი №23 (ნაწილი I). ელ. ვერსია: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL1.28&d=HASH01ec6fb2e220919747e5c7af.4.5

ბერძნული პატროლოგია 91: Patrologia, Greaca 91.

ბოლოტოვი 1914: Василий Болотов, К вопросу о filioque, СПб.

ბონსალი 1969: Dom Leo Bonsall. The Benedictine Monastery of St. Mary on Mount Athos, Eastern Churches Review. №2/3.

გარსოიანი 1998: Nina G. Garsoian, The Problem of Armenian Integration into the Byzantine Empire, Studies on the Internal Diaspora of the Byzantine Empire, ed. by H. Ahrweiler and A. Laiou, Washington, D.C.

გრძელიძე 2009: Tamara Grdzelidze, Georgian monks on Mount Athos: two eleventh-century lives of the Hegoumenoi of Iviron, Bennett & Bloom.

გუილარდი 1979: Jean Gouillard, Gagik II - défenseur de la foi arménienne, Travaux et Mémoires du Centre de recherche d'Histoire et Civilisation de Byzance, 7

გუმილევსკი 1859: Архиеп. Филарет Гумилевский, Историческое учение об Отцах Церкви, 3, С-Пб.

დეზეი 2005: Архим. Плакид Дезей, Блаженный Августин и "Филиокве", Хрестоматия по сравнительному богословию, М.

დენიელ-როპსი 1955: Henri Daniel-Rops, L'Église de la cathédrale et de la croisade, 1, Fayard.

დვალი 1974 : შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები. 2. ანბანურ-ანონიმური აპტერიკები. მანანა დვალის გამოცემა, თბილისი.

ვეიერსი 1977: Olga Weijers, Some Notes on „Fides and Related Words in Medieval Latin, Archivum latinitatis medii aevi, vol. 40.

თვალთვაძე 2009: დ. თვალთვაძე. ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი.

თინიკაშვილი 2012: დ. თინიკაშვილი. წმ. გიორგი და ექვთიმე ათონელების ლათინებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა და ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მიერ გამართული ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია 26-27 აპრილი, 2012, თბილისი, უნივერსალი. ელ. ვერსია: http://georgianstudies.ge/docs/tezisebi.pdf

კეკელიძე 1957: კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. 4. თბილისი.

კელერი 1994-2002: Hieromonk Aidan Keller, Amalfion: Western Rite Monastery of Mt. Athos, St. Hilarion Press.

კირიონი 1895: გ. საბაგელოვ-ივერიელი. გიორგი მთაწმიდელი, როგორც სასულიერო პიიტიკოსი. გაზ. ივერია. 21 მაისი, №105.

კირიონი 1910: Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис. ელ. ვერსია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12364/1/Kirion.pdf

კოპლატაძე, რუხაძე 1997: გ. კოპლატაძე, გ. რუხაძე. ლათინთა საკითხი გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში (ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება). გაზ. მადლი. 1 ივლისი, №6-7(121-122).

ლათინური პატროლოგია 173: Patrologia Latina, 173.

ლათინური პატროლოგია 67: Patrologia Latina, 67.

ლამპე 1961: Geoffrey William Hugo Lampe, A Patristic Greek Lexicon, Oxford.

ლებედევი 1998: Алексей Лебедев, Очерки внутренней истории византийско-восточной церкви в IX, X и XI веках, изд. втор., С-Пб.

ლეიუ და სხვები 2001: Angeliki E. Laiou, Roy P. Mottahedeh, The Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World, Dumbarton Oaks.

ლეფორი და სხვები 2008: ჟ. ლეფორი და სხვები. ივირონის აქტები. ტ. 2. XI საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე. დიპლომატიკური გამოცემა. ჟაკ ლეფორი და ავტორთა კოლექტივი. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა, თბილისი.

ლოლაშვილი 1994: ი. ლოლაშვილი. გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა. ივანე ლოლაშვილის გამოცემა, თბილისი.

მარტინ-ჰიზარი 2006-2007: Bernadette Martin-Hisard, La Vie De Georges L'Hagiorite (introduction, traduction du texte Géorgien notes at éclaircissements), Revue des études byzantines, tome 64-65.

მაჭარაშვილი 2010: გ. მაჭარაშვილი. სარწმუნოებაჲ მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისაჲ. თბილისი. ელ. ვერსია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/7997/1/Macharashvili_Giorgi.pdf

მეტრეველი 1998: ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი.

ოგიცკი, კოზლოვი 1999: Огицкий Димитрий., Козлов Максим, Православие и западное христианство, М.

პაპადემეტრიუ 1998: George C. Papademetriou, Saint Augustine in the Greek Orthodox Tradition, Holy Cross Orthodox Press. Online: http://www.goarch.org/ourfaith/ourfaith8153

პაპაშვილი 1995: მ. პაპაშვილი. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს, თბილისი.

პაპუაშვილი 2001: ნ. პაპუაშვილი. გიორგი მთაწმინდელი რომაელთა სარწმუნოების შესახებ. გაზ. საბა. ივნისი, №6.

პატარიძე 2005: ლ. პატარიძე. 1054 წლის განხეთქილება და საქართველო. ჟურ. დიალოგი, №1(2). ელ. ვერსია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე (ნანახია 16/01/2014). ელ. ვერსია: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4------4-0-0l--11-ru-50-0--20-about--100-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL4.5&d=HASH0156b8ed7b5bcfbaa010f965.3.1

პეტერსი 1923: Paul Peeters, Histoires Monastique Géorgiennes, Bruxelles.

პოგოდინი 1963: Архим. Амвросий Погодин, Святой Марк Эфесский и Флорентийская уния, Holy Trinity Monastery, Jordanville, N-Y. Online: http://www.pagez.ru/lsn/0094.php

რომანიდიცი 1975: Прот. Иоанн Романидис, Филиокве: Доклад на конференции православно-англиканской богословской подкомиссии по диалогу 21-28 июля 1975 года в Сент-Олбансе (Англия), Вестник Русского Западноевропейского Патриаршего экзархата, Париж, 1975, № 89-90. Online: http://pagez.ru/olb/345.php

საბინინი 1882: გობრონ (მიხეილ) საბინინი. საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართუველოს წმიდათა. პეტერბურღი.

სოფოკლე 1914: Evangelinus Apostolides Sophocles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, Cambridge. Online: https://archive.org/details/cu31924021609395

სტარკი 1988: Andrea Sterk, The Silver Shields of Pope Leo III: A Reassessment of the Evidence, A Journal of Medieval and Renaissance Studies (Center for Medieval and Renaissance Studies). 19(1).

ტროიცკი 1875: Иларион Троицкий, Изложение веры Церкви Армянския начертанное Нерсесом, Католикосом Армянским, по требованию Боголюбивого государя греков Мануила, С-Пб.

უსპენსკი 1873: Порфирий Успенский, История Афона, Труды Киевской Духовной Академии, стр. 43-44.

უსპენსკი 1877: Порфирий Успенский, История Афона, 3, I, Киев.

უსპენსკი 2007: Порфирий Успенский, История Афона (в 2-х томах), 2, М.

ქანინგჰამი1991: The Life of Michael the Synkellos, text, translation and commentary by Mary B. Cunningham, Belfast.

შოშიაშვილი 1993: ფოტი დიდი. სიტყვა სულიწმინდის მესაიდუმლეობის შესახებ. ჯულიეტა შოშიაშვილის თარგმანი, ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია. 2, თბილისი.

ცქიტიშვილი 2010: თ. ცქიტიშვილი. თეოფილაქტე ბულგარელი. განმარტება იოანეს სახარებისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა. 1, თბილისი.

ჭელიძე 2007: ე. ჭელიძე. სპეკალი მართლმადიდებლობისა, თბილისი.

ხინთიბიძე 1999ა: ე. ხინთიბიძე. ქართველი წმინდა მამის აზრი ბერძნულ-რომაულ საეკლესიო კონფლიქტზე XIII საუკუნის ლათინურ კრებულში, ჟურ. ლიტერატურა და სხვა. 1.

ხინთიბიძე 1999ბ: ე. ხინთიბიძე. ქართული აგიოგრაფიული ტექსტის XIII საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანი, კრებული ΑΝΑΘΕΣΙΣ ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბილისი.

ხინთიბიძე 2000: Elguja Khintibidze, The View of a Georgian Holy Father on the Greek-Roman Ecclesiastical Split in a 13th-century Latin Collection, Kartvelologist, N6, 2000.

ჯაფარიძე 1998: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს ეკლესიის სამოციქულო მემკვიდრეობის დასაცავად, გაგრძელება წერილისა პასუხი კათოლიკური პოზიციის უნებლიე ქომაგებს. გაზ. მადლი. სექტემბერი. №12-13(138-139).

ჯილი 1992: Moshe Gil, A History of Palestine, 1, Cambridge University Press, Cambridge, New York.

ჰაუგი 1975: Richard Haugh, Photius and the Carolingians (the Trinitarian controversy), Nordland Pub. Co., Belmont, Massachusetts.

ექვთიმე ათონელი და გიორგი ათონელი
(იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა)

Two Monuments of Georgian Hagiography on Western Christians

Giorgi Macharashvili

In this article we discuss evidences on western Christians which are preserved in two Georgian hagiographical monuments of the Great Schism period. These monuments are *The Vitas of St. John and Euthymius* and *The Vita of St. George the Hagiorite*. The first monument tells that Georgian monks on Mount Athos were friends of the Italian Benedictines. The second informs that despite the Schism, the Georgian monk did not accuse western Christians in heresy.

On the basis of these facts part of the scholars thinks that Georgians had sympathies toward Roman-Catholicism, and they did not share the position of Greek Orthodox Christians.

We have another point of view. Our research shows that Athonite Benedictines also were Orthodox Christians and St. George the Hagiorite's attitude to them was identical with of Greek anti-Latin fathers.

Thus, we tend to think that in the epoch of Great Schism Georgians and Greek Orthodox Christians were co-religionists.

ოსმალურენოვანი საოჯახო დოკუმენტები და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები

ნუგზარ მგელაძე
ზაზა შაშიკაძე
თემურ ტუნაძე

ოსმალურენოვანი საოჯახო დოკუმენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აჭარაში მრავლადაა დადასტურებული. მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა მუზეუმში, მათ შორის, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში და პირად კოლექციებშია დაცული. საოჯახო დოკუმენტთა უმეტესობა ოსმალურ ენაზეა შედგენილი და XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, დაახლოებით XX საუკუნის 30-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს. დოკუმენტები XIX-XX საუკუნეების ოსმალეთის იმპერიაში გავრცელებული „რიკას ხელითაა“[1] დაწერილი. გვხვდება რუსულენოვანი და შერეული ანუ ოსმალურ და რუსულ ენებზე შესრულებული ვარიანტებიც.

ოსმალურენოვანი დოკუმენტები კლასიფიკაციის თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს. მათი ნაწილი მიწაზე საკუთრების დამადასტურებელია, სხვა მიწის განაწილებისა და განაწილებულ მიწაზე ამა თუ იმ ოჯახისა თუ ნათესაური ჯგუფის საწილო საკუთრებას ასახავს, ნაწილი კი სახლეულის მოწილეთა გაყოფასა და საოჯახო ქონების სეგმენტაციას ეხება. გვხვდება სხვადასხვა სახის მოწმობები, ქვითრები.

ამ ტიპის დოკუმენტებით ჩვენ ვადგენთ ამა თუ იმ სოფელში ადრე არსებულ ტოპონიმებს, ანთროპონიმებს, გვარსახელებსა და ბუდე ნათესაობის – გენეალოგიური ჯგუფების აღმნიშვნელ მემკვიდრეობით სახელებს, ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ ფაქტებს. ამგვარი დოკუმენტები შესაბამისი პერიოდის საქმისწარმოებისა და საქმიანი, ოფიციალური დოკუმენტის აგებულების შესწავლის, ოსმალური თუ რუსული სფრაგისტიკის კვლევის კუთხითაც კარგ მასალას იძლევა. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული და შედეგის მომცემი აღმოჩნდა საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია დოკუმენტში დასახელებულ ადგილზე, არა მხოლოდ ტოპონიმთა სიცოცხლისუნარიანობის, არამედ ხელნაწერის შინაარსობრივი მხარის უკეთ გაგებისა და გაანალიზების თვალსაზრისით. ქვემოთ სანიმუშოდ მოყვანილი ერთი დოკუმენტის შინაარსის ზოგიერთი დეტალი უფრო გასაგები, სწორედ ეთნოგრაფიული ექსპედიციის შემდეგ გახდა.[2]

მაგალითისათვის მოგვყავს ოსმალურ ენაზე შედგენილი ერთი დოკუმენტი (დანართი 2) და მისი ქართული თარგმანი (დანართი 1). იგი სოფელ კირნათის საზღვრებში შემავალი, ჭოროხის პირას მდებარე ვაკე, მინდორი ადგილის – *დუზ დიბის*[3] მიწის ნაკვეთის გაყოფას ეხება. წყაროში სოფელი კირნათის სახელწოდებითაა მოხსენიებული. ამგვარი სახელწოდების სოფელი ხელვაჩაურის რაიონში დღესაც არსებობს. აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ ჭოროხის ნაპირზე მდებარე *დუზ დიბის* მიწის ნაკვეთს ზედა მხრიდან ლალოღლუს მიწა, ხოლო ქვედა მხრიდან ფეიზისა და შევქეთ ეფენდის საერთო ნაკვეთი ესაზღვრებოდა. ერთი მხრიდან პატარა მდინარე და დიდი ღელე,[4] ხოლო მეორე მხრიდან – ჯიხოღლუს მიწა ემიჯნებოდა.

დოკუმენტის ხელისმომწერ პირთა ვინაობიდან ჩანს, რომ შევქეთ ეფენდი მოლა ყოფილა. მის მამას ოსმანი ერქვა. მოლის სტატუსი მელიქოღლუ ჰუსეინსაც ჰქონია. სოფელ კირნათის მუხტარი კი ბალ ჰუსეინოღლი ოსმანი ყოფილა. ხელისმომწერთაგან ჯინალოღლი მემედი, მელიქოღლუ მოლა ჰუსეინი და შუჰუდ ულ მალ ქასიმ ეფენდი ტექსტში არ მოიხსენიებიან.

საოჯახო დოკუმენტში ნახსენებია მემკვიდრეობითი სახელის მატარებელი შვიდი ნათესაური ჯგუფი: ლალოღლუ, ჯიხოღლუ, ომეროღლები, ეფენდუღლუ, ფეიზოღლუ, მელიქოღლუ, ჯინალოღლი, ჰუსეინოღლი. თურქული ანთროპონიმული და სუფიქსური ტრადიციით გაფორმებული ამდაგვარი მემკვიდრეობითი სახელები აჭარაში დღესაც გვხვდება, მაგალითად, ჯინოღლი, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ თავისი არსით ისინი ოსმალურ-თურქული წარმომავლობისაა. ოსმალეთში გვარსახელი არ არსებობდა. მემკვიდრეობითი სახელები გენეალოგიას არ წარმოქმნიდა და მამის სახელი შვილიშვილის თაობაში მემკვიდრეობით სახელწოდებას კარგავდა. მაშინ, როცა აჭარაში, თუნდაც გარეგნულად ოსმალურ ყაიდაზე გაფორმებული მემკვიდრეობითი სახელი, ისე როგორც გვარსახელი, თაობიდან თაობაში

გადადიოდა და ნათესავთა ფართო წრის საერთო სახელწოდებად ყალიბდებოდა. საერთოდ, ეს იყო ქართული გვარსახელებისა და გენეალოგიური ჯგუფების მემკვიდრეობითი სახელების ზოგადი ბუნება და იგი გენეალოგიური მახსოვრობის პრინციპებს ეფუძნებოდა. სხვათა შორის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გენეალოგიური ჯგუფის სახელწოდებას ერთვოდა თურქული ოღლი, ძე-სა და შვილი-ს ნაცვლად, მაგრამ ფუძისეული სიტყვა ტრადიციული იყო. ჩვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოხსენიებული მელიქოღლუ ფაქტობრივ საქართველოში კარგად ცნობილი გვარის – მელიქიშვილის იდენტურია. ოსმალთა მმართველობის პერიოდში მელიქიშვილი თუ მელიქიენთი მელიქოღლუ გახდა.

აღნიშნული საბუთის რიგი ინფორმაციის დაზუსტების მიზნით განვახორციელეთ საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია სოფელ კირნათში. უშუალოდ დავათვალიერეთ დოკუმენტში დასახელებული მიწის ნაკვეთი; გადავამოწმეთ ოსმალურ ტექსტში მოცემული ტოპონიმების სიცოცხლისუნარიანობა; გავეცანით მოქმედ ტოპონიმებს და სხვა საინტერესო ფაქტებს. საველე მასალებმა ნათელი მოჰფინა არაერთ ბუნდოვან საკითხს, კერძოდ:

ტექსტში დასახელებული ქართული შესატყვისობა „პატარა მდინარე და დიდი ღელე“, ერთი შეხედვით, შეუსაბამობის შთაბეჭდილებას ბადებს, რადგან „ღელე“ პატარა მდინარეს, ნაკადულსაც აღნიშნავს. „ღელე“ სულხან საბასთან „პატარა ხევია“. დ. ჩუბინიშვილი კი მას განმარტავს, როგორც ჩავარდნილ ადგილს მინდორზე ან მთათა შორის მშრალ ხევს (http://ka.wiktionary.org/wiki/ღელე). მოცემულ შემთხვევაშიც სიტყვის „ღელე“ ეს მნიშვნელობა ტექსტის შინაარსს უფრო გასაგებს ხდის. ტექსტიდან ჩანს, რომ საუბარია პატარა მდინარეზე, რომელიც სავარაუდოდ აჭარისწყალს ერთვის და დიდ ღელეზე, როგორც მოსაზღვრე ხევზე. სინამდვილეში კი ექსპედიციის შედეგებმა სიტყვათშეთანხმების „პატარა მდინარე და დიდი ღელე“ სხვა მნიშვნელობა დაგვიდასტურა. ჩვენი ინფორმატორის – მუხამედ ცინცაძის თქმით, მდინარე ჭოროხი ორივე მხრიდან გარს უვლის ადგილ „ადას“, იგივე *დუზ დიბის,* რის შედეგადაც ეს ადგილი ერთგვარი კუნძულის სახეს ღებულობს. წარსულში, იმ დროისათვის, როცა ეს დოკუმენტი შეადგინეს, „ადას“ მდინარე ჭოროხის ძირითადი ნაწილი მარცხნიდან, ხოლო მცირე – მარჯვენა მხრიდან უვლიდა (თანამედროვეობაში ჭოროხის კალაპოტი შეცვლილია. ეხლა მისი ძირითადი წყალუხვი ნაწილი „ადას“ მარჯვნიდან უვლის, იმ კალაპოტში, სადაც ადრე „პატარა მდინარე“ მიედინებოდა, ხოლო ძველი „დიდი ღელის“ ადგილზე ეხლა ჭოროხის მცირე ნაწილი მიედინება). შესაბამისად, ტექსტში ჭოროხის წყალუხვი ნაწილი „დიდ ღელედ“, ხოლო მცირეწყლიანი ნაწილი „პატარა მდინარედ“ მოიხსენიება. ამგვარი განმარტება მოგვცა მთხრობელმა. მის მიხედვით დიდი, წყალუხვი მდინარე „დიდი ღელეა“, ხოლო მცირეწყლიანი ღელე „პატარა მდინარე“. ეს ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის ტექსტთან, რამდენადაც მასში აღნიშნულია, რომ „პატარა მდინარე და დიდი ღელე“ *დუზ დიბის* მხოლოდ ერთი მხრიდან ესაზღვრება. ამგვარმა შეუსაბამობამაც გარკვეულწილად ეჭვქვეშ დააყენა საველე-ეთნოგრაფიული მასალის სისწორე.

დოკუმენტი არ ასახელებს რაიმე თანხას ან ყიდვას ან ჩუქებას. ამდენად, საინტერესოა თუ რა სახის გარიგებას ეხება დოკუმენტი. ამასთან დაკავშირებით ერთგან აღნიშნულია, რომ მიწის სამი წილიდან ერთი წილი ომეროღლებს დარჩათო, ხოლო დასასრულს მითითებულია, რომ ეს დოკუმენტი ფეიზოღლებს მიუციათ ომეროღლებისათვის. რამდენადაც გარიგება სხვადასხვა გვარებს შორის იყო დადებული თავდაპირველად მივიჩნევდით, რომ დოკუმენტი მიწის გაყიდვას ეხებოდა, მაგრამ გაუგებარი რჩებოდა თუ რატომ არ იყო მითითებული ტექსტში საფასური. ამ საკითხს ნათელი მოჰფინა სოფელ კირნათის ექსპედიციამ. მუხამედ ცინცაძის განმარტებით *დუზ დიბის* მიწის ნაკვეთს საერთო სარგებლობაში ფლობდა რამდენიმე გვარი. ჩვენთვის საინტერესო საბუთში საუბარია საერთო სარგებლობაში მქონე მიწის განაწილებაზე და არა ყიდვა-გაყიდვაზე. დოკუმენტი ფეიზოღლებს მიუციათ ომეროღლებისათვის. მიწის განაწილების შეთანხმებაც ამ გვარებს შორისაა დადებული. მათი მიწები თანამედროვეობაშიც ესაზღვრება ერთმანეთს.

საინტერესოა, ასევე ამ ტიპის საოჯახო საბუთების ოსმალურ ენაზე შედგენის საჭიროებისა და აუცილებლობის ფაქტობრივი გარემოებები, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ კვლევის ამ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ოსმალურენოვანი საოჯახო დოკუმენტები XX საუკუნის 30-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც კი მოგვეპოვება.

საოჯახო-საგვარეულო საბუთების ენობრივი, ქრონოლოგიური და გეოგრაფიული სტატისტიკა შემდეგია:[5]

დოკუმენტების შედგენის კიდურა თარიღები (მზის კალენდრით)	ოსმალურ-ენოვანი	რუსულ-ენოვანი	ბილინგ-ვური და სხვა	საერთო რაოდე-ნობა	დოკუმენტის გეოგრაფია
1881 – 1932	21	21	6	48	ბათუმი, ახალშენი (კინტრიშის უჩასტკა),

რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად, 1878 წლის 25 აგვისტოდან სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დედასამშობლოს დაუბრუნდა და მოექცა რუსეთის იმპერიის ფარგლებში. კავკასიის დაუფლებით რუსეთის საიმპერატორო კარმა მიიღო, ასევე, ეთნიკურად და ენობრივად ჭრელი „ხალხთა ლაბორატორია“, სადაც საქმისწარმოებისა თუ სხვა სახის კომუნიკაციის მოსაგვარებლად სავალდებულო ენად რუსული დააწესა. იმპერიის ხელისუფლებამ ადგილობრივ რეფორმათა სერია კავკასიის გუბერნიებში XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო, რომლის თანმხლები იყო რუსული ენის დამკვიდრება. რუსული მმართველობის რეფორმები, მათ შორის, რუსული ენის მოთხოვნაც, გვიან შეეხო აჭარას. ფაქტია, რომ 1878 წლის შემდგომ საქმისწარმოების ოფიციალური ენა რეგიონში რუსული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით, დაბალ ფენებში, სამწერლობო ენად ოსმალური გამოიყენებოდა.[6] ოსმალური ენის გამოყენება საოჯახო დოკუმენტებში, მიუთითებს ამ ენის სიცოცხლისუნარიანობაზე. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ მოსახლეობა სხვა სამწერლობო ენას ვერ ფლობდა და, შესაბამისად, ოსმალური იყო მათთვის ხელსაყრელი. გარდა აღნიშნულისა, საინტერესოა, ჰქონდა თუ არა ოსმალური ენის სიცოცხლისუნარიანობას სხვა ხელშემწყობი პირობები? ამ მხრივ გასათვალისწინებელია ერთი მონაკვეთი იმავე დოკუმენტიდან:

> ...ფართობის ოთხი მხრივ შემოსაზღვრულის სამი წილიდან ერთი წილი და ადაზეც[7] სამი წილიდან ერთი წილი ომეროღლების კუთვნილება გახდა და შეუძლიათ სურვილისა და საჭიროებისამებრ გამოიყენონ. ჩვენი და ჩვენი შთამომავლების მხრიდან რაიმე წინააღმდეგობა და ჩარევა არ იქნება. და თუ ჩვენ ან ჩვენი შთამომავლების მხრიდან რაიმე წინააღმდეგობა ან ჩარევა მოხდა, ვალდებული ვართ მასზე უარი ვთქვათ და დამატებითი სახით ხუთი ოსმალური წითელი ლირა ერთობლივი ქონების სახით გადავიხადოთ.

როგორც აღინიშნა დოკუმენტი 1922 წელსაა შედგენილი. ანუ ჩანს, რომ XX საუკუნის 20-იან წლებშიც სოფელ კირნათის მოსახლეობა თანხმდებოდა, რომ ერთმანეთთან ანგარიშსწორება ოსმალური ფულით – ლირებით განეხორციელებინა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ისინი თანხმდებიან, ანგარიშგებაზე არა იმავე 1922 წლისათვის, არამედ იმაზეც, რომ მომავალშიც „ოსმალური წითელი ლირით“ აანაზღაურონ პირგასამტეხლო. ეს გარემოება, ამ ერთი კონკრეტული დოკუმენტიდან გამომდინარე, მიუთითებს, რომ, შესაძლოა, სხვა ფულის მოთხოვნილება კირნათის თემში, კონკრეტულად კი, დოკუმენტში დასახელებულ გვარებში, არ იყო[8]. ოსმალური ფულის ერთეულის არსებობა და მიმოქცევა მიუთითებს, რომ აჭარის, განსაკუთრებით, ბარის მოსახლეობის ერთი ნაწილი ოსმალურ სავაჭრო ცენტრებთან – ბაზრებთან კავშირს XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებშიც კი არ კარგავდა.

აჭარაში, როგორც ოსმალთა ბატონობისაგან ახალგამოხსნილ ქართულ რეგიონში, ქართული დამწერლობის აღდგენის საკითხი იმ დროის მოწინავე საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი იყო. ამ კუთხით საქართველოს ამ ძირძველ მხარეში დიდად მნიშვნელოვანი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა, თუმცა ფაქტია, რომ აჭარაში 1881 წელს გახსნილ პირველ ქართულ სკოლაში 1906 წლისათვის მხოლოდ 6 ქართველი მაჰმადიანი სწავლობდა. საოჯახო, ანუ კერძო ხასიათის დოკუმენტებში დაახლოებით XX საუკუნის 30-იან წლებამდე ოსმალური დამწერლობის შემონახულების მიზეზად, გარდა ენობრივი პოლიტიკის სირთულისა, უნდა დასახელდეს, ასევე ის გარემოება, რომ ძველი თაობის წარმომადგენელთათვის, რომლებიც ძირითადად მართავდნენ აჭარულ ოჯახს, პრეროგატივა იყო ყიდვა-გაყიდვა, მით უფრო მიწისა, სამწერლობო ენად უფრო ხელსაყრელი ოსმალური იქნებოდა და, შედარებით ნაკლებად რუსული. ამას ადასტურებს ისიც, რომ საოჯახო დოკუმენტების დიდი ნაწილი ოსმალურ ენაზე, ხოლო მცირე რუსულ ენაზეა შედგენილი.

ამდენად, კერძო ხასიათის საოჯახო-საგვარეულო დოკუმენტები, გარდა თარგმნისა და პუბლიკაციისა, საჭიროებს კომპლექსურ შესწავლას, მათ ჩართვას სამეცნიერო მიმოქცევაში; დოკუმენტის კვლევისას გასათვალისწინებელია მასში დასახელებული ტოპონიმებისა თუ სხვა ინფორმაციის შესატყვისი ეთნოგრაფიული მასალა, რითაც უფრო სრულყოფილი ხდება კვლევის შედეგები.

გასათვალისწინებელია, ასევე დოკუმენტის ხელმომწერთა ასაკობრივი მდგომარეობა, რომლებიც, როგორც წესი, განსაზღვრავდნენ წერილობითი შეთანხმების ენას. ამ ეტაპზე წარმოვადგინეთ მხოლოდ ერთი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, კირნათის თემის ისტორიისა და ეთნოლოგიის არაერთი საინტერესო საკითხი გამოიკვეთა.

დანართი 1

სოფელ კირნათის დოკუმენტის ქართული თარგმანი

ჭოროხის ნაპირზე მდებარე დუზ დიბის მიწის (Düz dibi), რომელსაც ზემოთა მხრიდან ლალოღლუს მიწა, ქვემოთა მხრიდან ფეიზისა და შევქეთ ეფენდის საერთო მიწა, ერთი გვერდიდან პატარა მდინარე და დიდი ღელე, ხოლო მეორე გვერდიდან ჯიხოღლუს მიწა ესაზღვრებათ – სამი წილიდან ერთი წილი ომეროღლებს დარჩათ. აქედან გამომდინარე რომც არ იყოს ჭოროხის ნაპირი, ყოველი შემოსავლის სამი წილიდან ერთი წილი ომეროღლებს საბუთით გაუნაწილდათ (მიეკუთვნათ).

წინამდებარე საბუთის შედგენის მიზეზი გახდა ის, რომ:

სოფელ კირნათის საზღვრებში შემავალი ჭოროხის პირას მდებარე ვაკე (მინდორი) მიწის ნაკვეთი, რომელსაც ზედა მხრიდან მინდორი ესაზღვრება და ქვემოთა მხრიდან მდინარე ჭოროხი, ლალოღლუსა და ქოსე ეფენდიოღლუს მიწები, ცალი გვერდითა მხრიდან ფეიზოღლუს და მეორე გვერდითა მხრიდან ჯიხოღლუს მიწები ესაზღვრება, აი, ამ ოთხ საზღვარში მოქცეულ მინდორ მიწის ნაკვეთზე სამი წილიდან ერთი წილი ომეროღლების საკუთრება გახდა და აღნიშნული ფართობის ოთხი მხრივ შემოსაზღვრულის სამი წილიდან ერთი წილი და ადაზეც სამი წილიდან ერთი წილი ომეროღლების კუთვნილება გახდა და შეუძლიათ სურვილისა და საჭიროებისამებრ გამოიყენონ. ჩვენი და ჩვენი შთამომავლების მხრიდან რაიმე წინააღმდეგობა და ჩარევა არ იქნება. და თუ ჩვენ ან ჩვენი შთამომავლების მხრიდან რაიმე წინააღმდეგობა ან ჩარევა მოხდა, ვალდებული ვართ მასზე უარი ვთქვათ და დამატებითი სახით ხუთი ოსმალური წითელი ლირა ერთობლივი ქონების სახით გადავიხადოთ. აღნიშნული პირობით ეს მიწის საბუთი საჭიროებისა და სურვილისამებრ არის მომზადებული და მოწმეების თანდასწრებით ხსენებული ომეროღლებისათვის ხელზე გადაცემული. წელი 1338 (1922) ივნისი.

და ფეიზოღლუ ალის ვექილი სულეიმან ეფენდის ძე სეიდი
ფეიზოღლუ მეჰმედ ეფენდი
ლალოღლუ არსლანი
მელიქოღლუ მოლა ჰუსეინი
ოსმან ეფენდის ძე მოლა შევქეთი
შუჰუდ ულ მალ ქასიმ ეფენდი

წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც ფეიზოღლებმა ომეროღლებს მისცეს, სურვილის და შეთანხმებისამებრ არის შედგენილი, რის ახსნა-განმარტებასაც წერილობითი მოწმობით ვადასტურებთ.

ჯინალოღლი მეჰმედი
ოსმან ეფენდის ძე შევქეთ ეფენდი
ლალოღლუ არსლანი
მუხტარი, ბალ ჰუსეინოღლი ოსმანი

დანართი 2

სოფელ კირნათის დოკუმენტის ფოტოასლი



შენიშვნები

[1] ოსმალეთის იმპერიაში სხვადასხვა ხასიათის – ფინანსური, პოლიტიკური თუ სხვა სახის დოკუმენტები სხვადასხვა სტილისა თუ მიმართულების ხელწერით - კალიგრაფიით სრულდებოდა. მათ შორის იყო „რიკას ხელი“, რომლითაც კერძო ხასიათის საბუთებს ადგენდნენ.

[2] ექსპედიციის წევრები – ავტორები მადლობას ვუხდით სოფელ კირნათის მკვიდრს მუხამედ ცინცაძეს (53 წლის. ძველი გვარით ლალოღლუ), რომელმაც უშუალოდ ადგილზე გაგვაცნო დოკუმენტში მითითებული ადგილების მდებარეობა, ტოპონიმები, გვიამბო მიწის ნაკვეთის გაყოფაში მონაწილე გვართა შესახებ და, საერთოდ, არაერთი, ერთი შეხედვით წვრილმანი, მაგრამ მთლიანობაში ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი დაგვიზუსტა.

[3] სულხან-საბა ორბელიანი სიტყვა *ველს* განმარტავს, როგორც „მინდორი დიდი“, თურქულად კი - *ველი*'ს შესატყვისად *დუზ*'ს ადგენს (ორბელიანი, 1949:118, 524). ჩვეულებრივ *დუზი* დაცემულ, სწორ ადგილად, მინდორად, ვაკედ გაიგება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვაჟას მიერ მოყვანილი განსაზღვრებით იგი ისეთი ადგილია, რომელსაც „ირჩევენ დასასხდომად, მისაპარი არ აქვს, დუზი მინდორია“. შესაბამისად, ეს სიტყვა ფშაურის, ქიზიყურისა და ქართლურის დიალექტებშია დაფიქსირებული. ტერმინ დუზი-ს გავრცელების არეალი საკმაოდ ფართო იყო. როგორც ამას სპეციალისტები გვიდასტურებენ იგი თურქულის გარდა, თურქმენულ, აზერბაიჯანულ, გაგაუზურ, ყარაყალპაყურ ენებშიც გვხვდება. *დუზ* და *დუზ* ფორმებით მას ჩარა თური, თათრული და უიღურული ენებიც იცნობს. ლ. რუხაძის მონაცემებით, თურქულ - აიდინის, თოკათის, ესკიშეჰირის, სამსუნის დიალექტებში მას უამრავი დერივატი გააჩნია. ესენია: *თუზენლიქ, დუზენლიქ* ... სიტყვა *თუზ* ძველი თურქული ენის კუთვნილებაა. *თუზ დერ* სწორი ადგილი ყოფილა, როგორც ეს მაჰმუდ ქაშგარელის ლექსიკონშია აღნიშნული. აქვე უთითებენ ზმნაზე *თუზ*, რაც "მოწესრიგებას" ნიშნავს, რომელიც, ასევე, XIX საუკუნის თარამა სოზლუქის ტექსტშია ასახული: *თუზ, დუზ, დუზმეკ, დუზენ.* ამ ტიპის ლექსემებს თურქულ ნასესხობებად თვლიან ალბანურ და სერბულ ენებშიც (დაწვრ. იხ. *რუხაძე,* 1988:147).

[4] ქართული შესატყვისობა „პატარა მდინარე და დიდი ღელე“, ერთი შეხედვით, შეუსაბამობის შთაბეჭდილებას ბადებს, რადგან *ღელე* პატარა მდინარეს, ნაკადულსაც აღნიშნავს. *ღელე* სულხან საბასთან *პატარა ხევია.* დ. ჩუბინიშვილი კი მას განმარტავს, როგორც ჩავარდნილ ადგილს მინდორზე ან მთათა შორის მშრალ ხევს (http://ka.wiktionary.org/wiki/ღელე). მოცემულ შემთხვევაშიც სიტყვის *ღელე*'ს მნიშვნელობა ტექსტის შინაარსს უფრო გასაგებს ხდის. ტექსტის ანალიზით ჩანს, რომ საუბარია პატარა მდინარეზე, რომელიც სავარაუდოდ აჭარისწყალს ერთვის და დიდ ღელეზე, როგორც მოსაზღვრე ხევზე. სინამდვილეში კი ექსპედიციის შედეგებმა სიტყვათშეთანხმების "პატარა მდინარე და დიდი ღელე" სხვა მნიშვნელობა დაგვიდასტურა. ჩვენი ინფორმატორის – ცინცაძე მუხამედის თქმით, მდინარე ჭოროხი ორივე მხრიდან უვლის ადგილ *ადა*ს და იგივე *დუზ დიბი*'ს, რის შედეგადაც ეს ადგილი ერთგვარი კუნძულის სახეს ღებულობს. წარსულში, იმ დროისათვის, როცა ეს დოკუმენტი შეადგინეს *ადა*'ს მდინარე ჭოროხის ძირითადი ნაწილი მარჯვნიდან, ხოლო მცირე - მარცხენა მხრიდან უვლიდა. თანამედროვეობაში ჭოროხის კალაპოტი შეცვლილია. ეხლა მისი ძირითადი წყალუხვი ნაწილი *ადა*-ს მარჯვნიდან უვლის იმ კალაპოტში, სადაც ადრე *პატარა მდინარე* მიედინებოდა, ხოლო ძველი *დიდი ღელის* ადგილზე ეხლა ჭოროხის მცირე ნაწილი მიედინება. შესაბამისად ტექსტში ჭოროხის წყალუხვი ნაწილი *დიდ ღელედ,* ხოლო მცირეწყლიანი ნაწილი *პატარა მდინარედ* მოიხსენიება. ამგვარი განმარტება მოგვცა მთხრობელმა. თუმცა ეს ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის ტექსტთან, რამდენადაც მასში აღნიშნულია, რომ პატარა მდინარე და დიდი ღელე *დუზ დიბს* მხოლოდ ერთი მხრიდან ესაზღვრება.

[5] მოცემული სტატისტიკური ცნობები შედგენილია ამ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით. ბუნებრივია შემდგომში ეს მონაცემები გამდიდრდება და შეიცვლება.

[6] მოცემულ შემთხვევაში საუბარია ოსმალურზე, როგორც მხოლოდ, სამწერლობო ენაზე და არა, როგორც სალაპარაკო ენაზე. თურქეთში მცხოვრებმა ჩვენებურებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული სალაპარაკო ენა და ცალსახაა, რომ XIX საუკუნის 70-80-იან და შემდგომ წლებშიც ქართველი მაჰმადიანები საზოგადოების ყველა ფენისა, ფლობდნენ ქართულს, როგორც სალაპარაკო ენას.

[7] ადგილის სახელია.

[8] მიუხედავად აღნიშნულისა, კვლევის ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ ამგვარი დასკვნებისა და, მით უფრო, მისი განზოგადებისაგან. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ ფულის რეფორმები, სასაზღვრო ზონებში მოსაზღვრე ქვეყნების ფულის ნიშნების გეოგრაფია და მიმოქცევა, ასევე მისი გავლენა მოსახლეობაზე საინტერესო საკითხია, ეკონომიკური ანთროპოლოგიის კვლევის თემაა და საჭიროებს არსებული წყაროების სპეციალურ, მიზანმიმართულ შესწავლას. ამჯერად მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით.

დამოწმებანი

ორბელიანი 1949: სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, თბილისი.

რუხაძე 1988: ლ. რუხაძე. ზოგიერთი თურქული ნასესხობის შესახებ ქართულში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია). 4, თბილისი.

Ottoman Family Documents and Ethnological Problems of Study of South-West Georgia

Nugzar Mgeladze
Zaza Shashikadze
Temur Tunadze

Many ottoman family documents are found in the south-west Georgia, especially, in Adjara. Major part of them being included un private collections are kept in various museums. Most of them are written in Ottoman Turkish and are dated from second half of the nineteenth century to 1930s. Some of them are in Russian too.

The documents can be grouped according to their contents. Most of them are receipts and cards. These materials help us to identify old names of villages, establish historical and geographical facts. Ethnological expeditions are beneficial for investigating data of this kind. They help to better understanding of written sources. The ottoman family documents from Ajara should be studied with involvement of scholars of various profiles in terms of interdisciplinary projects.

In the appendix of the paper there is published document of Kirnati village.

ქართლის ცხოვრების ორი ადგილის განმარტებისათვის

ნუგზარ მგელაძე
მამია ფაღავა

საქართველოს ადრეული ეთნოპოლიტიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები ყოველთვის იყო ქართული ისტორიოგრაფიის განხილვის საგანი. საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ეთნიკური საზღვრები პოლიტიკურ საზღვრებს ყოველთვის არ ემთხვეოდა, რასაც ამა თუ იმ ეტაპზე ისტორიული კატაკლიზმები – დაპყრობითი ომები, ტომთა მიგრაციები, ეკოლოგიური კატასტროფები განაპირობებდა. ამიტომაც, ქვეყნისა და ქვეყნის შიგნით საზღვრები გამუდმებით იცვლებოდა. ეს მთლიანი საქართველოსა და ქართული ეთნოსის, ასევე, მის შიგნით ცალკეული „ქვეყნის“ ეთნოგრაფიულ და ადმინისტრაციულ საზღვრებსაც ეხებოდა.

ამჯერად, ჩვენი განხილვის საგანს წინაფეოდალური და ფეოდალური ხანის აჭარის ლოკალიზაციის საკითხები წარმოადგენს, რომელიც ისტორიის მანძილზე პერიოდულად იცვლებოდა. არა თუ ძველად, თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებიც არ ემთხვევა ისტორიულს, რაც, ბუნებრივია, არსებული რეალობიდან გამომდინარეობდა. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: ამჟამად აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულია ისტორიული კლარჯეთისა (ჭოროხის ხეობის ქვემო წელი მირვეთს ზემოთ) და შავშეთის (მაჭახელი) ნაწილი, თუმცა ქართულ მეცნიერებაში არის სხვა მოსაზრებაც, რომ მაჭახელი ცალკე ქვეყანა იყო. ჩვენს შეხედულებას ხელს არც ეს უშლის. ისტორიიდან შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ ამჯერად უმჯობესია დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს.

ზემოაღნიშნულის ფონზე საინტერესოა *ქართლის ცხოვრებაში* დაცული ცნობები, რომელიც აჭარასა და სამცხეს ეხება და, ხშირად, არაერთი მკვლევრის მიერ არასწორადაა გაგებული. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ძვ. წ. IV-III სს – ფარნავაზ მეფის ეპოქა და მის მიერ ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ ერთეულებად, საერისთავოებად დაყოფა. ამ დაყოფაში ნახსენებია *სამცხე* და *აჭარა*. მიჩნეულია, რომ ეს „ქვეყნები“ ფარნავაზის ეპოქაში საერისთავოები იყვნენ, რაც *ქართლის ცხოვრების* შესაბამისი ადგილის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. განსჯისათვის ლეონტი მროველის თხზულებიდან ამონარიდს მოვიყვანთ: „...მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 24). წყაროდან ჩანს, რომ ფარნავაზმა თავის ერისთავთაგან ერთი – მეექვსე, ოძრხის ერისთავად განამწესა. აქ ჩნდება კითხვა: როგორ გავიგოთ მემატიანის სიტყვები?

1. ლეონტის ცნობა გვიანდელი, XI საუკუნისაა და საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური ინტერესების კარნახითაა დაწერილი, თუმცა, ყველა შემთხვევაში, ფაქტების გადმოცემისას მემატიანე მაინც ზუსტი ჩანს. XI საუკუნის ავტორი თავისი ეპოქის გადასახედიდან ფარნავაზის მეფობის ხანას აღწერს. იმ დროს კი (XI საუკუნე) აჭარა, როგორც საგამგეო ერთეული, არსებობდა.

2. ლეონტი მროველი არსად არ წერს, რომ ფარნავაზმა ძვ. წ. III საუკუნეში აჭარა და სამცხე გამოყო როგორც საერისთავო, არამედ აღნიშნავს, რომ მეფემ ოძრხეს საერისთავო შექმნა, „რომელ არს სამცხე და აჭარა“, ე. ი. სადაც ამჟამად, XI საუკუნეში არის სამცხე და აჭარაო. ჩანს, ლეონტის დროს ოძრხის საერისთავო უკვე აღარ არსებობდა, ამიტომაც დასჭირდა მემატიანეს მისი საზღვრები დაეზუსტებინა. ეს ბუნებრივიცაა.

საქართველოს „ქვეყნებში“ მსგავს პროცესებზე თავის დროზე ნ. ბერძენიშვილი დასაბუთებულად წერდა: „ქვეყანა საქართველოს შესწავლა მასში შემავალ „ქვეყანათა“ შესწავლით უნდა წარიმართოს“. ეს ქვეყნები მუდამ ერთი და იგივე შინაარსისა და გეოგრაფიული მოცულობის არ იყო. ესა თუ ის ქვეყანა ქრებოდა, ჩნდებოდა, მცირდებოდა ან დიდდებოდა. ახალ ქვეყანას უჩნდებოდა ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი, ახალი კომუნიკაციები (გზები, საბაჟოები, ახალი ქალაქები...). მკვლევრის აზრით, „ჰერეთი გაქრა, კახეთი გადიდდა, სუჯეთი გაქრა, ქიზიყი გაჩნდა, ალგეთი გაქრა, ჟალეთი გაქრა და ვერც კი მიგვიგნია სად იყო, აფშილეთი გაქრა, ჩაჩი გაქრა, თაკვერი გაქრა, ლეჩხუმი და რაჭა იშვნენ, ვაკე გაქრა, წინარეთი გაქრა, კახეთში მოყვა თუ კახეთი იქცა წინარეთად და ასე უსასრულოდ...“

ასევე ჩნდებოდა, იზრდებოდა ახალ-ახალი ქვეყნების შემოერთებით, მათი გათქვეფა-ჩაყლაპვით, თუ სანახევროდ ჩაყლაპვით, თუ მცირდებოდა „ქვეყანა საქართველო“. ნ. ბერძენიშვილის თქმით, ხევი

„შლიდა“ ხევის ქვეყანას, სამეფო „შლიდა“ სამთავროს და ყველანი რჩებოდნენ, არ იშლებოდნენ. თავის დროზე „მთელი ქართლი ერთ „ქვეყნად“ („ქართლად“) წარმოდგება. მტკვრის დინებით, მის შემდინარე ხევებზე გაშენებულია საკმაოდ ძლიერი ცენტრები, რომლებიც დროთა განმავლობაში ქართლის ცენტრის ჰეგემონიაში შემოდიან“ (ბერძენიშვილი 1991: 14-16). აჭარაც ხევის ტიპის რეალობის ამსახველი „ქვეყანა“ იყო და ეს ხევის ტიპის ქვეყანა მოგვიანებით აბუსერისძეთა გამგეობაში მყოფმა არტანუჯის ქართულმა საერისთავომ (შედიოდა: კლარჯეთი, აჭარა, შავშეთი, შესაძლოა, სამცხეც, ან მისი ნაწილი), უფრო დიდმა ქვეყანამ „დაშალა“. აბუსერისძეები იყვნენ არა უშუალოდ აჭარის ერისთავები, არამედ გაცილებით ფართე ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლები, რომელშიც აჭარა და სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციები ერთიანდებოდა. აბუსერისძეებს მამულები და საჯდომი აჭარაშიც ჰქონდათ და არაა გამორიცხული, წარმომავლობითაც აჭარიდან ყოფილიყვნენ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის „ქვეყნების“ შექმნა ერთიანი საქართველოს შექმნის წინაპირობა იყო.

ლეონტი მროველის თხზულებიდან ირკვევა, რომ XI საუკუნეში აჭარის ტერიტორიული საზღვრები ნოსტის თავსა (ჩანს, „ნოსტი“ სამცხესა და აჭარას შორის არსებული მიჯნა იყო) და ზღვას შორის თავსდებოდა, რაც კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობას თითქმის ემთხვევა, რომელიც XI საუკუნის აჭარისწყლის გასწვრივ ქვეყანას *ყველის ციხესა* (ტიროკასტრონი) და *კოლორს*[1] შორის ათავსებდა.

შემოთავაზებული თვალსაზრისის სასარგებლოდ ანდრია პირველწოდებულისა და მისი თანამოღვაწეების (მატათა, სვიმონ კანანელი) მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში – ეგრისსა და იბერიაში ქრისტიანობის ქადაგების ფაქტი უნდა მეტყველებდეს. მიიჩნევენ, რომ ანდრია პირველწოდებულმა პირველ საუკუნეში აჭარაში იქადაგა. ამ შემთხვევაში იგულისხმება აჭარა, როგორც საგამგეო-პოლიტიკური ერთეული და არა უბრალოდ ტერიტორია, სადაც გვიანდელი აჭარის „ქვეყანა“ იყო წარმოდგენილი. არცერთ ადრეულ ბერძნულ-რომაულ წყაროში (დროთეოს ტვირელი, ეპიფანე კვიპრელი, სოფრონი, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, კლიმენტი რომაელი, ევაგრე სიცილიელი,...) და არც გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში („მოსახსენებელი...“) არაა ნახსენები, რომ ანდრია საქადაგებლად აჭარაში შევიდა. ყველგან მითითებულია ტრაპეზუნტი, ლაზიკის ქალაქი, იბერია, ქართლის ქვეყანა, მდინარე ჭოროხი, ეგრისი... ლოგიკურად ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან I საუკუნისთვის ქართლში გაერთიანებული იყო თანამედროვე აჭარის ტერიტორიის ქართებით დასახლებული მთიანი ნაწილი, ხოლო მეორე, ზღვისპირეთი – კოლხებით იყო წარმოდგენილი. ერთადერთი ცნობა, სადაც მითითებულ კონტექსტში აჭარა (დიდაჭარა) არის მოხსენებული, ლეონტი მროველის თხზულებაში ჩანართად მიჩნეული ტექსტია. მემატიანის თქმით, „მოვიდა ... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა“, შემდეგ „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა...“ (ყაუხჩიშვილი 1955: 39). აქაც მეისტორიე აზუსტებს მის თანადროინდელ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ, უფრო ზუსტად, ადმინისტრაციულ რეალობებს. მემატიანეს მიერ მოყვანილ ტექსტში გრამატიკული დროც სათანადოდ აქვს დაცული. თხზულებაში, სადაც საუბარია, რომ მოციქულმა იმოგზაურა ქართლის ქვეყანაში, ზმნა წარსულ დროშია ნახმარი („შევიდა“), ხოლო იქ სადაც ნახსენებია „აჭარა“, ზმნა ახლანდელ დროშია გამოყენებული („ეწოდების“).

ანდრია პირველწოდებული აჭარაში ვერ შევიდოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამგვარი ადმინისტრაციული ერთეული იმ ეპოქაში არ არსებობდა ისე, როგორც არ არსებობდა ისეთი „ქვეყნები“ როგორიცაა გურია, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი... ეთნოგრაფიული და საგამგეო-პოლიტიკური თვალსაზრისით ქართულ ეთნო-სოციალურ ორგანიზმში ისინი ისეთივე გვიანდელი წარმონაქმნებია, როგორც აჭარა. ყველა ეს გაერთიანება უფრო გვიანდელია, ვიდრე მოციქულთა ეპოქაა.

სადღეისოდ ცნობილი წყაროებიდან ანანია შირაქელის ნაშრომი *გეოგრაფია* (VII საუკუნე) ყველაზე უადრესია, სადაც მოხსენებულია ტოპონიმი *აჭარა*. ხეობაში და უფრო ფართო ტერიტორიაზეც ქართულენოვანი სატომო გაერთიანების განშტოებები სახლობდნენ – ურარტული წყაროებით *იუტერუხები*, ბერძნულ-რომაული წყაროებით *მიძერები*, რომელნიც შესაძლებელია, თავის დროზე, დიაოხას დიდი სატომო გაერთიანების შემადგენელი ნაწილები იყვნენ, შედარებით გვიან კი – *ძიდრიტები* (*//ზიდრიტები*), ხოლო VII საუკუნიდან (?) საკუთრივ აჭარისწყლის ხეობაში ლოკალიზებული აჭარ/ქართულენოვანი *აჭარლები* ჩნდებიან. ამდენად, აჭარლების თავდაპირველი საცხოვრისი აჭარისწყლის ხეობა იყო, სადაც „ქვეყანა აჭარა“ ჩამოყალიბდა, თუმცა მისი საზღვრები ხშირად ხეობის ფარგლებს სცილდებოდა და ზღვის სანაპირო ზოლამდეც აღწევდა.

ჩვენი ვარაუდს, რომელიც ქართველოლოგიაში ახალი არაა, და ეთნოგრაფიულ აჭარას თავდაპირველად აჭარისწყლის ხეობით შემოსაზღვრას გულისხმობს, მხარს კონსტანტინე

პორფიროგენეტის ცნობაც უჭერს, რომლის თანახმადაც, „აშოტ პატრიკიოსმა, კისკასმა, აიყვანა სიძედ, თავისი ქალის ქმრად, ის გურგენ მაგისტროსი, რომელმაც ... ძალით წაართვა თავის სიმამრს, აშოტს, არდანუჯი და ამის სანაცვლოდ მისცა მას ტიროკასტრონი და აჭარისწყლის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანიის მოსაზღვრე იყო კოლორისთან“ (ყაუხჩიშვილი 1952:275-276).

წყარო ასევე მიგვანიშნებს, რომ X საუკუნეში ქვეყანა აჭარის საზღვარი მთისკენ ტიროკასტრომდე, ანუ იგივე არსიანის მთის კალთაზე, აჭარისწყლის სათავეებთან შავშეთის, ჯავახეთისა და აჭარის მიჯნაზე მდებარე „ყველის ციხემდე“ აღწევდა, ხოლო ზღვისკენ ბიზანტიის ჰეგემონიის ქვეშ მყოფი კაპადოკიის საზღვრამდე – „კოლორისთან“. ამავე წყაროს მიხედვით, აჭარა იბერიის საერისთავო იყო და მას ერისთავი განაგებდა. იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის თქმით, კურაპალატს დაქვემდებარებული ჰყავდა ოთხი ერისთავი: „ვერიასახის ერისთავი იბერიაში, კარნატაის ერისთავი იბერიაში, ყველის ერისთავი იბერიაში და აჭარის ერისთავი იბერიაში“ (ყაუხჩიშვილი 1952: 291). მოგვიანებით აბუსერისძეთა გამგებლობაში მყოფმა არტანუჯის საერისთავომ სწორედ ეს უკანასკნელი გააერთიანა.

აჭარა რომ აჭარისწყლის ხეობაა, ეს დღევანდელი აჭარელის მენტალობაშიც აისახა. მისთვის აჭარა ორი მნიშვნელობით იხმარება. ფართო მნიშვნელობით *აჭარა* აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას, *აჭარელი* კი ზოგადად მის მცხოვრებთ მოიცავს. ვიწრო მნიშვნელობით *აჭარა*, აჭარისწყლის ხეობაა. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: *ქობულეთელისათვის* აჭარელია აჭარის ყველა მცხოვრები, გარდა ქობულეთელისა (//ქობლეთელისა; *ბათუმელისათვის* აჭარელია აჭარისწყლის ხეობის (ქედა, შუახევი, ხულო) მკვიდრი. ბათუმელი ერთმანეთისაგან განარჩევს: *ქობულეთელი, აჭარელი, მაჭახლელი, ბათუმელი*. ანალოგიური გაგებაა მუჰაჯირთა შთამომავლებთანაც. ისინიც ერთმანეთისაგან გამიჯნავენ: *ჩურუქსუ (ქობლეთი), ბათუმი, მაჭახელი, აჭარა*. ეს არაა შემთხვევითი. იგი ასახვაა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ცნობიერებისა, რომელიც მუჰაჯირებმა სამშობლოდან წაიღეს და დღემდე დაიცვეს.

ბუნებრივია, დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ცხოველ ინტერესს აჭარის ეტიმოლოგია იწვევს, რომელსაც არაერთი მკვლევარი შეეხო, მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორებიც (მგელაძე, ფაღავა, 1999; ფაღავა 2003: 404-405; ფაღავა, მგელაძე 2004: 3-18; შდრ. სიხარულიძე 1961; ვარშანიძე 1974; ახვლედიანი 1978; შამილაძე 1993; გოგიტიძე 1994; ლორთქიფანიძე 1995; ქამადაძე 1999). ჩვენ აქ ვრცლად არ განვიხილავთ პრობლემას, რამდენადაც ამის შესახებ ვმსჯელობთ სხვა შრომებში. ამჯერად აღვნიშნავთ, რომ: სახელწოდება *აჭარა* თავდაპირველად ჰიდრონიმი იყო, აღნიშნავდა მდინარე აჭარას, შემდეგ იქცა იგი საეოგრაფიო სახელად და თანდათან ჯერ ხეობა, მოგვიანებით კი ადმინისტრაციული ერთეული აღნიშნა. *აჭარის* პირველადი სემა *წყალი, წყლიანი ადგილი* უნდა იყოს. მას შემდეგ რაც *აჭარამ* „ქვეყანა აჭარის“ მნიშვნელობა შეიძინა, სახელწოდება *აჭარის წყალი, აჭარის აღმართი, დიდ-აჭარა* ... ჩამოყალიბდა. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ჰიდრონიმი ტოპონიმად იქცევა. ანალოგიური ვითარება არაერთია ჩვენს სინამდვილეში. სამაგალითოდ დავასახელებთ *მაჭახელს*, რომელიც თავდაპირველად მდინარის სახელი იყო, შემდეგ გადააზრებული იქნა კუთხის სახელწოდებად და, შესაბამისად, გაჩნდა ტერმინები: *მაჭახლის წყალი* - მაჭახელა მდინარის აღსანიშნავად, მათ გვერდით კი დაცული იქნა საგეოგრაფიო სახელი *მაჭახლისპირი(//მაჭახლიპირი)*, რაც სხვა არაფერია, თუ არა მაჭახელზე (მდინარეზე) გაშენებული სოფელი.

შენიშვნები

[1] შესაძლებელია, კონსტანტინე პორფიროგენეტთან მოხსენებული *კოლორი* აწინდელი *ყოროლისწყლის* ხეობა იყოს, რომელიც ბათუმს ჩამოუდის ჩრდილო-დასავლეთიდან, სადაც მდებარეობს *ორთაბათუმი* და მისი მიმდებარე სოფლები. ცნობა საინტერესოა და ცალკე კვლევას მოითხოვს.

დამოწმებანი

ახვლედიანი 1978: ხ. ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი.
ბერძენიშვილი 1990: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, თბილისი.
გოგიტიძე 1994: ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია. ბდუ პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი.
ვარშანიძე 1974: ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათუმი.
ლორთქიფანიძე 1995: ა. ლორთქიფანიძე. ტოპონიმ აჭარის ეტიმოლოგიისათვის. გაზ. აჭარა, ბათუმი.

მგელაძე, ფაღავა 1999: ნ. მგელაძე, მ. ფაღავა. ანდრია პირველწოდებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები აჭარაში. ჟურნ. ლიტერატურული აჭარა. 3, ბათუმი.
სიხარულიძე 1961: ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, 1, ბათუმი.
ფარავა, მგელაძე 2004: მ. ფაღავა, ნ. მგელაძე. აჭარა, მაჭახელი, ჭოროხი ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები. 7 (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმი.
ფაღავა 2003: M. Pagava. On History and Structure of Three Kartvelian bases *(ჭარ, ჭორ, ჭაბ)*. სმამ, ტ. 168, 2, თბილისი.
ქამადაძე 1999: მ. ქამადაძე. აჭარის ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონის მონაცემებთან მიმართებით (სადოქტორო დისერტაცია). ხელნაწერი.
ყაუხჩიშვილი 1955: ს. ყაუხჩიშვილი. *ქართლის ცხოვრება* (ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველ მეფეთა, ჩანართი BP'ხ). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბილისი.
ყაუხჩიშვილი1952: ს. ყაუხჩიშვილი. კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. 4. ნაკვ. 2. ბერძნული ქართული თარგმანითურთ გამოსცა და დამატებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
შამილაძე 1993: ვ. შამილაძე. აჭარის ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი.

On Interpretation of Two Passages in *Kartlis Tskhovreba*

Nugzar Mgeladze
Mamia Paghava

Two evidences given in the work of the eleventh century Georgian historian Leonti Mroveli are considered in the paper The authors are proposing a new reading of these evidences. In the first passage in which Samtskhe and Ajara are mentioned, one can read: "He (the King Parnavaz) made the sixth of them aseristavi of Odzrkhe and gave him (the territories) from Tasiskari up to Arsiani, from the beginning of Noste to the Sea, that are Samtskhe and Ajara today".

In times of Leonti Mroveli Ajara was indeed a "country". Thus, medieval historian states the fact of his time and not of the epoch of King Parnavazi as part of scholars tends to think.

In the second passage is given an information about St Apostle Andrew's preaching in Did-Ajara (Great Ajara). According to the source St. Apostle "entered Kartli 's country called "Did-Ajara". Again the information concerns reality of the eleventh century. "Did-Ajara" existed in that century. We do not have any evidence what was the name of this place in Apostolic era.

The earliest evidence on Ajara is dated by seventh century. The toponym is mentioned in The Geography by Anania Shirakatsi ; The second notice on Ajara belongs to Constantine Porphyrogenitus.

არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობა დამასკოდან გორამდე

დავით მერკვილაძე
პაპუნა გაბისონია

თეატინელთა ორდენის წევრი, ნეაპოლელი ბერი არქანჯელო ლამბერტი *პროპაგანდა ფიდემ*, რომის პაპის ბრძანების თანახმად, მეორე თეატინელ პატრთან, მილანელ ჯუზეპე ჯუდიჩესთან ერთად 1630 წლის შემოდგომაზე გამოაგზავნა საქართველოში კათოლიკური აღმსარებლობის გასავრცელებლად. ლამბერტი, მითითების შესაბამისად, თავიდან ჩამოვიდა ქართლში და შეუერთდა ახალდაარსებულ გორის კათოლიკურ მისიონს. იგი გვევლინება ასევე სამეგრელოს კათოლიკური მისიონის ერთ-ერთ დამაარსებლად, სადაც მან გაატარა საქართველოში მოღვაწეობის უმეტესი ხანი. ლამბერტიმ მთლიანობაში საქართველოში დაჰყო თვრამეტი წელიწადი (1631-1649 წწ). ამ წლების საკუთარი თავგადასავალი და კათოლიკური მისიონის ისტორია მან აღწერა თავის ნაშრომში *წმინდა კოლხეთი* (*Colchide Sacra*). ეს ნაშრომი ასევე საგულისხმო წყაროს წარმოადგენს XVII საუკუნის საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

წმინდა კოლხეთი არქანჯელო ლამბერტის მეორე ნაშრომია საქართველოს შესახებ. იგი საქართველოდან იტალიაში დაბრუნებულმა მისიონერმა გამოაქვეყნა 1657 წელს იტალიურ ენაზე მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში. პირველი ნაშრომი – *სამეგრელოს აღწერა* ავტორმა გამოსცა ასევე ნეაპოლში სამი წლით ადრე. მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით *წმინდა კოლხეთი* ქართველი მკითხველისათვის ბოლო დრომდე ხელმიუწვდომელი რჩებოდა.

უკანასკნელ ხანებში ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის, აწ განსვენებულ თამაზ ბერაძის პირად არქივში შემთხვევით მივაკვლიეთ არქანჯელო ლამბერტის *წმინდა კოლხეთის* არასრულ ქართულ თარგმანს. მთარგმნელის ვინაობის მითითება აქ არ აღმოჩნდა, მაგრამ ვინაიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული ნაშრომის იტალიურიდან თარგმნაზე თავის დროზე მუშაობდა არაერთი წყაროს იტალიურიდან მთარგმნელი, მეცნიერი ბეჟან გიორგაძე, მოგვეცა საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული თარგმანიც, შესაძლებელია, დასახელებული მეცნიერის შესრულებული იყოს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული თარგმანის ჩვენს ხელთ არსებულმა ტექსტმა მოითხოვა გარკვეული დამუშავება. კერძოდ, სტილისტური გამართვა და ორთოგრაფიული შესწორება. ტექსტს ასევე დავურთეთ შენიშვნები და განმარტებები.

წმინდა კოლხეთის მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს ლამბერტის სამეგრელოში მოღვაწეობის ხანას (1633-1649 წწ) ქვეყნდება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომების 2012-2013 წლის № XII-XIII-ში.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ *წმინდა კოლხეთის* იმ მონაკვეთის თარგმანს, სადაც აღწერილია საქართველოსაკენ მომავალი არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობა დამასკოდან დანიშნულების ადგილამდე ანუ ქ. გორამდე. იგი შეადგენს ნაშრომის XIV-XVII თავებს.

ტექსტი

თავი XIV

მეორე დილით გზა განვაგრძეთ. სანამ ქვემოთ დავეშვებოდით, დამასკო[1] გამოჩნდა. ის ბაღებით დაფარულ ვაკეზეა გაშლილი. როცა დაბლობზე გავედით, სხვას ვერაფერს ვხედავდით გარდა ქალაქისა. ბაღები კარგადაა მოვლილი და ირწყვება ნაკადულებით, რომლებიც ახლოს მდებარე მთებიდან ჩამოდის. ქალაქი ორი მხრიდან გალავნითაა შემოფარგლული, ალაგ-ალაგ კოშკები და თხრილებია, თუმცა თხრილი ღრმა არ არის. ქალაქის ერთ თავში ციხე-სიმაგრე მოჩანს. ის დიდია, მაგრამ ძლიერ გამაგრებული არ არის. ჩვენი ჩასვლის დროს ამ ციხე-სიმაგრეს სულთნის[2] მისაღებად ამზადებდნენ, რომელსაც განზრახული ჰქონოდა, ბაბილონის ლაშქრობის[3] დროს პირადად გაევლო აქ. ასეც მოხდა.

ქალაქთან ახლოს, ერთ მთაზე მრგვალი, ქუდის ფორმის პატარა სახლია. როგორც თურქები მოგვითხრობენ, მათი წინასწარმეტყველი მაჰმადი[4] ამ ადგილიდან ტკბებოდა ქალაქის ხედით. ამ

ადგილას ლოცვა წარმოსთქვა და გზა განაგრძო. ეს პატარა სახლი ამ ფაქტის მოსაგონებლადაა აშენებული. მასში ერთი თურქი დერვიში[5] ანუ ბერი მუდმივად იმყოფება და განმარტოებულად ცხოვრობს.

სიძველეებით, ადგილმდებარეობით, სიუხვით, მცხოვრებლებით და ბრწყინვალებით დამასკო უმშვენიერესი ქალაქია. იგი ღირსია, ქვეყნიერების ულამაზეს ქალაქად ითვლებოდეს. სახელიც რომ ისეთი აქვს: დღეს არ არის შემორჩენილი ქალაქი, რომელიც ანტიკურ სახელს ინარჩუნებდეს. აბრაამის დროიდან მის შესახებ ბიბლიაში ნათქვამია: „ველზე მდებარე დამასკო“.[6] მართალია, თურქებმა მას სახელი შეუცვალეს და შამი[7] დაარქვეს, ის ძველ სახელს დღემდე ინარჩუნებს.

რაღა უნდა ვთქვათ ყოველგვარ სიკეთესა და სიუხვეზე, რასაც აქ ვხედავთ? რა თქმა უნდა, ქვეყნიერების არცერთ ქალაქში უკეთესს ვერ შეხვდებით! მე პურზე არ ვამბობ, რადგან მისი სიუხვე ჩვეულებრივია სულთნის ყველა ქვეყანაში.

შესანიშნავია ღვინო, განსაკუთრებით ის, რომელსაც „შვიდწლიანს“ უწოდებენ. ასე ეძახიან ვილას, აქედან რამდენიმე მილით დაშორებულს, სადაც ამ ღვინოს ამზადებენ. საქონლის ხორცი, საძოვრების სიმრავლის გამო, დიდძალი აქვთ. დეკეული, ვერძები, ასევე ფრინველი, კაკბები ძალზე იაფია. ამასთან, ყველაფერი ეს ჩვენსაზე უფრო გემრიელია და კარგი. ტყის ქათმით მხოლოდ სიცილიას[8] შეეძლო ეტრაბახა. დამასკოში ბევრია თხა, რომელიც ჩვენში ძალიან უშნოა და უგემური. დამასკოში მათ უკეთესი გემოც აქვთ და უკეთესი შეხედულებისანიც არიან. ბეწვი ნაზი აქვთ და ისეთი ვერცხლისფერი, რომ როცა მზე ადგას, ვერცხლით გადაკრული გეგონება. ძალიან გრძელი, ხელისგულის ოდენა ყურები აქვთ. ბეწვი მეძებარი ძაღლივით მუცელზე აქვთ ჩამოშვებული. ასე რომ, ბეწვითა და ყურებით მორთული ეს თხები ძალზე კოხტად გამოიყურებიან. მთელი წლის განმავლობაში ამ ქალაქში გაზაფხული და შემოდგომაა. ყოველთვის გესიამოვნება აქაური ყვავილები და ხილი. მინდვრები მუდმივად მწვანეა. ყვავილოვანი კომბოსტო უზომოდ დიდია და ზომით აჭარბებს ჩვენს კომბოსტოს. ფორთოხლის ბაღები და კედრის ტყეები ურიცხვია, ზეთისხილი ესპანეთის მსგავსადაა. ყურძენი ისე ინარჩუნებს სიახლეს, თითქოს ახლა მოუკრეფიათო.

დაბლობი, რომელზეც ქალაქი მდებარეობს, მთლიანად რუებითაა დასერილი, რომლებიც მახლობელი მთებიდან გადმოედინება. მათ შორის აღსანიშნავია ორი, რომლებიც ნაამან სირიელის[9] მიხედვითაა ცნობილი. როცა ელისემ[10] მას უბრძანა, კეთრისაგან განსაკურნებლად იორდანეში[11] განბანილიყო, მან უპასუხა: „ნუთუ უკეთესნი არ არიან დამასკოს მდინარენი, აბანა და ფარფარი[12] ისრაელის ყველა წყალზე?“[13] დარწმუნებულნი არიან, რომ შეუძლებელია, დამასკოს ამ მდინარეებზე უკეთესი რამ იყოს მთელ ქვეყნიერებაზე. ეს ორი მდინარე მრავალი არხით შემოდის ქალაქში და მრავალ აუზს ქმნის, არა მარტო საერთო მოედნებზე, არამედ ყველა ეზოშიც. ყველა ცდილობს, თავისი სიამოვნებისათვის წყალი საკუთარ ბაღებში და ბინებში შეიყვანოს.

სასახლეთა შენობები, თუმცა გარედან ლამაზი არ ჩანან (თურქთა შურიანი ბუნების გამო კედლების დიდი ნაწილი ქუჩის მხარეს უფანჯროა) მაგრამ შიგნით ძალიან კარგი არაბული არქიტექტურითაა აგებული. ასეთი არქიტექტურა მოითხოვს, რომ ყველა ნაგებობა ოთხკუთხა იყოს და ოთხივე ნაწილი – შესანიშნავი ორნამენტებით მორთული. მაგალითად, თუ ეზო ოთხკუთხედია, შესასვლელში სვეტებიანი კარია, ხოლო მოპირდაპირე მხარეს ორი გალერეაა; მაშინ უნდა იყოს ორი სხვა გალერეაც, სიგანესთან შეფარდებული. თუ გალერეის თავზე აივანია, მის მოპირდაპირე მხარეს მეორე აივანი უნდა იყოს და ორი სხვა აივანიც - გვერდებზე. თუ სახლის ერთ მხარეს ორი ან სამი ფანჯარაა, მეორე მხარესაც იმდენივე უნდა იყოს, მაგრამ ორნამენტები – სულ სხვადასხვაგვარი.

ამ ნაგებობებს ერთი დიდი ნაკლი აქვს. ეს ეხება ყველა მათგანს, სულთნის სასახლესაც კი, – ყველა შენობის შესასვლელის წინ არის საჯინიბო. ჩვენ, იტალიელები შენობის შესასვლელს რაც შეიძლება ვალამაზებთ. მეტად შეურაცხმყოფელია, სასახლის შესასვლელთან საჯინიბოს სიმყრალე რომ ხვდება ადამიანს. მაგრამ მათ, ვინც დიდ პატივს სცემს ცხენებს, – აქ კი თითოეულს ბევრი ცხენი ჰყავს, – ამაზე ძვირფასად არაფერი მიაჩნიათ. შესასვლელშივე საჯინიბო იმიტომ აქვთ მოწყობილი, რომ თითოეულმა უცხომ, რომელიც სახლში შედის, ნახოს მისი ცხენების სილამაზე. ეს არის სწორედ მიზეზი იმისა, რომ საჯინიბოს დიდ და უკეთეს ადგილს უთმობენ.

ყველაზე ლამაზი შენობა მათთან მეჩეთია, სადაც სალოცავად იყრიან თავს. ყველაზე მეტი მეჩეთი დამასკოშია. მათი მეტად მაღალი მინარეთები ქალაქს ძალზე ამკობენ. მათ შორის ყველაზე დიდებულია ორი. ერთი ძველია, ქრისტიანების აშენებული, და მეორე – ახალი, სულეიმანის[14] მიერ აგებული.

პირველი ქალაქის შიგნითაა. როცა ის ეკლესია იყო, წმინდა იოანე ნათლისმცემლის მამის, წმინდა ზაქარიას სახელს ატარებდა. ამ ეკლესიას წინ ჰქონდა მთლიანად მოზაიკით ნაკეთები შესანიშნავი გალერეა. მეორე დამასკოს გარეთ დგას და აშენებულია მარმარილოთი სულეიმანის დროს. იგი

დიდებული გალერეებითაა შემკობილი. აქ არის ჰოსპიტალიც, რომელიც მეჩეთზეა მიდგმული. ჰოსპიტალში ღარიბებსა და მათხოვრებს ყოველდღიურად აძლევენ ხორცს, ფლავს და პურს.

დამასკოს მცხოვრებნი ლამაზი შეხედულების, მაღალი, თითქმის გიგანტური ტანისანი არიან და მეტად თავაზიანნი. თურქები თავიანთი ბუნებით ამაყნი, ქედმაღალნი და ავყიები არიან. დამასკოელებს, თავაზიანობასთან ერთად, ბუნებით მონიჭებული გარკვეული სიკეთეც აქვთ. ყოველივე ეს მათ სანდომიანებად და ზრდილობიანებად ხდის. ერთ დღეს ჩვენ დამასკოს კარიბჭეში შესვლისას ცხენზე ამხედრებულ იანიჩართა აღას შევხვდით, რომელსაც თან მრავალრიცხოვანი ქვეითი ამალა ახლდა. მან უცხოელებად გვცნო და გულზე ხელის დადებითა და თავის დახრით მოგვესალმა. ეს მეტად უჩვეულოა ასეთი თანამდებობის პირისათვის, რადგან ისინი ყოველთვის თავაწეულნი დადიან და თავს არავის უყადრებენ.

ქალაქის შიგნით მთლიანად შემორჩენილია ანანიას[15] სახლი. იგი წმინდა პავლეს ნათლია იყო. ამ სახლში შემორჩენილია კიბეები, რამდენიმე – მიწისქვეშა; შუაში საფლავია, რომელშიც ანანიაა დაკრძალული. ანანიას საფლავი თურქთა თაყვანისცემის საგანიც არის. მის მოსავლელად ერთი პირია გამოყოფილი, რომელიც სისუფთავეს იცავს და სანათურს ანთებს. იატაკზე ჭილობი აფენია, სახლში შემსვლელმა ფეხსაცმელი უნდა გაიხადოს და ხელით წაიღოს. მომვლელი ყოველ უცხოელს სანათურის ანთების სანაცვლოდ მოწყალებას სთხოვს. ანანიას სახლის კარებთან უძველესი წყაროა. ამბობენ, რომ ანანიამ ამ წყლით მონათლა მოციქული.[16]

დამასკოს ქუჩები ოღრო-ჩოღროა, მაგრამ მათგან ერთი ქალაქს თავიდან ბოლომდე ლარივით ჭრის.

...დამასკოში ჩვენ ხუთი დღე ვცხოვრობდით იმ სახლში, სადაც ქოშებიანი მამები ცხოვრობენ. მათ არ ჰქონდათ ეკლესია ღვთისმსახურების შესასრულებლად, ამიტომ მარონიტების[17] ეკლესიაში მივდიოდით ხოლმე. ამ ეკლესიას იმდენად დაბალი კარი ჰქონდა, რომ შესვლისთვის მუხლებზე უნდა დამდგარიყავი და თავიც ჩაგეღუნა. მარონიტები ამ გარემოებას ასე ხსნიდნენ: იძულებულნი ვიყავით, ასე გაგვეკეთებინა, რათა თურქთა შეურაცხყოფისაგან თავი დაგვეცვა. რადგან, როცა მაღალი კარები გვქონდა, თურქები ჩვენს ეკლესიებს ცხენების სადგომებად იყენებდნენო. ამის გამო სომხები, ბერძნები, სირიელები და სხვა ქრისტიანები თავიანთ ეკლესიებს ასეთ დაბალ კარებებს უკეთებდნენ.

თავი XV.

დამასკოდან ალეპოსაკენ[18] ერთი ქარავანი უნდა გასულიყო. ცხენები დავიქირავეთ და მათთან ერთად წავედით. საღამოს ჰირს იმ მთის[19] ძირთან მივედით, საიდანაც სათავეს ის მდინარეები იღებენ, რომლებიც დამასკოს რწყავენ.

მეორე დილით მთაზე ავედით, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს ქალაქის ბრწყინვალება, მისი გარეუბნები და ბაღები. აქედანვე დატკბება კაცი თოვლით დაფარული ლიბანის მთების[20] ცქერითაც. მთიანი ადგილების გავლის შემდეგ ვენახებში ჩაფლული სახლები შემოგვხვდა, სადაც ვაზი ჩვენებურად მჭიდროდ კი არ იყო დარგული, არამედ ერთმანეთს დიდი მანძილით იყო დაშორებული. აქ ყურძენი არაჩვეულებრივი სიდიდისა იზრდება და მას მხოლოდ საჭმელად ხმარობენ, რადგან თურქებს მაჰმადი ღვინის სმას უკრძალავს. ისინი ყურძნისგან ისეთ სასმელს აკეთებენ, რაც კანონით ნებადართულია.

სოფლის ბოლოში სულთან სულეიმანის მიერ აშენებული ქარვასლაა. იგი იმდენად კარგადაა აგებული, რომ მეტოქეობა შეუძლია გაუწიოს ანტიკურ რომაულ ნაგებობებს. ქარვასლა მთლიანად მარმარილოს მაგვარი ქვითაა აგებული. აქ ბევრი სავაჭრო დახლია და ერთი მთავარი შესასვლელი. აქ მოგზაურთათვის ყველაფერი იყიდება. შუაში ერთი დიდი მოედანია, მთლიანად ქვით ნაშენი. მოედანს წყაროები ამშვენებს, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან მოედინება. მოედანს გარს არტყია ბერების სენაკების მსგავსი გალერეები, სადაც მგზავრები თავსდებიან. ბაღის გარეთ იმ ცხოველებს აბამენ, რომლებიც ქარავანს ახლავს. გალერეაში ყველა მგზავრს თავისი ბუხარი აქვს, სადაც საჭმელს იმზადებს. ყოველ მგზავრს სულთნის ხარჯზე ეძლევა პური, ხორცი, ბრინჯი და სხვა; არც კვებისა და არც ღამის გათევისათვის იგი ფულს არ იხდის. ვისაც ეს სანოვაგე არ ჰყოფნის, მასთან საკვების გამყიდველები მიდიან და ვაჭრობენ სხვადასხვა საკვებითა და გამაგრილებელი სასმელებით.

ამ ქარვასლაში კარგა ხანს დავისვენეთ და შემდეგ ამაწში[21] გავემგზავრეთ. ქალაქში ბევრი დანგრეული შენობაა. ძირითადად აბრეშუმს ამზადებენ, ამიტომ აქ მცხოვრები არაბები ძალზე ზრუნავენ თუთის ხეებზე, რომელთაც მრავლად ზრდიან. აბრეშუმისგან ამზადებენ ქამრებს და ოქროს ქსოვილს, რომელსაც თითქმის ყველა თურქი იყენებს. აბრეშუმს ისეთი დიდი რაოდენობით ამზადებენ, რომ მთელ თურქეთს ჰყოფნის.

ამაწში აქვთ ბაზარი, სადაც ყველაფრის შოვნა შეიძლება. ერთ-ერთ მაღლობზე აღმართულია ციხე-სიმაგრე, რომელიც ბუნებრივივით გამოიყურება. ის დიდი ვაკის შუაგულში მდებარეობს.

ამანიდან ქალაქ ამასში გავემგზავრეთ. ეს ძველი ტარსია,[22] წმინდა პავლეს[23] სამშობლო, უკეთ რომ ვთქვათ ადგილი, სადაც ის აღიზარდა. დაბადებით კი იგი გალილეაში[24] დაიბადა, პატარა სოფელ გლისკაში,[25] ტიბერიადის ზღვასთან.[26] ქალაქის შუაში მდინარე ჩიდნო[27] მოედინება. რადგან მისი კალაპოტი ძალიან დაბალია, არაბებმა შეძლეს მისი წყლის სარწყავად გამოყენება. წყალი ამოჰყავთ ხის ჩარხით, რომლის დიამეტრი ოცდაათ მტკაველზე მეტია. ამ ჩარხს წყლის დინება წისქვილივით აბრუნებს. ის მდინარის შუაგულში დგას და ტრიალის დროს ჭურჭლებით ამოაქვს წყალი, რომელიც ხის არხებში გადაედინება და მთელ ქალაქს ამარაგებს. ამანის მსგავსად აქაც არის ციხე-სიმაგრე.

კილიკიაში[28] მგზავრობის დროს ბევრი ურწყავი ყანა შეგვხვდა, რადგან აქ ძირითადად კლდოვანი ადგილებია. აქ წყლის დიდ ნაკლებობას განიცდიან. ის ერთი დღის სავალი გზის სიშორიდან მოაქვთ და ინახავენ. ჰურს მზეზე აცხობენ შემდეგნაირად: ქალი წყალში მოზილავს ფქვილს, შემდეგ გააბრტყელებს ისე თხლად, რომ მზეზე ადვილად შრება და ამგვარად გამოცხობილს ჭამენ. ვისაც ცეცხლი და შეშა აქვს, ისინი ჰურს ჩვეულებრივად აცხობენ.

შემდეგ ერთ ქალაქში მივედით, რომელსაც სახელად მარაში[29] ერქვა. აქ ძალიან ლამაზი ქარვასლა დგას, მაგარი ქვით ნაშენი. ამ ქალაქს წყალი უხვად აქვს, მაგრამ მოსახლეობა მცირეა. მეჩეთი უმოქმედოდ დგას, ზოგიერთი სახლი ჯერ კიდევ მთელია, უმრავლესობა კი დანგრეულია. ამ ქალაქიდან მთელ აღმოსავლეთში განთქმულ ქალაქ ალეპოში გავემგზავრეთ.

ალეპოში ვაჭრები ქვეყნიერების სხვადასხვა ქალაქიდან მოდიან: სპარსეთიდან, დამასკოდან, ფრანგები, ვენეციელები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. აქ ყველა ეროვნებას თავისი კონსული ჰყავს. როცა აქ ხალხმრავლობაა, საქონელზე სავაჭრო ფასები იზრდება. ერთი საათის განმავლობაში ერთი და იგივე საქონლის ფასი შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს. ფასების ეს აწევ-დაწევა ქარავნებისა და გემების მოსვლაზეა დამოკიდებული. ის ვაჭრები, რომლებიც ალეპოში ცხოვრობენ, სკანდერონიდან[30] შიკრიკების საშუალებით იღებენ ცნობებს ახალი გემების მოსვლის შესახებ. ამასთან, რადგან სკანდერონი ალეპოდან სამი დღის სავალზეა, იყენებენ მტრედებსაც. მათ ფეხზე აბამენ ბარათს და მათი მეშვეობით წინასწარ აცნობებენ ვაჭრებს ახალი გემების მოსვლის შესახებ. საქმის კურსში მყოფი ვაჭრები უცბად მორიგდებიან ხოლმე ფასებზე. მტრედებს შიკრიკებად ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყენებდნენ, ამაზე მოგვითხრობს ალექსანდრე ალექსანდრიელი[31] თავის გენიალურ დღიურებში.

ძალიან მაინტერესებდა, გამეგო, როგორ იყენებენ ვაჭრები მტრედებს წერილების მისაღებად. ამიხსნეს, რომ აუცილებელია, ორივე მხარეს იყოს სამტრედე საკუთარი მტრედებით. თითოეულ პატრონს ჰყავს ერთი ან ორი მტრედი, რომელიც მეორის სამტრედეშია გაზრდილი. რადგან ამ მტრედებმა თავიანთი ადგილსამყოფელი კარგად იციან, მიმოფრენენ სამტრედეებს შორის ფრთებქვეშ მიბმული ბარათებით.

როცა ამ ქალაქს მივაღწიეთ, ყველაზე დიდ ქარვასლაში წავედით. აქ ცხოვრობდა საფრანგეთის კონსული, ბატონი ოლივიე და ვაჭრების დიდი ნაწილი – ფრანგები, ვენეციელები და სხვანი. ქარვასლის რამდენიმე ოთახში ფეხშიშველა კარმელიტი ბერები[32] სახლობდნენ. მათ ოთახები დაექირავებინათ და საუკეთესოდ მოეწყოთ: საკურთხეველი, სატრაპეზო, მომსვლელთა მისაღები და სხვ. ეს ადგილები კედლებით იყო გამოყოფილი. ბერებს სივიწროვე ხელს არ უშლიდათ.

მორჩილი ძმა, მამა პროსპერო დელო სპირიტო კარმელიტი ბერების წინამძღვარი იყო. სივიწროვის მიუხედავად, მას უნდოდა ჩვენი მიღება რამდენიმე დღით. ჩვენი მისვლით გახარებულმა, მოინდომა საკუთარი ხელებით ფეხები დაებანა ჩვენთვის. თუმცა ჩვენ ძალიან ვეხვეწეთ, ხელი ვერ ავაღებინეთ ამ განზრახვაზე.

გარდა ხსენებული კარმელიტი ბერებისა, ალეპოში აგრეთვე იყვნენ კაპუცინები[33] და იეზუიტები.[34] ეს კათოლიკე ბერები ვაჭრებთან ერთად ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენს პატივისცემასა და მიღებაში. ამ ქალაქში მე გავცივდი. ყველასაგან წყალობას ვიღებდი. განსაკუთრებით ვენეციის კონსულმა მცა პატივი, როცა ავადმყოფობის დროს საჭირო დახმარება აღმომიჩინა.

ჯერ კარგად გამოჯანმრთელებული არ ვიყავი, როცა გავიგე, რომ არზერუმისაკენ[35] ქარავანი მიდიოდა. ეს კარგი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გამეშვა. თუმცა ყველა წინააღმდეგობას მიწევდა, მე მაინც წავედი. საღამოს ალეპოს გარეთ გავედი. ამ ადგილებში ჩვეულება აქვთ, რომ ქარავნის გასვლის წინა ღამე მგზავრმა ქალაქგარეთ უნდა გაატაროს. ამას ორი მიზანი აქვს: 1. ეს საშუალებას აძლევს მეზაჟეებს, კარგად გასინჯონ საქონელი და სულთნის სასარგებლო ბაჟი აიღონ, და 2. რადგან ქარავანი მრავალრიცხოვანია და ათასზე მეტ კაცს ითვლის, მისი თავშეყრა ასე უფრო ადვილია. ცალ-ცალკე გასულ მექარავნეებს ადვილად ძარცვავენ არაბები, რომლებიც ალეპოდან გამსვლელებს ელოდებიან.

21 საათზე ქარვასლიდან წავედი და ქალაქგარეთ გავედი. ცხენზე ამხედრებისას მივხვდი, რომ მგზავრობა ძალზე გამიჭირდებოდა, მაგრამ მგზავრობის სურვილი გულს მიმაგრებდა. ცხენი გავაჭენე და

ქარავნამდე მივედი. ღამით მგზავრობამ და ღია ცის ქვეშ ღამის თევამ უფრო ცუდად გამხადა. მე ეს არ მინდოდა გამემხილა მამა დონ ჯოზეფისათვის,[36] რათა მისთვის გული არ გამეტეხა. მას სურდა, ღმერთს მივნდობოდი და ის დამეხმარებოდა. ასეც მოხდა. უფალმა გული აუჩვილა მამა პროსპეროს, რომელიც დროზე მოვიდა ქარავანთან, მწახა, და თურმე ისე ცუდად გამოვიყურებოდი, რომ ჩემს წასვლას წინ აღუდგა და ქარვასლაში დამაბრუნა.

არქიეპისკოპოსმა, რომელიც ჩვენ თან გვახლდა, ალეპოში დაბრუნებული რომ მწახა, ატირებული გამოგვეთხოვა და ალინჯაში,[37] თავის ეკლესიაში გაემგზავრა. ჩვენ ძალიან შევწუხდით, რომ ასეთი მეგზური დავკარგეთ.

დაბრუნების შემდეგ მამა პროსპერომ, ჩემთვის რომ უკეთ მოევლო, საკუთარ ოთახში შემიყვანა. იქ უფრო ცუდად გავხდი. ცხადი იყო, რომ თუ გზას გავაგრძელებდი, ცოცხალი არ გადავრჩებოდი. ამიტომ ჯერ ჯანმრთელობა უნდა აღმედგინა. მით უფრო, რომ ხმა გავრცელდა, მარხვის შუა რიცხვებში სხვა ქარავანი მოდისო.

თავი XVI.

დიდი ბრწყინვალებით იზეიმეს ფეხშიშველმა მამებმა ამ ჰატარა სასტუმროში სახელოვანი ქალწულის მეუღლის – იოსების დღესასწაული,[38] აქ მცხოვრებ ვაჭრებთან ერთად.

ამასობაში ქარავანიც მოვიდა. სპარსეთის მისიონის ორი კაპუცინი ბერის და ინდოეთის მისიონის ერთი ფრანცისკანელი[39] ბერის თანხლებით ალეპოდან გავედით. ხუთივე სომხურად ვიყავით გამოწყობილი, რადგან როცა ჩვენი მეგზური და თარჯიმანი არქიეპისკოპოსი ჩამოგვცილდა, უფალმა გამოგვიგზავნა მეორე სომეხი, რომელიც იტალიასა და სპარსეთში იყო ნამყოფი და ორივე ეს ენა კარგად იცოდა. ჩვენ მას საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნადაც ვიყენებდით.

ჩვეულებრივ, ვინც ქარავანთან ერთად თავისი საკუთარი ცხენით მგზავრობს ალეპოდან, ცხენებს არზერუმში ან საქართველოში ყიდის. ასევე იქცევიან კაპუცინები. ჩვენ კი სხვა გზა გვირჩიეს. თუ რატომ მივიღეთ ეს რჩევა, ახლავე მოგახსენებთ. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ მგზავრი ცხენის გარეშე არ დარჩეს, რადგან, რაც არ უნდა მოუვიდეს ცხენს, მისი გამყოლის მოვალეობაა სხვა ცხენის გამონახვა. ხოლო თუ ნაყიდ ცხენს რაიმე შეემთხვა, მის მაგიერს უდაბნოში ვერავითარი ფულით ვერ იშოვი.

გარდა ამისა, ვინც ცხენს ყიდულობს, მისი მოვლაც უნდა შეეძლოს. მთელი დღის სიარულის შემდეგ ცხენი უნდა გაწმინდო, აჭამო, თანაც მთელი ღამე უნდა იფხიზლო, რომ არ მოგპარონ. ის კი, ვინც ქირაობს, ყოველივე ამისგან თავისუფალია. ამიტომ მისიონერებისათვის უკეთესია ცხენის დაქირავება, ვიდრე ყიდვა.

ჩვენ ეს უკვე გამოცდილი გვქონდა. ვინც ცხენები დავიქირავეთ, უკეთ ვიმგზავრეთ, ხოლო კაპუცინები, რომლებმაც ცხენები იყიდეს, ძალზე გაწვალდნენ. მათ ბევრჯერ მოუწიათ ფეხით სიარული, როცა მათი ცხენები კოჭლობდნენ. როცა არზერუმში მივედით, მათ ცხენები მაშინვე დაყიდეს, თუმცა წინ კიდევ დიდი გასავლელი გზა გვქონდა.

ალეპოდან ხუთასი დატვირთული საპალნიანი ქარავნით გამოვედით. არაბების შიშით ბევრი მგზავრი შეიარაღებული იყო. ამ გზაზე ქარვასლები იშვიათად გვხვდებოდა, თანაც მოუწყობელი, ამიტომ უმეტესად მინდორში ვათევდით ღამეს, ღია ცის ქვეშ. საღამოს, როცა დასასვენებელ ადგილს მივაღწევდით, თითოეულ ცხენს ტვირთს ჩამოვხსნიდით, ცხენს იქვე დავაბამდით, თითოეული შალის ხალიჩას გაშლიდა, რომელზედაც ღამე უნდა გაეთია. ამის შემდეგ ყველა შეშასა და წყალს აგროვებდა და ვახშამს იმზადებდა. ვახშმობის შემდეგ მგზავრები ღია ცის ქვეშ, ხალიჩაზე ერთმანეთის გვერდზე წამოწოლილნი ისვენებდნენ, რათა ყაჩაღებისაგან თავი დაეცვათ.

ქურდები ქარავანს მალულად უახლოვდებიან, აუშვებენ ცხენებს, მოაჯდებიან და გარბიან. ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ვაჭრები და მგზავრები ქირაობდნენ საგანგებო მცველებს, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში ფხიზლობენ, ქარავანს გარს უვლიან, ხმამაღლა ბაასობენ და საქონელს დარაჯობენ. მაგრამ ქურდები ხანდახან მათაც ატყუებენ. როცა დარაჯები ერთ მხარეს არიან, ისინი მეორე მხრიდან იტაცებენ საქონელს და გარბიან.

პირველ და მეორე საღამოს აღმოჩნდა, რომ არსად არ იყო ქარვასლა თავის შესაფარებლად. საჭირო გახდა მინდორში გაჩერება. ციოდა და ჩვენ ტანსაცმელიც კი არ გაგვაჩნდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, გამოგვეყენებინა ერთი პატარა კარავი, რომელიც მალტაზე[40] მარას პრიორმა ამ მიზნისათვის მოგვცა. მართლაც, მესამე ღამეს გავშალეთ და კარავში ხუთნი მოვთავსდით. დილით მთელი ქარავანი კინაღამ აგვიჯანყდა, ყველა ერთიანად ყაყანებდა. აღმოჩნდა, რომ ისინი ორი მიზეზის გამო იყვნენ წინააღმდეგნი, კარავში ღამე გვეთია: პირველი: დილით, როდესაც გაიცემა ბრძანება ქარავნის ადგილიდან დაძვრის შესახებ, კარვის დაშლა და აკეცვა დიდ დროს წაიღებდა და მთელი ქარავანი იძულებული გახდებოდა,

ჩვენთვის ეცადა; მეორე მოსაზრება კარვის გაშლის საწინააღმდეგოდ ის იყო, რომ თეთრი კარავი შორიდან კარგად ჩანს და ის ორიენტირი იქნებოდა ყაჩაღებისათვის.

ჩვენ ვარწმუნებდით მექარავნეებს, რომ არასოდეს შევაფერხებდით ამ მიზეზით ქარავანს და თუ ეს მაინც მოხდებოდა, მაშინ დაე, გზაში დავეტოვებინეთ. რაც შეეხება კარვის ფერს, ჩვენ ვპასუხობდით, რომ მთელი ღამის განმავლობაში ანთებული ცეცხლი უფრო შესამჩნევია სიბნელეში, ვიდრე კარვის სითეთრე. დარწმუნების ცდამ არაფერი არ მოგვიტანა. მივხვდით, რომ ძირითადი მიზეზი შურის გრძნობა იყო. ჩვენ მაინც მთელ გზაზე ვშლიდით კარავს, ვერავინ ბედავდა ამის აკრძალვას და იღბლიანად ჩავედით არზერუმში ალეპოდან გამოსვლის 29-ე დღეს.

არზერუმი გამაგრებული და სულთნის მრავალრიცხოვანი იანიჩრებით კარგად დაცული ქალაქია სპარსეთის საზღვარზე. ის ორადაა გაყოფილი: ციტადელად, ანუ ციხე-სიმაგრედ, და რაბათად. ციხე-სიმაგრეში თურქები ცხოვრობენ, რაბათში კი ქრისტიანები– სომხები, ბერძნები, ქართველები და სხვ. ეს ქალაქი ძველად ქართველებისა იყო და ახლაც აქ ეპისკოპოსი ზის, არზრუმელად წოდებული.

არზერუმში მოსულებს საქართველოში მიმავალი ქარავნისათვის უნდა დაგვეცადა. ბინას კაპუცინებთან ერთად ვეძებდით, მაგრამ ვერ მოვნახეთ; ვერც ისეთი, სადაც ერთად მოვთავსდებოდით, ვერც ისეთი, მეზობლად რომ ვყოფილიყავით. იძულებული გავხდით, ერთმანეთისაგან ძალზე მოშორებით გვეცხოვრა. კაპუცინებმა, სომხების რჩევით, თავიანთი ტანსაცმელი გაიხადეს და სომხურად ჩაიცვეს.

ერთ დღეს არზერუმში სეირნობისას ბერები გადააწყდნენ ერთ გამაჰმადიანებულ ფრანგს, რომელიც ფაშას მონა გამხდარიყო. ისინი ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს. იგი ხშირად მოდიოდა მათთან სტუმრად და საჩუქრები მოჰქონდა. ბერებმა ის მკაცრად გაკიცხეს ქრისტიანობის მიტოვებისათვის. ბერების სიტყვებმა მასზე ძლიერ იმოქმედა და ტირილი დაიწყო. დაჰპირდა მათ, რომ კვლავ დაუბრუნდებოდა ქრისტეს. ამიტომ ხშირად დადიოდა ბერებთან.

ერთ დღეს, როცა ეს ფრანგი ბერებთან მოვიდა, ფაშას იგი გამოუძახია. ადგილზე რომ არ დახვდათ, ძებნა დაუწყეს და ბერებთან მოაკითხეს. ბერებმა იუარეს მისი იქ ყოფნა, მაგრამ მაძიებელნი ოთახში შეიჭრნენ და როცა მონა იქ ნახეს, მამებს ჩხუბი დაუწყეს. ისინი ფაშას მოღალატეებად მონათლეს, მონა დაიჭირეს, თოკით შეკრეს და ფაშასთან წაიყვანეს.

როდესაც ეს ამბავი ჩვენმა სომეხმა თარჯიმანმა გაიგო, გამოედევნა მათ, ფული მისცა და მონა გაათავისუფლა. ამასთან აუხსნა მათ, რომ კაპუცინები ფულს არ მისცემდნენ მონის გამოსახსნელად, რადგან მათ არაფერი გააჩნიათო. ჩვენ ეს ამბავი რომ შევიტყვეთ, ღმერთს მადლობა შევწირეთ, რომ იქ არ ვიყავით და თურქების რისხვა არ დაგვატყდა თავს.

ამასობაში აღდგომის დღეც დადგა. ამ წელს სომხების აღდგომაც ამ დღეს დაემთხვა. წავედით სომხეთის არქიეპისკოპოსთან წირვაზე. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით სამღვდელოება: დიაკვნები, მღვდლები, ვართაპეტები.

ამასობაში არზერუმში ქართველ და სპარსელ ვაჭართა ქარავანი შედგა, რომლებიც თავიანთი აბრეშუმის გაყიდვის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ეს ქარავანი ყარსამდე[41] ერთად ივლიდა. შემდეგ მათი გზები გაიყრებოდა, სპარსელები სპარსეთისკენ, ხოლო ქართველები საქართველოსკენ წავიდოდნენ. ჩვენ ყარსამდე კაპუცინებთან ერთად მივდიოდით. ამ საბრალო ბერებმა ცხენები გაყიდეს და დასაქირავებლად ახალი ვერ იშოვეს. ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ, აქლემებზე შემჯდარიყვნენ, რაც მათთვის მეტად მოუხერხებელი იყო. ჩვენზე ადრე იანიჩრები გაემგზავრნენ. ყველა მათგანი კეთილ მგზავრობას გვისურვებდა და რაიმეს გვთხოვდა. ჩვენც ვაძლევდით, ვიცოდით თურქთა ჩვეულება: თუ თავიდან არ მივცემდით, შემდეგ ორჯერ მეტის მიცემა მოგვიხდებოდა და საქმე შეიძლება გაჯოხვამდეც კი მისულიყო.

არზერუმიდან წამოსულები ხუთი დღის შემდეგ, სადილობის ჟამს, ყარსში მივედით.

ყარსი უკანასკნელი ქალაქია თურქეთისა და სპარსეთის საზღვარზე. იგი სინან-ფაშამ[42] შესძინა სულთანს – თურქეთის იმპერატორ მურადს.[43] ყარსში ბაჟი უნდა გადაგვეხადა. ამიტომ იძულებულნი გავხდით, მთელი ქარავანი ამ ქალაქზე ან არდაგანზე[44] გაგვეტარებინა, რომელიც, აგრეთვე, თურქეთის სამფლობელოში შედის. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს ვკარგავდით - საქონელსაც და ფულსაც.

ყარსი ცნობილი გახდა თურქეთ-სპარსეთის ომების დროს. სხვა სანაქებო მას არაფერი აქვს. ქალაქი სოფლური ტიპისაა და არავითარი მნიშვნელოვანი ნაგებობა არ გააჩნია. სახლების დიდი ნაწილი ტალახითა და მიწითაა ნაშენი. ქალაქის გასასვლელთან ახლოს ტბაა, ხოლო ქალაქი ერთ ჩაღრმავებულ ტაფობშია გაშენებული. პირველი ნახვისთანავე მასზე ყოველგვარი წარმოდგენა დამეკარგა.

ბაჟი გადავიხადეთ და ცოტა შევისვენეთ. ქარავნის ნაწილი სპარსეთისაკენ გაემგზავრა ერევნის გავლით, ნაწილი კი საქართველოსაკენ თბილისით. გამოვეთხოვეთ კაპუცინებს. ყარსს რომ გავცილდით,

ბევრი უმშვენიერესი მხარე გავიარეთ, ლამაზი და გადახდილი ბრძოლებისგან დანგრეული. იქ შევამჩნიეთ მშვენიერი ნაყოფიერი მინდვრები, გამწვანებული გორაკები, თევზით სავსე მდინარეები, და ამასთან - უკაცრიელი სოფლებიც, გაერანებული მონასტრები და ეკლესიები. ბევრი შენობა მიწასთანაა გასწორებული. ამ მიტოვებულ სოფლებში ვხვდებოდით ირმებს, გარეულ ღორს, თხებს, კურდღლებს, რომლებიც თავს არხეინად გრძნობდნენ და ჩვენთანაც მოდიოდნენ.

ერთ დილას, როცა გორაკიდან ვეშვებოდით, გარეული ღორის კოლტს გამოვეკიდეთ, მაგრამ მხოლოდ გოჭების დაჭერა შევძელით. სომხები მეტად მოხერხებულნი არიან. იციან, რომელ მდინარეშია თევზი და ყოველთვის ბადით შეიარაღებულნი დადიან. შევჩერდებოდით თუ არა მდინარის ნაპირზე, თევზს იჭერდნენ და იმარაგებდნენ. ერთ საღამოსაც შესანიშნავად ითევზავეს, იმდენი თევზი დაიჭირეს, რომ მთელ ქარავანს ეყო და მეორე დღისთვისაც დარჩა. ისინი ამის შემდეგაც განაგრძობდნენ თევზაობას, ერთხელ ერთი დიდი თევზი დაიჭირეს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ უკაცრიელ ადგილებზე მივდიოდით, სარჩო არ მოგვკლებია.

ამ ადგილების გავლის შემდეგ საქართველოში მოვედით. გავიარეთ ისეთი ადგილები, სადაც ხალხი მჭიდროდ სახლობდა და მიწაც კარგად იყო დამუშავებული. ბოლოს თბილისში ჩავედით.

თბილისს შუაში მდინარე მტკვარი ჩაუდის. ქალაქი რამდენიმე გორაკზე და პატარა დაბლობზეა განლაგებული. ერთ-ერთ გორაკზე ძლიერი ციხე-სიმაგრე დგას, რომელშიც სპარსეთის შაჰის ბინბაშია[45] (ათასისთავი) დაბანაკებული. იგი უშუალოდ შაჰს ემორჩილება და თბილისის მმართველ ხანზე არ არის დამოკიდებული.

თბილისი სავაჭრო ქალაქია. აქ ჩამოდიან სპარსელები, სომხები. ჩამოაქვთ დიდძალი აბრეშუმი და ოქრო. აქედან ეს საქონელი მთელ საქართველოში ვრცელდება. გამოაქვთ, აგრეთვე, სხვადასხვა ფერად შეღებილი ქსოვილები, რომლებსაც ნაკლები ღირებულება აქვთ, მაგრამ ვაჭრებს მაინც დიდი მოგება რჩებათ. მათ სხვადასხვა ფენის ხალხი ფართოდ მოიხმარს.

ერევნიდან თბილისში ქვამარილის ქარავნები მოდის, რომელსაც მთელი საქართველო ყიდულობს. კასპიიდან შემოდის დამარილებული თევზი და დიდძალი ხიზილალა. ამიტომ ის ძალიან იაფია.

როცა სინან-ფაშამ ყარსი აიღო, სულთან მურადს მისწერა, შენს გვირგვინს თბილისიც მიუმატეო. ის ისეთი ლამაზია, მხოლოდ კონსტანტინეპოლს[46] შეედრებაო. მაგრამ ასე არ არის. თბილისი კონსტანტინეპოლს ვერ შეედრება. თუმცა, თბილისს სილამაზე არ აკლია, სავაჭრო ქალაქიცაა, ყოველგვარი საქონლით სავსე, რომელიც ყოველი მხრიდან მოაქვთ. თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

სპარსეთის შაჰმა აბასმა[47] თბილისი დაიპყრო და იქიდან თურქები განდევნა. თბილისში ქართველთა და სომეხთა ბევრი ეკლესიაა, ზოგი მთლიანადაა დანგრეული, ზოგიც – ნაწილობრივ. ყველა მოუვლელია. ქართველთა საცხოვრებელი სახლები ცუდად ნაშენია. თბილისში რამდენიმე ცხელი აბანოა, რომლის სამკურნალო თვისებები შესწავლილი არ არის. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა სიამოვნებით იყენებს მათ ყოველგვარი მიზნებისათვის.

ჩვენი ჩამოსვლისათვის, სიმონ ხანის[48] მოკვლის შემდეგ, ქალაქის ხანი შაჰს ჯერ კიდევ არ დაენიშნა. თბილისს შაჰის ბინბაში განაგებდა.

თბილისიდან გორამდე ორი დღის სავალია. ჩვენ ცხენები ვიქირავეთ და ჩვენი მოგზაურობა გორში დასრულდა.

თავი XVII

გორში 12 მაისს, საქართველოს მფარველისა და დამცველის, წმინდა გიორგის დღესასწაულის დღეს ჩავედით.[49] აღდგომის ბრწყინვალე დღეც იქ გავითენეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დავასრულეთ მოგზაურობა, რომლის დროსაც მრავალი ქვეყანა მოვიარეთ.

მაგრამ გორამდე უკანასკნელმა დღემ ყველაფერი ჩაგვამწარა. გორს რომ მივუახლოვდით, მდინარეზე გადასასვლელად ნავი ვერ ვიშოვეთ. დღის პირველი საათი იყო, როცა გამყოლი გარეუბანში გავაგზავნეთ მენავის მოსაძებნად, მაგრამ ის ხელცარიელი დაბრუნდა. იძულებული გავხდით, მდინარის პირას გაგვეშალა ჩვენი კარავი. ვახშამიც ისეთი იყო, როგორიც ადგილი. დავრჩით ღია ცის ქვეშ და ხმელი პურით ვივახშმეთ.

ჩვენი ჩამოსვლის შესახებ ხმას მამა დონ ჯაკომომდე[50] მიეღწია. შებინდებისას იგი მეორე ნაპირს მოადგა. ერთმანეთს შორიდან მივესალმეთ და ცოტა დავმშვიდდით. დილით ძლივს მოვნახეთ ნავი, გადავედით მეორე ნაპირზე და ჩვენი მამების სახლში მივედით. გადავეხვიეთ მამა დონ ჯაკომოსა და კლავდიოს,[51] შემდეგ ყველამ მუხლმოყრით მადლობა შევწირეთ უფალს, რომელმაც უვნებლად მიგვიყვანა დანიშნულების ადგილზე.

შენიშვნები

[1] ქალაქი სირიაში. 661-750 წლებში, ომაიანთა დინასტიის დროს იყო არაბთა სახალიფოს დედაქალაქი. სულთან სელიმ I-ის მიერ ქალაქის დაპყრობის შემდეგ 1516 წლიდან შედიოდა ოსმალეთის იმპერიაში. ამჟამად სირიის დედაქალაქი.

[2] იმ ხანებში ოსმალეთის იმპერიის სულთანი იყო მურად IV (1623-1640 წწ).

[3] უნდა იგულისხმებოდეს 1638 წელს სულთან მურად IV-ის მიერ ბაღდადის აღება, რასთან დაკავშირებითაც სულთანს მიეწერება სიტყვები: „ბაღდადის დაპყრობა უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე თვით ბაღდადი“.

[4] იგივე მუჰამედი, VII საუკუნის არაბი რელიგიური და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე, ისლამის ფუძემდებელი. მუსლიმური რელიგიის მიხედვით იგი იწოდება ღმერთის (ალაჰის) უკანასკნელ მოციქულად და წინასწარმეტყველად.

[5] სუფიზმის მიმდევარი მუსლიმი ასკეტი. დერვიშთა ერთი ნაწილი ეწეოდა მოხეტიალე ცხოვრებას. ნაწილი კი ცხოვრობდა საგანგებო სადგომებში. ეცვათ განსხვავებული სამოსი.

[6] შესაძლებელია, აქ იგულისხმება აბრაამის მიერ ლოტის გასათავისუფლებლად მტრის დამარცხება და დევნა ადგილამდე „დამასკოს მარცხნივ რომ არის“ და შეხვედრა სოდომის მეფესთან „შავეს ველზე“ (დაბადება, 14; 15 და 17).

[7] აშ-შამი დამასკოს მეორე არაბული სახელია სირიაში.

[8] ხმელთაშუა ზღვის უდიდესი კუნძული, აპენინის ნახევარკუნძულისაგან მას გამოყოფს მესინის ვიწრო სრუტე. ეკუთვნის იტალიას.

[9] ძველი სირიელი მხედართმთავარი, რომელიც ბიბლიის მიხედვით, კეთრისაგან განკურნა წინასწარმეტყველმა ელისემ.

[10] ძველი აღთქმის ეპოქის ისრაელის ბიბლიური წინასწარმეტყველი, ელია თეზბიტელის მოწაფე და მემკვიდრე. ცხოვრობდა ძვ. წ. IX ს-ში.

[11] მდინარე ახლო აღმოსავლეთში. სათავეს იღებს ჰერმონის მთის ძირიდან, გაედინება კინერეთის ტბაში და ერთვის მკვდარ ზღვას. მიიჩნევა წმინდა მდინარედ. ამ მდინარეში მოინათლა იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემლის ხელით.

[12] მდინარე აბანას ამჟამად ეწოდება ბარადა, რომელიც დამასკოში ჩამოედინება ანტილიბანის მთებიდან. მდ. ფარფარს ამჟამად უწოდებენ ავაჯს. იგი ერმონის მთიდან მოედინება და სამხრეთიდან უვლის დამასკოს. ამ მდინარეებისაგან ქალაქსა და მის მიდამოებში არხების საშუალებით შექმნილია შესანიშნავი საირიგაციო სისტემა.

[13] იხ. მეოთხე მეფეთა, 5; 12.

[14] ოსმალეთის სულტანი სულეიმან I (1520-1566 წწ). მისი მმართველობისას ოსმალეთის იმპერიამ თავის ძლიერებისა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მან დაიპყრო სხვადასხვა ქვეყნები ევროპაში, აზიასა და აფრიკაში.

[15] გადმოცემის თანახმად, ანანია არის ქრისტეს სამოცდაათ მოციქულთაგანი. შემდგომში ანანია გახდა დამასკოს ეპისკოპოსი. შერაცხულია წმინდანად. მისი ხსენების დღეა 14 ოქტომბერი (ახ. სტილით).

[16] ანანიას დამასკოში მოუნახულებია ქრისტიანთა მდევნელი დაბრმავებული სავლე, დაუბრუნა თვალის სინათლე და მონათლა ქრისტიანად პავლეს სახელით (საქმე მოციქულთა).

[17] სირიისა და ლიბანის ქრისტიანული რელიგიური თემის წევრები. სახელი ეწოდათ მარონიტების ეკლესიის დამაარსებლის, სირიელი წმინდანის – მარონის სახელისგან. არიან ვატიკანის დაქვემდებარებაში. ბოლო დრომდე სირიაში 52 ათასი მარონიტია.

[18] სილამაზით გამორჩეული ისტორიული ქალაქი ჩრდილოეთ სირიაში. ამჟამად უდიდესი ქალაქი სახელმწიფოში.

[19] უნდა იგულისხმებოდეს ჰერმონის მთის მასივი, რომელიც მოიცავს ყველაზე მაღალ წერტილს ანტილიბანის მთაგრეხილში (2814 მ.). იგი მდებარეობს სირიაში ლიბანის საზღვართან. აქედან კარგად ჩანს ერთი მხრივ დამასკო ჩრდილო-აღმოსავლეთით და მეორე მხრივ ლიბანის მთები ჩრდილო-დასავლეთით.

[20] მთაგრეხილი ლიბანში, გადაჭიმულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ხმელთაშუაზღვისპირეთის გასწვრივ 160 კმ.-ზე. ლიბანის მთების მწვერვალები 4-6 თვის განმავლობაში თოვლით არის დაფარული. ზოგიერთი მათგანის თოვლიანი თავები ლამბერტის აპრილშიც თავისუფლად შეეძლო ეხილა.

[21] ამჟამად იორდანიის დედაქალაქი. 1516 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე შედიოდა ოსმალეთის იმპერიაში.

[22] იგივე ტარსუსი, ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში, თანამედროვე თურქეთის სამხრეთ ნაწილში, მერსინის პროვინციაში. რომის იმპერიის შემადგენლობაში იყო ისტორიული მხარის – კილიკიის მთავარი ქალაქი.

[23] იესო ქრისტეს მოციქულთა თავად წოდებული (წმ. პეტრესთან ერთად). თავდაპირველი ებრაული სახელით იგივე სავლე. თავიდან იყო იუდაიზმის თავგამოდებული დამცველი, დევნიდა ქრისტიანებს. ქრისტეს აღიარების შემდეგ იწოდა პავლედ. ახალი აღთქმა მოიცავს მის რამდენიმე ეპისტოლესაც.

[24] ისტორიული ოლქი ჩრდილოეთ ისრაელში ლიბანის საზღვართან. აქ გაატარა მიწიერი ცხოვრების უდიდესი ნაწილი იესო ქრისტემ. ამ მხარიდან იყვნენ იესოს მოწაფეთა უმრავლესობა.

[25] საიდან აქვს ეს ცნობა აღებული ლამბერტის, უცნობია. პავლე მოციქულის დაბადების ადგილად ქალაქი ტარსუსი მიიჩნევა.

[26] იგივე გალილეის ზღვა, სხვანაირად, კინერეთის ანუ გენესარეთის ტბა. არის უდიდესი მტკნარი ტბა ისრაელში. მასში გაედინება მდ. იორდანე.

[27] ეს უნდა იყოს მდინარე სამხრეთ თურქეთში – ბერდანი, იგივე ტარსუს-ჩაი, რომელიც გაივლის ტარსუსს და ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში. ანტიკურ ხანაში ეწოდებოდა Cyndus (//კინდ//ჩინდ), საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ლამბერტისეული დასახელება მდინარისა – ჩინდო.

[28] ქვეყანა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში, ხმელთაშუა ზღვის პირას, ამჟამად თურქეთში.

[29] ქალაქი სამხრეთ აღმოსავლეთ თურქეთში. ანტიკურ ხანაში ერქვა გერმანიკეა. მარაში შეარქვეს არაბებმა ქალაქის აღების შემდეგ VII ს-ში. 1515 წლიდან შევიდა ოსმალეთის შემადგენლობაში. აქ 1920 წელს „თურქეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისას“ თურქეთის არმიის მიერ ფრანგულ ნაწილებთან მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მას 1973 წლიდან ეწოდა კაჰრამანმარაში („გმირი მარაში“).

[30] იგივე ისკანდერუნი, ქალაქი სამხრეთ თურქეთში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ამავე სახელობის ყურეში. დააარსა ალექსანდრე მაკედონელმა და მის საპატივცემულოდ თავდაპირველად ეწოდა ალექსანდრეტა.

[31] ალექსანდრიის პატრიარქი 313-326 წლებში (გარდაცვალებამდე). აქტიურად იბრძოდა არიოზის სწავლების დასაგმობად და მონაწილეობდა ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაში. აღიარებულია წმინდანად, ხსენების დღეა 11 ივნისი (ახ. სტ.).

[32] ფეხშიშველა კარმელიტთა რელიგიური ორდენის წევრები. XVI ს-ის მეორე ნახევარში ერთ ჯგუფი გამოეყო კარმელიტთა ძირითად ორდენს (XII ს-ში დაარსებული „ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის კარმელის მთის ძმათა ორდენი“), 1593 წლიდან დამოუკიდებელ ორდენად ჩამოყალიბდა და ეწოდა ფეხშიშველა კარმელიტთა ორდენი. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე უპოვართა კათოლიკური ორდენი. სახელწოდება კარმელიტი მომდინარეობს ისრაელის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე მთის მასივის – კარმელის სახელისაგან.

[33] კათოლიკური ორდენის წევრები. კაპუცინებმა სახელწოდება მიიღეს მაუდის წვეტიანი კაპიუშონის გამო, რომელიც მიკერებული ჰქონდათ ანაფორაზე. 1525 წლიდან წარმოადგენდნენ ფრანცისკანელთა განშტოებას. ისწრაფვოდნენ რა მეტი ასკეტიზმისაკენ, საბოლოოდ დამოუკიდებელ ორდენად ჩამოყალიბდნენ 1619 წლიდან.

[34] იეზუიტთა კათოლიკური ორდენის „იესოს საზოგადოების“ წევრები. ეს სამონაზვნო ორდენი დაარსა იგნასიო ლოიოლამ პარიზში 1534 წელს და დაამტკიცა პაპმა პავლე III-მ 1540 წელს. შევიდა რომის პაპის უშუალო დაქვემდებარებაში. იეზუიტები ეწეოდნენ ფართო საგანმანათლებლო და სამისიონერო საქმიანობას. ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ რეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

[35] იგივე ერზურუმი, ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში. ამავე სახელწოდების მხარის ადმინისტრაციული დედაქალაქი. ქართული წყაროების კარნუ-ქალაქი. ბიზანტიურ ხანაში ეწოდებოდა თეოდოსიოპოლი. XVI ს-დან ოსმალეთის საზღვრებში მოექცა.

[36] იგულისხმება ჯუზეპე ჯუდიჩე, ასევე თეატინელთა ორდენის წევრი, იტალიელი მისიონერი მილანიდან. იგი ლამბერტისთან ერთად მოავლინა ვატიკანმა საქართველოში. ჯუდიჩემ და ლამბერტიმ ერთად დააარსეს სამეგრელოს მისიონიც. ლევან II დადიანის მიერ რომის პაპთან ელჩად მივლინებული ჯუდიჩე უკანა გზაზე ოსმალთა ტყვეობაში გარდაიცვალა. საქართველოს შესახებ მისი დაუმუშავებელი ნაშრომის ქართული თარგმანი გამოსცა ბ. გიორგაძემ (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ., 1964).

[37] ალინჯა დღეს სოფელი და ციხე-სიმაგრეა (ალინჯაყალა) ჯულფის რაიონში (თანამედროვე ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა, აზერბაიჯანი) ირანის საზღვრის სიახლოვეს. ალინჯაში იმ დროს არსებობდა ავგუსტინელთა მისიონი.

[38] იგულისხმება მარიამ ღვთისმშობლის დამწინდვლის წმ. იოსები, რომლის ხსენებასაც კათოლიკური ეკლესია აღნიშნავს 1 მაისს.

[39] ფრანცისკანელთა კათოლიკური სამონაზვნო ორდენის წევრები. ორდენის დააფუძნა ფრანცისკე ასიზელმა 1208 წელს. მომდევნო წელს ორდენის წესდება სიტყვიერად დაამტკიცა პაპმა ინოკენტი III-მ. ხოლო 1223 წელს პაპმა ჰონორიუს III-მ დაადასტურა საგანგებო ბულით.

[40] კუნძული შუა ხმელთაშუა ზღვაში, იტალიის სამხრეთით. ამჟამად არის სახელმწიფო მალტას ძირითადი ტერიტორია.

[41] ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ქართულ წყაროებში მოიხსენიება როგორც ციხე-ქალაქი კარი და საქართველოს სამეფოს ძლიერების ხანაში შედიოდა მის შემადგენლობაში. ოსმალეთის შემადგენლობაში მოექცა 1534 წლიდან.

[42] სინან-ფაშა 1580 წელს სულთანმა ქართლის მეფე სიმონ I-ის დასამორჩილებლად გამოგზავნილი ოსმალეთის არმიის სარდლად დანიშნა სინან-ფაშა მუსტაფა ლალა ფაშას მაგივრად.

[43] იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის სულთანი მურად III (1574-1595 წწ).

[44] ძველი ქართული ქალაქი არტაანი მტკვრის ხეობის ზემო წელზე. XVI ს-ის მეორე ნახევრიდან, სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ არტაანი ოსმალეთის შემადგენლობაში მოექცა. ამჟამად ქალაქია თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

[45] ათასისთავი

[46] თანამედროვე თურქეთის უდიდესი ქალაქი სტამბული. გააშენა რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მარმარილოს ზღვის უბეში ძველი ბერძნული კოლონიის ბიზანტიონის ადგილას. იგი იქცა ბიზანტიის იმპერიის

დედაქალაქად. საუკუნეთა განმავლობაში იყო უმდიდრესი და უბრწყინვალესი ქალაქი ევროპაში. 1453 წელს ოსმალებმა ქალაქი აიღეს, უწოდეს ისტანბული და თავიანთ სახ-ელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადეს.

[47] იგულისხმება ირანის შაჰი აბას I, დიდად წოდებული, სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი (1587-1629 წწ). მისი ზეობის მეორე ნახევარში სეფიანთა ირანმა განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღ-წია. აბას I-მა შეძლო ოსმალეთთან მანამდე დათმობილი პოზიციების დაბრუნება.

[48] ქართლის ხანი (მეფე) სიმონ II – ირანში გაზრდილი და გამუსლიმებული, ბაგრატ VII-ს ძე. ჯერ ისევ არასრულწლოვანი, 1619 წელს ქართლში ხანად დასვა აბას I-მა, მრჩევლად კი დაუტოვა გიორგი სააკაძე. ვინაიდან სიმონის ხელისუფლება ძირითადად მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა, მას თბილისის ხანსაც უწოდებდნენ. იგი მოუკლავთ ზურაბ არაგვის ერისთავის ბრძანებით 1630 წელს.

[49] წმ. გიორგის დღეს საქართველოში აღნიშნავენ 6 მაისს (ახ. სტილით).

[50] ჯაკომო დი სტეფანო, თეატინელი მისიონერი. გორში ჩამოვიდა პატრ პიეტრო ავიტაბილესთან ერთად 1628 წლის 14 დეკემბერს. მან კარგად აუღო ალღო ქართულ ენას და ახლო ურთიერთობა დაამყარა მეფე თეიმურაზ I-სთან, რომლის პაპისადმი გაგზავნილი წერილები უთარგმნია იტალიურად და თავადაც აწარმოებდა მიწერ-მოწერას ვატიკანთან (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ. 1987).

[51] მორჩილი ძმა კლაუდიო. იგი იტალიიდან საქართველოსაკენ მომავალ პატრებს, პიეტრო ავიტაბილეს და ჯაკომო დი სტეფანოს შეუერთდა კუნძულ მალტაზე. მას შემდეგ, რაც პ. ავიტაბილე, როგორც თეიმურაზ მეფის დესპანი, გაემგზავრა რომში 1630 წლის 3 აგვისტოს, გორში მხოლოდ პატრი ჯაკომო და მორჩილი ძმა კლაუდიო დარჩნენ (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ. 1987).

The Journey of Archangelo Lamberti From Damascus to Gori

Davit Merkviladze
Papuna Gabisonia

The member of Theatines Catholic Order, a monk from Naples Archangelo Lamberti was sent to Georgia according to the order of Pope Urban VII by the Congregation for the Doctrine of the Faith together with other Theatine Padre Giuseppe Judiche in autumn of 1630 to spread Catholic faith.Lamberti arrived Kartli and joined to new found Catholic mission in Gori town. He was one of the founders of Catholic mission in Samegrelo. Lamberti stayed in Georgia during eighteen years (from 1631 to 1649) and described his own adventure and the history of Georgian Catholic mission in his work *The Holy Colchis* (*Colchide Sacra*). The work represents a valuable source for seventeenth century Georgian and Middle East history. *The Holy Colchis* represents Lamberti's second work about Georgia. It was published by the missioner after returning to Italy in 1657. The first work the *Description of Samegrelo* was published three years before in Naples too. But unlike this last one, *The Holy Colchis* for a long time was inaccessible for Georgian readers.Only recently in the personal archive of former research fellow of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology late Tamaz Beradze we has found the incomplete Georgian translation of Archangelo Lamberti's work *The Holy Colchis*. The translator is not indicated. As we suppose, the translation might be done by late Bejan Giorgadze, who had translated several sources from Italian about Catholic missioners in Georgia and published them with appropriate investigations. Now we publish the excerpt from *The Holy Colchis* in which the journey of Archangelo Lamberti from Damascus to Gori is described. We have improved the style of the translation, made spelling corrections and supplied the text with necessary notes.

გარეჯის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს „ძველი აღთქმის სამების“ სიუჟეტში გამოსახული ყრმის იდენტიფიკაციისათვის

ლადო მირიანაშვილი

გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის ქვაბოვანი სატრაპეზოს ჩრდილოეთ კედელზე *ძველი აღთქმის სამება* გამოსახული, რომელიც *შესაქმისად*-ს XVIII თავში გადმოცემულ ამბავს – აბრაამის მიერ სამი ანგელოზის მასპინძლობას ასახავს. ეს ფრესკა ანელი ვოლსკაიამ XI საუკუნის დასაწყისით დაათარიღა (ვოლსკაია 1974: 51). ხუთფიგურიან გამოსახულებაში ანგელოზებს, აბრაამთან ერთად, 15 წლამდე ასაკის ყრმაც მასპინძლობს. მას მარჯვენა ხელში სასმისი, ხოლო მარცხენა ხელში დაკეცილი პირსახოცი უჭირავს და მაგიდასთან დგას (სურ. 1). ყრმა მდიდრული სამოსითაა შემოსილი და თავზე შარავანდი ადგას (სურ. 2). უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში გამოსახული *ძველი აღთქმის სამება*, მასში ყრმის მონაწილეობის გამო, უნიკალურია და მისი ანალოგი არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროში არ გვხვდება. საქმე ისაა, რომ *ძველი აღთქმის სამების* სცენის მხოლოდ შემდეგი ტრადიციული იკონოგრაფიული სქემები არსებობს:

ა) ანგელოზები მარტო არიან გამოსახულნი,

ბ) ანგელოზებთან ერთად აბრაამიც ჩანს,

გ) ანგელოზებთან ერთად გამოსახული არიან აბრაამი და მისი მეუღლე სარა,

დ) ზოგჯერ, ანგელოზების, აბრაამისა და სარას გარდა, დამატებულია მსახური ბიჭის ფიგურა, რომელიც ხბოს კლავს,

ე) იშვიათად, ხბოს დაკვლის სიუჟეტში მსახური ბიჭი აბრაამით არის ჩანაცვლებული.

უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში არსებული მოხატულობა სრულიად ახალ, პარალელების არმქონე, უცნობ სქემას გვთავაზობს: აბრაამი ანგელოზებს მდიდრულ სამოსში შემოსილ, შარავანდიან ყრმასთან ერთად ემსახურება. ამ ყრმის ვინაობა უცნობია, რადგან მის ფიგურას განმარტებითი წარწერა არ ახლავს: ის ფრესკის ფონის ფერადოვანი ფენის ჩამოცვენის შედეგად ერთიანად დაკარგულა. წარწერა არც ისტორიულ ფოტოებზეა აღბეჭდილი და ყრმის ვინაობის შესახებ არც წერილობით ცნობები გაგვაჩნია. წინამდებარე სტატია უცნობი ყრმის ვინაობის დადგენას ეძღვნება.[1]

უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს ფრესკაზე გამოსახული ყრმის იდენტიფიცირებას ჩემამდე სამი მკვლევარი შეეცადა. ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი იყო პირველი, ვინც ყრმის ვინაობის თაობაზე მოსაზრება გამოთქვა. მისი აზრით, უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს ფრესკაზე გამოსახული ყრმა აბრაამის მსახურია (ამირანაშვილი 1957: 57). კიდევ ერთმა ხელოვნებათმცოდნემ, ანელი ვოლსკაიამ ეს მოსაზრება არ გაიზიარა იმ მიზეზით, რომ მსახურს შარავანდითა და მდიდრული სამოსით არ გამოსახავენ (ვოლსკაია 1974: 54). მისი აზრით, ეს წინასწარმეტყველის ფიგურაა. ა. ვოლსკაია გარეჯის სატრაპეზოებისადმი მიძღვნილი წიგნის ძირითად ტექსტში, სადაც მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო სცენას განიხილავს, წინასწარმეტყველის სახელს არ ახსენებს. იგი მხოლოდ ძირითადი ტექსტის გარეთ, სქოლიოში მიუთითებს, რომ ყრმა მელქისედეკი უნდა იყოს, თუმცა იქვე თავადვე აღნიშნავს, რომ მელქისედეკს, ტრადიციულად, ხანშიშესულ ასაკში გამოსახავენ ხოლმე. იმის ახსნა, თუ რატომ არის გამოსახული მელქისედეკი უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს *ძველი აღთქმის სამების* სცენაში ყრმის სახით მას არ უცდია. დაბოლოს, ყრმის ვინაობის საკითხს ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე სალომე ბუჩუკურიც შეეხო, რომელმაც ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის, ძეგლთა დაცვისა და კვლევის ეროვნული ცენტრის სემინარზე 2011 წლის მიწურულსა თუ 2012 წლის დასაწყისში წაკითხული მოხსენება ჩვენთვის საინტერესო გამოსახულების იკონოგრაფიულ ანალიზს მიუძღვნა. ს. ბუჩუკურმა უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს *ძველი აღთქმის სამებისა* და მის გვერდით, აღმოსავლეთ კედელზე გამოსახული *საიდუმლო სერობის* სცენები ერთმანეთს მსხვერპლის თემით დაუკავშირა და უცნობი ყრმა ისააკთან გააიგივა. იმის გათვალისწინებით, რომ ანგელოზების აბრაამთან სტუმრობის დროისათვის ისააკი დაბადებული არ იყო, ახალგაზრდა მკვლევარი შეეცადა კომპოზიციაში ისააკის ფიგურის ჩართვა სიმბოლური დატვირთვით აეხსნა.

ვფიქრობ, რომ უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს *ძველი აღთქმის სამების* სცენაში მონაწილე ყრმის ვინაობის დადგენის სამივე მცდელობა არადამაჯერებელია:

1. ყრმა მსახური ვერ იქნება, რადგან მსახური, მართლაც, უშარავანდოდ და უბრალო სამოსით უნდა იყოს გამოსახული.

2. ყრმის მელქისედეკთან გაიგივების ვერსიასთან მიმართებაში ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულება ორი მიზეზით არის განპირობებული: ჯერ ერთი, რომ მელქისედეკი, ტრადიციულად, თეთრწვერა, ხნიერი მამაკაცის სახით გამოისახება. მეორეც, მელქისედეკს თავი ყოველთვის მცირე ზომის ქუდით აქვს დაბურული, ზოგჯერ კი გვირგვინი ადგას, უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში კი თავშიშველი ყრმაა გამოსახული. ა. ვოლსკაია მელქისედეკის ვერსიას იმ ფაქტით ამაგრებდა, რომ ყრმას ერთ ხელში სასმისი, ხოლო მეორეში პირსახოცი უჭირავს, რასაც იგი მელქისედეკის ატრიბუტებად მიიჩნევდა. სინამდვილეში კი, მელქისედეკი პურით, ან ღვინით სავსე თასით, აგრეთვე ერთდროულად ორივე ატრიბუტით გამოისახება. ეს უკავშირდება ბიბლიურ ამბავს, რომლის თანახმად მელქისედეკმა – შალემის მღვდელმა და მეფემ, მეფეთა ბრძოლიდან დაბრუნებულ აბრაამს პური და ღვინო გამოუტანა და აკურთხა (შესაქმისაჲ: 14, 17–19). უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს ფრესკის შემთხვევაში, ყრმას ხელსახოცი და შუშის ჭიქა უჭირავს, რომელიც პირისაკენ განივრდება. ამგვარი ჭიქები XI-XIII საუკუნეების საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ გამოიყენებოდა (ჩხატარაშვილი 1978: 36, ტაბ. VI).

3. ყრმის ისააკთან გაიგივება, რომელიც ანგელოზების აბრაამთან სტუმრობის დროისათვის დაბადებული არც კი იყო, ასევე არადამაჯერებლად მეჩვენება და აი, რატომ: ბიბლიური და სახარებისეული სიუჟეტების ისეთი რადიკალური შინაარსობრივი სახეცვლის მაგალითები, როგორსაც ს. ბუჩუკური უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში გამოსახულ ბიბლიურ სცენაში ვარაუდობს (კერძოდ, აბრაამთან ანგელოზების სტუმრობის სცენაში ისააკის ჩართვა, რომელიც ბიბლიის შესაბამის სიუჟეტში არ ფიგურირებს, რამდენადაც იმ დროისათვის დაბადებული არც კი არის), შუა საუკუნეების კედლის მხატვრობისა და ხატწერის ნიმუშებში ჩემთვის უცნობია. ზოგადად, სიუჟეტის იკონოგრაფიული განვითარების პროცესში ხდებოდა როგორც ფიგურების დამატება, ისე გამოკლება (მაგალითად, საეკლესიო მხატვრობის განვითარებაში იყო პერიოდები, როცა სიუჟეტში ფიგურების რაოდენობა იზრდებოდა და გამოსახულება დეტალებით უფრო მეტად იტვირთებოდა, რათა ტექსტით გადმოცემული ამბავი უკეთ ასახულიყო, ან პირიქით – მარტივდებოდა, რათა აქცენტი ტექსტის დასურათებიდან მის თეოლოგიურ შინაარსზე გადატანილიყო), თუმცა ბიბლიური თუ სახარებისეული ამბის გამოსახვა, ნებისმიერ შემთხვევაში, მკაცრ წესს ემორჩილება: მოხატულობაში არ შეიძლება ისეთი ფიგურის ჩართვა, რომელიც სიუჟეტით გადმოცემული კონკრეტული ამბისთვის ზედმეტია, რადგან ფრესკა, პირველ რიგში, ბიბლიურ თუ სახარებისეულ ისტორიებს ასახავს. გარკვეულ სცენებსა თუ პერსონაჟებს შორის სიმბოლური კავშირების წარმოსაჩენად კი საკმაოდ მარტივი მიდგომა გამოიყენება: ამ სცენებს გვერდიგვერდ გამოსახავენ. ამის კარგი მაგალითია სან ვიტალეს VI საუკუნით დათარიღებული მოზაიკური პანო, რომელიც გვერდიგვერდ გამოსახულ ორ ბიბლიურ სცენას – *ძველი აღთქმის სამებასა* და *ისააკის მსხვერპლად შეწირვის* ამბავს აერთიანებს[2] (სურ. 3).

ჩვენთვის საინტერესო ფრესკაზე გამოსახული უცნობი ყრმის ვინაობის დასადგენად, პირველ რიგში, სხვადასხვა ნუსხებით შემონახული იმ ტექსტების შედარებითი ანალიზი ჩავატარე, რომლებშიც აბრაამთან ანგელოზების სტუმრობაა აღწერილი. გადასამოწმებელი იყო მსახურის ვერსია, და ეს მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ძველი აღთქმის სცენაში, კანონიკის მიხედვით, მსახური უშარავანდოდ უნდა იყოს გამოსახული. ვითვალისწინებდი იმ გარემოებას, რომ ქართული, და არა მხოლოდ ქართული კედლის მხატვრობის შუა საუკუნეების ნიმუშებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება შეცდომები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანო სვანეთში, იფხის ჯვრაგის, ანუ წმ. გიორგის ეკლესიაში გამოსახული შობის სცენა, რომელშიც მწყემსებსა და ბებიაქალს შარავანდები ადგათ, რაც შეცდომაა. ყრმის მსახურთან გაიგივების ვერსიის გადასამოწმებლად ბიბლიის ქართული ტექსტის შესაბამის ადგილს მივმართე. ერთი ნუსხის მიხედვით, აბრაამმა ხბოს ხორცის მომზადება მონას, ანუ მსახურს დაავალა, დანარჩენი ნუსხების მიხედვით კი ეს დავალება მან, ზოგადად, ყრმას[3] მისცა. კერძოდ, ოშკურ ბიბლიაში, რომელიც 978 წელსაა გადაწერილი და IV-V საუკუნეებში შესრულებულ თარგმანებს ეყრდნობა, ვკითხულობთ: „და ზროხათა მირბიოდა აბრაჰამ და მოიბა ჴბოჲ ჩჩჯლი და კეთილი და მისცა მონასა და ისწრაფა შესაქმედ.“ დანარჩენ ნუსხებში კი მონა ყრმითაა ჩანაცვლებული: „და სამროწლედ მირბიოდა აბრაამ და მოიბა ხბო ჩჩჯლი და კეთილი და მისცა ყრმასა და ისწრაფა შექმნად მისა.“ A–179 (1669), A–455 ბაქარის (1743), H–1207 (მე–17 ს.), A–51 მცხეთური (მე–17–მე–18 საუკუნეები).

შესაქმისაჲ–ს XVIII თავის VII პარაგრაფის ქართული თარგმანის გადასამოწმებლად, ქართულ ტექსტს ბიბლიის ებრაული და ბერძნული ვერსიების შესაბამისი მონაკვეთები შევუდარე. დღეისათვის ეს რთული საქმე აღარ არის, რადგან ბიბლიის ებრაულენოვანი და ბერძნულენოვანი ტექსტები,

ტრანსლიტერაციითა და ინგლისური თარგმანითურთ, ინტერნეტ სივრცეშია განთავსებული. აღმოჩნდა, რომ ებრაული ორიგინალის განსახილველ ფრაზაში ნახმარია ტერმინი *na ʾar (nahʿ-ar)*, რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც ბავშვი, ბიჭი, ჭაბუკი, ყრმა, გოგო ან ქალიშვილი და მსახური. ბერძნული ტექსტის შესაბამის ადგილზე გამოყენებულია სიტყვა παιδι, რაც ბავშვს ან ბიჭს, ხოლო ზოგჯერ, მსახურს ნიშნავს. როგორც ვხედავთ, ებრაულ და ბერძნულ ტექსტებში მოხმობილი ტერმინი მისი მნიშვნელობის ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ვფიქრობ, რომ ბიბლიის ქართული ტექსტის ვერსიებში აღნიშნული სიტყვის სხვადასხვა ფორმით გადმოცემა, ორიგინალში გამოყენებული ტერმინის ორაზროვნებითაა გამოწვეული. იმის დასადგენად, თუ რა კონკრეტული დატვირთვა ჰქონდა გასაანალიზებელ სიტყვას შესაბამის ეპოქაში, თალმუდის ტექსტს მივმართე, რომელიც ბიბლიური ტექსტების განმარტებებს შეიცავს. ანალიზისათვის ე.წ. ბაბილონური თალმუდი ავირჩიე, რომელიც განმარტებათა მრავალმხრივობითა და სისრულით გამოირჩევა. აღმოჩნდა, რომ თალმუდში არა თუ დაზუსტებულია ტერმინ *na ʾar*–ის მნიშვნელობა, არამედ დაკონკრეტებულია ისიც, თუ ვისი მისამართით არის ეს ტერმინი ნახმარი: „და მისცა ის (ხბო – ლ.მ.) ყრმას, რომელიც ისმაელია, მისი ვაჟი, რათა იგი რელიგიური წესების შესრულებას (ამ შემთხვევაში, მასპინძლობის გაწევას – ლ.მ.) მისჩვეოდა“ (თალმუდი 1918: 53). თალმუდის ის თავი, სადაც ზემორე განმარტებაა მოცემული, მკვლევართა აზრით, 700-დან და 900 წლამდე არის დაწერილი. შესაბამისად, თალმუდის განმარტება, სულ მცირე, ერთი საუკუნით წინ უსწრებს უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში ძველი აღთქმის სამების სიუჟეტის გამოსახვას (XI საუკუნის დასაწყისი) და ამიტომ ის თავისუფლად შეიძლება ყოფილიყო ამ გამოსახულების მასაზრდოებელი წყარო. შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა კარგად უწყიან, თუ რარიგ ხშირად განიცდიდა შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშები ებრაულ გავლენას (ფაინი 2010: 157). ერთ-ერთ მაგალითად მოვიყვან აშბურნჰამის ძველი აღთქმის პირველი ხუთწიგნეულის მინიატურას (გგ. 50r). ეს ხელნაწერი VI საუკუნის მიწურულს ან VII საუკუნის დასაწყისშია გადაწერილი), რომელიც ასახავს იაკობის ნეშტის დაკრძალვის ამბავს ქანაანში, მახფელას მინდორზე, აბრაამის მიერ ყეფრონ ხეთელისაგან შეძენილ მღვიმეში. ნახსენებ მღვიმეში დაკრძალვა იაკობმა თავად ისურვა, რადგან იქ მისი წინაპრები – აბრაამი და სარა, ისააკი და რებეკა, აგრეთვე ლეა იყვნენ დაკრძალულნი (*შესაქმისაჲ* 49:31). მინიატურაზე, საფლავად დადების სცენის ზემოთ, ფიჭვის, მუხისა და კვიპაროსის სტილიზებული ხეების მოხმობით, სამოთხეა გამოსახული. კურტ შუბერტმა აჩვენა, რომ ნახსენებ სცენაში სამოთხის ჩართვა ებრაული ლეგენდის ზეგავლენით უნდა მომხდარიყო. ეს ლეგენდა მახფელას საპატრიარქო მღვიმე-საფლავს ადამისა და ევას უხრწნელი სხეულების დასაკრძალავთან, ანუ სამოთხე-ედემთან აიგივებს (კესლერი 2000: 107). თავის მხრივ, ჰერბერტ კესლერმა ნახსენებ მინიატურაში სამოთხის შემოტანის ფაქტი ასევე ებრაულ, თუმცა სხვა წყაროს, კერძოდ თხზულება *ზოჰარ ჰადაშს* დაუკავშირა. ამ თხზულების თანახმად, გარდაცვლილის სული შვიდ კარიბჭეს გაივლის, რომელთაგან მეორე – სამოთხის კარია (კესლერი 2000: 107). კესლერის აზრით, მინიატურის სცენების ვერტიკალური სტრატიფიკაცია ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ზეცაში მოგზაურობისას სულის მიერ განვლილი გზის გააზრებას ებრაული ტრადიციის შესაბამისად.

დავუბრუნდეთ განსახილველ გამოსახულებას. უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს ფრესკაზე გამოსახული ყრმის ვიზუალური ასაკი და ისმაელის ასაკი ანგელოზთა სტუმრობის დროისთვის ერთმანეთს საკმაოდ კარგად ემთხვევა: როგორც ბიბლია მოგვითხრობს, ანგელოზთა გამოჩენისას აბრაამი და ისმაელი ახლად იყვნენ წინადაცვეთილნი, წინადაცვეთისას კი ისმაელი 13 წლისა იყო (შესაქმისაჲ: 17,25). შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად კანონიკურია ისმაელის შარავანდით გამოსახვა. ქრისტიანულ ხელოვნებაში ისმაელის გამოსახულებები საკმაოდ იშვიათია. საბედნიეროდ, მივაკვლიე აბრაამის, ისმაელისა და ისააკის ჯგუფურ რელიეფურ გამოსახულებას კონკის წმ. ფუას ტაძრის[4] (საფრანგეთი) დასავლეთი კარის ტიმპანის *განკითხვის დღის* ბარელიეფში, რომელიც 1107 წლის ახლო ხანით თარიღდება[5] (სურ.4). სამივე ფიგურა, ისმაელის ჩათვლით, შარავანდიანია.

ვითვალისწინებ რა ბიბლიის ბერძნული თარგმანის ძველებრაულიდან მომდინარეობისა და ქრისტიანულ ხელოვნებაზე ებრაული გავლენის არსებობის ფაქტებს (ფაინი 2010: 157, კესლერი 2000: 107), აგრეთვე ებრაული თემისა და ქართველი მოსახლეობის მჭიდრო თანაცხოვრების ხანგრძლივ ისტორიას, ამასთან, ვეყრდნობი რა თალმუდში მოცემულ, აბრაამთან სამი ანგელოზის სტუმრობის ამბის განმარტებას და ვითვალისწინებ რა იმ დროისათვის ისმაელის ასაკსა და მის შესაბამისობას უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს *ძველი აღთქმის სამების* სცენაში გამოსახული ყრმის ვიზუალურ ასაკთან, ამასთანავე, მხედველობაში ვიღებ რა წმ. ფუას ტაძრის ბარელიეფში შარავანდმოსილი ისმაელის გამოსახვის ფაქტს, ვასკვნი, რომ გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს ჩრდილოეთ

კედელზე განთავსებულ *ძველი აღთქმის სამების* სცენაში გამოსახული ყრმა აბრაამის უფროსი ვაჟი – ისმაელია.

უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს *ძველი აღთქმის სამება* გაცილებით უფრო ზუსტად ასახავს *შესაქმისად*-ს შესაბამის სიუჟეტს, ვიდრე ის გამოსახულებები, რომლებშიც ანგელოზებს, აბრაამთან ერთად, სარაც მასპინძლობს, რადგან ბიბლიის ტექსტის მიხედვით, სარა სტუმრებთან არც კი გამოსულა. იგი მათ წასვლამდე თავის კარავში დარჩა: „და მოიღო [აბრაამ] ერბო და სძე და ჯბო, რომელი შექმნა, და დაუგო მათ და ჭამეს, ხოლო თჳთ წინა უდგა მათ ხესა ქუეშე“ (შესაქმისაჲ: 18,8). სწორედ ამიტომ შეეკითხა სერობის შემდეგ ერთ-ერთი ანგელოზი აბრაამს თუ სად იყო მისი ცოლი სარა: „და თქუა მისა მიმართ: სადა არს სარრა, ცოლი შენი? ხოლო მან მიუგო: ესერა კარავსა შინა“ (შესაქმისაჲ: 18,9). „ხოლო სარრას ესმას კარსა ზედა კარვისასა, მყოფსა უკანათ მისა“. უდაბნოს მონასტრის ფრესკაზე, მარჯვენა მხარეს, სარას ფარდაგადაწეული კარავია გამოსახული, თავად სარა კი არ ჩანს (სურ. 2).

ყრმის ვინაობის დადგენის პარალელურად შესაძლებლობა მომეცა გამერკვია თუ სამების კონკრეტულად რომელ წევრს შეესაბამება ესა თუ ის ანგელოზი: ანგელოზების გამოსახულებებს განმარტებითი წარწერები არ ახლავს. გაურკვევლობას ის ქმნის, რომ ძველი აღთქმის სამების ანგელოზთა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით მკვლევართა მოსაზრებები ორად არის გაყოფილი: ერთნი ფიქრობენ, რომ ცენტრში მჯდომი ანგელოზი მამა ღმერთია, მეორეთა ვარაუდით კი ცენტრში ქრისტეა გამოსახული. ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტი: ანგელოზთა ხარისხების ტოლობა უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს ფრესკაში ხაზგასმულია იმით, რომ სამივე ანგელოზს მარცხენა ხელში გრაგნილი უჭირავს. შუა ანგელოზს ჯვრიანი შარავანდი აქვს, რაც მის ქრისტესთან გაიგივებაზე უნდა მიუთითებდეს. უდაბნოს გამოსახულება შიომღვიმის კანკელის ფილაზე გამოსახულ *ძველი აღთქმის სამებას* შევადარე (სურ. 5). საბედნიეროდ, შიომღვიმის ბარელიეფზე შუა ანგელოზს განმარტებითი წარწერა ახლავს, რომლის მიხედვით იგი ქრისტეა. მისგან მარჯვნივ მჯდომ ანგელოზს, ქრისტეს მსგავსად, გრაგნილი უჭირავს, მარცხნივ მჯდომი კი უგრაგნილოდ, მაკურთხეველი მარჯვენითაა გამოსახული. ცნობილია, რომ ზეციდან გადმოშვერილი მაკურთხეველი მარჯვენა, სიმბოლურად, მამა ღმერთს აღნიშნავს. ზემორეს გათვალისწინებით, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ქრისტეს მარცხნივ მამა ღმერთი ზის, მარჯვნივ კი – სულიწმიდა. თუ გავითვალისწინებით, რომ შიომღვიმის გამოსახულება უდაბნოს გამოსახულების თითქმის თანადროულადაა შექმნილი (შიომღვიმის ბარელიეფი 1012–1030 წლებით თარიღდება) და ანალოგიის პრინციპს გამოვიყენებთ, უდაბნოს ფრესკაზეც ცენტრში – ქრისტე, მისგან მარცხნივ – მამა ღმერთი, ხოლო მარჯვნივ – სული წმიდაა გამოსახული.

შენიშვნები

[1] წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია შედეგები, რომლებიც შვეიცარიის ეროვნული მეცნიერების ფონდის მიერ, SCOPES 2009-2012 პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის განხორციელების პროცესში მივიღე.

[2] არ გამოვრიცხავ, რომ ვარაუდი ისააკის მონაწილეობის შესახებ უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში გამოსახულ *ძველი აღთქმის სამების* სცენაში საღომე ბუჩუკურმა, სწორედ, სან ვიტალეს ამ ორი, ერთ სიუჟეტად გაერთიანებული მოზაიკური სცენის ზეგავლენით გამოთქვა.

[3] სულხან–საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ განმარტებით, ყრმად 15-20 წლის ვაჟი იწოდება.

[4] L'église Sainte-Foy de Conques.

[5] ზოგიერთი მკვლევარი ამ ტაძრის აგების თარიღად 1050-1120 წლებს მიუთითებს.

დამოწმებანი

ვოლსკაია 1974: А. И. Вольская. Росписи средневековых трапезных Грузии, Тбилиси, Мецниереба.

თალმუდი 1918: Babylonian Talmud. Original text edited, corrected, formulated and translated into English by M.L. Dodkinson, Boston.

კესლერი 2000: H.L. Kessler. Spiritual Seeing: Picturing God's Invisibility in Medieval Art, University of Pennsylvania Press.

ფაინი 2010: S. Fine. Art and Judaism in the Greco-Roman World: Toward a New Jewish Archeology, Cambridge University Press, Cambridge.

ჩხატარაშვილი 1978: მ. ჩხატარაშვილი. მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბილისი, მეცნიერება.

საილუსტრაციო მასალის განმარტებითი წარწერები:
სურ. 1 ძველი აღთქმის სამება. გარეჯის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზო
სურ. 2 ძველი აღთქმის სამება (დეტალი)
სურ. 3 ძველი აღთქმის სამება და ისააკის მსხვერპლად შეწირვა. სან ვიტალეს მოზაიკა
სურ. 4 განკითხვის დღე (დეტალი). კონკის წმ. ფუას ტაძარი
სურ. 5 ძველი აღთქმის სამება. შიომღვიმის კანკელის ფილა

სურათი 1

სურათი 2

სურათი 3

სურათი 4

სურათი 5

For Identification of a Young Man Depicted in "The Hospitality of Abraham" From The Refectory of Udabno Monastery in Gareji

Lado Mirianashvili

In my paper I reconsider identity of one of the characters from the *Hospitality of Abraham* depicted in the refectory of Udabno Monastery of Gareji, Georgia. The mural is dated to the beginning of the 11th century. It is an illustration of a well known Bible story, according to which God appeared before the Forefather Abraham in the guise of three angels. In difference from the traditional iconography, the scheme used in Udabno Monastery is nontraditional and unique. Traditionally the angels are served by Abraham or Abraham together with Sarah. Occasionally a servant's figure, who slaughters a calf is added. In difference from this, the scene under consideration shows Abraham and a nimbed figure of the beardless, richly dressed young man. The iconography of that type cannot be found elsewhere, neither in Georgia, nor throughout Eastern and Western Christendom.

Explanatory inscription by the figure of the young man has long vanished; therefore art historians had difficulty proposing their assumptions concerning the young man's identity. In 1957 Sh. Amiranashvili assumed that this is a figure of Abraham's servant, though in 1974 Aneli Volskaya rejected the assumption, correctly noting that the servant is never depicted with halo, moreover he cannot be dressed richly as in the mural. According to A. Volskaya the figure belongs to one of the prophets. In the footnote she suggests that Melchizedek is to be featured. A young scholar Salome Buchukuri in her unpublished paper suggests that juxtaposing of the Hospitality with the Last Supper is indicative of the symbolic introduction of Isaac into the Hospitality as prefiguration of the death and resurrection of Jesus. I don't accept the above interpretations, and give reasons for the rejection.

Based on the analysis of the Bible texts in Georgian, Greek and Hebrew, as well as on interpretation of the event found in the Babylonian Talmud concerning the event, I have identified the young man as Ishmael.

მირ დაუდ ზადურ მელიქ შაჰნაზარი და მისი ცნობები სპარსეთის შესახებ

ირინე ნაჭყებია

1816 წელს პარიზში გამოიცა ბროშურა *Détails sur la situation actuelle du royaume de Perse* („ცნობები სპარსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ“), რომლის ავტორია მირ დაუდ ზადურ დე მელიქ შაჰნაზარი, სპარსეთის მზის და ლომის პირველი კლასის ორდენის კავალერი (Mir-Davoud-Zadour de Melik-Chah Nazar, Chevalier de la première classe des ordres du Soleil et du Lion de Perse).

ვინ იყო ეს პიროვნება და რა მიზანს ემსახურებოდა მის მიერ სპარსეთის იმდროინდელი მდგომარეობის აღწერა?

შაჰნაზარები ვარდანიანთა გვარიდან, წარმოშობით გეღარქუნიქის ოლქიდან იყვნენ. კარგი სამსახურისათვის შაჰ აბას I-მა შაჰნაზარიანებს მელიქის წოდება უბოძა. ამ ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ზემოთ მითითებული თხზულების ავტორი, მირ დაუდ ზადურ ხან მელიქ შაჰნაზარი, იგივე დავიდ ბეგი, რუსულენოვან წყაროებში დავით ცატუროვის, ფრანგულში კი დაუდის სახელით იხსენიება. იგი ისფაჰანში იყო დაბადებული. 1792 წელს დაუდი სავაჭროდ ჩავიდა ბაღდადში, სადაც დაუმეგობრდა საფრანგეთის კონსულს, ჟან-ფრანსუა-ქსავიე რუსოს,[1] რომელიც დაუდისაგან იგებდა ცნობებს სპარსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ. XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც საფრანგეთი სპარსეთთან 1713 წელს დადებული სავაჭრო ხელშეკრულების აღდგენას ცდილობდა, ჟ.-ფ. რუსოს დავალებით სწორედ დაუდმა ჩაიყვანა ისფაჰანში 1796 წელს დირექტორიის მიერ აღა-მაჰმად-ხანთან დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ორი მეცნიერი, გიიომ-ანტუან ოლივიეი და ჟან-გიიომ ბრიუნიერი (AMFAE, CP/Perse, vol. 8: doc. 2, fol. 40r-40v; doc. 35, fol. 73r- 74v). 1807-1809 წლებში სპარსეთში საფრანგეთის სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ გარდანის, მისიის თეირანში ყოფნის დროსაც, დაუდს ატანდნენ წერილებს ბაღდადში საფრანგეთის კონსულთან, ჟან-ფრანსუა რუსოსთან. იგი მთელ კორესპონდენციას კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს საქმეთა მწარმოებელს, პიერ რუფენს უგზავნიდა, რომელიც, თავის მხრივ, მათ საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრს, შამპანის, უგზავნიდა (AMFAE, CP/Perse, vol. 14, doc. 127, fol. 132v; doc. 128, fol. 133r). საფრანგეთსა და სპარსეთს შორის ურთიერთობის განვითარების საქმეში გაწეული სამსახურისათვის 1808 წელს ფათჰ-ალი შაჰმა იგი საპატიო დიპლომით დააჯილდოვა (თოდუა, შამსი 1989: II, 120-121).

სპარსეთში ინგლისის ელჩის, სერ გორ აუსლის შუამავლობით რუსეთ-სპარსეთს შორის გულისთანში დადებული ზავის (24.10.1813) შემდეგ, სპარსეთში ინგლისელთა გავლენა გაძლიერდა. ამ მდგომარეობის დასაბალანსებლად ფათჰ-ალი შაჰმა (1797-1834) საფრანგეთთან შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა და მისი სამხედრო მხარდაჭერის მოპოვება მოისურვა. თეირანის კარმა ამ მისიის შესრულება დაუდს ანდო. მას ლუი XVIII-თან ფათჰ-ალი შაჰის, მეფისწულ აბას მირზას, აგრეთვე, შაჰისა და მეფისწულის პირველი ვეზირების, მირზა შაფის და მირზა ბოზორგის, წერილების ჩატანა დაევალა. ამ წერილებში სპარსეთის მხარე საფრანგეთთან ძველი ურთიერთობის გაგრძელების სურვილს გამოთქვამდა და სპარსეთში სამხედრო პირებისა და ინჟინრების გაგზავნასაც ითხოვდა. დაუდის მისიისათვის მეტი მნიშვნელობის მისანიჭებლად, წინა წლებში საფრანგეთ-სპარსეთს შორის ურთიერთობის განვითარების საქმეში გაწეული სამსახურისათვის ფათჰ-ალი შაჰმა მას პირველი კლასის მზისა და ლომის ორდენი უბოძა, დაუდის სახელს კი დაემატა წოდება მირ (*mir*), რაც ბატონს ნიშნავს (ელო-ბელიე 2007: 500).

დაუდი 1816 წლის მარტში ჩავიდა მარსელში თავისი ძმიშვილის, ამაკურისა და ერთი მსახურის თანხლებით. 1816 წლის 10 ივნისს ლუი XVIII-მ იგი ორშაბათის საჯარო აუდიენციაზე მიიღო ტიუილრის სასახლის ცისფერ დარბაზში. 24 აგვისტოს კი საფრანგეთის მეფემ მას წერილები გადასცა სპარსეთის ორ მინისტრთან, მირზა შაფისა და მირზა ბოზორგთან, რომლებშიც აგრეთვე იყო გამოთქმული ორ ქვეყანას შორის ძველი ურთიერთობის აღდგენის სურვილი. პარიზიდან სპარსეთისაკენ დაუდი იმავე წლის 16 ოქტომბერს გაემგზავრა ნაპოლეონის გვარდიის ყოფილ ქირურგთან, მაიორ ბარანშენთან ერთად. ლუი XVIII-ის წერილები მან 1817 წლის მარტს ჩაიტანა თავრიზში (ელო-ბელიე 2007: 499-501).

საფრანგეთიდან დაბრუნებულ დაუდს ფათჰ-ალი შაჰმა ფირმანი უბოძა, რომლის თანახმად მას გადაეცემოდა თავისი წინაპრების მიწები სევანის ტბის სამხრეთით, გეღარქუნიქში. 1824 წელს მირ-დაუდი ტიფლისში ჩავიდა და გენერალ ერმოლოვისაგან რუსეთში გაქცეული რამდენიმე სომეხი მელიქის მშობლიურ გეღარქუნიქში დაბრუნების უფლება მიიღო. რუსეთ-სპარსეთის მეორე (1826-1828) ომის შემდეგ, როდესაც ერევნის სახანო რუსეთის ხელში გადავიდა, დაუდმა შეწყვიტა თავისი ურთიერთობა სპარსეთის მთავრობასთან, ტიფლისში დასახლდა და რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. მის ხელთ არსებული მრავალი საბუთის მეშვეობით, იგი სასამართლოს გზით სიკვდილის ბოლომდე ცდილობდა ძველი სომხური ოჯახების შთამომავლების – მელიქებისათვის, მათი ძველი ტიტულების აღდგენას და გეღარქუნიქში მათი კუთვნილი მიწების დაბრუნების საკითხის მოგვარებას. ეს დავა 1831 წლამდე გაჭიანურდა, დაუდმა ამ საქმისათვის პირადი სახსრებიც კი გაიღო, გაღარიბდა და მძიმედ დაავადდა. საბოლოოდ, მან მხოლოდ გარდაცვალების წინ შეიტყო, რომ საქმე მოიგო და რუსეთის ხაზინა მას ყოველწლიურად 3 000 რუბლს გადაუხდიდა (თუმანიანი 1917: 514- 516).

***

მართალია, პარიზში დაუდის ელჩობას საფრანგეთ-სპარსეთის ურთიერთობის აღდგენა არ მოჰყვა, მაგრამ საფრანგეთში მისი ელჩობის შედეგად დარჩა „პარიზის სამეფო კარზე, 1231 წელს რამაზანის თვეში“ (1816 წლის ივლისი-აგვისტო – ი.ნ.) დაწერილი მისი მოკლე ნარკვევი სპარსეთის შესახებ, რომელიც პარიზში იმავე წელს ფრანგულ, სომხურ და სპარსულ ენებზე ერთ წიგნად აკინძული გამოქვეყნდა.

თხზულების სომხური ვარიანტის სათაურის ქართული თარგმანია – *ცნობები სპარსეთის სამეფოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.* მას ხელს მხოლოდ დაუდი აწერს – „დავით ბეგ ცატურიანი, მელიქ შაჰნაზარიანთა ოჯახიდან, სპარსული ლომისა და მზის პირველი ხარისხის ორდენოსანი“.

თხზულების სპარსული ვარიანტის სათაურის ქართული თარგმანია „ცნობები ირანის სახელმწიფო მოწყობისა და ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ“. თუმცა მას ხელს მხოლოდ „ბ-ნი შაჰნაზარ ზადე მირ დაუდ ზადურიანი, ირანის ლომისა და მზის ორდენის მფლობელი“ აწერს, ჩვენ დავადგინეთ, რომ სპარსულ ენაზე ის, ჟოზეფ-მარი ჟუანენმა,[2] ჩაწერა (კერარი, 1843: VI, 162), რომელიც 1807-1809 წლებში სპარსეთში გენერალ გარდანის მისიის პირველმა დრაგომანი იყო და დაუდთან, როგორც კურიერთან, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. სავარაუდოა, რომ ჟუანენმა სპარსული ტექსტი დაუდის კარნახით, თხზულების სომხური ვარიანტის მიხედვით, დაწერა.

თხზულების ფრანგული ვარიანტის სათაურის ქართული თარგმანია – *ცნობები სპარსეთის სამეფოს ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.* მას ხელს აწერენ „მირ-დავუდ-ზადურ დე მელიქ შაჰნაზარი, სპარსეთის მზისა და ლომის პირველი კლასის ორდენის კავალერი“ და „ჟაკ შაჰან დე სირბიე, მეფის ბიბლიოთეკის სომხური ენის პროფესორი და საფრანგეთის სიძველეების სამეფო საზოგადოების წევრი“, რომელმაც სომხურიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა ეს თხზულება.[3]

თხზულების სამივე ვარიანტის ერთმანეთთან შედარება მოწმობს მათ შინაარსობრივ თანხვედრას, მაგრამ არის ერთი განსხვავებაც: სპარსულ ტექსტში ქვეყანა მოიხსენიება ირანად, სომხურსა და ფრანგულ ტექსტებში კი – სპარსეთად. როგორც ცნობილია, ირანი და სპარსეთი ერთი და იმავე ქვეყნის ორი სახელწოდებაა და ირანის აღსანიშნავად ტოპონიმი სპარსეთი ტრადიციულად გამოიყენებოდა ევროპულ და რუსულენოვან ოფიციალურ დოკუმენტებში.

დაუდ ზადურის ბროშურის გამოცემამდე, XIX საუკუნის 20-იან წლებში ევროპაში უკვე იყო გამოქვეყნებული ფათჰ-ალი შაჰთან დიპლომატიური მისიით წარგზავნილი ინგლისელი და ფრანგი დიპლომატების საკმაოდ ვრცელი თხზულებები სპარსეთის შესახებ (ბარბიე დიუ ბოკაჟი 1807; ოლივიე 1800-1807; ლანგლე 1807; გარდანი 1809; ბონტამ ლე ფორი 1810-1811; მორიერი 1812, 1813, 1816; სკოტ-უორინგი 1813; მაკდონალდ-კინეირი 1813; მალკოლმი 1815; ფრეიგანგი 1816). იმჟამად ევროპაში ამ ქვეყნის მიმართ იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ორიენტალისტმა ემაბლ-ლუი-მიშელ ჟურდენმა, რომელიც არასოდეს ყოფილა სპარსეთში, ჟან შარდენისა და ზემოთ აღნიშნულ თხზულებებზე დაყრდნობით 1814 წელს სპარსეთის შესახებ თავისი კომპილაციური ნაშრომი გამოაქვეყნა ცოცხალი აღმოსავლური ენების სკოლის სტუდენტებისათვის (ჟურდენი 1814: ტ. I-V).

დაუდ ზადურის ბროშურა ფათჰ-ალი შაჰის ქვეშევრდომის მიერ სპარსეთის შესახებ საფრანგეთში დაბეჭდილი პირველი თხზულებაა. ის სამჯერ გამოიცა პარიზში. პირველი, 1816 წლის გამოცემა, მხოლოდ დაუდის სამენოვან თხზულებას მოიცავს. 1817 და 1818 წლების გამოცემები განსხვავდება პირველისაგან. მისი საერთო სათაურია *Notice sur l'état actuel de la Perse* („ჩანაწერები სპარსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ“), ხოლო დაუდის სამენოვან თხზულებას ფრანგულ და სომხურ

ენებზე ორი სხვა დანართი მოსდევს. პირველი, *D'un acte de tolérance religieuse exercée à Taurys* („თავრიზში განხორციელებული რელიგიური შემწყნარებლობის აქტის შესახებ"), ჟაკ შაჰან დე სირბიეს მიერაა ჩაწერილი. ჩანს, რომ სირბიემ ეს ამბავიც დაუდის კარნახით დაწერა სომხურად, შემდეგ კი ის ფრანგულად თარგმნა. მასში ხაზგასმულია ფათჰ-ალი შაჰის ვაჟის, აზერბაიჯანის მმართველის, აბას მირზას, სამართლიანი დამოკიდებულება მის პროვინციაში მცხოვრები სომხების მიმართ. კერძოდ, თავრიზში 1807 წლის იანვარში, მეფისწულის მიერ თავისი მსახურების დასჯა ქრისტიანი სომეხი ვაჭრის რელიგიის შეურცხყოფის გამო.

მეორე დანართის – *Aperçu général de la Perse* („სპარსეთის ზოგადი მიმოხილვა") – ავტორია ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი, ლუი-მატიე ლანგლე. ეს არის საკმაოდ ვრცელი ნარკვევი სპარსეთის ისტორიის, რელიგისა და ადათ-წესებისა და იმჟამინდელი მმართველი ყაჯართა დინასტიის შესახებ. ლ.-მ. ლანგლეს თხზულება აგრეთვე ფრანგულ და სომხურ ენებზეა მოცემული. სავარაუდოა, რომ მისი სომხური თარგმანიც სირბიეს ეკუთვნის.

დაუდის თხზულების ფრანგული ვარიანტი 1817 წელს ლონდონში ანონიმმა მთარგმნელმა ინგლისურ ენაზე – *Details on the present Situation of the Kingdom of Persia* – („ცნობები სპარსეთის სამეფოს არსებული ვითარების შესახებ") გამოქვეყნდა ჟურნალ „The Literary Panorama and National Register"-ში. მთარგმნელის თქმით, თანამედროვე აზიელი ავტორის თხზულება იშვიათად თუ აღწევდა ევროპამდე და ის მით უფრო საინტერესო იყო, რადგან ცინცხალი ცნობები სპარსეთის შესახებ ოფიციალური პირს ეკუთვნოდა (დაუდ ზადურ დე მელიქ შაჰნაზარი 1817: 935-940).

დაუდ ზადურის თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი ეხება სპარსეთის ზოგად დახასიათებას – სპარსეთის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, ფათჰ-ალი შაჰის მმართველობას, ხაზს უსვამს ვაჭრობის თავისუფლებას, შაჰის ტოლერანტულ დამოკიდებულებას სხვა რელიგიებისა და სექტების მიმართ, სამხედრო საქმეში ევროპული წესის შეტანას და სხვ.; მეორე – 1813 წლის ხორასანში აჯანყების ამბავს და აჯანყებულთა მიმართ ფათჰ-ალი შაჰის შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს; მესამე – ხოტბას ასხამს ფათჰ-ალი შაჰის სამართლიანობას და გულუხვობას რელიგიური ფანატიკოსების მიერ დარბეული თეირანელი ქრისტიანი სომხების მიმართ. დაუდ ზადურის თხზულება მეტად მაამებლურადაა დაწერილი მმართველი დინასტიის მიმართ. ვინაიდან დაუდის თხზულება პარიზში გამოქვეყნდა და ის ძირითადად ევროპელი მკითხველისათვის იყო განსაზღვრული, ამიტომ მოგვყავს მისი ფრანგული ვარიანტის ქართული თარგმანი ჩვენი კომენტარებითურთ.

***

ცნობები სპარსეთის სამეფოს ამჟამინდელი შესახებ

სპარსეთის სამეფომ, სხვადასხვა ეპოქებში, მნიშვნელოვანი ცვლილებები და რევოლუციები გადაიტანა, მაგრამ სპარსეთს არც ერთ ეპოქაში არა ჰყოლია ისეთი კარგი მთავრობა, ორგანიზებული სამართლიანობასა და მართლწესრიგის პრინციპებზე, როგორც ამჟამად მმართველი ყაჯართა დინასტიის სახით ჰყავს. ეს ოჯახი, რომელიც ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, დასაბამს ჩინგის ხანისაგან იღებს,[4] მრავალი საუკუნის წინ დასახლდა სპარსეთის ჩრდილო საზღვრებთან. ნადირ შაჰის (თამაზ ყული ხანის – დაუდის შენიშვნა) მმართველობის შემდეგ ის მეტად გაძლიერდა ამ მხარეში და უდიდესი პატივისცემა მოიპოვა სამეფოს მთავარ ოჯახებს შორის. [5]

ჩვ. წ. აღ. 1784 წელს, აღა-მაჰმად შაჰმა, ამ ცნობილი ტომის წარმომადგენელმა, სპარსეთის ყველა პროვინცია წაართვა თავის მეტოქეებს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა და ათი წლის მანძილზე იმეფა. მისი მემკვიდრე, სპარსეთის ხალხის თანხმობით, მისი ძმიშვილი ფათჰ-ალი შაჰი გახდა.[6]

ყაჯარმა მმართველებმა თავიანთი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძვლად ყველა საქმეში სიბრძნე და სამართლიანობა გაიხადეს და ამით ყველა სპარსელის გული მოინადირეს. სამართლის ძველი წესით წარმოებისას, ყადიები და ქალაქების მმართველები საშინლად ტანჯავდნენ ხალხს და საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევდნენ. დღეს კი ყველა სასამართლო დავა გულმოდგინედ განიხილება, ძალიან ხშირად კი ერთ-ერთი შაჰზადეს თანდასწრებით. ძველ დროში მოსამართლეებს არა ჰქონდათ სხვა საარსებო წყარო, გარდა იმ ანაზღაურებისა, რასაც მათ მოდავე მხარეები უხდიდნენ; ამის ნაცვლად, დღეს მოსამართლეები იღებენ სახელმწიფოს მიერ ფიქსირებულ წლიურ შემოსავალს და უსასტიკესი სასჯელის დადებით, სახელმწიფო მათ მცირედი საჩუქრის მიღებასაც კი უკრძალავს. გასულ საუკუნეებში, სპარსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს თავისი სიმდიდრე და ნაწარმი უცხო ქვეყნებში გაჰქონდა, რათა გაქცეოდა შეურაცხყოფას და მათგან მოთხოვნილ მეტად მაღალ გადასახადებს.[7] მაგრამ დღეს ვხედავთ სამშობლოში დაბრუნებულ სპარსელებს, რომლებიც ადრე სხვა ქვეყნებში იყვნენ გაქცეულები;

უცხოელებიც კი ცდილობენ დამკვიდრებას სპარსეთში, სადაც მთავრობა სამართლიანობით და გონივრული მფარველობით ხელს უწყობს მათ ვაჭრობასა და სხვა წამოწყებებში. წარსულში სპარსელი ხალხი უპატივცემულოდ უყურებდა ყველას, ვინც სხვა სექტას ან აღმსარებლობას მიეკუთვნებოდა: ამჟამად ყოველი კულტის მსახურება სრული თავისუფლებით და თანაბარი მფარველობით სარგებლობს.[8] სპარსეთის მრავალ პროვინციაში ადრე ბევრი ქურდი იყო, რომლებსაც არც იჭერდნენ და არც სჯიდნენ. დღეს ყველგან – ქალაქებსა და დიდ გზებზე – სრული უსაფრთხოება სუფევს.[9] ადრინდელი სამხედრო საქმე და ომის წარმოების წესი შეცვლილია ევროპულით, რომლის წარმატება უკვე თვალსაჩინოა უნიფორმის შემოღების, გაწვრთნისა და საერთოდ ყველაფერის თვალსაზრისით, რაც ჯარის ორგანიზებას ეხება.[10]

როდესაც მეფე თავის ვაჟებს – მეფისწულებს, ან ხანებს ანდობს საქმეების წარმოებას, მათგან წერილობით მოითხოვს თავისადმი სრულ მორჩილებას, ყოველი ადამიანის უფლების პირუთვნელად დაცვას და ბოროტმოქმედთა დევნას. თავის მხრივ, ისინი თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი ოლქების მმართველებს ავალდებულებენ, რომ მათ თავიანთი მოვალეობები პატიოსნად და თანამდებობრივი დანაშაულის გარეშე შეასრულონ, სიკვდილით დასჯის შიშით აღკვეთონ ყოველგვარი ძალადობა და პასუხი აგონ ყოველი ქვეშევრდომის ქცევაზე.

თუკი ფათჰ-ალი შაჰს მტკიცედ უპყრია ხელთ მმართველობის სადავეები, მისი ვაჟი აბას მირზა, გვირგვინის მემკვიდრე და მეფის ნაცვალი,[11] რომელიც აზერბაიჯანს მართავს, ერთგულად მიჰყვება თავისი მამის კვალს. ის ყოველდღიურად იღრმავებს ცოდნას, განაგებს რა სახელმწიფო საქმეებს მეფის სურვილისა და მის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

ამგვარია სპარსეთში დადგენილი ამჟამად მმართველობის ფორმები, სადაც პიროვნება, საკუთრება და სარწმუნოება ისეთი სრული თავისუფლებითა და დაცვით სარგებლობენ, როგორიც კი შეიძლება მოისურვო. მეფის სიკეთე აღიარებულია მთელ სამეფოში და ამ მმართველის ყოველი ქმედება, ნაკარნახევი სამართლიანობით, კეთილგანწყობითა და სულგრძელობით, მას უფრო და უფრო ძვირფასად ხდის თავისი ქვეშევრდომებისათვის. სულ მცირე წარმოდგენის შესაქმნელად, რამდენიმე ბოლოდროინდელ ფაქტს მოვიტან.

•••

1813 წელს ხორასნის მოსახლეობა აჯანყდა და დამოუკიდებლობის მიღება მოისურვა.[12] ამ ამბავმა სწრაფად მიაღწია ავღანელებამდე; მათმა მეფემ შაჰ-მუჰამედმა, აჯანყების მხარდაჭერა და აჯანყებულთა დახმარება განიზრახა. მან ლაშქარი შეჰყარა და ხორასანში გაგზავნა თავისი ვაჟის, მეფისწულ ქამრანის,[13] მეთაურობით. ამ ამბებმა ფათჰ-ალი შაჰამდე მიაღწია; მან მათ წინააღმდეგ ბრძანა ლაშქრის შეყრა, რომელიც ისმაილ ხან ჩელაის[14] ჩააბარა. როგორც კი ეს გენერალი გზას გაუდგა, თეირანში ამბავი მივიდა, რომ აჯანყებულებს მხარი დაუჭირა მაზანდარანის გენერალ-გუბერნატორმა, სულეიმან ხან ყაჯარმაც.

როდესაც ფათჰ-ალი შაჰმა რეალური საფრთხე დაინახა, გადაწყვიტა პირადად შებრძოლებოდა აჯანყებულებს და მაშინვე გაუდგა გზას. თავისი მეთაურობით ისინი მრავალ ბრძოლაში დაამარცხა და ჰერათამდე დაიმორჩილა მთელი ქვეყანა. დააპატიმრეს შაჰის მთავარი მოწინააღმდეგე, სულეიმან ხანი და მასთან ერთად აჯანყებული რამდენიმე ხორასნელი ხანი. ფათჰ-ალი შაჰმა დივანის დარბაზში[15] მათი მიყვანა ბრძანა, სადაც შეკრებილნი იყვნენ სამეფოს მთავარი პირები. შაჰს სულეიმან ხანის დასჯა ქვეყნის კანონების მიხედვით სურდა და შეკრებილთ ჰკითხა, თუ როგორ დაესაჯა იგი. მოსამართლეებმა უპასუხეს, რომ ის სიკვდილს იმსახურებდა. ამ განაჩენის მიუხედავად, მეფემ სულეიმან ხანი შეიცოდა; მან მისი დაბრმავება ბრძანა, სიცოცხლე კი შეუნარჩუნა, რათა მსოფლიოსათვის კანონის უზენაესობა ეჩვენებინა.[16] შემდეგ მან ყველა აჯანყებულს შეუნდო, მათ თავისუფლება აჩუქა და თავის სამსახურში დატოვა.

•••

1815 წლის აპრილში დედაქალაქის შემოგარენში დიდი გვალვა იდგა: ამ ქალაქის შეიხ-ულ-ისლამი[17], რომელსაც მეფე და კარი დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ რომელმაც არ იცოდა განურჩევლად ყოველი ქვეშევრდომის მიმართ მეფის კეთილი დამოკიდებულების შესახებ, უფლისა და თავისი მეფის საამო საქმის გაკეთება ჩაიფიქრა და მისი უმაღლესობის.[18] ნების საწინააღმდეგო გეგმა შეადგინა. მან თავის სახლში შეკრიბა ორასზე მეტი მდაბიო და ისინი დაარწმუნა, რომ გვალვა და მოუსავლიანობა მათზე მოვლენილი ღვთის რისხვა იყო სომხების დუქნებში მათი ხშირად სიარულის გამო, ღვთის რისხვის დასამშვიდებლად კი საჭირო იყო უწმინდურობის ყველა ამ კერის დანგრევა და მოუწოდა, გაჰყოლოდნენ მათ გასანადგურებლად. შეიხ-ულ-ისლამის ამ მიმართვამ უბირი და გაუწონასწორებელი მდაბიოების გონებაზე ზემოქმედება მოახდინა და ისინი თავხედური საქციელის ჩასადენად წააქეზა.

ამგვარად, ეს ბრბო სომხებით დასახლებული უბნისკენ გაემართა და შეიუხ-ულ-ისლამის თვალწინ დაანგრიეს ერთ-ერთი სომხური ეკლესია და რამდენიმე ღვინით მოვაჭრის სახლი დაარბიეს.

მეფეს ეს ამბავი მაშინვე მოახსენეს. იგი აღშფოთებული და მაშინვე უბრძანებია, რომ დაეკავებინათ და მისთვის მიეგვარათ შეიხ-ულ-ისლამი და მის მიერ ამ არეულობაში ჩათრეული პირები. მაგრამ ისინი გააფრთხილეს მეფის რისხვის შესახებ და ისინი ქალაქის სხვადასხვა მხარეებში დაიმალნენ, შეიხ-ულ-ისლამმა კი, რომელსაც მისი უმაღლესობა განსაკუთრებით ემუქრებოდა, თავი შეაფარა ხელშეუხებელ თავშესაფარს – თეირანიდან ერთნახევარ ლიეზე მდებარე შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩეთს, სადაც ბოროტმოქმედები და კაცის მკვლელებიც კი იქ ყოფნის განმავლობაში დაცულები არიან ყოველგვარი დევნისა და დაპატიმრებისაგან.[19]

მიუხედავად ამისა, წარჩინებულებმა შესძლეს თორმეტი მათგანის დაკავება, რომლებიც ყველა მინისტრით გარემოცულ შაჰს მიჰგვარეს. „თავხედებო, – წარმოთქვა განრისხებულმა მეფემ, – ვინ გიბრძანათ ასე მოქმედება? რომელმა კანონმა მოგცათ ამის უფლება? განა შეიხ-ულ-ისლამია თქვენი მეფე, განა ის განაგებს ამ ქვეყანას? თქვენ შეურაცხყავით ჩემი სახელმწიფოს კანონები, მე თქვენ ამავე კანონებით დაგსჯით: წაეთრიეთ"! საასწრაფოდ გამოიტანეს სასამართლო გადაწყვეტილებაც – დამნაშავეებს სომხებისათვის ზარალის ასანაზღაურებლად 1 000 თუმანი უნდა გადაეხადათ. შემდეგ მეფემ სომეხთა უხუცესების დაძახება ბრძანა და მათ დასამშვიდებელი სიტყვებით მიმართა: „მე მსურს, – ბრძანა მან, – რომ ჩემ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხი, რელიგიის მიუხედავად, სამართლიანი თავისუფლებით სარგებლობდეს და მშვიდად ცხოვრობდეს ჩემი მეფური ხელისუფლების საფარქვეშ". იგი მათ შეიხ-ულ-ისლამის მკაცრად დასჯას დაპირდა და თავისი დღეგრძელობისათვის ლოცვის აღსავლენად მიიწვია. ფათჰ-ალი შაჰმა თავის მოლარეს 3 000 თუმანის გაცემა უბრძანა თავისი პირადი ხაზინიდან იმ ქრისტიანთა დასახმარებლად, რომლებიც სხვებზე მეტად დაზარალდნენ. ამას გარდა, მან ისურვა, რომ სახელმწიფოს ხარჯით აღედგინათ სომხური ეკლესია, აგრეთვე ავეჯი და ყოველივე, რაც დაზიანდა ან დაიკარგა.

შენიშვნები

[1] რუსოთა ოჯახი აღმოსავლეთში XVIII საუკუნის დასაწყისიდან დამკვიდრდა. ჟან-ფრანსუა-ჟსავიე რუსოს (1738-1808) მამა, იუველირი-მესაათე ჟაკ რუსო (1679-1753) 1705 წელს ლუი XIV-ის მიერ შაჰ სოლთან ჰოსეინთან (1694-1722) გაგზავნილ ელჩობას გაჰყვა, სპარსეთში დარჩა და ჯერ სეფიანთა, შემდეგ კი ნადირ შაჰის კარის იუველირი იყო. ნადირ შაჰს სწორედ მისთვის მიუნდვია თავისი გვირგვინისათვის ინდოეთიდან გამოტანილი ალმასებისა და ძვირფასი ქვების შერჩევა-დამუშავება. ჟ.-ფ. რუსო 1756 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, ოთხი ათეული წლის მანძილზე, მახლობელ აღმოსავლეთში საფრანგეთის სავაჭრო და დიპლომატიურ სამსახურში იდგა (AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 104v; რუსო, 1899: iv-x; სასი, 1810: 2-3; დეერენი, 1930; II, 26-27).

[2] ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი, ჟოზეფ-მარი ჟუანენი (1783-1844), სპარსეთიდან ევროპაში დაბრუნების შემდეგ ჯერ ვენაში (1810) იყო საფრანგეთის საელჩოს მდივანი, შემდეგ კი მემელში (1812) – ვიცე-კონსული. 1816 წელს იგი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის პოლიტიკური განყოფილების არქივარიუსად დანიშნეს. 1817-1822 წლებში იგი კვლავ კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს პირველი დრაგომანია, 1822-1826 წლებში კი პარიზის თარჯიმანთა სამეფო სკოლის დირექტორია. 1826-1830 წლებში ჟუანენი შარლ X-ის (1824-1830) პირველი მდივანი-თარჯიმანია აღმოსავლური ენებიდან, 1837 წლიდან იგი Collège de France-ში ასწავლიდა სპარსულ ენას და იყო გეოგრაფიული საზოგადოების კომისიის წევრი (პრევო, 1952/54: VI, 809).

3. სომეხი მღვდელი აკოფ შაჰანის ძე ჯერპეტი, იგივე ჟაკ შაჰან დე სირბიე (1772-1832/1834), ედესში (ანატოლია) დაიბადა. 1789 წლამდე იგი რომში, ფლორენციასა და გენუაში ცხოვრობდა, 1811 წლიდან კი პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების სკოლაში (l'École des langues orientales vivantes à Paris) ასწავლიდა სომხურ ენას. იგი იყო საფრანგეთის სიძველეების სამეფო საზოგადოების (Société royale des antiquaires de France), გეოგრაფიული საზოგადოების (la Société de Géographie) და ვენეციის წმ. ლაზარეს სახ. სომხური აკადემიის წევრი (l'Académie Arménienne de St-Lazare de Venize). იგი ავტორია წიგნებისა *Histoire arménienne*, Paris, 1818 და *Grammaire de la langue arménienne* (Paris, 1823).

[4] ლონდონში მოღვაწე ირანელი ისტორიკოსის, ჰორმოზ ებრაჰიმნეჯადმა, საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა ყაჯარების წარმომავლობის ისტორიას. მისი გამოკვლევით, თურქულ-მონღოლური დინასტიების გენეალოგიურ ხეზე ყაჯარები არ არიან წარმოდგენილი. მონღოლი მეთაურების ქრონიკების უმეტესობაში ყაჯარების წინაპრები თურქულ-მონღოლურ დინასტიებთან პოლიტიკურ-სამხედრო კავშირში იხსენიებიან ნოინებად (მეთაურებად) და ათაბაგებად (აღმზრდელებად ან ვეზირებად). უფრო სარწმუნოა, რომ ყაჯარები დაფუძნებული იყვნენ თურქესტანში: როდესაც ოღუზ ხანი თურქესტანიდან სპარსეთის დასაპყრობად გაემართა, მას ყაჯარები ახლდნენ. ნეირუნი, ყაჯარების წინაპარი, ჰულაგუს (1256) ოფიცერი იყო, მისი შვილი და შვილიშვილები აგრეთვე ყველანი მონღოლთა ოფიცრები იყვნენ. აღა-მაჰმად-ხანისათვის მაგალითი იყო ჩინგიზ ხანისა და თემურლენგის მოღვაწეობა, აუდიენციის

დარბაზში მათი პორტრეტები ეკიდა და მათი ტრადიციების, კანონებისა და წესების მიხედვით იქცეოდა (ებრაჰიმნეჯადი, 1999: 110-111, 260).

[5]. სპარსეთის მთავარ ოჯახებში იგულისხმება ქორწინებებით ერთმანეთთან დაკავშირებული როგორც ყაჯართა ორივე შტო, ისე ირანელი წარჩინებულებისა და ზოგიერთი სამხედრო ტომის ბელადის ოჯახები (ებრაჰიმნეჯადი, 1999: 171-172).

[6]. აღა-მაჰმად-ხანის მკვლელობის შემდეგ ბრძოლა ყაჯარებს შორის ისეთ ფაზაში შევიდა, რომ რეალურად თავისი ძალაუფლება ფათჰ-ალი შაჰმა ტახტზე ასვლიდან (1797) მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ განიმტკიცა. მან გააუვნებელყო თავისი მთავარი მოწინააღმდეგეები, როგორც ყაჯარები – თავისი ბიძა ალი-ყული ხანი, ძმა – ჰოსეინ-ყული ხანი და მამის ბიძაშვილი – სოლეიმან ხანი, აგრეთვე სპარსეთის სხვადასხვა ტომების ბელადები – შაყაყთა ტომის ბელადი სადეყ ხანი და სხვ. (ებრაჰიმნეჯადი, 1999: 267). 1806 წლის მაისში სპარსეთში ჩასული ნაპოლეონის ემისრის, ამედე ჟობერის ცნობით, ძლიერი მმართველობისა და სასტიკი ზომების მეშვეობით, ფათჰ-ალი შაჰმა შესძლო, რომ მისი ძალაუფლება ყველგან ეცნოთ და იგი მშვიდად განაგებდა მთელ სპარსეთს. მმართველი დინასტია ტახტზე მყარად იყო დამკვიდრებული, შაჰის ძალაუფლებას ყველგან ცნობდნენ, მაგრამ იგი არ უყვარდათ – მისი ეშინოდათ (AN, AF IV, 1686, doc. 16, fol. 13-15).

[7]. ფრანგი დიპლომატების ცნობებით, სპარსეთის ხელისუფლება არავითარ კანონებს არ ეყრდნობოდა და ქვეყანაში სრული განუკითხაობა სუფევდა. ფათჰ-ალი შაჰს განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა თავისი ქვეშევრდომების სიცოცხლესა და ქონებაზე. მოსახლეობა იძარცვებოდა სხვადასხვა რანგის მოხელეების მიერ. სპარსეთის მოსახლება თავისი ბედის უკმაყოფილო იყო. საყოველთაოდ ცნობილი იყო ფათჰ-ალი შაჰის განსაკუთრებული ლტოლვაც სიმდიდრის დაგროვებისადმი, მისი მთავარი სისუსტე კი სიხარბე იყო (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 27. fol. 57r; ბონტამ-ლეფორი, S.d.: 130; დიუპრე, 1819: I, 438; გარდანი, 1868: 143-144, 299-300).

[8]. ოსმალეთთან შედარებით, სპარსეთში, გარდა ქართველებისა, რომლებიც ძალით თუ ნებით იღებდნენ ისლამს, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა მიმართ უფრო ტოლერანტული დამოკიდებულება იყო. სომხები, ღებრები და ებრაელები, თავისუფლად მისდევდენ თავიანთ სარწმუნოებას, მათ თავიანთი ეკლესიები, სამლოცველოები და სინაგოგები ჰქონდათ სპარსეთის სხვადასხვა მხარეებში (AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 104r; დიუპრე, 1819: I, 277; II, 10; მორიერი, 1818: I, 317).

[9]. 1805-1815 წლებში სპარსეთში მყოფი ფრანგი და ინგლისელი წარგზავნილების ცნობებით, ფათჰ-ალი შაჰის მმართველობის დადებით მხარედ ქვეყანაში არსებული სიმშვიდე მიიჩნეოდა: ქურდობა და ყაჩაღობა იშვიათი იყო, მგზავრობა კი უსაფრთხო. შაჰის ბრძანებები ზედმიწევნით სრულდებოდა, მოგზაურებს უსაფრთხოდ შეეძლოთ ამ ქვეყანაში მგზავრობა. აღარ იყო საშიში არაბთა, ქურთთა და სხვადასხვა მოხეტიალე ურდოებთან შეხვედრა, რომლებიც ადრე აცამტვერებდნენ ქვეყანას და კვლავ შიშის ზარს სცემდნენ ანატოლიის სოფლებს (AMFAE, cp/Perse, vol. 9, doc. 27, fol. 57v; AN, AF IV, 1686, doc. 16, fol. 14; მორიერი, 1818: II, 77; ტანკუანი, 1819: II, 61).

[10]. სპარსეთში ევროპული სამხედრო რეფორმის გატარება 1807 წლიდან გენერალ გარდანის მისიის წევრმა ოფიცრებმა აბას მირზას ლაშქარში დაიწყეს. სამხედრო საინჟინრო საქმის კაპიტანმა ლამიმ თავრიზში პირველი სამხედრო სკოლა დააარსა, ქვეითი ჯარების კაპიტანმა, გრაფმა დე ვერდიემ სამი ფრანგი სერჟანტის დახმარებით გაწვრთნა აზერბაიჯანის ინფანტერიის ექვსი ბატალიონი, გააუქმა ჯარში მოღალატეთა მათრახით დასჯა, შემოიღო ფრანგულ სამხედრო ფორმასთან მიახლოებული უნიფორმა; კაპიტანმა პეპენმა გაწვრთნა აბას მირზას კავალერისტთა ერთი ბატალიონი, არტილერიის ლეიტენანტებმა ფავიემ და რებულმა ისფაჰანში დააარსეს არსენალი და ჩამოასხეს 40 ზარბაზანი (AMFAE, CP/Perse, vol. 11. doc. 181, fol. 305r-306r; ამდ ორ-რაზაჯ დომბოლი, 1982: 141, 227; ტანკუანი, 1819: II, 163-164; დიუმა: 1915, 66). სპარსეთიდან გენერალ გარდანის მისიის წასვლის შემდეგ სამხედრო საქმეს ინგლისელი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდნენ (ტერ-ოგანოვი, 1984: 27-52).

[11]. ფათჰ-ალი შაჰმა თავისი მეოთხე ვაჟი, აბას მირზა, 11 წლის ასაკში, 1799 წელს დაინიშნა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროვინციის, აზერბაიჯანის მმართველად. მისი წოდება იყო ნაიბ-ოს სალთანე (*nâyeb-os saltaneh*) – მეფის ნაცვალი, რადგან მას უცხოელებთან თავისი მამის სახელით უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები. მისი გავლენა აზერბაიჯანის საზღვრებს არ სცილდებოდა. შაჰმა იგი ტახტის მემკვიდრედ – ვალიაჰდად (*vali'ahd*) – რუსეთისა და ინგლისის გავლენით მხოლოდ 1832 წელს, ამ მეფისწულის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაასახელა (ებრაჰიმნეჯადი, 1999: 272, 289).

[12]. რუსეთ-სპარსეთის პირველი (1804-1813) ომის დასასრულს, როდესაც სპარსეთი მძიმე მდგომარეობაში იყო, ხორასნის ხანები ფათჰ-ალი შაჰის მესამე ვაჟის, ხორასნის მმართველის, მოჰამად-ვალი მირზას წინააღმდეგ აჯანყდნენ. ამ მოვლენის გამო, ინგლისის ზეწოლის შედეგად, განახლდა რუსეთ-სპარსეთის სამშვიდობო მოლაპარაკებები, რაც გულისთანის ზავით (24.10.1813) დასრულდა.

[13]. იგულისხმებიან მაჰმუდ შაჰ დურანი (1769-1829), ავღანეთის დურანთა იმპერიის მმართველი 1801-1803 – 1809-1818 წლებში და მისი ვაჟი, მეფისწული ქამრან დურანი (1789-1840). დურანთა რეზიდენცია ყანდაჰარში იყო.

[14]. ისმაელ ხან თალაი, ფათჰ-ალი შაჰის ნდობით აღჭურვილი პირი იყო (მორიერი, 1818: 367).

[15]. დივანი – სახელმწიფო საბჭო, სათათბირო ოსმალეთის იმპერიასა და სპარსეთში.

[16]. სპარსეთის შაჰები ყოველთვის მიმართავდნენ „თავისი საეჭვო ამბიციების მქონე" ძმების, ნათესავებისა და წარჩინებულებისათვის თვალების ამოთხრის ბარბაროსულ წესს. ფათჰ-ალი შაჰმა თვალები დათხარა თავის წინააღმდეგ აჯანყებულ თავის უმცროს ძმას, ჰოსეინ-ყული ხანს (დიუპრე, 1819, II: 340-348; ტანკუანი, 1819: I, 250-251; დრიუვილი, 1829: II, 14). ამ ტრადიციას არც ფათჰ-ალი შაჰის შვილიშვილმა, აბას მირზას ვაჟმა, მოჰამედ შაჰმა (1843-

1848). უღალატა. 1834 წელს მან თვალები დათხარა თავის ბიძას, ფათჰ-ალი შაჰის მეექვსე ვაჟს, ჰასან-ალი მირზას შოჯა ოს-სალთანეს, რომელიც მას ტახტს ეცილებოდა (კორფი, 1838: 260).

[17] უმაღლესი მუსლიმი სასულიერო პირის წოდება.

[18] ფრანგები ასე უწოდებდნენ ფათჰ-ალი შაჰს.

[19] რეის, ანტიკური და დიდი ქალაქის ნანგრევებზე გაშენებული ეს სოფელი მხოლოდ იმის გამო მიიჩნევა თავშესაფრად, რომ იქ მდებარეობს შაჰ-აბულ-აზიმად წოდებული იმამ-ზადე, მუსლიმების მიერ მეტად პატივცემული წმინდანის საფლავი. იმავე პრივილეგიებით სარგებლობენ მეჩეთები, სადაც იმამები ან მათი შვილები განისვენებენ, ისეთები, როგორცაა ყუმი, იმამ ხოსეინი და სხვ. (დაუდის შენიშვნა).

დამოწმებანი

ბარბიე დიუ ბოკაჟი 1807: Barbié du Bocage (Membre de l'Institut). *Recherches à faire dans un voyage en Perse*, Paris.

ბონტამ-ლეფორი 1807: [Bontems Le Fort, Auguste de] Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année. S. d.

ბონტამ-ლეფორი 1810: [Bontemps Le Fort, Auguste de] *Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807.* En: Bibliothèque britannique; ou recueil extrait des ouvrages anglais périodiques et autres: des mémoires et transactions des sociétés et académies de la Grande-Bretagne, d'Asie, d'Afrique et d'Amérique. T. 44, A Genève.

ბონტამ-ლეფორი 1810: ბონტამ-ლეფორი: [Bontemps Le Fort, Auguste de] *Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807.* En: Bibliothèque britannique; ou recueil extrait des ouvrages anglais périodiques et autres: des mémoires et transactions des sociétés et académies de la Grande-Bretagne, d'Asie, d'Afrique et d'Amérique. T. 45, A Genève.

ბონტამ-ლეფორი 1811: ბონტამ-ლეფორი: [Bontemps Le Fort, Auguste de] *Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807.* En: Bibliothèque britannique; ou recueil extrait des ouvrages anglais périodiques et autres: des mémoires et transactions des sociétés et académies de la Grande-Bretagne, d'Asie, d'Afrique et d'Amérique. T. 46, A Genève.

გარდანი 1809: Gardane, Ange de, *Journal d'un voyage dans la Turquie-d'Asie et la Perse, fait en 1807-1808, suivi d'un Vocabulario Italiano, Persico et Turco par le Prince Timurat-Mirza*, Paris-Marseille.

გარდანი 1868: Gardane, Alfred de, *Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire.*

დაუდ ზადურ დე მელიქ შაჰნაზარი 1816: Mir-Davoud-Zadour de Melik-Chah Nazar, Chevalier de la première classe des ordres du Soleil et du Lion de Perse. *Détails sur la situation actuelle du royaume de Perse*, Paris.

დაუდ ზადურ დე მელიქ შაჰნაზარი 1817: Mir Davoud-zadour de Melik Shahnazar, Knight of the first Class of the Orders of the Sun and Lion of Persia. *Details on the present Situation of the Kingdom of Persia.* – "The Literary Panorama and National Register", New series, Volume the fifth, London.

დაუდ ზადურ დე მელიქ შაჰნაზარი 1817: Mir-Davoud-Zadour de Melik-Chah Nazar. *Notice sur l'état actuel de la Perse. D'un acte de tolérance religieuse exercée à Taurys.* Rédigé par Jaques Chahan de Cirbied, professeur d'arménien à la Bibliothèque du Roi, et membre de la Société royale des Antiquaires de France, *Aperçu général de la Perse.* L. Langlès, Chevalier de Saint-Wladimir, Conservateur-Administrateur des manuscrits Orientaux de la Bibliothèque du Roi, Membre de l'Institut, etc., Paris.

დაუდ ზადურ დე მელიქ შაჰნაზარი 1818: Mir-Davoud-Zadour de Melik-Chah Nazar *Notice sur l'état actuel de la Perse. D'un acte de tolérance religieuse exercée à Taurys.* Rédigé par Jaques Chahan de Cirbied, professeur d'arménien à la Bibliothèque du Roi, et membre de la Société royale des Antiquaires de France, *Aperçu général de la Perse.* L. Langlès, Chevalier de Saint-Wladimir, Conservateur-Administrateur des manuscrits Orientaux de la Bibliothèque du Roi, Membre de l'Institut, etc., Paris.

დეჰრენი 1929-1930: Dehérain. H., *La vie de Pierre Ruffin, orientaliste et diplomate*, vol. I-II, Paris.

დიუმა 1915: Dumas, J.-B., Général., *Un fourrier de Napoléon vers l'Inde, Les papiers du Lieutenant Général Trézel.* Paris.

დიუპრე 1819: Dupré, Voyage en Perse, fait dans les années 1807, 1808 et 1809, I-II. Paris.

დრიუვილი 1829: Drouville, G., *Voyage en Perse, fait en 1812 et 1813*, t. II, Turin.

ებრაჰიმნეჯადი 1999: Ebrahimnejad, H., *Pouvoir et succession en Iran. Les premiers Qâjâr, 1726-1834.* Société d'histore de l'Orient. L'Harmattan, Paris.

ელო-ბელიე 2007: Hellot-Bellier, F., *France – Iran, quatre cents ans de dialogue.* Avec le concurs de L'UMR 7528 "Mondes iranien et indien", Paris.

თოდუა, შამსი 1989: Тодуа М.А., Шамс, И. К., Тбилисская коллекция персидских фирманов, т. 2. Тбилиси..

თუმანიანი 1917: Thoumaian, G., *An Armenian Diplomat in the Service of Napoleon a Hundred Years Ago*, "Ararat", vol. 4. London.

კერარი 1843: Quérard, J.-M., *La france litteraire, ou dictionnaire bibliographique des savants, historiens et gens de lettres de la France, ainsi que des littérateurs etrangers qui ont écrit en français, plus particulièrement pendant les XVIII^e^ et XIX^e^ siecles.* Tome sixième, Paris.

კორფი 1838: Корф, Ф., *Воспоминание о Персии 1834-1835 Барона Феодора Корфа*, СП6.
ლანგლე 1807: Langlès, L.-M., Fatahh A'Ly Châh (roi) de Perse actuellement régnant, Paris.
მაკდონალდ-კინეირი 1813: Macdonald-Kinneir, J. M., *A Geographical Memoir of the Persian Empire*, London.
მალკოლმი 1815: Malcolm, Sir John, *The History of Persia: From the Most Early Period to the Present Time.* I-II, London.
მორიერი 1812: Morier, J., *A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809*, London.
მორიერი 1813: Morier, J., *Voyage en Perse, en Arménie, en Asie-Mineur, et à Constantinople, fait dans les années 1808 et 1809. Traduit de l'anglais.* Par M. E***. I-II, Paris.
მორიერი 1816: Morier, J., *A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809.* Philadelphia.
მორიერი 1818: Morier, J., *A Second Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor to Constantinople, Between the Years 1810 and 1816*, London.
ოლივიე 1800-1807: Olivier, G. A., *Voyage dans l'Empire Othoman, l'Égypte et la Perse, fait par ordre du Gouvernement, pendant les six premières années de la République.* T. I-III, Paris.
პრევო 1952, 1953, 1954: Prevost, M., d'Amat R., et Tribout de Morembert, H. *Dictionnaire de Biographie Française* (fin du t. VI, col. 513-1526, Biré-Bournon), Paris, Letouzey et Ané.
ჟურდენი 1814: Jourdain, Am., La *Perse ou tableau de l'histoire, du gouvernement, de la religion, de la litterature, etc., de cet empire, des mœures et coutumes de ses habitens*, t. I-V, Paris.
რუსო 1899: Rousseau, J.-B. Louis Jacques, *Voyage de Bagdad à Alep (1808)*, publié d'après le manuscrits inédit de l'auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris, Paris.
სასი 1810: Sacy, Sylvestre de, *Eloge historique de feu Jean-François Rousseau ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à alep le 12 mai 1808.* Précédé de quelques détails curieux et intéressans sur le voyage de son père à la cour de Perse, au commencement du dix-huitième siècle.
საფრანგეთის ეროვნული არქივი: Archives Nationales: AF IV, 1686, doc. 16.
საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Correspondances Politiques, Perse* (CP/Perse), vol. 8: doc. 2, 35; vol. 9, doc. 27; vol. 11. doc. 181; vol. 14, doc. 127, 128.
საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Mémoires et Documents, Perse* (MD/Perse), vol. 6, doc. 19; doc. 8.
სკოტ-უორინგი 1813: Scotte-Waring, Ed., *Voyage de l'Inde à Shyraz, par le Golfe persique, Bouchir, Kazroun, et retour à Bombay par Firouz-Abad, Bassorah, Ormus et Mascate.* Traduit de l'Anglais, Paris.
ტანკუანი 1819: Tancoigne, J. M., *Lettres sur la Perse et la Turquie d'Asie*, t. I-II, Paris.
ფრეიგანგი 1816: [Freygangs] *Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d'une relation d'un voyage en Perse, en 1812*, Hambourg.
ყაჯარი 1992: Kadjar, Prince Ali, *Les Rois oubliés, l'épopée de la dynastie Kadjare*, Paris.

Mir-Davoud-Zadour De Melik-Shah Nazar and His Notes about Persia

Irina Natchkebia

After the Russo-Persian Gulistan Treaty (24.10.1813), British influence in Persia increased. Seeking for the counterbalance, Fath-Ali Shah decided to restore diplomatic relations with France, ruptured in1811. Mir-Davoud-Zadour de Melik-Chah Nazar, a diplomat of Armenian origin who had been in courier service of Napoleon, was sent to Louis XVIII. For the successful mission the Shah honoured Davoud with the First Class Order of the Sun and the Lion.

This embassy had no continuation, but in 1816 in Paris was published Davoud's brochure – *Détails sur la situation actuelle du royaume de Perse* (*Details about the Actual Situation of the Kingdom of Persia*) in French, Armenian and Persian languages. This work was republished in Paris in 1817 and 1818 under the general title – *Notice sur l'état actuel de la Perse (Notice on the Current State of Persia*). In these publications the trilingual brochure had two attachements: (1) Davoud's observation about Abbas-Mirza's fair attitude towards a Christian Armenian merchant – *D'un acte de tolérance religieuse exercée à Taurys* (*About the Act of Religious Tolerance in Tebriz*), recorded by Jaques Chahan de Cirbied, professor of Arménien in the Royal Library, and (2) *Aperçu général de la Perse* (*General Overview of Persia*) by famous French orientalist Louis-Mathieu Langlès. Both attachments are in French and Armenian. At the same time English translation of Davoud's brochure – *Details on the present Situation of the Kingdom of Persia* – was published in *The Literary Panorama and National Register* (London, 1817).

Davoud's work made of three parts: the first deals with the general characterization of Persia – socio-economic issues of Persia, Fath-Ali Shah's rule, emphasizing the freedom of trade, the Shah's tolerant attitude towards other religions and sects, introducing the European rules to their military affairs, etc.; the second part touch the rebellion of 1813 in Khorasan, and the third – Fath-Ali shah's fairness and generosity towards Tehran Armenians. This work is written in a very flattering way for the ruling dynasty and needs some explanations, but is the first composition about Persia printed and published in Europe by a subject of Fath-Ali Shah.

მოქცევაჲ ქართლისაჲში დაცული რამდენიმე დროითი მინიშნების თაობაზე

საბა სალუაშვილი

უცხოურ და ქართულ წყაროებში, ქართველთა გაქრისტიანების სხვადასხვა თარიღია მითითებული. ზოგი თარიღის მცდარობა აშკარაა. თარიღების მრავალრიცხოვნება გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი ეყრდნობა სხვადასხვა საფუძველს.

ჩვენი წინამდებარე გამოკვლევა *წმ. ნინოს ცხოვრებაში* დაცული სხვადასხვა თარიღების ურთიერთშეჯერებას ეძღვნება.

ა) „ამას მეათე“ და „ამას მეათერთმეტე“ წლებთან დაკავშირებული საკითხები.

მოქცევაჲ ქართლისაჲს ორივე ნაწილში დაცული ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად მსგავს ცნობებს შეიცავს: „და იყო დღეთა კოსტანტინე მეფისათა ქრისტეს აღმაღლებითგან *სამას და მეათესა წელსა*“, და: „ხოლო ქრისტეს აღმაღლებითგან *სამას და ათერთმეტსა*“ (აბულაძე 1963, 83; 114).

ჯერ აქ მითითებული ტერმინების თაობაზე:

ე. თაყაიშვილმა და კ. ცინცაძემ აღნიშნეს, რომ აქ ყველაფერი არეულია და ყველგან, სადაც წელთაღრიცხვას – „ქრისტეს ამაღლებიდან“ იწყებენ, უნდა ვიგულისხმოთ - „ქრისტეს დაბადებითგან“-ო (ლომოური 1975: 71).

ამ ტერმინების გარდა, *მოქცევაჲ ქართლისაჲში* ზემოთ მითითებულ თარიღებში მომხდარი მოვლენების აღწერაში კიდევ რამდენიმე, ერთი შეხედვით, შეუსაბამო ცნობაა დაცული. კერძოდ, იქვე ნათქვამია, რომ კონსტანტინემ მოაყვანინა ეპისკოპოსები იერუსალიმიდან, ანტიოქიიდან, რომიდან და ალექსანდრიიდან; შემდეგ, რომ მან სძლია მტერს ჯვრის ძალით. აქ ზოგიერთი უზუსტობით ასახულია მაქსენციუსთან კონსტანტინეს ბრძოლა და მილანის ედიქტი. თუ შევადარებთ ამ ადგილს ევსევი კესარიელის *კონსტანტინეს ცხოვრებაში* მოცემულ თხრობას კონსტანტინეს და მაქსენციუსის უკანასკნელი ბრძოლის შესახებ რომის მისადგომებთან, მილვიის ხიდთან, დავინახავთ, რომ ბევრი რამ ნიშანდობლივ ემთხვევა და განსხვავება მხოლოდ დეტალებშია (ლომოური 1975: 78).

როგორც ცნობილია, აღნიშნული ბრძოლა 312 წელს გაიმართა (კოპლატაძე 2007: 186), მილანის ედიქტი კი 313 წელს იქნა მიღებული. ამდენად, *მოქცევაჲ ქართლისაჲში* მითითებულ: 310-311 წლებთან დაკავშირებულ თხრობაში, ზემოთ აღნიშნული: 312-313 წლებში მომხდარი მოვლენები უნდა იყოს აღწერილი.

მეორე მხრივ, ქართულ წყაროებში დაფიქსირებული 310/311 წლები, რომის იმპერიაში მომხდარი კიდევ ერთი საინტერესო მოვლენის ანარეკლი შეიძლება იყოს. ევსები კესარიელის ცნობით „ასეთი ვითარება იყო მთელი დევნილობის განმავლობაში, რაც მეათე წელს ღვთის მადლით სრულებით შეწყდა, თუმცა, დაცხრომა დაიწყო მერვე წელს“ (ჯაში 2007: 369). თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ეხება ქრისტიანთა დევნის დაწყების ანუ 302/303 წლებიდან ათვლით მომხდარს, მაშინ გამოდის, რომ მითითება „დაცხრომადაიწყო მერვე წელს“, სწორედაც რომ 310-311 წლებს აჩვენებს. და მართლაც: „დევნილობა შეწყდა 310-311 წლებში“ (ჯაში 2007: 519).

აღნიშნულთან მიმართებაში ბაქარ გიგინეიშვილი ბრძანებს: „311 წელი, ცხადია, კონსტანტინეს მონათვლის წელი არაა, მაგრამ ისაა დრო მის სახელთან დაკავშირებული ედიქტისა, რომელიც ქრისტიანული აღმსარებლობის შემწყნარებლობას უშვებს“ (გიგინეიშვილი 1988).

ბ) „მეათე წელი“ ანუ ელენე დედოფლის იერუსალიმში წასვლა.

მოქცევაჲ ქართლისაჲში ზემოთ დაწყებული თხრობა ასე გრძელდება: „მით ჟამითგან მეათესა წელსა წარვიდა ჰელენე იერუსალ%მად ძიებად პატიოსნისა ჯუარისა“ (აბულაძე 1963: 83).

თუ აღნიშნული ცნობის ათვლის წერტილად ავიღებთ *მოქცევაჲ ქართლისაჲშივე* მითითებულ სამას მეათე წელს, მაშინ ელენე დედოფლის მიერ, იერუსალიმში, მაცხოვრის ჯვრის საძებნად წასვლის თარიღი 320 წელზე მოდის, რაც წინააღმდეგობაშია ისტორიოგრაფიაში მიღებულ იმ თვალსაზრისთან, რომლის თანახმადაც „ელენე დედოფალმა ქრისტეს ჯვრის საპოვნელად იერუსალიმს იმოგზაურა 322-329 წლებში“ (ლომოური 1975: 82).

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული წყაროს მიერ მითითებული სამას ათი წლის მომხდარი ამბების შესახებ ინფორმაცია, სინამდვილეში ეხება 312 წელს კონსტანტინესა და მაქსენციუსს შორის გამართულ ომის პერიპეტიებს, მაშინ „მით ჟამითგან მეათესა წელსა“, 322 წელზე მოდის.

ამდენად, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ *მოქცევაჲ ქართლისაჲში* მითითებული თარიღები ერთი მხრივ, „სამას და მეათესა წელსა“, და, მეორე მხრივ, „მით ჟამითგან მეათესა წელსა“ მცირეოდენი უზუსტობით, ასახვს 322-329 წლებში ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში ჯვრის სამებნად წასვლას ანუ ესაა ამ ისტორიული მოვლენის კონკრეტული დროითი მიჯნა.

გ) „მეშვიდე წლისა“ და „მერვე წლის“ დროით მინიშნებათა საკითხისათვის.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღთან დაკავშირებით ერთ-ერთ ყველაზე რთულ ადგილს წარმოადგენს *მოქცევაჲ ქართლისაჲში* დაცული ერთი მონაკვეთი, რომლის ანალიზს ქვემოთ ვაპირებთ და რომელიც საბიებელი თემის არსში უკეთ გარკვევის მიზნით, მოდით, რამდენიმე პირობით ჯგუფად დავყოთ. მაშინ შატბერდულ რედაქციაში ერთ აბზაცად წარმოდგენილი ეს თხრობა შემდეგ სახეს მიიღებს:

“მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კოსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას ოთხას ორმეოც და ოთხსა, ხოლო ქრისტეს აღმაღლებითგან სამას და ათერთმეტსა.

“და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა.

“შეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას.

“და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით (აბულაძე 1963: 114).

თუ აღნიშნულ აბზაცს მთლიანობაში გააზრების კუთხით შევხედავთ, მაშინ:

ეს ცნობა შეიცავს მრავალ შეცდომას და შეუსაბამობას. ამ ამონარიდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ... 311 წელს იმპერატორ კონსტანტინეს, მის დედას, ელენე დედოფალს და მთელ საბერძნეთს მიუღია ქრისტიანობა, 318 წელს ჩატარებულა ნიკეის კრება, ხოლო 319 წელს რიფსიმეს თანმხლები პირები და წმ. ნინო სომხეთში გაქცეულან.

ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრება არ ჩატარებულა 318 წელს, კონსტანტინეს ქრისტიანობა არ მიუღია 311 წელს; ამ პერიოდში კონსტანტინე არ იყო მთელი იმპერიის ერთმმართველი. მან მხოლოდ – 324 წლის 18 სექტემბერს დაამარცხა ლიცინიუსი და მთელი იმპერიის ერთმმართველიც ამის შემდეგ გახდა.

თუ ამ ციტატას საფუძვლად დავუდებთ ნიკეის კრების თარიღს ანუ 325 წელს და ვიგულისხმებთ, რომ ციტატაში შეცდომაა და ნაცვლად – „სამას ათერთმეტისა“, უნდა იყოს – „სამას ათვრამეტი“, მაშინ თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ კვლავ ვაწყდებით წინააღმდეგობას. ასეთი მსჯელობით გამოდის, რომ 318 წელს მომხდარა კონსტანტინე იმპერატორისა და მთელი საბერძნეთის მონათვლა, რაც ისტორიული ფაქტებით არ დასტურდება.

ცხოვრებიდან აშკარად ჩანს, რომ წმ. ნინო და მისი თანამგზავრები საბერძნეთიდან თავიანთი ნებით კი არ წამოსულან, არამედ გამოქცევიან „უსჯულო“ იმპერატორს. განა შეიძლებოდა 326 წელს კონსტანტინესთვის „უსჯულო” იმპერატორი ეწოდებინა? (თორაძე, თორაძე 2007:15).

დიახ, ეს ასეა. ამიტომ, მოდით წარმოდგენილი აბზაცი, არა მთლიანობაში, არამედ რამდენიმე აბზაცად წარმოდგენილი გავიაზროთ.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ ციტატაში, რამდენიმე ისტორიული ფაქტის გადმოცემასთან უნდა გვქონდეს საქმე. მათზე მსჯელობა, ზემოთ უკვე წარმოდგენილი, პირობითი აბზაცების გადმოცემით გვინდა დავიწყოთ.

1) მოდით კიდევ ერთხელ გადავხედოთ განსახილველი მონაკვეთის პირველ პირობით აბზაცს:

„მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას ოთხას ორმეოც და ოთხსა, ხოლო ქრისტეს აღმაღლებითგან სამას და ათერთმეტსა“ (აბულაძე 1963: 114).

აქ მოცემულ „სამას და ათერთმეტ“ წელთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ, ზემოთ უკვე თქმულს, ამჟამად აი, რა გვინდა დავამატოთ:

როგორც უკვე ითქვა, დიოკლეტიანესა და გალერიუსის ინიციატივით დაწყებული ქრისტიანთა მორიგი დევნა: 302-303 წლებიდან იღებს სათავეს. ხოლო: „დევნილობა შეწყდა 310-311 წლებში“ (ჯაში 2007: 519).

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ამ დროისათვის რომის იმპერიაში „მთელი ძალაუფლება გაიყო ოთხმა“ (ჯაში 2007, 379), კერძოდ, ესენია: გალერიუსი, კონსტანტინე, მაქსიმინე და ლიცინიუსი.

გარდა ამისა, ვიცით ისიც, რომ 310 წელს გალერიუსს საშინელი სენი შეეყარა. მისი სხეული წყლულებით დაიფარა, რომლებშიც მატლები გაჩნდნენ. იმპერატორის კვნესა, აუტანელი ტკივილებით გამოწვეული, მთელს სასახლეში ისმოდა (კოპლატაძე 2007:184).

ამ მდგომარეობაში მყოფი გალერიუსის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ევსები კესარიელი გვაუწყებს:

> ასეთ უბედურებებთან მებრძოლმა, იგრძნო ღვთისმოსავთა წინააღმდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებები, მოიკრიბა გონება და მან პირველმა აღიარა ყოვლიერების ღმერთი, შემდეგ მოუხმო მასთან მყოფთ, და უბრძანა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ქრისტეანთა წინააღმდეგ დევნილება და საიმპერიო კანონით და დეკრეტით უბრძანა, გაემხნევებინათ ისინი, რათა ეკლესიები აეშენებინათ, თავიანთი ჩვეულების მიხედვით ემოქმედათ და იმპერატორის გამო ლოცვები აღევლინათ (ჯაში 2007: 370).

ევსები კესარიელი იქვე გვაუწყებს ამ დეკრეტზე ხელის მომწერთა ვინაობასაც. ესენი არიან:

> იმპერატორი კეისარი გალერიუს ვალერიუს მაქსიმიანე, უძლეველი ავგუსტუსი... იმპერატორი კეისარი ფლავიუს ვალერიუს კონსტანტინე, ღვთისმოსავი, სვიანი, უძლეველი ავგუსტუსი... და იმპერატორი კეისარი ვალერიუს ლიცინიანუს ლიცინუსი, ღვთისმოსავი, სვიანი, უძლეველი ავგუსტუსი (ჯაში 2007: 371).

აღნიშნული *საეკლესიო ისტორიის* კომენტარებში ვკითხულობთ: „ლაქტანტიუსის (IV საუკუნის საეკლესიო მწერალი) ცნობით, ამ ედიქტს ოთხმა იმპერატორმა მოაწერა ხელი. ევსებიმ გამოტოვა მაქსიმინე, ზოგ ხელნაწერში არ გვხვდება ლიცინიუსიც“ (ჯაში 2007: 371).

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ზემოთ აღნიშნული: „რესკიპტრი გამოკრულ იქნა 311 წლის 30 აპრილს“, ხოლო იმპერატორი გალერიუსი „გარდაიცვალა 311 წლის მაისში“ (ჯაში 2007: 519).

ზემოთ აღნიშნული ოთხეულის კიდევ ერთი წევრი „მაქსიმინე 313 წლის ზაფხულში ლიცინიუსთან დამარცხების შემდეგ, იმავე 313 წელს, ბოლომდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა“ (კესარიელი 2007: 519). ევსები კესარიელი იქვე გვიზუსტებს, რომ მაქსიმინეს ჩამოხრჩობით შეუწყვეტია ცხოვრება (ჯაში 2007: 373).

რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნული ოთხეულის მესამე წევრს – ლიცინიუსს, იგი ამ ბრძანების მიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჯერ თავად გახდა ქრისტიანთა წინააღმდეგ განხორციელებული მორიგი დევნის ინიციატორი, ხოლო შემდეგ, 323-324 წლებში, კონსტანტინესთან დაპირისპირების შედეგად: „მალევე მოკლა კონსტანტინემ“ (ჯაში 2007:520).

ევსები კესარიელის კიდევ ერთი მინიშნება უნდა გავითვალისწინოთ: „სწორედ ამიტომ კონსტანტინე, რომელიც იმპერატორისგან იმპერატორი და ყველაზე კეთილმსახურისგან და გონიერისგან კეთილმსახური გახდა“ (ჯაში 2007: 389), მაშინ აღარ იქნება ძნელი იმაში გარკვევა თუ რატომ მოხდა, ამ ფაქტებიდან, რამდენიმე წლის შემდეგ მცხოვრები *მოქცევაჲ ქართლისაჲს* უცნობი ავტორის მიერ 311 წელს რომის იმპერიაში მომხდარი ზემოთ აღნიშნული ფაქტის მხოლოდ კონსტანტინე იმპერატორთან გაიგივება.

ყოველივე ზემოთქმულის გააზრების შემდეგ, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ავტორი ფრაზით „მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა... სამას და ათერთმეტსა“ 311 წელს მომხდარს ანუ რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნის დამთავრების მომენტს აფიქსირებს;

2) *მოქცევაჲ ქართლისაჲში* დაცული, ჩვენ მიერ განსახილველი მონაკვეთის, მეორე პირობითი აბზაცი: „და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა“ (აბულაძე 1963: 114), ჩვენი აზრით, 311 წლიდან რომის იმპერიაში განვითარებული მოვლენების მოკლე შეფასების გადმომცემი უნდა იყოს. მოდით, მივყვეთ მოვლენათა თანმიმდევრობას.

როგორც ვიცით, ზემოთ ხსენებული ოთხი იმპერატორის პარალელურად დასავლეთ რომის იმპერიაში შემავალ იტალიაში, მეფობდა დიოკლეტიანეს თანამმართველის მაქსიმიანეს ვაჟი მაქსენციუსი, რომელიც: „უკიდურესად მკაცრი და ანგარებისმოყვარე მმართველი აღმოჩნდა“ (კოპლატაძე 2007: 186).

ზემოთ აღნიშნული „და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა“ სწორედ კონსტანტინესა და მაქსენციუსს შორის 312 წელს შემდგარი ბრძოლის დროს მომხდარ ფაქტს უნდა აფიქსირებდეს:

> 312 წელს რომს, სადაც მაქსენციუსი იყო გამაგრებული, ჯარით კონსტანტინე მოადგა... უფალმა იგი გამოარჩია და სასწაული მოუვლინა: როცა მზე დასავლეთისაკენ მიიდრიკა, კონსტანტინემ ზეცაზე ელვარე ჯვარი იხილა, რომელზეც ეწერა – „ამით სძლიე“... ღამით იმპერატორს თავად ქრისტე გამოეცხადა და ჯვრის ფორმის დროშის შექმნა და მეომართა ფარებსა და მუზარადებზე ჯვრის გამოსახვა უბრძანა. კონსტანტინემ მართლაც

ბრძანა ამგვარი დროშის შექმნა... ამ დროშით დაამარცხა მან მაქსენციუსის ჯარი (თვითონ მაქსენციუსი, რომელსაც გაქცევა უნდოდა, ტიბრში დაიხრჩო) და რომში ზეიმით შევიდა (კოპლატაძე 2007: 186-187).

ევსები კესარიელი ასე აღწერს ამ ბრძოლაში გამარჯვებული კონსტანტინეს ერთ ნამოქმედარს:

მყისვე ბრძანა მაცხოვრის ვნებათა ძეგლის აღმართვა საკუთარი ქანდაკების ხელში, და მაცხოვნებელი ნიშნის მარჯვენით მჰყრობელი თვით რომში გამორჩეულად საჯარო ადგილას დადგეს. და ბრძანა თვით ამ წარწერის ამოტვიფრა ლათინურ ენაზე: ამ მაცხოვნებელი ნიშნით, სიმამაცის ჭეშმარიტი მტკიცე ბუნებით, თქვენი ქალაქი ტირანის უღლისაგან გამოვიხსენი და გავანთავისუფლე; უფრო მეტიც, რომაელთა სენატი და ხალხი ძველი დიდებითა და ბრწყინვალებით განვანთავისუფლე და აღვადგინე (ჯაში 2007: 391).

და აი, დადგა 313 წელი, როდესაც მიღებულ იქნა *მილანის ედიქტი*. აღნიშნულის თაობაზე ევსები კესარიელი წერდა:

და ამის შემდეგ თვითონ კონსტანტინე და მასთან ერთად ლიკინიუსი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჭკუიდან გადასული, რაც მოგვიანებით მოხდა, მათთვის ყველა სიკეთის მიზეზისადმი, ღმერთისადმი კეთილად განეწყვნენ, ორივემ ერთი ნებითა და ზრახვით ქრისტიანთა გამო დაწერეს ყველაზე სრული კანონი, და მათ მიმართ ღვთისგან ნაქმნარი საქმეების სასწაულები და ტირანზე გამარჯვების (ამბავი), და თვით კანონიც გაუგზავნეს მაქსიმინეს, რომელიც აღმოსავლეთში ჯერ კიდევ განაგებდა ხალხებს და მათ მიმართ მეგობრობას ანახლებდა (ჯაში 2007: 391).

როგორც ზემოთაც ითქვა, მაქსიმიანემ, არა თუ უარი განაცხადა *მილანის ედიქტზე* ხელმოწერაზე, არამედ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველობის მოპოვების სურვილით ბრძოლა გაუმართა ლიცინიუსს:

გაბედა კადნიერად გამოსულიყო საიმპერიო ძალაუფლების თანაზიართა წინააღმდეგ. დაარღვია შეთანხმება, რაც ლიკინიუსთან დადო, და შეურიგებელი ომი გაუმართა... როდესაც ბრძოლაში, ჩაება, აღმოჩნდა ღვთის ზედამხედველობისაგან მიტოვებული, თვით ყოვლიერების ერთმა და ერთადერთმა ღმერთმა გამარჯვებისთვის განაგო, ვინც იმ დროს მართავდა (ჯაში 2007: 394-395).

313 წელსვე გარდაცვლილი მაქსიმიანეს შემდეგ, რომის იმპერიას ორი თანამმართველი შემორჩა: აღმოსავლეთში – ლიცინიუსი, დასავლეთში კი ლიცინიუსის ცოლის ძმა – კონსტანტინე.

ზემოთ აღნიშნული „და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა“ შემდგომი გამოვლენა, ჩვენის აზრით, მთლიანობაში კრავს უცნობი ქართველი ისტორიკოსის მიერ მოაზრებულ დროის მონაკვეთში მომხდარს, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს:

ქრისტიანულ სამყაროში *დიდი სჯულის კანონით* ცნობილი კრებული: „აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის მესვეურთა მეცადინეობით უკვე V-VI ს-ში გაჩნდა, რომლებიც იურიდიულ ნორმებს შეიცავდნენ, მაგრამ ნომოკანონების ჩამოყალიბების პროცესი VII საუკუნემდე გაგრძელდა... „დიდი სჯულისკანონი“ შეიცავს მოციქულთა, მსოფლიო საეკლესიო კრებათა და წმ. მამათა კანონებს (ნადარეიშვილი 1985, 632).არსენ იყალთოელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ *დიდ სჯულისკანონში* ვკითხულობთ: „ამან, საუკუნოთ ხსენებულმან კონსტანტინე მეფემ შეკრიბა პირველი მსოფლიო წმიდა კრება ნიკეას, რომელსაც 318 წმიდა მამა ესწრებოდა, მათ ოცი კანონი დაადგინეს. ამ კრებამდე იყო სხვა ადგილობრივი კრებები: პირველი ანკირიას, რომელმაც 24 კანონი დაადგინა“ (სჯულისკანონი 2004: 302).

თუ არ ჩავთვლით ზემოთ აღნიშნულ ახ.წ. პირველ საუკუნეში შექმნილ მოციქულთა კანონებს, 314 წელს გამართული ანკირიის კრება (გოილაძე 1986: 160; აგრეთვე კალენდარი 1979: 13), და მასზე მიღებული კანონები, რომის იმპერიაში მოქმედი ქრისტიანული საეპისკოპოსოების მიერ ერთობლივად მიღებული პირველი ე.წ. „სამართლებრივი აქტებია.“

დიდ სჯულისკანონში, აღნიშნულის თაობაზე ვკითხულობთ: „ანკირიაში შეკრებილი ნეტარი მამების კანონები, რომლებიც ნიკეის კრების კანონებზე უფრო ადრე იქნა დადგენილი, მაგრამ ამ კრებულში შეტანილნი არიან მათ მომდევნოდ, ნიკეის მსოფლიო კრების უპირატესობის გამო“ (სჯულისკანონი 2004, 23).

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ 314 წელს ანკირიაში (დღევანდელი – ანკარა) გამართული წმიდა მამათა ეს შეკრება, ზემოთ უკვე თქმულის გამო, არა მარტო პირველია, არამედ, გარკვეული აზრით, ის უკანასკნელი პოლიტიკურ-რელიგიური აქტია, რომელიც კონსტანტინესა და ლიცინიუსის მიერ ერთობლივი თანხმობით იქნა განხორციელებული.

ამდენად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეგვიძლია შემდეგი ვარაუდი გამოვთქვათ *მოქცევაჲ ქართლისაჲს* უცნობი ავტორის მიერ დაფიქსირებული „და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა“, მოკლედ 311 წლიდან მოყოლებული, ვიდრე - 314 წელს ანკირიის კრებამდე, ეხება რომის იმპერიაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, კერძოდ,

– 312 წელს სასწაულებრივად ზეცაში გამოჩენილ ჯვარსა და მასთან დაკავშირებულ პროცესებს;

– 313 წელს მიღებულ – ე. წ. *მილანის ედიქტს*, და ყოველივე აღნიშნულის ერთგვარ გვირგვინს:

– 314 წელს ანკირიაში გამართულ წმ. მამათა უკვე განხილულ შეკრებას;

3) წინამდებარე თხრობა, მოდით, ზემოთ წარმოდგენილი *მოქცევაჲ ქართლისაჲში* დაცული მონაკვეთის ბოლო ორი პირობითი ჯგუფის განხილვით განვაგრძოთ: „მეშვიდე წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას, და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით“ (აბულაძე 1963: 114).

როგორც ცნობილია, ნიკეის პირველი მსოფლიო კრება, კონსტანტინე იმპერატორის ინიციატივით 325 წლის ზაფხულში შედგა.

ზემოთ მოყვანილ ამონარიდში დაცული ინფორმაცია, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, წინააღმდეგობაში მოდის რეალურ ისტორიულ მოვლენებთან. უკვე ითქვა, თუ ამ ამონარიდში დაცულ მონაცემს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ ნიკეის I მსოფლიო კრება, თითქოსდა, 318 წელს გამართულა.

მეორე შეუსაბამობა უკვე ნიკეის კრების გამართვის მეორე წელს დაწყებულ ლტოლვილობას ეხება. 323-324 წლებში ლიცინიუსის დამარცხების შემდეგ, რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი კონსტანტინე ხდება. ამდენად, ნიკეის 325 წელს გამართული კრების მეორე, ანუ 326 წელს, წმ. ნინოსა და მასთან თანმხლები პირების იმპერიიდან ლტოლვილობის მიზეზი კონსტანტინე იმპერატორი არ შეიძლება ყოფილიყო. მაშ, რაში უნდა იყოს საქმე?

ჩვენი აზრით, აღნიშნული კითხვის პასუხი თავად 325 წელს ნიკეის კრების გამართვის გამომწვევი მიზეზების გამორკვევაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ცნობილია, ნიკეის კრება არიოზისა და მისი მიმდევრების მიერ დანერგილი ცრუ სწავლების შედეგად ატეხილი საეკლესიო დაპირისპირების მოგვარების მიზნით იქნა მოწვეული.

თეოდორიტე კვირელი გვაუწყებს:

> ალექსანდრია არის დიდი ქალაქი, და მას არა მხოლოდ ეგვიპტელთა, არამედ ეგვიპტის მახლობლად მცხოვრებ თებელთა და ლიბიელთა პირველობა აქვს მიკუთვნებული... ამ ქალაქის ეკლესიას მცირე ხნით აქილასი წინამდგომლობდა (ესაა: 311-312 წ.წ. – ს.ს.) და ეპყრა მისი სადავეები: მის შემდეგ კი – ალექსანდრეს (ესაა: 312-326 წ.წ. – ს.ს.)... მის დროს ხუცესთა სიაში განწესებულმან არიოზმა, ვისაც მინდობილი ჰქონდა საღვთო წერილის განმარტება, როდესაც დაინახა, რომ ალექსანდრეს გადაეცა მღვდელმთავრობის განგებლობა, ვერ გაუძლო შურის შემოტევას და მისგან კვეთებული აღიძრა დავისა და ბრძოლის საძიებლად (ჯაში 2008: 10).

იქვე დაცული კომენტარიდან გვეუწყება, რომ „არიოზმა თავისი მწვალებლობა საჯაროდ პირველად გააცხადა 319 წელს“ (ჯაში 2008: 308).

319 წლიდან მოყოლებული, ალექსანდრიის ეპისკოპოსის ალექსანდრეს არაერთმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო: არიოზი თავისი მოძღვრების გავრცელებას გულმოდგინედ ცდილობდა. ამაში ხელს ისიც უწყობდა, რომ კარგი მჭერმეტყველი იყო. ასე რომ, მალე მრავალი მომხრე გაიჩინა (კოპლატაძე 2007: 194-195).

სამწუხაროდ, არიანელების მიერ დანერგილი ერესი სწრაფად ვრცელდებოდა. სხვა წმინდა მამათა შორის გამოირჩეოდა წმ. ათანასე დიდი. იგი:

> მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდა იყო, ამ ცრუ სწავლების წინააღმდეგ საბრძოლველად აღიძრა. მისი გავლენით და მისივე შემწეობით მთავარეპისკოპოსმა ალექსანდრემ – 321 წელს არიოზის ახალი სწავლების განსასჯელად მოიწვია ადგილობრივი კრება, რომელშიც მონაწილეობდა – ეგვიპტის, ლიბიისა და კირენაიკის ასი ეპისკოპოსი. ამ კრებამ – დაგმო არიოზი, აგრეთვე, მისი თანამოაზრე ორი ეპისკოპოსი, ხუთი პრესვიტერი და ექვსი დიაკონი (ხარჩილავა 1991: 84).

თეოდორიტე კვირელი ამ კრების მიერ განკვეთილ მღვდელმსახურთა სახელებსაც გვამცნობს: „განკვეთილი მწვალებლები არიან: ხუცესთაგან, არიოზი, დიაკონთაგან: აქილასი, ევძოიოსი, აეითალასი, ლუკიოსი, სარმატესი, იულიუსი, მენასი, სხვა არიოზი, ელადიოსი“ (ჯაში 2008: 26).

განკვეთილმა არიოზმა „ალექსანდრია დატოვა და თავისი ცრუ მოძღვრების პალესტინაში, ეგვიპტესა და ლიბიაში გავრცელება დაიწყო“ (კოპლატაძე 2007: 195).

ალექსანდრე ალექსანდრიელმა ასზე მეტი ეპისკოპოსის მონაწილეობით გამართულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე წერილები დაუგზავნა იმდროინდელი ეკლესიების სხვა წინამძღვრებსაც. მათ შორის: „წერილი მიწერა ფილოგონიოსსაც, ანტიოქიის ეკლესიის წინამძღვარს, და ევსტათისაც, რომელსაც მაშინ ჩაბარებული ჰქონდა ბეროელთა მმართველობა, და სხვებსაც რომლებიც იყვნენ სამოციქული დოგმატების დამტკიცებლნი“ (ჯაში 2008: 26).

აქ მოცემულ დროით ნიშანსაც გვინდა შევეხოთ. როგორც ცნობილია, ნიკეაში გამართული I მსოფლიო კრების თავმჯდომარე ევსტათი, მანამდე „იყო სირიაში ქალაქ ბეროას ეპისკოპოსი, შემდეგ – ანტიოქიის 324-331 წწ“ (ჯაში 2008: 306).

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ, რომ 321 წელს ალექსანდრიაში გამართული კრების გადაწყვეტილება ალექსანდრე ალექსანდრიელს ევსტათისთვისაც გაუგზავნია(„რომელსაც მაშინ ჩაბარებული ჰქონდა ბეროელთა მმართველობა“) (ჯაში 2008: 26), მაშინ გამოდის, რომ აღნიშნული წერილი 321-324 წლებშია გაგზავნილი, ანუ იმ დრომდე, ვიდრე ევსტათი ანტიოქიის საეპისკოპოსო ტახტს დაიკავებდა.

ამ დროის მანძილზე არც არიოზი იყო უმოქმედოდ: „ამ დროისათვის არიოზის სწავლება უკვე გასცდა ეგვიპტის ფარგლებს. იმპერატორის კარის დაახლოებული პირი, ნიკომიდიის ეპისკოპოსი ევსები იზიარებდა არიოზის ცრუ სწავლებას და იმპერატორის გადაბირებასაც ცდილობდა“ (ხარჩილავა 1991: 84).

არიოზის მცდელობამ ერთგვარი შედეგიც გამოიღო: „აღმოსავლეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ეპისკოპოსმა ევსები ნიკომედიელმა არიოზი თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო და მცირე საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც იგი ეკლესიაში დააბრუნა“ (კოპლატაძე 2007: 196).

საეკლესიო წრეებში დაწყებული დაპირისპირება თავის პიკს აღწევდა: „არიოზის პრობლემა უკვე მსოფლიო კრებაზე უნდა გადაწყვეტილიყო. 325 წელს იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, საეკლესიო შუღლით შეფიქრიანებულმა, ქალაქ ნიკეაში მოიწვია იმდროინდელი მსოფლიოს მრავალი ეპისკოპოსი... კრება გაიხსნა 325 წლის 5 ივლისს, ლიცინიუსზე კონსტანტინეს გამარჯვების წლისთავზე“ (ხარჩილავა 1991, 84-85).

მაშასადამე, ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მოწვევას, კონკრეტული მიზეზი ჰქონდა, რომელიც სათავეს, 319 წელს არიოზის მიერ დაწყებული ცრუ ქადაგების შედეგად მოწვეული 321 წელს ალექსანდრიაში გამართული კრებიდან იღებდა. ამდენად, 321 წლის ალექსანდრიის კრება, რომელსაც 100-ზე მეტი ეპისკოპოსი ესწრებოდა, თავისი მიზნით, 325 წელს 318 მღვდელმსახურის მონაწილეობით გამართული ნიკეის I მსოფლიო კრების „მცირე ანალოგიას“ წარმოადგენდა.

დაწყებული თხრობის ერთგვარ შეჯამებამდე ზემოთქმულიც გავიხსენოთ. როგორც აღინიშნა, *მოქცევაჲ ქართლისაჲსეული* მინიშნება: „და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა“ ერთგვარ პიკს - 314 წელს ანკირიაში გამართული ის ადგილობრივი საეკლესიო კრება წარმოადგენდა, რომელზეც მოციქულთა მიერ მიღებული კანონებიდან მოყოლებული, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, პირველად განისაზღვრა იმ ახალ კანონთა ჩამონათვალი, რომლებმაც თავისი ადგილი დაიკავეს *დიდი სჯულისკანონის* კრებულში.

311 წლიდან დაწყებული მოვლენების ეს ერთგვარი პიკი ანუ – 314 წლის ანკირიის ადგილობრივი საეკლესიო კრება, მეორე მხრივ, ათვლის წერტილს უნდა წარმოადგენდეს *მოქცევაჲ ქართლისაჲში* უცნობი ქართველი ისტორიკოსის მიერ დაფიქსირებული საძიებელი მინიშნებისა: „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას“ (აბულაძე 1963: 114).

ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს 325 წელს გამართული ნიკეის I მსოფლიო კრების ის მცირე ანალოგი, რომელსაც 321 წელს შემდგარი ალექსანდრიის კრება ჰქვია, და რომელიც, თავის მხრივ, ანკირიაში 314 წელს გამართული კრებიდან ათვლით, სწორედ მეშვიდე ანუ (315-316-317-318-319-320 და მე-7) 321 წელს ჩატარდა.

ამდენად, ქართულ წყაროში დაფიქსირებული „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას“ – თავის ათვლას 314 წელს ანკირიაში გამართული კრებიდან უნდა იღებდეს, და აქედან ათვლით 321 წელს ალექსანდრიაში ჩატარებულ, 325 წლის ნიკეის I მსოფლიო კრების „მცირე ანალოგიის“ანუ ალექსანდრიის კრებას უნდა გულისხმობდეს.

ყოველივე ზემოთქმული ერთგვარი გასაღებია *მოქცევაჲ ქართლისაჲში* დაფიქსირებული კიდევ ერთი საკვლევი თარიღისა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება განისაზღვროს, თუ დროის რომელი მოჯღა იგულისხმება მემატიანეს სიტყვებში: „და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით“ (აბულაძე 1963, 114).

მაშასადამე, თუ ჩავთვლით, რომ 314 წელს ანკირიაში გამართული კრებიდან მოყოლებული, 321 წელს ალექსანდრიაში გამართულ კრებაში მოიაზრება მემატიანისეული ‘მეშვიდე წელსა იყო წმიდაჲ

კრებაჲ ნიკეას', მაშინ 314 წლიდანვე ათვლით „მერვესა წელსა", უკვე კონკრეტულ დროზე, ანუ 322 წელზე უნდა გვითითებდეს.

წინამდებარე თხრობის დასასრულს, შევაჯამოთ ზემოთქმული. როგორც ვნახეთ, *მოქცევაჲ ქართლისაჲს* უცნობი ავტორის მიერ გადმოცემული ზემოთ განხილული აბზაცი, რამდენიმე მოვლენის ერთობლიობაში გამააზრებელი უნდა იყოს:

– უკვე განხილული აბზაცის პირველ პირობით ჯგუფში დაფიქსირებული თარიღით – „სამას და ათერთმეტსა", ქართველი მემატიანე უნდა გადმოგვცემდეს ამ დროს, რომის საიმპერატორო კარზე, მიღებული ედიქტის იმ შედეგს, რასაც ქრისტიანთა წინააღმდეგ 302-303 წლებიდან დაწყებული ერთ-ერთი უდიდესი დევნის დასრულება ჰქვია. როგორც უკვე ითქვა: „ეს რესკრიპტი გამოკრული იქნა 311 წლის 30 აპრილს" (კესარიელი 2007, 519);

– განსახილველი მონაკვეთი „და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა", როგორც უკვე ითქვა, მოიცავს 311 წლიდან დაწყებულ იმ დროის მონაკვეთს, რომელიც 312 წელს ცაზე გამოჩენილი ნიშნის: „ამით სძლიე" და 313 წელს *მილანის ედიქტის* მიღების დროებზე გავლით, 314 წელს ანკირიაში შემდგარი კრებით დასრულდა; მემატიანესეული ცნობა „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას", სავარაუდოდ, უნდა გულისხმობდეს 314 წელს ანკირიაში გამართული კრებიდან ათვლით მეშვიდე, ანუ 321 წელს ალექსანდრიაში შემდგარ ნიკეის კრების „მცირე ანალოგიის" საეკლესიო თავყრილობას;

დაბოლოს, ქართულ წყაროში „და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით", ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა მიგვითითებდეს იმავე 314 წლიდან ათვლით მერვე ანუ 322 წელზე.

მაშასადამე, ჩვენთვის საძიებელი წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების საბერძნეთიდან (აქ – ქ. ეფესოდან) გამოქცევის თარიღი, IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე, უფრო კონკრეტულად კი, 322 წელზე უნდა მოდიოდეს.

დამოწმებანი

აბულაძე 1963: *მოქცევაჲ ქართლისაჲ*. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანეიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. წიგნი I (V-X სს), თბილისი.

გიგინეიშვილი 1988: ზ. გიგინეიშვილი. მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონოლოგია. მნათობი. N 1, თბილისი.

თორაძე, თორაძე 2007: ვ. თორაძე, ნ. თორაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, თბილისი.

კალენდარი 1979: საქართველოს ეკლესიის კალენდარი.

კოპლატაძე 2007: გ. კოპლატაძე. ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, თბილისი.

ლომოური 1975: ნ. ლომოური. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბილისი.

ნადარეიშვილი 1985: გ. ნადარეიშვილი. სჯულისკანონი. ქსე,. ტ. 9, თბილისი.

სჯულისკანონი 2004: დიდი სჯულისკანონი, თბილისი.

ხარჩილავა 1991: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. წ. II, თბილისი.

ჯაში 2007: ევსები კესარიელი. საეკლესიო ისტორია. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია. საეკლესიო ბიბლიოთეკა. VII, თბილისი.

ჯაში 2008: კვირელი თეოდორიტე. საეკლესიო ისტორია. ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბილისი, ახალი ივირონი

About Dates in *Moktsevai Kartlisai*

Saba Saluashvili

The historical sources provide different dates for the fact of adopting of Christianity by Georgians as an official religion. For some scholars as a starting point for calculation of this date serves an year of Byzantine Emprises Helen's pilgrimage to Jerusalem for searching the Cross of Savior and also other evidences, that are given in monument of Georgian medieval historiography *Moktsevai Kartlisai*. But the problem is that *Moktsevai Kartlisai* not in all cases contains correct information. To the number of such cases belongs also the wrong date of above mentioned very resonance pilgrimage.

According the author the most important testimony for determining the year of Georgian Kingdom's Conversion to Christianity is a date of escaping of Saint Nino and her companions from Ephesus in 320s, more specifically in 322.

იდა (ლაურა) პფაიფერის კავკასიაში მოგზაურობის დღიური როგორც საისტორიო წყარო

გიორგი სოსიაშვილი

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის I ნახევარში კავკასია არაერთმა უცხოელმა მოგზაურმა მოინახულა. მოგზაურთა ერთი ნაწილი ევროპიდან რუსეთში მოხვდა და ხშირად მათ ექსპედიციებს კავკასიის ქვეყნებში, საიმპერატორო კარი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა. უცხოელი მოგზაურები აღწერდნენ სხვადასხვა ქვეყნების რელიეფს, ფლორას და ფაუნას, მოსახლეობას, მათ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, სოციალურ მდგომარეობას. ხშირ შემთხვევაში, რუსეთის საიმპერატორო კარი უცხოელ მოგზაურებს საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებას ავალებდა, რაც რუსეთის მიერ კავკასიის კოლონიური ათვისების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელიც საქართველოში სამეცნიერო მიზნით იმყოფებოდა, თუმცა მას საიდუმლო დავალებებიც ჰქონდა, რასაც საიმპერატორო აკადემიისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ რაპორტში აღნიშნავდა (გელაშვილი 1964: 143).

უცხოელ მოგზაურთა ცნობები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის კავკასიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, თუ პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რაც ეპოქის ობიექტური სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიაში ნამყოფ მოგზაურთაგან საყურადღებო ავტორია წარმოშობით ავსტრიელი ქალი იდა (ლაურა) პფაიფერი. იგი დაიბადა 1797 წლის 14 ოქტომბერს, ქალაქ ვენაში შეძლებული ვაჭრის რეიერის ოჯახში. იდა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა დამოუკიდებელი აზროვნებით. ექვსი დედმამიშვილიდან მას განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ, რადგან იგი ერთადერთი ქალიშვილი იყო და ამავდროულად ყველაზე უმცროსი. ათი წლის იდას მამა გარდაეცვალა. გოგონას აღზრდა დედამ იტვირთა. ცამეტი წლის იდას მასწავლებლად იოზეფ ტრიმელი მიუჩინეს, რომელსაც მომავალი მოგზაური თავის დღიურებში ძალზე თბილად იხსენებდა (პფაიფერი 1879: 12). მოგზაურობის სურვილი იდას ადრეული ასაკიდანვე გაუჩნდა. კითხულობდა მოგზაურობის შესახებ არსებულ ლიტერატურას. მცირე ხანში იდას და მის ყოფილ მასწავლებელს შორის რომანი გაიბა, რასაც იდას დედა წინააღმდეგობას უწევდა. დედამ პირობა წაუყენა ქალიშვილს, რომ ცოლად გაჰყოლოდა დოქტორ ანტონ პფაიფერს – ქვრივ მამაკაცს, რომელსაც შვილიც ჰყავდა. დოქტორი პფაიფერი მდიდარი ადვოკატი იყო და ქალაქ ლემბერგში ცხოვრობდა. თუმცა იმ დროისათვის საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ვენაში. იგი 24 წლით უფროსი იყო იდაზე. ადვოკატი ძალზე მოხიბლა ახალგაზრდა ქალმა და მათი ქორწინება 1820 წლის 1 მაისს შედგა. იდას ქმარი არ უყვარდა, მაგრამ მეუღლეს პატივს სცემდა. მალე დოქტორმა პფაიფერმა სამსახური დაკარგა (ავსტრიელ მაღალჩინოსნებთან უთანხმოების გამო), რის შედეგადაც ოჯახმა ბევრი გაჭირვება გადაიტანა. იდა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში წერდა:

> მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ რა გადავიტანე, მე ჩემი 18 წლიანი ცოლქმრული ცხოვრების განმავლობაში, არა ჩემი მეუღლის ცუდი მოპყრობის გამო, არამედ გაჭირვებისა და სიღატაკის გამო. მე დავიბადე მდიდარ ოჯახში და მიჩვეული ვიყავი ახალგაზრდობიდანვე კომფორტს და წესრიგს და ახლა ძალიან ხშირად არ ვიცი, თუ სად გავათენო ღამე და მოვიპოვო მცირეოდენი თანხა, რათა დავიკმაყოფილო უბრალო საჭიროებები. მე ვაკეთებდი სახლის მბიმე სამუშაოს, ვუძლებდი სიცივეს და შიმშილს, ჩუმად ვმუშაობდი მცირეოდენი გასამრჯელოსათვის, ვატარებდი ხატვისა და მუსიკის გაკვეთილებს და მიუხედავად ყველაფერ ამისა, ძალიან ხშირად ჩემი საწყალი შვილებისათვის გამხმარი პურის მეტის არაფრის მიწოდება არ შემეძლო (პფაიფერი 1879: 14).

1837 წელს იდას დედა გარდაეცვალა. იდამ მემკვიდრეობით მიიღო მშობლების ქონების ნაწილი. სწორედ ამ ქონებით მოახერხა მან შვილებისთვის შესაფერისი განათლება მიეცა. 1838 წელს მომავალი მოგზაური მეუღლეს გაშორდა. მას შემდეგ, რაც იდას შვილები წამოიზარდნენ, მან გადაწყვიტა ბავშვური ოცნებებისთვის ფრთები შეესხა და მოგზაურობა დაეწყო. მისი მიზანი იერუსალიმის წმინდა მიწის მონახულება იყო. იდამ 1842 წელს ვენა დატოვა და 22 მარტს, ბორნით გაუყვა მდინარე დუნაის შავ ზღვამდე, რათა ის კონსტანტინოპოლში ჩასულიყო. იქიდან იდა გაემგზავრა ბურსაში (თანამედროვე

თურქეთი), ბეირუთში, ჰაიფაში (თანამედროვე ისრაელი), იერუსალიმში, შემდეგ კი მკვდარი ზღვით ნაზარეთში. იდა პფაიფერმა მოინახულა: დამასკო, ბაალბეკი, ლიბანი, ალექსანდრია და კაირო. ამის შემდეგ აისა (აღმოსავლეთ საჰარა). მან გაიარა უდაბნო, რათა სუეცის არხამდე და წითელ ზღვამდე მიეღწია. ეგვიპტიდან მოგზაური მშობლიურ ქალაქში 1843 წლის დეკემბერში დაბრუნდა. მომდევნო წელს მან გამოსცა დღიური *ვენელი ქალბატონის მოგზაურობა აღთქმულ მიწაზე*. როგორც მკვლევარი გაბრიელა ჰებინგერი აღნიშნავს:

> პალესტინაში მოგზაურობის დღიური თავისებურ მოგონებად იყო ჩაფიქრებული, თუმცა იდა პფაიფერმა ვენელი გამომცემლის – დიმბიოკის დაჟინებით ანონიმურად გამოსცა. ბოლოს და ბოლოს წმინდა მიწაზე ვენელი ქალის მოგზაურობის შესახებ მოხერხდა ოთხი გამოცემა და როგორც მისი მოგზაურობის ყველა შემდეგი პუბლიკაცია, მრავალ ენაზე ითარგმნა (პფაიფერი 2005: VIII).

იდა პფაიფერის წიგნი *Journey of a Viennese Lady to the Holy Land* დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა. მიღებული ჰონორარით იდამ გადაწყვიტა მოგზაურობა განეახლებინა. ამჯერად მას სურვილი გაუჩნდა სკანდინავიაში წასულიყო. მისი მოგზაურობა დაიწყო 1845 წლის 10 აპრილს. იგი ვენაში იმავე წლის 5 დეკემბერს დაბრუნდა. მალე იდამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მსოფლიოს გარშემო ემოგზაურა. 1846 წლის 1 მაისს, გაემგზავრა რიო დე ჟანეიროში. 1844 წლის 3 თებერვალს იდა ჩავიდა ჰორნის კონცხზე (წყნარი ოკეანე), ხოლო 2 მარტს კი – ვალპარაისოში (ვენესუელა). იქიდან გაემგზავრა ტაიტში, სადაც მოგზაური დედოფალ პომარე IV (1813-1874 წ.წ.) წარუდგინეს. ივლისის დასაწყისში პფაიფერი იმყოფებოდა მაკაუში (მალაიზია), შემდეგ ჩავიდა ჰონკონგსა და კანტონში. სინგაპურის გავლით აღმოჩნდა ცეილონში (შრილანკა). ოქტომბრის დასასრულს, ის უკვე მადრასშია (ინდოეთი). აქედან კალკუტაში მიდის, შემდეგ ბენარესში (მდ. განგის აუზი), ბენარესიდან კი – ბომბეიში. აპრილის ნახევარში იდა გაემგზავრა სპარსეთში. ქალაქ ბუშირიდან (თანამედროვე ირანის ტერიტორია), გადავიდა ბაღდადში. ქტესიფონის (თანამედროვე ერაყის ტერიტორია) და ბაბილონის ისტორიული ადგილების მონახულების შემდეგ იდა გაჰყვა ქარავანს ქალაქ მოსულამდე (თანამედროვე ერაყის ტერიტორია), დაათვალიერა ნინევიის ნანგრევები. შემდეგ ჩავიდა ქალაქ თავრიზში, სადაც იდა წარუდგინეს ინგლისის ელჩს, რომელიც აღფრთოვანებული დარჩენილა ავსტრიელი ქალის მოგზაურობით (პფაიფერი 1879: 20). თავრიზში იდა პფაიფერი შეხვედრია ირანის შაჰის წარმომადგენელს „ვიცე მეფეს", რომელსაც მოგზაურისთვის თავისი ჰარემი უჩვენებია. 1848 წლის 11 აგვისტოს იდამ გააგრძელა მოგზაურობა სომხეთსა და საქართველოში. დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, ყულევიდან (მაშინდელი რედუტკალე) პფაიფერი გაემგზავრა ანაპაში, შემდეგ ქერჩსა და სევასტოპოლში, ხოლო ოდესიდან კონსტანტინოპოლში წავიდა. 1848 წლის 4 ნოემბერს იდა პფაიფერი საბერძნეთის, იონიის კუნძულების და ტრიესტის (იტალია) გავლით ვენაში დაბრუნდა. ამ დროს ვენა ალყაშემორტყმული იყო იმპერატორ ფრანც იოზეფ I ჯარების მიერ. როგორც ცნობილია, ფრანც იოზეფმა, რომელიც ჰაბსბურგ-ლოთარინგელთა დინასტიის წარმომადგენელი იყო (1830–1916 წწ), ავსტრიასა და უნგრეთში არსებული აჯანყებები ჩაახშო და აბსოლუტიზმი აღადგინა. სწორედ ეს მოვლენები დაემთხვა მოგზაური ქალის სამშობლოში დაბრუნებას. იდა პფაიფერის მეორე ნაშრომი *Woman's Journey Round the World*, ასევე განსაკუთრებული ინტერესით მიიღო საზოგადოებამ, იგი ითარგმნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. 1851 წლის 18 მარტს იდა პფაიფერი, მას შემდეგ რაც ავსტრიის მთავრობამ მას სამოგზაურო ხარჯები მისცა (როგორც ანონიმი ავტორი გადმოგვცემს მისი ბიუჯეტი 1500 ფლორინით გაზრდილა), ლონდონში გაემგზავრა, საიდანაც 11 აგვისტოს კეიპტაუნში ჩავიდა. იგი ვერ აკეთებდა არჩევანს ცენტრალურ აფრიკაში გამგზავრებულიყო თუ ავსტრალიაში. საბოლოოდ სინგაპურში წავიდა, შემდეგ კი გადაწყვიტა აღმოსავლეთ ინდოეთი მოენახულებინა. სარავაკიდან (ირანი) იგი გაემგზავრა პონტინიაკისკენ (მალაიზია), აქედან კუნძულ იავაზე (ანგოლა), შემდეგ კი სუმატრაზე (სამხრეთ აფრიკა). 1853 წლის 27 სექტემბერს მან ჩრდილოეთ ამერიკაში, კალიფორნიის შტატში არსებულ ქალაქ სან-ფრანცისკოში ორთვიანი მგზავრობის შემდეგ ჩააღწია. მოგზაურის სურვილი იყო ჩრდილოეთ ამერიკაში მოგზაურობის დასრულებისთანავე გადაეკვეთა ანდების მთები და სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, ბრაზილიაში ჩასულიყო, მაგრამ პერუში მომხდარმა რევოლუციამ მას განზრახვაზე ხელი ააღებინა. იგი ეკვადორისკენ გაემართა, აქედან კი კორდილიერებზე იმოგზაურა. მაისის ბოლოს იდა ახალი ორლეანისკენ (აშშ, ლუიზიანას შტატი) გაემგზავრა. შემდეგ სენტ ლუისში (მისურის შტატი), სენრ პოლსა და ჩიკაგოში. მოინახულა ნიაგარას ჩანჩქერი. კანადაში მცირეხნიანი ვიზიტის შემდეგ იდამ ნიუიორკსა და ბოსტონში იმოგზაურა. შემდეგ გადაკვეთა ატლანტიკის ოკეანე და 1854 წლის 21 ნოემბერს ინგლისში ჩავიდა. ორი წლის შემდეგ მან გამოსცა წიგნი *A Lady's Second Journey Round the World*. მისი ბოლო მოგზაურობა იყო მადაგასკარზე, სადაც უკურნებელი დაავადება შეეყარა. როგორც გაბრიელა ჰებინგერი აღნიშნავს,

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი და კარლ რიტერი (რომელთა ხელშეწყობითაც იდა პფაიფერი ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი გახდა) მოგზაურ ქალს ურჩევდნენ მადაგასკარზე მოგზაურობისგან თავი შეეკავებინა, თუმცა იდას განზრახვა ვერ გადააფიქრებინეს. ჰებინგერის თქმით, იდას ავსტრიის დედოფლის წინააღმდეგ (ავსტრიის დედოფალი ამ დროს იყო ფრანც იოზეფის მეუღლე ელისაბედი 1837–1898 წწ) შეთქმულებაში მონაწილეობა დაბრალდა და ის ქვეყნიდან გააძევეს (პფაიფერი 2005: IX). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას ღვიძლის კიბო აღმოაჩნდა და 1858 წლის 27 ოქტომბერს მოგზაური გარდაიცვალა.

როგორც აღვნიშნეთ, იდა პფაიფერმა 1848 წელს იმოგზაურა სპარსეთში და აქედან სომხეთში, შემდეგ კი საქართველოში ჩამოვიდა. კავკასიაში მან თვეზე მეტხანს დაჰყო, 1848 წლის 11 აგვისტოდან 13 სექტემბრამდე. იდა პფაიფერის თხზულებაში ცალკე თავი აქვს დათმობილი „აზიურ რუსეთს“, რომლისთვისაც მოგზაურს ასეთი ქვესათაური გაუკეთებია: „სომხეთი, საქართველო და სამეგრელო“. ის დაწვრილებით აღწერს კავკასიაში რუსეთის სასაზღვრო ადგილებს, რომელიც მისი გადმოცემით მდინარე არაქსზე გადიოდა. მოგზაური ამის შესახებ წერს:

> მთისწინეთის შორიახლოს მიედინება მდინარე არასი, თუ არარესი, რომელიც სომხეთს მედიისგან ყოფს, საშინელი სიჩქარით მიშხუილებს და მაღალ ტალღებს ისვრის. აქ ის სპარსულ და რუსულ ტერიტორიებს შორის ბუნებრივ საზღვარს წარმოქმნის. ეს მდინარე ნავით გადავლახეთ. მდინარის იქეთა ნაპირზე პატარა სახლებია, სადაც ჩერდებიან ხოლმე და რომ არ გაგაძევონ ყაჩაღი და მკვლელი, ან პოლიტიკურად საშიში კაცი არ უნდა იყო; გარდა ამისა, როცა შავი ჭირი ან ქოლერა მძვინვარებს, კარანტინს აწესებენ (პფაიფერი 2005: 294).

ავსტრიელი მოგზაური ვერ მალავს გულისწყრომას რუსეთის ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ბიუროკრატიული სისტემის მიმართ, ის აღწერს ასევე ადგილობრივ მმართველ წრეებში არსებულ გამომძალველობას:

> როგორც კი რუსულ მიწაზე ფეხი დავდგი, დაიწყო უსირცხვილო მათხოვრობა წვრილმანი გასამრჯელოსათვის. ჩინოვნიკს, სხვა ადამიანებს შორის ჰყავდა ერთი კაზაკი, რომელიც ირწმუნებოდა გერმანული ვიცი, ჩემი სურვილების გამოსაკითხად ჩემთან გამოგზავნეს. ამ არამზადამ ისევე იცოდა გერმანული, როგორც მე ჩინური სამ-ოთხ სიტყვამდე. ავუხსენი, რომ მისი დახმარება არ მჭირდებოდა, მიუხედავად ამისა, საჩქაროდ გამომიწოდა ხელი და წვრილი ფული მთხოვა მომსახურებისთვის (პფაიფერი 2005: 294-295).

იდა პფაიფერს იმდენად დიდი პრობლემები შეუქმნეს სამგზავრო დოკუმენტების მომზადებაში, რომ იგი რუსულ სახელმწიფო სისტემაზე განაწყენებული წერს:

> ოო, კეთილო არაბებო, თურქებო, სპარსელებო, ინდუსებო და ვინც არ უნდა იყოთ, ამის მსგავსი თქვენთან არაფერი შემთხვევია! როგორ ბედნიერად ვმოძრაობდი ყველა თქვენ-თქვენ ქვეყნებში, როგორ მოწყალედ მექცეოდნენ სპარსეთის საზღვარზე, როცა ვერ ვიგებდი პასპორტს რომ მთხოვდნენ – და აქ კი, ქრისტიანულ ქვეყანაში ამ ჰატარა მანძილზე რამდენი წყენა შემხვდა! (პფაიფერი 2005: 299).

იდა არაქსის სანაპიროდან ნახჭევანში გაემგზავრა, სადაც მას საკმაოდ უსიამოვნო ამბავი შეემთხვა. მას ნახჭევნის საბაჟოს მოხელემ და მისმა მეუღლემ გაძარცვა დაუპირეს. ავსტრიელი მოგზაური ნახჭევანში მცხოვრებმა გერმანელმა ქალმა ჰენრიეტა ალექსანდერმა შეიფარა. იდა პფაიფერი თავის თხზულებაში გადმოგვცემს სომხეთში გერმანული კოლონიების შესახებ. გერმანელთა კოლონისტთა დასახლება, მისი ცნობით, არარატის მთასთან ახლოს იყო. ცნობილია, რომ გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება კავკასიაში მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო და ამ პროცესს ხელს უწყობდა რუსეთის საიმპერატორო კარი (პფაიფერი 2005: 472). ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი, რომელმაც 1843–1846 წლებში იმოგზაურა კავკასიაში. ვაგნერის ინფორმაციით გერმანელმა კოლონისტებმა საქართველოში თავიანთი ახალშენები დააარსეს. მათი კოლონიები იყო სამხრეთ კავკასიაშიც: კატარი-ნენფელდი, ანენფელდი და ჰელენფელდი (გელაშვილი 2002: 63). გერმანული კოლონიების შესახებ ცნობებს გვაწვდის, აგრეთვე, კიდევ ერთი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი, რომელიც კავკასიაში 1825–1826 წწ იმყოფებოდა (გელაშვილი 2005: 249). იდა პფაიფერი გერმანელთა ახალშენების გვერდით იხსენიებს რუსულ კოლონიებსაც და ეს შემთხვევითი არ არის. საიმპერატორო კარმა XIX საუკუნის 30-იან წლებში კავკასიის სამხედრო კოლონიზაცია დაისახა მიზნად, რათა ამით კიდევ უფრო გაემყარებინა პოლიტიკური პოზიციები. ამის ნათელი დადასტურებაა ნიკოლოზ I ბრძანება ბარონ როზენისადმი:

შედგენილ იქნას პროექტი კავკასიის სამხედრო კოლონიზაციისა, სადაც დასახლებულ იქნან ცოლიანი რიგითი ჯარისკაცები, რომელთაც მოიხადეს 15-წლიანი სამსახურის ვადა; რათა შეიარაღებული რუსი მოსახლეობის დაბინავებით უფრო და უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ბატონობა კავკასიაში და ამგვარ დასახლებათა საშუალებით, რამდენადაც შესაძლებელია, დავიახლოვოთ კავკასიის ხალხები (გუგუშვილი 1949: 614).

ავსტრიელი მოგზაური აღწერს ქალაქ ნახჭევანს, რომელიც მას აქ მცხოვრებ გერმანელ ქალბატონთან ერთად დაუთვალიერებია:

კეთილ ქალბატონ ალექსანდერთან ერთად დავათვალიერე შესაბრალისი, ნახევრად გაღატაკებული პატარა ქალაქი და ნოეს საფლავის ძეგლი. სპარსული ცნობებით ნახჭევანი სომხეთის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქი უნდა ყოფილიყო. სომეხი მწერლები ამტკიცებენ, რომ ამ ქალაქის დამაარსებელი ნოე იყო. თანამედროვე ქალაქი მთლიანად აღმოსავლური სტილით არის აშენებული, მხოლოდ რამდენიმე ახალი სახლის კარ-ფანჯრები, უფრო ხშირად კი ფასადები პატარა ბაღებისკენაა მიმართული (ჰფაიფერი 2005: 296-297).

ძნელი სათქმელია, რას გულისხმობს ნოეს საფლავის ძეგლში ავსტრიელი მოგზაური. უეჭველია, მას ადგილობრივმა სომხებმა გაზვიადებული ინფორმაცია მიაწოდეს და იდა ჰფაიფერი შეცდომაში შეიყვანეს. როგორც ცნობილია, ბიბლიური ტრადიციით წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა, მოგზაურისათვის მიწოდებული გაზვიადებული ცნობა სათავეს სწორედ ამ გადმოცემიდან უნდა იღებდეს. ჰფაიფერის ინფორმაციით ნახჭევნის მცხოვრებლები სპარსულად იცმევდნენ, თუმცა განსხვავებული ჩაცმულობა ჰქონდათ ვაჭრებს და ხელოსნებს (ჰფაიფერი 2005: 297). ნახჭევნიდან იდა ჰფაიფერი თბილისისკენ მიმავალ გზას დაადგა.

18 აგვისტოს ისევ გავუდექით გზას. ქარავანს მხოლოდ ნივთები მიჰქონდათ, გამყოლები თათრები იყვნენ. საერთოდ მგზავრობას ნახჭევანიდან ტიფლისამდე (500 ვერსი) ჩვეულებრივ 12-14 დღე უნდა, ჩემი ქარავნით ბევრად მეტ დროს მოვუნდით - 6 კვირას, რადგან პირველ ღამეს მხოლოდ ერთ საათს ვიარეთ, მეორე ღამეს ოთხ საათზე ბევრად ნაკლები - ფეხით უფრო შორს წავედი. 9 აგვისტო. ჭეშმარიტად ძნელი გასაძლებელი იყო. მთელი დღე მოსაბეზრებელ უბადრუკ ველებზე ვეყარეთ, მცხუნვარე მზის ქვეშ, მხოლოდ საღამოს ცხრა საათზე შევჯექით ცხენებზე და ოთხი საათის შემდეგ, პირველ საათზე შევისვენეთ და დავბანაკდით. ამ ქარავნის ერთად-ერთი სიკეთე ხარჯი იყო. თათრები არაბებივით ძუნწად არ ცხოვრობდნენ: ყოველ საღამოს შესანიშნავ ფლავს აკეთებდნენ გემრიელი ცხიმით. ხშირად გამომშრალ ქიშმიშს ან ქლიავს მოგვართმევდნენ. ამის გარდა თითქმის ყოველდღიურად მოჰქონდათ გასაყიდად ძვირფასი საზამთრო და ნესვი. გამყიდველები, უმეტესად თათრები, გამოარჩევდნენ პატარა, კარგ ნაჭერს და შემოგთავაზებდნენ ხოლმე უფულოდ (ჰფაიფერი 2005: 297).

იდა ჰფაიფერი დაწვრილებით აღწერს ქალაქ ერევანს, მისი ცნობით ერევანი არქიტექტურული სტილით დიდად არ გამოირჩეოდა. ის გამაგრებული ყოფილა ციხე-სიმაგრეებით. ერევანში მას სხვადასხვა ეროვნების ადამიანები უნახავს, მათ შორის: ქართველები, ჩერქეზები, თათრები. იდა ჰფაიფერი აღწერს ერევნის მაცხოვრებელთა ჩაცმულობას. ის გვაწვდის საინტერესო ცნობებს ეჩმიაძინის ტაძრის შესახებ, რომელიც სომხეთის მთავარ ტაძრად ითვლება. იდა ჰფაიფერის ცნობით, ეჩმიაძინში ინახებოდა ქრისტეს ორი სამსჭვალი, ასევე ქრისტეს უკერავი პერანგი. ჩვენი აზრით, ეს ინფორმაცია არასწორია. ცნობილია, რომ ჯვარცმის შემდეგ მცხეთელმა ებრაელებმა მაცხოვრის კვართი (უკერავი პერანგი) საქართველოში ჩამოაბრძანეს. საისტორიო წყაროების მიხედვით ქრისტიანთა უდიდესი სიწმინდე მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარშია დაბრძანებული (მამისთვალიშვილი 2000). იდა ჰფაიფერი ვერ მალავს კავკასიაში მყოფი რუსების მიმართ თავის უკმაყოფილებას. როგორც მოგზაური აღნიშნავს რუსები მას უხეშად ექცეოდნენ:

რუსებს და კაზაკებს აქვთ კალმიკებისნაირი სახის ნაკვთები და ამ ნაკვთების საუკეთესო თვისებებს ამართლებს მათი ქცევა. არც ერთი სხვა ხალხი არ შემხვედრია მათზე უფრო ხარბი, უხეში და მონური მიდრეკილებით. როცა რაიმეს შევეკითხებოდი ან სულ არ მპასუხობდნენ, ან უხეშად თუ მიპასუხებდნენ, ან იცინოდნენ და მაჩერებდნენ. ასეთი უხეში მოპყრობა ალბათ ისეთი თვალშისაცემი არ იქნებოდა, მე რომ ევროპიდან არ ვყოფილიყავი ჩამოსული (გუგუშვილი 1949: 300).

როგორც ჩანს, რუსი მოხელეები უცხო მგზავრებს ძალზე ცუდად ეპყრობოდნენ, ამის გამო იდა პფაიფერი ვერ მალავს თავის გულისწყრომას ფოსტის მოხელეების მიმართ, რომლებიც, მისი თქმით, ძალზე ჩამორჩენილები და გონებაჩლუნგები იყვნენ:

> 28 აგვისტო. მუდმივი ტანჯვა-წამება ფოსტის ხალხის გამო ჩხუბის და აყალმაყალის უდიდესი მტერი ვარ; მაგრამ ამ ხალხთან ალბათ უკეთესი იქნებოდა სახრეებით მელაპარაკა. მათ გონებაჩლუნგობაზე, უხეშობაზე და უგრძნობლობაზე წარმოდგენის შექმნა თითქმის შეუძლებელი იყო. მოხელეები და მსახურები ხშირად დღის ყოველ მონაკვეთში მთვრალები იყვნენ და ეძინათ. ასეთ მდგომარეობაში ყოფნისას, თუ არ ეძინათ, საცოდავ მგზავრებს ამასხარავებდნენ და ისე იქცეოდნენ როგორც მოპრიანებოდათ. ამ დროს ერთ-ერთი წამოდგებოდა, ოთხთვალას გამოაგორებდა, მეორე ცხენებს თივას დაუყრიდა, საცოდავი ცხენები ხშირად დასაჭედები იყვნენ, მეორე ცხენის კაზმულობა წესრიგში არ იყო და გასასწორებელი და შესაკრავი ხდებოდა – და ასე უთვალავი საქმეები, რომლებსაც დიდი დაყოვნებით აკეთებდნენ. იქაურებმა მითხრეს, რომ ცოტა ხნის წინათ ეს ქვეყნები რუსეთის ბატონობის ქვეშ იყო, რომ იმპერატორიც მეტისმეტად შორს იყო და ჩემთვის – მარტოდმარტო ქალისათვის, რომელსაც მსახურებიც კი არ ჰყავდა, მგზავრობა სახიფათო უნდა ყოფილიყო (პფაიფერი 2005: 302-303).

ავსტრიელი მოგზაური შედარებას აკეთებს რუსულ და ინგლისურ კოლონიებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი რუსეთთან შედარებით გაცილებით შორს იყო დაპყრობილ ტერიტორიებისაგან, მას გაცილებით მოწესრიგებული ჰქონდა მმართველობა დომინიონ ქვეყნებში, ვიდრე რუსეთს:

> არ ვიცოდი რა მეპასუხა, როცა ინგლისელების უცხო, უახლეს მამულებში, რომლებიც დედაქალაქიდან საკმაოდ დაშორებული იყო, ყველაფერი შესანიშნავად მოწესრიგებული იყო და მარტოდმარტო უმოსამსახურე ქალისათვის მომსახურება ისეთივე სწრაფად მომხდარიყო, როგორც ჯენტლმენისათვის (პფაიფერი 2005: 303).

იდა პფაიფერი აღწერს კავკასიაში მცხოვრები თათრების ყოფა-ცხოვრებას. თათრების ეთნიკური წარმომავლობა მას დაკონკრეტებული არ აქვს, თუმცა თუ ავსტრიელი მოგზაურის ცნობებს დავუკვირდებით თათრები მას დასახელებული ჰყავს, როგორც ქარავნის გამყოლები. ადგილობრივი თათრების გარდა, რომელთაც მიწური სახლები ჰქონდათ და სიღარიბეში ცხოვრობდნენ, ის ასახელებს მომთაბარე თათრებსაც, რომლებსაც ცხენებით დაჰქონდათ კარვები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

> დღეს თათრების ბევრი მომთაბარე ჯგუფი შემომხვდა. ადამიანები ხარებზე და ცხენებზე ისხდნენ და მათზე თავიანთი კარვები და სახლისათვის საჭირო ნივთები ჰქონდათ აკიდებული. ძროხები და ცხვრები, რომელთა ნაკლებობა არ შეინიშნებოდა, გვერდითვე მისდევდნენ თათრის ქალები უმეტესად ძვირფასი და ამავე დროს საკმაოდ გაცვეთილი სამოსი ეცვათ. მათი კოსტუმი შედგებოდა აბრეშუმისაგან, რომლებიც ხშირად ოქროსფერი ძაფით იყო შემოვლებული. განიერი შარვლები ეცვათ, გრძელი ხიფთანი და მას ზემოთ ერთიც მოკლე, თავზე ფუტკრის სკის მსგავსი რაღაც ჰქონდათ მოხვეული. მკერდიდან ქამრამდე კაბები ასევე თუნუქით, ღილებით, ჟღარუნებით, ბეჭდებით და მათი მსგავსი რამე-რუმეებით ჰქონდთ ავსებული, ბეჭებზე თასმა ეკიდათ, რომელზეც ავგაროზი იყო ჩამოკიდ-წიავებული, ცხვირსახოცებშიც პატარა ბეჭდები ჰქონდათ გახვეული. მათ დიდი თავსაბურავები ჰქონდათ მოხვეული, თუმცა სახე დაუფარავი რჩებოდათ. მათი ავლა-დიდება შედგებოდა კარვებისაგან, დიდებული ხალიჩებისაგან, რკინის ქვაბებისაგან, სპილენძის დოქებისაგან და ა.შ. თათრები უმეტესად მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები არიან. ადგილობრივ თათრებს აქვთ მათთვის დამახასიათებელი სახლები, რომლებსაც თხუნელის შეგროვებული გროვა უწოდოს კაცმა. მათი სოფლები უმეტესად ფერდობებზე და გორაკებზე მდებარეობენ. ისინი იქ დიდ ოთახებს თხრიან. შუქი მხოლოდ შემოსასვლელიდან შემოდის. არაფერია ისე სასაცილო დასანახი, როგორც ისეთი სოფელი, რომელიც მხოლოდ ფარდულებისგან შედგება და არც კარ-ფანჯარა, არც ქვის ღობები და არც კედლები აქვს. ვაკეზე მცხოვრებნი თავისთვის იკეთებენ ხელოვნურ მიწის გროვებს, ისინი იშენებენ ქვის და ხის ქოხებს და მიწით ისე ტკბებიან, რომ ქოხიდან არაფერი მოჩანს. სამოცი წლის წინ ქალაქ ტიფლისში ასეთი მიწურებიც ბევრი იყო (გუგუშვილი 1949: 304-306).

თათრების დასახლებიდან მას, როგორც თვითონ წერს 24 ვერსი აშორებდა თბილისამდე. კავკასიაში, კერძოდ კი თბილისში თათრებს იხსენიებს მორიც ვაგნერიც. როგორც გერმანელი მოგზაური წერს, თათრები საუბრობდნენ „თურქულ-თათრულ კილოზე“. კავკასიელ თათრებს რუსული სამხედრო ძალის ზემოქმედების მიუხედავად ვაგნერის ცნობით მებრძოლი სული შერჩათ. ისინი ნაკლებად ემორჩილებოდნენ „რუსული პოლიციის მათრახსა და გადასახადის ამკრეფი მოხელეების მხრივ წვალებას“ (გელაშვილი 2002: 33). აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში რუსულ

დამპყრობლურ პოლიტიკას ამიერ-კავკასიიდან ბევრი მუსლიმანი გაექცა, ემიგრანტებმა ირანს და თურქეთს შეაფარეს თავი (გუგუშვილი 1949: 523). ავსტრიელი მოგზაური თავის დღიურში მოგვითხრობს საქართველოს დედაქალაქის შესახებ. თბილისს ის ევროპულ ქალაქად თვლის და ერთ-ერთ ქალაქ ვალპარაისოს[1] ადარებს. იდა პფაიფერი აღწერს თბილისის ქუჩებს, ქალაქში არსებულ გოგირდის აბანოებს, აქაურ მოსახლეობას, მათ ჩაცმულობას.

> ტიფლისი მხოლოდ სადგურის ბოლო ნახევრიდან ჩანს. ძალიან განმაცვიფრა ამ ქალაქის შეხედვამ, რადგან ის, ეკლესიების გუმბათებს თუ არ ჩავთვლით, ევროპული სტილით არის აშენებული და ვალპარაისოს შემდეგ ასეთი ევროპული ქალაქი არ მინახავს. ქალაქში ბევრი გოგირდის წყაროა, თბილი გოგირდის წყარო, საიდანაც მისი სახელი წარმოდგება: ტიფლისი ან თბილისი ნიშნავს „თბილი ქალაქი". ბევრი აბაზანებიდან სამწუხაროდ უმეტესობა ცუდ მდგომარეობაშია. შენობას თავზე ადგას პატარა გუმბათები ფანჯრებით, შენობის შიგნით წყაროები მოსჩქეფს. იატაკი და კედლები ნაწილობრივ დიდი ქვის ფილებით არის დაფენილი, მარმარილო არ ჩანს. აქ არის ერთი კაცისათვის განკუთვნილი და საერთო აბაზანები; შენობაში, სადაც ქალები იკრიბებიან, კაცებს შესვლა ეკრძალებათ და მაინც აქ ისეთი სიმკაცრე არ არის, როგორც აღმოსავლეთში. ქუჩებში დაინახავთ ევროპულ და აზიურ ტანსაცმელს ისე ხშირად ერთმანეთის გვერდით, რომ სხვა ჩაცმულობა ყველას ანცვიფრებს (პფაიფერი 2005: 306-307).

თბილისზე საუბრის შემდეგ იდა პფაიფერი აღწერს ჩერქეზებს:

> ზოგს ჩერქეზებს აცვიათ განიერი შარვალი, მოკლე ქურთუკი, ვიწრო მუცლის ასაკრავით და გულის ჯიბეებით ექვსი-ათი პატრონასათვის, შემოტმასნილი მოკლეყელიანი ჩექმები შიგნით შეწეული წვერებით და პატარა ტყავის ქუდი. მდიდრების ქურთუკები ნაზი, მუქი ყავისფერი მაუდისაა ვერცხლის კანტებით და ოქროს შემონაკერით. სხვა კავკასიელი ხალხებისგან ჩერქეზები განსხვავდებიან თვისი სილამაზით. კაცები ტანმაღლები არიან, სახის სწორი ნაკვთები აქვთ და მოძრაობაშიც სიყოჩაღე იგრძნობა. დედაკაცებს ნაზი, სათუთი ფორმა აქვთ, თეთრი კანი, შავი თმა, მოწესრიგებული მოძრაობა, წერწეტტანიანები, სავსემკერდიანები. მათ თურქულ ჰარემებში დიდი დაფასება აქვთ. უნდა გამოვტყდე, რომ მე სპარსულ ჰარემებში, სპარსელ ქალებში ბევრად მეტი ლამაზები მინახავს, ვიდრე თურქულში, თუ იქ ჩერქეზები იყვნენ (პფაიფერი 2005: 307).

თუ ავსტრიელი მოგზაურის ცნობას დავუკვირდებით აქ ორი ვერსიაა დასაშვები: 1. იდა პფაიფერმა თბილისში ნახა ჩრდილოეთ კავკასიიდან სავაჭროთ ჩამოსული ჩერქეზები და ამიტომ გვაწვდის მათ შესახებ ცნობებს. თბილისში ჩერქეზები რომ ხშირად ჩამოდიოდნენ, ამას მორიც ვაგნერიც ადასტურებს. მისი ცნობით: „ჩამოთვლილ ხალხებთან შედარებით ერთეულებად (დაფანტულად) ჩანან ტფილისში ოსები, ჩერქეზები, ლეკები, ყაზი–ყუმუხები, ლაზები, სვანები და ქურთები" (გელაშვილი 2002: 33). მორიც ვაგნერი, იდა პფაიფერის მსგავსად, თბილისზე საუბრის დროს გარკვეულ ადგილს უთმობს ჩერქეზი მამაკაცების აღწერას (გელაშვილი 2002: 34). 2. შესაძლოა, იდა პფაიფერს ერთმანეთში აერია ქართველები და ჩერქეზები და ქართველების ნაცვლად საქართველოს დედაქალაქში მყოფი მოგზაური სწორედ მათზე გვესაუბრება. თბილისში მყოფ იდა პფაიფერს წერილები გადაუცია კანცელარიის დირექტორისთვის ლილისთვის და გუბერნატორ ერმოლოვისთვის.[2] იდა პფაიფერი უკმაყოფილოა რუს მოხელეებთან შეხვედრით. მას განზრახვა ჰქონდა კავკასიიდან მოსკოვში, შემდეგ კი პეტერბურგში გამგზავრებულიყო, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავს:

> ვუთხარი მათ (იგულისხმებიან კანცელარიის დირექტორი ლილი და გუბერნატორი ერმოლოვი, – გ.ს.) ჩემი გეგმა: აქედან კავკასიის გავლით მოსკოვში და პეტერბურგში წავსულიყავი; აქ მოგზაურობამ ისე გამაცოფა, რომ სურვილი მქონდა უმოკლესი გზა გამომენახა რაც შეიძლება მალე გადამელახა საზღვარი (პფაიფერი 2005: 308).

იდა პფაიფერი თბილისიდან დასავლეთ საქართველოში 6 სექტემბერს გაემგზავრა. გზად მიმავალი მოგზაური აღწერს საქართველოს ბუნებას:

> მგზავრობა უფრო და უფრო რომანტიული ხდება. ბუჩქნარი და ტყეები ფარავენ გორაკებს და ჭალებს, ყანებში კოპწიად ბიბინებს მწვანე ბალახი და მაღალღეროანი თურქული მარცვლეული. არც ძველი ციხე-სიმაგრეების ნაკლებობა იგრძნობა. საღამოსთვის, მას შემდეგ რაც მე გაჭირვებით ოთხი სადგური გავიარე, ჩავაღწიე პატარა ქალაქ გორში, რომლის მდებარეობა განსაკუთრებით მომხიბვლელია (პფაიფერი 2005: 309).

იდა პფაიფერი მოსახლეობის სოციალური ყოფით საქართველოში არსებული გზებით, ხიდებით და საერთოდ, ქვეყნის მდგომარეობით უკმაყოფილოა და ამას იმ მიზეზით ხსნის, რომ ქვეყანა რუსეთის დაქვემდებარებაში იყო:

> საქართველოს უკვე ორმოცდაათი წელი რუსეთის ხელისუფლება განაგებს და მხოლოდ ცოტა ხნის წინ ისევ დაიწყეს მშენებლობა. ალბათ ვინც ორმოცდაათი წლის შემდეგ ისევ მოვა აქ თავს დაკარგულად იგრძნობს. ისევე როგორც გზების, ასევე ხიდების დიდი ნაკლებობაა; ღრმა მდინარეებში, როგორიც მაგალითად მირაბკაა[3] გასაცოდავებულ ვითომ ნავებზე სხდებიან და ფონს გადალახავენ. წვიმის დროს და მოულოდნელი დათბობისას თოვლიან მთებში მდინარეები დიდდება, მგზავრმა მთელი დღე უნდა იცადოს, ან თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს. – რამხელა განსხვავებაა რუსეთსა და ინგლისს შორის კოლონიზაციებში! (პფაიფერი 2005: 309).

ავსტრიელი მოგზაური ჯერ ქუთაისში ჩავიდა, შემდეგ რედუტ-კალეში გადავიდა. აქედან კი ქერჩში გაემგზავრა.

იდა პფაიფერის თხრობას ახასიათებს სადა სტილი. ფაქტებს და მოვლენებს ავსტრიელი მოგზაური აღწერს შეულამაზებლად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. როგორც მისი თხზულების გამომცემელი გაბრიელა ჰებინგერი წერს:

> იდა პფაიფერის ნაწერები გამოირჩევა მისი ევროპული ღირებულებებით და მორალური ხასიათით. ის კრიტიკულია თავისი საკუთარი საზოგადოების მიმართ; სამარცხვინო ბოძზე აკრავს მონობას, კოლონიური მმართველობის ნაკლს, მისიონერების საქმიანობას... იდა პფაიფერის გადმოცემები გხიბლავენ სანდო დაკვირვებებით... (პფაიფერი 2005: 10).

მოგზაური თავისი შთაბეჭდილებების შესახებ აღნიშნავდა:

> ერთი მხრივ, მაკლია მახვილგონიერება და განწყობა იმისათვის, რომ სახალისოდ ვწერო, და, მეორე მხრივ, არ მაქვს საკმარისი ცოდნა ნანახისა და განცდილის შესახებ დასკვნების გამოტანა რომ შევძლო. მე შემიძლია მხოლოდ უბრალოდ და შეულამაზებლად გადმოვცე ის, რაც შემხვედრია, რაც მინახავს (პფაიფერი 2005: 5).

იდა პფაიფერის ცნობები ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, რაც დახმარებას გვიწევს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის კავკასიის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების სრულყოფილი სურათის აღდგენის თვალსაზრისით.

შენიშვნები

[1] აღნიშნული ქალაქი, რომელიც მან სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს მოინახულა, თანამედროვე ვენესუელას ტერიტორიაზეა.

[2] მოგზაური არ აკონკრეტებს რა წერილებზეა საუბარი, ხომ არ არის საფიქრებელი, რომ ეს წერილები თავრიზში მყოფმა რუსეთის კონსულმა გამოატანა რუს მაღალჩინოსნებთან?

[3] ძნელი სათქმელია რომელ მდინარეს გულისხმობს მოგზაური, აღწერილი მდინარე იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

დამოწმებანი

გელაშვილი 1964: *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. II, თბილისი.

გელაშვილი 2002: *მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ*, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი.

გელაშვილი 2005: *ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ*, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი.

გუგუშვილი 1949: პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება. ტ. I, თბილისი.

მამისთვალიშვილი 2000: ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი.

პფაიფერი 1879: Ida Laura Pfeiffer, The story of Ida Pfeiffer and her Travels in Many Lands., London.

პფაიფერი 2005: Ida Pfeiffer, Eine Frau fährt um die Welt: Die Reise 1846 nach Südamerika, China, Ostindien, Persien und Kleinasien, Herausgegeben von Gabriele Habinger, Wien.

The Diary by Ida (Laura) Pfeiffer as Historical Source About Caucasus

Giorgi Sosiashvili

In the first half of the nineteenth century many Europeans visited Georgia.Their diaries are valuable sources for study of Georgian history. One of the important authors among the foreign travelers is Ida Pfeiffer. She was born in 1797 in Vienna in the family of a rich merchant. From her childhood Ida was keen on travelling, and then she dedicated her whole life to it. She visited nearly all countries of the world : the north and south America, Madagascar, Indonesia, Persia etc

Ida published books which were able to earn a great interest and sympathy of the readers. One of her books *Travelling in 1846 in the North America, China, East India, Persia and Malaysia* contains the chapter dedicated to "Asian Russia" informing readers about " Armenia, Georgia and Samegrelo Region".

In the Caucasus Ida Pfeiffer came from Persia. First she stopped in Armenia, visited the cities of Nakhtchevani and Erevan, then she arrived Tbilisi, where she stayed for a few days. From Tbilisi she went to Kutaisi via Gori and Surami, then to Redut-kale (Kulevi). From Georgia the traveler continued to the North Black Sea Basin. The traveler's diary includes very significant information about the socio-economic, political and cultural life of the Caucasian people. Here she describes cities and different kinds of settlements, living conditions of the population, and the Russian governance in the Caucasus. Her diaries are written in simple, laconic language. The notes of the Austrian traveler are very important sources not only for Georgian history in the first half of the nineteenth century, but also for the history of all Caucasus.

წმინდა იოანე და წმინდა ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრება* და წმინდა გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრება* როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოში ეთნიკურობის აღქმისათვის

სოფიო ქადაგიშვილი

X-XI საუკუნიდან საქართველოს ისტორიაში იწყება ახალი პერიოდი. პოლიტიკურმა გაძლიერებამ და გაერთიანებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ქართული კულტურის აღმავლობისათვის. განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა საერო და სასულიერო მწერლობა. იქმნება ფილოსოფიური, ლიტერატურული თხზულებები. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ქვეყნის არისტოკრატია, რომელიც, გარდა პოლიტიკური აქტივობისა, კულტურულადაც ცდილობდა ქვეყნის გაერთიანებას. საზღვარგარეთ იქმნება ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები: სირიაში – შავ მთაზე, ბულგარეთში – პეტრიწონის მონასტერი, იერუსალიმის ჯვრის, და, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ათონის მთაზე ივერიის ქართველთა მონასტერი, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი წმ. იოანე ათონელი ანუ იგივე წმ. იოანე მთაწმინდელია. იგი დაიბადა სამცხეში დაახლოებით 920 წელს, კ. კეკელიძის აზრით, გარდაიცვალა 1002-1005 პერიოდში. ამ დასკვნის გაკეთებაში მკვლევარს დაეხმარა წმ. იოანეს მიერ ათანასე ბერის, როგორც გარდაცვლილის, მოხსენიება. ეს უკანასკნელი 1002 წლამდე ცოცხალი ჩანს (კეკელიძე 1945:226). წმინდანის მამა დავით კურაპალატთან დაახლოებული პიროვნება იყო. ახალგაზრდობისას მან დატოვა ოჯახი, სამშობლო და ჯერ ოთხთა ეკლესიაში აღიკვეცა ბერად, შემდეგ – ულუმბოს მთაზე, ბოლოს კი შვილთან – ექვთიმესთან ერთად ათონს მიაშურა. ათონის მთაზე ათანასეს ლავრაში დამკვიდრებულმა წმ. იოანემ ფართომასშტაბიანი მთარგმნელობით საქმიანობა გააჩაღა. ბერის საქმიანობა ღირსეულად განაგრძო მისმა შვილმა წმ. ექვთიმე მთაწმინდელმა, რომელიც მოღვაწეობდა 1002-1005 დან 1028-მდე პერიოდში, თუმცა ა. ცაგარელმა გამოთქვა აზრი, რომ იგი უნდა გარდაცვლილიყო 1027 წლის 13 მაისს (ჟორდანია 2004:124). „ლიტერატურული მოღვაწეობა ექვთიმეს 975-977 წლებში უნდა დაეწყო“ (კეკელიძე 1980: 186).

წმინდა მამებმა უდიდესი ძალისხმევა მოანდომეს მთარგმნელობით საქმიანობას. ამით მდიდრდებოდა ქართული ენა და კულტურა. ასევე აღსანიშნავია მათი სამახსოვრო წიგნები, რომელთა

> მთავარი მიზანი იყო მამა-შვილის საზოგადოებრივი თუ საგანმანათლებლო-მთარგმნელობითი საქმიანობის მასშტაბური წარმოჩენა და მისი შეფასება ქართველთა სამეფოს საშინაო თუ საგარეო ეროვნული პოლიტიკის თვალთახედვით, რათა ამ გზით ხელი შეეწყოთ პირველი ქართველი ათონელების მოღვაწეობაზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის ეროვნული პოზიციებიდან (მეტრეველი 1995: 38).

ქართველმა წმინდა ათონელმა მამებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს ბიზანტიის იმპერატორთანაც, მათ შეძლეს ქართული სენაკების გამრავლება უცხო მხარეში, რამაც მოგვიანებით გამოიწვია ბერძენთა პროტესტი. იმის გამო, რომ დაცული ყოფილიყო მომავალში ქართველთა პრეტენზიები ბიზანტიის ტერიტორიაზე, საჭირო გახდა წმინდა მამების *ცხოვრების* აღწერა. ათონზე მათი საქმის გამგრძელებელი იყო წმ. გიორგი მთაწმინდელი. სწორედ მისმა მონდომებამ საქართველოს ისტორიას შემოუნახა წმინდა მამების ხსოვნა და მათი მნიშვნელოვანი კვალი ერთიანი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. მათი საქმე ათონზე, როგორც ითქვა, წარმატებით გააგრძელა გიორგი მთაწმინდელმა. მისი ღვაწლიც იქნა სათანადოდ დაფიქსირებული მოწაფის გიორგი მცირის მიერ. ორივე გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული მწერალი იყო. მათმა ქმნილებებმა გაამრავალფეროვნა ქართული სასულიერო მწერლობა, შთამომავლობისათვის უკვდავყო წმინდა მამების საქმიანობა უცხო მიწაზე.

აღნიშნულ წმინდა მამათა მოღვაწეობის ხანა მოიცავს პერიოდს X საუკუნის ბოლოდან XI საუკუნის მეორე ნახევრამდე. ეს კი, როგორც ცნობილია, ის დროა, როდესაც სრულდება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, რასაც წინ უსწრებდა კულტურული ერთობა. „X საუკუნეში ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში სათავე ედება ისეთი ხასიათის მოვლენებს, რომელიც გამომხატველია ქართული თვითშეგნების გამოკვეთისა. ამ დროს განმტკიცდა ერთიანობის იდეა“ (სირაძე 1975: 87).

წმ. იოანეს და წმ. ექვთიმეს მთაწმინდელების *ცხოვრებას*, და წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებას* გამორჩეული ადგილი უკავია ქართველი ერის კულტურულ მემკვიდრეობაში. დიდ მხატვრულ

ღირსებებთან ერთად, ისინი ძვირფასი ისტორიული წყაროებიცაა. პირდაპირი ინფორმაციის გარდა, აღნიშნული ძეგლები ინახავს არაპირდაპირ ცნობებსაც. სწორედ არაპირდაპირი ინფორმაცია მეტად საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს საზოგადოებრივი პერცეფციების, იდენტობების რეპრეზენტირებისათვის. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ეთნიკურობის ფენომენი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძეგლები მრავალმხრივ არის შესწავლილი, მათი დამზერა, როგორც წყაროებისა შუა საუკუნეების საქართველოს კოლექტიურ-კულტურული იდენტობის აღსაწერად, თითქმის არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე გამოკვლევის მიზანია ამ ძეგლებზე დაკვირვება შესაბამის ეპოქაში ქართული ეთნიკურობის და ამავე დროს ქართველთა ეთნიკური პერცეფციების რეპრეზენტირების მიზნით. რამდენიმე გამოკვლევა შეიძლება დავასახელოთ, რომლებიც წარმოადგენენ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ძიების შედეგებს. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია მარიამ ჩხარტიშვილის სტატია *წმინდა მამა გიორგი მთაწმიდელი და ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეში* (ქართული წყაროთმცოდნეობა 2006:87-101). მკვლევარმა ცალკეული თავების სახით გამოყო ეთნიკური იდენტობის მთავარი ინდიკატორები და ნაციონალური ღირსებისა და კოლექტიური ხასიათის იდეალები, ძეგლის მიხედვით განსაზღვრა ამ პერიოდის *წმინდა ერთობა* და *ლინგვისტური კოდი* . ამავე მკვლევარმა ასევე შეისწავლა ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემატიკის თვალთახედვით რამდენიმე ნაშრომში. ერთ-ერთი ნაშრომია *ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემატიკის თვალთახედვით.* (ჩხარტიშვილი 2002: 32-47), რომელშიც განხილულია *წმინდა ნინოს ცხოვრება* და ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ქართლის გაქრისტიანება სმითისეული ეთნიკურობის დეფინიციის მიხედვით არის გაანალიზებული. ამ დეფინიციის არსის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვიტყვი.

აღნიშნული საკითხი, კერძოდ, ეთნიკურ პერცეფციებზე დაკვირვება, საკმაოდ რთულია და მოითხოვს გამოკვლევის თეორიული საფუძვლის საგანგებო განხილვას. ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ამ ფენომენის რაობა, რომ მისი ფიქსირება შევძლოთ.

აღნიშნული საკითხის შესწავლას ვახდენ ეთნიკურობის და ნაციონალიზმის ფენომენების აღიარებული სპეციალისტების ე.დ. სმითის, ჯ. ჰათჩინსონის და თ.ჰ. ერიქსენის თეორიული ნააზრევის გათვალისწინებით.

შუა საუკუნეების საქართველოში ეთნიკურობას აღქმის თავისებურების აღსაწერად ვიყენებ ეთნოსიმბოლისტური მიდგომას,[1] რომლის მიხედვით ეთნიკურობა განიხილება, როგორც მუდმივი და ამავე დროს ცვალებადი ფენომენი, ეთნიეთა განვითარება და მათი როლი წარსულსა თუ „წარსულებში“ გამოხატავს არსს აწმყოში არსებული კულტურული ერთობებისა (ჰათჩინსონი, სმითი 1996: 10). ამ შემთხვევაში „ეთნიკური ჯგუფი კულტურული ერთობის ის სახეობაა, რომელიც უმთავრესად მიიჩნევს წარმომავლობის შესახებ მითებისა და ისტორიული მეხსიერების როლს და რომელიც კულტურული განმასხვავებელი ნიშნით ამოიცნობა“ (სმითი 2008: 26). მაშასადამე ცხადია, რომ ეს მიდგომა ეთნიკურობაში მეტწილად კულტურის და ისტორიული გამოცდილების როლს აღიარებს.

ისევ ე. სმითს თუ დავესესხებით, *ეთნიე*, ეს არის ადამიანების ისეთი ერთობა, რომელსაც გააჩნია წინაპრის მითი, საერთო ისტორიული მახსოვრობა, საზიარო კულტურის ერთი ან რამდენიმე ელემენტი, მშობლიურ მიწა-წყალთან მიჯაჭვულობა და ა.შ. ეთნიკურობა გამოვლინებადია სხვადასხვა ეტაპზე, თუმცა განსხვავებულია შიდაჯგუფური შეჭიდულობის ინტენსივობა (სმითი 2008: 27). მეცნიერი გამოჰყოფს ეთნიკურობის შემდეგ ექვსს ძირითად მახასიათებელს: კოლექტიური საკუთარი სახელი, საერთო წინაპრის მითი, ზიარი ისტორიული მეხსიერება, საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი, განსაკუთრებულ მშობლიურ მიწა-წყალთან ჯგუფის წევრის მიერ ასოცირება, სოლიდარობის გრძნობა ერთობის მნიშვნელოვან ნაწილში. ეთნიკურობის მახასიათებლების მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება. ზოგჯერ რომელიმე მათგანი სუსტად არის გამოვლენილი. რაც უფრო მეტ მათგანს იზიარებს ერთობა, მით უფრო ემსგავსება ეთნიეს განვითარებულ სახეს.

ახლა კონკრეტულად საანალიზო ძეგლების შესახებ.

როგორც ზემოთ მოყვანილი დეფინიციიდან ჩანს, ეთნიკურობის მთავარი ინდიკატორი ეთნიეს თვითსახელწოდებაა. იგი „შიდაჯგუფური პერცეფციების ყველაზე უფრო თვალსაჩინო ამსახველია“ (ჩხარტიშვილი 2009: 35). თვითსახელწოდება კულტურული უნიკალურობის მაჩვენებელიცაა. ისტორიული გამოცდილებიდან ნათელია, რომ დროთა განმავლობაში ეთნიეს კულტურული მსაზღვრელი ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებს არ ემთხვევა. „საზღვრის გამჭირვალობა ხელს უწყობს ინფორმაციის მუდმივ დენადობას, თუმცა ამით არ იცვლება ხალხის ეთნიკური წევრობა“ (ერიქსენი 2002: 39). გაქართველებაში არ იგულისხმება მხოლოდ არაქართული კოლექტივების ერთ სივრცეში მოქცევა, არამედ საქართველოს ცალკეული რეგიონების ერთიანი კულტურული დასაზღვრა, რომელიც, რა თქმა

უნდა, არ იყო მარტივი. ამას თან ახლდა ხანგრძლივი პროცესი, რომელიც გამოიხატა ერთიანი ქართული იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში და კულტურის საჯარო ხასიათში.[2]

წმ. იოანე და წმ. ექვთიმე ათონელების *ცხოვრება* უძვირფასეს ცნობებს შეიცავს წინა მოდერნის ეპოქის ქართული ერთობის კონცეპტუალიზაციისა და იდენტობის გაგებისათვის. ამიტომ განვიხილავთ თვითსახელწოდებას, როგორც ეთნიეს უმნიშვნელოვანეს მარკერს ჯერ სწორედ ამ ძეგლის მიხედვით.

XI საუკუნე უკვე ის დროა, როდესაც კარგადაა გამოვლენილი კოლექტიური საკუთარი სახელი *საქართველო* და ჩვენ-ჯგუფი თვითიდენტიფიკაციას ახდენს ტერმინი *ქართველით.* ამის უამრავი მაგალითი გვაქვს წმინდა ათონელების *ცხოვრებაში.* წმ. ექვთიმე ათონელზე ავტორი წერს: „სახელი და ღირსებაჲ ყოველსა საქართველოსა განეფინა და არა ხოლო საქართველოსა ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა“ (აბულაძე 1967: 96). და კიდევ: „და ამისა შემდგომად განიზრახეს მამათა ჩუენთა და თქუეს, ვითარმედ აქა ყოფაჲ ჩუენი შეუძლებელ არს, კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართველნი მოგუმართებენ“ (აბულაძე 1967: 48).

საინტერესოა, რა იგულისხმება ტერმინ *ქართველში.* ვეთანხმები მარიამ ჩხარტიშვილის მოსაზრებას, რომ XI საუკუნის ქართულ საზოგადოებას პრემოდერნულ ნაციას უწოდებს.[3] მართლაც, ისე მკაფიოდ არის გამოკვეთილი და განვითარებული ეთნიკურობის ნიშნები ამ დროს საქართველოში, რომ საზოგადოება უახლოვდება განვითარებული ეთნიეს უშუალოდ მომდევნო საფეხურს – ერს. ამაზე ვრცლად შემდგომ მექნება საუბარი, მანამდე შევეცდები განვმარტო ტერმინ *ქართველის* მნიშვნელობა, ისე, როგორც ეს წარმოჩნდა აღნიშნულ წყაროზე დაკვირვებისას.

ქართულმა ჰაგიოგრაფიამ შემოინახა შედარებით ადრინდელი ეთნონიმი *ქართლი* (ეს ტერმინი ეთნონიმად გაიაზრა მ. ჩხარტიშვილმა (ჩხარტიშვილი 2002; ჩხარტიშვილი 2009). პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ აღნიშნული ტერმინი ვეღარ გამოხატავდა პოლიტიკურ ერთიანობას და მისი გამომხატველი გახდა *საქართველო.* იყო მცდელობა ტერმინ *ქართლს* ეთავა ტერმინ *საქართველოს* ფუნქცია,[4] ამის შესახებ ცნობა შეინახა წმინდანის ცხოვრებამაც:

> ვითარცა ნესტჯ ოქროჲსაჲ ჴმა-მაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ (წმ. ექვთიმემ,– ს.ქ.) ბალაჰვარი და აბუკურაჲ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძნულად (აბულაძე 1967: 41).

ამ მაგალითიდან თვალსაჩინოა, რომ აღნიშნული ტერმინით მხოლოდ ქართლის რეგიონი არ შემოიფარგლება. მისი მნიშვნელობა უფრო ფართოა და ერთიან საქართველოს გამოხატავს. ბაგრატ III-ის, გიორგი I-ის და ბაგრატ IV-ის მმართველობის პერიოდში მიმდინარეობდა ქვეყნის გაერთიანების პროცესი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ როგორც ქართული, ასევე არაქართული რეგიონები. საჭირო გახდა ამ ტერიტორიის ლინგვისტური დასაზღვრა. როგორც ვახსენეთ, ეს ფუნქცია თავდაპირველად ტერმინმა *ქართლმა* იტვირთა. იბადება კითხვა, რატომ მოხდა *ქართლის* ცნების გაფართოება იმ დროს, როდესაც საქართველოს გაერთიანების საქმეში ყველაზე მეტად აფხაზეთის და ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო აქტიურობდა? ვფიქრობ, პასუხი მარტივია, იმდენად, რამდენადაც საქართველოს გაერთიანება სწორედ ქართლის ირგვლივ და ამ ტერიტორიაზე ჰეგემონობის მოპოვებით დაიწყო. ცოტა მოგვიანებით პოლიტიკურმა ცენტრმა კულტურული ცენტრის ფუნქციაც იკისრა, რომლის საზღვრები ნამდვილად არ ემთხვეოდა მის რეალურ საზღვრებს.

ქართლის და *ქართველის* შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მარიამ ჩხარტიშვილმა, რომლის მიხედვით:

> ქართლი-კოლექტივი ნიშნავს ქართების სიმრავლეს, საქართველო-კოლექტივი – ქართველების სიმრავლეს. ამგვარად, ქართლი და საქართველო კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის თვითსახელწოდებანია მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში (ჩხარტიშვილი 2009: 51).

მკვლევარმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ტერმინი *საქართველო* უფრო მეტად ნაციონალურია, ვიდრე ეთნიკური. ეს მოსაზრება კარგად ერგება X-XI საუკუნის ქართულ რეალობას. *საქართველომ* მოიცვა მთელი რიგი კულტურულად იდენტობრივი რეგიონები (აფხაზეთის, კახეთის, ქართველთა სამეფოები) და ასევე ვასალური ტერიტორიები ჩრდილო კავკასიის სახით. ქართველი გახდა სამოქალაქო ტერმინი. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მოქალაქეობის თანამედროვე გაგება. სამოქალაქო იმ აზრით, რომ ამ ტერმინის ქვეშ მოექცა ქართული რეგიონალური იდენტობები. იქმნება ერთიანი კულტურა, რომელშიც გადამწყვეტი როლი რელიგიამ დაიკავა. ეს უკანასკნელი ამ პერიოდში ყველაზე მეტად გამოხატავდა საერთო კულტურულ ნიშანს და ეს იმდენად მძლავრი კომპონენტი გახდა შიდაჯგუფური

შეჯიდულობისთვის, რომ ქრისტიანულ რელიგიას საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა (და დღემდე უკავია) ქართველთა თვითცნობიერებაში. თუმცა ამ ჯგუფის წევრი შეეძლო გამხდარიყო სხვა ეთნიკურობის მქონე ნებისმიერი პირი, ვინც იქნებოდა ქართული კულტურული ფასეულობების თანაზიარი (გავიხსენოთ წმ. ევსტათი მცხეთელის და წმ. აბო თბილელის მაგალითი). მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვს ზურაბ კიკნაძესაც, რომლის აზრით,

> სახელმწიფო და ეკლესია, თავისი ბუნებით როგორც ზეეთნიურ-ზენათესაური ინსტიტუტები, ერთ უნივერსალურ პოზიციაზე დგანან. ისინი ქვეყანაში გარკვეული ისტორიული ამოცანის განსახორციელებლად თავის სამსახურში იკრებენ ყველას, განურჩევლად „ნათესაური“ წარმოშობისა, რისი მაგალითები საქართველოს ისტორიაში ბევრია. საბოლოოდ ხდება მათი როგორც მთელი ჯგუფის, ისე ცალკეულ პიროვნებათა ინტეგრირება სახელმწიფოს ძირითადი ნათესავის სულთან და სხეულთან (კიკნაძე 2002: 19).

თუკი თანამედროვე ნაციისთვის მთავარია ერთიანი სახელმწიფოებრიობის განცდა, ეთნიკურობის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ადგილი საერთო კულტურას უკავია.

მოყვანილი მასალიდან, ვფიქრობ, კარგად ჩანს, რომ X-XI საუკუნეში წმ. იოანე და წმ. ექვთიმე ათონელის *ცხოვრების* მიხედვით, ქართველად ყოფნისათვის არ არის აუცილებელი ქართული წარმომავლობა.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ზოგადად მრავლად მოგვეპოვება სადაურობის და კოლექტივის აღმნიშვნელი სიტყვები. დროთა განმავლობაში მათი შინაარსი იცვლება, ფართოვდება ან მცირდება გამომხატველი სოციუმი. ამჯერად ჩვენ საუბარი გვექნება *ნათესავის* და *ერის* მნიშვნელობაზე აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით.

> ნათესავის მსგავსი ტერმინებია ტომი, თესლი – ყველა ესენი ტომობრივ-ნათესაობითი, საერთო წარმომავლობის, ერთი წინაპრის მქონე ერთობის აღმნიშვნელი სიტყვებია. ხოლო ტერმინი ერით გამოიხატება ზოგადად ხალხის, კრებულის აღმნიშვნელი სიტყვები (პატარიძე 2002: 9).

თანამედროვე გაგებით, *ერი* სამოქალაქო მნიშვნელობის მატარებელია. იგი სამართლიანად ჩაენაცვლა *ნათესავს,* რომელიც უფრო ეთნიკურ წარმომავლობას უსვამდა ხაზს, თუმცა ერის მნიშვნელობა ყოველთვის როდი იყო ერთი და იგივე. ხან ხალხის კრებით სახელს აღნიშნავდა, ხანაც ჯარის გამომხატველი იყო, არის შემთხვევები, როდესაც მდაბიო ხალხის აღმნიშვნელია (ლ. პატარიძე 2002).

საინტერესოა გაირკვეს, თუ რა იგულისხმება *ერის* ქვეშ წმ. იოანე და წმ. ექვთიმე ათონელების *ცხოვრების* ამსახველ წყაროში, მაგრამ თავდაპირველად განვსაზღვროთ *ნათესავის* რაობა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ინდივიდის ეთნიკურ წარმომავლობას უსვამს ხაზს. მაგალითად, წმ. იოანე მთაწმინდელზე ავტორი ამბობს: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპაჲთგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ“ (აბულაძე 1967: 42).

ამ ამონარიდით ცხადია, რომ *ნათესავი* პირდაპირ წარმომავლობას აღნიშნავს, რა თქმა უნდა, საილუსტრაციოდ არ მოვიყვან ყველა მაგალითს, რომელიც ამ ძეგლიდან შეიძლება იქნეს აღებული, თუმც ამგვარი ადგილები ძეგლში მრავლადაა. თუკი თვალს გადავავლებთ წინა პერიოდის მარტიროლოგიურ თხზულებებს, უცხო მოდგმისანი, რომელნიც ემსხვერპლნენ ურჯულოებს და თავი დადეს, ერთი მხრივ, მართლმადიდებლობისთვის და, მეორე მხრივ, საქართველოსთვის, დავინახავთ, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელი ყველგან აღნიშნავს მათ ეთნიკურ წარმომავლობას, თუმცა მათი მოწამეობრივი ცხოვრებიდან გამომდინარე ნათელი ხდება მათი მოქალაქეობრივი სტატუსი. წმინდანთა ცხოვრებიდანაც ეს მიღებული პრაქტიკაა და ავტორს ამით უფრო მეტად სურს წმ. იოანე ათონელის წარმოჩენა. იგი იყო არა მხოლოდ ქართველი, არამედ ნათესავით ქართველიც. ასეთი დაზუსტება, ჩემი აზრით, ავტორს სიტყვის მასალად კი არ სჭირდება, არამედ იმიტომ რომ, ტერმინი *ქართველი* ამ დროს უკვე გასცდა ქართული რეგიონალური იდენტობის საზღვრებს, იმდენად გაფართოვდა, რომ აუცილებლად ქართულ ეთნიკურ წარმომავლობას აღარ აღნიშნავს. ავტორი, კი, როგორც ჩანს, საჭიროდ მიიჩნევს დააკონკრეტოს ტერმინი თუ რა აზრით არის გამოყენებული.

ფრთხილი დასკვნების გაკეთების საშუალებას მაძლევს მეორე მაგალითი. წმ. იოანეს უნდოდა ერთი ადგილის მონახულება, რადგან „ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ“ (აბულაძე 1967: 54).

მართალია, ზოგადად მედიევალურ ქართულ ლიტერატურაში, ისევე როგორც კონკრეტულად ჰაგიოგრაფიაში, გავრცელებულია *ნათესავისა* და *ერის* ერთდროულად გამოყენება და ხშირ შემთხვევაში

სინონონიმების მნიშვნელობაც აქვს ამ ორ სიტყვას, და, შესაძლოა, თანამედროვე მკითხველთა ნაწილიც ამ შემთხვევაში ტერმინ *ერს ნათესავით ქართველთა* ჩვენ-ჯგუფთან გააიგივებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს სწორი არ არის. ჩემი ვარაუდის განმტკიცებაში დამეხმარება გიორგი მაჭარაშვილის და ლელა პატარიძის მოსაზრებებიც. საქმე ისაა, რომ როდესაც საუბარი გვქონდა *ქართველის* გაგებაზე, რომელიც, როგორც ვთქვი, ზოგადი მნიშვნელობისაა. მე ვიზიარებ იმ აზრს, რომ „ერი გულისხმობს კულტურულ-ისტორიულ ერთობის ცნებას და სახელმწიფოებრივი-სამართლებრივი ასპექტები მასში ნაკლებად იგულისხმება“ (პატარიძე 2002: 13). თანამედროვე ერისათვის მნიშვნელოვანი მახასიათებელია კულტურის საჯაროობა, საერთო უფლება მოვალეობანი, თუმცა არამართებულია მისი მნიშვნელობის პირდაპირი გაგება X-XI საუკუნის ქართული საზოგადოებისათვის. საქმე ისაა, რომ კულტურის გავრცელება ხდებოდა არა მთელი ჩვენ-ჯგუფის, არამედ მხოლოდ ელიტის შიგნით. წმ. იოანეს და წმ. ექვთიმეს *ცხოვრებებმა* კარგად შემოგვინახეს შუა საუკუნეების ქართული აზროვნება. იმ ტიპის ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის არის გამოსადეგი, არ შეიძლება იყოს ნატყუარი, რადგან ძეგლი ირიბად ყოველთვის ასახავს მისი წარმომშობი ეპოქის სულს.

ტერმინ *ერთან* დაკავშირებით საინტერესო კვლევა ჩაატარა გიორგი მაჭარაშვილმა. მან ჯრუჭ-პარხლის, ადიშის და სინური ოთხთავებიდან გამოვლენილი მაგალითებით *ერის* და *ნათესავის* მნიშვნელობა შეადარა ერთმანეთს. ძეგლების ქრონოლოგია IX-X საუკუნეების საზღვრებში მერყეობს. წარმოდგენილმა მასალებმა ცხადყო, რომ ძველ ქართულში *ნათესავი და ერი* ერთმანეთის სინონიმებია, როდესაც ისინი აღნიშნავენ მთელი ქვეყნის მოსახლეობას. გ. მაჭარაშვილის აზრით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სიტყვა *ერს* ძველქართულში ნამდვილად გააჩნდა ის მნიშვნელობა, რაც მას თანამედროვე ქართულში აქვს.[5] ცხადია, ეს მნიშვნელობაც ჰქონდა ამ ტერმინს და ამიტომაც აღმოჩნდა ის ასე რელევანტური თანამედროვე კონტექსტისათვისაც, თუმცა ვერ დავეთანხმები გ. მაჭარაშვილს იმაში, რომ შუა საუკუნეებში *ერი* გამოიყენებოდა ზუსტად თანამედროვე გაგებით.

დავუბრუნდეთ ზემომოყვანილ ამონარიდს: იქნებ ძველ ავტორს ამ მაგალითით უნდა გვიჩვენოს ნათესავით და კულტურით ქართველი? ის ადგილი, რომელიც წმ. იოანემ მოინახულა და სადაც სახლობდა ქართველთა ნათესავი, როგორც სისხლისმიერი ერთობა და ერთობა ერთი კულტურის თანაზიარი. მხოლოდ ამ მაგალითით დასკვნების გამოტანა შეუძლებელია, ამიტომ საჭიროებს შემდგომ დაკვირვებას სხვადასხვა ჰაგიოგრაფიული თუ სხვა ჟანრის ლიტერატურაზე დაყრდნობით.

საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გიორგი მცირის მიერ აღწერილ წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებას*. ტექსტი ვრცელი და დიდი ინფორმაციის მატარებელია. წმ. იოანე, წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელების *ცხოვრებების* ტექსტების შედარებისას ადვილად შეიმჩნევა წმინდა მამის გავლენა თავის მოწაფეზე. როგორც წმ. იოანე და წმ. ექვთიმეს *ცხოვრება* ეს თხზულებაც დახვეწილია. მასში ჩანს ავტორის ინტელექტი და ღრმა აზროვნება. გარდა სასულიერო სფეროში მოღვაწეობისა, გიორგი მცირე[6] დიდ ისტორიკოსადაც გვევლინება. მართალია, მასში იგრძნობა ზოგი მოქმედი პირებისადმი სუბიექტური დამოკიდებულება, მაგრამ მთლიანობაში წყარო გვიხატავს აღნიშნული ეპოქის ყველა მხარეს, გვაძლევს ანალიზის გაკეთების და დასკვნების გამოტანის საშუალებას.

გიორგი მცირემ წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრება* დაწერა გიორგი შეყენებულის თხოვნით. დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა თუ ზუსტად როდის შეიქმნა აღნიშნული ძეგლი. კ. კეკელიძის აზრით, წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრება* დაიწერა 1066-1068 წლებში წმ. გიორგის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ მაინც. პირველი ეს არის წმ. გიორგის ნეშტის გადასვენების თარიღი ივერთა მონასტრის მესამე წინამძღვრის, გიორგი მაშენებლის ლუსკუმში და მეორე თარიღად განსაზღვრა მკვლევარმა გიორგი შეყენებულის გარდაცვალება. ამ უკანასკნელმა კი გარდაცვალებამდე ნახა გიორგი მცირის თხზულება.

ყველა გამოკვლევის გათვალისწინებით, წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრება* დაწერილი უნდა იყოს XI საუკუნის 60-იან და 80-იან წლებს შორის. ამჯერად, ისევე, როგორც წმ. იოანე და წმ. ექვთიმეს *ცხოვრებების* მაგალითზე, განვსაზღვრავ ქართველთა თვითიდენტიფიკაციას წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრების* მიხედვით. მიღებული შედეგები ბევრად არ განსხვავდება ზემოთ წარმოდგენილი შედეგებისაგან. მიზეზი მარტივია: ორივე ძეგლი იმდენად ახლო პერიოდში დაიწერა, რომ ეროვნული თვითშეგნების მარკერების ფორმირების თვალსაზრისით დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არც იყო. მკვეთრი განსხვავებები ათეულობით წლების, ხშირ შემთხვევაში კი, საუკუნეებით დაშორებული ძეგლების შედარების საფუძველზე შეიძლება დავინახოთ. თავისთავად, ის კვლევა, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრების* საფუძველზე განვახორციელე, ამყარებს ზემოთ მოყვანილ დასკვნებს.

გაანალიზებული მასალის მიხედვით ჩვენ უკვე დავინახეთ *ნათესავის* რაობა, თავიდან როგორც სისხლისმიერი ერთობისა. დროთა განმავლობაში ეს ერთობა ხდება ინკლუზიური და ჩვენ-ჯგუფი არსებითად კულტურულ ერთობად გარდაიქმნება. გიორგი მცირეც ხაზს უსვამს წმ. გიორგი

მთაწმინდელის ქართულ წარმომავლობას და საუბრობს *ცხოვრების* დაწერის მიზეზებზე: „რაჲთა არა დავიწყებულ იქნას მომავალთაგან და შემდგომითი-შემდგომადთა ნათესავთა, ვითარცა მრავალთა წმიდათა ნათესავსა შორის ჩუენსა გამოჩინებულთა ცხოვრებანი აღუწერელობითა დავიწყებისა სიღრმესა მიეცნეს“ (აბულაძე 1967: 104).

ძეგლში მრავლადაა მაგალითები, სადაც ვიდასტურებთ შიდაჯგუფურ სენტიმენტებს, ამას, რა თქმა, უნდა, თავისი მიზეზები აქვს და ხდება ქართული ისტორიისა და წმინდა ერთობის გამოკვეთა ბერძნულ ქართული პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე. სისხლით ერთიანობის ფაქტის აქტუალურობაზე მეტყველებს ბიზანტიის იმპერატორის სიტყვებიც წმ. გიორგი მთაწმინდელის მიმართ: „დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხჯთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულად ბერძენი ხარ“ (აბულაძე 1967: 151). წმინდა მამა წარმომავლობით იყო ქართველი, თუმცა მას ისეთი განათლება ჰქონდა მიღებული და ისე მეტყველებდა, რომ ბერძნები არ აღიქვამდნენ მას, როგორც უცხოს. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი იყო ბერის ინტერესები. იგი თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა ქართული კულტურისა და ერთობის განმტკიცებას. ბერძენთა მხრიდან ნათელია ბერძნულ-ქართული კულტურული განსხვავება. კულტურული განსხვავებულობა ეთნიკურ განსხვავებულობასაც უსვამს ხაზს. უპირველეს ყოვლისა, ქართული ეთნიკური განსხვავება ბერძნული მხრიდან კულტურული განსხვავებულობით აღიქმება. ბიზანტიის იმპერატორი წმინდა ბერთან საუბრისას არაერთხელ აღნიშნავს, რომ, მართალია, წმ. გიორგი მთაწმინდელი წარმოშობით ქართველია, მაგრამ „ყოვლითურთ წესი ჩუენი (ე.ი. ბერძნების,– ს.ქ.) ჰმოსიეს“.

ქართული და ბიზანტიური სამყაროების წარმომადგენელთა მიერ ურთიერთაღქმა განსხვავებულია და, რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებული იყო იმ პოლიტიკურ პრეტენზიებზე და შესაძლებლობებზე, რაც ამ ორ ქვეყანას ჰქონდა. ბიზანტია, როგორ იმპერია, ცდილობდა ქართულ სამყაროში კულტურულ და პოლიტიკურ ინტერვენციას. ასეთ შემთხვევაში უდიდესი როლი დაეკისრათ ქართველ კულტურულ მოღვაწეებს, რომელნიც ცდილობენ კულტურული განსხვავებულობით და გარკვეული უპირატესობის დამტკიცებით მშობლიური ერთობისათვის საკუთარი ნიშის მოპოვებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური ელიტის კულტურული მზაობა ახალი იდეების მიღების მიმართ. „წმინდა მამის მოქმედება ამჯერად, ეხებოდა ჯგუფის არა გარე საზღვრის გამოკვეთას, არამედ შიდა ტიხრების წაშლას, რა თქმა უნდა, იმ დონეზე, რა დონეზეც ეს შეიძლებოდა მომხდარიყო შუა საუკუნეებში, საზოგადოების წოდებრივად დაყოფის პირობებში" (ჩხარტიშვილი 2006: 94).

ეთნიკურობის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კულტურის განსაზღვრას. რადგან ეთნიკურობა მიმართულია, რომ გამოხატოს კულტურული განსხვავებულობა, შესაბამისად, ამ ორ ფენომენს შორის კავშირი უმჭიდროესია: „ამ შემთხვევაში ეთნიკურობა არის კულტურული განსხვავებულობის გამძლე და სისტემატიური ურთიერთობა იმ შეგნებით, რომ ერთობები არიან განსხვავებულნი. იგი თავს იჩენს, როდესაც კულტურული განსხვავებულობები არ არის სოციალურ ურთიერთობების შესაფერის მდგომარეობაში“ (ერიქსენი 2002: 58).

ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს იმპერიის კულტურულ ექსპანსიასთან და მცდელობასთან მოიშალოს ნელ-ნელა საზღვრები ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის. ერთი რელიგიის პირობებში თავისთავად ქართველებისათვის რთული იქნებოდა კულტურული განსხვავებულობის შენარჩუნება, მითუმეტეს, ის დროა, როდესაც ბერძნული სამყარო იმდენად არის შემოსული ქართულ რეალობაში, რომ არაერთი ქართველი განათლებული პიროვნება მოღვაწეობს ბიზანტიაში. ბერძნული ენის ცოდნა ქართული ენის შემდეგ იქცა განათლების მნიშვნელოვან საკითხად. ამას თან ერთვის პოლიტიკური ამბიცია საქართველო იყოს კულტურულად ბიზანტიის თანასწორი ქვეყანა. ჩნდება რეალური საშიშროება ეთნიკური საზღვრების გადალახვისა, ქართული კულტურის და მენტალობის ბერძნულთან შერწყმისა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეთნიკურობის აღქმასთან, რომელიც ცალკე განხილვის თემაა და ამაზე აუცილებლად მექნება საუბარი.

ჩვენ უკვე განვიხილეთ *ნათესავი*, და განვსაზღვრეთ იგი, როგორც სისხლით დაკავშირებული წევრებისაგან შემდგარი ჩვენ-ჯგუფი. ტერმინ *ქართველთან* დაკავშირებითაც ამჯერადაც იგივე სურათს ვიღებთ, რაც მოგვცა წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრებამ*.

ქართველების მომრავლებამ და ქართული ეკლესია-მონასტრების მშენებლობამ ბიზანტიის მიწაზე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ბერძნებში. ამაზე წმ. გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი წერს: „რამეთუ კაცნი ვინმე სჯმეონ-წმიდელნი შურითა საეშმაკოჲთა აღიძრნეს ჩუენ ქართველთა ზედა და ენება, რაჲთამც ნათესავი ჩუენი ძირითურთ აღმოჰფხურეს“ (აბულაძე 1967: 149). ეს კარგი მაგალითია იმისათვის, რომ თვალსაჩინოდ დავინახოთ ის, რისი თქმაც სურს გიორგი მცირეს. ქართველი მოქალაქეს ნიშნავს როგორც ერთიანი პოლიტიკური და კულტურული ქართული იდენტობის გამომხატველი

სიტყვა. ჯ. აფციაურის აზრით „ქართველი“ (ქართველთა ნათესავი) გიორგი მთაწმიდელის *ცხოვრების* ცნობითაც ნიშნავს ქართული ფეოდალური კულტურის თანაზიარს. მისგან სავსებით გამოირიცხება სისხლით ნათესაობის ეთნიკური მომენტი (აფციაური 1980: 222).

ჩემი აზრით, ეს ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციაა. მნიშვნელოვანია პოლიტიკური ისტორია. ეთნიკური მომენტი უკანა პლანზე იყო, მანამ, სანამ მოხდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანება. პოლიტიკურმა მესვეურებმა ამ დროს აქცენტი გააკეთეს იმ ნიშაზე, რომელიც ყველაზე მეტად აკავშირებდა ცალკეული კუთხის მაცხოვრებლებს და ეს უკანასკნელი გახდა საერთო კულტურა, რომელიც გამოიხატებოდა ერთიანი რელიგიით. მთაწმინდელებს პოლიტიკურად ერთიანი საქართველოს არსებობის იმ პერიოდში უხდებოდათ მოღვაწეობა, როდესაც შიგნით იწრთობოდა ქართული კულტურა და თვითშეგნება. გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად პოლიტიკური ერთიანობისა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერიტორია ჯერ კიდევ არ იყო შესული ერთიანი საქართველოს ფარგლებში და ამ დროს უფრო მეტად ესმევა ხაზი ერთიანი წარმომავლობის მითებსაც, რომელიც საკრალურ ხასიათს ატარებდა. სწორედ იმიტომ, რომ *ქართველში* თავისთავად იგულისხმებოდა სისხლით ქართული წარმომავლობა, დროთა განმავლობაში მას ჩაენაცვლა *ერი*. ამიტომ „თუ *ნათესავი*... ბიოლოგიური საწყისის გამომხატველია და წარსულისაკენ გვახედებს, ანუ მას წარმოშობის მიზეზი აქვს მხედველობაში, *ერ* ტერმინმა ისეთი ერთობის გამოხატვა უნდა იკისროს, რომელიც არა წარსულში არსებული მიზნისკენ იქნება მიმართული, არამედ მომავალში აღსასრულებელი მიზნისკენ“ (კიკნაძე 2002: 17).

აქედან გამომდინარე, *ქართველში* ზუსტადაც რომ იგულისხმება ქართული წარმომავლობა, თუმცა ეს არ გამორიცხავს მხოლოდ კულტურით ქართველის არსებობასაც.

წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებაში* ვხვდებით ტერმინ *მოქალაქეობას*, რომელიც *ცხოვრებას, მოღვაწეობას* ნიშნავს, რომელსაც, შესაძლოა, ამ დროს დაახლოებით დღევანდელი მნიშვნელობის დატვირთვაც ჰქონდა. მაგალითად, ღირს მამაზე ვკითხულობთ: „ამისა შემდგომად ვითარცა იხილა ღმრთის-მსახურმან ამან მეფემან ბაგრატ ესევითარი ესე მოქალაქეობაჲ მისი (წმ. გიორგი მთაწმინდელის, - ს.ქ.)“ (აბულაძე 1967: 138) და კიდევ: „არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, ვიდრე არა ყოველნი განაკჳრჭნა არა ხოლო თუ ქართველნი, არამედ ბერძენნიცა და ასურნი, რომლისათჳსცა ეუწყა მოქალაქეობაჲ ნეტარსა იოანე პატრიარქს“ (აბულაძე 1967:148).

ლელა პატარიძემ *ჟურნალ სემიოტიკაში* გამოაქვეყნა სტატია *მოქალაქეობა ქართლის სამეფოში ქრისტიანიზაციის კონტექსტში*, სადაც ხაზი გაუსვა, რომ ერთ-ერთი

> უნივერსალური ცნება ისტორიაში არის მოქალაქეობა, ძველქართულად მკვიდრობა. ამ ცნებას ძალზე დიდი კონტექსტი აქვს, როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში. ყოველ დროს, ყოველ ცალკეულ კულტურულ გარემოში, თუ გეოგრაფიულ რეგიონში ეს უნივერსალური სოციალური მოვლენა თავისებურ და სპეციფიურ ნიშნებს ატარებს (პატარიძე 2008: 202).

მკვლევარმა განსაზღვრა, რომ *მოქალაქეობა* შუა საუკუნეებში ქრისტიანული ეკლესიის წევრობასთან კონტექსტში განიხილებოდა და რომ უცხოობისა და მწირობის ქრისტიანული იდეალი გახდა ის, რის საფუძველზეც ცოტა მოგვიანებით *მკვიდრის* მაგივრად უფრო ერთგვაროვან ერთობას ანუ *ერს* ჩაეყარა საფუძველი (ლ. პატარიძე 2008). თავისთავად ცხადია, უნდა არსებობდეს გარკვეული ცვლილება ამ ტერმინის გააზრებაში წმინდა მამების *ცხოვრებების* მიხედვით. ტექსტიდან გამომდინარე *მოქალაქეობა* „ნაციონალური“ მნიშვნელობისაა. წმ. გიორგი მთაწმინდელი, რომელიც წარმომავლობით ქართველია, ბიზანტიის მაცხოვრებელი, მოქალაქეა. დღევანდელი გაგებით მოქალაქე სულაც არ გულისხმობს სისხლისმიერ ერთობას და წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრების* მიხედვითაც იქნებ ეს ზუსტად ისეთი ტერმინია, სადაც სრულიად გამოირიცხება ეთნიკური წარმომავლობა.[7]

ერთი შეხედვით, წარმოუდგენელიც კი არის ტერმინ *მოქალაქის* შუა საუკუნეებში ისეთივე გაგება, როგორც გვესმის დღეს, მაგრამ აქ საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, ბიზანტიასთან, რომლის პოლიტიკური მოწყობა ეფუძნებოდა იმპერიულ წესრიგს, რომელიც რამდენადმე წააგავს (რაოდენ პარადოქსულიც არ უნა იყოს – ნაცია სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებს) და, მეორე მხრივ, საქართველო, რომელიც მიისწრაფვის ქართველთა ნათესავის საფუძველზე ქართველი ერის – ჰომოგენური ერთობის – ჩამოყალიბებისაკენ. კვლევამ აჩვენა, რომ ისე როგორც წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრების* შემთხვევაში, ჩვენ მიერ აღებულ მეორე წყაროშიც ხაზი ესმება წარმომავლობას, რომელიც ტერმინით „ნათესავით ქართველი“ გამოიხატება. მაგრამ ამავე დროს *ქართველად ყოფნისათვის* თანდათან უკანა პლანზე გადადის სისხლისმიერი ერთობა და გადამწყვეტი ადგილს საზიარო კულტურა იკავებს.

ტომი, თესლი, ნათესავი, ერი – ეს ის ტერმინებია, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამოხატავდნენ ქართულ ერთობას. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მათი მნიშვნელობა, რაც საზოგადოების ცნობიერების დონის განვითარებას წარმოაჩენს. ქართველთა ნათესავი და ქართველი ერი სრულიად სხვადასხვა ხედვაა ერთობის შიდაჯგუფური კავშირებისა: „ნათესავი, როგორც სიტყვა გვიჩვენებს, არის საერთო წარმომავლობაზე დაფუძნებული ერთობა, მაშინ როცა ერის შემთხვევაში სისხლით ნათესაობა არ გამოირიცხება, არც არავითარი სხვა საფუძველი კოლექტივის შექმნისა და ეს განაპირობებს სხვადასხვა კონტექსტში მისი გამოყენების შესაძლებლობას“ (ჩხარტიშვილი 2009: 35).

ისტორიკოსები, სოციოლოგები, ანთროპოლოგები ბევრს კამათობენ იმის შესახებ, რა უნდა იქცეს ეთნიკურობის შეფასების კრიტერიუმად. საკმარისია თუ არა ფართო სოციუმი და საერთო იდენტობა. ამ მხრივ საგულისხმოა ეთნიკურობის მკვლევრის მ. ნეშის დამოკიდებულება, რომელმაც ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის მეტაფორად განსაზღვრა „ლოგინი, სისხლი და კულტი, ყველა ეთნიკური ერთობა თავის თავს მიიჩნევს, როგორც ბიოლოგიურად უწყვეტ ერთობას, რომ მათ აქვთ საერთო წინაპრის იდეოლოგია, და რომ მათ გააჩნიათ საერთო რელიგია“ (ერიქსენი 2002: 35).

ეთნიკურობის აღქმის ფიქსირება ამა თუ იმ პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნე, არ არის მარტივი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ეთნიკურობის მახასიათებლების განსაზღვრა და მათი ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა. რადგან ეთნიე კულტურული ერთობაა, მნიშვნელოვანია ისტორიული მეხსიერების და წარმომავლობის მითები, რაც განაპირობებს კიდეც სოლიდარობის გრძნობას ჩვენ-ჯგუფის წევრებში.

შეუძლებელია ეთნიკურობის შესწავლა კულტურული მომენტის გაუთვალისწინებლად. მხოლოდ პოლიტიკური ნება ვერ გამოხატავს ეთნიეს კონცეფციას, თუმც არის მიდგომებიც, რომელიც ეთნიკურობას მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებებით საზღვრავენ. თავისთავად ცხადია, შეუძლებელია ეთნიკურობაზე ზედაპირული საუბარი. აქედან გამომდინარე, საინტერესოა როგორ ხდება ისტორიული მეხსიერების და საერთო წინაპრის მითის ასახვა წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრებასა* და წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებაში*

რამდენადაც ხდება წინაპართა დიდი საქმეების აღბეჭდვა, იმდენად არის საკრალიზებული მოთხრობილი ამბები. უფალი ქართველთა დამცველია და განსაკუთრებით იკვეთება ღვთისმშობლის მნიშვნელობა ქართველთა თვითიდენტიფიკაციისათვის. ეს კარგად ჩანს საანალიზო ძეგლების მაგალითზეც. ერთ-ერთ მონაკვეთში, რომელიც წმ. ექვთიმეს სენისგან განკურნებაზეა თხრობა, წარმოსახულია დიდებული დედოფალი, რომელიც გამოეცხადა წმინდანს და მისი ძალით განიკურნა. ცხადია, დედოფალში იგულისხმება ღვთისმშობელი, რომლის მაცოცხლებელი ძალა და ქართველთა მიმართ გულშემატკივრობა არაერთხელ არის ტექსტში ხაზგასმული.

> ეს ეპიზოდი ექვთიმეს ბიოგრაფიაში შეტანილია მკითხველთა დასაჯერებლად, რომ თუ ღვთისმშობლის საგანგებო, სასწაულთმოქმედებითი საქმეში ჩარევით არა, ექვთიმე ვერ ავიდოდა წარმატების იმ სიმაღლეზე, რომელზედაც მან აღაყუავა ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა და ყოველნივე განაკჳრნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი არღარა გამოჩენებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ თუ არცაღა გამოჩინებად არს (კეკელიძე 1980: 185).

სამშობლოსა და სამშობლოსათვის თავდადებულ პიროვნებათა საკრალიზაცია დამახასიათებელია ეთნიკური ერთობებისთვის. ამ შემთხვევაში რელიგიურ ელფერშია გახვეული ქართული მიწა და მისი ყველა ინდივიდუალური წევრი დაკისრებული მისიით გააძლიერონ ქართული კულტურა და იდენტობა.

ჩვენ-ჯგუფის მაკონსოლიდებელ საკრალურ ობიექტებზე აქვს გამოკვლევა ჩატარებული ე. სმითს წიგნში *რჩეული ხალხები*. ამ თემატიკის დამუშავებისთვის შთაგონების წყაროდ იქცა ნაციის ეთნიკური ფესვების ძიება. ამ საკითხზე მუშაობისას საკრალურ ობიექტად, უპირველეს ყოვლისა, მკვლევარმა განსაზღვრა თვით საზოგადოება, რჩეული ხალხები, მორწმუნეთა და მათი ოჯახების გამორჩეული ერი. მეორე წმინდა მიწა, სადაც ხალხი მკვიდრობს ხსოვნით, გმირული ღვაწლით, ძეგლებით და წინაპართა განსასვენებელი ადგილებით. შემდეგ იყო დიდებული და სახელოვანი წარსული და ხალხთა ოქროს ხანა, აწმყომდე სევდიანი დაცემა და ბოლოს იყო მსხვერპლი, რომელმაც თავი დადო საზოგადოების გულისათვის, იხსნა იგი განადგურებისგან და დაამტკიცა მისი საკრალური ბედი (სმითი 2004: 7). რას შეეძლო იგივე იდეოლოგიით განემსჭვალა საზოგადოება თუ არა რელიგიას.

ამიტომ იყო, რომ რელიგია თავიდანვე იქცა დიდ მამოძრავებელ ძალად *ქართლი* ეთნიკური ჩვენ-ჯგუფის შემდგომი კონსოლიდაციისათვის. პოლიტიკურ ერთიანობამდე მოხდა ქართველთა რელიგიური გაერთიანება. საკრალიზაციამ არა მხოლოდ ქართველთა შიდაჯგუფური შეჭიდულობა განამტკიცა, არამედ ხელი შეუწყო სახელმწიფოს სათავეში ბაგრატიონთა ლეგიტიმაციას.

ძველი და ახალი აღთქმის რწმენები რჩეული ხალხებისა და საკრალური ტერიტორიების შესახებ იყო შთაგონების წყარო და ენა წინასწარ განსაზღვრული (ტელეოლოგიური) ისტორიისათვის. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ წმ. ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნულიდან ქართულად თარგმნა წმ. ექვთიმე მთაწმინდელმა. წმ. გიორგი მთაწმინდელს ქართველთა გაქრისტიანების საქმეში წმ. ანდრიას ღვაწლის გახსენება დასჭირდა ანტიოქიის პატრიარქის წინაშე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასადასტურებლად. საქართველოში ქრისტეს მოციქულის მისიონერული მოღვაწეობა ქართველ ერს რჩეულობას ანიჭებდა და ისტორიულ მახსოვრობას უმდიდრებდა. ეს გადმოცემა ალბათ მანამდეც არსებობდა ქართული ერთობის ელიტარულ ნაწილში, შესაძლოა ზეპირსიტყვიერი სახით ვრცელდებოდა კიდეც, თუმცა არ არსებობდა მისი საყოველთაო ცოდნის აუცილებლობა, რადგან არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო. შესაბამისად, ვერც იქცეოდა კულტურული და პოლიტიკური იდეოლოგიის მამოძრავებელ ძალად. X-XI საუკუნეში ერთიანი საქართველოს საზღვრის ფარგლებში გაჩნდა საჭიროება აღბეჭდილიყო არა მხოლოდ წმ. ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა, არამედ ბერძნულიდან ქართულად ეთარგმნათ არაერთი საღვთისმეტყველო და ლიტერატურული ძეგლი. იმ პერიოდში, როცა პოლიტიკურ ერთიანობას შენარჩუნების მიზნით სჭირდებოდა იდეოლოგიური სარჩული და მძლავრი ფესვგადგმული კულტურა, საჭირო გახდა მითები და ლეგენდები, რომელნიც თანადროულ ეპოქაში ერთიანობის ფაქტით კი არა, არამედ ძველის გახსენებით ხაზს გაუსვამდა ერთიანობის პრიმორდიალურ ხასიათს.

ქართველთა ისტორიული მახსოვრობა უმეტესად დაკავშირებულია ქრისტიანულ რელიგიასთან. ისტორიიდან ნათელია, რომ ის კულტურა და მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ დღეს გაგვაჩნია, ჩაისახა და განვითარდა ქრისტიანობის წიაღში. ამიტომ, შუა საუკუნეების მოღვაწეები, განსაკუთრებით კი სასულიერო პირები, ცდილობენ რომ მათ მიერ აღწერილ მოვლენებს რელიგიური ელფერი მისცემოდა. „მართალია, ეთნიკური ჯგუფები კულტურული წარმონაქმნებია, მაგრამ მათი ორგანიზების პრინციპი ბიოლოგიურად მარკირებული ჩვენ-ჯგუფების ჯგუფის ორგანიზების პრინციპის ანალოგიურია და მათი არსების ამოცნობის ამოცანას სწორედ ეს ართულებს" (ჩხარტიშვილი 2009: 25).

წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრებიდან* და წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებიდან* ნათელი ხდება, რომ ქართულ ეკლესიას აქვს უპირატესობა და უნიკალობა, რადგანაც აქ იქადაგეს ქრისტიანობა წმ. ანდრია პირველწოდებულმა და წმ. სვიმონ კანანელმა

> დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორის იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა. და ვითარცა თესლნი–არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძიელნი და მანქანანი, და ამის მიერ გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელი იყო და უმანკოჲ (აბულაძე 1967: 123).

წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებით,* მაგალითად, ნათლად იკვეთება ქართველთა ხასიათი და ისტორიული ბედისწერა. ეროვნული უპირატესობის დაფიქსირება კი სხვათა (სომეხთა) მიმართებაში გადმოიცემა. წრფელ და უმანკო ქართველთა ნათესავს უხდებოდა ცხოვრება არაკეთილმეზობლურად განწყობილი ქვეყნის გვერდით. ეროვნული ხასიათით ავტორი გამოხატავს ქართველთა ნათესავის განსაკუთრებულობას. იგულისხმება რა მორწმუნეთა შორის გამორჩეული ხალხი. წმინდა მამებს კარგად ჰქონდათ გაანალიზებული თავიანთი საქმიანობა. მათი *ცხოვრებების* კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ავტორები, ამ შემთხვევაში წმ. გიორგი მთაწმინდელი და გიორგი მცირე, საგანგებოდაც გამოკვეთენ ეთნიკურ მარკერებს და, ამგვარად, მკითხველში აღვივებენ ეთნიკურობის გრძნობას. თავისთავად ცხადია, რომ პოლიტიკური ერთიანობა საქართველოს შემთხვევაში არ მომხდარა სხვადასხვა ხალხის გაერთიანების საფუძველზე. არსებობდა კულტურული მზაობა ელიტის შიგნით, მაგრამ ამასთან ერთად საჭირო გახდა ისეთი იდეოლოგიის შემუშავება, რომელიც სამუდამოდ დააკავშირებდა ერთმანეთთან *ქართველ ნათესავს.* ერთ–ერთი იარაღი კი ეროვნული ლიტერატურის გამდიდრება იყო. ამ მხრივ XI საუკუნე გამორჩეულია, იქმნება და ითარგმნება არაერთი მნიშვნელოვანი სასულიერო თუ საერო მწერლობის ნიმუში. ეროვნული ლიტერატურის გამდიდრება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართული თვითშეგნების განვითარებას. წმ. იოანე მთაწმინდელი შვილთან საუბარში აღნიშნავდა: „ვითარმედ: შვილო ჩემო ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულ არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ იღუაწე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან" (აბულაძე 1967: 61).

წმინდა მამებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი ქართველთა წინაშე. მათ არაერთი მნიშვნელოვანი თხზულება თარგმნეს ბერძნულიდან ქართულად. არაფერი ისე არ უწყობს ხელს ერის გაერთიანებას, როგორც ეს შეუძლია ისტორიული თვალსაზრისით წყაროების შესწავლას.

მთაწმინდელებმა კარგად იცოდნენ განათლების ფასი და ისიც სწორედ განათლება განაპირობებდა ხალხის კულტურული და პოლიტიკური სიძლიერეს.

წმ. გიორგი მთაწმინდელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა საქართველოდან 80 ობოლი ბავშვის საბერძნეთში წაყვანა და იქ განათლების მიცემა. წმინდა მამა გვევლინება ბრწყინვალე პედაგოგად, რომლის მონდომებამ განათლებული პიროვნებები აღუზარდა სამშობლოს. საბერძნეთში განათლებამიღებული ახალგაზრდები დაუდგებოდნენ დარაჯად ქართული კულტურის და თვითშეგნების განმტკიცებას. მართალია, რომ

> თვით საქართველოში საგანმანათლებლო საქმე არცთუ ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ უცხოური დახმარება დასჭირვებოდა, მაგრამ საგანმანათლებლო წრე და არე განმსჭვალული გარკვეული საეკლესიო და ვიწრო, რა რაც მთავარია საეკლესიო პოლიტიკით... ერთმართველობის მომხრე ჯგუფს ხალხური ტენდენციები და აზროვნების მეტი სიფართოვე ესაჭიროებოდა (ნუცუბიძე 1958: 18).

ყოველივე ამის გათვალიწინებით XI საუკუნეში ქართულ ჩვენ-ჯგუფს თვალსაჩინო წინაპრის მითებისა და ისტორიული მეხსიერების გარდა ჰქონდათ

> გამოკვეთილი ისტორიული მეხსიერება დაფიქსირებული უაღრესად მაღალხარისხოვან ისტორიოგრაფიულ ძეგლებში; ენობრივი და რელიგიური იდენტობა, მიჯაჭვულობის გრძნობა გარკვეული ტერიტორიისადმი, რომლის ძირითადი ბირთვის უცვლელად დანარჩუნება საუკუნეების განმავლობაში ხერხდებოდა (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 83).

რელიგია და ენა არის ის ეთნო-კულტურული მარკერები, რომელიც ასევე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეთნიეს რაობას.

ქრისტიანული რელიგია საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ქართული ეთნიეს ნიშნულს. თავის დროზე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება უდიდესი მოვლენა იყო ქართული საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა არ იყო ექსკლუზიურად ქართული რელიგია, იგი გათავისებულ იქნა ქართლის მმართველი კლასის მიერ. მართლაც ქრისტიანობა უდიდეს როლს თამაშობდა ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ რელიგიამ მოითხოვა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების შექმნა, რაც უფრო მეტად და მეტად ავითარებდა განათლების დონეს და ამდიდრებდა ქართულ კულტურას. ქართველი ხალხის ცხოვრებაში რელიგიას ამ შემთხვევაში ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან რელიგია გახდა ის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო ქართული ეთნიეს კონსოლიდაციას.

> ქრისტიანული ეკლესია თავისი ცენტრალისტური ორგანიზაციით, მონოთეიზმით ხელს უწყობდა აღმავლობის გზაზე მდგარი ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს განმტკიცებას, მისი მმართველობის ცენტრალიზაციას, ცალკეული კუთხეების შემომტკიცებას, უფრო მოქნილი მმართველობის განხორციელებას. ამ შინაგანმა მიზეზებმა განაწყო ქართლის სამეფო სახლი და გაბატონებულ წარჩინებულთა კლასი ქრისტიანობის სასარგებლოდ ფეოდალური წყობილების გარიჟრაჟზე. ქრისტიანული რწმენის მიღება ხალხის სულიერი განწყობით იყო განპირობებული (მეტრეველი და *სხვები* 2006: 107).

ქრისტიანობის ქართლში გავრცელებამ თავისთავად წამოჭრა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის მთავარი იდეა იყო ქრისტეს კვართის მცხეთის ტერიტორიაზე დაფლვა. რელიგია პოლიტიკური მესვეურების ინიციატივით იქცა ქართული თვითშეგნების წრთობის მთავარ ფაქტორად და სხვადასხვა სახის კონფლიქტის აცილების მიზნით თვითონვე გარდაქმნა თავისი თავი საკრალურ ობიექტად.[9] წარმართული რელიგიის პირობებშიც იარსებებდა სხვადასხვა იდეოლოგიური ფაქტორი ერთობის შეკვრისა, მისი გადმონაშთი დღემდე არსებობს ძველ ქართულ ტრადიციაში. ცხადია ისიც, რომ მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიას არ მოუხდენია საზოგადოებაში მძლავრი მაკონსოლიდებელი მუხტის გაჩენა და მანამდეც არსებობდა წარმართული რელიგიის პრინციპებს დაფუძნებული ქართლის პოლიტიკური იდეოლოგია: „გაქრისტიანების შემდეგ დაიწყო წარმართულ იდენტობაზე დაფუძნებული ქართული ეთნიეს გააზრება, როგორც წმინდა ზიარებისა ქრისტეში ანუ ერთობის საკრალიზაცია. ეს გარდაქმნა განხორციელდა იდეოლოგიით რომლის ავტორი ქართული ერთობის წინამძღოლი მეფე მირიანი იყო (ჩხარტიშვილი 2009: 135).

ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში უდიდესი იყო ასევე ეკლესიის როლი. რომელიც ქადაგებით თუ მწიგნობრობითი საქმიანობით ცდილობდა ერთობის იდენტობის შენარჩუნებას. თუკი გადავხედავთ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ თხზულებათა უმრავლესობა

დაწერილია სასულიერო პირის მიერ. აქედან გამომდინარე წყაროები განიცდიან რელიგიურ გავლენასაც. ასეთია წმ. იოანე, წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელების *ცხოვრებების* მაგალითებიდანაც, თუმცა როგორც ქართული ეთნიკურობის აღქმის შესასწავლად მნიშვნელოვანია იმ რელიგიური მარკერის განსაზღვრა, რომელიც გამოიკვეთა ამ წყაროებზე მუშაობისას. სხვა ეთნიკური მახასიათებლების გარდა, ძეგლებში კარგად არის გამოკვეთილი რელიგიური ნიშა. ერთი მხრივ, წმ. იოანე, წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელებიც *ცხოვრებების* ავტორები სასულიერო პირები არიან, მეორე მხრივ, კი მათ კარგად იციან რელიგიის მნიშვნელობა ქართული ერთობისათვის და ცდილობენ უფრო თვალსაჩინო გახადონ იგი. რელიგია ხომ ეთნიკური ერთობის მთავარ მარკერს წარმოადგენდა დიდი ხნის განმავლობაში, თუმცა ამ მხრივ ვითარება იცვლება XI საუკუნეში. იმდენად იყო შეზრდილი ქართველი ეთნიკურობა ქრისტიანობასთან, რომ ამის ცალკე გამოყოფა ტექსტიდან პრაქტიკულად არ ხერხდება. აი, ერთ-ერთი მაგალითი წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებიდან*, სადაც საუბარია ქართველების მიმართ ბერძენთა მოშურნეობაზე: ვხედავთ, რომ ბერძნები ქართველთა მიმართ საჩივრით მიმართავენ პატრიარქ თეოდოსის იმ ბრალდებით, რომ ქართველებმა დაიკავეს ბერძნების კუთვნილი ტერიტორიები და არც კი იციან რა არის მათი სარწმუნოება. ამაზე პატრიარქი პასუხობს: „ვითარ ეგების ესე, რომელმცა ქართველნი არა მართლმადიდებელნი იყვნეს“ (აბულაძე 1967: 150). მართლმადიდებლობა ქართველთა მარკერია და ის განსაზღვრავდა ეროვნულ ხასიათს. ამის გამო მეტ–ნაკლებად მომთმენნი იყვნენ ბერძნების მიმართ, აგრეთვე, რომაელების მიმართაც (ამის შესახებ იხილეთ გიორგი მაჭარაშვილის სტატია – *ქართული ჰაგიოგრაფიის ორი ძეგლი დასავლელ ქრისტიანეთა შესახებ* ამავე ნომერში), რასაც ვერ ვიტყვით სომხების შესახებ. წმ. გიორგი მთაწმინდელის სომხების მიმართ დამოკიდებულება არა მხოლოდ მათი განსხვავებული მრწამსის ბრალია, არამედ აიხსნება იმ პოლიტიკური და კულტურული შეჯიბრით, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და, შეიძლება ითქვას, რომ ქართველობა ყველაზე თვალსაჩინოდ სომეხთა მიმართ აღიქმებოდა. ამიტომ წმინდა მამა ბიზანტიის იმპერატორის კითხვაზე თუ აქვთ სომხებს რამე მსგავსება სხვა ქრისტიანებთან წმ. გიორგი მთაწმინდელმა უპასუხა: „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედებინ“ (აბულაძე 2009: 180). სომხურ-ქართული ურთიერთობა იყო მცდელობა რელიგიური და კულტურული უპირატესობის წარმოჩენისა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ დიდი ხნის განმავლობაში სომხები წარმოადგენდნენ ქართული ჩვენ ჯგუფის *მნიშვნელოვან სხვებს*.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს იგივე რელიგია ეპყრათ, რაც ბერძნებს, აქაც ხდება ინდივიდუალურობის გამოკვეთა: „ეროვნული კულტურა, რომელიც ამ შემთხვევაში ქართული ქრისტიანული კულტურის სახით გვევლინება, ღრმად ინდივიდუალურია, თუმცა იგი საერთო, მსოფლიო კულტურის კომპონენტიც არის. რჯულს ერთობა აახლოვებს, მაგრამ არ აიგივებს ორ *ნათესავს*“ (აფციაური 1980: 23).

ინდივიდუალურობაში იგულისხმება რელიგიური გამოცდილება, ეს კარგად არის წარმოჩენილი წმ. გიორგი ათონელისა და ბიზანტიის იმპერატორს შორის საუბარში. იმაზე თუ რითი განსხავდებოდა ქართული და ბერძნული სარწმუნეობა, წმინდა მამამ უპასუხა: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ, და რაჟამს ერთგზის გჳცნობიეს არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ გინა მარჯულ და არცა მივდრეკებით“ (აბულაძე 1967: 178). რჯული ამ შემთხვევაში ერთია ბერძნებს და ქართველებს შორის, თუმცა განსხავებულია ქართული გამოცდილება. აქედან გამომდინარე საქართველომ თავისი რელიგიური ნიშა დაიკავა. როგორც ზემოთ ვახსენე, დროთა განმავლობაში ეთნიკურობის მახასიათებლების მნიშვნელობა იცვლება პოლიტიკურ დ კულტურულ მოვლენების გამო. საუკუნეების განმავლობაში თუ რელიგია წარმოადგენდა ერის თვითგანსაზღვრის უმნიშვნელოვანეს მარკერს, მისი ადგილი ენამ დაიკავა. მარიამ ჩხარტიშვილმა სწორედ აღნიშნა, რომ ენობრივი მარკერის წინ წამოწევა პირდაპირ კავშირშია ქართველთა და ბიზანტიელთა რელიგიური იგივეობის ფაქტთან. საჭირო გახდა უნიკალური თვისების წინ წამოწევა, რომელიც უფრო მეტად განასხვავებდა ბერძნულ და ქართულ იდენტობას. ასეთი მარკერის როლი კი ენამ იკისრა.

> ენის, როგორც კოლექტიური კულტურული მარკერის, განსაკუთრებული მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული. ეს მარკერი მაქსიმალურად უწყობს ხელს შიდა-ჯგუფური შეწიდულობის განმტკიცებას და გარეგან დასაზღვრას, იგი შეიძლება ითქვას, ვიზუალური მარკერია. ჩვენ ჯგუფის წევრთა შორის სოლიდარობის სენტიმენტის გაჩენას პირველ რიგში სწორედ ენა აპროვოცირებს და არა მიჯაჭვულობის ისეთი დიდი ძალის მქონე იდეა, როგორიცაა ჩვენ-ჯგუფის წევრთა საერთო წინაპრიდან წარმომავლობა, რადგან ტესტირება ენით წარმოეს პირველივე წარმოთქმული ფრაზით (ჩხარტიშვილი 2006: 91).

წმ. იოანე, წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელების *ცხოვრებების* მიხედვით ცხადია, რომ ყურადღება ყველაზე მეტად ენობრივ მახასიათებელზე არის გადატანილი. მართალია, წმინდა მამები კარგად ფლობდნენ ბერძნულ ენას, მაგრამ *წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების* შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პირველად წმ. იოანემ შვილს „ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძნულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით“ (აბულაძე 1967: 60). ქართული ენის გამრავალფეროვნებას და განვითარებას დიდად უწყობდნენ ხელს ქართველი პოლიტიკოსები. მათ კარგად ესმოდათ, რომ თუ არა ეროვნული სტანდარტიზირებული ენა, სახელმწიფოებრიობა ეჭვს ქვეშ დადგებოდა.

> სტანდარტული ენა აუცილებელია პოლიტიკური ხელისუფლების ეფექტური მოქმედებისათვის, რადგან, ჯერ ერთი პოლიტიკური ერთეულის სიმტკიცე საჭიროებს, რომ იგი იყოს იმავდროულად კულტურული ერთეულიც; მეორე, ენა, როგორც კომუნიკაციის მედიუმი, ემსახურება არა მარტო კულტურის ცირკულაციას, არამედ ნაციონალისტური იდეებისა და სენტიმენტების მატარებელ სახელმწიფო იდეოლოგიის გავრცელებასაც (ჩხარტიშვილი 2006: 91).

წმინდა მამებმა თავიანთი მთარგმნელობითი საქმიანობით გაამრავალფეროვნეს და განამტკიცეს ქართული ენა. მან, როგორც იდენტობის მთავარმა მარკერმა, შეითვისა საკრალურობა. წმ. ექვთიმე: „არა სცემდა განსუენებასა თავს თჳსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოსა შურებოდა, რომლისა დაატკბო ენაჲ ჩუენი და ეკლესიაჲ“ (აბულაძე 1967: 62) და „მუნ ჟამამდე ძნიად უბნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისთჳს, ხოლო მიერითგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროჲ აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა“ (აბულაძე 1967: 61).

ცხადია, ქართული ენა საკრალურობის მატარებელიცაა. იგი გაიგივებულია წმინდა წყალთან. ქართული ენა სიწმინდესთან ასოცირდება იმ მაგალითიდანაც, სადაც სენით დაავადებულ წმ. ექვთიმეს ღვთისმშობელი ქართულად ესაუბრება. ენის საკრალიზაცია აახლოვებს ერს წარსულთან. წარსულის პერიოდული რეანიმაცია უფრო მეტად უწყობს ხელს ერთობის თვითშეჭიდულობას. ენის გარდა საკრალიზებულია ქართული ერთობაც. ეს კარგად გამოიხატება შემდეგი მაგალითიდანაც. გიორგი შეყენებული ურჩევდა წმ. გიორგი მთაწმინდელს მოეკიდა მთარგმნელობითი საქმიანობისთვის ხელი და არწმუნებდა: „შვილო, რომელმან წმიდაჲ იგი სიკუდილისაგან იჴსნა და ქართული ენაჲ განუმარტა იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყუარს ნათესავი ჩუენი“ (აბულაძე 1967: 123).

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ქართული ეთნიე მთლიანად საკრალიზებულია და მისი არსებობა გარკვეულ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, ეს კი ეთნიეს შიდა შეჭიდულობას ძალიან უწყობდა ხელს.

ჩნდება კითხვა, თუკი საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული რელიგია წარმოადგენდა ქართული ჩვენ ჯგუფის მნიშვნელოვან მარკერს, X-XI საუკუნეში რატომ მოხდა მისი ჩანაცვლება ეწით. თავისთავად ცხადია, ჩვენ არ უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ რელიგიამ დაკარგა თავისი უდიდესი მნიშვნელობა ეთნიეს კონსოლიდაციის საკითხში.[10] როგორც ვახსენე, მართლაც, ენობრივი მარკერის წინ წამოწევა უშუალო კავშირშია პოლიტიკურ საჭიროებასთან. ეთნიე თავისი თავის თვითიდენტიფიკაციას ახდენს სხვებთან მიმართებაში. თუკი საუკუნეების განმავლობაში ეს ადგილი სომხებს ეკავათ, ამჯერად ქართული ჯგუფის მნიშვნელოვან *სხვად* ბერძნები გვევლინებიან. წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრების* და წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრების* მიხედვით, ნათელია, რომ ყველაზე მეტად ქართული ერთობის წარმოჩენა ხდება ბიზანტიასთან მიმართებაში. ბერძნების მიერ ამ ნიშის დაკავება ხდება პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამიტომ საჭიროდ ვთვლი მოკლედ მიმოვიხილო საქართველოს სომხებთან და ბიზანტიელებთან ურთიერთობა X-XI საუკუნეში.

ერთიანი საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-დან მოყოლებული საქართველოს მეფეები ცდილობენ ქვეყნის საზღვრების გაზრდას და ეს პრობლემა შეეხო მეზობელ ქვეყნებსაც. ინტერესთა თანხვედრის პირობებში ქართველი და სომეხი მეფეები ერთადაც იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, თუმცა ვითარება აბსოლუტურად იცვლება XI საუკუნეში. 1045 წელს ბიზანტიელებმა მეფობა გააუქმეს სომხეთში და სამართავად ბერძენი მოხელე დასვეს. სომხეთში ქართულმა ორიენტაციამ გაიმარჯვა და ანისის დაკავება საქართველოს მეფეს ბაგრატ IV-ს სთხოვეს. მცირე ხნით დაეუფლა საქართველო ანისს, თუმცა ბიზანტიელებმა მოახერხეს მისი დაკავება. სომხებისთვის ეს პერიოდი მრავალი შიდა აშლილობის და პოლიტიკური კრახის ხანაა. 40-იან წლებში სომხეთის ტერიტორიებს თურქ-სელჩუკები შემოესივნენ და სომხეთის სახელმწიფოებრიობა ძლიერ შეარყიეს.

განსხვავებული ვითარებაა საქართველო ბიზანტიის ურთიერთობებში. XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიამ გააძლიერა თავისი აგრესია საქართველოს მიმართ. ბიზანტია არ თმობდა თავის ჰეგემონობას კავკასიაში. შედეგად მოხდა ის, რომ დავით კურაპალატიდან მოყოლებული ბაგრატ IV- ის (რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ პერიოდით არ შემოიფარგლება ბიზანტიის აგრესია საქართველოს მიმართ, ვგულისხმობ საკვლევ პერიოდს) პერიოდის ჩათვლით ბიზანტია პერმანენტულად ახორციელებდა საქართველოს მიმართ ზეწოლას და ხშირ შემთხვევაში ვიწრო ინტერესების ანტისახელმწიფოებრივად განწყობილ ფეოდალებსაც კარგად იყენებდა. პოლიტიკურ ბრძოლას თან ერთოდა კულტურული ბრძოლაც. ბიზანტიის კარზე ამ პერიოდისათვის არაერთი ქართველს მიუღწევია წარმატებისათვის. შემოდიოდა ბიზანტიური იდეები და ამის ხელის შეშლა როდი იყო მარტივი. ეკლესია, რომელიც ყველაზე მეტად უნდა მდგარიყო ქართული კულტურის სადარაჯოზე, ვეღარ ასრულებდა ამ მოვალეობას. ამიტომ იყო, რომ ბაგრატ IV-მ წმ. გიორგი მთაწმინდელს ეკლესიის რეორგანიზება შესთავაზა და ნაწილობრივ შეძლო კიდეც. პოლიტიკურმა და კულტურულმა მოვლენებმა ავტორის ნებით თუ უნებლიედ გამოძახილი ჰპოვა *წმ. იოანე, წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელების ცხოვრებებში.*

სომხები წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის პერიოდში არცთუ ისე მომძლავრებულნი იყვნენ, რომ ქართველების წინააღმდეგ პოლიტიკური ძალადობა მოეხდინათ, თუმცა გიორგი მცირეს კარგად ახსოვს ისტორიული ვითარება ქართველებს და სომხებს შორის. გამომწვევი ძალა ამ დროს ბერძნები ხდებიან, რომელთან ურთიერთობამ და პოლიტიკურმა სვლებმა გამოიწვიეს ენობრივი მახასიათებლის წინ წამოწევა. გამოწვევა იყო, როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული. თავის მხრივ, ბერძნები ვერ ეგუებოდნენ სუვერენული სახელმწიფოს წარმოშობას და რელიგიურადაც შეეცადნენ ავტოკეფალიის მოსპობას. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა 1057 წელს წმ. გიორგი მთაწმინდელისა და ანტიოქიის პატრიარქს შორის საუბარი. წმინდა მამამ არამცთუ წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მიმოსვლით დაამტკიცა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, არამედ ისიც დაამატა, რომ თუკი ბერძნული ეკლესია წმ. პეტრეს საყდარზე იჯდა, ქართულ ეკლესიას უფრო მეტი უპირატესობა ჰქონდა, რადგან ქრისტიანობა ჩვენთან თვით ქრისტეს მოციქულებმა იქადაგეს I საუკუნეში. წმინდა მამის სიტყვებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, დაიცვა ქართული ეკლესია და, მეორე მხრივ, ბერძნულ ეკლესიას იდეურად თუ არ გადააჭარბა გაუტოლა მაინც.

ქართული ეკლესიის დაცვა, რელიგიური უნიკალურობის განსაზღვრა და საკრალიზებული ქართული ენის წინ წამოწევა მიმდინარეობდა ბერძნებთან პოლიტიკურ და კულტურულ ჭიდილში, იმის დასამტკიცებლად, რომ ბიზანტიის მეზობელი ამიერიდან სუვერენული და ძლიერი კულტურის და ტრადიციების ქვეყანა იყო. აქედან გამომდინარე, ქართულ ერთობას თავისი იდენტობის წრთობა უხდებოდა ბიზანტიასთან მიმართებაში

> ქართული კულტურის დიდი ტრადიციები არც დამტკიცებული უნდა ყოფილიყო, არც უეჭვო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ძველი მწერლების ეროვნული კულტურის თვითშეგნება და მშობელი ხალხის ღირსებებით ნაკარნახევი სიამაყე მათ ნებას არ აძლევდათ დასჯერებოდნენ მორჩილი მოწაფის როლს ელინური განათლებით აღჭურვილ მასწავლებელთა წინაშე (კახაძე 1954: 46).

რაც შეეხება სომხებს, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მათი იდენტობის გამოკვეთა ხდებოდა ქართველებთან მიმართებაში, რაც ძალიან ლოგიკურია ალბათ *წმ. იოანე, წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელების ცხოვრებებიდან.*

ქართული ეთნიკურობის შესწავლა განსაკუთრებით რთულია გარდამტეხი ეპოქებში. ეთნიე ცოცხალი არსებასავით არის და დროში განგრძობადობა ახასიათებს. ჩვენ–ჯგუფი თვითიდენტიფიკაციას ახდენს არა მხოლოდ განსხვავებულობით, მნიშვნელოვანია ამ განსხვავებულობის დონეები. ზოგ შემთხვევაში ჩვენ-ჯგუფის მიმართ ზოგი ეთნიე აღიქმება როგორც *თითქმის ჩვენნაირი*, ან ზოგ შემთხვევაში *ჩვენგან ძალიან განსხვავებული.*

ჩემი კვლევის მაგალითებით შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტია თავისი პოლიტიკური ამბიციებით ცდილობდა ქართული იდენტობის საზღვრების წაშლას. კულტურულმა ბიზანტიიზაციამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში დადებითი რეაქცია გამოიწვია. ეს შეეხო სასულიერო ფენის ნაწილსაც. წმ. ექვთიმეს გარდაცვალების შემდეგ მონასტრის წინამძღოლი გახდა მამა გიორგი, რომლის მოღვაწეობის ჟამს ქართველთა რაოდენობამ ივერთა მონასტერში იკლო, რადგან „და არა მრავლისა ჟამისა შემდგომად მამაჲ გიორგი დავიწყებად მოვიდა, და არცა ერთი რაჲ ზრუნვაჲ აქუნდა ქართველთა აღორძინებისაჲ, არამედ სრულიად ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლა, და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მიიცვალა ექვსირიობასა შინა“ (აბულაძე 1967: 95).

ბერძნების პოლიტიკა იყო გამოწვევა ქართველთა წინააღმდეგ. ამ ერთი მაგალითიდანაც ჩანს, რაოდენ პრობიზანტიური განწყობა იყო ქართული ერთობის ერთ ნაწილში, თუმცა წმ. გიორგი მთაწმინდელი ღიად საუბრობს იმ უარყოფით შედეგებზე, რომელიც განაპირობა ბერძნების ზეწოლამ ქართველთა მონასტრის წინააღმდეგ,

> ვინაიდან ბერძენთა მომრავლებამ ივირონში საბოლოოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართველები, ამიტომ მონასტერში „ბერძენთა მომრავლება“ და „ბერძნებისაკენ მიდრეკა“ მომდევნო თაობამ, რომელიც მოწმე გახდა ივირონში ბერძენთა მოქმედების მძიმე შედეგებისა, გიორგის დიდ ბრალდებად წაუყენა, მიუხედავად იმ დამსახურებისა, რომელიც გიორგის მიუძღოდა მონასტრის აღორძინების საქმეში (მეტრეველი 1996: 91).

მართლაც, მამის საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მშენებლობას, თუმცა ქართველმა მამებმა არ აპატიეს ბერძნების ტაძარში მომრავლება. წმ. გიორგი მთაწმინდელი ასევე აღნიშნავს მამა გიორგის შემდეგ წინამძღვრად მამა გრიგოლის დანიშვნაზე, რომელიც იყო ქართველთა ნუგეშისმცემელი და ხელშემწყობი.

რაც უფრო მეტად ემსგავსება ორი ეთნიკური ერთობა ერთმანეთს, მით უფრო ცდილობს რომელიმე მათგანი კულტურული ინდივიდუალიზმის და უპირატესობის გამოკვეთას.

> ქრისტიანულ ხალხთა თანამეგობრობაში თანასწორუფლებიან წევრად ყოფნისათვის აუცილებელი იყო ერთგვარი ნიშა. მოციქულის სახელთან იდენტობის დაკავშირება სწორედ ამგვარ ნიშად განიხილებოდა. ქრისტიანული ოიკუმენაში მოციქული ნაციონალური ერთობა ინდივიდუალობის გამოკვეთისათვის ყველას მიერ აღიარებულ და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. ამიტომაც კონსოლიდაციის პროცესში მყოფი ქართული ჩვენ-ჯგუფის კულტურული ელიტის წარმომადგენელთა ზრუნვის საგანი გახდა ქართული იდენტობისათვის ამგვარი ნიშას მოპოვება (ჩხარტიშვილი 2006: 89).

ბერძნები მართლაც რომ წარმოადგენდნენ ქართველების *მნიშვნელოვან სხვებს*. რაც შეეხება სომხებს წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრებიდან* და წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებიდან* ისე ჩანს, რომ განსხვავებულობა მეტია, ვიდრე მსგავსება. ამჯერად ქართული იდენტობა იქცა გამომწვევ ძალად სომხური იდენტობისათვის. ერთ-ერთი მაგალითია 1046 წელს ღრტილას საეკლესიო კრება, სადაც ექვთიმე გრძელმა (იერუსალიმელმა) სომეხ მონოფიზიტ მოძღვარ სოსთენესთან მწვავე დებატები გამართა რელიგიურ საკითხში. ქართველებს კარგად ესმოდათ სომხებისთვის, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიას. ეს იყო მცდელობა სომეხთა ქართულ ჩვენ ჯგუფში შემოსვლისა, რაც წარუმატებლად დასრულდა.

> მართალია, „სომხების გაქართველება“ არცთუ ისე ადვილი იყო, რადგან დიდი ისტორიისა და მაღალი კულტურის სომხებს თავისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახე მკვეთრად ჰქონდათ გამოხატული იმ დროისათვის, მაგრამ პოლიტიკური ვითარება ამ ეტაპზე საქართველოს სასარგებლოდ იყო შექმნილი და ისიც ყოველნაირად ცდილობდა თავისი ფართო გეგმების რეალიზაციას (ანთელავა და *სხვები* 1979: 253).

ეთნიკურობის განცდა ქართულ ჩვენ-ჯგუფში მომძლავრებულია. იმდენად არის წარმოჩენილი ეთნიკურობის მახასიათებელი, რომ X-XI საუკუნეებში აშკარად საქმე გვაქვს განვითარებულ ქართულ ეთნიეს თან.

თ.ჰ. ერიქსენმა განსაზღვრა ჯგუფური სოლიდარობის ორი მდგომარეობა. შიგნიდან დანახული ჩვენ-ჯგუფი (we-hood) და გარედან დანახული ჩვენ-ჯგუფი (us-hood). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხალხი სოციალურად ინტეგრირებულია *სხვასთან* მიმართებაში, პირველ შემთხვევაში კი ჯგუფის ინტეგრირება ხდება კოლექტივის შიგნით საერთო მოქმედებების გზით (ერიქსენი 2002: 67).

რამდენადაც საკვლევი წყაროებიდან კარგად არის წარმოჩენილი საკუთარი ეთნიკურობა, იმდენად საინტერესოა როგორ უყურებდა X-XI საუკუნის ქართული საზოგადოება სხვა ეთნიკურობას. წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრებაში* და წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებაში* იხსენიება სხვადასხვა ხალხი: ებრაელები, სომხები, ბიზანტიელები, ლათინები, ასურელები და სხვა. ქართველების მხრიდან მათი ეთნიკურობის აღქმა ზოგ შემთხვევაში უფრო ნათლად არის გამოკვეთილი, ზოგ შემთხვევაში – შედარებით მკრთალად. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენილნი არიან ბიზანტიელები და სომხები.

საინტერესოა აგრეთვე ბერძნების თვალით დანახული ქართული იდენტობა. წმ. გიორგი მთაწმინდელი ბიზანტიისათვის წარმოადგენდა ქართველთა სახეს, თუმცა მისი ქცევა და განსწავლულობა ძალიან ახლოს იდგა ბიზანტიურთან. ბიზანტიის იმპერატორს არაერთხელ აღუნიშნავს

წმ. გიორგი მთაწმინდელის პორტრეტის ეს შტრიხი. ბაგრატ მეფის წარგზავნილთანაც კი უხსენებია, რომ: „მადლიერ ვარ უფლისა ბაგრატ სევასტოსისადა, რომელ ესევითარი კაცი, მიმსგავსებული ანგელოზთაჲ, წინაშე მეფობისა ჩუენისა წარმოავლინა, რამეთუ დაღაცათუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩუენი ჰმოსიეს“ (აბულაძე 1967: 177).

„ყოვლითურთ წესში“ თავისთავად იგულისხმება მართლმადიდებლური რელიგია, ბერძნული ენა და განსწავლულობა. როგორც ჩანს, ბერძნები თავს იწონებდნენ მეცნიერების მაღალი დონით, რაც ფაქტობრივად მათ ნიშას წარმოადგენდა. ამიტომაც ცალკე აღნიშნა ანტიოქიის პატრიარქმა წმ. გიორგი მთაწმინდელის ეს ღირსება სწავლულებითა და მეცნიერებითა ბერძენთა სწორი.

> ეს შეფასება, მართალია, განადიდებდა გიორგი მთაწმინდელს პიროვნულად, მაგრამ იგი ამცირებდა ქართულ ჩვენ-ჯგუფს, რომელიც, მათი წარმომთქმელის პოზიციით, აშკარად არ არის ბერძნულის სწორი. სტატუაცია რომ ამგვარად უნდა გავიგოთ, ეს ჩანს წმინდა გიორგი მთაწმიდელის პასუხიდანაც, რომელშიც იგი უპირველესად წამოჭრის ნაციონალურ საკითხს. ჰაგიოგრაფი გვიჩვენებს თუ როგორ ხისტად პასუხობს წმინდა მამა პატრიარქს და ბერძენთა პრეტენზიებს განათლებით უპირატესობაზე უპირისპირებს ქართველთა მორალურ უპირატესობას (ჩხარტიშვილი 2009: 89).

ამ ორი ბრწყინვალე ძეგლის ავტორები – წმ. გიორგი მთაწმინდელი და გიორგი მცირე ბიზანტიელების სახით ქმიან უცხოს ხატს, რომელიც არაერთხელ არის წარმოჩენილი ძეგლებში. მამა იოანეს წერდნენ ათონის სხვა ქართველი მამები, რომ „აწ ვეველდრებით სიწმიდესა თქუენსა, რაითა მოხჳდეთ და ერთგან ვიყოფოდეთ, ვინაჲთგან უწყით, რომელ ჩუენცა უცხოებასა ვართ“ (აბულაძე 1967: 57). მიუხედავად ქართულ სოციუმში ყოფნისა, ძნელი აღმოჩნდა ქართველი მამებისთვის წინამძღვის გარეშე ათონზე დარჩენა, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი ადგილები განგებ არის დატანილი წმინდა მთაწმინდელი მამების *ცხოვრებებში,* რაც ეროვნული იდენტობის გამოკვეთისათვის იყო გამიზნული. ბიზანტიელებისგან ქართულ უცხოობას არა მხოლოდ ქართველები აღნიშნავენ, არამედ ამაზე საუბრობს რომაელი ბერი, ბიზანტიაში ყოფნისას, ქართველი მამები რომ ნახა, თქვა: „ჩუენცა უცხონი ვართ, შენცა უცხო ხარ. და ძლით დაარწმუნეს, რამეთუ ენება, რაჲთამცა ერთგან იყვნეს მონასტერსა შინა“ (აბულაძე 2009: 65).

ზემოთ განხილული მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ჩვენ-ჯგუფის მთავარი საზრუნავი საგანი ქართული ერთობის გამოკვეთა იყო და ეს ხდებოდა ბიზანტიელებთან მიმართებაში. მართლმადიდებლური რელიგიის ქართული გამოცდილება და ენობრივი მარკერის წინ წამოწევა უშუალო კავშირშია სურვილთან მოიპოვონ ბერძნებისაგან განსხვავებული კულტურული ნიშა, ამიტომ ბიზანტიური ეთნიკურობა საგრძნობლად აღიქმებოდა ქართველი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეების მხრიდან. ქართველად ყოფნისათვის გადამწყვეტი გახდა ენობრივი მარკერი. თუკი ადრეულ საუკუნეებში ძირითადად რელიგია გამოხატავდა ჩვენ-ჯგუფს, განსახილველ ეპოქაში ეს ადგილი ენამ დაიკავა. ეს პროცესი განაპირობა, როგორც დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ სწრაფვამ, ასევე ბიზანტიასთან ურთიერთობამ. ქმნული არ ნიშნავს იმას, რომ რელიგიამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. იგი ამ ეპოქაში კვლავ გასათვალისწინებელი მარკერია, თუმცა არა უმთავრესი. ამ დროს ქართული ერთობა იძენს პრემოდერნული ნაციის ნიშნებს. ეთნიე, რომელიც სისხლით ნათესაობაზე იყო დაფუძნებული, ნელ-ნელა ირღვევა და მასში ერევიან სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები. ეს არ იყო მარტივი პროცესი, თუმცა გარდამავალი პროცესის ელემენტები კარგად შეინიშნება წმ. იოანე და წმ. ექვთიმე *ცხოვრებიდან* და წმ. გიორგი მთაწმინდელების *ცხოვრებიდანაც.* საკრალიზებულია მთლიანად ქართული ენა და ქართველთა ნათესავი. ამით ხაზი ესმევა როგორც წარმომავლობას, ასევე რელიგიის ჭეშმარიტებას. მეორე ეტაპი ეს არის ეთნიედან ნაციონალური ნიშნების შეთვისება ანუ გაერება. „XI საუკუნეში გაცხოველებულმა კულტურულმა საქმიანობამ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მოამწიფა ქართული თვითშეგნება“. მკვლევრის აზრით, „ქართველებს მრავალჯერ ჰქონდათ საშუალება დარწმუნებულიყვნენ, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთიდაიგივე არ იყო, როგორც მათ წინათ ეგონათ“ (ჯავახიშვილი 1983: 342).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების *ცხოვრების* და წმ. გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრების* მიხედვით საქმე გაქვს ეთნიკურობის მკაფიო აღქმასთან: ქართული ჩვენ-ჯგუფი თავის თავს მოიაზრებს როგორც ქართული ენით მოლაპარაკე საკრალურ ერთობას, ბიზანტიური იდენტობა განისაზღვრება ენითა და განათლების მაღალი დონის მაჩვენებლით, ხოლო სომხობის არსს განსაზღვრავს რელიგია.

ეთნიკურობის კვლევა ნამდვილად აქტუალურია, მითუმეტეს, საქართველოს ისტორიის მაგალითზე. როგორც ითქვა, თუ არ ჩავთვლით ცალკეული სტატიებს, ფაქტობრივად შეუსწავლელია

ქართულ სინამდვილეში ეთნიკურობის აღქმა ისტორიული ეპოქების მიხედვით. ჩემი ნაშრომის მიზანი კი ამ ხარვეზისა აღმოფხვრა იყო, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც.

კვლევის ფოკუსში ამჯერად საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან პერიოდი X-XI საუკუნეზე მოექცა. ეს ის დროა, როდესაც იწყება საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური გაერთიანების და აღმავლობის ხანა. შესაბამისად, უფრო მეტი რაოდენობის წერილობითმა წყარომ მოაღწია ჩვენამდე. ქართული კულტურა და თვითშეგნება მომძლავრებულად არის წამროჩენილი სხვადასხვა ჟანრის თხზულებებში. ეს ბუნებრივია, იმიტომ, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებამ, შესაძლო გახადა იდეოლოგიის ხალხისთვის მიწოდება, რასაც ემსახურებოდა კიდეც ამ პერიოდის საერო და სასულიერო მწერლობა.

ამრიგად, კვლევამ საშუალება მოგვცა მოგვეძიებინა ძალიან საინტერესო მასალა ქართველთა თვითიდენტიფიკაციასა და იდენტობის მახასიათებლების განსაზღვრისათვის. პერიოდი, რომელიც გარდამტეხია ქართველთა თვითცნობიერების განვითარებაში, საინტერესოა სხვა ეთნიკური ერთობების დამზერის კუთხითაც, რომელიც ერთგვაროვნად არ უნდა შეფასდეს.

შენიშვნები

[1] არსებობს ეთნიკურობის განმარტებისადმი პრიმორდიალისტური მიდგომაც, რომლის მიხედვით ეთნიეს აქვს ბუნებრივი ხასიათი, ის ბუნების ნაწილია და დროის მიღმაა, მეორე მიდგომა ეს არის პერენიალისტური, რომლის მიხედვით ეთნიკურობა სიტუაციურია, ინსტრუმენტალისტები ეთნიკურობაში ყველაზე მეტად ეთნიეს სოციალურ ბუნებას გამოყოფენ.

[2] აქ არ იგულისხმება მთელი კოლექტივის მასშტაბით კულტურის საჯაროობა. მხედველობაში მაქვს შუა საუკუნეების საზოგადოების ელიტური ნაწილი.

[3] მკვლევრები ეთნიეს და ნაციის ფენომენს იკვლევენ ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ჩარჩოებში. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ნაციას აქვს ეთნიკური საფუძველი. რადგანაც, ეთნოსიმბოლისტების აზრით ნაცია თავისთავად ახალი ფენომენია. განვითარებულმა ეთნიემ შეიძლება შეითვისოს ნაციისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ამ შემთხვევაში კი, ჩვენ საქმე გვაქვს პრემოდერნულ ნაციასთან (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 34-76).

[4] მხედველობაში მაქვს გრიგოლ ხანძთელის *ცხოვრებიდან* ცნობილი ფრაზა „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ (აბულაძე 1963: 290).

[5] გ. მაჭარაშვილი. *ერის* და *არაერის* მნიშვნელობა ძველ ქართულში. მოხსენება წაკითხულ იქნა კონფერენციაზე: ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები. იხილეთ თეზისი. ავტორს დიდ მადლობას ვუხდი მოხსენების მოწოდებისათვის.

[6] მკვლევრები, მათ შორის, ი. ჯავახიშვილი, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია წმ. გიორგი მთაწმინდელის განსხვავების მიზნით, მის ბიოგრაფს უწოდებენ გიორგი მცირეს, ბერს, ან მონაზონს.

[7] ქართულ ჰაგიოგრაფიაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ქართველის უცხოეთში მოღვაწეობის ფაქტი აღინიშნება ტერმინით – *მოქალაქეობა*. ეს დაფიქსირებულია ძეგლების სათაურებშიც. მაგალითად, *ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ ილარიონ ქართველისაჲ* და *ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ პეტრე ქართველისაჲ*.

[8] სავარაუდოა, რომ ობოლი ბავშვების ათონზე წაყვანას მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. განსხვავებული აზრი აქვს ილია ფერაძეს, რომლის შეხედულებით, ათონის მონასტერი იქცა ქართული განათლების ტაძრად. აქ გიორგი მთაწმინდელმა დააარსა სასწავლებელი, რომელშიაც ქართველთა გარდა სხვა ერის შვილებიც სწავლობდნენ; სასწავლებელს საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა (ფერაძე 1918: 75).

[9] მართლაც, საქართველოს სამეფო ტახზე ბაგრატიონთა ხანგრძლივი მოღვაწეობა ერთ-ერთი შეუდარებელია მსოფლიო ისტორიის გამოცდილებიდან. მიზეზი ალბათ მათ საკრალურობაში უნდა ვეძიოთ. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში ბაგრატიონთა წინააღმდეგ არაერთი ფეოდალი გამოსულა, არ არსებობს შემთხვევა, რომ რომელიმეს ქართული მმართველი დინასტიის შეცვლა მოენდომებინოს.

[10] განსხვავებული აზრი აქვს ი. კაჭარავას ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპებზე, კერძოდ, იგი თვლის, რომ ქრისტიანული რელიგია X საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით კარგავს უნარს იყოს ხელშემწყობი ნიშან-პიროობა ქართველთა ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბება-განმტკიცებაში. ამასთან ერთად ქრისტიანული რელიგია და ეკლესია უკვე ისტორიული განვითარების შემაფერხებელ ძალად გვევლინება. ეკლესია აშკარად უპირისპირდება ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესებს (კაჭარავა 1966). ჩემი აზრით, არასწორი მსჯელობა აქვს მოყვანილი მკვლევარს. ერთია, რომ რელიგია ყოველთვის ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას, განსხვავება იყო მხოლოდ მისი მახასიათებლების უპირატესობის წინ წამოწევა. მეორე მხრივ, გაუგებარია რა იგულისხმება ხალხის დიდ უმრავლესობაში. არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ შუა საუკუნეებში პოლიტიკური ელიტა იყო გადამწყვეტი აქტორი ქვეყანაში და გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ წმინდა მამების ერთ-ერთი ხელშემწყობი ძალა მათ დიდ კულტურულ საქმიანობაში სწორედ ეს უკანასკნელნი იყვნენ.

დამოწმებანი

აბულაძე 1963: ი. აბულაძე. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი მომზადდა ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წიგნი I, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1967: ი. აბულაძე. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი მომზადდა ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება.

ანთელავა და *სხვები* 1979: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, მთავარი რედაქტორები: ი. ანთელავა, ვ. დონდუა, გ. მელიქიშვილი, ტ. III, თბილისი, მეცნიერება.

აფციაური 1980: ჯ. აფციაური. გიორგი მცირის გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ერიქსენი 2002: T.H. Eriksen. Ethnicity and Nationalism. Second Edition. Pluto Press.

კაჭარავა 1966: ი. კაჭარავა. ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბილისი.

კახაძე 1954: მ. კახაძე. ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კეკელიძე 1945: კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ტ. II, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კეკელიძე 1980: კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. ტ. I, თბილისი, მეცნიერება.

კიკნაძე 2002: ზ. კიკნაძე. ნათესავიდან ერამდე. კრებული ეთნიკურობა და ნაციონალიზმი. რედაქტორები დავით მუსხელიშვილი და მარიამ ჩხარტიშვილი, თბილისი.

მაჭარაშვილი 2012: გ. მაჭარაშვილი. ერის და არაერის მნიშვნელობა ძველ ქართულში. კრებული ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები, თბილისი, უნივერსალი.

მეტრეველი 1995: ე. მეტრეველი. სამახსოვრო წიგნები, ფილოლოგიური ძიებანი. კრ. II, თბილისი, მეცნიერება.

მეტრეველი 1996: ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, ნეკერი.

მეტრეველი და *სხვები* 2006: საქართველოს ისტორია. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, სარედაქციო კოლეგია ნათელა ვაჩნაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ნოდარ შოშიაშვილი, გივი ჯამბურია, ოთარ ჯაფარიძე. ტ. I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნუცუბიძე 1958: შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. II, თბილისი, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

პატარიძე 2002: ლ. პატარიძე. ერი-სიტყვა და ცნება უწინ და დღეს. კრებული ეთნიკურობა და ნაციონალიზმი. რედაქტორები დავით მუსხელიშვილი და მარიამ ჩხარტიშვილი, თბილისი.

პატარიძე 2008: ლ. პატარიძე. მოქალაქეობა ქართლის სამეფოში ქრისტიანიზაციის კონტექსტში. სტატია, ჟურნალი სემიოტიკა. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სემიოტიკის კვლევის ცენტრი. წ. III.

ჟორდანია 2004: თ. ჟორდანია. ქრონიკები. რედაქტორი ბუბა კუდავა. ტ. I, თბილისი.

სირაძე 1975: რ. სირაძე. ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სმითი 2004: A.D. Smith. Chosen Peoples: Sacred Sources of National Identity, Oxford Unversity Press.

სმითი 2008: ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. თარგმნა ლელა პატარიძემ, ლოგოს პრესი.

ფერაძე 1918: ი. ფერაძე. საქართველოს მოკლე ისტორია, ჭუთაისი, თ.ა. მთავრიშვილისა და ამხანაგობის გამოცემა.

ჩხარტიშვილი 2002: მ. ჩხარტიშვილი. ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემატიკის თვალთახედვით. ეთნიკურობა და ნაციონალიზმი I (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუტთაშორისო სემინარის მასალები), თბილისი, ინტელექტი.

ჩხარტიშვილი 2006: მ. ჩხარტიშვილი. წმინდა მამა გიორგი მთაწმიდელი და ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეში. ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. XI, თბილისი, მემატიანე.

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბილისი, კავკასიური სახლი.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში: ივერია და მისი მკითხველი საქართველო. წ. I, თბილისი, უნივერსალი.

ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი. რედაქტორი: ვ. გაბაშვილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ტ. II, თბილისი, მეცნიერება.

ჰათჩინსონი, სმითი 1996: J. Hutchinson, A.D. Smith (Eds.) Ethnicity, Oxford, New New York, Oxford University Press.

Perception Ethnicity in Medieval Georgia according to the Vitas of Saint Ioane and Saint Ekvtime Mtastsmindelis and Vita of Saint Giorgi Mtatsmindeli

Sopio Kadagishvili

Ethnicity is a key concept for characterizing worldview of a society. The paper discusses how was perceived ethnicity in Georgian medieval society according to the Vitas of Saint Ioane, Saint Eqvtime and Saint Giorgi Mtatsmindelis (Atonites). The Vitas of Saint Ioane, Eqvtime and Giorgi Atonites are well-studied from the different points. However, these sources have not been studied from the above mentioned point yet.

The present paper aims to fill up this gap in Georgian historiography: the goal of our research to use their data for characterizing the mode of perceiving ethnicity by the eleventh century Georgian community.

Hagiographical monuments best of all narrative sources enable to reflect identity sentiments and therefore are very useful for study conceptualization of ethnicity. The richness of above-mentioned hagiographical writings with the direct and indirect information, allows us to reveal and identify the phenomenon ethnicity as it was viewed in pre-modern Georgia. The obtained data captures the very soul of the epoch.

Studying phenomena of ethnie as well as nation has a long stand history, but the active research began from the second half of the nineteenth century. Nowadays more and more sociologists, political scientists, historians are interested in this issue. In result in disposal of scholars are huge number of relevant theoretical literatures. Our investigation is based on the definitions of ethnicity offered by A.D. Smith, J. Hutchinson (see edited by them the reader *Ethnicity*) and T.H. Eriksen (see his book *Ethnicity and Nationalism*). On a ground of the theoretical assertions provided by above authors the relevant indicators were selected and the monuments were analyzed according to these indicators.

სოფელ ჯოჭოს ქრისტიანული წარსულიდან

კახაბერ ქამადაძე

იშვიათია საქართველოში ხეობა და მასში შემავალი სოფელი, სადაც ქრისტიანული საქართველოს სიმბოლო – ეკლესია-მონასტერი არ ყოფილიყო. ჟამთა სიავის გამო ზოგი მათგანი ჩვენამდე საერთოდ არ მოღწეულა, ზოგიც ნანგრევების სახით შემორჩა. ასეთი სურათი განსაკუთრებით სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს იმ ქრისტიანულ კუთხეებს ახასიათებს, რომლებიც ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყვნენ მოქცეული (კახიძე, მალაყმაძე 2010: 48).

აჭარა, საქართველოს ეს ერთ–ერთი ძირძველი მხარე, ქრისტიანობას ჩვ.წ. I ს-დან ეზიარა ქრისტეს მოციქულების (წმ. ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი, მატათა) მისიონერულ საქმიანობის დროს (ფუტკარაძე, ბურკაძე 2009: 49). თითქმის ყველა ძველ სოფელში არსებობს ქრისტიანული ეპოქის ამსახველი ზეპირსიტყვიერი, ტოპონიმიკური, ონომასტიკური, ეთნოგრაფიული თუ ნივთიერი მასალა. შემორჩენილია ქრისტიანული ეკლესიის ნაშთები, რომელთა მშენებლობა ძირითადად განვითარებულ შუა საუკუნეებზე მოდის (XI-XIII სს) (მამულაძე 1993: 72).

XVI ს-ის^60-იანი წლებიდან ეს მხარე ოსმალ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცა. თავიანთი ძალაუფლების დამყარებისა და ისლამის გავრცელების მიზნით დამპყრობლებმა დაიწყეს ეკლესია-მონასტრების ნგრევა და მათ ნაცვლად ამ ქრისტიანული სალოცავების ნანგრევებზე მეჩეთების აგება (ზოიძე 2008: 144). მოსახლეობა, რომლისთვისაც ქრისტიანობა ეროვნულ რელიგიად იყო ქცეული, ძნელად ეგუებოდა გამუსლიმანების პროცესს და იბრძოდა ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის (დიასამიძე 2009:105). ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობისა და ისლამის ძალდატანებითი გავრცელების პირობებში აჭარის მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ეროვნული ღირებულებები, ზნე-ჩვეულებები და, რაც მთავარია, არ გაუწყვეტია სულიერი კავშირი დედასამშობლოსთან. მაგრამ, უცხო რეჟიმმა ისლამის რელიგიის დამკვიდრებით გარკვეული ზეგავლენა მაინც მოახდინა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე. ეს ზეგავლენა აისახა ყოფის სხვადასხვა მხარეებზე, მათ შორის, მატერიალურ და სულიერ კულტურაზე (ზოიძე 2008: 144).

აჭარის ისტორიის სპეციფიკურობის გამო, ქართულ საზოგადოებრიობას ყოველთვის აინტერესებდა ამ მხარის მოსახლეობის ცხოვრებისა და სულიერების მდგომარეობა, როგორც ოსმალთა ბატონობის დროს, ისე მომდევნო ხანებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი მოღვაწეების: გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაძის, ზ. ჭიჭინაძის, თ. სახოკიას და სხვათა აჭარისწყლის ხეობაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ჩანაწერები და შეფასებები, XIX საუკუნის ბოლოს, აჭარის დედა საქართველოსთან დაბრუნების უახლოეს წლებში, ახლანდელი სამი რაიონის ტერიტორიაზე (ქედა, შუახევი, ხულო) აღრიცხულია 150-ზე მეტი სოფელი, რომელთაგან 90-ზე მეტში მკვლევრები ეკლესიის ნანგრევთა არსებობაზე მიუთითებენ (დიასამიძე 2009: 319-320). ზოგიერთ სოფელში ორი ეკლესიაც ყოფილა (ორთაბოხნა, საღორეთი, დარჩიძეები), მარტო დღევანდელი ქედის რაიონის ტერიტორიაზე 40-მდე ეკლესიაა დაფიქსირებული, რომელთაგან, ზოგიერთში XIX საუკუნის შუა ხანებამდე ადგილობრივები მოსალოცად და შეწირულობების მისართმევად დადიოდნენ და ქრისტიანულ დღესასწაულებს აღნიშნავდნენ (ბაქრაძე 1987: 49). მოსახლეობა შიშით, რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდა ამ სალოცავებსა და მათ გარშემო არსებულ ბზის კორომებს, რის წყალობითაც მოაღწიეს მათ ჩვენამდე. შუახევის რაიონის მარტო ერთ, კერძოდ, მარეთის ხეობაში, სადაც ამჟამად მხოლოდ ერთი მოქმედი ეკლესიაა (გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის), მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში 20-მდე სალოცავია დაფიქსირებული და, რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, აქ ამჟამად მოქმედ სასოფლო მუზეუმებში (ოლადაურის, კვიახიძეების) დაცულია არაერთი ექსპონატი, რომლებიც ჩვენი ქრისტიანული წარსულის შესახებ მიგვანიშნებენ (დიასამიძე 2009: 322).

ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების შესწავლის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, რუსეთის საიმპერიო არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით აჭარა-შავშეთში მოგზაურობისას, მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია და საინტერესო მასალა მოუპოვებია გრაფინია პრასკოვია უვაროვას ხულოს რაიონის სოფელ ვანაძეების (აგარის) ეკლესიის ნანგრევებზე (უვაროვა 1891: 189).

მხარის სიძველეთა სერიოზული, გეგმაზომიერი კვლევა დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებში, როცა სპეციალური არქეოლოგიური ექსპედიციები მიავლინა ამ ხეობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. გაითხარა სხალთის დიდი და მცირე ეკლესიები, თხილვანის ეკლესია, ვერნების ეკლესია, თიკანაურის ეკლესია, კალოთა, საციხურის (ჯვართვნის) ეკლესია, ვანაძეების (აგარის) ეკლესია (ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. შ. მამულაძე), გამოქვეყნდა საინტერესო გამოკვლევები (მამულაძე 1993; 1998). გათხრები ჩატარდა დიდაჭარაშიც.

მაგრამ შესასწავლი ჯერ კიდევ ბევრი ძეგლია. ქრისტიანული სალოცავების დღემდე შემორჩენილი ნანგრევების მეცნიერული კვლევა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენას აჭარის მდიდარი ქრისტიანული წარსულის შესახებ.

ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სოფელ ჯოჯოს ქრისტიანულ წარსულზე. ამ სოფელს, ქრისტიანულ სალოცავთა სიმრავლით აჭარაში გამორჩეული ადგილი ეკავა. იგი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რაიონული ცენტრიდან დაახლოებით 5-6 კილომეტრში. სოფელი ორი პატარა მდინარის, ჯოჯოს წყლისა და მისი მარჯვენა შენაკადის – წყალგველას ხეობებშია შეფენილი და ორი ნაწილისაგან – ქვემო და ზემო ჯოჯოსაგან შედგება. აქ ბევრ ადგილზე ფიქსირდება ნაეკლესიარები, მარტო ზემო ჯოჯოს ტერიტორიაზე ოთხ ადგილას დასტურდება ეკლესია-საყდრის არსებობა (უზნაძე 2012: 13). ჯოჯოს წყლის მარცხენა მხარეს, *ქვაკიბიასა* და *ნასელვარას* მიდამოებში მდებარეობდა ორი ეკლესია. ტაძარი არსებულა, აგრეთვე, *ყანაგრძელას* ტერიტორიაზე. როგორც ირკვევა, აღნიშნული მიდამოები წარმოადგენდა სოფლის ერთ-ერთ ძველ დასახლებას. ქვემო ჯოჯოში, მდინარე წყალგველას მარცხენა მხარეს, შემორჩენილია ნაეკლესიარი. 1960 წ. აქ აღმოჩნდა საფლავის ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა: „შეიწყალე ღმერთო გ(რიგ)ოლ (კო)ჭლაძე...“). აღნიშნული გვარი ერგეს თემში დღესაც დასტურდება (უზნაძე 2008: 121). წყალგველას მარჯვენა მხარეს, არფაზონის მთის კალთაზე, არის ფერდობი ადგილი, რომელსაც აქაური მკვიდრნი „თეთროსანს“ უწოდებენ. მსგავსი სახელწოდების ადგილები და ნაეკლესიარები აჭარაში არცთუ იშვიათია. გამოკვლეულია, რომ იგი უკავშირდება წმინდა გიორგის სახელს.

აჭარის ქრისტიანული წარსულის შესახებ ცნობები მოიპოვება *ტბეთის სულთა მატიანეში*, რომელიც შედგენილია XII ს–დან მოყოლებული. *მატიანეს* ცნობით, ეკლესია–მონასტრების მშენებლობისათვის შემოწირულობები გაუღიათ არა მარტო მაჭახლის ხეობის კირნათის, ჩიქუნეთის, ჩხუტუნეთის, ოღლაურის, არამედ მეზობელი რეგიონების, კერძოდ, ერგეს, ჯოჯოს, კიბეს, ასევე ქედის რაიონ სოფელ ზენდიდის მაცხოვრებლებსაც. ეკლესია შენდობას თხოვს ღმერთს შემომწირველთა სასარგებლოდ (ბექირიშვილი,1998: 21). ჩვენთვის საინტერესოა *მატიანეში* სოფელ ჯოჯოსა და მისი წარმომადგენელის მოხსენიება, კერძოდ, ჯოჯოელი ჭანისძე გრიგოლი და მისი მეუღლე ნათელი (ენუქიძე,1977: 18). აღსანიშნავია, რომ სოფელში დღემდე ცხოვრობს ჭანიძეთა გვარი.

შუასაუკუნეებში ეკლესია-მონასტრების შემომწირველები, როგორც ცნობილია, ძირითადად იყვნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები – მეფეები, ფეოდალები, მაღალი სამღვდელოება. ამის გამო სააღაპე ჩანაწერებში და სულთა მატიანეებში, ჩვეულებრივ, პირველ რიგში, შესულია მათი გვარები. მაგრამ წყაროებში დაცულია ცნობა დაბალი ფენის შემომწირველთა შესახებაც. *ტბეთის სულთა მატიანეს* შემორჩენილი ტექსტი კერძო პირთა მოსახსენიებელი ტექსტი უნდა იყოს (ენუქიძე 1977: 43).

სოფელ ჯოჯოში არსებული ნაეკლესიარებიდან ერთ-ერთი მათგანის შესწავლა 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოხერხდა. მკითხველის ყურადღებას ამჯერად სწორედ ამ ნაეკლესიარზე გავამახვილებთ.

ნაეკლესიარი მდებარეობს მდინარე ჯოჯოს წყლის მარჯვენა სანაპიროზე სოფლის ცენტრში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სახტარს უწოდებს. გათხრების შედეგად აღმოჩნდა მცირე ზომის (7,5X5,6მ) ეკლესიის ნანგრევები, რომელიც საძირკვლების დონემდეა მორღვეული. (სურ. 1). სამხრეთის მხარეს, საძირკვლად და, ნაწილობრივ, კედლად მოგრძო ზომის საკმაოდ მაღალი ბუნებრივი ქვის ლოდია გამოყენებული. ეკლესიის აფსიდა კედელშია ჩასმული. ეკლესიას სამხრეთითა და დასავლეთით ჰქონია შესასვლელები. დასავლეთით მთელს სიგრძეზე მიშენებული ჰქონდა (5,6X4,1 მ) საძვალე (სურ. 2, სურ. 3). მისი კედლები საძირკვლებითურთ უმუალოდ მიშენებულია ეკლესიის დასავლეთ კედელზე. საძვალეს ჰქონია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ერთადერთი შესასვლელი (სიგანე 70 სმ). მინაშენის გათხრებმა გვიჩვენა, რომ შიგ სხვადასხვა დროს 21 მიცვალებული ყოფილა ჩასვენებული (სურ. 3) დასაკრძალავი კამერის გამოთავისუფლების მიზნით, ჩანს, ძვლოვანი მასალის კუთხეებში მიხვეტვის ფაქტები. თუმცა, დაფიქსირდა რამოდენიმე შემთხვევა, როცა მიცვალებულთა ძვლოვანი მასალა ხელუხლებელი იყო. (მამულაძე, ქამადაძე 2013:95) ისინი დაკრძალულნი არიან ქრისტიანული წესით: წვანან გულაღმა, თავით

დასავლეთით, ხოლო სახით აღმოსავლეთისაკენ იცქირებიან. ხელები კი გულმკერდის არეში აქვთ დაკრეფილი (სურ. 3).

ნაეკლესიარის ტერიტორიაზე, აღმოჩდა მცირე რაოდენობის ყვითლად და მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, ჩალისფერკეციანი სასმისების პირ-კედლის ფრაგმენტები, ქოთნის, კეცისა, და ქვევრის ძირ-კედლისა თუ კედლის ნატეხები.

შესწავლილი საეკლესიო ნაგებობა, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, შეიძლება XI ს-ით დავათარიღოთ, რაც შეეხება საძვალეს, ჩანს, რომ იგი ცოტათი მოგვიანებითაა მიშენებული და გამოიყენებოდა XVI-XVII საუკუნეებამდე, კერძოდ, ამ რეგიონში ოსმალთა ბატონობის დამყარებამდე. საძვალე, ვფიქრობთ, რომ უშუალოდ საეკლესიო მსახურთა დასაკრძალავად იყო გამოყენებული.

ჩვენ მიერ შესწავლილი ნაგებობა დარბაზული ტიპისაა. აღსანიშნავია, რომ აჭარისწყლის ხეობაში დღემდე შესწავლილი საეკლესიო ნაგებობათა უმრავლესობა დარბაზულ ტიპს განეკუთვნება, დარბაზული ეკლესიები, აჭარის გარდა, ფართოდაა გავრცელებული გურიაში, იმერეთში, აფხაზეთში, ქართლში და ა.შ. (კახიძე და *სხვები* 2010: 20). დარბაზული ტიპის ეკლესიები წამყვანი ჩანს ადრეული შუასაუკუნეებიდან (V-VI სს) თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გაჩენის დღიდან გუმბათიანი ტაძრების თანამგზავრებადაა მიჩნეული (ბერიძე 1974: 26).

არქეოლოგიური გათხრებითა და დაზვერვებით დასტურდება, რომ ამ ტიპის ეკლესიები აჭარისწყლის ხეობის თითქმის ყველა სოფელში არსებობდა მათთვის, დამახასიათებელია წაგრძელებული სწორკუთხედი, რომელიც შიგნით აღმოსავლეთის მხარეს ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. აფსიდა (სხალთის გარდა) სწორკუთხედის ფარგლებში რჩება. მათი სახურავი ორფერდა უნდა ყოფილიყო. შესასვლელები ჩვეულებრივ სამხრეთით ან დასავლეთით აქვთ, თუ მოზრდილია ორივე მხრიდან (მამულაძე 1993: 101).

მათი შინაგანი სივრცე უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო. ამ ტიპის ყველა ძეგლი ერთნაირი არაა. ყველა მათგანი თავისი დროის ნიშნებს ატარებს. აყვავების ხანის ძეგლები (სხალთა, ვანაძეები-აგარა, ვერნები და სხვ.) უფრო დახვეწილია და ყოველთვის იგრძნობა შესრულების მაღალი სტილი და მანერა (მამულაძე 1993 :102). ისინი შეიძლება თამამად დავაყენოთ ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლების გვერდით. ამ ტიპის ეკლესიათა ერთი ნაწილი სოფლის ან კარის სამლოცველოები უნდა ყოფილიყო. ესენიც ყურადღებას იქცევენ მშენებლობის დახვეწილი მანერით.

ამგვარად, სოფელ ჯოჭოში 2012 წელს ჩატარებული მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა კიდევ ერთი ძეგლი, რომელიც აჭარის ქრისტიანულ წარსულზე მიგვითითებს. კიდევ ერთხელ დადასტურდა ფაქტი, რომ აჭარის სოფლები მოფენილია ქრისტიანული კულტურის ამსახველი მატერიალური კულტურის ნაშთებით, რომელთა მშენებლობა ძირითადად XI-XIII საუკუნეებიდან იწყება.

დამოწმებანი

ბაქრაძე 1987: დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი.
ბერიძე 1974: ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი.
ბექირიშვილი 1998: ი. ბექირიშვილი. ქრისტიანობა აჭარაში// ჯვარი ვაზისა, თბილისი.
დიასამიძე 2009: ზ. დიასამიძე. ისტორიული ეტიუდები, ბათუმი.
ენუქიძე 1977: ი. ენუქიძე. ტბეთის სულთა მატიანე, თბილისი.
ზოიძე 2008: ი. ზოიძე. აჭარის მატერიალური კულტურა ოსმალთა ბატონობის პერიოდში// სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. II, ბათუმი.
კახიძე და *სხვები* 2010: ა. კახიძე, შ. მამულაძე, ტ. ებრალიძე. არქეოლოგიური გათხრები შუახევის რაიონის სოფ. წაბლანაში.// ჩვენი სულიერების ბალავარი. II, ბათუმი.
კახიძე, მალაყმაძე 2011: ნ. კახიძე, რ. მალაყმაძე. მაჭახლის ხეობის დედაეკლესია// ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები). III, თბილისი.
მამულაძე 1993: შ. მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი.
მამულაძე 1998: შ. მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების სამაროვნები, ბათუმი.
მამულაძე, ქამადაძე 2013: შ. მამულაძე, კ. ქამადაძე. ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი ერგეს „ქვეყანაში“ (უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე), ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები). V, თბილისი.
უვაროვა 1891: П. Уварова. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Поцховский участок, М.
უზუნაძე 2011: რ. უზუნაძე. სოფელ ერგეს წარსულიდან. I, თბილისი.
უზუნაძე 2012: რ. უზუნაძე. ქრისტიანობა ერგეს ქვეყანაში, თბილისი.

უზუნაძე, უზუნაძე 2008: რ. უზუნაძე, მ. უზუნაძე. ქრისტიანობის ისტორიიდან აჭარაში// სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები. III, ბათუმი.
ფუტკარაძე, ბურკაძე 2009: თ. ფუტკარაძე, ზ. ბურკაძე. გამონათლევის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის ისტორიიდან// ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი.

ტაბულების აღწერილობა:
სურ. 1, სურ. 2 – ეკლესიის საძირკვლის ნაშთები;
სურ. 3. – საძვალე;
სურ. 4 – მიცვალებულის ნაშთი.

სურათი 1

სურათი 2

სურათი 3

სურათი 4

Christian Past of Jocho Village

Kakhaber Kamadadze

Ajara is famous for its Christian relics. In almost every village of the region can be found remains of church buildings from eleventh to thirteenth centuries. Among others Jocho village is distinguished by the abundance remnants of buildings of Christian worship.

The paper displays the materials obtained in Jocho village in result of small-scale archaeological field expedition in 2012. The revealed facts confirmed once more the assertion that the region is rich with numerous fragments of the church buildings and Christianity has long traditions in Ajara region.

დაიენ/დიაოხი: ეთნიკური სტიგმა

მარიამ ჩხარტიშვილი

ძველაღმოსავლურ წყაროებში სიტყვები *დაიენ-დიაოხი* მიემართება სოციალურ ერთობას, რომელიც ასურელ და ურარტუელ მეფეთა თავდასხმის ობიექტი გამხდარა ძვ.წ. XII საუკუნიდან VIII საუკუნის ჩათვლით პერიოდში.

თავიდან მეცნიერებმა *დაიენ/დიაოხს* ყურადღება მიაქციეს როგორც ადრეკლასობრივ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს. მაგრამ ქართველმა ისტორიკოსებმა *დაიენ/დიაოხი* დაუკავშირეს ქართველთა ეთნიკურ ისტორიასაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაში მიიღებოდა ის გარემოება, რომ *დიაოხი* ფონეტიკურად *ტაოხის* ფარდი ტერმინია. ითვალისწინებდნენ წყაროებში დადასტურებულ სხვა ტოპონიმებსაც აიგივებდნენ რა მათ შუა საუკუნეების ან სულაც ახალი დროის საქართველოში დადასტურებულ ტოპონიმებთან.

ძიებების შედეგად დაგროვდა საკმაოდ საინტერესო ფაქტები.[1] მიუხედავად ამისა, ეს მასალა მაინც ვერ ქმნიდა საკმაო საფუძველს *დაიენ/დიაოხის* ეთნიკური იდენტიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტისათვის. ტოპონიმიკური მონაცემები, დამოუკიდებლად აღებული, ერთობის ეთნიკური რაობის გასარკვევად არაა რეპრეზენტატული წყარო. ამ სახის ინფორმაციას მხოლოდ ის შეუძლია გვიჩვენოს, რომ *დაიენ/დიაოხი* ტერიტორიულად, მართლაც, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და მის მოსაზღვრედ მდებარეობდა. მაგრამ ეს გარემოება ვერაფერს გვამცნობს *დაიენ/დიაოხის* ეთნიკური არსის შესახებ: ერთი მხრივ, სავსებით დასაშვებია, მთელი ისტორიის მანძილზე ერთიდაიმავე ეთნიკურ ჯგუფს ეცხოვრა შესაბამის ტერიტორიაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, (ძველი დროსათვის დამახასიათებელი ხალხთა მიგრაციების გათვალისწინებით) არც ისაა გამორიცხული, რომ ერთიდაიგივე ტერიტორია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კუთვნილება ყოფილიყო. უფრო მეტიც: მხოლოდ ამ სახის მასალით იმასაც კი ვერ ვიტყვით დაბეჯითებით საერთოდ იყო თუ არა *დაიენ/დიაოხად* სახელდებული კოლექტივი ეთნიკური ერთობა. თავისთავად სულაც არაა გამორიცხული, რომ ეს ყოფილიყო არაეთნიკურ საფუძველზე წარმოქმნილი პოლიტიკური გაერთიანება.

დაიენ/დიაოხის ქართულ ეთნიკურობასთან კავშირის შესახებ თვალსაზრისს ზოგი მკვლევარი დაბეჯითებით გამოთქვამდა, ზოგი ფრთხილად, ზოგი კი სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ დასკვნისადმი. მიუხედავად ამისა, თვალსაზრისმა *დაიენ/დიაოხის* ქართულ იდენტობასთან კავშირის შესახებ ქართულ სინამდვილეში ფართო გავრცელება ჰპოვა, მაგრამ ამის მიზეზს წარმოადგენდა არა მოხმობილ არგუმენტთა საფუძვლიანობა, არამედ ის, რომ გარკვეულ გარემოებათა გამო *დაიენ/დიაოხი* ქართველებისათვის გადაიქცა კოლექტიური მახსოვრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხატად. სწორედ ბმა *ეროვნულ ისტორიულ წარატივთან* აფერხებდა ამ თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ძიებებს.[2] ამასთან საკითხზე არსებული კვლევებს სხვა ნაკლოვანებანიც ახასიათებდა. მთავარი ნაკლი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ სპეციალისტები არ სვამდნენ საკითხს *ეთნიკურობის* ფენომენის დეფინიციის შესახებ. ამიტომაც აპრიორი ჩიხური იყო ეს ძიებები: როგორ უნდა იპოვო რამე, თუ არ იცი რას ეძიებ?!

ასე რომ, *დაიენ/დიაოხის* შესახებ არსებული კვლევების ხარვეზიანობის მიზეზი მარტოოდენ მწირი ფაქტობრივი მონაცემები ყოფილა. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი იყო თეორიის უგულვებელყოფა. მაშინ, როცა მხოლოდ თეორიას შეუძლია ინტელექტუალური ინსტრუმენტარიუმით უზრუნველყოს მკვლევარი და მას წყაროთა მონაცემების სიმწირით გამოწვეული სიძნელეების დაძლევის საშუალება მისცეს.

როგორც ითქვა, ამ საკითხის შესწავლისას *ეთნიკურობის* თეორეტიზების შესახებ დისკურსს ვერ ვხდებით სპეციალურ ლიტერატურაში: მკვლევრები ამ მხრივ ყველაფერს გარკვეულად მიიჩნევენ და პირდაპირ წყაროების ანალიზს იწყებენ.

მე კი მსჯელობას სწორედ *ეთნიკურობის* არსის განმარტებით დავიწყებ.

არსებობს *ეთნიკურობის* ორგვარი გაგება: ობიექტივისტური და სუბიექტივისტური. ობიექტივისტური გაგების დროს მხედველობაში მიიღება რეალურად არსებული ფაქტები. სუბიექტივისტურის დროს კი მარკერის რეალურად არსებობა არაა საკმარისი. არსებითია მარკერის აღქმა

ჩვენ-ჯგუფის წევრების მიერ ანუ ეთნიკური საზღვრის სოციალური მნიშვნელობა, მისი „წონა“ ერთობის ფასეულობათა სისტემაში.

ეთნიკურობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს კულტურულ საზღვრებს. მაგრამ სუბიექტივისტური მიდგომის დროს, როგორც ითქვა, საზღვრები არსებობს არა თავისთავად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჯგუფის წევრების წარმოსახვებში. ანუ ესა თუ ის ფაქტი იქცევა საზღვრად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას ჯგუფი მიანიჭებს შესაბამის მნიშვნელობას. მაგალითად, შეიძლება რეალურად ორი ეთნიკური ჯგუფი ენობრივად მცირედ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ ისინი თვლიდნენ, რომ ენობრივი განსხვავება დიდია. მაშინ ენა იქცევა მათ შორის რეალურ საზღვრად ანუ ეთნიკურ მარკერად. ამგვარად, არა იმდენად ობიექტურად არსებული ლინგვისტური განსხვავებულობის ფაქტი ქმნის *ეთნიკურობას*, არამედ, პირველ რიგში, ის სოციალური მნიშვნელობა, რომელიც გარკვეული გარემოებათა გამო მას ეთნიკურმა ერთობამ (ჯგუფმა) მიანიჭა. ასე გაგებული *ეთნიკურობის* აღმოსაჩენად აუცილებელია ჯგუფის წევრების აღქმებზე დაკვირვება. სხვაგვარად შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ საქმე გვაქვს *ეთნიკურობასთან*.

ეთნონიმის დადასტურების შემთხვევაში უნდა გამოვარკვიოთ, იყო თუ არა ის თვითსახელწოდება. რადგან მხოლოდ თვითსახელწოდება ნიშნავს ჯგუფის წევრების მიერ ჯგუფად ყოფნის ფაქტის გაცნობიერებას. კოლექტიური სახელის მნიშვნელობის შესახებ მართებულად შენიშნავს ე. სმითი:

> კოლექტიური სახელი ეთნიკური ერთობის უტყუარი ნიშანი და ემბლემაა, რომლის მეშვეობით ეთნიკური ერთობა თავს გარეშეთაგან მიჯნავს და რომელშიც საკუთარი არსის იმგვარ შეჯამებას ახდენს, თითქოს სახელში მდგომარეობდეს მისი არსებობის მაგიურობა და გადარჩენის გარანტია. კოლექტიურ სახელს თილისმის მსგავსი მისტიკური კონოტაცია აქვს (სმითი 1987: 23).

დაიენ/დიაობზე არსებულ სამეცნიერო ნაშრომებში *ეთნიკურობის* არსზე, როგორც ითქვა, საერთოდ არაა პირდაპირი მსჯელობა, თუმც მათში წარმოდგენილი დისკურსი ირიბად აჩვენებს, რომ ავტორებს აქვთ *ეთნიკურობის* ობიექტივისტური გაგება. ამგვარი პოზიციით, როგორც უკვე აღვნიშნე, შეუძლებელია *დაიენ/დიაობის* ეთნიკური რაობის დადგენა.

წინამდებარე გამოკვლევა უპირატესობას ანიჭებს *ეთნიკურობის* სუბიექტივისტურ გაგებას, რომლის მიხედვით, როგორც ითქვა, *ეთნიკურობა* პირველ რიგში, ნიშნავს სოციალურად განცდად საზღვრებს, პერცეფციებს, მიმართებებს და არა მარტო და არა იმდენად რეალურ განსხვავებას წარმომავლობასა თუ კულტურაში (ბართი 1996: 75-82; ერიქსენი 2002: 36-40). ასე გაგებული *ეთნიკურობისათვის* მთავარი ინდიკატორია ჯგუფის მიერ ეთნიკური თვითაღქმის ქონა, რომელიც, უპირველესად ყოვლისა, თავს იჩენს თვითსახელწოდებაში და, აგრეთვე, ეთნიკური რჩეულობის მითში (სმითი 1996: 189-197; სმითი 2008: 45-47). პირველი მარკერი აფიქსირებს ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბების ფაქტს, მეორე მათგანი კი მიუთითებს განვითარებულ ეთნიკურობაზე, კერძოდ იმაზე, რომ ჯგუფი არა მარტო ჩამოყალიბდა, არამედ უკვე შეიმუშავა თვითშენახვის გარკვეული სტრატეგია: საქმე ისაა, რომ რჩეულობის იდეოლოგიის მეშვეობით ეთნიკური კოლექტივი გადაიქცევა სკრალურ, ე. ი. ექსკლუზიურ ერთობად, რაც მისი ფორმირების პროცესის შეუქცევადობისათვის არის მნიშვნელოვანი წინაპირობა.

ამგვარად, იმისათვის, რომ *დაიენ/დიაობზე*, როგორც ეთნიკურ ფენომენზე, ისე ვიმსჯელოთ, სწორედ აღნიშნული ინდიკატორების მაჩვენებელი ფაქტების ძიებაა აუცილებელი.

დავიწყოთ პირველი მარკერით ანუ იმის გარკვევით არის თუ არა *დაიენ/დიაობი* ეთნიკური ჯგუფის სახელი ანუ ეთნონიმი. და თუ არის, მაშინ შევეცადოთ გავარკვიოთ არის თუ არა ის თვითსახელწოდება. მარტო ეთნონიმი *ეთნიკურობის* ობიექტივისტურ გაგებას გვაძლევს: ეს ნიშნავს, რომ ჯგუფი „გარეშეებმა“ (ანუ ერთობის მიღმა მყოფებმა) შეამჩნიეს და დაფიქსირეს თავიანთ წარმოსახვაში, როგორც „სხვა“. მაგრამ *ეთნიკურობის* სუბიექტივისტური ინტერპრეტაციისას მთავარია, რომ ჯგუფად ყოფნის ფაქტი თავად ჯგუფის წევრებმა გააცნობიერონ, თავი მოიაზრონ, როგორც გარეშეთაგან განსხვავებულმა კოლექტივმა. ესაა, ვიმეორებ, ამოსავალი იდენტობრივი მიმართებების გასაგებად.

ზემოთქმულის გათვალისწინებით და იმის გამოც, რომ მასალის თვალსაზრისით დიდი არჩევანი არც გამაჩნია, კვლევას ვიწყებ სიტყვების *დაიენისა* და *დიაობის* ანალიზით. პირველი დასტურდება ძველასურულ წყაროებში, მეორე – ურარტულში.

პირველ რიგში გასარკვევია არის თუ არა ისინი ერთი და იგივე.

მკვლევართა უმრავლესობა, *დაიენსა* და *დიაობს* სინონიმებად მიიჩნევს. გაიგივების საფუძველს მათ აძლევთ ის, რომ, როგორც ითვლება, ორივე სიტყვა მიემართება თითქმის ერთი და იმავე

ტერიტორიას. ანუ აღნიშნული სიტყვების მიერ მონიშნული გეოგრაფიული რეალობა ერთი და იგივეა.

იმისათვის რათა საკითხის კვლევის მდგომარეობის შესახებ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას, მოვიყვან რამდენადმე ვრცელ ამონარიდს გრიგოლ გიორგაძის სტატიიდან:

> როგორც ქართულ, ისე რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ დაიაენისა და დიაუხის სახით ერთსა და იმავე ქვეყანასთან გვაქვს საქმე... დაიაენი ნახსენებია მხოლოდ ასურულ წყაროებში, დიაუხი კი – მხოლოდ ურარტულ წარწერებში, რაც ძალზედ ყურადსაღებია. მაგრამ აქვე დავსძენთ, რომ ამ იგივეობის დამამტკიცებელი რაიმე მითითება აღნიშნულ ლურსმულ ტექსტებში არსად არ არის მოცემული. დაიაენისა და დიაუხის იგივეობის დასამტკიცებლად მკვლევარნი კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ ეს ორი ქვეყანა ლოკალიზდება დაახლოებით ერთსა და იმავე რეგიონში... მოსაზრებას ამ ტომთა თუ ეთნონიმთა) იგივეობის შესახებ კი ხელს უშლის, უპირველეს ყოვლისა, თვით მათი დაწერილობა: ორივე მათგანი ნაწარმოებია ორი სულ სხვადასხვა სუფიქსით (- ni, -ḫi), თანაც სიტყვების ძირები („დაიაე-„, „დიაუ-„ მთლად არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა, თუ გაჭირდა, ფილოლოგიურად მათი დაკავშირება მაინც დასაშვებია და ა.შ. მაშ ისმის კითხვა: საიდან გაჩნდა მოსაზრება დაიაენი-დიაუხის იგივეობის შესახებ და ვინ წამოაყენა იგი პირველად? ამ საკითხზე, რამდენადაც ვიცი, სპეციალურად არავის უმსჯელია (გიორგაძე 2001: 12-13).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ეს განსხვავებული სიტყვებია, თუმც მათი გეოგრაფიული შინაარსი ემთხვევა. ამის შემდგომ მკვლევარი გამოთქვამდა ვარაუდებს, როგორ უნდა გაჩენილიყო აზრი ამ იგივეობის შესახებ. იგი თვლის, რომ თავდაპირველად ანუ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ევროპელმა მეცნიერებმა *დაიაენი ტაოხებს* დაუკავშირეს, ისე რომ ამ მკვლევრებმა არც კი იცოდნენ, თუ *ტაოხები* ეთნიკურად ვინ იყვნენო. მაგრამ 1940 წელს უშაკოვმა *დიაუხის ქვეყანა* და *დაიანის ქვეყანა* ერთმანეთთან გააიგივა. სხვები *დიაოხის ტაოხთან* აიგივებდნენ და ასე გაიგივდა ერთმანეთთან *დაიაენი* და *დიაუხი*. გრიგოლ გიორგაძის მითითებით, პ. უშაკოვი მივიდა სრულიად მარტივ და ლოგიკურ დასკვნამდე: თუ *დაიაენი* იყო *ტაოხი*, ხოლო *ტაოხი* არის *დიაუხი* (როგორც მან ეს გაარკვია) *დაიაენი* იქნება *დიაუხი*. გრიგოლ გიორგაძე მიიჩნევდა, რომ მხოლოდ ასე შეიძლება მეცნიერთა მიერ ამ ტოპონიმთა გაიგივების ფაქტის ახსნა, რადგან არ არსებობსო ამ გაიგივების საფუძვლიანობის მაჩვენებელი ძველაღმოსავლურ წყაროებში დადასტურებული არავითარი ფაქტობრივი მონაცემი (გიორგაძე 2001: 14-15).

თავად მკვლევარს, *დაიაენი* და *დიაუხი* ორ სხვადასხვა ტოპონიმად მიაჩნდა, თუმცა ორივეს ქართველ სამყაროსთან დაკავშირებულად თვლიდა (გიორგაძე 2001: 15).

გრიგოლ გიორგაძის ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ცხადყოფს, რომ ფართოდ გავრცელებული აზრი *დაიაენისა* და *დიაოხის* იგივეობის შესახებ რაიმე მტკიცებულებას ამ ემყარება. ცხადია, მკვლევართა მიერ მხედველობაში მიიღებოდა ფონეტიკური მსგავსება, მაგრამ საგანგებო კვლევის გარეშე. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს იგივეობა უდავო ჭეშმარიტებად იქნა აღიარებული, დაიწყო დაეჭვება მის მართებულობაში და ძიება იმისა თუ საიდან წარმოიშვა ეს აზრი.

მეც, ვიზიარებ ამ აზრს და უკვე ჩემი გამოკვლევის სათაურში წარმოვადგინე ეს დამოკიდებულება, რომელშიც ჩანს, რომ *დაიაენი* და *დიაოხი* სინონიმებად მიმაჩნია. მაგრამ, ვფიქრობ, რომ აუცილებელია ქვემოთ ვაჩვენო თუ რატომ მგონია ეს სიტყვები ერთი და იგივე.

მაგრამ მანამდე კვლავ მივმართავ გრიგოლ გიორგაძის თვალსაზრისებს. ამჯერად განვიხილავ მეცნიერის ბოლოდროინდელ მონოგრაფიას. მოვიყვან ამონარიდს:

> ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებთან დაკავშირებულია კიდევ ერთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მხოლოდ ძვ.წ. XII-VIII სს-ის ასურულ ლურსმულ ტექსტებშია დასახელებული „დაიაენის“ („დაიაენის ქვეყნის“) ფორმით. ზოგჯერ ამავე ტექსტებში ნახსენებია „დაიანი“-ს სახითაც... „დაიაენი“/ „დაიანი“ სახელწოდების წარმოშობასთან დაკავშირებით ბევრი რამ უცნობია. მკვლევართა აზრით (უთითებს დიაკონოვს. -მ.ჩ.). ეს ტერმინი გაფორმებული უნდა იყოს ხური-ურარტული წარმოშობის -ენი/-ნი სუფიქსით, რომელიც საერთოდ ასურულ წყაროებში ხშირად არის ტოპონიმებისა და ეთნონიმების დროს, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელწოდების ძირი არ უნდა იყოს ხური-ურარტული წარმოშობისა (აქ მკვლევარი აკეთებს შენიშვნას იმის თაობაზე, რომ ეს სუფიქსები დამახასიათებელი ქართული ტოპონიმებისათვისაც.- მ.ჩ.) აღნიშნული ხანის ასურულ წყაროებში ხშირად გვხდება “დაია” ძირის შემცველი სახელწოდებები, როგორიცაა „დაიაუქქუ“, „დაიაზუნა“, „დაიაშეთი“ და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ძნელია მათი ეტიმოლოგიის დადგენა და გარკვევა იმისა, დასაკავშირებელია თუ არა ამ სახელწოდებათა ძირი „დაიაენი/დაიანი“ სიტყვის „დაია“ ძირთან (გიორგაძე 2002: 126).

როგორც ვხედავთ, გრიგოლ გიორგაძე, ისევე როგორც ბევრი სხვა მკვლევარი, *დაიაენ/დაიან* და *დიაოხ* სიტყვებს ორი ძირითადი სეგმენტისაგან შემდგარ სიტყვებად მიიჩნევს.

ეს თვალსაზრისი სავსებით მართებულია. ამას ცხადყოფს ამ სიტყვების მორფოლოგია.

დავიწყოთ მსჯელობა *დიაოხით. ხი(ნი)* სუფიქსზე ამახვილებენ მკვლევრები ყურადღებას. მიიჩნევენ მას ხურიტული წარმომავლობის კუთვნილების აღმნიშვნელ სუფიქსად. სხვათა შორის, დიაოხელთა ხურიტულ სამყაროსთან დაკავშირების საფუძველი იყო სწორედ ამ სუფიქსის ჩათვლა ხურიტულად.

(ხ)*ხი*, მართლაც, კუთვნილების მაწარმოებელი სუფიქსია, მაგრამ არა მაინცდამაინც ერთი რომელიმე ენისა და ხალხისათვის დამახასიათებელი: როგორც გამორკვეულია, იგი ფართოდ ჩანს გავრცელებული კავკასიასა და მცირე აზიაში.[3]

აღნიშნული სუფიქსი არსებობს დღესაც, თუნდაც ქართულში და საზოგადოდ ეთნონიმების ან ტოპონიმების მაწარმოებელია, აჩვენებს რა ინდივიდის კავშირს ან რომელიმე კოლექტივთან ან ტერიტორიასთან. როგორც ითქვა, ეს სუფიქსი დღემდეა ქართულში შემორჩენილი, თუმც ვერ ვიტყვით, რომ სპეციფიკურად ქართულია. ქართულში იგი იმ ეპოქიდან (ეს უკანასკნელი *დაიაენ/დიაოხზე* ხანაზე ბევრად ადრინდელი უნდა იყოს) დანატოვარი მემკვიდრეობა ჩანს. როცა საკუთრივ ქართული *ეთნიე* არ არსებობდა უფრო ზუსტად ის არსებობდა, როგორც ჯერ კიდევ არადიფერენცირებული დიდი ეთნიკური მასივის ერთ-ერთი ეთნიკური ბირთვი.

აღნიშნულ სუფიქსის ფუნქციასთან დაკავშირებით ურარტულში საგანგებოდ მსჯელობდა გიორგი მელიქიშვილი. ის მიუთითებდა, რომ სუფიქსი *ხი/ე(ნი)* არის კუთვნილების მაწარმოებელი სუფიქსი. იგი ხშირად გვხდება სატომო სახელებში, რომლებიც, როგორც ჩანს, გაიაზრებოდა როგორც შვილი რომელიღაც ეპონიმისა, ღმერთისა. ამაზე ის მიუთითებს, რომ ამგვარი სახელწოდებების წინ ხშირად გვაქვს საკუთარი სახელის მიმანიშნებელი დეტერმინატივი. მაგალითებს შორის მეცნიერს მოჰყავდა *დიაოხიც* (მელიქიშვილი 1953).

აქ მკვლევარი იმოწმებდა მისსავე სხვა ნაშრომს, რომელშიც, აგრეთვე, ხაზგასმული იყო, რომ ხალხების თუ სატომო სახელების წინ გამოიყენებოდა დეტერმინატივი 𒀭, რომელიც ასურულ წყაროებში პირთა აღმნიშვნელ დეტერმინატივს წარმოადგენს (მელიქიშვილი 1944). ე.ი. სატომო სახელი გააზრებულია სისხლისმიერი იდენტობით შეკრული ჯგუფის სახელად: ესაა ერთი პირიდან ანუ ეთნარქიდან მომდინარე ჯგუფი ანუ მოდგმა.

ამგვარად, (ხ)*ხი* სუფიქსის ზემოთ დაფიქსირებული გააზრებით, სიტყვა *დიაოხი* ნიშნავს *დიაო-სას.* ანუ *დიაო-ს კუთვნილს,* შესაბამისად, „დიაოხის მიწა“ კი არ უნდა იყოს თარგმანში, არამედ, *დიაოსიანის მიწა.* ამ გაგებით აკეთებს, სხვათა შორის, თარგმანს, ა. საგონა, რომელიც გვთავაზობს შესაბამისი ფრაზის შემდეგ ინტერპრეტაციას „დიაოს შვილთა მიწა“: Diauehi (Diauhi or Diaokhi; „the Land of the Sons of Diau“) was an ancient people in northeastern Anatolia, mentioned in the Urartian inscriptions (საგონა, საგონა 2004: 30).

ა. საგონა *დიაუეხის* მიიჩნევს ეთნონიმად და, განსხვავებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული პრაქტიკისა, როგორც ვნახეთ, თარგმნის *(ხ)ხი* კუთვნილების მაჩვენებელ სუფიქსსაც. ამის გამოა, რომ მისეულ ინგლისურ ტექსტში *დიაოხი* (ან *დიაუეხი*), განმარტებულია და ამ განმარტებაში გვაქვს ცალკე *დიაო* და ცალკე კუთვნილების მაჩვენებელი *of*.

ამ ფაქტის გაცნობიერება ძალიან არსებითია წინამდებარე გამოკვლევისათვის.

ანალოგიური მიდგომა დასტურდება ურარტული ტექსტების თარგმანის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გამოცემაშიც: „(1) Haldi parti (in guerra) con la sua lancia (arma), (2) contro/verso il **Diauehi** (**la tribù del Diao**)...“[4] (სალვინი 2008: 190).

ამონარიდი იტალიურად არის, მაგრამ ქართველ მკითხველს მისი გაგება, ვფიქრობ, არ გაუჭირდება. ყურადღება უნდა მიექცეს ხაზგასმულ ადგილს. მთარგმნელი წერს *დიაუეხის* შესახებ და ფრჩხილებში განმარტავს, რომ ესაა *დიაოს ტომი.* ანუ ის თარგმნის *(ხ)ხი* სუფიქსს, რაც სავსებით მართებულია.

ნ. არუთუნიანი თარგმანში წერს *დიაუხის,* მაგრამ ყოველთვის აღადგენს სიტყვა „ტომს“ ფრჩხილებში. ანუ მასთან გვაქვს „ქვეყანა დიაუხის ტომისა“ ან „ტომი დიაუხი“, „მეფე დიაუოხის ტომისა“ (არუთიანიანი 2001: 156, 184).

მკვლევარი „ტომს“ აღადგენს ტექსტში, რადგან, როგორც ითქვა, *დიაუეხს* აქვს ტომის, ხალხის აღმნიშვნელი დეტერმინატივი და კუთვნილების მაჩვენებელი სუფიქსი. მაგრამ ამასთან ერთად, ნ. არუთუნიანი თარგმანში *დიაუხისათვის* ინარჩუნებს *ხი* სუფიქსს, რაც, ცხადია, უკვე ზედმეტია.

ამრიგად, ერთობა, რომელიც წყაროებში აღინიშნებოდა სიტყვით *დიაოხი*, წარმოგვიდგება როგორც ეთნიკური ერთობა, რომელიც მიიჩნეოდა საერთო წარმომავლობის მქონე ჯგუფად. ამ ეთნიკური ერთობის წინაპრის სახელი იყო *დიაო* და ამ ეთნიკურ ერთობას ერქვა *დიაოს შვილები*.

ახლა განვიხილოთ *დაიაენი/დაიანი*. როგორც ითქვა, ეს სიტყვაც ორი ძირითადი სეგმენტისაგან შედგება: *დაია* არის ძირითადი სეგმენტი და *ენ/ან* სუფიქსი. გრიგოლ გიორგაძე თვლიდა, რომ *დაია*, ისევე როგორც *დიაო*, არის ძირი ამ სიტყვებისა და რომ ეს ძირები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. განსხვავებულობას, როგორც ვხედავთ, მკვლევარს აფიქრებინებდა სხვადასხვა ხმოვნები. მაგრამ, სიტყვის ძირის იდენტიფიკაციისათვის, როგორც ცნობილია, გადამწყვეტია, არა ხმოვნები, რომლებიც შედარებით ადვილად მონაცვლეობენ, არამედ თანხმოვნები. ჩვენს შემთხვევაში თანხმოვანი არის *დ*. სწორედ ეს ერთადერთი ასო წარმოადგენს სიტყვის ძირს. ამ ნიშნით *დაიაენისა* და *დიაოხის* ძირითადი სეგმენტები ერთი და იგივეა. ანუ *დაია* და *დიაო* ერთი ძირის სიტყვებია. და ეს ძირი, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო: არის *დ* ასო.

ასე რომ, *დაიაენსა* და *დიაოხის* ძირითადი სეგმენტი ფონეტიკურად იდენტური აქვთ. რაც შეეხება, ერთი მხრივ, (ან/ენ)*ანი/ენი* სუფიქსს და, მეორე მხრივ, *(ხ)ხი* სუფიქსს, ისინი, როგორც ვხედავთ, ფონეტიკურად იდენტური არ არის, მაგრამ ფუნქციურად ერთიდაიგივეა. ასურულში და სხვა ძველაღმოსავლურ (ხურიტულ-ურარტულ) ენებში აღნიშნული სუფიქსი აგრეთვე იყო კუთვნილების აღმნიშვნელი მორფემა.

ამრიგად, *დაიაენი* და *დიაოხი* აგებულების მიხედვით იდენტურია: ფონეტიკურად იგივეა სიტყვის ძირითადი სეგმენტი ანუ ძირი: ორივე შემთხვევაში ესაა *დ*. ფუნქციურად კი იგივეა (კუთვნილების მაჩვენებელია) სუფიქსები *ხი* და *ენ/ან*. *დაიაენი* ნიშნავს *დაიას ნაშიერს*. ისევე როგორც *დიაოხი* ნიშნავს *დიაოს ნაშიერს, შვილებს* მთლიანობაში ჩვენთვის საინტერესო სახელწოდება არის ატრიბუტი: ის გამოხატავს *დაია/დიაოსადმი* ეთნიკური კოლექტივის კუთვნილებას, ამ კოლექტივის წარმომავლობას.

ზოგი მკვლევარი *დაიაენს დიაოხისგან* განსხვავებით ტოპონიმად მიიჩნევს (საგონა, საგონა 2004: 25). მაგრამ ასე გამოჯვნა არ უნდა იყოს სწორი. ტოპონიმი და ეთნონიმი კოლექტივის ფორმირების ადრეულ სტადიაზე შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს და კოლექტივ *დაიაენის* კუთვნილი ქვეყნის სახელწოდება, სავარაუდოდ აგრეთვე, *დაიაენად* იწოდებოდა. იგივე ითქმის *დიაოხზეც*.

რადგანაც საანალიზო ერთობას ასურული და ურარტული წყაროები იხსენიებენ ფაქტობრივად ერთიდაიმავე ეთნონიმით, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს არა შესაბამისი ჯგუფის გარეწოდება, არამედ ამ კოლექტივის თვითსახელწოდება. ეს ერთობა თავს უწოდებდა (და ეთნიკურობის დასაფიქსირებლად ესაა, როგორც ითქვა, მთავარი) *დაიას ნაშიერს/შვილებს* (*დიაოს ნაშიერს/შვილებს*). ეს კი კოლექტივის ეთნიკურ კონცეპტუალიზაციას მოასწავებს.

დაია/დიაო აშკარად ეთნარქის სახელი იყო. ეთნარქი კი, ცხადია, ღმერთად გაიაზრებოდა. შესაბამისად, *დაია/დიაო* საანალიზო ეთნიკური კოლექტივის ღმერთის სახელი იყო. ჯგუფის წევრებს ღმერთის შვილებად წარმოედგინათ თავი. *დაიაენ/დიაოხი* იყო „ღმერთ დიაოს ხალხი“. ასეთი თვითსახელწოდება ეთნიკური ჩვენ-ჯგუფისათვის სავსებით ბუნებრივია. ამასთან ცხადია რომ ის ეთნიკური რჩეულობის განცდაზე მეტყველებს.

მაგრამ ამ დასკვნასთან დაკავშირებით შეიძლება დაეჭვების კითხვაც გაჩნდეს: თუ აღნიშნული სახელწოდება დადებითი შინაარსის მატარებელი იყო („ღმერთ დიაოს ხალხი“), რაც, როგორც ითქვა, სავსებით ბუნებრივია თვითსახელწოდებისათვის, როგორღა იყენებენ მას მტრები (ასურელები, ურარტუელები) ანუ როგორ შეიძლებოდა ის ყოფილიყო გარეწოდებაც?

სავსებით შესაძლებელია. საქმე ისაა, რომ *დაიაენ/დიაოხის* მტრების კულტურული კონტექსტისათვის იგივე სემანტიკის მქონე სიტყვა შეიძლება უარყოფითი შეფასების მატარებელი იყოს. მაგალითად, „არმაზის საყმო“ არმაზის კულტის მიმდევრებისათვის დადებითი შინაარსით იქნება დატვირთული, რადგან უზენაესი ღმერთის არმაზის „ყმობა“, „შვილობა“ ძალიან საამაყო უნდა ყოფილიყო ამ ჯგუფის წევრებისათვის. მაგრამ ქრისტინებსაც ანუ გარეშეებსაც ამ ერთობისათვის იგივე სახელი შეიძლება ეწოდებინათ, ოღონდ დაცინვით. რადგან კერპის აღიარება ღმერთად და, შესაბამისად, მისი „ყმობა“ ქრისტიანის მიერ უარყოფით სახელწოდებად იქნებოდა აღქმული.

უფრო თვალსაჩინო შეიძლება გავხადოთ ეს აზრი შემდეგი მაგალითით: საანალიზო სიტყვების ძირითადი სეგმენტი ანუ *დაია/დიაო* ფონეტიკურად ასოციაციას ქმნის (რადგან ფაქტობრივად ემთხვევა) ძველი სამყაროს უნივერსალურად გავრცელებული ღმერთის დედა ქალღვთაების სახელთან: დეა დიო, დიანა, დალი და ა.შ. თუ დაია/დიაოს დედაქალღვთაებად გავიაზრებთ, მაშინ გამოვა, რომ *დაიენი* და *დიაოხი* სხვა არაფერია თუ არა დიდი დედის (*დედაუფლის*) შვილები. დედაქალღვთაების კულტის

ამღიარებლებისათვის ეს დადებითი შეფასების გამომხატველი ატრიბუტი იქნებოდა. მაგრამ იმ კოლექტივისათვის, რომელმაც დედაქალღვთებას სხვა კულტი დაუპირისპირა და ამ განსხვავებული კულტის, ვთქვათ, რომელიმე მეომარი მამრი ღვთაების გარშემო გაერთიანდა, *დედაუფლის* შვილობას (შდრ. „დედის ბიჭობა“) უარყოფითი შინაარსის მქონე ატრიბუტის მნიშვნელობა უნდა შეეძინა. ანუ „დედის შვილობა“ კულტურული კონტექსტის მიხედვით შეიძლებოდა აღქმულ ყოფილიყო როგორც დადებით, ისე უარყოფით ატრიბუტად. ამიტომ ის შეიძლება ყოფილიყო, როგორც გარეწოდება – მტრის მიერ შერქმეული დაცინვის კონოტაციის მქონე სახელი, ისე თვითსახელწოდება ანუ ჯგუფის წევრების მიერ საკუთარი არსის განმადიდებლად კონცეპტუალიზაციის გამომხატველი სიტყვა.

ასე რომ, ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო როგორც შიგაწოდებად, ისე გარეწოდებად. ამიტომ ვფიქრობ, რომ ორივე მტრის, ანუ ასურელებისა და ურარტუელების, მიერ ერთიდაიგივე სახელწოდების გამოყენება ჩვენთვის საინტერესო ეთნიკური ერთობის აღმნიშვნელად, მიუთითებს იმას, რომ ეს სახელი თავად ჯგუფისაგან არის მომდინარე. ანუ *დაია/დიაო* ღმერთის ხალხად თავის გააზრება სწორედ *დაიაენ/დიაოხის* სახელით ცნობილ ერთობას ეკუთვნის.

თვითსახელწოდების ქონა კი, როგორც ითქვა, ცალსახად მიუთითებს ჯგუფის ეთნიკურ სიმწიფეზე. მაგრამ ამ თვითსახელწოდებიდან გამომდინარე უფრო მეტის თქმაც შეიძლება ამ ეთნიკურ ჯგუფზე: იმ ერთობას, რომელსაც მიემართებოდა სახელწოდება *დაიაენი/დიაოხი* არა მარტო თვითსახელწოდება ჰქონია, არამედ საკუთარი განსაკუთრებულობის ანუ ეთნიკური რჩეულობის განცდაც.

როგორც ირკვევა, ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმულ დაშვებას *დაია/დიაოს* დედა ქალღვთაებად გააზრებისა, წყაროებში დასაბუთება ეძებნება. დაია/დიაო, მართლაც, ღვთაებაა და, მართლაც, მდედრი.

შეტაკებები ასურელებსა, ურარტუელებს და *დაიას/დიაოს ნაშიერს/შვილებს* შორის მთავრდებოდა აგრესორთა მიერ ნადავლის მოპოვებით. მაგრამ ამ ომების მოტივაცია მხოლოდ მატერიალური სიმდიდრის ხელში ჩაგდება აშკარად არ იყო. ეს იყო იდეოლოგიური დაპირისპირება. ღვთაება ასურის ხმლით ხდება ასურელების მიერ მტრის დამარცხება. სწორედ ღვთაება ასურს ამოუკვეთავენ გამარჯვების შესახებ მემორიალურ წარწერას. ძალიან გაუჭირდა *დაიენის* წინამძღოლს, მეფედ წოდებულ სიენს, თაყვანი ეცა ღვთაება ასურისათვის. იმიტომ, რომ ეს ფაქტობრივად „დაიას“ „შვილობაზე“ ანუ იდენტობაზე უარის თქმას ნიშნავდა.

ასევე წინ არის წამოწეული ურარტუელთა ღვთაების მონაწილეობა ამ ბრძოლებში. ღვთაება ხალდი წინამძღოლია ურარტუს მეფეების მენუასა და არგიშთისა *დიაოხის* წინაარმდეგ. ღვთაება ხალდის იარაღი ამარცხებს დიაოხის.

ამგვარად, ძველაღმოსავლურ წარწერებში დაფიქსირებული დაპირისპირება, ერთი მხრივ, *დაია/დიაოს შვილებსა* და, მეორე მხრივ, ასურელებსა და ურარტუელებს შორის არსებითად ესაა ომები რელიგიურად სხვადასხვგვარად მარკირებულ ერთობებს შორის. *დაია/დიაოს შვილებს, მოდგმას* უპირისპირდება მოდგმა, რომელსაც მფარველობს ასური, ან ხალდი.

ქვემოთ მომყავს რამდენიმე ამონარიდი წყაროებიდან. ხაზგასმა ყველგან ჩემია. ამ მასალით თვალსაჩინოა, რომ საქმე ნამდვილად რელიგიურად მოტივირებულ დაპირისპირებას ეხება.

1. ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I წარწერა (ძვ.წ. 1112 წ.):

> *იმ დროს ღვთაება ასურის, ჩემი მეუფის, დიადი ძალით, მამაცი ღვთაება შამაშის ერთგული წყალობით, დიდ ღვთაებათა შემწეობით,* (მე, ტიგლათფილესერ), რომელიც სამყაროს ოთხივ მხარაზე სამართლიანად ვმბრძანებლობ, რომელსაც არ მყავს მძლეველი ომში (და) ტოლი ბრძოლაში, შორეული მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომლებიც ზემო ზღვის ნაპირას (ცხოვრობენ) (და) რომელთაც არ იცოდნენ (თუ რა არის) მორჩილება, *ღვთაება ასურმა, მეუფემ გამგზავნა..* გადავედი მდინარე ევფრატზე. თუმეს, თუნუბეს.. დაიაენის ქვეყნების მეფეებმა, სულ ნაირის 23 მეფემ შეკრიბეს თავიანთ ქვეყნებში თავიანთი ეტლები. ჩემი თავზარდამცემი იარაღის სიშმაგით თავს დავატყდი მათ. ნაირის ყველა მეფე ჩემმა ხელმა ცოცხლად დაატყვევა. ეს მეფეები შევიწყალე. მე მათ სიცოცხლე შევუნარჩუნე. ისინი, დატყვევებულნი და შებოჭილნი, *შამაშ ღვთაების, ჩემი მეუფის, წინაშე გავათავისუფლე და ფიცი მსახურებისა ჩემს დიად ღვთაებათადმი დავადებინე მომავლისათვის და სამარადისოდ. სიენი, მეფე დაიენის ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, ჩემს მეუფეს, დატყვევებული და შებოჭილი ჩემს ქალაქ ასურში წავიყვანე (და იქ) შევიწყალე იგი. ჩემს ქალაქ ასურიდან დიდ ღვთაებათა მორჩილი გავუშვი მორჩილებისა და სიცოცხლისათვის* (მელიქიშვილი 1970: 365-366).[5]

2. ასურეთის მეფის სალმანასარ III წარწერა (ძვ.წ.845წ.):

ჩემი მეფობის მე-15 წელს მე გავემართე ნაირის ქვეყნების წინააღმდეგ.. ურარტელი არამეს ქალაქები ევფრატის სათავეებამდე მე გავანადგურე, დავანგრიე და დავწვი. ევფრატის სათავეს მივაღწიე და *მსხვერპლი შევწირე ჩემს ღმერთებს; ღვთაება ასურის იარაღი* მე განვბანე (ამ წყაროში). ასია, დაიაენის ქვეყნის მეფე, მოეხვია ჩემს ფერხთ, ხარკი და ძღვენი მივიღე მისგან. ჩემი სამეფო გამოსახულება გავაკეთებინე და დავდგი მისი ქალაქის შუაგულში"(მელიქიშვილი 1970: 374).[6]

3. ურარტუს მეფის მენუას წარწერა (ძვ.წ. IX ს. დასასრული და VIII ს. დასაწყისი):

ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაოხის ძლევამოსილი ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა სალაშქროდ მენუა იშფუინუნის ძე. წინ მიუძღოდა მას ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: დავიპყარი დიაოხის ქვეყანა, ქალაქი სასილო, (მისი) სამეფო ქალაქი, ბრძოლით დავიპყარი. ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები (დავანგრიე). მივედი სესეთის ქვეყნამდე. ქალაქ ზუამდე. ქალაქი უტუხაი. მენუა ამბობს: უტუფურსი, მეფე დიაოხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე მას მოწყალედ მოვექეცი. შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით. მომცა მან ოქრო და ვერცხლი. მომცა ხარკი. ის ტყვეები, რომლებიც დაბრუნდნენ მასთან, დამიბრუნა მან მთლიანად (მელიქიშვილი 1970: 375).[7]

4. ურარტუს მეფის მენუას ფრაგმენტული წარწერა (არზრუმისავე რაიონში ნაპოვნია მენუა მეფის ერთი სხვა წარწერა, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. წარწერა მხოლოდ ნაწყვეტია. მასში, ეჭვგარეშეა, რომ ლაპარაკი იყო აგრეთვე დიაოხის წინააღმდეგ ბრძოლების შესახებ, რადგან აქ იხსენიება ქალაქი სასილო):

მენუა ამბობს: დავიპყარი ქალაქი სასილო. *დავუდგი ეს წარწერა ღვთაება ხალდის, ჩემს მეუფეს. ღვთაება ხალდის* სიდიადით მენუა, იშფუინის ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი ტუშფა ქალაქის (მელიქიშვილი 1970: 375).[8]

5.ურარტუს მეფის არგიშთი I წარწერა (ძვ.წ.785?. არგიშთის დიდი ბრძოლები გადახდა დიაოხისთან. იხსენიება *დიაოხის* მეზობელი ქვეყნების დალაშქვრა):

არგიშთი ამბობს: შევევედრე ჩემს ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის (იმის შესახებ) რაც მეუფის სიდიადით მსურდა მომემოქმედა.. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი მე ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე (მელიქიშვილი 1970: 376-377).[9]

6. ურარტუს მეფის არგიშთი I წარწერა (იგივე ლაშქრობის შესახებ ამოკვეთილი ვანში, სურბ საჰაკის ეკლესიაში ნაპოვნ სტელაზე):

ქალაქი ზუა დიაოხის სამეფო ქალაქი მე გადავწვი. წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში. დიაოხის მეფე დავიმორჩილე. შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით (მელიქიშვილი 1970: 377).[10]

7.ურარტუს მეფის არგიშთი I წარწერა (ძვ.წ768წ.?):

დიაოხი კვლავ აჯანყდა. *ღვთაება ხალდი გაემართა თავისი იარაღით, სძლო მან უტუფურსი,* დიაოხის მეფე, სძლია მან აბნულუანუის ქვეყანა, დაამხო მან ისინი არგიშთის წინაშე. *ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია* (მელიქიშვილი 1970: 378-379).[11]

ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ არამილიტარისტული იდეოლოგიით განსჭვალული *დაია/დიაოს* მოდგმა უპირისპირდება ახლად კონსოლიდებულ სამხედრო სულისკვეთების მქონე ერთობებს.

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ ფაქტს: *დაია/დიაოს* მოდგმა კი იბრძვის თავგანწირვით, მაგრამ თავად *დიაო/დაია,* მოწინააღმდეგეთა ღვთაებებისაგან განსხვავებით, ბრძოლაში უშუალოდ ჩართული არაა. ისე ჩანს. რომ მას იცავენ, თავად ის კი არ იცავს ერთობას. ღვთაება *დაია/დიაოს* რაღაც სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ფუნქცია უნდა ჰქონოდა კოლექტივისათვის. ერთობის მაკონსოლიდებელი ფაქტორი ამ შემთხვევაში იყო კოლექტივის წევრების მიერ ღვთაების დაცვის მისია.

მეომარ ასურთან და ხალდისთან მიმართებით აშკარად ჩანს, რომ *დაია/დიაო* არის ქალური საწყისის ღვთაება ანუ *დაია/დაო,* მართლაც, არის დედა, დიდი დედა, ამგვარი იდენტიფიკაციის

შემთხვევაში გასაგებია თუ რატომ არ ჩანს *დაია/დიაო* ბრძოლის ველზე. მისი მთავარი ფუნქცია ერთობის გამრავლებაა. იგი ნაყოფიერების ქალღმერთია. მისი ძალა მისი ნაშიერია, რომელიც იცავს რა მას, მის სალოცავებს, იცავს საკუთარ მიწას და იდენტობას.

ამგვარად, *დაიან/დიაობით* აღინიშნებოდა ეთნიკური ერთობა – „დედაუფლის ხალხი" რომელიც, იყო თვითსახელწოდებისა და საერთო წარმომავლობის საკრალური მითის მქონე, რელიგიურად მარკირებული ჩვენ-ჯგუფი.

უმთავრესი კითხვა, რომელიც ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ისმის, შემდეგია: რომელ ნაციონალურ ერთობის წარსულს შეიძლება დავუკავშიროთ ის ერთობა, რომელიც თავს განიხილავდა, როგორც დედაქალღვთაება დაია/*დიაოს წაშიერს*?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განსაკუთრებულ აზრს იძენს შემდეგი ფაქტი: სიტყვა *დიბა*, რომელიც დღეს ქართული ენის რეგიონალურ ინვარიანტში, მაგალითად მეგრულში (ამირეჯიბი-მალენი და *სხვები* 2006: 342) არის შემორჩენილი და ნიშნავს *მიწას*. ჩანს, ეს არის ქართულში (*ქართულს* აქ ვიყენებ, ცხადია, *ქართველურის* აზრით) *მიწის* აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი სიტყვა. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა *თიბას* ფორმით დასტურდება *წმინდა წერილის* ქართულ თარგმანში, და, აგრეთვე, ჩვენამდე შემორჩენილ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში *წმ. შუშანიკის მარტვილობაში*: „და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიჯათა შიგან და ეკალთა ზედა" (აბულაძე 1963: 9).

მიუხედავად *დიბასა* და *დიაობის* ასეთი თვალსაჩინო ფონეტიკური და მორფოლოგიური მსგავსებისა (სიტყვის ძირი ორივე შემთხვევაში არის *დ* და ორივეს აქვს კუთვნილების მაჩვენებელი *ბ* სუფიქსი), საკითხზე მომუშავე სპეციალისტებს ამაზე ყურადღება, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არასოდეს გაუმახვილებით.

ეს ერთიდაიგივე სიტყვებია, ყოველ შემთხვევაში ჟღერადობისა და აგებულების მიხედვით. ახლა ვნახოთ სემანტიკურად.

როგორც ცნობილია, ძველ სამყაროში *მიწა* ასოცირებული იყო დიდ დედა ქალღვთაებასთან. ასე რომ, თუ ჩემს თვალსაზრისს *დიაობის* სემანტიკის შესახებ (*დედაქალღვთაების შვილები*) გავიზიარებთ, სიტყვის *დიბას* ფონეტიკური თუ მორფოლოგიური იგივეობა *დიაობთან*, არც მოულოდნელად მოგვეჩვენება და, მითუმეტეს, არც შემთხვევითად. *დიაობი* და *დიბა* ეს სიტყვები შინაარსობრივად ერთიდაიგივეა: ორივე *დედისას* ნიშნავს. მიწის ასოცირება დედაქალღვთაებასთან ძველი სამყაროს მსოფლხედვის უნივერსალური ფაქტია. *დიაობი* ეს იყო დედაუფალის (//დედოფლის)[12] შვილები და დედაუფლის საბრძანისი. ასევე შეიძლება გააზრებულ იქნეს *დიბაც*.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის კონტექსტში არ შეიძლება არ გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილის მსჯელობა დემატერ/დამატერის შესახებ. მკვლევარი მიუთითებდა, რომ სიტყვა „დედამიწას" ძველ დროს „მიწის" მნიშვნელობით არ იყენებდნენ, რადგან მაშინ „დედამიწას" განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და იგი მიწის დედას, მიწის ღვთაების დედის სახელწოდება იყო. სწორედ ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ არსებობდა წინა აზიის და ბერძენთა მიწის ღვთაება, რომელიც დემატერ/დემეტერად იწოდებოდა. ეს სიტყვები, მეცნიერთა აზრითო, დედამიწას უნდა ნიშნავდესო. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი აფიქსირებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ იმ თვალსაზრისსაც, რომლის მიხედვით, თავისი აგებულებით ეს არაა ბერძნული სიტყვა. სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით გამოთქვამდა იგი ვარაუდს: აღნიშნული სიტყვის პირველი ნაწილი ანუ *და* და *დე* სიტყვა *დედის* შეკვეცილი ფორმა უნდა იყოსო. შეკვეცილი ფორმა უცხო არაა ქართულისათვის. ეს ასეა, მაგალითად, სიტყვებში *დიასახლისი* ან *დეკეული*. ეს უკანასკნელი არის ერთი წლის ფური, რომელიც *დიაკეულადაც* იწოდება. ამავე კონტექსტში იმოწმებდა მკვლევარი სიტყვა *დიოფალსაც*. ამის საფუძველზე კი ასკვნიდა, რომ ქართულში და მის მონათესავე სხვა ენებში *დე/და* სიტყვა *დედის*. კანონზომიერად შეკვეცილი ფორმებია. ივანე ჯავახიშვილის მითითებით, დემეტერ/დამატერ კომპოზიტია და შედგება ორი ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვისაგან ორივე ეს სიტყვა კი *დედას* ნიშნავს. პირველი – ქართულად, მეორე – ბერძნულად. ამგვარად, *დემატერ/დამატერში* ივანე ჯავახიშვილს ორივე ნაწილი ანუ *დე/და* და *მატერ* დედის მნიშვნელობისა ეგონა. თუმც მსჯელობის ბოლოს იმასაც შენიშნავდა, რომ თუ *მატერ* სიტყვაც ბერძნული არ გამოდგა, ის შეიძლება *მიწას* ნიშნავდესო (ჯავახიშვილი 1979: 132-133).

მე სარწმუნოდ მიმაჩნია ივანე ჯავახიშვილის მსჯელობის ის ნაწილი, სადაც *და/დე* შეკვეცილი ფორმების კანონზომიერებაზე და ქართულ *დედასთან* მათ კავშირზეა საუბარი. სიტყვების იმ ჩამონათვალს, რომელსაც გვთავაზობს ივანე ჯავახიშვილი, მე დავუმატებდი, აგრეთვე, სიტყვას *დი-ა-ც-ი*. ამავე კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, ჩემი აზრით, ტოპონიმებიც *დი-გორ-ი* და *დი-ობან-ი* ორივე

ეს ტოპონიმი შემდეგი სემანტიკის მგონია – *დედოფლის გორა* და *დედოფლის უბანი*. ასე გააზრება ამ ტოპონიმების სემანტიკისა მით უფრო ლოგიკურია, რომ ქართულ სინამდვილეში დასტურდება ტოპონიმები *დედოფლის მინდორი, დედოფლის გორა*[13] ანუ *დი* დედაუფალს ანუ დედაქალღვთაებას ნიშნავს. რაც შეეხება *მატერ* სიტყვას. ფაქტობრივად ანუ ფონეტიკური კუთხით სრულიად ცხადია, რომ ის საშოს და საშვილოსნოს სემანტიკური ველის სიტყვებს უკავშირდება, როგორც ქართულში, ისე სხვა ენებში, მაგალითად, რუსულში. ლოგიკურადაც ამ სიტყვის კავშირი სიტყვის *შობა* კონცეპტუალურ ველთან სავსებით მოსალოდნელია, რადგან დედაქალღვთაების უმთავრესი ფუნქცია სწორედ შთამომავლობის მოცემაა. ანუ *დემატერ/დამატერ* კომპოზიტი ნიშნავს დედა-მშობელს. მიწის გაგებას მშობლის აზრით, უეჭველია, რომ შეიცავს სიტყვა *მატერიკიც*.

მიწის კონცეპტუალიზაციის ქართული ვერსია იმისაგან განსხვავებულია, რასაც ჩვენ *დემატერ/დამატერ*-ის შემთხვევაში ვხედავთ. მასში აქცენტირებულია დედაქალღვთაების მეორე უმთავრესი ფუნქცია: ნაშიერის გამოკვება. ქართველისათვის *დედა* არის *მიწა* ანუ მაწოვნებელია ანუ მაწიერობის მომნიჭებელია. დედაქალღვთაების ამგვარი კონცეპტუალიზაცია ქართული კულტურის ერთგვარ იმპერატივადაც წარმოგვიდგება. ამას მაფიქრებინებს საქართველოს ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქის ანალიზი, კერძოდ, ქართლის მოქცევის ეპოქაში, ქრისტიანი მისიონერი ქალის - ნინოს ანუ დედის სახის დაკავშირება მაწოვნებელობასთან (ჩხარტიშვილი 2009: 111-139). წმ. ნინომ (და მასთან ერთად, ცხადია, ღვთისმშობელმაც) რომ ქართველთა კოლექტიურ მახსოვრობაში ფაქტობრივად ჩაანაცვლა დიდი დედის მტკიცედ ფესვგადგმული და საოცრად ცხოველმყოფელი ხატება, ესეც უდავო მგონია.

დიბა, რომელიც, როგორც *დიაოხი*, ნიშნავს *დედისას* და ის თავიდან კოლექტივის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო. თანდათან გადაიქცა იმ არეალის აღმნიშვნელად, სადაც ეს კოლექტივი მოსახლეობდა, ბოლოს კი საზოგადოდ ნიადაგის აღმნიშვნელი სიტყვის აზრი შეიძინა. ძველი მსოფლხედვის ჩარჩოებში ეს სემანტიკური ევოლუცია, როგორც ითქვა, სრულიად ლოგიკურია.

ამგვარად, *დიაოხი* (და *დაიენიც*, რომელიც, როგორც ითქვა, მისი ვარიაციაა) კარგად შინაარსიანდება ქართული კულტურის კონტექსტში და, შესაბამისად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ *დაია/დიაო* კოლექტივის ისტორია ქართული იდენტობის ისტორიის ნაწილია.

უკვე აღინიშნა, რომ *დაიენ/დიაოხის* ქართულ სამყაროსთან კავშირის შესახებ აზრი დღეს ფართოდ გაზიარებული შეხედულებაა, მაგრამ არსებითად დასაბუთებული ის არ ყოფილა. როგორც ვთქვი, ეს თვალსაზრისი ეფუძნებოდა ისეთ ფაქტებს, რომელთა გზით პრინციპულად შეუძლებელი იყო ეთნიკური იდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა. ეს იყო ინტუიტურად მიღებული მიხვედრა, რომელიც მხოლოდ იმის გამო, რომ მალევე გადაიქცა კოლექტიური მახსოვრობის ხატად, დამკვიდრდა როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო და საცნობარო ლიტერატურაში.

ჩემ მიერ მოძიებული ფაქტი *დიაოხისა* და *დიბას* იგივეობის შესახებ, თვისებრივ სხვაა. ის შეეხება ყველაზე ფუნდამენტურ იდენტობრივ მარკერს, კერძოდ, ენას, მაგრამ არა მარტო ენას, არამედ ესაა ჯგუფის საზიარო სიმბოლოების დამთხვევის თვალსაჩინო შემთხვევაც.

ქართულ იდენტობას *დაიაენ/დიაოხი*, როგორც ვნახეთ, უკავშირდება კოლხური ენის გზით. ამასთან კავშირში სრულიად ლოგიკურად დაისმის შემდეგი კითხვა: ორი სხვადასხვა ტერმინით ანუ *კოლხათი* და *დიაოხით* ხომ არ აღინიშნებოდა ერთიდაიგივე სოციალურ-პოლიტიკური რეალობა?

აღნიშნული კითხვა რეზონულია შემდეგი გარემოების გამოც: *დაია/დიაოს შვილები* – ეს არის კოლექტიური სახელი, თვითსახელწოდება, მაგრამ, ეს არის თვითსახელწოდება-ატრიბუტი, დაახლოებით ისეთი, როგორც „ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები“ რომ თქვას ვინმემ ქართველების შესახებ. ანუ ეს თვითსახელწოდება არაა სავალდებულო რომ ჯგუფისათვის ერთადერთი იყოს. პირიქით, იგი მიუთითებს, რომ, ამ ერთობას ამის დამატებით ჰქონდა სხვა, ძირითადი სახელწოდებაც, ისევე როგორც, მაგალითად, „ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნის შვილებს“ აქვთ ძირითადი თვითსახელწოდება „ქართველი“. ამგვარად, *დაია/დიაოს შვილებს* უნდა ჰქონოდათ ძირითადი თვითსახელწოდებაც და სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ყოფილიყო სწორედ *კოლხი*. ანუ ლოგიკურია ვამტკიცოთ, რომ სწორედ *კოლ-ი* ეთნიკური კოლექტივის ატრიბუტს წარმოადგენდა *დაია/დიაოს შვილები* ანუ *დაიაენ/დიაოხი*.

მაგრამ საკითხზე არსებულ გამოკვლევებში *კოლხა* და *დიაოხი* სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად განიხილება. ეს აზრი მტკიცედ არის ფესვგადგმული პოპულარულ სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში. არსებობს *დიაოხისა* და *კოლხას* დრამატული დაპირისპირების ისტორიის რეპრეზენტაციაც: სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გარკვეული პერიოდიდან ძველაღმოსავლურ წყაროებში ცნობები *დიაოხის* შესახებ წყდება. კერძოდ, გიორგი მელიქიშვილი

განიხილავს ურარტული მეფის არგიშთის მატიანეს და ამ მატიანეში ცნობას აღნიშნული მეფის მე-19 წელს მომხდარი *დიაოხის* აჯანყების შესახებ. ამ წარწერაში კვლავ იხსენიება უტუფურსი, ამ სახელის მქონე პიროვნება, როგორც ვნახეთ, დასტურდება არგიშთის მამის მენუას წარწერაშიც. ამიტომ გიორგი მელიქიშვილი არაა დარწმუნებული იმაში, რომ საქმე ერთი და იგივე მეფეს ეხება. მაგრამ ეს არაა მთავარი ამ გამოკვლევისათვის, არამედ მკვლევრის შემდეგი შენიშვნა:

> ამით წყდება ცნობები დიაოხის შესახებ ურარტულ წყაროებში. მომდევნო ცნობა ამ სახელის მქონე მოსახლეობის შესახებ თავს იჩენს უკვე ძველბერძნულ წყაროებში. ძველი ბერძენი ავტორი ქსენოფონტე, რომელმაც ძვ.წ. 401 წელს გაიარა ამ ქვეყანაზე, იხსენიებს ტაოხების მეომარ ტომებს, რომელთა სახელი, ეჭვგარეშეა, იგივე ურარტული დიაოხი უნდა იყოს (მელიქიშვილი 1970: 279).

ცოტა ქვემოთ მკვლევარი მიუთითებს:

> ამრიგად, სარდური II-ის დროს ურარტელები განაგრძობენ ბრძოლებს სამხრეთ ამიერკავკასიის ტომების დასამორჩილებლად. ამასთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს, რომ სარდურის წარწერებში სრულიად არაფერია ნათქვამი სამხრეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ერთეულის – დიაოხის შესახებ. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ დიაოხი კვლავ ძლიერი და მტრულად განწყობილი ქვეყანა ჩანს სარდურის წინამორბედი მეფის – არგიშთი I-ის მეფობის უკანასკნელ წლებში (იხ.ზემოთ არგიშთი I-ს მეფობის მე-19 წელს დიაოხის მეფის უტუფურსის აჯანყების შესახებ). არ შეიძლება დავასკვნათ, რომ დიაოხი სარდური II-ის დროს უცბად ლოიალური გამხდარა ურარტუს მიმართ. თუ ეს ასე მოხდა, ამასაც თავისი საფუძველი უნდა ჰქონოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს უნდა ჰქონოდა ადგილი. ყურადღებას იქცევს ის, რომ ურარტულ წარწერებში სარდური II-ის დროს დიაოხის სამხრეთ დასავლეთით საქართველოს ტომთა მეორე დიდი გაერთიანება ცვლის – კოლხა, როგორც მას ურარტელები უწოდებდნენ, ე.ი. კოლხეთი. სარდური II-ის მეფობამდე კოლხას შესახებ არაფერი ისმის, უნდა ვიფიქროთ, რომ საერთო საზღვარი ურარტუსა და კოლხას არ გააჩნდათ. მათ შორის იყო მოქცეული სწორედ დიაოხის და უფრო წვრილი გაერთიანებების მიწა-წყალი. ნიშანდობლივია ისიც, რომ კოლხა არ ჩანს სამხრეთ ამიერკავკასიის იმ მრავალრიცხოვან გაერთიანებებს შორის, რომლებიც არგიშთი I-ის დროს ეხმარებოდნენ დიაოხის ურარტუსთან ბრძოლაში. ეს გვავარაუდებინებს, რომ კოლხას ამ შემთხვევაში თავისებური პოზიცია უნდა სჭეროდა ამ ორ მეზობელ დიდ გაერთიანებას შორის – დიაოხისა და კოლხას შორის – საკუთნოვანი მეტოქეობა და ჭიდილი არის სავარაუდებელი. კოლხას მმართველები ახლა ალბათ საკუთარი ინტერესებით უდგებოდნენ დიაოხი-ურარტუს ბრძოლებს, არაფერს აკეთებდნენ დიაოხის დასახმარებლად და უცდიდნენ, რომ დასუსტებული დიაოხის მემკვიდრეობა ხელში ჩაეგდოთ... ურარტელთა ლაშქრობებმა დიდად დაასუსტეს დიაოხი.. უკანასკნელი ლახვარი დასუსტებულ დიაოხის, როგორც ჩანს, თავისმა ჩრდილოელმა მეზობელმა – კოლხამ ჩასცა. ყურადღებას იქცევს, რომ ზოგიერთი „ქვეყანა", რომელიც არგიშთი I-ის დროს დიაოხისთან კავშირში იხსენიება, ჩანს, მისი გავლენის სფეროში შედიოდა, სარდური II-ს დროს უკვე კოლხასთან კავშირში იჩენს თავს... სარდური II დროს დიაოხის რიგი ჩრდილო რაიონები კოლხას შემადგენლობაში მოექცა. დიაოხი მისი დარტყმებით ან სულ განადგურდა, ან ისეთ უმნიშვნელო ძალად გადაიქცა, რომ დაცვასა და მფარველობას კოლხას წინააღმდეგ ყოფილ მტერთან, ურარტუსთან ეძებდა. ამიტომაა, რომ სარდური II-ის დროს დიაოხისთან შეტაკებების შესახებ არაფერი ისმის.. ამიერიდან კოლხეთი და ურარტუ უშუალო მეზობლები გახდნენ და შეტეკებაც გარდაუვალი გახდა. სარდური II-ს წარწერებში კოლხეთთან ბრძოლას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ურარტუს ამ მეფის მატიანედან ვიგებთ ორი ლაშქრობის შესახებ, რომლებიც ურარტელებს კოლხას წინააღმდეგ მოუწყვიათ... ხუსას ქვეყანა ადრე დიაოხის შემადგენლობაში შედიოდა, ახლა კი იგი, ჩანს, კოლხას ფარგლებში განიხილება, და მისი დაპყრობა კოლხას წინააღმდეგ ლაშქრობად არის მიჩნეული (მელიქიშვილი 1970: 385-387).[14]

მე საგანგებოდ მოვიყვანე ვრცელი ამონარიდი გიორგი მელიქიშვილის ნაშრომიდან, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შექმნოდა არსებული დისკურსის ხასიათზე. იმის გამო, რომ წყაროთა მონაცემები ძალიან მწირია, როგორც ვხედავთ, ძირითადი ადგილი ამ რეპრეზენტაციაში უკავია მკვლევრის ვარაუდებს. ცხადია, აღწერილი სცენარით მოვლენების განვითარება შესაძლებელი იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო ლოგიკურია შემდეგი ვერსია: *კოლხა* და *დიაოხი* ერთი და იგივეა და ამიტომაა, რომ ეს ორი სახელწოდება არასოდეს ერთდროულად არ ჩანს წყაროებში, თვითსახელწოდება *დიაოს შვილები* ანუ *დიაოხი* არის *კოლ-ი* ერთობის თვითსახელწოდება-ატრიბუტი. სწორედ ამ იგივეობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ წყაროებში *დიაოხის* და *კოლხას* ზოგიერთი „ქვეყანა" ერთიდაიგივეა, და არა იმიტომ, რომ ეს ორი პოლიტიკური გაერთიანებაა და ერთმა მეორე დაიპყრო. უბრალოდ, ერთ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ერთობას ეწოდება *კოლ-ი*, ხოლო ტერიტორიას – *კოლხა* ანუ *კოლ-ისა*, მეორე შემთხვევაში კი იგივე კოლექტივს ეწოდება *დიაოხი* ანუ ან *დიაო-სი*.

თვალსაზრისი *დიაოხის* და *კოლხას* იგივეობის შესახებ უკვე გამოთქმულია სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ ის ნაკლებად პოპულარული იყო დღემდე.

კერძოდ, თეიმურაზ მიქელაძის აზრით, დაიაენი-დიაოხის სამეფოს განადგურება ან დაყოფა არ მომხდარა. ძველბერძნულ მწერლობაში მოხსენიებული ქვეყანა სახელწოდებით „აია", ძველაღმოსავლურ წყაროებში დაფიქსირებული *დაიაენი* და *კულხა* ერთი და იგივე პოლიტიკური ერთეულია. *კოლხა* და *დაიაენი* ერთი და იმავე ქვეყანას აღნიშნავენ. თავდაპირველად ამ ქვეყანაში პროვინცია (შეიძლება დინასტია) *დიაოხი* ჰეგემონობდა, შემდეგ – *კოლხა*: როცა წყაროებში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი მსხვილი *დაიაენი-დიაოხი* სამეფო ფიგურირებს, *კულხა*, როგორც პოლიტიკური ერთეული, ჯერ კიდევ არ ჩანს (მიქელაძე 1971: 133-136; მიქელაძე 1973: 140-141).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი ორი სახელწოდების არსებობას ჩემგან განსხვავებულად ხსნის, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ისიც ხედავს: ამ სახელწოდებათა უკან ერთიდაიგივე სოციალური რეალობაა.

როგორც კვლევამ მიჩვენა, *დიაოხისა* და *კოლხის/კოლხას* იგივეობის შესახებ მოსაზრებას განამტკიცებს სხვა ფაქტებიც. ერთ-ერთ ასეთ ფაქტს განვიხილავ ამ წერილში. მხედველობაში მაქვს ტოპონიმი *დიოსკურია*, რომელიც ანტიკურ ეპოქაში წარმოადგენდა საქალაქო დასახლებას დღევანდელი სოხუმის მიდამოებში.

ფონეტიკურად ეს ტოპონიმი სხვაობს *დიაოხისაგან*, მაგრამ, ირკვევა, რომ მორფოლოგიურად ის *დაიაენ/დიაოხის* ანალოგიური სიტყვა იყო, ხოლო სემანტიკურად – მისი იგივეობრივი. ამის ჩვენებას ქვემოთ შევეცდები. თავიდან კი ვიტყვი დასკვნას: *დაიაენ/დიაოხი* არ ლოკალიზდებოდა მხოლოდ სამხრეთში, როგორც ეს ჩანს ძველაღმოსავლურ წყაროებით. ფაქტობრივად ასე იწოდებოდა ის ქვეყანაც, სადაც კლასიკური ავტორების *დიოსკურია* მდებარეობდა და სადაც, უეჭველია, რომ *კოლხები* მოსახლეობდნენ. *დაიაენ/დიაოხი* ისევე *კოლხა/კოლხეთი* მიემართებოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვან არეალს ანუ ეს ორი ემთხვეოდა ერთმანეთს.

ახლა კი უფრო ვრცლად ამ საკითხზე.

როგორც ცნობილია, ბევრი მკვლევრის მიერ ტოპონიმი *დიოსკურია* გაიაზრებოდა ბერძნულად და თავად ქალაქსაც ბერძნების დაარსებულად მიიჩნევდნენ. მაგრამ ზოგი მეცნიერი სხვაგვარად მიუდგა ამ საკითხს. მაგალითად, იგივე თეიმურაზ მიქელაძემ ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსის" ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე დაასკვნა, რომ თავდაპირველი ფორმა ამ სიტყვისა არის *დიოსკურისი* და ეს არის სახელწოდება არაელინური ადგილობრივი ქალაქისა, რომელიც არსებობდა ბერძნული ახალშენების დაარსებამდე ანუ ძვ.წ. ს-ის II ნახევრამდე. ბერძენთა აქ დამკვიდრების შემდგომ კი ქალაქის სახელწოდება იღებს ბერძნულ ფორმას *დიოსკურიას* და შესაბამის გააზრებასაც. მკვლევარი მიუთითებს, რომ ადგილობრივი სახელწოდება ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მეორე ნაწილი არის ზოგადი მნიშვნელობის ადგილობრივი ტოპოგრაფიული ტერმინი *სკური*, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში დღემდე.

რაც შეეხება სახელწოდების პირველ ნაწილს ანუ *დიოს*,, მას მკვლევარი უკავშირებდა ქართულ სიტყვა *დიას* ანუ დედას. მიუთითებდა რა, რომ კოლხეთში გავრცელებული იყო დიდი დედის ანუ ღმერთების დედის კულტი, ტოპონიმს იაზრებდა როგორც ღმერთთა დედის ქალაქს (მიქელაძე 1960: 190-195).

სიტყვა *დიოსკურიის* მეორე ნაწილის მსგავსებას ადგილობრივ ტოპონიმებთან ადრევე მიექცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება. მაგალითად, სიმონ ჯანაშია მიუთითებდა, რომ ამ სიტყვის მეორე ნახევარი შეიძლება წარმოადგენდეს სამეგრელოში კარგად ცნობილ ტოპოგრაფიულ ტერმინს *სკურს* (ჯანაშია 1959: 16).

ასეთივე თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული სხვა მკვლევრებსაც. მაგალითად, ლ. სოლოვიოვის შეხედულებით, ეს სახელწოდება უნდა შედგებოდეს სიტყვისაგან *სკური*, რომელიც არის მდინარის, წყლის, დასახლებული ადგილის აღმნიშვნელი ტერმინი, ხოლო პირველი ნაწილი *დია* დედას ნიშნავს. ამგვარად, *დია-სკური* ნიშნავს ქალაქების დედას, მდინარეების დედას (სოლოვიოვი 1947: 104, 116-117).

მერი ინაძე ეთანხმება აღნიშნულ მკვლევრებს *სკურის* ადგილობრივ ტოპონიმთან მიმსგავსების საკითხში, მაგრამ მიუთითებს, რომ ვერ იზიარებს *დიოსკურიის* შემოთავაზებულ გააზრებებს, რამდენადაც მიაჩნია, რომ ამგვარ ინტერპრეტაციას ხელს უშლის ის გარემოება ფსევდო-სკილაქს კარიანდელს აქვს *დიოსკურისი* და არა *დიასკურისი* (ინაძე 2009: 298).

მერი ინაძე მიუთითებდა კიდევ სხვა ფაქტებზე, რომლებიც მას *დიოსკურიის* შემოთავაზებული ინტერპრეტაციის გაზიარებაში ხელს უშლიდა, თუმც მისი მსჯელობა საკმაოდ ორჭოფულია და პირადად მე ამ პოზიციის ბოლომდე გაგება მიჭირს. ეტყობა, მკვლევარს, ერთი მხრივ, ეძნელებოდა

არ გაეზიარებინა თეიმურაზ მიქელაძის ძალიან დამაჯერებელი აზრი აღნიშნული საკითხზე, ამავე დროს პრობლემურად ეჩვენებოდა დამკვიდრებული ტრადიციის უარყოფაც.

ცხადია, დამაბრკოლებელ გარემოებას თეიმურაზ მიქელაძის ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისისათვის არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ფსევდო-სკილაქს კარიანდელს აქვს *დიოსკურისი* არა *დიასკურისი. დია* და *დიო* ერთი და იმავე ძირის სიტყვებია: *ა* და *ო* ხმოვნების მონაცვლეობა კი ფონეტიკური კანონზომიერებაა მრავალი ენის შემთხვევაში.

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ მსჯელობას ვხდებით სალომე ბახია-ოქრუაშვილის ნაშრომშიც. იგი იზიარებს იმ აზრს, რომ *დიოსკურია* ქართული წარმოშობის პოლისონიმია, რომ სიტყვის მეორე ნაწილი, წყალს უკავშირდება (ბახია-ოქრუაშვილი 2010: 218).

ვიზიარებ იმ აზრს, რომ ტოპონიმის პირველი ნაწილი დედაქალღვთაებას აღნიშნავს სულერთია იქნება ის *დია* თუ *დიო*. ვიზიარებ ქართულ ტოპონიმიკასთან სიტყვის მეორე ნაწილის დაკავშირების შესახებ აზრსაც. ამასთან, ვფიქრობ, რომ ზემოთ წარმოდგენილი კვლევა ამ სიტყვის უფრო ღრმა გაგების საშუალებას მაძლევს.

დავუკვირდეთ ტოპონიმის მეორე ნაწილის ანუ *სკურის/სქურის* მნიშვნელობას. ის, მართლაც, ძალიან გავრცელებული და პროდუქტიული ტოპონიმია ქართულ სინამდვილეში. სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ამ სიტყვის შემცველი ტოპონიმების საკმაოდ ვრცელი სია. მეტი სიცხადისათვის აქაც დავასახელებ რამდენიმეს: *სკურა* (სკურისა) სოფელი აჭარაში, *სკურდა* (სკურდისა) – მთა აჭარაში, მესხეთის ქედზე; *სკურდი* – სოფელი სამეგრელოში; *სკურდიდი* მდინარე აჭარაში, მაჭახლის წყლის მარცხენა შენაკადი; *სკურდუმი* მდინარე გურიაში, ნატანების მარჯვენა შენაკადი; *სკურია* – სოფელი სამეგრელოში; *სკურჩა* – მდინარე აფხაზეთში, ერთვის შავ ზღვას. *სქური* – კუროორტი სამეგრელოში; *სქურია* – მდინარე ხობის მარცხენა შენაკადი; *სქურჩა* (სქურჩისა) – მდინარე ხობის მარცხენა შენაკადი; *სქურჭალე* (სქურჭალისა) – მდინარე მაგანის მარჯვენა შენაკადი (აფხაზავა და *სხვები* 1987: 94-96).

ის ფაქტი, რომ *სქური/სკური/სკურჩა* და ა.შ. ტოპონიმები და ჰიდრონიმები ასე ხშირია ქართულ სინამდვილეში, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ძალიან ნიშანდობლივია ამ სიტყვის ფონეტიკური სიახლოვე არა მარტო *სქირთან,* რომელიც *შვილს* ნიშნავს (შდრ. *პაპასქირი* იგივე პაპაშვილი, *ოხოლასქირი* – სახლიკაცი ანუ სახლიშვილი), არამედ *სკასთანაც.* თანამედროვე ქართულის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა გაგებულია როგორც ყუთი ანუ მატერიალური მოცემულობა, რომელშიც განთავსებულია ფუტკრის ოჯახი. მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გვხდება სიტყვა *სასკეც,* რაც ირიბად აჩვენებს იმას, რომ *სკა* თავიდან ნიშნავდა არა ფუტკრის სამყოფს, არამედ თავად ფუტკარს ანუ ფუტკართა ერთობას. აღნიშნულის პირდაპირი დასტურია ისიც, რომ *სკა* მეგრულ ქართულში აღნიშნავს *ფუტკარს.*[15] ანე *სასკე* ნიშნავს საფუტკრეს.

ამგვარად, სიტყვა *სკა* არა მარტო ფუტკრის სახლს ნიშნავს; პირველ რიგში ეს სიტყვა აღნიშნავს ერთობას წარმომავალს ერთი მდედრისაგან, ერთი დედის ნაშიერს და ამ ერთობის განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი არის სწორედ ეს მდედრი ანუ დედაფუტკარი. ერთობის სახელწოდება მის საცხოვრისზეც გადავიდა და *სკა* გააზრებული იქნა როგორც ფუტკრის სამყოფელიც. ამასთან, *სკა,* ჩანს, არ იყო მხოლოდ ფუტკრების ერთობლიობის აღმნიშვნელი სიტყვა., არამედ საზოგადოდ გენეტიკურად ერთგვაროვნად მოაზრებული კოლექტივის აღმნიშვნელი სიტყვა. მისი კონცეპტუალიზაცია კავშირში ჩანს სიტყვებთან *(გამონა)სხური, (გამო)სხივებული.* ძველი ადამიანის მიერ დაბადების გააზრება, როგორც გამოსხურებისა, ფსიქოლოგიური უნივერსალია უნდა იყოს. ძალიან ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით შემდეგი მაგალითი. ძველეგვიპტური მითოლოგიის მიხედვით ღმერთებისაგან დაბადების გზა იყო *გადმოფურთხება.* ასე თარგმნის შესაბამის სიტყვას მანანა ხვედელიძე (ხვედელიძე 2003: 19). მე ხელი არ მიმიწვდება ამ ტექსტების ორიგინალებზე, ამიტომ ვიმეორებ აღნიშნული მკვლევრის თარგმანს, თუმც მიმაჩნია, რომ ძველეგვიპტურ ტექსტში დაბადების ფაქტის აღსაწერად დადასტურებული სიტყვის ქართული შესატყვისი არის არა *გადმოფურთხება,* არამედ *გამოსხურება.* ამ აქტის შედეგი არის შთამომავლობა ანუ *სხური/სქური* ანუ ის, რაც გამოსხურებული იქნა. ამავე სემანტიკური ველის სიტყვა მგონია მსხალიც, რაც გამოსხმულს ნიშნავს და, შესაძლოა, თავის დროზე საზოგადოდ ნაყოფის აზრით გამოიყენებოდა.

ამგვარად, სიტყვა *სხური/სქურისა* ნიშნავს *გამომდინარეობას, გამოსვლას.* ამიტომ ვპოულობთ მას ასე განსხვავებულ კონტექსტებში: ჰიდრონიმების შემთხვევაში სრულიად გასაგებია. ტოპონიმების შემთხვევაში, ეს უნდა იყოს გვარის განაყარის სამოსახლოს ამსახველი სიტყვა. იგივე აზრის მტვირთველი უნდა იყოს *სხივიც:* ღვთაებიდან გამოსვლის ანუ დაბადების გზა არის ემანაცია ანუ გამოსხივება.

სჳური/სკური (იგივე *სკა*) აშკარად არის ოჯახის ანუ გენეტიკურად ერთგვაროვნად მოაზრებული ერთობის, აღმნიშვნელი ძველქართული ტერმინი. მისი ამ შინაარსის გათვალისწინებით გასაკვირი არაა, რომ გვხდება ამდენი *სჳური* თუ *სკური* საქართველოში: ესაა თავდაპირველი გვარიდან გამოსხმული („გამოსხურებული“) ახალ-ახალი ოჯახების თუ გვარების (თავად კოლექტივისა და მისი საცხოვრისის) აღმნიშვნელი სიტყვა. *სჳური/სკური*, ჩანს, წარმოადგენდა ბერძნული *ეთნიკოსის* ფარდ სოციალურ ტერმინს, რომელიც გამოიყენებოდა მრავალი სახის შინაგანად ერთგვაროვანი ერთობათა, მათ შორის, ფუტკრების ნაყარის აღმნიშვნელადაც. ეთნიკურობის, როგორც ნაყართან, საერთო ოჯახთან ასოცირებული ფენომენის, კონცეპტუალიზების ფაქტი სათანადოდ არის ნაჩვენები სპეციალურ ლიტერატურაში (ჰათჩინსონი, სმითი 1996: 4).

როგორც უკვე ვთქვი, ასე გაგებული *დიოსჳურისი/დიოსკურია* არსებითად იგივეა, რაც დაიაენ/*დიაობი* ანუ ორივე სიტყვა *დაია/დიაოს* ნაშიერს, შთამომავლობას ნიშნავს.

დიოსკურიას ადგილმდებარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარა ხდება *დაია/დიაოს მოდგმის* სახელით ცნობილი ეთნიკური ერთობა მარტოოდენ სამხრეთში არ ფიქსირდება. მისი კვალი ჩრდილოეთითაც ჩანს, სადაც წყაროთა მოწმობით, კოლხების განსახლების ადგილია. სწორედ ეს მიუთითებს, რომ კოლხები და დაია/დიაოს მოდგმა ანუ *დაიენ/დიაობი* ერთიდაიგივეა.

ანუ ეს სწორედ კოლხები იყვნენ, რომლებიც თავს დედაქალღვთაების ხალხად იაზრებდნენ.

ჩემ მიერ უკვე ჩატარებული კვლევის შედეგად ამ ბოლო თემის გაგრძელება, ისევე როგორც, „კოლხური“ იდენტობის გზით ქართულ იდენტობასთან *დაიაენ/დიაობის* კავშირის მაჩვენებელი სხვა მასალის მოყვანაც შეიძლება, რასაც ვაპირებ უახლოეს მომავლის პუბლიკაციებში. ამჯერად კი ვფიქრობ, უმჯობესია აქ დავასრულო, რომ ბევრი სხვადასხვა სიუჟეტით არ გადავღალო მკითხველი.

შენიშვნები

[1] საკითხის კვლევის ისტორიის შესახებ მეტ-ნაკლებად წარმოდგენის შესაქმნელად მკითხველს შეუძლია იხილოს შემდეგი ნაშრომები: გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ 1, თბილისი, საბჭოთა საქართველო,1970;.მისივე. დიაუხი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1978; გ. ყორანაშვილი. საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, თბილისი, 2000;.გ.გიორგაძე. უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002; დ. მუსხელიშვილი, „დაიაენ“-„დიაობის“ ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობისათვის,-ანალები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, 2004, №1; გ. ქავთარაძე, ტაოს უძველესი ციხე-ქალაქების ადგილმდებარეობის გამო, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული მიძღვნილი პროფესორ მანანა ხიდაშელის დაბადების 70-ე წლისთავისადმი, თბილისი, 2006; ს.გოგიტიძე. დაიაენ-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათუმი, 2006; M.Lordkipanidze,The Problem of the Origin and Continuity of Statehood in Georgia, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 175,№ 3, გვ.148-152.

[2] კოლექტიური მახსოვრობისა და ნაციონალურ იდენტობას შორის კავშირის შესახებ იხ. A. D. Smith. Nationalism and Historians. In: A. D. Smith. myths and memories of the nation. Oxford University Press, 1999, pp. 29-55.

[3] ეს არის საერთოკავკასიური და, უფრო ზოგადად, წინააზიურ-კავკასიური სუფიქსი ეთნიკური სახელების მაწარმოებელი, რომლის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიაციასაც ვხდებით. საკითხის ისტორიისათვის იხ. რ. აბაშია, კავკასიის უძველეს ეთნოტოპონიმთა წარმოშობის ისტორიიდან. ქართული ონომასტიკა, II. თბილისი: თსუ გამომცემლობა,2004, გვ.40-48.

[4] ხაზი ჩემია მ.ჩ.

[5] ხაზი ჩემია მ.ჩ.

[6] ხაზი ჩემია მ.ჩ.

[7] ხაზი ჩემია მ.ჩ.

[8] ხაზი ჩემია მ.ჩ.

[9] ხაზი ჩემია მ.ჩ.

[10] ხაზი ჩემია მ.ჩ.

[11] ხაზი ჩემია მ.ჩ.

[12] დედოფალი აქ, ცხადია, გამოიყენება ქალღვთაების აზრით და არა უზენაესი საერო პირის ანუ მეფის მეუღლის აზრით.

[13] არქეოლოგიური ძეგლი, აღმოჩენილი *დედოფლის მინდორზე* აღმოსავლეთ საქართველოში სწორედ დედა ქალღვთაების სატაძრო კომპლექსი უნდა ყოფილიყო. ამ კუთხით საინტერესოა *დედოფლის წყაროც*.

[14] ხაზი ყველგან ჩემია.- მ.ჩ.

[15] იხ. კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, გვ. 351. „სასკე – საფუტკრე"; „სკა" – ფუტკრების სახლი. წნელით წნულსა ეწოდების სკა, ხოლო როგო და ფუკა – ხისა გამოთლილსა. იხ. ს.ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის სამიებელი დაურთო ი. აბულაძემ. რედ.

ე. მეტრეველი და ც. ქურციკიძე. თბილისი, მერანი, 1993, გვ. 54, 101. ძალიან ნიშანდობლივია, რომ ქართულის რეგიონალურ ინვარიანტებში, რომლებიც სტანდარტიზებული ქართული ენობრივი სისტემისათვის, „ამარქაფებენ" არააქტივიზებულ ენობრივ მასალას და, ამდენად, ქართული იდენტობის ისტორიის ლინგვისტური კუთხით განხილვისათვის რეპრეზენტატულ წყაროებს წარმოადგენენ, შთამომავლობის მოცემასთან, ნაშიერის გამრავლებასთან დაკავშირებული სიტყვები სქ სემანტის შემცველია. მაგალითად, ლაზურში ოსქუმუ „კვერცხის დადებას" ნიშნავს. შდრ. აგრეთვე მეგრული: სქუალა – „კვერცხის დადება" და სქუნს – „კვერცხს დებს" (ნ. ქუთელია. ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 236. ანალოგიურ აზრობრივ ასოციაციას ეფუძნება, ჩანს, სიტყვა მსხალიც: ანუ ის, რაც საწყისიდან გამოსული, გამოსხმული ან გამოსხურებულია ანუ ნაყოფია.. თუმც. შესაძლოა, ეს ძირი პროდუქტიულია არა მარტო ქართულ, არამედ არაქართულ სინამდვილეშიც. აქ მახსენდება ინგლისური სიტყვა *scion*, რომლის ძირი არის ასევე სქ და, რომელიც მცენარის ამონაყარსაც ნიშნავს და შთამომავლობასაც, აგრეთვე, პოლონური გვარების დაბოლოება *სკი, სკა*, რაც, ასევე წარმომავლობას უნდა ნიშნავდეს. ამ სახის მაგალითების მოძიება კიდევ შეიძლება.

დამოწმებანი

აბულაძე 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ი. აბულაძის რედაქციით. ტ.1.

ამირეჯიბი-მალენი და *სხვები* 2006: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა. შემდგენლები: რ. ამირეჯიბი-მალენი (რედაქტორი), ნ. დანელია, ი. დუნდუა, თბილისი, უნივერსალი.

არუთინიანი 2001: Н.В. Арутюнян, Корпус урартских клинообразных надписей. От. Редактор М.Л.Хачикян, Ереван, Гитутюн.

აფხაზავა და *სხვები* 1987: საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები). რედაქტორები: ი. აფხაზავა, ი. გიგინეიშვილი, ა. კობახიძე, დ. უკლება, მ. ჭაბაშვილი, თბილისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ბართი 1996: F. Barth. Ethnic groups and boundaries.- in: Ethnicity. Edited by J.Hutchinson and A.D. Smith, Oxford-New York,Oxford University Press.

ბახია-ოქრუაშვილი 2010: ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები. თბილისი, უნივერსალი.

გიორგაძე 2001: გ. გიორგაძე. დაიაენი-დიაუხი: არაქართველური სამყარო? – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან (2000 წლის 9 და 12 ივნისს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული სამეცნიერო დისკუსიის მასალები). - რედ. დ. მუსხელიშვილი, თბილისი.

გიორგაძე 2002: გ. გიორგაძე. უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა. თბილისი.

ერიქსენი 2002: T.H.Eriksen. Ethnicity and Nationalism. Second edition, Pluto Press.

ინაძე 2009: მ.ინაძე. ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები. ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, არტანუჯი.

მელიქიშვილი 1944: Г. А. Меликишвили. К вопросу о древнейшем очаге урартских племен.- Вестник древней истории. № 4. http://annales.info/i_urart.htm http://annales.info/i_urart.htm (ბოლო წვდომა: 2014 წლის 14 ივნისი)

მელიქიშვილი 1953: Г. А. Меликишвили.Урартские клинообразные надписи.Введение.Вестник Древней Истории. № 1. http://annales.info/i_urart.htm (ბოლო წვდომა: 2014 წლის 14 ივნისი)

მელიქიშვილი 1970: გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ 1, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

მიქელაძე 1960: თ. მიქელაძე. ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. №2.

მიქელაძე 1971: Т. К. Микеладзе. К вопросу о периодизации истории древней Колхиды, 5 Всесоюзная сессия по Древнему Востоку: тезисы докладов, Тбилиси.

მიქელაძე 1973: Т.К. Микеладзе. К вопросу о периодизации истории древней Колхиды, Вопросы древней истории, 4, Тбилиси. 1973.

საგონა, საგონა 2004: A. Sagona, C.Sagona. Archaeology at the North-East Anatolian Frontier, I. A Historical Geography and a Field Surveay of the Bayburt Province. Peeters.

სალვინი 2008: M. Salvini, Corpus dei testi Urartei. Volume I. Le iscrizioni su pietra e rocca I testi. Elaboratione informatica di Neda Parmegiani, cura editoriale di Roberto Dan, Roma.

სმითი 1987: A.D. Smith.The ethnic origins of nations, New York, Blackwell.

სმითი 1996: A.D. Smith, Chosen Peoples. .- in: Ethnicity. Edited by J.Hutchinson and A.D. Smith,- Oxford-New York, Oxford University Press.

სმითი 2008: ე.დ.სმითი. ნაციონალური იდენტობა. თარგმნა ლელა პატარიძემ, თბილისი, ლოგოს პრესი.

სოლოვიოვი 1947: Л.Н. Соловьев. Диоскурия – Севастополь –Цхум.- Труды Абхазского Государственного Музея. 16.
ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიურო მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.
ხვედელიძე 2003: მ. ხვედელიძე. რა – ერთადერთი და მრავალი. ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. ტ. 349.
ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 1, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ჯანაშია 1959: ს. ჯანაშია. თაბალი, თუბალი, ტიბარენი, იბერი.-შრომები. III, თბილისი.
ჰათჩინსონი, სმითი 1996: Ethnicity. Editied by J. Hutchinson and A.D.Smith. Introduction, Oxford University Press.

Daiaen/Diaochi: Ethnic Stigma

Mariam Chkhartishvili

In Assyrian and Urartian sources of 12th -8th cc BC is mentioned community by the name *Daiaen/Diaochi*. From the very beginning the scholars were interested in this community as class society and the type of not fully developed state.

Later on there were undertaken steps for its ethnic identification. In result of these efforts in Georgian historiography had become somehow generally accepted opinion according to which *Daiaen/Diaochi* is connected with Georgian identity. This view enjoyed wide popularity among the common readers.In resalt of this attitude the representation of history *Daiaen/Diaochi* even assumed the status of keystone of Georgian national narrative.

In the present paper this traditional opinion is shared, however it is supported with essentially new arguments. Namely, the modern theories of ethnicity give the author intellectual tools to rethink the available data. First and foremost by means of these theories is revealed the ethnic nature of the community under the consideration. It is shown that *Daiaen/Diaochi* was self-name of the we-group marked by the belief in common origin and ethnic electivity. Daia-en/Diao-ch means offspring (scion) of Great Mother Goddess Daiao/Diao.

It is shown sameness of word Diaoch with the ancient Georgian word dicha. Dicha is Georgian word for soil. It is preserved in modern Megrelian which represents one of the languages (dialects) of the family of Georgian languages and which is originated from language of population of ancient Colchis. Thus, via language (and also other elements of culture) *Daiaen/Diaoch* is linked with Georgian identity. According to the author's assumption *Daiaen/Diaoch* was attributive self-name of Colchis: evidently Colchians perceived themselves as "People of Great Mother Goddess".

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება

ზაზა ცინაძე

1918 წლის 26 მაისს მოპოვებული ეროვნული დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოში დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. 1918-1921 წლების საქართველოს პირველი რესპუბლიკა ჩვენი უახლესი ისტორიის გამონათებად შეიძლება ჩაითვალოს იმ დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობდა მისი მშენებლობა. სწორედ დემოკრატიული პრინციპების დანერგვის გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დადგა, იყო სამართლიანი არჩევნების გზით ხელისუფლების არჩევა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერდა საპარლამენტო მმართველობის სახელმწიფო მოდელის არსებობას. ამიტომ მთავრობამ და უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარების შესახებ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის დღის წესრიგში დადგომის და არჩევნების ჩატარების აუცილებლობის გამო ეროვნულ საბჭოში დაიწყო აქტიური მუშაობა. შეიქმნა საარჩევნო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება და განეხორციელებინა არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

საარჩევნო კომისიამ 1918 წ. 28 ივნისიდან დაიწყო ფუნქციონირება. პირველივე სხდომაზე გადაწყდა მთელი რესპუბლიკა გამოცხადებულიყო ერთ საარჩევნო ოლქად, გაუქმებულიყო საგუბერნიო და სარაიონო საარჩევნო კომისიები (ფონდი 1834).

28 ივნისიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით საარჩევნო კომისიამ ათი სხდომა ჩაატარა და შეიმუშავა *დებულება საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისა*, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წ. 22 ნოემბერს (ფონდი 1834).

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების ტექსტი გამოქვეყნდა 1918 წ. 22 ნოემბერს. მასში ორჯერ შევიდა ცვლილება, პირველად 1919 წ. 10 იანვარს პარლამენტის მიერ და მეორედ 1919 წ. 21 ნოემბერს დამფუძნებელი კრების მიერ.

საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების ტექსტს, რათა ნათელი გახდეს თუ როგორ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მხრიდან იურიდიული თვალსაზრისით არჩევნების კანონიერების დაცვა და ჯანსაღი კონკურენცია პარტიებს შორის. საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება შედგებოდა 10 თავისა და 119 მუხლისაგან (შარაშენიძე, გურგენიძე 1990). დებულების პირველი თავი შედგებოდა ორი მუხლისაგან:

პირველი მუხლის მიხედვით, დამფუძნებელი კრების წევრებად არჩეული უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს მოქალაქეები, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით პროპორციული პრინციპის საფუძველზე 20 წლის ასაკიდან. მეორე მუხლის მიხედვით, მთელი საქართველო ცხადდებოდა ერთ საარჩევნო ოლქად, ხოლო არჩევნებზე ხმის მისაცემად რესპუბლიკა დაიყოფოდა საარჩევნო უბნებად. დამფუძნებელი კრების წევრთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო 130 კაცი (შარაშენიძე, გურგენიძე 1990).

მეორე თავის მიხედვით, როგორც პასიური, ასევე აქტიური[1] საარჩევნო ხმის უფლება ეძლეოდათ ორივე სქესის მოქალაქეებს, რომელსაც არჩევნების დღისათვის შესრულებული ჰქონდათ 20 წელი. მხოლოდ რეგულარულ ჯარში ჩარიცხულებს ეძლეოდათ პასიური საარჩევნო ხმის უფლება.

საარჩევნო უფლება ერთმეოდათ სასამართლოს მიერ სასჯელდადებულებს, კატორღა მისჯილებს, სასჯელის ვადის გასვლიდან ათი წლის განმავლობაში, დეზერტირებს. არჩევნებში მონაწილეობას საერთოდ ვერ იღებდნენ გიჟად ან ჭკუაზე შეშლილად გამოცხადებულები, აგრეთვე, ყრუ-მუნჯები და სხვისი მზრუნველობის ქვეშ მყოფნი. თითოეულ საარჩევნო უბანზე ხმას ამლევდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც ამ უბნის საარჩევნო სიაში იყვნენ შეყვანილნი. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა საარჩევნო სიაში შეყვანილი ის პირი, რომელიც დაკარგავდა საარჩევნო უფლებას მუხლი 4-5-ის საფუძველზე (შარაშენიძე, გურგენიძე 1990).

საარჩევნო დებულების მიხედვით, დამფუძნებელი კრების არჩევნების წარმოების ხელმძღვანელობა ევალებოდა ცენტრალურ, საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის

წვრილ საარჩევნო კომისიებს. სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში არჩევნების წარმოებას ხელმძღვანელობდნენ ამ ოლქების კომისიები. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ირჩევდა საქართველოს პარლამენტი 21 კაცის რაოდენობით. კომისია თავისი წრიდან ირჩევდა თავმჯდომარეს, ამხანაგს და ხაზინადარს. კომისიაში შედიოდა თითო წარმომადგენელი ყველა იმ პარტიისა და პოლიტიკური ჯგუფისა, რომელიც საკანდიდატო სიას წარმოადგენდა არჩევნებზე. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ევალებოდა საერთო თვალყურის დევნება დამფუძნებელი კრების არჩევნების მსვლელობისათვის, ზედამხედველობას უწევდა სამაზრო, საქალაქო და საოლქო კომისიებს, ამტკიცებდა სამაზრო, საქალაქო და საოლქო კომისიების მიერ წარდგენილ საარჩევნო უბნებს, ახდენდა საკანდიდატო სიების მიღებას, დანომვრას, შემოწმებას და მათ საჯაროდ გამოქვეყნებას საარჩევნო უბნებზე. უწევდა ხელმძღვანელობას საარჩევნო ბარათების, ყუთების, კონვერტებისა და პირადობის ბარათის დამზადებას. ახდენდა საბოლოო ხმების დათვლას მთელს რესპუბლიკაში არჩევნების შედეგების გამოსარკვევად და უზრუნველყოფდა მის საბოლოო გამოქვეყნებას. ადგენდა დამფუძნებელი კრების არჩეული წევრების სიას და აძლევდა მათ სათანადო მოწმობას.

სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენდა ერობის გამგეობა, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ერობა არ იყო შემოღებული, სამაზრო ქალაქის თვითმმართველობის გამგეობა, მაზრაში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისაგან ძალთა განწყობილების მიხედვით. სამაზრო კომისია ირჩევდა თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარს და მდივანს. სამაზრო კომისიაში წევრის სრული უფლებით შედიოდა თითო წარმომადგენელი ყველა იმ პოლიტიკური პარტიისა თუ ჯგუფისა, რომელიც მონაწილეობდა არჩევნებში. სამაზრო საარჩევნო კომისიები აარსებდნენ სოფლის საზოგადოებისა და წვრილი სასოფლო ერთეულების კომისიებს, თვალყურს ადევნებდნენ ამ კომისიების მუშაობას, საარჩევნო სიების დროულად შედგენას და მის გამოქვეყნებას, საარჩევნო ყუთების დამზადებას, პროტესტებისა და საჩივრების განხილვას, ასევე არჩევნების შემდეგ ახდენდა პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობის დათვლას მთელს მაზრაში და უზრუნველყოფდა ამ შედეგების ცენტრალურ კომისიაში გადაცემას.

იმ ქალაქებში, რომლის მაცხოვრებლების რაოდენობა აღემატებოდა 2000 კაცს, იქმნებოდა მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია. ამ კომისიებს ირჩევდნენ ქალაქის საბჭოები თავისი წრიდან მოქმედი პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისია შედგებოდა 9 წევრისაგან, ქუთაისისა და ფოთის 7-7, ხოლო დანარჩენი ქალაქების 5-5 წევრისაგან. ქალაქის საარჩევნო კომისიებს ფაქტობრივად იგივე უფლებები ჰქონდათ, რაც სამაზრო კომისიებს, ოღონდ მხოლოდ ქალაქის მასშტაბით.

სოფლის საზოგადოების კომისიას ადგენდა სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია. მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით, კომისია შედგებოდა 7 წევრისაგან და ჰყავდა თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი. სასოფლო საზოგადოების კომისიას ევალებოდა წვრილი სასოფლო ერთეულებისათვის საარჩევნო ყუთებისა და მასალის მიწოდება, საზოგადოების დაყოფა წვრილ სასოფლო საარჩევნო ერთეულებად, წვრილი სასოფლო საარჩევნო კომისიების შედგენა, სოფლის საარჩევნო სიების შედგენა, საარჩევნო პროცესზე დაკვირვება, ხმების დათვლა და საზოგადოების საარჩევნო წარმოების სამაზრო კომისიაში წარდგენა.

წვრილი სასოფლო საარჩევნო კომისიები ეწყობოდა წვრილ საარჩევნო უბნებზე და ამ უბნის სამოქმედო რაიონი არ უნდა ყოფილიყო 2-3 ვერსის სივრცის რადიუსზე მეტი. წვრილი კომისიები ითვლიდნენ საარჩევნო კონვერტებს გაუხსნელად, ადარებდნენ ერთმანეთს არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობას და საარჩევნო ბარათების რაოდენობას, ამის შემდეგ იწყებდნენ ხმების დათვლას (შარაშენიძე, გურგენიძე 1990).

მეოთხე თავის მუხლები 26-დან 41-ე პუნქტის ჩათვლით შეეხებოდა საარჩევნო სიებს. ამ თავის მიხედვით საარჩევნო სიები უნდა შემდგარიყო ყველა უბანზე ცალ-ცალკე. თითოეული ამომრჩეველი სიაში შეიძლება შეყვანილი ყოფილიყო მხოლოდ ერთხელ. საარჩევნო სიების შედგენა ევალებოდა მთავარ საქალაქო, სამაზრო, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში საოლქო კომისიებს.

საარჩევნო უბნის სიაში შედიოდნენ ის პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ კონკრეტული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე. დებულების 30-ე მუხლში საარჩევნო სიების უბნებზე გამოქვეყნების შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში ამომრჩევლებს ჰქონდათ უფლება, თუ გამორჩენილები იყვნენ საარჩევნო სიებიდან, განცხადების საფუძველზე შესულიყვნენ დამატებით სიაში, თუმცა ხუთი დღე 1919 წლის 10 იანვარს საარჩევნო დებულების შესწორების საფუძველზე შემცირდა სამ დღემდე. საარჩევნო სიაში უნდა შესულიყო ამომრჩევლის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, სარწმუნოება, ეროვნება, აგრეთვე, იცოდა თუ არა წერა–კითხვა, რა სკოლა დაამთავრა, რა ხელობის იყო და სად იყო მიწერილი

1914 წლის 19 ივლისამდე ძველი სტილით. გვარები საარჩევნო უბანზე ანბანის მიხედვით უნდა ყოფილიყო დალაგებული.

საარჩევნო სია უნდა გამოქვეყნებულიყო შედგენისთანავე, რათა ყველას შესძლებოდა მისი გაცნობა. დებულების პირველ რედაქციაში საარჩევნო სია უნდა გამოქვეყნებულიყო არჩევნებამდე არანაკლებ 40 დღისა, თუმცა 10 იანვარს დამატების საფუძველზე ეს რაოდენობა 30 დღემდე შემცირდა. პროტესტები და საჩივრები განიხილებოდა ხუთი დღის განმავლობაში ცენტრალურ კომისიაში და ხდებოდა მათზე სათანადო პასუხის გაცემა.

მეხუთე თავის 42-52-ე მუხლები შეეხებოდა დამფუძნებელი კრების საკანდიდატო სიებს. საარჩევნო კომისიაში საკანდიდატო სია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო არჩევნებამდე არაუგვიანეს 20 დღისა. თითოეულ საკანდიდატო სიას ხელს აწერდა საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 50 პირი, სადაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი. სიას თანდართული უნდა ჰქონოდა კანდიდატების განცხადება, რომ ისინი თანახმანი იყვნენ კენჭი ეყარათ წარმოდგენილი სიით. საკანდიდატო სიის შემომტან ჯგუფს უნდა ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელი ცენტრალურ კომისიაში. ერთ ამომრჩეველს უფლება ჰქონდა ხელი მოეწერა მხოლოდ ერთი საკანდიდატო სიისათვის. თუ მისი ხელმოწერა აღმოჩნდებოდა სხვა საარჩევნო სიაზეც, ეს ხელმოწერა ჩაეთვლებოდა მხოლოდ იმ პარტიას, რომელსაც ადრე ჰქონდა შეტანილი საკანდიდატო სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ერთი კანდიდატის რამდენიმე სიაში შეტანა დაუშვებელი იყო.[2]

პარტიები, რომლებსაც აღმოაჩნდებოდათ გარკვეული ხარვეზი საკანდიდატო სიაში, ვალდებული იყვნენ გამოესწორებინათ არჩევნების დაწყებამდე არა უგვიანეს 14 დღისა. საკანდიდატო სიები, რომლებიც ნორმების სრული დაცვით იყო წარმოდგენილი, ინომრებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ რიგითობის მიხედვით. პარტიებს, არჩევნების დაწყებამდე 15 დღით ადრე, შეეძლოთ განეცხადებინათ სურვილი თავიანთი საკანდიდატო სიის შეერთებისა სხვა პარტიებთან კოალიციაში, ერთ პარტიას მხოლოდ ერთ კოალიციაში ჰქონდა შესვლის უფლება (შარაშენიძე, გურგენიძე 1990).

მეექვსე თავი, მუხლები 53-84, *საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა*. ამ თავის მიხედვით, ხმის მიცემა ხდებოდა საარჩევნო ბარათებით. ეს ბარათები გარეგნულად ერთნაირი უნდა ყოფილიყო და პარტიის დასახელებასთან და ნომერთან ერთად თან უნდა ჰქონოდა საკანდიდატო სია. აღნიშნული ბარათები საჯარო უნდა გამხდარიყო არჩევნებამდე არანაკლებ 35 დღისა პირველი რედაქციით, თუმცა 10 იანვრის დამატების შემდეგ, დღეების რაოდენობა 30-მდე შემცირდა. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით. საარჩევნო კომისიის განკარგულებით ბარათები იბეჭდებოდა ქართულად, თუმცა შეიძლებოდა მისი სხვა ენაზე თარგმნაც.

საქალაქო საარჩევნო კომისიები წინასწარ ამზადებდნენ სახელობით მოწმობებს ქალაქის თითოეული ამომრჩევლისათვის, სადაც აღნიშნული იყო სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი, საარჩევნო ნაწილი და ნომერი ამომრჩეველთა სიაში. სახელობითი მოწმობა სავალდებულო იყო მხოლოდ ქალაქის მაცხოვრებლებისათვის. განსაკუთრებულ შემთხვევაში საარჩევნო კომისიებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ ამომრჩევლის ვინაობის სხვა ოფიციალური საბუთი.

საარჩევნო უბანზე აკრძალული იყო ყოველგვარი საარჩევნო აგიტაცია. საარჩევნო შენობაში არ უშვებდნენ შეიარაღებულ პირებს და მთვრალ ამომრჩევლებს .კომისიის თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა საჭიროების შემთხვევაში გამოეძახებინა მილიცია ან ჯარისკაცები, რომლებიც ემორჩილებოდნენ მხოლოდ თავმჯდომარეს და იმყოფებოდნენ მის განკარგულებაში. თავმჯდომარის მოთხოვნის გარეშე არც პოლიციას და არც ჯარისკაცებს საარჩევნო შენობაში შესვლის უფლება არ ჰქონდათ.

არჩევნები იწყებოდა პარლამენტის მიერ დანიშნულ დროს და გრძელდებოდა სამი დღის მანძილზე. ამომრჩეველი იღებდა კონვერტს, მიდიოდა მოფარებულ ადგილას, დებდა კონვერტში საარჩევნო ბარათს, ბრუნდებოდა საარჩევნო ყუთთან და დალუქულ კონვერტს აგდებდა ყუთში. საარჩევნო უბნები არჩევნების დღეს უნდა გახსნილიყო დილის 9 საათზე და დახურულიყო საღამოს 9 საათზე ქალაქებში, ხოლო სოფლებში დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. არჩევნების მიმდინარეობის სამივე დღის მანძილზე დგებოდა საუბნო–საარჩევნო კომისიის ოქმები, რომელშიც ფიქსირდებოდა საარჩევნო უბნისა და ყუთის მდგომარეობა. ყველა საარჩევნო დღის ბოლოს ილუქებოდა საარჩევნო ყუთი და საარჩევნო უბნის შენობის კარები. არჩევნების დასრულების შემდეგ კომისია ითვლიდა კონვერტების რაოდენობას გაუხსნელად, თუ კონვერტების რაოდენობა არ ემთხვეოდა ამომრჩევლების რაოდენობას, ეს ფაქტი კომისიას შეჰქონდა ოქმში. ამის შემდეგ იწყებოდა კონვერტების გახსნა და ბარათების დათვლა. ბარათების დათვლის შემდეგ დგებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი, სადაც ფიქსირდებოდა პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა, ოქმს ხელს აწერდა კომისიის თავმჯდომარე და წევრები. ეს ოქმი სამაზრო კომისიაში იგზავნებოდა ბარათებთან ერთად.

სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიის ოქმები საარჩევნო უბნის ოქმებთან ერთად იგზავნებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში(შარაშენიძე, გურგენიძე 1990)

დებულების მეშვიდე თავი, მუხლები 85-90-ე, *არჩევნების შედეგების გამორკვევა* შეეხებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შემდეგ ჩატარებულ საქმიანობას შედეგების საბოლოო გამოქვეყნებამდე. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობდა სამაზრო და საქალაქო კომისიის სხდომის ოქმებით და ახდენდა საარჩევნო ოქმების დამტკიცებას და ხმების რაოდენობის გარკვევას პარტიების მიხედვით. ცენტრალური კომისია იმ შემთხვევაში ნახულობს საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმებს და ბარათებს, თუ არსებობდა გარკვეული საფუძველი მათში ეჭვის შეტანისა (შარაშენიძე, გურგენიძე 1990).

დებულების მერვე თავი, მუხლები 91-92-ე, *დამფუძნებელი კრების წევრობაზე უარის მთქმელთა ადგილების დაჭერის წესი*. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე უარს იტყოდა დამფუძნებელი კრების წევრობაზე ან გარდაიცვლებოდა, მის ადგილს დაიკავებდა მისივე პარტიის საკანდიდატო სიის მომდევნო წევრი თუ პარტიათა კოალიციის წევრი აკეთებდა წასვლაზე განცხადებას, მაშინ კანდიდატი გაჰყავდა იმ პარტიას, რომელმაც უფრო მეტი ხმა მიიღო არჩევნებზე. თუ რომელიმე პარტიას ან კოალიციას აღარ ეყოლებოდა კანდიდატი დამფუძნებელი კრებისა, ამ შემთხვევაში დამფუძნებელ კრებაში მათი ადგილი თავისუფალი რჩებოდა და ეს რაოდენობა აკლდება დეპუტატების საერთო რიცხვს (შარაშენიძე, გურგენიძე 1990).

თავი მეცხრე, მუხლები 93-114-ე, *არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა*. ამ თავის მიხედვით, ადამიანები, რომლებიც შეეცდებოდნენ საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლას, იქნებოდნენ დასჯილნი სხვადასხვა სასჯელებით, არჩევნების ხელის შეშლად ითვლებოდა საჯარო საარჩევნო მოწოდებების, ცნობების, ამომრჩეველთა სიების ან რომელიმე საკანდიდატო სიების ჩამოხევა, საარჩევნო უბნის შენობაში შეჭრა, აგიტაციას არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე, ყალბი ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერი საკანდიდატო სიის წარმომადგენელთა მიმართ. ეკლესიებსა და ღვთისმსახურების ადგილებში საარჩევნო აგიტაცია, როგორც ქადაგების, ასევე სიტყვიერი ან წერილობით მოწოდებების სახით იკრძალებოდა. ძალადობის მუქარით, მოტყუებით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან ეკონომიკური დამოკიდებულების საფუძველზე პიროვნებისათვის ამა თუ იმ საკანდიდატო სიისათვის ხმის მიცემის იძულება. ამომრჩეველთა მოსყიდვა ნებისმიერი გზით და მსგავსი დარღვევებისთვის დებულება ითვალისწინებდა სასჯელებს, როგორც დატუსაღების, ასევე ფულადი საზღაურის სახით. ტუსაღობისათვის ეს ვადა ერთიდან ექვს თვემდე მერყეობდა, ხოლო თანხით დაჯარიმება 300 მანეთიდან 3000 მანეთამდე (შარაშენიძე, გურგენიძე 1990).

დებულების მეათე თავი, მუხლები 115-119, *დამფუძნებელი კრების არჩევნებზე გაწეული ხარჯები*. ამ თავში განხილული იყო დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის საჭირო ხარჯების ჩამონათვალი, თუ ვის უნდა აეღო ეს ხარჯები ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე გასამრჯელოების სახით საარჩევნო პროცესში მომუშავე პირების ანაზღაურება (შარაშენიძე, გურგენიძე 1990).

საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება, როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, სრულყოფილი დოკუმენტი იყო. ის მიღებულ იქნა საქართველოში მოქმედი რამდენიმე პოლიტიკური პარტიის შეთანხმებული მუშაობით. საარჩევნო დებულებით 20 წლის ასაკს მიღწეული ყველა მოქალაქისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება იმდროინდელ მსოფლიოში წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

შენიშვნები

[1] საარჩევნო დებულების მიხედვით პასიურ საარჩევნო უფლებად ითვლებოდა მხოლოდ ამომრჩევლის სტატუსით არჩევნებში მონაწილეობა, ხოლო აქტიური საარჩევნო უფლება ეწოდებოდა ისეთ საარჩევნო უფლებას, რომლის მიხედვითაც მოქალაქე თვითონ შეიძლება ყოფილიყო არჩეული დეპუტატად.

[2] სწორედ ამ მუხლის საფუძველზე იქნა ამოღებული მიხაკო წერეთელი ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური საკანდიდატო სიებიდან.

დამოწმებანი

ფონდი 1834: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე 60.

შარაშენიძე, გურგენიძე 1990: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, შემდგენელი ე. გურგენიძე, თბილისი, ივერთა მხარე.

The Constituent Assembly and Its Regulations for Elections

Zaza Tsinadze

After declaring of Georgian independence in 1918 the electoral committee was created. On November 22,1918 electoral committee published Regulations for elections in Constituent Assembly.

The main aim of my paper is to investigate this document so that to make visible how the new-born state stood for protection of legitimacy of elections ensuring democratic conditions for all competing political parties.

The Regulations for elections in the Constituent Assembly consisted of ten chapters and one hundred nineteen paragraphs. The Regulations was well-elaborated document. It was the result of coordinated work of several political parties.

Based on this document we can represent many details of political process which had taken place during the existence of Democratic Republic of Georgia (1918-1921).

ავალიშვილთა საგვარეულო და მისი გამოჩენილი წარმომადგენლები

ნიკო ჯავახიშვილი

წინამდებარე ნარკვევში სათანადო საისტორიო წყაროებზე (მათ შორის ახალ საარქივო მასალაზე) დაყრდნობით, დადგენილი გვაქვს ავალიშვილთა საგვარეულოს წარმომავლობის, მისი განშტოებების ჩამოყალიბებისა და ამ გვარის გამოჩენილი წარმომადგენლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც დღემდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ან საერთოდ შეუსწავლელი რჩებოდა.

აქვე ვრცლად გვაქვს წარმოჩენილი XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ორი გამორჩეული პიროვნების, ავალიშვილთა საგვარეულოს კახეთის შტოს წარმომადგენლების – ნიკოლოზ (1844-1929) და ზურაბ (1875-1944) ავალიშვილების წარმომავლობის და ცხოვრება-მოღვაწეობის არაერთი, აქამდე დაუდგენელი საყურადღებო დეტალი.

• • •

ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის ავალიშვილებს ფრიად საპატიო ადგილი ეკავათ. ეს გვარი სათავეს მესხეთიდან იღებს.

XV-XVI საუკუნეებში ისტორიულ თორის მხარეში (ახლანდელი ბორჯომის ხეობა) ჩამოყალიბდა ავალიშვილთა საფეოდალო-საავალიშვილო, რომლის ცენტრსაც სოფელი სადგერი წარმოადგენდა.

XVI საუკუნეში ავალიშვილებს მამული ჰქონდათ ჯავახეთშიც, სადაც ქიშვად ავალიშვილმა სოფელ კოთელიაში (ამჟამად ახალქალაქის რაიონი) წმ. კვირიკეს საყდარი ააგო.

1535-1545 წლებში საავალიშვილო სამცხე-საათაბაგოსთან ერთად შედიოდა იმერეთის სამეფოში, 1545 წლიდან – სამცხე-საათაბაგოში, ხოლო იმავე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ოსმალეთმა მიიტაცა (ქიქოძე 1997: 59).

ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველი მოსახლეობა დადგა მძიმე არჩევანის წინაშე: მათ ან ისლამი უნდა მიეღოთ, ანდა დაეტოვებინათ მშობლიური მხარე და გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვა მხარეებში, სადაც ქრისტიანობას შეინარჩუნებდნენ.

XVII-XVIII საუკუნეებში ავალიშვილთა გარკვეული ნაწილი გადასახლდა შიდა ქართლში, კახეთსა და იმერეთში. შიდა ქართლში გადასახლებულნი დამკვიდრდნენ ტაშისკარში, სურამში, არადეთში, ბრეთსა და აბისში, კახეთში გადასულები – თელავში, კონდოლში, კალაურში, ჩუმლაყში, კაკაბეთსა და საგარეჯოში, ხოლო იმერეთში – ხიდარში, ვარძიასა და კიცხში.

იმერეთსა და გარეკახეთში (საგარეჯო) დამკვიდრებულმა ავალიშვილებმა თავადობა დაკარგეს და გააზნაურდნენ. მშობლიურ მხარეში დარჩენილი ავალიშვილები იძულებულნი გახდნენ გამუსლიმებულიყვნენ. მათ ოსმალეთის ხელისუფლებისაგან იქაური ფეოდალის – ბეგის წოდება მიიღეს.

უფლისწული ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756) ავალიშვილებს სამცხის წარჩინებულთა შორის მოიხსენიებს და მიუთითებს: „ავალისშვილი, რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს“ (ყაუხჩიშვილი 1973: 34).

იგი შენიშნავს, რომ სამცხეში დარჩენილი და გამაჰმადიანებული ქართველი წარჩინებული გვარიშვილნი „არღარა იწოდებიან გუარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად“ (ყაუხჩიშვილი 1973: 36).

უფლისწული იოანე ბაგრატიონი (1768-1830) თავის ნაშრომში *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა* მოგვითხრობს, რომ ავალიშვილები

> ძველად იყვნენ ციციანთა გვართაგან შორეულნი ნათესავნი, რომელსაც ამათ წინა-პარსა ავალა ეწოდა. ესენი იყვნენ მოსახლენი ახალციხისა კერძოთა ადგილთა შინა და ოდეს განდგა ათაბეგი და დაიპყრა ახალციხე თვისად შეწევნითა თურქთა წელსა 1601, მათგანი რომელნიმე შთავიდნენ იმერეთს. სხვანი მოსახლენი იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობასა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობისა მიზეზითა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა, რომელიმე განვიდენ კახეთს და არიან მუნითგან წოდებულნი ავალიანნი ქართლს მოსახლენი და კახეთს მოსახლენი. ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: 1) პეტრეს შვილები, 2) გოგიას შვილები, ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლის კაცნი, ხოლო იმერეთს შინა რომელნიმე

არიან თავადად და რომელნიმე აზნაურად და ესრეთვე ამათ გვარნი არიან ახალციხესა შინაცა (კაცელაშვილი 1997: 30).

კახეთში გადასახლებულ თავად ავალიშვილთა შესახებ იოანე ბაგრატიონი მიუთითებს, რომ ისინი იყოფოდნენ ორ შტოდ: 1) გივის შთამომავლებად და 2) ივანე მეითრის შთამომავლებად (კაცელაშვილი 1997: 47).

იმერეთის სამეფოში გაწეული ერთგული სამსახურისათვის, მეფე თეიმურაზ I-მა ზემოხსენებულ ბოქაულთუხუცეს ავალ ავალიშვილს უბოძა: სახასო მამული უჯარმაში, ამოწყვეტილი თავადის ჯავშანა ვაჩნაძის მამულები კალაურში, ბაკურციხესა და კარდანახში, ყული დავითისეული მამულები ენისელსა და ბაზარში, ღონენა ხიმშიაშვილისეული მამულები ძაგნაკორნასა და ხეობაში და ასევე, ამილახორისა და ლარგველისათვის ნაბოძები მამულები.

ქართლის მეფე როსტომმა, რომელიც 1648-1654 წლებში კახეთსაც განაგებდა, ასევე არ დაიშურა წყალობა ავალის მიმართ, რომელსაც 1651 წელს ცოლად შერთო თავად დავით ვაჩნაძის (გოშფარიშვილის ასული და მისი მამულიც უბოძა. როსტომის მეუღლემ, დედოფალმა მარიამ დადიანმა ავალს უბოძა კისისხევის მოურავობა და ყმა-მამული იმავე სოფელში (კლდიაშვილი და *სხვები* 1991: 73-74).

ქართლში გადასახლებულ ავალიშვილთა ძირითადი სამკვიდრო მამული გახდა სოფელი ბრეთი, რომელიც ადრე თავად ბაგრატიონ-დავითიშვილების საკუთრებას წარმოადგენდა.

1630 წელს ქართლის მეფე როსტომმა თავად ავალიშვილებს ბრეთი უბოძა არა სამუდამო მფლობელობაში, არამედ ბორჯომის ხეობაში დაბრუნებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ავალიშვილებმა ბრეთში ყმა-მამული გაიჩინეს, მათ ხელი მაინც არ აიღეს თორზე, რომლითაც ორნახევარი საუკუნის განმავლობაში სარგებლობდნენ. ავალიშვილებმა ბრეთში ჩაიყვანეს თავიანთი ყმები, რომელთა ნაწილიც თორის რეგიონის რუსეთის გამგებლობაში გადასვლის შემდეგ, ფეოდალებთან ერთად დაუბრუნდა თავდაპირველ საცხოვრისს.

XIX საუკუნის ბოლო ოცწლეულის მონაცემებით, ქართლელ ავალიშვილებს ყმა-მამული ჰქონდათ როგორც ბრეთში, ასევე ქვიშხეთში, წვერში, სურამში, ხოლო კახელ ავალიშვილებს – ჩუმლაყსა და სანიორეში (თოფჩიშვილი 2011: 18-20).

ავალიშვილები წარმატებით მოღვაწეობდნენ როგორც სახელმწიფო და სამხედრო, ასევე სასულიერო სარბიელზეც და ქართლისა და კახეთის სამეფოთა კარზე საპატიო თანამდებობანი ეპყრათ. კერძოდ, ისინი იყვნენ: *ეშიკაღასბაშები* ანუ საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსები (ეს თანამდებობა შემოიღეს XVII საუკუნეში, ნაცვლად მანდატურთუხუცესისა), *ბოქაულთუხუცესები* ანუ საპოლიციო აპარატის ხელმძღვანელები, ეშიკაღასბაშის მოადგილეები, *მეითრები* ანუ მეფის მსახურთა ხელმძღვანელები (იგივე ეჯიბები, რომელთაც ებარათ მეფის გარდერობი), *მეჯინიბეთუხუცესები* ანუ საჯინიბოს გამგენი, *მილახვრები* ანუ სამეურნეო დარგის მოხელენი, რომლებსაც მრავალი საერთო ჰქონდათ სახლთუხუცესის თანამდებობასთან, *მოურავები* და სხვ.

ავალიშვილთა გვარი ქართულ საისტორიო წყაროებში XVI საუკუნიდან საკმაოდ ხშირად იხსენიება.

ამ საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): კოთელიის წმ. კვირიკეს ეკლესიისა და ლიკანის მონასტრის სამრეკლოს ამშენებელი ქიშვად ავალიშვილი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბატონიშვილი თამარი, ასული ქართლის მეფისა ლუარსაბ I-ისა (გოგოლაძე, სრესელი 2011: 80-94); მროველი (ანუ რუისის) ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი, რომელმაც თავი ისახელა 1625 წელს მარაბდასთან მომხდარ ბრძოლაში; ქართლის მთავარეპისკოპოსი იოვანე ავალიშვილი; ბოდბელი და ალავერდელი არსენ ზაქარიას ძე ავალიშვილი; ბოქაულთუხუცესი ავალ ზაქარიას ძე ავალიშვილი და მისი ვაჟი, მეჯინიბეთუხუცესი ლევან ავალის ძე ავალიშვილი (მოღვაწეობდნენ XVII საუკუნეში); ეშიკაღასბაში ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში ჩანს 1700 წელს), ახალდაბის (ამჟამად ბორჯომის რაიონი) მოურავი გიორგი ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში ჩანს 1678-1703 წლებში), რომელიც იმავდროულად მილახვარიც იყო (კლდიაშვილი და *სხვები* 1991: 73-77); ეშიკასღაბაში ასლან გივის ძე ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში ჩანს 1755-1765 წლებში); მეითარი ივანე ბეჟანის ძე ავალიშვილი (გარდაიცვალა 1779 წელს) და მისი ვაჟი, ქართული დრამატურგიის მამამთავარი, მწერალი, დიპლომატი, მოგზაური გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი (1769-1850), რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს დიპლომატიურ წარმომადგენლად მსახურობდა; რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორები - ივანე სოლომონის ძე (1798-1860), ზურაბ დიმიტრის ძე (1818-1884) და ალექსანდრე სიმონის ძე (1852-1916) ავალიშვილები (ჯავახიშვილი 2003: 74); მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი

ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ავალიშვილი (1844-1929); თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი დავით ივანეს ძე ავალიშვილი (1845-1897); მისი ვაჟი, მეცნიერი და დიპლომატი, პროფესორი ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1875-1944); რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცერი, ხოლო შემდეგ, გენერალ ანტონ დენიკინის სარდლობით მოქმედი მოხალისეთა არმიისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი სიმონ ნიკოლოზის ძე ავალიშვილი (1880-?), რომელიც საარტილერიო სკოლას ხელმძღვანელობდა (ჯავახიშვილი 2012: 32); საქართველოს დამსახურებული ექიმი, პარაზიტოლოგი სალომე დიმიტრის ასული ავალიშვილი (1899-1966); ცნობილი კალათბურთელი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი (1913-1986); საქართველოს სახალხო მხატვარი, მოქანდაკე ბიძინა გიორგის ძე ავალიშვილი (1922-2002); ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გია ბიძინას ძე ავალიშვილი (1941-2004) და სხვები.

ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებათა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ორ დიდ მოღვაწეს - ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ავალიშვილს (1844-1929) და ზურაბ დავითის ძე ავალიშვილს (1875-1944), რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში. ორივე მათგანი განეკუთვნებოდა ავალიშვილთა საგვარეულოს კახეთის შტოს.

• • •

ქვემოთ მიმოვიხილავთ ზემოხსენებული ორი მოღვაწის ბიოგრაფიის ზოგიერთ, დღემდე დაუდგენელ დეტალს.

გამორჩენილი საზოგადო მოღვაწე, თერგდალეულთა მიერ წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე – ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ავალიშვილი (1844-1929) იყო მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი.

იგი დაიბადა 1844 წლის 4 ივლისს, გარეკახეთის სოფელ საგარეჯოში მცხოვრებ აზნაურ (წარმომავლობით თავად) იაკობ ავალიშვილის ოჯახში. იაკობი იყო მღვდელი, მწიგნობარი და კალიგრაფი. მან ბრწყინვალედ გადაწერა *ვეფხისტყაოსანი, დიდმოურავიანი, ყარამანიანი* და სხვ. 1849 წელს იგი მალარიით გარდაიცვალა.

საგარეჯოში მცხოვრები იაკობ ავალიშვილის დაქვრივებული მეუღლე, თავის ორ ასულთან და ექვსი წლის ნიკოსთან ერთად, საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, უფროს ვაჟთან – დავით ავალიშვილთან. დავითმა თავის მცირეწლოვან და-ძმას ღირსეული პატრონობა გაუწია, ხოლო ნიკოს ხელი შეუწყო, რათა მას სათანადო განათლება მიეღო.

1852 წელს 8 წლის ნიკო ავალიშვილი მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, პირდაპირ II კლასში, ვინაიდან რუსულ ენას ის კარგად ფლობდა. მან წარმატებით დასძლია სასწავლო პროგრამა და სასწავლებელი დადგენილ ვადაზე ადრე დაასრულა, რის შემდეგაც, თბილისის სასულიერო სემინარიაც წარმატებით დაამთავრა (ცაიშვილი 1955: 5-7).

1862 წელს იგი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა მოსკოვში, სადაც უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ცოდნას ოთხი წლის განმავლობაში იღრმავებდა. მოსკოვში მყოფი ნიკო რვა თვის განმავლობაში ცხოვრობდა ფრანგის ოჯახში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგული წერა-კითხვა. ის დიდ დროს უთმობდა ევროპული ლიტერატურის კითხვას და თან მათ ქართულ ენაზე თარგმნიდა.

ნ. ავალიშვილი რუსეთში ყოფნისას დაუმეგობრდა „თერგდალეულებს“, განსაკუთრებით აკაკი წერეთელს. ნიკომ გადაწყვიტა, რომ მოსკოვში დაეფუძნებინა სტამბა, რომელშიც ქართული წიგნები დაიბეჭდებოდა. იმავდროულად, სტამბაში დასაქმდებოდნენ ქართველი სტუდენტები, რომლებიც ამით საარსებო სახსარს მოიპოვებდნენ. ამ მამულიშვილურ წამოწყებას აკაკიმ მხარი სიხარულით დაუჭირა, თუმცა მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. 1866 წელს ნიკო იძულებული გახდა, რომ თბილისში დაბრუნებულიყო (ავალიშვილი: 121).

საქართველოში მოღვაწეობისას ნათლად გამომჟღავნდა ნიკო ავალიშვილის ჭეშმარიტად დიდი ნიჭიერება და ორგანიზატორული უნარი. კერძოდ, იგი რედაქტორობდა ჟურნალს *მწათობი* (1869-1872), თანამშრომლობდა ჟურნალში *დროება*, მისი თხზულებანი იბეჭდებოდა *მწათობში*, *ცისკარსა* და *ივერიაში* (ავალიშვილი 2002: 272).

ამის პარალელურად, ნ. ავალიშვილი მესვეურობდა განახლებულ ქართულ თეატრს, რომლის აღორძინებაშიც მან უდიდესი წვლილი შეიტანა. ის აირჩიეს ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრად ქართული დრამატული საზოგადოებისა, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია

ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა. დიდი ილია იმდენად აფასებდა ნ. ავალიშვილს, რომ მას უფროსი შვილი მოუნათლა (ცაიშვილი 1955: 51).

ნ. ავალიშვილმა ქართულ ენაზე თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, კერძოდ, სერვანტესის *დონ კიხოტი*, პიერ ბომარშეს *ფიგაროს ქორწინება*, ფრიდრიხ შილერის *ფიესკოს შეთქმულება გენუაში*, *ვილჰელმ ტელი*, *ყაჩაღები*, *მეზავრი*, ჰენრიკ სენკევიჩის *ვიდრე ჰხვალ* და სხვ. მასვე თარგმნილი აქვს ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის დრამა *ღალატი*, სოფიო ურბანოვსკაიას *თავადის ქალი, შრომა და ფუფუნება* და სხვ. (ხუციშვილი 1997: 61).

ნიკო ავალიშვილი მნიშვნელოვან დროს უთმობდა მშობლიური კუთხის – გარეკახეთის აღორძინებაზე ზრუნვას. მან დიდი წვლილი შეიტანა თბილისიდან სიღნაღისაკენ მიმავალი გზის შეკეთებაში, ხოლო 1877 წელს საგარეჯოში გახსნა კოოპერატივი *ივრის დამზოგველი ამხანაგობა*, რომლის კომიტეტსაც თავადვე თავმჯდომარეობდა. მან გამოიგონა ახალი ნიმუშის კევრი (ხორბლის სალეწი მანქანა), რასაც იმდროინდელ ქართულ პრესაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა.

ნ. ავალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მონოგრაფიულად შეისწავლა სოლომონ ცაიშვილმა (1900-1957). მან ყურადღება გაამახვილა ნიკო ავალიშვილის წინაპრებზე – თავად ავალიშვილებზე, რომლებიც XVIII საუკუნის სამოციანი წლების შუა ხანებამდე ქართლის სოფელ ბრეთში მკვიდრობდნენ, ხოლო შემდეგ გარეკახეთში გადასახლდნენ.

ს. ცაიშვილი წერდა:

> ძირეულად ავალიშვილები ქართლის მკვიდრნი იყვნენ, რომელთაგან მომდინარეობს კახეთის შტოც... გარეკახელ ავალიშვილთა ოჯახში დღემდე დაცულია ერთი მნიშვნელოვანი გადმოცემა, რომელიც მათი გვარის აქ დასახლებაზე მიგვითითებს... ამ გადმოცემიდან ირკვევა, რომ მეფე ერეკლე მეორის წინააღმდეგ მოწყობილ ე. წ. „ქაატას შეთქმულებაში“ მონაწილეობდნენ სამი ძმა, თავადი ავალიშვილები: ქაიხოსრო, დავითი და ზაქარია. შეთქმულების გამომჟღავნებისა და შეთქმულთა განადგურების დღეებში ცოცხლად გადარჩენილი ეს ძმები თეთრაძის გვარშერქმეული თბილისის განაპირა, ე. წ. ძაღლის უბანში შეფარებულან და ქალაქისათვის შეშის დამზადებით თურმე ირჩენდნენ თავს, მაგრამ მათი ეს ყოფა თანდათან კიდევ გაუარესებულა, მათს თეთრაძეობაზედ ეჭვი აუღიათ და, როცა ძაღლზე შეუვიწროებიათ ისინი, უდაბნოში გადასახლებულან და იქ დავით გარეჯის მონასტერში შეფარებულან. ერეკლეს გარდაცვალების (1798) შემდეგ, უფროს ძმას ქაიხოსროს მოუხერხებია მონასტრიდან გამოსვლა და საზოგადოებაში შერევა, დავითი და ზაქარია კი იმის შიშით, რომ მამულების სიხარბით გატაცებულ ნათესავებს არ გაეცათ, საგარეჯოში დასახლებულან, თუმცა, აქაც რამდენიმე ხანს მალავდნენ ნამდვილ გვარს. მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა პრივილეგიური წოდების მქონე გვართა რეგისტრაცია დაწყებულა, მათაც თავიანთი საბუთი და ნამდვილი გვარი გამოუჩენიათ და ავალიშვილობა აღუდგენიათ. ამგვარად, საგარეჯოელი ავალიშვილები სწორედ ამ ორი ძმის დავითისა და ზაქარიას ჩამომავლები არიან...
>
> როგორც საგულისხმო მომენტი, ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, ნიკო ავალიშვილის აზრით, ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობის გამო დაქვეითებული, ე. ი. თავისი ძველი წოდება ართმეული გვარები დღეს საგარეჯოსა და მის მიდამოებში საკმაო რაოდენობით მოსახლეობენ. ასეთებია: ჯავახიშვილები, მხარგრძელები, ფავლენიშვილები, ყარალაშვილები, თულაშვილები, ფურცელაძეები, საგინაშვილები, ყორღანაშვილები და სხვ (ცაიშვილი 1955: 5-7).

აი, რას გვაუწყებს ნ. ავალიშვილი თავის მოგონებაში, რომლის ხელნაწერიც დაცულია თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში:

> ჩემს ოჯახში თაობიდან თაობაში ასოცდაათი წელიწადია ერთი გადმოცემა ინახება. იგი მოგვითხრობს, რომ მეფე ერეკლეს გარდაწყვეტილებამ საქართველოს რუსეთისადმი გარდაცემისამ – მრავალი უკმაყოფილო და მოწინააღმდეგე გაუჩინა მას. შეითქვნენ, რომ ერეკლე ტახტიდგან ჩამოეხდინათ და... აეყვანათ ტახტზედ... ქართლის მეფის ვახტანგის შვილი, რათა მით საქართველო გაერთიანებულიყო. ამ შეთქმულობის მონაწილე, სხვათა შორის, სამი ავალიშვილი იყო, სახელით: უფროსი – ქაიხოსრო, ორი უმცროსი (შვილები თუ ძმები) – დავითი და ზაქარია. შეთქმულობა გამჟღავნდა, შეთქმულნი დაიჭსაჭნენ...
>
> ჩვენი ოჯახი, უფროსების გადმოცემით, იმ დავითის ჩამომავალია და ეს 1850-ან წლებში ბრეთელი სოლომონ ავალიშვილისაგან დადასტურებულია, რომელიც ხშირად მოდიოდა ჩვენსა და ბიძაშვილის შვილებად გვთვლიდა. ვფიქრობ, შეთქმულების წევრი დავით ავალიშვილი და მეფე ერეკლეს დროის თეატრის მოთავე და გაბრიელ მაიორის ამხანაგი დავით ავალიშვილი ერთი და იგივე დავით ავალიშვილია.
>
> საგარეჯოში ქართლ-კახეთ-ბორჩალოს მაზრის თავადაზნაურთა გვარეულობის ჩამომავალი ბევრია და აქ მხოლოდ ზოგს მოვიხსენიებ: ჯავახიშვილი, მხარგრძელი-ფავლენიშვილი, ავალიშვილი, ფურცელაძე, ყარალაშვილი (რუსული დაბოლოებით – ყარალოვ), ჯაფარიძე, თულაშვილი, ყორღანაშვილი, საგინაშვილი და სხვ. უეჭველია, ამათი მამამთავარნიც ხსენებული შეთქმულობის გამო იყვნენ იქ გადახვეწილნი (ავალიშვილი: 215-216).

აქ მოყვანილ ამონარიდში წარჩინებულ გვართაგან ქართლში სახლობდნენ (ჩამოთვლილია ანბანურად): ავალიშვილები (თავადები), თულაშვილები (ქსნის ერისთავის აზნაურები), საგინაშვილები (ტახტის აზნაურები), ფავლენიშვილები (თავადები და ქსნის ერისთავის აზნაურები), ფურცელაძეები (ტახტის და თავად ციციშვილის აზნაურები), ყორღანაშვილები (ტახტის აზნაურები), ჯავახიშვილები (თავადები და ტახტის აზნაურები), ჯაფარიძეები (თავად ქსნის ერისთავის აზნაურები) (კაცელაშვილი 1997; ჭუმბურიძე 2005).

დასახელებული წყაროდან ჩანს, რომ აღნიშნულ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, ქართლის ხსენებულ წარჩინებულ საგვარეულოთა გარკვეული ნაწილისათვის წოდებები ჩამოურთმევიათ და გარეკახეთში გადაუსახლებიათ. მათი უმეტესობა (როგორც ჩანს, გადასახლებულთა აზნაურული ნაწილი) ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ირიცხებოდა სახასო ანუ სამეფო ყმად, ხოლო საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ, ისინი სახელმწიფო ყმებად ჩარიცხეს. საერთოდ, სახასო ყმები უშუალოდ მეფეს ექვემდებარებოდნენ და გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე სამონასტრო-საეკლესიო, ხოლო განსაკუთრებით კი საბატონო, კერძოდ, თავადთა და აზნაურთა გლეხები.

ასეთია ნ. ავალიშვილის წინაპართა გარეკახეთში გადასახლების, თავადობის დაკარგვისა და გააზნაურების ისტორია.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, რომ აქვე მოკლედ გავიხსენოთ 1765 წლის შეთქმულების ისტორია.

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის უმცროსი ვაჟის – პაატა ბაგრატიონის (1720-1765) ხელმძღვანელობით მოწყობილი შეთქმულება მიზნად ისახავდა ქართლის სამეფოს აღდგენას და ტახტზე ხსენებული უფლისწულის დასმას.

სამეფო ლეგიტიმიზმის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრენი იყვნენ მისი შთამომავლები, პირდაპირი, ანუ მამაკაცთა ხაზით. ამის გამო, კახეთის ბაგრატიონების ქართლში გამეფებას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა არა მხოლოდ ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელთაგან, არამედ ქართლელ თავადაზნაურთა მხრიდანაც. ამ მძლავრი ოპოზიციის საბოლოოდ დაძლევა ერეკლე II-მ მხოლოდ 1782 წელს მოახერხა, როდესაც მისი თხოვნით რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა ტახტის მაძიებელი უფლისწული ალექსანდრე ბაქარის ძე.

მართალია, ვახტანგ VI-ის ნაბოლარა ვაჟს, მხევლისაგან შობილ პაატას ნაკლები უფლებები გააჩნდა მამის მემკვიდრეობაზე, ვიდრე მის უფროს ძმას – ბაქარს და ძმისწულს – ალექსანდრე ბაქარის ძეს, მაგრამ ლეგიტიმიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ქართლის ტახტი მას უფრო მეტად ეკუთვნოდა, ვიდრე მის დისწულს, ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელს – ერეკლე II-ს. საგულისხმოა, რომ ვახტანგ VI-ის ვაჟთაგან ერთადერთმა პაატამ მოახერხა, რომ რუსეთის ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ, იმპერიიდან გაქცეულიყო და ქართლში დაბრუნებულიყო.

1765 წლის დეკემბერში შეთქმულება გამჟღავნდა. შეთქმულნი დააპატიმრეს და სასტიკად დასაჯეს. მთავარ დამნაშავედ ცნობილ უფლისწულ პაატას თავი მოჰკვეთეს. დანარჩენ შეთქმულთაგან ზოგი მოკლეს, ხოლო ზოგიც – ფიზიკურად დაასახიჩრეს (ჯავახიშვილი 2010: 189-198).

ნიკო ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი 1965: 210); ალექსანდრე ფირცხალაიშვილი (ფირცხალაიშვილი 1970: 84); მამია დუმბაძე (დუმბაძე 1973: 634), შოთა ხანთაძე (ხანთაძე 1984: 630) და სხვები მიუთითებდნენ, რომ შეთქმულების მონაწილეთა რაოდენობა გაცილებით დიდი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შესახებ ცნობები არ შემოინახა.

საგულისხმოა, რომ შეთქმულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ვინაობის შესახებ ცნობილი ხდება სწორედ ნ. ავალიშვილის ზემოხსენებული მოგონებიდან.

ასე რომ, ნ. ავალიშვილის უშუალო წინაპრის გარეკახეთში გადასახლება განაპირობა ზემოხსენებულ შეთქმულებაში მისმა მონაწილეობამ.

1912 წელს ნ. ავალიშვილმა ახლადდაარსებულ *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას* შესწირა როგორც იშვიათი წიგნები და პერიოდული გამოცემები, ასევე ძვირფასი ნივთებიც, მათ შორის 130 ცალი ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტა, რომლებიც მას ჩამოტანილი ჰქონდა სპარსეთიდან და ჩინეთიდან.

1929 წლის 17 სექტემბერს ნიკო ავალიშვილი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს.

იოსებ გრიშაშვილი ჟურნალში *დროშა* (№ 129) გამოქვეყნებულ ნეკროლოგში წერდა:

ძველი საზოგადო მოღვაწე ნ. ი. ავალიშვილი... 65 წელიწადი განუწყვეტლივ მოღვაწეობდა საზოგადო ასპარეზზე. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან და ახალგაზრდული ენთუზიაზმით კვლავ წერდა... 14 წლის განმავლობაში (1867-1880) ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს და გ. ერისთავისა და ი. კერესელიძის შემდეგ ითვლება თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად და პირველ რეჟისორად.

ს. ცაიშვილი მიუთითებდა:

გასული საუკუნის სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადაში ნიკო ავალიშვილს საკმაოდ შესამჩნევი ადგილი უკავია... მშობლიური ქვეყნის სიყვარულით გამსჭვალული იგი ერთგული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური ბელადის ილია ჭავჭავაძის მიერ აღმართული დროშის, რომლის გარშემო თავს იყრიდა იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე ნაწილი (ცაიშვილი 1955: 3).

აღსანიშნავია, რომ დიდი საზოგადოებრივი, ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობის პარალელურად, ნიკო ავალიშვილი სამხედრო სარბიელზედაც წარმატებით საქმიანობდა. მისი მოღვაწეობის ამ მნიშვნელოვან სფეროზე, რატომღაც, ჩვენამდე არავინ გაამახვილა ყურადღება. არადა, აღნიშნულ სფეროში მისი მოღვაწეობის შესახებ ფრიად საყურადღებო ინფორმაციაა დაცული მისივე „ნამსახურობის ნუსხაში“, რომელიც დღემდე შემორჩა.

ნიკო ავალიშვილს მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო მრჩევლის რანგი, რომელიც რუსეთის საიმპერიო რანგთა ტაბელის მიხედვით, აღემატებოდა პოლკოვნიკის წოდებას და შეესაბამებოდა საიმპერატორო კარის კამერ-იუნკერის, ცერემონ-მაისტერის ჩინს.

სამხედრო სამსახური ნიკომ 1872 წელს დაიწყო. იგი ოთხი ათეული წლის განმავლობაში მსახურობდა კავკასიის საოლქო საინტენდანტო სამმართველოს ჩინოვნიკად რუსეთის იმპერიის ცალკეულ რეგიონებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. იყო საინტენდანტო სამსახურის ერთ-ერთი ავტორიტეტული ხელმძღვანელი და მრავალი საპატიო ჯილდოს კავალერი. კერძოდ, დაჯილდოებული იყო წმ. ვლადიმირის IV, წმ. სტანისლავის II და III, წმ. ანას III (ხმლებითურთ) ორდენებითა და არაერთი მედლით.

საზოგადოებისათვის ასევე ნაკლებად არის ცნობილი ნიკო ავალიშვილის ოჯახისა და მისი შესანიშნავი შთამომავლობის შესახებ.

ნ. ავალიშვილს ორი ცოლი ჰყავდა. მას პირველ მეუღლესთან – ნინო (ნუცა) ჯაბადართან შეეძინა ექვსი შვილი: არჩილი, თამარი, ირაკლი, ქეთევანი, ნინო (ნუცა) და რუსუდანი, ხოლო მეორე მეუღლესთან – ალექსანდრა ევგლავსკაიასთან ორი შვილი: გიორგი და ელენე. ელენე ცოლად გაჰყვა თავად გიორგი გუგუნავას.

გიორგი ნიკოლოზის ძე ავალიშვილს (1897-1942) მეუღლესთან, ნინო ქვლივიძესთან შეეძინა ორი შვილი: ბიძინა და მერი. მერი ცოლად გაჰყვა ოთარ თურქესტანიშვილს.

ბიძინა გიორგის ძე ავალიშვილი (1922-2002) იყო გამოჩენილი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი. მას მეუღლესთან, ივეტა ჩარექიშვილთან შეეძინა ვაჟი – გია ავალიშვილი (1941-2004), ცნობილი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე.

გია ბიძინას ძე ავალიშვილს მეუღლესთან, ნანა ჭიჭინაძესთან შეეძინა ორი შვილი - ნიკოლოზ (ნიკა) და მანანა ავალიშვილები, რომლებიც თავიანთი ოჯახებითურთ თბილისში ცხოვრობენ.

• • •

გამოჩენილი მეცნიერისა და დიპლომატის, პროფესორ ზურაბ დავითის ძე ავალიშვილის (1875-1944) წინაპრების შესახებ დღემდე არაფერი იყო ცნობილი. ზოგიერთი მკვლევარი (დიასამიძე 1944; შარაძე 1991: 350) მას მიიჩნევდა ზემოხსენებული დიპლომატის გიორგი ივანეს ძე ავალიშვილის (1769-1850) შთამომავლად, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. რეალურად, გიორგი ავალიშვილი იყო ვაჟი მეითარ ივანე ბეჟანის ძე ავალიშვილისა, რომელიც 1779 წელს გარდაიცვალა.

ზ. ავალიშვილის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი წინაპარი – თავადი გივი ავალიშვილი, თავის ძმასთან, ზაალთან ერთად, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლიდან კახეთში გადასახლდა. ისინი დამკვიდრდნენ სოფელ ჩუმლაყში (ამჟამად – გურჯაანის რაიონი). გივის ვაჟი იყო ზემოხსენებული ეშიკაღაბაში ასლან ავალიშვილი.

ჩვენთვის ცნობილია ზ. ავალიშვილის ექვსი უშუალო წინაპრის ვინაობა პირდაპირი ანუ მამრობითი ხაზით. მისი გენეალოგიური ხაზი, დაწყებული მისი უშუალო წინაპრის გივი ავალიშვილისაგან, ასე წარმოგვიდგება: 1) გივი – 2) ასლანი (საისტორიო წყაროებში იხსენიება 1755-1765 წლებში) – 3) გივი (იხსენიება 1755-1791 წლებში) – 4) დიმიტრი (1783-?) – 5) იოანე (1806-1850) – 6) დავითი (1845-1897) – 7) ზურაბი (1875-1944).

ზ. ავალიშვილის პაპის – რუსეთის საიმპერიო არმიის კაპიტან იოანე (იგივე ივანე) ავალიშვილის (1806-1850) უმცროს ძმებს შორის იყვნენ: გენერალ-მაიორი ზურაბი (1818-1884), ტიტულარული მრჩეველი ნიკოლოზი (1816-1869) და პოდპორუჩიკი გიორგი/ასლან (1821-1885) ავალიშვილები.

ახლა რაც შეეხება ზ. ავალიშვილის წინაპარ მანდილოსნებს.

ზურაბის დიდ პაპას დიმიტრი გივის ძე ავალიშვილს (1783-?) ცოლად ჰყავდა თამარ დავითის ასული ჯორჯაძე (1788-1836), ხოლო ზურაბის პაპის იოანე ავალიშვილის (1806-1850) მეუღლე იყო ეკატერინე იოსების ასული ვაჩნაძე (1818-1872). ეს უკანასკნელი განეკუთვნებოდა ამ საგვარეულოს ერთ-ერთ განშტოებას – ბებურიშვილებს ანუ ბებურ ვაჩნაძის შთამომავალთა შტოს. ასე რომ, ზ. ავალიშვილის დიდი ბებია (პაპის დედა) იყო თავად ჯორჯაძის ასული, ხოლო ბებია (მამის დედა) – თავად ვაჩნაძის ასული.

ზურაბ ავალიშვილის ბიძებს (მამის ძმებს) ცოლად ჰყავდათ ასევე თავადის ასულები, კერძოდ, დიმიტრი ავალიშვილს (1841-1880) – მარიამ აქაზის ასული ანდრონიკაშვილი (1851-1917), ხოლო გრიგოლ ავალიშვილს (1848-1897) – ჯერ მარიამ გიორგის ასული ჯანდიერი, ხოლო შემდეგ სოფიო ალექსანდრეს ასული ვაჩნაძე (1861-1935).

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული ინფორმაცია ზურაბ ავალიშვილის წინაპრების შესახებ მოგვაწოდა ქართული გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა იური ჩიქოვანმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ზურაბის მამა – იურისტი დავით ივანეს ძე ავალიშვილი (1845-1897) რუსეთის საიმპერიო არმიაში შტაბს კაპიტნად მსახურობდა. თადარიგში გასვლის შემდეგ, ის მუშაობდა ჯერ ნაფიც ვექილად, ხოლო შემდეგ – დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებული თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დირექტორად.

1871 წელს, 26 წლის დავით ავალიშვილმა ცოლად შეირთო 15 წლის ოლღა ედუარდის ასული ჰოლმბლადტი (1856-1914). მისი მამა იყო ცნობილი ექიმი, შვედური წარმომავლობის ბალტიელი არისტოკრატი (ბარონი), კავკასიის მხარის სამედიცინო ნაწილის მმართველი – ედუარდ ჰოლმბლადტი (რუსულ ენაზე – Гольмбладт), რომელიც მონაწილეობდა კურორტ აბასთუმნის დაარსებაში. ოლღას ძმა – გენერალ-ლეიტენანტი ოსკარ ედუარდის ძე ჰოლმბლადტი (1843-1898) იყო კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე (ჯავახიშვილი 2011: 65).

ზ. ავალიშვილის პაპასთან, ედუარდ ჰოლმბლადტთან ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა გამოჩენილი პოეტი და სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი გრიგოლ ორბელიანი (ორბელიანი 2012: 32-33).

დავით ავალიშვილს და ოლღა ჰოლმბლადტს შეეძინათ შვიდი შვილი: ივანე (1872-1937), იოსები (1874-?), ზურაბი (1875-1944), გივი (1877-?), ნატალია (1879-?), ეკატერინე (1884-1910) და დავითი (1887-1887). მათგან ნაბოლარა შვილი დაბადების წელსვე გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ ავალიშვილის დაბადების თარიღი უკანასკნელ პერიოდამდე არ იყო დადგენილი. კერძოდ, *ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში* (თარხნიშვილი და *სხვები* 1975: 115), ენციკლოპედიებში *საქართველო* (ბადრიძე, ცირეკიძე 1997: 60) და *თბილისი* (მაისურაძე 2002: 272) ზ. ავალიშვილის დაბადების თარიღად მითითებულია 1874 ანდა 1876 წელი, რაც არასწორია.

სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ ზურაბ ავალიშვილი დაიბადა 1875 წლის 28 დეკემბერს, თბილისში (ცსსა № 1414: 10).

1894 წელს ზ. ავალიშვილმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის I გიმნაზია.

ზემოხსენებულ არქივში დაცული ზ. ავალიშვილის სიმწიფის ატესტატიდან, რომელიც გაცემულია 1894 წლის 14 ივნისს, ირკვევა, რომ თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ზ. ავალიშვილს მხოლოდ უმაღლესი შეფასებები (ფრიადები) დაუმსახურებია (ცსსა № 1414: 205).

აღსანიშნავია, რომ სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ზ. ავალიშვილის ჩარიცხვის თარიღიც დღემდე არ იყო დადგენილი. კერძოდ, ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს 1895 წელს (შარაძე 1991: 350), რაც არასწორია.

ზემოხსენებულ არქივში დაცული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1894 წლის 5 აგვისტოს ზ. ავალიშვილმა თხოვნით მიმართა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს, რათა მას იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაერიცხა (ცსსა № 1414: 1). ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

1898 წელს ზ. ავალიშვილმა წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტი (ცსსა № 1414: 11).

1899 წლის 20 თებერვალს პეტერბურგის ქალაქის თავმა წერილობით აცნობა უნივერსიტეტის რექტორს, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულზე ზურაბ დავითის ძე ავალიშვილზე გასცა „კეთილსაიმედოობის ცნობა," ვინაიდან ხსენებულ პიროვნებაზე თავის უწყებაში არ გააჩნდა არავითარი მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია პოლიტიკური თვალსაზრისით.

სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტში, რომელსაც ზედა მარჯვენა კუთხეში მიწერილი აქვს *Секретно*, ხოლო ზედა მარცხენა კუთხეში *Отделение по охранению общественной безопасности и порядка в столице* ვკითხულობთ:

> Господину Ректору Императорского Санкт-Петербургского Университета
> Вследствие просьбы окончившаго курсъ Санкт-Петербургского Университета князя Зураба Давидовича Авалова о выдаче ему свидетельства о благонадежности на предметъ оставления его при курсъ Санкт-Петербургском Университете, имею честь уведомить Ваше Превосходительство, что сведений, компрометирующихъ названное лицо въ политическомъ отношении, въ Управлении моемъ не имеется (ცსსა № 31179: 8).

პეტერბურგში გატარებული წლები დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერისათვის, რომელმაც წარჩინებული სწავლისათვის I ხარისხის დიპლომი მიიღო, ხოლო სანიმუშო სადიპლომო ნაშრომისათვის *საქართველოს შეერთება რუსეთთან* ოქროს მედალი დაიმსახურა. ამის შემდეგ ზურაბ ავალიშვილი საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრაზე (ჯავახიშვილი 2003: 188).

1906 წელს ზ. ავალიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: *დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში ნაპოლეონის დროიდან – 1906 წლამდე.*

პრივატ-დოცენტი (შემდგომში პროფესორი) ზ. ავალიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრაზე კითხულობდა სახელმწიფო სამართლის კურსს. პარალელურად ის მუშაობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგედ და კითხულობდა ადმინისტრაციული სამართლის კურსს. იმავდროულად, ის იყო რუსეთის ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტის უფროსი თანაშემწე, იურიდიული საზოგადოების წევრი და საზოგადოება *კახეთის რკინიგზის* მმართველობის დირექტორი.

1917-1918 წლებში ზ. ავალიშვილი მუშაობდა პეტროგრადის გამომცემლობაში *Огни*. იქ იგი ხელმძღვანელობდა ჯგუფს *Известия*, რომელიც გამოსცემდა ცნობილი მეცნიერების ნაშრომებს.

პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში ზ. ავალიშვილი თანამშრომლობდა სხვადასხვა იურიდიულ ჟურნალში. ამავე ქალაქში გამოიცა მისი ნაშრომები.

1917 წელს, რუსეთის დროებითმა მთავრობამ ზ. ავალიშვილი პირველ სახელმწიფო დეპარტამენტში სენატორად დანიშნა (გორგიძე 1976: 179-180).

1918 წლის გაზაფხულზე ზ. ავალიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა. იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მან შეიმუშავა ეროვნული საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რაც ითვალისწინებდა რუსეთის ახალი სახელმწიფოს შემოფარგვლას ახალივე ქვეყნებით. მანვე დიდი ამაგი დასდო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესის დაჩქარებას. აქტიურად მონაწილეობდა ევროპის ქვეყნებში გაგზავნილი სამთავრობო დელეგაციების მუშაობასა და საქართველოს პირველი კონსტიტუციის შექმნაში (ბადრიძე, ცირეკიძე 1997: 60).

ზ. ავალიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე აქ არ ვისაუბრებთ, ვინაიდან იგი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი პროფესორების გურამ შარაძის (შარაძე 1991: 349-374), შოთა ბადრიძის (ბადრიძე, ცირეკიძე 1997: 60) და სხვათა მიერ.

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების (1921 წ.) შემდეგ, ზურაბ ავალიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში. 1940 წლიდან მეცნიერი გადავიდა გერმანიაში, სადაც თავდაპირველად მიუნხენში დამკვიდრდა.

სწორედ ზ. ავალიშვილის აქტიური დახმარებით მოახერხა მისმა ახლო მეგობარმა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომ საფრანგეთში დაცული საქართველოს ისტორიული საგანძური ეხსნა ამ ქვეყანაში შეჭრილი გერმანელი ოკუპანტების ხელყოფისაგან.

საგანგებოდ შექმნილ კომისიაში შეყვანილმა ზ. ავალიშვილმა თავისი მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი მაქსიმალურად გამოიყენა ქართული ეროვნული განძეულის გადასარჩენად და ამისათვის სავსებით მოსალოდნელ საფრთხესაც კი არ შეუშინდა. მისეული დასკვნით, ამ საგანძურში დაცული სიძველენი არ განეკუთვნებოდა მსოფლიოს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობას და მხოლოდ ქართველი ერისათვის იყო მნიშვნელოვანი (ბადრიძე 1998: 20).

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა, ზურაბი „არწმუნებდა გერმანელებს, ეს განძეული მარტო საქართველოსათვის არის ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისათვის არაფერი სახარბიელოაო“ (თაყაიშვილი 2004: 140).

გერმანიაში მოღვაწეობის პერიოდში ზ. ავალიშვილი თანამშრომლობდა *ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტთან*. მას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი და პოლიტოლოგი ალექსანდრე ნიკურაძე (1901-1981), რომელსაც იმდროინდელ გერმანიაში მცხოვრებ რამდენიმე ფრიად გავლენიან ქართველ მოღვაწეს შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკავა (ჯავახიშვილი 2005: 100).

ზ. ავალიშვილს ცოლად ჰყავდა ნორვეგიელი მაია ფოგტი. მისი ახლო ნათესავი (მამის ბიძაშვილი) იყო ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი ლინგვისტი და ქართველოლოგი, პროფესორი ჰანს ფოგტი. ზურაბს და მაიას შვილები არ შესძენიათ.

სპირიდონ კედიას მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კედიასი (1885-1993) თავის მემუარებში იხსენებდა, რომ ზურაბ ავალიშვილი და მისი მეუღლე მაია ფოგტი მათი ოჯახის „ხშირი სტუმრები იყვნენ და ძალიან დაახლოებულნიც“ (ჩიჯავაძე-კედია 2002: 549).

საგულისხმოა, რომ ქართული ენციკლოპედიები არ გვაუწყებს, თუ რა ვითარებაში მიიცვალა ზ. ავალიშვილი. არადა, 69 წელს მიღწეული მეცნიერი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა.

1944 წლის 21 მაისს, ქალაქ შვარცენფელდში მყოფი ზ. ავალიშვილი მოკავშირეთა (ინგლისურ-ამერიკული) ავიაციის მიერ განხორციელებული დაბომბვის მსხვერპლი გახდა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც იგონებდა:

> ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამხდარიყო... მათ დააჯერეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფ. ზ. ავალიშვილი, რომელიც იქ უდროოდ დაიღუპა კიდევაც (ქალაქის დაბომბვისას) და მასთან ერთად დაგვეკარგა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოს შესახებ, რომელიც ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი (თაყაიშვილი 2004: 140).

ზ. ავალიშვილი დაკრძალეს ბავარიის ქალაქ შვანდორფში.

1993 წლის მაისში ზ. ავალიშვილის ნეშტი გერმანიიდან სამშობლოში გადმოასვენეს და იმავე თვის 25 რიცხვში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

დამოწმებანი

ავალიშვილი 2002: ავალიშვილი ნიკო იაკობის ძე. ენციკლოპედია თბილისი, თბილისი.
ავალიშვილი: ნ. ავალიშვილი. ქართული თეატრის ისტორიისათვის (ავტოგრაფი). თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდი III. ხელნაწერი №5127.
კაცელაშვილი 1997: ი. ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). ზ. კაცელაშვილის გამოცემა, თბილისი.
ბადრიძე 1998: ლ. ბადრიძე. ზურაბ ავალიშვილი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მკვლევარი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი საქართველო. ტ. III, თბილისი.
ბადრიძე, ცირეკიძე 1997: შ. ბადრიძე. შ. ცირეკიძე. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე. ენციკლოპედია საქართველო. ტ. I, თბილისი.
ბერძენიშვილი 1965: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II, თბილისი.
გოგოლაძე, სრესელი 2011: თ. გოგოლაძე. თ. სრესელი. ლიკანის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული "მეფეთა მეფის ასულის თამარის" იდენტიფიკაციისათვის. ჟურნალი ქართველოლოგია. ტ. I, თბილისი.
გორგიძე 1976: М. Горгидзе. Грузины в Петербурге (страницы летописи культурных связей), Тбилиси.

დიასამიძე 1944: გ. დიასამიძე. ზურაბ ავალიშვილი. ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი საქართველო. №26 (103), ბერლინი.
დუმბაძე 1973: მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და სამინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბილისი.
თარხნიშვილი და *სხვები* 1975: გ. თარხნიშვილი. შ. ბადრიძე. გ. იმედაშვილი. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I, თბილისი.
თაყაიშვილი 2004: ე. თაყაიშვილი. განძეულის გატანის, საფრანგეთში შენახვისა და აბრუნების ისტორია. საიუბილეო კრებული ღვთისკაცი - ექვთიმე თაყაიშვილი. შეადგინა ი. თავბერიძემ, თბილისი.
თოფჩიშვილი 2011: რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბილისი.
იოსელიანი 1980: საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბილისი.
კლდიაშვილი და *სხვები* 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი.
მაისურაძე 2002: გ. მაისურაძე. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე. ენციკლოპედია თბილისი, თბილისი.
ორბელიანი 2012: XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. III. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), თბილისი.
ფირცხალაიშვილი 1970: А. Пирцхалайшвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го). В сборнике: Вопросы истории Грузии феодальной эпохи. Т. II, Тбилиси.
ქიქოძე 1997: მ. ქიქოძე. ავალიშვილები. ენციკლოპედია საქართველო. ტ. I, თბილისი.
ყაუხჩიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
შარაძე 1991: გ. შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. I, თბილისი.
ჩიჯავაძე-კედია 2002: ს. ჩიჯავაძე-კედია. ნასმენ-ნახული, პარიზი.
ცაიშვილი 1955: ს. ცაიშვილი. ნიკო ავალიშვილი, თბილისი.
ცსსა № 1414: Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга. Фонд 14. Опись 2. дело № 1414.
ცსსა № 31179: Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга. Фонд 14. Опись 3. дело № 31179.
ჭუმბურიძე 2005: ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი.
ხანთაძე 1984: შ. ხანთაძე. პაატა ბატონიშვილი. პაატა ბატონიშვილის შეთქმულება. ქსე. ტ. VII, თბილისი.
ხუციშვილი 1997: ს. ხუციშვილი. ავალიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე. ენციკლოპედია საქართველო. ტ. I, თბილისი.
ჯავახიშვილი 2003: Н. Джавахишвили. Санкт-Петербург – центр русско-грузинских взаимоотношений (1703-2003 гг), Тбилиси.
ჯავახიშვილი 2005: Н. Джавахишвили. Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX в.), Тбилиси.
ჯავახიშვილი 2010: ნ. ჯავახიშვილი. პაატა ბატონიშვილის შეთქმულების უცნობი ფურცლები. კრებული: ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. XII, თბილისი.
ჯავახიშვილი 2011: ნ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი.
ჯავახიშვილი 2012: Н. Джавахишвили. Грузинские белогвардейцы. Научно-практический журнал Современная наука: актуальные проблемы теории и практики. Серия Гуманитарные науки. № 4-5, Москва.

The House of Avalishvilis and Its Famous Representatives

Niko Javakhishvili

This paper is based on documents found by the author in St. Petersburg Central State Historical Archive and Georgian Archives.

The obtained data shed light on some significant and hitherto little studies details of the history of Avalishvilis' house, among them writer, publicist, journalist, theatrical promoter, producer and actor Niko Avalishvili (1844-1929); scholar, lawyer, historian and diplomat Zurab Avalishvili (1875-1944) .

მეფე ვახტანგ VI-ის პირდაპირი შთამომავლები

დავით ჯავახიშვილი

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლის სამეფოს თექვსმეტ წელიწადს განაგებდა ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონი (1675-1737), იგივე მეფე ვახტანგ VI, რომელიც განეკუთვნებოდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლის შტოს. იგი იყო შვილიშვილი მეფე ვახტანგ V-ისა (შაჰ ნავაზისა) და შვილი უფლისწულ ლევან ვახტანგის ძისა და თუთა ქაიხოსროს ასული გურიელისა.

ვახტანგ ლევანის ძე თერთმეტი წლის განმავლობაში ჯანიშინის ანუ მეფისნაცვლის რანგში მართავდა ქართლს, კერძოდ, 1703-1709 წლებში ნაცვლად სპარსეთში მყოფი თავისი ბიძისა (მამის ძმისა), მეფე გიორგი XI-ისა (დაიღუპა 1709 წელს), 1709-1711 წლებში ნაცვლად სპარსეთში მყოფი თავისი ძმისა, მეფე ქაიხოსროსი (დაიღუპა 1711 წელს), ხოლო 1711-1714 წლებში სპარსეთის შაჰინშაჰის მიერ მეფედ დამტკიცების მოლოდინში. 1714 წელს შაჰინშაჰმა ჰუსეინ I-მა სეფიანმა ვახტანგი სპარსეთში დაიბარა და მეფობის ბოძების სანაცვლოდ მას გამაჰმადიანება მოსთხოვა. 1714-1716 წლებში ქართლში მეფობდა ვახტანგის გამაჰმადიანებული ძმა იესე. ორწლიანი ყოყმანის შემდეგ, 1716 წელს ვახტანგმა ფორმალურად იწამა ისლამი და მეფობაც მიიღო, თუმცა სამშობლოში დაბრუნება მან მხოლოდ 1719 წელს შეძლო. 1717-1719 წლებში ქართლს მართავდა ბაქარ ვახტანგის ძე. 1719-1724 წლებში ანუ ხუთი წლის განმავლობაში ვახტანგ VI ქართლს მეფის რანგში განაგებდა.

ქვემოთ მოთხრობილია მეფე ვახტანგ VI-ის ქორწინების, ცოლ-შვილისა და პირდაპირი (ანუ მამრობითი ხაზით) შთამომავლობის შესახებ, რაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს. ეს პრობლემა ჯერაც არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი. აქვე დავძენთ, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს ისტორია მონოგრაფიულად შევისწავლეთ ჩვენს სადოქტორო დისერტაციაში (ჯავახიშვილი 2011).

• • •

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის (1466) შემდეგ, ბაგრატიონთა სამივე სამეფო სახლის – კახეთის, ქართლისა და იმერეთის წარმომადგენლები, ქორწინდებოდნენ ძირითადად ქართველ წარჩინებულებზე (ჯავახიშვილი 2008: 450), თუმცა ზოგჯერ უცხოელებზეც.

ბაგრატიონთა ქორწინებებს ქართველ და უცხოელ წარჩინებულებზე მივუძღვენით რამდენიმე სტატია, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც საქართველოში (ჯავახიშვილი 2008-2011), ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, აზერბაიჯანსა და დაღესტანში (ჯავახიშვილი 2010).

ვახტანგ VI-ის მეუღლე იყო რუსუდან დედოფალი (გარდაიცვალა 1740 წელს), ასული ჩერქეზი არისტოკრატისა, რომელიც ყაბარდოს მთავარი იყო. ვფიქრობთ, საყურადღებოა გავიხსენოთ, თუ რა ვითარებაში მოხდა ეს ქორწინება.

ყაბარდოელი ასული საქართველოში ჩამოიყვანეს ქართლის მეფის გიორგი XI-ის ვაჟის ბაგრატ ბატონიშვილის საცოლედ. ამ შეუღლებას პოლიტიკური სარჩული ედო. მისი მეშვეობით გიორგი XI-ს განზრახული ჰქონდა ყაბარდოს მთავართან დანათესავება (ჯავახიშვილი 2005: 46).

სპარსეთში მყოფი ბაგრატ ბატონიშვილის გარდაცვალების (1694 წ.) გამო, გიორგი XI-მ თავისი სარძლო უკან აღარ გააბრუნა და იმავე წელს მიათხოვა თავის ძმისწულს (პაიჭაძე 1981: 11).

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში ასეა მოთხრობილი ვახტანგ VI-ის დაქორწინების ისტორია:

> ჩერქეზის ბატონის ასული რუსუდან, რომელი მოეყვანა ძისა თვისისათვის მეფესა, ესე პირველვე მიეცა ძმისწულისა თვისისა ვახტანგისათვის და შემდგომად ქაიხოსროს წარსვლისა წარიყვანა ვახტანგ იგი და დედინაცვალი თვისი და ძმანი თვისნი და მივიდა ხარაგეულს და მუნ ნებითა მეფისათა ჰყო ქორწილი (ვახუშტი 1973: 474).

არსებობს ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები, თუ რა გვარი შეიძლებოდა ყოფილიყო რუსუდან დედოფალი. ერთი ვერსიის თანახმად, იგი იყო ტაუსულტანოვი, მეორე მიხედვით – მისოსტოვი (ბუტკოვი 1869: 505), ხოლო მესამე ვერსიით იგი იყო ასული ყილჩიყო ბაყიშვილისა (რუსულად – Келчик Бакишвили) (დუმინი 1996: 44-47).

ვფიქრობთ, უფრო სავარაუდოა პირველი ვერსია, ვინაიდან ტაუსულტანოვთა საგვარეულოს მამულები იყო მცირე ყაბარდოში, რომელიც ქართლთან უფრო ახლოს მდებარეობდა, ვიდრე დიდი ყაბარდო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ რუსუდან დედოფლის ძმის – თავად ადილ-გირეის სამფლობელოში შედიოდა როგორც ტატარტუპი, ასევე დიგორი და სხვა ოსური სოფლები, რომლებიც მცირე ყაბარდოს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა (ტარსაიძე 1972: 99).

რუსუდან დედოფალთან მეფეს შეეძინა ოთხი შვილი, მათგან სამი ვაჟი და ერთი ასული. მათ შორის იყვნენ ბატონიშვილები (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): როსტომი (1695-1698); თამარი (1696-1746); ანა (1698-1746); ბაქარი (1700-1750) და გიორგი (1712-1786) (ბაგრატიონები 2003: ნუსხა № 4).

მეფეს მხევალთაგან შეეძინა კიდევ ორი ვაჟი, უფლისწულები ვახუშტი (1696-1756) და პაატა (1720-1765) და ერთი ასული - მარიამი (თუთა) (1699-1746) (მეტრეველი 2007: 75).

1724 წლისათვის ქართლში შექმნილი უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, ვახტანგ VI იძულებული გახდა, რომ სამშობლო დაეტოვებინა და ცოლშვილისა და მრავალრიცხოვანი ამალის თანმხლებით რუსეთში გადახვეწილიყო. მეფის და მისი ძმების შთამომავლები რუსეთში ატარებდნენ თავად გრუზინსკის გვარს (დუმინი 1996: 46).

ქვემოთ ჩამოვთვლით ვახტანგ VI-ის შვილებს და მიმოვიხილავთ როგორც მათ ოჯახებს, ასევე ხსენებული მეფის შთამომავლებს (შვილიშვილებს, შვილთაშვილებს და შვილთაშვილის შვილებს) მხოლოდ პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით.

ვახტანგ VI-ის პირველი შვილი და ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული როსტომი (1695-1698) – სამი წლის ასაკში გარდაიცვალა.

თამარ ბატონიშვილი (1696-1746) 1712 წელს ცოლად გაჰყვა კახეთის მომავალ მეფეს თეიმურაზ II-ს (მეფობდა 1732-1762 წლებში). მათი ვაჟი იყო მეფე ერეკლე II (1720-1798).

ანა ბატონიშვილი (1698-1746) ცოლად გაჰყვა თავად ვახუშტი ლევანის ძე აბაშიძეს (გარდაიცვალა 1751 წელს).

უფლისწულ ვახუშტის (1696-1756) ცოლად ჰყავდა მარიამ გიორგის ასული აბაშიძე. მათ შეეძინათ რვა ვაჟი: იოანე (გარდაიცვალა 1781 წ.), იოთამი, პეტრე და გუკა (საისტორიო წყაროში ჩანან 1737 წელს), პეტრე, დავითი (1723-1819), ნიკოლოზი (გარდაიცვალა 1784 წ.) და დომენტი (1728-1737). მათი შთამომავლობის შესახებ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია.

უფლისწული პაატა (1720-1765) არ დაოჯახებულა და არც მემკვიდრე დაუტოვებია.

მარიამ (თუთა) ბატონიშვილი (1699-1746) ცოლად გაჰყვა ჯერ პაპუნა რაჭის ერისთავს, ხოლო შემდეგ – გედევან რაჭის ერისთავს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგ VI-ის მეორე შვილი (პირველი ქორწინებიდან), უფლისწული ბაქარი (1700-1750) მამის სპარსეთში ყოფნის პერიოდში (1717-1719) განაგებდა ქართლს. მოგვიანებით ის გახდა რუსეთის საიმპერიო არმიის არტილერიის გენერალ-პორუჩიკი და წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი. ბაქარს ცოლად ჰყავდა გიორგი არაგვის ერისთავის ასული ანა (1706-1780) (დუმინი 1998: 263). მათ შეეძინათ 2 ვაჟი: ალექსანდრე (1726-1791) და ლევანი (1728-1763).

ალექსანდრე ბაქარის ძეს (1726-1791) ცოლად ჰყავდა გრაფინია დარია ალექსანდრეს ასული მენშიკოვა (გარდაიცვალა 1817 წელს). მათ შეეძინათ 3 ვაჟი: გიორგი (1762-1832), ალექსანდრე (1763-1823) და იოანე (გარდაიცვალა ბავშვობაში).

გიორგი ალექსანდრეს ძეს (1762-1832) ცოლად ჰყავდა ვარვარა პეტრეს ასული ბახმეტიევა. მათ შეეძინათ ვაჟი – იოანე, რომელიც ბავშვობაში გარდაიცვალა. გიორგის ჰყავდა არაკანონიერი ვაჟიც – ანტონი, რომელიც უმემკვიდრეოდ გადაეგო.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1763-1823) – უმემკვიდრეოდ გადაეგო.

ლევან ბაქარის ძეს (1728-1763) ცოლად ჰყავდა ალექსანდრა იაკობის ასული სიბირსკაია (1728-1793). მათ შეეძინათ 4 ვაჟი: იაკობი (1757-1835), ლევანი (1764-1800), დიმიტრი და ალექსანდრე.

იაკობ ლევანის ძეს (1757-1835) ცოლად ჰყავდა ვერა პეტრეს ასული ურუსოვა (1765-1835). მათ შეეძინათ ექვსი ვაჟი: ნიკოლოზი (1783-1861), პეტრე (1785-1812), დიმიტრი, იაკობი (1793-1866), სერგეი (1795-1880) და ალექსანდრე (1802-1828).

ნიკოლოზ იაკობის ძეს (1783-1861) ჰყავდა სამი ვაჟი: ივანე (1831-1898), კონსტანტინე (გარდაიცვალა 1884 წელს) და პეტრე (1840-1892).

იაკობ იაკობის ძეს (1793-1866) ჰყავდა ვაჟი ივანე.

ლევან ლევანის ძეს (1764-1800) ცოლად ჰყავდა პრასკოვია ევგრაფის ასული ტატიშჩევა (1767-1841). მათ შეეძინათ ორი ვაჟი: დავითი და ევგრაფი (1788-1794).

ვახტანგ VI-ის უმცროსი ვაჟი (პირველი ქორწინებიდან) უფლისწული გიორგი (1712-1786) იყო რუსეთის საიმპერიო არმიის არტილერიის გენერალ-ანშეფი. მას ცოლად ჰყავდა მარია იაკობის ასული დოგორუკოვა. მათ შეეძინათ 2 ვაჟი: ვასილი (1750-1765) და იაკობი (1751-1768).

ქართლის მეფის შთამომავლობა პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1898 წელს, როდესაც გარდაიცვალა უფლისწულ ბაქარის შვილთაშვილის შვილი – ივანე ნიკოლოზის ძე გრუზინსკი (1831-1898) (ბაგრატიონები 2003: ნუსხა № 4).

ამრიგად, მეფე ვახტანგ VI-ს ჰყავდა ხუთი ვაჟი. მათგან სამი იყო დედოფალ რუსუდანის ძე, ხოლო ორი – მხევალთაგან დაბადებული. მეფის შვილიშვილები და მათი შთამომავლები რუსეთში გრუზინსკის გვარს ატარებდნენ. მეფის შთამომავლობა პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1898 წელს, როდესაც გარდაიცვალა მისი შვილთაშვილის შვილიშვილი (მეხუთე თაობა ვახტანგ VI-დან) – ივანე ნიკოლოზის ძე გრუზინსკი (1831-1898).

დამოწმებანი

ბაგრატიონები 2003: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი.

ვახუშტი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბილისი.

ბუტკოვი 1869: П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1802 г. Ч. 1, СПб.

დუმინი 1996: Дворянские роды Российской империи. Т. III. Князья. Под редакцией С. Думина, Москва.

დუმინი 1998: С. Думин. П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского. Под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, Москва.

მეტრეველი 2007: რ. მეტრეველი. ნ. ჯადუგიშვილი. მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, თბილისი.

პაიჭაძე 1981: გ. პაიჭაძე. ვახტანგ VI, თბილისი.

ტარსაიძე 1972: Н. Тарсаидзе. Исторические этюды, Тбилиси.

ჯავახიშვილი 2005: ნ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი.

ჯავახიშვილი 2008: დ. ჯავახიშვილი. ქართველ მეფეთა მეუღლეები (ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტო). კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ტ. IV, თბილისი.

ჯავახიშვილი 2010: Д. Джавахишвили. Династические браки между кахетинскими Багратионами и представителями кавказской и персидской знати. Общественно-политический и культурно-исторический научный журнал Ахульго. № 12, Махачкала.

ჯავახიშვილი 2010: Д. Джавахишвили. Из истории династических браков кахетинских Багратионов с представителями мусульманской знати (XVI-XVIII вв). Сборник трудов Гянджинского государственного университета Ученые записки. № 2, Гянджа.

ჯავახიშვილი 2011: Д. Джавахишвили. Династические браки на службе дипломатии (на примере кахетинской ветви царской династии Багратионов). Материалы международной научной конференции: Археология, этнология, фольклористика Кавказа (Тбилиси, 27-30 сентября 2010 года). Организаторы конференции: Фонд Кавказа, Комиссия по научному сотрудничеству со странами Кавказа Национальной Академии Наук Грузии, Центр Археологии Национального Музея Грузии, Тбилиси.

ჯავახიშვილი 2011: დ. ჯავახიშვილი. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით.

ჯავახიშვილი 2011: დ. ჯავახიშვილი. ექვსი ეტიუდი ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელთა ქორწინებების ისტორიიდან (XVII-XVIII საუკუნეები). კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ტ. X, თბილისი.

ჯავახიშვილი 2011/2012: დ. ჯავახიშვილი. ერეკლე II-ის მეუღლეები. კრებული ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. XIII-XIV, თბილისი.

The King Vakhtang VI and His Direct Descendants

David Javakhishvili

The paper considers the private life of the King of Kartli Vakhtang VI (1675-1737). It provides list of the King's straight descendants established by the author.

King's spouse was Rusudan, Circassian Princess . They had four children: Princess Tamar (1696-1746); Princess Ana (1698-1746); Prince Bakar (1700-1750); Prince George/Giorgi (1712-1786).

Apart from these, she gave birth to one more child – Prince Rostom (1695-1698), who died in early age.

The King had children from his mistresses too: Prince Vakhushti (1696-1756); Princess Mariam/Tuta (1699-1746); Prince Paata (1720-1765)

XX ს 30-იანი წლების საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების რამდენიმე გამოვლინება პარტიული არქივის მასალების მიხედვით

ნათელა ჯორჯიკია

საქართველოს პარტიულ არქივში (ყოფილი კპ ცეკას არქივი, დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული) დაცული დოკუმენტები მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი, მათ შორის, ინტელექტუალური სფეროს შესასწავლად. ასეთია თუნდაც 1934–1935 წლების დოკუმენტები, რომლებშიც თბილისის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მდგომარეობა ნაწილობრივად არის ასახული.

უნივერსიტეტის პარტკომის 1934 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმის ამონაწერი და უნივერსიტეტის საკითხებზე გამართული 1934 წლის 3 ივლისის თათბირის სტენოგრამა აღწერს ენათმეცნიერების საკითხების გარშემო წამოჭრილ დაპირისპირებას.

რექტორის ლევან აღნიაშვილის წინააღმდეგობის მიუხედავად პარტკომის ს. მინდაძის დაჟინებული ინიციატივით ჩატარებული დისკუსიის მიზანი იყო აკად. ნიკო მარის ენათმეცნიერული კონცეფციის დაფუძნება უნივერსიტეტში, მის მოწინააღმდეგეთა მიმართ ადმინისტრაციული ზომების მიღება. ამ საკითხის შესახებ პარტკომის 15 ივნისის დადგენილებაში აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში ენათმეცნიერებას დაპატრონებული ჰყავს კონტრრევოლუციურ-ბურჟუაზიული ლინგვისტიკის ინდოევროპული სკოლის წარმომადგენლები პროფესორების არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას და სხვათა სახით, რომელთაც შეუტიეს ნ. მარის ახალ მოძღვრებას ენის შესახებ მიუხედავად პარტკომის მიერ მათთვის შეცდომების გამოსწორების საშუალების მიცემისა, რომ ა. ჩიქობავას მხრიდან დისკუსიამდე და დისკუსიის პროცესშიც ადგილი ჰქონდა დაჯგუფების შექმნის მცდელობას.

მიღებული დადგენილებით დაისვა საკითხი რექტორის წინაშე ა. ჩიქობავას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სახის სამუშაოდან მოხსნის შესახებ, იმ მოტივირებით, რომ ის იცავს ინდოევროპეისტიკის პრინციპებს მისი ე.წ. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების სახით, ხელაღებით უარყოფს ენის კლასიკოსებს, გვერდს უვლის მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის მებრძოლ ახალგაზრდა კადრების წამოყენებას, იმხრობს იდეოლოგიურად მიუღებელ ახალგაზრდობას (გიგინეიშვილი, ფანჩულიძე და სხვ.), არის წამქეზებელი დაჯგუფების შექმნისა. მსგავსი ბრალდებები იყო წამოყენებული ვ. თოფურიას და ინსტიტუტ *ენის* დირექტორის ჭყონიას მიმართ. დაისვა მათ მიმართ ადმინისტრაციული ზომების გამოყენების საკითხი. პარტიული კომიტეტი ავალებდა პარტორგანიზაციებს და აკადემიური ჯგუფების პარტორგებს გაეშალათ ბოლშევიკური ბრძოლა ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც კი ოდნავ გამოიჩენდა ლიბერალობას ანტიმარქსისტული დებულებების გამტარებელთა მიმართ (ფონდი 17, ანაწყობი 1, საქმე 2183, ფურც. 6-7).

3 ივლისის თათბირზე ს. მინდაძემ მთელი რიგი ბრალდებები წამოაყენა რექტორის მიმართ, კერძოდ, რომ ის ემიჯნება პარტკომს, ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის კომუნიზაციას, მფარველობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რომლის შემადგენლობის 50 პროცენტი თავადაზნაურულია და მის რექტორს შალვა ნუცუბიძეს, რის შესახებაც პარტკომის მითითებაზე პასუხობს, რომ ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოში ასევე თავადები არიან, ახასიათებს შემრიგებლობა კონტრრევოლუციური თეორიის მატარებელთა მიმართ, გარს ახვევია არაჯანსაღი ლიბერალები, პარტკომის დადგენილებას ენათმეცნიერების საკითხებზე გამართული დისკუსიის შესახებ უწოდა კომკავშირულ – „მემარცხენული“, რაზეც ლ. აღნიაშვილმა ადგილიდან შეუსწორა, რომ, მისი თქმით, ეს იყო მემარცხენულ-რაპული დადგენილება (ფონდი 17, ანაწყობი 1, საქმე 2184, ფურც. 2-5).

ლ. აღნიაშვილმა ამ თათბირზე დაადასტურა, რომ მას მიზანშეუწონლად მიაჩნდა დისკუსიის ჩატარება, რადგან არ იყვნენ სათანადოდ მომზადებული, რომ ენათმეცნიერება მეტად სერიოზული „ფრონტია“, მას მოსკოვსა და ლენინგრადშიც ვერ გაუმკლავდნენ, სადაც ნ. მარი არ გახდა „აზრთა მპყრობელი“ და ეს დისციპლინა კავშირის მასშტაბით მისი სახელმძღვანელოთი არ ისწავლება. აგრეთვე თქვა, რომ უნივერსიტეტში გამართულმა დისკუსიამ მიიღო მიტინგური და არა მეცნიერული ხასიათი, არ შეიძლებოდა ახალგაზრდობის პირით ვ. თოფურიასა და ა. ჩიქობავაზე თავდასხმა, რომელთა მიერ „დაჯგუფების შექმნის“ მცდელობას უწოდა „საუბარი კათედრის წევრებს შორის“. მაღალი შეფასება მისცა ინსტიტუტ *ენის* საქმიანობას, რომ მას აკისრია ისტორიული ამოცანები – ქართული ენის შესწავლა და

სალიტერატურო ნორმების დადგენა, განმარტებითი ლექსიკონის შედგენა, რასაც ასრულებს განუზომლად დიდი ცოდნითა და დიდძალი მასალით აღჭურვილი ძველი პროფესურა, რომელსაც არ შეიძლება მოეპყრო „როგორც ძაღლებს“, რასაც აკეთებს ს. მინდაძე, რომელსაც მიუთითა გამოეჩინა ელემენტარული ალღო, პარტიული ეთიკა. შეახსენა, რომ თანამშრომელთა მოხსნა-მიღება დაწესებულების ხელმძღვანელის საქმეა და არა პარტკომის, რომელმაც ამავე დროს მიითვისა პარტორგანიზაციისათვის უჩვეულო ადმინისტრაციული ფუნქციები (ფონდი 17, ანაწყობი 1, საქმე 2184, ფურც. 13–20).

თათბირზე სიტყვით გამოვიდა რაიკომის მდივანი ჩიხლაძე, რომელმაც მინდაძე–აღნიაშვილის დაპირისპირებაში პირველს დაუჭირა მხარი. ორაზროვანი იყო პარტიული ფუნქციონერის ერიკ ზედიას გამოსვლა. ა. ჩიქობავასადმი დამოკიდებულებაში მან ლ. აღნიაშვილს დაუჭირა მხარი, თუმცა გაიზიარა ს. მინდაძის პოზიცია, რომ ცუდად თუ კარგად დისკუსია მაინც უნდა ჩატარებულიყო. ლ. აღნიაშვილს კი მოუმზადებლობის, ან სხვა სირთულეებთან დაკავშირებით ზემდგომი პარტორგანიზაციებისათვის უნდა მიემართა (ფონდი 17, ანაწყობი 1, საქმე 2184, ფურც. 20, 56).

ცეკას ბიუროს 1934 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით უნივერსიტეტში შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია რექტორის სასარგებლოდ გადაწყდა. ს. მინდაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან. სამი თვის შემდეგ დაწერილ მოხსენებით ბარათში ახალი პარტკომი წილოსანი ცეკას იმდროინდელ მდივანს ლ. ბერიას ატყობინებდა, რომ მისი მცდელობის მიუხედავად არა თუ მოხერხდა უნივერსიტეტის ყველა ძალების კონსოლიდაცია, პირიქით, დაპირისპირება მხარეთა შორის ახალ ფაზაში შევიდა. რექტორი უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ცეკას ბიუროს საორგანიზაციო დასკვნები მხოლოდ პარტკომის მდივანს შეეხო, სხვა წევრები კი ადგილებზე დარჩნენ, მიზნად ისახავდა ამ დადგენილების გადასინჯვას თავის სასარგებლოდ, მანამდე კი კატეგორიულად მოითხოვდა ეკონომიკური და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების დეკანების ჯანელიძის და ანდღულაძის, პარტკომის წევრების მამალაძის, გასვიანის და ქართველიშვილის გადაყენებას. რექტორთან დაპირისპირებული ჯგუფი, თავის მხრივ, ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდა მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მინდაძესთან ერთად იკრიბებოდნენ კიდეც კერძო ბინაზე.

ახალი პარტკომი მისი ხანმოკლე მუშაობის განმავლობაში უნივერსიტეტში შემჩნეულ ძირითად მტკივნეულ მოვლენად ასახელებდა იქ მეტად თვალშისაცემი, ფართო დემოკრატიული პრინციპების არსებობას, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ არა მარტო ხელმძღვანელები, არამედ მთელი პარტიულ-კომკავშირული და სტუდენტური მასა, მეცნიერ-თანამშრომლები. მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტში, სადაც თავმოყრილი 5 ათასი სტუდენტისა და 3000 მეტი მეცნიერ-თანამშრომლიდან ალკ წევრია 300 და პარტიის წევრი 500, ფართო დემოკრატიზმის დანერგვა ნიშნავს ყველა საქმიანი წამოწყების ჩაშლას, მით უმეტეს, რომ მის კედლებში შეინიშნებოდა ანტისაბჭოური დაჯგუფების არსებობის აშკარა ნიშნები, ისეთების როგორიც მაგალითად ოყო ბოლო დროს გამომჟღავნებული ახალგაზრდობის პროფაშისტური ჯგუფი პროფესორ ჯავახიშვილის ვაჟის მეთაურობით (ფონდი 14, ანაწყობი 8, საქმე 203, ფურც. 3-7).

მალე კვლავ შეიცვალა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობა. ახალი პარტკომი ს. გეგენავა 1935 წლის 16 თებერვლით დათარიღებულ ლ. ბერიასადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ ლ. აღნიაშვილს არ შესწევს უნივერსიტეტის შესახებ საქ. კპ(ბ) ცეკას დადგენილების ბოლშევიკურად შესრულების უნარი, რომ უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა მისი ხელმძღვანელობისა და პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ უდიდეს რევოლუციურ სიფხიზლეს, რამდენადაც მისი შემადგენლობა მნიშვნელოვნად არის დაბინძურებული უცხო ელემენტით. პროფესორ-მასწავლებელთა 35 პროცენტი არის ყოფილი მენშევიკი, 34 – ეროვნულ-დემოკრატი, 18 –ფედერალისტი, 3 – ესერი, 11– ტროცკისტი. ამ შემადგენლობიდან 7 ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრია, 2 მენშევიკური მთავრობის მინისტრი, უპარტიო პროფესორები შეადგენდნენ 61,1 პროცენტს, სხვა პარტიების წევრები დოცენტებიდან შეადგენდნენ – 56 პროცენტს, ლექტორებიდან – 41, 3 პროცენტს. აგრეთვე წერს, რომ ლ. აღნიაშვილი ემიჯნება პარტკომს, ვერ იტანს კონტროლს და თვითკრიტიკას, მოდუნებული აქვს კლასობრივი სიფხიზლე, განიცდის ბურჟაზიული პროფესურის გავლენას, არ სურს იდეოლოგიურ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლის წარმოების შესახებ საქართველოს კპ (ბ) ცკ მითითების შესრულება, უნივერსიტეტი მისთვის არის არა იმდენად სასწავლო-სამეცნიერო, რამდენადაც ძველი ხელნაწერების სარესტავრაციო დაწესებულება (გურული 1998).

საპასუხო ახსნა-განმარტებით ბარათში ლ. აღნიაშვილი ყურადღებას მიაპყრობს უნივერსიტეტის ბოლო ორი წლის სერიოზულ წარმატებებს, კერძოდ, რომ მან სსრ კავშირის უნივერსიტეტებს შორის მე-4 ადგილი დაიკავა სასწავლო, სამეცნიერო და საორგანიზაციო-სამეურნეო მუშაობის, ხოლო მე-7 ადგილი ფიზკულტურის დარგში. წარმატებად მიიჩნევს იმასაც, რომ ცეკას მითითებით დაიწყეს ქართული

დამწერლობის უძვირფასესი ძეგლების მეცნიერული მომზადება გამოსაცემად. უნივერსიტეტის შემადგენლობაზე აქცენტირებას იაფფასიან ეფექტზე გათვლას უწოდებს, რაც არავისთვის არასოდეს საიდუმლოს არ წარმოადგენდა, მოჰყავს ბოლო წლებში სურათის შეცვლის დამადასტურებელი მონაცემები, რომ უნივერსიტეტის მთელი პედაგოგიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული შემადგენლობიდან 1924 წელს პარტიისა და ალკკ წევრი იყო – 3, 1928 წელს – 14, 1930 წელს – 45, 1934-1935 წლებში კი 260; 495 პროფესორ–მასწავლებლიდან და ასპირანტიდან 218 ანუ 44 პროცენტი პარტიის და ალკკ წევრია, შეიცვალა მდგომარეობა სოციალური შემადგენლობის მიხედვითაც. ლ. აღნიაშვილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის პარტკომს არ ესმის ი. სტალინისა და პარტიის ცეკას დირექტივები უპარტიო სპეციალისტებისადმი სათუთი მოპყრობის შესახებ (გურული 1998).

1935 წლის 16 მარტს პარტიის ცეკაში გაიმართა „იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის“ საკითხისადმი მიძღვნილი თათბირი. ძირითადმა მომხსენებელმა, ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ, კარლო ორაგველიძემ საუბარი დაიწყო სიფხიზლის გაძლიერების მოთხოვნით, თქვა, რომ აშკარა ბრძოლაში დამარცხებული კლასობრივი მტერი ძალიან ხშირად იყენებს შენიღბულ ფორმებს ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული და სამეცნიერო ნაწარმოებების, ლექციების კითხვის, გერმანულ ენაში მეცადინეობების ჩატარების მეშვეობით. უარყოფითად შეაფასა უნივერსიტეტის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის კათედრების გამგეების გ. წერეთლისა და ს. ყაუხჩიშვილის, პროფესორების ქიმიკოს მოსეშვილის, ზოოლოგ ჯავახიშვილის, ენათმეცნიერების ინდოევროპული სკოლის წარმომადგენლების, ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორის ჯანელიძის მუშაობა. თქვა, რომ მათ კათედრაზე არ აღზრდილა და არ მუშაობს არცერთი კომუნისტი და კომკავშირელი. ცნობილი მარქსისტული პოზიციებიდან გააკრიტიკა „ნაციონალისტ“ ივანე ჯავახიშვილის ისტორიული სკოლა. შეეხო კომპარტიის ისტორიის სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებებს უნივერსიტეტში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, ტროცკისტულ-უკლონისტური ლიტერატურისა და ექსპონატების შენარჩუნებისათვის გააკრიტიკა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და რევოლუციური მუზეუმის მუშაობა. აღნიშნა კომუნისტთა და კომკავშირელთა მცირე რაოდენობის შესახებ ზოოვეტერინალურ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში, მიუთითა უნივერსიტეტის უკეთეს მდგომარეობაზე ამ თვალსაზრისით (ფონდი 14, ანაწყობი 9, საქმე 19, ფურც. 2-44).

კრებაზე სიტყვით გამოსულმა, პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილმა რექტორმა ივანე ვაშაყმაძემ დაადასტურა კ. ორაგველიძის თითქმის ყველა კრიტიკული გამონათქვამები უნივერსიტეტის შესახებ, საგანგებოდ შეჩერდა „ფილოსოფიურ ფრონტზე“, სადაც მისი თქმით, ერთი მხრივ, არის მებრძოლი იდეალიზმის სკოლა შალვა ნუცუბიძის მეთაურობით, მეორე მხრივ, დანელიას და კაპანელის მაგვარი ეკლექტიკოსები. „ფაშიზმის დამცველი“ უწოდა შ. ნუცუბიძის გერმანიაში გამოცემულ წიგნს *ფილოსოფია და სიბრძნე*. მისი თქმით, ამ წიგნში შალვა ნუცუბიძე ამტკიცებდა, რომ წინააღმდეგობა ტრაგედიაა, მაშინ როცა სწორედ ჰიტლერი მიისწრაფვოდა მოესპო წინააღმდეგობა გერმანიაში და შეექმნა ერთიანი, მონოლითური უკლასო ნაცია. ასევე იდეალისტური რეალიზმის ანუ ფაშისტური ფილოსოფიის პროპაგანდა უწოდა შ. ნუცუბიძის მიერ აკადემიურ ჯგუფში წაკითხულ ლექციას, რომლის ჩანაწერი, როგორც მან თქვა, შემთხვევით ჩაუვარდა ხელში (ფონდი 14, ანაწყობი 9, საქმე 19, ფურც. 80–83).

ლ. აღნიაშვილმა ამ კრებაზე თქვა, რომ არ შეიძლება უნივერსიტეტის მუშაობაში არსებული ცალკეული ნაკლოვანებების განზოგადებით იმ დასკვნის გაკეთება, რომ მდგომარეობა იქ არ არის დამაკმაყოფილებელი. ი. ვაშაყმაძეს შეახსენა, რომ მის წიგნებშიც არის ბევრი ტროცკისტული შეცდომა, რომელთა დაძლევა არ უცდია. გააკრიტიკა უპარტიო, ძველი კადრისადმი მისეულ დამოკიდებულება. „ვაშაყმაძეს არცერთი კომუნისტი არ მოუყვანია პედაგოგიურ ინსტიტუტში, საუკეთესო სპეციალისტები კი გარეკა და ამას დიდ დამსახურებად ითვლიდა“, – თქვა აღნიაშვილმა (ფონდი 14, ანაწყობი 9, საქმე 19, ფურც. 159).

კრება შეაჯამა ე. ბედიამ. მისი სიტყვა ისევ ორაზრვანი იყო, ერთი მხრივ, შ. ნუცუბიძის ვაშაყმაძისეულ შეფასებას პოლიტიკურად გაუმართლებელი უწოდა, თქვა, რომ საჭიროა „მერყევი“ ინტელიგენციის გონივრული გამოყენება. მეორე მხრივ კი, მეტად მკაცრი შეფასება მისცა უნივერსიტეტის „მემარჯვენე“ პროფესორთა „ცნობილი ჯგუფის“ საქმიანობას, საჭიროდ მიიჩნია იდეოლოგიური და ორგანიზაციული ბრძოლა მის წინააღმდეგ. თქვა ისიც, რომ არ შეიძლება თბილისის უნივერსიტეტის გაიგივება რომელიმე მოსკოვის უნივერსიტეტთან, სადაც არ არის ამდენი დამფუძვნებელი კრების წევრი, ნაციონალ–დემოკრატი, მენშევიკი, რომ საქართველოში, როგორც უფრო წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, არის ძალიან აქტიური კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ინტელიგენცია და მენშევიზმი, ვისთან ბრძოლაშიც საჭიროა უნივერსიტეტისაკენ გახედვა (ფონდი 14, ანაწყობი 9, საქმე 19, ფურც. 171-175).

ამრიგად, ამ თათბირზე პარტიული ხელმძღვანელობის მიერ წამოყენებული იყო დებულება ქართული ინტელიგენციის განსაკუთრებული ანტისაბჭოურობის შესახებ. მალე უნივერსიტეტში მოხდა საკადრო ცვლილებები. რექტორი ლ. აღნიაშვილი შეცვალა კ. ორაგველიძემ, კათედრის გამგეებად დაინიშნენ მისი აქტიური მხარდამჭერები, შალვა ნუცუბიძე გაათავისუფლეს უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობიდან.

1933 წელს საქ. კპ ცეკაში გამართულ მარქსისტ მეცნიერთა თათბირების სტენოგრამები გვამცნობს, რომ საქართველოს პირობებში ე. წ. „ძველი სპეციალისტების“ იგნორირება შეუძლებელი იყო. მათ ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვები ინტელექტუალურ დარგებში, სადაც ამავე დროს არ იყო ადვილი მოკლე ხანში ახალი, ალტერნატიული კადრის აღზრდა. მაისში გამართულ ეკონომისტთა თათბირზე კ. ორაგველიძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა ეკონომისტთა ძალები არცთუ ისე სუსტია, რომ ვერ გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებს, რომელთაც ერთ დროს თავი შეუცვლელ სპეციალისტებად და თეორეტიკოსებად მიაჩნდათ, მაგრამ აქვე დაუმატა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა თეორიული ეკონომიკური დისციპლინების სწავლების ხელში აღება, რომ პოლიტეკონომიის კათედრაზეც კი, სადაც ამ მხრივ შედარებით კარგი მდგომარეობაა, ყველა ლექტორი არ არის კომუნისტი, უარესადაა საქმე სახალხო მეურნეობის თეორიის, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის სწავლებაში და სხვ. (ფონდი 14, ანაწყობი 8, საქმე 136, ფურც. 3-7).

ერთი თვის შემდეგ გამართულ ისტორიკოს-მარქსისტთა თათბირზე კ. ორაგველიძე საუბრობდა საბჭოთა კადრის სიმცირეზე „ისტორიის ფრონტზე“, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიაში, სადაც არაერთხელ დამუშავების მიუხედავად, კვლავაც ბატონობს ივანე ჯავახიშვილი. სთქვა, რომ საჭიროა ისეთი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს მის დაძლევას, რომ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლის საქმეში, თუმცა შეგროვილი მასალა არ არის სისტემატიზებული, საჭიროა კადრების შეკრება ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით მაინც XIX-XX საუკუნის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს გამოსაცემად. ისაუბრა კადრების დეფიციტზე პარტიის ისტორიის განხრითაც კი, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, რაც, მისი თქმით, შეუძლებელს ხდიდა დიდი ამოცანების დასახვას უახლოესი მომავლისათვის რიგი აქტუალური საკითხების დამუშავების აუცილებლობის მიუხედავად, რომ იმ საკითხების ანალიზი, რომელიც მოხაზა სტალინის ინსტიტუტმა, არ შეესაბამება ამ დაწესებულებაში არსებული კადრების დონეს (ფონდი 14, ანაწყობი 8, საქმე 136, ფურც. 33-34).

1937 წლის დასაწყისში მოსკოვში დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული ხელოვნების დეკადა. ჩვენს ხელთ არის მეტად საინტერესო დოკუმენტი *საქ. კპ ცეკას 1936 წლის 17 აპრილის თათბირის სტენოგრამა თბილისის ოპერის თეატრის მუშაობის შესახებ*, რომელიც აღნიშნულ მოვლენისადმი მზადებას მიეძღვნა. ის გვიჩვენებს, რომ გასტროლებისათვის მზადება ლ. ბერიას უშუალო დიქტატით მიმდინარეობდა, ხელოვნების მუშაკები, გარდა იმისა, რომ სავსებით ჰქონდათ წართმეული ინიციატივა, უნდა დამორჩილებოდნენ მის დილეტანტურ, ძნელად შესასრულებელ განკარგულებებს.

თათბირი გახსნა ლ. ბერიამ, პირველივე სიტყვებით შეკრებილებს მიზნად დაუსახა გადააჭარბონ მოსკოვში წარმატებით ჩატარებული უკრაინული კულტურის დღეებს. აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები თბილისის ოპერის მუშაობაში, კონკრეტული სპექტაკლების დადგმაში, სცენის გაფორმების, განათების, კოსტიუმებისა და ტიპაჟების შერჩევის, როლების განაწილების საქმეში. აუცილებლად მიიჩნია საოპერო და აკადემიური გუნდების განახლება იმ პირობით, რომ 50 პროცენტზე მეტი შერჩეულიყო ქართველი, რადგან, მისი თქმით, ქართული სიმღერები უკეთ ჟღერს ქართველთა შესრულებით. ისაუბრა ეთნოგრაფიული გუნდების ამოცანებზე, მიზანშეწონილად ჩათვალა მათი გაერთიანება. უახლოეს ამოცანად დასახა ქართული მელოდიების ნოტებზე გადატანა და სიმფონიური ორკესტრის მიერ მათი შესრულების დაწყება, აგრეთვე ქართული ცეკვების განახლება-აღდგენა, ქართული ბალეტის შექმნა, ქართველ შემსრულებელთა აღზრდა. ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ აუცილებელია ლენინგრადიდან თბილისში დაბრუნდეს ვახტანგ ჭაბუკიანი. დააყენა საკითხი საგასტროლო სისტემის შეწყვეტის შესახებ იმ მიზნით, რომ ქართველმა შემსრულებლებმა თავი მოიყარონ საქართველოში, რომ უკიდურესი გამონაკლისის გარდა ოპერამ იმუშაოს საკუთარი ძალებით.

კრებაზე კამათი გამოიწვია ლ. ბერიას მიერ ეროვნული საკრავების მაქსიმალურად გამოყენების საკითხის დაყენებამ, რომ ოპერაში ჩართული ხალხური ცეკვები და სიმღერები შესრულებული ყოფილიყო მათი თანხლებით. ევგენი მიქელაძე, ელენე გვარამაძე, ნიკო ქუმსიაშვილი ამტკიცებდნენ, რომ ეს დასაშვებია საკონცერტო შესრულებისას, მაგრამ საოპერო დადგმა ვერ აიტანს, რადგან დიდ დარბაზში გუნდისა და ორკესტრის თანხლებით ხალხური საკრავების სმენადობა დაბალი იქნება. ითქვა, რომ ქართული ოპერები კლასიკურია და მათი შეცვლა არ ივარგებს. ლ. ბერიას გადარწმუნება ვერ მოხერხდა,

ის ამტკიცებდა, რომ ოპერა კლასიკურია, იმდენად, რამდენადაც იძლევა იმას, რასაც ხალხი ასწლეულობით ქმნიდა და ვიღაცამ კი შეკრიბა და სცენაზე გადმოიტანა.

კრებაზე ადგილი ჰქონდა ხელოვანთა მხრიდან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების ობიექტური მიზეზებით ახსნას, რაზეც ბერია იმეორებდა ერთსა და იმავე დემაგოგიურ მითითებას, რომ საჭიროა მცდელობა, მონდომება, საქმის კარგად ორგანიზება. ე. მიქელაძის შესახებ მან თქვა, რომ ის ახალგაზრდა ტალანტური დირიჟორია, მაგრამ აქვს ნაკლოვანებებიც, საჭიროა კოლექტივმა შეიყვაროს ის ისეთი, როგორიც არის, მაგრამ მანაც უნდა დაანებოს თავი ყოყოჩობას, წარმოდგენას, რომ მან ყველაფერი იცის სხვებმა კი არაფერი, რასთან დაკავშირებით მოიყვანა ლენინ-სტალინის მაგალითი, რომლებიც ყოველთვის ითვალისწინებდნენ ხალხის აზრს. ისაუბრა ალექსანდრე წუწუნავაზე, თქვა, რომ არ შეიძლება მისი გადაგდება იმის გამო, რომ ის ნაციონალისტია, როგორც ჭკვიანი ადამიანი, ის თვითონ გამოასწორებს თავის შეცდომებს.

ლ. ბერიამ თვითონ შეადგინა საგასტროლო რეპერტუარი, დაასახელა ამ ღონისძიებაში მონაწილე მსახიობთა გვარები, დარბაზიდან წამოსულ ერთ-ერთ შენიშვნას მან ასე უპასუხა: „ჩვენ თქვენ გაგაყოლებთ ხალხს, რომელთაც შესაძლოა სმენაც კი სუსტი აქვთ, მაგრამ მუშაობას კი გარდაგიქმნით" (ფონდი 14, ანაწყობი 10, საქმე 11, ფურც. 3-40).

ამრიგად, განხილული მასალა XX საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს ინტელექტუალური სფეროსა და მის წარმომადგენლებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ვითარებას ასახავს.

დამოწმებანი

გურული 1998: В. Гурули. Трудные годы Тбилисского университета. Свободная Грузия. 17 февраля.
ფონდი 14: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, ანაწყობი 8, საქმე 136, 203.
ფონდი 14: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, ანაწყობი 9, საქმე 19.
ფონდი 14: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, ანაწყობი 10, საქმე 11, ფურც. 3–40.
ფონდი 17: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 17, ანაწყობი 1, საქმე 2183, 2184.

Some Manifestations of Intellectual Life in Georgia in 1930s according to the Materials Kept in Party Archive

Natela Jorjikia

The documents preserved in the Party Archive of Georgia (the archive of the Communist Party Central Committee) are an important source for study of social and intellectual history of Soviet Georgia. Among them there are the materials of 1934-1935 years: extracts from the minutes of the session of University Party Committee and the stenogram of the meeting held on the issues of the University, the resolution of the Bureau of the Central Committee in relation to Tbilisi State University, the report correspondences sent by the Party Committee of the University to the secretary of the Central Committee, L. Beria and the explanatory note of the rector of the University, Petre Aghniashvili, the stenogram of the meeting dedicated to the ideological issues held at the Central Committee; the stenograms of the meetings of the Marxist scientists held in 1933; the stenogram of the meeting of the April 17, 1936 about the work of Tbilisi Opera Theatre.

These materials reflect the intellectual life in Georgia in 1930s and the unfavorable situation in which Georgian intelligentsia had to live.

თვალსაზრისი
Standpoint

ქართული სამეცნიერო სივრცე და რეფერირებადი ჟურნალი

მარიამ ჩხარტიშვილი

სამეცნიერო ცხოვრების ნორმალური კალაპოტით წარმართვისათვის მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომების წერა როდია საკმარისი. მაღალხარისხოვანი სამეცნიერო პროდუქციის შექმნისათვის აუცილებელია, რომ სამეცნიერო საზოგადოებამ დროდადრო ყურადღება შეაჩეროს მეცნიერული ეთიკის, მეცნიერების მენეჯმენტისა და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების, მისი ინსტიტუციონალიზაციის და სხვ. პრობლემებზეც. ისინი, მართალია, უშუალოდ მეცნიერული კვლევის სფეროს არ განეკუთვნება, მაგრამ მათი სათანადოდ მოგვარების გარეშე საკუთრივ მეცნიერული პრობლემატიკის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დამუშავება შეუძლებელი იქნება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამოცანები მეტად სპეციფიკურია და მათი გადაწყვეტა მხოლოდ თავად მეცნიერებს შეუძლიათ.

აი, ამიტომ მივიჩნიე საჭიროდ, რომ გარკვეული პერიოდულობით ამ რიგის საკითხებთან დაკავშირებით დავაფიქსირო ჩემი თვალსაზრისი და კოლეგები აღვძრა მათზე ფიქრისა თუ შესაბამისი მოქმედებისათვის.

მაგალითად, გასულ წელს გამოქვეყნებულ ბროშურასა და საჟურნალო სტატიაში (იხ. მ. ჩხარტიშვილი. *როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია ისტორიაში? არაკეთილგანწყობილი რეცენზენტის პასუხად*, თბილისი, გამომცემლობა *ნეკერი*, 58 გვ., 2013; მ. ჩხარტიშვილი. *როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია? პროფ. დ. შველიძის პასუხად*, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, *შრომები*, VII, გამომცემლობა *მერიდიანი*, რედ. თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, გვ. 434-482, 2013). კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე მე შევეხე სადოქტორო დისერტაციის რაობას და მისი რეცენზირების პროცესის სამეცნიერო და ეთიკურ მხარეებს. წინამდებარე წერილში მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო სამეცნიერო ცხოვრებისათვის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან, ფენომენს, კერძოდ, სამეცნიერო ჟურნალს.

ამჯერადაც კონკრეტული მაგალითის განხილვის გზით შევეცდები საქართველოში სამეცნიერო ჟურნალების მუშაობასთან დაკავშირებით ჩემი შეხედულებები გამოვკვეთო. ეს მაგალითი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ცხოვრებიდან იქნება. მაგალითების ამგვარად შერჩევის მიზეზი ორია: ჯერ ერთი, მე სწორედ ამ დაწესებულებაში ვმუშაობ და აქ არსებული ვითარება კარგად ვიცი და, მეორეც, დასახელებული უნივერსიტეტი საქართველოს წამყვანი სახელმწიფო უნივერსიტეტია და ზრუნვა მისი გაუმჯობესებისათვის არის ჩემი არა მხოლოდ როგორც ამ დაწესებულების წარმომადგენლის, არამედ როგორც ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ვალი.

როგორც ცნობილია, სამეცნიერო ჟურნალი სამეცნიერო ცხოვრების განუყრელ ატრიბუტს წარმოადგენს იმ მიზეზით, რომ ჟურნალის საშუალებით სამეცნიერო აზრის გაცვლა-გამოცვლა მოხერხებული და ნაყოფიერია, სამეცნიერო სივრცის ჩამოყალიბებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია პერიოდულ მედია საშუალებათა არსებობა. ამგვარად, თემა, რომელსაც ამ წერილში ვეხები, აქტუალურია.

იმისათვის, რომ რომელიმე სფერო მოვაწესრიგოთ, უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა გვესმოდეს შესაბამისი სფეროს არსი. ჟურნალთან დაკავშირებული შემთხვევა ამ საერთო წესიდან გამონაკლისს, ცხადია, არ წარმოადგენს. საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო ჟურნალი რომ შევქმნათ, უნდა კარგად გავიაზროთ, თუ რა ფენომენია ეს.

აქედან გამომდინარე, პირველი კითხვა, რომელსაც ამ წერილში მე ვაპირებ რომ ვუპასუხო, არის შემდეგი: როგორი უნდა იყოს სამეცნიერო ჟურნალი?

კარგა ხანია რაც სამეცნიერო წრეებში მსოფლიოს მასშტაბით ამ კითხვას ცალსახა პასუხი გაეცა: სამეცნიერო ჟურნალი უნდა იყოს რეფერირებადი. საერთოდაც „რეფერირებადი" (იგივე „რეცენზირებადი") „სამეცნიეროს" სინონიმად გამოიყენება: peer-reviewed journals, refereed journals, scholarly journals – ეს ყველაფერი ერთი და იგივეა. სწორედ რეფერირებადობა განასხვავებს სამეცნიერო პროდუქციას არასამეცნიერო ინფორმაციისაგან. როცა ვამბობთ, რომ სტატია რეფერირებულია, ეს ნიშნავს იმას, რომ ის დაწერილია დარგის სპეციალისტის მიერ და ამავე დროს გამოქვეყნებამდე განვლილი აქვს

ასევე სპეციალისტების მიერ განხორციელებული წინასწარი ექსპერტიზა. გამოსაქვეყნებლად გამიზნული სტატიების წინასწარმა რეცენზირებამ შეიძლება და უნდა დაიცვას სამეცნიერო სივრცე უხარისხო პროდუქციისაგან, აგრეთვე, ისეთი მანკიერებისაგან, როგორიცაა „სამეცნიერო ქურდობა“ ანუ პლაგიატიზმი.

მე ვფიქრობ, რომ ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილიც იზიარებს ამ აზრს და სამეცნიერო ჟურნალის არსებობას უკავშირებს იმას, არის თუ არა ჟურნალში დაბეჭდილი მასალა წინასწარ რეცენზირებული. საგანგებო კვლევა ამ კუთხით, მართალია, არ ჩამიტარებია და ჩემს ამ შთაბეჭდილებას სათანადო სტატისტიკური მონაცემებით ვერ შევამაგრებ, მაგრამ კოლეგებთან არაერთგზისი კერძო საუბრები მავარაუდებინებს, რომ ჩემი ეს დაკვირვება სწორია. რეფერირებადი ჟურნალის იდეა ძალიან პოპულარულია ქართველ ახალგაზრდა მეცნიერებშიც. ბევრი მათგანი ესწრაფვის სწორედ ამგვარ ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნებას, რადგან პრესტიჟულობას, რომ თავი დავანებოთ, ეს მათთვის მნიშვნელოვანია სადოქტორო დისერტაციის დასაცავად.

ჩვენში ბევრი კი ესწრაფვის რეფერირებად ჟურნალში სტატიის დაბეჭდვას, ანდა ამგვარი ჟურნალის გამოცემას, მაგრამ, ალბათ, მათგან ცოტამ თუ იცის, რას ნიშნავს რეალურად რეფერირებადი ჟურნალი, როგორ უნდა მუშაობდეს ჟურნალის სარედაქციო ჯგუფი, რომ მან ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვა შეძლოს.

აღნიშნული საკითხზე ქართული სამეცნიერო საზოგადოების შედარებით ნაკლები ინფორმირებულობის ფაქტის გათვალისწინებით მინდა წარმოგიდგინოთ რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის მიერ სტატიის ექსპერტიზის პროცესის რამდენადმე დეტალური აღწერილობა. როგორც დავინახავთ, ნამდვილად რეფერირებადი ჟურნალის გამოცემა მოითხოვს მნიშვნელოვან ინტელექტუალურ და ფინანსურ რესურსს.

უკვე ითქვა, რომ დასაბეჭდად წარმოდგენილი მასალის ავკარგიანობის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერთა თანამეგობრობის საერთო ძალისხმევით. კონკრეტულ სფეროში დასპეციალიზებული მკვლევრების შედარებით ვიწრო წრეს ხელეწიფება ჩაატაროს დასაბეჭდად წარმოდგენილი მასალის წინასწარი ექსპერტიზა, გაარკვიოს არის თუ არა ის სიახლის შემცველი, ხომ არ აქვს ადგილი პლაგიატს ან რამდენად შეესაბამება სტატიაში წარმოდგენილი დისკურსის ფორმა შესაბამისი დარგის სამეცნიერო მოთხოვნებს, კონკრეტული ჟურნალის მიერ სტატიის ფორმისა და სიგრძისათვის დადგენილ წესების.

დღეს საზღვარგარეთის ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიან ჟურნალს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული საკუთარი მიმართულება, თემატიკა და ის დარგები, რომელთაც ის „ფარავს“. ხშირად შესაბამისი ჩამონათვალი მრავალი ათეულსაც კი შეადგენს. სწორედ ამის გამო რედკოლეგიისა და სარედაქციო ჯგუფის გარდა, ამგვარ ჟურნალებთან ასოცირებულია ექპერტ-რეცენზენტთა მთელი არმია. ექსპერტების მონაცემთა ბაზა მუდმივად ივსება, მაგრამ ძირითადი ბირთვი შექმნილია, მანამ ვიდრე ჟურნალი გამოაცხადებდეს სტატიების მიღებას. თითოეული ექსპერტად მოწვეული მეცნიერი უთითებს ერთ ან შედარებით იშვიათად იმ რამდენიმე კონკრეტულ სფეროს, რომელშიც ის აქტიურად მუშაობს და, ამდენად, თავს თვლის განსაკუთრებულად კომპეტენტურად.

ჟურნალის ექსპერტობა, როგორც წესი, ანაზღაურების გარეშე მუშაობას გულისხმობს. ეს საქმიანობა პროფესიულ მოვალეობად განიხილება. მეცნიერმა უნდა მოიხადოს ეს ვალი მეცნიერთა საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. ამგვარი ქმედების მთავარი მოტივაცია, ცხადია, არის მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობის უანგარო სურვილი. რეფერირებადი ჟურნალების არსებობა, მართლაც, უზრუნველყოფს სამეცნიერო სტანდარტის დადგენას და აუცილებელი დონის შენარჩუნებას.

ვინაიდან რეფერირება ასე მნიშვნელოვანია, დეტალურად არის დამუშავებული ამ პროცესის ყოველი ასპექტი. დასავლურევროპული ენების მცოდნე დაინტერესებულ მკითხველს ამგვარი ინფორმაციის მოძიება იოლად შეუძლია ინტერნეტით.

ასე მაგალითად, არსებობს ექსპერტის ეთიკური კოდექსი, ზუსტად არის გაწერილი სარეცენზიოდ გადაცემული სტატიის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ფორმები. ტარდება ვორკშოფები რეცენზენტებისათვის, ონლაინ კონსულტაციები და იქმნება სპეციალური დამხმარე პროგრამები. ექსპერტიზამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ არ დაიბეჭდოს სტატიები ისეთი შეუწყნარებელი ნაკლით, როგორიცაა პლაგიატი, ან სიახლის არმქონე ან არასათანადოდ გაფორმებულ გამოკვლევებს არ მიეცეთ მწვანე შუქი. ავტორს მოეთხოვება შესაბამისი საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ღრმა ცოდნა. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს მოთხოვნები ავტორის შემოქმედებითი თავისუფლების წინააღმდეგ არ უნდა იქნეს მიმართული და მის ინოვაციებს გზა არ უნდა გადაეღობოს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი

კონკრეტული რეცენზენტის ან სპეციალურ ლიტერატურაში ტრადიციულად ქცეულ შეხედულებებს არ ემთხვევა.

რეცენზირება ძირითადად ანონიმურია. ანონიმურობა შეიძლება იყოს ცალმხრივი (single-blind review) ანუ, როცა ავტორმა არ იცის რეცენზენტის ვინაობა, ან ორმხრივი (double-blind review) ანუ, როცა არც ავტორმა იცის რეცენზენტის ვინაობა და არც რეცენზენტმა ავტორის. თუმც შესაძლებელია ღია რეფერირებაც (open review) ანუ, როცა ავტორმა და რეცენზენტმა იციან ერთმანეთის შესახებ. სამეცნიერო წრეებში დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რომელი ფორმა რეცენზირებისა უკეთ უზრუნველყოფს ობიექტურობას და პუბლიკაციის ხარისხს. ყველა ფორმის ნაკლოვანება-უპირატესობანიც მისხალ-მისხალ აწონილია. სხვადასხვა რედკოლეგია ირჩევს სხვადასხვა ფორმას, რადგან ყველა ტიპის რეცენზირების მიმართ არსებობს როგორც მისი მხარდამჭერი, ისე უარყმყოფელი არგუმენტები. ბევრი გამომცემლობა ამ საკითხზე დისკუსიას კიდევაც ახალისებს თავის ვებ-გვერდზე. აქ სამაგალითოდ დავასახელებ საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობას *Elsevier* და მის ვებ-გვერდზე (http://www.elsevier.com/reviewers/peer-review) განთავსებულ ინფორმაციას.

რეფერირება საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურა შეიძლება აღმოჩნდეს. იგი ექსპერტების შერჩევით იწყება. ჩვეულებრივ, თავიდან მიმართავენ ორ ექსპერტს, თუმც შეიძლება იყოს სამიც და მეტიც კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, მაგრამ არასოდეს მხოლოდ ერთი. ექსპერტთა შერჩევა კონკრეტული სტატიისათვის ხდება ჟურნალის ექსპერტების მონაცემთა ბაზის მიხედვით: ექსპერტებს მიმართავენ მათი ზუსტი სამეცნიერო პროფილის გათვალისწინებით.

ექსპერტის რეცენზია შეიძლება მთავრდებოდეს რამდენიმე განსხვავებული დასკვნით: 1. სტატია დაიბეჭდოს უცვლელად; 2. სტატია დაიბეჭდოს მცირეოდენი ცვლილებებით; 3. სტატია დაიბეჭდოს მხოლოდ საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ; 4. სტატია არ დაიბეჭდოს.

რეცენზიას გააცნობენ ავტორს ნებისმიერი დასკვნის შემთხვევაში. ის ან მიიღებს შენიშვნებს და შეიტანს სტატიაში შესაბამის შესწორებებს (თუ კი გადამუშავების შემდეგ სტატიის დაბეჭდვა ექსპერტის მიერ მიზანშეწონილად არის მიჩნეული), ან ავტორი რეცენზენტის არგუმენტების კრიტიკის შემცველ პასუხს გაუგზავნის რედაქტორს.

რედაქტორებული სტატია გადაეგზავნება იმავე რეცენზენტ-ექსპერტს, თუკი მან თავიდანვე მოითხოვა, რომ გასწორების მერეც გადააკითხონ სტატია. თუ ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა და სხვა ექსპერტის დასკვნაც დადებითია, შესწორებული სტატია დაიბეჭდება.

ავტორის მიერ რეცენზენტის შენიშვნების მიუღებლობის შემთხვევაში, რედაქტორის გადაწყვეტილებით პასუხები გადაეგზავნება ან იმავე რეცენზენტ-ექსპერტს ან სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს. რედაქტორი გაეცნობა რეცენზენტ-ექსპერტების მოსაზრებებს ავტორის პასუხებთან დაკავშირებით და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის დაბეჭდვა-არდაბეჭდვის თაობაზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც სტატიის დაბეჭდვაზე, ისე არდაბეჭდვაზე პასუხისმგებელია ჟურნალის რედაქტორი და რედკოლეგია და არა ანონიმი რეცენზენტ-ექსპერტები. რედაქტორი უსმენს რეცენზენტ-ექსპერტებს, მაგრამ გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად. ამრიგად, ამა თუ იმ ექსპერტის უარყოფითი დასკვნა აუცილებლად არ ნიშნავს, რომ სტატია არ დაიბეჭდება.

ყოველივე ეს მე საკუთარი და ჩემი კოლეგების გამოცდილებაზე დაყრდნობით შედარებით მარტივად აღვწერე. თუმც აქვე მეტი თვალსაჩინოებისათვის მომყავს ზემოთ უკვე დასახელებული საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობის *Elsevier* მიერ რეცენზირების გაცილებით უფრო რთული პრაქტიკის ამსახველი გრაფიკული გამოსახულება, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ვებ-გვერდზე:



როგორც ვხედავთ, ამ სქემის მიხედვით საქმეში სულ მცირე ოთხი რეცენზენტია ჩართული. სტატიების განხილვა რამდენჯერმე ხდება რედაქტორის მიერ: ჯერ თავიდან ტექნიკური თვალსაზრისით ვიდრე რეცენზენტებს გადაეცემოდეთ. რეცენზენტის მოწონებულ სტატიას რედაქტორი უგზავნის ენის კუთხით სტატიის შემფასებელ რეცენზენტს, ხოლო დაწუნებულს ახალ რეცენზენტ-ექსპერტს. ამის მერე რედაქტორი განიხილავს ყველა ანუ ოთხივე რეცენზენტის თვალსაზრისს და იღებს გადაწყვეტილებას ან სტატიის უარყოფაზე ან დაბეჭდვაზე. დასაბეჭდად გადადებული სტატია სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე კვლავ იქცევა განხილვის საგნად და მხოლოდ ამის მერე გაიგზავნება დასაბეჭდად.

ამგვარად, სამეცნიერო სტატიების რეალური (და არა ფორმალური და მოჩვენებითი) ექსპერტიზა შრომატევადი და დროში საკმაოდ გაწელილი პროცესია. ცხადია, ამ საქმეს მარტო უსასყიდლოდ მომუშავე პირები ანუ რეცენზენტ-ექსპერტები არ ახორციელებენ, არამედ მათთან ერთად ამ საქმის მცოდნე შესაბამისი ანაზღაურებით მომუშავე საგანგებოდ შექმნილი პროფესიონალთა მუდმივმოქმედი ჯგუფიც. სწორედ ეს ჯგუფი განუწყვეტლივ ზრუნავს ავტორთა და ექსპერტთა მოძიებაზე და შესაბამის მონაცემთა ბაზის შექმნაზე, რედაქტირებასთან და ბეჭდვასთან დაკავშირებულ უამრავ სხვა საკითხზე, მაგალითად, საავტორო უფლებების დაცვის პრობლემაზე და თუნდაც ჟურნალის დისტრიბუციაზე და ა.შ. ანუ იმის თქმა მინდა, რომ საერთაშორისო სტანდარტის დამაკმაყოფილებელი სამეცნიერო ჟურნალის გამოშვება საჭიროებს მნიშვნელოვან ადამიანურ და ფინანსური რესურსებს.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში, გვაქვს კი სურვილი გვქონდეს ნამდვილი სამეცნიერო ჟურნალები და, რაც მთავარია, გვაქვს ამის შესაძლებლობა?

როგორც ვთქვი, რეფერირებადი ჟურნალების აუცილებლობას აღიარებს ჩემ ნაცნობ ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი. მათ შორის არიან ჟურნალთა რედაქტორებიც და რედკოლეგიების წევრებიც. ამასთან ერთად ზოგ მათგანს აქვს ამბიცია, რომ მათ უკვე ჩამოაყალიბეს რეფერირებადი ჟურნალები. მეტიც, არიან ისეთებიც, რომელნიც აცხადებენ, რომ შეუძლიათ საერთაშორისო

რეფერირების უზრუნველყოფა, რადგან თანამშრომლობენ უცხოელ რეცენზენტ-ექსპერტებთან. ეს კარგია თუ მართლაც ასეა, მაგრამ ცუდია – უფრო ცუდი, ვიდრე რეფერირებაზე საერთოდ უარის თქმა – თუ ეს მხოლოდ ფორმალურია. ფორმალურად, მხოლოდ საჩვენებლად რეცენზირების ჩატარებას, სჯობს ჟურნალის რედკოლეგიამ საერთოდ არ „დაიბრალოს“ რეფერირება.

რადგან ჩემთვის ცნობილია რეალური რეფერირების პროცესის სირთულე და ისიც თუ რა მწირი მატერიალური რესურსები აქვთ საქართველოში არსებულ სამეცნიერო ჟურნალებს (შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არავითარი ფინანსური რესურსი არა აქვთ სასტამბო ხარჯის გარდა), ქართველ რედაქტორთა განცხადებებს მათი ჟურნალების რეფერირებადობის შესახებ ჩვეულებრივ სკეპტიკურად ვეკიდებოდი, მაგრამ ერთ შემთხვევაში მაინც დავიჯერე და დიდი იმედგაცრუებაც განვიცადე. სწორედ ამ შემთხვევის შესახებ მინდა გიამბოთ.

საქმე ეხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდულ გამოცემას *ჰუმანიტარული კვლევები*, რომელიც წელიწდეულია. მე ხელთ მაქვს ამ ჟურნალის 2011 წლის მეორე ნომერი. ამ ნომრის მიხედვით ჟურნალის ჰყავს საკმაოდ წარმომადგენლობითი (ქართველი და უცხოელი მკვლევრებისაგან შემდგარი) სარედაქციო საბჭო. რედაქტორია პროფესორი ზაზა სხირტლაძე, პასუხისმგებელი მდივანია ასოცირებული პროფესორი გიული შაბაშვილი.

გასულ, 2013 წელს გამოცხადდა სტატიების მიღება 2012 წლის ტომისათვის. ეს ინფორმაცია ვებ-გვერდზე დაიდო. მომინდა ნაშრომის წარდგენა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ ფაკულტეტის პროფესორი ვარ და ჩემს ერთგვარ მოვალეობადაც მიმაჩნია ფაკულტეტის ჟურნალში გამოვაქვეყნო გარკვეული პერიოდულობით ჩემი ნაშრომები. მაგრამ სხვადასხვა ვალდებულებების გამო ცაიტნოტში მყოფს ბოლომდე ვერ გადამეწყვიტა წარდგენა, რადგან ჟურნალის წესების დაცვით სტატიის მომზადებას საკმაო დრო უნდოდა. ამგვარ ორჭოფობაში ვიყავი, როცა ქალბატონმა გიული შაბაშვილმა მისთვის დამახასიათებელი გულისხმიერებით შემახსენა, რომ მზადდება *ჰუმანიტარული კვლევების* ახალი ტომი, და დაბეჯითებით მთხოვა სტატია წარმედგინა. ამ თხოვნამ ჩემს ორჭოფობას წერტილი დაუსვა, ყველაფერი გადავდე, სტატია გავამზადე და დადგენილ ვადაში ჩავაბარე ქალბატონ გიულის. ამის შესახებ ჟურნალის რედაქტორსაც ანუ ბატონ ზაზა სხირტლაძეს ვუთხარი. მან ცნობად მიიღო ეს ფაქტი და აქვე დასძინა, რომ ჟურნალი რეფერირებადია და სტატია დაიბეჭდება მხოლოდ სათანადო ექსპერტიზის გავლის შემდეგ.

ამის თაობაზე უკვე ვიცოდი, რადგან სტატიის მომზადების წესები ითვალისწინებდა სტატიისათვის გამოყენებული ლიტერატურის სიის ინგლისურ ენაზე წარმოდგენას და, აგრეთვე, ვრცელ რეზიუმეს უცხოელი ექსპერტისათვის. ანუ რედკოლეგია ავტორებს საერთაშორისო რეფერირების უზრუნველყოფას გვპირდებოდა. ამ შენიშვნას, რომელიც რამდენადმე უადგილოდ მომეჩვენა, არ შევუშფოთებივარ, რადგან დარწმუნებული ვიყავი რეფერირებას ჩემი ნაშრომი „გაუძლებდა“. ბატონი ზაზა სხირტლაძეს სტუდენტობიდან ვიცნობ და ექსპერტიზის შედეგებზე მის მიერ ყურადღების გამახვილება არ აღმიქვამს საწყენად, თუმც შორიდან თუ შევხედავთ ცოტა უცნაური კი იყო მისგან ეს გაფრთხილება. უნივერსიტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება პიროვნებას, როგორც ცნობილია, მხოლოდ იმის საფუძველზე შეუძლია, რომ ის არის შესაბამისი დარგის ექსპერტი და წარმატებული პროფესიონალი. ანუ ჩემი აკადემიური პოზიციიდან გამომდინარე ბატონი რედაქტორისათვის მაინცდამაინც მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რომ ისეთ სტატიას წარვადგენდი, რომელიც რეცენზენტების მიერ უარყოფით შეფასებას დაიმსახურებდა.

როგორც ვთქვი, მაშინ ამ გაფრთხილებისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ ახლა, როცა ჩემმა ნაშრომმა რედაქტორის მიერ შერჩეული ექსპერტის შენიშვნები დაიმსახურა, რის გამოც სტატიამ ჟურნალში დაბეჭდვის ვიზა ვერ მიიღო, ეს გაფრთხილება სხვანაირად მენიშნა და გულწრფელად დამაინტერესა სტატისტიკამ: ჩემს გარდა რამდენი სრული პროფესორის ნაშრომი იქნა რედკოლეგიის მიერ უარყოფილი ჟურნალის დაარსებიდან დღემდე. ეს რაოდენობა და დაწუნებულ აპლიკანტთა ვინაობა, ვფიქრობ, ძალიან მრავალმხრივი დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს საზოგადოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ვითარებასთან და არა მარტო ხსენებული ჟურნალის მუშაობასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს სხვათაშორის. მივყვეთ მოვლენებს.

სტატია 2013 წლის დასაწყისში წარვადგინე. მერე საქმეებით კვლავ უსაზღვროდ გადატვირთულს ის სავსებით მიმავიწყდა და წლის ბოლოს, როცა წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოების აღნუსხვას შევუდექი, დავინტერესდი თუ რა ბედი ეწია *ჰუმანიტარული კვლევებისათვის* გადაცემულ ჩემს სტატიას. საკითხის გასარკვევად ბატონ ზაზა სხირტლაძეს მივმართე. მან მითხრა, რომ ჩემი სტატია წარმოებაში უკვე ჩაშვებულ ნომერში არ დაიბეჭდება და მაცნობა, რომ მასზე ქალბატონ გიული შაბაშვილს აქვს

რეცენზია. მოკლედ რედაქტორმა მაგრძნობინა, რომ ეს რეცენზია არ იყო დადებითი. მივმართე ქალბატონ გიული შაბაშვილს და გარკვეული ლოდინის შემდეგ მისგან მივიღე კიდეც ეს რეცენზია.

რეცენზიის შინაარსობრივ მხარეზე ქვემოთ ვიტყვი. ჯერ მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო ფორმალურ მომენტებზე. სამი გარემოება მინდა გამოვყო.

პირველი ისაა, რომ რეცენზია იყო ქართულად ანუ ქართველი ექსპერტის მიერ იყო დაწერილი. ქართველი ექსპერტის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჟურნალის რედკოლეგია, როგორც უკვე ვთქვი, საერთაშორისო რეფერირებისათვის გვამზადებდა. სწორედ ამას ემსახურებოდა სტატიისათვის თანდართული ვრცელი რეზიუმე, რომელიც ინგლისურად უნდა ეთარგმნათ და საერთაშორისო ექსპერტისათვის გადაეცათ. ლიტერატურის სიის ინგლისური ვარიანტიც, როგორც უკვე აღვნიშნე, უნდა დაგვერთო სტატიისათვის. ჟურნალის ამ მხარეს ანუ საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობას მისი მასალის ანალიზისას, ბატონი რედაქტორი, ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, როგორ „აპიარებდა“ ერთ-ერთ შეხვედრაზე. ახლა კი რა ირკვეოდა, რომ ეს სიმართლე არ ყოფილა, ვრცელი რეზიუმე ტყუილად დამაწერინეს. ის არც უთარგმნიათ და არც არავისათვის გადაუციათ. ლიტერატურის სიის ინგლისურად თარგმანზეც ტყუილად მაწვალეს. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ, სინამდვილეში *ჰუმანიტარული კვლევები* სულაც არ იყო საერთაშორისო რეფერირების მქონე ჟურნალი.

და რადგან ნებისმიერი ეროვნული სამეცნიერო სივრცე საზოგადოდ და, მითუმეტეს, ისეთი მცირე ქვეყნისა, როგორც საქართველოა, ვიწროა, ამიტომაც საერთაშორისო ექსპერტების გარეშე რეფერირება ფაქტობრივად არ შეიძლება ნამდვილ რეფერირებად ჩაითვალოს.

მეორე, ასევე უსიამოვნო სიურპრიზი „რეფერირებასთან“ დაკავშირებით ჩემთვის ის იყო, რომ ჩემს სტატიაზე მხოლოდ ერთი რეცენზია არსებობდა. როგორც უკვე აღვნიშნე, აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკაა, რომ სტატიას ჰყავს სულ მცირე ორი რეცენზენტი მაინც. ეს სულ მცირე, თორემ რეალურად ბევრ შემთხვევაში სამი ან ოთხია პროცესში ჩართული. საინტერსოა, რომ ჟურნალის მიერ დადგენილ *სტატიის მომზადებისა და გაფორმების წესებში*, რომელიც, მე მგონი, დღესაც დევს ვებ-გვერდზე და მკითხველს მისი ნახვა იოლად შეუძლია, ორი რეცენზენტის აუცილებლობა ხაზგასმულია. აი, ამონარიდი ამ დოკუმენტიდან: „თითოეული სტატია გადაეგზავნება ორ რეცენზენტს. რეცენზირება ანონიმურია. შედეგები ეცნობება ავტორს და გადაეცემა რეცენზიები. სტატია იბეჭდება დადებითი რეცენზიის შემთხვევაში“.

როგორც ვხედავთ, ორი რეცენზენტის აუცილებლობა დადასტურებულია ამ „წესებითაც“. ანუ რედკოლეგიამ ამ შემთხვევაში დაარღვია არა მარტო საერთაშორისო პრაქტიკით აპრობირებული წესი, არამედ მის მიერვე დადგენილი წესიც კი.

მესამე გარემოება ისაა, რომ რეცენზენტის შენიშვნებზე პასუხის გაცემის საშუალება ფაქტობრივად არ მომეცა: გადაწყვეტილება ჩემი სტატიის წარმოებაში ჩაშვებულ ნომერში არდაბეჭდვის თაობაზე რედაქციის (ვეჭვობ, რომ ერთპიროვნულად ბატონი რედაქტორის) მიერ მანამ იქნა მიღებული, სანამ ჩემს პასუხებს მოისმენდნენ. ანუ რედაქტორს თავი არ შეუწუხებია იმის გარკვევით თუ რამდენად რელევანტური იყო ის შენიშვნები, რომელსაც მაძლევდა რეცენზენტი.

აქ საინტერესოა შემდეგი გარემოება: რეცენზენტს პრინციპულად მიუღებლად არ ეჩვენება სტატიის დაბეჭდვა. მართალია, ის თავგამოდებით ჩემი სტატიის მაქებარი არ ჩანს, მაგრამ მის დაბეჭდვას მხარს მაინც უჭერს შენიშვნების გათვალისწინების და შესაბამისი ცვლილებების სტატიაში შეტანის შემთხვევაში. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, რედაქცია არ დაინტერესებულა რეცენზენტის შენიშვნებთან დაკავშირებით ჩემი აზრით. რატომღაც მგონია, რომ არა თუ რედკოლეგია, თვით რედაქტორიც კი ამ შენიშვნებს ჩემ მიერ პრეტენზიის დაფიქსირებამდე საფუძვლიანად არც გასცნობია, თორემ ეჭვი არაა, მის უსაფუძვლობას ისიც შეამჩნევდა.

ამგვარი დამოკიდებულება გარკვეულწილად მოსალოდნელიც კი იყო ამ ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე. „წესებიდან“ ზემოთ მოყვანილი ამონარიდით თუ ვიმსჯელებთ, რედკოლეგია ავტორის მოსმენას არც მიიჩნევს აუცილებლად. ავტორს მხოლოდ აცნობებენ და გადაწყვეტილებას მისი პასუხის მოსმენის გარეშე, რეცენზენტის დასკვნის მიხედვით იღებენ. ანუ ის, რომ ჩემი პასუხების მოსმენა საჭიროდ არ ჩათვალეს, იყო არა შემთხვევითი შეცდომა, არამედ სარედაქციო პოლიტიკის განხორციელება. „წესებში“ საერთოდ არ ყოფილა იმგვარი შემთხვევა გათვალისწინებული, როცა შენიშვნები არის, მაგრამ რეცენზია მაინც დადებითია. ანუ რეცენზენტი დაბეჭდვის რეკომენდაციას იძლევა, როგორც ეს არის ჩემს შემთხვევაში; და არც ის შემთხვევა, როდესაც ავტორი არგუმენტებით უარყოფს რეცენზენტის შენიშვნებს.

ჰუმანიტარული კვლევების სარედაქციო პოლიტიკის ყველაზე მოუთმენელი ნაკლი სწორედ ესაა – ავტორი რეფერირების პროცესის არათანასწორუფლებიან მონაწილედ გამოდის. ამგვარი

დამოკიდებულება არღვევს რეფერირების ფუნდამენტურ პრინციპს. ეს პრინციპია თანასწორობა. მთელი არსი peer review პროცესისა არის სწორედ ავტორისა და ექსპერტის თანასწორობა; peer ტოლს, სწორს, თანასწორს ნიშნავს. ექსპერტობა არ ნიშნავს ექსპერტის ავტორზე რაიმე უპირატესობას. ავტორიც ექპერტია და მთელი არსი ისაა, რომ სხვა, გარეშე კი არა, არამედ სწორედ ერთი და იმავე რანგის მკვლევრები აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს. ექსპერტიზა არაა ავტორის დასჯა ან მისი დამცირება. ავტორის აზრი ისევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ამ პროცესში, როგორც ექსპერტისა, რადგან იგულისხმება, რომ ისიც, როგორც მეცნიერ-მკვლევარი, ექსპერტია. ამიტომ რედაქტორმა ორივე ამ მხარეს უნდა მოუსმინოს. ექსპერტის აზრი არ არის განაჩენი. აი, სწორედ ეს ფუნდამენტური პრინციპი დაარღვია *ჰუმანიტარული კვლევების* რედკოლეგიამ, როცა ჩემი მოსმენა საჭიროდ არ ჩათვალა გადაწყვეტილების მიღებამდე.

მე ვფიქრობ, რომ ამგვარი დამოკიდებულება გარკვეულწილად იმ ეპოქის ინერციაცაა, როცა ავტორიტარიზმი ყვაოდა ჩვენს ქვეყანაში. სულ პაწია ძალაუფლებაც კი ზოგიერთ საბჭოთა ეპოქა გამოვლილ ადამიანს ავიწყებს სხვა ადამიანებთან თანასწორობის ფაქტს და სხვისი უფლებების პატივისცემის აუცილებლობას.

როცა ბატონ ზაზა სხირტლაძეს ვკითხე, თუ რატომ არ გამაცნეს რეცენზია, ვიდრე ის მე თავად არ მოვიკითხე, მან მიპასუხა, რომ ეს გიული შაბაშვილის მოვალეობა იყო. ამასთან ამიხსნა დასაბეჭდად სტატიების შერჩევის მისეული პრინციპიც: თურმე პირველ რიგში ის ვიზირებას აძლევს იმ სტატიებს, რომელთაც არავითარი შენიშვნა არა აქვთ. ამის შემდეგ ჩემთვის გასაგები გახდა, თუ რატომ არ დაინტერესდა იგი რეცენზენტის შენიშვნებზე ჩემი პასუხებით: ისტორიის დარგის სულ ორი სტატია უნდა წასულიყო თურმე ამ ნომერში. ეს ორი „იღბლიანი“ ავტორი ანუ ისინი, რომელთაც რეცენზენტ-ექსპერტთაგან არავითარი შენიშვნა არ მიუღიათ, უკვე ჰყავდათ. ამიტომაც, როგორც ვხდები, თავი არ შეუწუხებია რედაქტორს იმის გარკვევით იყო თუ არა მართალი ჩემთან მიმართებაში რეცენზენტ-ექსპერტი და ნამდვილად ჯობდა თუ არა ჩემს სტატიას ის სტატიები, რომელთაც მან ჟურნალში დასაბეჭდად ვიზირება მისცა. ისიც გაუგებარია ეს კვოტა – ნომერში ისტორიის დარგის მხოლოდ ორი სტატია – ვინ ან რა მოსაზრებით დაადგინა?

ყველაფერ ამასთან დაკავშირებით მიჩნდება ასეთი კითხვაც: იყო თუ არა ჩემი სტატიის რეცენზენტი ინფორმირებული რედაქციის მიერ სტატიების შერჩევის ასეთი უცნაური წესის შესახებ? როგორც ვთქვი, იგი სტატიის დაბეჭდვის წინააღმდეგი არაა. პირიქით, ფიქრობს, რომ შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ დაბეჭდვა შესაძლებელია. მაგრამ ჩვენ არ ვიცით მომცემდა თუ არა ის შენიშვნებს საერთოდ თუ ეცოდინებოდა, რომ თუნდაც არაარსებითი შენიშვნა, სტატიის დაბლოკვის საფუძვლად გადაიქცეოდა. მე ვვარაუდობ, რომ ეს რეცენზენტი არ იყო აღნიშნული წესის შესახებ ინფორმირებული, ხოლო იმ ორი იღბლიანი ისტორიკოსის (როგორც შევიტყვე ესენი ყოფილან ბატონები ზაალ გოგენია და გიორგი ჭეიშვილი – ვუდასტურებ მათ ჩემს პატივისცემას) რეცენზენტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი, რომ შენიშვნის მიცემა უკვე ნიშნავს სტატიის არდაბეჭდვას და ამიტომაც არ მისცეს არცერთი შენიშვნა, თორემ წარმოუდგენელია ისეთი სტატია, რომ მონდომების შემთხვევაში, ერთი, თუნდაც არაარსებითი, შენიშვნა ვერ მისცეს რეცენზენტმა სტატიის ავტორს.

სტატიის შერჩევის პრინციპების შესახებ ყველა რეცენზენტ-ექსპერტის ინფორმირებულობა კი აუცილებელია, რათა მათ ჰქონდეთ ერთგვაროვანი მიდგომა. ზემოთ მე უკვე ვისაუბრე თუ რამდენი სახის თრეინინგი უტარდებათ ექსპერტებს პასუხისმგებლობის მქონე რედაქციების მიერ.

ვიმეორებ, არა მგონია ჩემი ექსპერტი *ჰუმანიტარული კვლევების* რედკოლეგიის მიერ დასაბეჭდი სტატიის შერჩევის უცნაური წესის შესახებ ინფორმირებული ყოფილიყო. არ ვიტყვი როგორ, მაგრამ მე ეს ანონიმი ექსპერტი ამოვიცანი. ის შესაბამისი პერიოდის სპეციალისტი არაა ანუ არცერთი სამეცნიერო ნაშრომი არ აქვს გვიანანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიაზე დაწერილი. ასეთ ვითარებაში, ცხადია, რომ ის ვერ იქნებოდა კატეგორიული ჩემი სტატიის დაბლოკვასთან დაკავშირებით. მისი ერთგვარი *გალაღება* არარსებითი შენიშვნების მოცემით იმით აიხსნება, რომ მას ჰგონია: დიდს არაფერს მიშავებს. შევიტან მის, თუნდაც არარელევანტურ, შესწორებებს ხელნაწერში და სტატიაც დაიბეჭდება. არც რედკოლეგია იქნება უკმაყოფილო და არც ავტორი. თავად ექსპერტიც მცირე სარგოს მიიღებს.

ჰო, ექსპერტის სარგოსთან დაკავშირებით დამავიწყდა მეთქვა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე შემთხვევით გავარკვიე, რომ თურმე *ჰუმანიტარული კვლევების* რეცენზენტობა ანაზღაურებადი საქმიანობა ყოფილა. ანუ ამ პუნქტითაც ამ ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა დიამეტრალურად შორდება საერთაშორისო პრაქტიკას და, რაც მთავარია, რეფერირებადობის ფუნდამენტურ პრინციპებს. რედაქტორი კი არ არის „ვალში“ ექსპერტის წინაშე,

რომელიც უსასყიდლო სამსახურს უწევს მის ჟურნალს, არამედ ექსპერტია „ვალში“ რედაქტორის წინაშე, რომელიც ანაზღაურებად საქმეს შოულობს მისთვის.

გაურკვეველია, თუ რა ბედი ეწევათ შენიშვნებიან და უარყოფილ სტატიებს *ჰუმანიტარული კვლევების* რედაქციაში საზოგადოდ. ჩემთან დაკავშირებით კი საქმე ასე წარიმართა: როცა რეცენზიის შინაარსითა და რეცენზირების პროცედურით ჩემი აღშფოთების მოწმე გახდა, ვითარების განსამუხტად ქალბატონი გიული შაბაშვილი დამპირდა, რომ სამომავლოდ ამ სტატიის გამოაქვეყნებდნენ. ამაზე მე უარი განვაცხადე: გაურკვეველი მომავლის იმედით ხომ არ წარმიდგენია სტატია რედაქციაში. მე ყველა სხვა საქმე გადავდე და ის სრულიად კონკრეტულ ნომერში გამოსაქვეყნებლად მივიტანე.

ამგვარი პრინციპით მუშაობა, ანუ ჯერ იმ სტატიების დაბეჭდვა, რომელთაც არავითარი შენიშვნები არა აქვს და იმ ნაშრომების რედაქციაში „დამწნილება“, რომელთა მისამართითაც ექსპერტებმა თუნდაც დაუსაბუთებელი შენიშვნები გამოთქვეს, მიუთითებს რედკოლეგიის (მიმძიმს ამის თქმა ჩემთვის ნამდვილად ძვირფასი კოლეგებისა და მეგობრების მისამართით, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი) უპასუხისმგებლობას. ეს ნიშნავს იმას, რომ რედაქცია ფაქტობრივ რეფერირების პროცესის სიმულაციას ახდენს. რედაქტორი არ ცდილობს გაერკვეს თუ რამდენად სამართლიანია რეცენზენტთა შენიშვნები და არ უსმენს ავტორებს. ფაქტობრივად, რეცენზია მას სჭირდება არა ნაბეჭდი პროდუქციის სამეცნიერო ხარისხის უზრუნველსაყოფად, არამედ ავტორის „დასაშინებლად“, იმ შემთხვევაში თუკი იგი გამოთქვამს პრეტენზიას სტატიის არდაბეჭდვასთან დაკავშირებით.

მოკლედ, რეფერირების პროცედურა *ჰუმანიტარული კვლევების* რედაქციაში არ აკმაყოფილებს არავითარ სტანდარტს. სარედაქციო პოლიტიკა საფუძვლიანად არის გადასახედი, ალბათ უფრო სწორია ითქვას, რომ შესამუშავებელი. ჩემი პათოსი ამ შემთხვევაში ისაა, რომ არ ვთქვათ, თითქოს ეს ჟურნალი რეფერირებადია – ამ პირობებში იგი ნამდვილად არ არის ასეთი. სწორედ სინამდვილის გაცნობიერება და მისი აღიარება მოგვცემს საშუალებას საქმე გამოვასწოროთ. აშკარაა, რომ საჭიროა მეტი ფინანსური და მატერიალური რესურსი. საჭიროა უკეთესი მენეჯმენტი. ცალი თვალითა და ცალი ყურით ეს ურთულესი საქმე ვერ გაკეთდება. ის უპასუხისმგებლობა, რომელიც ჩემთან დაკავშირებულ შემთხვევაში გამოავლინა ამ ჟურნალის რედკოლეგიამ, ვფიქრობ, აიხსნება არა იმდენად იმით, რომ შესაბამისი საქმის არსზე მათ ნათელი წარმოდგენა არა აქვთ (თუმც არც ესაა ბოლომდე გამოსარიცხი), არამედ მგონია უფრო იმითაა განპირობებული, რომ რედაქტორიც და პასუხისმგებელი მდივანიც (ისევე როგორც სარედაქციო ჯგუფის დანარჩენი წევრები) ფაკულტეტზე სხვა მოვალეობებით უაღრესად დაკავებული პიროვნებანი არიან.

ახლა კი მინდა უშუალოდ რეცენზიის შესახებ ვესაუბრო მკითხველს. ამ რეცენზიის შინაარსიც ავლენს ქართული საისტორიო მეცნიერების სხვა მწვავე პრობლემებს. როგორც უკვე ვთქვი, რეცენზენტი მე ამოვიცანი. ჰოდა, გულწრფელად მიკვირს, რომ მან თავის სფეროში გამოცდილმა მკვლევარმა და რესპექტაბელური დაწესებულების თანამშრომელმა რატომ აიღო სარეცენზიოდ ის ნაშრომი, რომელში წამოჭრილი პრობლემატიკის მცოდნე ის არ არის?! და თუ აიღო, რატომ არ ჩაუღრმავდა?! ანუ ამგვარი დამოკიდებულება ჩვენი სამეცნიერო პროცესის ცალკე პრობლემაა.

ექსპერტი თავის რეცენზიას იწყებს ჩემი სტატიის შინაარსის გადმოცემით.

> განსახილველ ნაშრომში *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ისტორიულ ქრონიკაზე დაყრდნობით და პეტრე ქართველის ცხოვრების „ასურულენოვანი“ და „ქართულენოვანი“ ვერსიების მონაცემებთან შედარების გზით ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს მოღვაწის (რეცენზენტი აქ, ცხადია, გულისხმობს პეტრე იბერს. – მ.ჩ.) წარმომავლობა და ბიოგრაფიის ცალკეული დეტალები – დედის ხაზით პეტრეს პაპა “დიდი ბაკური” გაიგივებულია *მოქცევაჲს* მეფე ბაკურ რევის ძესთან, მეფე მირიანის შვილიშვილთან და უშუალო მემკვიდრესთან; პეტრეს ნამდვილ პაპად მიჩნეულია „დიდი ბაკურის“ ძმა თრდატ რევის ძე. რაც შეეხება პეტრეს მამას, თრდატ რევის ძის სიძესა და ბაკურდუხტის მეუღლეს, ვარაზ-ბაკურს, იგი იბერიაში მოქმედი მეფეთმონაცვლეობის წესის შესაბამისად, მიჩნეულია, არჩილის, რევის ძმის, თანამეფედ. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წმ. სტეფანეს სახელზე ეკლესიის აგებაზე (კალმის შეცდომაა და, ცხადია, უნდა იყოს „აგებას“. – მ.ჩ.) მცხეთაში, რასაც ავტორი უკავშირებს არჩილის მეფობაში პეტრე იბერის მიერ პირველმოწამის წმინდა ნაწილების სამშობლოში გამოგზავნასა და მისი კულტის დამკვიდრებას.

ამგვარად, რეცენზიის შესავალ ნაწილში, სადაც უნდა იყოს საუბარი იმის შესახებ თუ რამდენად სწორად არის დასმული სამეცნიერო პრობლემა ან არის თუ არა სტატია სიახლის მომტანი, გადმოცემულია სტატიის შინაარსი არცთუ სრულყოფილად, მაგრამ რაც მთავარია, ყოველგვარი პოზიციის გარეშე. რეცენზენტი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, ეს ფაქტები, რომელთა შესახებაც სტატიაში საუბარი ყოფილა, ადრეც იყო ცნობილი თუ ისინი სიახლეს წარმოადგენს.

რატომ ირჩევს დისკურსის ასეთ უჩვეულო ფორმას რეცენზენტი? პასუხი ცხადია: ის არ იცნობს ამ საკითხს. გვიანანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიის პრობლემებზე, პეტრე იბერზე სპეციალურ ლიტერატურაში მრავალი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი არსებობს. თუკი სპეციალურად არ გიმუშავია ამ პრობლემებზე და შესაბამისი წყაროების ანალიზი თავად არ ჩაგიტარებია, შეუძლებელია ვითარებაში უცებ გარკვევა. რეცენზენტი, რომელიც ფრთხილობს და საკუთარი დამოკიდებულების გამოვლენას ერიდება, ლაპარაკობს ჩემს პოზიციაზე და არ ავლენს საკუთარ პოზიციას.

ამ ორჭოფულ და, პრინციპში, არაფრისმთქმელ დასაწყისს მოსდევს რეცენზიის კრიტიკული ნაწილი. ეს ნაწილი, თავის მხრივ, ორად იყოფა: თავიდან ერთ აბზაცად მოცემულია, ჩემი აზრით, ის შენიშვნები, რომლებიც უფრო ფუნდამენტურად მიაჩნია რეცენზენტს. ამ აბზაცის შემდგომ კი პუნქტების სახით ჩამოთვლილია ის შენიშვნები, რომელთაც, ასევე ჩემი აზრით, შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს რეცენზენტი, მაგრამ მაინც საჭიროდ მიიჩნევს მათ დაფიქსირებას. მე ყველას შევეხები. განხილვას კი წარმოვადგენ იმ თანამიმდევრობით, რითაც ისინი რეცენზიაშია წარმოდგენილი.

ე.წ. „ფუნდამენტური" შენიშვნების შემცველი ბლოკის პირველი წინადადება ასეთია: „სასურველია, რომ ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა ზოგ შემთხვევაში სათანადო პირველწყაროებზე დაყრდნობით არგუმენტაციით იქნას გამყარებული".

გაუგებარია, რომელია ნაშრომის ის ადგილები, რომელთა გამყარება ახალი არგუმენტებით სასურველად მიაჩნია რეცენზენტს. იქნებ კიდეც დავთანხმებოდი, მაგრამ რომ არ ვიცი რა იგულისხმა?

რაც შეეხება პირველწყაროებს. ნაშრომი მიზნად ისახავს ორი უმთავრესი პირველწყაროს *მოქცევაი ქართლისაის* და პეტრე იბერის ასურულენოვანი *ცხოვრების* ურთიერთშეჯერებას. საინტერესოა კიდევ სხვა რომელია „სათანადო პირველწყაროები"?

„ფუნდამენტური" შენიშვნების მომდევნო მონაკვეთი უფრო კონკრეტულია:

> იგივე ითქმის საკითხთან დაკავშირებული პირველწყაროების და სპეციალური ლიტერატურის გამოყენების თაობაზე. მაგალითად, გამოყენებული არაა ასურულ ენაზე დაწერილი პეტრე იბერის ცხოვრების ი. ლოლაშვილისეული თარგმანი (გერმანულიდან) და გამოკვლევა (*ცხოვრება პეტრე იბერისა*, ასურული რედაქცია. გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1988, 228 გვ.); ასევე ახალ სინურ კოლექციაში X საუკუნის ორი (უნდა იყოს „ორ". – მ.ჩ.) ხელნაწერში (Sin/N. 48 და Sin/N. 50) შემონახული „მოქცევაი (აქ ასო-ნიშანი „ი" თავად რეცენზენტს გამორჩენია, მე არ გამისწორებია; ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ქვემოთ ვნახავთ: ამ ასოს გამოუყენებლობას შეცდომად მითვლის. – მ.ჩ.) ქართლისაის" უძველესი ტექსტი (საპატრიარქოს გამოცემა), რომელიც მნიშვნელოვან რედაქციულ განსხვავებას იძლევა და სხვ.

„და სხვ.", მართლაც, გაკვირვებას იწვევს: თუ რაიმე ხარვეზი ნახა ექსპერტმა და სურს. რომ გამოვასწორო, დე, მითხრას, კონკრეტულად, დამისახელოს გვერდი ან მიმანიშნოს მაინც, თუ არადა, რატომ ამბობს, იმისათვის, ხომ არა, რომ შთაბეჭდილება შეიქმნას, ხარვეზები სხვაც უამრავიაო?!

ახლა ლიტერატურის გამოყენების თაობაზე. ამ შენიშვნაზე პასუხის გასაცემად და მკითხველის ვითარებაში გასარკვევად აქ მომიწევს რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩემი „დაწუნებული" სტატიის შესახებ. სტატიის შესავალ ნაწილში აი, როგორ ვსვამ პრობლემას:

> პეტრე იბერის შესახებ ცნობები შემოგვინახა რამდენიმე ძეგლმა. უპირველეს ყოვლისა, ესაა პეტრესადმი მიძღვნილი ჰაგიობიოგრაფიების (პეტრეს *ცხოვრების* ქართულენოვანი და ასურულენოვანი ვერსიები) ციკლი, აგრეთვე სხვა ჟანრის რამდენიმე თხზულება. მათზე დაყრდნობით სპეციალისტები მსჯელობენ პეტრეს წარმომავლობის, ოჯახური გარემოს, სამონაზვნო ღვაწლის, ქრისტოლოგიურ დებატებში მის მიერ დაკავებული პოზიციის და სხვ. შესახებ. ამის შედეგად სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს პეტრეს ბიოგრაფიის საკმაოდ ცხოველმყოფელი აღწერილობა.
> მე მიმაჩნია, რომ პეტრე იბერის ცხოვრების გზის წარმოჩენისას აღნიშნულ წყაროთა გარდა უნდა მოვიხმოთ ქართული მედიევალური ისტორიოგრაფიის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლიც, როგორიცაა *მოქცევაი ქართლისაი. მოქცევაი ქართლისაის* ცნობების შეუზღუდველად სრულიად ახალი კუთხით წარმოჩნდება პეტრეს ბიოგრაფიის არაერთი ფაქტი. ამის შედეგად კი ქართლის სამეფოს ისტორიის შესაბამისი პერიოდის ისტორიის რეპრეზენტაციაც ამ ნაშრომში მნიშვნელოვნად განსხვავებულია იმისაგან, რაც სპეციალურ ლიტერატურაში არის.

ამ მონაკვეთს თან ახლავს სამი შენიშვნა. პირველი ეხება ჩემ მიერ გამოყენებული ტერმინების „ასურულენოვანი ვერსია" და „ქართულენოვანი ვერსია" განმარტებას და, აგრეთვე, იმის აღნიშვნას, რომ პეტრესადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლის შესახებ არსებობს მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. ამ შენიშვნით სრულიად აშკარაა, რომ ამ ლიტერატურას მე ვიცნობ, მაგრამ საჟურნალო

სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო ჩამოთვლის საშუალება არაა. ამ დილემიდან ასეთი გამოსავალი მაქვს გამონახული: დასახელებულია ქართველი ავტორები, მაგალითად, გ. კოპლატაძე და უცხოელი ავტორები, მაგალითად, კ. ჰორნი. ორივე ეს ნაშრომი პეტრეს შესახებ არსებული წყაროების კვლევის დეტალურ ისტორიოგრფიას წარმოადგენს. და ამ შემთხვევაში მათი შერჩევა ამიტომაც მოხდა. კ. ჰორნის ნაშრომი ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე უახლესი გამოკვლევაა ამ საკითხზე. ამგვარად, საკითხზე არსებული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს თავისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება შეუძლია დასახელებული ნაშრომების საშუალებით. მოცემულ ჩამონათვალში არის ი. ლოლაშვილის ნაშრომიც, მართალია, არა ის, რომელსაც რეცენზენტი მიმითითებს, არამედ უფრო ადრინდელი. რატომ ადრინდელი და არა უფრო შემდგომიო? შეიძლება იკითხოს მავანმა. იმიტომ რომ ის გვიანდელი, რომელიც მოუსაკლისებია რეცენზენტს ჩვენს ნაშრომში, წარმოდგენილია სწორედ იმ ნაშრომებში, რომელთაც მე მკითხველს ვუსახელებ საკითხზე არსებული ლიტერატურის გასაცნობად. აქვე მინდა დავაზუსტო: ეს ეხება ჩემ მიერ გამოყენებული ერთ-ერთი წყაროს კვლევის ისტორიას და არა ჩემ მიერ დასმული საკითხის კვლევის ისტორიას. როგორც უკვე ვთქვი, რადგან პრობლემა იმ კუთხით, რა კუთხითაც ის ისმის ჩემს სტატიაში, ადრე იდენტიფიცირებული არ ყოფილა, შესაბამისად, არც საკითხის შესწავლის ისტორიის წარმოდგენის აუცილებლობა არ დგება. ის ფაქტობრივად არც არსებობს.

პეტრეს ასურულენოვანი *ცხოვრების* მონაცემების დამოწმებას მე სიმონ ყაუხჩიშვილისეული თარგმანით ვახდენ და არა ივანე ლოლაშვილისეულით. როგორც ცნობილია, ორივე მათგანი თარგმნილა არა უშუალოდ ორიგინალიდან, არამედ რ. რააბეს გერმანული თარგმანიდან. ორივე მეცნიერმა კარგად იცოდა გერმანული და ორივე შესაბამისი პრობლემატიკითაც საგანგებოდ იყო დაინტერესებული. ასე რომ, ამ მხრივ, რომელიმეს რაიმე უპირატესობა არ იკვეთება. მართალია, ი. ლოლაშვილისეული თარგმანი სრულია, ხოლო ს. ყაუჩიშვილისეული არასრული (მე მგონი, ეს უკანასკნელი ფაქტი ექსპერტმა არ იცის, თორემ, ვფიქრობ, შენიშვნას უფრო მძაფრი სახე ექნებოდა), მაგრამ ს. ყაუხჩიშვილის პეტრეს ბიოგრაფიის ფაქტების ხარჯზე არ გაუკეთებია შემოკლება. პრინციპში, სწორედ ამ ფაქტების გამო შეასრულა მეცნიერმა ეს თარგმანი, რათა საკითხთან დაკავშირებით ქართული სამეცნიერო წრეებში არსებული ინტერესი დაეკმაყოფილებინა. ამიტომაც ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ დამოწმებისათვის მაინცდამაინც პეტრეს ასურული *ცხოვრების* ი. ლოლაშვილისეული თარგმანი გამომეყენებინა და არა ს. ყაუხჩიშვილისეული. ასე რომ გამეკეთებინა, დარმწუნებული ვარ, მაშინ პირიქით, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანის გამოუყენებლობას მისაყვედურებდა რეცენზენტი.

რაც შეეხება *მოქცევაჲ ქართლისაჲს*, ამ ძეგლის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ასპექტებზე ნაშრომში ვრცლად ვერ ვსაუბრობ და ჩემი თვალსაზრისის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად ვიმოწმებ რამდენიმე ადრინდელ ნაშრომს. საზოგადოდ არსებული სამეცნიერო დისკურსის ნათლად წარმოსადგენად კიდევ რამდენიმე სხვა ავტორს და შესაბამის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას. ამ სახის მონაცემებს ეთმობა სტატიის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სქოლიოები. უშუალოდ რეცენზენტის მიერ მითითებული გამოცემა, მართალია, არ დამიმოწმებია, მაგრამ არ იმიტომ, რომ მისი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი, უბრალოდ ყველა გამოცემას ამ სტატიაში ვერ დავიმომწმებდი. რეცენზენტს მიაჩნია, რომ მის მიერ დასახელებულ გამოცემაში გამოქვეყნებული *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ტექსტი უძველესია და მნიშვნელოვან რედაქციულ განსხვავებას იძლევა. მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ ჩემ მიერ განხილულ რომელ საკითხთან დაკავშირებით იძლევა ეს ტექსტი იმგვარ განსხვავებას, რომელიც არსებითი იქნებოდა ჩემი რეპრეზენტაციისათვის. ვეჭვობ, რომ, მას ამაზე არ უფიქრია და სხვათაშორის მიამატა შენიშვნების ჩამონათვალს, ისევე, როგორც სხვათაშორის თქვა ტექსტის უძველესობის შესახებ. თუ სინურ ხელნაწერებს (მეათე საუკუნის პირველი ნახევარი) ჩემ მიერ გამოყენებულ შატბერდულ ხელნაწერზე (მეათე საუკუნის მეორე ნახევარი) ადრინდელად მიიჩნევენ, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სინური ნუსხები *მოქცევაჲ ქართლისაჲს* უფრო ადრინდელ რედაქციას წარმოადგენენ, ვიდრე შატბერდული ნუსხა.

აქამდე განხილული შენიშვნები, როგორც ვთქვი, ერთ აბზაცად არის გაერთიანებული და რეცენზიის აღწერილობით შესავალს უშუალოდ მოსდევს. ახლა იმ შენიშვნებზეც, რომლებიც ამის შემდგომ ოთხ პუნქტშია განაწილებული, თუმც რეალურად მათი რაოდენობა ოთხზე მეტია.

პირველია ის, რომ რეცენზენტის აზრით, საჭირო იყო „პეტრეს ცხოვრების ვერსიების შესახებ ნაშრომში ავტორის მხრივ უფრო კონკრეტული მსჯელობა“. ამ შენიშვნას მე ფაქტობრივად უკვე ვუპასუხე ჩემი სტატიის ზემოთ მოყვანილი შესავალი ნაწილის პირველ შენიშვნაში.

ახლა მეორე შენიშვნაზე პასუხსაც მოვიყვან:

პეტრე იბერის შესახებ წყაროთა ბაზის სრულად დახასიათებისათვის იხ. ზემოთ დასახელებული ნაშრომები, განსაკუთრებით უკანასკნელად გამოქვეყნებული კ. ჰორნის წიგნი მეხუთე საუკუნის პალესტინაში ასკეტიზმისა და ქრისტოლოგიური დაპრისპირების შესახებ.

ამგვარად, საკითხზე, რომელიც არ წარმოადგენს ჩემი გამოკვლევის საგანს, მე ვუთითებ შესაბამის ლიტერატურას. არ ვიცი, როგორ უნდა მოიქცეს სხვაგვარად მკვლევარი. ყველა საკითხს, რომელსაც კი ირიბად ეხება, იქვე მიაყოლოს შესწავლის ისტორია სრულად? ეს, ერთი შეხედვით, თითქოს ძალიან კომფორტულია, ყველაფერს ერთ სტატიაში ნახავს მკითხველი. მაგრამ აბა დავფიქრდეთ, ამ პრინციპის გატარების შემთხვევაში რა მოცულობის სტატიების წარდგენა უნდა იყოს დასაშვები ჟურნალში. ამავე დროს, ასეთი დამოკიდებულება პრინციპულად არ მიმაჩნია სწორად: მეორეხარისხოვან საკითხებზე რეფერატული ვრცელი ინფორმაციის მოყვანა სტატიაში ჩრდილავს ძირითად საკითხს და ამცირებს ნაშრომში შემოქმედებით მონაკვეთების პროცენტულ წილს. მე მგონი, საჭიროა, გავაცნობიეროთ, რომ სტატიის ფორმატი სხვაა, მონოგრაფიისა კი – სხვა. განა გაგონილა, ლიტერატურის კრიტიკოსი მოთხოვდეს, რომ მოთხრობაშიც იმდენივე ეპიზოდი იყოს, რამდენიც რომანში?!

ახლა შემდგომი შენიშვნა. რეცენზენტს მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს „სტატიაში სისტემატურად გამოყენებული ტერმინებისა და ცნებების არასწორი ფორმების გასწორება“. ამ არასწორ ფორმებს ის აქვე ასახელებს:

(მაგ.: *მოქცევაი ქართლისაი* (*მოქცევაჲ ქართლისაჲ*); *ანტიკურობის კვლევები* (ადრექრისტიანული ეპოქის ან ადრებიზანტიური ეპოქის კვლევები); *ქართული მედიევალური (?) ისტორიოგრაფია; ჰაგიოგრაფია* (აგიოგრაფია), ჰაგიოგრაფიები(?) და სხვ. (ხაზი ყველგან რეცენზენტისაა.-მ.ჩ.).

როგორც ვხედავთ, რიგ შემთხვევაში რეცენზენტ-ექსპერტი თავად გვთავაზობს, მისი აზრით, სწორ ფორმას, რიგ შემთხვევაში კითხვის ნიშანს სვამს და აქ მისი პრეტენზიის ამოცნობა წამკითხველმა უნდა შეძლოს. ეს ჩამონათვალი სრულდება რეცენზენტისათვის უკვე ტრადიციად ქცეული „და სხვ.“ ფრაზით. ანუ ისეც საძიებლად აქვს დატოვებული მკითხველს, თუ რომელია კიდევ ის ტერმინები, რომლებიც უნდა შესწორდეს. მართლაც, რეცენზირების ძალიან უჩვეულო მეთოდია.

მოკლედ, რეცენზენტის აზრით, შეცდომაა, რომ მე თხზულების დასათაურებისას არ ვიყენებ ძველი ქართული ენის ასო-ნიშანს „ჲ“. აქ ჩემი პასუხი მოკლეა: ეს ხდება იმიტომ, ძვირფასო კოლეგავ, რომ, ალბათ ხვდებით, სტატია არა ძველქართულად, არამედ ახალ ქართულ ენაზეა დაწერილი და ასო-ნიშანი „ჲ“ ახალქართულში არ არის.

მართალია, ასო-ნიშნის „ჲ“, გამოყენება არავის აუკრძალავს ჩემთვის, და სხვა შემთხვევებში, განსაკუთრებით, წყაროდან ამონარიდების გაკეთების დროს, როგორც წესი, მას ვიყენებ კიდეც, მაგრამ ამჯერად სრულიად შეგნებულად მოვერიდე ამის გაკეთებას, რადგან არცთუ იშვიათად ბეჭდვისას ეს პრობლემებს იწვევს. როცა სტამბაში საკუთარი წიგნი ან ჩემი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი მიმაქვს, ბეჭდვის პროცესს მუდმივად ვადევნებ თვალყურს, რომ რაიმე შეცდომა არ გაიპაროს, რადგან გამოცდილებით იცი, რომ ფონტებთან დაკავშირებული შეცდომები ხშირია და ისიც, რომ ასო-ნიშნის „ჲ“ ნაცვლად სრულიადაც არაა გამორიცხული რომ, მაგალითად, ნიშანი Á შეგვრჩეს ხელში. ამჯერად, რახან ნაშრომი ჟურნალში დასაბეჭდად იყო გამიზნული, ჟურნალისა, რომლის რედკოლეგიაში მე არ ვიყავი, ჩავთვალე, რომ სტატიის ბეჭდვის პროცესისათვის თვალის მიდევნების საშუალება ნაკლებად მექნებოდა. ამიტომაც, ვამჯობინე გამომეყენებინა მხოლოდ ის ასო-ნიშნები, რომლებიც აქვს ახალ ქართულს. ეს როგორ შეიძლება შეცდომად იქნეს მიჩნეული?!

საგანგებოდ დავინტერესდი იმით, თუ რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით დღეს ქართულ სამეცნიერო სივრცეში. როგორც ირკვევა, ასო-ნიშნით „ი“ ასო-ნიშნის „ჲ“ ჩანაცვლება არ ითვლება „დანაშაულად“. ამგვარ ფაქტებს ისეთი ავტორიტეტული სამეცნიერო ცენტრის ვებ-საიტზეც კი ვხდებით, როგორიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრია. ამ ვებ-საიტს ბევრი მეცნიერი სტუმრობს და დარწმუნებულ ვარ, რეცენზენტსაც ის არაერთხელ ექნება ნანახი. ავიღოთ, მაგალითად, აკადემიკოს ზაზა ალექსიძის შრომების ჩამონათვალი. აქ მეცნიერის რამდენიმე ნაშრომის სათაურში ნახსენებია „მოქცევაი ქართლისაი“ ანუ ასო „ჲ“ ჩანაცვლებულია ასოთი „ი“ და ეს ფაქტი არავისათვის გამხდარა კრიტიკის საბაბი. ჩემთვის შენიშვნების სიის გამრავლებისათვის დასჭირდა, ჩანს, ექსპერტს ამ ფაქტის აქცენტირება, თორემ სხვა ახსნას ამ მოდავებისათვის მართლა ვერ ვპოულობ.

ასევე შეცდომად თვლის, როგორც ვნახეთ, რეცენზენტი ჩემ მიერ ტერმინის „ანტიკურობის კვლევები“ გამოყენებას და მირჩევს მის ჩანაცვლებას ტერმინებით „ადრებიზანტიური“ ან „ადრექრისტიანული“. მომიტევეთ, მაგრამ ეს ორი უკანასკნელი ტერმინი განა იდენტური შინარსისაა?

როგორც ცნობილია, „ადრექრისტიანულს“ უწოდებენ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების წინარე პერიოდს. ეს და „ადრებიზანტიური“ როგორ შეიძლება ერთი და იგივე იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ შენიშვნის არსი და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები ბოლომდე გასაგები არაა ჩემთვის. მე შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო რა არ მოსწონს ამ შემთხვევაში რეცენზენტს. მე ვფიქრობ, მის კრიტიციზმს განაპირობებს ის, რომ არასწორად ესმის ტერმინ „ანტიკურობის“ მნიშვნელობა. იგი ამ უკანასკნელს, ჩანს, ექსკლუზიურად ძველ საბერძნეთსა და ძველ რომთან აკავშირებს და აქედან გამომდინარე უკვირს, რომ ამ ტერმინს მე ვიყენებ მეხუთე საუკუნესთან დაკავშირებით.

მაგრამ „კლასიკური ანტიკურობის“ ანუ ძველ საბერძნეთთან და ძველ რომთან დაკავშირებული „ანიტკურობის“ გარდა არსებობს ტერმინი „გვიანი ანტიკურობაც“. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდის სხვადასხვა განსაზღვრას ვხდებით, ყველაზე ხშირად, ის წარმოდგენილია როგორც პერიოდი მესამე საუკუნიდან მეშვიდე საუკუნის ჩათვლით. ასე რომ, „ანტიკურობის“ ცნება როდი მოიცავს მხოლოდ „კლასიკურ ანტიკურობას“, არამედ „გვიან ანტიკურობასაც“. შესაბამისად, „ანტიკურობის კვლევები“ არ გაიგება, როგორც მხოლოდ ძველი საბერძენთისა და ძველი რომის ფენომენთან დაკავშირებული კვლევები. ზემოთქმულის გათვალისწინებით ტერმინი „ანტიკურობის კვლევები“ სავსებით მართებულად არის ჩემს ნაშრომში გამოყენებული და მასთან დაკავშირებით არავითარი კორექტივების შეტანა საჭირო არაა. თუმცაღა რომ წარმომედგინა, რომ სამეცნიერო ჟურნალის ექსპერტს გაუჭირდებოდა ამ ტერმინის ადექვატურად გაგება, „ანტიკურობას“ აუცილებლად დავუმატებდი ატრიბუტს „გვიანი“. ან სულაც ტერმინის შესახებ პატარა შენიშვნას გავაკეთებდი სქოლიოში. მაგრამ ვერ წარმოვიდგინე. მე ხომ საერთაშორისო რეფერირების ამბიციის მქონე ჟურნალისათვის გამიზნულ სტატიას ვამზადებდი და ამიტომაც სასკოლო სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელი კომენტარების გაკეთების აუცილებლობა ვერ დავინახე.

რეცენზენტს კითხვის ნიშანი აქვს დასმული სიტყვა „მედიევალურთან“. რატომ არ მესმის. რა, მისი აზრით, ისტორიოგრაფია არ შეიძლება იყოს „მედიევალური?“ ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაშიც მას ტერმინის გაგების პრობლემა აქვს. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს ისტორიკოსისაგან, ეს ტერმინია „ისტორიოგრაფია“. ამ უკანასკნელს, როგორც ცნობილია, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ქართულ სინამდვილეში მას უმეტესწილად იყენებენ, როგორც ტერმინს, რომელიც აღნიშნავს სამეცნიერო პრობლემის გარშემო არსებულ თვალსაზრისთა ერთობლიობას ანუ იგი ესმით საკითხის ისტორიის აზრით. მე ვფიქრობ, რეცენზენტი ასე აშინაურისებს ამ ტერმინს და ამიტომაც არის გაკვირვებული მასთან მიმართებაში ატრიბუტ „მედიევალურის“ გამოყენებით.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ტერმინს იყენებენ ისტორიული აზრის ისტორიის მნიშვნელობითაც. და სწორედ ესაა ტერმინ „ისტორიოგრაფიის“ პირითადი მნიშვნელობა! დასავლურ სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ ამ უკანასკნელი აზრით გამოიყენება ეს ტერმინი უმეტეს შემთხვევებში. ტერმინის ამგვარი გაგების დროს მისთვის ატრიბუტი „მედიევალური“ სრულიად რელევანტურია, ისევე როგორც რელევანტური იქნებოდა ატრიბუტები „ძველი“ ან „თანამედროვე“. იხ. მაგალითად, ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოშვებული ერთ-ერთი წიგნის სათაური: *Historiography. Ancient, Medieval and Modern* by Ernst Breisach. Third edition. The University of Chicago Press, 2007. შდრ. აგრეთვე კ. თუმანოვის ერთ-ერთი გამოკვლევის სათაური: *Medieval Georgian Historiographic Literature (VIIth to XVth Centuries)* ანდა ს. რაპის: *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts.* როგორც ვხედავთ, „ისტორიოგრაფიასთან“ ატრიბუტი „მედიევალური“ მჭიდროდ არის ასოცირებული.

შემდეგი, რასაც რეცენზენტი მოითხოვს ჩემგან, ისაა, რომ შევასწორო, როგორც არასწორი ფორმა, „ჰაგიოგრაფია“ „აგიოგრაფიად“.

ამ საკითხის შესახებ ჩვენს სამეცნიერო წრეებში დისკუსიის თაობაზე არაფერი მსმენია. თუმც რაც თავი მახსოვს, უფრო ზუსტად, რაც ამ ჟანრის ლიტერატურით დაინტერესება დავიწყე ანუ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თანაბრად გამოიყენებოდა ორივე ფორმა. დღესაც ამგვარი ბალანსია. მოვიყვანოთ „ჰაგიოგრაფიის“ გამოყენების მაგალითები. *ქრისტიანობის ლექსიკონში* (შეგიძლიათ იხ. ონლაინ გამოცემაც) გვაქვს „ჰაგიოგრაფია“. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში მომზადებულ და 2012 წელს დაცულ ერთ-ერთი დისერტაციის (ავტორი გ. ქისტაური, სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. ვაჩნაძე) სათაურია *წარმართული რელიქტი V–X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხურ ქრისტიანობაში*. ჟურნალ *ლიტერატურული ძიებანის* 2008 წლის №39 გამოშვებაში გამოქვეყნებულია მ. ღაღანიძის რეცენზია ე. ჭელიძის პუბლიკაციაზე შემდეგი სათაურით *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიის*

ახალი კრებული, და კიდევ იხ. პუბლიკაცია *ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები*, რედაქტორი ლევან აბაშიძე. ტომი პირველი, თბილისი, 2008.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებ-საიტზე კი ვხდებით როგორც „აგიოგრაფიას", ისე „ჰაგიოგრაფიას". ვფიქრობ, საერთო სურათის წარმოსადგენად ეს მაგალითები საკმარისია. შეიძლება მართებული იყოს დისკუსიის გამართვა ქართულად ტერმინების გადმოღების წესების შესახებ და სათანადო ნორმაზე შეთანხმება მომავალში. მაგრამ ეს საკითხი, ჩემი სტატიის ფარგლებში გადასაწყვეტი არაა. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებული შენიშვნაც არ მიმაჩნია მართებულად.

რეცენზენტის შემდეგი კითხვის ნიშანი ამ პუნქტის შენიშვნების სერიაში უზის სიტყვას „ჰაგიოგრაფიები". ეს ფორმა მე წერილში არ მაქვს გამოყენებული, მაგრამ მე ვხდები, რომ ამ შემთხვევაში რეცენზენტს კითხვის ნიშნის დასმა უნდოდა არა ამ სიტყვაზე, არამედ სიტყვაზე „ჰაგიობიოგრაფიები". აღნიშნული სიტყვა ორჯერ გვხდება სტატიაში. ერთ-ერთი შემთხვევას ზემოთ მოყვანილი ამონარიდი წარმოადგენს. მართალია, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, თუ არ ჩავთვლით ჩემივე ნაშრომებს, ამ ტერმინს ვერ იპოვის მკითხველი, მაგრამ ამის გამო მისი გამოყენება რატომ უნდა ამეკრძალოს, მართლა არ ვიცი. ძნელი მისახვედრი არაა თუ რას ნიშნავს ეს ტერმინი, მაგრამ მაინც განვმარტავ: ჰაგიობიოგრაფია არის წმინდანის ბიოგრაფია. ამ ტერმინს დიდი ხნის წინ წავაწყდი ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვ. კლიუჩევსკის ნაშრომში *Древнерусские жития святых как исторический источник*. მომეწონა და დავიწყე მისი გამოყენება. ასე რომ: ტერმინი „ჰაგიობიოგრაფია" როგორც ითქვა, სავსებით გასაგებია საგანგებო განმარტების გარეშეც და ჩემს სტატიაშიც კონტექსტის მიხედვით სწორად არის გამოყენებული. ამასთან ის ჩემი გამოგონილი არ არის. ეს ბოლო განმარტება იმისათვის მომყავს, რომ მავანი არ გაღიზიანდეს როგორ თუ საკუთარი ტერმინის დამკვიდრებას ბედავსო. ჩემ მიერ ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებით ამგვარი დამოკიდებულების სამწუხარო გამოცდილება უკვე მაქვს და იმიტომ ვამბობ.

ეს იყო ბოლო შენიშვნა შენიშვნებით „დახუნძლულ" აღნიშნულ პუნქტში. ახლა გადავიდეთ მომდევნო პუნქტზე, რომელიც ეხება თარიღების მოყვანის საკითხს:

> ნაშრომში თითქმის არ არის გამოყენებული ქრონოლოგიური მონაცემები და ისტორიული პირების ზეობის წლები (მაგ., პეტრე ქართველი (411–489), თეოდოსიოს II მცირე (408–450), ევდოკია (+460), ზენონი (474–491) და სხვ.,), რაც აუცილებელია ამ ტიპის ნაშრომისათვის.

დავიწყოთ იმით, რომ „ნაკლოვანებათა" ჩამონათვალი ფრაზას „და სხვ." კვლავაც შეიცავს. ანუ რეცენზენტი ისევ ცდილობს შექმნას შთაბეჭდილებას, რომ მოყვანილი სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

სინამდვილეში კი აი, რა ვითარებაა: სტატია არაა გადატვირთული თარიღებით, მაგრამ იმდენი ქრონოლოგიური მონაცემი კი არის წარმოდგენილი, რომ განხილული ისტორიულ ფაქტების დროში ლოკალიზებასთან დაკავშირებით მკითხველს რაიმე გაურკვევლობა არ შეექმნეს.

მაგალითად, სტატია იწყება სწორედ ქრონოლოგიური მონაცემით ანუ იმის აღნიშვნით, რომ პეტრე იბერი მეხუთე საუკუნის მოღვაწეა. პეტრეს პაპის ძმის ბაკურ რევის ძის და ბიძის ბაკურ თრდატის ძეზე საუბრისას მითითებულია, რომ ისინი მეოთხე-მეხუთე საუკუნეების მოღვაწეები არიან. ბაკურ თრდატის ძის საქართველოში დაბრუნების დროც ანუ მეხუთე საუკუნის დასაწყისი, აღნიშნულია. მოცემულია პეტრეს მეორე პაპის ძმის ანუ არჩილ რევის ძის ზეობის წლებიც – მეხუთე საუკუნის 10-იანი წლების მიწურული – ამავე საუკუნის 30-იანი წლების მიწურული. მითითებულია წმინდა სტეფანეს ნეშტის პოვნის წელი ანუ 415 და ბიზანტიის დედოფლის ევდოკიას იერუსალიმში პილიგრიმობის წელი ანუ 437/438. ამასთან დაკავშირებით ისიცაა შენიშნული, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თარიღს სხვაგვარად განსაზღვრავენ.

ასე რომ, სასკოლო სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელი სტილით, მართალია, არაა მოყვანილი ყველა მეფის ზეობის წლები, როგორც ამას გვთავაზობს რეცენზენტი, მაგრამ წარმოდგენილია ის მონაცემები, რომელიც აუცილებელია სტატიის არსის გაგების და დასმული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ჩემს სტატიას ქრონოლოგიური მონაცემების მოყვანისას ახასიათებს ერთი ტენდენცია: ბევრ შემთხვევაში მე ვერიდები ზუსტი წლების დასახელებას. ამის მიზეზი ისაა, რომ ზოგჯერ ეს წლები სადავოა. ქართველ მოღვაწეებს შეეხებათ ეს პირველ რიგში. თვით მთავარი პერსონაჟის ანუ პეტრეს ცხოვრების წლები დღეს საკმაოთოდ ითვლება. ისე მარტივად როდია საქმე, რეცენზენტს რომ ჰგონია, უპრობლემოდ რომ მიუწერა პეტრეს დაბადების წლად 411 და რჩევებს მაძლევს. ზემოთ უკვე დასახელებული ავტორის კ. ჰორნის წიგნში, რომელიც, როგორც ვთქვი, ერთ-ერთ უახლესია საკითხზე არსებულ ლიტერატურას შორის, აი, როგორი ჩანაწერია ქრონოლოგიურ ტაბულაში პეტრეს დაბადების

წელთან დაკავშირებით: „...ca 413/417. birth of Peter the Iberian (subsequent calculations are based on 417)...“ – იხ. *John Rufus: The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus*. Edited and Translated with an Introduction and Notes by C. B. Horn and R. R. Phenix. Society of Biblical literature, Atlanta, 2008, p. lxxxvi. ვთარგმნი აქვე: „...დაახლოებით 413/417. პეტრე იბერის დაბადების წელი (შემდგომი გამოთვლები დაფუძნებულია 417 წელზე)“.

ასეთივე ვითარებაა პეტრეს გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებითაც: არ არსებობს თანხმობა იმის თაობაზე, მეხუთე საუკუნის მიწურულს თუ მეექვსეს დასაწყისში გარდაიცვალა. ეს ყველაფერი რეცენზენტმა რომ იცოდეს და მართლაც დარგის ექსპერტი რომ იყოს, ასეთი სითამამით, ცხადია, ვერ მომცემდა შენიშვნას თარიღებთან დაკავშირებით და სასკოლო სახელმძღვანელოსავით ზუსტი წლებით აჭრელებულ სამეცნიერო სტატიას არ მომთხოვდა. ისე, თუ არ ვცდები, იმპერატორი ზენონი არსად მყავს სტატიაში მოხსნიებული. მაგრამ რეცენზენტი, ჩანს, ისე გაერთო წლების ამოწერით, რომ ესეც აღმოჩნდა სიაში მისთვის ასე საყვარელ „და სხვ.“ ფრაზამდე.

ჩემი გამოკვლევის მიზანი ზუსტი წლების დადგენა არ იყო. არა იმიტომ, რომ ეს არაა საინტერესო ან ამ მიმართულებით არ მაქვს ჩემი შეხედულებები ან მომავალში ძიებას არ ვაპირებ, არამედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა საკითხს ერთ სტატიაში ვერ შეეხება მკვლევარი.

დაბოლოს, უკანასკნელი პუნქტი: „სასურველი იქნებოდა პეტრე იბერის გენეალოგიური შტოს სქემის წარმოდგენა, რაც ბევრად გაადვილებდა წერილში განსახილველი საკითხების გაგებასა და წარმოჩენას“.

შეიძლებოდა, ცხადია, ამის გაკეთება, მაგრამ ანგარიშს ვუწევდი რედაქციის მიერ სტატიის მოცულობის შეზღუდვას (შევნიშნავ, რომ ნამდვილად რეფერირებადი ჟურნალების რედაქციები აუცილებლად განუმარტავენ დადგენილ წესებს მათ მიერ მოწვეულ ექსპერტებს), თანაც ამის აუცილებლობას ვერ ვხედავდი და ვერც ახლა ვხედავ სამეცნიერო სტატიისათვის, რომელიც სულ რამდენიმე ისტორიული პირის ნათესაურ კავშირის გარკვევას ისახავს მიზნად.

რეცენზია კი, აი, როგორ მთავრდება: „სტატიის (კალმის შეცდომაა: უნდა იყოს სტატია. – მ.ჩ.) შეიძლება გამოქვეყნდეს შენიშვნების გათვალისწინების შემდგომ“.

ანუ ექსპერტის საბოლოო დასკვნა მაინც დადებითია.

როგორც უკვე იცის მკითხველმა „წესებიდან“ მოყვანილი ამონარიდის საშუალებით, შენიშვნებიანი და ამავე დროს დადებითი დასკვნის მქონე რეცენზიის შემთხვევა რედაქციას გათვალისწინებული არ ჰქონია. მისი რედაქტორის განმარტებით ჟურნალი ბეჭდავს მხოლოდ შენიშვნების არმქონე სტატიებს. ამიტომაც ჩემი სტატია ასე უბოდიშოდ შემოიდო თაროზე.

ასეთია ის ისტორია, რომელიც შემემთხვა მე *ჰუმანიტარული კვლევებში* სტატიის დაბეჭდვის სურვილის გამო. მართალია, ციტნოტში, გარკვეული სტრესის პირობებში ჯერ სტატია მოვამზადე, ახლა კი იძულებული ვარ, რომ სრულიად არარელევანტურ შენიშვნებზე პასუხები ვწერო, მაგრამ მაინც არ ვნანობ, *ჰუმანიტარული კვლევების* რედკოლეგიასთან დაკავშირებულ ჩემი ცხოვრების ამ ეპიზოდს. ჯერ ერთი, უფრო ღრმად დავფიქრდი საქართველოში რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის შექმნის პრობლემაზე და მეორე, კარგი პირადი გაკვეთილი მივიღე: არასოდეს აღარ მოვიქცევი ასე წინდაუხედავად და არ წარვადგენ სტატიას იმ ქართულ ჟურნალში, რომელიც აცხადებს რომ რეფერირებადია, ვიდრე საგულდაგულოდ არ გავეცნობი რედკოლეგიის დეკლარაციას საჟურნალო პოლიტიკის შესახებ და არ გამოვიძიებ, როგორ მიმდინარეობს რეალურად რეფერირების პროცესი.

სხვებსაც იგივეს ვურჩევ.

ძალიან კარგი იქნება თუ ჩემთან დაკავშირებული შემთხვევით გაკვეთილს მიიღებს *ჰუმანიტარული კვლევების* რედკოლეგიაც და ისე არ მოექცევა მომავალში ავტორებს, როგორც მე მომექცა; კარგი იქნება თუ შეეცდება თვალი გაუსწოროს ნაკლოვანებებს და ამის გათვალისწინებით გააუმჯობესოს მუშაობა. პირადად მე მზად ვარ ჩემი გამოცდილებით დავეხმარო ამ კოლექტივს, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, არ იყო ჩემთვის უცხო ან მიუღებელი და, მიუხედავად ზემოთ აღწერილი არასასიამოვნო ფაქტისა, ეს დამოკიდებულება არ შემიცვლია. მე ამ რედკოლეგიის, მისი თითოეული წევრის გულშემატკივარი ვარ. სწორედ ამიტომაც გავისარჯე დეტალური კომენტარების წერისათვის. ეჭვი არ მეპარება, ისინიც ადექვატურად აღიქვამენ ჩემს პასუხს; დარწმუნებული ვარ იმიტომ, რომ ხალხური სენტენცია „მოყვარეს პირში უძრახე...“ ყველასაგან გაზიარებული აზრი მგონია.

Georgian Academic Environment and a Peer Reviewed Journal

Mariam Chkhartishvili

This article describes an incident that happened with the author Professor Chkhartishvili when she presented her article for publication in *Studies in the Humanities* (Annual of the Faculty of Humanities,Tbilisi State University; editor Zaza Skhirtladze). This journal has an ambition of providing an international peer review procedure.

A whole year has not been a response from the editorial board. When the author became interested about the fate of her article, she was given the review of a local anonymous reviewer (instead of promised international reviewers). According to this reviewer, the article might be accepted for publication, but only after the correcting it according to his/her critical comments. Professor Chkhartishvili informed the editor about her negative opinion concerning the comments. In the present paper she displays her counterarguments to the reviewer's criticism. Despite this she would not be able to publish the article in the forthcoming issue of *Studies in the Humanities*, since the editor has already decided to publish other papers, namely, those two articles that have not received any critical comments.

Professor Chkhartishvili thinks that this procedure of paper selection (immediate rejection papers with critical comments without hearing out the authors) is not justifiable and totally incompatible with international practice of journal papers evaluation.

She thinks that the reason of such non-academic procedure which is practiced by the editor, is not so much an ignorance in the basic principles of peer reviewing, rather in non-effective management being result of a insufficient funding: the journal does not have even one staffer. Editor as well as other members of editorial board work as volunteers.They are Professors of the University and, accordingly, very busy persons by their academic job.

The idea of peer reviewing arose from noble wish to increase responsibility of the editorial boards for published academic papers. In the case of *Studies in the Humanities* we have received the opposite situation: nobody from editorial board is responsible for the paper rejection: even the editor is pointing to anonymous reviewer.

Chkhartishili believes that for the editorial board of *Studies in the Humanities* is better to look at the truth and recognize the sad reality and seek ways to improve the situation than pretend that *Studies in the Humanities* is a peer reviewed journal.

წიგნების მიმოხილვა
Book Reviews

აკადემიური გამოცემის საუკეთესო ნიმუში.
მ. სანაძე, გ. არახამია . *VI ს. ისტორიული ქრონიკა დავით და კოსტანტინეს წამებაში*

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013

გიული ალასანია

ჩვენს წინაშეა ისტორიული ძეგლის აკადემიური გამოცემის საუკეთესო ნიმუში. წიგნი, ბუნებრივია, შეიცავს ძეგლის შესწავლის ისტორიას, გამოკვლევას, ტექსტის სხვადასხვა ხელნაწერების მიხედვით გამოცემას და ყოველივე ამის ინგლისურ თარგმანს. უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო კონტაქტების გააქტიურებასთან ერთად განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოს ისტორიისა და ისტორიული წყაროებისადმი ინტერესი. სამწუხაროდ, ქართული წყაროები, ისევე როგორც ქართველ მკვლევართა ნაშრომები, ნაკლებად არის მისაწვდომი უცხოელ მკვლევართათვის. ამის გამო, ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია საყვედურები. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი უცხოელი კოლეგები თვითონ იჩენენ ინიციატივას, აფინანსებენ ჩვენი ნაშრომების თარგმანს, გამოსცემენ და ხელმისაწვდომს ხდიან ფართო მკითხველისათვის. პროცესი დაიწყო, თუმცა ძალზე ნელა მიმდინარეობს და ხშირად უცხოელი მკვლევრები ქართულ წყაროებს ძირითადად მ. ბროსეს კომენტირებული ფრანგული თარგმანით იცნობენ, ყურადღების მიღმა რჩებათ უმდიდრესი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რომ აღარაფერი ვთქვათ მხატვრულ ლიტერატურაზე, რომელიც ამავე დროს მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროც არის და ნაკლებად იცნობენ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებსაც.

ამდენად, დღის წესრიგშია ქართული წყაროების აკადემიური, ან სამეცნიერო-კრიტიკული გამოცემა, რაშიც დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ საქართველოს ისტორიის წყაროთა კომისიას, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ბატონი რევაზ კიკნაძე ხელმძღვანელობდა.

გამოცემული და შესწავლილი ჰაგიოგრაფიული ძეგლი არც ადრე ყოფილა უცნობი ქართული ისტორიოგრაფიისათვის. მას არაერთი ავტორიტეტული მკვლევარი შეხებია და გამოუთქვამს მოსაზრება მის წყაროებზე, შედგენის თარიღზე. საანალიზო ნაშრომში ძეგლის შესწავლასთან დაკავშირებული ყველა საკითხია წარმოდგენილი, კრიტიკულად არის განხილული კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას და სხვათა შეხედულებები ჰაგიოგრაფის მიერ გამოყენებული წყაროების შესახებ. ავტორები არ იზიარებენ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ჰაგიოგრაფიული ძეგლის ავტორი იყენებს ანტიოქე სტრატეგოსის ბერძნულ ენაზე დაწერილ თხზულებას „წარტყვევნაჲ იერუსალიმისაჲ“, რომელიც ქართულ ენაზე X ს-ში არაბულიდან ითარგმნა. მათი დასაბუთებული მოსაზრებით გამოყენებულია ჯვრის გამოხსნის სიუჟეტის განსხვავებული ვერსია. დასახელებულია ერთ-ერთი სავარაუდო წყაროც – თეოფანე აღმსარებელი ან მისი წყარო. ასევე არ არის გაზიარებული მოსაზრება, რომ ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორს გამოყენებული აქვს *ქართლის ცხოვრება*, იგივე *ქართველთა ცხოვრება*, როგორც მას ავტორები უწოდებენ. წიგნში სხვადასხვა არგუმენტით არის დასაბუთებული საპირისპირო მოსაზრება, რომ *ქართლის ცხოვრების* შესაბამისი მონაკვეთისათვის მემატიანეს ერთ-ერთი წყაროა „დავით და კოსტანტინეს წამება“.

გამახვილებულია ყურადღება თხზულების შექმნის მიზეზებზე, რაც არის ბაგრატ IV-ის მიერ მოწამეთა სახელობის მონასტრის დასრულება და დავით და კონსტანტინეს წმიდა ნაწილების იქ დაკრძალვის ფაქტი. ავტორები იზიარებენ ე. გაბიძაშვილის მოსაზრებას, რომ ჰაგიოგრაფიული ძეგლის ავტორს გამოყენებული აქვს რომელიღაც ქრონიკა. ამასთანავე ავტორებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ქრონიკა ვახტანგ გორგასლის შვილების დარჩილისა და მირდატის სპარსელებთან ბრძოლას ასახავდა და მოკლედ მოგვითხრობდა არგვეთელ მთავრების მტერთან ბრძოლის, მათი შეპყრობის და დასჯის ამბავს დაკრძალვის ადგილის მითითებით.

აქვე განმარტებულია ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ყივჩაყთა მოხსენიების მიზეზი, მოყვანილია კომენტარი ჰერაკლე კეისრის ქალიშვილის ყივჩაყთა მეფის შვილზე დაქორწინების არცთუ ზუსტ ცნობასთან დაკავშირებით.

გამოკვლევაში დიდი ადგილი ეთმობა იმის დასაბუთებას, თუ როგორ მოხდა VI ს-ის შუა წლების სიუჟეტის გადატანა VIII ს-ის შუა წლებში და მისი დაკავშირება მარვან იბნ მუჰამადთან. ამისათვის

მოყვანილია სხვადასხვა ხელნაწერთა – როგორც მეტაფრასული, ასევე სვინაქსარული რედაქციების ჩვენებები. XII-XIII სს-თა ხელნაწერში აღნიშნულია, რომ დავითისა და კოსტანტინეს წამება მოხდა „დასაბამითგან წელთა ექუს ათას ორას ორმოცდა ცხრასა, ხოლო ქრისტეს ჯუარცუმითგან შჯდას ოცდაათსა, მეფობასა ბერძენთა ზედა ლეონ ისავრიისა ხატთა მბრძოლისასა, ხოლო ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლისა შვილთასა“. რაც შეეხება სვინაქსარულ ხელნაწერებს, იქაც ძირითადად მითითებულია 6249, ერთის გამოკლებით, სადაც არის 6243, ხოლო, რაც შეეხება მეორე თარიღს, ქრისტეს დაბადებიდან, აქ არის 777, 749 და 730. ერთი ხელნაწერია XII-XIV სს, ხოლო დანარჩენები – XVI-XVIII სს ავტორები მეტაფრასულ რედაქციად მიჩნეულ ტექსტში დაშვებულ შეუსაბამობას თარიღებში – 6249 და 730, ხსნიან იმით, რომ დედანში მოცემული იყო მხოლოდ პირველი თარიღი, ხოლო მეორე დაუმატა XI ს. ავტორმა, რომელმაც მომხდარი ამბები მურვან ყრუს და, შესაბამისად, ლეონ ისავრიელს დაუკავშირა. თუ რატომ დაუკავშირა მან მის წყაროში გადმოცემული ამბები VIII ს., ამის სხვადასხვა, საკმაოდ დამაჯერებელი ახსნა აქვთ ავტორებს.

ავტორები განიხილავენ ჰერაკლე კეისრის დროინდელ ამბებსაც, კომენტარს უკეთებენ თითოეულ ცნობას, ადგენენ მისი სანდოობის ხარისხს, განმარტავენ უზუსტობების მიზეზებს.

დავითისა და კოსტანტინეს ცხოვრების და *წამების* თარიღის დადგენას ავტორები სხვადასხვა მონაცემით ცდილობენ. მათი აზრით, სავსებით სანდო საყრდენია ამ შემთხვევაში თხზულების სათაური: „...რომელნი იწამნეს... საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად მიცვალებისა დიდისა მის და მაღლისა მეფისა ვახტანგ გორგასალისსა, რომელმან მეფობაჲ ყოვლისა ქუეყანისაჲ საფლავად შთაიტანა“. გარკვეულია ვახტანგ გორგასლის შვილების სახელებიც, მირი (მირდატი) და დარჩილი. ამ შემთხვევაში სანდოდ არის მიჩნეული ჰაგიოგრაფიული ძეგლის ერთადერთი სვინაქსარული ვარიანტის ჩვენება. ვრცელი, ისევე როგორც სვინაქსარული რედაქციის ყველა ხელნაწერი, ვახტანგის შვილებად არჩილსა და დარჩილს ასახელებს, რაც გამოკვლევაში გადამწერის შეცდომადაა მიჩნეული. „როგორც ჩანს, აგიოგრაფიული თხზულების ყველა ხელნაწერი ერთი ნუსხიდან მომდინარეობს, სადაც სახელი „მირი“ უკვე არჩილით იყო ჩანაცვლებული“ – ასკვნიან მკვლევრები.

ავტორების აზრით, წყარო, რომელიც დაედო საფუძვლად XI ს-ის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, დავითისა და კოსტანტინეს დამსჯელის სახელს საერთოდ არ იცნობს. იგი იხსენიებოდა როგორც „ძლავრი“, რომელიც ქრისტიანებს ებრძოდა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მას „სპარსი“ ეწოდებოდა. ის იყო „წარმართი“, „ბილწი“ და „უსჯულო“. ავტორების აზრით, ასეთები XI ს-ის შუა წლების ავტორისათვის მხოლოდ მუსლიმი არაბები იყვნენ და ამიტომ მან „სპარსს“ „არაბი“ მიუმატა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გამოკვლევაში თხზულების დათარიღებაზე მსჯელობა. მკვლევრები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ VI-X სს-ში ძირითადად გამოიყენებოდა ქართული დასაბამითგანი – 5604, XI ს-დან კი ძირითადად ანგარიშობდნენ ბიზანტიური დასაბამითგანით – 5508. ავტორები ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად ტექსტში მითითებული იქნებოდა „ექვსი ათას ასორმოცდა ცხრა“ წელი, რაც VI ს-ში გავრცელებული დასაბამითგანის მიხედვით 545 წელს შეესაბამებოდა. XI ს-ში კი იმხანად საქართველოში გავრცელებული ბიზანტიური დასაბამითგანით – 5508 გამოდიოდა 641 წელი, რაც XI საუკუნის ავტორმა მის ვარაუდთან შეუსაბამოდ მიიჩნია და თარიღში „ასი“ „ორასით“ შეცვალა, რის შედეგადაც მიიღო ექვსი ათას ორას ორმოცდაცხრა, ანუ 741 წელი.

„ასე, ხელის ერთი მოსმით „სპარსელები“ არაბებად, სპარსთა ლაშქრის სარდალი, ვინმე „მძლავრი“ მურვან ყრუდ, დავითი და კოსტანტინე VIII ს-ის 30-იან წლებში მოღვაწე პირებად იქცნენ“.

ავტორების კიდევ ერთი ვარაუდი ამ მოსაზრების სასარგებლოდ არის ვახტანგ გორგასლის შვილებისა და სტეფანოზ III-ის შვილების სახელების დამთხვევა – მირი (მირდატი) და არჩილი.

ავტორები ტექსტის დეტალური ანალიზის დროს ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ აქ ხშირად იხსენიებიან მოგვები და მისნები, რასაც ისევ და ისევ ზოროასტრულ სამყაროსთან მივყავართ და არა არაბებთან. აქვე განმარტებულია, თუ ვინ არიან ტექსტში მოხსენიებული აბაშები, რომლებიც მურვან ყრუს ლაშქარში იბრძვიან. ავტორების აზრით, აბაშების მოხსენიება კვლავ მიუთითებს ვახტანგ გორგასლის მეფობის წლებთან სიახლოვეზე. როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასალი სპარსეთის შაჰთან ერთად ინდოეთში სწორედ აბაშებს ებრძოდა, რომელთა ნაწილი გამარჯვებულმა შაჰმა სპარსეთში გადმოასახლა. მსგავსი გონებამახვილური დაკვირვებებითა და ვარაუდებით, და ტექსტის შედარებითი ანალიზით ავტორები მიდიან საბოლოო დასკვნამდე, რომ არგვეთელი წმინდანები დავითი და კოსტანტინე ცხოვრობდნენ და ეწამნენ სპარსეთ-ბიზანტიის ოცწლიანი ომის მსვლელობისას (541-562) სპარსეთის შაჰის 545 წლის შემოსევის დროს, ქართლში ვახტანგ გორგასლის შვილების, დარჩილისა და მირის (მირდატის) წლებში.

ავტორები ეთანხმებიან ე. გაბიძაშვილის ვარაუდს, რომ მეტაფრასულად წოდებული ტექსტის შექმნა თანადროული უნდა იყოს ტაძრის აშენებისა და წმინდანთა ნეშტის იქ გადმოსვენების ფაქტისა, ხოლო თვით ტაძრის მშენებლობა XI ს. 40-იან წლებში უნდა დაწყებულიყო და 50-იანი წლების მეორე ნახევარში დასრულებულიყო.

ჰაგიოგრაფიული ძეგლის ავტორმა შეცდომა დაუშვა, როდესაც VI ს-ის მოვლენები VIII ს-ის პირველ ნახევარში გადაიტანა, რაც მოგვიანებით გაიმეორა *ქართლის ცხოვრების* შესაბამისი მონაკვეთის ავტორმა ანუ ლეონტი მროველმა.

ა. ბოგვერაძის მსგავსად, ნაშრომის ავტორთა აზრითაც, *ქართლის ცხოვრების* ე.წ. „მატიანე ქართლისაჲს“ მონაკვეთი ბაგრატ IV-ის მეფობის ჩათვლით ლეონტი მროველს ეკუთვნის და მემატიანემ, რომელიც თავის ნაშრომს XI ს-ის 70-იან წლებში ქმნიდა, შესაბამის მონაკვეთში გამოიყენა XI ს-ის შუა წლებში დაწერილი ჰაგიოგრაფიული თხზულება *დავითის და კოსტანტინეს წამება*, რომელიც მის ხელთ არსებულ მასლამა იბნ აბდალ მალიქის ბრძოლის (714-716 წწ) ამსახველ ქრონიკას შეურწყა.

ავტორები სვამენ შეკითხვას: რატომ არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ თხზულებაში დარჩილი და არჩილი დაბეჭითებით ვახტანგ გორგასლის შვილებად იწოდებოდნენ და მათ მხოლოდ მის შთამომავლებად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ამის მიზეზი სამეცნიერო ლიტერატურაში შეთავაზებული ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების არასწორი თარიღებია: (491-502). აღსანიშნავია, რომ წიგნის ერთ-ერთი ავტორის, მ. სანაძის ადრე გამოქვეყნებული გამოკვლევის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი, რომელიც, ისევე როგორც ადრე ეს იყო კირილ თუმანოვის ნაშრომში, გაიგივებულია სპარსეთის წინააღმდეგ 523 წლის აჯანყების ლიდერთან, ქართლის მეფე გურგენთან, 527 წელს გარდაიცვალა.

როგორც აღინიშნა, წიგნი გვთავაზობს ჰაგიოგრაფიული ძეგლის ტექსტის გამოცემას სამი ხელნაწერის მიხედვით: ვრცელი, მეტაფრასულად მიჩნეული და ხუთი სვინაქსარული სხვა ხელნაწერებიდან კითხვასხვაობების მითითებით.

ნაშრომი შეიცავს დეტალურ კომენტარებს, სადაც ავტორები მიუთითებენ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში დაშვებულ ზოგიერთ უზუსტობას, განმარტავენ ამის მიზეზებს, ავსებენ წარმოდგენილ ცნობებს, რაც ასევე სასურველია, ვინაიდან ნაშრომი ძირითადად სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი.

გამოცემული წიგნი კარგი საჩუქარია არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურით დაინტერესებული პირებისთვის. კარგი იქნება, თუ გამოცემა გახდება მისაბაძი მაგალითი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ხელახალი გამოცემებისთვის.



The Best Example of Academic Publication

M. Sanadze, G. Arakhamia

The 6th Century Historic Chronicle in the Martyrdom of Davit and Kostantin

Georgian University Publishing, Tbilisi, 2013

Giuli Alasania

The new book by Professors M. Sanadze and G. Arakhamia is devoted to the investigation of Georgian hagiographical writing the *Martyrdom of St. Davit and Kostantin* from the point of source criticism. The authors present detailed history of study of the monument, their own investigation, which is distinguished by novelty of the data interpretation. The text of the writing grounded on testimonies of various manuscripts and accompanied with relevant commentaries is published. Full English translation of the monument is provided as well.

According to the reviewer Professor Giuli Alasania, this is an exemplary academic publication which would be useful not only for specialists in field, but also for students and general readers interested in Georgian history and literature.

ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი

ბონდო არველაძე

ენციკლოპედიური ლექსიკონებით მაინცდამაინც განებივრებული არ ვართ, მაგრამ ისტორიული მეცნიერებისათვის მის საჭიროებასა და აუცილებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყოველი ასეთი ნაშრომის გამოცემა ყურადსაღები და მისასალმებელია, მითუმეტეს, თუკი ის მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და აკადემიურ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. სწორედ ასეთი ნაშრომია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში 2012 წელს გამოცემული ენციკლოპედიური ლექსიკონი *კავკასია ქართულ წყაროებში (უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები).* ნაშრომის ავტორები არიან: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი); ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ეკა კვაჭანტირაძე (პროექტის მენეჯერი); ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ქეთევან ნადირაძე; ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი თამარ ქორიძე. მთავარი რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ გოილაძე.

ამ ტიპის ენციკლოპედიური ლექსიკონი პირველია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის ორიენტირებულია სამეცნიერო საზოგადოებას გააცნოს შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაცია კავკასიის ქვეყნების, გეოგრაფიული პუნქტების, ტომების და ისტორიული პირების შესახებ (საქართველოს გარდა). ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ამ პრობლემას იკვლევდნენ, მაგრამ ფრაგმენტულად. არსებობს გამოკვლევები უცხო ტომთა შესახებ, მაგრამ ისინი, ხშირ შემთხვევაში ერთ რომელიმე წყაროში დაცულ ინფორმაციას იხილავენ და არა ქართულ წყაროთა მთელ სპექტრს, ან კვლევა ჩატარებულია ერთი რომელიმე ქვეყნის შესახებ, ამასთან წყაროთმცოდნეობით ბაზას უმეტესად წარმოადგენს მხოლოდ ნარატიული წყაროები. ამ ახალი ნაშრომის შექმნით კი ჩვენს ხელთაა სრულიად ახალი ტიპის მასალა მოძიებული, სისტემატიზებული, შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი ანალიზით და თანმიმდევრულად გადმოცემული მეცნიერული გამოკვლევებითა და კომენტარებით – კავკასიისა და კავკასიელების შესახებ ყველა ტიპის შუასაუკუნოვანი ქართული წერილობითი წყაროს მიხედვით.

ავტორებს ფართო და შრომატევადი მეცნიერულ-შემკრებლობითი სამუშაო შეუსრულებიათ. მათ შეუსწავლიათ ნარატიული ძეგლები, საგვარეულო მატიანეები, ისტორიული ქრონიკები, დოკუმენტური წყაროები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა. აქვე შევნიშნავ, რომ სასურველი იყო ავტორებს ჯავახეთის, მესხეთის და ქვემო ქართლის ეპიტაფიებიც მოეძიებინათ. ეს ამ მხარეების ისტორიის ბევრ საინტერესო საკითხს მოფენდა ნათელს. მთელი მასალის ქრონოლოგიური ჩარჩო

მოიცავს V-XVIII საუკუნეებს. ლექსიკონი თარგმნილია ინგლისურ ენაზე, რაც უცხოენოვან მკითხველს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს მისთვის ხშირ შემთხვევაში უცნობ ქართულ წყაროთა მონაცემებს, უცხოელი მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს კავკასიურ სახელმწიფოთა, ტომთა და ისტორიულ პირთა შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში დაცული მასალა, რათა გამოიყენონ ისინი კავკასიური კვლევებისათვის. ლექსიკონს ერთვის გეოგრაფიულ სახელთა განმარტებები, ტერმინთა ლექსიკონი, ბიბლიოგრაფია.

ენციკლოპედიური ლექსიკონი გამოირჩევა შესრულების მაღალი მეცნიერული დონით. სტატიები პასუხობს ენციკლოპედიური ლექსიკონის მკაცრ მოთხოვნას: მოკლედ, მაგრამ ამომწურავად წარმოადგინოს შესაბამისი თემატიკა. ამასთან აღსანიშნავია ყველა სტატიისათვის საერთო არქიტექტონიკა, რომელსაც მკითხველისათვის გასაგები და მისაღები ფორმით წარმოადგენენ ავტორები. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე სტატია. დავიწყოთ *ანკით*. ის იყო III-IV სს სომეხი დიდგვაროვანი მოღვაწე, გროგოლ განმანათლებლის მამა. ამ ისტორიული პირის დამსახურება კომპაქტურად და ზუსტად არის წარმოდგენილი, ვერც დააკლებ და ვერც დაამატებ. ეს არის ენციკლოპედიური ლექსიკონის პირველი მოთხოვნა, რაც სათანადოდ არის შესრულებული. ამგვარი სიზუსტით და მოკლედ არის მოცემული *ანელი ხუცესების* ისტორია, რომელნიც იხსენიებიან 1218 წლის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეტიფანეს (1210-1220) განჩინებაში. რაც შეეხება *შუშანიკის* შესახებ სტატიას, მასში ყველა წყაროა აღნუსხული და ბიბლიოგრაფიულად სრულია. მაგრამ შუშანიკის წამება თუ ბაკურის ხანაში მოხდა, ვფიქრობთ, მეტ მტკიცებულებას საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ შუშანიკი წმინდანად ჯერ ქართულმა ეკლესიამ შერაცხა, მერე კი – სომხურმა. მოკლედ და სხარტად გადმოცემის ნიმუშია სტატია მაჰმად-ხანის შესახებ, რომელიც იყო ერევნის ხანი XVIII ს-ში. XVIII ს-ის 70-იანი წლების სომეხი მეწარმე მიკირტუმ ტაკუევის შესახებ წყაროთა მონაცემები საინტერესოდ არის წარმოდგენილი. ერთი ისტორიული საბუთის მიხედვით მიკირტუმ ტაკუევს ერეკლე II მადლობას უხდის სპილენძის საბადოების გახსნისა და დამუშავებისათვის. სტატიაში მითითებული არ არის სპილენძის საბადოს ადგილი – ახტალა. განძასარის სომეხთა კათალიკოსის შესახებ სტატიაში ყველაფერი სწორადაა ნათქვამი, მაგრამ მითითებული არ არის სახელი.

ქართული წერილობითი წყაროებიდან საინტერესო მასალაა ამოკრებილი და თავმოყრილი *ერევნის* შესახებ. ისტორიულ წყაროებში ერევანი VI საუკუნიდან ფიქსირდება. რა თქმა უნდა, არ არის გასათვალისწინებელი ერევნის დაარსების 2750 წლის იუბილეს აღნიშვნა სომეხთა მიერ. სომეხი არქეოლოგების მიერ „აღმორჩენილი“ წარწერიანი ქვა, რომელშიც ერებუნია ნახსენები მაშინვე ეჭვის ქვეშ დადგა, მაგრამ ერევნელმა მეცნიერებმა იგნორირება გაუკეთეს ამ საფუძვლიან ეჭვს, ერევანი გააიგივეს ერებუნთან და იზეიმეს 2750 წლის იუბილე. ეს გრძელი ისტორიაა და აღარ გავყვები. ფაქტი ერთია – ქართული და არა მარტო ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით ერევანში გვიან ფეოდალურ ხანაში მუსლიმი მოსახლეობა რიცხობრივად გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სომხური. ეს იყო მაჰმადიანური ქალაქი, რომელიც მიზგითებით იყო მოფენილი. ეს მიზგითები მიწასთან იქნა გასწორებული მუსლიმთა კვალის წაშლის მიზნით. მაგრამ არსებობს დოკუმენტური მასალა, რომელიც მოწმობს მრავალი მიზგითის არსებობას ერევანში (ფუად ახუნდოვი. ფალსიფიკაციის დამანგრეველნი. ბაქო, 2012, ტ. 1, გვ. 12-13). აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სომხური წარმომავლობის ამერიკელი მეცნიერის, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორის როლანდ სიუნის 1997 წელს ერევანში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლა. თავის მოხსენებაში ის აღნიშნავდა ერევნის მუსლიმურ ქალაქად არსებობის ფაქტს, რასაც საშინელი რეაქცია მოჰყვა დამსწრე საზოგადოებიდან. სომეხ მეცნიერებს გაგონებაც არ უნდათ იმის, რომ ერევანი კარგა ხანს იყო მუსლიმური ქალაქი და მას ხანი მართავდა, რომელიც ერეკლე II-ის ვასალი იყო. ენციკლოპედიური ლექსიკონის სტატიაში ქართული წყაროების მიხედვით ერევანი მაჰმადიანურ ქალაქადაა ნაჩვენები. ეს ისტორიული ფაქტია და სომხებს მასთან შეგუება მოუწევთ.

სტატიაში *სომხები* ვრცლად არიან წარმოდგენილნი, როგორც ერთ-ერთი უძველესი მოსახლეობა კავკასიაში. სომხები კავკასიაში რომ მოსულები არიან, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. სტატიაში იშვიათი გულმოდგინებით არის თავმოყრილი და, შესაბამისად, მითითებული ქართული წყაროები, რომლებშიც სომხები იხსენიებიან. აქ დასამატებელი არაფერია, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას. მასში აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აოხრება მოკლედ არის აღწერილი. იქნებ სჯობდა აღა-მაჰმად-ხანის შესახებ სტატია ცალკე ყოფილიყო გატანილი. სტატიაში აღნიშნულია – „1795 წლის 10 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანმა სომხების მელიქ მეჯნუნის და იაკობ ბებუთაშვილის (ბებუთოვი) რჩევით თბილისის მიდამოები დაათვალიერა და კრწანისის ველზე ერეკლე II-ის ჯარს თავს დაესხა. აღა-მაჰმად-ხანთან მყოფმა სომხებმა საშვილიშვილო საქმე ითავეს (ხაზგასმა ჩვენია, – ბ.ა.). მელიქ მეჯნუნმა სპარსელების

ჯარი კოდა-თელეთზე გაატარა და სოლოლაკს მიადგა. 11 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ განჯის ხანს და სომხებს არ ეძინათ. იოსებ მისკარბაშმა და არტემ არარატიანმა ერეკლეს მიერ დატყვევებული აღა-მაჰმად-ხანის ელჩები გააპარეს და მათი დახმარებით მტერს ყველაფერი შეატყობინეს. აქ ყოველივე დოკუმენტური მასალის მიხედვით არის გადმოცემული, მაგრამ ფიგურალური თქმა „საშვილიშვილო საქმე ითავეს“ იტყვიან, როცა სანაქებო, მამაცურად საარაკო საქმეს ითავებს ადამიანი. აღა-მაჰმად-ხანთან მყოფმა სომხებმა კი გაუგონარი უმადურობა და მიუტევებელი ღალატი ჩაიდინეს საქართველოს მიმართ. ამ ღალატის შედეგი იყო ქართველთა დამარცხება კრწანისის ველზე, რასაც მოყვა სავალალო შედეგი – რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია და ბაგრატიონთა სამეფო ტახტის გაუქმება. ამდენად, ეს გამოთქმა ამ კონტექსტში არასწორად არის ნათქვამი, რაც, რა თქმა უნდა, უნებლიე შეცდომაა. იოსებ მისკარბაშისა და არტემ არარატიანის ღალატზე საუბრის გაგრძელებაც არ ღირს. ეს ისედაც საყოველთაოდ არის ცნობილი. ყარაბაღის მელიქები – მეჯნუნები, გვარად იყვნენ შაჰნაზაროვები. მელიქობა მათ ერეკლე II-მ უბოძა. მათ აღა-მაჰმად-ხანი მოკლე გზით წაიყვანეს თბილისის ასაოხრებლად. სომეხი ისტორიკოსი ქიშმიშევიც კი გაოცებული იყო ამ კაენის ნაშიერთა უმადურობით და ღალატით.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ტოპონიმმა *ქურდევანი*. ამ ტოპონიმის გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართოა. ქურდევანი არის დასავლეთ სომხეთში, ვანის გავარში. ქურდევანია სოფელი ელისავეტაპოლის ნაჰანგის, ღაზმას გავარში. ამ ტოპონიმის ძირიდან არის ნაწარმოები ქურდივი, ქურდათაფი, ქურდოსმანი და სხვ. ქურდ ეწოდება მდ. ჭოროხის მარჯვენა შენაკადს (სომხეთისა და მისი მიმდებარე რეგიონების ტოპონიმთა ლექსიკონი, ტ. V, ერევანი, 2001, გვ. 450-451 (სომხურ ენაზე). აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით ქურდ უნდა იყოს რომელიღაც გადაშენებული ხალხის ეთნიკური სახელი. აქედან მოდის ქართული გვარები ქურდაძე, ქურდიანი, ქურდოვანიძე და სხვ.

შაქის სახანოს პირველი დამაარსებლის აჯი-ჩალაბის (ჰაჯი ჩელები ოღლუ 1743-1755) შესახებ სტატია მრავალმხრივია და მდიდარი ინფორმაციის მომცველია, იმდენად სრულყოფილადაა გადმოცემული, რომ ვერც ვერაფერს დაამატებ, ვერც მოაკლებ. საგანგებოდ გვსურს აღვნიშნოთ: მართალია, ჩერქეზეთის შესახებ სტატიას ვერაფერს დაუწუნებთ, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა რუსების მიერ ჩერქეზების გენოციდზე გაკვრით მაინც აღნიშნულიყო.

ყველა ქართული ისტორიული წყარო, სადაც ყარაბაღია მოხსენებული, სრულად არის წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, ყარაბაღის შესახებ ასეთი ლაკონიური და თან ამომწურავი სტატია იშვიათია, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის დახმარებით სომხეთის მიერ ყარაბაღის ოკუპაციაზე ინფორმაცია შეიძლებოდა დამატებულიყო.

საყურადღებო სტატიაა ხოჯა ბერბუთის შესახებ, რომელიც XVII ს-ის 50-იან წლებში იყო თბილისის ზარაფი (ფულის გადამხურდავებელი). მან ქართლის მეფეს როსტომს (1632-1658) სთხოვა მახათას მთის ძირში მდებარე ვაკე ადგილი სასაფლაოდ თავისი ახლობლებისთვის, მეფე როსტომმა თხოვნა შეუსრულა და დაუმტკიცა ბეჭდით. შემდეგ იქცა სომეხთა სასაფლაოდ, რომელსაც უწოდებდნენ ხოჯავანქის სასაფლაოს. აქ იყო საფლავი საიათნოვას მეუღლის – მარმარასი, დაშნაკური პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ზავარიანის და სხვ. ხოჯავანქის ეპიტაფიები გადმოიღო და გამოსცა კომენტარებით ე. ერემიანმა (1907). საბჭოთა პერიოდში, XX ს-ის 20-იან წლებში ხოჯავანქის სასაფლაო გააუქმეს და გააშენეს მშრომელთა დასასვენებელი ბაღი, შემდეგ მეგობრობის ბაღი უწოდეს. მიღებული იყო გაუქმებული სასაფლაოს ადგილას ან ბაღის გაშენება, ან ეკლესიის აშენება. აქ აშენდა წმ. სამების ტაძარი. სომეხ ისტორიკოსს სამველ კარაპეტიანს ჰგონია, ბოლშევიკებმა ხოჯავანქის სასაფლაო იმიტომ გააუქმეს, რომ ის სომხების იყო (საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები, ერევანი, 2001, გვ. 51 (სომხურ ენაზე). ბოლშევიკებს ნამუსს არ ვწმენდთ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. გასული საუკუნის 20-იან წლებში წითელმა ათეისტებმა მარტო სომხური ხოჯავანქის სასაფლაო კი არა, ქართველთა ვერის სასაფლაოც გააუქმეს, დასასვენებელი ბაღი გააშენეს, ხოლო მოგვიანებით ჭადრაკის სასახლე ააშენეს. ამ სასაფლაოების საფლავთა ქვები იმელის, ჩელუსკინელების ქუჩის და ხიდის მშენებლობას მოახმარეს. ასე რომ, ბოლშევიკებს თბილისში სასაფლაოების და ეკლესიების გაუქმება-განადგურება არანაირი ეროვნული ნიშნით არ ჩაუტარებიათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი რამ მათ არ გააჩნდათ.

კიდევ შეიძლება არაერთი სტატიის განხილვა, მაგრამ სანიმუშოდ უკვე მოყვანილი მასალაც კმარა. მათში კარგად ჩანს ავტორთა პროფესიონალიზმი, შესაბამისად, ამ ლექსიკონის მაღალი მეცნიერული დონე და, რაც მთავარია, მისი მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის. მას ინტერესით გაეცნობიან არა მარტო სპეციალისტები, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოებაც. ავტორებმა

სასურველია ამ მხრივ გააგრძელონ მუშაობა და გამოსცენ ენციკლოპედიური ლექსიკონი *საქართველო კავკასიურ წყაროებში.*



An Important Contribution to Georgian Historiography

Bondo Arveladze

Encyclopedic dictionary *Caucasus in Georgian Sources (Foreign States, Tribes, Historical Figures)* was published under financing of Shota Rustaveli National Science Foundation in 2012. The authors of this publication are Professors: Giorgi Otkhmezuri, Eka Kvachantiradze, Ketevan Nadiradze, Tamar Koridze, The editor is doctor of history Vakhtang Goiladze.

This type of dictionaries is relatively rare in Georgian historiography. Meanwhile they are very helpful for specialists, students and general readers. The book under the analysis contains detailed information of Georgia sources on Caucasian states, tribes, personalities. The entries are made with due professional excellence. The reviewer, doctor in philology Bondo Arveladze, thinks that this work has to be continued by the new publication like *Georgia in Caucasian Sources.*

ჰაინრიხ რორბახერი. *საქართველო: გერმანულენოვანი მწერლობის ბიბლიოგრაფია კარლ ჰორსტ შმიდტის წინასიტყვაობით*

ვისბადენი: ჰარასოვიცის გამომცემლობა, 2008

ალექსანდრე თვარაძე

2008 წელს ვისბადენში (გერმანია) გამოიცა ჰაინრიხ რორბახერის წიგნი, გერმანულენოვანი მწერლობის ბიბლიოგრაფია საქართველოზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა გასწია ფასდაუდებელი შრომა. თვითონ რორბახერი ფილოლოგი არ ყოფილა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყო სამხედრო ტყვე საქართველოში. შემდეგ თავისი ძირითადი სამუშაოს პარალელურად (რომლის შესახებაც, სამწუხაროდ, ინფორმაციის მოძიება ვერ შევძელი), აგროვებდა მასალებს საქართველოს შესახებ. მონოგრაფია მოიცავს 495 გვერდს. მასალა დაყოფილია თემატურად. აქ ვხვდებით როგორც ორიგინალური ხასიათის თხზულებების, ასევე სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას. აღნიშნული წიგნი გახლავთ ჰაინრიხ რორბახერის მონოგრაფიის მეორე გამოცემა. წიგნის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1981 წელს ბონში. ახალი გამოცემა მოცულობით დაახლოებით სამჯერ დიდია, ვიდრე პირველი. 1981 წლის გამოცემაში იყო 2.086 ბიბლიოგრაფიული მონაცემი, ხოლო ახალ გამოცემაში მოცემულია 7.236 ბიბლიოგრაფიული ერთეული. წიგნი შინაარსობლივად დაყოფილია ათ ერთეულად. ბიბლიოგრაფიის თემატიკა არის უაღრესად მრავალფეროვანი. აქ ვხვდებით ბიბლიოგრაფიულ მასალებს გეოგრაფიიდან, გეოლოგიიდან, მინერალოგიიდან, პალეონტოლოგიიდან, გეომორფოლოგიიდან, ნიადაგმცოდნეობიდან, ბიოლოგიიდან, ეკონომიკიდან, პოლიტიკური გეოგრაფიიდან, ისტორიული გეოგრაფიიდან, კავკასიის აღწერილობებიდან, მოგზაურობებიდან, კულტურის ზოგადი ისტორიიდან, ადრეული თუ ახალი ისტორიიდან, ეთნოლოგიიდან, სოციალური მეცნიერებებიდან, სტატისტიკიდან, რელიგიიდან და ეკლესიიდან, ქრისტიანული თუ არაქრისტიანული რელიგიებიდან, ტრანსკავკასიაში მცხოვრები გერმანელების ისტორიაზე და მრავალი სხვა თემიდან.

ჰაინრიხ რორბახერის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა დიდად დაეხმარება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს.



Heinrich Rohrbacher. *Georgien: Bibliographie Des Deutschsprachigen Schrifttums,* Mit Einem Vorwort Von Karl Horst Schmidt,

Wiesbaden: Harrassowitz Verlag, 2008

Aleksandre Tvaradze

Heinrich Rohrbacher published in Germany an important bibliography about German-speaking sources concerning Georgia. The Bibliography comprises 7. 236 items on Geography, Geology, History, Ethnology, Religion and many other fields.

დავით ყოლბაია და ქართველოლოგია პოლონეთში

ქეთევან მანია

ქართული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზღვარგარეთული კულტურის ცენტრები. მათი საქმიანობის ასახვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნული თვალსაზრისით ფრიად საინტერესო ნაშრომი *მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის*, გამოქვეყნდა 2012 წელს ჟ. ფეიქრიშვილისა და ი. ვაშაკიძის ავტორობით (ფეიქრიშვილი, ვაშაკიძე 2012: 204-226), რომელშიც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის – იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია, ნორვეგია – ქართველოლოგიური ცენტრების როლი ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში, მათ შორის, წარმოჩენილია პოლონური ქართველოლოგიის წვლილიც. თავისთავად შრომატევადი სამუშაოა შესრულებული და დაინტერესებულ მკითხველს აძლევს საყურადღებო ინფორმაციას საზღვარგარეთული ქართველოლოგიის განვითარების შესახებ. ქრონოლოგიური თვალსაზრისით მონაცემები მოდის 2007 წლამდე. თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისეთი საგულისხმო ცნობები არის ყურადღების მიღმა დარჩენილი, როგორიცაა ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური კრებული და მისი დამაარსებლის ამავე უნივერსიტეტის ქართველი პროფესორის დავით ყოლბაიას მიერ გაწეული მეტად ნაყოფიერი საქმიანობა. როგორც ჩანს, ავტორთათვის ცნობილი არ იყო პროფ. დ. ყოლბაიას ამ კუთხით დამსახურება. თუმც ზემოთ ხსენებულ პუბლიკაციაში მოცემულია პროფესორის მიერ თარგმნილი ქართული საისტორიო წყაროს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შესახებ ინფორმაცია.

შევეცდები შევავსო აღნიშნულ პუბლიკაციაში არსებული ხარვეზი. წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენ პოლონური ქართველოლოგიის განვითარების მოკლე ისტორიას უკანასკნელ ოცწლეულში.

საკითხის ანალიზს შევუდგები 1991 წლიდან, როდესაც პროფ. დ. ყოლბაია იწყებს მოღვაწეობას ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე (1990 წელს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ). სწორედ, ამ პერიოდიდან აქტიურ ფაზაში შედის ქართველოლოგიური კვლევა-ძიება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართველი პროფესორი. იგი ამავე წელს აარსებს ქართველოლოგიურ ჟურნალს *პრო გეორგია*[1] აქედან მოყოლებული დღემდე ჟურნალში ქვეყნდება ქართველოლოგიური საკითხების ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი, ლინგვისტური, ფოლკლორული ანალიზი თავიდან პოლონურ ენაზე, შემდგომში დაემატა ინგლისურენოვანი, გერმანულენოვანი, ფრანგულენოვანი გამოკვლევები. დავით ყოლბაიას მონდომებით, სისტემატიური ხასიათი მიიღო ვარშავის უნივერსიტეტში ქართული თემატიკის შესწავლამ პოლონელ მემატიანეთა და ჟამთააღმწერელთა, დიპლომატთა და მოგზაურთა, კათოლიკე-მისიონერთა და მწერალთა ნაშრომებში. ჟურნალში ინტენსიურად იბეჭდებოდა აღნიშნული საკითხების

კვლევისადმი მიძღვნილი სტატიები. ამდენად, დიდია ჟურნალის როლი ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

2002 წლიდან ქართველოლოგიური კვლევა-ძიების გააქტიურებას ხელს უწყობდა ვარშავის უნივერსიტეტში შექმნილი კავკასიური კვლევების მუდმივი სემინარი და წმ. გრიგოლ ფერაძის [2] ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც დღემდე პროფ. დ. ყოლბაიას ხელმძღვანელობით იმართება წმ. გრიგოლ ფერაძის ხსენების დღეს ანუ 6 დეკემბერს. [3] როგორც წმ. გრიგოლ ფერაძის თხზულებათა კრებულის პირველ წიგნს წამძღვარებული ვარშავის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის [4] წინამძღვრის, ჰენრიკ პაპროცკის წინასიტყვაობიდან ვიტყობთ, სწორედ პირველ კონფერენციაზე დასმულა წმ. გრიგოლ ფერაძის შრომების კრებულის გამოცემის საკითხი. პროფ. დ. ყოლბაიას მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, დღეისათვის უკვე მკითხველთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომია წმ. გრიგოლ ფერაძის შრომების პირველი წიგნი (ყოლბაია 2012). კრებული გამოქვეყნდა მისი ყოვლად უსამღვდელოსობის სამთავისის და გორის მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავას) ლოცვა-კურთხევით. ამ მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომის გამოცემამდე მკვლევარს გამოქვეყნებული აქვს გამოკვლევა *წმ. გრიგოლ ფერაძე და ბერ-მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში* (ყოლბაია 2009: 202-211) . [5]

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნებოდა წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში (პოლონელ და გერმანელ მკვლევრებს შორის). წმინდანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის მამა ჰ. პაპროცკის, ქართველ მკვლევრებს თ. ჭუმბურიძეს, გ. ჯაფარიძეს, ნ. პაპუაშვილს, ასევე გერმანელ მკვლევრებს: შ. ხოტივარი-იუნგერს, ი. რაისნერს, ჰ. კაუფჰოლდს, ლ. ფიშერს და სხვებს. სრულიად გამორჩეულია პროფ. დ. ყოლბაიას თაოსნობით გამოცემული შრომების კრებული. იგი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ გამოცემას.

შრომების კრებულს წინ უძღვის წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი წერილი (გამოკვლევა ეკუთვნის დ. ყოლბაიას), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი მონაცემების გარდა, ეფუძნება ვარშავის მიტროპოლიის არქივში დაცულ აქამდე უცნობ დოკუმენტურ მასალას. ნაშრომის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს წმ. გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით მეცნიერის მიერ ლონდონში არსებულ პოლონეთის ბიბლიოთეკაში გამოვლენილი ახალი მასალების პუბლიკაცია. ეს გარემოება აქამდე უცნობი დეტალებით ავსებს და ამდიდრებს წმ. გრიგოლ ფერაძის მრავალმხრივი საქმიანობის ამსახველ ბიოგრაფიულ მონაცემებს.

კრებული იწყება წმ. გრიგოლ ფერაძის ავტობიოგრაფიული წერილებით. პირველი წერილი *მეგობრისწერა* გადმოგვცემს ფერაძეების გვარის შთამომავლობითი ხვედრის – სულთა მწყემსობის სასწაულებრივ ისტორიას. აქვეა ჟურნალ *Der Orient*-ში გამოქვეყნებული ბიოგრაფიული ხასიათის წერილი *ქართული კულტურის სამსახურში*, რომელიც შეეხება გერმანიაში სწავლის პერიოდს. წერილი წარმოადგენს საკუთარი საქმიანობის ერთგვარ შეჯამებას და საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მკვლევარი ისტორიოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის, „აუცილებლობაზე აკეთებს ხაზგასმას. იგი მიიჩნევს, რომ მომავლის გეგმებში საჭიროა განვლილ პერიოდში მომხდარი მოვლენების გათვალისწინება.

ავტობიოგრაფიულ წერილებს მოსდევს წმ. გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო ნაშრომები. მათ შორის საყურადღებოა მისი პირველი ნაშრომი – *ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში*, რომელიც გაანალიზებულია ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1065 წლამდე. წმ. გრიგოლ ფერაძის ბერმონაზვნობის ისტორიით დაინტერესება, როგორც მისივე ბიოგრაფიული წერილებიდან ჩანს, განპირობებული ყოფილა ბერობის განსაკუთრებული როლით და მისიით საქართველოში. ეს მისია იყო ქრისტიანობის განმტკიცება-გაძლიერება. პირველ ნაწილი შეეხება წმ. სირიელ მამებს, წმ. სერაპიონ ზარზმელს, წმ. ილარიონს და წმ. გრიგოლ ხანძთელს, ვინაიდან ისინი არიან ქართული ბერმონაზვნობის მთავარი წარმომადგენლები. კვლევას იწყებს თხზულების მოკლედ გადმოცემით და თითოეულთან დაკავშირებით სვამს მათი შექმნის თარიღის, ტენდენციის, ავტორთა ვინაობის საკითხს. შემდგომ ნაწილში იკვლევს ბერმონაზვნობის დასაწყისს ათონის მთის ივირონის მონასტერში და ქართველი ბერების ლიტერატურულ საქმიანობას. შეეხება წმინდანებს: იოანეს, ექვთიმეს და გიორგი მესვეტეს. გამოკვლევაში ქართული წყაროების მიხედვით წარმოდგენილია ქართველი ბერის ტიპი. მესამე ნაწილში იძლევა კვლევის შედეგების შეჯამებას.

კრებულში შესულია წმ. გრიგოლ ფერაძის სხვა კვლევებიც, რომელთა შორის განსხვავებული მიდგომა შეინიშნება წმინდა გიორგის როლის განსაზღვრაში ქართველი ერის ცხოვრებასა და სარწმუნოებაში (ისტორიულ-რელიგიურ ჭრილში). გამოკვლევაში ყურადღება გამახვილებულია ქრისტიანობის გავრცელების შედეგად წარმართული პანთეონის ქრისტიანული მოდიფიცირების

საკითხზე. ამ თვალსაზრისით განხილულია წმინდა გიორგის როლი ქართველთა ცხოვრებაში. მკვლევარი ვარაუდს გამოთქვამს, რომ მთვარის წარმართული ღვთაების წმინდა გიორგის სახეში ქრისტიანული მოდიფიცირების ი. ჯავახიშვილისეული თვალსაზრისი მყარ არგუმენტებს მოკლებულია. შემდეგი საკითხი, რომელიც მკვლევრის ყურადღების ცენტრში ექცევა, არის უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. იმ დროისათვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ა. ცაგარელის ნაშრომი არსებობდა, რომელიც ქართული წყაროების მონაცემებს ეყრდნობოდა. საკითხის სრულყოფილი შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პილიგრიმული ლიტერატურის მონაცემების გათვალისწინებას. გამოკვლევაში, სწორედ პილიგრიმული ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე წარმოდგენილია ქართული მონასტრების მოკლე ისტორია, რასაც ერთვის მის მიერვე პალესტინაში აღმოჩენილი ახალი წარწერები. აქვე ქვეყნდება ოქსფორდის ბოდლეანის წიგნთსაცავში აღმოჩენილი XVIII ს-ის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ქრონიკის შესახებ ნაშრომი; როგორც ჩანს, ხელნაწერმა წმ. გრიგოლ ფერაძის ყურადღება მასში გადმოცემული ბერმონაზვნობის ისტორიით მიიქცია. ხელნაწერი შეიცავდა ცნობებს იოანე ნათლისმცემლის მონასტრის გარდა, დავით გარეჯის მონასტრის ცხოვრებიდანაც. მაგრამ რადგან ხელნაწერის ავტორი ნათლისმცემლის მონასტრის წევრი ყოფილა, ამიტომაც უწოდებს იოანე ნათლისმცემლის ქრონიკას. ასევე შესულია გამოკვლევა საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემების (საქართველოს მოქცევა) შესახებ, სადაც განხილულია ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა საქართველოს განმანათლებლის და პირველი ქრისტიანი მეფის საკითხი, ქართლის მოქცევის თარიღი, თხზულების (წმ. ნინოს ცხოვრების) წყარო.

გამოცემაში შესული შრომები წმ. გრიგოლ ფერაძეს სხვადასხვა ენაზე – ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, პოლონურად ჰქონია გამოქვეყნებული. აღნიშნული პუბლიკაციები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთა მიერ უცხოურიდან ქართულად იქნა თარგმნილი, რომლებიც დ. ყოლბაიამ ერთად მოაქცია, წაუმძღვარა წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი წერილი, დაურთო მის მიერ ვარშავის მიტროპოლიის არქივში ლონდონში არსებულ პოლონეთის ბიბლიოთეკაში გამოვლენილი მკვლევართათვის აქამდე უცნობი დოკუმენტები, კომენტარები, პირთა საძიებელი და ასე ერთ მთლიანობად ქცეულმა უძვიფასესმა გამოცემამ საკუთარ სამშობლოში დაიდო სავანე.

წმ. გრიგოლ ფერაძის შრომების დ. ყოლბაიასეული გამოცემა მნიშვნელოვანი შენაძენია, არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის, არამედ ზოგადად, ქართველოლოგიური საკითხების მკლევართათვისაც.

აქვე დავძენ, რომ გამოსაცემად მზადდება წმ. გრიგოლ ფერაძის შრომების კრებულის მეორე ტომი დ. ყოლბაიას მიერ. მეორე ტომში შევა ლიტურგიული, ჰატროლოგიური და ლიტერატურული კვლევები, ასევე დღიურები და ქადაგებები, წერილები და პოეზია. გამოცემა საინტერესო ნაშრომების პუბლიკაციასთან ერთად გამორჩეულია იმითაც, რომ პირველად ქვეყნდება წმ. გრიგოლ ფერაძის პოეტური ნიმუშები (წმ. გრიგოლ ფერაძე. შრომების კრებული. წიგნი II. ლიტურგია, პატროლოგია, პოეზია, ქადაგებანი.)

დიდია დ. ყოლბაიას დამსახურება ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მისი როგორც მთარგმნელობითი საქმიანობა, ასევე გამოკვლევები საქართველოს ისტორიის საკითხებზე თუ ქართულ-პოლონურ ურთიერთობებზე.

მკვლევარმა ქართული მწერლობის ნიმუშების პოლონურ ენაზე თარგმნით ფართო სამეცნიერო წრეებისათვის გახადა მისაწვდომი ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრები. 1995 წელს დ. ყოლბაიას მონდომებით პოლონურად გამოქვეყნდა *მოქცევაჲ ქართლისაჲ* (ყოლბაია 1995), რომლის წყაროდ გამოყენებულია უძველესად მიჩნეული *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების* პირველ ტომში გამოქვეყნებული შატბერდული რედაქცია. თარგმანს უძღვის მ. ლორთქიფანიძის წინასიტყვაობა, ერთვის დ. ყოლბაიასეული კომენტარები და თხზულების პრობლემატიკასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია.

2011 წ. ვარშავაში *ოფიცინა ოლშინკას* გამომცემლობაში გამოაქვეყნა ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში – დავით აღმაშენებლის *გალობანი სინანულისანის* პოლონური თარგმანი (ყოლბაია 2011). აღნიშნულ თარგმანს საფუძვლად უდევს ზ. ჭავჭავაძისეული კრიტიკული გამოცემა. თარგმანს დართულ ბოლოთქმაში კი თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ავტორის მსოფლმხედველობა, რელიგიური განათლება, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დამსახურება. მოცემულია ისტორიული ეპოქის დახასიათება, რომლის დროსაც შეიქმნა ქართული ჰიმნოგრაფიული ნიმუში, რათა საკითხით დაინტერესებული უცხოელი სპეციალისტისათვის ნათელი გახდეს, თუ განვითარების რა საფეხურზე იდგა ქვეყანა, რომლის მეფემ შექმნა მსოფლიო მწერლობის ნიმუში.

დავით ყოლბაიას ნაშრომები იმითაც არის გამორჩეული სხვა დიდმნიშვნელოვნებასთან ერთად, რომ მკვლევარი მკითხველს ახალ წყაროებს სთავაზობს. ამგვარ სიახლეს წარმოადგენს მის მიერ ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეანის ბიბლიოთეკაში გამოვლენილი აპოკრიფული სახარების ქართული ხელნაწერის პუბლიკაცია. დ. ყოლბაია აქვეყნებს სამეცნიერო საზოგადოებისთვის უცნობი (არასოდეს ყოფილა ქართულად გამოქვეყნებული) აპოკრიფული სახარების ქართულ ხელნაწერს (ყოლბაია 2013: 43-47).

დ. ყოლბაია ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებთან ერთად, პოლონურ სამეცნიერო საზოგადოებას აცნობს საერო მწერლობის ნიმუშებს. ქართული საისტორიო თხზულებების კრებულ *ქართლის ცხოვრებიდან* დღეისათვის გამოქვეყნებულია სუმბატ დავითის ძის *ცხოვრება და უწყება მაგრატონიანთას* პოლონური თარგმანი (ყოლბაია 2012: 9-47). მკვლევარს გამოსაცემად მომზადებული აქვს კრებულში შესული სხვა თხზულებებიც *(მეფეთა ცხოვრება, ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, არჩილის წამება, მატიანე ქართლისაჲ, დავით აღმაშენებლის ცხოვრება*), რომლებსაც უახლოეს მომავალში იხილავს დაინტერესებული მკითხველი. იმისათვის, რომ პოლონელ მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნას ქართული საერო ლიტერატურის შესახებ, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული სხვა გამოცემები, *ქართლის ცხოვრების* კრებულში შესული ძეგლების თარგმანიც აღჭურვილია სრული სამეცნიერო აპარატით – წინასიტყვაობით, კომენტარებითა და ბიბლიოგრაფიით.

მკვლევარს ასევე გამოსაცემად მომზადებული აქვს ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის გამორჩეული ძეგლის *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების* პოლონური თარგმანი სამეცნიერო აპარატით – წინასიტყვაობით, ბოლოთქმით, კომენტარით, საბიბლეებით, რომელსაც ასევე უახლოეს მომავალში იხილავს დაინტერესებული მკითხველი.

დ. ყოლბაია კიდევ ერთი საინტერესო გამოცემის ინიციატორად გვევლინება. ამჯერად პოლონური მწერლობის საინტერესო ნიმუშს აცნობს ქართველ მკითხველებს. მისი თაოსნობით ვარშავაში 2011 წელს გამოქვეყნდა ადამ მიცკევიჩის *პან თადეოზი ანუ უკანასკნელი თავდასხმა ლიტვაში* ქართული თარგმანი პოლონურიდან შესრულებული ვიტალი უგრეხელიძის მიერ. თარგმანი ხელნაწერის სახით დაცული ყოფილა ლონდონში არსებულ პოლონეთის ბიბლიოთეკაში. დავით ყოლბაიამ ბიბლიოთეკის დირექციის ნებართვით და ხელნაწერი თარგმანის საავტორო უფლებების დაცვით გამოსაცემად მოამზადა, დედანთან შედარებული ტექსტი ბოლოთქმით (ყოლბაია 2011). ტექსტს ერთვის, აგრეთვე, ავტორისეული (ვიტალი უგრეხელიძის) კომენტარები.

პარალელურად მუშაობს პოლონურ-ქართულ ლექსიკონზე ფონეტიკური და გრამატიკული თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია დავით ყოლბაიას დამსახურება ქართულ-პოლონური ისტორიული ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით. მისი ინიციატივით 1991 წელს ჩამოყალიბდა პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება. 1995 წელს ცნობილ პოლონელ საზოგადო მოღვაწესთან სერგო ყურულიშვილთან ერთად დაარსა „ვარშავის ქართული კლუბი 1920 წელი“. ჟურნალ *პრო გეორგიის* სპეციალური გამოცემა მიუძღვნა ქართველი იუნკრების ისტორიას პოლონეთის არმიის სამსახურში 1922-1944 წლებში (ყოლბაია 2008), რომელსაც უძღვის პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის წინასიტყვაობა.

დავით ყოლბაია ქართველოლოგიაში მიღწეული წარმატებებისა და საქართველო-პოლონეთს შორის სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია სხვადასხვა ჯილდოთი: 2003, 2007 წლებში დაჯილდოვდა ვარშავის უნივერსიტეტის რექტორის ჯილდოთი; 2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის 2 ივლისის განკარგულებით ამავე წლის 1 ნოემბერს ღირსების ორდენით; 2004 და 2014 წლებში ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით.

ამდენად, გამორჩეულია დ. ყოლბაიას დამსახურება პოლონური ქართველოლოგიის განვითარებასა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. მისი უანგარო სამსახური ქვეყნისა და ქართული ფესვებისადმი ნამდვილად სამაგალითოა და საამაყო თითოეული ქართველისათვის.

შენიშვნები

[1] ჟურნალი გამოდის ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის ეგიდით.

[2] ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ჟურნალ *პრო გეორგიის* მიერ 2011 წელს დაარსებულ იქნა წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია. პრემია გაიცემა ორ წელიწადში ერთხელ იმ ჰუმანიზმისა და ფასეულობებისთვის, რომლებსაც მისი ლაურეატები მთელი ცხოვრების განმავლობაში ამკვიდრებდნენ. პრემია წარმოადგენს X საუკუნის უძველესი ქართული ხელოვნების ნიმუშის მარტვილის პანაგეას ასლს (ოქრო, ვერცხლისა

და მარგალიტის თვლებით მოოჭვილი (ზომა 8 სმ X 5,5 სმ), სადაც ტიხრული მინანქრით წმინდა გრიგოლის ხატი არის გამოსახული, ქართული წარწერით წმიდა გრიგოლი. მარტვილის ოქროს ჯვრის ასლს შეასრულებს საქართველოში ცნობილი ხელოვანი ქალბატონი ნინო ბურკაძე. ჯილდო ორჯერ არის გაცემული. ჯილდოს ლაურეატები იყვნენ: ფრანგი ქართველოლოგი ბ. უტიე, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი და წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ჰ. პაპროცკი, პოლონელი ისტორიკოსი ძველი საბერძნეთის ისტორიის მკვლევარი ვ. ლენგაურე.

[3] კონფერენცია ტარდება ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის ეგიდით.

[4] აღნიშნული ეკლესია, რომელიც განთავსებულია ვარშავის მიტროპოლიის ხატწერის მუზეუმში, 2005 წლიდან არსებობს ვარშავაში, ლელეხოვსკას ქ. №5. იგი ვარშავაში მცხოვრებ ქართველთა სულიერი თავშეყრის ადგილად იქცა. ეკლესიის მამები არიან ჰ. პაპროცკი და ა. ალექსეიუკი. წირვა სრულდება ყოველ კვირას პოლონურ ენაზე და სახარება იკითხება ქართულად დ. ყოლბაიას მიერ. არსებობს წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის საკლესიო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეები არიან: მამა ჰ. პაპროცკი და დ. ყოლბაია.

[5] ეს არის ლექცია, რომელიც წაკითხულ იქნა დ. ყოლბაიას მიერ ჰალე-ვიტენბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის ქრისტიანობისა და ბიზანტინოლოგიის ინსტიტუტში.

დამოწმებანი

ფეიქრიშვილი, ვაშაკიძე 2012: ჟ. ფეიქრიშვილი, ი. ვაშაკიძე. მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის. წიგნი პირველი. თბილისი: უნივერსალი.

ყოლბაია 1995: D. Kolbaia. Mokxewaj Kartlisaj. Nawrocenie Kartlii. Ze starogruzinnskiego prezetozyt i prezypisami opatrzyt Dawid Kolbaja. Wstep Mariam Lortkipanidze. Warszawa.

ყოლბაია 2008: D. Kolbaia. Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Centre for East European Studies, Faculty of Oriental Studies. Warsaw: University of Warsaw. №18.

ყოლბაია 2009: D. Kolbaia. St. Grigol Peradze and the Beginings of Monasticism in Georgia. Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Centre for East European Studies, Faculty of Oriental Studies. Warsaw: University of Warsaw. №19.

ყოლბაია 2011: D. Kolbaia. Kanon pokutny. Z języka staroguzińskiego przełożyl Dawid Kolbaia. Warszawa.

ყოლბაია 2011: დ. ყოლბაია. ადამ მიცკევიჩის პან თადეოზი ანუ უკანასკნელი თავდასხმა ლიტვაში. პოლონურიდან თარგმნა ვიტალი უგრეხელიძემ. ტექსტი დედანთან შეადარა, ბოლოთქმა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა დავით ყოლბაიამ. ვარშავის უნივერსიტეტი: ოსმოლინსკების სახელობის ეროვნული ინსტიტუტი.

ყოლბაია 2012: დ. ყოლბაია. წმ. გრიგოლ ფერაძე. თხზულებათა კრებული. წიგნი პირველი. ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში. ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ. ვარშავა: ვარშავის უნივერსიტეტი.

ყოლბაია 2012: D. Kolbaia. Żywot i opowieści o Bagrationach, O królach Kartwelów, skąd przybyli do tego kraju, od jakiego czasu władają królestwem Kartlii, opisał Sumbat Dawitis-dze, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, z języka staroguzińskiego przełożył i komentarzem opatrzył Dawid Kolbaia. Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Centre for East European Studies, Faculty of Oriental Studies. Warsaw: University of Warsaw. № 22.

ყოლბაია 2013: D. Kolbaia. Nieznana Ewangelia apokryficzna z biblioteki bodlejanskiey w Oksfordzie (უცნობი პოკრიფული სახარების ქართული ხელნაწერი). Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Centre for East European Studies, Faculty of Oriental Studies. Warsaw: University of Warsaw. № 23.







David Kolbaia and Georgian Studies in Poland

Ketevan Mania

The paper is about Warsaw University Professor David Kolbaia and his permanent efforts for developing of Georgian Studies outside of Georgia, namely, in Poland. Kolbaia begin his activities since 1991.

Every year Professor Kolbaia holds the scientific international conferences dedicated to the memory of St. George Peradze. Georgian as well as non-Georgian experts in field of Georgian Studies (Kartvelian studies or Kartvelology) are participants of these conferences.

Professor Kolbaia is an editor of the journal Pro Georgia which is the only jounal targeted on Georgian Studies issuing abroad Georgia.

Professor Kolbaia has translated from Georgian into Polish and published with relevant commentaries and investigations several monuments of medieval Georgian literature and historiography. He has also translated the Polish monuments into Georgian promoting by this way to strengthening of Georgian-Polish cultural interrelations.

Professor Kolbaia is an author of many scientific works in Polish in field of Georgian Studies published in Poland.

He is one of the main initiators of establishing center for Georgian studies in Poland and also the Society of Georgian-Polish Friendship.

Several times for his outstanding contribution Professor Kolbaia was awarded by the orders of honor of the Warsaw University and Ivane Javakhishvili Tbilis State University.

These and aslo many other facts are displayed in Ketevan Mania's present paper about Kartvelology in Poland.

Donald Rayfield. *Edge of Empires: A History of Georgia.*

London: Reaktion Books, 2012, 479 pages. ISBN: 978-1-78023-030-6

Keith Hitchins

Donald Rayfield has aptly named his survey the "Edge of Empires" because the Georgians have had to contend with large, aggressive neighbors throughout their history. He argues persuasively that they were deeply affected by these neighbors and only intermittently could they be masters in their own house. In the course of his narrative he returns frequently to certain fundamental questions that help him elucidate the course of Georgian

history. His overall approach is chronological, and his method is event history with an emphasis on politics. This is by no means to say that he ignores economic and social development and culture, but often when such matters are mentioned they seem more like additions to the narrative rather than essential elements shaping the evolution of the Georgian community.

From the beginning Rayfield calls attention to a theme that dominates Georgian history: the succession of empires that held sway over the country for longer or shorter periods. Of particular interest to him is the relationship between the Georgian lands and the Arab conquerors of the seventh century. He shows how the Arab treatment of the Georgians fitted in with those general arrangements between Muslims and Christians when the latter acknowledged the overlordship of the former. Then it was the Seljuk Turks under Alp Arslan and Malik Shah in the second half of the eleventh century who brought destruction in a way that had become familiar to Georgians. Rayfield contrasts the first part of the century, which he judges an auspicious time for Georgia, when agriculture was recovering, town life was prospering, culture was flourishing, and the prospects for political unity were favorable, with its final decades, when Giorgi II of Kartli, no longer able to resist repeated Seljuk attacks, agreed in 1083 to pay tribute and render military service, thereby inaugurating the "Great Turkdom."

Equally grim for Georgia were later centuries, as Rayfield describes them, despite temporary revivals. There were the assaults of the Mongols beginning in 1221 and political division, the heavy burdens of taxation and military service under Ilkhan rule, and involvement in the conflicts between the Ilkhans and the Golden Horde. Then came the Black Death in 1346, which ravaged Georgia for two years and, Rayfield notes, was more destructive than the Mongol invasions. Next were the eight invasions of Georgia by Timur Lang between 1386 and 1403, which he calls the coup de grâce for Georgia at that time. In the sixteenth century the Ottomans from the west and the Safavids from the east posed a grave threat to Georgia, which Georgian rulers tried to parry by stubbornly resisting their advances, by playing the one off against the other, and by appealing to Russia for aid, all, in the end, to little avail, Rayfield explains, as both Kartli and western Georgia came under Ottoman domination by the early eighteenth century. He describes the successes and failures of Georgian rulers against formidable enemies in detail, but he could also devote more attention to internal economic and social development, agrarian relations, the structure and role of the nobility, and the role of the Georgian Church as a source and symbol of unity in the face of almost constant Muslim attacks. Such investigations would help to explain the survival of the Georgians in these centuries and the course of their development over the long term.

Rayfield rightly accords ample space to Georgia's relations with tsarist Russia. He makes the point convincingly that at the beginning of their contacts when Georgian rulers –for example, Levan of Kakhetia in the sixteenth century, Alexandre of Kakhetia toward the end of that century, and Vakhtang of Kartli in the early eighteenth century—sought Russia support against Persia, nothing substantial was forthcoming, mainly, Rayfield shows, because the Caucasus was not yet of vital interest to Russia. Erekle II of Kartli and Kakhetia in the latter half of the eighteenth century, who vigorously pursued an alliance with Russia, had the same experience. But when the tsar took a serious interest in the matter Georgia ended up becoming a Russian guberniia in 1801. Yet, in the course of the next century, down to the First World War, Georgia's connection with Russia, however dependent it may have been, fulfilled Erekele II's expectation that the relationship would be Georgia's opening to Europe. Rayfield examines at some length both the positive and negative aspects of Georgia's incorporation into a centralizing, essentially Russianizing empire. Of particular interest is his discussion of the direct contacts of young Georgians with Europe through study abroad and involvement in a variety of intellectual currents, notably, in view of subsequent events, Marxism and Leninism.

Inherent in Rayfield's narrative of Georgia's unending encounters with hostile empires is the question: How was Georgia able to survive in such a dangerous neighborhood? He suggests several answers. First, Georgia had a number of able rulers, of whom Rayfield offers comprehensive and, on the whole, admiring portraits –Vakhtang I Gorgasali, Davit IV the Builder, Queen Tamar, and Erekle II, to mention only a few—and military commanders such as Giorgi Saakadze. He shows how they succeeded in holding their adversaries at bay, at least for a time, by turning one antagonist against another, by spirited self-defense, and, when all else failed, by timely submission. But he makes clear, too, that it was Georgia's good fortune that her enemies were only occasionally able to compose their own differences, as the Ottomans and Persians did in the Treaty of Amasya in 1555, which, among other things, imposed a debilitating territorial division on Georgia. The role of the Georgian Church may also have been significant in opposing conquest by Persians, Ottomans, and other Muslim powers, but Rayfield, in general, says little about the place of the Church in Georgian society and politics. It would be useful to explore to what extent it

strengthened the bonds of community by promoting both a common religious culture and a sense of ethnic distinctiveness at both the upper levels of society and among the village population.

The last of the empires with which Georgia had to contend was the Soviet Union. It was also, perhaps, the most formidable because of its totalitarian nature. Rayfield is highly critical of the regime imposed by Stalin and maintained largely intact by his successors. He makes its nature clear enough, but the emphasis is on politics. More needs to be said about, among other things, economic development, that is, industrialization and the collectivization of agriculture and their effects on production and the standard of living; about social services and education and the extent to which they satisfied the needs and expectations of the population; and about cultural development, especially literature and historiography and how writers and other intellectuals accommodated themselves (or not) to the regime. Rayfield has some good pages on the dissident movement, particularly on Zviad Gamsakhurdia, and on the strength of Georgian national feeling. Perhaps more could be said about the evolution of the Georgian Communist Party and various other institutions during these years. Rayfield argues that after the advent of Mikhail Gorbachev to power in Moscow in 1985 the Party was steadily overtaken by a strong national movement, which by 1989 and 1990 had made it largely irrelevant.

Rayfield sees little to praise in the political system that replaced the Communist regime. He characterizes the first two years of independence as chaotic, but he finds Eduard Shevardnadze's "benevolent dictatorship" and pro-Western stance supported by international financial institutions a welcome respite. His overall assessment of the presidency of Mikheil Saakashvili with its economic and social problems and disastrous war with Russia is decidedly negative.

In the above comments I have done no more than sketch the rich contents of this volume. Rayfield wrote it, I am sure, with an English-speaking audience in mind, and he has provided that audience with the fullest general account of Georgia's history available in their language. It does not supercede the important works by W. E. D. Allen, David Lang, and Ronald Suny, but it does make plain the continuity of Georgia's long history and enables specialists in Caucasus history and non-specialists to view the process of formation of the Georgian nation in broad historical perspective.



დონალდ რეიფილდი, *იმპერიათა კიდეზე, საქართველოს ისტორია*

ლონდონი, გამომცემლობა *რეაკტიონის წიგნები*, 2012,
479 გვერდი ISBN: 978-1-78023-030-6

კეით ჰიჩინსი

დონალდ რეიფილდის წიგნის სათაური *იმპერიათა კიდეზე* არ არის შემთხვევითი, რადგან საქართველოს მუდმივად არაერთი აგრესიული იმპერიული მეზობლისგან უხდებოდა თავის დაცვა. ნაშრომის თხრობა ქრონოლოგიურია და მოიცავს საქართველოს ისტორიის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს.

ავტორის დიდ ინტერესს იწვევს არაბობა, სელჩუკთა, მონღოლთა შემოსევები. იგი გამოყოფს საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან ბრძოლებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკაზე, სოციალური განვითარებაზე, ეკლესიის როლზე და ა.შ. წიგნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. აქცენტი კეთდება ლევან და ალექსანდრე კახთა მეფეების პოლიტიკაზე რუსეთთან მიმართებაში. მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს საქართველოს მდგომარეობას საბჭოთა კავშირის პერიოდში. წიგნი გადმოგვცემს ყველა იმ ძირეულ მოვლენას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოსთან მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდის ჩათვლით.

წიგნის რეცეზენტი ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორი კეით ჰიჩინსი, მიმოხილვის შემდეგ აღნიშნავს, რომ დონალდ რეიფილდის მთავარი მიზანი იყო ინგლისურენოვანი მკითხველისათვის დაეწერა ინფორმაციული, სხვადასხვა ასპექტის მომცველი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. რეიფილდის ეს წიგნი არის გაგრძლება დევიდ ლენგის, როლანდ სიუნის და სხვათა შრომებისა, რაც უცხოელ მკვლევრებს, სპეციალისტებს თუ არასპეციალისტებს ეხმარება გაიგონ თუ როგორ ხდებოდა ქართველი ერის ჩამოყალიბება ფართო ისტორიულ პერსპექტივაში.

Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008 by Adrian Brisku

New York And Oxford: Berghahn, 2013, 236 pp. Notes. Bibliography. Index. Maps

Keith Hitchins

Europe, that is, the West, played a crucial role in the modernization of Eastern Europe and adjacent lands in the 19th and 20th centuries, a process that provides Adrian Brisku with the context for his investigation of Albanian and Georgian social thought on identity and models of development. He is mainly concerned with how diverse groupings of intellectuals over many generations reconciled their attitudes toward Europe with national aspirations and the ever changing domestic political situation. His comparison of Albanian and Georgian intellectuals leaves little doubt about the importance of Europe in modern nation formation, for whether the intellectuals embraced the European model or rejected it, they knew they could never ignore it.

The question may well be asked whether a comparison of the Albanian and Georgian cases makes sense? The two countries, after all, lay in different regions of Eurasia and evolved in accordance with conditions specific to those regions. But Brisku shows that they had much in common: they were located on the frontier between East and West and were for most of their history perched on the edge of powerful empires to their east and west: the Byzantine, the Ottoman, and the Habsburg for the Albanians; the Persian, the Ottoman, and the Russian and Soviet for the Georgians. He also points to similarities in their national movements and in their enthusiasms for and disappointments with Europe.

Brisku approaches his subject chronologically, dividing his inquiry into roughly four parts: 1878-1921, the nineteen-twenties and thirties, and the Communist and post-Communist eras. There is merit in such an arrangement, as it allows him to place the ideas expounded by intellectuals in a given period within the framework of prevailing political realities and mental climates. But there are also disadvantages: this periodization sometimes

interrupts the continuity of thought of writers whose work extends over several periods, and it occasionally leads to repetition.

Both Albanian and Georgian intellectuals in each period, as Brisku shows, were far from united on the value of Europe as a model. In general, they fell into two broad categories –the pro-Europeans and what could be called the conservatives—but there were almost infinite variations of opinion among them. Brisku notes, for example, that the majority of Albanian intellectuals before the Second World War were certain that the Albanians were Europeans and that their own primary task, consequently, was to lead the way to "catching up to Europe." In the 1930s their debate about Europe became particularly intense: the Elders wanted a break with the Ottoman era, but were not sure which new direction to take; the Neo-Albanians were determined to move smartly to the West; and the Young thought that Albanian Europeanness could be assured only by an enlightened dictatorship. Brisku gives equal time to the many who argued that Albanianness could not exclude the East. Yet, these defenders of the Albanians' Eastern heritage had always to confront the Eurocentrists' accusations that Albanian backwardness was the product of five centuries of an Oriental Ottoman regime.

Brisku is evenhanded also in dealing with the variety of opinion on Europe among Georgian intellectuals. His analysis of the thought of Ilia Chavchavadze, the leading figure of the Georgian national movement before the First World War, and of Noe Zhordania, the Social Democratic theorist, is insightful. He rightly characterizes Chavchavadze as a liberal and an admirer of the cultural achievements of Europe, but he also draws attention to his belief that the Georgians must maintain their link to Russia as their best way to Europe. Brisku emphasizes the Georgianness of Zhordania's socialism because of his insistence that it conform to the rural nature of Georgia's economy and society.

Brisku proceeds with a similar wide-ranging approach to Albanian and Georgian conceptions of Europe during the Communist era. He, of course, notes the constraints on the debate imposed by Communist regimes in both countries, but he also emphasizes the persistence of Europe as a focus of attention, and not just as an object of Cold War ideology. As examples he cites Enver Hoxha's assurances in the 1980s that the Albanians were part of a common European civilization, and notes the reinvigoration of "Eurocentrism" among Georgian intellectuals as the Soviet system came undone in the 1980s. He then shows how post-Communist aspirations in both countries were governed by the call for a "return to Europe."

The Albanian and Georgian debates about Europeanness are valuable case studies of a general phenomenon for the time and place. Yet, we may wonder at the perseverance of Albanians and Georgians in their pro-Europe stance, despite the history of great power indifference to their fate since the 19th century. The title Brisku has chosen for his book, "Bittersweet Europe," seems apt.



ადრიან ბრისკუს ტკბილ-მწარე ევროპა: ალბანური და ქართული დისკურსები ევროპის შესახებ

ნიუ-იორკი, ოქსფორდი, ბერგანი, 2013, 236 გვ., შენიშვნები, ბიბლიოგრაფია, ინდექსი, რუკები

კეით ჰიჩინსი

დასავლეთი, იგივე ევროპა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აღმოსავლეთ ევროპის მოდენიზაციაში. პროცესი, რომელსაც ადრიან ბრისკუ კვლევის სახით გვთავაზობს, შეეხება ალბანეთისა და საქართველოს განვითარების მოდელებს და იდენტობის სოციალურ მისწრაფებებს. ავტორი აღნიშნავს, რომ შიდა პოლიტიკის ცვლილების მიუხედავად, წამყვანი ძალებისთვის მუდმივად რჩებოდა ევროპა, როგორც შთაგონების წყარო და ამ პროცესში მნიშვნელოვან ადგილს ყოველთვის იკავებდა ინტელიგენცია. ალბანელი და ქართველი ინტელექტუალების შედარება, ბადებს აზრს ნაციადქმნადობის პროცესში ევროპის მნიშვნელობაზე. იმის მიუხედავად ნაციონალური მოძრაობების ლიდერები მიიღებდნენ თუ არა ევროპულ მოდელს, ისინი ვერასოდეს უგულებელყოფდნენ მას.

მკითხველისთვის, შესაძლოა, უცნაური იყოს ამ ორი ქვეყნის მაგალითის შედარება, ისინი ხომ განსხვავებულ გეოპოლიტიკურ სიბრტყეზე იმყოფებიან, მაგრამ ბრისკუ ავლენს მათ მსგავსებას მრავალ ასპექტში. ალბანეთი და საქართველო საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდნენ იმპერიების გარემოცვაში. ალბანეთს ავიწროვებდა ბიზანტია, ოსმალები, ჰაბსბურგები, ხოლო საქართველოს ოსმალები, რუსეთი და, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის მარწუხებში უხდებოდა გადარჩენისთვის ბრძოლა. ავტორი მიუთითებს ამ ორი ქვეყნის მსგავს გამოცდილებაზეც ნაციონალურ მოძრაობებში და მათ ენთუზიაზმსა თუ იმედგაცრუებაზე ევროპასთან მიმართებით. ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს საბჭოური წნეხის შემდეგ ორივე ქვეყანის სწრაფვა ევროპისაკენ.

რეცენზენტი კეით ჰიჩინსი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის შემდეგ მიუხედავად განსხვავებული მდგომარეობისა თვალსაჩინოა ამ ორი ქვეყნის შეუპოვარი სწრაფვა ევროპული გზისაკენ. ასევე მართებულად მიიჩნევს სათაურსაც, რომელიც მონოგრაფიისათვის შეურჩევია ავტორს.

ქრონიკა
Chronicle

ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია *ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები*

სოფიო ქადაგიშვილი
მანუჩარ გუნცაძე

2012 წლის 26–27 აპრილს ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია *ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები*.

კონფერენცია ჩატარდა ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა* და აიპ *ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის* ეგიდით.

კონფერენცია გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა. მან ისაუბრა ქართველოლოგიის დარგში ინტერდისციპლინური ეროვნული მასშტაბის სამეცნიერო კონფერენციის მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებით მისასალმებელია ახალგაზრდა მკვლევართა ინიციატივა და მონაწილეობა ამ საქმეში.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ავთანდილ ჩუთლაშვილი; ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების უფროსი პროფესორი გონელი არახამია, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე პრეზიდენტის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მისასალმებელი წერილი; მისასალმებელი სიტყვები, აგრეთვე, წარმოთქვეს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა თეა ტეტელაშვილმა, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიული ალასანიამ, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა გიორგი ღვედაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფნიძემ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა სულხან კუპრაშვილმა; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილემ პროფესორმა მადონა ქებაძემ, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დამფუძნებელმა, პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორმა გიორგი ოთხმეზურმა.

ამავე სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* მეთორმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე გამოშვებები, არასამთავრობო ორგანიზაციის *ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტი* და თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მიერ ტაო-კლარჯეთში ჩატარებული სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიციის ანგარიში.

შესვენების შემდგომ კონფერენციამ მუშაობა გააგრძელა სექციებში. პარალელურად მუშაობდა ორი სექცია: I. საქართველოს ისტორია და კულტურა: *ძველი ხანა და შუა საუკუნეების ეპოქა*; II. საქართველოს ისტორია და კულტურა: *ახალი და უახლესი პერიოდი*.

სექციური მუშაობა გაგრძელდა მეორე დღესაც, სულ ჩატარდა ოთხი სექციური სხდომა. სხდომები მიმდინარეობდა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის ვითარებაში.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა 50-მდე სტუდენტი (ბაკალავრები, მაგისტრანტები, მაგისტრები, დოქტორანტები) საქართველოს ათი უნივერსიტეტიდან. ეს უნივერსიტეტებია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი (თბილისი), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი), იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თელავი), საქართველოს უნივერსიტეტი (თბილისი), შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ზუგდიდი), გორის სასწავლო უნივერსიტეტი (გორი), წმ. ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტი (ხულო).

მოხსენებები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სფეროდან: ისტორია, ფილოლოგია, არქეოლოგია, სამართლის ისტორია, კულტურული ანთროპოლოგია, ეთნოლოგია და სხვ. ყველა ამ მოხსენებას აერთიანებდა ქართველოლოგიური ფოკუსი.

მეორე პლენარულ სხდომაზე მოსმენილი იქნა სექციების თავმჯდომარეთა ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ, კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები, შეჯამდა კონფერენციის მუშაობა და მიღებული იქნა შესაბამისი რეზოლუცია. გადაწყდა, რომ ახალგაზრდა მკვლევართა ინტერდისციპლინური კონფერენციები ქართველოლოგიის დარგში ჩატარდეს მომავალშიც.

კონფერენცია დასრულდა კულტურული პროგრამით. თსუ თვითმოქმედმა კოლექტივებმა კონფერენციის მონაწილეებს წარმოუდგინეს მრავალფეროვანი შემოქმედება. ამის შემდგომ კონფერენციის მონაწილეებისათვის მოეწყო ექსკურსია *თბილისი ღამით*, რამაც საშუალება მისცა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოკრებილ ახალგაზრდობას არაფორმალურ ვითარებაში განეგრძოთ კონფერენციის სხდომებზე დაწყებული აზრთა გაცვლა–გამოცვლა.



National Interdisciplinary Scholarly Conference of Young Researchers *Georgian Studies: Main Tendencies and Current Problems*

Sopio Kadagishvili
Manuchar Guntsadze

On April 26-27, 2012, Ivane Javaxishvili Tbilisi State University hosted interdisciplinary scholarly conference of the young researchers *Georgian Studies: Main Tendencies and Current Problems*

The conference was organised by Institute of Georgian History at the Tbilisi State University and Georgian Studies Institute (NGO).

Plenary session was opened with Professor Mariam Chkhartishvili's welcoming speech. She underlined the importance of national conferences in interdisciplinary context and expressed her sympathy to youngsters' enthusiasm to contribute to

scientific sphere. Tbilisi State University Deputy Rector Avtandil Chutlashvili, Dean of the Faculty of Humanities Professor Darejan Tvaltvadze, head of scientific department at Georgian National Academy of Sciences Professor Goneli Arakhamia welcomed the participants. Special greetings were read from the Ministry of Education and Science, and from different scientific-research organizations. Leading Georgian researchers and representatives of different academic centers expressed their positive feelings and wished successful work to conference organisers and participants.

According to the schedule Organisers scientific journal *Georgian Source-Studies* (12, 13, 14 issues) was presented. The audience was informed about scientific expedition in Tao-Klarjeti organised by the Institute of Georgian History.

After the break conference continued working in two sections: 1. *Georgian History and Culture (from antiquity to medieval period)*; 2. *Georgian History and Culture (pre-modern and modern periods)*. All four sessions were characterized by active discussions. Fifty young scholars from ten universities presented their papers in history, philology, archeology, law history, cultural anthropology. What these papers have common, is a Kartvelological focus.

The conference was concluded by the second plenary session. Sections' chairmen summed up work in the sessions. According to the conference resolution also in future scholarly conferences of the young researchers would be held. The participants were awarded with certificates. The conference was ended with cultural program.

მარიამ ლორთქიფანიძე *90*
საიუბილეო ღონისძიებათა ქრონიკა

სოფიო ქადაგიშვილი
მანუჩარ გუნცაძე
შოთა მათითაშვილი

2012 წლის აგვისტოში ცნობილ ქართველ ისტორიკოსს – მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 90-ე წელი შეუსრულდა.

მთელი ქვეყნის მასშტაბით მეცნიერის იუბილეს მიეძღვნა არაერთი ღონისძიება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავად იუბილარის სურვილის გათვალსწინებით ეს ღირსშესანიშნავი თარიღი კონფერენციით აღნიშნა. კერძოდ, ჩატარდა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები*, რომლის ორგანიზების ინიციატივა ეკუთვნის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს (ხელმძღვანელი პროფ. მარიამ ჩხარტიშვილი), სწორედ ამ ინსტიტუტთან ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობით.

საიუბილეო ღონისძიებები თსუ-ში კონფერენციის გახსნამდე ერთი დღით ადრე დაიწყო: 15 ნოემბერს დილიდანვე უნივერსიტეტის ფოიეში, დერეფნებში მოლბერტებზე გამოიფინა ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრების ამსახველი ათეულობით ფოტო. ამ საინტერესო გამოფენის მომზადებაში დიდია ქალბატონი მარიამის ოჯახის წევრებისა და თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლების წვლილი.

ამავე დღეს, საღამოს უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის პატივსაცემად მიღება მოაწყო. მიღებაზე მოწვეულნი იყვნენ კონფერენციის მონაწილეები, ქალბატონ მარიამის უახლოესი მეგობრები, მოწაფეები. რექტორმა ისაუბრა ქალბატონი მარიამის დიდ დამსახურებაზე ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში, სტუდენტთა დახელოვნების საქმეში და ქალბატონი მარიამთან ურთიერთობის სხვადასხვა ეპიზოდი გაიხსენა. სიტყვა წარმოთქვა სხვა არაერთმა სპეციალისტმა და ზოგადად საქართველოს ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულმა პირმა, აგრეთვე, თავად ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ.

აქვე წარადგინეს საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის *შრომების* ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ტომი. ნაჩვენები იქნა მარიამ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი, რომელიც მოამზადა უნივერსიტეტის

ტელე-კინო ხელოვნების მიმართულებამ კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილისა და პროფესორ ნინო გელოვანის ხელმძღვანელობით.

მეორე დღეს, 16 ნოემბერს პლენარული სხდომით დაიწყო საიუბილეო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა თსუ რექტორის მოადგილემ პროფესორმა ლევან ალექსიძემ. მან აღნიშნა მარიამ ლორთქიფანიძის გამორჩეული ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ამის შემდგომ ბატონმა ლევან ალექსიძემ, სხდომის თავმჯდომარეობა სთხოვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს, რომელმაც ასევე ხაზი გაუსვა ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის უდიდეს როლს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და, კონკრეტულად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობაში. შემდეგ პროფესორმა დ. თვალთვაძემ წარმოადგინა ის მილოცვები, რომლებიც ქალბატონმა მარიამმა მიიღო იუბილესთან დაკავშირებით, მათ შორის, საქართველოს პრემიერ მინისტრის ბატონ ბიძინა ივანიშვილის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების, საქართველოს ქალთა საბჭოს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს სამეფო სახლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მილოცვები.

საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის შემოქმედების დახასიათებას. მან ყურადღება გაამახვილა მარიამ ლორთქიფანიძისეული რეპრეზენტაციის სტილის თავისებურებებზე. გამოკვეთა ის მომენტები, რომელთაც მანამდე მეცნიერის შემოქმედების ანალიზისას არასოდეს მიქცევია ყურადღება. კერძოდ, პროფ. მ. ჩხარტიშვილმა მიუთითა, რომ ტრადიციულად ყურადღება მახვილდებოდა იმ შედეგებზე, რომელთაც თავის შემოქმედებაში მიაღწია მეცნიერმა და ნაკლებად ან თითქმის არ იყო აქცენტირებული ის ფაქტები, რომლებიც წარმოაჩენდა თუ როგორ, რა მეთოდების გამოყენებით აღწევს მარიამ ლორთქიფანიძე ხსენებულ შედეგებს. სწორედ რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზი ნათლად აჩვენებს წვლილს, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს შეაქვს არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ ზოგადად ისტორიის დისციპლინის განვითარებაში. უმაღლესი რანგის პროფესიული დახელოვნება აძლევს მარიამ ლორთქიფანიძეს საშუალებას შექმნას ქართული ეროვნული ნარატივისათვის აუცილებელი მახსოვრობითი ხატები. ეს კი, ანუ ერის კოლექტიური მეხსიერების ფორმირება, რაშიც ქალბატონი მარიამის წვლილი განსაკუთრებულია, არის ერად ყოფნის აუცილებელი წინაპირობა.

ამის შემდგომ სიტყვა მილოცვისათვის მიეცათ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების და სამეცნიერო კვლევითი ცენტრების წარმომადგნელებს კერძოდ, იუბილარს მიულოცეს და თავიანთი უნივერსიტეტების სახელით ადრესები წარმოადგინეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ჯონი აფაქიძემ.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი რჩეულიშვილმა, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ეკატერინე ანთიამ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გურამ გაბუნიამ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნუგზარ მგელაძემ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ შალვა გლოველმა. გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ადრესი გამოაქვეყნა სხდომის თავმჯდომარემ. მანვე გამოაქვეყნა ვარშავის უნივერსიტეტიდან მოსული მილოცვა, რომელსაც ხელს აწერენ ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის კავკასიური კვლევის სემინარის ხელმძღვანელი პროფესორი დავით ყოლბაია და ვარშავის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი ჰენრიკ პაპროცკი.

თსუ და სამეცნიერო ორგანიზაციების პროფესიული კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ შალვა გლოველმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის გადაწყვეტილება დაწესდეს მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის პრემია ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის პროფილის წარჩინებული სტუდენტისათვის. მანვე, როგორც ქალბატონ მარიამის მოწაფემ, რამდენიმე კოლეგის სახელით, რომელთაც ასევე ქალბატონი მარიამის ხელმძღვანელობით დაიცვეს დისერტაცია, წარმოადგინა ადრესი.

მოგონებებით გამოვიდნენ ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის კოლეგები, მეგობრები, მოწაფეები: პროფესორი, აკადემიკოსი მზექალა შანიძე, პროფესორი, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი, პროფესორი ოთარ ჯორდანია, პროფესორი ქეთევან ნადირაძე. იუბილარს საკუთარი ლექსით მიულოცა ჟურნალისტმა თამაზ ებანოიძემ.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მარიამ ლორთქიფანიძემ, რომელშიც დიდი მადლიერება გამოხატა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორების, მთელი დამსწრე საზოგადოების მიმართ.

ამით კონფერენციის პლენარული სხდომა დასრულდა. იუბილარმა და კონფერენციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს თსუ ბიბლიოთეკაში, სადაც შედგა მარიამ ლორთქიფანიძის პირადი ბიბლიოთეკის (4449 ერთეული) უნივერსიტეტისათვის გადაცემის ცერემონიალი. სათანადო დოკუმენტებს ხელი მოაწერეს მარიამ ლორთქიფანიძემ და ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა. სამკითხველო დარბაზში გაიხსნა კუთხე, სადაც კარადაში განთავსებულია მარიამ ლორთქიფანიძის მიერ შემოწირული წიგნების ნაწილი. ამ კუთხეს ამშვენებს მეცნიერის შესანიშნავი ფერწერული პორტრეტი. ეს პორტრეტი (იგი ეკუთვნის მხატვარ შალვა მაყაშვილს), აგრეთვე, პლენარულ სხდომის დარბაზში გამოფენილი მარიამ ლორთქიფანიძის კიდევ სამი (მხატვრების ნელი ჩიქოვანის, მოსე თოიძის, ვახტანგ გაბუნიასი) ფერწერული პორტრეტი და ზემოთ აღნიშნული ფოტოგამოფენა, ერთობლივ, ქმნიდა არაჩვეულებრივ ატმოსფეროს, რომელიც ამ ღონისძიების ყველა მონაწილეს სასიამოვნო მოგონებად დარჩება.

შესვენების შემდგომ კონფერენციამ მუშაობა განაგრძო სექციებში. სულ იყო ორი სექცია: სექცია 1. *კონკრეტული ისტორიული კვლევები*, და სექცია 2. *ისტორიის თეორეტიზება*. პირველმა სექციამ ჩაატარა ოთხი სხდომა, მეორე სექციამ – ორი სხდომა.

წარმოდგენილი მოხსენებებისადმი ინტერესი იყო ძალიან დიდი. იმართებოდა საქმიანი დებატები, ამის გამო სხდომები ხშირად დაგეგმილზე ხანგრძლივი იყო.

კონფერენციის მეორე დღე დასრულდა მეგობრული ვახშმით.

კონფერენციის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ წარმომადგენლობითი სამეცნიერო ფორუმი, მასში სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი დაწესებულების მეცნიერთა მონაწილეობა შექმნიდა იდეების გაცვლისა და თანამშრომლობისათვის სათანადო ატმოსფეროს. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დიდი ღვაწლი ისტორიოგრაფიაში კი ხელს შეუწყობდა დასმული პრობლემატიკით ფართო სამეცნიერო წრეების დაინტერესებას. უნდა ითქვას, რომ კონფერენციამ სრულად გაამართლა ორგანიზატორთა ეს მოლოდინი: მოხსენება წარმოადგინა და კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ხუთ ათეულზე მეტმა მეცნიერმა საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიდან, აგრეთვე, საზღვარგარეთიდან, კერძოდ, ავსტრიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან. მოხსენებებმა მნიშვნელოვანი შედეგებით გაამდიდრა კონკრეტული კვლევები ისტორიის, ისტორიოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის დარგში; დასახა ახალი პერსპექტივები გამოყენებული კვლევის მეთოდების განზოგადების და ისტორიის თეორეტიზების თვალსაზრისით.

კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მოქმედებდა კონფერენციის ვებ-გვერდი (conference.lortkipanidze90.tsu.edu.ge), რომლის მეშვეობით აქტიური კომუნიკაცია არსებობდა ორგანიზატორებსა და მონაწილეებს შორის. დაიბეჭდა თეზისებიც ქართულ და ინგლისურ ენებზე, რამდენადაც კონფერენციის სამუშაო ენები იყო ქართული და ინგლისური.

საიუბილეო ღონისძიებების დაწყებამდე, აგრეთვე კონფერენციის დასრულების შემდგომ ანუ 14 და 18 ნოემბერს დაგეგმილი იყო კულტურული პროგრამა (სიღნაღისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება) თსუ-ს ქართველი და საზღვარგარეთელი სტუმრებისათვის. ეს ღონისძიება წარმატებული გამოვიდა. მას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ქართული კულტურის პოპულარიზებისათვის, აგრეთვე, სამეცნიერო აზრთა გაცვლა-გამოცვლის არაფორმალურ ვითარებაში გაგრძელებისათვის.

კონფერენციით მიღებული შთაბეჭდილება ძალიან დიდია. ამას მოწმობს ის წერილები, რომელიც საორგანიზაციო ჯგუფის სახელზე შემოდის კონფერენციის მონაწილეებისაგან.

მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები* მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. აღნიშნული ფაქტი კონფერენციის მიზნების მართებულად განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვნად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საორგანიზაციო ჯგუფს თავად რექტორი, ბატონი ალექსანდრე ჯიტაშვილი თავმჯდომარეობდა, ხოლო საორგანიზაციო ჯგუფში შედიოდნენ უნივერსიტეტის თითქმის ყველა დეპარტამენტის წარმომადგენლები, ასევე ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი და პროფესორები. პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის თხოვნით, კონფერენციის ორგანიზებაში აქტიურად ვიყავით ჩართულნი ჩვენც – საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტები, მაგისტრები და მაგისტრანტები. მთავარი მოტივაცია ჩვენთვის იყო ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა, აგრეთვე, ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის

ხელშეწყობის სურვილი, რომელიც, სწორედ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების დამსახურებით, ასე ძვირფასია ჩვენთვის.

Mariam Lordkipanidze *90*
Chronicle of the Anniversary Events

Sopio Kadagishvili
Manuchar Guntsadze
Shota Matitashvili

In 2012 Ivane Javakhishvili Tbilisi State University celebrated 90th anniversary of Mariam Lordkipanidze's birth, the famous Georgian historian, eminent scholar and public figure, Professor, Academician.

Throughout the country many events were dedicated to this remarkable date. For this occasion Ivane Javakhishvili Tbilisi State University held an international conference "Representing history: Theoretical Trends and Case Studies" dedicated to the 90th anniversary of the Academician Mariam Lordkipandze's birth. The conference was organized by the Institute of Georgian History (Faculty Humanities, director Professor Mariam Chkhartishvili). Mariam Lordkipanidze is closely linked to this Institute with her scientific and educational work.

Anniversary events had started one day before the conference was opened. On November 15, in the morning, dozen of photos of the researcher were exhibited in the university foyer. The exhibition was arranged with the help of Tbilisi State University library staff and Mariam Lordkipanidze's family.

On the same day Aleksandre Kvitashvili, the University Rector organized a meeting and reception in honor of Mariam Lordkipanidze. The scholar's family members, close friends and participants of international conference were invited. The Rector made a speech concerning Lordkipanidze's contribution in development of Georgian historiography. He recalled some episodes of their relationship. Lots of specialists and Mariam Lordkipanidze herself made a speech and wished the conference a success in its work.

The special issue of the *Proceedings* of the Institute of Georgian History published for this event was presented. The documentary film directed by Merab Kokochashvili and Professor Nino Gelovani was shown by the end of the event.

On the next day, on November 16, 2012 the conference was opened with a plenary session. University Deputy Rector Professor Levan Aleksidze spoke about Lordkipanidze's special contribution in the University life. The chair of the session – Professor Darejan Tvaltvadze, the Dean of the Faculty of Humanities also underlined the researcher's exclusive role in Georgian historiography development. Then she published the greetings received for the anniversary, namely, there were presented greetings by Georgian Prime Minister Bidzina Ivanishvili, Catholicos Patriarch of Georgia – His Holiness and Beatitude Ilia II, Eqvtime Takaishvili Georgian Historical Society, Georgian Women's Council, Georgian Ministry of Culture and Monuments Protection, Georgian Royal House, Georgian National Academy of Sciences.

Professor Mariam Chkhartishvili, the director of the Institute of Georgian History dedicated her speech to Mariam Lordkipanidze's characterization as a scholar. She emphasized the peculiarities of the researcher's representation style. She noted that, in works dedicated to Lordkipanidze's scientific legacy the attention was paid to the results of her research rather than the research methods. The analysis of specificity of the representation style clearly shows that Academician Mariam Lordkipanidze not only greatly contributes to Georgian historiography, but to the history discipline development in general. High level of professional skills enables her to create memory images for Georgian national narrative. Just the process of shaping and maintaining of collective memory to which Mariam Lordkipanidze contributed, is a necessary precondition for Georgian nation survival.

Professors of almost all principal Georgian universities were given an opportunity to announce their relationship with Mariam Lordkipanidze. On behalf of their universities addresses were presented by the Rector of Sokhumi State University Professor Joni Apakidze, Professor Giorgi Rcheulishvili (Iakob Gogebashvili Telavi State University), the Dean of the Faculty of Humanities Professor Ekaterine Antia (Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi), Professor Guram Gabunia (Akaki Tsereteli State University), Professor Nugzar Mgeladze (Batumi Shota Rustaveli State University). Also Shalva Gloveli – the chairman of academic council of the National Centre of Manuscripts. Address from Gori State Teaching University and address from Warsaw University signed by Davit Kolbaia (Head of Caucasian Research Seminar at Warsaw University, The Faculty of Oriental Studies) and Henryk Paprocki (the Presbyter of Saint Gregory Peradze's Orthodox Church in Warsaw) also were presented by chair of the opening session.

As chairman of Tbilisi State University labor union, Shalva Gloveli, announced concerning the union's decision about establishing Mariam Lordtkipanidze's scholarship for successful students in field of history. He also, as a former pupil of Lordkipanidze on behalf of some other colleagues read a greeting address full of respect and gratitude to their supervisor.

Some memorable facts also were recalled by the Lordkipanidze's colleagues, friends and pupils. Among them: Professor, Academiician Mzekala Shanidze, Professor, Academician Rismag Gordeziani, Professor Otar Zhordania, and Professor Ketevan Nadiradze. Journalist Tamaz Ebanoidze made a poetical greeting. Mariam Lordkipanidze herself made a speech expressing gratitude to the University administration, Professors of the Institute of Georgian History and all the audience.

After the plenary session the guests and the conference participants visited university library, where are kept part of Lordkipanidze's private library consisting of 4449 articles. She had donated all of them to the University. Appropriate documents were signed by Mariam Lordtkipanidze and library director Zurab Gaiparashvili. Mariam Lortkianidze's book corner was opened in the reading room. The corner is decorated by the fine portrait of the scholar (Shalva Makashvili's masterpiece). These portraits with three others (by Mose Toidze, Vakhtang Gabunia, and Neli Chkovani) being exhibited in the conference hall were creating the unforgettable atmosphere of celebration.

After the lunch break the conference continued working in sections. There were two sections. 1st – *Case Studies*, 2nd – *Theorizing History*. The first section held four meetings, second– two.

Interest for presentations was great. Animate debates sometimes prolonged more than it was scheduled.

The second day of the conference ended with a friendly dinner .

Conference organizers hoped that representative scientific forum would create appropriate atmosphere for collaboration which would provoke debates about problematic issues in academic circles. It must be said that the conference justified organizers' expectations. More than fifty proposals were received from Georgian universities and scientific-research centers and from abroad as well, namely, from Austria, Bulgaria, Italy, Poland, Russia, and USA. Papers contributed to enriching discourses in field of history, source criticism, historiography

During the conference there were outlined some projects for collaboration in future, new perspectives in terms of generalization and history theorization research.

Fruitful work of conference also contributed conference web-page(conference.lortkipanidze90.tsu.edu.ge) which helped to the intensive communication between organizers and participants. Abstracts were published in Georgian and English as the conference working language were both of them.

On November 18 conference organizers arranged cultural program for Georgian and foreign guests. It contributed to relaxation after two working days as well as popularization of Georgian culture and continuing of scientific debates in informal environment.

The outcomes of the conference are really sound. Its very positive impression is vivid by letters which are receiving from conference participants.

In organizing activities of the conference were involved the University Rector and steering group which included representatives from almost all the departments. Besides, the Dean of the Faculty of Humanities and Professors of the Institute of Georgian History took part in this as well. We , PhD and MA and bachelor students in field of history were involved in organizing this event. The main motivation for us was great respect and love to remarkable researcher – Mariam Lordtkipanidze and also desire to contribute to the developing of historical discipline which, thanks to our Professors, is very dear for us.

წიგნის *ისტორიული პორტრეტები, წერილები* პრეზენტაცია

მანუჩარ გუნცაძე

2013 წლის 27 თებერვალს გაიმართა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დოდო ჭუმბურიძის წიგნის *ისტორიული პორტრეტები, წერილები* (თბილისი, უნივერსალი, 2012) პრეზენტაცია. წიგნის წარდგენა მოხდა საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში ფართო აუდიტორიის წინაშე. აღნიშნული პუბლიკაციის პრეზენტაციას უძღვებოდა წიგნის რედაქტორი პროფესორი ოთარ ჯანელიძე, რომელმაც შესავალ სიტყვაში ზოგადად შეაფასა წიგნი და ხაზი გაუსვა მის

სამეცნიერო მნიშვნელობას. უფრო სრული მიმოხილვისთვის მან სიტყვა გადასცა თავად ავტორს, პროფესორ დოდო ჭუმბურიძეს.

ავტორის მიერ გაკეთებული პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები ვაჟა კიკნაძე და შოთა ვადაჭკორია, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს ამ წიგნის სხვადასხვა ასპექტზე. წიგნის შეფასება განაგრძო პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა მასალის ახლებურ ორგანიზებას და ამით ნაშრომის განსაკუთრებულობას. პროფესორმა გელა საითიძემ, რომელიც წიგნის რეცენზენტი იყო, წიგნის ზოგად შეფასებასთან ერთად კონკრეტულად მიმოიხილა გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი თავი. სიტყვით გამოვიდა ასევე მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე ლია ნადარეიშვილი, რომელმაც თავისი კმაყოფილება გამოხატა იმ ფაქტის გამოც, რომ პუბლიკაციის პრეზენტაცია სწორედ ამ ასოციაციაში შედგა. წიგნის შესახებ თავისი აზრი გამოთქვეს სამეცნიერო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმაც. ყველა გამომსვლელის შეფასება უღრესად დადებითი იყო.

რაც შეეხება თავად წიგნის დეტალურ მიმოხილვას აქ არ შემოგთავაზებთ. უმჯობესია, ის თავად იხილოთ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ თავების სათაურებს, რომ ნაშრომის სტრუქტურაზე წარმოდგენის შექმნა წინასწარ შეძლოს მკითხველმა. წიგნი, რომლის მოცულობა 512 გვერდია, იყოფა ოცდახუთ თავად: 1. *განგრძელებული ტანჯვა მამულისა ჩემისათვის: ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844)*; 2. *რუსული არმიის გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი (1798-1868)*; 3. *ვახტანგ VI და ჰეტრე I*; 4. *თანამედროვეობის ყველაზე დიდი მეცნიერი და საქართველოს ლომონოსოვი – ვასილ ჰეტრიაშვილი (1845-1908)*; 5. *ალექსანდრე გარსევანიშვილი (1864-1936)*; 6. *არტაანში ქართველი ქალის საფლავია; ანა ერისთავი-ჭავჭავაძე (1833-1878)*; 7. *ნიკო ხიზანიშვილის ღვაწლის შესახებ (1851-1906)*; 8. *ნოე რამიშვილი (1881-1930)*; 9. *ქაქუცა ჩოლოყაშვილი*; 10. *გაორებული საქართველოს ტრაგედია - იასე ფალავანდიშვილი: მოღალატე თუ წმინდანი?*; 11. *გენერალი გიორგი ორბელიანი*; 12. *მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელიანი (1807-1870)*; 13. *ორი ელენე ორბელიანი*; 14. *გერასიმე მახარაძე. საქართველოს უკანასკნელი დესპანის ტრაგედია საბჭოთა მოსკოვში*; 15. *გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937)*; 16. *აკაკი წერეთელი რუსული კოლონიალიზმის შესახებ*; 17. *გაზეთი დროება მათუმის დაკავების შესახებ*; 18. *დემოგრაფიული დივერსია საქართველოს წინააღმდეგ 1918-1919 წლებში*; 19. *ბოლშევიკების ბრძოლა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ 1918-1919 წლებში*; 20. *ბრძოლა დენიკინის თეთრგვარდიელ მოხალისეთა წინააღმდეგ*; 21. *1919 წლის საარჩევნო კამპანია და პარტიული აგიტაცია ქართულ პრესაში*; 22. *რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 1918-1924 წლებში და ჟურნალი მხედარი*; 23. *რუსი და სხვა უცხოელი მიწისმფლობელები მათუმში (XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი)*; 24. *პლატონ იოსელიანი გიორგი საკაძის შესახებ*; 25. *რუსული კოლონიზაცია აფხაზეთში და დასახლება პარნაუთი.*

გამოყენებულია საარქივო დოკუმენტები, პრესა და სხვადასხვა მონოგრაფიები, რომელთა ჩამონათვალი ყოველი თავის ბოლოს არის წარმოდგენილი და აღნიშნული თემატიკით დაინტერესებულ მკითხველს უადვილებს მასალის მოძიებას. ამ წიგნში მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემები როდია წარმოდგენილი, აქ მათი ანალიზიცაა მოცემული, რაც განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მას. წიგნს დართული აქვს ასევე განმარტებები, რომელიც დაყოფილია თავების მიხედვით და გვაძლევს ინფორმაციას კონკრეტულ თავში დასახელებული ცნობილი თუ უცნობი პიროვნებების შესახებ და ამით ავსებს წიგნში არსებულ სხვა მონაცემებს.

ალბათ ზედმეტი არ იქნება აქვე აღინიშნოს, რომ ეს არ არის პროფესორ დ. ჭუმბურიძის მიერ ამ თემატიკაზე დაბეჭდილი პირველი ნაშრომი: 2008 წელს მას ასევე გამოქვეყნებული აქვს წიგნი *ისტორიული პორტრეტები – დასაწყისი XX საუკუნისა*, სადაც წარმოდგენილია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, სხვადასხვა პარტიული კუთვნილების ადამიანთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია.

ჩვენს წერილს კი დავამთავრებთ ამონარიდით თავად განსახილველი წიგნიდან. ეს ამონარიდი გვეხმარება აღნიშნული პუბლიკაციის ადეკვატურად აღქმაში იმიტომ, რომ მისი საშუალებით ვიტყობთ თუ როგორც ესახება თავად წიგნის ავტორს საკუთარი ნაშრომის დანიშნულება: „ვინც ხშირად ფიქრობს წარსულზე, ის მომავლის აშენებაზეც ზრუნავს. ამისთვის გვჭირდება წარსულის მუდმივი შეხსენება და განვლილი ეპოქების რეალური სურათის წარმოდგენა. ამას კი ვერაფერი ისე კარგად ვერ მოახერხებს, როგორც გარდასული დროის მკვიდრთა ნამდვილი სულიერი და ცხოვრებისეული პორტრეტების წარმოდგენა-შესწავლაა“.



Presentation of the Book
Historical Portraits, Letters

Manuchar Guntsadze

On February 27, 2013, at Ilia Chavchavadze Association of Readers took place presentation of book *Historical Portraits, Letters* by Professor Dodo Chumburidze. Dozens of interested people were attended the presentation. Professor Otar Janelidze – the book editor opened the meeting. Then he invited the author to present her book

Professor Vazha Kiknadze and Doctor of history Shota Vadachkoria expressed their attitude towards the book and emphasized its importance and scientific value. Professor Mariam Chkhartishvili identified distinguishing features of the book, in particular, the new manner of representing modern Georgian history. The chair of Ilia Chavchavadze Association of Readers Lia Nadareishvili also made a speech expressing her satisfaction with the fact that her organization hosted this remarkable event. Various representatives of the Georgian academic community as well as common readers have presented their positive opinions about the book.

The book consists of 512 pages and divided into 25 chapters. The investigation is based on archival data, newspapers, and various monographs. The list of sources and academic literature are presented at the end of each chapter. They are accompanied with commentaries. The commentaries are very useful for obtaining additional information.

ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია *წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები*

მანუჩარ გუნცაძე

2013 წლის 30 მაისს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა საერთო ეროვნული წარმომადგენლობის ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია *წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები*, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. კონფერენცია მიეძღვნა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის რევაზ კიკნაძის დაბადებიდან 90-ე წლისთავს. მისი ორგანიზატორები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და კვლევით ცენტრებში მოღვაწე მეცნიერებმა, კერძოდ, მომხსენებლები გარდა ორგანიზატორი დაწესებულებების წარმომადგენლებისა, იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტისა და წმ. ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერ-თანამშრომლები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ახალგაზრდა მეცნიერებიც: მაგისტრები და დოქტორანტები. სულ წარმოდგენილი იქნა ხუთ ათეულამდე მოხსენება. თეზისებთან ერთად მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ სხვადასხვა პუბლიკაციები.

პლენარული სხდომა გახსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგემ პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა. მან მოკლედ ისაუბრა რევაზ კიკნაძის პიროვნებაზე და მის ღვაწლზე ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში, მანვე განმარტა ამგვარი ანუ თემატური და ინტერდისციპლინური კონფერენციის ამოცანები და სამუშაო ფორმატი.

პროფესორ რევაზ კიკნაძის შემოქმედების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა გიული ალასანიამ. ამის შემდგომ მოგონებებით გამოვიდნენ რევაზ კიკნაძის კოლეგები და მოსწავლეები: საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები გივი წულია, ოთარ ჟორდანია, თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის პროფესორები ზაზა ალექსიძე, გოჩა ჯაფარიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ გოილაძე, პროფესორები გონელი არახამია და ეკა კვაჭანტირაძე.

დასასრულ, მოგონებით გამოვიდა რევაზ კიკნაძის ქალიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დოქტორი ნანა კიკნაძეც, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებსა და სიტყვით გამომსვლელებს.

პლენარული სხდომის შემდგომ უნივერსიტეტის საბანკეტო დარბაზში გაიმართა მიღება კონფერენციის მონაწილეებისა და სტუმრებისათვის. ამავე დღის მეორე ნახევარში, აგრეთვე, მეორე დღეს, 31 მაისს, კონფერენციამ მუშაობა გააგრძელა სექციებში, რომელიც ძალიან საინტერესოდ წარიმართა. სხდომები დაგეგმილზე დიდხანს მიმდინარეობდა, რადგან დისკუსიები იყო დიდი ინტერესის აღმძვრელი.

რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა და ბევრი ახალი ფაქტი წარმოჩინდა ან უკვე ცნობილი მოვლენების გააზრება მოხდა ახლებურად, რაც იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ, რომ კონფერენციამ დასახული მიზნები შეასრულა.

Interdisciplinary Scientific Conference
Researches in Source-Studies and Historiography

Manuchar Guntsadze

The interdisciplinary conference dedicated to the memory of Professor Revaz Kiknadze was held on May 30-31, 2013 at Tbilisi State University. The conference was organized by the Institute of History and Ethnology and Institute of Georgian history. Not only historians, but also philologists, archaeologists and others attended the conferences.

This was all national inter-institute conference: Professors and research fellows from top Universities and principal research centeres of Georgia participated at conference, among them representatives of Ivane Javakhishvili Tbilisi State Uuniversity, Georgian Technical University, Gori State University, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi Archaeological Museum, National Center of Manuscripts, Poti Colchian Culture Museum, Sokhumi State University, Georgian-Studies Institute, Tbel Abuseridze University. The young scholars also participated the conference. The participant were gifted with abstract books and other publications of the organizers.

The plenary session began with Tbilisi State University Professor Mariam Chkhartishvili's speech who welcomed the participants and gave them brief information about conference schedule. Then events connected with Revaz Kiknadze were recalled by his former students and colleagues: Professor Giuli Alasania, Professor Goneli Arakhamia, Academician Mariam Lortkipanidze, Professor Gocha Japaridze, Professor Givi Tsulaia, Professor Otar Zhordania, Doctor in History Vakhtang Goiladze, Professor Eka Kvachantiradze. Revaz Kiknadze's daughter Doctor of Biology Nana Kiknadze expressed her deep gratitude and appreciation to the audience.

The sessions were characterized by animate debates. We can say that the conference was quite productive and has fully met expectations of the organizers.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია რომში: *იმპერიები და ნაციები*

სოფიო ქადაგიშვილი

ევროპის ერთ-ერთმა ძველმა და დიდი ტრადიციების მქონე უმაღლესმა სასწავლებელმა, რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტმა 2013 წლის ზაფხულში უმასპინძლა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას *იმპერიები და ნაციები XVIII-XX საუკუნეებში* (http://conferencerome2013.blogspot.com/).

კონფერენცია გაგრძელდა სამ დღეს. მოხსენებები თემატიკის მიხედვით განაწილებული იყო 20, 21 და 22 ივნისის სესიებზე. საპიენცას უნივერსიტეტს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკვე წლებია მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ. არც წლევანდელი წელი იყო გამონაკლისი და კონფერენციაზე მოხსენებები ჰქონდათ წარდგენილი მკვლევრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: მარიამ ჩხარტიშვილს, სოფიო ქადაგიშვილს, ალექსანდრე წურწუმიას, გიორგი გაფრინდაშვილს, ეკა ლეკიშვილს, რევაზ გველესიანს, ნანა მაისურაძეს და საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივიდან ანტონ ვაჭარაძეს.

კონფერენციას ჰყავდა საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი ჩვიდმეტი წევრის შემადგენლობით. საქართველოს, კერძოდ კი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს, წარმოადგენდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი.

კონფერენციის თემატიკა მოიცავდა ისეთ საინტერესო საკითხებს, როგორიცაა ნაციების შექმნა თანამედროვე ევროპაში, მრავალეროვნული იმპერიები, იმპერიების დიადი აღზევება და დაცემა, მოძრაობები ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითგანსაზღვრისათვის XIX საუკუნეში.

2013 წლის 20 ივნისს კონფერენცია გახსნა რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის რექტორმა ლუიჯი ფრატიმ. კონფერენციას მიესალმნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი როზერტო ნიკოლაი და ისტორიის, რელიგიისა და კულტურის დეპარტამენტის დირექტორი მარიანო ფავანელო. ამ დღესვე წარიმართა მუშაობა სექციებში. საღამოს მოეწყო მეგობრული ვახშამი.

მომდევნო დღე დაეთმო მუშაობას სექციებში. შემაჯამებელი სხდომა გაიმართა დღის მეორე ნახევარში. აქ სიტყვით გამოვიდა პროფესორი ანტონელო ბიაჯინი, რომელიც არის რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის პრორექტორი თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში.

მასპინძლების მიერ 22 ივნისი მთლიანად განკუთვნილი იყო კონფერენციის მონაწილეებს შორის არაფორმალური შეხვედრებისა და კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის მუშაობისათვის მომავალი სამეცნიერო პროექტების ინიცირებისა და კონფერენციის მასალების გამოსაქვეყნებლად საორგანიზაციო პრობლემების მოსაგვარებლად.

კონფერენციაზე ჩატარდა ოცდაცხრა თემატური სხდომა: 1. ეროვნული სახელმწიფოების ფესვები: ნაციონალური იდენტობა თანამედროვე ეპოქაში; 2. იმპერიათა დაუსრულებელი დასასრული: ოსმალეთისა და ესპანეთის იმპერიები XVI-XIX საუკუნეებში; 3. ოსმალეთის იმპერიიდან ქემალისტურ რესპუბლიკამდე: თანამედროვე თურქეთის თავგადასავალი; 4. ნაციონალური იდენტობის ფორმირება ოსმალეთის იმპერიაში; 5. ჰაბსბურგთა იმპერია და ეროვნებანი; 6. უმცირესობათა როლი გვიანი ჰაბსბურგების დროს; 7. ნაციონალური იდენტობა ცარისტულ რუსეთში; 8. ცარისტული რუსეთი და სხვები: იდენტობა და საგარეო პოლიტიკა; 9. ნაციათა რელიგია; 10. ჩინეთის მთავარი მახასიათებლები და ნაციონალური იდენტობის მნიშვნელობა (XVIII-XX საუკუნეები); 11. უთანასწოროზის ეკონომიკა: კოლონიალიზმი და ეკონომიკური განვითარება; 12. ნაციონალიზმების ეკონომიკა; 13. გენდერი და იმპერიები; 14. იმპერიებისა და ნაციებისადმი თეორიული მიდგომები (სხდომა I); 15. იმპერიებისა და ნაციებისადმი თეორიული მიდგომები (სხდომა II); 16. ლიტერატურა, ნაციონალიზმი და იდენტობა: ინტელექტუალური ცნობიერების აღმოცენება ევროპაში; 17. ნაციონალური იდენტობის ნარატივი; 18. დიდი ომიდან ვერსალამდე; 19. ხორვატთა საკითხის გადაზრება XX საუკუნეში; 20. ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება ბრიტანეთის იმპერიაში; 21. ევროპული კოლონიალური იმპერიების მოდელები; 22. იმპერიის სუბიექტებიდან ნაციებამდე: დეკოლონიზაციის მოდელები; 23. იყო კი სოციალისტური სისტემა ნამდვილად იმპერია? 24. იმპერიათა მსხვრევა ცივი ომის დროს; 25. ნაციონალური უმცირესობანი ნაცია-სახელმწიფოებსა და იმპერიებს შორის; 26. ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება: რუმინეთის მაგალითი; 27. ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მაგალითი; 28. ომი და ნაციონალური

იდენტობა უკიდურესობების ეპოქაში; 29. ნაციონალური იდენტობა აღმოსავლეთ ევროპაში ცივი ომის შემდგომ: ზოგიერთი მაგალითი.

პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, რომელიც უკვე წლებია თანამშრომლობს იტალიელ კოლეგებთან, იყო *გენდერის და იმპერიების* სექციის თავმჯდომარე.

მან წაიკითხა მოხსენება სათაურით *ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია რომანოვების იმპერიის შიგნით.* ევროპელი კოლეგებისათვის განსაკუთრებით საინტერესო გახდა ე.რენანის ცნობილი ესეს „რა არის ერი“ ქართული თარგმანის *ივერიაში* პუბლიკაციის და ქართული საზოგადოების ე. რენანის შემოქმედებით ცხოვლად დაინტერესების საკითხი. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა“ დოქტორანტ სოფიო ქადაგიშვილის მოხსენება შეეხებოდა XVIII საუკუნის საქართველოში ეროვნული თვითცნობიერების ფორმირების პროცესს. ამ მოხსენებამაც მსმენელთა დაინტერესება გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაში მონაწილეობდა რამდენიმე ასეული მკვლევარი მსოფლიოს ოცი ქვეყნიდან. მასპინძლების ორგანიზებულობა და ყურადღება სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნიდა თანამშრომლობისა და იდეების გაზიარებისათვის. იმპერიებისა და ნაციების ურთიერთმიმართების საკითხი უაღრესად აქტუალურია საქართველოს ისტორიის კვლევისათვისაც: საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიის კონტექსტში ჩართვა იოლად ხდება სწორედ ამ კუთხის გათვალისწინებით.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები გამოიცა კრებულად: *Empires and Nations from the Eighteenth to the Twentieth Century,* Volume 1(Cambridge Scholars Publishing, 2014).



International Conference in Rome *Empires and Nations*

Sopio Kadagishvili

Sapienza University of Rome, was the organizer of an international multidisciplinary conference which was held in Rome, on June 20-21-22, 2013. The topics of the meeting were related to Empires and Nations from the 18th to the 20th century and devoted to comparative perspectives on nationalism-related issues, as well as theoretical approaches on the concept of empires and nations to any particular geographic region.

Rome Sapienza University and Tbilisi State University have long term scientific-research relations. Thus, this year was not exception and papers from Tbilisi State University were presented by Professor Mariam Chkhartishvili – *Conceptualizing Georgian Nation within Romanov Empire*, PhD Sopio Kadagishvili – *Georgian Self-determination in the Eighteenth Century: Saints and Collective Memory*, Professor Alexsander Tsurtsumia – *Revolutions and Geopolitical transformations*; Professor Eka Lekashvili and PhD student Giorgi Gaprindashvili – *Social integration in the Context of Regional Economic Integration, the Example of the South Caucasian States*; Professor Revaz Gvelesiani and PhD student Nana Maisuradze – *German Capital in Georgia at the end of the 19th and at the beginning of the 20th Centuries and its Importance*; From National Archives of Georgia Anton Vatcharadze – *The Great Purge as a Weapon of totalitarian "Emperor" Joseph Stalin.*

It is worth mentioning that over hundred of delegates from more than twenty countries were the participants of the conference. Well Organized conference created favourable atmosphere for researchers to share the ideas and plan collaboration in future.

Recently, papers presented at the conference were published by Cambridge Scholars Publishing: *Empires and Nations from the Eighteenth to the Twentieth Century,* Volume 1.

წიგნისა და სტუდენტთა სამეცნიერო წრის პრეზენტაცია საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში

სოფიო ქადაგიშვილი
მანუჩარ გუნცაძე

2014 წლის 11 აპრილს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა უმასპინძლა სპეციალისტთა და სტუდენტთა ფართო აუდიტორიას: წარმოდგენილი იქნა ინსტიტუტში მომზადებული წიგნი *ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები.*

ესაა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. აღნიშნული კონფერენცია, როგორც ჩვენს წინა წერილში უკვე

აღვნიშნეთ, ჩატარდა 2012 წელს და იყო უნივერსიტეტისა და ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის უაღრესად რეზონანსული ფაქტი.

წიგნის რედაქტორია პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. სარედაქციო ჯგუფის წევრები არიან მანუჩარ გუნცაძე, ნათია დვალი, ქეთევან მანია და სოფიო ქადაგიშვილი. გარეკანის დიზაინი ეკუთვნის მანუჩარ გუნცაძეს. კრებულს ჰყავს საერთაშორისო სამეცნიერო საბჭო, რომელშიც ქართველი მეცნიერების გარდა გაერთიანებულნი არიან ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, იტალიის, პოლონეთის სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე მეცნიერებიც. წიგნი დაიბეჭდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე 2014 წელს. აქ ქვეყნდება არა მარტო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები და მათი რეზიუმეები ქართულ და ინგლისურ ენებზე, არამედ, აგრეთვე, კონფერენციის კულტურული და სოციალური პროგრამების, იუბილარისადმი მილოცვების ამსახველი ინფორმაცია და ფოტომასალა.

პრეზენტაცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას მოკლედ შეახსენა ის მიზანი, რომელსაც ისახავდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კერძოდ, ხაზი გაუსვა კონკრეტულ კვლევებთან ერთად ისტორიის თეორიულ პრობლემების დამუშავებისათვის ხელშეწყობის აუცილებლობას. პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა აქვე განმარტა, რომ ამ მიმართულებით ძალიხსმევა საჭიროა უკვე სწავლების პროცესში დაიწყოს და სწორედ ამის გამო მხარს უჭერს და ყოველნაირად დაეხმარება კიდეც ისტორიის თეორიული პრობლემატიკით დაინტერესებულ სტუდენტთა ინიციატივას – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნას სამეცნიერო წრე, რომელიც ფოკუსირებული იქნება ისტორიული მეცნიერების ისტორიის და მეთოდოლიგიის საკითხებზე; ამიტომაც ხსენებული წიგნის წარმოდგენასთან ერთად ისტორიის მიმართულების პირველი კურსის სტუდენტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ახალი სტუდენტური სამეცნიერო წრის სამუშაო გეგმებსაც; კონფერენციის მასალების ამსახველი კრებულის პრეზენტაცია იყო ამ წრის პირველი აქტივობაც, ასე ვთქვათ, მისი დაბადების მაუწყებელი ფაქტი. „უნივერსიტეტის უხუცესი ისტორიკოსის, ღვაწლმოსილი მეცნიერის აკადემიკოს მარიამ ლორთქიანიძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალების კრებულის წარმოადგენა პირველკურსელების მიერ მესახება როგორც თაობათა ესტაფეტა“ – შენიშნა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა.

თავისი გამოსვლის დასასრულს პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს, რომელსაც დამსახურება მიუძღოდა ამ წიგნის გამოცემაში, კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს და, კონკრეტულად, ამ საბჭოს წევრს პროფესორ ჯემალ შარაშენიძეს, ექსპერტ-რეკომენდატორს, ისტორიის დოქტორ შალვა გლოველს, რეცენზენტებს – პროფესორ დოდო ჭუმბურიძეს და პროფესორ გონელი არახამიას, სარედაქციო ჯგუფისა და საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს წევრებს, უნივერსიტეტის გამომცემლობისა და სტამბის თანამშრომლებს, პირადად სტამბის დირექტორს ბატონ თენგიზ სირაძეს. სწორედ ამ უკანასკნელთა დამახურებაა წიგნის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი და მისი უმოკლეს დროში დაბეჭდვა.

ამის შემდგომ პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა მისალმებისათვის სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანს პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს. დეკანმა აღნიშნა მარიამ ლორთქიფანიძის განსაკუთრებული წვლილი ფაკულტეტის ცხოვრებაში, მადლობა გადაუხადა კრებულის სარედაქციო ჯგუფს, პირადად პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს და მხარი დაუჭირა ფაკულტეტზე ახალი სტუდენტური წრის შექმნის იდეას სტუდენტურ სამეცნიერო წრეების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საერთო საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების კონტექსტში.

სტუდენტმა ირაკლი ნოდიამ ისაუბრა ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი სტუდენტური წრის მიზნებზე, მუშაობის ფორმატზე, მოსალოდნელ შედეგებზე, ამ წრის მიერ განსახორციელებელ პერსპექტიულ პროექტებზე; ასევე პირველკურსელებმა ნანი მანველიშვილმა და ლერი მდინარაძემ წარმოადგინეს თავად კრებული. ეს პრეზენტაცია მეტად ეფექტურად იყო ვიზუალიზებული.

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი გონელი არახამია, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გოჩა ჯაფარიძე და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ ჟორდანია. ყველა გამომსვლელმა მიუთითა ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის ამ პუბლიკაციის დიდ მნიშვნელობაზე.

შეხვედრის ბოლოს სიტყვა წარმოთქვა თავად ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ. მან საგანგებოდ აღნიშნა მისი მოწაფის – პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის დამსახურება როგორც

საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში, ასევე ამ კონფერენციის მასალების პუბლიკაციის მომზადებაში: „ეს მან შეძლო არა მარტო იმიტომ, რომ მე მიყვარს ის, არამედ იმიტომ, რომ მასაც ძალიან ვუყვარვარ“, – აღნიშნა მარიამ ლორთქიფანიძემ მარიამ ჩხარტიშვილის მისამართით, როცა იგი მისი მოწაფის მიერ საქმისადმი თავდადებაზე საუბრობდა. ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ დიდი მადლობა გამოხატა დამსწრე საზოგადოების მიმართ და რამდენიმე საინტერესო მოგონებითაც გაამდიდრა თავისი ემოციური გამოსვლა.

ამის შემდგომ დამსწრე საზოგადოებამ გადაინაცვლა გვერდით ოთახში, რათა საუკეთესო ქართული ღვინით აღენიშნათ ეს ღონისძიება. აქ უკვე არაფორმალურ ვითარებაში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა სჯა-ბაასი ქართული ისტორიული მეცნიერების შესახებ. მრავალი სამახსოვრო ფოტო იქნა გადაღებული ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძესთან და ქართული ისტორიული მეცნიერების ასევე თვალსაჩინო წარმომადგენელთან აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძესთან ერთად (სხვათა შორის ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე და ბატონი ოთარი თანაკლასელები არიან). უსაზღვრო იყო ყველას სიხარული და, განსაკუთრებით კი, სტუდენტების აღფრთოვანება ამ საოცარი ატმოსფეროთი. ყველა თავს გრძნობდა ისტორიული მოვლენის მონაწილედ.

„იარე ჩვენთან ერთად,“ – ეს არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლოგანი. ამ ღონისძიებამ კარგად აჩვენა, რომ იგი არ ნიშნავს მხოლოდ სტუდენტების ერთად სვლას, არამედ გულისხმობს საუნივერსიტეტო თაობების ერთად სვლასაც და სწორედ ამ ჰარმონიაშია საქართველოს პირველი უნივერსიტეტის წარმატების საიდუმლო.



Presentation of the Book and Student Research Circle at the Institute of Georgian History

Sopio Kadagishvili
Manuchar Guntsadze

On April 11, 2014 at the Institute of Georgian History (Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities) the presentation of the proceedings of the international conference *Representing History: Theoretical Trends and Case Studies* dedicated to 90th anniversary of Academcian Mariam Lordkipanidze's birth took place.

Professor Mariam Chkhartishvili is an editor of the conference proceedings. Members of the editorial board are: Natia Dvali, Sopio Kadagishvili, Ketevan Mania, and Manuchar Guntsadze who also is a cover page disigner. The publication has representative international scientific committee.

The presentation started with greeting speech by Professor Mariam Chkhartishvili, the director of the Institute of Georgian History. She briefly reminded the audience the events linked with the above mentioned international conference and underlining the importance of theoretical researches in field of history together with case studies. She also noted that she would support and encourage all students who are interested in theoretical approaches and eager to be familiar with new theoretical trends in field of history. This is a focus of recently established student research circle. The student research circle was presented by the freshmen of the Program BA in History: Leri Mdinaradze, Nani Marvelishvili, and Irakli Nodia.

At the end of her speech Professor Mariam Chkhartishvili thanked all people who contributed this publication, namely: the Dean of the Faculty of Humanities Professor Darejan Tvaltvadze, members of the faculty editorial board, especially, Professor Jemal Sharashenidze, expert Dr. Shalva Gloveli, official reviewers Professor Dodo Chumburidze and Professor Goneli Arakhamia, the editors of the University Press, and the director of the University Printing House Tengiz Siradze personally.

In their speaches the main research fellow of the Institute of History and Ethnology Professor Goneli Arakhamia, Tbilisi State University Professor Gocha Japaridze, and Sukhumi State University Professor Otar Zhordania underlined the importance of the publication. Academician Mariam Lordkipanidze expresserd her deep gratitude to all those having been contributed to the publication of the *Proceedings*, and especially Professor Mariam Chkhartishcili as main organizer of the conference and responsible person for the proceedings issuing.

After the presentation the audience moved to the next room where discussion was continued in informal atmosphere with exellent Georgian wine.

ევროპული საზოგადოებათმცოდნეობითი ისტორიის კონფერენცია ვენაში

სოფიო ქადაგიშვილი

2014 წელს ჩატარებული ევროპული საზოგადოებათმცოდნეობითი ისტორიის მეათე კონფერენცია ორგანიზებული იყო სოციალური ისტორიის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ. ეს ინსტიტუტი დაარსდა 1935 წელს და მას შემდეგ ორგანიზაციის მთავარ მიზანს სოციალური ურთიერთობების საზოგადოებაზე გავლენის განსაზღვრა წარმოადგენს. ინსტიტუტი აქტიურად არის ჩართული როგორც ისტორიულ კვლევაში, ასევე მკვლევრებს ეხმარება სათანადო მასალის მოძიებაში. ინსტიტუტი, რომელიც ჰოლანდიაში მდებარეობს, ფლობს მდიდარ არქივს. ეს და სხვა გარემოებანი განაპირობებს, რომ აღნიშნული კვლევითი დაწესებულება იყოს მსოფლიოში წამყვანი შესაბამის დარგში (http://socialhistory.org/).

ევროპული საზოგადოებათმცოდნეობითი ისტორიის პირველი კონფერენცია ჩატარდა ჰოლანდიაში 1996 წელს და მას შემდეგ ტრადიციად იქცა, რომ ინსტიტუტის ეგიდით ყოველ ორ წელიწადში მსოფლიო მასშტაბით მკვლევრებს საშუალება ჰქონდეთ თავიანთი ნაშრომები წარადგინონ ფართო აუდიტორიის წინაშე. სოციალური ისტორიის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კონფერენციები ორგანიზების მაღალი დონით, მასშტაბურობით და პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

2014 წლის აპრილში ავსტრიაში, ქალაქ ვენაში ჩატარდა რიგით მეათე ევროპული საზოგადოებათმცოდნეობითი ისტორიის კონფერენცია. ამჯერად კონფერენციის მასპინძელი იყო ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ევროპის ერთ-ერთ უძველეს (XIV ს.) და დღეს გავლენიან (ცხრა ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავს) უნივერსიტეტს წარმოადგენს. კონფერენცია გაგრძელდა ოთხ დღეს (23-26 აპრილი) და მასში მონაწილეობა მიიღო ორი ათასამდე მომხსენებელმა მსოფლიოს სამოცი ქვეყნიდან. სესიების გარდა ეწყობოდა პლენარული ლექციები და კონფერენციის ოთხივე დღის განმავლობაში უნივერსიტეტის ფოიეში იმართებოდა წიგნების გამოფენა-გაყიდვა. ევროპის წამყვანი გამომცემლობები კონფერენციის მონაწილეებს სთავაზობდნენ ექსკლუზიურ ფასებს. შესაბამისად, დელეგატებს შესაძლებლობა ჰქონდათ ნაკლებ ფასად შეეძინათ მათთვის სასურველი ლიტერატურა. კონფერენციის პირველი დღე დასრულდა ბანკეტით ქალაქის რათჰაუსში. ცოცხალი მუსიკა და ევროპული, კლასიკური გარემო ქმნიდა ხელშემწყობ ვითარებას კოლეგების გასაცნობად და დაძაბული დღის შემდეგ განსატვირთად.

24 აპრილის დილის 9 საათიდან უნივერსიტეტის აუდიტორიებში მუშაობა განახლდა სექციებში კონფერენციის მრავალრიცხოვან მომხსენებელთა შორის მონაწილეები იყვნენ საქართველოდანაც. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა და დოქტორანტმა სოფიო ქადაგიშვილმა წარმოადგინეს მოხსენება *წმინდანები და კოლექტიური მახსოვრობა: ქართული მაგალითი.* მოხსენების მთავარი მიზანი XVIII საუკუნის ქართველთა თვითცნობიერების განსაზღვრა იყო. წყაროდ კათალიკოს ბესარიონ ორბელიშვილის და კათალიკოს ანტონ ბაგრატიონის ჰაგიოგრაფიული კრებულების მასალა იქნა შერჩეული. კვლევას საფუძვლად ედო ეთნო-სიმბოლისტური მიდგომა, რომელიც ნაციის ეთნიკურ ფესვებზე აკეთებს აქცენტს. სექციის ბოლოს გამართულ დისკუსიაში დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოხატა აღნიშნული მოხსენების მიმართ. მსმენელთა შორის იყვნენ საქართველოს ისტორიის

საკითხებში კარგად გარკვეული პირები, მათ შორის, პროფესორი ვერნერ ზებტი, რომელიც წლების განმავლობაში თანამშრომლობს ქართველ კოლეგებთან და დაინტერესებულია ქართველოლოგიური პრობლემატიკით. სექცია დაიხურა დისკუსანტის შემაჯამებელი შენიშვნებით.

სოციალური ისტორიის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ევროპული სოციალური მეცნიერების ისტორიის მეათე კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის და სოციალური მეცნიერებების განვითარების, დისციპლინათშორისი პროექტების მომზადებისა და განხორციელების კუთხით. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ამგვარი პროფილის მქონე კონფერენცია ქართული რეალობიდან გამომდინარე, რადგან ფაქტია, რომ მიუხედავად გარკვეული მცდელობისა, სოციალური მეცნიერების თანამედროვე მეთოდების ჩართვა საქართველოს ისტორიის გადააზრება-დადგენისათვის არცთუ ისე ხშირია. იმედია, ქართველი მკითხველისათვის ამ კონფერენციის მასალების გაცნობა და, საერთოდ, აღნიშნული საერთაშორისო ინსტიტუტის საქმიანობისათვის თვალის მიდევნება უფრო მეტად შეუწყობს ხელს მომავალში ქართულ სინამდვილეშიც ასეთი ინტერდისციპლინური კომპლექსური კვლევების განვითარებას.





European Social Science History Conference in Vienna

Sopio Kadagishvili

European Social Science History Conference (ESSHC) took place at Vienna University on April 23-26, 2014. The ESSHC is organized by the International Institute of Social History every two years, bringing together historians and social scientists who explain historical phenomena using the methods of the social sciences. The International Institute of Social History was established in 1935, is one of the world's leading research institutes in field of social history.

The 10th ESSH conference which lasted four days had more than two thousand participants from sixty countries. Except sessions there were held lectures, where key note speakers highlighted important issues. After the first day of the conference organizing committee welcomed the delegates at Rathaus reception. During the conference several publishers opened books sell-exhibition at the university hall. Special prices and scientific literature were available for conference participants.

On April 24, 2014 Tbilisi State University Professor Mariam Chkhartishvili and PhD student Sopio Kadagishvili made joint presentation entitled as *Saints and Collective Memory: Georgian Case*. The main aim of the contribution was to determine Georgian self-awareness in pre-modern Georgia. The interest of the audience towards Georgian historical experience was expressed at the session debates. Among the listeners was Professor Werner Seibt who has close scientific relations with Georgian colleagues over the years and is interested in Georgian studies issues.

The 10th ESSHC would play important role in developing historical and social sciences, especially encourage interdisciplinary research projects.

საერთაშორისო კონფერენცია რომში: *დიდი ომი*

სოფიო ქადაგიშვილი

როგორც ჩემს წინა წერილში უკვე აღვნიშნე, ევროპის ერთ-ერთ უძველეს რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტს ტრადიციად ექცა ყოველწლიურად საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება. 2014 წლის კონფერენციის სახელწოდებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კონფერენციის ძირითადი თემატიკა მიეძღვა პირველ მსოფლიო ომს. კონფერენცია გაგრძელდა ორ დღეს. მოხსენებები განაწილდა 19 და 20 ივნისის სესიებზე. ღონისძიებას ჰყავდა საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი, რომელიც ოცდაშვიდი წევრისაგან შედგებოდა. მათ შორის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი.

სამეცნიერო კონფერენცია მოიცავდა ექვს პლენალურ და ათეულობით თემატურ სესიას. ეს იყო ინტერდისციპლინური სამეცნიერო ფორუმი, რომელზე წარმოდგენილი მოხსენებები ეფუძნებოდა კვლევის სხვადასხვა მეთოდს და, შესაბამისად, ახალი ფაქტების დადგენის და ისტორიული ხარვეზების შევსების საშუალებას იძლეოდა.

19 ივნიის კონფერენცია გახსნა ლა საპიენცას უნივერსიტეტის ვიცე რექტორმა ანტონელო ბიაჯინიმ. იგი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და ასევე გამოკვეთა პირველი მსოფლიო ომის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. კონფერენციის ოფიციალურად გახსნის შემდეგ ღონისძიება გადავიდა სექციური მუშაობის ფორმატზე.

კონფერენცია მოაზრებული იყო რამდენიმე თემატურ ბლოკად: 1. საერთაშორისო დავა; 2. ომი და პოლიტიკა: მთავრობები, ადამიანები, პოლიტიკური პარტიები, ინტერვენციები, პოლიტიკური თამაშები; 3. სამხედრო ისტორია: სამხედრო ინსტიტუციები, სამხედრო ოპერაციები, ტექნოლოგიები, პატიმრები; 4. კულტურა და საზოგადოება: ეკონომიკა, ხელოვნება და მუსიკა, ლიტერატურა, ქალის როლი; 5. ეროვნულობის საკითხი: ნაციონალიზმი, სეპარატიზმი, შევიწროვებული ერები (1918); 6. ომის მეოთხე წელი: ამერიკის ომში ჩაბმა, ბოლშევიკური რევოლუცია, დიდი შეტაკებების სოციალური გავლენა.

კონფერენციის მრავალრიცხოვან მომხსენებლებს შორის იყვნენ ქართველი მეცნიერებიც. 19 ივნისს უნივერსიტეტში მოხსენებით *დიდი ომის იმპულსი ქართული იდენტობის განვითარებაზე* წარსდგნენ თსუ პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი და ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა“ დოქტორანტები სოფიო ქადაგიშვილი და ზურაბ თარგამაძე. ამავე დღეს მოხსენება წაიკითხა საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის წარმომადგენელმა ანტონ ვაჭარაძემ, აგრეთვე, თსუ პროფესორმა ალექსანდრე წურწუმიამ.

კონფერენციის პირველი დღე დასრულდა მეგობრული ვახშმით.

მეორე დღეს ქართველთაგან მოხსენება წაიკითხეს თსუ პროფესორებმა რევაზ გველესიანმა და ეკა ლეკაშვილმა სათაურით: *გერმანიის ინტერესები – გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა პირველ მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ.*

სესიების შემდეგ დაისახა მომავლის მიზნები და მომავალ წელს შეხვედრის იმედით კონფერენცია დაიხურა.

კონფერენციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველი მსოფლიო ომისგადააზრებაში. ახალი თეორიული მიდგომების გამოყენებამ და აქამდე უცნობმა მასალების გამომზეურებამ და ერთიან კონტექსტში გააზრებამ პირველი მსოფლიო ომი წარმოაჩინა სხვადასხვა რაკურსით. საერთაშორისო კონფერენციები კი სწორედ იმ მიზანს უნდა ემსახურებოდეს: მათ უნდა უზრუნველყონ კოლეგების თანამშრომლობა საერთაშორისო მასშტაბით, და ამ გზით ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას.

International Conference in Rome: *The Great War*

Sopio Kadagishvili

La Sapienza University of Rome, which is one of the most ancient Italian Universities and the biggest one in Europe, organized international conference in history and political science dedicated to the Great War. The conference was held in Rome on June 19-20, 2014.

The conference was lead by the international scientific committee. Ivane Javakhishvili Tbilisis State University Professor Mariam Chkhartishvili was among the Committee memebers.

The Conference aimed at encouraging a new debate on the theories and reconsidering the academic cliché, thus, there were welcomed less studied topics regarding to the Great War. The conference embraced six plenary and dozens of thematic sessions with chair, discussant and at least three speakers in each.

Georgian academics also participated in the conference. On June 19, 2014 Tbilisi State University Professor Mariam Chkhartishvili and her PhD students – Sopio Kadagishvili and Zurab Targamadze made their presentation entitled *The Impulse of the Great War on the Georgian Identity Development*. It was joint project where the main aspects of Georgian Identity perceptions were highlighted. On the same day Anton Vacharadze from National Archives of Georgia presented a paper about the Caucasian front during World War I according to the materials kept in the National Archives of Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor Alexander Tsurtsumia in his presentation directed attention of the audience to the geopolitical changes before and after WWI. The first conference day ended with banquet.

On the final day of the conference Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professors Eka Lekashvili and Revaz Gvelesiani presented their paper *The Economic Policy of Germany in Georgia Before and After World War I.*

The scientific approach, promoted by the Conference Organizing Committee was characterized by interdisciplinarity and conviction that only by using methods of different disciplines and efficient research methods would enable academics to reconstruct various aspects and facts of the Great War History.

ხსოვნა
In Memoriam



რევაზ კიკნაძე

რევაზ კიკნაძე
(1923-1989)

გიული ალასანია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რევაზ კიკნაძე დაიბადა თბილისში, 1923 წლის 7 ივნისს. მან ღირსეული ცხოვრების გზა განვლო, თავდადებით ემსახურა თავის ერს და მეცნიერებას, შექმნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, რვა მონოგრაფია. ოცი წლის მანძილზე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ *მაცნეს* ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერიის რედაქტორის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროთა კომისიის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარეების მოადგილე. ეს ჩამონათვალი არ ამოწურავს ბატონ რევაზ კიკნაძის მრავალმხრივ საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ და ყველგან წარჩინებული იყო, მან უხმაუროდ იცხოვრა, მაგრამ დატოვა მისი შექმნილი სკოლა, რომლის წარმომადგენლები წარმატებით განაგრძობენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობას. მას არ უძებნია იოლი გზები, დაუმსახურებელი ჯილდოები და დაფასება, მაგრამ დღეს ჩვენ მას მადლიერებით ვიგონებთ და გვინდა, რომ მისი სახელი შევახსენოთ ფართო საზოგადოებასაც, და, რაც მთავარია, გავაცნოთ ახალგაზრდებს, რომლებიც მას ყველაზე მეტად უყვარდა, ახალ თაობას, რომელიც მას არ მოსწრებია, რადგან, გვჯერა, რომ ახალგაზრდობა სწორედ ასეთ მაგალითებზე უნდა იზრდებოდეს. ასეთი ადამიანები ყოველთვის უმცირესობა იყო, მაგრამ თუ კი ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას ჰქონდა ან აქვს წარმატებები, ამას სწორედ ასეთ ადამიანებს უნდა ვუმადლოდეთ. გასული საუკუნის 60-იანი წლების თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს კარგად გვახსოვს აკადემიკოს ვალერიან გაბაშვილის რედაქციით გამოცემული *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან*, რომელთა ავტორებს ვიცნობდით, რადგან ისინი ყველა ჩვენ ლექციებს გვიკითხავდნენ. ერთადერთი, რომელსაც პირადად არ შევხვედროდით, იყო ბატონი რევაზ კიკნაძე, რომლის სახელსაც განსაკუთრებული პატივისცემით ახსენებდნენ. მას ხსენებულ კრებულში ეკუთვნის რამდენიმე თავი, მათ შორის, მონღოლებზე, განსაკუთრებული პროფესიონალიზმით შესრულებული: *ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა XI-XII საუკუნეებში, მონღოლთა შემოსევები, ქალაქები ილხანთა ირანში, ილხანთა ირანი XIII საუკუნეში*. იმ წიგნის გამოცემის დროს ბატონი რევაზი საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერი იყო, თავისი გამორჩეული სტილით და მეცნიერული გემოვნებით. ამ თემებისადმი ინტერესი მას არც შემდეგ განელებია და სწორედ ყოველმხრივი, ჩაღრმავებული კვლევის შედეგია, ძალიან ბევრი სტატიის გარდა, მისი მონოგრაფიები *ულულბეგი* (1968); *ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ* (1974); *„სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ* 1978; *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე* (1987).

მიუხედავად იმისა, რომ რევაზ კიკნაძის მეცნიერული ინტერესები უკვე სტუდენტობის წლებში გამოიკვეთა, როდესაც იგი იღებდა განათლებას აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობათა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით, შემდგომი ნაშრომები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისი შემოქმედების როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ცვლილებებზე. განათლებით აღმოსავლეთმცოდნე იგი თანაბარი პროფესიონალიზმით იკვლევდა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის სხვადასხვა საკითხებს. იმ წლებში მისი კვლევის საგანია სელჩუკთა, ჰორეზმშაჰთა, მონღოლთა, ილხანთა სახელმწიფოები, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა, შესაბამისი ტერმინოლოგია, ინსტიტუტები, მაგრამ ამავე დროს თბილისის ისტორია, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთობათა საკითხები. ეს გამოკვლევები წყაროთა მდიდარ ბაზას ემყარება და წარმოაჩენს მათ ავტორს არა მხოლოდ როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სპეციალისტს, არამედ იმთავითვე როგორც დაკვირვებულ წყაროთმცოდნეს.

ნებისმიერი ისტორიული კვლევა წყაროების შესწავლით იწყება და ამ მხრივ ყურადღებას იქცევს რევაზ კიკნაძის რამდენიმე სპეციალური ნაშრომი, რომელთა მიზანია ქართული, სპარსული და არაბული წყაროების შესწავლა. მეცნიერის ყურადღებას იქცევს ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის და ქართველი ანონიმის, ე.წ. ჟამთააღმწერლის, ჰამდალაჰ ყაზვინისა და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებები და სხვ. თუმცა რევაზ კიკნაძის დამსახურება დასახელებული სპარსული წერილობითი ძეგლების ქართველი მკითხველისათვის გაცნობით არ ამოიწურება. არ გამოქვეყნებულა იმ წლებში სპარსული საისტორიო თხზულება, რომ მის მომზადებაში რევაზ კიკნაძეს მეტ-ნაკლები წვლილი არ შეეტანოს. მათ შორისაა მისი პედაგოგების დაუმთავრებელი ნაშრომებიც, რომელთა გამოქვეყნებაზე ზრუნვა მას თავის მოვალეობად მიაჩნდა. დიდი ამაგი დასდო მან ცნობილი ირანისტის, სპარსული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის გამოჩენილი სპეციალისტის ვ. ფუთურიძის მეცნიერული მემკვიდრეობის გამოქვეყნებას. ნიშანდობლივია, რომ სპარსული წყაროების გამოქვეყნება რ. კიკნაძემ სწორედ ვ. ფუთურიძის თარგმნილი ირანელი ავტორის ჰასან რუმლუს ცნობათა გამოცემით დაიწყო (1966). ამ ნაშრომს მან არა მარტო რედაქცია გაუკეთა, არამედ შენიშვნებიც დაურთო. კვლავ მისივე რედაქტორობით გამოქვეყნდა (1969) ვ. ფუთურიძის მიერ თარგმნილი ირანელი ავტორის ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. მოგვიანებით (1977) რევაზ კიკნაძის ინიციატივით, რედაქტორობით და წინასიტყვაობით გამოქვეყნდა სპარსული ისტორიული საბუთების მორიგი IV ნაკვეთი, რომლის გამოცემაც მთარგმნელმა, ვ.ფუთურიძემ, სიცოცხლეში ვერ მოახერხა.

თანდათან რევაზ კიკნაძის შემოქმედებაში წყაროები სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს, ხოლო გარკვეული ხანიდან ისტორიის წამყვანი დარგი – წყაროთმცოდნეობა – მთელი მისი მრავალფეროვნებით შემოდის მკვლევრის ინტერესთა სფეროში. მისი სპეციალური დაკვირვების ობიექტი ხდება წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემატიკა, საისტორიო წყარო, წყაროთმცოდნეობის საგანი, მისი ამოცანები და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. ვინაიდან მის ნაშრომებში წყაროთმცოდნეობა განიმარტება როგორც კომპლექსური დარგი, რომელიც გამოავლენს, შეისწავლის, გამოსცემს ისტორიულ წყაროებს და შეიმუშავებს შესაბამის თეორიასა და მეთოდიკას, დიდი ადგილი ეთმობა მასთან ტექსტოლოგიისა და არქეოგრაფიის პრობლემატიკას. მის მიერ შედგენილი ქართულ წერილობით ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის წესები (1977) სახელმძღვანელოდ რჩება სპეციალისტებისათვის. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ყოველწლიურად იმართებოდა კონფერენციები წყაროთმცოდნეობის დარგში, მათ შორის, საერთაშორისო კონფერენციები, რომელთა მასალები მისივე რედაქტორობით გამოიცემოდა ქართულ და რუსულ ენებზე.

ი.ჯავახიშვილის ანდერძის თანახმად, მეცნიერი გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა *ქართლის ცხოვრების* თხზულებების გამოცემას და თვითონვე ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ამ თხზულებათა გამოცემა რევაზ კიკნაძის მომზადებული XIV საუკუნის ანონიმი ავტორის ე.წ. ჟამთააღმწერლის *ასწლოვანი მატიანით* დაიწყო, რასაც წინ 35 წლის განმავლობაში კვლევა უძღოდა და რომელიც თითქმის უცვლელად შევიდა *ქართლის ცხოვრების* ცოტა ხნის წინ რ. მეტრეველის რედაქტორობით გამოცემულ კრებულში. რევაზ კიკნაძის გამოცემას უძღვის შესავალი, რომელიც ამომწურავ ცოდნას იძლევა ძეგლის შესახებ. აქ განხილულია თხზულების შესწავლის ისტორია, მისი მიზანი, კომპოზიცია, ავტორის ვინაობა, განათლება, თხზულების სათაური, შედგენის და *ქართლის ცხოვრების* კრებულში შეტანის დრო და სხვ. ტექსტისათვის დართული განმარტებები მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის როგორც წყაროზე, ასევე მონღოლთა ხანის საქართველოს ისტორიის შესახებაც. აქ დაცულია კრიტიკული გამოცემებისათვის ჩამოყალიბებული სხვა პრინციპიც. რევაზ კიკნაძის აზრით, ასეთ გამოცემებში ტექსტი იბეჭდება ერთი ძირითადი ნუსხის მიხედვით, დანარჩენი ნუსხების წაკითხვები კი შენიშვნებშია ჩატანილი. *ასწლოვანი მატიანის* ახალი გამოცემის საფუძველი ე.წ. მარიამისეული ნუსხაა, კითხვა-სხვაობები ყველა სხვა ნუსხის მიხედვით სქოლიოშია ნაჩვენები. ამასთანავე რევაზ კიკნაძეს დასაშვებად მიაჩნდა ტექსტის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, ვინაიდან, მისი აზრით, „შუა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების დიდი ნაწილი დამახინჯებით არის შემონახული გვიანდელ ნუსხებში“.

რევაზ კიკნაძე მიიჩნევდა, რომ ახალი წყაროების აღმოჩენასთან ერთად, რაც არცთუ ხშირად ხდება, მნიშვნელოვანია უკვე ნაცნობ წყაროებზე მუშაობის მეთოდების სრულყოფა, ან ახლის შემოტანა. მისი ხელმძღვანელობით ინერგებოდა მათემატიკური მეთოდების გამოყენება წყაროების კვლევის საქმეში.

ვინაიდან ყოველგვარი პროგრესი მეცნიერებაში წარსულ გამოცდილებას ემყარება, წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიას რევაზ კიკნაძის შემოქმედებაში საგანგებო ადგილი ეთმობა. მას უნდა ვუმადლოდეთ აგრეთვე ჰუმანიტართა ძველი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, ვარლამ დონდუას ნაშრომთა დიდი ნაწილის მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებას და, აგრეთვე, ვ.

დონდუას სახელობის კაბინეტის შექმნას იმდროინდელი ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, რომელშიც ბიბლიოფილი მეცნიერის უნიკალური და მდიდარი ბიბლიოთეკა ინახებოდა. 1969 წლის ცხელი ზაფხულის დღეებში წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ხდებოდა ამ წიგნების დახარისხება და პარალელურად ვ. დონდუას არქივზე მუშაობა. კაბინეტზე ფიქრი და მისი ახალი წიგნებით შევსება. ბატონ რევაზს არც შემდგომში შეუწყვეტია. ყველა თანამშრომელს ავალდებულებდა ახალი გამოცემული წიგნის ერთი ცალი კაბინეტისათვის ეჩუქებინა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ზრუნვა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაზეც.

რ. კიკნაძე ბრწყინვალე რედაქტორი იყო. იშვიათად შეგხვდებათ მეცნიერი, ასე რომ იცნობდეს საგამომცემლო საქმეს. სტუდენტობის წლებშივე იგი უნივერსიტეტის გაზეთის რედკოლეგიაში სამეცნიერო განყოფილებას განაგებდა. მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნები მაღალი აკადემიურობით და გემოვნებით გამოირჩევა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ იგი წლების მანძილზე უძღვებოდა ინსტიტუტში საგამომცემლო საქმეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ჟურნალ *მაცნეს* გამოცემაში. გარდა ამისა, მის მაგიდაზე მუდამ იდო წასაკითხად რომელიმე ნაშრომი, რომლის არც რედაქტორი იყო და არც ავტორის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაგრამ მაინც ხვეწდა და არედაქტირებდა.

განსაკუთრებული იყო ბატონი რევაზის დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ. ამიტომაც იზიდავდა მათ წყაროთმცოდნეობის განყოფილება, რომლის ძირითად ნაწილს სწორედ ახალგაზრდები შეადგენდნენ. იქ, სადაც ბატონი რევაზი იყო, მუდამ ახალგაზრდები იყვნენ. განყოფილების გამგეს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მათი სწავლება, მათთან ურთიერთობა, იგი მათ ყურადღებით უსმენდა, პატივისცემით ექცეოდა, თავიდანვე რთულ დავალებებს ანდობდა, მათი წარმატებები საკუთარ წარმატებებზე მეტად ახარებდა, თავის გამოკვლევებში პირველ რიგში სწორედ მათ ნაშრომებს იმოწმებდა. მის გვერდით მუდამ საქმიანი ატმოსფერო იყო და ამას იგი ყოველგვარი სიმკაცრის გარეშე, მხოლოდ საკუთარი მაგალითით იძლეოდა, ხოლო საოცრად დახვეწილი იუმორი მასთან ურთიერთობას ყველასთვის განსაკუთრებით მომხიბვლელს ხდიდა.

ბატონი რევაზი არაჩვეულებრივად ყურადღებიანი იყო ყველას მიმართ. სხვების გასაჭირი ზოგჯერ მათზე კარგად ახსოვდა და ყოველთვის ცდილობდა ყველას დახმარებას. მუდამ სხვებზე და საერთო საქმეზე მზრუნველი იგი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას საკუთარ ჯანმრთელობას, ჩვენი ოცწლიანი თანამშრობლობის და მეგობრობის მანძილზე მას არასოდეს დაუსვენია.

დღეს ჩვენ, ბატონი რევაზ კიკნაძის კოლეგები, აღზრდილები, მეგობრები ქედს ვიხრით მის წინაშე, მადლობას ვუხდით მას გამორჩეული ადამიანური თვისებების და მეცნიერებისადმი უანგარო, თავდადებული სამსახურის გამო.

Revaz Kiknadze
(1923-1989)

Giuli Alasania

The paper represents the speech delivered by Professor Giuli Alasania at scientific conference dedicated to the memory of the eminent Georgian historian Revaz Kiknadze. The author remembers her teacher, outstanding researcher and scientific superviser who was attractive personality. Breif survey of the scholar's scientific legacy also is provided.

ჩემი მასწავლებელი

მარიამ ჩხარტიშვილი

კეთილი ღიმილით, მეგობრული სითბოთი ხმაში, ინტერესით აღსავსე გამოხედვით – აი, ასე წარმოდგება ჩემს მეხსიერებაში რევაზ კიკნაძე, ბატონი რეზო, როგორც მას ვეძახდით ჩვეულებრივ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რევაზ კიკნაძე მრავალმხრივი ჰუმანიტარი იყო. მისი შემოქმედება ასამდე სამეცნიერო ნაშრომს მოიცავს. თითოეული სტატია, წიგნი აღბეჭდილია ღრმა

ერუდიციით, პროფესიული კეთილსინდისიერებით. შემოქმედებით მუშაობას იგი უნარიანად უხამდებდა ორგანიზატორულ საქმიანობას. ყოველივე ამის შეჯამება და ანალიზი ვრცელი ისტორიოგრაფიული გამოკვლევის თემაა. ამჯერად მე ამგვარ მიზანს არ ვისახავ, მხოლოდ მინდა ვისაუბრო ბატონ რეზოზე, როგორც ადამიანზე, პიროვნებაზე, რომლის ცხოვრების მაგალითი ისევე ფასეულია, როგორც მისი სამეცნიერო მოღვაწეობა.

თვისება, რომელიც განსაკუთრებით მხიბლავდა ბატონ რეზოში, იყო თავმდაბლობა, რაც მისი ხასიათის განუყრელი ნიშანი გახლდათ და არა სხვებისთვის დასანახი, თავის მოსაწონებელი სამკაული. პავლე ინგოროყვა ამბობდა - „მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა“, ამ სიტყვებზე რატომღაც ყოველთვის ბატონი რეზო მაგონდება. ალბათ, იმიტომ რომ მას სრულებით არ იზიდავდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, მთავარი იყო საქმე, რომელიც უყვარდა და რომლისთვისაც უხმაურო, ჯარისკაცული ამტანობით შეეძლო გარჯა. ყოველი ადამიანი, ვისაც ბატონ რეზოსთან ურთიერთობა უხდებოდა, ივსებოდა საკუთარი ძალების რწმენით, თავს მნიშვნელოვნად გრძნობდა. მასზე უმცროსებსაც მოწიწებით ექცეოდა, არასოდეს შეაწუხებდა ვინმეს თავისი უპირატესობით. ჩვენი მრავალწლიანი ნაცნობობის და დიდი სიახლოვის მიუხედავად ყოველთვის „თქვენობით“ მომმართავდა. მახსოვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ჩემი პირველი მისვლა: ერთხანს ვერც კი მივხვდი, რომ ოთახის კუთხეში ყველაზე ჩუმად მჯდომი ბატონი რეზო იყო განყოფილების გამგე.

ბატონ რეზოს გამოარჩევდა გულისხმიერება და მზადყოფნა თანადგომისათვის. სხვებისადმი გულწრფელი კეთილგანწყობა მას საშუალებას აძლევდა, ყოფილიყო ყურადღებიანი მსმენელი, სხვისი გაჭირვების გამზიარებელი. მასთან რჩევის საკითხავად მოსული ხშირად მინახავს არა მარტო ახლობლები, არამედ უცხონიც. თუკი შენიშნავდა, რომ დახმარება შეეძლო, მას უდიდესი ხალისით აკეთებდა. მის ფრთას შეფარებული მოსწავლეები ხომ განსაკუთრებით იმედიანად ვგრძნობდით თავს ყოველდღიური ყურადღებით გარემოცულები. ბატონ რეზოს მუდამ ახსოვდა თითოეული მოწაფის, მისი განყოფილების წევრის საკვლევი თემები და თავის საქმეზე მუშაობისას, თუ ჩვენთვის რაიმე საგულისხმოს წააწყდებოდა, ამოგვიწერდა ხოლმე და მოგვაწოდებდა. მე ბატონი რეზოს თავისებური კუთხოვანი ულამაზესი კალიგრაფიით აჭრელებული ბევრი პატარა ბარათი შემომრჩა.

განუწყვეტლივ გვჩუქნიდა წიგნებს, რომელთაც ამ მიზნით იძენდა რამდენიმე ცალს. ძალიან ტიპიურია ასეთი სურათი: ბატონი რეზო თავის მაგიდასთან ზის, მე მის ახლოს, ჩემს მაგიდასთან ვსაქმიანობ. ღიმილით მაწვდის წიგნს და მეკითხება, მაქვს თუ არა ასეთი. რა თქმა უნდა, არა მაქვს, იმიტომ, რომ იოლი საშოვნი არ არის. როცა უარყოფით პასუხს ვაძლევ, კვლავ ღიმილით: „თქვენი იყოს“. და ასე მრავალჯერ. მას არაერთხელ გვერდზე გადაუდია თავისი სამუშაო, რომ ჩვენი ნაწერები ესწორებინა. სხვისი საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება თავის გამოხატულებას ჰპოვებდა ბატონი რეზოს მართლაც არაჩვეულებრივ, ყველას მიერ აღიარებულ, რედაქტორულ უნარშიც. სხვის ტექსტზე ისეთივე გულმოდგინებით მუშაობდა, როგორც საკუთარზე. ამიტომაც, მისი ყოველი შეწორება ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ბატონ რეზოს საერთოდ სჩვეოდა ახალგაზრდებისადმი განსაკუთრებული თანადგომა. ისინი, საყვარელი საქმის გამგრძელებლებად ესახებოდა. უმცროს კოლეგებთან თანამშრომლობა ახალისებდა, ისინიც ელტვოდნენ მასთან ყოფნას. ასაკობრივი თუ თანამდებობრივი ზღვარი, ცხადია, არ იშლებოდა, მაგრამ ყოველთვის თავისუფლად გრძნობდი თავს. ბატონ რეზოს შეეძლო დამწყებისათვის მიენდო ძნელი საქმე. მახსოვს, ჯერ კიდევ ასპირანტს ნება დამრთო, მოხსენება გამეკეთებინა წყაროთმცოდნეთა საერთაშორისო კონფერენციაზე. მოწაფეთა პირველი ნაბიჯები საოცრად ახარებდა, მათ სიამოვნებით აქებდა ყველგან, შინ თუ გარეთ. მისი გარდაცვალების შემდეგ, როცა მის არქივს ვაწესრიგებდით, წავაწყდი ბატონ რეზოსადმი მიწერილ ჩემს ერთ ბარათს, შინაარსით ეს წერილი განსაკუთრებული არაფერია – დავალების შესრულების თაობაზე ვაცნობებ. მას კი მაინც შეუნახავს. ჩანს, რაღაც ეძვირფასებოდა ამ ბარათში, რაკი საერთოდაც, ეძვირფასებოდა უმცროს თაობასთან ურთიერთობა.

თანადგომა შეეძლო მაშინაც, როცა საზოგადოებრივი აზრი არ იყო შენს მხარეზე. მახსოვს, ერთი სომეხი კოლეგისადმი საპასუხო წერილის დაბეჭდვა გამიჭირდა, რედაქტორები ერიდებოდნენ შესაძლო პოლემიკას, ფრთხილობდნენ, „საბჭოურ ინტერნაციონალიზმს“ ზიანი არ მისდგომოდა. ბატონმა რეზომ დიდი ენერგია დახარჯა წერილის რედაქტირებაზე, გახადა იგი ფორმით უფრო დელიკატური, თუმც ისე, რომ პოლემიკის სიმწვავე და პათოსი არ დაკარგულიყო და გამოაქვეყნა იგი კრებულში, რომელსაც თავად რედაქტორობდა.

როცა მამა დამეღუპა და მოულოდნელი უბედურებით სრულიად დათრგუნული ვიყავი, ბატონმა რეზომ შემახსენა მისი წიგნი, რომელიც საგამომცემლო გეგმაში იყო შეტანილი და მომზადებას

საჭიროებდა. ამაზე ზრუნვამ ერთგვარი შვება მომგვარა. შემდგომში, წიგნი უკვე მზად რომ მქონდა, წარმოიშვა გართულება გამომცემლობის დირექციასთან იმის გამო, რომ ნაშრომში არაერთგზის იყო მოხსენიებული ნოე ჟორდანია, ეს კი საბჭოური, ბოლშევიკური ცენზურის თვალთახედვით სრულიად მიუღებელი გახლდათ. ბატონი რეზო აქტიურად ჩაება საქმეში, დაიხმარა მეუღლე – ქალბატონი ვალია ძიძიგური, გამომცემლობა *მეცნიერების* მთავარი რედაქტორი და საკითხი დადებითად გადაწყდა. მანვე იზრუნა, რომ *ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში*, რომლის შესაბამისი ტომი უკვე წარმოებაში იყო, არ გამორჩენოდათ მამა, როგორც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ბევრი გულშემატკივარი იყო იმხანად ჩემს ირგვლივ, მაგრამ მხოლოდ ბატონ რეზოს გაახსენდა მამაჩემის ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი ამ ფაქტების მოწესრიგება. ჩემთვის ამის დავიწყება, ცხადია, შეუძლებელია.

საოცრად თავშეკავებული ადამიანი გახლდათ. ხასიათის სირბილე, მისდამი არაკეთილად განწყობილ პირთა მიმართაც მომთმენობა მე, მაშინ ახალგაზრდულად, მეტისმეტად მაქსიმალისტურად განწყობილს, ზედმეტად მეჩვენებოდა. ახლა ბატონი რეზოს ხასიათის ეს შტრიხიც საოცრად მხიბლავს. არასოდეს კარგავდა წონასწორობას, რაინდად რჩებოდა ყოველთვის. მხოლოდ ერთხელ გავიგონე მისი ხმამაღალი სიტყვა. ეს იყო ერთ-ერთ სამეცნიერო სესიაზე. ახალგაზრდა მეცნიერი ქალი თავისი უდროოდ გარდაცვლილი მასწავლებლის შესახებ თვალცრემლიანი კითხულობდა მოხსენებას. ერთი ჩვენი კოლეგა ყოვლად უსაფუძვლოდ და უხეშად, თურმე იმ მიზეზით, რომ თავის დროზე გარდაცვლილთან კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდა, შეეკამათა მომხსენებელს. აი, სწორედ ამ უტაქტო კოლეგასთან პაექრობისას ბატონმა რეზომ ხმას აუწია. თუმც სიტუაცია ამას ნამდვილად მოითხოვდა, მისგან ეს მაინც იმდენად უჩვეულო იყო, რომ ყველანი გაოცებულები დავრჩით. გაოცებული ჩანდა იქვე მყოფი მისი მეუღლეც. აშკარა იყო, რომ ბატონ რეზოს შინაც არასოდეს აუმაღლებია ხმა.

არა მარტო ინსტიტუტში, სამსახურის გარეთაც მასთან ურთიერთობა ნამდვილი ბედნიერება იყო. ჩემი ცხოვრების საუკეთესო მოგონებად რჩება დღემდე ბატონ რეზოსთან ერთად გატარებული მივლინებები. გავიხსენებ მხოლოდ ერთ შემთხვევას. სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ლენინგრადში გავემგზავრეთ სამნი: ბატონი რეზო, ქალბატონი გიული ალასანია და მე. იქ ჩვენს კოლექტივს შეურთდა მოსკოველი ქართველოლოგი ბატონი გივი წულაია. კონფერენციის სხდომებისგან თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით ქართველები, ვტკბებოდით ქალაქის ღირშესანიშნაობებით. გიულის და მე მაღაზიებისკენ მიგვიწევდა გული. ბატონი რეზო გაგებით ეკიდებოდა ჩვენს ამ ინტერესს, ჩვენთან ერთად დადიოდა, თუმც არაფერს ყიდულობდა. არ ვიცოდით, თურმე მისი დაბადების დღე ახლოვდებოდა. როცა ეს დღე დადგა, მან იგი ნამდვილ დღესასწაულად გადაგვიქცია. არასოდეს დამავიწყდება მისი გულუხვი მასპინძლობა მაშინდელი ლენინგრადის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რესტორანში, როგორ თბილად, შინაარსიანად, დახვეწილი იუმორით წარუძღვა იგი სუფრას.

ასეთი გახლდათ ჩემი მასწავლებელი. რაც დრო გადის, სულ უფრო მაკლია იგი. ახლა, როცა თავადაც მიხდება უმცროსი თაობის აღზრდა, თანამშრომლობა მათთან, ვცდილობ ვიყო იმგვარი, როგორიც ბატონი რეზო იყო ჩემთვის, მივცე მათ იმდენივე, რაც მან მომცა, რომ როგორმე გადავიხადო მისი ამაგი. მაგრამ მასთან მსგავსება ძნელია. განსაკუთრებული უნარი და დიდბუნებოვნებაა საჭირო.

1999 წლის 24 თებერვალი

My Teacher

Mariam Chkhartishvili

"I am a soldier of my nation" – the phrase by eminent Georgian scholar Pavle Ingorokva uses the author for characterization her teacher Revaz Kiknadze. According to her Kiknadze "was soldier of his nation". She tries to present her teacher's personal features, his understanding of importance of scientific activities and attitude to students and colleagues. The author tries to represent the sense of the ineffaceable impression and inspiration which felt all who contacted him: students, friends and family members.

Revaz Kiknadze was an author of many scientific works. Each of his papers is full of profound erudition, professional honesty. Despite this he was distinguished as modest person who always cared about others.

The author underlines Revaz Kiknadze's editorial skills and mentions his remarkable feature: be always ready to work with students and correct theirs homeworks in detail.

Professor Mariam Chkhartishvili recalls: "Every person who had relations with Revaz Kiknadze was feeling himself /herself important one, he/she was becoming full of strength and was confident of own abilities."

Thus, in this paper Mariam Chkhartishvili first of all speaks about her teacher as a human.

Nowadays when his students also have become teachers, they try to be like he, but, as Professor Chkhartishvili remarks, it is not an easy task.

ძვირფასი მასწავლებელი

გონელი არახამია

ადვილი არ არის დაუვიწყარ ადამიანზე მოგონების წერა. ძვირფასი მასწავლებელი, ბატონი რევაზ კიკნაძე ჩემთვის არა წარსული, არამედ ცოცხალი რეალობაა – ის დღესაც მმოძღვრავს, მარიგებს, მასწავლის, დღესაც წითელი კალმით სტრიქონ-სტრიქონ სინჯავს ჩემი ნაცოდვილარის ავ-კარგს.

მქონდა ბედნიერება, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გარკვეული წლები ბატონი რევაზის უშუალო ხელმძღვანელობით მემუშავა. მისი წყალობით მოვხვდი ამ ინსტიტუტში და იმ განყოფილებაში, რომელსაც თვითონ ედგა სათავეში. მაპატიოს მკითხველმა, თუ ბატონი რევაზის პიროვნების რამდენიმე შტრიხის წარმოსადგენად საკუთარი ბიოგრაფიიდან მომიწევს ფაქტების მოხმობა. ბატონ რევაზთან ჩემმა სტუდენტობის მეგობარმა, იმჟამად ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტმა ვალერი ვაშაკიძემ წარმადგინა და ჩემი დაკვალიანება სთხოვა. ბატონი რევაზიც დაინტერესდა თუ რა საკითხებზე ვაპირებდი მუშაობას. წარმოიდგინეთ ახალ კურსდამთავრებული, უმუშევარი ახალგაზრდა კაცის პერსპექტივა, რომელიც ზის და თავისთვის რაღაცეებს წერს, მაგრამ არც კი იცის, რა გამოვა აქედან. ბატონი რევაზის შუამდგომლობით იმ დღესვე მიმიღეს განყოფილებაში სამუშაოდ. ეს ხდება იმ დროს, როდესაც აკადემიის კვლევით დაწესებულებაში, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი დარგის ინსტიტუტში უაღრესად ძნელი იყო მოხვედრა, მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა ბატონი რევაზის დიდმა ავტორიტეტმა. ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ რატომ იდო თავს მისთვის სრულიად უცნობი ადამიანის გამოქომაგება – ისეთი მხარდაჭერის აღმოჩენა, რასაც, ჩვეულებრივ, ახლობლებს, უკიდურეს შემთხვევაში, კარგ ნაცნობს თუ გაუწევენ? ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა: ბატონი რევაზი ბრძანდებოდა ინტელიგენტი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ბატონი რევაზი, გარდა იმისა, რომ მკვლევრის და მეცნიერების ორგანიზატორის დიდი ნიჭით, საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება ბრძანდებოდა, ახალგაზრდების ბრწყინვალე ხელძღვანელიც გახლდათ. მუდამ საქმეებით დატვირთული უშურველად უთმობდა დროს განყოფილების (და არა მარტო განყოფილების) ახალგაზრდა თანამშრომლების, ასპირანტებისა თუ მაძიებლების პროფესიულ ზრდას. ამ ყველაფრის თავი და თავი იყო ბატონი რევაზის კიდევ ერთი საოცარი თვისება – ყველასათვის თვალში საცემი, მკვეთრად გამოხატული რწმენა ახალგაზრდული ძალებისადმი. ერთ-ერთი ოფიციალური შეკრებიდან დაბრუნებული ბატონი რევაზი აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ერთი ახალგაზრდა სპეციალისტის სურვილს, ხელი მოეკიდა რომელიღაც პრობლემის დამუშავებისთვის შეკრების მონაწილეებმა მხარი არ აუბეს იმ მოტივით, რომ პრობლემა რთული იყო, სპეციალისტი კი ახალგაზრდა. ამგვარი მიდგომა ბატონი რევაზისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო. განა მან არ იცოდა, რომ ახალგაზრდას, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, გამოცდილება აკლია? მაგრამ ამის თაობაზე მას მტკიცედ ჩამოყალიბებული კრედო ჰქონდა, რომლის თანახმად გამოცდილება „ნადირთა მცირეთა ხოცვაში" კი არა, სირთულესთან ჭიდილში, ძნელად დასაძლევ პრობლემაზე მუშაობის პროცესში მოდის და ამ პრინციპის დაცვაში ის შეუვალი გახლდათ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ზრუნავდა ბატონი რევაზი თავის შეგირდებზე. მას უყოყმანოდ შეეძლო ყველა საქმე განზე გადაედო და მთელი ყურადღება მოწაფისკენ მიემართა. უშურველად გასცემდა იდეებს, რჩევა-დარიგებას, მითითებებს, დიდი ყურადღებითა და ტაქტით ეკიდებოდა დამწყები მკვლევრის თუნდაც მცდარ, მოუმწიფებელ, მაგრამ, მაინც, განსხვავებულ შეხედულებას. ასეთ დროს მთელი სისრულით იწყებდა ამოქმედებას ბატონი რევაზის მეცნიერული და პედაგოგიური გამოცდილების მდიდარი არსენალი. ის თავის შეგირდს კი არ კარნახობდა მზამზარეულ აზრს, არამედ აწვდიდა მისთვის ახალ და უცნობ მასალას, ასწავლიდა უკვე ცნობილი წყაროების ახლებურ წაკითხვას, გაუთვალისწინებელს არ ატოვებინებდა არც ერთ ნიუანსს და ამ გზით თავად

ავტორი მიჰყავდა სწორი დასკვნისაკენ. მთელ ამ პროცედურას ბატონი რევაზი ჩვეული მოთმინებით წარმართავდა.

ბატონი რევაზი თავად წარმოადგენდა იმის მაგალითს, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს მეცნიერი თავის მოვალეობას მკითხველი საზოგადოების წინაშე. ის, როგორც სანიმუშო ავტორი და უკომპრომისო რედაქტორი, მკითხველს თუ მსმენელს არასოდეს აკადრებდა არა თუ ნაჩქარევ დასკვნას ან გაუმართავ ფრაზას (ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო მისგან), არამედ კორექტურულ უსწორობასაც კი. მას ხშირად უხდებოდა თავისი შეგირდებისა თუ კოლეგების ნაშრომების ხელნაწერებში რედაქტირება. ეს პროცესი მისთვის ერთგვარი რიტუალის სახეს ღებულობდა. ამ დროს ფოლიანტებში ჩაფლულ, მთელი არსებით სხვისი ნააზრევის კვალში ჩამდგარ ბატონ რეზოს მხოლოდ მსუბუქ მიმიკაზე თუ შეატყობდით წკაპით წაკითხულით გამოწვეულ ემოციას. იმდენად დაძაბული ყურადღებით მუშაობდა, რომ უმნიშვნელო დეტალიც კი არ რჩებოდა შეუმჩნეველი. ბატონი რევაზი ვერ ეგუებოდა ყურადღების მოდუნებას ნაშრომის შექმნიდან მკითხველამდე მიტანის პროცესის არც ერთ ეტაპზე. ერთხელ ამგვარი უყურადღებობის გამო სამახსოვრო გაკვეთილი მივიღე. ერთ-ერთი კრებულისთვის გამიზნული სტატია ბატონმა რევაზმა ხელნაწერში გამისწორა. მისი მითითებების გათვალისწინებით გასწორებული, მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი მასვე წარვუდგინე, ამჯერად, როგორც კრებულის რედაქტორს. მეორე დღეს ბატონი რევაზი უკმაყოფილო ტონით მეკითხება, მანქანაზე გადაბეჭდვის შემდეგ ეს სტატია თუ წაიკითხეო. მოვახსენე, რომ მხოლოდ გადავხედე. გადახედვა არ კმარა – იყო პასუხი – მკითხველი ვალდებული არ არის, შენი ნაწერიც იკითხოს და გზადაგზა შენს ნაცვლად კორექტურაც აკეთოსო. ეს იყო პასუხისმგებლობის გრძნობის გასამახვილებლად მოცემული მუდმივი „საშინაო დავალება", რომლის შესრულებას დღემდე ვცდილობ.

უამრავი საზრუნავით დატვირთული ბატონი რევაზი ყოველთვის პოულობდა დროს შეგირდებისათვის და არც მათ აძლევდა დროის ფლანგვის უფლებას. მისი ხელმძღვანელობა თავისთვად გულისხმობდა მუდმივად „ფორმაში" ყოფნას. თავად დაუღალავი მაძიებელი ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ქმნიდა გარჯისა და ძიების ატმოსფეროს. ამიტომ მისი შეგირდობა საამაყოც გახლდათ და საპასუხისმგებლოც. რამხელა სტიმული იყო მის მიერ წარმოთქმული მოწონების სიტყვები და რაოდენ დამაფიქრებელი უკმაყოფილების გამომხატველი დუმილი. და ეს იმიტომ, რომ ის ორივე შემთხვევაში ობიექტური იყო.

ბატონი რევაზი არა მარტო თავისი განყოფილების, საერთოდ, ინსტიტუტის ახალი თაობის გულშემატკივარი და თავგამოდებული ქომაგი იყო. როგორი აღტაცებით ხვდებოდა ილია ანთელავას, ვახტანგ ითონიშვილს, გიორგი წულაძის, კახა კახაძის წარმატებებს მეცნიერების გზაზე, მათ საქმიანობას კი სხვებისთვის მაგალითად მიიჩნევდა.

ვინ მოსთვლის ბატონი რევაზის მიერ სიტყვით და საქმით უხმაუროდ დათესილ უამრავ სიკეთეს. ასეთი ადამიანები ხომ სააქაოშივე ანათებენ და გარდაცვალების შემდეგაც განაგრძნობენ სიცოცხლეს.

The Beloved Teacher

Goneli Arakhamia

Professor Arakhamia is recalling his academic supervisor Revaz Kiknadze, surveys Kiknadze contribution in field of Georgian source -studies, attitude to young scholars, attractiveness of his personality.

შეუდარებელი მასწავლებელი

ეკა კვაჭანტირაძე

ბატონ რეზო კიკნაძეს პირველად ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაბარებისას შევხვდი. ვემზადებოდი უნივერსიტეტის ასპირანტურის გამოცდებისათვის, როცა ისტორიის ინსტიტუტში წყაროთმცოდნეობის სპეციალობით გაიხსნა ადგილი, მე კი ამ თემატიკაზე მქონდა დაცული სადიპლომო ნაშრომი, ამიტომ ცოტა უხალისოდ მივაშურე ჩემთვის უცხო ისტორიის ინსტიტუტს. მალე ჩემი განწყობა რადიკალურად შეიცვალა, რაც მთლიანად ბატონი რეზოს დამსახურება იყო. ინსტიტუტში დამხვდა

მაღალი ინტელექტის, მეტად გულისხმიერი, ადამიანური კეთილშობილებით, მოსმენის შესაშური უნარით და საოცარი ღიმილით უკვე დამსახურებული და ცნობილი მეცნიერი, რომელმაც არაჩვეულებრივად მიმიღო და მაშინვე ჩამრთო წყაროთმცოდნეობის განყოფილების მუშაობაში. შემომთავაზა ჩემი სადიპლომო ნაშრომის მოკლედ გადმოცემა განყოფილების სხდომაზე. ბატონმა რეზომ სხდომა ჩემი წარდგენით დაიწყო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტაქტიანი შექებით, რამაც ისე გამამხნევა, რომ სრულიად მომეხსნა ღელვა უფროს კოლეგებთან ჩემი პირველი შეხვედრისა.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა ბატონი რეზოს ხელმძღვანელობით მაშინვე დავიწყე, თან ასპირანტურის საგნებს ვაბარებდი და თან ბატონი რეზოს მიერ გულმოდგინედ ჩამოყალიბებულ დავალებებს მივყვებოდი. მან ხომ მუშაობის დასაწყისშივე მომცა გეგმა – როდის რა შედეგზე უნდა გავსულიყავით. ის იყო, მართლაც, შეუდარებელი სამეცნიერო ხელმძღვანელი. მახსოვს როგორ უხაროდა, როცა დავალებულ სტატიას დროზე ადრე წარვუდგენდი და როგორც შემდეგ გაირკვა ამას განყოფილების სხვა წევრებსაც უზიარებდა. ეს იყო, რაც გამოარჩევდა ბატონ რეზოს ყველასაგან – გულწრფელი კეთილგანწყობა, საოცარი გულისხმიერება, წარმატების სიხარულის გაზიარება, ჯანსაღი მფარველობა თავისი მოსწავლეებისადმი და საერთოდ უმცროსი თაობისადმი.

განსაკუთრებულია ბატონი რეზოს ღვაწლი ქართული წყაროთმცოდნეობითი სკოლის ჩამოყალიბებაში, რომლის ერთ-ერთი სეგმენტი მის მიერ ორგანიზებული წყაროთმცოდნეობის სამეცნიერო სესიები იყო, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი ისტორიკოსები სტუმრობდნენ. მე, მეორე წლის ასპირანტმა, ბატონმა რეზომ საშუალება მომცა მონაწილეობა მიმეღო ერთ-ერთ ასეთ სესიაში ქუთაისში. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ასეთი მასშტაბის სამეცნიერო ფორუმის წინაშე. ბატონი რეზო სხვა სექციაში მუშაობდა, მე სხვა სექციაში, მაგრამ როგორც კი დავიწყე მოხსენების კითხვა, ის შემოვიდა, რაც ჩემთვის ძალიან დიდი მხარდაჭერა იყო. ჩემი მოხსენების შემდეგ დებატები გაიმართა სომეხ კოლეგასთან, რომელშიც ბატონი რეზო არ ჩაერია. ახლა ვხვდები, რომ მან მომცა საშუალება ბოლომდე წარმომეჩინა ჩემი პოზიცია და მხოლოდ მოხსენების შეფასებისას გამოთქვა საკუთარი აზრი.

ბატონი რეზო ხშირად გვჩუქნიდა წიგნებს, ყველას, განსაკუთრებით ჩვენი განყოფილების ახალგაზრდებს, ზოგჯერ მივლინებიდან ჩამოჰქონდა, თან ეს ნაშრომები სწორედ იმ თემატიკას ეხებოდა, რაზეც თითოეული ჩვენგანი მუშაობდა. რამდენს ფიქრობდა ჩვენზე. ახლა როცა თავად მიხდება უმცროსი თაობის აღზრდა, არ ვიცი რამდენად ვახერხებ მისებრ წარმატებით, რამდენად კარგი შეგირდი აღმოვჩნდი, მაგრამ ვცდილობ მივბაძო მას. ნაჩუქარ წიგნებს ამშვენებდა ბატონი რეზოს ულამაზესი კალიგრაფიით გამოყვანილი საინტერესო და, მგონია, ჩემი მაშინდელი ასაკისათვის მეტად აღმატებული, წარწერები. ბატონი რეზო ხომ უმცროსებსაც მოწიწებით ექცეოდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ბატონი რეზო გულუხვად გასცემდა ცოდნას, არ იშურებდა თავის სამუშაო დროს, ამასთან არასდროს გთრგუნავდა თავისი განსწავლულობით. ბატონი რეზოს მძიმე ავადმყოფობას დაემთხვა ჩემი სადისერტაციო თემის დამამთავრებელ ეტაპზე მუშაობა, სწორედ მაშინ გადავეცი მას ბოლო თავი და დასკვნები. მისი მდგომარეობა სწრაფად დამძიმდა, ამიტომ არც მომიკითხავს ჩემი ნაშრომი. რაოდენ გასაკვირი იყო ჩემთვის სატელეფონო ზარი, რომლითაც ბატონი რეზოს მეუღლე, ჩემთვის ძალიან საყვარელი და საპატივცემულო ადამიანი ქალბატონი ვალია, დამიკავშირდა და მითხრა შენი ნაშრომი გასწორებულია და მოგაწოდებთო. ეს, მართლაც, შოკისმომგვრელი იყო, რადგან ყოველდღიურად ვიგებდი ბატონი რეზოს ჯანმრთელობის ძალიან რთულ მდგომარეობას. ყველასათვის ცნობილია, მისი აღიარებული რედაქტორული ნიჭი. ჩემი ხელნაწერის არშიებზე თავდაპირველად ბატონი რეზოს კალიგრაფიით, შემდეგ გვერდებზე კი ჩემთვის უცნობი კალიგრაფიით იყო გაკეთებული შენიშვნები. მაშინვე მივხვდი მას ამ საქმეში ქალბატონი ვალია ეხმარებოდა. ეს ხომ მე არასოდეს დამავიწყდება. ბატონმა რეზომ თავი ვალდებულად ჩათვალა ბოლომდე ეხელმძღვანელა და ეერთგულა ჩემთვის. ალბათ სწორედ ასეთ მძიმე წუთებში ვლინდება ადამიანის პიროვნება. ბატონი რეზო დარჩება ჩემთვის, როგორც შეუდარებელი და განუმეორებელი მასწავლებელი.

The Incomparable Teacher

Eka Kvachantiradze

Professor Eka Kvachantiradze remembers her academic supervisor Revaz Kiknadze, her meetings with him, his support when she was making her first steps in her academic career. Being even very ill, Revaz Kiknadze continued to work hard and helped others. "He was indeed incomparable as a teacher" , concludes E. Kvachantiradze her paper.

რევაზ კიკნაძე წლების გადასახედიდან

ოთარ ჟორდანია

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი თაობა გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ბევრი ჩემი კოლეგა, უფროსი თუ უმცროსი მეგობარი, რომლებთანაც ერთად წლების მანძილზე ვმუშაობდი საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ამ ქვეყნად აღარ არის, მაგრამ დარჩა გაუხუნარი მოგონება ამ ადამიანებზე. მათი სულის სითბო დღემდე შემორჩა თითქმის დაცარიელებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის კედლებს, სადაც მაღალი ღირებულებები ბატონობდა, ადამიანები ერთმანეთს განსაკუთრებულად მიაგებდნენ პატივს, მოწიწებითა და მორიდებით მიმართავდნენ ერთმანეთს, სადაც უჩუმრად კეთდებოდა ეროვნული საქმე.

ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის) ინსტიტუტი წარმოდგენდა არა მარტო ისტორიული აზროვნების განვითარების მძლავრ კერას, არამედ აქ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქართული ეროვნული მეცნიერების არაერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. ამ პროცესში ღირსეული წვლილი შეიტანა ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ, რომელმაც აქტიური მუშაობა გაშალა საქართველოს შესახებ არსებული ქართული და უცხოენოვანი წერილობითი წყაროების შესწავლა-გამოქვეყნებისათვის.

წლების განმავლობაში ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებას უძღვებოდა თვალსაჩინო ისტორიკოსი, სამეცნიერო მუშაობის შესანიშნავი ორგანიზატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რევაზ კიკნაძე. მან თავის გარშემო გააერთიანა სხვადასხვა თაობის ქართველი სწავლულები, რომელთაც თავიანთი შრომებით საგრძნობლად გააფართოვეს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ შევძლო მთელი სისრულით წარმოვაჩინო ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების წვლილი საქართველოს შესახებ ძველი და შუა საუკუნეების წერილობითი წყაროების შესწავლა-გამოქვეყნების საქმეში. ამასთანავე, ორიოდე სიტყვით მსურს გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი ბატონ რევაზ კიკნაძის უშუალო ხელმძღვანელობით განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ბატონი რევაზი დიდ ყურადღებას უთმობდა როგორც წყაროთმცოდნეობის საკვანძო საკითხების შესწავლას, ასევე წერილობითი წყაროების კვლევის თეორიული მეთოდებისა და მეთოდოლოგიის დამუშავებას. ამ სფეროში მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ რევაზ კიკნაძის მიერ მომზადებული ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემისა და თარგმნის წესები. ამიერიდან ქართული წყაროების გამოქვეყნება ამ ერთიანი წესის შესაბამისად ხდებოდა. მასთან ერთად წყაროთმცოდნეობის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე წარმატებით მუშაობდნენ მისი კოლეგები და მოწაფეები გიული ალასანია და მარინა ჩხარტიშვილი.

საუკუნეების მანძილზე საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების შესწავლისა და გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წერილობითი წყაროების გამოვლენას, მეცნიერულ ანალიზსა და პუბლიკაციას. არ შეიძლება მადლიერება არ გამოვხატოთ თინა ენუქიძის, აპოლონ როგავას, ავთანდილ იოსელიანის, რევაზ კიკნაძის, იური სიხარულიძის, მამისა ბერძნიშვილის, გიული ალასანიას, მარიამ ჩხარტიშვილის, ლელა მიქიაშვილის, გურამ ბედოშვილისა და სხვათა ღვაწლისადმი ამ საქმეში.

სამეცნიერო და კულტურული კონტაქტების გაფართოებასთან ერთად დღის წესრიგში დაისვა ქართული წერილობითი წყაროების რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის საკითხი, რაც ბატონ რევაზ კიკნაძის უშუალო თანადგომით ხორციელდებოდა. ამ სახის სამუშაოები დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან მოითხოვდა არა მარტო ისტორიული რეალიების სწორად გადმოცემას, არამედ ორიგინალის ღირებულებისა და თავისებურებების შენარჩუნება-ასახვას. ქართველმა სწავლულებმა ამ სირთულეს წარმატებით გაართვეს თავი. მაგალითად, ვარლამ დონდუამ რუსულად თარგმნა ბრწყინვალე ძეგლი *შუშანიკის წამება*, ნოდარ ნაკაშიძემ – ვახუშტი ბატონიშვილის *საქართველოს სამეფოს ისტორია*, სეხნია ჩხეიძის *საქართველოს ისტორია* და ა.შ.

ფართო სამუშაოები ჩატარდა *ქართლის ცხოვრების* შესასწავლად და რუსულ ენაზე გამოსაცემად. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ვარლამ დონდუამ, მარიამ ლორთქიფანიძემ, რევაზ კიკნაძემ, მედეა აბაშიძემ, გიული ალასანიამ, მარინა ჩხარტიშვილმა და სხვ. მუშაობაში აქტიურად ჩაერთო მოსკოვში მოღვაწე ქართველი მეცნიერი გივი წულაია, რომელმაც, თავის მხრივ, შეასრულა *ქართლის ცხოვრების*

რამდენიმე თხზულების თარგმანი. ქართული ნარატიული ძეგლების რუსულ ენაზე ამეტყველებამ ისინი ხელმისაწვდომი გახადა საქართველოს ისტორიით დაინტერესებული უცხოელი მკვლევრებისათვის.

დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს შესახებ უცხოური წერილობითი ძეგლების შესწავლას, ქართულ ენაზე თარგმნასა და პუბლიკაციას. ჰეროდოტეს სახელგანთქმული *ისტორია* და სხვა ბერძენ ავტორთა ცნობები გამოაქვეყნა თინათინ ყაუხჩიშვილმა; ლათინურენოვანი წერილობითი წყაროები თარგმნეს და გამოსცეს ალექსანდრე გამყრელიძემ, ნოდარ ლომოურმა და თეიმურაზ მიქელაძემ.

სომხური ისტორიული წყაროების შესწავლასა და გადმოქართულებაში დიდი წვლილი შეიტანეს ზაზა ალექსიძემ, ალექსანდრე აბდალაძემ, ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა სპარსულ და თურქულენოვანი წერილობითი ძეგლები, რომლებიც გამოაქვეყნეს რევაზ კიკნაძემ, კარლო ტაბატაძემ, ვლადიმერ ფუთურიძემ (სპარსული ძეგლები), გიული ალასანიამ და ნოდარ შენგელიამ (თურქული ძეგლები).

უნდა აღინიშნოს რევაზ კიკნაძის ძალისხმევა საქართველოს შესახებ ევროპელი მოგზაურების ჩანაწერების თარგმნასა და გამოქვეყნებაში. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ბეჟან გიორგაძის, ჯუმბერ ოდიშელის, მზია მგალობლიშვილის, ბენო სილაგაძის დამსახურება.

ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების აქტიურმა მუშაობამ ხელი შეუწყო მეცნიერების ამ დარგისადმი ინტერესის გაღვივებას. ინსტიტუტის სწავლულებისა და რეგიონების სპეციალისტების ურთიერთდაახლოებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამეცნიერო გასვლითმა სესიებმა, რომელთა ორგანიზებაში ენერგიულად მონაწილეობდა მედეა აბაშიძე.

რევაზ კიკნაძის სახელთანაა დაკავშირებული კრებულების *ქართული წყაროთმცოდნეობა* და *წყაროთმცოდნეობითი ძიებანის* გამოცემა-რედაქტირება, რომლებშიც იბეჭდებოდა წერილები, მიძღვნილი პალეოგრაფიის, სფრაგისტიკის, არქეოგრაფიის, ტექსტოლოგიის, დიპლომატიკისა და სხვ. საკითხებისადმი.

რევაზ კიკნაძე იყო შესანიშნავი მასწავლებელი, რომელმაც საქართველოს აღუზარდა არაერთი ცნობილი წყაროთმცოდნე.

ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა ბატონ რევაზ კიკნაძის გარდაცვალებიდან. დროის ამ მონაკვეთში ქართული ისტორიული მეცნიერება აღმოჩნდა ახალი, რადიკალური გამოწვევების პირისპირ, მოხდა ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ უცვლელი დარჩა რევაზ კიკნაძის სამეცნიერო მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება. ქართული და უცხოური წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლით, წყაროთმცოდნეობითი კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების განვითარებით, ახალი მიდგომების შემუშავებით რევაზ კიკნაძემ თანამედროვე მოთხოვნათა სიმაღლეზე აიყვანა ქართული წყაროთმცოდნეობა, რითაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

Revaz Kiknadze through the Years

Otar Zhordania

Over the years Revaz Kiknadze, famous researcher and excellent academic organizer, headed the Source-Studies Department at the Javakhishvili Institute History and Ethnology. He was surrounded by all generation of scholars, many of them greatly contributed to the fulfilment and elaboration of historical database.

More than two decades have passed after the scholar's death. During this period Georgian historians faced radical challenges, but attitude to Revaz Kiknadze scientific heritage has not been changed.

Professor Otar Zhordania emphasizes that Kiknadze was able to give push to the development of Georgian scholarship. For this contribution he occupies important place in Georgian historiography.

ნოდარ შოშიაშვილი

ფოტო დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ნოდარ შოშიაშვილის არქივი №78

ცნობილი მეცნიერის პროფესორ ნოდარ შოშიაშვილის მოგონება

ეკა კვაჭანტირაძე

წელს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ბატონ ნოდარ შოშიაშვილს 90 წელი შეუსრულდებოდა. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის და წყაროთმცოდნეობის საკითხები, ისტორიის ძირითადი და დამხმარე დისციპლინების კვლევა წარმოადგენდა. მას წლების განმავლობაში თსუ ისტორიის ფაკულტეტზე რამდენიმე სალექციო კურსი მიჰყავდა: წყაროთმცოდნეობაში, ისტორიოგრაფიაში, ეპიგრაფიკაში, პალეოგრაფიაში, დიპლომატიკაში. დიდია მისი დამსახურება წერილობითი წყაროების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. ნ. შოშიაშვილის მიერ დაგეგმილი პროექტები: ქართული ისტორიული საბუთების კრიტიკულად დადგენილი ტექსტების სრული კორპუსი, ქართულ დოკუმენტებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ქართული ისტორიული საბუთების გენერალური კატალოგი, ფეოდალური საგვარეულოების ისტორია, ხელრთვების კატალოგი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო და დღესაც გრძელდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სადაც ის წლების განმავლობაში მუშაობდა.

ბატონ ნუკრის, როგორც მას ყველანი მივმართავდით, პირველად უზბეკეთში ექსპედიციის დროს შევხვდი. მამაჩემი გივი კვაჭანტირაძე (ისტორიკოსი, თსუ პროფესორი) და ბატონი ნუკრი ხელმძღვანელობდნენ თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა ექსპედიციას ტაშკენტში, ბუხარასა და სამარყანდში. მე იმხანად პირველკურსელი ვიყავი და ვმონაწილეობდი ამ შეკრებაში. საღამოობით ხშირად ხელმძღვანელების ოთახში იმართებოდა შეკრებები, მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება და ფაკულტეტის სტუდენტურ საკითხებზე მსჯელობა. სწორედ ასეთ ვითარებაში მოხდა მე და ბატონი ნუკრის პირველი საუბარი ჩემი სამეცნიერო ინტერესების შესახებ, რომელიც, ცხადია, ჯერ პირველკურსელს გამოკვეთილი არ მქონდა და მის ჩამოყალიბებაში სწორედ ბატონ ნუკრის მიუძღვის დიდი წვლილი. ის გახდა ხელმძღვანელი ჩემი საკურსო და სადიპლომო ნაშრომების, მასთან არის დაკავშირებული ჩემი პირველი მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში; მისი რჩევით დავიწყე ძველი სომხური ენის შესწავლა და დაინტერესება სომხური წერილობითი წყაროებით. ტაშკენტიდან დაბრუნებისთანავე შევუდექი გრაბარის (ძველი სომხური ენა) და აშხარაბარის (ახალი სომხური ენა) შესწავლას. შემდგომში ბატონი ნუკრი ჩემი ლექტორი გახდა და მომავალ ისტორიკოსებს რამდენიმე სალექციო კურსს გვიკითხავდა. დიდი იყო სტუდენტთა ინტერესი მისი ლექციების მიმართ, ხშირად მას ისტორიკოსებთან ერთად ესწრებოდნენ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც. მესამე კურსზე მირჩია ბატონმა ნუკრიმ XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ვარდან არეველცის *მსოფლიო ისტორიის*, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, შესწავლა, რაც შემდგომში ჩემი სადიპლომო თემა გახდა. ძალიან საინტერესო იყო მასთან, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელთან, ურთიერთობა, ეს იყო დიდი სკოლა, და ეს სკოლა, გამიმართლა, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობისას გავიარე. ბატონი ნუკრი გულუხვად გასცემდა თავის ცოდნას. მისი დაკავებულობის მიუხედავად, საკმაოდ დიდ დროს მითმობდა. ასეთი ფუფუნება მხოლოდ მე არ მხვდა წილად. მის გარშემო ყოველთვის უამრავი სტუდენტი თუ ასპირანტი იკრიბებოდა და ყველა მათგანს ბატონი ნუკრი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. მე ჩამოწერილი შეკითხვებით მივდიოდი მასთან და ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვღებულობდი. გასაოცარი იყო მისი ფენომენალური მახსოვრობა სხვადასხვაენოვან წყაროში არსებული ინფორმაციისა. არ მახსოვს მას რომელიმე ჩემს ასეთ კითხვაზე რაიმე ლიტერატურა მოეძიებინოს, მისი პასუხები ყოველთვის მყისიერი და ამომწურავი იყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წყაროთმცოდნეობის მიმართულებით გავიარე. ისტორიის ამ დისციპლინისადმი ჩემი ინტერესიც ბატონი ნუკრის დამსახურებაა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის ინსტიტუტში არაჩვეულებრივი ხელმძღვანელი შემხვდა ბატონი რეზო კიკნაძე, ბატონ ნუკრისთან, როგორც ჩემს პირველ პედაგოგთან, პროფესიული ურთიერთობა უწყვეტად გრძელდებოდა. ჩვენ ვთარგმნეთ ძველი სომხურიდან ვარდან არეველცის *მსოფლიო ისტორია*. თარგმანზე ინტენსიური მუშაობა რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. ჩვენი შეხვედრები ძირითადად ბატონ ნუკრისთან სახლში იმართებოდა. არ დამავიწყდება ის გულითადი მასპინძლობა, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი მისი

ოჯახისაგან, მისი არაჩვეულებრივი მეუღლისაგან, ქალბატონი ლეილასაგან, რომელიც ყველა ყოფით პრობლემას აგვარებდა ოჯახში ბატონი ნუკრის სამეცნიერო მუშაობისათვის ხელშესაწყობად. ყოველთვის რთულია ერთობლივი ნაშრომის შექმნა, მითუმეტეს, როცა ეს თარგმანს ეხება, მაგრამ ბატონ ნუკრისთან ასეთი ტიპის მუშაობაც მარტივი, ნაყოფიერი და სასიამოვნო აღმოჩნდა. ვარდან არეველცის *მსოფლიო ისტორიის* ჩვენეული თარგმანი 1861 წლის მოსკოვის ემინისეული გამოცემის მიხედვითაა შესრულებული. ვინაწილებდით წყაროს გარკვეულ ნაწილებს, ვთარგმნიდით და შემდეგ შეხვედრისას ვაჯერებდით თარგმანის ერთგვაროვნების მიღწევის მიზნით, ვცდილობდით ქართული თარგმანი ზედმიწევნით ახლოს ყოფილიყო დედანთან, როგორც შინაარსობრივად, ისე ავტორისეული ტერმინებისა და წინადადებების წყობის შენარჩუნებით. თარგმანი ბატონი ნუკრის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, ამიტომ მე მომიხდა სომხური ტექსტის შედარება 1862 წლის ვენეციური გამოცემისათვის, კითხვასხვაობების გამოვლენა, ნაშრომისათვის გამოკვლევის, კომენტარებისა და საძიებლების დართვა. ეს ჩემთვის ძალზე დიდი პასუხისმგებლობა იყო. ვღელავდი, რადგან ნაშრომში ორი ავტორის – პედაგოგისა და შეგირდის პოზიციები უნდა ასახულიყო. შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებდი ბატონი ნუკრის მოსაზრებებს, პოზიციებს, დამოკიდებულებებსა და რჩევებს. როგორი გამოვიდა ნაშრომი, ამას მკითხველი განსჯის.

ბატონი ნუკრი შოშიაშვილი იყო მეტად თავმდაბალი ადამიანი, ჩინებული პატრიოტი და მოქალაქე, გამოირჩეოდა კოლეგებისადმი ყურადღებით, მოწაფეებისადმი გულისხმიერებით, ადამიანური კეთილშობილებით. ქართველ ისტორიკოსთა წრეში ის ინტელიგენტურობის და მეცნიერებისადმი უანგარო სამსახურის მაგალითად დარჩება.

In Memory of the Outstanding Researcher Professor Nodar Shoshiashvili

Eka Kvachantiradze

The paper focused on relattions of the author with the famous historian, doctor of historical science, Tbilisi State University Professor Nodar Shoshiashvili. He was interested in medieval Georgian history and source-studies. He delivered courses in historiography, epigraphy, palaeography and diplomatics for a long time. The author recalls him as a teacher and colleague.

ხელმძღვანელი

მარინე ქადაგიძე

ნოდარ შოშიაშვილი, ბატონი ნუკრი, როგორც მას უმეტესად ყველანი მივმართავდით, უნივერსიტეტში ჩვენი ლექტორი იყო. მე არ გავიხსენებ მის ლექციებს, რადგან ვისაც ჰქონდა ბედნიერება ყოფილიყო მისი სტუდენტი, ყველამ იცის, რამდენად ბევრის მომცემი და საინტერესო იყო მისი სალექციო კურსი. უფრო მნიშვნელოვანია, როგორი იყო იგი, როგორც პიროვნება. იგი სითბოს და ადამიანურობას გასცემდა. გვაყვარებდა საგანს, საქართველოს, მეცნიერების მნიშვნელობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავდა. საერთოდ, სტუდენტობის პერიოდში, მართლაც, განებივრებულები ვიყავით საუკეთესო ლექტორებით. ვერ ვიტყვი, რომ ამას მოცემულობად ვღებულობდით. ჩვენ მაშინვე ვგრძნობდით იმ ბედნიერებას, რასაც მათთან ყოველდღიური ურთიერთობისგან ვიღებდით, მაგრამ რაც წლები გადის, მეტად განვიცდით, რომ ის ადამიანები მოაკლდა ჩვენს უნივერსიტეტს და ახალი თაობა მხოლოდ მათი ნაშრომებით და ჩვენი მოგონებებით თუ მიხვდება, როგორი პიროვნებები ზრდიდნენ მომავალ მეცნიერებს, თავიანთი მაგალითით როგორ გვაჩვენებდნენ ადამიანებისადმი პატივისცემას.

მეოთხე კურსზე მქონდა ბედნიერება ბატონი ნუკრი გამხდარიყო ჩემი საკურსოს ხელმძღვანელი. თემა, რომელიც მან შემირჩია, თავისთავად წარმოაჩენს მის პიროვნებას – *ათონის მონასტრის აღაპები როგორც საისტორიო წყარო*. ეს იყო იმ დროისათვის დაუმუშავებელი და ამის გამო რთული თემა. მაშინ არც კი მესმოდა, რაოდენ დიდ პრობლემას უნდა შევჭიდებოდი, მაგრამ ბატონ ნუკრის ასეთი მიდგომა ჰქონდა, ვფიქრობ, ყველასადმი. არა იმიტომ, რომ სათანადო ცოდნა ჰქონდა მის მოწაფეს, არამედ იმიტომ, რომ უზარმაზარ გამოცდილებას შეიძენდა მუშაობის პროცესში. თემაზე მუშაობა შემდეგ წელსაც გაგრძელდა და სადიპლომო ნაშრომიც მოვამზადე და დავიცავი. წყაროზე მუშაობა, რომელიც ბატონმა ნუკრიმ მეოთხე კურსელ სტუდენტს შეურჩია, მრავალი წელი უნდა გაგრძელებულიყო და მასთან ერთად უნდა გაზრდილიყო და ჩამოყალიბებულიყო მკვლევარი.

დაუვიწყარია ყოველი შეხვედრა, რომელიც ამ ორ წელიწადში ხელმძღვანელთან მქონდა. მისი რჩევები, უაღრესად მოკრძალებულად გამოთქმული შენიშვნები. მათ ოჯახში მისვლა, უკვე იყო ურთიერთობის გაკვეთილები: ბატონი ნუკრის მეუღლე, ქალბატონი ლეილა და მთელი მათი ოჯახი საოცარი კეთილგანწყობით ხვდებოდნენ ადამიანთა ნაკადს, რომლებიც უწყვეტად მიედინებოდნენ მათ ბინაში-ყველას უნდოდა ბატონი ნუკრის აზრი გაეგო საკუთარ ნაშრომზე, იქნებოდა ეს საკურსო, სადიპლომო, საკანდიდატო, სადოქტორო თუ მონოგრაფია. მიუხედავად საოცარი დატვირთულობისა, ბატონი ნუკრი ყველასთვის პოულობდა დროს და აუჩქარებლად, გულდასმით წაკითხვის შემდგომ, უშურველად გასცემდა რჩევებს.

ასეთი ადამიანები აკლდებიან მეცნიერებას, საზოგადოებას ფიზიკურად, მაგრამ მათი ხსოვნა მისაბაძ მაგალითად რჩება, მათი საშუალებით ვიგებთ თუ როგორი უნდა იყოს მეცნიერი და პიროვნება.

The Superviser

Marine Kadagidze

The paper dedicated to the memory of outstanding scholar Professor Nodar Shoshiashvili who was not only professional in his field but also gifted with great personality. He was very kind to his colleagues, students, and friends. The author (she is currently a research fellow at the Ivene Javakhishvili Institute of History and Ethnology) whose superviser was the late Professor when she was a student, underlines that Nodar Shoshiashvili should be considered as one of the most remarkable examples of professionalism, humanism and responsibility.

„უმაღლესი მეცნიერების“ მასწავლებელი

ქეთევან ქუთათელაძე

არიან პიროვნებები, რომელთა პროფესიონალიზმი ერთნაირად აღაფრთოვანებს ყველა ასაკის და პროფესიის ადამიანს. ასეთ პიროვნებად წარმოჩნდება თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, მრავალმხრივი პროფილის მეცნიერი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი, რომელმაც ქართველოლოგიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი იყო. თავისი სამეცნიერო პოტენციალით ნ. შოშიაშვილი დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერ წამყვან უნივერსიტეტს. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილს საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წოდება მიენიჭა.

პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, წყაროთმცოდნეობა, დიპლომატიკა, გენეალოგია, ვექსილოლოგია, საქართველოს ისტორია, ეს ის დარგებია, რომლებშიც ნ. შოშიაშვილს უწევდა კვლევა. უნივერსალური ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი ერთნაირად წარმატებული იყო ყველა სფეროში.

ნ. შოშიაშვილი სწორედ ისეთი პროფესორი გახლდათ, როგორიც ი.ჯავახიშვილს უნივერსიტეტისთვის ესახებოდა. დიდი მეცნიერი ბრძანებდა, რომ

> უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლესი მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოაზრედ ხდება. აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ ცოცხალ ძალად არის ქცეული (ჯორბენაძე 1984: 192).

ს. ჯორბენაძე აღნიშნავდა, რომ

> ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართული უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერი ხელმძღვანელები მარტო ლექციების მკითხველნი კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთი ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა ხელს უწყობდნენ და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბაძ მაგალითადაც იყვნენ მოზარდი თაობისათვის (ჯორბენაძე 1984: 192-193).

ნ. შოშიაშვილი მეცნიერიც იყო და ლექციების მკითხველიც. იგი სწორედ „უმაღლეს მეცნიერებას“ ასწავლიდა სტუდენტებს და არ განეკუთნებოდა მათ რიცხვს სასწავლო პროცესსა და მეცნიერებას ერთმანეთისაგან რომ მიჯნავენ. მისი მოწაფეები დამეთანხმებიან, რომ მასთან სასწავლო პროცესში ურთიერთობის დროს ეზიარებოდი უმაღლესი მეცნიერების საფუძვლებს, რომელიც სწორი მეცნიერული კვლევის მეთოდით მიიღწევა. ამ მეთოდს კი თავისი ლექციებით ბატონი ნუკრი ასწავლიდა სტუდენტებსა და მის ასპირანტებს. ნ. შოშიაშვილის თითოეული ლექცია ნებისმიერ თემაზე (პალეოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ქართული სახელმწიფო წყობის ისტორია) სიახლე იყო სტუდენტისთვის. ეს არ იყო ნაცნობ თემებზე საუბარი, არამედ საკითხის ლექციის დროს გაანალიზება, როდესაც სტუდენტი ეუფლება კვლევის საფუძვლებს. ნ. შოშიაშვილი იყო შემწყნარებელი და ამავე დროს მომთხოვნიც, ის ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვდა, რითაც აიძულებდა თავის შეგირდს კვლევა ესწავლა.

თითქმის 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი მარადიულობას შეუერთდა. პირადად მე ხშირად მიფიქრია ამ დროზე და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს დრო გაჩერდა, არ გასულა. ახლაც მახსენდება ბატონი ნუკრის გონიერი თვალები, ფიქრი და საკითხის ახსნა ან საკვლევი თემის დაგეგმვა. მასთან ურთიერთობა ადვილი იყო, მაგრამ ხანგრძლივი, ესეც საქმიდან გამომდინარე, სანამ თემას ისეთს არ მიიტანდი, როგორიც მას სურდა, საბოლოო სიტყვას არ იტყოდა.

ნ. შოშიაშვილი გახლდათ საოცრად უბრალო და ამავე დროს აკადემიური. უდიდესი შინაგანი კულტურის მქონე პროფესორი, სტუდენტების განსაკუთრებულ პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა. მიუხედავად მისდამი მოკრძალებისა, მივმართავდით, როგორც „ბატონი ნუკრი“, ამ

სახელით მიმართავდნენ აგრეთვე, კოლეგებიც. ამით ალბათ, მის მიმართ ყველა გამოხატავდა გულწრფელ სიყვარულს. ბატონი ნუკრი საოცრად მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი იყო. მას არასოდეს გამოუმჟღავნებია ამბიცია პირველობისა, სურვილი რაიმე თანამდებობაზე ყოფნისა. პედაგოგიური საქმიანობით უაღრესად დატვირთული, იგი ვერ იცლიდა დაეცვა სადოქტორო დისერტაცია. პროფესორის წოდება მიიღო, როგორც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, რაც მაშინ იშვიათი მოვლენა იყო. გარკვეული უხერხულობა იქმნებოდა, როდესაც ბატონი ნუკრის მოსწავლეები დოქტორები ხდებოდნენ, ის კი კვლავ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი იყო. ეს „ხარვეზი" მხოლოდ მის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოსწორდა, როდესაც ბატონმა ნუკრიმ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1998 წლის 21 სექტემბერს ნაშრომზე *ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები* (V-X სს). დაცვაზე მას რეცენზენტები შენიშვნების ნაცვლად შეკითხვებს უსვამდნენ. ამ დაცვამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მეცნიერს ავტორიტეტისათვის რეგალიები და თანამდებობები არ სჭირდება.

ნ. შოშიაშვილი დაჯილდოვებული იყო იშვიათი სამეცნიერო ინტუიციით, რომელიც ესოდენ სჭირდება ისტორიკოსს. ყველა მისი ნაშრომი სიღრმისეული კვლევა იყო, სიახლის მომცემი. იგი თავისი ნაშრომების სიმრავლისთვის კი არ ზრუნავდა, არამედ წყაროს შესწავლითა და გამოცემით იყო დაინტერესებული. უმაღლეს მეცნიერულ დონეზე გამოკვლეული წყაროებით პროფესორი სხვა მეცნიერებს უადვილებდა სამეცნიერო კვლევას. სხვადასხვა ტიპის წერილობითი წყაროების კრიტიკულად დადგენილი ტექსტების გამოცემით ნ. შოშიაშვილმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნ. შოშიაშვილი, შეიძლება ითქვას, მეოცე საუკუნის ქართველოლოგიური მეცნიერების ღერძი იყო, ცოცხალი ენციკლოპედია, რომელიც თავისი ზედმიწევნითი ცოდნით პატივისცემას და მოკრძალებას იმსახურებდა ყველა ასაკის კოლეგისაგან. ნ. შოშიაშვილის სახელი ყოველთვის ასოცირდება პროფესიონალიზმთან.

2002 წელს გამოვიდა კრებული *ანამკი*, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, რომელიც მიძღვნილი იყო ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ხსოვნისადმი. კრებულის რედაქტორი გახლდათ პროფესორი ნ. ვაჩნაძე. ამ კრებულში უდიდესი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი ბატონი ნუკრის მიმართ კოლეგებისაგან გამოთქმული. გარდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სტატიებისა და შეხედულებებისა, აქ ვხვდებით ნ. შოშიაშვილის ბიოგრაფიულ მონაცემებს და მისი შრომების ბიბლიოგრაფიას, აგრეთვე, მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომის – *ქართული წარწერების კორპუსის* – შესახებ რეცენზიებს და სხვ. მეორე – ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების კრებული (რედაქტორი პროფესორი გ. ოთხმეზური) ასევე, მიეძღვნა ნ. შოშიაშვილის ხსოვნას, სადაც გამოქვეყნდა ჩემი სტატიაც *ერთი მცირე სომხური ანონიმური ქრონიკა და X-XII სს-ის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი* (ქუთათელაძე 2002: 103-128).

პროფესორ ნ. შოშიაშვილის ბიოგრაფიის და მეცნიერული მიღწევების კვლევა ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს, რასაც იგი სავსებით იმსახურებს. მისი შრომები მრავალფეროვნებით გამოირჩევა,[1] მაგრამ ამ წერილში მხოლოდ რამდენიმე ნაშრომს შევეხები, რომლითაც მკვლევარმა უკვე დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. შოშიაშვილის მიერ შედგენილი ზემოაღნიშნული *ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები* (V-X სს), რომელიც, ჩემი აზრით, საუკუნის პუბლიკაციაა, მას არასოდეს გაუვა ყავლი. იგი ბატონი ნუკრის ყველაზე სიღრმისეული კვლევაა. ტომის რედაქტორი ზ. ალექსიძე აღნიშნავს, რომ

> კორპუსში წარწერათა ტექსტები ქვეყნდება სრული მეცნიერული აპარატით, გრაფიკული მონახაზებითა და ფოტო-პირებით, იმ ვარაუდით, რომ დააკმაყოფილოს როგორც ისტორიკოსების, ისე ფილოლოგების, ენათმეცნიერებისა და სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებში მომუშავე სპეციალისტთა ინტერესები ... მკითხველი მასში ნახავს მრავალ ახლადმიკვლეულ წარწერას და კიდევ უფრო მეტს, ახლებურად წაკითხულს, დაზუსტებულსა თუ დათარიღებულს (შოშიაშვილი 1980: 7).

ნ. შოშიაშვილმა ტექსტებს დაურთო ვრცელი შესავალი გამოკვლევითურთ, სადაც განხილულია ქვაჯვრების, უკვარცხლბეკო ჯვრების, სტელა-ჯვრების და მათი კვარცხლბეკების, კედლის ლაპიდარული წარწერები, ასევე ეკლესიის საამშენებლო (ქტიტორთა, ხუროთმოძღვართა) წარწერები და მოსახსენებლები, საფლავის ქვების და სარკოფაგების წარწერები, იურიდიული აქტები (ჭელი, დაწერილი). შესავალში განხილულია ასევე, ლაპიდარული წარწერების ისტორიულ-პალეოგრაფიული მიმოხილვა, მათი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული განლაგების საკითხი (შოშიაშვილი 1980: 9-30).

ძირითადად განხილულია შიდა და ქვემო ქართლის, ჯავახეთის, სამცხის, კლარჯეთის, ტაოს, შავშეთის, კახეთის ეკლესიათა წარწერები. საგანგებოდ არის განხილული ქვემო ქართლის ქვაჯვრები, მცხეთის ჯვრის, ატენისა და წრომის, ოშკის წარწერები და მათგან გამომდინარე ისტორიული საკითხები: ქართლის ერისმთავართა სია, ბრძოლა შიდა ქართლში გაბატონებისათვის სამეფო-სამთავროებს შორის, ატენის ისტორია პოლიტიკურ ჭრილში IX-X სს-ში, ცნობები ტაოს ბაგრატიონების შესახებ, აგრეთვე, შიდა ქართლის ფეოდალური საგვარეულოების შესახებ. მას მიაჩნდა, რომ ტბელებისგან მომდინარეობდნენ აბაზასძეები, ტბელებს უკავშირდებოდა ასევე ფავნელები, რომელთა მემკვიდრეები იყვნენ სურამელები (შოშიაშვილი 1980: 30-61). ნ. ვაჩნაძის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, რომლის ანოტაცია ამ ნაშრომზე გერმანულ ენაზე დაიბეჭდა,

> ნ. შოშიაშვილის მიერ მომზადებული და გამოცემული *კორპუსის* I ტომი მოაზროვნე კაცის დაწერილია, მისი დებულებები არგუმენტირებულია და მყარადაც, ხოლო ჰიპოთეზები – იმპულსის მიმცემი მომავალ მკვლევართათვის (ვაჩნაძე 2002: 366).

ნ. შოშიაშვილის სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი გრიგოლ გიორგაძე აღნიშნავდა, რომ ამ ნაშრომის ავტორი დიდი ხანია იმსახურებდა არა მარტო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს, არამედ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხსაც (გიორგაძე 2002: 354). ოპონენტი აღნიშნავდა, რომ

> სარეცენზიო ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენი იყო და ასეთად დარჩა იგი დღემდე ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებისათვის. ნაშრომი ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის სხვადასხვა პრობლემების შესახებ. მან დიდი როლი შეასრულა ქართული ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის განმტკიცებაში. ნ. შოშიაშვილის ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღესაც, რადგან იგი ერთადერთი მეცნიერული ნაშრომია, რომელშიც თავმოყრილია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს V-X საუკუნეთა ლაპიდარული წარწერები, მოცემულია მათი მეცნიერული ანალიზი. იგი დიდი ხანია სამაგიდო წიგნად იქცა (გიორგაძე 2002: 354).

როგორც აღვნიშნე, ნ. შოშიაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა წყაროების მეცნიერულ შესწავლას და გამოცემას. მკვლევარი განმარტავდა:

> საისტორიო წყაროების კორპუსების, ე.ი. კრიტიკულად დადგენილი და სათანადო სამეცნიერო-საცნობარო აპარატით განმარტებული ტექსტების სრული კრებულების გამოცემას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის. ასეთი გამოცემების განხორციელება მნიშვნელოვნად აფართოებს და სრულყოფს ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ბაზას, ქმნის მტკიცე საფუძველს სამეცნიერო კვლევისათვის (ენუქიძე და *სხვები* 1984: 5).

ასეთი გამოცემების შექმნა, ბუნებრივია, დიდ შრომას მოითხოვდა და ხანგრძლივი მუშაობის შედეგი იქნებოდა. ბატონი ნუკრი გახლდათ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის ერთ-ერთი შემდგენელი (თ. ენუქიძესთან და ვ. სილოგავასთან ერთად), წინასიტყვაობის ავტორი და ტომის რედაქტორი, რომელიც 1984 წელს გამოვიდა. აქ განხილულია IX-XIII სს-ის ისტორიული საბუთები. ეს არის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, რომელიც მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს განთქმული ქართული მონასტრების შიომღვიმის, გელათის, ქვათახევის, რკონის, ხახულის, ნიკორწმინდის (რომელიც „ნიკოლაოსწმიდათ" მოიხსენიება ერთ-ერთ საბუთში) შესახებ. აქვე არის განხილული ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა 1125 წლის შემდეგ შექმნილი *ანდერძი დავით მეფისა*, 1177 წლის *სიგელი გიორგი მეფისა საქართველოს ეკლესიისადმი*, 1263 წლის *მოხსენება საქართველოს საეკლესიო კრებისა მეფისადმი* და სხვ. (ენუქიძე და *სხვები* 1984: 60, 71, 169). მკვლევარი აღნიშნავდა, რომ კორპუსის მომზადებაში ჩართული იყო კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს ცენტრალური არქივი, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მეცნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარების დროს ისტორიკოსებისა და წყაროთმცოდნეების ყველა რგოლი იყო ჩართული, ეს კი წარმატებული სამეცნიერო სამუშაოს გარანტიაა.

საოცრად შთამბეჭდავი იყო ნ. შოშიაშვილის ლექციები *ქართლის ცხოვრებაზე*. იგი უზღვავ ინფორმაციას იძლეოდა ამ შესანიშნავი კრებულის ძველი და ახალი ნუსხების, მათი აღმოჩენის, ახალი თხზულებების დაფიქსირების, *ქართლის ცხოვრების* გამოცემების შესახებ. იგი არასოდეს აკნინებდა

სხვის აზრს ამ საკითხებთან დაკავშირებით, სტუდენტს აწვდიდა ყველა მოსაზრებას. თუმცა, მას განსხვავებული ხედვა ჰქონდა *ქართლის ცხოვრების* ტექსტის დაყოფისა და მისი ახალი გამოცემის შესახებ. მკვლევარი თავის აზრს შემდეგნაირად აფიქსირებს: *ქართლის ცხოვრების* ახალ გამოცემაში ტექსტი უნდა გამოიცეს ყოველგვარი დაყოფის გარეშე, ძეგლზე ძალდატანებისა და მკითხველისათვის რომელიმე თვალსაზრისის თავსმოხვევის გარეშე (შოშიაშვილი 2002: 339).

მას მიაჩნდა, რომ *ქართლის ცხოვრება* ოთხ წიგნად უნდა გამოსულიყო. პირველ წიგნში შევიდოდა ისტორია დავით აღმაშენებლის ისტორიის ჩათვლით, მეორე წიგნში – თამარის გამეფებიდან გიორგი ბრწყინვალეს გამეფებამდე, მესამე წიგნში – *ქართლის ცხოვრების* გაგრძელებები, მეოთხე წიგნში შევიდოდა XVIII ს-ის ისტორიკოსები (ს. ჩხეიძე, პ. ორბელიანი. ო. ხერხეულიძე) (შოშიაშვილი 2002: 339).

ნ. შოშიაშვილმა ი. ანთელავასთან ერთად გამოსცა *ძველი ქართლის ცხოვრება* წინასიტყვაობითა და კომენტარებით (ანთელავა, შოშიაშვილი 1996). ამ გამოცემის მიხედვით, ლეონტი მროველის თხზულებებს წინ ერთვის შესავალი: *უცნობი ავტორის აპოკრიფი მსოფლიო ისტორია* (ანთელავა, შოშიაშვილი 1996: 10-36). *ქართლის ცხოვრების* ს. ყაუხჩიშვილის გამოცემისგან განსხვავებით, ამ გამოცემაში ყველა ანონიმი ისტორიკოსი მოხსენიებულია, როგორც „უცნობი მემატიანე". შემდგენელ-გამომცემლები ტრადიციულისგან განსხვავებით, „უცნობი მემატიანის" თხზულებას არ უწოდებენ „ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს" და თხზულების *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*-ს ავტორად არ ასახელებენ ბასილი ეზოსმოძღვარს, არამედ „უცნობ მემატიანეს", ასევე, გარდა ჟამთააღმწერელისა, ამ წყაროს მოიხსენიებენ, როგორც *ასწლოვანი მატიანე* (ანთელავა, შოშიაშვილი 1996: 296, 383, 413). ნ. შოშიაშვილმა მ. სანაძესთან ერთად გამოსცა ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თანამედროვე ქართულზე ადაპტირებული ტექსტი, ლექსიკონითა და კომენტარებით. ეს ნაშრომი ორ ტომად გამოვიდა 1994 და 1998 წწ-ში (სანაძე, შოშიაშვილი 1994: I; 1998: II). *ქართლის ცხოვრების* ტექსტების ამ ფორმით გამოცემა ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, ეს ხელს უწყობდა სკოლის მოსწავლეების და საზოგადოდ ფართო მკითხველის დაინტერესებას ამ უნიკალური კრებულით.

ნ. შოშიაშვილი თანაავტორია 1955 წელს გამოცემული ვარძიის გზამკვლევისა, რომელიც ნიმუშია თუ როგორ უნდა მიეწოდოს მკითხველს მრავალფეროვანი, სხვადასხვა ინფორმაცია ერთ კონტექსტში გააზრებული. ამ ნაშრომით ნათელი წარმოდგენა შეექმნება მას, ვინც დაინტერესებულია ზემო ქართლის (მტკვრის აუზი) ისტორიული ძეგლებით. ნაშრომი ორ ნაწილიანია. პირველი ნაწილი მოიცავს ბორჯომის ხეობისა და მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლებს და ღირსშესანიშნაობებს. მეორე ნაწილი კი ვარძიის მონასტერს ეთმობა, სადაც ვარძიის ისტორიის გარდა, განხილულია მონასტრის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები, სახელობითი გამოქვაბულები. ნაშრომს თან ახლავს ზემოაღნიშნულ მხარეთა ისტორიული ძეგლების და ღირსშესანიშნაობების, ეპიგრაფიკული ძეგლების, ფრესკების ამსახველი ფოტო მასალა (მელითაური და *სხვები* 1955).

ნ. შოშიაშვილმა თავისი სიტყვა თქვა არმენოლოგიაშიც. მან გამოსცა თარგმანი XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის გრიგოლ აკანელის *მოისართა ტომის ისტორია*, რომელიც თარგმნილია ფრანგულ (ბროსე), რუსულ (პატკანოვი), ინგლისურ (ბლეიკი და ფრაი), თურქულ (ჰრანტდ დ. ანდრეასგანი) ენებზე (შოშიაშვილი 1961). ამ ნაშრომს თავის ერთ-ერთ წერილში *ქართული არმენოლოგიის ისტორიიდან* მოიხსენიებს ცნობილი არმენოლოგი ე. ცაგარეიშვილი, რომელიც აღწერს ქართველ მეცნიერთა დამსახურებას არმენოლოგიის კუთხით (ცაგარეიშვილი 2002: 285).

ნ. შოშიაშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს ამ ძეგლის გამოცემებს, მასში წარმოდგენილ საკითხებს. თავად წყაროსთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავდა: „გრიგოლ აკანელის ცნობები უთუოდ სანდოა და ამასთან ხშირად ახლის მთქმელიც. მაგრამ ძეგლს, როგორც საისტორიო წყაროს, აქვს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი: თარიღებს ყოველთვის არ იძლევა და ამასთან ეს თარიღები ხშირად არ არის ზუსტი" (შოშიაშვილი 1961: VIII).

ნ. შოშიაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომელიც უფრო ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს გრიგოლ აკანელზე. იგი თავის ერთ-ერთ თავში მოიხსენიებს ვანაკან მოძღვარს, როგორც „წმინდა მოძღვარი ჩვენი ვანაკანი აღმოსავლეთის ქვეყანაში".[2] მისი მოწაფეები იყვნენ ცნობილი სომეხი ისტორიკოსები ვარდანი და კირაკოს განძაკეცი. ნ. შოშიაშვილი აღნიშნავს, რომ ვარდანის ცნობით, ჰულაგუ ყაენთან მიწვეულ სტუმრებს შორის მასთან ერთად იყვნენ „მოძღვრები, ძმანი ჩვენნი, სარგისი და გრიგორი" (შოშიაშვილი 1961: X). ამ ფაქტების შეჯერებით, მკვლევარი ფიქრობს, რომ თუკი გრიგოლ აკანელი ვანაკანის მოწაფე იყო, ცხადია, ის ვარდანთან დაახლოებული პირიც იქნებოდა. ამდენად შესაძლოა, აქ მოხსენიებული გრიგორი სწორედ გრიგოლ აკანელი იყოს *მოისართა ტომის ისტორიის* ავტორი. ნ. შოშიაშვილი აღნიშნავდა, რომ „გრიგოლ აკანელის ცნობები, ისევე როგორც ენა (ხალხური), განასხვავებს მას სხვა მის თანადროული სომხური წყაროებისაგან. ამიტომ ვერც დღემდე ცნობილ

ისტორიულ ძეგლს ვერ მივიჩნევთ მის წყაროდ“ (შოშიაშვილი 1961: XI). მკვლევარი მას თვითმხილველ ისტორიკოსად განიხილავს.

ნ. შოშიაშვილის პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის მიდგომა, რომელიც მან გამოიყენა თარგმანში, კერძოდ, ტერმინების და სახელწოდებების სომხური ტრანსკრიფციით გადმოცემა და არა ქართულით, რითაც ინარჩუნებდა თარგმანის სიახლოვეს დედანთან. მაგ.: ღაჲანი/ღანი და არა ყაენი, ხალანი და არა ყალანი, ნუინი და არა ნოინი, ჰულაკუ და არა ჰულაგუ ... ვაჰრამი და არა ვარამი, განძაკი და არა განძა, ხურუთაჲ და არა ყურულტაჲ ... მანკუ და არა მანგუ ... იარლახი და არა იერლიყი, ხული და არა ყული და სხვ. (შოშიაშვილი 1961: IX).

გრიგოლ აკანელის *მოისართა ტომის ისტორიის* ნ. შოშიაშვილის გამოცემა ორიგინალურია იმითაც, რომ გარდა კომენტარებისა, წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა გრიგოლ აკანელის თხზულების შედარებას იმ პერიოდის ამსახველ სხვა სომხურ, ქართულ, სპარსულ ისტორიულ წყაროებთან (ვარდანი, სტ. ორბელიანი, კირაკოს განძაკეცი, ჟამთააღმწერელი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, მცირე სომხური ქრონიკების ავტორები, რაშიდ ედ-დინი და სხვ.). ეს მკვლევრის მდიდარ წყაროთმცოდნეობით ცოდნაზე მეტყველებს, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა ნარატიულ წყაროთა მონაცემებით, სინთეზური მეთოდის საშუალებით მოახდინოს კონკრეტული მოვლენის, ფაქტის და მრავალი ისტორიული საკითხის გაშუქება და რეკონსტრუქცია.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პროფესორმა ნ. შოშიაშვილმა ამოიკითხა გოხნარის ძალზედ დაზიანებული ეკლესიის წარწერა, რომელიც რუსულ თარგმანთან ერთად თავის დროზე გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა (თაყაიშვილი 1913: 5-6).



ბატონმა ნუკრიმ წარწერა შემდეგნაირად გაშიფრა:



დაუსაბამ[ოგ]საგან ღ(მრ)თისა მ(ი)წ(იერე)ბ(ი)სა და მ(ი)წ(ი)თა ნაწუეთი. და გვაღირსა ჩ(უე)ნ ღ(მერ)თმ(ა)ნ აღშენებად წ(მიდ)ისა ამის ეკლ(ესი)სა. დ(ა)ვ(ი)წყე [ბრძანებითა] დიდებულისა ლ(ი)ბ(არი)ტ ე(რისთავი) ე(რისთავისა) და გ(ა)ვ(ა)სრ(ულე) დ(ი)დებ(ული)სა. «და» ზ(ეო)ბ(ა)სა შვილთა მისთა ... დ(ა) ჟ(ამს(ა) კ(ათალიკო)ს(ო)ბ(ა)სა ... გ(იორგისა) და ცოლ(ისა)თ(ჳ)ს ე(რისთავთ) ე(რისთავი)სა. რ(ა)ტ(ი)სა შ(ვი)ლნი მათნი ზ(ეო)ბ(ა)ს(ა) [რა]ტ ე(რისთავთ) ე(რისთავი)სა და ი(ვან)ესა. და ამის შემდგომთა ... და საჴსრ(ა)დ ც(ო)დვ(ი)ლ(ი)სა ს(უ)ლ(ი)სა ჩ(ე)მისათჳნ ... სახო(რ)ც(იელ)ოდ სანებიეროდ შევწირეთ მ...ე...ნებითა და შევწირეთ მტკიც(დ) ... [და]უმტკიცოთ შეუვალად სან(ებიეროდ) ... მე (?) მოდგომცა და რა ... არვა და სჳეროდეთ შენ ... იდ დ(ი)დებ(უ)ლი წ(მიდა)ნი ან(გელ)ო(ზნი) და წ(მიდა)ჲ მთ(ა)ვ(ა)რმ(ო)წ(ა)მ(ე)ჲ და ... ს(უ)ლსავ(ე) (სუყველასავე?) ეთხოების დაჴნინებაჲ ამ ... მ(ა)ნგლ(ე)ლ ეპისკ(ოპო)ზ(ი)ს(ა)ჲ ად(იდე)ნ ... ქორონიკონ[სა].

ჩვენ ერთ-ერთ წერილში და პირველ მონოგრაფიაში დავასაბუთეთ, რომ ამ წარწერაში მოხსენიებული პირთა სახელები ემთხვევა ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით XI ს-ის მანგლელი ეპისკოპოსის ანტონ თულაის ძის მღვდელმთავრობის დროს შესრულებულ მათეს სახარების მინაწერებში მოხსენიებულ პირებს, რომლებიც არიან ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენლები (ქუთათელაძე 1996: 157-158; ქუთათელაძე 2001: 113). გოხნარის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული უსახელო მანგლელი ეპისკოპოსი მანგლელ მღვდელმთავარ ანტონ თულაის ძესთან გავაიგივეთ, რის საფუძველსაც გვაძლევს ეკლესიის წარწერასა და სახარების მინაწერებში ერთი და იგივე პიროვნებების მოხსენიება. გარდა ამისა, წარწერაში უნდა მოიხსენიებოდეს XI ს-ის 50-60-იან წწ-ში მოღვაწე გიორგი კათალიკოსი (გიორგი III ტაოელი), რომლის დროსაც აშენდა ეს ეკლესია. გოხნარის ეკლესიის წარწერას თარიღი არ აქვს, მაგრამ მისი მიახლოებით დათარიღება არცთუ ისე რთულია. მათეს სახარების მინაწერები, რომლებშიც ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენლები და ანტონ თულაის ძე მოიხსენიებიან, 1047/1048 წწ-ით თარიღდება (ქუთათელაძე 2001: 113). გოხნარის ეკლესიის წარწერის მიხედვით, ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს ლიპარიტ ერითავთ-ერისთავის ბრძანებით და დასრულდა მისი შვილების ივანესა და რატის ზეობის დროს, როდესაც კათალიკოსი იყო გიორგი III ტაოელი. გიორგი კათალიკოსი მოიხსენიება ასევე, ბაგრატ IV 1057/1058 წწ-ის სიგელში, რომელიც ქართული სამრთლის ძეგლების გარდა გამოქვეყნდა 1984

წელს ზემოაღნიშნულ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში და მისი ერთ-ერთი შემდგენელ-გამომცემელი, როგორც აღვნიშნე, ნ. შოშიაშვილი გახლდათ. ამ საბუთის მიხედვით, მეფე მანგლისის ხევის სოფელ ბორცვისჯვარს სწირავს შიომღვიმის მონასტერს. ამ შეწირულობას ამტკიცებს გიორგი კათალიკოსი – „მე, გ(იორგ)ი ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზი მოწამე ვარ დაწერილსა მათსა“ და ივანე ბაღვაში – „მეცა მიწასა მეფობისა მათისა ი(ოვან)ეს, ძესა ლიპ(არი)ტ ე(რისთავთ)-ე(რისთავი)სა, დამიმტკიცებია. უქცეველი არს ბრძანებაი მათი ჩემგანცა, მონისა მათისაგან“ [3] (ენუქიძე და *სხვები* 1984: 37-38). თუ გავითვალისწინებთ დასახელებულ თარიღებს, შეიძლება დავუშვათ, რომ გოხნარის ეკლესია 1047/1048-1057/1058 წწ-ში აშენდა (ქუთათელაძე 2001: 114). ზემოაღნიშნული მსჯელობა ბატონმა ნუკრიმ სავსებით გაიზიარა, რაც ჩემთვის დიდი სტიმული იყო.

ამ წარწერის ამოკითხვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ისტორიულ პირთა და მანგლისის ეპარქიაში მიმდინარე კულტურული პროცესების შესახებ ინფორმაციის მოძიებისათვის. უკვე შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ტაოელი, ქართლის კათალიკოსი გარდა *მატიანე ქართლისა* და 1057/1058 წწ-ის ზემოაღნიშნული საბუთისა, მოიხსენიება გოხნარის ეკლესიის XI ს-ის წარწერაშიც. ამ წარწერაში მოხსენიებულ უცნობ მანგლელ ეპისკოპოსს თუ მათეს სახარების მინაწერებში მოხსენიებულ ანტონ მანგლელთან[4] გავაიგივებთ, მაშინ წარმოჩნდება XI ს-ის მანგლელი ეპისკოპოსი „ანტონ თოჯლაჲს ძე“, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბაღვაშთა მიერ ჩატარებულ ისეთ კულტურულ საქმიანობაში, როგორიც იყო სახარების გადაწერა და ეკლესიის მშენებლობა (ქუთათელაძე 2001: 115). ეს კი, თავისთავად მყარი არგუმენტია იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვით, სომეხი მეცნიერები IX-XI სს-ში უარყოფენ ქვემო ქართლში ქართული ეპარქიების და ქართველი ეპისკოპოსების არსებობას.

სახელ *თულაჲ*სთან დაკავშირებით საინტერესოა მანგლისის ტაძრის ერთი წარწერა, სადაც მოიხსენიება „სულკურთხეული ღოდომაის ძე თ(ულა)ჲ შაჰვან კოჟრის ტანუტერი.“ თ. ბარნაველი მას XI ს-ის პირველი მეოთხედით ათარიღებს (ბარნაველი 1961: 5, 31). აქვს თუ არა ამ პიროვნებასთან ნათესაური კავშირი ანტონ თულას ძეს, ამას მომავალი კვლევა გვიჩვენებს. თულაჲს ძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი მოიხსენიება, აგრეთვე, 1287/1288 წწ-ით დათარიღებულ სიგელში დავით და ვახტანგ მეფეებისა ვახტანგ თულაჲსძისადმი, რომელიც გამოცემულია ზემოაღნიშნულ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში. სიგელის მიხედვით, ვახტანგ თულაჲსძე დავით ნარინის ზარდახნის მწიგნობარია. მას მამულად დაუმტკიცეს რაჭაში „სოფელი პიპილეთი და მისი შესავალი ჟაშქუაჲ, შორაპნისა სანაცვლოდ და ეგრევე ირი, ღუერკისა სანაცვლოდ“(ენუქიძე და *სხვები* 1984: 181. საბუთში ვახტანგ თულაჲსძე მეთემე აზნაურად არის მოხსენიებული.

მე წილად მხვდა ბედნიერება სტუდენტობის პერიოდში ვყოფილიყავი ნ. შოშიაშვილის მოსწავლე, შემდეგ კი მისი ასპირანტი. მასთან დავამუშავე თემები: *ახალი ქართლის ცხოვრება, ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, ორბელთა საგვარეულო, კვირიკიან-ბაგრატუნთა დინასტია*. ჩემი საკვლევი თემა *ქვემო ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ისტორია*, IX-XII სს), რომელიც შემდეგ დისერტაციას დაედო საფუძვლად, სწორედ ბატონმა ნუკრიმ შემირჩია. მე მას ვაცნობე, რომ სომხური წყაროებით და სომხურ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობებით ვინტერესდებოდი. მან მიპასუხა, რომ კვლევა რთული და შრომატევადი იქნებოდა, მე მომიწევდა ძველი და ახალი სომხური ენის შესწავლა, რადგან სომხური წყაროების ორიგინალში კითხვის გარეშე აზრი არ ექნებოდა საკითხის კვლევას. მაგრამ ამავე დროს დასძინა, რომ სომხურ-ქართული ურთიერთობების შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში საქართველოს ისტორიისთვის აუცილებელი და საჭირო იქნებოდა. კვლევა მესამე კურსიდან დავიწყე. საქმე იმაში გახლდათ, რომ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ისტორია, რომელმაც ქვემო ქართლის ტერიტორია საუკუნენახევარი მოიცვა, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოკვლეული არ ყოფილა, მაშინ როდესაც ფუნდამენტური კვლევები იყო ჩატარებული ეგრის-აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, კახეთ-ჰერეთის სამეფოების, თბილისის საამიროს შესახებ. ტაშირ-ძორაგეტის სამეფოსთან მიმართებაში მხოლოდ სომხურ ისტორიოგრაფიაში იყო კვლევა ჩატარებული, ისიც ტენდენციურად, სადაც უგულვებელყოფილია ისტორიული რეალობა, არ არის გათვალისწინებული თვით სომხურ წყაროთა მონაცემები, რომლებიც ამ მხარეს ქართლის ნაწილად განიხილავენ. სომხურ ისტორიოგრაფიაში კი ქვემო ქართლი ე.წ. „ჩრდილო არმენიად“ არის გამოცხადებული. ამ თემის დამუშავებით მე საშუალება მომეცა, თვით სომხურ წყაროებზე დაყრდნობით მეჩვენებინა, რომ საქართველოს ეს მირძველი მხარე ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილია.

ბატონ ნუკრისთან ურთიერთობამ ბევრი რამ შემძინა, მან მასწავლა კვლევის სინთეზური მეთოდი, რომელიც შემეცნების პროცესში დაკავშირებულია ანალიზთან, ასევე, კომპლექსური კვლევა, რაც ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის განმსაზღვრელია. ზოგჯერ საკითხზე განსხვავებული აზრი და ხდება გვქონდა, მაგრამ ის ყოველთვის პატივს სცემდა, არასოდეს თრგუნავდა ჩემ აზრს და არ მახვევდა თავისას, რადგან ამით ცდილობდა დამოუკიდებელი აზროვნება განევითარებინა ჩემში. ბატონი ნუკრის, როგორც

ღირსეული პედაგოგის, მიმართ მადლიერება გამოვხატე იმით, რომ ჩემი პირველი მონოგრაფია – *ქვემო ქართლის პოლიტიკური ისტორიის საკითხები* მივუძღვენი მის ნათელ ხსოვნას. თხუთმეტი წლის შემდეგ ღვაწლმოსილ მეცნიერს ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილს კვლავ ვუხდი მადლობას ყველაფრისათვის.

შენიშვნები

[1] ნ. შოშიაშვილის შრომების სრული ბიბლიოგრაფია იხ.: ვაჩნაძე 2002: 11-22

„აღმოსავლეთის ქვეყანაში“ წინა აზია იგულისხმება, უფრო ვიწრო მნიშვნელობით, ამიერკავკასია – ნ.შ. (შოშიაშვილი 1961: 184)

[2] ამ საბუთის მიხედვით აშკარაა, რომ ლიპარიტი საქართველოდან წასულია, რაც დაახლოებით 1057 წელს უნდა მომხდარიყო და ივანე ბაღვაში მეფის მორჩილებაშია. სიგელს აახლებს 1073 წელს გიორგი II და გაბრიელ (საფარელი) ქართლის კათალიკოსი (ენუქიძე და სხვები 1984: 48). თუმცა, როგორც ჩანს, ბაღვაშები მაინც არ მოერიდნენ სიგელის ბოლოში შეჩვენების ტექსტს და ეს სოფელი დაიბრუნეს. მართლაც, გიორგი III 1170 წლის სიგელში შიომღვიმის მონასტრისადმი, რომელიც ასევე უახლებს მონასტერს ძველ სიგელებს, ბორცვისჯვარი იწოდება „ძუელადვე მღვიმისაი, ლიპარიტეთგან წაღებული, აწ ახლად პაპისა ჩ(ე)მისა დიდისა მეფის დ(ავი)თისგან შემოწირული“ (ენუქიძე და სხვები 1984: 68).

[3] ანტონ მანგლელი მოიხსენიება სოფ. ბაშკოის (ბაშკოვი) ერთ-ერთი ეკლესიის წარწერაში: „სახელითა ღმრთისათა მე ანტონი მანგლელმან აღვაშენე ეკლესიაჲ ესე“ (თაყაიშვილი 1913: 60). ე. თაყაიშვილის აზრით, ეს ანტონ მანგლელი უნდა ყოფილიყო ანტონ ნაოხრებელისძე, წარმოშობით მესხი, რომელიც ცხოვრობდა დემეტრე თავდადებულის დროს (რადგან ანტონ მანგლელი მოიხსენიება გუდარეხის ეკლესიის წარწერაში) (თაყაიშვილი 1913: 60). იმის გამო, რომ აღნიშნული ეკლესიაც კლდეკარის ერისთავთა საგამგეოში შედიოდა, არ გამოვრიცხავ, რომ აქ მოხსენიებული ანტონ მანგლელი XI ს-ის მანგლელი ეპისკოპოსი ყოფილიყო. ძეგლი უფრო ღრმად საჭიროებს შესწავლას და მომავალი კვლევა აჩვენებს სწორია თუ არა ჩვენი ვერსია.

დამოწმებანი

ანთელავა, შოშიაშვილი 1996: ი. ანთელავა, ნ. შოშიაშვილი. ქართლის ცხოვრება, („ძველი ქართლის ცხოვრება“), გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა, თბილისი, ნიკე.

ბარნაველი 1961: თ. ბარნაველი. მანგლისის ტაძრის წარწერები, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბერძენიშვილი 1990: ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, მეცნიერება.

გიორგაძე 2002: გ. გიორგაძე. ერთი დაუვიწყარი რეცენზია. *ანამკი*. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ენუქიძე და სხვები 1984: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. ტომი I, თბილისი, მეცნიერება.

ვაჩნაძე 2002: ნ. ვაჩნაძე. ანოტაცია: ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. 1980, თბილისი, მეცნიერება, *ანამკი*. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვაჩნაძე 2002: ნ. ვაჩნაძე. ნ. შოშიაშვილის შრომების სრული ბიბლიოგრაფია. ანამკი ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მელითაური და სხვები 1955: კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია. ვარძია (გზამკლევი), თბილისი.

სანაძე, შოშიაშვილი 1994: მ. სანაძე, ნ. შოშიაშვილი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი შეადგინეს, კომენტარები და ლექსიკონი დაურთეს მ. სანაძემ და ნ. შოშიაშვილმა. ტომი I, თბილისი, ნეკერი.

სანაძე, შოშიაშვილი 1998: მ. სანაძე, ნ. შოშიაშვილი. ქართლის ცხოვრება. ტექსტის ადაპტაცია, ბოლოთქმა და განმარტებები ეკუთვნით მ. სანაძეს და ნ. შოშიაშვილს. ტომი II, თბილისი, ნეკერი.

ქუთათელაძე 1996: ქ. ქუთათელაძე. ეპისკოპოსი ანტონ თოჯლაის ძე. ცისკარი. №11-12, თბილისი.

ქუთათელაძე 2001: ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბილისი, მთაწმინდელი.

ქუთათელაძე 2002: ქ. ქუთათელაძე. ერთი მცირე სომხური ანონიმური ქრონიკა და X-XII სს-ის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების კრებული, მიძღვნილი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილისადმი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შოშიაშვილი 1961: ნ. შოშიაშვილი. გრიგოლ აკანელი. მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

შოშიაშვილი 1980: ნ. შოშიაშვილი. ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაპიდარული წარწერები (V-X სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, მეცნიერება.

შოშიაშვილი 2002: ნ. შოშიაშვილი. „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემის ძირითადი პრინციპები. *ანამკი.* ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ცაგარეიშვილი 2002: ე. ცაგარეიშვილი. ქართული არმენოლოგიის ისტორიიდან. *ანამკი.* ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ჯავახიშვილი 1977: ი. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წ. I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, (V-XVIII სს) თხზ. 12 ტომად. ტომი **8**, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ჯორბენაძე 1984: ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
თაყაიშვილი 1913: Е. Такаишвили. Известия Кавказского отделения императорского Московского археологического обшества. в. III.

The Teacher of Excellence

Ketevan Kutateladze

Nodar (Naukri) Shoshiashvili was one of highly skilled Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Paleography, epigraphy, genealogy, vexillology, history of Georgia these were the fields of his interest. The scholar was gifted by universal talents: he equally succeeded in many spheres. N. Shoshiashvili was teaching the students how to be excellent. N. Shoshiashvili was informal and at the same time academic. Students loved him.

Among his scientific works especially should be mentioned the *Collection of Georgian Inscriptions (V-XIII cc),* which according to the author Professor Ketevan Kutateladze should be considered as the publication of the century.

The author had the honor to be N. Shoshiashvili's student. Together with him she worked on themes: The *New Kartlis Tskhovreba*, *Kingdom of Tashir-Dzorageti*, *The Orbelian's Family*, *Kvirikian-Bagratuni Dinasty.* Her research theme (*Social and Political History of Kvemo Kartli, 9th-12th cc*), which afterwards became the basis of her dissertation .

K. Kutateladze concludes her paper with expression of gratitude to Professor Nukri Shoshiashvili. Earlier she had expressed her attitude to him by the dedication to his memory the first monograph of hers *The Questions of Political History of Kvemo Kartli.* After fifteen years she once again expresses her thankfulness to her favorite teacher and the honored scholar.

ცაცა ჩხარტიშვილი

ტკივილიანი ფიქრით მეგობარსა და კოლეგაზე: ერთი წელი ცაცა ჩხარტიშვილის უდროო გარდაცვალებიდან

დოდო ჯუმბურიძე

ერთი წელი გავიდა ჩვენი კოლეგისა და მეგობრის – ცაცა ჩხარტიშვილის გარდაცვალებიდან. მისი სამეცნიერო ინტერესები საქართველოს ეთნო-კულტურულ და სულიერ სამყაროს მოიცავდა. მისი ყველა ცდა ჩაწვდომოდა ამ სამყაროს გამორჩეულ მოვლენებსა და გაეანალიზებინა მათი თავისებურებანი, გამოხატულია იმ სტატიებსა და წყაროების ანალიზში, რომლებიც მეცნიერის ნაშრომთა საკმაოდ გრძელ ნუსხაშია წარმოდგენილი.

მისი პირველი სამეცნიერო ნარკვევი ეხებოდა XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული კულტურის პრობლემებს. ახალგაზრდა მკვლევარმა ეს თემატიკა საგანგებოდ აირჩია, რათა სრულყოფილად წარმოეჩინა რუსული კოლონიალიზმის პირობებში მოქცეული ქართული კულტურის მდგომარეობა, ცარიზმის პოლიტიკური რეაქციისა და მის მიერ დაპყრობილ ხალხთა დევნის მაგალითები, ქართველი ერის იდენტობის გადაშლის და ასიმილაციის ცდა რუსულ იმპერიულ სივრცეში მისთვის ენის, ტერიტორიის წართმევითა და სარწმუნოებრივი გრძნობების შერყევის გზით.

ცაცა ჩხარტიშვილის ნაშრომი, რომელიც შემდგომ ცალკე წიგნად დაიბეჭდა, ნათლად ავლენს კავკასიის მთავარმართებლის – დონდუკოვ-კორსაკოვის (1882-1890) ანტიქართულ პოლიტიკას, განათლების დარგში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ.პ. იანოვსკის მცდელობას განათლების სისტემა გამოეყენებინა მხარის სრული რუსიფიკაციისათვის იდეოლოგიურ იარაღად, ძირშივე მოესპო ყოველივე ქართული და ნაციონალურ-შოვინისტური გრძნობები გაეღვივებინა არაქართულ მოსახლეობაში. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ქართული ენის დევნა-შევიწროვება კიდევ უფრო გაიზარდა გოლიცინის მმართველობის დროს (1897-1904).

წიგნში კარგად გამოჩნდა ქართული კულტურის ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მისია, რაც ამ სფეროს თერგდალეულთა ახალმა თაობამ მიანიჭა. რუსული იმპერიული კოლონიური პოლიტიკა სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკას ეყრდნობოდა ქართველი ერის ასიმილაციისა და რუსიფიკაციისათვის, რასაც ქართველმა პატრიოტებმა ეროვნული სულისკვეთების მქონე კულტურის კერების (თეატრი, მუსიკა, პრესა, სკოლები, ბიბლიოთეკები) დაარსებითა და გაძლიერებით უპასუხეს.

მკვლევრის განსაკუთრებული ინტერესი ბოლო წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებმა დაიმსახურა. მის სტატიებში ნაჩვენებია რუსეთში არსებული პოლიტიკური რეაქციის ფონზე საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო საქმიანობა. სასულიერო განათლებამ მიიღო გადამწყვეტი მნიშვნელობა „ინოროდცების“ რუსიფიკაციისა და ასიმილაციის პროცესში. რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ერთიანობის რღვევასა და ქვეყნის ტომობრივ დაყოფას ემსახურებოდა. ხდებოდა ქართული საეკლესიო სიწმინდეების დატაცება-განადგურება. მკვლევარმა რამდენიმე სტატია უძღვნა ჯუმათის მონასტრის სიწმინდეების ბედ-იღბლის აღწერას, ამ მონასტრის კედლებში მიმდინარე საეკლესიო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოჩენას.

როდესაც სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობას ეხება, მკვლევარი წერს, რომ ქართველი პედაგოგები, რომლებიც ცდილობდნენ მოსწავლეებში გაეღვივებინათ სურვილი დედაენის სწავლებისა, დირექციას აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი და პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ითხოვდა მათ სამსახურიდან. ამ ღონისძიების გატარებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკლესიას ეკისრებოდა.

საეგზარქოსოს მესვეურთა გალაშქრებამ ქართული ენის წინააღმდეგ, ცაცა ჩხარტიშვილის კვლევის შედეგების მიხედვით, აღშფოთება გამოიწვია მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში. მთავრობის კურსის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ქართველი უმაღლესი სასულიერო წოდების ერთმა ნაწილმა. ხელისუფალთა პოლიტიკით აღშფოთებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ვრცელი წერილით მიმართავდა ეგზარქოსს და პროტესტს გამოთქვამდა ადმინისტრაციის ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ. მკვლევარს მოაქვს სათანადო დოკუმენტი, სადაც დიდი ქართველი სასულიერო მამის ეს პროტესტია დოკუმენტურად აღნუსხული (სცსსა, ფონდი 488).

კავკასიის რუსული ხელისუფლება ათასგვარ ხერხს მიმართავდა ქართული ენის სწავლების შეზღუდვისა და პროგრამიდან მთლიანად ამოღებისათვის. ამას ემატებოდა ისიც, რომ სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის მასწავლებლებს, მიუხედავად ნამსახური წლებისა, პენსია არ ენიშნებოდათ და ის დრო, რომელიც მათ ამ საგნის სწავლებას მოანდომეს, პედაგოგიურ სტაჟში არ ეთვლებოდათ (სცსსა, ფონდი 488).

თვითმპყრობელობა ყველაფერს აკეთებდა ქართველ პედაგოგთა მორჩილებაში მოსაყვანად.

ცარიზმი კავკასიაში თავისი კოლონიური მიზნების განხორციელებისათვის მოითხოვდა ადგილობრივ საერო და სასულიერო ხელისუფალთა შეთანხმებულ მოქმედებას.

იბრძოდა რა საქართველოს მოსახლეობის სწრაფი გარუსებისათვის, მეფის მთავრობა მრავალ სხვა ღონისძიებასთან ერთად სასულიერო წოდებას ავალდებულებდა შეექმნა ახალი ანბანი აფხაზებისათვის, აგრეთვე, სვანებისა და მეგრელებისათვის, რომელთაც ნამდვილ ქართველებად არ მიიჩნევდა: „ჩვენთვის სასარგებლოა სვანეთში შემოვიღოთ მღვდელმსახურება რუსულ ენაზე, რომელიც დააკავშირებს ამ ხალხს ჩვენთან“, ნათქვამია ერთ იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტში. მართლაც, სვანებისათვის გამოიცა ანბანი ე. წ. „ლუშნუ ანბან“, რუსული შრიფტით, რამაც სვანების დიდი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. რუსული შრიფტი დაედო საფუძვლად აფხაზებისთვის შექმნილ ანბანსაც. ხელისუფლება ცდილობდა ასეთივე ღონისძიებების გატარებას სამეგრელოში, რომლის სკოლებშიც განზრახული იყო ქართული ენის სწავლების აკრძალვა.

განსაკუთრებული ადგილი ცაცა ჩხარტიშვილის შემოქმედებაში უჭირავს საეკლესიო ჟურნალისტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიის საკითხებს, ეს ეხება მის მიერ ჟურნალ *მწყემსის* (1890-1910), *საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბის* (1891-1916), გაზეთ *სიტყვას* (1906), ჟურნალ *კვალი ვაზისას* (1906) პრობლემებისა და თემატიკის განხილვას. ამ სტატიებში ნაჩვენებია, რომ საეკლესიო ჟურნალისტიკის მიზანი იყო წინააღმდეგობა გაეწია რუსული სინოდის ანტიქართულ საეკლესიო პოლიტიკისათვის, ათეისტური აზროვნების ფართოდ გავრცელების პირობებში სარწმუნოებისაკენ მოებრუნებინა ხალხის მასები, გამოეყვანა ერი სულიერი კრიზისიდან. საეკლესიო პრესის თემატიკა ღრმად ეროვნული მნიშვნელობის საკითხებთან ერთად იყო პედაგოგიური ხასიათის, იგი ერის ეთნო-კულტურული ტრადიციების აღორძინებასა და ხალხის განათლების მიზანს ემსახურებოდა.

საეკლესიო თემატიკის ერთგული მკვლევარი ბოლომდე დარჩა, განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა იგი ისეთი რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრების მქონე საეკლესიო მოღვაწის ბიოგრაფიას, როგორიც იყო ეპისკოპოსი იოსებ ჩიჯავაძე. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა ამ სასულიერო მამისადმი მიძღვნილი წიგნი, რაც ისტორიოგრაფიული ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოების ყურადღებას უთუოდ დაიმსახურებს იმ მრავალრიცხოვანი საარქივო წყაროების გამო, რასაც წიგნში შეტანილი სტატიები ეფუძნება.

დეკანოზმა იოსებ ჩიჯავაძემ ცხოვრების რთული გზა განვლო. ის წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის წართმეული ავტოკეფალიის დაბრუნება ქართველი სულიერი მამის მთავარი საზრუნავი იყო. საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იგი აქტიურად იდგა საუკეთესო ქართველი სასულიერო პირების, ეპისკოპოსების – კირიონის (სამაგლიშვილი), ანტონის (გიორგაძე), ლეონიდეს (ოქროპირიძე), ამბროსის (ხელაია), დეკანოზების – ნიკიტა თალაკვაძის, კალისტრატე ცინცაძის და ქრისტეფორე ციცქიშვილის გვერდით. მისმა გაზეთმა *სიტყვამ* და ჟურნალმა *სვეტიცხოველმა* უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ავტოკეფალური იდეების პროპაგანდის, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების დემოკრატიული პოზიციიდან გაშუქებისა და ამ საკითხებში საზოგადოების გათვითცნობიერების საქმეში.

იმ დროს, როდესაც საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება ეკლესიებს ანგრევდა, დევნიდა სამღვდელოებას, მიმდინარეობდა ათეიზმის დიდი პროპაგანდა, მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს: ქადაგებდა რწმენის აუცილებლობას, სიყვარულსა და სიკეთეს ადამიანთა შორის. ამის გამო, დიდი პატივისცემით სარგებლობდა მრევლში და ეკლესიის ერთგული სამსახურისათვის მრავალ დამსახურებულ ჯილდოსაც ღებულობდა.

ცაცა ჩხარტიშვილის ნაშრომში წარმოდგენილი წერილები ამ შესანიშნავი სასულიერო მამის მრავალმხრივი ღვაწლის წარმოჩენას ემსახურება. მკვლევარი დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძის მოღვაწეობაზე საკუთარ თვალსაზრისთან ერთად გვთავაზობს კათალიკოს-პატრიარქ კირიონთან მის მიმოწერას,

საიდანაც კიდევ ერთხელ იკვეთება ეპოქის მთავარი სულიერი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები, ჩანს საქართველოს ეკლესიის ღვაწლი ამ პრობლემების დასმისა და გადაჭრის საქმეში.

მკვლევარი ბევრ საინტერესო ფაქტს გადმოსცემს იოსებ ჩიჯავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან. ის საეკლესიო და საისტორიო არქივებში ეძებდა ყველა მასალას ჩიჯავაძის შესახებ, განსაკუთრებით აინტერესებდა მისი კრიტიკოსების მთავარი თემა: ურთიერთობა ე.წ. რუსეთის „ცოცხალ ეკლესიასთან“. წიგნში – *იოსებ ჩიჯავაძე* – ნათქვამია, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მამა იოსები რუსეთში არსებული „ცოცხალი ეკლესიის“ საქმიანობაში აღმოჩნდა ჩართული. 1922 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში იგი კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევის გარეშე (რის გამოც მას დროებით შეუჩერეს მღვდელმოქმედება) მოსკოვში გაემგზავრა იქაურ კრებაზე დასასწრებად, აირჩიეს „ცოცხალი ეკლესიის“ ჯგუფის ცენტრალური კომიტეტის წევრად, აღიჭურვა სათანადო რწმუნებით და საქართველოში ჩამოვიდა. მამა იოსებმა ამ საქმეში მხარდამჭერები ვერ მოძებნა და მალევე ჩამოშორდა აღნიშნულ მოძრაობას. მან შენდობა ითხოვა თავისი საქციელის გამო და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის შუამდგომლობით მალევე აღუდგინეს მღვდელმსახურება. შემდგომ წლებში მამა იოსები უკვე ერთგულად ემსახურებოდა დედა-ეკლესიას და, მიუხედავად კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის დევნისა, ანაფორა არ გაუხდია, უშიშრად ქადაგებდა სარწმუნოებას, ანუგეშებდა წმინდა ბარბარეს ეკლესიის მრევლს და დიდი სიყვარულითაც სარგებლობდა მორწმუნეთა შორის. 1927 წლის 21-27 ივნისს დეკანოზი იოსები მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის IV საეკლესიო კრებაში. 1928 წლის აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ (ციქციშვილი) იგი ენქერით დააჯილდოვა.

ჩიჯავაძის ცხოვრების ყველა ფაქტით დაინტერესებულმა ცაცა ჩხარტიშვილმა მოძებნა ის ადამიანები, რომელთაც გარკვეული ცნობები ჰქონდათ ცნობილ საეკლესიო მამაზე, ნახა მისი საფლავი წმინდა ბარბარეს ეკლესიის გალავანთან, არკვევდა წმინდა მამის ბოლო პერიოდის ცხოვრების თითოეულ დეტალს. ის წერს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დეკანოზი იოსები ხშირად ავადმყოფობდა. მიუხედავად ამისა, მას დიდი გავლენა არ დაუკარგავს როგორც მრევლზე, ასევე მაღალი თანამდებობის მქონე სასულიერო მამებზე.

„1932 წლის აგვისტოში წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის სამრევლო საბჭო კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) სთხოვდა ახალი წინამძღვრის დანიშვნას“, – წერს ცაცა ჩარტიშვილი ხსენებულ წინშე. „მთხოვნელს ჩვენ პირადად არ ვიცნობთ. უკეთუ მისი უწმინდესობა ჰრაცხს მას შესაფერ კანდიდატად, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვეთქმის. ერთს კი მოგახსენებთ – წმინდა ბარბარეს ყოფილი წინამძღვარი, აწ განსვენებული დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე ორი წლის განმავლობაში ავადმყოფობდა, ხოლო მისმა დროებითმა შემცვლელებმა კეთილად ვერ წარმართეს ეკლესიის საქმე და მრევლი შემოიფანტა“, – ასეთი იყო მეუფის პასუხი. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, მამა იოსები, ავადმყოფობის გამო, უკანასკნელი ორი წელი სისტემატურად ვერ ახერხებდა ტაძარში სიარულს. იგი 1929 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა, 15 იანვარს ნავთლუღის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს.

ცაცა ჩხარტიშვილმა გამოსცა წერილობითი წყაროები, რომელიც ასახავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ის მიმოწერას იოსებ ჩიჯავაძესთან. წერილებით ნათელი ხდება ამ ორი სასულიერო მოღვაწის დაუცხრომელი ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II-ის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს სწორედ ეს წერილები. ისინი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კირიონის პირად ფონდშია დაცული. მართალია, წერილების ნაწილი შეტანილია სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში, სრულყოფილი სახით იგი პირველად ცაცა ჩხარტიშვილის წიგნში გამოქვეყნდა.

როგორც თავად აღნიშნავდა, მკვლევრის მიზანს შეადგენდა „მიმოეხილა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული იოსებ ჩიჯავაძის წერილები, რომლის ადრესატი არის ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, საზოგადო მოღვაწე, მკვლევარ-მეცნიერი და საქართველოსათვის თავგანწირული კირიონ II“.

ამ მიზნის საფუძველი იყო ის, რომ მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის წერილებით ვეცნობით იმ დროის გამოჩენილი ადამიანების მხარდაჭერას ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში. წერილებში უხვადაა წარმოდგენილი მასალა იმ პირებზეც, რომლებიც ხელს უშლიდნენ საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობის აღდგენას და ძალიან ბევრ დანაშაულს სჩადიოდნენ სინოდის სახელით. სწორედ ასეთი ადამიანებია იოსებ ჩიჯავაძის წერილებში მოხსენებული.

იოსებ ჩიჯავაძის წერილები შეიცავს მეტად საჭირო და საინტერესო მასალას მისი ცხოვრების ზოგიერთი დეტალის გასარკვევადაც. წერილებში საყურადღებო ცნობებია დაცული იმდროინდელი საზოგადოების, საეკლესიო, რუსეთის სინოდის მოღვაწე პირთა შესახებ. ამ წერილებს ჩვენთვის წყაროს მნიშვნელობა აქვს, რომელიც სრულყოფილად აღადგენს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეკლესიაში არსებულ სიტუაციას.

წერილები დათარიღებულია 1902-1915 წლებით. ზოგიერთი წერილი უთარიღოა. წერილებში ასახულია იმდროინდელი ქართული და რუსული ინტელიგენციის კულტურული ცხოვრება და რუსეთის სასულიერო მთავრობის საქმიანობა. მღვდელი იოსების წერილის ადრესატები არიან ქართველი და რუსი სასულიერო პირები და საზოგადო მოღვაწეები. ცაცა ჩარტიშვილს არქივში დაცული 400-მდე წერილის სრული გამოცემა და აღწერა ჰქონდა განზრახული, რაც, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

ცაცა ჩხარტიშვილის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში შეტანილ ამ წვლილს უნდა დავუმატოთ ქართველი ჯარისკაცებისათვის *მეომრის ბიბლიოთეკის* სერიით შექმნილი სპეციალური თემატური ნარკვევები გამოჩენილ ქართველ მხედართმთავრებზე (პეტრე ბაგრატიონი, გიორგი მაზნიაშვილი). აქედან განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ნარკვევი, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან ეპიზოდს მოიცავს ამ ნიჭიერ სარდალსა და მეომარზე და მკითხველთა ფართო წრისათვის არის განკუთვნილი.

ცაცა ჩხარტიშვილის სტატიებიდან და კრებულებიდან ჩანს, თუ როგორ უყვარდა მათ ავტორს საკუთარი ქვეყანა, მისი ისტორია, ამ ისტორიის შემქმნელი დიდებული ადამიანები და როგორ ცდილობდა –არა მარტო კიდევ ერთხელ აღეწერა მათი ცხოვრება და ღვაწლი, არამედ ყოფილიყო მათი ღირსეული მემკვიდრეც. მთავარი ესაა, დანარჩენი ნაკლებადაა დამოკიდებული პიროვნების ცდასა და სურვილზე.

საოცრად კეთილსინდისიერი და ნიჭიერი მკვლევრის – ცაცა ჩხარტიშვილის უდროო გარდაცვალება ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი დანაკლისია. ცაცა იყო კეთილი და მოყვასისათვის თავდადებული ადამიანი. ამ ქვეყნიდან მისი წასვლა ჩვენი მთელი სამეგობროს დიდი ტკივილია.

With Painful Thoughts on the Devoted Friend and Colleague: An Year Since Tsatsa Chkhartishvili's Untimely Death

Dodo Chumburidze

Professor Dodo Chumburidze recalls her colleague, workmate and close friend Tsatsa Chkhartishvili underlining her attractive personal features. The author provides deep and detailed analysis of scientific works by the late scholar, her contribution in finding and publishing archival data, revealing importance of information of press for representation of modern Georgian history.

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიის გაფორმების და წარმოდგენის წესები

სტატიის ენა

ჟურნალში სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში, რუსულად. ქართულენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ინგლისურად, ინგლისურენოვან სტატიას – ქართულად, რუსულენოვან სტატიას – ქართულად და ინგლისურად.

სტატიის სტრუქტურა

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები). ილუსტრაციები (ფოტოები ან ტაბულები) შეიძლება ჩართულ იყოს ტექსტში ან დაერთოს ტექსტს რეზიუმეს წინ.

სტატიის სათაური

გამუქებული (Bold, Жирный), ცენტრში, ფონტის ზომა 13.

ავტორის სახელი და გვარი

გამუქებული (Bold, Жирный), მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 11.

ძირითადი ტექსტი

ძირითადი ტექსტის ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.5.

შენიშვნების (გამუქებული, Bold, Жирный) ფონტის ზომა 11, **შენიშვნების** ტექსტის ფონტის ზომა 9, ინტერვალი 1. ნუმერაცია ინდექსით, ყოველი შენიშვნის პირველი სტრიქონი აბზაცით.

დამოწმებანის (გამუქებული, Bold, Жирный) ფონტის ზომა 11, **დამოწმებანის** ტექსტის ფონტის ზომა 9, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოღებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

ფონტი

სილფაენი (sylfaen) ყველა ენისათვის.

აბზაცი

აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით Tab (ზოგ კომპიუტერზე ეს კლავიში აღნიშნულია ორი ურთიერთსაპირისპირო ისრით), რომელიც დაყენებული უნდა იყოს 1 სანტიმეტრზე

ტექსტში მითითებული ნაშრომის სათაური

ძირითად ტექსტში მითითებული ნებისმიერი ნაშრომის სათაური ისმება არა ბრჭყალებში, არამედ წარმოდგენილია დახრილად (Italic, Курсив). მაგალითად: *წმ. ნინოს ცხოვრება* არის მეოთხე საუკუნის თხზულება.

სექციაში **დამოწმებანი.** ლიტერატურის ჩამონათვალში სათაურებისათვის დახრა არ გამოიყენება, არც ბრჭყალები.

ციტირება

ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ძირითადი ტექსტისაგან ზემოდანაც და ქვემოდანაც გამოიყოფა 9 ფონტის ზომის 1 ინტერვალით, მთელი ტექსტი შეიწევა აბზაცის დონეზე. ამონარიდის ტექსტის ფონტის ზომაა 9. ორი ან ერთი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალი: „ “ ორი ბრჭყალი ამის გარდა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა უნდა გამოიხატოს ავტორის მიერ აზრის მიუღებლობა, მაგალითად, „სამხრეთ ოსეთი“ ან აფხაზეთის „მთავრობა“, ანუ როცა გვინდა ვაჩვენოთ ჩვენ მიერ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლეგიტიმურობის არაღიარება.

სასვენი ნიშნები

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. ბრჭყალების შემდგომ იწერება სასვენი ნიშანი, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი რიცხვი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ. მაგალითად: „და ჰყვა მის თანა ცოლი თჳსი, და მიიწია რაჲ ტრაპეზუნტედ სანახებთა მათ სამეგრელოსათა“.[1]

მოცულობა

კვლევის, სამეცნიერო თარგმანის, წყაროს პუბლიკაციის შემცველი სტატიის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ **8** გვერდისა და არა უმეტეს 24 გვერდისა **შენიშვნების, დამოწმებანის** და **რეზიუმეს** დანართებისა და ილუსტრაციების ჩათვლით. არაკვლევითი საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 16 გვერდს.

რეზიუმე

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი რუბრიკისათვის არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციის, მიმოხილვის და ა.შ. სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა რეზიუმესათვის. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

ლიტერატურის მითითების წესი

სტატიის შიგნით ერთი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი 2009: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი** ერთი ავტორის ნაშრომი:
ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით ორი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი** ორი ავტორის ნაშრომი:
ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო. ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით რამდენიმე ავტორის ნაშრომი:
(ლეფორი და *სხვები* 2008: 64)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი** რამდენიმე ავტორის ნაშრომი:
ლეფორი და *სხვები* 2008: ჟ. ლეფორი, ნ. იკონომიდისი, დ. პაპახრისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავტორობით, ივირონის აქტები, I, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილაშვილმა. თბილისი.

ერთსა და იმავე წელს გამოცემული ერთი და იმავე ავტორის რამდენიმე ნაშრომი:
ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. On Georgian identity and culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhrtishvili). Tbilisi, Universal.
ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.

ნაშრომი კრებულში ან ჟურნალში:
კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე. კრებ. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. მთ. რედ.ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე.

ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის" ორი თვე ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის „ივერიის" 10 ნომრის მიხედვით. ქართული წყაროთმცოდნეობა. XII. რედ. გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი. თბილისი, უნივერსალი.

გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:

სტატიის შიგნით:
(ყაუხჩიშვილი 1955: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში ***დამოწმებანი:***
ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბილისი.

საარქივო მასალის დამოწმება
სტატიის შიგნით:
(ფონდი 416) ან (არქივი)

სტატიის ბოლოში, სექციაში ***დამოწმებანი:***
ფონდი 416: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

სამეცნიერო თარგმანის დამოწმება

სტატიის შიგნით:
(ჩხარტიშვილი 2004: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი:**
ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

საინტერნეტო პუბლიკაციის დამოწმება
ნოსენკო: Елена Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, ვებ–გვერდი Эхо. http://echo.oranim.ac.il/main.php?p=news&id_news=59&id_personal=18

გამოცემა ავტორის და რედაქტორის გარეშე, საცნობარო ლიტერატურა შეიძლება მითითებული იყოს სათაურით.

სტატიის შიგნით:
(ლექსიკონი 1984: 34)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი:**
ლექსიკონი 1984: Армяно-русский словарь Ереван. Изд. АН Арм ССР.

სტატიის წარმოდგენის წესი

ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები ჟურნალის ერთ ბეჭდურ ცალს. ავტორმა გარკვეული ხარჯი უნდა გასწიოს მხოლოდ რეზიუმეს ინგლისურად თარგმანისათვის. კერძოდ, მან რეზიუმეს ქართული ტექსტი სათარგმნელად უნდა გადასცეს გამომცემლის მიერ რეკომენდებულ სპეციალისტს, რისთვისაც უნდა გადაიხადოს შესაბამისი საფასური. თუ ავტორს თავად შეუძლია ინგლისური რეზიუმეს გაკეთება, ამ შემთხვევაშიც აუცილებელია მან მიმართოს გამომცემლის ნდობით აღჭურვილ ენის სპეციალისტს ტექსტის რედაქტირებისათვის. როგორც ინგლისური თარგმანის შესრულების, ისე ინგლისურენოვანი ტექსტის რედაქტირების თანხის ოდენობა განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

ავტორს მოეთხოვება ზემოთ აღნიშნული წესების ზუსტი დაცვით წარმოადგინოს სტატია. სტატიის წარმოდგენა შესაძლებელია ყოველ წელს იანვრიდან აპრილის ჩათვლით პერიოდში.
კორექტურული შეცდომების შემცველი და ტექნიკურად მოუწესრიგებელი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს.
სტატია უნდა გადაეგზავნოს გამომცემელს – პროფესორ **მარიამ ჩხარტიშვილს** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: mary.chkhartishvili@gmail.com
ამასთან ერთად აუცილებელია, რომ ავტორებმა სტატია გადაუგზავნონ ჟურნალის პასუხისმგებელ მდივანს **მანუჩარ გუნცაძეს:** m.guntsadze@gmail.com; 555 40 18 46.

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎ 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge